დორის ლესინგი

ოქროს რვეული

ავტორის წინასიტყვაობა

რომანს შემდეგი ფორმა აქვს.

მოცემულია ხერხემალი, ანდა ჩარჩო, სახელწოდებით „თავისუფალი ქალები“, რომელიც, თავისთავად, მცირე ზომის ტრადიციულ რომანს წარმოადგენს, დაახლოებით 60000 სიტყვის მოცულობით, და რომელიც შეიძლება ცალკეც არსებობდეს. მაგრამ ის ხუთ ნაწილად არის დაყოფილი, რომელთა შორის ჩასმულია ოთხი რვეულის შესაბამისი ნაწილები: შავი, წითელი, ყვითელი და ლურჯი რვეულებისა. ამ რვეულებში ჩანაწერებს ანა ვულფი, „თავისუფალი ქალების“ მთავარი გმირი, აკეთებს. ანას ერთი კი არა, ოთხი რვეული აქვს, რადგან აცნობიერებს, რომ აუცილებელია საგნები რამენაირად განაცალკევოს, იმიტომ, რომ ეშინია ქაოსის, ამორფულობის - ეშინია ჩავარდნის. გარეგანი და შინაგანი პირობების გავლენით რვეულებში ჩანაწერები წყდება; რვეულის ფურცლის გარდიგარდმო ერთიმეორის მიყოლებით სქელი შავი ხაზი ჩნდება. მაგრამ ახლა, როცა მათ წერტილი დაესვა, მათი ფრაგმენტებიდან შეიძლება რაღაც ახალი იშვას — ოქროს რვეული.

ამ რვეულების ფურცლებზე ადამიანები მუდმივად კამათობდნენ, აგებდნენ თეორიებს, რაღაცას კატეგორიულად აცხადებდნენ, იარლიყებს აწებებდნენ, ყველაფერს ახარისხებდნენ და ზოგჯერ ამას იმდენად განზოგადებული და დღევანდელობისთვის სახასიათო ხმით აკეთებდნენ, რომ ანონიმებად რჩებოდნენ, მათ სახელები „moralite“-ს, ძველებური პიესების სტილში შეიძლება უწოდო: მისტერ დოგმა და მისტერ მე-თავისუფალი-ვარ-რადგან-ყველგან-მხოლოდ-სტუმარი-ვარ, მის მე-უნდა-

მქონდეს-სიყვარული-და-ბედნიერება და მისის მე-უბრალოდ-ვალდებული-ვარ-უზადო-ვიყო-ყველაფერში-რასაც-ვაკეთებ, მისტერ სად-წავიდნენ-ნამდვილი-ქალები? და მის სად--წავიდნენ-ნამდვილი-მამაკაცები?, მისტერ მე-გიჟი-ვარ-რადგან-ჩემზე-ასე-ამბობენ და მის ცხოვრების საზრისია-ყველაფერი-გამოცადო, მისტერ მე-რევოლუციონერი-ვარ-ესე-იგი-მე-ვარსებობ და მისტერ და მის თუკი-ამ-პატარ-პრობლემას-გადავჭრით-შესაძლოა-დაგვავიწყდეს-რომ-გვეშინია-სერიოზულებს-თვალი-გავუსწოროთ. თუმცა, ამავე დროს, ისინი ერთიერთმანეთის ანარეკლს წარმოადგენდნენ, ერთი და იმავე პიროვნების სხვადასხვა ასპექტი იყვნენ, ერთმანეთის აზრებსა და მოქმედებას შობდნენ, - მათი განცალკევება შეუძლებელია, ერთმანეთს ავსებენ და ერთ მთლიანობას ქმნიან. და, აი, „ოქროს რვეულში“ ყველაფერი გაერთიანდა, საზღვრები მოიშალა, ფრაგმენტაციას ბოლო მოეღო, რამაც ფორმის მოშლა გამოიწვია, - და ეს მეორე თემის ტრიუმფია, სახელდობრ, - ერთობის თემისა. ანა და საულ გრინი, „იშკილებიდან ჩამოვარდნილი“ ამერიკელი. ისინი შერეკილები, შეშლილები, გიჟები არიან - გინდ ასე დაარქვი, გინდ ისე. ისინი „აფრენენ“, ერთმანეთისა და სხვა ადამიანების პიროვნებაში „იჭრებიან“, ჭკუიდან გადადიან, ამსხვრევენ ყალბ სიუჟეტებს, რომელშიც თავიანთი წარსული მოაქციეს; მათ მიერ გამოგონილი შაბლონები, ფორმულები, რათა როგორმე სისტემაში მოეყვანათ, განესაზღვრათ საკუთარი თავი, იშლება და ქრება. ისინი ერთმანეთის აზრებს კითხულობენ, თავიანთ თავს სხვაში ცნობენ. საულ გრინი, კაცი, რომელსაც ანასი შურდა და ცდილობდა მისი პიროვნების დანგრევას, ახლა ეხმარება მას, რჩევებს აძლევს, სთავაზობს თემას ახალი წიგნისთვის ირონიული სათაურით „თავისუფალი ქალე-

ბი“, რომელიც ასე უნდა დაიწყოს: „ქალები ლონდონის ბინაში მარტო იყვნენ“. თავის მხრივ, ანა, რომელიც საულზე გაგიჟებამდე ეჭვიანობდა, მომთხოვნი ანა, მესაკუთრე ანა, მას ჩუქნის ახალ ლამაზ რვეულს, „ოქროს რვეულს“, რომლის მიცემაზე მანამდე უარს ამბობდა, ახალი წიგნისთვის თემას სთავაზობს და რვეულში ჩაწერს პირველ წინადადებას: „ჯარისკაცი ქვიშნარი გორაკის ფერდზე იდგა, ალჟირში, და უყურებდა, როგორ ლიცლიცებდა მთვარის შუქი მისი თოფის ლულაზე“. და ამ „ოქროს რვეულში“, რომელშიც ორივენი წერენ, უკვე შეუძლებელია გაარჩიო, სადაა საული, სად ანა, სად - სხვა ადამიანები, რომანში რომ ბინადრობენ.

ეს თემა, „გაფრენის“, „ჩავარდნის“, - აზრი, რომ შინაგანმა რღვევამ, ფრაგმენტებად დაშლამ შეიძლება გამოჯანსაღებამდე, ყალბი დიქოტომიებისა და დანაწევრების შინაგან უარყოფამდე მიგიყვანოს, - რასაკვირველია, არაერთხელ დაუმუშავებიათ სხვა ავტორებსაც, ამაზე თავად მეც ვწერდი მოგვიანებით. მაგრამ სწორედ აქ, მოკლე, უცნაური სიუჟეტის გადმოცემასთან ერთად, პირველად შევეხე მას. აქ ის უფრო ტლანქია, უფრო ცხოვრებისეული, აქ გამოცდილებას ჯერ არ შეუძენია აზრი და ფორმა, - შესაძლოა, აქ მას მეტი ფასი აქვს, რადგან მასალა ჯერაც დაუმუშავებელია, თითქმის ნედლი.

არადა, ეს ცენტრალური თემა ვერც კი შენიშნეს, რადგან თავიდანვე დაიწყეს წიგნის არსის დამცრობა როგორც კეთილმოსურნე, ასევე მტრულად განწყობილმა კრიტიკოსებმა, ის ხელოვნურად დაიყვანეს სქესთა ბრძოლის თემამდე, თანაც ქალებმა უმალ განაცხადეს, რომ ეს წიგნი ქმედითი იარაღია მამაკაცებთან ომში.

აი, სწორედ მაშინ ჩავვარდი ორაზროვან მდგომარეობაში, რომელშიც დღემდე ვარ, რადგან ქალებისთვის დახმარებაზე უარის თქმა, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ მინდა.

ეს თემა თავიდანვე რომ გავარკვიოთ - ქალების გათავისუფლებისთვის ბრძოლის თემა, - ვიტყვი: რასაკვირველია, მხარს ვუჭერ მას, რადგან ქალები მეორე კატეგორიის მოქალაქენი არიან, რასაც ახლა მრავალ ქვეყანაში ესოდენ ენერგიულად და კომპეტენტურად აცხადებენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ ასპარეზზე წარმატებას აღწევენ - მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მზად არიან, ისინი სერიოზულად აღიქვან. სრულიად განსხვავებული ადამიანები, რომლებიც წინათ მტრულად ანდა გულგრილად იყვნენ მათ მიმართ განწყობილი, ახლა ამბობენ: „მე მხარს ვუჭერ მათ მიზნებსა და ამოცანებს, ოღონდ არ მომწონს მათი მჭახე ხმა და საზიზღარი, უკმეხი ქცევა“. ესაა გარდაუვალი და ადვილად საცნობი სტადია ნებისმიერი რევოლუციური მოძრაობისა; რეფორმატორები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ მათ სწორედ ისინი გაემიჯნებიან, ვინც სიამოვნებით იყენებდა მათ მიერ მოპოვებულს. თუმცა არა მგონია, ქალთა გათავისუფლების მოძრაობამ ბევრი რამ შეცვალოს, - იმიტომ არა, თითქოს რაღაც არ არის რიგზე ამ მოძრაობის მიზნებში; უბრალოდ, უკვე ცხადია, რომ მსოფლიოს ახალი კატაკლიზმები აზანზარებს და ამის შედეგად ახალ სტრუქტურას იძენს: შესაძლოა, იმ დროისათვის, როდესაც ჩვენ ამაში გავერკვევით, თუკი ეს საერთოდ ოდესმე მოხდება, ქალთა მოძრაობის მიზნები უმნიშვნელო და უცნაური მოგვეჩვენოს.

თუმცა ეს რომანი სულაც არ იყო ჩაფიქრებული როგორც ქალთა გათავისუფლების მოძრაობის რუპორი. მან მოგვითხრო ქალის მრავალ გრძნობაზე — აგრესიაზე, აღშფოთებაზე, წყენა-

ზე. მან ეს გრძნობები ბეჭდური სახით გამოამზეურა. და, როგორ ჩანს, ქალებისთვის ტიპური აზრები, გრძნობები და განცდები ბევრისთვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. უმალ მოიმარჯვეს ძველისძველი იარაღი, სხვადასხვანაირი, რომლის დამრტყმელი ძალაა მსჯელობა თემაზე: „ავტორი არაა ქალური“, „იგი მამაკაცების მოძულეა“. ეს, ავტომატიზმამდე დასული რეფლექსი დაუძლეველი მგონია. ბევრი მამაკაცი - და ასევე, ქალიც - ამტკიცებდა, რომ სუფრაჟისტი ქალები არაქალურები, მამაკაცურები, უხეშები არიან. არც ერთხელ არ წამიკითხავს ანგარიში ქალთა მცდელობაზე, ნებისმიერ საზოგადოებაში რაღაც მეტი მოეპოვებინათ თავისთვის, ვიდრე ბუნებამ არგუნა, იმის გარეშე, რომ იქვე მამაკაცების - და ზოგიერთი ქალის - რეაქცია არ იყოს მოყვანილი. „ოქროს რვეულმა“ მრავალი ქალი გააღიზიანა, რაზეც მზად არიან სხვა ქალებთან ილაპარაკონ, როდესაც სამზარეულოში წუწუნებენ, ჩივიან, ჭორაობენ, რაც მათ მაზოხიზმში ვლინდება, და ესაა უკანასკნელი, რაც მზად არიან, აღიარონ, თორემ ხომ შეიძლება ვიღაც მამაკაცმა შემთხვევით მოისმინოს მათი ლაპარაკი. ქალები მხდალები არიან, იმიტომ, რომ უკვე ძალიან დიდი ხანია ნახევრად მონურად ცხოვრობენ. იმ ქალების რაოდენობა კი, რომლებიც მზად არიან დაიცვან თავიანთი აზრები, გრძნობები და განცდები საყვარელი მამაკაცის წინაშე, კვლავაც ძალზე მცირეა. უმეტესად იმ ფინიებივით არიან, რომლებსაც ქვები ესროლეს, ისინიც გაიქცნენ, განზე გადგნენ, როდესაც მამაკაცმა მათ უთხრა: „შენ აგრესიული ხარ, შენ - უვიცი ხარ, შენ ძირს უთხრი ჩემს მამაკაცურ ძალას“. დარწმუნებული ვარ, თუ ქალი ცოლად მიჰყვება მამაკაცს, ან რაიმე სხვანაირ, სერიოზულ ურთიერთობას ამყარებს იმასთან, ვინც მსგავს რაღაცას ეუბნება, შედეგად იღებს, რასაც იმსახურებს.

რადგან ასეთ მამაკაცს უყვარს დაშინება, მას არაფერი გაეგება იმ სამყაროსი, სადაც ცხოვრობს და არ იცის მისი ისტორია, - წარსულში მამაკაცებს და ქალებს ურიცხვი როლის თამაში უწევდათ, ისევე როგორც დღეს, სხვადასხვა საზოგადოებაში. ასე რომ, ის ან უმეცარია, ან ეშინია, ბრბოსგან დამოუკიდებლად იაროს, ფეხი არ შეუწყოს - ანუ ლაჩარია... ამ ჩანაწერებს ვაკეთებ იმ გრძნობით, რა გრძნობითაც დავწერდი წერილს შორეულ წარსულში: მე იმდენად დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც ახლა თავისთავად ცხადი გვგონია, უახლოეს ათ წელიწადში ამ ცხოვრებიდან სრულიად აღიგვება.

(მაშ, რა საჭიროა რომანების წერა? მართლაცდა, რა საჭიროა? მგონი, ჩვენ ისე უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება, თითქოს...)

ზოგიერთ წიგნს მკითხველი არასწორად იგებს, რადგან გადაახტა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების გარკვეულ ფაზას, მოცემულობად იღებს ინფორმაციის გარკვეულ კრისტალიზაციას, რომელიც საზოგადოებაში ჯერ არ მომხდარა. „ოქროს რვეული“ დაიწერა ისე, თითქოს წარმოდგენები, რომლებიც ქალთა უფლებებისთვის მებრძოლმა მოძრაობებმა შემოიტანეს, უკვე ათვისებული გახლდათ. რომანი გამოქვეყნდა ათი წლის წინ, 1962 წელს. ის რომ დღეს დაბეჭდილიყო, შესაძლოა წაეკითხათ და უბრალოდ რეაგირება კი არ მოეხდინათ მასზე: ყველაფერი ძალიან სწრაფად შეიცვალა. გაქრა ზოგიერთი ყალბი წარმოდგენა. მაგალითად, ათი ან თუნდაც ხუთი წლის წინ - ეს წლები კი სქესთა ურთიერთობაში მეტად პრობლემური იყო - გამოქვეყნდა უამრავი რომანი და პიესა, რომლებიც იმ მამაკაცებმა დაწერეს, ვინც ქალების მიმართ საოცრად კრიტიკულად იყვნენ განწყობილი - განსაკუთრებით, შეერთებულ შტა-

ტებში, თუმცა ასევე ჩვენს ქვეყანაშიც. მათში ქალები გამოყვანილი იყვნენ როგორც ჩხუბის მოყვარულები და მოღალატეები, უპირველესად კი როგორც ერთგვარი მენაღმეები თუ გამნაღმველები. მამაკაცი მწერლების ამგვარი პოზიცია აღიქმება როგორც ჯეროვანი, როგორც რაღაც ჯანსაღი ფილოსოფიური ბაზისი, როგორც სრულიად ნორმალური მოვლენა, რომელიც, რასაკვირველია, არ შეიძლება განვიხილოთ უბრალოდ როგორც ქალთმოძულეობის, აგრესიულობის ან ნევროზულობის გამოვლინება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დღესაც არსებობს, თუმცა სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა, ეს აშკარაა.

მე იმდენად ვიყავი ამ წიგნის წერით დაკავებული, რომ საერთოდ არ მიფიქრია იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა ის აღექვათ. იმდენად ვიყავი ამ პროცესით გატაცებული, რომ, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ წერა ძნელი იყო, - გონებაში რომანის გეგმა მქონდა და დავწერე თანამიმდევრულად, თავიდან ბოლომდე, რაც არ იყო ადვილი საქმე, - არამედ იმიტომ, რომ სანამ ვწერდი, ამ საოცარ აღმოჩენებს ვაკეთებდი. შესაძლოა, წინასწარ განსაზღვრული ხისტი სტრუქტურა და გარკვეული შეზღუდვები ყოველთვის უცილობლად გარეთ გამოდევნის რაღაც ახალ შინაარსს, თანაც იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად ელი. როდესაც ვწერდი, უცებ ჩნდებოდა სხვადასხვა იდეა და ცხოვრებისეული გამოცდილების სხვადასხვაგვარი ტიპები, რომელთა არსებობას მანამდე ვერც კი წარმოვიდგენდი. ამიტომ თვით იმ პერიოდმა, როდესაც წიგნს ვწერდი, და არა მხოლოდ გამოცდილებამ, რომელიც მასში აისახა, მართლა ტრავმა მომაყენა: წიგნმა გამომფიტა. როდესაც კრისტალიზაციის ეს პროცესი გავიარე, როდესაც ხელნაწერი მეგობრებსა და გამომცემელს გადავეცი, გავიგე, რომ თურმე დამიწერია ტრაქტატი სქესთა ბრძოლაზე და

ძალზე მალე აღმოვაჩინე, რომ რაც უნდა ვთქვა, ამ დიაგნოზის შეცვლა უკვე აღარ შემიძლია.

ამავე დროს თვით წიგნის არსი, მისი აგების წესი, ყველაფერი მასში, როგორც ქვეშეცნეულად, ასევე პირდაპირ, მეტყველებს, რომ ერთი მეორისგან არ უნდა გავაცალკევოთ, არაფერი არ უნდა დავახარისხოთ, ცალ-ცალკე უჯრებში ჩავალაგოთ.

„დაბორკილები. თავისუფლები. კარგები. ცუდები. კი. არა. კაპიტალიზმი. სოციალიზმი. სექსი. სიყვარული“, - ამბობს ანა „თავისუფალ ქალებში“, აცხადებს თემას, ყვირილით ამოთქვამს მას, მთელი ძალით ყვირის, და ძირითად მოტივს თან სდევს ფანფარები და დოლის ხმა... ან, ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა. ასევე მჯეროდა, რომ წიგნის, სახელად „ოქროს რვეული“, შინაგანი ნაწილი იმავე სათაურით, ძირითადად, ყველაზე არსებითად, თავის თავში შეტყობინების შემცველად შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

მაგრამ - არა.

წერისას მასალად სხვა პრობლემებიც გამომადგა, რაც მაშინ ჩემთვის გადამწყვეტი იყო: აზრები და თემები, რაც გონებაში მქონდა, ერთად შეიკრა, გაერთიანდა.

ერთ-ერთი მათგანია ის, რომ ბრიტანეთში შეუძლებელია ისეთი რომანის პოვნა, რომელიც ასი წლის წინანდელ, ანუ ხიხ საუკუნის შუა წლების ინტელექტუალურ ცხოვრებას იმდენად ასახავდეს, რამდენადაც ეს რუსეთში გააკეთა ტოსლტოიმ და საფრანგეთში - სტენდალმა (აქ გარკვეულწილად უნდა მოვიხსნა პასუხისმგებლობა იმით, რომ ზოგიერთ განმარტებას გავაკეთებ). „წითელი და შავის“ ანდა „ლუსიენ ლევენის“ წაკითხვა ნიშნავს საფრანგეთის ისე შეცნობას, თითქოს იქ იცხოვრე; „ანა კარენინას“ წაკითხვა ასევე ნიშნავს, რომ რუსეთს შეიცნობ. მაგ-

რამ ვიქტორიანული რომანი, რომელიც ასევე ძალზე სასარგებლო შეიძლებოდა ყოფილიყო, არა და არ დაიწერა. ჰარდი მოგვითხრობს, რას ნიშნავს იყო ღარიბი; რას ნიშნავს, გქონდეს წარმოსახვა, რომელიც გასცდა ეპოქას და რას ნიშნავს, აღმოჩნდე მსხვერპლი. რაც შეეხება ჯორჯ ელიოტს, ის თავისთავად კარგია. თუმცა, მგონია, რომ ხარკი, რომელიც გაიღო იმის სანაცვლოდ, რომ ვიქტორიანული ეპოქის ქალთა კლასს ეკუთვნოდა, იყო ის, რომ ზნეობრივ ქალად ასაღებდნენ მაშინაც კი, როდესაც მისი დროის ფარისევლური წარმოდგენებით ასეთი არ ყოფილა, - ძალიან ბევრი რამ ელიოტს არ ესმის, რადგან ზნეობრივია. მერედიტი, ეს საოცრად დაუფასებელი ავტორი, მგონი, დასახული ამოცანის გადაწყვეტას ყველაზე მეტად მიუახლოვდა. ტრილოპს ჰქონდა მცდელობა, მაგრამ ის შესაბამისი მასშტაბის ავტორი არ გახლდათ. არ არსებობს ერთი რომანიც კი, რომელიც ისეთი ძლიერი იქნებოდა და ისე მკაფიოდ გადმოსცემდა იდეათა ბრძოლის დინამიზმს, როგორც ვხედავთ, ვთქვათ, უილიამ მორისის ნებისმიერ, კეთილსინდისიერად დაწერილ ბიოგრაფიაში.

როდესაც იმავეს ვცდილობდი, რასაკვირველია, იმ აზრით ვხელმძღვანელობდი, რომ ქალის ხედვის ფილტრს ისეთივე კანონიერი ძალა აქვს, როგორიც მამაკაცისას. დროებით გვერდზე გადავდე ეს საკითხი, ან სულაც, ერთხელაც ხეირიანად არ დავფიქრებულვარ ამ თემაზე, და გადავწყვიტე, რომ ხხ საუკუნის შუა წლების იდეოლოგიური „სურნელების“ გადმოსაცემად აუცილებელია, მოქმედება განვითარდეს სოციალისტებისა და მარქსისტების წრეში, რადგან სწორედ სოციალიზმის სხვადასხვა „თავში“ იმართებოდა ჩვენი დროის დიადი დებატები - სხვადასხვა მოძრაობა, ომები, რევოლუციები მათ მონაწილეთა მი-

ერ აღიქმებოდა როგორც სოციალიზმის ან მარქსიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარება, მისი რომელიმე ფაზა: გავრცელება, შეჩერება ან უკან დახევა (ვფიქრობ, უნდა დავუშვათ მაინც იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანები, როდესაც უკან, წარსულში მიიხედავენ და ჩვენს დროს დააკვირდებიან, შეიძლება სულ სხვანაირად დაინახონ ის, ვიდრე ჩვენ ვხედავთ, ზუსტად ისევე, როდესაც ჩვენ წარსულში ვიხედებით და ვაკვირდებით ინგლისის, საფრანგეთის ან რუსეთის რევოლუციასაც კი, სხვანაირად ვხედავთ მათ, ვიდრე ისინი, ვინც მაშინ ცხოვრობდნენ). მაგრამ „მარქსიზმი“ და მისი სხვადასხვა განშტოება ყველგან იწვევდა გონების მძლავრ დუღილს და ეს ისე სწრაფად და ისე ენერგიულად ხდებოდა, რომ საკმარისი იყო, გადმოფრქვეულიყო, უმალ თავიდან ბოლომდე აღიქმებოდა და ყოველდღიური აზროვნების ნაწილი ხდებოდა. იდეები, რომლებიც 30 ან 40 წლის წინ უკიდურესად მემარცხენე ჩანდა, 20 წლის წინ უკვე მთელი მემარცხენე მოძრაობის მიერ გახლდათ ათვისებული, 10 წლის წინ კი ტრადიციული სოციალური აზროვნების ჩვეულ წარმოდგენებად იქცა. ის, რაც ასე სიღრმისეულად არის ათვისებული, რეალური ძალა ვეღარ იქნება, მაგრამ ეს იყო დომინანტა და იმ ტიპის რომანში, რომლის დაწერასაც ვცდილობდი, ძირითადი უნდა ყოფილიყო.

მეორე მოსაზრება, რომელსაც დიდი ხანია ვეთამაშებოდი, მდგომარეობდა იმაში, რომ მთავარი გმირი უბრალოდ ვალდებული იყო, ხელოვანი ყოფილიყო, ოღონდ „სტუპორში“. და ეს იმიტომ, რომ შემოქმედის თემა უკვე დიდი ხანია დომინირებს ხელოვნებაში: მხატვარი, მუსიკოსი, მწერალი - როგორც ნიმუში, მოდელი. ამ თემას მიმართავდა ყველა დიდი ავტორი და მეორეხარისხოვანთა უმრავლესობა. ეს არქეტიპები - ხელოვანი

და მისი სარკისებრი ანარეკლი, ბიზნესმენი - ფართო ნაბიჯებით შემოვიდა ჩვენს კულტურაში, ერთი წარმოდგენილია, როგორც უხეში და უგრძნობელი, მეორე კი როგორც შემოქმედი, გადამეტებულად მგრძნობიარე, მუდამ რომ იტანჯება, და საოცრად თავშეყვარებულია, რაც, რასაკვირველია, უნდა მივუტევოთ, რადგან იგი ხომ ნაწარმოებებს ქმნის, - რასაკვირველია, ზუსტად ასევე უნდა მივუტევოთ ბიზნესმენს მისი შრომის ნაყოფის გამო. ჩვენ ხშირად ვეჩვევით იმას, რაც გვაქვს, რომ ხელოვანი როგორც ნიმუში, მისაბაძი მაგალითი, - ეს ახალი თემაა. ასი წლის წინ გმირებს შორის ხელოვანი იშვიათად თუ შეგხვდებოდათ. გმირები იყვნენ ჯარისკაცები და იმპერიების შემქმნელები, მკვლევრები და პირველაღმომჩენები, მღვდლები, პოლიტიკოსები - ქალებს რაც შეეხება, იმ ეპოქაში იშვიათად თუ მოახერხებდა რომელიმე მათგანი ფლორენს ნაიტინგეილი გამხდარიყო. მხოლოდ ექსცენტრიკულ, არაორდინარულ ადამიანებს უნდოდათ, ხელოვანები გამხდარიყვნენ, და ამ უფლების მოსაპოვებლად ბრძოლა უხდებოდათ. მაგრამ როდესაც ჩვენი დროის ამ თემას მივმართავთ - ხელოვანის თემას - გადავწყვიტე, რომ უნდა განვავითარო, შემოქმედებითი სტუპორის მდგომარეობაში ჩავაყენო ის არსება და განვიხილო მიზეზები, რომლებმაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. ეს მიზეზები, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია ორი მოვლენის სრულ შეუსაბამობასთან: უზარმაზარი პრობლემები - ომი, შიმშილი, სიღარიბე - და ერთი ციცქნა ინდივიდი, რომელიც ცდილობს მათ მოგერიებას. მაგრამ ის, რაც სრულიად აუტანელი იყო, რისი მოთმენაც მართლა აღარ შეიძლებოდა, ეს გახლდათ ყველასა და ყველაფრისგან სრულიად მოწყვეტილი, სასტიკად თავშეყვარებული და კვარცხლბეკზე აზიდული „ხელოვანი“. როგორც ჩანს, ახალგაზრდობამ რო-

გორღაც თავისთავად იგრძნო ეს და შეცვალა, შექმნა თავისი კულტურა, სადაც ასობით, ათასობით ახალგაზრდა იღებს ფილმებს, ასე თუ ისე მონაწილეობენ ამ პროცესში, ქმნიან ყველანაირი სახის გაზეთსა და ჟურნალს, თხზავენ მუსიკასა და წიგნებს, იღებენ ფოტოებს, ხატავენ.

მათ გააუქმეს ეს ყველაფრისგან მოწყვეტილი შემოქმედი, მგრძნობიარე პერსონაჟი, ასობით ათას ცალად გაამრავლეს. ამ ტენდენციამ განვითარების კულმინაციას, უმაღლეს წერტილს, ფინალს მიაღწია და მაშასადამე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, მალე დაიწყება რეაქცია. „ხელოვანის“ თემა უცილობლად უნდა შეეფარდოს სუბიექტურობის თემას. როდესაც წერას ვიწყებდი, მწერლებზე ზეწოლას ახდენდნენ, მოუწოდებდნენ, სუბიექტურობაზე უარი ეთქვათ. ეს მოვლენა კომუნისტური მოძრაობის წიაღში იშვა და საზოგადოებრივი ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას წარმოადგენდა, რომელიც ხიხ საუკუნეში შექმნეს რუსეთში მეტად ნიჭიერმა ახალგაზრდებმა, რომელთაგან ყველაზე ცნობილი გახდა ბელინსკი და რომლებიც იყენებდნენ ხელოვნებას და უპირველესად, ლიტერატურას, ცარიზმსა და ჩაგვრასთან საბრძოლველად. ხელოვნებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ფართო გავრცელება პოვა, რაც მოგვიანებით, დიდი ხნის მერე, ორმოცდაათიანებში, ჩვენს ქვეყანაში ექოდ გახმიანდა, - „გარკვეული პოლიტიკური შეხედულებების ერთგულების“ თემად. კომუნისტურ ქვეყანაში ის კვლავაც ძალზე ძლიერია. „რომი იწვის, შენ კიდევ პირადი სისულელეებით ხარ დაკავებული“, - ასე გამოხატავს, ჩვეულებრივ, თავის თავს ყოფითი ცხოვრების დონეზე - და ძალზე ძნელი იყო, ამის გავლენის ქვეშ არ მოვქცეულიყავი, რადგან ის მომდინარეობდა ყველაზე ძვირფასი და ახლობელი ადამიანებისგან და

იმათგან, ვინც აკეთებდა ისეთ რაღაცებს, რაც დიდ პატივისცემას იწვევდა, მაგალითად, ცდილობდნენ, ებრძოლათ რასობრივ წარმოდგენებთან სამხრეთ აფრიკაში. თუმცა კი რომანები და მოთხრობები, საერთოდ ნებისმიერი სახის ხელოვნება, სულ უფრო და უფრო პიროვნული ხდებოდა. ლურჯ რვეულში ანა წერს თავისი ლექციების შესახებ: „ხელოვნება შუა საუკუნეებში არ იყო ინდივიდუალური, ის სათემო გახლდათ; ის თემურ ცნობიერებას ეფუძნებოდა. მისთვის უცხო იყო ავადმყოფური ინდივიდუალიზმი, რაც კაპიტალისტური ეპოქის ხელოვნების მამოძრავებელი ძალაა. და აუცილებლად დადგება ისეთი დღე, როდესაც ინდივიდუალური ხელოვნების მძლავრი ეგოიზმი წარსულს ჩაბარდება. ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ისეთ ხელოვნებას, რომელიც ადამიანის შინაგან წინააღმდეგობებსა და თანამოძმეებთან გაუცხოებას კი არ გამოხატავს, არამედ მის პასუხისმგებლობას სხვა ადამიანზე, ძმურ გრძნობებს მის მიმართ. დასავლური ხელოვნება, განვსაზღვროთ ის ამ გაცვეთილი სახელწოდებით, მაშ, ასე, დასავლური ხელოვნება უფრო და უფრო გვაგონებს გამკივან ყვირილს, რომელსაც გამოსცემს სული, საკუთარ ტკივილს რომ აფიქსირებს. ტკივილი ხდება ჩვენი სიღრმისეული და ჭეშმარიტი არსი, ჩვენი რეალობა“. რაღაც ამდაგვარს ვამბობდი. სამიოდე თვის წინ ლექციაზე ენა დამება და ვეღარ დავასრულე. ლექციები მეტი აღარ წამიკითხავს. ვიცი, ეს ენაბლუობა რისი მანიშნებელია“.

ანას ენა იმიტომ დაება, რომ რაღაცებზე თვალის დახუჭვა სცადა. როგორც კი იბადება გავლენა ან მიმდინარეობა, მას უკვე ვეღარ გაექცევი; შეუძლებელია, უკიდურესად სუბიექტური არ ყოფილიყავი; პირიქით, ეს იყო, თუ გნებავთ, მწერლის მთავარი ამოცანა. ამის იგნორირება შეუძლებელი გახლდათ: შეუძლებე-

ლი იყო, დაგეწერა წიგნი ხიდისა თუ კაშხლის მშენებლობაზე და არ ჩაღრმავებოდი იმ ადამიანების ფიქრსა და გრძნობებს, ვინც მას აშენებდა, არ აღგეწერა ისინი (თქვენ გგონიათ, ეს კარიკატურაა? - სრულიადაც არა. ეს ალტერნატივა: ან/ან, კომუნისტური ქვეყნების ლიტერატურული კრიტიკის ყურადღების ცენტრშია დღესაც). ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ ამ დილემიდან გამოსავალი ან მისი გადალახვის საშუალება, იმ უხერხულობისგან გათავისუფლება, რომ წერ „წვრილმან პირადულ პრობლემებზე“, არის იმის გაცნობიერება, რომ სინამდვილეში არაფერია მკაცრად პირადული, იმ გაგებით, რომ არაფერია უნიკალური და მხოლოდ და მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი. როდესაც შენს თავზე წერ, იმავდროულად წერ სხვა ადამიანებზეც, რადგან შენი პრობლემები, ტანჯვა და სიხარული, შენი ყველა გრძნობა - და ასევე შენი ორიგინალური, განსაკუთრებული აზრები - არ შეიძლება მხოლოდ შენი იყოს. „სუბიექტურობის“ პრობლემაში გარკვევა, ამ მაშოკირებელი სიტუაციიდან გამოსვლა, როდესაც შენ ერთი ციდა ინდივიდის საქმეებით ხარ დაკავებული, რომელიც თან საოცრად მომხიბლავი და შემაძრწუნებელი შესაძლებლობების აფეთქების შუაგულშია, შესაძლებელია, თუკი მასში მიკროკოსმოსს დავინახავთ და ამდენად, გავარღვევთ პირადულსა და სუბიექტურს, თუკი შევეცდებით პირადული საზოგადომდე ავამაღლოთ, რასაც, კაცმა რომ თქვას, ყოველთვის აკეთებს თვით ცხოვრება, როდესაც გადაასხვაფერებს პირადულ გამოცდილებას - ყოველ შემთხვევაში, როგორც შენ მას აღიქვამ, სანამ ჯერ კიდევ ზრდის პროცესში ხარ. „მე შეყვარებული ვარ“, „მე განვიცდი ამა თუ იმ გრძნობას, ვფიქრობ ამაზე თუ იმაზე“, - რაღაც შეუდარებლად უფრო დიდში გადადის, საბოლოოდ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გაგებაა, რომ შენს

უნიკალურსა და განუმეორებელ გამოცდილებას ასევე სხვა ადამიანებიც იღებენ.

კიდევ ერთი აზრი ის იყო, რომ თუკი რომანს სწორ ფორმას მისცემ, ის თავისთავად იქნება ტრადიციული რომანის კომენტარი: დებატები იმაზე, თუ რას წარმოადგენს რომანი, იმ დროიდან მიმდინარეობს, რაც ეს ჟანრი გაჩნდა და სულაც არაა რაღაც ახალი, როგორც შეიძლება გეგონოთ, თუკი თანამედროვე აკადემიკოსებს წაიკითხავთ. მოკლე რომანი „თავისუფალი ქალები“ მთელი ამ ვრცელი მასალის მოკლე გადმოცემად და კონდენსატად წარმოგვედგინა, ნიშნავდა, რაღაც გვეთქვა რომანზე მისი ტრადიციული ფორმით, ნიშნავდა კიდევ ერთ საშუალებას, აღგვეწერა მწერლის დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომელიც ეუფლება მას, როდესაც წერტილს დასვამს: „რამდენად ცოტა შევძელი მეთქვა სინამდვილეზე, რაოდენ ცოტა მოვიხელთე და შევძელი გადმომეცა ეს ჩახლართული სირთულე; როგორ შეიძლება ეს პატარა აკურატული ტექსტი იყოს მართალი, როდესაც ჩემი გამოცდილება ესოდენ უხეში და აშკარად დაუწყობელი და უფორმოა?“

ჩემი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო წიგნისთვის ისეთი ფორმის მიცემა, რომელიც თავისთავად იმეტყველებდა, რომელიც იქნებოდა განცხადება, სიტყვების გარეშე რომაა გაკეთებული: მე მინდოდა წიგნის ფორმით მელაპარაკა.

როგორც აღვნიშნე, ეს შეუმჩნეველი დარჩა.

ეს, კერძოდ, იმიტომ მოხდა, რომ წიგნი უმეტესად რომანის ევროპულ ტრადიციას მიეკუთვნება და არა ინგლისურს. ანდა, უფრო ზუსტად, ინგლისურს, ოღონდ, როგორც ეს დღეს ესმით. ბოლოს და ბოლოს, ინგლისური რომანის ტრადიციას მიეკუთ-

ვნება როგორც „კლარისა“, ასევე „ტრისტრამ შენდი“ და „ტრა-გიკომედიანტები“, და ჯოზეფ კონრადი.

სრულიად ცხადია, მცდელობა დაწერო იდეების რომანი, იგი-ვეა, ასოთდამშავებლობის აქტი ჩაატარო; ჩვენი კულტურის შეზ-ღუდულობა მძლავრი ძალაა. აი, უკვე რამდენიმე ათწლეულია ვაჟები და ქალიშვილები ამთავრებენ უნივერსიტეტს და ამაყად შეუძლიათ განაცხადონ: „რასაკვირველია, მე არაფერი ვიცი გერმანული ლიტერატურის შესახებ“. ვიქტორიანელებმა ყველა-ფერი იცოდნენ გერმანულ ლიტერატურაზე, თუმცა სუფთა სინ-დისით შეიძლება არაფერი სცოდნოდათ ფრანგული ლიტერატუ-რის შესახებ.

რაც შეეხება დანარჩენს, - შემთხვევითი არ ყოფილა, რომ გონივრული კრიტიკა ჩემი მისამართით მარქსისტებისგან ან იმ ადამიანებისგან მომდინარეობდა, რომლებიც ოდესღაც მარ-ქსისტები იყვნენ. მათ დაინახეს, რისი გაკეთება ვცადე. და ეს იმიტომ, რომ მარქსიზმი უყურებს საგანს მის მთლიანობაში, ურ-თიერთქმედებაში - ყოველ შემთხვევაში, ცდილობს ასე უყუროს, მის შეზღუდულობაზე ახლა ლაპარაკს არ დავიწყებთ.

ადამიანისთვის, რომელმაც მარქსიზმის გავლენა განიცადა, თავისთავად ცხადია, რომ ციმბირის მოვლენები უცილობლად მოახდენს გავლენას საქმის ვითარებაზე ბოტსვანაში. მე მგონია, რომ მარქსიზმი იყო ჩვენი დროის პირველი მცდელობა, შექმნი-ლიყო მსოფლიო გონი, მსოფლიო ეთიკა ოფიციალურ სარწმუ-ნოებათა მიღმა. მაგრამ მერე ყველაფერი არასწორად წარიმარ-თა: მარქსიზმმა ისევე, როგორც ნებისმიერმა სხვა რელიგიამ, ვერ დააღწია თავი დაშლას სულ უფრო წვრილ, განცალკევებულ კონფესიებად, სექტებად და სალოცავებად. მაგრამ ეს იყო მცდე-ლობა.

საკითხი, თუ რის გაკეთებას ვეცადე, მიბიძგებს, კრიტიკოსებს დაველაპარაკო და ასევე, არის საშიშროება, მკითხველს კითხვისას მთქნარება აუტყდეს. რაოდენ სავალალოა ეს კინკლაობა მწერლებსა და კრიტიკოსებს შორის, დრამატურგებსა და კრიტიკოსებს შორის: მკითხველი საზოგადოება იმდენად მიეჩვია ამას, რომ ზემოდან უყურებს, როგორც ბავშვებს, მუდმივად რომ ჩხუბობენ ერთმანეთში: „ოჰ, ოჰ, ჩვენო საყვარელო პატარებო, ისევ დაიწყეთ ძველებურად“. ანდა: „თქვენ, მწერლებს, გიძღვნიან ყველა ქათინაურს და თუ არ გაქებენ, ყოველ შემთხვევაში, ყურადღების ცენტრში მაინც ხართ. მაშ, რატომ უნდა იყოთ მუდმივად უკმაყოფილო და ნაწყენი?“ და პუბლიკა მართალია. მიზეზთა გამო, რომელთა განხილვას ახლა არ შევუდგები, ადრეულმა და ფასეულმა გამოცდილებამ, რომელიც ჩემს მწერლურ ცხოვრებაში მივიღე, ლიტერატურულ კრიტიკოსებსა და მიმომხილველებთან ურთიერთობისას პერსპექტივის გრძნობა გამიჩინა; მაგრამ ამ რომანთან, „ოქროს რვეულთან“, ეს პერსპექტივა დამეკარგა: კრიტიკული გამოხმაურებანი, უმეტესწილად, იმდენად უაზროდ და ბრიყვულად მეჩვენებოდა, შეუძლებელია სიმართლე ყოფილიყო. როდესაც წონასწორობა აღვიდგინე, მივხვდი, რაში იყო საქმე. საქმე ისაა, რომ მწერლები კრიტიკოსებში ცდილობენ თავიანთი alter ego-ს პოვნას, იმ მეორე „მე“-ს პოვნას, რომელიც თვით შენზე ჭკვიანია, ის, ვინც ხედავს მიზანს, რომლის მიღწევას ცდილობდი და გაფასებს მხოლოდ იმის მიხედვით, ამ შენი მიზნის ღირსი აღმოჩნდი თუ არა. ჯერ არ შემხვედრია მწერალი, რომელიც როცა ამ უიშვიათეს არსებას, ნამდვილ კრიტიკოსს შეეჯახება, იმავე წამს არ განიკურნოს თავისი მარადიული პარანოიისგან და მადლიერ მსმენელად არ იქცეს, - მან იპოვა ის, რაც მისი ჭკუით, სჭირდება. მაგრამ ის, რა-

საც იგი, მწერალი, ითხოვს, შეუძლებელია. რატომ ელის, რომ მის ცხოვრებაში გამოჩნდება ეს არაჩვეულებრივი არსება, იდეალური კრიტიკოსი (თუმცა ასეთები ზოგჯერ კიდეც გვხვდება), რატომ უნდა არსებობდეს კიდევ ვიღაც, ვისაც აქვს უნარი სრულად შეიგრძნოს ის, რისი გაკეთებაც სცადა მწერალმა? ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ერთი კაცი არსებობს, ვინც ამ ჭუპრს ახვევს, მხოლოდ ერთია, ვისი საქმეცაა მისი დახვევა.

კრიტიკოსებსა და წიგნების მიმომხილველებს არ შეუძლიათ იმის შემოთავაზება, რისი პრეტენზიაც მათ აქვთ და იმისა, რაც ესოდენ კომიკურად და ბავშვურად სწყურიათ მწერლებს.

და ყველაფერი იმიტომ, რომ კრიტიკოსებისთვის ეს არ უსწავლებიათ; მათი პროფესიული მომზადება სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა.

ყველაფერი მაშინ იწყება, როცა ბავშვი ხუთი ან ექვსი წლისაა, როცა პირველად მიჰყავთ სკოლაში. ყველაფერი იწყება ნიშნებით, ჯილდოებით, „ადგილებით“, „ვარსკვლავებით“. დღის ცხენების ამ მენტალიტეტს, აზროვნების წესს „გამარჯვებულ-დამარცხებულის“ კოორდინატთა სისტემაში, მივყავართ შემდეგთან: „მწერალი X რამდენიმე ნაბიჯით უსწრებს/ჩამორჩება მწერალ Y-ს. მწერალი Y უკან მოჩანჩალებს. მწერალმა Z-მა თავისი ბოლო წიგნით გვიჩვენა, რომ მწერალ A-ს ჯობნის“. ბავშვს თავიდანვე აჩვევენ ასე აზროვნებას: მუდმივად შედარების ტერმინებით, მუდმივად წარმატების ანდა მარცხის ტერმინებით. ესაა გადარჩევის სისტემა, მას, ვინც უფრო სუსტია, ართმევენ თავისი თავის რწმენას, და ისინი სისტემიდან ვარდებიან; სისტემა შექმნილია რამდენიმე გამარჯვებულის გამოსავლენად, რომლებიც მუდმივად ერთმანეთის კონკურენტები იქნებიან. მე ღრმად ვარ დარწმუნებული - თუმცა აქ არ არის

ადგილი ჩემი მოსაზრების საფუძვლიანად გადმოსაცემად - რომ ის ტალანტები, რაც აქვს ნებისმიერ ბავშვს, მიუხედავად მისი გონებრივი განვითარების კოეფიციენტისა, მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში მასთან დარჩებოდა და მასაც გაამდიდრებდა და სხვა ადამიანებსაც, ეს ტალანტები საქონლად რომ არ იყოს აღქმული, რაც მათი საბაზრო ღირებულების მიხედვით უნდა მოიხმარო, როგორც ფსონი დოღში, რომლის მიზანია წარმატება.

და კიდევ, ჩვენ თავიდანვე გვაჩვევენ, არ ვენდოთ საკუთარ განსჯას. ბავშვებს აჩვევენ, დაემორჩილონ ავტორიტეტს, აჩვევენ, გამოძებნონ სხვისი აზრები და გაიგონ სხვისი გადაწყვეტილებები, ასწავლიან, როგორ მოახდინონ ციტირება და როგორ შეესაბამებოდნენ სტანდარტებს.

ასევეა პოლიტიკის სფეროშიც, სადაც ბავშვს უნერგავენ, რომ თავისუფალი, დემოკრატია, რომ მისი ნება და გონება დამოუკიდებელია, რომ თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრობს, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს.

მაგრამ, ამავე დროს, ტუსაღია თავისი დროის წარმოდგენებისა და დოგმებისა, რომლებსაც არასოდეს დააყენებს ეჭქვეშ, რადგან მას არასოდეს ეტყვიან მათი არსებობის შესახებ. როდესაც იმ ასაკს მიაღწევს, არჩევანი რომ უნდა გააკეთოს (ჩვენ კი კვლავაც ამოვდივართ იქიდან, რომ არჩევანი გარდაუვალია) ჰუმანიტარულსა და სხვა მეცნიერებებს შორის, ახალგაზრდა ხშირად ჰუმანიტარულს ირჩევს, რადგან გრძნობს, სწორედ იქ შეიძლება იპოვოს ჰუმანიზმი, არჩევანი და თავისუფლება. მან არ იცის, რომ სისტემამ უკვე გამოძერწა, რომ თავისთავად არჩევანი ყალბი დიქოტომიის ნაყოფია, რომელიც ჩვენი კულტურის გულისგულშია ჩაბუდებული. ხოლო ის, ვისაც გაუჩნდა ეჭ-

ვი, ვისაც არ სურს კვლავაც ასეთი გამოძერწვის ობიექტად რჩებოდეს, გაქცევას ცდილობს, ნახევრად გაუცნობიერებლად, ინსტინქტურად ცდილობს, იპოვოს ისეთი სამუშაო, სადაც არ მოუწევს თავის თავში ორად დაყოფა. ჩვენს ყველა ინსტიტუციაში - საპოლიციო ძალებიდან მეცნიერების სამყარომდე, მედიცინიდან პოლიტიკამდე - თითქმის არ ვაქცევთ ყურადღებას იმ ადამიანებს, რომლებიც გარბიან, ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ გაცხრილვის ამ პროცესს, რომელიც უწყვეტად მიმდინარეობს და რომელიც მეტად ადრეულ, საწყის სტადიაზე აძევებს ყველას, ვინც მიდრეკილია ორიგინალობისაკენ, ვინც სიახლეს ესწრაფვის... ახალგაზრდა პოლიციელი მიდის პოლიციიდან, ამბობს, რომ არ მოსწონს ის, რაც იქ უნდა აკეთოს. ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი ტოვებს სამსახურს, სადაც მისი იდეალიზმის გამო დასცინიან. ეს სოციალური მექანიზმი თითქმისდა შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ ეს ისეთივე მძლავრი ფაქტორია, რომელიც ჩვენი სოციალური სტრუქტურების შენარჩუნებას უზრუნველყოფს, მათი დღევანდელი, მოუქნელი სახით.

და ეს ბავშვები, რომლებმაც მრავალი წელი გაატარეს ამ საგანმანათლებლო სისტემაში, და შემდეგ გახდნენ კრიტიკოსები, წიგნების მიმომხილველები, ხელოვანს ვერ აძლევენ იმას, რასაც იგი ესოდენ ფუქსავატურად ელის მათგან, - შემოქმედებით მოსაზრებას და ორიგინალურ განსჯას. რაც მათ შეუძლიათ და რასაც ჩინებულად აკეთებენ, ის არის, რომ ატყობინებენ მწერალს, თუ როგორ შეესაბამება მისი წიგნი თუ პიესა საზოგადოების აზრისა და გრძნობის დამკვიდრებულ სტერეოტიპებს - საზოგადო აზრის ატმოსფეროს. ისინი ლაკმუსის ქაღალდს ჰგვანან. ქარის ძალის გამზომი ხელსაწყოსავით არიან - და ამ თვალსაზრისით, მათ ფასი განუზომელია. ისინი არიან საზოგა-

დოებრივი აზრის ყველაზე მგრძნობიარე ბარომეტრები, რომლებიც განწყობისა და აზრის ცვლილებაზე უფრო სწრაფად რეაგირებენ, ვიდრე ნებისმიერი სხვა, გარდა პოლიტიკოსებისა, რადგან ესაა ხალხი, ვისი განათლებაც თავიდან ბოლომდე ამისკენ იყო მიმართული — მათ ასწავლიდნენ თავიანთი აზრი და განსჯა გარეთ ეძებნათ, შესწყობოდნენ ავტორიტეტებს, „საზოგადოებრივ აზრს“ - რა მშვენივრად ამხელს მათ ეს ფრაზა.

შესაძლოა, ადამიანთა სწავლების სხვა გზა არც არსებობს. შესაძლოა. თუმცა მე ამისა არ მჯერა. ჯერჯერობით კი სასარგებლო იქნება, თუკი ყველაფერს სწორად განვსაზღვრავთ - თავის სახელს დავარქმევთ. იდეალურ ვარიანტში, ის, თუ რა უნდა ვუთხრათ ბავშვს, და არაერთხელ გავუმეოროთ სკოლაში სწავლის განმავლობაში, არის შემდეგი:

„შენ სწავლების პროცესში ხარ, ეს კი ნიშნავს, რომ სხვადასხვა იდეას ჩაგაგონებენ. ჩვენ ჯერ ვერ გამოვიგონეთ სწავლების ისეთი სისტემა, რომელიც არ იქნებოდა ჩაგონებაზე დამყარებული. ძალზე ვწუხვართ, მაგრამ ესაა საუკეთესო, რაც შეგვიძლია შემოგთავაზოთ. რასაც აქ გასწავლიან, ეს არის კონკრეტულად ამ კულტურის თანამედროვე ყალბი წარმოდგენებისა და პრიორიტეტების ნაზავი. ისტორიის ზედაპირული გადახედვაც კი საკმარისი იქნება იმის მისახვედრად, თუ რამდენად ხანმოკლე შეიძლება ეს აღმოჩნდეს, და, საფიქრებელია, რომ ასეც იქნება. შენ გასწავლიან ადამიანები, რომლებმაც მოახერხეს შეგუება აზროვნების იმ რეჟიმთან, რომელიც მათმა წინამორბედებმა დაადგინეს. ეს სისტემა ისეა მოწყობილი, რომ თავის თავს მარადიულად აქცევს. თქვენ შორის ვინც სხვებზე ძლიერი და ორიგინალური იქნებიან, შესთავაზებენ, წავიდნენ და განათლების დამოუკიდებელი გზები ეძებონ, - გზები იმისა, თუ როგორ ჩამოიყა-

ლიბონ საკუთარი წარმოდგენები. ვინც დარჩება, ყოველთვის, მარადჟამ უნდა ახსოვდეთ, რომ მათ შაბლონის მიხედვით ძერწავენ და აყალიბებენ იმისთვის, რომ ამ საზოგადოების ვიწრო და კერძო მოთხოვნებში ჩაეწერონ“.

როგორც ნებისმიერი მწერალი, მეც მუდმივად ვიღებ წერილებს ვაჟებისა და ქალიშვილებისაგან, რომლებიც ჩემს წიგნებზე ამა თუ იმ დისერტაციის დაწერას აპირებენ. წერილებს სხვადასხვა ქვეყნიდან ვიღებ, ძირითადად, შეერთებული შტატებიდან. ყოველ მათგანში ერთსა და იმავეს ვკითხულობ: „თუ შეიძლება, გამომიგზავნეთ სტატიების სია თქვენს წიგნზე, კრიტიკოსების, ავტორიტეტების სია, ვინც თქვენზე წერდა“. წერილების ავტორები, ასევე, მეკითხებიან ათას წვრილმანზე, რასაც საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ მათ ჩააგონეს, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია და თუ ყველა ამ კითხვაზე პასუხს გავცემ, ნამდვილი დოსიე გამოვა, - როგორც საიმიგრაციო სამსახურში.

ამ კითხვებს მე ასე ვპასუხობ: „ძვირფასო სტუდენტო, თქვენ გიჟი ხართ. რატომ უნდა დახარჯოთ თვეები და წლები იმაზე, რომ დაწეროთ ათასი სიტყვა ერთ წიგნზე ან თუნდაც, ერთ მწერალზე, როდესაც არსებობს ასობით წიგნი, რომლებიც წაკითხვად ღირს. თქვენ არ გესმით, რომ მანკიერი სისტემის მსხვერპლი ხართ. და თუკი თქვენ დამოუკიდებლად აირჩიეთ ჩემი წიგნი და თუ მართლა გინდათ დაწეროთ დისერტაცია - და მერწმუნეთ, მე ძალზე მადლიერი ვარ, რომ თქვენ ჩემი ნაწერი სასარგებლოდ მიიჩნიეთ, - მაშინ, რატომ არ გსურთ წაიკითხოთ, რაც დავწერე და დამოუკიდებლად გადაწყვიტოთ, რას ფიქრობთ მასზე, შეუდაროთ ის თქვენს საკუთარ ცხოვრებას, საკუთარ გა-

მოცდილებას, ისე, რომ არ მიაქციოთ ყურადღება პროფესორ უაითსა და პროფესორ ბლეკს“.

„ძვირფასო მწერალო, - ვიღებ პასუხს, - მაგრამ მე აუცილებლად მჭირდება იმის ცოდნა, თუ რას ამბობენ ავტორიტეტები, რადგან მათ ციტირებას თუ არ მოვახდენ, ჩემი პროფესორი უბრალოდ არ შეაფასებს ჩემს ნაშრომს“.

ეს სისტემა ინტერნაციონალურია, სრულიად იდენტური ყველგან - ურალიდან იუგოსლავიამდე, მინესოტიდან მანჩესტერამდე.

ამ სისტემას ჩვეული არა ვარ, რადგან სკოლას თოთხმეტი წლისამ დავანებე თავი. იყო პერიოდები, როდესაც ამას ვნანობდი და ვფიქრობდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი დავკარგე. ახლა მადლიერი ვარ ბედისა, სასწაულად რომ გადავრჩი. „ოქროს რვეულის“ პუბლიკაციის მერე დავისახე მიზნად, გავრკვეულიყავი ლიტერატურული მექანიზმის მუშაობაში, შემესწავლა პროცესი, რომლის დროსაც კრიტიკოსებად და წიგნის მიმომხილველებად ყალიბდებიან. უამრავ საგამოცდო ნაშრომს ვკითხულობდი და საკუთარ თვალებს ვერ ვუჯერებდი, ლიტერატურის გაკვეთილებს ვესწრებოდი და საკუთარ ყურებს ვერ ვუჯერებდი.

შეიძლება მითხრათ: „ნუ აზვიადებ“, ანდა: „შენ ასეთი რეაქციის უფლება არა გაქვს, რადგან, შენივე თქმით, სისტემის ნაწილი არასოდეს ყოფილხარ“. მაგრამ, მგონია, რომ ჩემი რეაქცია სულაც არაა გაზვიადებული და რომ გარეშე ადამიანის მოსაზრება თუნდაც იმიტომაა ფასეული, რომ მას ახლებური აღქმის უნარი აქვს და ტენდენციურობა არ ახასიათებს, რაც განპირობებულია ლოიალობით გარკვეული პროფესიული მომზადებისადმი.

როდესაც ეს გამოკვლევა ჩავატარე, უკვე აღარ მიჭირდა ჩემ მიერვე დასმულ კითხვებზე პასუხების მოძიება: რატომ არიან ლიტერატურული კრიტიკოსები ესოდენ შეზღუდულები, ესოდენ პიროვნულად ორიენტირებულები, ესოდენ პრიმიტიულები? რატომა, რომ ყველაფერს ანაწევრებენ, რატომაა, რომ ყველაფერს ამცრობენ, ასე რატომ იტაცებთ დეტალები და არ აინტერესებთ მთლიანობა? რატომაა, რომ თვით სიტყვა „კრიტიკის“ მათი ინტერპრეტაცია გულისხმობს შეცდომებისა და ხარვეზების მუდმივ ძიებას? რატომ მიაჩნიათ, რომ სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებები ერთმანეთს კი არ ავსებს, არამედ მუდმივად კონფლიქტშია ერთმანეთთან? ყველაფერი ძალზე მარტივია: მათ ასე ფიქრი ასწავლეს. ხოლო ის ძვირფასი ადამიანი, რომელსაც ესმის, თუ რას აკეთებთ, რა დაისახეთ მიზნად და შეუძლია მოგცეთ კარგი რჩევა და შემოგთავაზოთ ჭეშმარიტი კრიტიკა, თითქმის ყოველთვის არის ვიღაც, ვინც ლიტერატურული მექანიზმების მიღმა, სულაც, საუნივერსიტეტო სისტემის მიღმა დგას, - ეს შეიძლება იყოს სტუდენტი, რომელიც ახლა იწყებს სწავლას და რომელსაც ჯერ კიდევ უყვარს ლიტერატურა, ანდა, შესაძლოა, უბრალოდ მოფიქრალი ადამიანია, რომელიც ბევრს კითხულობს და ამას მხოლოდ თავისი ბუნებრივი ინტუიციის კარნახით აკეთებს.

იმ სტუდენტებს, რომლებსაც მოუწევთ ერთი ან ორი წელი წერონ გამოკვლევა ერთ წიგნზე, ვეუბნები: „არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება წიგნების კითხვისა, სახელდობრ, იაროთ ბიბლიოთეკებსა და წიგნის მაღაზიებში და დაათვალიეროთ უამრავი წიგნი, ამოარჩიოთ ისეთები, რომლებიც მიგიზიდავთ და მხოლოდ ისინი იკითხოთ, გვერდზე გადადოთ, როცა მოსაწყენი გახდება, როცა კითხვისას ადგილების გამოტოვებას დაიწყებთ,

რადგან გაჭიანურებული მოგეჩვენათ, - არასოდეს წაიკითხოთ წიგნი მოვალეობის ყალბი გრძნობის გამო, ანდა იმიტომ, რომ რაღაც კონკრეტულ მიმდინარეობას თუ მიმართულებას მიეკუთვნება. გახსოვდეთ, რომ წიგნი, რომელიც ოცი და ოცდაათი წელი მოსაწყენი გეჩვენებათ, კარს გაგიღებთ, როცა ორმოცი თუ ორმოცდაათი წლისა შესრულდებით - და პირიქით. არ წაიკითხოთ წიგნი, თუკი მისი დრო თქვენთვის ჯერ არ დამდგარა. გახსოვდეთ, რომ იმ წიგნებზე, რაც კი საერთოდ დაბეჭდილა, იმდენივე წიგნი მოდის, რომელიც სტამბამდე ვერ მივიდა, და სულაც, ვერც დაიწერა, - ახლაც კი ბეჭდური სიტყვის ძალდატანებითი თაყვანისცემის ეპოქაში, ისტორია და სოციალური ეთიკაც კი ზეპირი თხრობის მეშვეობით ისწავლება, და ადამიანები, რომლებიც გაწვრთნეს აზროვნებისთვის მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რაც დაწერილია (და, სამწუხაროდ, ჩვენი განათლების სისტემის თითქმის მთელი პროდუქცია სხვა არაფრისმაქნისია), ვერ ხედავენ იმას, რაც მათ ცხვირწინაა. მაგალითად, აფრიკის ნამდვილი ისტორია ჯერ ისევ შავკანიანი მელექსეებისა და ბრძენების ხელშია, შავკანიანი ისტორიკოსების, შემლოცველების. ეს ზეპირსიტყვიერი ისტორიაა, რომელიც დღემდე საგულდაგულოდაა დაფარული თეთრკანიანი ადამიანისგან, თავისი მტაცებლური მიდრეკილებებით რომაა განთქმული. ამიტომ გახსნილ გონებას თუკი შეინარჩუნებთ, აღმოაჩენთ სიმართლეს იმ სიტყვებში, რომლებიც არასოდეს დაწერილა. ამიტომ არასოდეს მისცეთ უფლება ნაბეჭდ ფურცელს, მბრძანებელი გაგიხდეთ. პირველ ყოვლისა, უნდა გააცნობიეროთ, - ის, რომ ერთი თუ ორი წელი ერთი წიგნის ანდა ერთი ავტორის დამუშავებაში უნდა გაატაროთ, ნიშნავს, ცუდად გასწავლიან: თქვენთვის უნდა ესწავლებინათ, კითხვის პროცესში საკუთარი გზით გევლოთ,

თქვენთვის სიმპათიური ერთი წიგნიდან მეორისკენ, უნდა გესწავლათ საკუთარი ინტუიციის კარნახს მიჰყოლოდით, რომელიც გაცნობებთ, თუ რა გჭირდებათ, - აი, თქვენს თავში რა უნდა გაგევითარებინათ და არა სხვათა ციტირების უნარი“.

მაგრამ სამწუხაროდ თითქმის ყოველთვის ძლიერ გვიანაა.

მართალია, ცოტა ხნის წინ მომეჩვენა, რომ სტუდენტური ამბოხი ყველაფრის შეცვლას შეძლებს, რომ სტუდენტების შეუწყნარებლობა იმ მძორის მიმართ, რომელსაც თავში უტენიან, შეიძლება იმდენად ძლიერი აღმოჩნდეს, რომ მას რაღაც უფრო ახლითა და სასარგებლოთი შეცვლის, მაგრამ, როგორც ჩანს, ამბოხი დასრულდა. სამწუხაროა. ამერიკის ცხოვრების ამ გაცხოველებულ პერიოდში მე ვიღებდი წერილებს, სადაც დაწვრილებით იყო მოთხრობილი, თუ როგორ ამბობდნენ უარს სტუდენტები პროგრამის მიხედვით სწავლაზე, თანაც ცალკეულები კი არა, არამედ სტუდენტთა მთელი ჯგუფები, და ლექციებზე მოჰქონდათ წიგნები, რომლებსაც თვითონ ირჩევდნენ, ის წიგნები, რაც არსებითად, თავისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. მეცადინეობები ემოციურად, ზოგჯერ ძალზე ცხარედ და მრისხანედაც კი მიმდინარეობდა, სიცოცხლით იყო სავსე. რასაკვირველია, ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ პედაგოგებთან, რომლებიც ამას თანაუგრძნობდნენ, ვინც მზად იყო სტუდენტების მხარე დაეჭირა მათ დაპირისპირებაში ხელისუფლებასთან, ვინც მზად იყო ამის შედეგისათვის. არსებობენ პედაგოგები, რომლებიც ხვდებიან, რომ მათ მიერ იძულებით მიღებული სწავლების მეთოდები უვარგისი და მოსაწყენია. საბედნიეროდ, ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ არიან იმისთვის, რომ, თუკი თან ცოტა ბედიც გაგვიღიმებს, გადაატრიალონ ყველაფერი, რაც არასწორია, თუნდაც თვით სტუდენტებში ამის სულისკვეთება უკვე ჩამქრალი იყოს.

ამ დროს კი ვცხოვრობთ ქვეყანაში...

სადაც ოცდაათი თუ ორმოცი წლის წინ ერთმა კრიტიკოსმა შეადგინა საკუთარი ჩამონათვალი მწერლებისა და პოეტებისა, რომლებსაც თვითონ, პირადად იგი მიიჩნევდა ფასეულად ლიტერატურაში, და ყველა დანარჩენი უარყო. თავის პოზიციას იგი მრავალსიტყვიერად იცავდა პრესაში, რადგან მისი სია წამსვე დიდი კამათის ობიექტად იქცა. მილიონობით სიტყვა დაიწერა ამ ჩამონათვალის დასაცავად და მის საწინააღმდეგოდ, გაჩნდნენ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა სკოლები და სექტები. და ეს კამათი ჯერაც არ დასრულებულა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელი გავიდა... და ვერავინ ხვდება, რომ ეს მდგომარეობა სამწუხაროა, ანდა ღიმილის მომგვრელი...

სადაც არსებობს წარმოუდგენელი სირთულისა და მეცნიერული დონის კრიტიკული წიგნები, რომლებშიც გარჩეულია, თუმცა ხშირად მეორე და მესამე ხელისგან, საწყისი ნაწარმოებები - რომანები, პიესები და მოთხრობები. ის ადამიანები, ვინც ამ წიგნებს წერენ, მთელი მსოფლიოს საუნივერსიტეტო სამყაროში ცალკე ფენას ქმნიან - ისინი საერთაშორისო მოვლენას წარმოადგენენ, სამეცნიერო ლიტერატურული საზოგადოების უმაღლეს ფენას. მთელი ცხოვრება იმით არიან დაკავებული, რომ მხოლოდ აკრიტიკებენ, მათ შორის - აკრიტიკებენ ერთმანეთის კრიტიკას. ყოველ შემთხვევაში, მათ ეს საქმიანობა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე საწყისი წიგნების წერა. სტუდენტებს, რომლებიც ლიტერატურას სწავლობენ, შეიძლება მეტი დრო ეხარჯებათ კრიტიკული წერილებისა და ასევე, კრიტიკულ წერილებზე დაწერილი კრიტიკის კითხვაზე, ვიდრე მოთხრობების, ლექსების, რომანების, ბიოგრაფიებისა. უამრავ ადამიანს

ეს სიტუაცია ნორმალურად მიაჩნია, და არა სამწუხაროდ, ანდა ღიმილის მომგვრელად...

სადაც - ამას წინათ წავიკითხე ესეი შექსპირის „ანტონიუსსა და კლეოპატრაზე“, რომელიც დაწერა ბიჭმა, ვინც სკოლაში რთული გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა. ორიგინალური იყო და მღელვარებით აღსავსე, რაც პიესის წაკითხვამ გამოიწვია, იმ გრძნობამ, რომელიც არის მიზანი ნებისმიერი ნამდვილი მეცადინეობისა ლიტერატურაში. მასწავლებელმა დაუბრუნა ესეი და დაახლოებით ასეთი რამ უთხრა: „ამ ნამუშევარს ვერ შევაფასებ, რადგან ავტორიტეტების არც ერთი ციტატა არ მოიყვანეთ“. არცთუ ბევრი მასწავლებელი მოიძებნება, ვინც ამ ამბავს სამწუხაროდ ანდა ღიმილის მომგვრელად მიიჩნევს...

სადაც ადამიანი, ვისაც თავი განათლებულებად მიაჩნია (იგულისხმე - უფრო ნატიფად და სრულყოფილად, ვიდრე ისინი, ვინც წიგნებს არ კითხულობენ), შეიძლება მივიდეს მწერალთან და მიულოცოს საქებარი გამოხმაურება, რომელიც სადღაც დაიბეჭდა, მაგრამ, ამავე დროს, არ წაიკითხავს წიგნს, რომელზეც არის ლაპარაკი, და არასოდეს მოუვა თავში აზრად, რომ მხოლოდ წარმატება აინტერესებს.

სადაც, როცა გამოდის წიგნი რაიმე თემაზე, ვთქვათ, იმაზე, თუ როგორ უნდა ვუმზიროთ ვარსკვლავებს, ავტორი უმალ იღებს უამრავ წერილს კოლეჯებიდან, საზოგადოებებიდან და ტელეპროგრამებიდან, სთხოვენ მივიდეს მათთან და ისაუბროს იმაზე, თუ როგორ უნდა ვუმზიროთ ვარსკვლავებს. და აზრადაც არ მოსდით, აიღონ წიგნი და წაიკითხონ. ასეთი ქცევა სრულიად ნორმალურად მიიჩნევა და არა ღიმილის მომგვრელად...

სადაც ახალგაზრდა კაცი ანდა ქალი, ლიტერატურული კრიტიკოსი ანდა წიგნის მიმომხილველი, რომელთაც არაფერი

წაუკითხავთ ამ ავტორისა, გარდა ერთი წიგნის, წინ რომ უდევთ, შეუძლიათ დაწერონ გამოხმაურება დამრიგებლური, მფარველური ტონით ან ისე, თითქოს ეს ყველაფერი მათ ერთობ თავს აბეზრებს, ანდა ისე, თითქოს ფიქრობენ და ვერ გადაუწყვეტიათ, ბოლოს და ბოლოს, მაინც რა ნიშანი დაუწერონ ავტორს - ამ დროს, ავტორმა, რომელზეც არის საუბარი, შესაძლოა უკვე დაწერა თხუთმეტი წიგნი, შესაძლოა, უკვე ოცი თუ ოცდაათი წელია წერს, - ისინი კი თავს უფლებამოსილებად მიიჩნევენ, დაარიგონ ჭკუა, მისცენ ინსტრუქციები, ურჩიონ, თუ რაზე და როგორ წეროს. არავინ ფიქრობს, რომ ეს აბსურდია, და მით უმეტეს, ასე არ ფიქრობს თვით ნორჩი მიმომხილველი თუ კრიტიკოსი, რომელსაც ასწავლეს ყველას ზემოდან უყუროს და ყველა შეიტანოს სიაში, დაწყებული უილიამ შექსპირით და შემდეგ, ქვემოთ და ქვემოთ...

სადაც პროფესორს, რომელიც არქეოლოგიაში მაღალი დონის სპეციალისტია, შეუძლია დაწეროს სამხრეთამერიკული ტომის შესახებ, რომლის წევრებს სხვადასხვა მცენარის, მკურნალობის, ფსიქოლოგიური პრაქტიკის ღრმა ცოდნა აქვს: „საოცარია, მაგრამ ამ ადამიანებს დამწერლობა არა გააჩნიათ...“ და ეს განცხადება არავის მიაჩნია ღიმილის მომგვრელად...

სადაც შელის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით ერთი კვირის განმავლობაში სამ სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალში შეიძლება გამოჩნდეს სამი სხვადასხვა კრიტიკული ოპუსი შელის შესახებ, რომელიც დაწერა იდენტური განათლების მქონე სამმა ახალგაზრდამ, რომლებიც ჩვენს იდენტურ უნივერსიტეტებში მიიღეს. თავის სტატიებში ეს ახალგაზრდები შელის შეაქებენ ყველაზე უფრო მჭლე საქებარი სიტყვით და სამივე ამას ერთი და იმავე ინტონაციით გააკეთებს, თითქოს შელის

დიდ შეღავათს უწევდეს, საერთოდ რომ ახსენებს მის სახელს - და, როგორც ჩანს, არავის მოსდის თავში აზრად, რომ ჩვენს ლიტერატურულ სისტემას რაღაც სერიოზული სჭირს.

დასკვნის სახით... ამ რომანის ავტორი მისი მეშვეობით კვლავაც მეტად ღირებულ გამოცდილებას იღებს. ერთ მაგალითს მოვიყვან, - ათი წლის შემდეგ, რაც ის დავწერე, ერთი კვირის განმავლობაში შეიძლება მივიღო სამი წერილი, სადაც რომანზეა ლაპარაკი, ჭკვიანი, მცოდნე, დაინტერესებული ადამიანებისგან, რომლებმაც თავი შეიწუხეს მისი დაწერით. ერთი შეიძლება ცხოვრობდეს იოჰანესბურგში, მეორე - სან--ფრანცისკოში, მესამე - ბუდაპეშტში. მე კი ვზივარ ლონდონში და ვკითხულობ ამ წერილებს, ერთდროულად ან რიგრიგობით - როგორც ყოველთვის, ამ ადამიანების წყალობით სიხარული მიპყრობს, რომ ჩემი ნაწერი შეიძლება ვიღაცას შთააგონებდეს, აღმოჩენებისა და გამოცხადებისკენ მიჰყავდეს - ან სულაც, უბრალოდ, აღიზიანებდეს.

ოღონდ ერთი წერილი მთლიანად სქესთა ბრძოლას ეძღვნება, მამაკაცების არაადამიანურ დამოკიდებულებას ქალებისადმი და ქალების არაადამიანურ დამოკიდებულებას მამაკაცებისადმი, და მისმა ავტორმა მრავალი ფურცელი დაწერა, რადგან იგი - წერილის ავტორი, ყოველთვის არაა ქალი - სხვას ვერაფერს ხედავს ჩემს წიგნში.

მეორე წერილი - პოლიტიკაზეა, შესაძლოა, ისეთივე ყოფილი „წითლისგან“, როგორიც მე ვარ, და ის მრავალ ფურცელზე წერს პოლიტიკის შესახებ და სხვა თემებს არც კი ახსენებს.

წინათ, როცა წიგნი ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა იყო, ასეთი წერილები ყველაზე ტიპური გახლდათ.

მესამე სახის წერილი (ოდესღაც ასეთი წერილები დიდი იშვიათობა იყო, ახლა კი რაოდენობრივად თითქმის უკვე უტოლდება პირველ ორს) - დაწერილი მამაკაცისა თუ ქალის მიერ, რომლებიც წიგნში ვერაფერს ხედავენ ერთი თემის გარდა, - ფსიქიკური აშლილობის თემისა.

არადა, ეს ერთი და იგივე წიგნია.

ბუნებრივია, ასეთი შემთხვევები დამაფიქრებს იმაზე, თუ რას ხედავენ ადამიანები, როდესაც წიგნს კითხულობენ და რატომაა, რომ რომელიღაც მათგანი მხოლოდ ერთ თემას ხედავს და სხვას ვერ ამჩნევს, და რამდენად გასაოცარია, როდესაც ხარ ავტორი და გაქვს წიგნის ესოდენ მკაფიო სურათი და ხვდები, - მას სრულიად სხვანაირად და განსხვავებულად აღიქვამენ ისინი, ვინც მას კითხულობენ.

ასეთი ფიქრი ახალ დასკვნას ბადებს: თუკი მწერალს სურს, რომ მკითხველმა დაინახოს ის, რასაც თვითონ ხედავს, და გაიგოს რომანის ფორმა და მიზანი ისე, როგორც მას ესმის, ეს მეტია, ვიდრე უბრალოდ ბავშვური ახირება, - ეს სურვილი ნიშნავს იმას, რომ მას არ ესმის მთავარი. სახელდობრ, წიგნი ცოცხლობს და ინარჩუნებს უნარს, შვას აზრი და დისკუსია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი გეგმა, ფორმა, ჩანაფიქრი ვერ გაიგეს, რადგან, როდესაც ეს ყველაფერი გასაგები ხდება, წიგნისგან უკვე ვეღარაფერს მიიღებ.

და როდესაც წიგნის სურათი და შინაგანი ცხოვრების ფორმა ისევე ცხადი გახდება მკითხველისთვის, როგორიც ავტორისთვისაა, - მაშინ, შესაძლოა, მოსულა დრო, მოვისროლოთ ეს წიგნი, რადგან ყავლი გასვლია, და ისევ რაღაც ახლის წერა დავიწყოთ.

დორის ლესინგი

1971 წელი, ივნისი

თავისუფალი ქალები

1

ანა თავის მეგობარ მოლის განშორების შემდეგ, 1957 წლის ზაფხულში ხვდება

ქალები ლონდონის ბინაში მარტო იყვნენ.

- საქმე ის არის, - თქვა ანამ, როცა მისი მეგობარი კიბის უჯ-რედიდან შემობრუნდა, სადაც ტელეფონზე ლაპარაკობდა, - საქმე ის არის, რომ, როგორც ვხვდები, ყველაფერი ირღვევა და იმსხვრევა.

მოლის ძალიან უყვარდა ტელეფონით ლაპარაკი. სანამ ზარი დაირეკებოდა, მოასწრო და იკითხა: „აბა, რა ისმის ახალი?“

ახლა კი თქვა:

- რიჩარდმა დარეკა, მოსვლას აპირებს. ეტყობა, მთელი თვე წინასწარ დაგეგმა და თავისუფალი მომენტი მაინცდამაინც დღეს გამოუჩნდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს.

- კი, ბატონო, მაგრამ მე არსადაც არ წავალ, - ჩაილაპარაკა ანამ.

- ჰო, დარჩი. იჯექი, სადაც ზიხარ.

მოლიმ საკუთარი გარეგნობა კრიტიკულად შეაფასა: შარვა-ლი და სვიტერი ეცვა. ორივე - ერთობ ულაზათო.

- ჯანდაბას, მოუწევს ისეთი მიმიღოს, როგორიც ვარ, - თქვა და ფანჯარასთან ჩამოჯდა, - რა უნდა, არ უთქვამს. ეტყობა, მარიონთან ახალი კრიზისი აქვს.

- გწერდა? - ჰკითხა ანამ ფრთხილად.

- ორივე მწერდა, თვითონაც და მარიონიც. ისეთი გულითადი წერილები იყო, გეგონებოდა, ძველი მეგობრებისგანააო. საოცარია, არა?

ეს „საოცარია, არა?“ მათი ინტიმური საუბრების სახასიათო გამოთქმა გახლდათ, იმ საუბრებისა, „ჭორაობას“ რომ ეძახდნენ. მოლიმ ეს სიტყვები ხაზგასმულად წარმოთქვა, თუმცა, ტონი უმალ შეცვალა და განაგრძო:

- ახლა ამაზე ლაპარაკის გაგრძელება არ ღირს. უკვე გამოვდივარო, მითხრა.

- აქ რომ დამინახავს, შეიძლება გატრიალდეს და წავიდეს, - ანა ცოცხლად, ოღონდ ოდნავ აგრესიულად გამოეპასუხა. მოლიმ კითხვის თვალით გახედა:

- ო, რატომ?

ყოველთვის აშკარა იყო, რომ ანასა და რიჩარდს ერთმანეთი გულზე არ ეხატებოდათ. წინათ ანა, თუკი გაიგებდა, რიჩარდი მოსვლას აპირებსო, მიდიოდა ხოლმე. მოლიმ უთხრა:

- მგონი, სინამდვილეში შენ უყვარხარ, ოღონდ გულის სიღრმეში. არადა, ამტკიცებს, შენ მიყვარხარო. იმდენად ბრიყვია, ადამიანი ან უნდა უყვარდეს, ან სძულდეს. მთელ სიძულვილს, რომელსაც მე ვერ მიწილადებს, შენზე ანთხევს.

- რა სასიამოვნოა, - ჩაილაპარაკა ანამ, - მაგრამ, იცი, რა? სანამ აქ არ იყავი, აღმოვაჩინე, რომ მე და შენ ბევრ ადამიანს ერთმანეთს ვუცვლით.

- მხოლოდ ახლა მიხვდი ამას? - უთხრა მოლიმ კმაყოფილებით, რომელსაც ყოველთვის გრძნობდა, როდესაც ანა იმას ჩახვდებოდა ხოლმე, რაც მისთვის თავისთავად ცხადი გახლდათ.

მათ ურთიერთობაში ბალანსი თავიდანვე დაირღვა, - მოლი ცხოვრებას უფრო კარგად უღებდა ალღოს, ანა კი უფრო ნიჭიერი იყო.

ანას საკუთარი წარმოდგენები ჰქონდა. ახლა გაიღიმა, რაც იმას მიანიშნებდა, რომ დაეთანხმა, მართლაც გვიან ვხვდებიო ყველაფერს.

- არადა, ერთმანეთისგან ყველაფრით განვსხვავდებით, - ჩაილაპარაკა, - ნამდვილად საოცარია. მგონი, იმის გამო, რომ ერთნაირი ცხოვრებით ვცხოვრობთ, არ ვთხოვდებით და ასე შემდეგ. ისინი კი მხოლოდ ამას უყურებენ.

- თავისუფალი ქალი, - ჩაილაპარაკა ანამ. შუბლი შეჭმუხნა, შემდეგ კი ბრაზით დასძინა, რის გამოც მეგობრისგან ისევ გამომცდელი მზერა დაიმსახურა, - ისინი ხომ მამაკაცებთან ჩვენი ურთიერთობის თვალსაზრისით გვაფასებენ, მათგან საუკეთესონიც კი.

- მაგრამ ჩვენც ხომ ასე ვაკეთებთ, განა არა? - მიუგო მოლიმ ერთობ ხისტად, - რას იზამ, ძალზე ძნელია ამ თვალსაზრისით არ შეაფასო, - დააზუსტა, რადგან ამჯერად ანას გაოცებული მზერა იგრძნო. ამას მოჰყვა ხანმოკლე პაუზა, რომლის დროსაც ქალები ერთმანეთს აღარ უყურებდნენ, სამაგიეროდ, გააცნობიერეს, რომ ერთწლიანი განშორება მათი ძველი მეგობრობისთვისაც კი საკმარისად დიდი დრო აღმოჩნდა.

ბოლოს მოლიმ ამოიოხრა:

- თავისუფალი. იცი, როცა აქ არ ვიყავი, ჩვენზე ვფიქრობდი და მივხვდი, - აბსოლუტურად ახალი ტიპის ქალები ვართ. ნამდვილად ასეა, არა?

- არაფერია ახალი მზისქვეშეთში, - თქვა ანამ ვითომდა გერმანული აქცენტით.

მოლი გაღიზიანდა - თვითონ ლამის ექვს ენაზე თავისუფლად ლაპარაკობდა, - და ანას სიტყვები გაიმეორა, - „არაფერია ახალი მზისქვეშეთში“, - მოხუცი ქალის მჭახე ხმა და ნამდვილი გერმანული აქცენტი იდეალურად განასახიერა.

ანა დაიჯღანა, თავისი მარცხი აღიარა. ენების დაუფლება უჭირდა, მეტისმეტად შებორკილი გახლდათ იმისთვის, რომ გარდასახვა ეცადა: მოლი კი ერთი წამით გარეგნულადაც მეტად დაემსგავსა „ტკბილ დედილოს“, ანუ მის მარკსს, ვისთანაც ორივენი ფსიქოანალიტიკურ სეანსებზე დადიოდნენ. ყველა ის გამოუთქმელი გრძნობა, ფსიქოანალიზის საზეიმო და მტკივნეული რიტუალის დროს რომ უჩნდებოდათ, გამოხატულებას ამ მეტსახელში პოვებდა, - „ტკბილი დედილო“. ნელ-ნელა რაღაც უფრო მეტში გადაიზარდა, ვიდრე ერთი, კონკრეტული ადამიანის მეტსახელი შეიძლებოდა ყოფილიყო და მსოფლმხედველობის აღმნიშვნელი გახდა, - ტრადიციული, ღრმა ფესვების მქონე, კონსერვატიული მსოფლმხედველობისა, მიუხედავად სკანდალურად ახლო ნაცნობობისა ყველაფერ ამორალურთან. „მიუხედავად“, - ანა და მოლი ამ რიტუალის მიმართ თავის გრძნობებს ასე გამოხატავდნენ, როდესაც მასზე მსჯელობდნენ; და ანა ბოლო დროს სულ მეტად იხრებოდა იმისკენ, რომ უფრო სწორი იქნებოდა, თუკი იტყოდნენ: „გამომდინარე აქედან“; ეს ერთ-ერთი თემა იყო, რომელზეც ერთი სული ჰქონდა, მეგობართან ელაპარაკა.

მაგრამ ახლა მოლიმ ისეთივე წინააღმდეგობა გაუწია, როგორსაც ხშირად უწევდა წინათ, როდესაც ანასგან „ტკბილი დედილოს“ უმცირეს გაკრიტიკებას მაინც იგრძნობდა და სასწრაფოდ უთხრა:

- და მაინც, შესანიშნავი იყო, მე კი არაფერს წარმოვადგენდი მაშინ, კიდევ ვინმე რომ გამეკრიტიკებინა.

- „ტკბილი დედილო“, როდესაც საქმე მე შემეხებოდა, ჩვეულებრივ, მიმეორებდა ხოლმე: „შენ ხარ ელექტრა“ ან „შენ ხარ ანტიგონე“, ეს იყო და ეს, - მიუგო ანამ.

- არა, სულაც არ იყო მხოლოდ ეს, - მოლი მოიღუშა, გამოცდის ის მტკივნეული პერიოდი, „ტკბილ დედილოსთან“ ორივეს რომ ჰქონდა გავლილი, ხელაღებით დაიცვა.

- არა, სულ ეს იყო, - მოულოდნელი კატეგორიულობით გაიმეორა ანამ, რის გამოც მოლიმ მესამეჯერ შეხედა გაოცებით, - და მეტი არაფერი. არა, იმას კი არ ვამბობ, თითქოს ჩემთვის კარგი არ უნდოდა, ან რომ არ დამეხმარა, ძალიანაც დამეხმარა. დარწმუნებული ვარ, უმისოდ ჩემს პრობლემებს ვერ მოვეერეოდი. და მაინც... კარგად მახსოვს ერთი საღამო, როცა მასთან ვისხედით, დიდ ოთახში, - კედლის ნათურების მრუმე შუქი, ბუდა და ის სურათები და ქანდაკებები.

- მერედა, რა? - ამჯერად მოლის მეტად კრიტიკული ინტონაცია ჰქონდა.

ანამ ისეთი გამომეტყველებით შეხედა, ცხადი იყო, კამათს აღარ აპირებდა, და განაგრძო:

- ამაზე რამდენიმე თვეა ვფიქრობ... არა, მინდა ამაზე ლაპარაკი, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ორივემ გავიარეთ ეს ყველაფერი, თანაც ერთ ადამიანთან...

- მერედა, რა?

ანამ დაჟინებით განაგრძო:

- მე კარგად მახსოვს ის დღე, როცა გადავწყვიტე, იქ აღარასოდეს მივსულიყავი. და იმიტომ, რომ სახლი ხელოვნების იმ საძაგელი ნიმუშებით ჰქონდა გამოტენილი.

მოლიმ სწრაფად ჩაისუნთქა ჰაერი და სწრაფადვე უთხრა:

- ვერ გავიგე, რას გულისხმობ.

და რადგანაც ანამ არ უპასუხა, ბრალმდებლის ტონით განაგრძო:

- რამე თუ დაწერე, სანამ აქ არ ვიყავი?

- არა.

- უკვე მერამდენედ გიმეორებ, - თქვა მოლიმ და მისმა ხმამ ერთობ სუსხიანად გაიჟღერა, - არასოდეს გაპატიებ, თუ ნიჭს დაასამარებ. სავსებით სერიოზულად გეუბნები. მე თვითონ მოვიქეცი ასე და ახლა ჩემთვის აუტანელია იმის ყურება, შენ როგორ აკეთებ იმავეს, - მე კიდეც ვხატავდი, კიდეც ვცეკვავდი, სცენაზეც გამოვდიოდი, ვჯღაბნიდი და რად გინდა... ანა, ასეთი ნიჭიერი ხარ და რატომ არ იყენებ ამ ნიჭს, ნამდვილად ვერ გამიგია...

- აბა, როგორ აგიხსნა, როცა ყოველთვის ისეთი გამწარებული ტონით მელაპარაკები ამაზე, თითქოს მადანაშაულებ?

მოლიმ საყვედურითა და გულისწყრომით შეხედა მეგობარს, თვალზე ცრემლიც კი მოადგა. გაჭირვებით ჩაილაპარაკა:

- გულის სიღრმეში მჯეროდა, ოდესმე გავთხოვდებოდი, ამიტომ არ მეგონა, რაიმე მნიშვნელობა თუ ჰქონდა, ჩემს ტალანტებს რომ ვასამარებდი. ბოლო დრომდე იმაზეც კი ვოცნებობდი, რომ კიდევ მეყოლებოდა შვილები. კი, ვიცი, სულელურად ჟღერს, მაგრამ ასეა. ახლა უკვე ორმოცისა ვარ, ტომიც გაიზარ-

და... მაგრამ თუ მიზეზი ის არის, თუ მხოლოდ იმიტომ არ წერ, რომ ფიქრობ, გავთხოვდებიო...

- მაგრამ ჩვენ ხომ ორივენი ვოცნებობთ გათხოვებაზე, - თქვა ანამ ხუმრობის ტონით. ამან საუბარი უფრო მშვიდ კალაპოტში გადაიყვანა. თუმცა, ანა მიხვდა, რომ მოლისთან ზოგიერთ თემაზე ლაპარაკი, უბრალოდ, არ გამოვიდოდა.

მოლიმ ცალყბად გაიღიმა, მეგობარს გამჭოლი, სუსხიანი მზერა სტყორცნა და უთხრა:

- კარგი, ოღონდ მერე ინანებ.

- ვინანებ, - მიუგო ანამ და მოულოდნელად გაეცინა, - მოლი, როგორ არ გესმის, სხვასაც შეიძლება იგივე პრობლემები ჰქონდეს და რაღაც არ გამოუვიდეს შენსავით.

- არ მესმის, რადგან შენ ბედმა გაგიღიმა, ერთი ტალანტი გაქვს, ოთხი კი არა.

- და იქნებ ეს ჩემი ერთადერთი ტალანტი ისეთივე წნეხში მოექცა, როგორშიც შენი ოთხი, ერთად აღებული?

- ასეთი ტონით ამ თემაზე საუბარს არ ვაპირებ. გინდა ჩაის მოგიტან, სანამ რიჩარდი მოსულა?

- არა, ლუდს დავლევდი, ან სხვა რამეს, - მერე კი მაპროვოცირებელი ინტონაციით დაუმატა, - ახლა გავიფიქრე, შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, სმაც კი დავიწყო-მეთქი.

მოლი უფროსი დის ინტონაციით გამოეპასუხა, როგორც მეგობრის ნათქვამი მოითხოვდა:

- ამასთან ხუმრობა არ შეიძლება, ანა, მით უფრო, როცა ხედავ, რა შედეგი მოსდევს. მარიონს შეხედე. საინტერესოა, ძველებურად სვამდა, სანამ აქ არ ვიყავი?

- შემიძლია გიპასუხო: დიახ, ძველებურად სვამდა. რამდენჯერმე შემოიარა საჭორაოდ.

- შენთან? საჭორაოდ შემოიარა?

- სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა გეუბნებოდი, რომ ზოგიერთ ადამიანს ჩვენ ერთმანეთს ვუცვლით.

მოლი, ცოტა არ იყოს, მესაკუთრე იყო და შემდეგი კითხვა, როგორც ანა მოელოდა, ერთობ უკმაყოფილო გამომეტყველებით დაუსვა:

- როგორც ვხვდები, იმის თქმაც გინდა, რომ რიჩარდიც მოდიოდა შენთან?

ანამ თავი დაუქნია. მოლიმ მოუჭრა:

- ლუდს მოვიტან.

სამზარეულოდან ორი მაღალი, დაორთქლილი ჭიქა გამოიტანა და უთხრა:

- იქნებ კეთილი ინებო და ყველაფერს მომიყვე, სანამ რიჩარდი მოსულა?

რიჩარდი მოლის ქმარი იყო - უფრო სწორად კი, ოდესღაც იყო. თავად მოლი, როგორც საკუთარ თავს ახასიათებდა, „ოციანი წლების ქორწინებების ერთი ტიპური ნაყოფი“ გახლდათ. მისი დედ-მამა ოდესღაც, თუმცა კი არცთუ დიდხანს, ინტელექტუალურსა და ბოჰემურ წრეებში ბრწყინავდა, რომელთა შუაგულშიც ისეთი ვარსკვლავები იდგნენ, როგორიც ჰაქსლი, ლოურენსი, ჯოისი და ა.შ. მისი ბავშვობა უწყვეტ კატასტროფას ჰგავდა, რადგან მშობლების ქორწინება მხოლოდ რამდენიმე თვე გაგრძელდა. მოლი თვრამეტი წლისა მისთხოვდა მამამისის ერთ-ერთი მეგობრის შვილს. ახლა ხვდებოდა, - ასე ჰაიჰარად იმიტომ დაქორწინდა, რომ სტაბილურობა და ერთგვარი რესპექტაბელურობა სჭირდებოდა. ამ ქორწინების ნაყოფი ბიჭუნა ტომი იყო. რიჩარდი ნიჭიერი ბიზნესმენის მონაცემებს უკვე ოცი წლისა ამჟღავნებდა. მერე კი მართლაც გახდა. მოლი და ის ურ-

თიერთშეუთავსებლობას მხოლოდ ერთი წელი ურიგდებოდნენ. შემდეგ რიჩარდმა მარიონი შეირთო ცოლად და სამი ბიჭი შეეძინა. ტომი მოლისთან დარჩა. მას მერე, რაც განქორწინების პროცესი დასრულდა, რიჩარდი და მოლი ისევ დამეგობრდნენ. მოგვიანებით კი მარიონიც დაუმეგობრდა. მოლი ხშირად იმეორებდა ხოლმე: „საოცარია, არა?“

- რიჩარდი ჩემთან ტომიზე სალაპარაკოდ მოვიდა.

- ტომიზე? რატომ?

- სრული იდიოტიზმი! მკითხა, როგორ ფიქრობ, ტომისთვის მავნებელი ხომ არ არის, ამდენ დროს ფიქრში რომ ატარებსო. მე ვუთხარი, ფიქრი ყველასთვის სასარგებლოა, ოღონდ, თუკი ეს „აზროვნებას“ გულისხმობს და რადგან ტომი გაიზარდა, უკვე ოცი წლისაა, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ჩავერიოთ მის საქმეებში-მეთქი.

- მაგრამ ეს მართლაც არ არის ტომისთვის კარგი, - თქვა მოლიმ.

- მკითხა, როგორ ფიქრობ, ტომისთვის ხომ კარგი იქნება, თუკი საქმიან მოგზაურობაში გამყვება სადმე, ვთქვათ, გერმანიაშიო. ვუთხარი, რომ ეს ტომის უნდა ჰკითხოს, მე კი არა. ტომიმ, რასაკვირველია, არ მოინდომა.

- ეგრეც იქნებოდა. თუმცა გული მწყდება, რომ არ გაჰყვა.

- და მაინც, მგონია, რომ ნამდვილი მიზეზი, რომელმაც რიჩარდს აიძულა, ჩემთან მოსულიყო, მარიონის მდგომარეობაა. ოღონდ მარიონმა ჩემთან ცოტა ხნით ადრე შემოირბინა, ასე რომ, მისი „განაცხადი“ რიგითობის მხრივ, ასე ვთქვათ, პრიორიტეტული გახლდათ. ამიტომ მარიონზე სულაც არ დაველაპარაკე. სავსებით შესაძლებელია, რიჩარდს შენთანაც თავის ცოლზე ლაპარაკი უნდოდეს.

მოლიმ ანას დაკვირვებით შეხედა.

- და რამდენჯერ იყო შენთან რიჩარდი?

- ხუთჯერ თუ ექვსჯერ.

მოლი ცოტა ხნით დადუმდა, მერე კი დაგროვილი ბოღმა გადმოანთხია:

- საოცარია, რატომ ჰგონია, რომ ყოველთვის გავაკონტროლებ მარიონს? ვითომ რატომ მე? ან თუნდაც შენ? იცი რა, იქნება მართლა ჯობდეს, წახვიდე აქედან. შეხვედრა შეიძლება მეტისმეტად უსიამო გამოვიდეს იმ თქვენი ჩახლართული საუბრების გამო, ჩემს ზურგს უკან რომ მართავდით, სანამ აქ არ ვიყავი.

ანამ მტკიცედ უთხრა:

- არა, მოლი, მე არ მითხოვია რიჩარდისთვის, ჩემს სანახავად და სალაპარაკოდ მოსულიყო. არც მარიონისთვის მითხოვია, ჩემს სანახავად და სალაპარაკოდ მოსლვა. რა ჩემი ბრალია, რომ ზოგიერთი ადამიანისთვის მე და შენ ერთი და იმავე როლს ვასრულებთ? მე მხოლოდ ის ვუთხარი, რასაც შენც ეტყოდი, - ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია.

ანამ ეს ყველაფერი რაღაცნაირი, ნახევრად სახუმარო ტონით ჩაილაპარაკა ან სულაც ისე, ბავშვი უფროსს რაღაცას რომ სთხოვს და ეხვეწება. და ეს მან შეგნებულად გააკეთა. მოლიმ უფროს დასავით გაუღიმა და უთხრა:

- ჰო, კარგი, კარგი.

ანას ისევ დაკვირვებით უყურებდა, მაგრამ მას ისე ეჭირა თავი, თითქოს ამას ვერ ამჩნევდა. არ უნდოდა, ეთქვა, რა მოხდა მასა და რიჩარდს შორის, ვიდრე ყველა იმ უბედურების შესახებ არ მოუყვებოდა, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში გადახდა.

- მარიონი ისევ ბევრს სვამს?

- კი, მგონი, ბევრს.

- თვითონ გითხრა ეს?

- კი, დეტალებსაც კი მომიყვა. თანაც საოცარია, მაგრამ ისე მელაპარაკებოდა, თითქოს მე შენ ვიყავი - ერთი-ორჯერ წამოსცდა კიდეც, უნებურად მოლი დამიძახა და ასე შემდეგ.

- ჰოო, არ ვიცი, - ჩაილაპარაკა მოლიმ, - ვინ წარმოიდგენდა ოდესმე? ჩვენ ხომ სრულიად განსხვავებულები ვართ, ერთმანეთს ისევე ვგავართ, როგორც ცარცი - ყველს.

- შეიძლება არც ისეთი განსხვავებულები ვართ, - მოუჭრა ანამ, მაგრამ საპასუხოდ მოლიმ მხოლოდ ჩაიცინა.

მოლი საკმაოდ მაღალი, ძვალმსხვილი ქალი იყო, თუმცა, მოხდენილი, რაღაცნაირად ბიჭურიც კი. ეს იმის ბრალი იყო, რომ ვარცხნილობა ჰქონდა ბიჭური (თმა - ხეშეში, ოქროსფერი, მოკლედ, ბიჭურად შეკრეჭილი) და ჩაცმის თავისებური მანერა, - ჩაცმის ნიჭი კი ნამდვილად მოსდევდა. გარეგნობის გამოცვლა შეეძლო; ეს მშვენივრად გამოსდიოდა და ამისგან დიდ სიამოვნებასაც იღებდა; მაგალითად, შეეძლო დიდხანს ეტარებინა შარვალი და დახეული სვიტერები, მერე კი უეცრად სირინოზის გარეგნობა მიეღო - დიდი, მწვანე თვალები საგულდაგულოდ მოეხატა, ღაწვებზე ტონი უხვად წაესვა, შემოტმასნილი კაბა კი დიდ მკერდს თვალში საცემად წარმოაჩენდა.

ეს ერთ-ერთი ის თამაში იყო, ცხოვრებას რომ ეთამაშებოდა, და ანას მისი ამ უნარისა შურდა; თუმცა, თვითგვემის მომენტებში მოლი ანას გამოუტყდებოდა ხოლმე, რომ თავისი თავისა რცხვენოდა, რცხვენოდა, რომ ასე სიამოვნებდა სხვადასხვა როლის თამაში.

- თითქოს ყოველ ჯერზე მართლა სხვა ვარ, წარმოგიდგენია? იმ დროს მე მართლა სხვა ადამიანად ვგრძნობ თავს და ამაში არის რაღაც უკეთური... გახსოვს, ერთ კაცზე გიყვებოდი... მოკ-

ლედ, როცა გავიცანით ერთმანეთი, შარვალი და ძველი სვიტერი მეცვა, რესტორანში კი როგორც ნამდვილი femme fatale გამოვეცხადე და საწყალმა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მთელი საღამო ჩუმად იჯდა, მე კი ამისგან სიამოვნებას ვიღებდი, წარმოგიდგენია, ანა?

- მაგრამ შენ ხომ მართლა მოგწონს ეს, - უთხრა ანამ სიცილით.

თვით ანა პატარა, გამხდარი, შავგვრემანი, სუსტი აღნაგობის ქალი იყო, დიდი, შავი თვალებით, ყოველთვის დადარაჯებული გამოხედვითა და ფუშფუშა ვარცხნილობით. საერთოდ, ანას საკუთარი გარეგნობა აკმაყოფილებდა, მაგრამ ყოველთვის ერთნაირი იყო. შურდა მოლის უნარისა, გარე სამყაროზე გუნება-განწყობის პროექციას რომ ახერხებდა. ანა აკურატულად და გემოვნებით იცვამდა, თვითონ ირჩევდა სამოსს, რომელიც ზოგჯერ მეტისმეტად მკაცრი თუ რესპექტაბელური და უცნაურიც კი იყო. იმედოვნებდა, რომ ნატიფი, თეთრი ხელებითა და ფერმკრთალი, მოგრძო სახით სათანადო შთაბეჭდილებას მოახდენდა. თუმცა, მორიდებული გახლდათ, არ შეეძლო საკუთარი თავის წარმოჩენა და ადვილად შეიძლებოდა, როგორც თვითონ ფიქრობდა, ვერავის შეემჩნია.

როდესაც ეს ორი ქალი სადმე ერთად შევიდოდა ხოლმე, ანა განზრახ ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო და ეფექტური მოლისთვის „მუშაობდა“. როდესაც მარტონი იყვნენ, ლიდერის როლს უფრო ანა თამაშობდა, თუმცა, თავიდან ასე არ ყოფილა. მათი ურთიერთობის პირველ პერიოდში ხისტი, პირდაპირი, უტაქტო მოლი დომინირებდა. თანდათან ანამ თავის დაცვა ისწავლა და „ტკბილი დედილო“ ამაში მართლაც ძალიან დაეხმარა. თუმცა ახლაც იყო ხოლმე მომენტები, როცა ანას მოლის-

თვის წინააღმდეგობა უნდა გაეწია, მაგრამ ვერ ახერხებდა. ანა თავს უტყდებოდა, რომ გულის სიღრმეში მშიშარა იყო; ერჩივნა, დანებებულიყო, ვიდრე ებრძოლა და სცენები აეტანა. ჩხუბი ანას თითქოსდა მიწაზე ანარცხებდა, თანაც დიდი ხნით, მაშინ, როცა მოლი თითქოს იფურჩქნებოდა და ახალი ძალით აღივსებოდა ხოლმე. იგი ხმამაღლა მოთქვამდა, უპატიებელ რაღაცებს ამბობდა, მაგრამ გავიდოდა ნახევარი დღე და ყველაფერი ავიწყდებოდა. ასეთ დროს ანა სახლიდან ვეღარ გადიოდა, იწვა და რის ვაი-ვაგლახით მოდიოდა გონს.

იმას, რომ „არასტაბილურნი“ და „ფესვებს მოკლებულნი“ იყვნენ, - ეს ტერმინები კი მათ „ტკბილი დედილოს“ პერიოდიდან აითვისეს, - ორივენი დაუფარავად აღიარებდნენ. თუმცა, ბოლო დროს ანამ ამ სიტყვების ხმარება ახლებურად დაიწყო, თითქოს ეს რაღაც სამარცხვინო კი არ იყო, არამედ დროშები თუ ალმები, რომლებიც ცხოვრებისადმი იმგვარი დამოკიდებულების მაუწყებელი გახლდათ, რაც პრაქტიკულად ახალი ცხოვრებისეული ფილოსოფიის ტოლფასი იყო. სიამოვნებდა, როცა წარმოიდგენდა, თუ როგორ ეტყოდა მოლის: „ჩვენ ყველაფრის მიმართ არასწორი დამოკიდებულება გვქონდა, და ამაში „ტკბილი დედილოა“ დამნაშავე. ვითომ რა არის ესოდენ კარგი ამ სტაბილურობასა და გაწონასწორებულობაში? ვითომ რატომაა ცუდი ემოციურად არასტაბილური ცხოვრება ამ სამყაროში, რომელიც წარმოუდგენელი სისწრაფით იცვლება?“

მაგრამ ახლა, როდესაც მოლის გვერდით იჯდა და ელაპარაკებოდა ისევე, როგორ წინათ, ანა თავის თავს ეკითხებოდა: „რატომ მაქვს ეს საშინელი მოთხოვნილება, ვაიძულო ადამიანებს ისე შეხედონ ყველაფერს, როგორც მე ვხედავ? ეს რაღაც ბავშვური სურვილია. ვითომ რატომ უნდა ხედავდნენ ასე?

ამ ყველაფრის მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ჩემს გრძნობებთან მარტო დარჩენის მეშინია“.

მეორე სართულზე იყვნენ, ოთახში, რომელიც ვიწრო ქუჩას გადაჰყურებდა. მეზობელი სახლების ფანჯრის რაფებზე ყვავილებიანი ყუთები იდგა, დარაბები სხვადასხვა, ნათელ ფერებად შეეღებათ, ქვაფენილს კი მზეს მიფიცხებული სამი კატა, ერთი ჩინური მოპსი და მერძევეს ურიკა ამშვენებდა, დაგვიანებით რომ მოსულიყო კვირადღის გამო. მერძევეს თეთრი ხალათი ეცვა, მკლავები დაეკაპიწებინა, მისი თექვსმეტიოდე წლის ვაჟი ლაპლაპა თეთრ ბოთლებს ლითონის დაწნული ყუთიდან მარჯვე მოძრაობით იღებდა და პარმაღზე აწყობდა. როდესაც მერძევე მათი ფანჯრის ქვეშ აღმოჩნდა, აიხედა და თავის დაქნევით მიესალმა. მოლიმ თქვა:

- გუშინ ჩემთან ჭიქა ყავაზე შემოვიდა. ერთი გენახა, როგორი ამაყი და მოზეიმე იყო. მისმა შვილმა სტიპენდია მიიღო და მისტერ გეიტსს უნდოდა, ეს ჩემთვის ემცნო. სანამ რამეს მეტყოდა, დავასწარი და ვუთხარი: „ჩემს შვილს ყველა პრივილეგია ჰქონდა, თუკი რამ არსებობს, საუკეთესო განათლება მიიღო, მაგრამ შეხედეთ ახლა, ბიჭმა არ იცის, რა გზას დაადგეს. თქვენს შვილზე კი ერთი პენსიც არ დახარჯულა, მაგრამ სტიპენდია მოიპოვა და ახლა სწავლას გააგრძელებს“. „დიახ, ასეა, - მიპასუხა მერძევემ, - ასე ხდება ხოლმე“. მაშინ გულში ვთქვი, მოვკვდები, მაგრამ არაფრისდიდებით არ დავჯდები და მის ლაპარაკს მშვიდად არ მოვისმენ-მეთქი, ამიტომ განვუცხადე: „მისტერ გეიტს, ახლა თქვენი შვილი წინ წაიწევს, ჩვენ შემოგვიერთდება, საშუალო კლასს, და თქვენ სხვადასხვა ენაზე დაიწყებთ ლაპარაკს. გესმით ეს, მისტერ გეიტს?“ „სამყარო ასეა მოწყობილი“, - მპასუხობს. მე კიდევ ვეუბნები: „სამყარო კი არაა ასე მოწყობი-

ლი, არამედ ეს წყეული, კლასებად დაყოფილი ქვეყანა“. მისტერ გეიტსი მუშათა კლასის იმ დამპალი კონსერვატორებისგან ერთ-ერთია და იცი, რას მეუბნება: „ასეა მოწყობილი სამყარო, მისის ჯეიკობზ. მაშ, თქვენმა შვილმა არ იცის, რა გზას დაადგეს? სამ-წუხაროა“. ამ სიტყვებით ადგა და გავიდა, თავის სარძევე მარ-შრუტს გაუყვა, მე კი ზემოთ ავედი, ტომისთან. ისევ ისე იჯდა სა-წოლზე. ალბათ, ახლაც ისევე ზის, თუკი შინ არის. გეიტსის ბიჭი თითქოს კაჟის ნატეხია, ყველაფერს მიაღწევს, რასაც მიზნად დაისახავს. აი, ტომი კი, რაც ეს სამი დღეა ჩამოსული ვარ, ზის ერთ პოზაში საწოლზე და ფიქრობს.

- ოო, მოლი, ნუ ღელავ, ყველაფერი კარგად ექნება, აი, ნა-ხავ.

ქალები იდაყვებით ფანჯრის რაფას დაჰყრდნობოდნენ და მისტერ გეიტსსა და მის შვილს დაჰყურებდნენ. მისტერ გეიტსი ტანდაბალი, მკვირცხლი, ჩასხმული კაცი იყო, მისი ვაჟი კი - მა-ღალი, მოქნილი, სიმპათიური. უყურებდნენ, როგორ ბრუნდებო-და ბიჭი ცარიელი კალათით და იღებდა სავსეს, თან მამის ინ-სტრუქციებს ღიმილით ისმენდა და თავს უქნევდა. მათ შორის სრული ურთიერთგაგება სუფევდა. ორივე ქალი, რომლებიც შვილებს უმამოდ ზრდიდნენ, დაიმანჭა, შურით აღსავსე ღიმილი გაცვალეს.

- საქმე ის არის, - თქვა ანამ, - რომ ჩვენ იმისთვის არ გავ-თხოვილვართ, ჩვენს შვილებს მამები ჰყოლოდათ და ახლა ამის ნაყოფს ვიმკით. თუკი საერთოდ არსებობს ეს ნაყოფი. ვითომდა რატომ უნდა არსებობდეს?

- შენ რა გიჭირს, - მიუგო მოლიმ მჟავედ, - არასოდეს არა-ფერზე ღელავ, რადგან ყველაფერი თვითდინებაზე გაქვს მიშვე-ბული.

ანა თითქმის მოერია თავს, თითქმის მოახერხა, პასუხი არ გაეცა, თუმცა მერე მაინც ჩაილაპარაკა:

- არ გეთანხმები. ჩვენ, ორივენი, ერთდროულად ორივე გზაზე სიარულს ვცდილობთ. არასოდეს ვიყავით თანახმა, გვეცხოვრა წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით. მაშ, რატომ უნდა ვწუხდეთ იმის გამო, რომ სამყაროც არ გვექცევა წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით? ყველაფრის თავიდათავი ეს არის.

- აი, სულ ესა ხარ, - მიუგდო მოლიმ მტრულად, - ოღონდ მე თეორეტიკოსის ტიპი არა ვარ. შენ კი ყოველთვის ასე იქცევი, საკმარისია, რაღაცას შეეჩეხო, მაშინვე თეორიებს აგებ. მე კი ტომის გამო უბრალოდ ვღელავ.

ამჯერად ანამ ვერაფერი უპასუხა; მეგობარს ერთობ შეუვალი ინტონაცია ჰქონდა. ისევ გარეთ გაიხედეს. მისტერ გეიტსი და მისი შვილი ქუჩის კუთხეში მისულიყვნენ თავისი წითელ-თეთრი ურიკით, მალე თვალს მიეფარებოდნენ. ქუჩის მეორე მხარეს ახალი კაცი გამოჩნდა ურიკით.

- სოფლის ქორფა ხენდრო! - გაიძახოდა ხმამაღლა, - დილასაა დაკრეფილი! სოფლის ხენდრო, დილას დაკრეფილი!

მოლიმ ანას გახედა; ანა პატარა გოგონასავით აენთო და გაუღიმა (თანაც, მშვენივრად აცნობიერებდა, და ეს არ სიამოვნებდა, რომ ბავშვური გაღიმება მოლისთვის იყო განკუთვნილი, მისი კრიტიკული დამოკიდებულების გასაქარწყლებლად).

- რიჩარდსაც ვუყიდი ცოტას, - თქვა მოლიმ, სკამზე ჩამოკიდებულ თავის ხელჩანთას დასწვდა და ოთახიდან აჩქარებით გავიდა.

ანა ისევ ფანჯრიდან იცქირებოდა, მზის შუქით აღსავსე სივრცეში. ხედავდა, როგორ ენერგიულად ელაპარაკებოდა მოლი ხენდროს გამყიდველს. მოლი იცინოდა და ჟესტიკულირებდა,

გამყიდველი კი უარის ნიშნად თავს აქნევდა და თან სასწორზე ხენდროს ყრიდა.

- მაგრამ თქვენ დამატებითი ხარჯები არა გაქვთ, - მოესმა ანას, - მაშ, რატომ უნდა გადავიხადო იმდენივე, რამდენიც მაღაზიაში?

- მაგრამ თქვენ მაღაზიაში დილას დაკრეფილ ხენდროს ვერ ნახავთ, მის, იქ ასეთი ნაყოფი არა აქვთ.

- კარგი რა, - თქვა მოლიმ და კარში შეაბიჯა, ხელში წითელი ხენდროთი სავსე თეთრი ჯამი ეჭირა, - ყაჩაღები, აი, ვინა ხართ!

ხენდროს გამყიდველმა, ახალგაზრდა, პირყვითელა კაცმა, გაჩხინკულმა და უბადრუკმა, უკმაყოფილო გამომეტყველებით აიხედა ფანჯრისკენ, სადაც უკვე გამოჩნდა მოლი. ორივე ქალის დანახვაზე გამყიდველმა ჩაილაპარაკა:

- დამატებითი ხარჯები, რა იცით თქვენ ამაზე?

- მაშინ ამოდით, ყავა დალიეთ და მოგვიყევით, - უთხრა მოლიმ გამომწვევად.

კაცმა თავი დახარა და თითქოს ქვაფენილს უთხრა:

- ვიღაცამ უნდა იმუშაოს, როცა სხვები უსაქმურობენ.

- ოჰ, კარგი რა, - უთხრა მოლიმ, - ამოდით და მიირთვით თქვენი ხენდრო. მე გპატიჟებთ.

გამყიდველი ვერაფრით მიმხვდარიყო, რას წარმოადგენდა ეს ქალი და მასთან თავი როგორ დაეჭირა. იდგა დაღვრემილი, თავის თავში დაეჭვებული გამომეტყველებით, სახეზე ჩამოშვებული, მეტისმეტად გრძელი თმა სცემდა. ქერა თმას აშკარად ეტყობოდა, რომ დიდი ხნის დაუბანელი ჰქონდა.

- მე ეგეთი კი არა ვარ, თქვენ თუ ხართ, - ამოღერღა ბოლოს, რაღაცნაირად გვერდულად, სივრცეში.

- თქვენთვისვე უარესია, - ჩაილაპარაკა მოლიმ სიცილით და ფანჯარას მოშორდა. ისე შეხედა ანას, ცხადი იყო, არაფრისდიდებით არ აღიარებდა თავს დამნაშავედ.

ანამ ფანჯრიდან გადაიხედა და გამყიდველის ზურგი დაინახა, თითქოს წყენასა და სიჯიუტეს რომ გამოხატავდა, მომხდარის მიმართ დამოკიდებულება კიდევ უფრო განუმტკიცდა და ჩუმად თქვა:

- შენ მას გული ატკინე.

- ჯანდაბა, - მოლიმ მხრები აიჩეჩა, - აი, ისევ ინგლისში ვარ, ყველა ისეთი გულჩათხრობილია, ყველა ისეთი წყენია, მე კი ამ ჩვენს გამომზრალ მიწაზე ფეხს რომ დავადგამ ხოლმე, ეგრევე მინდება, ეს ყველაფერი დავამსხვრიო, ვიყვირო და ვიწივლო. როგორც კი ჩვენს წმინდა ჰაერს შევისუნთქავ ხოლმე, ვგრძნობ, მახეში გავები.

- და მაინც, - თქვა ანამ, - მას ეგონა, დასცინოდი.

მოპირდაპირე სახლიდან ქუჩაში ახალი მყიდველი გამოვიდა. ქალს შინაურულად ეცვა, კვირადღეს რომ აცვიათ ხოლმე, უწესრიგოდ, მაგრამ კომფორტულად: ფლოსტები, საშინაო შარვალი, გადმოშვებული პერანგი, თავზე ყვითელი შარფი ჰქონდა წაკრული. ხენდროს გამყიდველი მოემსახურა, მაგრამ თითქოს ძალისძალად. სანამ თავის ურიკას ხელს ჩასჭიდებდა და გააგორებდა, კიდევ ერთხელ აიხედა და ფანჯარაში მხოლოდ ანა დაინახა, - ქალს პაწია, წამახულ ნიკაპზე ხელი აეფარებინა, დაკვირვებით უყურებდა და უღიმოდა. კაცმა ჩაიდუდღუნა:

- დამატებითი ხარჯები, აბა, რა ესმის ეგეთს!..

და ჩაიფხუკუნა, მსუბუქი დაცინვით. ეს ნიშნავდა, რომ აპატია.

გამყიდველი ვიწრო ქუჩას აუყვა, ღაჟღაჟა, წითელი კენკრით სავსე ურიკას წინ მიაგორებდა და გაიძახოდა:

- დილას დაკრეფილი სოფლის ქორფა ხენდრო!

მალე მისი ხმა ტრანსპორტის ხმაურში ჩაიკარგა, დიდი ქუჩიდან რომ მოისმოდა, რომელსაც მათი პატარა ქუჩა ორიოდე ასეული იარდის დაშორებით უერთდებოდა.

ანამ მოიხედა და დაინახა, რომ მოლი ფანჯრის რაფაზე დებდა ჯამებს ნაღებმოსხმული ხენდროთი.

- გადავწყვიტე, რიჩარდისთვის არ დავხარჯო, - თქვა მოლიმ, - მაინც არასოდეს არაფერი მოსწონს. ლუდი გინდა კიდევ?

- საერთოდ, ხენდროს ღვინო უხდება, - მიუგო ანამ ხარბი მოუთმენლობით და ხენდროთი სავსე ჯამს კოვზი მოურია. გრძნობდა, მსხვილ-მსხვილი ნაყოფი როგორ მსუბუქად ეწინააღმდეგებოდა, გრძნობდა ნაღების ნაზ სირბილეს ზედ მოყრილი შაქრის ფხვნილის ხაოიანი ქერქის ქვეშ. მოლიმ უმალ ჩამოასხა ღვინო მაღალ, ფეხიან სასმისში და თეთრ რაფაზე დადგა. მზის სხივი, მინაში გარდატეხილი, თეთრ ზედაპირზე წითელ-ყვითელ რომბებად გაიშალა. ქალები ფანჯარასთან მოკალათდნენ, თავისუფლად მოეწყვნენ, მზეს მიეფიცხნენ. სიამოვნებდათ წარმავალი სითბო, ჯამებში ხენდროსა და სასმისებში წითელი ღვინის ფერი.

უეცრად კარზე ზანზალაკი აწკარუნდა და ორივემ ინსტინქტურად წამოიწია, უფრო თავდაჭერილი პოზები მიიღეს. მერე მოლიმ ფანჯარაში გაიხედა და დაიძახა:

- ფრთხილად, თავში არ მოგხვდეს!

და ძველ შარფში გახვეული გასაღები გადააგდო.

უყურებდნენ, როგორ დასწვდა რიჩარდი გასაღებს, - ზევით წამითაც არ აუხედავს, თუმცა, კარგად იცოდა, რომ სხვა თუ არა, მოლი მაინც იქ იყო.

- ვერ იტანს, ასე რომ ვაკეთებ, - თქვა მოლიმ, - საოცარი არაა? ამდენი წლის მერეც კი! და ისე იჭერს თავს, თითქოს ვერაფერს ხედავს.

რიჩარდი ოთახში შემოვიდა. შუახნის კაცი იყო, თუმცა, თავის ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა ჩინებული ნამზეურის გამო, იტალიაში გატარებული შვებულებისას რომ მიიღო, სადაც ზაფხულის დამდეგს გაემგზავრა. ყვითელი, შემოტმასნილი სპორტული მაისური და თხელი შარვალი ეცვა: ზამთარ-ზაფხულ კვირადღეს ისე იცვამდა, თითქოს პიკნიკზე მიდისო. ჩოგბურთისა და გოლფის სხვადასხვა კლუბის წევრი გახლდათ, რაც სოციალური სტატუსით შეეფერებოდა, თუმცა, არასოდეს თამაშობდა, - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ბიზნესს წაადგებოდა. ქალაქგარეთ კოტეჯი ჰქონდა, მაგრამ იქ ოჯახს გზავნიდა ხოლმე და მხოლოდ მაშინ ჩადიოდა, როცა ბიზნეს-პარტნიორები ჩაჰყავდა ბუნების წიაღში დროის გასატარებლად. თხემით ტერფამდე ქალაქის მცხოვრები გახლდათ. უქმეზე ერთი კლუბიდან, პაბიდან და ბარიდან მეორეში გადადიოდა. რიჩარდი საშუალო ტანის, შავგვრემანი, მკვრივი აღნაგობის, ოდნავ მსუქანი მამაკაცი იყო. როცა იღიმებოდა, მომრგვალო სახე სიმპათიური უხდებოდა, როცა არ იღიმებოდა, გამომეტყველება ჯიუტი და ლამის დაღვრემილი ჰქონდა. მისი სოლიდური იერი - წინ ოდნავ დახრილი თავი, დაკვირვებული, გაყინული მზერა, - მის უდრეკ სიმტკიცეს გამოხატავდა. რიჩარდმა მოუთმენელი მოძრაობით დაუბრუნა მოლის გასაღები, ძველ ალისფერ შარფში რომ იყო გახვეული. მოლიმ გამოართვა, შარფი თავის ძლიერ, თეთრ თითებს შორის გაატარა და უთხრა:

- ქალაქგარეთ გამაჯანსაღებელ გასეირნებას აპირებ, რიჩარდ?

რიჩარდმა თავი შეიკავა, არაფერი უპასუხა, ცივად გაიღიმა და ფანჯრიდან შემოსულ თვალისმომჭრელ შუქს მიაცქერდა. კაშკაშა სინათლეში ანა გაარჩია, უნებურად შუბლი შეეჭმუხნა, ცივად გაიღიმა, სასწრაფოდ ქალებისგან შორეულ კუთხეში ჩამოჯდა და თქვა:

- არ ვიცოდი, სტუმარი თუ გყავდა.

- ანა სტუმარი არაა.

მოლიმ შეგნებულად გააკეთა პაუზა, რიჩარდს საშუალება მისცა, ბოლომდე დამტკბარიყო სანახაობით, რომელიც თვალწინ გადაეშალა: ორი ქალი მზეს ეფიცხება, ახლა კი მისკენ ოდნავ შემობრუნებულან, კეთილგანწყობითა და კითხვის თვალით უმზერენ. ბოლოს მოლიმ უთხრა:

- გინდა ღვინო, რიჩარდ? ან ლუდი? ან ყავა? ან სულაც ფინჯანი კარგი ჩაი?

- ვისკი თუ გაქვს, დავლევ.

- შენ გვერდითაა.

და მიუხედავად იმისა, რიჩარდმა ამით თავის მამაკაცობას გაუსვა ხაზი, როგორც თვითონ მიაჩნდა, ადგილიდან არ დაძრულა.

- ტომიზე სალაპარაკოდ მოვედი.

და გახედა ანას, რომელიც იმწამს ჯამიდან ხენდროს ნარჩენს ტლეკდა.

- მაგრამ, როგორც ვიცი, შენ უკვე ილაპარაკე ანასთან ამის შესახებ, ასე რომ, შეგვიძლია ერთად ვისაუბროთ.

- ესე იგი, ანამ მოგიყვა...

- არა, - თქვა მოლიმ, - დღეს პირველად შევხვდით ერთმანეთს.

- მაშ, მე პირველი გულითადი ტეტ-ა-ტეტი დაგირღვიეთ, - რიჩარდი გულწრფელად შეეცადა, ეს სიტყვები კეთილგანწყობითა და მორჩილად გახმიანებულიყო, მაგრამ ხელოვნურად და მაღალფარდოვნად კი გამოუვიდა და ორივე ქალმა უხერხულად იგრძნო თავი. პასუხის გაცემაც კი არ მოუნდათ.

რიჩარდი მკვეთრი მოძრაობით წამოდგა.

- უკვე მიდიხარ? - ჰკითხა მოლიმ.

- ტომის მინდა დავუძახო.

რიჩარდმა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ერთი რომ დაეჭექა მეთაურივით, რასაც ორივე ქალი ელოდა, მაგრამ მოლიმ უცებ გააჩერა:

- რიჩარდ, ყვირილი არ დაიწყო. ტომი ბავშვი აღარ არის. თანაც, არა ვარ დარწმუნებული, რომ შინაა.

- ცხადია, შინაა.

- რა იცი?

- ზედა სართულის ფანჯრიდან გადმოიხედა. შენი გამკვირვებია, ისიც კი არ იცი, შინაა შენი შვილი თუ არა.

- დიდი ამბავი, რა მოხდა რო? თვალთვალს ხომ არ დავუწყებ.

- კი, ბატონო, მაგრამ რა ნაყოფი გამოიღო ამან?

ახლა ერთმანეთს აშკარად მტრულად უყურებდნენ. რიჩარდის ნათქვამზე: „რა ნაყოფი გამოიღო ამან?“, მოლიმ უპასუხა:

- ახლა არ ვაპირებ დისკუსიას იმაზე, თუ როგორ უნდა გაგვეზარდა ტომი. სანამ ქულების დათვლას დავიწყებდეთ, მოდი, მოვიცადოთ და ვნახოთ, შენი ბიჭები როგორი გამოვლენ.

- მე აქ ჩემს ბიჭებზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ.

- და რატომაც არა? ჩვენ მათზე ათასჯერ გვილაპარაკია. ახლა კი, მგონი, შენ და ანამაც მოასწარით მათზე ლაპარაკი.

ამას პაუზა მოჰყვა, ორივენი ცდილობდნენ, ბრაზი დაეოკებინათ: ორივენი გააოცა და შეაშფოთა იმან, თუ როგორ ძლიერად განრისხდნენ.

ამ ორის ისტორია ასე დაიწყო: მოლი რიჩარდს 1935 წელს შეხვდა, როცა რესპუბლიკური ესპანეთის დახმარების საქმით იყო ატაცებული. ასევე, რიჩარდიც (მაგრამ, როგორც მოლი ამბობდა, რიჩარდი იმ დროებას, როცა სიტყვა მასზე ჩამოვარდებოდა, პოლიტიკური ეგზოტიკით გატაცებას, უსიამო შეცდომად თვლიდა: „მაშინ ამით, აბა, ვინ არ იყო გატაცებული!“). პორტმანებმა, შეძლებულმა ოჯახმა, უმალ გადაწყვიტეს, რომ შვილს ურყევი კომუნისტური მრწამსი ჰქონდა და მემკვიდრეობის უფლება წაართვეს (მოლი ამას ასე ჰყვებოდა: „ღმერთო ჩემო, ერთი პენსიც კი არ დაუტოვეს!“, რიჩარდი კი აღფრთოვანდა. მანამდე მშობლები სერიოზულად არც უყურებდნენ და ეფექტის გასაძლიერებლად ეგრევე პარტიული მანდატი დაუძრო). რიჩარდს არაფრის ნიჭი არ ჰქონდა, ერთის გარდა - ფულის კეთებისა, მაგრამ მაშინ ეს ნიჭი ჯერ არ გამოემჟღავნებინა, ამიტომ ორი წელი მოლის ხარჯზე ცხოვრობდა, სანამ ემზადებოდა, რომ მწერალი გამხდარიყო (მოლი იხსენებდა, რასაკვირველია, მრავალი წლის მერე: „უფრო ბანალური რამის წარმოდგენა თუ შეგიძლიათ?“, მაგრამ რიჩარდი უნდა ყოფილიყო ის, რაც ყველა. ყველა აპირებდა დიდი მწერალი გამხდარიყო, აბსოლუტურად ყველა! იცით, რა იყო კომუნისტის ყველაზე საშინელი საიდუმლო — მართლა კოშმარული საიდუმლო? ის, რომ ყოველ გამობრძმედილ პარტიულ მებრძოლს, რომ გგონია, წლების განმავლობაში პარტიული ინტერესების გარდა არაფერზე უფიქრია, გადამალული ჰქონდა ძველი ხელნაწერი ან ლექსებით აჭრელებული ფურცლების დასტა. ყოველი მათგანი აპირებდა ჩვენი

დროის მაიაკოვსკი ან გორკი გამხდარიყო. ანა, განა საშინელება არაა? განა ეს გულს არ გიკლავს? ყველანი, თითოეული მათგანი წარუმატებელი, შეუმდგარი შემოქმედები არიან. ამის უკან რაღაც იმალება, ოღონდ კი მაცოდინა, რა?). განშორების მერე მოლი რამდენიმე თვე კიდევ არჩენდა რიჩარდს, თავის ხარჯზე აცხოვრებდა, კეთილი გულის გამო ან ისე, ეცოდებოდა. უეცრად რიჩარდმა პოლიტიკაში მემარცხენე შეხედულებები შეიძულა და ეს მოლისადმი დამოკიდებულების შეცვლას დაემთხვა, - გადაწყვიტა, მოლი ამორალური, თავაშვებული და ბოჰემურიაო. ასე იყო თუ ისე, მოლისთვის საბედნიეროდ მაშინ რიჩარდმა ერთ ქალიშვილთან გააბა რომანი, რაც გახმაურდა და ამან მოლი ტომიზე უფლების წართმევას გადაარჩინა, რითიც რიჩარდი ემუქრებოდა. შემდეგ იგი ისევ მიიღეს პორტმანების ოჯახის წიაღში და მან, როგორც მოლი სამძიმრის ინტონაციით ამბობდა ხოლმე, „სიტიში რაღაც სამსახური მიიღო“. მოლის ახლაც ვერ გაეცნობიერებინა, თუ როგორი ძლევამოსილი კაცი გახდა მისი ქმარი, რაკი თავის დროზე დათანხმდა თანამდებობას, სიტიში რომ შესთავაზეს. შემდეგ რიჩარდმა ცოლად შეირთო მარიონი, - ნორჩი, მომხიბლავი, კეთილი და მშვიდი ქალიშვილი საკმაოდ ცნობილი ოჯახიდან. სამი ვაჟი შეეძინათ.

ამ დროს მოლი, რომელიც თავიდანვე არაერთი ტალანტით იყო დაჯილდოებული, ბალერინა გახდა, მაგრამ კლასიკური ცეკვისთვის ფიგურა შესაფერისი არ ჰქონდა; შემდეგ რაღაც რევიუში დაიწყო გამოსვლა, მაგრამ ჩათვალა, რომ ეს მეტისმეტად იაფფასიანი იყო; ხატვის გაკვეთილებს იღებდა, მაგრამ თავი დაანება; ხოლო ომი რომ დაიწყო, ჟურნალისტიკას მოჰკიდა ხელი, მაგრამ ამასაც დაანება თავი კომუნისტების ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად; და

ესეც მიატოვა იმავე მიზეზით, რის გამოც უმეტესობამ, - წარმოუდგენლად მოსაწყენი რამ გახლდათ. შემდეგ ნაკლებად ცნობილი მსახიობი გახდა და ბოლოს შეეგუა იმ აზრს, რომ ბუნებით დილეტანტია. წყარო, რომელიც საკუთარ თავზე მის წარმოდგენასა და პატივისცემას ასაზრდოებდა, იყო აზრი, რომ არ დანებდა და საიმედო, თბილ სოროში არ შეძვრა, - ოჯახური ცხოვრების საიმედო სოროში.

ხოლო წყარო, რომელიც მის ფარულ შფოთს კვებავდა, ტომი იყო, რომლის გამოც რიჩარდთან მრავალწლიანი ომი ჰქონდა გამოცხადებული. რიჩარდი ცოლს განსაკუთრებით იმის გამო აძაგებდა, ტომი რომ დატოვა და მთელი წლით ევროპაში წავიდა სამოგზაუროდ.

რიჩარდმა სიმწრით ჩაილაპარაკა:

- ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც შენ ტომი დააგდე, ბევრჯერ მოვინახულე, ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით.

მოლიმ გააწყვეტინა:

- მე არაერთხელ აგიხსენი, ან ყოველ შემთხვევაში, ვეცადე, ამეხსნა, რომ ტომისთვის კარგი იქნებოდა, თუკი ერთხანს მარტო იცხოვრებდა. რატომ ლაპარაკობ ისე, თითქოს პატარა ბავშვი იყოს? უკვე ცხრამეტზე მეტი წლისაა და მე ის მშვენივრად მოწყობილ სახლში დავტოვე, ფულიც ჰქონდა, ყველაფერი კარგად იყო გათვლილი და ორგანიზებული.

- და რატომ არ გინდა აღიარო, რომ თავზე საყრელი დრო გქონდა, რომელიც მშვენივრად მიახარჯე ევროპაში წოწიალს ტომიზე ზრუნვისგან თავისუფალმა?

- დიახაც, მშვენიერი დრო გავატარე, რატომაც არა?

რიჩარდმა ხმამაღლა და უსიამოდ გაიცინა და მოლიმ მოუთმენლად განაგრძო:

- ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, მიხაროდა, შვილისგან რომ გავთავისუფლდი, პირველად იმ დღიდან, რაც გავაჩინე. რატომაც არა? აბა, შენზე რა შეიძლება ვთქვათ? - გყავს ლამაზი მარიონი, რომელიც შვილებზეა მიჯაჭვული, სანამ შენ იმას აკეთებ, რაც მოგესურვება, - შენთვის ხომ სრულიად სხვა წესები არსებობს. მე მუდმივად ვცდილობ ეს აგიხსნა, შენ კი არ მისმენ. არ მინდა, ტომი იმ ერთ-ერთ წყეულ ინგლისელად გადაიქცეს, დედის კალთას რომ არის გამოკერებული. მინდოდა, ჩემგან გათავისუფლებულიყო. დიახ, დიახ, ნუ იცინი, არ იყო კარგი, ერთ სახლში რომ ვცხოვრობდით, ერთმანეთთან ისე ახლოს, რომ ერთმა დაწვრილებით იცოდა, რას აკეთებდა მეორე.

რიჩარდი დაიმანჭა და თქვა:

- ოო, შენი უბადრუკი თეორიები ამ საკითხზე კარგად ვიცი.

ამ დროს საუბარში ანა ჩაერია:

- არა მარტო მოლის, არამედ მეც და ყველა ქალს, მე ვგულისხმობ ნამდვილ ქალებს, ეშინიათ, რომ მათი ვაჟიშვილი გაიზრდება ისეთი, როგორიც... და მათ ამ შიშისთვის ყველა საფუძველი აქვთ.

ამის გაგონებაზე რიჩარდმა ანას მტრულად გახედა, მოლიმ კი ორივეს დაკვირვებით შეავლო თვალი.

- მე ვიტყოდი, - მიუგო ანამ ნაძალადევი თავაზიანობით, - ისეთებად, რომლებიც, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილონი არიან თავიანთი სექსუალური ცხოვრებით. მმ... თუ შენ მიგაჩნია, რომ ეს მეტისმეტად ხისტი ფორმულირებაა?

რიჩარდი ჯერ გაწითლდა, მერე კი სახე რუხი გაუხდა, მოლის მიუბრუნდა და უთხრა:

- კარგი, მე არ ვამტკიცებ, რომ განზრახ გააკეთე ის, რაც გააკეთე.

- გმადლობთ.

- მაგრამ რა ჯანდაბა სჭირს ამ ბიჭს? წესიერად ვერც ერთი გამოცდა ვერ ჩააბარა, არ წავიდა ოქსფორდში სასწავლებლად, ახლა კი ზის თავისთვის ჩაფიქრებული და...

მოლისა და ანას ხმამაღლა გაეცინათ სიტყვაზე „ჩაფიქრებული“.

- ბიჭი მადარდებს, - თქვა რიჩარდმა, - მართლა მადარდებს.

- მეც მადარდებს, - ჩაილაპარაკა მოლიმ სერიოზულად, - სწორედ ამაზე არ ვაპირებთ ლაპარაკს?

- ხან ერთი რაღაც შევთავაზე, ხანაც - მეორე, ვეპატიჟებოდი ისეთ ადგილებში, სადაც შეეძლო გაეჩინა ნაცნობობა, ცხოვრებაში რომ გამოადგებოდა.

მოლიმ ისევ გაიცინა.

- შეგიძლია იცინო და იფხუკუნო, მაგრამ სასაცილო, მგონი, არაფერია.

- როდესაც ამბობ, ეს ტომისთვის კარგი იქნებაო, თავიდან მგონია ხოლმე, მის ემოციურ მდგომარეობას, მის გრძნობებს გულისხმობ. მუდმივად მავიწყდება, რა პრეტენზიული სნობი ხარ.

- სიტყვა გულს ვერ მატკენს, - ჩაილაპარაკა რიჩარდმა მოულოდნელი ღირსების გრძნობით, - შენ შეგიძლია მიწოდო, რაც გნებავს. შენ ცხოვრების ერთი წესი გაქვს, მე კიდევ - მეორე. ერთადერთი, რის თქმასაც ვაპირებ, ის არის, რომ რაც კი შემიძლია, ყველაფერს ვთავაზობ... რასაც მოისურვებს, ყველაფერს ვთავაზობ. მას კი არაფერი აინტერესებს. სხვა საქმე იქნებოდა, რაიმე შემოქმედებითით იყოს დაკავებული, შენი წრის ადამიანებთან.

- შენ მუდამ ისე ლაპარაკობ, თითქოს ვცდილობდე, ტომი შენს წინააღმდეგ განვაწყო.

- სწორედაც ამას აკეთებ.

- თუ იმას გულისხმობ, რომ ყოველთვის პირდაპირ ვეუბნებოდი ჩემს აზრს შენი ცხოვრების წესზე, შენს ფასეულობებზე, შენეულ გაგებაზე იმისა, თუ რა არის წარმატება და როგორ უნდა მიაღწიო, - ამას, რა თქმა უნდა, ვაკეთებდი. და რატომ გეგონა, გავჩუმდებოდი, ჩემს მრწამსზე სიტყვას არ დავძრავდი? მაგრამ მე ყოველთვის ვეუბნებოდი: ტომი, აი, ეს მამაშენია, შენ უნდა გაიცნო ის სამყარო, რომელშიც ცხოვრობს, რადგან ის, ბოლოს და ბოლოს, არსებობს.

- რა კეთილშობილი ხარ!

- მოლი თავის შვილს ყოველთვის უბიძგებს, რომ უფრო ხშირად შეგხვდეს, - ჩაურთო ანამ, - დიახ, ასეა, და მეც ყოველთვის ასე ვიქცევი.

რიჩარდმა მოუთმენლად დაუქნია თავი, აგრძნობინა, რომ მათ ლაპარაკს მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

- შენ ბავშვებისა არაფერი გაგეგება, რიჩარდ. მათ არ მოსწონთ, როცა სამყარო ორად იხლიჩება. შეხედე, ვისთან აქვს ტომის ურთიერთობა ჩემი წყალობით: მხატვრებთან, მწერლებთან, მსახიობებთან და ასე შემდეგ.

- და პოლიტიკოსებთან. ამხანაგები არ დაგავიწყდეს.

- დიახ, რატომაც არა? ტომი ისე იზრდება, რომ გაცილებით მეტი ეცოდინება იმ სამყაროს შესახებ, სადაც ცხოვრება უწევს, ვიდრე შენებს, - იტონი და ოქსფორდი, აი, რა ელის ორივეს. ტომი კი სხვადასხვანაირ ადამიანებს იცნობს და სამყაროს ისე არ უყურებს, როგორც უმაღლესი კლასის მყუდრო გუბურიდან მოჩანს.

ანამ ჩაურთო:

- თუ ასე გააგრძელებთ ლაპარაკს, ვერაფერზეც ვერ შეთანხმდებით, - ეს მეტისმეტად გაღიზიანებულმა თქვა და შეეცადა, ტონი შეეცვალა, იხუმრასავით, - მთელი უბედურება ის არის, რომ თქვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაქორწინებულიყავით, არადა, დაქორწინდით, ან, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა გაგეჩინათ შვილი, არადა, გააჩინეთ... - მის ხმაში ისევ გაისმა გაღიზიანება და ამის დაოკება კიდევ ერთხელ სცადა, - ნუთუ ვერ აცნობიერებთ, რომ წლიდან წლამდე ერთსა და იმავეს იმეორებთ, წლიდან წლამდე? იქნებ დროა, აღიაროთ, რომ არ შეგიძლიათ შეთანხმდეთ არც ერთ საკითხზე და ამ საუბრებს საბოლოოდ წერტილი დაუსვათ?

- როგორ შეგვიძლია წერტილი დავუსვათ ამ საუბრებს, როცა საქმე ტომის ეხება? - რიჩარდმა ეს ძალზე ხმამაღლა თქვა. მის ხმაში ცხადად ჟღერდა უკმაყოფილება.

- შეგიძლია არ იყვირო? - უთხრა ანამ, - რა იცი, იქნებ ტომის ყოველი სიტყვა ესმის? იქნებ სულაც ესაა მისი პრობლემა. თავს, ალბათ, განხეთქილების ვაშლად გრძნობს.

მოლი წამოდგა, კართან მივიდა, გამოაღო და მიაყურადა.

- სისულელეა, მესმის, როგორ აკაკუნებს ზემოთ საბეჭდ მანქანაზე.

მოლი თავის ადგილს დაუბრუნდა და უთხრა:

- ანა, ძალიან მღლი, როცა ასეთი მეტისმეტად ინგლისელი ხდები, ტუჩებგაბუსხული.

- არ მიყვარს, როცა ხმამაღლა ლაპარაკობენ.

- მე კიდევ ებრაელი ვარ და მიყვარს, როცა ხმამაღლა ლაპარაკობენ.

რიჩარდის სახეზე ისევ აშკარად გამოისახა ტანჯვა.

- დიახ, და შენს თავს მის ჯეიკობზს სწორად ეძახი. მის... დამოუკიდებლობისა და თვითიდენტიფიკაციის მოსაზრებებიდან გამომდინარე, - რასაც უნდა ნიშნავდეს ეს. შედეგად კი ტომის ასეთი დედა ჰყავს - მის ჯეიკობზი.

- შენ „მის“ კი არ გაღიზიანებს, - მხიარულად შენიშნა მოლიმ, - არამედ „ჯეიკობზი“. ყოველთვის ანტისემიტი იყავი.

- ჯანდაბა, - ამოიგმინა რიჩარდმა.

- აბა, მითხარი, რამდენი ებრაელია შენს სამეგობროში?

- შენ რომ გისმინოს კაცმა, სამეგობრო საერთოდ არა მყავს, არამედ მხოლოდ საქმიანი პარტნიორები.

- რასაკვირველია. შენს ქალებს თუ არ ჩავთვლით. მე ინტერესის გამო ისიც შევნიშნე, რომ ჩემს მერე შენი ოთხი ქალისგან სამი ებრაელი იყო.

- ღმერთო ჩემო, - ჩაილაპარაკა ანამ, - შინ მივდივარ.

ანა ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა. მოლი სიცილით წამოდგა, ანასთან მივიდა და უკან, ფანჯრისკენ უბიძგა.

- უნდა დარჩე. იყავი რა ჩვენი კრების თავმჯდომარე, როგორც ხედავ, მეტისმეტად გვჭირდება.

- ძალიანაც კარგი, - თქვა ანამ გადაჭრით, - ვიქნები თავმჯდომარე. შეწყვიტეთ ერთმანეთთან ბრძოლა. რა აზრი აქვს ამ ყველაფერს, ბოლოს და ბოლოს? ჩვენ ხომ არსებითად ერთ აზრზე ვართ. და ერთი და იგივე ვერდიქტი გამოგვაქვს, არა?

- ნუთუ? - ჩაილაპარაკა რიჩარდმა.

- დიახ. მოლის მიაჩნია, რომ შენ უნდა შესთავაზო ტომის სამსახური სადმე იქ, შენთან.

ისევე როგორც მოლი, ანაც მაშინვე ოდნავ აგდებულად იწყებდა ლაპარაკს, როცა საქმე რიჩარდის სამყაროს შეეხებოდა ხოლმე. რიჩარდმა გაღიზიანებით იკითხა:

- სადმე იქ, ჩემთან? შენ მართლა გინდა ეს, მოლი?

- თუკი სიტყვის თქმის უფლება მომეცემა, დიახ, მინდა.

- აი, ხომ ხედავ, - დაასკვნა ანამ, - საკამათოც არაფერია.

ახლა კი დაისხა რიჩარდმა ვისკი და სახალისოდ მორჩილი გამომეტყველებით იჯდა. მოლიც ასეთივე მორჩილი გამომეტ-ყველებით იჯდა და ელოდებოდა.

- მაშ, გადაწყვეტილება მიღებულია? - იკითხა რიჩარდმა.

- სავსებით ცხადია, რომ არა, - შენიშნა ანამ, - რადგან ამ გა-დაწყვეტილებას ჯერ თვით ტომი უნდა დაეთანხმოს.

- ისევ იმას დავუბრუნდით, რითიც დავიწყეთ. შეგიძლია ამიხ-სნა, მოლი, რატომ არ გეშინია შენი შვილის გაშვება მამონის მსახურებთან?

- იმიტომ, რომ ასეთად აღვზარდე. კარგი ადამიანია. ყველა-ფერი რიგზე აქვს.

- ანუ მე ვერ გავაფუჭებ? - რიჩარდი ღიმილით ლაპარაკობდა, მაგრამ ცხადი იყო, ცდილობდა, რისხვა დაეოკებინა, - შეიძლება გკითხო, რას ეფუძნება ასეთი წარმოუდგენელი თავდაჯერება შენს ფასეულობათა სისწორეში? ბოლო რამდენიმე წლის გან-მავლობაში მათ რამდენჯერმე მიადგა დარტყმა, ასე არ არის?

ქალებმა ერთმანეთს ისეთი გამომეტყველებით გადახედეს, თითქოს ამბობდნენ, ცხადია, ეს უნდა ეთქვა, მოდი, ყურადღებას ნუ მივაქცევთო.

- არ გიფიქრია, რომ ტომის პრობლემების ნამდვილი მიზეზი სწორედ ის არის, რომ ნახევარი ცხოვრება კომუნისტებისა და ეგრეთ წოდებული კომუნისტების გარემოცვაში გაატარა? უმეტე-სობა, ვისაც იცნობდა, ამ ამბავში ამა თუ იმ სახით გარეული იყო. ახლა კი ისინი პარტიას ტოვებენ ან უკვე დატოვეს. არ ფიქ-რობ, რომ ეს ზეგავლენას მოახდენდა ბიჭზე?

- ცხადია.

- ცხადია, - რიჩარდმა მოლის ინტონაციას გამოაჯავრა, - რა ადვილად გამოგდის ყველაფერი, მაგრამ რა ძვირად უჯდება ტომის შენი ფასეულობები, - ტომი დიადი საჭოთა სამშობლოს მშვენიერებასა და თავისუფლებაზე წარმოდგენით იზრდებოდა.

- რიჩარდ, მე შენთან პოლიტიკაზე კამათს არ ვაპირებ.

- მართალია, - ჩაურთო ანამ, - არ ღირს პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა.

- და რატომაც არა, თუკი ჩვენს თემას ეხება?

- იმიტომ, რომ შენ კი არ მსჯელობ, საგაზეთო სლოგანებს ისვრი.

- კარგი, მაშინ ასე შემიძლია ვთქვა, - ორი წლის წინ შენ და ანა მიტინგიდან მიტინგზე დაქროდით, ამ ყველაფერს ორგანიზებას უკეთებდით...

- მე სულაც არ დავქროდი, - თქვა ანამ.

- სიტყვაზე ნუ მეკიდები. მოლი, ყოველ შემთხვევაში, ამ ყველაფერს აკეთებდა. ახლა კი რუსეთს ზურგი შეაქციეს და რა ბედი ეწია ამხანაგებს? უმეტესობას ან დეპრესია აქვს, ან ბლომად ფულს ჭრის.

- საქმე ის არის, - თქვა მოლიმ, - რომ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში ძალიან უჭირს.

- ისევე, როგორც ყველგან.

- კარგი, თუ გულისხმობ, რომ ტომის ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ სოციალისტად აღიზარდა, ახლა კი სოციალისტობა არ არის ადვილი საქმე, ჩვენ, რა თქმა უნდა, დაგეთანხმებით.

- მეფური „ჩვენ“, სოციალისტური „ჩვენ“ თუ უბრალოდ, ანასა და მოლის „ჩვენ“?

- სოციალისტური, მსჯელობის ფარგლებში რომ დავრჩეთ.

- მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში თქვენ ხომ რადიკალურად შეიცვალეთ შეხედულებები.

- არა, არ შეგვიცვლია. ეს ცხოვრებისადმი დამოკიდებულების საკითხია.

- თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ თქვენი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, რომელიც, როგორც ვხვდები, სინამდვილეში ანარქიზმის ნაირსახეობაა, სოციალისტური წარმოდგენებია?

ანამ მოლის გახედა. მოლიმ ოდნავ გააქნია თავი, რიჩარდმა ეს შენიშნა და თქვა:

- ბავშვთან კამათი არ ღირს, არა? ასეთი დამოკიდებულება გაქვთ ჩემ მიმართ, არა? რაც მართლა მაცვიფრებს, თქვენი წარმოუდგენელი თავდაჯერებულობაა. მოლი, საიდან გაქვს ეს? რას წარმოადგენ? და ეს მაშინ, როცა მიიღე როლი შედევრში, რომელსაც „კუპიდონის ფრთები“ ჰქვია.

- ჩვენ, მეორე რიგის მსახიობები, როლებს ჩვენს ნებაზე არ ვირჩევთ. გარდა ამისა, მე მთელი წელი არ მიმუშავია და ერთი პენიც კი აღარ შემომრჩა.

- მაშ, შენი თავდაჯერებულობა ეფუძნება იმას, რომ მთელი წელი უსაქმოდ იყავი? რასაკვირველია, შენს პროფესიულ საქმიანობას ვერ დაეფუძნება.

- სდექ! - გამოაცხადა ანამ, - მე თავმჯდომარე ვარ და მოვითხოვ, შეწყდეს დისკუსია. ჩვენ ტომიზე უნდა ვილაპარაკოთ.

მოლიმ ანას სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და შეტევაზე გადავიდა:

- რასაც ჩემზე ამბობ, შეიძლება სიმართლე იყოს ან არც იყოს. მაგრამ შენი თავდაჯერებულობა რას ემყარება? მე არ მინდა, ტომი ბიზნესმენი გამოვიდეს. და შენც, არა მგონია, ასეთი ცხოვრების წესისთვის კარგ რეკლამად გამოდგე. ნებისმიერი

შეიძლება გახდეს ბიზნესმენიო, არაერთხელ გითქვამს ჩემთვის. კარგი, რა, რიჩარდ, გაიხსენე, რამდენჯერ მოსულხარ და გიწუწუნია, რომ შენი ცხოვრება უაზრო და ცარიელია?

ანამ სწრაფი, გამაფრთხილებელი მოძრაობა გააკეთა და მოლიმ მხრების აჩეჩით მიუგო:

- გეთანხმები, უტაქტოდ ვლაპარაკობ, მაგრამ რატომ უნდა ვილაპარაკო ტაქტიანად? რიჩარდი ამტკიცებს, რომ ჩემი ცხოვრება არარაობაა და მეც ვეთანხმები, მაგრამ რა შეიძლება ითქვას მის ცხოვრებაზე? აი, შენი უბედური მარიონი, რომელსაც ისე ექცევიან, როგორც მხოლოდ დიასახლისს, ანუ შენი სახლის მსახურს, მაგრამ არასოდეს, როგორც ადამიანს. ან შენი ბიჭები, რომლებიც უმაღლესი კლასის წნეხში არიან მოქცეული მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ასე გსურს, და საწყლებს არანაირი არჩევანი არ გააჩნიათ. და ეს შენი პატარ-პატარა, ბრიყვული რომანები... რატომ გგონია, რომ ეს ყველაფერი ჩემზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს?

- როგორც ვხედავ, ჩემზე ჭორაობა მოგისწრიათ, - თქვა რიჩარდმა და ანას აშკარად მტრულად გახედა.

- არა, ვერ მოვასწარით, - მიუგო ანამ, - ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი არაფერი გვითქვამს, რასაც წლების განმავლობაში ვეუბნებოდით ერთმანეთს. ახლა ტომიზე გვაქვს სალაპარაკო. ტომი ჩემთან იყო მოსული და ვუთხარი, მოგაკითხოს და ნახოს, იქნებ რამე სამუშაო გამოუჩინო, რამე კონსტრუქციული, თორემ ცარიელი ბიზნესის კეთება სისულელეა. მაგალითად, ექსპერტად გაეროში ანდა იუნესკოში. ხომ შეგიძლია ასეთ რაღაც უშოვო?

- კი, შემიძლია.

- და ამაზე რა გიპასუხა, ანა? - იკითხა მოლიმ.

- მითხრა, თავი დამანებონ, რომ ფიქრის საშუალება მქონდეს. ისე, რატომაც არა? რატომ არ უნდა ჰქონდეს ბიჭს საშუალება იფიქროს და ცხოვრებისეული ექსპერიმენტები ჩაატაროს, თუკი სწორედ ეს უნდა? მაინცდამაინც რქებით რატომ ვაწვებით?

- ტომის უბედურება ის არის, რომ არავინ არასოდეს აწვებოდა, - თქვა რიჩარდმა.

- გმადლობ, - მოუჭრა მოლიმ.

- ცხოვრებაში მიმართულება არასოდეს ჰქონია მიცემული. მოლი ყოველთვის თავის თავთან მარტო ტოვებდა, თითქოს უკვე ზრდასრული ადამიანი იყო. როგორ ფიქრობთ, ეს ბავშვს როგორ უნდა გაეგო? - თავისუფლება... ყველაფერზე შენ თვითონ შეიქმენი წარმოდგენა და ამავე დროს ეს ამხანაგები, პარტიული დისციპლინა, თავგანწირვა, ძალაუფლებისადმი მონური დამოკიდებულება...

- აი, რა უნდა გააკეთო, - უთხრა მოლიმ, - სადმე შენთან უნდა უშოვო ისეთი ადგილი, სადაც ყველაფერი ფულის კეთებით, ბიზნესის წინ გაქაჩვით და წილებისათვის ბრძოლით არ ამოიწურება. ერთი სიტყვით, გამონახე ტომისთვის რამე შემოქმედებითი. შესთავაზე და თვითონ გადაწყვიტოს.

რიჩარდი, რომელსაც სიბრაზისაგან სახე აელეწა და წითლად უღუოდა მეტისმეტად ყვითელი, მეტისმეტად შემოტმასნილი მაისურის ფონზე, ვისკის ჭიქას ჩააშტერდა, ორივე ხელს მაგრად უჭერდა.

- გმადლობ, - თქვა ბოლოს, - ასეც მოვიქცევი.

ისეთი ჯიუტი თავდაჯერებით ლაპარაკობდა, - დარწმუნებული, რომ ვაჟიშვილს რაც უნდა შესთავაზოს, უმაღლესი ხარისხისა იქნება, - რომ ანამ და მოლიმ ერთმანეთს კიდევ ერთხელ

გადახედეს წარბების აზიდვით, ცხადია, საუბარმა ამაოდ ჩაიარაო. რიჩარდმა ეს მზერა შენიშნა და თქვა:

- ორივე წარმოუდგენლად გულუბრყვილო ხართ.

- ბიზნესის საკითხებში? - დააზუსტა მოლიმ და ხმამაღლა და ლაღად გაიცინა.

- დიდი ბიზნესის საკითხებში, - მშვიდად შენიშნა ანამ, ეხალისებოდა საუბრის ასე განვითარება. საქმე ის იყო, რომ მათი ლაპარაკისას, თავისდა გასაოცრად, რიჩარდის ძლევამოსილების ნამდვილი წონა გააცნობიერა. მაგრამ ამის გამო მისმა ფიგურამ უფრო დიდი მასშტაბი კი არ შეიძინა, არამედ როგორღაც დაიმცრო კიდეც მძლავრი საერთაშორისო კაპიტალის ფონზე. და ანამ იგრძნო, რომ მოლი კიდევ უფრო მეტად შეუყვარდა, რადგან სრულიადაც არ სცემდა პატივს ამ კაცს, ოდესღაც მისი ქმარი, ახლა კი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ფინანსური ბურჯი რომ იყო.

- ოოჰ, - მოუთმენლად ამოიკვნესა მოლიმ.

- ძალიან დიდი ბიზნესის საკითხებში, - ჩაილაპარაკა ანამ სიცილით, შეეცადა მოლისთვის გაეგებინებინა, რა იგულისხმა, მაგრამ მსახიობმა ქალმა მხრების აჩეჩით მოიშორა თავიდან, თავისი ერთ-ერთი სახასიათო ჟესტით, როცა მხრებს ენერგიულად იჩეჩდა ხოლმე, თანაც ფართოდ შლიდა ამობრუნებულ ხელებს და მერე ნელ-ნელა მუხლებზე იწყობდა.

- ამით მერე მოვახდენ მასზე შთაბეჭდილებას, - უთხრა ანამ რიჩარდს, - ან, ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, მოვახდინო.

- რაზე ლაპარაკობთ? - იკითხა მოლიმ.

- არაფერი გამოგივა, - თქვა რიჩარდმა სარკასტულად, სიმწრით, გაღიზიანებით, - წარმოგიდგენია, ამ წლების განმავლო-

ბაში ერთხელაც არ უკითხავს რაიმე, იმდენად სულერთი იყო მისთვის.

- სკოლაში ტომის სწავლების ფულს იხდიდი და შენგან მეტი არაფერი მინდოდა.

- მოლი, რიჩარდი ყოველთვის ყველას წინაშე გამოგყავდა როგორც წვრილი მეწარმე, წვრილი მედუქნის მსგავსი, რომელმაც უეცრად დიდ წარმატებას მიაღწია, - თქვა ანამ, - არადა, თურმე თავიდანვე ფინანსური მაგნატი ყოფილა. დიახ, ასეა. ბიზნესის ნამდვილი ბობოლა. ერთ-ერთი იმათგანი, ვინც პრინციპულად უნდა გვძულდეს, - დასძინა სიცილით.

- მართლა? - დაინტერესდა მოლი და ყოფილ ქმარს, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა დაუწყო თვალიერება. გაოცება გამოწვეული იყო იმით, რომ ეს, მისი შეხედულებით, არცთუ ჭკვიანი კაცი თურმე შეიძლება რაღაცას წარმოადგენდეს.

ანამ მეგობრის აზრები წაიკითხა, სახის გამომეტყველება შენიშნა (თვითონაც იმავეს ფიქრობდა) და გაეცინა.

- ღმერთო ჩემო, - თქვა რიჩარდმა, - თქვენთან ლაპარაკი იგივეა, რომ ნამდვილ ველურებს ელაპარაკო.

- რაშია საქმე? - გაიკვირვა მოლიმ, - ეს ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს? ეს ყველაფერი შენ თვითონ არც კი მოგიპოვებია. მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრეობით გერგო.

- რა მნიშვნელობა აქვს? თვით ფაქტია მთავარი. შეიძლება სისტემა არ ვარგა, კამათს არ დავიწყებ, თუმცა, თქვენთან ამაზე კამათი შეუძლებელია, ეკონომიკის საკითხებში იმდენივე გესმით, რამდენიც მაკაკებს, მაგრამ სწორედ ეს სისტემა უდევს საფუძვლად ამ ქვეყანას.

- ჰო, რა თქმა უნდა, - ჩაილაპარაკა მოლიმ. ხელები ისევ ისე ამობრუნებული ეწყო მუხლებზე, ხელისგულებით ზემოთ. ახლა

კი გადმოაბრუნა და აკურატულად დააწყო, უნებლიეთ ბავშვის მოძრაობას მიჰბაძა, გაკვეთილის მოსასმენად რომ ემზადება.

- მაგრამ რატომ უნდა გძულდეთ ეს სისტემა? - რიჩარდი, როგორც ჩანს, თავისი აზრის განვითარებას აპირებდა, მაგრამ მოლის მოძრაობა შენიშნა და გაჩუმდა.

- ღმერთო! - თქვა ისე, თითქოს ფარ-ხმალს ყრისო.

- ჩვენ არ გვძულს. ის მეტისმეტად... უსახურია იმისთვის, რომ გვძულდეს... ჩვენ... - მოლიმ ბოლო სათქმელზე, „შენ გვძულხარ“, ენას კბილი დააჭირა, თითქოს თავი დამნაშავედ იგრძნო იმის გამო, რომ ქცევის წესები წამით დაივიწყა, ხელების მდგომარეობა შეიცვალა, - ახლა ისინი მდუმარე და ჯიქურ წინააღმდეგობას აღარ გამოხატავდნენ, - სასწრაფოდ ზურგს უკან დამალა, თვალს მოარიდა. ანა მეგობარს მსუბუქი გაოცებით შეჰყურებდა. გაიფიქრა: „მე რომ მოლის ვუთხრა, რომ რიჩარდს მხოლოდ და მხოლოდ ხელების მოძრაობით დასცინა, ვერც კი მიხვდება, რა ვუთხარი. რა მაგარია, რომ ასეთი რაღაცების გაკეთება შეუძლია, რა ბედნიერია“.

- კი, მე ვიცი, რომ გძულვართ, მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ შენ ნახევრად შემდგარი მსახიობი ხარ, ანამ კი ერთხელ წიგნი დაწერა?

ანამ ხელი აიქნია. ამ დროს უნებურად მისი თითები მოლის მუხლს გულის ამაჩუყებლად შეეხო და თქვა:

- ო, რიჩარდ, რა მოსაწყენი ადამიანი ხარ.

- საქმე ეგ კი არ არის, - ჩაურთო მოლიმ.

- კი, რა თქმა უნდა.

- საქმე ის არის, რომ ჩვენ ფარ-ხმალი არ დაგვიყრია, - სერიოზულად თქვა მოლიმ.

- რას გულისხმობ?

- თუ არ გესმის, მაშინ ვერც აგიხსნით.

რიჩარდი უკვე მზად იყო, სკამიდან წამომხტარიყო, - ანამ შენიშნა, რომ ფეხის კუნთები დაეძაბა და უთრთოდა. ეს აფეთქება რომ აერიდებინა, „ცეცხლი თავის თავზე გადაიტანა“, სწრაფად ჩაილაპარაკა:

- საქმეც ის არის, რომ შენ სულ ლაპარაკობ და ლაპარაკობ, მაგრამ ისე შორსა ხარ იმისგან... რაც რეალურია, არასოდეს არაფერი გაგეგება.

მართლაც, მისმა მანევრმა გაამართლა. რიჩარდი მისკენ მთელი სხეულით მიბრუნდა, წინ გადაიწია ისე, რომ ანას ცხვირწინ აღმოჩნდა მისი გარუჯული, მოოქროსფრო, თხელი ბალნით დაფარული ხელები, გადაღეღილი, გარუჯული კისერი და მოწითალო-გარუჯული, გაალმასებული სახე. ანამ უკან დაიწია, საზურგეს მიეყრდნო, თავისდა უნებურად სახეზე ზიზღი გამოეხატა, როდესაც რიჩარდმა თქვა:

- იცი, ანა, მე მხვდა ბედნიერება უფრო ახლოს გამეცანი, ვიდრე წინათ გიცნობდი, და ვერ ვიტყვი, ისეთი შთაბეჭდილება შემქმნოდეს, თითქოს იცი, რა გინდა, იცი, რას ფიქრობ ან გესმის, რა უნდა გააკეთო.

ანამ იგრძნო, როგორ გაწითლდა, გაჭირვებით გაუსწორა თვალი რიჩარდს და სიტყვების განზრახ გაჭიანურებით უთხრა:

- იქნებ შენ სწორედ ის გაღიზიანებს, რომ მე დიახაც ვიცი, რა მინდა. ექსპერიმენტებისთვის ყოველთვის მზადა ვარ, არასოდეს ვცდილობ, თავი მოვიტყუო და მეორე ხარისხის რაღაც პირველი ხარისხისად მივიღო, და ყოველთვის ვიცი, როდის უნდა ვთქვა: „არა“, ა?

მოლი ხან ანას უყურებდა, ხან რიჩარდს, მერე ღრმად ამოისუნთქა და ხელების მოძრაობით შეძახილი გამოხატა, - ჯერ

მკვეთრი მოძრაობით დაუშვა და მერე დიდი გრძნობით გაშალა, შემდეგ კი მუხლებზე დაიწყო და უნებლიეთ თავი დააქნია, - ნაწილობრივ იმიტომ, რომ ეჭვი განუმტკიცდა, და ნაწილობრივ იმიტომ, ანას ხისტი პასუხი მოეწონა.

მოლიმ თქვა:

- ჰო, რა? რაშია საქმე? - ეს სიტყვები ისე ქედმაღლურად გააჭიანურა, რომ რიჩარდი მიბრუნდა და მიაჩერდა, - თუკი გადაწყვიტე ისევ შეგვიტიო იმის გამო, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისე, როგორც ვცხოვრობთ, შენი პირადი ცხოვრების გათვალისწინებით შემიძლია გითხრა, - გირჩევნია, მოკეტო.

- მე დადგენილ წესებს მივსდევ, - თქვა რიჩარდმა იმგვარი მზადყოფნით, შესაბამისი ყოფილიყო ყველაფრისა, რასაც მისგან მოელოდნენ, რომ ორივემ ერთდროულად გადაიკისკისა.

- დიახ, ძვირფასო, ჩვენ ეს ვიცით, - უთხრა მოლიმ, - და როგორა გყავს მარიონი? ძალიან მინდა ვიცოდე.

რიჩარდმა მესამედ გაიმეორა:

- როგორც ვხედავ, ჭორაობა მოგისწრიათ.

ანამ თქვა:

- მე მოვუყევი მოლის, რომ ჩემთან იყავი. ისიც ვუამბე, რაც შენთვის არ მითქვამს, რომ მარიონიც იყო ჩემთან.

- ჰო, მიდი, თქვი, - ჩაურთო მოლიმ.

- საქმე ის არის, - თქვა ანამ ისე, თითქოს რიჩარდი იქ არც იყო, - რიჩარდი იმას განიცდის, რომ მარიონი პრობლემად იქცა.

- ეს სიახლე არ არის, - მიუგო მოლიმ იმავე ტონით.

რიჩარდი გაუნძრევლად იჯდა, ხან ერთს გახედავდა, ხან - მეორეს. ქალები ელოდნენ, მზად იყვნენ, თემა შეეცვალათ; იმისთვისაც მზად იყვნენ, რომ რიჩარდი წამოხტებოდა და გაიქ-

ცეოდა, ან თავის დაცვას მოჰყვებოდა, მაგრამ ის უხმოდ იჯდა, თითქოს ამ სანახაობამ მონუსხაო: აი, სხედან ორივენი, პირდაპირ, სრულიად დაუფარავად ასხივებენ მტრობას, თითქოს დამცინავი სასამართლო საბჭო იყოს, რომელსაც მისთვის ვერდიქტი გამოაქვს. რიჩარდმა თავიც კი დააქნია, თითქოს ამბობდა: „მიდი-მიდი, გააგრძელეთ“.

მოლიმ თქვა:

- როგორც ყველას კარგად მოგვეხსენება, რიჩარდმა ცოლად შეირთო ქალი, რომელიც მდგომარეობით მასზე დაბლა იდგა, - აჰ, არა, სოციალურ მდგომარეობას არ ვგულისხმობ, ამაზე კეთილგონივრულად იზრუნა, რომ ყველაფერი რიგზე ყოფილიყო, ფრჩხილები იხსნება - ის ჩვეულებრივი ცუგრუმელა ქალია - და ფრჩხილები იხურება, თუმცა, საბედნიეროდ, მისი საგვარეულო ხის განშტოებებზე ბლომადაა ლორდიც და ლედიც და მათი სახელები არაერთი კომპანიის ოფიციალურ ბლანკებზე მეტად შთამბეჭდავია.

ამის გაგონებაზე ანამ ჩაიფხუკუნა, - არც ერთ ლორდსა და ლედის არაფერი ჰქონდა საერთო ფულის იმ ნაკადებთან, რომლებსაც რიჩარდი აკონტროლებდა, მაგრამ მოლიმ მის საუბარში შეჭრას ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

- რასაკვირველია, ჩვენთვის ცნობილი ყველა მამაკაცი შემზარავად ჩვეულებრივ ცუგრუმელა ქალს ირთავს ცოლად. საწყლები, საწყლები... მაგრამ ისე მოხდა, რომ მარიონი კარგი ადამიანი გამოდგა, სულაც არაა შტერი და უკვე თხუთმეტი წელია, ცოლად ჰყავს კაცს, რომლის ხელშიც იძულებულია, თავი სრულ შტერად იგრძნოს.

- ეჰ, რას იზამდა ყველა ეს მამაკაცი თავისი შტერი ცოლის გარეშე? - ამოიოხრა ანამ.

- ო, ვერც კი წარმომიდგენია. როცა მომინდება ნამდვილი სასოწარკვეთილება ვიგრძნო ხოლმე, ამ ბრწყინვალე მამაკაცებსა და მათ შტერ ცოლებს ვიხსენებ. მართლა, მართლა, ამისგან გული გახეთქაზე მაქვს. ჰო, მოდი, ჩვენს ჩვეულებრივ შტერ მარიონს მივუბრუნდეთ. რიჩარდი, რასაკვირველია, მისი ერთგულია იმდენად, რამდენადაც მამაკაცების უმრავლესობა, - კერძოდ კი, მის პირველ გამგზავრებამდე სამშობიარო სახლში.

- რად გვინდა ამ ძველი ამბების გახსენება? - წამოიძახა რიჩარდმა უნებლიეთ, ისე, თითქოს სერიოზული საუბარი ჰქონდათ, და ქალებს ისევ ისტერიკული სიცილი აუტყდათ.

მოლიმ სიცილი მოსხიპა და სერიოზულად, თუმცა კი მოუთმენლად თქვა:

- ჯანდაბა, რიჩარდ, რა იდიოტივით ლაპარაკობ? მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ, მარტო საკუთარი თავი გებრალება, რადგან მარიონი შენი აქილევსის ქუსლია და ამავე დროს გვეკითხები, რად გვინდა ძველი ამბების გახსენება?

და მოლიმ, ახლა უკვე მართლაც ძალზე სერიოზულად, რიჩარდს ისე მიახალა, თითქოს ბრალს სდებდა:

- როცა მარიონი სამშობიაროში წაიყვანეს...

- ეს ცამეტი წლის წინ იყო, - ჩაილაპარაკა რიჩარდმა სიმწრითა და წყენით.

- ...შენ მაშინვე ჩემთან მოირბინე. ეტყობა, გეგონა, უმალ ლოგინში ჩაგიგორდებოდი და შენს მამაკაცურ ღირსებას დიდი დარტყმა მიადგა, როცა ეს არ გავაკეთე. გახსოვს? და, აი, ახლა ჩვენ, თავისუფალმა ქალებმა, ვიცით, რომ როცა ჩვენი მეგობარი მამაკაცების ცოლები სამშობიაროში მიჰყავთ, ძვირფასი ტომი, დიკი თუ ჰარი პირდაპირ ჩვენთან მოქრიან. მათ ყოველთვის უნდათ თავისი ცოლის რომელიმე დაქალის გაჟიმვა, ღმერთმა

უწყის, რატომ. აი, ასეთი სახალისო ფსიქოლოგიური ფენომენია, იმდენად ხშირად დაფიქსირებული, რომ უკვე ფაქტია. მე ასეთ შემთხვევაში უარს ვამბობ ხოლმე და არ ვიცი, შენ მერე ვისთან გაიქეცი...

- და რატომ გგონია, რომ ვინმესთან გავიქეცი?

- იმიტომ, რომ მარიონმა იცის ეს. რა სამწუხაროა, რომ ასეთი რაღაცები არასოდეს იმალება... მას მერე შენს ხელში უამრავმა ქალმა გაიარა და მარიონმა ყოველთვის ყველაფერი იცოდა, რადგან შენ ცოლის წინაშე ცოდვების აღიარების მოთხოვნილება გაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველაფერი იმდენად სასიამოვნო არ იქნებოდა, არა?

რიჩარდმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს წამოდგომასა და წასვლას აპირებსო, - ანამ დაინახა, როგორ დაიძაბა და მერე მოუდუნდა სხეული. გადაიფიქრა და უძრავად დარჩა. პირზე რაღაც უცნაური ღიმილი დასთამაშებდა. იმ კაცს მიაგავდა, გამათრახებისას გაღიმება რომ გადაწყვიტა.

- ამასობაში მარიონმა გააჩინა და ზრდის სამ ბიჭს. ძალზე უბედური იყო. დროდადრო შენ თითქოსდა სასხვათაშორისოდ ეტყოდი ხოლმე: „ვინ იცის, იქნებ კარგიც ყოფილიყო, საყვარელი რომ გაგეჩინა, სიტუაცია ცოტა რომ გავათანაბროთ“. იმასაც კი ამბობდი, რომ მარიონი მეტისმეტად ტიპური წარმომადგენელია საშუალო კლასისა, მოსაბეზრებლად ტრადიციული.

მოლიმ პაუზა გააკეთა და რიჩარდს შესცინა.

- და მართლაც, რა პატარა, გაბღენძილი, ფარისეველი კაცუნა ხარ, - უთხრა თითქმის მეგობრულად. მეგობრულად და თითქოს სინანულით. რიჩარდი როგორღაც უხერხულად შეტოკდა და თითქოს მონუსხულიაო, ჩაილაპარაკა:

- განაგრძე.

მერე მიხვდა, თვითონ რომ იწვევდა მოლის და სასწრაფოდ დაამატა:

- მაინტერესებს ამ ყველაფრის შენი ინტერპრეტაცია.

- მაგრამ ახალი არაფერი გესმის, ასე არაა? - უთხრა მოლიმ, - მგონი, არც არასოდეს დამიმალავს, რას ვფიქრობ მარიონისადმი შენს დამოკიდებულებაზე. ყოველთვის მიგდებული გყავდა, თქვენი ქორწინების პირველ წელს თუ არ ჩავთვლით. სანამ ბავშვები პატარები იყვნენ, ვერც კი გხედავდა. იმ შემთხვევების გარდა, როცა შენი საქმიანი პარტნიორები უნდა გაერთო ან მაღალი დონის მიღება თუ წვეულება გაემართა, ანდა რაიმე მსგავს სიბრიყვეში მიეღო მონაწილეობა. პირადად მას კი - არაფერი. მერე ერთი კაცი დაინტერესდა მისით და მარიონი იმდენად მიამიტი გამოდგა, იფიქრა, რომ ამის უფლებას მართლაც მისცემდი: მით უმეტეს, იმდენჯერ გითქვამს, თუ ასე განიცდი ჩემს ქალებს, შენც გაიჩინე საყვარელიო. მოკლედ, რომანი დაეწყო და სწორედ მაშინ მოხდა, რაც მოხდა. შენ ეს ვერ აიტანე, ემუქრებოდი. და მაშინ იმ კაცმა გადაწყვიტა, მარიონი ცოლად შეერთო და მისი სამი ბიჭიც წაეყვანა, დიახ, დიახ, იმდენად ეძვირფასებოდა მარიონი. მაგრამ არა. შენ უცებ ზნეობრიობის, მკაცრი მორალის განსახიერება გახდი, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველივით აბობოქრდი.

- ის მისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა იყო, მათი ურთიერთობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

- გინდა თქვა, რომ მარიონი მასთან, შესაძლოა, ბედნიერი არ ყოფილიყო? შენ მისი ბედნიერება გადარდებდა? - ჰკითხა მოლიმ და ზიზღით გაიცინა, - არა, პატივმოყვარეობა შეგელახა და შენ მართლა შეეცადე, ცოლს თავიდან შეჰყვარებოდი: ეჭვიანობის ყველა სცენა, მისიყვარულება და კოცნა იქამდე გაგ-

რძელდა, ვიდრე საბოლოოდ არ გაწყვიტა მასთან ურთიერთობა. და სწორედ იმ მომენტში, როცა დარწმუნდი, მარიონი საბოლოოდ ჩემიაო, თავი უსაფრთხოდ იგრძენი, სრულიად დაგეკარგა მის მიმართ ინტერესი და დაუბრუნდი შენს მდივან ქალებს მოდურ ტახტებზე, მშვენიერ, უზარმაზარ ოფისში. და მიგაჩნია, რომ მეტისმეტი უსამართლობაა, თუკი მარიონი თავს უბედურად გრძნობს და უფრო მეტს სვამს, ვიდრე ეკადრება. ანდა უკეთესი იქნება, თუ ვიტყვი: უფრო მეტს, ვიდრე შეეფერება შენი სტატუსის მქონე კაცის ცოლს. ანა, შარშანდელს მერე, რაც წავედი, შეიცვალა რამე აქ?

რიჩარდმა გაბრაზებით წამოისროლა:

- ამ ყველაფრისგან იაფფასიან სპექტაკლს ნუ ქმნით.

ახლა, როცა საუბარში ანა უნდა ჩართულიყო, ეს აღარ იქნებოდა მისი პირადი პაექრობა ყოფილ ცოლთან და წონასწორობა დაკარგა.

- რიჩარდი მოვიდა ჩემთან და მკითხა, გამართლებულად თუ მიგაჩნია, თუკი მარიონს სადმე გავგზავნი, რადგან ბიჭებზე ცუდ გავლენას ახდენსო.

მოლიმ ჰაერი შეისუნთქა და იკითხა:

- რიჩარდ, იმედია, მარიონი არსად გაგიგზავნია?

- არა. მაგრამ ვერ გამიგია, რა არის ამაში ასეთი საშინელი? იმ პერიოდში მარიონი ძალიან ბევრს სვამდა და ეს ბიჭებისთვის ცუდი მაგალითია. პოლი, ბოლოს და ბოლოს, ცამეტი წლისაა და ერთხელ, როცა ღამით წყლის დასალევად ადგა, დედა იატაკზე გაშხლართული, გალეშილი მთვრალი ნახა. უგონოდ ეგდო.

- მართლა აპირებდი მარიონის სადმე გაგზავნას? - მოლის ხმა უემოციო გაუხდა, დადანაშაულებაც კი აღარ იგრძნობოდა.

- ჰო, კარგი, მოლი, კარგი. აბა, რა შემეძლო გამეკეთებინა? ნუ ღელავ, შენი ადიუტანტი ისევე შოკირებული იყო, როგორც შენ ხარ ახლა. ანამ მაიძულა, თავი დამნაშავედ მეგრძნო, ისევე, როგორც შენ გიყვარს ხოლმე ამის გაკეთება.

რიჩარდი თითქმის იცინოდა, ოღონდ, ცოტა არ იყოს, უხალისოდ.

- მართალი გითხრა, ყოველ ჯერზე, როცა შენგან მივდივარ, ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე, ნუთუ მართლა ვიმსახურებ ასეთ ტოტალურ დადანაშაულებას? მოლი, შენ მაინც აჭარბებ. ისე ლაპარაკობ, თითქოს ვიღაც ვიყო, ლურჯწვერას მსგავსი. კი, მართალია, მქონდა ხუთი-ექვსი რომანი, როგორც ნებისმიერ მამაკაცს, ვისაც ვიცნობ და ვინც მეტ-ნაკლებად დიდია ხანია, დაქორწინებულია, მაგრამ მათ ცოლებს ამის გამო სმა არ დაუწყიათ.

- იქნებ მართლა ჯობდა, შტერი და უგრძნობელი ქალი გყოლოდა ცოლად? - ვარაუდი გამოთქვა მოლიმ, - ან ყოველთვის არ მოგეყოლა მარიონისთვის ყველაფერი, რასაც აკეთებ? რა სულელია! შენ ათასჯერ გჯობია!

- ეს თავისთავად ცხადია, - მიუგო რიჩარდმა, - თქვენ ხომ ყოველთვის იმას ამტკიცებთ, რომ ქალები კაცებზე უკეთესები ხართ. მაგრამ ეს მაინცდამაინც არ მშველის. მისმინე, მოლი, მარიონი შენ გენდობა. შეეცადე, რაც შეიძლება მალე ნახო და დაელაპარაკო.

- რა ვუთხრა?

- ეგ მე არ ვიცი. ჩემთვის სულერთია. რაც გინდა. თუკი საჭიროდ ჩათვლი, რაც გინდა, მიწოდე, ოღონდ დაითანხმე, სმას თავი დაანებოს.

მოლიმ ყასიდად ამოიოხრა, ისევ ისე იჯდა და უყურებდა. ნაოჭი პირთან მის, ცოტა არ იყოს, თანამგრძნობ ზიზღს გამოხატავდა.

- მართალი გითხრა, არც კი ვიცი, - თქვა ბოლოს, - ეს ყველაფერი ძალზე უცნაურია. რიჩარდ, რატომ არ გინდა რამე იღონო? მარიონი შენთან ერთად წაიყვანო შვებულებაში ან კიდევ რამე გააკეთო?

- უკვე მყავდა იტალიაში, - რიჩარდის ხმაში ისეთი გულისტკივილი გაისმა, რომ ორივე ქალმა ერთდროულად წამოიძახა:

- რიჩარდ!

- მარიონს არ მოსწონს ჩემი საზოგადოება, - თქვა რიჩარდმა, - სულ მითვალთვალებდა... ახლაც სულ თვალწინ მიდგას, როგორ მითვალთვალებს, როგორ ელოდება, რომ ქალს შევხედავ, ელოდება, რომ თავს გავცემ. ამის ატანა არ შემიძლია.

- სვამდა, სანამ შვებულებაში იყავით?

- არა, მაგრამ...

- აი, ხომ ხედავ? - თქვა მოლიმ და ქათქათა ხელები ფართოდ გაშალა, თითქოს უნდოდა, ეთქვა: „აბა, ამაზე რაღას იტყვი?“

- მისმინე, მოლი, იმიტომ არ სვამდა, რომ ჩვენ შეჯიბრების მსგავსი რაღაც გვქონდა, ნუთუ არ გესმის? თითქმის გარიგება: „მე არ დავლევ, თუ შენ ქალებს არ შეხედავ“. ამან თითქმის ჭკუიდან გადამიყვანა. ბოლოს და ბოლოს, მამაკაცებს ხომ პრაქტიკული სირთულეებიც გვაქვს ხოლმე. დარწმუნებული ვარ, თქვენ, სუსტი სქესის ემანსიპირებული წარმომადგენლები, ამას თავისებურად შეხედავთ, მაგრამ მე არ შემიძლია ამის გაკეთება ქალთან, რომელიც ციხის დარაჯივით მითვალთვალებს... ასეთი მშვენიერი საღამოს შემდეგ მასთან ლოგინში ჩაწოლა ნიშნავდა რაღაც მსგავსს შეჯიბრებისა თემაზე: „მომეცი

უფლება დაგიმტკიცო, რომ ჯერ კიდევ რაღაც შემიძლია“. მოკლედ, მარიონთან ერექცია არ მქონდა. საკმარისად ნათლად გამოვთქვი აზრი? და, აი, ერთი კვირის წინ დავბრუნდით. ჯერჯერობით თავს იჭერს. და მეც, როგორც წესიერი მეოჯახე, ყოველ საღამოს მეუღლესთან ვატარებ, ვსხედვართ შინ და თავაზიანად ვსაუბრობთ. მარიონი განზრახ არ მეკითხება, რა გავაკეთე იმ დღეს და ვინ ვნახე. მე განზრახ არ ვადევნებ თვალს ვისკის დონეს ბოთლში. მაგრამ როდესაც ოთახიდან გადის, ვისკის ბოთლს ვუყურებ და მესმის, როგორ ფეთქავს მის გონებაში აზრი: „ეტყობა, ვიღაც ქალს ხვდება, რადგან არ ვუნდივარ“. ეს ჯოჯოხეთია, ნამდვილი ჯოჯოხეთი. დიახაც, - რიჩარდი წინ გადაიწია და რაღაცნაირი განწირული გულახდილობით დაიყვირა, - დიახაც, მოლი! ან ასე, ან ისე. თქვენ, ორივენი, ქორწინებაზე მსჯელობთ. იქნებ მართალიც ხართ. მე ჯერ არ მინახავს ერთი ქორწინებაც კი, რომელიც დაახლოებით მაინც იქნებოდა ისეთი, როგორიც უნდა იყოს. კარგი. თქვენ თავს იზღვევთ. არ თხოვდებით. გეთანხმებით, ქორწინების საზოგადოებრივი ინსტიტუტი საშინელებაა. მაგრამ მე მასში გავიხლართე, თქვენ კი რაღაც შორეული, უსაფრთხო ადგილიდან ქადაგებთ.

ანამ მოლის მკაცრი სახით გახედა. მოლიმ წარბები აზიდა და ამოიოხრა.

- მერე? მერედა რა? - რიჩარდმა ლამის კეთილგანწყობით იკითხა.

- ჩვენ ამ რაღაც შორეული ადგილის უსაფრთხოებაზე ვფიქრობთ, - მიუგო ანამ მხიარულად, მისივე ტონით.

- გეყოფა, - უთხრა მოლიმ, - იცი, რა სასჯელი ელის ჩვენისთანა ქალს?

- ჰოო, - ჩაილაპარაკა რიჩარდმა, - მე ამისა არაფერი გამეგებ-ბა და საერთოდაც, რატომ უნდა ვიფიქრო ამაზე? მაგრამ მე ვიცი, რომ არსებობს ერთი პრობლემა, რომელსაც თქვენ არ იცნობთ, - წმინდა ფიზიოლოგიური პრობლემა. როგორ მიაღწიო ერექციას ქალთან, რომელიც თხუთმეტი წელია შენი ცოლია?

ეს ისე თქვა, თითქოს ძველ მეგობრებს გადაუშალა გული, თითქოს ბოლო კარტი გახსნა და ყველა პირობითობა დაივიწყა. ანამ წამიერი დუმილის მერე თქვა:

- შესაძლოა, ყველაფერი უფრო მარტივად მოგჩვენებოდა, ეს შენთვის ჩვეული საქმე რომ ყოფილიყო.

მოლი საუბარში ჩაერთო:

- შენ წმინდა ფიზიოლოგიურ პრობლემას გულისხმობ? ნუთუ მართლა? ეს ემოციური პრობლემაა. როცა დაქორწინდით, ცოლის ღალატი ძალიან ადრე დაიწყე, რადგან ემოციური პრობლემა გქონდა და არა ფიზიოლოგიური.

- კარგი ერთი, თქვენთვის, ქალებისთვის, ლაპარაკი ადვილია.

- არა, ჩვენთვის, ქალებისთვის, ლაპარაკი არაა ადვილი, მაგრამ იმდენი ჭკუა მაინც გვყოფნის, ეს სიტყვები - „ემოციური“ და „ფიზიოლოგიური“, - ისე მაინც არ ვიხმაროთ, თითქოს მათ შორის კავშირი არც არსებობდეს.

რიჩარდი სკამზე გადაიწია, გაიცინა.

- კარგი, - თქვა მან, - მართალი არა ვარ. რასაკვირველია. კარგი. მე ეს წინასწარ უნდა მცოდნოდა. მაგრამ ორივეს მინდა რაღაც გკითხოთ: მართლა ფიქრობთ, რომ მხოლოდ მე ვარ დამნაშავე? თქვენ რომ გისმინოთ, გამოდის, თითქოს ნამდვილი ბოროტმოქმედი ვარ. მაგრამ რატომ?

- ცოლი უნდა გყვარებოდა, - მარტივად აუხსნა ანამ.

- დიახ, - თავი დაუქნია მოლიმ.

- ღმერთო ჩემო, - ჩაილაპარაკა სრულიად დაბნეულმა რიჩარდმა, - ღმერთო ჩემო. კარგი, გნებდებით. იმ ყველაფრის მერე, რაც აქ გითხარით, - და გაითვალისწინეთ, ეს არ იყო ადვილი, - ბოლო სიტყვები ლამის მუქარით წარმოთქვა და სახეში სისხლმა აასხა, როცა ქალებმა ამაზე თავშეუკავებლად გადაიკისკისეს, - დიახ, არაა ადვილი ქალებთან სექსზე გულახდილად ლაპარაკი.

- ვერ წარმომიდგენია, რატომ. ის, რაც გვითხარი, მაინცდამაინც დიდი გამოცხადება და სიახლე არ ყოფილა.

- შენ ისეთი... ისეთი გაბღენძილი სახედარი ხარ, - თქვა ანამ, - ამ ყველაფერს ისე გვთავაზობ, თითქოს დიადი მისნის უკანასკნელი წინასწარმეტყველება იყოს. ნაძლევს დავდებ, რომ თავისუფლად ლაპარაკობ სექსზე შენს ჩიტუნებთან. ჩვენთან კი, რაკი ორნი ვართ, რატომ უნდა მიიღო შეთქმულის სახე და გამართო წარმოდგენა: „აი, შევიკრიბეთ ჩვენ, კაცების კლუბში“.

მოლიმ სწრაფად ჩაილაპარაკა:

- ტომიზე არაფერი გადაგვიწყვეტია.

კარს მიღმა ფხაკუნი გაისმა, რომელიც ანამ და მოლიმ გაიგონეს, რიჩარდმა კი - ვერა. რიჩარდმა თქვა:

- კარგი, ანა, ქედს ვიხრი შენი სიბრძნის წინაშე. კარგი. ახლა კი მინდა, რომ თქვენ, ორმა ქალმა, რომლებიც ყველაფერში მჯობიხართ, ერთი რაღაც გამიკეთოთ. მინდა, ტომი ჩემთან გადმოვიდეს დროებით და ერთხანს ჩემთან და მარიონთან იცხოვროს. თუკი პატივს დამდებს, ცხადია. თუ იქნებ მარიონი გულზე არ ეხატება?

მოლიმ კარს გახედა და ხმადაბლა თქვა:

- ნუ ღელავ, როცა მარიონი ჩემთან მოდის, ტომი და ის საათობით მუსაიფობენ ხოლმე.

კიდევ რაღაც ხმა მოისმა, ჩახველება თუ მსუბუქი კაკუნი. სამივე დუმდა, როცა კარი გაიღო და ოთახში ტომი შემოვიდა.

ვერაფრით მიხვდებოდი, რაიმე გაიგონა თუ არა. ჯერ მამას მიესალმა ფრთხილად: „გამარჯობა, მამა“, შემდეგ ანას დაუქნია თავი, თვალები დახარა, რომ ანას რამენაირად არ შეეხსენებინა, თუ როგორ გადაუშალა გული ბოლო შეხვედრისას ანას თანაგრძნობით აღსავსე ინტერესის საპასუხოდ, და ბოლოს, დედას მეგობრული, თუმცა კი ირონიული ღიმილი სტყორცნა. შემდეგ ზურგი შეაქცია ყველას, ჯამიდან დარჩენილი ხენდრო რომ აეღო, და იკითხა:

- მაშ, ბოლოს და ბოლოს, როგორაა მარიონი?

ესე იგი, ესმოდა. ანამ გაიფიქრა, რომ არ გაუკვირდებოდა, თუკი გაიგებდა, ტომის კართან დგომა და მიყურადება შეუძლიაო. დიახ, შეეძლო წარმოედგინა, როგორ დგას კარს უკან და აყურადებს, სახეზე კი ზუსტად ისეთივე განყენებული და ირონიული ღიმილი დასთამაშებს, რომლითაც დედას მიესალმა.

რიჩარდი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, ტომიმ კი დაჟინებით გაიმეორა:

- ჰო, როგორაა მარიონი?

- მშვენივრად, - რიჩარდმა გულიანად მიუგო, - ძალიან კარგად.

- მიხარია. თორემ გუშინ, როცა ფინჯან ყავაზე შევხვდით ერთმანეთს, მთლად კარგად ვერ იყო.

მოლიმ წარბები გაოცებით აზიდა და ყოფილ ქმარს გახედა, ანამ შუბლი ოდნავ შეიჭმუხნა, რიჩარდი კი ისე უყურებდა ორივეს, თითქოს ეუბნებოდა, ეს სიტუაცია თქვენი ბრალიაო.

ტომი, რომელიც უფროსების მზერას თვალს არიდებდა და თავისი ყოველი მოძრაობით აგრძნობინებდა, რომ სათანადოდ ვერ აფასებენ იმას, თუ რამდენად კარგად ესმის მათი ცხოვრებისეული რეალიები და რამდენად პირუთვნელად აფასებს თვით მათ, ჩამოჯდა და ხენდროს ჭამას დაგემოვნებით შეუდგა. მამას ჰგავდა, - მკვრივი, კარგად ჩამოსხმული ჯეელი იყო, მამასავით შავგვრემანი, მოლის იმპულსურობისა და სიცოცხლისა არაფერი ეცხო. მაგრამ განსხვავებით რიჩარდისგან, რომლის ჟინიანი სიმტკიცე მის შავ თვალებში ენთო და მოუთმენელ, მაგრამ მკაფიო მოძრაობაში გამოსჭვიოდა, ყველასთვის ცხადი გახლდათ, რომ ტომი იმ ადამიანს ჰგავდა, ვინც გრძნობებს გულში იმარხავს და საკუთარი მე-ს ტყვეა. იმ დილას ალისფერი სპორტული მაისური და ფართო, ლურჯი ჯინსები ეცვა, თუმცა საქმიანი კოსტიუმი უფრო მოუხდებოდა. ყოველი სიტყვა, რომელსაც წარმოთქვამდა, მისი ყოველი მოძრაობა შენელებულ კინოკადრს მოგაგონებდათ. მოლი წინათ ჩიოდა ხოლმე, რასაკვირველია, ხუმრობით, ტომის აღთქმა აქვს დადებული, ათამდე დაითვალოს, სანამ სიტყვას იტყვისო. ერთ ზაფხულს კი, როცა ტომიმ წვერი მოუშვა, ჩიოდა, ისევ ხუმრობით, იმ დარბაისელ კაცს ჰგავს, სახეზე პეწენიკი წვერი რომ მიიწებაო. მოლი ამ სახალისო და ხელოვნურ კომენტარებს მანამ აფრქვევდა, სანამ ტომიმ ერთ მშვენიერ დღეს არ უთხრა:

- კი ვიცი, გინდა, რომ შენ გგავდე, - ვგულისხმობ, შენსავით მომხიბლავი ვიყო. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მხოლოდ ხასიათით დაგემსგავსე, პირიქით კი უნდა ყოფილიყო. აი, მე რომ მემკვიდრეობით შენი გარეგნობა და მამაჩემის ხასიათი მრგებოდა, - ანდა, სულ მცირე, მისი ურყევი ძალა, უკეთესი იქნებოდა არა? - ტომიმ ეს დაიჟინა, მეტისმეტად დაიჟინა, რო-

გორც სჩვეოდა, როცა ცდილობდა დედისთვის აეხსნა რაღაც, რასაც ის შეგნებულად არ იღებდა.

მოლი რამდენიმე დღე დარდობდა ამის გამო, ანასაც კი დაურეკა.

- საშინელება არაა, ანა? ვინ წარმოიდგენდა? შენ წლების განმავლობაში რაღაცაზე ფიქრობ, როგორღაც შეეგუე კიდეც ამას და უცებ რაღაცას გეუბნებიან და ხვდები, რომ მხოლოდ შენ კი არ ფიქრობდი ამაზე.

- მაგრამ, რასაკვირველია, შენ არ გინდა, ტომი ისეთივე იყოს, როგორიც რიჩარდია?

- არა, მაგრამ ტომი მართალს ამბობს მისი ურყევი ძალის შესახებ. თან, როგორ მიუდგა ამ საკითხს: უბედურება ის არის, ხასიათით შენ რომ დაგემსგავსეო.

ტომი ხენდროს მანამ ჭამდა, - სათითაოდ იღებდა, - ვიდრე არ მოათავა. ხმას არ იღებდა, სხვებიც დუმდნენ. ისხდნენ და უსიტყვოდ შეჰყურებდნენ, როგორ ჭამდა, თითქოს მან აიძულა ასე მსხდარიყვნენ და ეცქირათ. ტომი აკურატულად და აუჩქარებლად ჭამდა. ჭამის დროს პირს ისევე ამოძრავებდა, როგორც ლაპარაკისას, - ყოველი სიტყვა - ცალკე, ხენდროს ყოველი მარცვალი - მთლიანად და ცალკე. ანას ჯიუტად შეეჭმუხნა შუბლი, ბავშვივით, საშინაო დავალების რვეულს რომ დასცქერის. ტუჩებს წინასწარ ამოძრავებდა, მოხუცებმა რომ იციან, სანამ მორიგ ლუკმას ჩაიდებენ ხოლმე პირში. „ან როგორც უსინათლოები“, - გაიფიქრა ანამ. მას ეცნო ეს მოძრაობა, ერთხელ მატარებელში უსინათლოს წინ იჯდა. ასევე მოძრაობდა მისი ტუჩებიც, რბილი, ოდნავ დაბერილი, საქმით დაკავებული. იმ ბრმას თვალებიც ისეთივე ჰქონდა, როგორიც ტომის. მაშინაც კი, როცა ვინმეს უყურებდა, გეგონებოდა, თავის თავში იმზირე-

ბაო. თუმცა, ის კაცი უსინათლო იყო. ანამ უცებ უხერხულად იგრძნო თავი, როგორც მაშინ, როცა უსინათლოს წინ იჯდა და ჩაჰყურებდა თვალებში, რომლებიც თითქოსდა თვითანალიზს დაებინდა.

ხედავდა, რომ მოლიც და რიჩარდიც იმავეს გრძნობდნენ: მოღუშულები იყვნენ, წრიალებდნენ.

„ცდილობს, დაგვაშინოს, - გაიფიქრა ანამ, - ცდილობს სამივე სასტიკად დაგვაშინოს“. და მან წარმოიდგინა, როგორ იდგა ტომი კარს მიღმა და მათ უსმენდა, შესაძლოა, დიდხანსაც; ახლა ანა ამაში დარწმუნებული იყო. თუმცა, ეს იქნებ არც იყო მართალი და იგრძნო, როგორ გააღიზიანა ამ ბიჭმა, რომელმაც თავისი სიამოვნების გამო აიძულა მსხდარიყვნენ და ეცადათ. ანა აიძულებდა თავს, გათავისუფლებულიყო იმ საოცარი ზეგავლენისა და აშკარა აკრძალვისაგან, რომელიც ტომისგან მოდიოდა. ბოლოს და ბოლოს, ეთქვა რამე, დაერღვია სიჩუმე, მაგრამ ამ დროს ტომიმ თეფში განზე გადადგა, ზედ კოვზი აკურატულად დადო და თქვა:

- თქვენ ისევ ლაპარაკობდით ჩემზე.

- რასაკვირველია, არა, - ემოციურად თქვა რიჩარდმა.

- რასაკვირველია, კი, - თქვა მოლიმ.

ტომიმ ორივეს შემწყნარებლურად გაუღიმა და რიჩარდს უთხრა:

- შენ მოხვედი, რომ შენს ერთ-ერთ კომპანიაში სამუშაო შემომთავაზო. მე ვიფიქრე ამ წინადადებაზე, როგორც მთხოვე... თუ ნებას მომცემ, უარს ვიტყვი.

- ო, ტომი, - აღმოხდა მოლის სასოწარკვეთით.

- დედა, შენ საკუთარ თავს ეწინააღმდეგები, - თქვა ტომიმ მოლისკენ მიმართული მზერით, თუმცა კი მას არ უყურებდა.

ჩვევად ჰქონდა ვინმესკენ ცქერა ისე, თითქოს ამ დროს საკუთარ თავში იყურებოდა. გამომეტყველება ჰქონდა მძიმე, თითქმის ჩლუნგი, დატვირთული მუდმივი მცდელობით, ყველასთვის მიეზღო ის, რასაც იმსახურებდნენ, - ხომ გესმის, ეს მხოლოდ სამსახურში გასვლის საკითხი არაა. ეს ნიშნავს, რომ ისევე უნდა ვიცხოვრო, როგორც ისინი ცხოვრობენ.

რიჩარდმა მკვეთრი მოძრაობა გააკეთა, ჰაერი ხმაურიანად შეისუნთქა, ტომიმ კი განაგრძო:

- და ეს არავითარი კრიტიკა არაა, მამა.

- თუ ეს არავითარი კრიტიკა არაა, მაშინ რაღაა? - იკითხა რიჩარდმა და ავის მომასწავებლად ჩაიცინა.

- ეს კრიტიკა კი არა, უბრალოდ შეფასებითი მოსაზრებაა, - გამოაცხადა მოლიმ საზეიმოდ.

- წადით თქვენი, - ჩაილაპარაკა რიჩარდმა.

ტომი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ლაპარაკს განაგრძობდა, - ოთახის იმ ნაწილს მიმართავდა, სადაც დედამისი იჯდა.

- საქმე ის არის, რომ კარგია ეს თუ ცუდი, შენ მასწავლე, მჯეროდეს რაღაც-რაღაცებისა და ახლა კი მეუბნები, ადექი და პორტმანებთან წადი სამუშაოდო. რატომ?

- იმის თქმა გინდა, - მიუგო მოლიმ საყვედურით, რომელსაც საკუთარ თავს უფრო ეუბნებოდა, - რაიმე სხვას, უკეთესს რატომ არ გთავაზობ?

- შესაძლოა, უკეთესი არც არსებობს. ეს შენი ბრალი არაა. მე არ ვამბობ, რომ შენი ბრალია.

ეს ისე რბილად, მაგრამ მომაკვდინებელი კატეგორიულობით იყო ნათქვამი, რომ მოლიმ ხმამაღლა, დაუფარავად ამოიოხრა, მხრები აიჩეჩა და ხელები გაშალა.

- წინააღმდეგი სულაც არ ვიქნებოდი ისეთი გავმხდარიყავი, როგორიც შენ და შენიანები ხართ. პრობლემა ეს არ არის. მე წლების განმავლობაში ვუსმენდი და ვუსმენდი შენს მეგობრებს და ძალიან აგერ-დაგერიათ ყველაფერი. ან თქვენ გგონიათ ასე, მაშინაც კი, როცა ასე არაა, - განაგრძო ტომიმ. დაღვრემილი ლაპარაკობდა, ყოველ სიტყვას მკაფიოდ გამოთქვამდა, - მე ამას ჩვეულებრივად ვუყურებ, თქვენი უბედურება კი ის არის, რომ ერთ მშვენიერ დღეს არ უთხარით საკუთარ თავს: „მე უნდა გავხდე ასეთი და ასეთი“. ვგულისხმობ, რომ შენც და ანასაც, ალბათ, გქონდათ მომენტი, როცა გაოცებით უთხარით თქვენს თავს: „აი, თურმე როგორი ვყოფილვარ“.

ანამ და მოლიმ ჯერ ერთმანეთს გაუღიმეს და მერე კი ტომის, - აღიარეს, მართლაც ასე იყოო.

- ჰო, კარგი, - ჩაილაპარაკა რიჩარდმა ნაძალადევი ხალისიანობით, - ეს გავარკვიეთ. თუ არ გინდა გახდე ისეთი, როგორიც ანა და მოლი არიან, შენ გაქვს ალტერნატივა.

- არა, - თქვა ტომიმ, - მე ჩემი პოზიცია ჯერ არ ჩამომიყალიბებია.

- მაგრამ რაღაც ხომ უნდა გააკეთო?! - შესძახა მოლიმ. მის ხმაში მხიარული კეთილგანწყობა კი არა, შიში იგრძნობოდა.

- მაგრამ თვითონაც ხომ არაფერს აკეთებ, - უთხრა ტომიმ ისე, თითქოს ეს აშკარა ფაქტი იყო და დამტკიცება არც სჭირდებოდა.

- მაგრამ შენ არ თქვი ამწამს, არ მინდა, თქვენ დაგემსგავსოთო?

- ის კი არ მითქვამს, რომ არ მინდა, არამედ მგონია, რომ არ შემიძლია, - ახლა ტომი მამისკენ შეტრიალდა და მოთმინებით დაუწყო ახსნა, - აი, ასე აქვთ ანასა და მოლის საქმე: არავინ ამ-

ბობს, „ანა ვულფი - მწერალი“ ანდა „მოლი ჯეიკობზი - მსახიობი“, ან თუ ამბობენ, მხოლოდ პირველი ნახვისას, გაცნობისას. ისინი არ არიან... მე მინდა ვთქვა, არ არიან ის, რასაც პროფესიულად აკეთებენ, ხოლო თუ შენთან დავიწყებ სამსახურს, მე გავხდები ის, რა თანამდებობაც მექნება. ნუთუ არ გესმის?

- მართალი გითხრა, არა.

- მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, თუკი... - ტომიმ სიტყვა გაწყვიტა, წამით დადუმდა, ტუჩები მოკუმა და მოიღუშა, - მე მიფიქრია ამაზე, რადგან ვიცოდი, ამის ახსნა მომიწევდა, - თქვა ტომიმ მორჩილად, სავსებით მზად იყო, მშობლების ყველა უსამართლო ბრალდებისგან თავი დაეცვა, - ისეთი ადამიანები, როგორიც ანა ან მოლი არიან, არასოდეს წარმოადგენენ მხოლოდ რაღაც ერთს. და ცხადია, მათ შეუძლიათ შეიცვალონ და სულ სხვა გახდნენ. არ ვამბობ, რომ ხასიათი შეეცვლებათ, მაგრამ არც რაღაც გაქვავებულ ფორმებს წარმოადგენენ. ცხადია, თუ მსოფლიოში რაღაც შეიცვლება, თუ მოხდება რევოლუცია ან კიდევ სხვა რამ... - წამით დადუმდა, მოთმინებით შეიცადა, სანამ რიჩარდმა, რომელმაც სიტყვა „რევოლუციის“ გაგონებაზე ხმაურით შეისუნთქა ჰაერი, ამოისუნთქებდა, და განაგრძო, - თუ დასჭირდებათ, შეიცვლებიან, სხვანაირი გახდებიან, შენ კი, მამა, არასოდეს გახდები სხვანაირი. შენ ყოველთვის ისე მოგიწევს ცხოვრება, როგორც ახლა ცხოვრობ. მე კიდევ ასე არ მინდა, - დაასკვნა ტომიმ და ამ ახსნა-განმარტების დასრულების მერე ტუჩები მოკუმა.

- ძალზე უბედური იქნები, - თითქმის ამოიკვნესა მოლიმ.

- ეს სხვა საკითხია, - მიუგო ტომიმ, - ბოლოს, როცა ამ თემაზე ვლაპარაკობდით, საუბარი ამ სიტყვებით დაამთავრე: „მაგრამ შენ ძალზე უბედური იქნები“, თითქოს ეს იყოს ყველაზე დიდი

საშინელება. თუკი ლაპარაკია ბედნიერებასა თუ უბედურებაზე, შენ და ანას ბედნიერ ადამიანებს ვერ გიწოდებთ, მაგრამ თქვენ გაცილებით ბედნიერი ხართ, ვიდრე მამაჩემია. მარიონზე რომ აღარაფერი ვთქვა, - ბოლო წინადადება ჩუმად ჩაილაპარაკა, მამის აშკარა დადანაშაულებით.

რიჩარდმა წყენით წამოისროლა:

- და რატომ არ გინდა გაიგო, მე და მარიონი რას ვფიქრობთ ამაზე?

ტომიმ მამას ყურადღება არც მიაქცია, ისე განაგრძო:

- რასაც ვამბობ, ალბათ, სულელურად ჟღერს. სანამ ლაპარაკს დავიწყებდი, მანამდე ვიცოდი, მიამიტი გეგონებოდით.

- რასაკვირველია, მიამიტი ხარ, - უთხრა რიჩარდმა.

- არა, მიამიტი სულაც არა ხარ, - უთხრა ანამ.

- ანა, როდესაც ჩვენი ბოლო საუბრის მერე შინ დავბრუნდი, გავიფიქრე, ანას, ალბათ, საშინლად მიამიტი ვგონივარ-მეთქი.

- არა, ეს არ მიფიქრია. საქმე ეს არაა. ეტყობა, არ გესმის, რომ გვინდა ცხოვრებაში ყველაფერი უკეთესად გამოგივიდეს, ვიდრე ჩვენ გამოგვივიდა.

- რატომ და რისთვის?

- შესაძლოა, ჩვენც შეგვიძლია შევიცვალოთ და უკეთესი გავხდეთ, - თქვა ანამ, ტომის ახალგაზრდა ასაკისადმი პატივისცემით. საკუთარ ნათქვამში ეს ინტონაცია შენიშნა, გაეცინა და დასძინა, - ტომი, ნუთუ ვერა გრძნობ, რაოდენ მკაცრად განგვსჯი?

ტომიმ პირველად როგორღაც მაინც დაამტკიცა, რომ იუმორის გრძნობა მასაც ჰქონია. ჯიქურ შეხედა ჯერ ანას, მერე დედას, გაიღიმა და თქვა:

- თქვენ გავიწყდებათ, რომ მთელი სიცოცხლე თქვენს საუბრებს ვუსმენ. მე თქვენ კარგად გიცნობთ, ასე არ არის? მართლა მგონია, რომ ზოგჯერ ბავშვურად იქცევით, მაგრამ ეს უფრო მეტად მომწონს, ვიდრე... - ფრაზა არ დაასრულა და არც მამისკენ გაუხედავს.

- ძალიან სამწუხაროა, რომ ერთხელაც არ მომეცი საშუალება ჩემი აზრი ბოლომდე გამომეთქვა, - უთხრა რიჩარდმა თითქმის გულწრფელი სინანულით, ტომი კი ამის საპასუხოდ მყისვე, ჯიუტად გაერიდა. ანას და მოლის მიმართა:

- მირჩევნია, თქვენსავით ხელმოცარული ვიყო, ვიდრე წარმატებული და ასე შემდეგ. თუმცა იმას არ ვამბობ, თითქოს ხელმოცარული მინდა გავხდე. ადამიანები ამისკენ შეგნებულად არ ისწრაფვიან ხოლმე, ასე არაა? მე ვიცი, რა არ მინდა, მაგრამ არ ვიცი, რა მინდა.

- რითი აპირებ ცხოვრებას? - იკითხა რიჩარდმა.

მოლი გაბრაზდა. არ უნდოდა, რიჩარდის დაცინვას ტომი იმ მყუდრო თავშესაფრიდან გამოეყვანა, თვითონ რომ მოუწყო, მაგრამ ტომიმ უთხრა:

- თუ დედაჩემი წინააღმდეგი არ იქნება, ერთხანს მის ხარჯზე ვიცხოვრებ. ბოლოს და ბოლოს, ფული თითქმის არ მჭირდება. და თუ დამჭირდება, ნებისმიერ მომენტში შემიძლია დავიწყო რეპეტიტორობა.

- აი, მაშინ შენი ცხოვრება უფრო პროზაული და შეზღუდული იქნება, ვიდრე ის, რომელსაც გთავაზობ, - მიუგო რიჩარდმა.

ტომი თითქოს დაიბნა.

- ეტყობა, მართლა ვერ გაიგე, რისი თქმა მინდა. ჩანს, მთლად ცხადად ვერ აგიხსენი.

- მთელ დროს კაფეში უქმად ჯდომას შეალევ, - უთხრა რიჩარდმა.

- არა. არა მგონია. შენ ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ მხოლოდ ისეთი ადამიანები მოგწონს, ვისაც ბევრი ფული აქვს.

სამივე უფროსი დადუმდა. ანა და მოლი ხმას არ იღებდნენ, რადგან ხედავდნენ, ტომის შესწევდა ძალა თავის დასაცავად. რიჩარდი კი ხმას იმიტომ არ იღებდა, ეშინოდა, შეიძლება თავი ვერ შევიკავო და ვიფეთქოო. ტომი ერთხანს დუმდა, მერე კი ჩაილაპარაკა: - იქნებ ვცადო და მწერალი გამოვიდე.

რიჩარდმა ამოიოხრა. მოლიმ თავი ძლივს შეიკავა, რაღაც რომ არ ეთქვა. ანამ კი შესძახა:

- აჰ, ტომი, და ეს ყველა იმ რჩევისა და გაფრთხილების შემდეგ, რასაც გაძლევდი!

ტომიმ სიყვარულით, მაგრამ ჯიუტად მიუგო:

- შენ გავიწყდება, ანა, რომ შენს ჩახლართულ წარმოდგენებს მწერლის ხელობაზე არ ვიზიარებ.

- რომელ ჩახლართულ წარმოდგენებს? - უმალ იკითხა მოლიმ.

ტომიმ ანას უთხრა:

- რაც მითხარი, მე ყველაფერზე ვიფიქრე.

- და რა გითხრა? - კვლავ იკითხა მოლიმ.

- ტომი, შენთან მეგობრობა საშიში რამეა, - ჩაილაპარაკა ანამ, - საკმარისია, რაღაც გითხრა და ყველაფერს მაშინვე საშინლად სერიოზულად იღებ.

- მაგრამ შენ ხომ სერიოზულად მელაპარაკებოდი?

ანამ ძლივს დასძლია სურვილი, ხუმრობით დაეძვრინა თავი და უპასუხა:

- დიახ, სერიოზულად გელაპარაკებოდი.

- ეჭვიც არ მეპარებოდა. ამიტომაც ვფიქრობდი იმაზე, რაც მითხარი. შენს სიტყვებში იყო რაღაც ქედმაღლური.

- ქედმაღლური?

- კი, ასე მგონია. ორივეჯერ, როცა შენთან შემოვიარე, ბევრი მელაპარაკე და როცა ყველაფერი შევაჯამე, რაც მითხარი, მომეჩვენა, რომ როგორღაც ქედმაღლურია. და ამაში არის რაღაც დამამცირებელი.

ამ დროს ის ორნი, რიჩარდი და მოლი, მოეშვნენ და სკამების საზურგეებს თავისუფლად მიეყრდნენ, სიგარეტიც გააბოლეს; საუბრიდან გარიცხულებმა ერთმანეთს მზერა სტყორცნეს, გაუღიმეს.

ანამ კი, რომელსაც კარგად ახსოვდა ტომის ის გულწრფელობა, რომელსაც მასთან ურთიერთობისას გრძნობდა, გადაწყვიტა, თავისი საუკეთესო მეგობრისთვის, მოლისთვის, ყურადღება არ მიექცია, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც.

- თუ ამაში დამამცირებელი რაღაც დაინახე, ესე იგი, ვერ მომიხერხებია ყველაფრის სწორად ახსნა.

- კი და მგონი, იმიტომ, რომ ადამიანებს არ ენდობი. გეშინია.

- რისი? - ჰკითხა ანამ. თავს უმწეოდ, სცენაზე გამოჭენებულივით გრძნობდა, განსაკუთრებით, რიჩარდის წინაშე. ყელი გაუშრა, თითქოს ეტკინა კიდეც, გაცივებისას რომ იცის ხოლმე.

- მარტოობის. ვიცი, სასაცილოა ამის თქმა, განსაკუთრებით, შენზე, რადგან შენ თავად ამჯობინე მარტოობა ქორწინებას, რომელსაც მხოლოდ იმიტომ არჩევენ, მარტოობას რომ გაექცნენ. მაგრამ მე სხვა რაღაცას ვგულისხმობ. შენ გეშინია ცხოვრებაზე ის წერო, რასაც ფიქრობ, რადგან შეიძლება ყველას წინაშე გაშიშვლებული, დაუცველი აღმოჩნდე, შეიძლება მარტო დარჩე.

- ოჰ, — პატარა ბავშვივით თქვა ანამ, - ასე ფიქრობ?

- კი. და თუ ეს შიში არაა, მაშინ ზიზღია. როცა პოლიტიკაზე ვლაპარაკობდით, თქვი, საშინელებაა, როცა პოლიტიკური ბელადები სიმართლეს არ გეუბნებიანო. ამბობდი, ერთი პატარა ტყუილი შეიძლება ისე გავრცელდეს, სხვადასხვაგვარი ტყუილის უზარმაზარ ჭაობად იქცეს და ყველაფერი მოწამლოსო, გახსოვს? შენ ამაზე ბევრს ლაპარაკობდი... მაშინ. პოლიტიკაზე ამბობდი. არადა, ტომები გაქვს დაწერილი, მაგრამ მხოლოდ შენთვის, თვალით არავის უნახავს. შენ ამბობდი, რომ მსოფლიოში უამრავი წიგნია მაგიდის უჯრებში გამოკეტილი, რომ ადამიანები თავიანთი თავისთვის წერენ, - იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სიმართლის წერა სახიფათო არ არის. გახსოვს, ანა? აი, ასეთ ზიზღზე ვლაპარაკობ.

ტომი სერიოზული გამომეტყველებით უმზერდა, ამავე დროს, თითქოს თავის თავსაც აყურადებდა, თუმცა კი ანას თვალებში კი არა, როგორღაც გვერდულად შეჰყურებდა. ტომიმ ახლაღა შენიშნა, როგორ გასწითლებოდა ლოყები ანას და დაძაბულიყო. მაგრამ ამ შთაბეჭდილებას მოერია და ყოყმანით ჰკითხა:

- ანა, ხომ ნამდვილად იმას ამბობდი, რასაც ფიქრობდი?

- ნამდვილად.

- მაშინ, ანა, როგორ შეგეძლო წარმოგედგინა, რომ არ ვიფიქრებდი იმაზე, რაც მითხარი?

ანამ წამით მოხუჭა თვალი, ნაძალადევად გაიღიმა.

- ეტყობა, ვერ განვსაზღვრე, რამდენად სერიოზულად მიიღებდი ჩემს ნათქვამს.

- ეს ხომ იგივეა. ის არის, რაც მწერლობაზე გითხარი, მაშ, რატომ არ უნდა მიმეღო სერიოზულად შენი ნათქვამი?

- არ ვიცოდი, თუ ანა ბოლო დროს რაღაცას წერდა, - გადაჭრით ჩაერია საუბარში მოლი.

- არ ვწერ, - სასწრაფოდ უთხრა ანამ.

- აი, ისევ, - თქვა ტომიმ, - რატომ ამბობ ამას?

- მახსოვს, რას გეუბნებოდი, რომ სასტიკი ზიზღის შეგრძნება მტანჯავს, ამაოების განცდა. იქნებ მე ამ გრძნობების გამომჟღავნება არ მინდა.

- თუკი ანა შენთვის ლიტერატურული კარიერისადმი სასტიკი ზიზღის გრძნობის ჩანერგვას ცდილობდა, - რიჩარდმა სიცილით ჩაილაპარაკა, - მაშინ მზად ვარ, ყველაფერში დავეთანხმო.

რიჩარდის სიტყვებმა იმდენად ყალბად გაიჟღერა, რომ ტომიმ მამის ნათქვამი არაფრად ჩააგდო, წამიერი დაბნეულობა არაფრით გამოხატა და უმალ ანასთან საუბარი განაგრძო:

- თუკი გრძნობ ზიზღს, ესე იგი, გრძნობ ზიზღს. რა საჭიროა თავის მოტყუება, თითქოს ასე არაა? მაგრამ შენ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობდი. მეც ვგრძნობ ამას, - ადამიანებს არ უნდათ აიღონ პასუხისმგებლობა სხვა ადამიანების წინაშე. შენ ამბობდი, რომ სოციალისტები აღარ არიან მორალური ძალა, ყოველ შემთხვევაში, ახლა, რადგან მორალურ პასუხისმგებლობას აღარ იღებენ. იშვიათი გამონაკლისის გარდა. შენ ასე თქვი, ხომ მართალია? - აი, მაშინ. მაგრამ იმ შენს რვეულებში სულ წერ და წერ, გადმოსცემ შენს აზრებს ცხოვრებაზე, მაგრამ რვეულებს მალავ და ამას პასუხისმგებლობიანი საქციელი ვერ დაერქმევა.

- ბევრი ადამიანი იტყოდა, რომ სწორედ ზიზღით გამოწვეული აზრების გავრცელება იქნებოდა უპასუხისმგებლობა. ანდა ანარქიული იდეებისა, ან ქაოსის შეგრძნებისა.

ანამ ეს ნახევრად ხუმრობით, სევდიანად, დათრგუნვილმა ჩაილაპარაკა და შეეცადა ამ თამაშში ტომიც ჩართულიყო.

ტომიმ რეაგირება მყისვე მოახდინა: თავის თავში ჩაიკეტა, უკან გადაიხარა, სკამის საზურგეს მიეყრდნო და გამომეტყვე-

ლებით მიანიშნა, რომ ანამ მოლოდინი გაუცრუა. ისიც სხვების მსგავსი ყოფილა, - სწორედ ამაზე მეტყველებდა მისი ჯიუტი პოზა, მოჩვენებითი მორჩილებით რომ იყო აღსავსე, - ერთხელაც აუცილებლად გაუცრუებდა მოლოდინს. ტომი ისევ თავის თავში ჩაბრუნდა, ჩაილაპარაკა:

- ასეა თუ ისე, მე აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ ეს მეთქვა. კიდევ რამდენიმე თვე მინდა არაფერი ვაკეთო. ბოლოს და ბოლოს, ეს გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე უნივერსიტეტში სწავლა, რასაც თქვენ მომიწოდებთ.

- საქმე ფული არ არის, - თქვა მოლიმ.

- შენ მიხვდები, რომ სწორედაც ფულია, - თქვა რიჩარდმა, - თუ გადაიფიქრებ, დამირეკე.

- ნებისმიერ შემთხვევაში დაგირეკავ, - მიუგო ტომიმ.

- გმადლობთ, - მოუჭრა რიჩარდმა და ხმაში სიმწარე გაერია. ერთი-ორი წუთი მდუმარედ იდგა, ავი ღიმილი დასთამაშებდა, ქალებს უმზერდა, - ამ დღეებში შემოგივლი, მოლი.

- როცა კი მოგესურვება, - ჩაილაპარაკა მოლიმ დამტკბარი ხმით.

რიჩარდმა ცივად დაუკრა თავი ანას, შვილს მხარზე წამით დაადო ხელი, რაზეც ტომის რეაქცია არ ჰქონია, და ოთახიდან გავიდა.

ტომი უმალ წამოდგა და თქვა:

- ჩემთან ავალ.

კარისკენ თავჩაქინდრული წავიდა, სახელური უხერხულად მოსინჯა, კარი ზუსტად იმდენზე გამოაღო, გაძრომა რომ შესძლებოდა: გეგონებოდა, ოთახიდან თავს ძალისძალად აძევებსო. გაიგონეს, როგორ ხმაურით, თანაბარი ნაბიჯებით ადიოდა კიბეზე.

- მაშ, ასე, - თქვა მოლიმ.

- მაშ, ასე, - თქვა ანამ, იცოდა, რომ მეგობარი პასუხს მოსთხოვდა.

- როგორც ვხედავ, სანამ აქ არ ვიყავი, ბევრი რამ მომხდარა.

- დავიწყოთ იმით, რომ ტომის, როგორც ჩანს, რაღაც ზედმეტი ვუთხარი.

- ან არასაკმარისად.

ანამ თავს ძალა დაატანა და ჩაილაპარაკა:

- ჰო, ვიცი, შენ გინდა მასთან შემოქმედებით პრობლემებზე ვისაუბრო და ასე შემდეგ.. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ...

მოლი უხმოდ ელოდებოდა მეგობარს, სკეპტიკურად და თან რაღაცნაირად, გულდამწვარი სიბრალულითაც კი უყურებდა.

- მე რომ ამ სიტუაციას აღვიქვამდე როგორც რაღაც შემოქმედებით პრობლემას, ყველაფერი ძალიან მარტივად იქნებოდა, არა? და ჩვენ შეგვეძლებოდა ჭკვიანურად გვესაუბრა იმაზე, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე რომანი, - ანას ხმაში ძლიერი გაღიზიანება იგრძნობოდა და ეს შთაბეჭდილება რომ შეერბილებინა, ნაძალადევად გაიღიმა.

- მაშ, რა წერია შენს დღიურებში?

- დღიურები არაა.

- რაც არის.

- ქაოსია, საქმეც ეს არის.

ხედავდა, როგორი ძალით გადააჯვარედინა მოლიმ ერთმანეთზე თავისი მსხვილი, თეთრი თითები. ხელები თითქოს ეუბნებოდნენ: „რატომ მაწვალებ ასე? მაგრამ თუ ასე გინდა, კარგი, მოვითმენ“.

- თუკი ერთი რომანი დაწერე, ვერ გამიგია, მეორე რატომ არ უნდა დაწერო, - უთხრა მოლიმ და ანამ თავი ვეღარ შეიკავა, გადაიხარხარა, მოლის კი თვალზე ცრემლი მოადგა.

- შენზე არ ვიცინი.

- უბრალოდ არ გესმის, - მიუგო მოლიმ, თან, ცდილობდა ცრემლები შეეკავებინა, - ჩემთვის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ რაღაც ახალი შეგექმნა, მაშინაც კი, როცა მე თვითონ არაფერს ვაკეთებდი.

ანამ ლამის მიახალა: „მაგრამ მე შენი გაგრძელება არა ვარ“, მაგრამ მიხვდა, რომ მსგავსი რამ მხოლოდ საკუთარი დედისთვის შეეძლო ეთქვა და ენას კბილი დააჭირა. ადრე გარდაცვლილ დედაზე ანას ბუნდოვანი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოგონება შემორჩენოდა, მაგრამ ასეთ მომენტებში ახერხებდა გონებაში იმ ვიღაც ძლიერისა და გაბატონებულის სახება აღედგინა, ვისთანაც ბრძოლა უწევდა.

- ზოგიერთ თემაზე როცა ვლაპარაკობთ, ისე ბრაზობ, არც კი ვიცი, საიდან დავიწყო, - უთხრა ანამ.

- დიახ, ვბრაზობ. ვბრაზობ ყველა ჩემს ნაცნობზე, რომლებიც ნიჭს ასამარებენ. მხოლოდ შენზე კი არა. ასეთები საკმაოდ არიან.

- სანამ აქ არ იყავი, რაღაც მოხდა, საინტერესო. გახსოვს ბეიზილ რაიანი? მხატვარი.

- როგორ არა. ვიცნობთ ერთმანეთს.

- მოკლედ, ერთ-ერთ გაზეთში განაცხადა, რომ ხატვას თავს ანებებს და თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: სამყარო იმდენად ქაოსურია, რომ ხელოვნება უადგილოაო.

სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც მანამ გაგრძელდა, სანამ ანამ მოლის თითქმის მუდარით არ უთხრა:

- შენ ხომ გესმის, რას გულისხმობდა, ასე არაა?

- არა. და მით უმეტეს, ეს შენ არ გეხება. ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ არა ხარ ერთ-ერთი იმათგანი, ვინც წვრილ-წვრილ რომანებს ჯღაბნის რაღაც პირად გრძნობებზე. შენ ხომ სინამდვილეზე წერ.

ანამ კინაღამ ისევ გაიცინა, თუმცა, მერე დაფიქრებით შენიშნა:

- იმაზე თუ გიფიქრია, რამდენად არის ის, რაზეც ახლა ვლაპარაკობთ, სხვა საუბრების გამოძახილი? შენი ეს კომენტარი კომუნისტური პარტიის რიგებში კრიტიკული განხილვების გამოძახილია, თანაც, მისი არსებობის ყველაზე ცუდი პერიოდისა. ღმერთმა უწყის, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს კომენტარი. მე ამას ვერ ვიგებ და არც არასოდეს მესმოდა. თუკი მარქსიზმი ამაში რაიმეს გულისხმობს, გულისხმობს შემდეგს: პატარა რომანი გრძნობებზე სინამდვილეს უნდა ასახავდეს, რადგან გრძნობები საზოგადოების ფუნქცია და პროდუქტია...

ანა წამით დადუმდა, მოლის გამომეტყველებამ გააჩუმა.

- მოლი, ასე ნუ მიყურებ. თვითონ მითხარი, რომ გინდა, ამაზე ვილაპარაკო, ჰოდა, მეც ვლაპარაკობ. და კიდევ, აი, რა: ეს შესანიშნავი იქნებოდა, ასეთ დეპრესიაში რომ არ გვაგდებდეს. მოკლედ, ახლა 1957 წელია, სიმშვიდე და სიწყნარეა, და ასე შემდეგ. და უეცრად ინგლისში, ხელოვნების სფეროში, ხდება ასეთი მოვლენა, რომლის გაჩენას, ეშმაკმა დალახვროს, ვერაფრით ვიფიქრებდი, - ადამიანები, თანაც ასეთები ბევრნი არიან, წამოხტებიან ხოლმე და მთელი ხმით გაჰყვირიან, თანაც ისე, თითქოს თვითონ მიხვდნენ, რომ პატარ-პატარა რომანები თუ პიესები სინამდვილეს არ ასახავენ. სინამდვილე კი, გაგიკვირდება, როცა გაიგებ, სინამდვილე კი არის ეკონომიკა ან ავ-

ტომატის ჯერი, რომლითაც ხოცავენ მათ, ვინც ახალი წესრიგის წინააღმდეგია.

- სწორედ იმიტომ, რომ თვითგამოხატვის უნარი არა მაქვს, მიმაჩნია, რომ ეს უსამართლობაა.

- ასეა თუ ისე, მე მხოლოდ ერთი რომანი დავწერე.

- დიახ, და რას იზამ, როცა ფული ამ ერთი რომანისგან აღარ შემოგივა? რომანმა გაგიმართლა, მაგრამ ოდესმე ეს ყველაფერი დასრულდება.

ანამ თავს ძალა დაატანა, არაფერი უპასუხა. ის, რაც ახლა მოლიმ უთხრა, წმინდა წყლის ბოღმა გახლდათ. ასე ვთქვათ, მიხარია, რომ შენც უნდა გამოცადო ის სირთულეები, რასაც ყველანი ვაწყდებითო. რა სამწუხაროა, ყველაფრის, ყველა წვრილმანის მიმართ ასეთი მგრძნობიარე რომ გავხდიო, გაიფიქრა ანამ. ადრე ამას ყურადღებას არ მიაქცევდა, ახლა კი ნებისმიერი შეხვედრა, ნებისმიერი ლაპარაკი დანაღმულ ველზე გასეირნებას ჰგავდა. „რატომ ვერ ვეგუები, რომ უახლოესი მეგობარიც კი დროდადრო დანას გიყრის, ღრმად, ნეკნებს შორის გიტრიალებს?“

კინაღამ ხისტად უპასუხა: „გაგიხარდება, როცა გაიგებ, რომ ჩემი რომანის შემოსავალი სულს ღაფავს და მალე იძულებული ვიქნები სამსახური ვეძებო“.

მაგრამ ნაცვლად ამისა, მოლის ნათქვამის ზედაპირულ შინაარსზე გააკეთა მახვილი, მხიარულად მიუგო:

- მართალია, ფული მალე შემომელევა და სამუშაოს პოვნა მომიწევს.

- არაფერს აკეთებდი, სანამ აქ არ ვიყავი?

- რა თქმა უნდა, ვაკეთებდი: ძალზე რთული ცხოვრებით ვიცხოვრე.

მოლიმ სკეპტიკურად გახედა და ანა დანებდა. მსუბუქად, ხუმრობის კილოთი, განზრახ საწყლად ჩაილაპარაკა:

- მძიმე წელი დამიდგა. დავიწყოთ იქიდან, რომ რიჩარდთან კინაღამ რომანი გავაჩაღე.

- ასეც მივხვდი. ეტყობა, მართლა ძალიან მძიმე წელი გქონდა, რადგან მოახერხე და რიჩარდს ამ თვალით შეხედე.

- იცი, მათთან, იქ, ზედა ეშელონებში, ანარქიის ერთობ საინტერესო ნაირსახეობა ყოფილა გამეფებული. ნამდვილად გაგიკვირდება. რატომ არასოდეს ელაპარაკები რიჩარდს მის სამუშაოზე? ძალზე უცნაურია.

- გინდა თქვა, იმიტომ დაგაინტერესა, ასეთი მდიდარი როა?

- ოჰ, მოლი, ცხადზე ცხადია, რომ არა. ხომ გითხარი, ყველაფერი ირღვევა და იმსხვრევა. იქ, ზედა ეშელონებში, აღარაფრისა აღარ სჯერათ. იმ თეთრკანიანებს მაგონებენ, ცენტრალურ აფრიკაში რომ ამბობდნენ ხოლმე: „ორმოცდაათი წლის შემდეგ შავები ზღვაში გადაგვყრიან, აბა, რას იზამენ“. ამას ხალისით ამბობდნენ, თითქოს ამის პერიფრაზი იყოს: „ვიცით, რასაც ვაკეთებთ, არასწორია“. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი გაცილებით სწრაფად უნდა მომხდარიყო და კიდეც მოხდა, ორმოცდაათი წლის შემდეგ კი არა.

- რიჩარდს მივუბრუნდეთ.

- მაშ, ასე, უმაღლესი დონის ვახშამზე დამპატიჟა. ეს შემთხვევით მოხდა. ევროპაში ალუმინის ქვაბების თუ სახეხი საშუალებების, თუ პროპელერების წარმოების საკონტროლო პაკეტი შეიძინა, თუ რაღაც ამის მსგავსი. ვახშამზე ოთხი მაგნატი და ოთხი „ცუგრუმელა“ იყო. ერთ-ერთი „ცუგრუმელა“ მე ვიყავი. სუფრას მივუჯექი და იქ მყოფები შევათვალიერე. ღმერთო, მართლა საზარელი სანახაობა იყო. უმალ ჩემი კომუნისტური შეხე-

დულებების ყველაზე პრიმიტიულ ფაზას დავუბრუნდი, - გახსოვს, როცა გგონია, რომ საკმარისია მხოლოდ გადაცხრილო ეს ნაბიჭვრები, - ასე გვეგონა, სანამ მივხვდებოდით, რომ მათი მოწინააღმდეგენი სწორედ ისეთივე უპასუხისმგებლონი არიან. მერე უბრალოდ ვიჯექი და მათ სახეებს ვაკვირდებოდი.

- ამას ჩვენ ხომ ყოველთვის ვამბობდით, - შენიშნა მოლიმ, - რა იყო შენთვის ახალი?

- უბრალოდ, ყველაფერი თავის ადგილას დადგა. თავიანთ ქალებს როგორღა ექცევიან? რა თქმა უნდა, სრულიად გაუცნობიერებლად. ჩვენ ზოგჯერ ნერვები გვეშლება, რანაირად ვცხოვრობთო, მაგრამ როგორ გაგვიმართლა, რომ ისინი, ვისთანაც ურთიერთობა გვაქვს, ნახევრად ცივილიზებულები მაინც არიან.

- რიჩარდს მივუბრუნდეთ.

- ჰო, ჰო, კარგი. ეს არ ყოფილა რაღაც მნიშვნელოვანი. უბრალოდ, შემთხვევითი ეპიზოდი იყო. შინ წამიყვანა თავისი ახალი, ძვირფასი „იაგუარით“. ყავა შევთავაზე. იშტაზე იყო მოსული. მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი, კაცმა რომ თქვას, არაფრითაა უარესი იმ იდიოტებზე, ვისთანაც აქამდე ვწოლილვარ-მეთქი.

- ანა, რა დაგემართა?

- იმის თქმა გინდა, რომ შენთვის უცნობია მორალური გამოფიტულობის ის მდგომარეობა, როცა ყველაფერი ფეხებზე გკიდია?

- იმაზე გეუბნები, როგორ ლაპარაკობ-მეთქი. ადრე ასე არ ლაპარაკობდი.

- სავსებით შესაძლებელია. მაგრამ იცი, რა მომივიდა აზრად, - თუკი თავისუფალი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ანუ ვცხოვრობთ მამაკაცებივით, მაშ, რატომ არ შეიძლება იმათ ენაზე ვილაპარაკოთ?

- იმიტომ, რომ ჩვენ მათნაირები არა ვართ. საქმეც ესაა.

ანამ გაიცინა.

- მამაკაცები. ქალები. თავისუფლები. კარგები. ცუდები. ჰო. არა. კაპიტალიზმი. სოციალიზმი. სექსი. სიყვარული...

- ანა, რა მოხდა შენსა და რიჩარდს შორის?

- არაფერი. შენ ამას მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებ. ვიჯექი, ვსვამდი ყავას, მის ჩლუნგ სიფათს ვუყურებდი და ვფიქრობდი: „მე რომ კაცი ვყოფილიყავი, ავდგებოდი და ჩავუწვებოდი ლოგინში, სავსებით შესაძლებელია, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩლუნგია“, - ანუ ის რომ ქალი ყოფილიყო, ამას ვგულისხმობ. მერე კი ისეთი მოწყენილობა ვიგრძენი, ისეთი, ისეთი. ეტყობა, მანაც იგრძნო ჩემი მოწყენილობა და გადაწყვიტა, გამოვეცოცხლებინე.

წამოდგა და მეუბნება: „მგონი, დროა, შინ წავიდე, პლეინ--ავენიუზე, სახლი ნომერი 16“, თუ რაღაც ამდაგვარი, სადაც ცხოვრობს. ელოდებოდა, რომ ვეტყოდი: „ო, არა, ამას ვერ გადავიტან, არ წახვიდე“. მოკლედ, ხომ გინახავს ერთი საწყალზე საწყალი ქმარი, ცოლითა და შვილებით ხელფეხდაბორკილი. მაგათ ყველამ ეგრე იციან. გეხვეწები, შემიბრალე, სახლში ვარ წასასვლელი, პლეინ-ავენიუ, ნომერი 16. იმ საშინელ, ყველანაირად კომფორტულ სახლში, ქალაქის ძვირად ღირებულ გარეუბანში. ერთხელ თქვა ეს. სამჯერ თქვა ეს. თითქოს იქ არ ცხოვრობდეს, თითქოს მარიონი მისი ცოლი არ იყოს, თითქოს ეს მას არც ეხებოდეს. პატარა სახლი პლეინ-ავენიუზე, ნომერი 16, და პატარა ცოლუკა.

- სინამდვილეში, ზუსტად თუ ვიტყვით, უზარმაზარი სახლია რიჩმონდში, ორი მოახლითა და სამი ავტომობილით.

- თუმცა, ხომ იცი, იქ გარეუბნის ატმოსფეროა. სწორედ ამ ატმოსფეროს აფრქვევდნენ. უცნაურია, ყველანი, მაგნატებს ვგულისხმობ, მართლა ამას აფრქვევდნენ, - პირდაპირ თვალწინ გიდგება ათასნაირი საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ბავშვები, უკვე პიჟამებში გამოწყობილები პირველ სართულზე ჩამოდიან, საყვარელ მამილოს კოცნით ძილი ნებისა რომ უსურვონ. ყველანი ნაბიჭვარი, თვითკმაყოფილი ღორები არიან, ყველანი.

- ბოზივით ლაპარაკობ, - უთხრა მოლიმ და უმალ უხერხულად გაიღიმა, რადგან თვითონვე გაუკვირდა, ეს სიტყვა რომ იხმარა.

- მართლაც უცნაურია, მაგრამ მხოლოდ ნებისყოფის უზარმაზარი დაძაბვის წყალობით ვახერხებ, რომ არ ვიგრძნო თავი იმად, რაც ახლა მითხარი. ისინი ისე ცდილობენ, - მაგრამ, რა თქმა უნდა, გაუცნობიერებლად, - რომ სწორედ ამად იგრძნო თავი, და ყოველ ჯერზე სწორედ მანდ იმარჯვებენ. კარგი. ასე იყო თუ ისე, ვუთხარი: „ღამე მშვიდობისა, რიჩარდ, ძალიან მეძინება, დიდი მადლობა, უმაღლესი დონის ცხოვრება რომ მაჩვენე“. ის კიდევ იდგა და ფიქრობდა, მეოთხედ ხომ არ ეთქვა: „აჰ, ძვირფასო, სახლში უნდა წავიდე, ჩემს საშინელ ცოლთან“. ვერ გაეგო, რატომ არ თანაუგრძნობდა ანა, ქალი, რომელსაც წარმოსახვის უნარი, ეტყობა, არ გააჩნია. შემდეგ მისი აზრები პირდაპირ წავიკითხე: „რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ინტელექტუალია, რა საწყენია, რომ მის ნაცვლად ჩემი ერთ-ერთი ქალი არ დავპატიჟე“. და მე ლოდინი დავიწყე. იცი, დგება მომენტი, როცა მათ საპასუხო დარტყმის მოყენება უნდებათ. მეუბნება: „ანა, თავს უნდა მიხედო, ათი წლით დაბერებული ჩანხარ შენს ასაკთან შედარებით, პირდაპირ თვალსა და ხელშუა ჭკნები“. აი, მაშინ კი ვუთხარი: „რიჩარდ, მე რომ მეთქვა, წამო-

დი, დავწვეთ-მეთქი, სწორედ ამწამს ხომ მეტყოდი, რომ ულამაზესი ვარ? სიმართლე კი, რასაკვირველია, სადღაც შუაშია, არა?“

მოლიმ ყურთბალიში გულში ჩაიხუტა, მაგრად მიიკრა და გაიცინა.

- მერე მეუბნება: „კი მაგრამ, ანა, შენ ხომ უნდა გცოდნოდა, რას ნიშნავს ყავაზე დაპატიჟება. მე უკვე მოწიფული მამაკაცი ვარ, - ან მაქვს ურთიერთობა ქალთან, ან არა“. აქ კი ვიგრძენი, როგორ დამღალა და ვუთხარი: „ო, რიჩარდ, წადი, თუ მიდიხარ, საშინლად მომაბეზრე თავი“... ასე რომ, მოლი, როგორც ხვდები, რიჩარდთან ჩემი დღევანდელი დატაკება გარდაუვალი იყო.

მოლიმ სიცილი მოსხიპა და თქვა:

- და მაინც, შენ და რიჩარდი, ეტყობა, ორივენი გაგიჟებულხართ.

- დიახ, - მიუგო ანამ სრულიად სერიოზულად, - დიახ, მოლი, მგონი, ცოტაღა მაკლდა.

ამის საპასუხოდ მოლი წამოდგა და სწრაფად ჩაილაპარაკა:

- წავალ, სადილს მოვამზადებ.

ანას დამნაშავესავით შეხედა, სინანულით. ანაც ადგა და უთხრა:

- თუ ასეა, სამზარეულოში წამოვალ.

- შეგვიძლია წავიჭორაოთ.

- უ-უფ, - ჩაილაპარაკა ანამ სასხვათაშორისოდ და დაამთქნარა, - რო დაფიქრდეს კაცი, აბა, რა შემიძლია ახალი გიამბო? ყველაფერი ზუსტად ისევეა, როგორც იყო.

- ერთი წლის განმავლობაში არაფერი მომხდარა? მეოცე ყრილობა. უნგრეთი. სუეცის არხის კრიზისი. და, უეჭველად,

ადამიანის სულის ბუნებრივი მოძრაობა, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა? არაფერი შეცვლილა?

მომცრო სამზარეულო თეთრად შეეღებათ და ათასგვარი ხარახურით აევსოთ, თუმცა, ყველაფერი შესაშურად მოეწესრიგებინათ. ყველაფერი ბრწყინავდა: სხვადასხვა ფერის აკურატულად ჩამწკრივებული კათხები, თეფშები და ლანგრები, და ასევე ბრწყინავდა კედელსა და ჭერზე კონდენსირებული წყლის წვეთები. ფანჯრები დაორთქლილიყო. ქურა თითქოს იბერებოდა, თუხთუხებდა, მხურვალებისგან გასკდომაზე იყო. მოლიმ ფანჯარა გამოაღო და შემწვარი ხორცის სუნი გარეთ გაიფრქვა, სველ სახურავებსა და ჭუჭყიან უკანა ეზოებს მოეფინა. მზის შუქის კაშკაშა სფერო ფრთხილად შემოსრიალდა ფანჯრის რაფაზე, მერე იატაკზე გადაინაცვლა და იქ მოკალათდა.

- ინგლისი, - თქვა მოლიმ, - ინგლისი. ამჯერად უფრო გამიჭირდა დაბრუნება. ჯერ კიდევ გემზე ვიგრძენი, რომ სასიცოცხლო ძალა მელეოდა. გუშინ მაღაზიებში დავდიოდი და შევყურებდი ამ სიმპათიურ, წესიერ სახეებს. ყველა ისეთი თავაზიანია, ისეთი რესპექტაბელური და ისეთი საზიზღრად მოსაწყენი.

მკვეთრი მოძრაობით გაიხედა ფანჯარაში და უმალ ზურგი შეაქცია.

- ჯობს, შევეგუოთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ, ისევე როგორც ყველა, ვისაც ვიცნობთ, მთელ სიცოცხლეს, ალბათ, ინგლისზე წუწუნითა და ჩივილით გავატარებთ. თუმცა, მაინც აქ ვიცხოვრებთ.

- მე, ალბათ, მალე წავალ აქედან. ხვალვე გავემგზავრებოდი, ტომი რომ არ მაკავებდეს. გუშინ თეატრში ვიყავი რეპეტიციაზე. ყველა მამაკაცი ცისფერია, ერთის გარდა, რომელიც თექვსმეტი

წლისაა. რას ვაკეთებ აქ? მთელი ის დრო, როცა ვმოგზაურობდი, ყველაფერი ბუნებრივად ხდებოდა, - მამაკაცები მექცეოდნენ როგორც ქალს და თავს მშვენივრად ვგრძნობდი. არასოდეს ვფიქრობდი ასაკზე, არასოდეს ვფიქრობდი სექსზე. რამდენიმე სასიამოვნო და სახალისო სასიყვარულო თავგადასავალი გადამხდა, არაფერი ხელოვნური და ნაძალადევი, ყველაფერი მარტივად იყო. ამ მიწაზე კი დაადგამ თუ არა ფეხს, უმალ იძაბები და საკუთარ თავს ეუბნები: „ფრთხილად იყავი, ყველა ეს მამაკაცი ინგლისელია. მცირედი გამონაკლისის გარდა“. და უმალ სქელკანიანი და სექსუალურად გაფაციცებული ხდები. რა შეიძლება იყოს კარგი ქვეყანაში, სადაც უამრავზე უამრავი გაუკუღმართებული ადამიანია?

- ერთ-ორ კვირაში შეეჩვევი.

- არ მინდა შეჩვევა. უკვე ვგრძნობ, როგორ მწიფდება ჩემში წინააღმდეგობის სურვილი. მერე კიდევ, ეს სახლი. ისევ შესაღებია. არც კი მინდა დაწყება: უნდა შევღებო, ფარდები დავკიდო. რატომ იქცევა ყველაფერი აქ მძიმე, მოსაწყენ სამუშაოდ? ევროპაში სულ სხვაა. ევროპაში ადამიანს ღამის განმავლობაში რამდენიმე საათი სძინავს და ბედნიერი იღვიძებს. აქ კი გამოიძინებ და დიდი გაჭირვებით...

- კი, კი, - ანამ სიცილით გააწყვეტინა, - დარწმუნებული ვარ, ყოველ ჯერზე, როცა საიდანმე დავბრუნდებით, ერთმანეთის წინაშე ერთი და იმავე ემოციური ტირადით გამოვალთ.

მიწის ქვეშ, სულ ახლოს, მატარებელმა ჩაიარა და სახლი შეზანზარდა.

- ჭერსაც რაღაც უნდა მოვუხერხო, - თქვა ანამ და ზევით აიხედა. ომი უკვე მთავრდებოდა, როცა სახლს ბომბი დაეცა, სახურავი ჩაინგრა და სახლი ორიოდე წელი ცარიელი იდგა, აწვიმდა

და ათოვდა. მერე გაარემონტეს. მაგრამ დღემდე, როცა მატარებელი ჩაივლიდა, ახალშეღებილ კედლებზე ბათქაში იფხვნებოდა და წვრილ-წვრილ ჭავლებად ჩამოდიოდა. ჭერს ბზარი გასდევდა.

- ჯანდაბა, - წამოისროლა მოლიმ, - ამაზე ფიქრიც კი აღარ შემიძლია, მაგრამ სხვა გზა არაა, ალბათ, მომიწევს გაკეთება. რატომაა ასე? აქ ყველა, ვისაც ვიცნობ, ცდილობს, ისე მოგაჩვენოს თავი, თითქოს ცუდი არაფერი ხდება, ცდილობს, მძიმე ტვირთი სახეგაბადრულმა ატაროს.

ცრემლი მოიწმინდა, თვალზე რომ მოადგა, და ისევ ქურასთან დაიხარა.

- იმიტომ, რომ ეს ის ქვეყანაა, რომელსაც ვიცნობთ. სხვა ქვეყნები კი ისეთი ადგილებია, რომლებზეც არ ვფიქრობთ, როდესაც იქ ვართ.

- მთლად ასე არაა და ეს შენც მოგეხსენება. ჰო, კარგი. მოდი, დროზე გადმოალაგე ახალი ამბები. ერთ წუთში სადილს გავაწყობ.

ახლა მოლის ჯერი დადგა, გამოეხატა მარტოსულობის განცდა და ის, რომ ვერ უგებენ. მოლის ხელების მოძრაობა, პათეტიკური, სტოიკური, ანას ადანაშაულებდა. ანა კი ფიქრობდა: „თუკი ახლა მხარს ავუბამ ამ განწყობას და მივიღებ მონაწილეობას დისკუსიაში სახელწოდებით „რა დაემართათ მამაკაცებს“, შინ უკვე ვეღარ წავალ, სადილად დავრჩები და მთელ დღეს მოლისთან გავატარებ. ორივენი სითბოსა და მეგობრულ სიახლოვეს ვიგრძნობთ, ყველა ბარიერი გაქრება. მაგრამ, როდესაც დავშორდებით, უეცრად მოვა უკმაყოფილება და წყენა, რადგან საბოლოოდ ჩვენ სინამდვილეში მხოლოდ მამაკაცების ერთგულნი ვართ და არა ქალებისა“...

ანა უკვე მზად იყო, ჩამომჯდარიყო და ამ განწყობას მისცემოდა, მაგრამ ასე არ მოიქცა. გაიფიქრა: „მინდა დავხურო ეს თემა: მამაკაცები vs ქალები, შევაჩერო ჩივილის, საყვედურის, ღალატის ეს ნაკადი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს უსამართლობაა. ჩვენ ცხოვრების განსაზღვრული წესი ავირჩიეთ და ვიცოდით, რომ ამის საზღაური გადასახდელი გვექნებოდა. ან, თუკი ეს მაშინ არ ვიცოდით, ახლა ხომ ვიცით, მაშ, რა საჭიროა ეს გაუთავებელი მოთქმა-ვაება... და თუ ფრთხილად არ ვიქნები, ჩემი და მოლის ურთიერთობა შინაბერა ტყუპების კლუბის დონეზე დავა, სადაც ვსხედვართ და ვამბობთ: „გახსოვს, იმ კაცმა, რა ერქვა? რა უტაქტოდ თქვა, ეს, მგონი, 1947 წელს მოხდა“...

- ჰო, მიდი, დაიწყე, - მოლიმ ანას სხარტად, მკვახედ უთხრა. ანა კი იდგა და დუმდა.

- კარგი. როგორც ვხვდები, ამხანაგებზე არ გინდა ვილაპარაკოთ.

- იტალიასა და საფრანგეთში ინტელექტუალები დღედაღამ მსჯელობენ მეოცე ყრილობასა და უნგრეთზე, შეცდომებზე, პერსპექტივებზე, იმ გაკვეთილებსა და, დასკვნებზე, რაც აქედან უნდა გამოვიტანოთ.

- რადგან ჩვენთანაც იგივე ხდება და ბევრს უკვე მოსწყინდა ეს საუბრები, ამიტომ, მოდი, ეს თემა გვერდზე გადავდოთ.

- კარგი.

- მაგრამ სამ ამხანაგზე მაინც მოგიყვები, ისე, სულ ცოტას, - სასწრაფოდ დაამატა ანამ, რადგან შენიშნა, როგორ დაიჭყანა მოლი, - მშრომელი კლასისა და პროფკავშირული მოძრაობის სამ სწორუპოვარ წარმომადგენელზე.

- ვის გულისხმობ?

- ტომ უინტერსს, ლენ კოლჰაუნს, ბობ ფოულერს.

- მაგათ, ცხადია, ვიცნობ, - მოლიმ უმალ მიუგო. ყოველთვის ყველას იცნობდა, - მერე?

- ყრილობის დაწყებამდე, როცა ჩვენს წრეებში ყველაფერი დუღდა, ყველა ხან ერთ შეთქმულებაზე ლაპარაკობდა, ხან მეორეზე, ხანაც იუგოსლავიაზე, ხანაც კიდევ რაღაცაზე, შევხვდი მათ, რომ გვემსჯელა იმაზე, რასაც ისინი, ბუნებრივია, კულტურის საკითხებს უწოდებენ. ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად. იმ პერიოდში მე და ჩემისთანები შიდაპარტიულ ბრძოლას ბევრ დროს ვუთმობდით, - რა მიამიტები ვიყავით, ვცდილობდით, ყველა დაგვერწმუნებინა, ჯობს, ვაღიაროთ, რომ რუსეთში საქმეები მართლა ცუდად მიდის-თქო, ნაცვლად იმისა, საწინააღმდეგო გვემტკიცებინა. და მოულოდნელად სამივესგან წერილები მივიღე, - რასაკვირველია, ისე დაწერეს, ერთმანეთში არ შეთანხმებულან. არც ერთმა არ იცოდა, მეორემ რომ იგივე გააკეთა. წერილები მეტად მკაცრი სულისკვეთებით გამოირჩეოდა. რომ ნებისმიერი ხმები იმის თაობაზე, თითქოს მოსკოვში ბინძური საქმეები ხდებოდა თუ ხდება, ხოლო ამხანაგმა სტალინმა თუნდაც ერთხელ დაუშვა შეცდომა, მშრომელი კლასის მტრების გავრცელებული ცილისწამებაა.

მოლიმ გაიცინა, მაგრამ მხოლოდ ზრდილობის გულისთვის; ამ ნერვზე მეტისმეტად ხშირად აჭერდნენ ხოლმე ფეხს.

- არა, საქმე ეს არაა, საქმე ის არის, რომ წერილები პრაქტიკულად იდენტური აღმოჩნდა. ერთადერთი, ხელწერას თუ არ მიაქცევდი ყურადღებას.

- ჰოო, ხელწერისთვის ყურადღება რომ არ მიგექცია, მეტისმეტად დიდი უყურადღებობა იქნებოდა.

- გასართობად საბეჭდ მანქანაზე სამივე წერილი გადავბეჭდე, თუმცა კი საკმაოდ გრძელი წერილები იყო, და წინ დავილა-

გე. ენა, სტილი, ტონი - ყველაფერი იდენტური აღმოჩნდა. ვერაფრით იტყოდი, ეს წერილი ტომმა დაწერა, ეს კი ლენმაო.

მოლიმ ნაწყენივით იკითხა:

- და ამის გამო გაიჩინე ის რვეული, თუ რაც არის, რაზეც ტომის საიდუმლოდ ებაასებოდი?

- ამის გამო კი არა, იმისთვის, რომ რაღაცას მივმხვდარიყავი. მაგრამ მოყოლა ჯერ არ დამიმთავრებია.

- კარგი, კარგი, არ გაჩქარებ.

- მერე კი ყრილობა გაიმართა და თითქმის მაშინვე მივიღე კიდევ სამი წერილი. სამივეში ისევ ისტერიული ტონი, თვითბრალდება, თვითგვემა და დანაშაულის განცდა იყო.

- და ისევ გადაბეჭდე მანქანაზე?

- ჰო და სამივე წინ ჩავიმწკრივე. სამივე შეიძლებოდა ერთი კაცის დაწერილი ყოფილიყო. ნუთუ ვერაფერს ხვდები?

- ვერაფერს. რა გინდა ამით დაამტკიცო?

- ბუნებრივია, თავში ეგრევე მოგდის კითხვა: „რომელ სტერეოტიპს მივეკუთვნები მე თვითონ? რომელი ანონიმური მთლიანობის ნაწილი ვარ?“

- მართლა? მე კი თავში არ მომდის, - ეს იგივე იყო, მოლის ეთქვა, თუ გინდა, თავი არარაობად იგრძნო, შენი ნებაა, ოღონდ მე ამ იარლიყს ნუ მომაკრავო.

ანას იმედი გაუცრუვდა, რადგან ეს აღმოჩენა და ამით გამოწვეული ფიქრები სწორედ ის იყო, რაც ყველაზე მეტად უნდოდა მოლისთვის მოეყოლა. ანამ სასწრაფოდ თქვა:

- ჰო, კარგი. მე კი ეს ძალზე საინტერესოდ მომეჩვენა. მეტი თითქმის არაფერი მომხდარა, - ეს იყო პერიოდი, რომელსაც შეიძლება დაბნეულობის ხანა ვუწოდოთ. ვიღაცებმა პარტია დატოვეს. უფრო სწორად, ყველამ დატოვა, ვინც ამისთვის ფსიქო-

ლოგიურად უკვე მზად იყო. შემდეგ, მოულოდნელად, იმავე კვირაში - და, მოლი, ეს იყო სრულიად წარმოუდგენელი, - თავისდა უნებურად ანას მეგობრის თანაგრძნობის გამოწვევა სურდა, - ზუსტად იმავე კვირაში კიდევ სამი წერილი მივიღე. ყოველგვარი ეჭვისგან დაცლილი, ხისტი და შემართული. ეს უნგრეთის ამბების შემდგომი კვირა იყო. ერთი სიტყვით, მათრახი გაატყლაშუნეს და ისინი, ვინც ეჭვით იყვნენ შეპყრობილი, თითქოს უმალ დაემორჩილნენ ბრძანებას - „სწორდით!“ ეს სამი წერილიც სავსებით იდენტური იყო, - რასაკვირველია, სიტყვების კონკრეტულ თანამიმდევრობას არ ვგულისხმობ, - დასძინა ანამ სასწრაფოდ, როცა შენიშნა, რომ მოლიმ განზრახ სკეპტიკური გამომეტყველება მიიღო, - ვგულისხმობ სტილს, ენას, როგორ იყო სიტყვები ერთმანეთთან დაკავშირებული. ის შუალედური წერილები, ისტერიკული და თვითგვემური, თითქოსდა სულაც არ არსებობდა. იცი, დარწმუნებული ვარ, რომ ტომმა, ლენმა და ბობმა მეხსიერებიდან ერთიანად ამოიშალეს, რომ საერთოდ დაწერეს ის წერილები.

- წერილები შენახული გაქვს?

- სასამართლოზე მათ გამოტანას არ ვაპირებ, თუკი ამას გულისხმობ.

მოლი იდგა, ჭიქებს ვარდისფერ-იასამნისფერზოლიანი ტილოთი წმენდდა, სინათლეზე გახედავდა და ისევ თავის ადგილას დებდა.

- მოკლედ, ისე დავიღალე, აღარ მგონია, ოდესმე ისევ ჩავეფლო ამ ყველაფერში.

- კი მაგრამ, მოლი, ჩვენ ხომ ასე ვერ მოვიქცევით? წლების განმავლობაში კომუნისტები თუ თითქმის კომუნისტები, თუ რა-

ღაც ამდაგვარი ვიყავით. ასე უცებ ხომ ვერ ვიტყვით: „ვაი, როგორ მომბეზრდა ეს ყველაფერი“.

- რაც უნდა სასაცილო იყოს, მართლა მომბეზრდა. დიახ, ვიცი, უცნაურია. ორი-სამი წლის წინ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, თუკი ყოველ თავისუფალ წუთს რაიმეს ორგანიზებას არ ვახმარდი. ახლა კი უბრალოდ დავდივარ სამსახურში, დანარჩენ დროს ვზარმაცობ, იმას ვაკეთებ, რაც მომინდება, და სულაც არ ვგრძნობ თავს დამნაშავედ. ეს ყველაფერი სულერთია ჩემთვის, ანა. უბრალოდ, სულერთია.

- მაგრამ საქმე დანაშაულის გრძნობა სულაც არ არის. რა დგას ამ ყველაფრის უკან, აი, მთავარი საკითხი, - მოლიმ არ უპასუხა, ამიტომ ანამ სწრაფად გააგრძელა, - გინდა კოლონიაზე მოგიყვე?

კოლონიას ეძახდნენ ამერიკელების ჯგუფს, რომელიც პოლიტიკური მოტივებით ლონდონში ცხოვრობდა, და არა სამშობლოში.

- ო, ღმერთო, არა. ისინიც სასტიკად მომბეზრდნენ. არა, მხოლოდ ნელსონზე მომიყევი, ესაა ერთადერთი, ვინც მათ შორის მომწონს.

- ამერიკულ შედევრს წერს. ცოლი მიატოვა. იმიტომ, რომ მეტისმეტად ნერვიული იყო. ახალი გოგო იპოვა. ძალიან კარგი. მალე დაასკვნა, რომ ისიც მეტისმეტად ნერვიულია და ცოლს დაუბრუნდა. ისევ დაასკვნა, რომ მეტისმეტად ნერვიულია და მიატოვა. ახლა ახალი გოგო იპოვა, რომელიც ჯერჯერობით არ გამხდარა მეტისმეტად ნერვიული.

- დანარჩენები?

- დანარჩენები მეტ-ნაკლებად ისევ ისე არიან.

- მაშინ, მოდი, ეს გამოვტოვოთ. მე შევხვედრივარ ამერიკელების კოლონიას რომში. საოცრად საწყალი და უბედური ხალხია.

- ჰო. კიდევ ვინ გაინტერესებს?

- შენი მეგობარი, მისტერ მატლონგი. გახსოვს, აფრიკელი?

- რა თქმა უნდა, მახსოვს. ახლა ციხეში ზის, ამიტომ ვფიქრობ, მომავალ წელს, დაახლოებით ამ დროს, უკვე პრემიერ--მინისტრი იქნება.

მოლიმ გაიცინა.

- და კიდევ, შენი მეგობარი დე სილვა.

- ის იყო ჩემი მეგობარი, - თქვა მოლიმ და ისევ გაიცინა, ანას ხმაში გაჩენილ კრიტიკულ ინტონაციას შეეწინააღმდეგა.

- მაშინ ინებე შიშველი ფაქტები, - ის ცეილონზე დაბრუნდა, არადა, მის ცოლს იქ წასვლა არ უნდოდა. მომწერა, რადგან თურმე შენ გწერდა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. მწერდა, რომ ცეილონი შესანიშნავია, პოეზიით აღსავსე, და მისი ცოლი მეორე ბავშვს ელოდება.

- მაგრამ მის ცოლს მეტი შვილი აღარ უნდოდა.

უეცრად ორივეს, მოლისა და ანას, ერთდროულად გაეცინა და მათ შორის სრული ჰარმონია დამყარდა.

- კიდევ მომწერა, რომ მოენატრა ლონდონი მისი ყველანაირი თავისუფლებით კულტურის სფეროში.

- ესე იგი, მის ჩამოსვლას დღე-დღეზე უნდა ველოდოთ.

- უკვე ჩამოვიდა, ორიოდე თვის წინ. როგორც ეტყობა, ცოლი მიატოვა. მე მისი ღირსი არა ვარო, ნიანგის ცრემლებს ღვრის, ოღონდ არცთუ ღვარღვარად, რადგან მისი ცოლი ცეილონზე ჩარჩა ორი შვილით და სრულიად უფულოდ, ასე რომ, თავს უსაფრთხოდ გრძნობს.

- შეხვდი?

- კი, - მიუგო ანამ და მიხვდა, რომ მოლის ვერ მოუყვება იმას, რაც მათ შორის მოხდა. ან რატომ უნდა მოუყვეს? მაშინ დღის დარჩენილ ნაწილს, როგორც სჩვევიათ, უთუოდ მწარე კომენტარებში გაატარებენ, ანამ კი თავს პირობა მისცა, რომ ეს არ დაეშვა.

- და შენ თვითონ როგორ ხარ, ანა?

აი, ახლა მოლიმ პირველად ჰკითხა ისე, რომ ანა მიხვდა, შეეძლო გულწრფელად ეპასუხა, და უმალ მიუგო:

- მაიკლმა მომინახულა დაახლოებით ერთი თვის წინ.

მაიკლთან ხუთი წელი იცხოვრა. მათი ურთიერთობა სამი წლის წინ შეწყდა და ეს ანას სურვილით არ მომხდარა.

- როგორ ჩაიარა თქვენმა შეხვედრამ?

- ისე, თითქოს ჩვენ შორის არაფერი მომხდარა.

- ეს გასაგებია, თქვენ ხომ ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობთ.

- ისე ეჭირა თავი... როგორ გითხრა? ისე მექცეოდა, როგორც ძველ კარგ მეგობარს. ერთ ადგილას დამპატიჟა, სადაც დიდი ხანია მინდოდა მოხვედრა. ერთ თავის კოლეგაზე მიყვებოდა. მკითხა: „გახსოვს დიკი?“ უცნაურია, რომ ვერ გაიხსენა, ვიცნობ თუ არა დიკს, არადა, იმ წლებში ისე ხშირად ვხვდებოდით. „დიკი განაში წავიდა სამუშაოდ, - მითხრა მაიკლმა, - და ცოლი თან წაიყვანა. მის საყვარელსაც უნდოდა გაჰყოლოდა. ეს საყვარლები ხომ მუდმივი თავსატეხია“, - თქვა მაიკლმა და გაიცინა. იცი, ისე გულიანად, თბილად, წრფელად. აი, რამ მატკინა გული. მერე კი საბრალო უცებ შეცბა, გაახსენდა, რომ მისი საყვარელი ვიყავი, გაწითლდა და იჯდა დამნაშავესავით გაბუსხული.

მოლის არაფერი უთქვამს. ანას ყურადღებით უმზერდა.

- მოკლედ, მგონი, სულ ესაა.

- ყველანი მაგარი ღორები არიან, - ჩაილაპარაკა მოლიმ უდარდელად, განზრახ ისეთი ტონით, რომ ანა გაეხალისებინა და გაეცინებინა.

- მოლი, - ანას ხმაში მუდარა და ტკივილი გახმიანდა.

- რა იყო? თავიდან ხომ არ დავიწყებთ ამის განხილვას? ნამდვილად აღარ არის საჭირო.

- იცი, ამაზე ბევრი ვიფიქრე. შესაძლოა, ჩვენ შეცდომა დავუშვით?

- ნუთუ მართლა? მხოლოდ ერთი?

თუმცა ანას ამაზე არ გასცინებია.

- არა. სერიოზულად გეუბნები. არა, მისმინე, სერიოზულად ვლაპარაკობ. ჩვენ ორივეს გულწრფელად გვჯეროდა იდეისა, რომ ძლიერი და უდრეკი ქალები ვართ, - არა, მისმინე, ახლავე აგიხსნი, რასაც ვგულისხმობ: აი, ოჯახი გვენგრევა, ჩვენ კი ვამბობთ, რას იზამ, ქორწინებამ არ გაგვიმართლა, სამწუხაროაო. კაცი მიგვატოვებს, ჩვენ კი ვამბობთ, საწყენია, მაგრამ არა უშავსო. შვილებს მარტონი ვზრდით, კაცების გარეშე - ვამბობთ, მერე რა მოხდა, გავქაჩავთო. მრავალი წელი კომუნისტურ პარტიაში ვიყავით, მერე კი ვთქვით, ჰოო, შეცდომა მოგვივიდა, ძალიან სამწუხაროაო.

- რა გინდა ამით თქვა? - იკითხა მოლიმ ძალზე ფრთხილად და ერთობ განყენებულად.

- ხომ არ უშვებ უმცირეს შესაძლებლობას იმისა, უბრალოდ უმცირეს შესაძლებლობას, რომ შეიძლება დაგვემართოს იმდენად ცუდი რაღაც, რის შემდეგაც ვერასოდეს ვეღარ მოვალთ გონს? რადგან როცა სიმართლეს პირდაპირ თვალებში ვუყურებ, ვხედავ, მაიკლის შემდეგ წელში ვეღარ გავიმართე. მე ჩემი

უკვე მივიღე. კი, მესმის, უნდა ვვიშვიშებდე: „ვაი-ვაი-ვაი, მიმატოვა, მიმაგდო“...და ბოლოს და ბოლოს, რა არის ხუთი წელი, წინ უნდა გავიხედო, რაღაცას მივაღწიო, რაღაც ახალს.

- მაგრამ სწორედაც ხომ ასეა: წინ რაღაც ახლისკენ.

- რატომაა, რომ ჩვენისთანები დამარცხებას არასოდეს აღიარებენ? არასოდეს. შესაძლოა, ჩვენთვისვე უკეთესი ყოფილიყო, ამას რომ ვახერხებდეთ. და ეს მხოლოდ სიყვარულსა და მამაკაცებს არ ეხება. რატომ არ შეგვიძლია ვთქვათ ამდაგვარი რამ: ჩვენ ის ადამიანები ვართ, რომლებიც ისტორიის დინებაში გარემოებათა გამო ჩათრეული აღმოვჩნდით სწორედ ასე, ძალზე ღრმად და საფუძვლიანად, - მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში, - ჩათრეული აღმოვჩნდით რაღაც დიად ოცნებაში, მაგრამ ახლა უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დიადი ოცნება დაჭკნა, ჭეშმარიტება კი სხვა რამეშია, - ჩვენგან ხეირი არასოდეს იქნება. მოლი, ბოლოს და ბოლოს, ეს რა დიდი დანაკარგია, თუკი რამდენიმე ადამიანი, განსაზღვრული ტიპის რამდენიმე ადამიანი, ამბობს, რომ მორჩა, მობეზრდათ. რატომაც არა? ეს ლამის ამპარტავნობის ტოლფასია - არ შეგეძლოს ამის აღიარება.

- ო, ანა, ეს ყველაფერი მხოლოდ მაიკლის გამოა. იქნებ სულ მალე დაგიბრუნდეს და თქვენი ურთიერთობა იმ წერტილიდან განახლდეს, სადაც შეწყდა. და თუნდაც არ დაგიბრუნდეს, ღირს კი ამის გამო წუხილი? შენ ხომ შენი მწერლობა გაქვს.

- ღმერთო ჩემო, - ჩუმად თქვა ანამ, - ღმერთო ჩემო.

ერთი წამის მერე კი თავს აიძულა, უსაფრთხო ტონს მიბრუნებოდა.

- ჰო, ეს ყველაფერი ძალიან უცნაურია... მოკლედ, შინ უნდა გავიქცე.

- მგონი, თქვი, ჯენეტი მეგობართანაა სტუმრად.

- კი, ასეა, მაგრამ სხვა საქმეები მაქვს.

ერთმანეთს ნაჩქარევად აკოცეს. ისეთი გრძნობით, თითქოს ვერ მოახერხეს ხეირიანად შეხვედრა, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, - ეს იყო სწრაფი, გულითადი, შეიძლება ითქვას, ხუმრობანარევი ხელის ჩამორთმევა. ანა ქუჩაში გავიდა და სახლისკენ გაემართა. მოლისგან რამდენიმე წუთის სავალზე ცხოვრობდა, ერლზ-კორტზე. სანამ თავის ქუჩაზე გადაუხვევდა, მხედველობა მექანიკურად „გათიშა“. ამ ქუჩაზე კი არ ცხოვრობდა ან რომელიმე სახლში, არამედ ცხოვრობდა კონკრეტულ ბინაში: მხედველობას არ მისცემს უფლებას, ამუშავდეს, სანამ საკუთარი ბინის კარს შიგნიდან არ ჩაკეტავს.

მის ბინას ზედა ორი სართული ეკავა: ხუთი დიდი ოთახისგან შედგებოდა, ორი - ქვემოთ და სამი - ზემოთ. ოთხი წლის წინ მაიკლმა დაარწმუნა, საკუთარ ბინაში გადასულიყო საცხოვრებლად. ეუბნებოდა, რომ მოლისთან ცხოვრება, მუდმივად „უფროსი დის“ მფარველობაში ყოფნა, არ არგებდა. როცა ანამ დაიჩივლა, ამის საშუალება არა მაქვსო, ურჩია, ერთი ოთახი გაექირავებინა. ანა მართლაც გადავიდა და წარმოიდგინა, როგორ იცხოვრებდნენ იქ ერთად, მაგრამ მაიკლმა ძალიან მალე მიატოვა. ანა ერთხანს იმ სქემის მიხედვით ცხოვრობდა, რომელიც მაიკლმა დაუსახა. ერთ დიდ ოთახს ორი სტუდენტი ქირაობდა, მეორეში მისი ქალიშვილი ცხოვრობდა, მისი საძინებელი და სასტუმრო ოთახი კი მისთვისა და მაიკლისთვის იყო განკუთვნილი. ერთ-ერთი სტუდენტი წავიდა, მაგრამ ანამ შემცვლელის ძებნით თავი აღარ შეიწუხა. საძინებელი, სადაც მაიკლთან ერთად უნდა ეცხოვრა, შესძულდა, ამიტომ ქვემოთ, სასტუმრო ოთახში გადაბარგდა, სადაც ეძინა და რვეულებში ჩანაწერებს

აკეთებდა. ერთი უელსელი სტუდენტი კი კვლავაც ცხოვრობდა ზემოთ.

ზოგჯერ ანა გაიფიქრებდა, რომ ვიღაცას შეეძლო ეთქვა, ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრობსო, მაგრამ ის სტუდენტი ჰომოსექსუალისტი იყო და ამიტომ მისი ყოფნა ბინაში უხერხულობას არ უქმნიდა. თითქმის ვერც ხედავდნენ ერთმანეთს. სანამ ჯენეტი სკოლაში იყო, რამდენიმე კვარტალის დაშორებით, ანა თავისი საქმეებით იყო დაკავებული, როცა ჯენეტი ბრუნდებოდა, ანა დარჩენილ დროს მასთან ატარებდა. კვირაში ერთხელ ბინის დასალაგებლად ერთი ხნიერი ქალი მოდიოდა. დროდადრო, ხანდახან, ანას თავისი ერთადერთი რომანის - „ომის საზღვრების“ - გაყიდვით ფული შესდიოდა. წიგნი კარგა დიდი ხნის წინ იყო ბესტსელერი, თუმცა, ჯერ კიდევ მოჰქონდა შემოსავალი. მართალია, მცირე, მაგრამ სამყოფი იმისთვის, რომ ანასა და მის ქალიშვილს როგორღაც თავი გაეტანათ. ბინა სიმპათიური იყო, ღია ფერის იატაკით. ბალუსტრადა და კიბის მოაჯირი წითელი შპალერის ფონზე არშიასავით მოჩანდა.

ასე ჰქონდა ცხოვრება აწყობილი. მაგრამ ნამდვილი ანა მხოლოდ მაშინ იყო, როცა თავის დიდ ოთახში მარტო რჩებოდა. ოთახი გრძელი იყო, მაგრამ მის სიღრმეში მდგარი ვიწრო საწოლი ოდნავ აპატარავებდა. საწოლის გვერდით წიგნებისა და ქაღალდის დასტები ეწყო, იქვე იდგა ტელეფონი. ოთახს სამი მაღალი ფანჯარა ჰქონდა. ოთახის ბოლოში, ბუხართან, საწერი მაგიდა იდგა, ზედ - საბეჭდი მანქანა. იქ ანა წერილებს და ზოგჯერ, არცთუ ხშირად, რეცენზიებსა და სტატიებს წერდა. ოთახის მეორე ბოლოში შავად შეღებილი გრძელი სამუშაო მაგიდა იდგა. მის უჯრაში ოთხი რვეული ინახებოდა. მაგიდის ზედაპირზე

მუდამ სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. კედლები და ჭერი თეთრი იყო, თუმცა, ლონდონის მრუმე ჰაერისგან ოდნავ გამუქებული. იატაკი შავად იყო შეღებილი. საწოლს გრძელი, შავი გადასაფარებელი ეხურა. გრძელი ფარდები ბაცი წითელი ფერისა იყო.

ანა ერთი ფანჯრიდან მეორისკენ აუჩქარებლად ინაცვლებდა, თვალს ადევნებდა მზის მიმქრალი შუქის ანცობას, რომელსაც ვერაფრით ჩაეღწია ტროტუარამდე - მაღალ ვიქტორიანულ სახლებს შორის ვიწრო ნაპრალამდე. ფანჯრებზე ფარდები ჩამოაფარა, — სიამოვნებით უსმენდა ხმას, რომელსაც ლავგარდანზე მოძრაობისას გამოსცემდნენ გორგოლაჭები, და ხმას, რომელიც თვით მძიმე აბრეშუმის ქსოვილს ნაზად გაჰქონდა, - შრ-შრ-შრ, - როცა ერთმანეთს ეხებოდა და ფაქიზ ნაკეცებს ქმნიდა. დიდი სამუშაო მაგიდის თავზე შუქი აანთო. მაგიდის შავი გლუვი ზედაპირი ალაპლაპდა - ფარდების წითელ გამონაშუქს ირეკლავდა. ანამ ერთიმეორის მიყოლებით ამოიღო ოთხი რვეული და მაგიდაზე ერთრიგად, ხაზზე გაამწკრივა.

ამას ძველმოდურ მბრუნავ ტაბურეტზე მჯდომი აკეთებდა, ახლა მეტისმეტად მაღლა რომ ჰქონდა აწეული, ლამის მაგიდის დონეზე. ანა იჯდა და ოთხ რვეულს ისე დაჰყურებდა, თითქოს გენერალი ყოფილიყოს, რომელიც მაღლობზე დგას და თავის ჯარს უმზერს - დაბლობზე, მთის ძირას, როგორ ეწყობა და ემზადება ბრძოლისათვის.

რვეულები - შავი რვეული

(ოთხივე რვეული ერთნაირი იყო, კვადრატული, სიგანეში - დაახლოებით თვრამეტი დუიმი, პრიალა ყდებით, რომელთა ფაქტურა იაფფასიან მუარს მოგაგონებდათ, მაგრამ ფერით განსხვავდებოდნენ: როდესაც რვეულები გადაშლილი იყო და პირველი ოთხი გვერდი მოჩანდა, ცხადი ხდებოდა, რომ წესრიგი იქ ერთბაშად არ დამყარებულა. თითოეულ მათგანში პირველი ორი გვერდი ნაჯღაბნითა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით იყო სავსე. შემდეგ ჩნდებოდა სათაური, თითქოსდა ანამ საკუთარი თავი მექანიკურად დაყო ოთხ ნაწილად და მერე, იმის ბუნებიდან გამომდინარე, რაც დაწერა, ყოველ ნაწილს საკუთარი სახელი მიანიჭა. და ასეც მოხდა სინამდვილეში. პირველი, შავი რვეული, იწყებოდა პატარ-პატარა ჩანახატებით, სანოტო ნიშნებით, რომლებიც მთელ გვერდზე მიმობნეულიყო ვიოლინოს გასაღებებად და რომლებიც ნელ-ნელა £ ნიშნად გარდაიქმნებოდნენ, მერე კი ისევ ვიოლინოს გასაღებებად; შემდეგ მოდიოდა ერთმანეთზე გადაბმული წრეწირებისგან შედგენილი ჩახლართული ქარაგმა, რასაც მოსდევდა სიტყვები:

შავი

ბნელა, როგორ ბნელა

ბნელა

აქ რაღაც წყვდიადია

(შემდეგ ხელწერა იცვლება, თითქოს დამფრთხალი ხელით არისო ნაწერი)

ყოველ ჯერზე, როცა ვჯდები საწერად და გონებას თავის ნებაზე მივუშვებ ხოლმე, ჩნდება სიტყვები „როგორ ბნელა“ ან

რაიმე, სიბნელესთან დაკავშირებული. ძრწოლა. ამ ქალაქის ძრწოლა. მარტოდ დარჩენის შიში. მხოლოდ ერთი რამ მაკავებს, რომ არ წამოვხტე და ყვირილი არ დავიწყო, არ ვეცე ტელეფონს და ვინმეს არ დავურეკო, - თავს ვაიძულებ წარმოსახვით იმ მხურვალე ნათელში დავბრუნდე... თეთრი სინათლე, თეთრი, დახუჭული თვალები, წითელი სინათლე გუგებს წვავს. გრანიტის კლდის ხორკლიანი, მფეთქავი მხურვალება. ხელს ვაჭერ ხავსს, ხელი ხავსურაზე მისრიალებს. ხორკლიანი ხავსურა, წვრილ-წვრილი, როგორც ერთი ციცქნა ცხოველის ყურები. ხელისგულქვეშ თბილი ხორკლიანი აბრეშუმი ჯიუტად ცდილობს ჩემი კანის მშრალ ფორებში შეღწევას. და სიცხე. და მზის სურნელი, ქვა რომ გაახურა. სიმშრალეა და ცხელა, ქვიშის თხელი აბრეშუმი ჩემს ლოყაზე, მზის სურნელი რომ ასდის. მზე. ლიტერატურული აგენტის წერილები რომანის თაობაზე. ყოველ ჯერზე, როცა ასეთ წერილს ვიღებ, სიცილი მინდება, - ეს ზიზღის სიცილია. უგვანი სიცილი, უძლურების, თვითგვემის სიცილი. არარეალური წერილები, როცა ვფიქრობ გრანიტის ფორებიან კლდეზე, ლოყაზე, გახურებულ ქვას რომ ეკვრის, წითელ სინათლეზე ჩემს ქუთუთოებში. სადილი აგენტთან. არარეალურია - რომანი სულ უფრო და უფრო ემსგავსება რაღაც არსებას, რომელიც საკუთარი, ჩემგან დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს. წიგნი „ომის საზღვრები“ მე აღარ მეხება - ის სხვა ადამიანების საკუთრებად იქცა. აგენტმა მითხრა, ფილმი გადავიღოთო. მე ვუთხარი - „არა“. აგენტმა მოთმინება გამოიჩინა, მისი საქმე მოთმინებაა.

(აქ მიწერილია თარიღი: 1951)

(1952) კინოსტუდიის წარმომადგენელთან ერთად ვისადილე. განვიხილეთ მსახიობთა შემადგენლობა „საზღვრების-

თვის“. იმდენად წარმოუდგენელია, რომ კინაღამ გამეცინა. ვუთხარი - „არა“. აღმოვაჩინე, რომ ნელ-ნელა ამ ყველაფერში მითრევენ. მაშინვე წამოვდექი და საუბარი მოვსხიპე, არადა, თავი იმაზე დავიჭირე, რომ გონებაში უკვე ვხედავდი სიტყვებს „ომის საზღვრები“, რომლებიც კინოთეატრის თავზე კაშკაშებენ. თუმცა, კინოსტუდიის წარმომადგენელს, რასაკვირველია, უნდა ფილმს „აკრძალული სიყვარული“ ერქვას.

(1953) მთელი დილა ვცდილობდი, გამეხსენებინა და წარმომედგინა ჩემი თავი, როგორ ვზივარ ხეებქვეშ ვლეიზე, „მაშოპის“ ახლოს. ვერ მოვახერხე.

აქ ჩნდება სათაური თუ რვეულის სახელწოდება:

ბნელი

გვერდი შუაზეა გაყოფილი აკურატული ვერტიკალური ხაზით, დანაყოფები დასათაურებულია:

წყაროფული

მარცხენა ნახევარზე იყო ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებები, მოგონებები, ფურცელზე დაკრული, სამხრეთ აფრიკიდან გამოგზავნილი მეგობრების წერილები; მარჯვნივ - აღნუსხული იყო „ომის საზღვრებისგან“ მიღებული თანხები, ჰონორარები, რომლებიც თარგმანებში გადაუხადეს, ცნობები საქმიანი შეხვედრების შესახებ და ასე შემდეგ.

რამდენიმე გვერდის შემდეგ ჩანაწერები მარცხენა ნახევარზე გაქრა. სამი წლის განმავლობაში შავ რვეულში არაფერი ჩაწერილა, გარდა საქმიანი და პრაქტიკული ცნობებისა, რომლებმაც, როგორც ჩანს, თანდათან განდევნეს სამხრეთ აფრიკაზე მოგონებანი. ჩანაწერები განახლდა მარცხენა მხარეს, მანქანაზე გადაბეჭდილი, მანიფესტის მსგავსი ტექსტის გასწვრივ, ტექსტისა, რომელიც რვეულის ერთ-ერთ გვერდზე იყო დაწებებუ-

ლი. ეს იყო მოკლე შინაარსი წიგნისა „ომის საზღვრები“, რომელსაც ახლა „აკრძალული სიყვარული“ ერქვა. ანამ ის დიდი ირონიით დაწერა, როგორც ხუმრობა, და კინოსტუდიამ აგენტის პირით შემოუთვალა, რომ მოეწონა.

ნიჭიერ ახალგაზრდას, პიტერ კარეის, რომლის წარჩინებული სწავლა ოქსფორდის უნივერსიტეტში მეორე მსოფლიო ომის გამო შეწყდა, გაგზავნიან სამხრეთ აფრიკაში, სადაც სხვა ჭაბუკებთან ერთად, ვინც სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების ლურჯი მუნდირი მოირგო, საფრენოსნო მომზადებას გაივლის. იდეალისტი, მხურვალე გულის პატრონი პიტერი, რომლისთვისაც უცხოა გულგრილობა, შეძრულია ადამიანის კანის ფერით განპირობებული იმ თავაშვებული წესებითა და ურთიერთობებით, რაც სუფევს პატარა ქალაქში, სადაც მოხვდა. მაგრამ ჭაბუკს ჩაითრევს ბობოქარი მაღალი საზოგადოების მსგავსი ცხოვრება ადგილობრივი მემარცხენეებისა, რომლებიც მის გულუბრყვილო ახალგაზრდულ რადიკალიზმს ბოროტად იყენებენ. სადაგ დღეებში ისინი ბჭობენ უსამართლობაზე, შავკანიანებს რომ ატეხენ თავს, შაბათ-კვირას კი მიემგზავრებიან ქალაქგარეთ, კოლორიტულ სასტუმროში, ჯონ ბულის მსგავს ვინმე ბუთბისა და მის სიმპათიურ ცოლს რომ ეკუთვნით და რომელთა ნორჩსა და მომხიბლავ ქალიშვილს პიტერი შეუყვარდება. ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი წინდაუხედაობით პიტერი მას საპასუხო გრძნობის იმედს ჩაუსახავს; ამ დროს კი მისის ბუთბის გულში, რომელიც სმისა და ფულის მოყვარულ ქმარს უყურადღებოდ ჰყავს მიგდებული, მშვენიერი ახალგაზრდა კაცის ძლიერი სიყვარული იღვიძებს. პიტერი, რომელსაც მემარცხენეთა ორგიები ზიზღს ჰგვრის, უკავშირდება ადგილობრივ აქტივისტ აფრიკელებს, რომელთა წინამძღოლი სასტუმრო-

ში მზარეულად მუშაობს. პიტერს შეუყვარდება მზარეულის ცოლი, რომელიც პოლიტიკაზე გადაგებული ქმრისგან სათანადო ყურადღებას ვერ იღებს, მაგრამ მისი სიყვარული უხეშად ეწინააღმდეგება თეთრკანიანი მოსახლეების ტაბუს თუ წეს-ჩვეულებებს. მისის ბუთბი შემთხვევით მოწმე ხდება მათი რომანტიკული პაემნისა და ეჭვიანობით გაგიჟებული შეყვარებულებს სამხედრო-საჰაერო ძალების ადგილობრივი ბანაკის ხელმძღვანელობასთან დაასმენს. მას დაჰპირდებიან, რომ პიტერს კოლონიიდან გააძევებენ. მისის ბუთბი ყველაფერს უამბობს თავის ქალიშვილს და ვერც კი აცნობიერებს, რა ამოძრავებს, - ეს კი არის სურვილი, დაამციროს უმანკო ასული, რაკი პიტერმა ის აირჩია და რომელიც დაასნეულა უმძიმესმა შეურაცხყოფამ, თეთრკანიანი ქალიშვილის სიამაყეს რომ მიაყენეს. და დედასთან უმძიმესი საუბრის დროს, როცა ის გაშმაგებით უყვირის: „შენ ისიც კი ვერ მოახერხე, რომ მოსწონებოდი! შავ, ბინძურ ქალში გაგცვალა!“, ქალიშვილი აცხადებს, რომ სახლიდან წავა. მზარეული, რომელსაც მისის ბუთბიმ ცოლის ღალატის ამბავი აცნობა, ქალს გააგდებს, მშობლების სახლში დაბრუნებას უბრძანებს. მაგრამ იგი, სიამაყით აღსავსე, ქმარს არ უჯერებს, უახლოეს ქალაქში მიდის და გამოსავალს ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებით პოულობს, - მეძავი ხდება. პიტერის გული განგმირულია, დაიმსხვრა ყველა ოცნება, განქარდა ყველა ილუზია. კოლონიაში ყოფნის ბოლო დღეს გაილეშება და შემთხვევით გადაეყრება თავის შავკანიან შეყვარებულს გზისპირა ჭუჭყიან დუქანში. ღამეს ერთად გაატარებენ, ჩახუტებულები, ერთადერთ ადგილას, სადაც შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს თეთრკანიანი და შავკანიანი - იმ საროსკიპოში, მდინარის პირას რომ დგას და მღვრიე ტალღებს მდორედ მიაგორებს. ამ

უცოდველსა და უმწიკვლო სიყვარულს, რომელიც იმ საზოგადოების არაადამიანურმა და სასტიკმა კანონებმა დაარღვია, მომავალი არა აქვს. შეყვარებულები გულის ამაჩუყებლად ოცნებობენ, თუ როგორ შეხვდებიან ერთმანეთს ინგლისში, როცა ომი დასრულდება, მაგრამ ორივე ხვდება, რომ ეს მხოლოდ თავის მოტყუების, ნუგეშისცემის უსუსური ცდაა. დილით პიტერი ემშვიდობება ადგილობრივ „პროგრესულად მოაზროვნეებს“ და მის ალალ, ყმაწვილკაცურ თვალებში ნათლად იკითხება ზიზღი. ამ დროს მისი შავკანიანი შეყვარებული ბაქნის მეორე ბოლოს მორიდებით დგას ბრბოში, რომელსაც მასავით მუქი კანი აქვს. როცა ორთქლმავალი დაუსტვენს და ორთქლის პირველ ბოლქვს გამოუშვებს, ხელს დაუქნევს, მაგრამ პიტერი მას ვერ ხედავს; მის მზერაში უკვე ირეკლება სიკვდილის წინათგრძნობა, მას რომ ელის - იგი ხომ მფრინავი-ასია! ქალიშვილი თავის ბნელ ქალაქში ბრუნდება, სადაც ვიღაც მამაკაცთან ხელკავგამოდებული მიდის ქუჩაში და ურცხვად კისკისებს, როგორმე გულში რომ ჩაიკლას უსასტიკესი დამცირება.

(ამის მოპირდაპირე მხარეს ეწერა)

სასცენარო განყოფილების წარმომადგენელს ეს ტექსტი ძალზე მოეწონა და დაიწყო ჩემთან ერთად მსჯელობა, თუ როგორ შეიძლება სიუჟეტი ისე გადაკეთდეს, რომ „ბობოლებისთვის“ ნაკლებად საწყენი იყოს. მაგალითად, მთავარი მოქმედი პირი მზარეულის მოღალატე ცოლი კი არ უნდა იყოს, რადგან ამ შემთხვევაში მისი სახე ნაკლებად მიმზიდველი იქნება, არამედ ჯობს, მისი ქალიშვილი იყოსო.

ვუთხარი, რომ პაროდია დავწერე, რაზეც ერთწუთიანი დაბნეული პაუზის შემდეგ გაიცინა. ვუყურებდი, როგორ იფარებდა სახეზე კეთილგანწყობილი მოთმინების ტლანქ ნიღაბს, რომე-

ლიც ამჟამად მანკიერების ნიღბადაა ქცეული (მაგალითად, ამ-ხანაგმა იქსმა, როდესაც შევიტყვეთ სტალინურ ბანაკში სამი ბრიტანელი კომუნისტის სიკვდილით დასჯის ამბავი, ზუსტად ასეთი გამომეტყველება მიიღო, სანამ განაცხადებდა: „რას იზამ, ჩვენ არასოდეს ვითვალისწინებდით ადამიანის ბუნებას“), და თქვა:

- მაშ, ასე, მის ვულფ, თქვენ უკვე გესმით, რომ როცა ეშმაკ-თან გიწევს ვახშმობა, კოვზი არა მარტო ძალიან გრძელი უნდა გქონდეს, არამედ აზბესტისგან გაკეთებულიც. თქვენი სინოფსი-სი შესანიშნავია, სწორედ ისეა დაწერილი, როგორც საჭიროა.

როდესაც დავიჯღანე, სცენარისტმა გაჭირვებით შეიკავა თავი და მკითხა, - რასაკვირველია მოთმინებით, დაუღალავად მოღი-მარმა, - ხომ არ დავეთანხმებოდი იმ აზრს, რომ კარგი ფილმე-ბი, კინოინდუსტრიის ყველა ნაკლის მიუხედავად, მაინც იქმნე-ბა.

- და კარგი პროგრესული ქვეტექსტის მქონე ფილმებიც კი, მის ვულფ, ასე არაა?

აღფრთოვანდა, რომ მოახერხა და იპოვა ფორმულირება, რომელიც გარანტირებულად ჩამითრევდა ამ საქმეში. აშკარად ეტყობოდა, როგორ შეჰხაროდა თავის თავს და თანაც, ცინიკუ-რი სისასტიკით იყო აღსავსე. შინ დავბრუნდი, ვაცნობიერებდი, რომ ზიზღის შეგრძნება ამჯერად ჩვეულებრივზე გაცილებით უფ-რო ძლიერი მქონდა, ამიტომ დავჯექი და თავს ვაიძულე, გადა-მეკითხა რომანი, პირველად იმ დღიდან, რაც გამოიცა. ისე, თითქოს სხვისი დაწერილი ყოფილიყოს. ჩემთვის რომ ეთხო-ვათ მასზე რეცენზია დამეწერა მაშინ, როცა გამოქვეყნდა, 1951 წელს, აი, რას დავწერდი:

„პირველი რომანი, რომლის ავტორი ნამდვილ, თუმცა კი მეორეხარისხოვანი მასშტაბის ნიჭს ამჟღავნებს. მოქმედების ადგილის სიახლე: პატარა, რკინიგზის ხაზთან მდებარე ქალაქი როდეზიაში, რომლის ცხოვრებას ფესვებმოკლებული და ანგარებით შეპყრობილი თეთრკანიანი კოლონისტებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა - ღარიბ-ღატაკი პირქუში აფრიკელების - ურთიერთდაპირისპირება განსაზღვრავს; სიუჟეტის სიახლე: სიუჟეტის ორიგინალურობას, კოლონიაში შემთხვევით მოხვედრილი ახალგაზრდა ინგლისელის სიყვარულის ამბავს, ამცრობს ის, რომ თემა არ არის ახალი და ძალზე სქემატურადაა გახსნილი. ანა ვულფის, როგორც მწერლის, ღირსება მისი სტილის სიმარტივეშია, მაგრამ ჯერ ძალზე ადრეა იმაზე ლაპარაკი, ეს სიმარტივე გაცნობიერებული მხატვრული ხერხია თუ ფორმის მოჩვენებითი სიმძაფრე, რომელიც ზოგჯერ უნებურად მიიღწევა, იმის ხარჯზე, რომ ავტორი უფლებას აძლევს რომანს მოქმედება ძლიერი გრძნობის კარნახით განვითარდეს“.

მაგრამ 1954 წელს რეცენზია უკვე ასეთი იქნებოდა:

„რომანების ნაკადი, რომლებშიც მოქმედება აფრიკაში ხდება, არა და არ კლებულობს. რომანი „ომის საზღვრები“ პროფესიონალურად არის დაწერილი, გამოირჩევა საკმაოდ შთამბეჭდავი და ღრმა ფსიქოლოგიური წიაღსვლებით, ერთობ მელოდრამატული სექსუალური ურთიერთობების თანხლებით. თუმცაღა, რაიმე ახლის თქმა შავებისა და თეთრების კონფლიქტზე, არაა ადვილი საქმე. რასობრივი დისკრიმინაციის, სისასტიკისა და სიძულვილის პრობლემები ჩვენს ლიტერატურაში ერთ-ერთი კარგად დამუშავებული თემაა. ყველაზე საინტერესო შთაბეჭდილება, რაც კი გიჩნდება, როცა კითხულობ ამ რეპორტაჟს რასობრივი ომის წინა ხაზიდან, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: რა

არის მიზეზი იმისა, რომ ჩაგვრა და დაძაბულობა, რომელიც აფრიკაში თეთრკანიანი მოსახლეების გამო ხდება და რომელიც უკვე არაერთი ათეული წელია მეტ-ნაკლებად უცვლელი ფორმით არსებობს, მხოლოდ ახლა, ორმოციან-ორმოცდაათიანი წლების ბოლოს გახდა მხატვრული გაცნობიერებისა და ხორცშესხმის ობიექტი? ჩვენ რომ შეგვეძლოს ვიპოვოთ პასუხი ამ კითხვაზე, უკეთ შევძლებდით, გაგვეცნობიერებინა ურთიერთდამოკიდებულება ტალანტსა და საზოგადოებას შორის მას რომ წარმოშობს, ხელოვნებასა და იმ დაპირისპირებას შორის, მას რომ ასაზრდოებს. ანა ვულფის რომანი წარმოშვა გრძნობამ, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე მხოლოდ უსამართლობით აღშფოთება: კარგია, თუმცა, დღეს ეს უკვე აშკარად აღარ არის საკმარისი“...

როდესაც სამი თვის განმავლობაში წიგნების მიმოხილვებს ვწერდი და კვირაში ათ და მეტ წიგნს ვკითხულობდი, აღმოვაჩინე: ინტერესს, რომლითაც ვკითხულობდი ამ წიგნებს, საერთო არაფერი ჰქონდა იმასთან, რასაც ვგრძნობდი, ვთქვათ, როცა ვკითხულობდი თომას მანს, უკანასკნელ მწერალს ამ სიტყვის ძველი გაგებით, რომელიც რომანს იმისთვის იყენებდა, რომ ცხოვრებაზე ფილოსოფიურად ემსჯელა. საქმე ის არის, რომ მხატვრული რომანის მიზანდასახულობა, როგორც ჩანს, იცვლება, ის ჟურნალისტიკის ავანპოსტი ხდება; ჩვენ ვკითხულობთ რომანებს ცხოვრების იმ სფეროებზე ინფორმაციის მისაღებად, რომლებსაც არ ვიცნობთ, - ნიგერიაზე, სამხრეთ აფრიკაზე, აშშ-ის არმიაზე, მაღაროელთა დასახლებაზე, მაღალი საზოგადოების ცხოვრებაზე ჩელსიში და ასე შემდეგ. ჩვენ ვკითხულობთ იმისთვის, რომ გავიგოთ, რა ხდება. მხოლოდ ერთ რომანს ხუთასიდან ან ათასიდან აქვს ის თვისება, რომელიც რო-

მანს რომანად აქცევს, - ფილოსოფიურობის თვისება. ვაცნობიერებ, რომ რომანების უმეტესობას იმავე ცნობისმოყვარეობით ვკითხულობ, რომლითაც რეპორტაჟების თემატურ ნაკრებს. რომანების უმრავლესობა, რომლებსაც ოდნავი წარმატება მაინც აქვთ, საინტერესო არიან იმ გაგებით, რომ გვამცნობენ რაღაც სფეროს არსებობას საზოგადოების ცხოვრებაში, გვაცნობენ პიროვნების ტიპს, რომელიც მკითხველის საზოგადოებრივ ცნობიერებას მანამდე ათვისებული არ ჰქონდა. რომანი ფრაგმენტული საზოგადოების, ფრაგმენტული ცნობიერების ფუნქციად იქცა. ადამიანის მთლიანობა დარღვეულია, ადამიანები სულ უფრო და უფრო ნაწევრდებიან საკუთარ თავში, იყოფიან ნაწილებად და ყოველი ნაწილი კვლავ განაგრძობს დაყოფას, რაც ასახავს იმ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობენ. ამიტომ სასოწარკვეთილები ცდილობენ გარეთ გაღწევას და თანაც, ვერ აცნობიერებენ ამას. ცდილობენ, მოიპოვონ ინფორმაცია სხვა ადამიანებზე თავიანთ საკუთარ ქვეყანაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანებზე სხვა ქვეყნებში. ეს არის ბრმა მცდელობა, მოიხელთონ საკუთარი მთლიანობა და რომანი--რეპორტაჟი სწორედ ამის საშუალებაა. ჩვენს ქვეყანაში, დიდ ბრიტანეთში, საშუალო კლასმა არაფერი იცის მუშების ცხოვრების შესახებ და პირუკუ; ხოლო რეპორტაჟები, სტატიები და რომანები ამ საზღვრებს კვეთენ. ადამიანები ამ ყველაფერს კითხულობენ ისე, თითქოს რაღაც უცნობი, ველური ტომების ცხოვრებას იკვლევენ. შოტლანდიელი მებადურები სრულიად სხვა ბიოლოგიური სახეობაა, ვიდრე მაღაროელები, რომელთა შორისაც მე იორკშირში ვცხოვრობდი; მაგრამ ერთნიც და მეორენიც სრულიად სხვა სამყაროში ცხოვრობენ, ვიდრე ლონდონის გარეუბნის ბინადარნი.

და მაინც, მე არა მაქვს უნარი, ვშვა რომანის ის ერთადერთი სახეობა, რომელიც მაინტერესებს: წიგნი, ინტელექტუალური და მორალური ვნებით რომ იქნება გაჯერებული, რომელიც საკმარისად ძლიერი იქნება საიმისოდ, რომ წარმოქმნას წესრიგი, სამყაროს ხედვის ახალი კუთხე. საამისოდ მეტისმეტად ფრაგმენტული ვარ. გადავწყვიტე, აღარასოდეს დავწერო მეორე რომანი. მე ვიცნობ ორმოცდაათიოდე „საგანს“, რომელზეც შემიძლია ვწერო და სავსებით კომპეტენტურადაც. რაშიც შეიძლება სრულიად დარწმუნებული ვიყოთ, არის ის, რომ კომპეტენტური და ინფორმაციული რომანების ნაკადი ყველა საგამომცემლო სახლიდან უხვად გარდამოედინება. მე მაქვს ერთ-ერთი და არცთუ უმნიშვნელოვანესი თვისება, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ წერო და ეს ცნობისმოყვარეობაა. ეს ჟურნალისტის ცნობისმოყვარეობაა. მე მართლა ვიტანჯები, დაუკმაყოფილებლობასა და რაღაც უსრულობას ვგრძნობ იმის გამო, რომ არ შემიძლია შეღწევა ზოგიერთ სფეროში, რომლებიც ჩემთვის ჩემი ცხოვრების წესის, განათლების, სქესის, პოლიტიკური შეხედულებების, კლასობრივი კუთვნილების გამო დახშული მაქვს. ეს ავადმყოფობა ჩვენი დროის ზოგიერთი საუკეთესო ადამიანისთვისაც ნაცნობია. ზოგი უძლებს, ზოგიც ინგრევა; ეს მგრძნობელობის ახალი სახეობაა, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი სურვილი სინამდვილის ხატოვნად შეცნობისა. მაგრამ ხელოვნებისთვის ეს ფატალურია. მე მაინტერესებს მხოლოდ ჩემი თავის გაფართოება, მე მინდა შევიცნო ცხოვრება მთელი სისრულით. როდესაც ეს „ტკბილ დედილოს“ ვუთხარი, ოდნავ შესამჩნევი, კმაყოფილი თავის დაკვრით მიპასუხა, ისე, როგორც აკეთებენ, როცა მოყირჭებულ, საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს ადასტურებენ ხოლმე, - მაგალითად, ადამიანები წე-

რენ იმიტომ, რომ ცხოვრების უნარი დაეკარგათ. მახსოვს, როგორ გამიჩნდა გულისრევის შეგრძნება, როცა ეს გააკეთა. ვგრძნობ, რამხელა ზიზღის ტალღა უნდა დავძლიო ახლა, როდესაც ამას ვწერ; და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ხელოვნებისა და ხელოვანის ცნებები იმდენად გაუფასურდა, იმდენად გადავიდა უმწიფარი მოყვარულების ხელში, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც კავშირი აქვს ნამდვილ ხელოვნებასთან, მზადაა კისრისტეხით გაექცეს ამ ოდნავ შესამჩნევ, კმაყოფილ თავის დაკვრას, თანაგრძნობის გამომხატველ ღიმილს. გარდა ამისა, როდესაც რომელიმე ჭეშმარიტებას ესოდენი დაჟინებითა და სიღრმით იკვლევენ, ხოლო ის, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, მთელი საუკუნის განმავლობაში ხელოვნებაში შესწავლის ობიექტი იყო, უკვე რაღაც შემაშფოთებელ კლიშედაა ქცეული, და უნებურად ეკითხები საკუთარ თავს, - არის კი ის ამდენად უეჭველი? ძალაუნებურად იწყებ ფიქრს ისეთ გამოთქმებზე, როგორიცაა „ცხოვრების უნარის დაკარგვა“, „შემოქმედი“ და ასე შემდეგ, და ისინი ექოდ აირეკლება გონებაში და იწრიტება, შენ კი ცდილობ, დასძლიო ზიზღისა და შმორის შეგრძნება, როგორც მე იმ დღეს, როცა „ტკბილი დედილოს“ პირისპირ ვიჯექი. და გასაოცარია, როგორ ახლებურად და დამაჯერებლად გაისმა ეს მოყირჭებული ჭეშმარიტება, როცა ფსიქოანალიტიკოსმა წამოისროლა. „ტკბილი დედილო“, ძალზე კულტურული ადამიანი, ევროპელი, ხელოვნებაში ჩაფლული, მჩხიბავ-მკურნალის ამპლუაში იყო და ისეთ ბანალობებს აფრქვევდა, რომელთა თქმა შერცხვებოდა არა თავის კაბინეტში, არამედ მეგობართა წრეში რომ ყოფილიყო. ერთი დონე — ცხოვრებაში, მეორე - ფსიქოანალიტიკოსის ტახტთან. ეს აუტანელი იყო. სწორედ ეს ვერ ავიტანე, რადგან ეს ნიშნავს, რომ არსებობს ზნეობრიობის ერთი დო-

ნე ცხოვრებისთვის, მეორე კი - ავადმყოფებისთვის. მე ძალიან კარგად ვაცნობიერებ, თვით ჩემში რომელ დონეზე ჩაისახა ეს რომანი, „ომის საზღვრები“. ვიცოდი ეს, როცა ვწერდი. მე მძულდა ეს მაშინ და მძულს ახლაც, რადგან თვით ჩემში ის სფერო იმდენად უძლეველი გახდა, რომ შეეძლო, გადაეყლაპა ყველაფერი და მე მივედი შამანთან, მჩხიბავთან, ხელში მეჭირა ჩემი სული, რომელიც მას მივართვი. მაგრამ თვითონ მჩხიბავი, როცა საუბარში გაიელვებდა სიტყვა „ხელოვნება“, თანაგრძნობით გაიღიმებდა ხოლმე; არადა, ეს ხომ საკრალური კერპია ნებისმიერი ხელოვანისა, რომელიც ყველაფერს ამართლებს: ყველაფერი, რასაც ქმნის, გამართლებულია. თანამგრძნობი ჩაღიმება, მოთმინებით აღსავსე თავის დაკვრა, - ისინი მჩხიბავ--მკურნალებისა და პროფესორების განუყოფელ საკუთრებასაც კი არ წარმოადგენენ, არამედ ბობოლების, მევახშეების, შენი მტრების. როდესაც კინოსამყაროს მაგნატს სურს შემოქმედი იყიდოს, ნამდვილი მიზეზი, რომლის გამოც ეძებს ნამდვილ ტალანტსა და ჭეშმარიტი შემოქმედების ნაპერწკალს, მდგომარეობს იმაში, რომ სურს დაღუპოს იგი. თანაც ამას ვერ აცნობიერებს, რადგან თავისი თავის გამართლება რაღაც ნამდვილის მოსპობით უნდა მოიპოვოს, - იგი მსხვერპლს ხელოვანს უწოდებს. „თქვენ, რა თქმა უნდა, ხელოვანი ბრძანდებით“... - და მსხვერპლი სულელივით იღიმება და ზიზღს მალავს, უფრო ხშირად ახერხებს ამას, იშვიათად კი ვერა.

ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ ესოდენ ბევრი ხელოვანი პოლიტიკამ გაიტაცა, რაღაცის „მსახურებამ“ და ასე შემდეგ, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ეძებენ წესრიგს, რამენაირ წესრიგს, რაც დაიხსნის მათ შხამისგან, რომლითაც ივსებიან ხოლმე, როცა მტერი წარმოთქვამს სიტყვას „ხელოვანი“.

მე ცხადად მახსოვს ის მომენტები, როცა ჩემი რომანი იბადებოდა. პულსი აჩქარებულად და მხურვალედ ფეთქავდა; მოგვიანებით, როცა მივხვდი, რომ დავწერ, ყველაფერი დავგეგმე, რის დაწერასაც ვაპირებდი. თხრობის „საგანი“ თითქმის არაარსებითი იყო. მაგრამ, აი, რა მაწუხებს ახლა, - რატომ არ დავწერე ანგარიში იმისა, რაც ხდებოდა. ამის ნაცვლად კი დავიწყე აგება „ამბისა“, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა იმ თავდაპირველ მასალასთან, მას რომ ასაზრდოებდა. რასაკვირველია, მარტივი, სწორხაზოვანი ანგარიში მოვლენებისა არ იქნებოდა „რომანი“ და არ გამოაქვეყნებდნენ, მაგრამ არც ვცდილობდი, მწერალი გავმხდარიყავი. იმასაც კი არ ვცდილობდი, ფული მეშოვა, და ეს მართლაც ასეა. ახლა მე არ ვლაპარაკობ იმ ფსიქოლოგიურ თამაშზე, რომელსაც თავის თავს ეთამაშებიან მწერლები, როცა ასეთ ფსიქოლოგიურ თამაშზე წერენ: ეს, ჩემ მიერ აღწერილი ეპიზოდი იმ რეალური შემთხვევიდან ამოიზარდა, ეს პერსონაჟი იმ ადამიანის ასლია რეალური ცხოვრებიდან, ეს ურთიერთობები კი რეალურ ცხოვრებაში არსებულის ფსიქოლოგიური ასლია. მე უბრალოდ კითხვას ვუსვამ ჩემს თავს: რა საჭიროა მხატვრული თხრობა? იმის თქმა კი არ მინდა, რომ ის ცუდია ან სინამდვილეს არ შეესაბამება, ან მასში რაღაც გაუფასურდა, მაგრამ რატომ არ შეიძლება აღვწეროთ სინამდვილე ისეთი, როგორიც არის?

ცუდად ვხდები, როცა ვუყურებ ჩემს პაროდიულ სინოფსისს, კინოსტუდიიდან მიღებულ წერილებს; იმავდროულად, ვიცი, რამ მოუტანა წარმატება რომანს, რა მოეწონათ კინოკომპანიის ხელმძღვანელებს, რომლებმაც განჭვრიტეს პერსპექტივები, რაც მათ წინაშე გადაიშლებოდა, თუკი რომანის მიხედვით ფილმს გადაიღებდნენ. რომანი რასობრივი დისკრიმინაციის

თემას „ეძღვნება“. მასში ერთი ყალბი სიტყვაც კი არ არის. თუმცა, გრძნობა, რომელმაც ის წარმოშვა, თითქმის დამზაფრავია, - ეს იყო ომის პერიოდის არაჯანსაღი, გაფაციცებული, უმსგავსი აღტყინება, ყალბი ნოსტალგია, ყველაფრის დაშვებულობის, თავისუფლების, ჯუნგლების, ამორფულობის გამთანგავი წყურვილი. ჩემთვის ეს იმდენად აშკარაა, რომ სირცხვილის განცდის გარეშე ვერ ვკითხულობ; მგონია, ქუჩაში შიშველი გავედი. თანაც ეს, ეტყობა, ვერავინ შენიშნა. ერთმა კრიტიკოსმაც კი. ვერც ერთმა ჩემი განათლებული, ნაკითხი მეგობრებისგან. ეს ამორალური რომანია, რადგან ყოველ ფრაზაში გამოსჭვივის საშინელი და ყალბი ნოსტალგია. და მე ვიცი, იმისთვის, რომ დავწერო შემდეგი რომანი, შემდეგი ორმოცდაათი რეპორტაჟი საზოგადოების ცხოვრებაზე, რომელთათვისაც საკმარისი მასალა მაქვს, იმ გრძნობის ხელახლა გაღვივება წინასწარ, შეგნებულად მომიხდება. და ორმოცდაათ რეპორტაჟს ორმოცდაათ რომანად სწორედ ის გადააქცევს.

და როდესაც იმ დროებას წარმოსახვით ვუბრუნდები, ვიხსენებ უიკ-ენდებს სასტუმრო „მაშოპიში“ იმ ჩემს კომპანიასთან ერთად, ჩემს თავში რაღაც უნდა „გამოვთიშო“, თორემ დაიწყება „თხრობა“ და მე დავწერ რომანს და არა სიმართლეს. ეს იგივეა, განსაკუთრებით მძაფრ სასიყვარულო განცდებს ან სექსუალურ შეპყრობილობას იხსენებდე. და გასაოცარია, რომ იმისდა მიხედვით, რაც უფრო და უფრო ღრმავდება ნოსტალგია, მატულობს აღგზნება და ჩნდებიან „სიუჟეტები“, „ამბის“ ფრაგმენტები... ისინი იყოფიან და მრავლდებიან როგორც უჯრედები მიკროსკოპის ქვეშ. და მაინც, ნოსტალგია იმდენად ძლიერია, რომ ერთ ჯერზე მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ფრაზის დაწერა შემიძლია. არაფერია ამ ნიჰილიზმზე, ამ გაშმაგებულ მზაობაზე

უფრო ძლიერი, სურვილზე, ყველაფერზე უარი თქვა, გაშმაგებულ სწრაფვაზე, იქცე დაშლის, ხრწნის შემადგენელ ნაწილად. ეს გრძნობა ყველაზე საფუძვლიანი მიზეზია, რის გამოც ომები გრძელდება. და მას, ვინც „ომის საზღვრებს“ კითხულობს, თავის თავში ამ გრძნობის კულტივირება უხდება, თუნდაც ამას ვერ აცნობიერებდეს. აი, ამიტომ მრცხვენია, ამიტომ განვიცდი ისე, თითქოს დანაშაული ჩამედინოს.

ჩვენი კომპანია შედგებოდა ადამიანებისგან, რომლებიც შემთხვევამ შეყარა და რომლებმაც იცოდნენ, - როცა ომის განსაზღვრული ფაზა დასრულდება, დაშორდებიან და ერთმანეთს აღარასოდეს შეხვდებიან. ჩვენ ვაცნობიერებდით და ვაღიარებდით, რომ საერთო არაფერი გვქონდა. ომი ვნებებს, წადილსა თუ იმედს, საზარელ გასაჭირს მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში წარმოშობდა. იქ, სადაც ჩვენ ვიყავით, ომი თავდაპირველად გაორებულ გრძნობას იწვევდა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ომი პირადად ჩვენთვის ძალიანაც კარგი დროება იქნებოდა. ამაში არაფერი იყო რთული ან გაუგებარი, რაც ექსპერტების ახსნა--განმარტებას საჭიროებდა. იმ პერიოდში ცენტრალურსა და სამხრეთ აფრიკაში მატერიალური კეთილდღეობა ძალზე ხელშესახები ფორმით შემოვიდა, - უეცრად ყველას გაცილებით მეტი ფული აღმოაჩნდა. ეს აფრიკელებსაც კი შეეხო, თუმცა, ეკონომიკური სისტემა ისე იყო აწყობილი, რომ მათ მხოლოდ მინიმუმი ერგებოდათ, რაც შავკანიანებს თავის გადარჩენისა და მუშაობის საშუალებას აძლევდა. არც იმ საქონლის დიდი დანაკლისი შეიმჩნეოდა, რაც შეიძლებოდა, გეყიდა და ფული დაგეხარჯა; ხოლო, თუკი დროდადრო დეფიციტი ჩნდებოდა, არ იყო იმდენად მძაფრი, რომ ჩვენთვის ხელი შეეშალა ცხოვრებით ტკბობაში. ადგილობრივმა მეწარმეებმა დაიწყეს იმის გამოშვე-

ბა, რაც წინათ შემოჰქონდათ, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებდა, რომ ომს ორი სახე აქვს, - ადგილობრივი ეკონომიკა იმდენად დუნე და უნიათო იყო და იმდენად ჩამორჩენილსა და არაპროდუქტიულ სამუშაო ძალას ემყარებოდა, რომ მას გარედან შეჯანჯღარება ესაჭიროებოდა. ომი სწორედ ასეთი შეჯანჯღარება აღმოჩნდა.

ცინიზმისთვის კიდევ ერთი მიზეზი იყო და უნდა ითქვას, რომ ადამიანები ცინიკურები ხდებოდნენ, როცა სირცხვილისგან იღლებოდნენ. ეს ომი ჩვენ დაგვისახეს როგორც ჯვაროსნული ლაშქრობა ბოროტების დასამარცხებლად, რომელიც ჰიტლერის თეორიაში იყო წარმოდგენილი, რასიზმის დასამარცხებლად და ასე შემდეგ, მაგრამ მთელი ეს უზარმაზარი, უკიდეგანო მიწა, რომელიც ტერიტორიით აფრიკის თითქმის ნახევარს შეადგენდა, ჰიტლერის მთავარი დებულების სრული დაცვით ცხოვრობდა, სახელდობრ - ადამიანთა მოდგმის ზოგიერთი წარმომადგენელი უკეთესია, რადგან სხვა რასას ეკუთვნის. მრავალი აფრიკელი ერთობ განცვიფრებული შეჰყურებდა, მათი თეთრკანიანი ბატონები რაოდენ მამაცურად ერთვებოდნენ ბრძოლაში, წმინდა ჯვაროსნულ ლაშქრობას ეშურებოდნენ, რასიზმის ეშმას რომ შერკინებოდნენ. ის აფრიკელები, ვისაც ცოტაოდენი განათლება მაინც ჰქონდა მიღებული, ლამის ნეტარებდნენ, როდესაც ხედავდნენ, როგორი თავგანწირვით ესწრაფოდნენ მათი თეთრკანიანი ბატონები, ბაასები ბრძოლაში ჩართვას ნებისმიერ ფრონტზე, რომელიც კი შესაძლებელი იყო იმისთვის, რომ შებრძოლებოდნენ იმ იდეებს, რომელთა დასაცავად მშობლიურ მიწაზე სასიკვდილოდაც კი მზად იყვნენ. მთელი ომის განმავლობაში გაზეთების გვერდები, სადაც მკითხველთა წერილები ქვეყნდებოდა, აჭრელებული იყო პუბლიკა-

ციებით, რომლებშიც განიხილებოდა ერთი საკითხი, - უსაფრთხო იქნება თუ არა, აფრიკელ ჯარისკაცებს თუნდაც სასწავლო თოფები რომ დაურიგონ, მათ ხომ შეუძლიათ იარაღი თეთრკანიანი ბატონებისკენ მიმართონ, ან მაშინვე თუ არ გააკეთებენ ამას, შავკანიანებს შეეძლებათ ეს სასარგებლო უნარ-ჩვევა მოგვიანებით გამოიყენონ. გადაწყდა, და სავსებით გონივრულადაც, რომ ეს უსაფრთხო არ იქნებოდა.

მე მოვიყვანე ორი მიზეზი, რის გამოც ომს ჩვენთვის თავიდანვე ირონიული შეფერილობა ჰქონდა.

(ისევ არასწორ ტონს ვირჩევ, - მე ის მძულს, თუმცა, ამ ტონით მრავალი თვის განმავლობაში, არა, სულაც წლების განმავლობაში, ვიცხოვრეთ, და დარწმუნებული ვარ, ამას ჩვენთვის დამანგრეველი შედეგი ჰქონდა. ეს თვითსასჯელი, გრძნობათა გამოკეტვა იყო, უუნარობა ან უარის თქმა, ერთმანეთის საწინააღმდეგო საგნები ერთად დაგვეჯგუფებინა და მთლიანობისთვის მიგვეღწია იმისთვის, რომ მის შიგნით ცხოვრება შესაძლებელი გამხდარიყო, რაგინდ საშინელიც ყოფილიყო. უარის თქმა ნიშნავს, რომ არც რაიმეს შეცვლა შეგიძლია და არც განადგურება. თავისი სიღრმისეული არსით ასეთი უარის თქმა ადამიანისთვის სიკვდილის ან სულიერი დაშრეტის ტოლფასია).

მე უბრალოდ ვცდილობ ფაქტები გადმოვცე. ფართო საზოგადოებისთვის ომი ორი ფაზისგან შედგებოდა: პირველ ფაზაზე საქმე ცუდად მიდიოდა და მოსალოდნელი იყო დამარცხება. ამ ფაზას სტალინგრადთან დაესვა წერტილი. მეორე ფაზაზე კი როგორმე გამარჯვებამდე უნდა გაეძლოთ.

ჩვენთვის კი, „ჩვენთვის“ მემარცხენეებსა და მათთან დაკავშირებულ ლიბერალებს გულისხმობს, ომი სამი ფაზისგან შედგებოდა: პირველი - როდესაც რუსეთი ომს არ ცნობდა. წყარო,

რომელიც ჩვენს იდეალებს ასაზრდოებდა, გადაკეტილი გახლდათ. მე ვგულისხმობ იმ ორმოცდაათსა თუ ას კაცს, ვისთვისაც საბჭოთა კავშირის რწმენა გრძნობებისა და მრწამსის ამოსავალს წარმოადგენდა. ეს პერიოდი დასრულდა, როცა ჰიტლერი საბჭოთა კავშირს თავს დაესხა. ამას უმალ ქმედითი ენერგიის აფეთქება მოჰყვა.

ადამიანები კომუნიზმს, უფრო სწორად, თავიანთ კომუნისტურ პარტიებს, მეტისმეტად ემოციურად აღიქვამენ და ეს არ აძლევს მათ საშუალებას დაფიქრდნენ იმაზე, რაც ერთ მშვენიერ დღეს სოციოლოგების შესწავლის საგანი გახდება. სახელდობრ, სოციალური აქტივობის იმ სახეობებზე, რომლებიც კომუნისტური პარტიის არსებობის პირდაპირი ან ირიბი შედეგია; ადამიანებსა და ადამიანთა გაერთიანებებზე, რომელთაც აზრადაც კი არ მოსვლიათ, რომ მათი საქმიანობა შთაგონებული იყო ან დაიწყო, ან ახალ ძალას იკრებდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ქვეყანაში არსებობდა თუნდაც ყველაზე ციცქნა კომუნისტური პარტია. ჩვენს პატარა ქალაქში ერთი წლის შემდეგ, რაც რუსეთი ომში ჩაერთო და მემარცხენეები ამის გამო გამოცოცხლდნენ, გაჩნდა (გარდა პარტიის უშუალო საქმიანობისა, რაზეც ახლა არ ვლაპარაკობ) მომცრო ორკესტრი, კითხვის მოყვარულთა წრე, ორი დრამატული წრე, კინოს მოყვარულთა საზოგადოება, სამოყვარულო გამოკვლევა იმისა, თუ როგორ ცხოვრობენ ბავშვები აფრიკის ქალაქებში, რომლის გამოქვეყნებამ თეთრკანიანთა სინდისი ააფორიაქა და მეტისმეტად დაგვიანებული დანაშაულის განცდის მაუწყებელი გახდა, და ექვსიოდე სადისკუსიო ჯგუფი, რომლებიც აფრიკის პრობლემებზე მსჯელობდნენ. თავისი არსებობის ისტორიაში ჩვენს პატარა ქალაქში კულტურული ცხოვრების მსგავსი რაღაც პირველად დაიწყო.

და ასობით ადამიანი ამისგან სიამოვნებას იღებდა, ადამიანები, რომლებმაც მხოლოდ ის იცოდნენ კომუნისტებზე, რომ ისინი უნდა გძულდეს. და ამ მოვლენებისგან არაერთი თვით კომუნისტების უკმაყოფილებას იწვევდა, რომლებიც იმ დროს აქტივობისა და დოგმატიზმის მწვერვალზე იყვნენ. და მაინც, სწორედ კომუნისტებმა გამოიწვიეს ეს ყველაფერი, რადგან ჰუმანიზმის ერთგული რწმენა წარმოშობს ტალღებს, ყოველ მხარეს რომ ვრცელდება.

ჩვენთვის მაშინ (და ეს ეხება ყველა ქალაქს აფრიკის ჩვენს ნაწილში) ბობოქარი საქმიანობის ჟამი დადგა. ეს ფაზა, ფაზა მოზეიმე თავდაჯერებისა საკუთარ სიმართლეში, 1944 წლისთვის დასრულდა, ომის დამთავრებამდე გაცილებით ადრე. და ეს ცვლილება გამოწვეული იყო არა რაღაც გარეშე მოვლენით, მაგალითად, საბჭოთა კავშირში პოლიტიკური კურსის შეცვლით, არამედ შინაგანი იყო, დამოუკიდებლად განვითარდა და ახლა, როცა წარსულს თვალს გადავავლებ, ვხედავ, რომ ეს ყველაფერი ლამის ჩვენი „კომუნისტური ჯგუფის“ წარმოქმნის პირველი დღიდანვე დაიწყო. რასაკვირველია, ყველა სადისკუსიო კლუბი, ჯგუფი და ასე შემდეგ, ცივი ომის დაწყებისთანავე გაქრა, როცა ინტერესი ჩინეთისა თუ საბჭოთა კავშირისადმი უკვე მოდური კი არა, პირიქით, საეჭვო გახდა (ორკესტრებისა და დრამწრეების ტიპის წმინდა კულტურული ორგანიზაციები არსებობას აგრძელებდნენ). ეს დაიწყო მაშინ, როცა „მემარცხენე“ ან „პროგრესული“, ან „კომუნისტური“ გრძნობები, - რომელიც უნდა იყოს ამ სიტყვათაგან ყველაზე ზუსტი, არადა, ამდენი დროის გასვლის შემდეგ უკვე ძნელია განსაზღვრა, - მოქმედების უმაღლეს წერტილში იყო, ხოლო შიდა წრეში მყოფი ადამიანები, ადამიანები, ვინც ამ ყველაფრის ინსპირირება მოახდინეს, უკვე

ინერტულობას ან დაბნეულობას შეეპყრო, ან, უკეთეს შემთხვევაში, განაგრძობდნენ საქმიანობას, მაგრამ მხოლოდ მოვალეობის გრძნობის გამო. მაშინ ამას, რასაკვირველია, ვერავინ აცნობიერებდა, მაგრამ ეს გარდაუვალი იყო. ახლა კი ცხადი გახდა, რომ ნებისმიერი კომუნისტური პარტიისა თუ ჯგუფის სტრუქტურისთვის დამახასიათებელია შინაგანი დანაწევრების პრინციპი. ნებისმიერი კომუნისტური პარტია არსებობს და შესაძლოა, იფურჩქნება კიდეც თავისი რიგებიდან ცალკეული ადამიანების და მთელი ჯგუფების გაძევების ხარჯზე; და ეს მათ პირად ღირსებაზე თუ ნაკლზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, თუ რამდენად შეეფერებიან ან არ შეეფერებიან შიდაპარტიულ დინამიზმს დროის ნებისმიერ მოცემულ მომენტში. ჩვენს პატარა სამოყვარულო და სინამდვილეში სასაცილო ჯგუფში სხვა არაფერი ხდებოდა, რაც საუკუნის დასაწყისში ლონდონში არსებულ ჯგუფ „ისკრაში“, ორგანიზებული კომუნიზმის არსებობის განთიადზე არ მომხდარა. და ჩვენ რაღაც მაინც რომ გვცოდნოდა ჩვენი მოძრაობის ისტორიის შესახებ, თავს ავარიდებდით ცინიზმს, გულაცრუებას, დაბნეულობას, მაგრამ ახლა ამაზე არაა ლაპარაკი. ჩვენს შემთხვევაში „ცენტრალიზმის“ შინაგანმა ლოგიკამ დაშლის პროცესი გარდაუვალი გახადა, რადგან ჩვენ საკუთრივ აფრიკულ მოძრაობათაგან არც ერთთან არანაირი კავშირი არ გვქონდა. მაშინ არსებობდა აფრიკელების ციცქნა ჯგუფი, რომელიც საიდუმლოდ იკრიბებოდა ზედ პოლიციის ცხვირწინ, მაგრამ ისინი არ გვენდობოდნენ, რადგან თეთრკანიანები ვიყავით. მათგან ერთი ან ორი დროდადრო მოდიოდა ჩვენთან და რჩევას გვეკითხებოდა რაიმე ტექნიკურ საკითხზე, მაგრამ არასოდეს ვიცოდით, სინამდვილეში რას ფიქრობდნენ. ვითარება ასეთი იყო: თეთრკანიანი პოლიტიკანების ჯგუფი, საბ-

რძოლველად მეტად შემართული, კბილებამდე რომ იყო შეიარაღებული ინფორმაციით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიშალოს რევოლუციური მოძრაობა, მოქმედებას სრულ ვაკუუმში იწყებდა, რადგან შავკანიანთა მასებში მღელვარება ჯერ არ დაწყებულიყო და იქამდე კიდევ რამდენიმე წელი რჩებოდა. ეს სამხრეთ აფრიკის კომუნისტურ პარტიაზეც ითქმის. კონფლიქტებმა, ბატალიებმა, დებატებმა, რაც ჩვენს ჯგუფში ხდებოდა, და რასაც მისი ზრდა შეეძლო გამოეწვია, უცხო, ფესვებმოწყვეტილი წარმონაქმნი რომ არ ვყოფილიყავით, ძალზე სწრაფად მოგვიღო ბოლო. ერთ წელიწადში ჩვენი ჯგუფი დაიშალა, გაჩნდა ქვეჯგუფები, მოღალატეები და იდეალების ერთგული ბირთვი, რომლის პირადი შემადგენლობა, ორიოდე კაცის გარდა, მუდმივად იცვლებოდა. რადგან ამ პროცესის არსი არ გვესმოდა, ემოციურად ვიფიტებოდით. და მიუხედავად იმისა, რომ ვაცნობიერებ, დაშლა პრაქტიკულად ჯგუფის წარმოქმნის მომენტიდანვე დაიწყო, არ შემიძლია ზუსტად გავიხსენო ის მიჯნა, როცა ჩვენი საუბრების ტონი და ქცევის სტილი შეიცვალა. ჩვენ კვლავაც ბევრს ვმუშაობდით, მაგრამ ამას ახლა აკომპანემენტად სულ უფრო მზარდი ცინიზმი სდევდა თან. და ის ხუმრობები, რომელთა უფლებასაც თავს არაფორმალურ ვითარებაში ვაძლევდით, თავისი არსით ეწინააღმდეგებოდა იმას, რისიც გვჯეროდა სიტყვითაც და გულშიაც. იმ დროიდან მივეჩვიე იმაზე დაკვირვებას, თუ როგორ ხუმრობენ ადამიანები. ოდნავ შესამჩნევი ღვარძლიანი ინტონაცია, ცინიკური ჩაქირქილება რამდენიმე წელიწადში კიბოდ, სიმსივნურ წარმონაქმნად შეიძლება გადაიქცეს, ადამიანს რომ გამოხრავს. ეს ხშირად მინახავს და არა მხოლოდ პოლიტიკურსა თუ კომუნისტურ ორგანიზაციებში.

ის ჯგუფი, რომელზეც მინდა მოგითხროთ, ჯგუფად ჩამოყალიბდა „პარტიაში“ ერთი საზარელი გაბრძოლების შემდეგ (ბრჭყალებს იმიტომ ვხმარობ, რომ პარტია ოფიციალურად არავის დაუფუძნებია და ის უფრო ემოციური გაერთიანება იყო). პარტია ორ ნაწილად გაიყო, თანაც საკმაოდ უმნიშვნელო საბაბის გამო, იმდენად უმნიშვნელო, რომ გახსენებაც კი მიჭირს. მახსოვს მხოლოდ შეძრწუნებასთან შეზავებული განცვიფრება, რომელიც ყველამ ვიგრძენით, როდესაც გავაცნობიერეთ, რომ მეორეხარისხოვან საორგანიზაციო საკითხს თურმე სიძულვილისა და ღვარძლის ესოდენ მძლავრი ტალღა შეუძლია გამოიწვიოს. ორი ჯგუფი თანამშრომლობაზე შეთანხმდა, - საამისოდ მაინც გვეყო ჭკუა, - თუმცა, მთლიანობაში სრულიად განსხვავებულ კურსს დაადგა. ახლაც კი რაღაცნაირი უცნაური სიცილით მეცინება, რომელსაც სასოწარკვეთა ასაზრდოებს: ამ ყველაფერს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, და სიმართლე ის გახლდათ, რომ ჩვენი ჯგუფი გადასახლებულთა ჯგუფივით იყო, გადასახლებაში მყოფთათვის დამახასიათებელი გაცეცხლებული და ღვარძლიანი კინკლაობით ყველა წვრილმანის გამო. ოციოდე კაცი ვიყავით და ყველანი გადასახლებულები, რადგან ჩვენი იდეები გაცილებით უსწრებდნენ იმ ქვეყნის განვითარებას, სადაც ვცხოვრობდით. და, აი, ახლა გამახსენდა, რომ ჩვენი უთანხმოება ერთი გარემოებით იყო გამოწვეული, - ჩვენი ორგანიზაციის ნახევარი უკმაყოფილო ბრძანდებოდა იმით, რომ ზოგიერთ ჩვენგანს ქვეყანაში ფესვები არ გააჩნდა. ამის გამო კიდეც გავითიშეთ.

ახლა კი გეტყვით ჩვენი პატარა ქვეჯგუფის შესახებ. მასში შედიოდნენ: სამი ახალგაზრდა კაცი სამხედრო-საჰაერო ძალების სასწავლო ბანაკიდან, რომლებიც ერთმანეთს ჯერ კიდევ ოქ-

სფორდის უნივერსიტეტიდან იცნობდნენ, - პოლი, ჯიმი და თედი. კიდევ იყო ჯორჯ ჰუნსლოუ, გზის ოსტატი, ვილი როდი, ლტოლვილი გერმანიიდან, მე თვითონ და მერიროუზი, რომელიც იქ იყო დაბადებული. ჩვენს ჯგუფში უცხო სხეული ყველაზე მეტად მე ვიყავი, რადგან თავისუფალი მხოლოდ მე გახლდით. თავისუფალი იმ გაგებით, რომ თავის დროზე ჩემი ნებით გადავწყვიტე კოლონიაში ჩასვლა და ნებისმიერ მომენტში შემეძლო დამეტოვებინა, თუკი მოვისურვებდი. მაგრამ რატომ არ მოვდიოდი? იქაურობას ვერ ვიტანდი. ასე იყო იქ ჩასვლის დღიდანვე, როცა 1939 წელს პირველად ჩავედი, რათა გავთხოვილიყავი, მეთამბაქოე ფერმერის ცოლი გავმხდარიყავი. სტივენი ლონდონში გავიცანი ერთი წლით ადრე, როცა იქ შვებულებაში იყო. ჩასვლის დღესვე, როცა კი ფერმაში მივედი, მივხვდი, სტივენი კვლავაც მომწონდა, მაგრამ მის ცხოვრებას ვერასოდეს შევეგუებოდი. თუმცა იმის ნაცვლად, ლონდონში დავბრუნებულიყავი, უახლოეს ქალაქში გადავედი და მდივნის სამსახური ვიშოვე. ეტყობა, მრავალი წლის განმავლობაში ჩემი ცხოვრება ისეთი საქმეებისგან შედგებოდა, რომელთაც ნახევრად შემთხვევით ვიწყებდი, დროებით, ნახევარი ძალით, მაგრამ შემდეგ რატომღაც დიდხანს არ ვანებებდი თავს. მაგალითად, გავხდი „კომუნისტი“ მხოლოდ იმიტომ, რომ მთელ ქალაქში მხოლოდ მემარცხენეებს ჰქონდათ რაღაც სულიერი ძალა და მხოლოდ ისინი აღიარებდნენ უპირობოდ, რომ რასობრივი დისკრიმინაცია ამაზრზენია. იმავდროულად, ჩემში ყოველთვის ორი „მე“ იყო - „კომუნისტი“ და „ანა“. და ანა ყოველთვის აძაგებდა კომუნისტს. და პირუკუ. მგონი, ეს რაღაცით ლეთარგიას ჰგავდა. ვიცოდი, რომ ომი ახლოვდებოდა, რომ მერე სამშობლოში დაბრუნება გამიჭირდებოდა, მაგრამ მაინც არ მოვდიოდი. თუმცა, ამავე

დროს, ცხოვრებით არ ვხარობდი, გართობა არ მიყვარს, არადა, მაინც დავდიოდი საღამოობით წვეულებებსა და ცეკვებზე, ვთამაშობდი ჩოგბურთს და ვეფიცხებოდი მზეს. ეს ყველაფერი თითქოს იმდენი ხნის წინათ იყო, რომ ვეღარ ვიხსენებ იმ პერიოდის ჩემს შეგრძნებებს, ამ ყველაფერს როგორ ვაკეთებდი და რა განცდით. ვეღარ „ვიხსენებ“, როგორი იყო მდივან-მემანქანედ მუშაობა მისტერ კემპბელთან, ყოველ საღამოს ცეკვებზე სიარული და ასე შემდეგ. მაგრამ მე შემიძლია დავინახო ჩემი თავი იმ დროში, ოღონდ ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ვიპოვე ძველი შავ-თეთრი ფოტო, სადაც ჩანს ტანდაბალი, გამხდარი, სუსტი ქალიშვილი, თოჯინასავით. რა თქმა უნდა, მე უფრო მეტად ვიყავი გათვითცნობიერებული, ვიდრე ქალიშვილები კოლონიაში, თუმცა, ნაკლებად გამოცდილი მათთან შედარებით, - კოლონიებში ადამიანს უფრო ხშირად ეძლევა საშუალება აკეთოს ის, რაც უნდა. იქ ქალიშვილებს თავისუფლად შეუძლიათ აკეთონ ის, რისი უფლების მოსაპოვებლადაც ინგლისში ნამდვილი ომის გადატანა მოუხდებოდათ. მთელი ჩემი გათვითცნობიერება წიგნისმიერი და სოციალური გახლდათ. ისეთ ქალიშვილთან შედარებით, როგორიც იყო, მაგალითად, მერიროუზი. მიუხედავად მისი აშკარა დაუცველობისა და სისუსტისა, მე ნამდვილი ბავშვი ვიყავი. ფოტოზე ვჩანვარ კლუბის შესასვლელთან, კიბეზე, ჩოგბურთის ჩოგნით ხელში. გამომეტყველება გაოცებული და სკეპტიკური მაქვს, სახე - მომცრო და წაგრძელებული. ჩემში ვერა და ვერ განვითარდა კოლონისტების შესაშური თვისება - გულარხეინობა (რითია ის ასე შესაშური? არ ვიცი, მაგრამ მე კი მომწონს). არ მახსოვს, რას განვიცდიდი მაშინ, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ყოველდღე, მაშინაც კი, როცა ომი დაიწყო, ჩემს თავს ვეუბნებოდი, შინ დასაბრუნებლად დროა, ბი-

ლეთი დაჯავშნო-მეთქი. იმ პერიოდში შევხვდი ვილი როდს და გამიტაცა პოლიტიკამ. და ეს პირველად არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მეტისმეტად ახალგაზრდა ვიყავი იმისთვის, რომ ესპანეთის ამბებში მონაწილეობა მომესწრო, მაგრამ მყავდა მეგობრები, რომლებმაც ეს მოასწრეს, ასე რომ, კომუნიზმი და მემარცხენე შეხედულებები ჩემთვის ახალი არ ყოფილა. ვილი არ მომეწონა. ვილის მე არ მოვეწონე. და მაინც, ერთად დავიწყეთ ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია პატარა ქალაქში, სადაც ყველაფერი ხელისგულზე მოჩანს. ნომრებს ერთსა და იმავე სასტუმროში ვქირაობდით და ერთად ვჭამდით. თითქმის სამი წელი გავატარეთ ერთად. და მაინც, ჩვენ არასოდეს მოგვწონდა ერთმანეთი და არ გვესმოდა ერთმანეთისა. ლოგინში ერთად ყოფნაც კი არ მოგვწონდა. რა თქმა უნდა, მაშინ მე ძალიან მწირი გამოცდილება მქონდა, მანამდე ურთიერთობა მხოლოდ სტივენთან მქონდა და ისიც ცოტა ხანს. მაგრამ მაშინვე ვხვდებოდი და ვილიც ხვდებოდა, რომ შეუთავსებლები ვიყავით. მას მერე სექსზე გაცილებით მეტი შევიტყვე და ვაცნობიერებ, რომ სიტყვა „შეუთავსებლობის“ მიღმა ერთობ რეალური რაღაც იმალება. ეს არ გულისხმობს, რომ ადამიანებს არ უყვართ ერთმანეთი ან არ მოსწონთ, ან არ იჩენენ საკმარის მოთმინებას, ან რომ მეტად გაუთვითცნობიერებელნი არიან. ორივე შეიძლება სრულიად ბედნიერი იყოს ლოგინში სხვა ადამიანთან, მაგრამ ერთმანეთთან სექსუალურად შეუთავსებელი იყვნენ, თითქოს მათი სხეულები ერთმანეთთან ქიმიური შემადგენლობის დონეზეც კი მტრულადაა განწყობილი. ერთი სიტყვით, მე და ვილის ეს იმდენად ცხადად გვესმოდა, რომ ჩვენი პატივმოყვარეობა ამის გამო არ ილახებოდა. თუკი რაიმე გრძნობა გვქონდა ერთმანეთის მი-

მართ, სწორედ ამ გარემოებასთან დაკავშირებული. ერთმანეთისადმი სიბრალულის მსგავს რაღაცას განვიცდიდით. ორივეს მუდმივად გვღრღნიდა სამწუხარო უძლურების განცდა იმის გამო, რომ ერთმანეთისთვის სექსუალური სიხარულის ჩუქების უნარი არ გაგვაჩნდა. არაფერი გვიშლიდა ხელს, რომ სხვა პარტნიორები გვეპოვა, მაგრამ ამას არ ვაკეთებდით. მე რომ არ ვაკეთებდი ამას, არ მიკვირს, ეს დაკავშირებული იყო ჩემს იმ თვისებასთან, რომელსაც ლეთარგიას ვუწოდებ, ან ცნობისმოყვარეობასთან, რომელიც მაიძულებდა, ყოველთვის უფრო დიდხანს გავჩერებულიყავი რაიმე სიტუაციაში, ვიდრე საჭირო იყო. იქნებ ეს სისუსტეა? სანამ ეს სიტყვა არ დავწერე, არასოდეს დამიკავშირებია ის ჩემს თავთან. არადა, ამაში რაღაც არის. თუმცა, ვილის სუსტი ნამდვილად არ ეთქმოდა. პირიქით, ერთ-ერთი სასტიკი ადამიანი იყო, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი.

დავწერე და გაოცებისგან შევცბი. რისი თქმა მინდა ამით? მას შეეძლო არაჩვეულებრივად კეთილი და დიდსულოვანი რამ ჩაედინა. ახლა გამახსენდა, რომ მაშინ, მრავალი წლის წინ, აღმოვაჩინე, რომ რა სიტყვითაც უნდა დავახასიათო ვილი, ყოველთვის შეიძლება შინაარსით საწინააღმდეგოთი შევცვალო. დიახ. ჩემს ძველ ჩანაწერებს გადავხედე. ვიპოვე ფურცელი, რომელსაც ეწერა „ვილი“:

სასტიკიკეთილი

ცივითბილი

სენტიმენტალურიპრაქტიკული

და ასე გრძელდებოდა გვერდის ბოლომდე, სულ ბოლოს კი დასკვნისმაგვარი რამ ეწერა: „სანამ ვილიზე ამ სიტყვებს ვწერდი, აღმოვაჩინე, რომ არაფერი ვიცი მასზე. თუკი ვიღაცას მართლა იცნობ, ასეთი სიების შედგენა აღარ გჭირდება“.

მაგრამ რაც აღმოვაჩინე სინამდვილეში, თუმცა, კი ეს მაშინ ვერ გავაცნობიერე, ის იყო, რომ ნებისმიერი ადამიანის აღწერისას ეს სიტყვები სრულიად მოკლებულია აზრს. იმისთვის, რომ აღვწეროთ ადამიანი, ჩვენ ვამბობთ, მაგალითად, „სუფრის თავში მედიდურად წამომჯდარმა ვილიმ, სათვალის მინებს მსმენელების მიმართულებით რომ აელვარებდა, ოფიციალურად, მაგრამ თან არცთუ ტლანქი იუმორის გარეშე განაცხადა, რომ“... - მოკლედ, რაღაც ამდაგვარს. მაგრამ საქმე ის არის, და უნდა ითქვას, ეს ძალიან მაწუხებს (და რაოდენ უცნაურია, რომ ეს ჯერ კიდევ მაშინ, ძალზე დიდი ხნის წინ მჟღავნდებოდა, ამ შინაარსობრივად საწინააღმდეგო სიტყვებისგან შედგენილ უსუსურ სიებში, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად გაუგებარი იყო, როგორ განვითარდებოდა ეს ყველაფერი), რომ როდესაც ვამბობ, ამ ტიპის სიტყვები „კარგი/ცუდი“, „ძლიერი/სუსტი“ საქმეს არ ეხება-- მეთქი, მე უზნეობას ვეგუები, ვეგუები მაშინაც კი, როცა „თხრობას ვიწყებ“ ან „ვწერ რომანს“, რადგან ჩემთვის ყველაფერი სულერთი ხდება. მე მხოლოდ ისღა მაწუხებს, როგორ აღვწერო ვილი ან მერიროუზი, მკითხველმა მათი რეალურობა რომ შეიგრძნოს. და მემარცხენე მოძრაობაში თუ მის გვერდით ოცი წლის ცხოვრების შემდგომ, რაც ოცი წლის განმავლობაში ხელოვნებაში ზნეობრიობის საკითხზე ფიქრს გულისხმობს, ეს არის ერთადერთი, სადამდეც მივედი. მოკლედ, ვცდილობ, ვთქვა, რომ სინამდვილეში ადამიანის პიროვნება, ეს უნიკალური, წმინდა ცეცხლი, ჩემთვის იმდენად საკრალურია, სხვა ყველაფერი აზრს

კარგავს. სწორედ ამის თქმას ვცდილობ თუ არა? და თუ ასეა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

მაგრამ, მოდი, ვილის მივუბრუნდეთ. ის ჩვენი ქვეჯგუფის გულისგული იყო, განხეთქილებამდე კი - დიდი ქვეჯგუფის გული, ხოლო მის განხეთქილებამდე - დიდი ჯგუფის გული. მეორე ძლიერი პიროვნება, ვილის რომ ჰგავდა, ახლა მეორე ქვეჯგუფს წინამძღოლობდა. ვილი გული იმიტომ იყო, რომ ყოველთვის დარწმუნებული გახლდათ თავის სიმართლეში. დიალექტიკურ მიდგომას ოსტატურად ფლობდა; შეეძლო მეტად ზუსტად და ჭკვიანურად გამოევლინა სოციალური პრობლემა და ერთი წამის შემდეგ, მომდევნო ფრაზაში, საკუთარი შეზღუდული დოგმატიზმის დემონსტრირება მოეხდინა. დროთა განმავლობაში მისი ცნობიერება სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა. ამისდა მიუხედავად, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ადამიანები მაინც მის გარშემო იყრიდნენ თავს, ადამიანები, რომლებიც სულიერად გაცილებით ნატიფნი იყვნენ მასთან შედარებით, და ეს მაშინაც კი, როდესაც ესმოდათ, რომ სრულ სიბრიყვეს მიერეკებოდა. მაშინაც კი, როდესაც ისეთ სტადიას მივაღწიეთ, რომ შეგვეძლო მისი თანდასწრებით თვით მასზე და მისი დანაკუწებული ლოგიკის რომელიმე საზარელ ნიმუშზე გვეცინა, მაშინაც კი მის გარშემო ვტრიალებდით და მასზე ვიყავით დამოკიდებული. შეგაძრწუნებს, როცა გაიფიქრებ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია.

მაგალითად, როდესაც ვილი ის იყო, წინა პლანზე გამოვიდა და ჩვენ იგი ვაღიარეთ, გვიამბო, რომ იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი იყო, რომელიც ჰიტლერს ებრძოდა. სრულიად წარმოუდგენელ ამბავსაც კი მოგვიყვა, თითქოს ესესის სამი ოფიცერი მოკლა, საიდუმლოდ დამარხა, შემდეგ გაიქცა, საზღვარი გადაკვეთა და ინგლისში გადავიდა. ჩვენ, რასაკვირველია, დავუჯე-

რეთ. რატომაც არა, კაცმა რომ თქვას? მაგრამ მას შემდეგაც კი, რაც იოჰანესბურგიდან ჩამოვიდა სემ კეტნერი, ვინც მას მრავალი წელი იცნობდა, და მოგვიყვა, რომ ვილი გერმანიაში მხოლოდ და მხოლოდ რიგითი, ჩვეულებრივი ლიბერალი გახლდათ, არც ანტიჰიტლერულ ორგანიზაციაში არასოდეს შესულა და გერმანია მას შემდეგ დატოვა, რაც ფრონტზე მისი ასაკის ახალგაზრდების გაწვევა დაიწყეს, უცნაურია, მაგრამ მისი თითქოს კვლავაც გვჯეროდა. იქნებ ვფიქრობდით, რომ ამ ყველაფრის უნარი შესწევდა და იმიტომ? სხვაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მე კი ამაში დარწმუნებული ვარ. იქნებ იმიტომ, რომ ადამიანი თავისი არსით საკუთარი ოცნებების ტოლფარდია?

მაგრამ ვილის ბიოგრაფიის აღწერას არ ვაპირებ. ბიოგრაფია იმ პერიოდისთვის სავსებით ჩვეულებრივი ჰქონდა. დახვეწილი, ნატიფი ევროპიდან ლტოლვილი გახლდათ, მშვიდ სავანეში ომის დასრულებას რომ ელის. ჩემთვის საინტერესო იქნებოდა მისი ხასიათის გადმოცემა, თუკი ამას მოვახერხებდი. მაგალითად, ვილი ყველაზე მეტად იმით მაოცებდა, რომ დაჯდებოდა და იწყებდა გეგმაზომიერად ფიქრს ყველაფერ იმის შესახებ, რაც შეიძლებოდა მის ცხოვრებაში უახლოესი ათი წლის განმავლობაში მომხდარიყო და წინასწარ აწყობდა გეგმებს. ადამიანთა უმეტესობისთვის ძალზე ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეუძლია ვიღაცას მუდმივად იფიქროს იმაზე, რა გაუთვალისწინებელი მოვლენები შეიძლება მოხდეს უახლოეს ხუთ წელიწადში. ასეთ რაღაცას, ჩვეულებრივ, შემგუებლობას უწოდებენ. მაგრამ ამქვეყნად ნამდვილი შემგუებლები ძალზე ცოტანი არიან. ამისთვის აუცილებელია არა მხოლოდ საკუთარი თავის ცხადად გაცნობიერება, რაც საკმაოდ ხშირია, არამედ მძლავრი, ჯიუტი, მამოძრავებელი ენერგია, რაც საკმაოდ იშ-

ვიათია. მაგალითად, ომის ხუთივე წლის განმავლობაში ვილი ყოველ შაბათ დილას სვამდა ლუდს (რომელსაც ვერ იტანდა) სისხლის სამართლის სამძებროს ერთ თანამშრომელთან ერთად (რომელიც ეზიზღებოდა) იმიტომ, რომ გამოთვალა, - ყველაზე მეტად მოსალოდნელი იყო, სწორედ ეს ადამიანი გამხდარიყო მაღალი რანგის მოხელე იმ დროისათვის, როცა ვილის მისი დახმარება დასჭირდებოდა. და წარმოიდგინეთ, მართალიც აღმოჩნდა, რადგან როდესაც ომი დასრულდა, სწორედ ის კაცი დაეხმარა ვილის ნატურალიზაციის გავლაში გაცილებით ადრე, ვიდრე სხვა ლტოლვილებისთვის გახდებოდა შესაძლებელი. და, მაშასადამე, ვილიმ, სხვებთან შედარებით, კოლონიიდან წასვლის უფლება რამდენიმე წლით ადრე მიიღო. როგორც გაირკვა, ინგლისში კი არა, ბერლინში გადაწყვიტა დაბრუნება; მაგრამ ინგლისი რომ აერჩია, მაშინ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა დასჭირდებოდა და ასე შემდეგ. ყველაფერი, რასაც აკეთებდა, ამ საგულდაგულოდ გათვლილი დაგეგმარებით გახლდათ აღბეჭდილი. თანაც ამას ვილი ისე დაუფარავად აკეთებდა, რომ ვერავინ იჯერებდა. ჩვენ, მაგალითად, მიგვაჩნდა, რომ სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელი მას უბრალოდ ადამიანურად ესიმპათიურებოდა, მაგრამ რცხვენოდა აღიარებისა, რომ „კლასობრივი მტერი“ მოსწონდა. და როდესაც ვილი კიდევ ერთხელ გვეტყოდა: „მაგრამ ის ხომ შეიძლება გამომადგეს“, ჩვენ კეთილად ვიცინოდით და ეს მიგვაჩნდა იმ პატარა სისუსტის გამოვლინებად, რომელიც მის პიროვნებას ადამიანურობას მატებდა.

არადა, ჩვენ ის, რა თქმა უნდა, არაადამიანურად მიგვაჩნდა. ვილი ჩვენთან კომისრის, კომუნისტების ინტელექტუალი წინამძღოლის როლს ასრულებდა. ამავე დროს, ის იყო საშუალო

კლასის ყველაზე ტიპური წარმომადგენელი, ვინც კი ოდესმე შემხვედრია. ვგულისხმობ წესრიგის, სისწორისა და მის გარშემო ყოველივე არსებულის შენარჩუნებისკენ მის სიღრმისეულსა და ინსტინქტურ სწრაფვას. მახსოვს, ჯიმი როგორ დასცინოდა ვილის, ამბობდა, რომ ოთხშაბათს თუ წარმატებულ რევოლუციურ გადატრიალებას უწინამძღვრებს, ხუთშაბათს საზოგადოდ დადგენილი მორალური პრინციპების სამინისტროს დააარსებსო, რაზეც ვილი პასუხობდა, რომ სოციალისტია და არა ანარქისტი.

სუსტები, გაჭირვებულები თუ უიღბლოები არ ებრალებოდა. ეზიზღებოდა ისინი, ვინც პირად გრძნობებს ნებას აძლევენ, ცხოვრების დინება დაურღვიონ, რაც სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ არ შეეძლო ღამე გაეთენებინა ვინმეს პირად პრობლემებზე მსჯელობაში, ვისაც უბედურება შეემთხვა, და მისთვის რჩევები ეძლია. თუმცა, მისი რჩევები იმ გაუბედურებულ ადამიანს, როგორც წესი, უტოვებდა შეგრძნებას, რომ გაუბედურებული, უმაქნისი და არაადეკვატური ადამიანია.

ვილი აღზრდილი გახლდათ საშუალო კლასის ზედა ფენის ყველაზე ტრადიციულ წარმოდგენებზე, რაც კი შეიძლება არსებობდეს. ოციანი წლების მიწურულსა და ოცდაათიანი წლების დამდეგის ბერლინში; გარემოში, რომელსაც იგი დეკადენტურს უწოდებდა, მაგრამ რომელშიც უმეტესად ცხოვრობდა და სულდგმულობდა. ცოტაოდენი ტრადიციული ჰომოსექსუალისტობა ცამეტი წლის ასაკში; მოახლე ქალისგან ცდუნება, როცა თოთხმეტი წლისა გახდა; შემდეგ წვეულებები, სპორტული ავტომობილები, კაბარეს მომღერალი ქალები; სენტიმენტალური მცდელობა, სწორ გზაზე დაეყენებინა მეძავი, რაზეც ახლა სენტიმენ-

ტალური ცინიზმით ლაპარაკობდა; ჰიტლერისადმი არისტოკრა-ტიული ზიზღი და ყოველთვის - ბლომად ფული.

აქაც კი, კოლონიაში და მაშინაც კი, როცა ხელფასი მხოლოდ რამდენიმე გირვანქა ჰქონდა, უზადოდ იცვამდა; როგორღაც ახერხებდა ელეგანტური ყოფილიყო იმ კოსტიუმებშიც კი, რომ-ლებიც ინდოელ მკერავთან თითო ათ შილინგად შეიკერა. ვილი საშუალო სიმაღლისა იყო, გამხდარი, ოდნავ მხრებში მოხრი-ლი; ჰქონდა აბსოლუტურად შავი, მბზინავი თმა, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო უთხელდებოდა; მაღალი, ფერმკრთალი შუბლი, საოცრად ცივი, მომწვანო თვა-ლები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მოსაუბრეზე დაჟინებით მიმარ-თული სათვალის მინებს მიღმა იმალებოდნენ და მსხვილი, ავ-ტორიტარული ცხვირი. როდესაც ვიღაც ლაპარაკობდა, მოთმი-ნებით უსმენდა, სათვალის მინებს აელვარებდა, შემდეგ მოიხ-სნიდა სათვალეს, თვალებს გამოაჩენდა, რომლებსაც თავიდან უმწეოდ, ბრმასავით აახამხამებდა, - თვალები გარე სამყაროს ეჩვეოდნენ, მერე კი უეცრად მოიჭუტებოდნენ, კრიტიკულები ხდებოდნენ, და მაშინ იწყებდა ლაპარაკს, ლაპარაკობდა ისეთი ქედმაღლური და თავდაჯერებული სისადავით, რომ ვინც კი უს-მენდა, სუნთქვა ეკვროდა. ასეთი იყო ვილჰელმ როდი, პროფე-სიონალი რევოლუციონერი, რომელმაც შემდგომ (როდესაც მიიღო მაღალანაზღაურებადი ადგილი ლონდონის ერთ-ერთ ფირმაში, რისი იმედიც ჰქონდა) გაემგზავრა აღმოსავლეთ გერ-მანიაში (მისთვის დამახასიათებელი ხისტი, მამაკაცური პირდა-პირობით ბრძანა: „ამბობენ, რომ ისინი იქ კარგად ცხოვრობენ, ჰყავთ ავტომობილები პირადი მძღოლებით და ასე შემდეგ“) და მეტად მაღალი რანგის მოხელე შეიქნა. დარწმუნებული ვარ, მისგან უაღრესად საქმიანი და ენერგიული მოხელე გამოვიდა.

თანაც დარწმუნებული ვარ, ვილი ადამიანურობასაც ავლენს, სადაც კი შესაძლებელია. მაგრამ კარგად მახსოვს, როგორი იყო „მაშოპიში“; მახსოვს, ჩვენ, ყველანი, როგორი ვიყავით „მაშოპიში“, - რადგან ახლა მთელი ის წლები ღამეული საუბრებისა და სხვადასხვა ღონისძიებისა, როდესაც პოლიტიკური არსებები გახლდით, აღარ მგონია, იმდენად თვალსაჩინო იყოს ჩვენი არსის გაგებისათვის, რამდენადაც დრო, რომელიც „მაშოპიში“ გავატარეთ.

თუმცა, როგორც უკვე შევნიშნე, ეს ყველაფერი ასე მხოლოდ იმიტომ იყო, რომ პოლიტიკურ ვაკუუმში ვიყავით და არ გვქონდა უმცირესი შესაძლებლობაც კი ჩვენი პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამომჟღავნებისა.

სამ ახალგაზრდას სამხედრო ბანაკიდან მხოლოდ ის აერთიანებდა, რომ სამხედრო ფორმას ატარებდნენ და ერთმანეთს კარგად იცნობდნენ ჯერ კიდევ ოქსფორდიდან. სამივე აღიარებდა, რომ როგორც კი ომი დასრულდებოდა, მათ გულითად მეგობრობას ბოლო მოეღებოდა. ზოგჯერ იმასაც კი აღიარებდნენ, რომ ერთმანეთი მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდათ; და ამას აღიარებდნენ მსუბუქი, ხისტი, თვითკრიტიკული და დამცინავი მანერით, რომელიც ჩვენი ცხოვრების იმ ეტაპზე გვახასიათებდა, - ყველას, გარდა ვილისა, რომელმაც ურთიერთობის ტონსა და სტილში დროების სულისკვეთებას აუწყო ფეხი, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ სხვებს არ ზღუდავდა. ანარქიაში ამგვარად მონაწილეობდა.

ოქსფორდში ეს სამნი ჰომოსექსუალისტები იყვნენ. როდესაც ამ სიტყვას ვწერ და ვუყურებ, ვგრძნობ, შფოთვის რა მძლავრ პოტენციალს შეიცავს. როდესაც ვიხსენებ იმ სამ ახალგაზრდას, მათ ხასიათს, როგორი იყვნენ, შფოთსა თუ შოკს სულ არ გან-

ვიცდი. თუმცა, როდესაც ვხედავ დაწერილ სიტყვას „ჰომოსექ-სუალისტი“, იძულებული ვხდები ჩავიხშო ზიზღი და შფოთი. რა უცნაურია. აქვე დავაზუსტებ ამ სიტყვის მნიშვნელობასაც, დავ-ძენ, რომ წლინახევრის შემდეგ ისინი უკვე ხუმრობდნენ თავიან-თი განვითარების „ჰომოსექსუალურ ფაზაზე“. იცინოდნენ, უკ-ვირდათ, რომ აკეთებდნენ რაღაც განსაკუთრებულს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მოდური იყო. მათ კომპანიაში ორიოდე კაცი იყო, რომლებსაც ერთობ უშუალო ურთიერთობა აკავშირებ-დათ, ყველანი ოდნავ გატაცებული იყვნენ მემარცხენე იდეებით, სასხვათაშორისოდ სწავლობდნენ, მეცნიერებას სასხვათაშორი-სოდ ეცნობოდნენ და ერთმანეთთან მუდმივად ჰქონდათ ყველა სახისა და შესაძლო კომბინაციის მსუბუქი სასიყვარულო ურთი-ერთობა. თუმცა, ამგვარად აღწერილი მათი ცხოვრება მეტისმე-ტი პათოსის შემცველი გამოდის. ეს ომის დაწყებისას ხდებოდა; ელოდნენ, როდის გაიწვევდნენ ჯარში. როცა წარსულში ვიხედე-ბი, ვხვდები, რომ განზრახ ცდილობდნენ თავისთვის უპასუხის-მგებლობის განწყობა შეექმნათ. ეს ერთგვარი სოციალური პროტესტი იყო და სექსი მისი შემადგენელი ნაწილი გახლდათ.

ამ სამიდან ყველაზე გამორჩეული და შესამჩნევი პოლ ბლე-კენჰერსტი იყო და ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი პიროვნული მომხიბვლელობით გახლდათ განპირობებული. „ომის საზ-ღვრებში“ იგია პროტოტიპი „სწორუპოვარი ახალგაზრდა პილო-ტისა“, ენთუზიაზმითა და იდეალიზმით რომ არის აღსავსე. სი-ნამდვილეში, ენთუზიაზმი სულ არ გააჩნდა, მაგრამ ამგვარ შთა-ბეჭდილებას ახდენდა, რადგან ნებისმიერ ზნეობრივსა თუ სო-ციალურ ანომალიაზე მეტად ცოცხლად და მგრძნობიარედ რეაგირებდა. ამ ხიბლისა და სინატიფის მიღმა, რითაც პოლი ყველაფერს აკეთებდა, გულცივობა იმალებოდა. მაღალი, ლა-

ზათიანად ჩამოქნილი ჭაბუკი იყო, საკმაოდ ძლიერი, მაგრამ მოძრავი დ მკვირცხლი. პირმრგვალი იყო, ცისფერი თვალები, ქათქათა და სუფთა კანი და ნატიფი ცხვირი ჰქონდა, ფუძეზე ოდნავ ჭორფლიანი. რბილი, ხშირი თმა შუბლზე ტალღასავით ეშვებოდა. მზეზე მისი თმა ბაჯაღლო ოქროსავით კასკასებდა, ჩრდილში კი მოყავისფრო ხდებოდა, თბილი, ოქროსფერი ტონალობის. უზადო წარბები ჰქონდა, ისეთივე შეფერილობისა, როგორიც თმა. ვინც უნდა შეხვედროდა ცხოვრების გზაზე, პოლი მორიდებით უმზერდა, მის კამკამა ცისფერ თვალებში დიდი ყურადღება, სერიოზულობა, თავაზიანი ინტერესი გამოსჭვიოდა; გულწრფელი დაინტერესება რომ გამოეხატა, მოსაუბრისკენ ოდნავ წინ გადაიხრებოდა. ხმა ჰქონდა ხავერდოვანი, პირველი შეხვედრისას პოლი მოსაუბრეს თითქოსდა ეღუღუნებოდა, სათუთად და მორიდებით. ცოტანი თუ ახერხებდნენ, რომ ამ საუცხოო ახალგაზრდის ხიბლის გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყვნენ, ესოდენ პათეტიკურად და გულის ამაჩუყებლად რომ გამოიყურებოდა სამხედრო მფრინავის ფორმაში (რა თქმა უნდა, ეს მისი სურვილის გარეშე, თავისთავად ხდებოდა). ადამიანების უმრავლესობას ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა იმის გასაცნობიერებლად, რომ პოლი მათ დასცინოდა. არაერთხელ მინახავს, როგორ ნელ-ნელა ხვდებოდნენ ქალები და ზოგიერთი კაციც პოლის სიტყვების არსს, რომლებსაც წამღერებით, გაჭიანურებულად, მშვიდი და წყნარი სისასტიკით წარმოთქვამდა. ადამიანებს თავზარი ეცემოდათ, ფერი ეკარგებოდათ, უყურებდნენ და უყურებდნენ და ვერ დაეჯერებინათ, რომ ასეთი ბრწყინვალე სისპეტაკის მქონე კაცს შეეძლო ესოდენ უხეში და შეურაცხმყოფელი სიტყვები შეგნებულად ეთქვა. სინამდვილეში, ის ძალიან ჰგავდა ვილის, ოღონდ მხოლოდ ერთი თვისებით - ქედმაღლო-

ბით. ეს უმაღლესი რანგის ქედმაღლობა გახლდათ. ის ინგლისელი იყო, კარგი ოჯახის შვილი, ძალზე ჭკვიანი. მისი მშობლები არისტოკრატები იყვნენ: მამამისი ლორდი იყო, სახელი არ მახსოვს. პოლი აბსოლუტურ, ურყევ თვითდაჯერებას ასხივებდა, რომელიც მასში თითქოს უჯრედოვან დონეზე იყო განივთებული, რაც ახასიათებს ხოლმე ზედმიწევნით უზრუნველყოფილ, ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ კაცს, რომელმაც არ იცის, რა არის გაჭირვება. მისი მრავალრიცხოვანი „ოჯახის“ წევრები - მათ, ცხადია, დამცინავად იხსენიებდა, - ინგლისის მაღალი საზოგადოების ყველა წრეში მრავლად იყვნენ. ნება-ნება, გაჭიანურებით იტყოდა ხოლმე: „ათიოდე წლის წინ შემეძლო მეთქვა, რომ ინგლისი მე მეკუთვნის, და ეს ჩემთვის ცხადი იყო, ახლა კი რა? ომმა ამ ყველაფერს, რასაკვირველია, ბოლო მოუღო, ასე არაა?“ მაგრამ მისი ღიმილი მიგვანიშნებდა, რომ თვითონ ამისა არ სჯეროდა და იმედოვნებდა, ჩვენც გვეყოფოდა ჭკუა, რომ არ დაგვეჯერებინა. არსებობდა შეთანხმება, რომ ომის დასრულების შემდეგ სიტიში კარგ თანამდებობას მიიღებდა. ჩვეულებისამებრ, პოლი ამაზეც დაცინვით ლაპარაკობდა. ამბობდა: „თუკი სარფიანად მოვიყვან ცოლს, - და მის ლამაზ სახეს გაოცებული ღიმილი გადაურბენდა, - ინდუსტრიის კაპიტანი გავხდები. ჭკუა და განათლება მაქვს, კარგი ოჯახიდან ვარ. ერთადერთი, რაც მჭირდება, ფულია. თუ სარფიანად ვერ მოვიყვან ცოლს, მაშინ ლეიტენანტი ვიქნები. ცხადია, ეს უფრო სახალისოა: ბრძანებებს ასრულებ და პასუხისმგებლობაც ნაკლებია“. მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ სულ ცოტა, პოლკოვნიკი იქნებოდა. რაც ყველაზე საოცარია, ეს საუბრები მაშინ იმართებოდა, როცა „კომუნისტური“ ჯგუფი განვითარების მწვერვალზე იყო. ჩვენი კომიტეტის სხდომათა ოთახში პოლი სულ სხვა ადამიანი იყო, სრულიად

სხვა - კაფეში, სხდომის შემდგომ. და ყველაფერი ეს რაღაც ზედაპირული სულაც არ გახლდათ, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგან პოლი ამ პოლიტიკურ მოძრაობაში ბოლომდე რომ დარჩენილიყო, ისევე, როგორც ვილი, ვინც ვერ მოახერხა მძლავრი და მომგებიანი ბიზნესის სათავეში ჩადგომა, გამოჩენილი კომუნისტი ადმინისტრატორი გახდებოდა. დიახ, დიახ, ახლა, როდესაც უკან ვიყურები, ვხვდები, იმ დროების მთელი ანომალიები და ცინიზმი სხვადასხვა შესაძლებლობის ანარეკლი იყო.

ამავე დროს პოლი „სისტემაზე“ ხუმრობდა. ზედმეტია იმის თქმა, რომ სრულიად არ სჯეროდა „სისტემისა“ და მისი აგდებული დამოკიდებულება გულწრფელი იყო. მომავალი ლეიტენანტის როლში შედიოდა, ვილის თავის უმწიკვლო ცისფერ თვალებს შეანათებდა და ზანტად ჩაილაპარაკებდა: „მაგრამ მეც ხომ არ ვკარგავ დროს ტყუილუბრალოდ? არ მეთანხმები? ამხანაგებს ტყუილად კი არ ვადევნებ თვალს? ასი ნაბიჯით წინ ვიქნები ჩემს მეტოქეებთან, სხვა ლეიტენანტებთან შედარებით, ასე არ არის? დიახ, მტერი მეცოდინება და მეცნობება. შესაძლოა, ეს შენ იყო, ჩემო ვილი. დიახაც“. ამაზე ვილი, თითქოსდა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ღიმილით პასუხობდა, თბილი და პატივისცემით აღსავსე ღიმილით. ერთხელ ესეც კი უთხრა: „შენ რა გიჭირს, დასაბრუნებელი გაქვს. მე კი ლტოლვილი ვარ“.

ერთად თავს კარგად გრძნობდნენ. და თუმცა პოლი უმალ მოკვდებოდა, ვიდრე აღიარებდა (ინდუსტრიის მომავალი ოფიცრის როლში მყოფი), რომ რაიმე მაინც აინტერესებდა სერიოზულად, მას იტაცებდა და ხიბლავდა კაცობრიობის ისტორიაზე დაკვირვება და ფიქრი, რადგან ინტელექტუალურ სიამოვნებას გრძნობდა, როცა პარადოქსებს იკვლევდა, - და სწორედ ასე ეს-

მოდა მას ისტორია, ანუ როგორც პარადოქსების ერთობლიობა. ვილი იზიარებდა ისტორიით მის დაინტერესებას, მაგრამ არა პარადოქსებით. მახსოვს, როგორ უთხრა ერთხელ: „მხოლოდ ნამდვილ დილეტანტს შეიძლება ესმოდეს ისტორია როგორც არაჩვეულებრივი მოვლენების წყება“, რაზეც პოლმა მიუგო: „მაგრამ, ვილი, მე მომაკვდავი კლასის წარმომადგენელი ვარ და ვერ მივცემ თავს უფლებას, ისტორიას სხვანაირად ვუყურო, ასე არაა?“ პოლი იძულებული იყო დროის უმეტესი ნაწილი გაეტარებინა ოფიცრებთან, რომლებიც იდიოტებად მიაჩნდა. მას სერიოზული საუბრები ენატრებოდა, თუმცა, პირდაპირ ამას არასოდეს იტყოდა. საერთოდაც, მგონია, ჩვენს ჯგუფს მხოლოდ იმიტომ შემოუერთდა, რომ ამის საშუალებას ვაძლევდით. მეორე მიზეზი ის გახლდათ, რომ ვუყვარდი. მაშინ ჩვენ ხომ მუდმივად, რიგრიგობით, ერთმანეთი გვიყვარდა. როგორც პოლი იტყოდა: „ჩვენ უბრალოდ ვალდებული ვართ რაც შეიძლება მეტად და რაც შეიძლება ხშირად ვიყოთ შეყვარებული, თუკი გავითვალისწინებთ დროებას, რომელშიც გვიწევს ცხოვრება“. ამას იმიტომ კი არ ამბობდა, რომ ეგონა, მომკლავენო. არა, ამას წამითაც არ დაუშვებდა. მან მათემატიკური სიზუსტით გამოთვალა, რომ ახლა გადარჩენის შანსი გაცილებით მეტი ჰქონდა, ვიდრე დიდი ბრიტანეთისთვის ბრძოლაში ექნებოდა. მას ბომბდამშენზე საფრენად ამზადებდნენ, რაც გაცილებით უხიფათო იყო გამანადგურებელზე ფრენასთან შედარებით. თანაც, მისმა ერთ-ერთმა ბიძამ, რომელიც რაღაცით დაკავშირებული იყო სამხედრო-საჰაერო ძალების უმაღლეს ხელმძღვანელობასთან, გაარკვია და განკარგულება გასცა (თუ როგორღაც სხვანაირად ჩააწყო), რომ პოლი სამხედრო სამსახურისთვის ინგლისში კი არა, ინდოეთში გაეგზავნათ, სადაც დანაკარგი გაცი-

ლებით ნაკლები იყო. ვფიქრობ, პოლი მართლაც „უშიშარი“ კაცი იყო. სხვაგვარად რომ ვთქვა, მის ნერვებს, ყოველი მხრიდან უსაფრთხოების ბალიშები რომ ჰქონდა შემოწყობილი, დაბადებიდან და ბედნიერი ბავშვობიდანვე სიმშვიდეზე მზრუნველად მომართულებს, უბრალოდ ჩვევად არ ჰქონდათ განგაშის სიგნალების გადაცემა. ისინი, ვისაც მასთან ერთად ფრენამ მოუწია, ამბობდნენ, მუდამ საოცრად მშვიდი, ზუსტი და თავდაჯერებულიაო, ანუ ნამდვილ მფრინავად იყო დაბადებული.

ამით განსხვავდებიდა იგი ჯიმი მაკგრატისგან, რომელიც ასევე მშვენიერი მფრინავი გახლდათ, მაგრამ მუდმივად შიშით ძრწოდა. ჰაერში გატარებული დღის შემდეგ სასტუმროში ბრუნდებოდა და ამბობდა, ნერვულ ნიადაგზე მძიმედ დავავადდიო. გულახდილად აღიარებდა, რომ შიში და შფოთი ღამით არ აძინებდა. საშინლად დაღვრემილი გამანდობდა ხოლმე თავის უეჭველ წინათგრძნობას, ხვალ მომკლავენო. მეორე დღეს კი დამირეკავდა სამხედრო ბანაკიდან და მეუბნებოდა, რომ წინათგრძნობას არ უმტყუნია, „თავისი მექანიზმი“, ფაქტობრივად, ლამის დაასამარა და სასწაულად გადარჩა, ბედნიერი შემთხვევის წყალობით. საფრენოსნო მომზადება მისთვის უწყვეტი ტანჯვა იყო.

და მაინც, ჯიმი დაფრინავდა, - როგორც ჩანს, კარგადაც, - ომის დასასრულამდე ბომბდამშენზე, თანაც, გერმანიის ცაში დაფრინავდა მაშინ, როდესაც ჩვენ გერმანულ ქალაქებს ერთიმეორის მიყოლებით ნანგრევებად ვაქცევდით. წელიწადზე მეტხანს შეუსვენებლად დაფრინავდა და გადარჩა.

პოლი ინდოეთში გამგზავრების წინადღეს დაიღუპა. ინდოეთში მიიღო დანიშნულება, როგორც ბიძამისი ჰპირდებოდა. იმ ბოლო საღამოს წვეულება გავმართეთ. როდესაც პოლი სვამდა,

როგორც წესი, თავს არ კარგავდა, მაშინაც კი, როცა ისეთ სახეს იღებდა, ვითომ ჩვენსავით განგრეული მთვრალი იყო. იმ საღამოს კი მართლა გაილეშა, თანაც ისე, რომ ჯიმიმ და ვილიმ ზურგზე აკიდებული გაათრიეს და აბაზანაშიც ჩააყუდეს, ცოტა მაინც რომ მოსულიყო გონს. ალიონზე მეგობრებთან დასამშვიდობებლად სამხედრო ბანაკში მივიდა. როგორც შემდგომ ჯიმი გვიყვებოდა, პოლი ასაფრენ ბილიკზე იდგა გაბრუებული, ნამთვრალევი, ჯერ კიდევ ნახევრად გათიშული ღვინის ამოუქარებელი ოხშივრისგან, თვალებში ამომავალი მზის სხივები სცემდა, თუმცა, პოლი მაშინაც პოლი გახლდათ და გარეგნულად თავის მდგომარეობას არაფრით ავლენდა. მის გვერდით თვითმფრინავი დაეშვა, პოლისგან რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერდა. პოლი შეტრიალდა, სახეში დამაბრმავებელი შუქი ეფრქვეოდა, ნაბიჯი გადადგა და პირდაპირ შეაბიჯა პროპელერში, რომელიც მზის ნათებაში თითქმის უხილავი იყო. პროპელერმა ფეხები თითქმის თეძოებამდე წააჭრა - იქვე მოკვდა.

ჯიმიც საშუალო კლასს ეკუთვნოდა, ოღონდ შოტლანდიელი იყო და არა ინგლისელი. არადა, შოტლანდიური არაფერი ეცხო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დათვრებოდა და გაცეცხლებული იხსენებდა ინგლისელთა მხეცობას, მაგალითად, გლენკოეში რომ მოხდა. მის ხმაში ნატიფი ოქსფორდული, ოდნავ შენელებული აქცენტი შეიმჩნეოდა. ასეთი გამოთქმა ინგლისშიც კი ძნელი ასატანია, ხოლო კოლონიაში სულ მთლად კომიკურად ჟღერდა. ჯიმიმ ეს იცოდა და განზრახ აძლიერებდა მას, უნდოდა გაეღიზიანებინა ისინი, ვინც არ მოსწონდა. ხოლო მათ წინაშე, ვინც მოსწონდა, ანუ ჩვენთან, ბოდიშს იხდიდა. „თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, - იმეორებდა ხოლმე, - ვიცი, სისულელეა, მაგრამ ომის შემდეგ სწორედ ეს ძვირად ღირებული აქცენტი

მომიტანს კარაქიან პურს“. ამგვარად, ჯიმი, ისევე, როგორც პოლი, უარს ამბობდა, - ყოველ შემთხვევაში, თავისი პიროვნების ერთ-ერთ დონეზე, - სოციალიზმის იდეები ერწმუნა, სიტყვით რომ აღიარებდა. სხვათა შორის, სულაც არ ჰქონდა ისეთი დიდებული წარმომავლობა, როგორიც პოლს. მისი ოჯახი უფრო მოკრძალებული იყო, უფრო ზუსტად, ის თავისი გვარის დაკნინებულ შტოს მიეკუთვნებოდა. მამამისი გახლდათ „არცთუ ნამდვილი“ პოლკოვნიკი ინდოეთში, რომელიც პენსიაში იყო გასული: „არცთუ ნამდვილი“, - დაჟინებით იმეორებდა ჯიმი, - რადგან ის ნამდვილი არ არის, მოსწონს ინდოელები და ჰუმანიზმისა და ბუდიზმის მომხრეა, წარმოგიდგენიათ?!“ ჯიმის თქმით, მამამისი გონის დაკარგვამდე სვამდა, მაგრამ ამას, მგონი, საერთო სურათს უკანასკნელ შტრიხად ამატებდა, რადგან ჯიმი მამის დაწერილ ლექსებსაც გვაჩვენებდა და როგორც ჩანს, გულის სიღრმეში ძალიანაც ეამაყებოდა ის. ერთადერთი შვილი იყო, რომელიც დედამისს, ორმოცს გადაცილებულ ქალს, ვისაც ასევე აღმერთებდა, გვიან გაუჩნდა. ჯიმი იმავე ფიზიკურ ტიპს მიეკუთვნებოდა, რომელსაც პოლი, თუმცა, ერთი შეხედვით. ას იარდზეც აშკარად ჩანდა, რომ ერთი მოდგმისანი იყვნენ, ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდი. არადა, ახლოდან მათი მსგავსება მხოლოდ იმას ადასტურებდა, რომ სრულიად განსხვავებული მასალისგან იყვნენ აწყობილი. ჯიმის უხეში, თითქმის ზორზოხი სხეული ჰქონდა, ხელები - მსხვილი, მაგრამ თითები მოკლე და მსუქანი, ბავშვივით.

მის გარეგნობას, რომელიც, ისევე, როგორც პოლისა, თვალში საცემი მკაფიო სითეთრითა და ცისფერი თვალებით იყო გამორჩეული, სინატიფე აკლდა. ჯიმის გულის ამაჩუყებელი გამოხედვა ჰქონდა, მასში გამოსჭვიოდა სასოწარკვეთილი სურვი-

ლი, ყველას მოსწონებოდა. თმა, ბღუჯებად რომ ჩამოშლოდა, მქრქალი და უფერული ჰქონდა, სახე, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე სიამოვნებით, - აშკარად დეკადენტური: მეტისმეტად მსუქანი, თითქოსდა გადამწიფებული, ლამის მოჩვარული. ჯიმის დიდი ამბიციები არ გააჩნდა, რომელიმე უნივერსიტეტში ისტორიის მასწავლებლის თანამდებობაზე ოცნებობდა და ეს ოცნება აუხდა კიდეც. სხვებისგან განსხვავებით, მართლა ჰომოსექსუალისტი გახლდათ, თუმცა კი არ უნდოდა, ყოფილიყო. ჯიმის უყვარდა პოლი, რომელსაც ვერ იტანდა და რომელსაც, თავის მხრივ, ასევე აღიზიანებდა. დიდი ხნის შემდეგ ჯიმიმ თხუთმეტი წლით უფროსი ქალი შეირთო ცოლად. შარშან გამომიგზავნა წერილი, სადაც თავის ქორწინებას აღწერდა. ცხადი იყო, წერილს მთვრალი წერდა, „მოგონებების ტყვეობაში“. რამდენიმე კვირის განმავლობაში ის და მისი ცოლი ერთად წვებოდნენ, რაც ქალს მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ ანიჭებდა, მას კი - საერთოდ არანაირს, „თუმცა კი ვცდილობდი, გარწმუნებ!“. შემდეგ ცოლი დაორსულდა და ამან მათ სექსუალურ ურთიერთობას წერტილი დაუსვა. ერთი სიტყვით, ეს იყო საკმაოდ ტიპური ინგლისური ქორწინება. როგორც ჩანს, მის ცოლს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ მისი ქმარი ჰეტეროსექსუალი მამაკაცი არ ბრძანდებოდა. ცოლზე მეტისმეტად იყო დამოკიდებული და თუკი უცებ მოუკვდა, ვეჭვობ, ჯიმი ან თავს მოიკლავს, ან გალოთდება.

თედ ბრაუნი ამ სამიდან ყველაზე თვითმყოფადი გახლდათ. მუშის მრავალრიცხოვან ოჯახში იყო დაბადებული, მთელი ცხოვრება სხვადასხვა სტიპენდიას იგებდა და ბოლოს ოქსფორდში აღმოჩნდა. ამ სამიდან ის ერთადერთი ნამდვილი სოციალისტი იყო; ვგულისხმობ ინსტინქტურ, ბუნებით სო-

ციალისტს. ვილი არცთუ იშვიათად გულისწყრომით იტყოდა, თედი ისე იქცევა, თითქოს აყვავებულ კომუნისტურ საზოგადოებაში ცხოვრობდეს, ან ისე, თითქოს „რომელიღაც წყეულ კიბუცში დაბადებულიყოს და გაზრდილიყოსო“. ასეთ დროს თედი მას გულწრფელი გაოცებით შეჰყურებდა: ვერ გაეგო, რატომ აკრიტიკებდნენ. შემდეგ მხრებს აიჩეჩდა და დროებით ივიწყებდა ვილის, ისევ და ისევ ახალი რაღაცით თუ ვიღაცით გატაცებას ეძლეოდა. მკვირცხლი, გამხდარი, ენერგიული ახალგაზრდა იყო, შავი, ტალღოვანი თმა და ნუშისებრი თვალები ჰქონდა. თედს არასოდეს ჰყოფნიდა ფული, მუდმივად არიგებდა. საძაგლად იცვამდა, - თავისთვის დრო არ რჩებოდა, ან ტანსაცმელსაც არიგებდა; საკუთარი თავისთვის არასდროს ჰყოფნიდა დრო, რადგან თავს ერთიანად გასცემდა. თედს მთელი სულითა და გულით უყვარდა მუსიკა (რომელშიც საკმაოდ კარგად ერკვეოდა), ლიტერატურა და თანამოძმე ადამიანები, რომელთაც ისევე როგორც საკუთარ თავს, გიგანტური, თითქმის კოსმოსური მასშტაბის შეთქმულების მსხვერპლად მიიჩნევდა, შეთქმულებისა, რომლის მიზანიც ადამიანის ჭეშმარიტი არსის გაუკუღმართებაა. ჭეშმარიტი არსი კი, რასაკვირველია, მშვენიერი, სულგრძელი და კეთილშობილია. ზოგჯერ იტყოდა, მირჩევნია, ჰომოსექსუალისტი ვიყოო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მის ხელში პროტეჟეების მთელმა წყებამ გაიარა. სიმართლე კი ის იყო, რომ ვერ აეტანა, მისივე კლასის ახალგაზრდებს ის პრივილეგიები რომ არ ჰქონდათ, რაც მას. თედი მორიგ ახალგაზრდას, მაგალითად, სამხედრო ბანაკში რომელიმე ნიჭიერ მექანიკოსს ან ქალაქის ერთ-ერთ საზოგადოებრივ ღონისძიებაზე სხვა ჭაბუკს გამოარჩევდა, ვინც ერთი შეხედვით მაინც გულწრფელ ინტერესს იჩენდა იმის მიმართ, რაც ხდებოდა და გასართობს არ

ეძებდა, დრო რომ მოეკლა. და თედი ჩააფრინდებოდა მათ, აიძულებდა წიგნის კითხვას, ცდილობდა, მუსიკა შეეყვარებინა, უხსნიდა, რომ ცხოვრება არაჩვეულებრივად საინტერესო თავგადასავალია, მერე მოდიოდა ჩვენთან გახარებული და ამბობდა, „როცა დაინახავ, პეპელა ქვამ დაიტანა, აუცილებლად უნდა გაათავისუფლო“. სასტუმროში შემოგვივარდებოდა ხოლმე ჯერაც ნედლი, დაუმუშავებელი, გაოგნებული გამომეტყველების მქონე ახალგაზრდასთან ერთად და მოითხოვდა, ყველას „მიგვეღო“, რასაც ჩვენ ყოველ ჯერზე ვაკეთებდით კიდეც. იმ ორი წლის განმავლობაში, რაც თედმა კოლონიაში გაატარა, ექვსიოდე პეპელა გადაარჩინა, რომლებიც თედს სიყვარულითა და მოკრძალებული გაოცებით შეჰყურებდნენ. თედს ეს კოლექტივი მთლიანად უყვარდა. ის მათ ცხოვრებას ცვლიდა. ომის შემდეგ, ინგლისში აგრძელებდა მათთან ურთიერთობას, აიძულებდა, ესწავლათ, ლეიბორისტულ პარტიაში შეჰყავდა - იმ დროისთვის უკვე აღარ კომუნისტობდა, - და თვალყურს ადევნებდა, მისივე თქმით, ზამთრის ძილს რომ არ მისცემოდნენ. თედმა ცოლი მეტად რომანტიკულად შეირთო, თანაც ყველაფრისდა მიუხედავად, გერმანელი ქალიშვილი, ჰყავს სამი შვილი და სკოლაში გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებს ინგლისურ ენას ასწავლის. მშვენიერი მფრინავი იყო, მაგრამ განზრახ, რაც მისგან სავსებით მოსალოდნელი გახლდათ, საფრენოსნო სკოლის გამოცდები ჩააგდო, რადგან სწორედ იმ დროს ეჭიდებოდა ერთი მანჩესტერელი „ზაქის“ სულს, რომელიც მუსიკის შეყვარებაზე უარს ამბობდა და ამტკიცებდა, ლიტერატურას ფეხბურთი მირჩევნიაო. თედი გვიხსნიდა, წყვდიადში მყოფი ერთი სულის გადარჩენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კიდევ ერთი მფრინავის შემატება ამ სამხედრო ორომტრიალისთვის, თუნ-

დაც ის ფაშიზმი თუ ფაშიზმთან ბრძოლა იყოსო. ასე რომ, მფრინავი არ გამხდარა, დედამიწაზე დარჩა, უკან, ინგლისში გაიწვიეს, სადაც მაღაროში მუშაობდა, რამაც ფილტვები სამუდამოდ დაუზიანა. ბედის ირონიით, სწორედ ის ახალგაზრდა, ვის გამოც ეს ყველაფერი გადაიტანა, მისი ერთადერთი წარუმატებელი მცდელობა აღმოჩნდა.

როდესაც თედი მაღაროდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაითხოვეს, როგორღაც მოახერხა და გერმანიაში გაემგზავრა ინგლისური ენის მასწავლებლად. გერმანელი ცოლი მეტად გამოადგა, რადგან მცოდნე და პრაქტიკული ქალი, თანაც, მარჯვე მედდა აღმოჩნდა. ახლა თედს კარგი მოვლა სჭირდება. მწარედ ჩივის, რომ მისი ფილტვების მდგომარეობა აიძულებს, „ზამთრის ძილს მიეცეს“.

ჩვენს წრეში გამეფებულმა განწყობამ გავლენა თედზეც კი მოახდინა. მისთვის ეს შიდა უთანხმოებანი ჩვენს პარტიულ დაჯგუფებაში და ღვარძლიანი დავა-კამათი აუტანელი იყო, განხეთქილება კი ბოლო წვეთი აღმოჩნდა.

- ეტყობა, არა ვარ კომუნისტი, - განუცხადა ვილის საზეიმოდ და თან სიმწრით, - რადგან მთელი ეს დაშლა-დანაწევრება სრულ ბოდვად მიმაჩნია.

- დიახ, ეტყობა, არა ხარ კომუნისტი, - მიუგო ვილიმ, - მაინტერესებდა, თვითონ ამას რამდენად სწრაფად მიხვდებოდი.

გარდა ამისა, თედს ის გარემოებაც აწუხებდა, რომ განხეთქილებისწინა პოლემიკის ლოგიკამ იმ ქვეჯგუფამდე მიიყვანა, რომელსაც ვილი ედგა სათავეში. მიაჩნდა, რომ მეორე ქვეჯგუფის წინამძღოლი, სამხედრო ბანაკის პოლკოვნიკი და ძველი მარქსისტი, „გამოფიტული ბიუროკრატია“, თუმცა, ადამიანურად იგი ვილიზე მეტად ესიმპათიურებოდა. და მაინც, თედი ვილის

ერთგული რჩებოდა... რაც ისეთ რაღაცას მაფიქრებინებს, მანამდე აზრადაც რომ არ მომსვლია. კვლავ და კვლავ ვწერ სიტყვას „ჯგუფი“. ჯგუფი ადამიანთა ერთობლიობაა, რაც, ჩვეულებრივ, განსაზღვრულ კოლექტიურ ურთიერთობებს გულისხმობს, - ჩვენ მართლაც ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს მრავალი თვის განმავლობაში და ყოველდღიურად საათობით გვქონდა ურთიერთობა. მაგრამ როდესაც უკან ვიხედები, იმისთვის, რომ გავაცნობიერო, რა ხდებოდა მაშინ სინამდვილეში, ვხვდები, - ყველაფერი არც ისე მარტივად იყო. მაგალითად, მგონია, რომ თედსა და ვილის სინამდვილეში არასოდეს ჰქონიათ ურთიერთობა, მხოლოდ დროდადრო არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. თუმცა, არა. ერთხელ ჰქონდათ ნამდვილი ურთიერთობა და ეს ბობოქარი ჩხუბი გახლდათ. ეს „მაშოპიში“, სასტუმროს ვერანდაზე მოხდა. არ მახსოვს, რა იყო კამათის საგანი, მაგრამ ის კი მახსოვს, როგორ წამოიყვირა თედმა:

- შენ ერთ-ერთი იმათგანი ხარ, ვისაც დილაუთენია შეუძლია ორმოცდაათი კაცის დახვრეტა და მერე ექვსი კერძისგან შემდგარი საუზმის გემრიელად მირთმევა. არა, უფრო სწორად, ვინმეს უბრძანებ, დახვრიტონ, აი, რას იზამ!

ვილიმ მშვიდად მიუგო:

- დიახ, თუ საჭირო იქნება, ასეც ვიზამ.

აი, ასე, ამ სტილში ლანძღავდნენ ერთმანეთს მთელი საათი, ამ დროს კი გვერდით თეთრი, თხელი მტვრის ბუღში გახვეული კამეჩშებმული ურმები მიდიოდნენ, იქვე, შორიახლოს, მატარებლები მიგრუხუნებდნენ, რომლებიც ინდოეთის ოკეანის სანაპიროდან დედაქალაქისკენ მიქროდნენ, ხაკისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი ფერმერები კი ბარში ისხდნენ და სასმელს წრუპავდნენ, ხოლო აფრიკელები, რომლებიც ნებისმიერ სამუშაოს

დაეძებდნენ, პალისანდრის ხეებქვეშ საათობით იდგნენ და მოთმინებით ელოდნენ მომენტს, როცა მისტერ ბუთბი, დიდი ბოსი, ბოლოს და ბოლოს, გათავისუფლდებოდა და მათთან სალაპარაკოდ გამოვიდოდა.

დანარჩენები? პოლი და ვილი ყოველთვის ერთად იყვნენ, გაუთავებლად მასლაათობდნენ ისტორიაზე. ჯიმი პოლს ეკამათებოდა, როგორც წესი, ისტორიის თაობაზე; მაგრამ, არსებითად, ჯიმი კიდევ და კიდევ იმეორებდა, რომ პოლი ფუქსავატი, ცივი და უგულოა. პოლსა და თედს შორის კი საერთოდ არანაირი კავშირი არ ყოფილა, კამათითაც კი არ კამათობდნენ და ჩხუბითაც კი არ ჩხუბობდნენ. მე რაც შემეხება, „ბელადის რჩეული გოგოს“ როლს ვასრულებდი: ერთგვარი შემაკავშირებელი რგოლი გახლდით, რაც თავისთავად ერთობ ძველთაძველი როლია. და, რასაკვირველია, ჩემი ურთიერთობა რომელიმე მათგანთან მართლა სიღრმისეული რომ გამხდარიყო, დამანგრეველ, და არა მომრიგებელ, ძალად ვიქცეოდი. და კიდევ, იყო მერიროუზი, მიუწვდომელი ლამაზმანი. მაშ, რა ჯგუფი იყო ეს? რა გვაერთიანებდა? მგონი, გამოუსწორებელი ურთიერთანტიპათია და პოლისა და ვილის ურთიერთმიზიდულობა, რომლებიც ერთმანეთს ესოდენ ჰგავდნენ და რომელთაც ესოდენ განსხვავებული ბედი ელოდათ.

დიახ. ვილი თავისი ხორხისმიერი, მეტისმეტად სწორი ინგლისურითა და პოლი თავისი ნატიფი და ცივი გამოთქმით, - იყო ორი ხმა, სასტუმრო „გეინსბოროში“ მთელი ღამე რომ ხმიანობდა. აი, რა მახსენდება ყველაზე ხშირად, როცა ჩვენს ჯგუფზე ვფიქრობ, როგორი იყო მანამ, სანამ „მაშოპიში“ წავიდოდით და ყველაფერი შეიცვლებოდა.

სასტუმრო „გეინსბორო“ სინამდვილეში პანსიონი გახლდათ, ადგილი, სადაც ხალხი დიდხანს ცხოვრობდა. ჩვენი ქალაქის პანსიონები უმეტესად გადაკეთებული კერძო სახლები იყო, რა თქმა უნდა, საყოფაცხოვრებო პირობებით უფრო კომფორტული, მაგრამ სრულიად არაკომფორტული გამეფებული წესრიგის პრეტენზიულობის გამო. ერთ-ერთში მხოლოდ რამდენიმე კვირა გავატარე და გამოვიქეცი. კონტრასტი ქალაქის დაუფარავ კოლონიალიზმსა და პანსიონის მეტისმეტ თავდაჭერილობას შორის, საშუალო კლასის ინგლისელებით რომ იყო სავსე, რომელთაც გეგონებოდა, ინგლისი არასოდეს დაეტოვებინათ, ჩემთვის აუტანელი აღმოჩნდა. „გეინსბორო“ ახალაგებულ შენობაში იყო განთავსებული: დიდი, ხალხმრავალი და უშნო დაწესებულება სავსე იყო კლერკებით, მდივანი ქალებითა და ოჯახური წყვილებით, ვისაც ქალაქში ომიანობის გამო ვერ ეშოვათ სახლი ან ბინა, რადგან ქალაქში ტევა აღარ იყო და საცხოვრებლის ფასი საოცრად გაიზარდა.

ვილის ცხოვრება „გეინსბოროში“ მისთვის დამახასიათებელი წესით წარიმართა: ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ განსაკუთრებული პრივილეგიები მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი, ანუ პოტენციური მტერი, უცხოელი გახლდათ. სხვა გერმანელი ლტოლვილები თავს ავსტრიელებად ასაღებდნენ ან ცდილობდნენ, თვალში არავის მოხვედროდნენ, ვილის ვინაობა კი სასტუმროს დავთარში ასე იყო ჩაწერილი: „დოქტორი ვილჰელმ კარლ გოტლიბ როდი, ბერლინის ყოფილი მოქალაქე, ჩამოვიდა 1939 წელს“. არც მეტი, არც ნაკლები. მისის ჯეიმზი, სასტუმროს მეპატრონე, უჩვეულო მოწიწებითა და მოკრძალებით ეპყრობოდა. ვილის არ დაეზარა და აცნობა, რომ დედამისი გრაფის ასული გახლდათ, რაც სიმართლე იყო. სასტუმროს მე-

პატრონეს ეგონა, ვილი დოქტორიაო, ე. ი. ექიმი, ვილიმ კი თავი არ შეიწუხა იმის ახსნით, თუ რას ნიშნავს დოქტორი ევროპაში.

- რა ჩემი ბრალია, თუ ასეთი ბრიყვია, - თქვა მან, როცა ამის გამო ვუსაყვედურეთ. ვილი მეპატრონეს უფასო კონსულტაციას უწევდა იურიდიულ საკითხებზე, ყოველმხრივ მფარველობდა და ხმამაღლა გამოთქვამდა უკმაყოფილებას, თუკი ვერ იღებდა იმას, რაც სურდა. და ძალიან მალე მისის ჯეიმზი ვილის თავს ევლებოდა, მისივე თქმით, ფაციფუცობდა, როგორც „დამფრთხალი გოშია“. მისის ჯეიმზი მაღაროელის ქვრივი გახლდათ, რომელიც რენდზე ქვის ცვენის დროს დაიღუპა. დაახლოებით ორმოცდაათი წლისა იყო, მსუქანი, უგერგილო, გაწამებული, მუდამ ოფლიანი ქალი. ჩაშუშულ ხორცს, გოგრასა და კარტოფილს გვაჭმევდა. აფრიკელი მსახურები ატყუებდნენ. მუდმივად ზარალობდა, სანამ ვილიმ საკუთარი სურვილით, იქ ყოფნის პირველი კვირის თავზე, ჭკუის სწავლება არ დაუწყო, თუ როგორ უნდა გასძღოლოდა დაწესებულებას. ქალმა მისი მითითებების შესრულება დაიწყო, მოგებაც გაუჩნდა და იმ დროისთვის, როცა ვილიმ სასტუმრო დატოვა, ის უკვე შეძლებული ქალი გახლდათ, მთელ ქალაქში ჰქონდა კაპიტალდაბანდებები უძრავ ქონებაში, იმ ადგილებში, რომლებიც ვილიმ ურჩია.

ჩემი ოთახი ვილის ოთახის გვერდით იყო. სასადილოში ერთ მაგიდასთან ვისხედით. მეგობრები დღედაღამ ჩვენთან შემოდიოდნენ. უსახური სასადილო, რომელიც სხვა მდგმურებისთვის რვა საათზე (სულაც შვიდიდან რვამდე) იკეტებოდა, ჩვენთვის თორმეტი საათის მერეც კი ღია იყო. ან სამზარეულოში ვისხედით და ჩაის ვსვამდით, და მისის ჯეიმზი თავს მხოლოდ იმის უფლებას აძლევდა, რომ ზოგჯერ საშინაო ხალათში ჩაცმული შემოიხედავდა და გვთხოვდა, ცოტა ჩუმად გველაპარაკა. პანსი-

ონში დადგენილი წესების მიხედვით, ცხრა საათის შემდეგ ოთახებში უცხოები აღარ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ჩვენ მეცადინეობებს კვირაში რამდენჯერმე ვატარებდით, რაც დილის ოთხ-ხუთ საათამდე გრძელდებოდა. ყველაფერს ვაკეთებდით, რაც გვინდოდა, მისის ჯეიმზი მდიდრდებოდა და მდიდრდებოდა, ვილი კი ისევ ეუბნებოდა, რომ ერთი შტერი ბატია, რომელსაც საქმის ალღო არ გააჩნია.

ის კი პასუხობდა: „დიახ, მისტერ როდ“, - და ხითხითით მორცხვად ჩამოუჯდებოდა საწოლის კიდეზე, რომ მასთან ერთად სიგარეტი მოეწია. სკოლის მოწაფესავით. მახსოვს, როგორ თქვა პოლმა:

- შენ რა, მართლა გგონია, სოციალისტმა შეიძლება ყველაფერი მოიპოვოს იმის ხარჯზე, რომ ასაკოვან ქალს დასცინოს და გამოაჭენოს?

- ბლომად ფულის შოვნაში ვეხმარები.

- მე სექსს ვგულისხმობ, - განმარტა პოლმა.

ვილიმ კი მიუგო:

- ვერ გამიგია, რაზე ლაპარაკობ.

და მართლაც ვერ გაეგო. ქალებთან შედარებით მამაკაცები გაცილებით ნაკლებად აქცევენ ყურადღებას იმას, თუ როგორ იყენებენ თავიანთ სექსუალურ მიმზიდველობას, ამ საქმეში გაცილებით არაკეთილსინდისიერნი არიან.

ამრიგად, „გეინსბორო“ ჩვენი მემარცხენე კლუბისა და პარტიული ჯგუფისთვის საქმიანობის გასაშლელ დამატებით ასპარეზად გვესახებოდა: ჩვენს გონებაში ეს მძიმე შრომასთან იყო გაიგივებული.

„მაშოპიში“ უეცარი იმპულსის კარნახით წავედით. პოლმა წაგვიყვანა. იმ დღეს იმ მიდამოებში დაფრინავდა და უეცრად

ამოვარდნილი ქარიშხლის გამო იძულებული გახდა, მიწაზე დაშვებულიყო; ბაზაში ავტომანქანით ბრუნდებოდა, ინსტრუქტორთნ ერთად, და გზად სასტუმრო „მაშოპიში“ შეიარეს სასადილოდ. იმ საღამოს „გეინსბოროში“ მეტად კარგ ხასიათზე მოვიდა, უნდოდა ჩვენთვისაც გაეზიარებინა სიხარული.

- არ დამიჯერებთ, - პირდაპირ ბუშის შუაგულში, კოპებისა და ველურების, და საერთოდ, მთელი ამ ეგზოტიკის გარემოცვაში დგას სასტუმრო „მაშოპი“, რომელშიც არის ბარი, ბარში კი - დართსი და ძალმზომი ნახევარ პენად, ნამდვილი სტეიკი და ღვიძლის პუდინგი, რომელიც თერმომეტრთან ერთად მოაქვთ, ზუსტად 90 გრადუსს რომ აჩვენებს, და ყველაფერს აგვირგვინებენ მისტერ და მისის ბუთბები - გამოჭრილი გეთსბის წყვილია, საოცრად ჰგვანან, - გახსოვთ? ის წყვილი, ეისბერიში პაბი რომ ჰქონდათ? ბუთბის თითქოს ცხვირი არც არასოდეს გაუყვია ინგლისის გარეთ. ნაძლევს ჩამოვალ, გადამდგარი ზემდეგია. ზემდეგია, მორჩა და გათავდა.

- მაშინ მისი ცოლი ყოფილი ბარმენი იქნება, - თქვა ვილიმ, - და მათ ჰყავთ ქორფა ქალიშვილიც, რომლის გათხოვებაზე ოცნებობენ. გახსოვს, პოლ, იქ, ეისბერიში, საწყალმა გოგომ თვალი რომ ვერ მოგწყვიტა?

- თქვენ, კოლონიების ბინადართ, რასაკვირველია, ასეთი ადგილების ნატიფი აბსურდულობის დაფასების უნარი არ შეგწევთ, - თქვა თედმა. ამგვარი ხუმრობების დროს მე და ვილი ადგილობრივ მცხოვრებთა როლს ვთამაშობდით.

- გადამდგარი ზემდეგი, რომელიც თითქოს ერთხელაც არ გასულა ინგლისიდან, ამ ქვეყანაში ბარებისა და სასტუმროების ნახევრის ტიპური მფლობელია, - ვთქვი მე, - რაშიც თავად დარ-

წმუნდებოდით, ერთხელ მაინც რომ გაგეხედათ გარეთ „გეინ-სბოროდან“, ასე რომ მიეწებეთ.

მსგავსი ოხუნჯობის დროს თედი, ჯიმი და პოლი ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს იმდენად ზემოდან დაჰყურებდნენ კოლონი-ის ცხოვრებას, რომ მის შესახებ არაფერი იცოდნენ. სინამდვი-ლეში, კი, ცხადია, ყველაფერი მშვენივრად იცოდნენ.

საღამოს შვიდი საათი ხდებოდა და მალე „გეინსბოროში“ ვახშამი დაიწყებოდა, - შემწვარი გოგრა, ჩაშუშული ძროხის ხორცი, კომპოტი.

- მოდი, წავიდეთ და ვნახოთ ის ადგილი, - შემოგვთავაზა თედმა, - ახლავე. შეგვიძლია თითო პინტი ლუდი დავლიოთ და კიდეც მივუსწრებთ ავტობუსს ბანაკში დასაბრუნებლად, - ეს ისე-თი მხურვალე ენთუზიაზმით შემოგვთავაზა, თითქოს „მაშოპიში“ გამგზავრება ყველაზე საოცარი თავგადასავალი უნდა ყოფილი-ყო, რაც კი ცხოვრებაში შეიძლება გადაგხდეს.

ვილის გავხედეთ. იმ საღამოს მემარცხენეთა კლუბი, რომე-ლიც თავისი საქმიანობის ზენიტში იყო, მიტინგს ატარებდა. იგუ-ლისხმებოდა, რომ ჩვენც შევუერთდებოდით. მანამდე ჩვენი მო-ვალეობისთვის ერთხელაც არ აგვირიდებია თავი, მაგრამ ვილი ისე მარტივად და უპრობლემოდ დაგვეთანხმა, თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს.

- დიახ, ჩვენ სავსებით თავისუფლად შეგვიძლია ამის უფლება მივცეთ თავს. გამონაკლისის სახით ამ საღამოს მისის ჯეიმზის გოგრა სხვა ვინმემ მიირთვას.

ვილის იაფფასიანი მანქანა ჰყავდა, რომელმაც მანამდე ოთ-ხი მფლობელი გამოიცვალა. ხუთი კაცი ჩავეჭეჭყეთ შიგ და გავ-წიეთ სასტუმრო „მაშოპისკენ“, რომელიც ქალაქიდან სამოც მილზე მდებარეობდა. მშვენივრად მახსოვს ის საღამო, - ამინდი

კარგი იყო, მაგრამ ჰაერში დაძაბულობა იგრძნობოდა, - კაშკაშა, თითქოს დაბლა ჩამოსული ვარსკვლავები ქარიშხლის მოლოდინში მძიმედ ციმციმებდნენ. ჩვენი გზა ქვეყნის იმ ნაწილისთვის დამახასიათებელ არემარეში გადიოდა, - დაბალ ბორცვებს, კოპებს შორის, გრანიტის დიდი ქვების გროვები რომ იყო. ქვა სიმხურვალითა და ელექტრობით იყო გაჯერებული და როცა ჩავუქროლებდით, ცხელი ჰაერის ტალღა სახეში გვცემდა, თითქოს მომცრო, რბილი მუშტებიაო.

„მაშოპიში“ დაახლოებით ცხრის ნახევარზე მივედით და გაჩახჩახებული ბარი ადგილობრივი ფერმერებით პირთამდე სავსე დაგვხვდა. ბარი არ იყო დიდი, კედლებზე ლაპლაპა ხის ფილებსა და შავ იატაკს კრიალი გაუდიოდა. როგორც პოლმა გვითხრა, აქ ძველისძველი დართსი და იაფფასიანი ძალმზომიც ჰქონდათ. ბართან მისტერ ბუთბი იდგა, ექვსი ფუტი სიმაღლის კაცი, დიდი ღიპის, სწორი, ფიცარივით გახევებული ზურგის პატრონი, რომელსაც მძიმე, მეტისმეტი სმისგან დაძარღვული სახე და ცივი, გადმოკარკლული თვალები ჰქონდა, რაც უცნაურ გამომეტყველებას აძლევდა. პოლი იცნო, რომელიც დღისით ნახა და ჰკითხა, როგორ მიდის თვითმფრინავის გარემონტების საქმეო. თვითმფრინავი დაშვებისას არ დაზიანებულა, მაგრამ პოლმა გრძლად დაუწყო იმის მოყოლა, თუ როგორ მოხვდა ფრთას ელვა, როგორ გადმოხტა პარაშუტით და ხის კენწეროზე დაეშვა, იღლიაში კი ინსტრუქტორი მყავდა ამოჩრილიო, - ეს ყველაფერი საოცრად დაუჯერებელი გახლდათ და მისტერ ბუთბი თავიდანვე ეჭვიანად მიაშტერდა. მაგრამ პოლმა თავისი მონათხრობი ისეთი წრფელი და რიდით აღსავსე გრაციოზულობით გაასრულა, რომ მის ბოლო სიტყვებზე, ჩემი საქმე კითხვების დასმა კი არ არის, არამედ ფრენა და თავის გაწირვაო და

თან გალანტური ჟესტით წარმოსახვითი ცრემლიც მოიწმინდა, რომ მისტერ ბუთბიმ ძალისძალად ჩაიცინა და პოლს დალევა შესთავაზა. პოლს ეგონა, სასმელს სასტუმროს ხარჯზე მიიღებდა, ასე ვთქვათ, ჯილდოდ, გმირს რომ ეკუთვნის, მაგრამ მისტერ ბუთბიმ ხელი გაუწოდა ფულის მოლოდინში, თვალები მოჭუტა და მძიმედ მიაჩერდა, თვალებს არ ახამხამებდა, თითქოს ეუბნებოდა: „დიახ, ვიცი, ეს ყველაფერი მასხრობაა და შენ რომ კაცმა ნება მოგცეს, თვალდაუხამხამებლად გამაბრიყვებ“. პოლმა ფული მეტად ელეგანტურად გადაიხადა და საუბარი განაგრძო. რამდენიმე წუთის მერე დაგვიბრუნდა და გაბრწყინებული სახით გვაცნობა, რომ მისტერ ბუთბი ამერიკელი ბოისკაუტების პოლიციის სერჟანტი ყოფილა, ცოლი შეურთავს, როცა ინგლისში ჩასულა შვებულებით, მისი ცოლი იმ დროს ბარის დახლში მდგარა; რომ თვრამეტი წლის ქალიშვილი ჰყავდათ და ამ სასტუმროში საქმეს უკვე თერთმეტი წელია უძღვებიან.

- და ეს შესანიშნავად გამოგდით, - გვესმოდა, როგორ ეუბნებოდა პოლი, - დღევანდელი სადილი ძალიან მომეწონა.

- მაგრამ უკვე ცხრა საათია, - დასძინა პოლმა, - სამზარეულო დაკეტილია, მეპატრონემ კი ვახშამი არ შემოგვთავაზა. ასე რომ, ჩავფლავდი, შიმშილით უნდა დავიხოცოთ. მომიტევეთ შეცდომა.

- ვნახოთ, რისი გაკეთება მოხერხდება, - ჩაილაპარაკა ვილიმ.

მისტერ ბუთბისკენ გაემართა, ვისკი შეუკვეთა და ხუთი წუთის შემდეგ იმას მიაღწია, რომ სამზარეულოცა და სასადილოც საგანგებოდ ჩვენთვის გახსნეს. არ ვიცი, როგორ მოახერხა ეს. დავიწყოთ იქიდან, რომ ამ ბარში, რომელიც ხაკისფერსამოსიანი, მზეზე დახრუკული ფერმერებითა და მათი უგემოვნოდ

ჩაცმული ცოლებით პირთამდე იყო სავსე, ვილი მეტად ექსტრავაგანტური ჩანდა. და იმ წუთიდან, რაც ბარში შეაბიჯა, ყველა მას მიაჩერდა. მაუდის ელეგანტური კრემისფერი კოსტიუმი ეცვა, ყორნის ფრთასავით შავი თმა ნათურების კაშკაშა შუქზე უბზინავდა და ულაპლაპებდა. სახე ფერმკრთალი, ნამდვილი ქალაქელისა ჰქონდა. მეტისმეტად უზადო და აშკარად გერმანული ყაიდის ინგლისურით გამოაცხადა, რომ მან და მისმა კარგმა მეგობრებმა არ დაიზარეს და გაიარეს გზა ქალაქიდან „მაშოპიმდე“ საგანგებოდ იმისთვის, რომ ადგილობრივი კერძები გაესინჯათ, რომლებზეც ბევრი სმენიათ და ეჭვი არ ეპარება, მისტერ ბუთბი იმედს არ გაუცრუებს. ლაპარაკობდა ისეთივე ფარული სისასტიკითა და ქედმაღლობით, როგორითაც პოლი, როცა პარაშუტით გადმოხტომაზე ყვებოდა, და მისტერ ბუთბი ჩუმად უსმენდა, ხელები ბარის დახლზე დაედო და გაყინული მზერით მისჩერებოდა, თვალს არ ახამხამებდა. როდესაც ვილიმ სიტყვა დაასრულა, მშვიდად გახსნა საფულე და ერთგირვანქიანი ბანკნოტი ამოიღო. ალბათ, მრავალი წელია, არავის გაებედა მისტერ ბუთბისთვის ფეხის ქირის მიცემა. ბუთბის უცებ არ უპასუხია. ნელა მოატრიალა თავი, თვალები კიდევ უფრო გადმოქაჩა, მერე მოჭუტა და პოლს, თედსა და ჯიმის, ლუდის დიდი კათხებით ხელში რომ იდგნენ, ფინანსური შესაძლებლობების შესაფასებლად მიაჩერდა. ბოლოს ჩაიბურტყუნა:

- ვნახავ, ჩემმა ცოლმა რა შეიძლება გააკეთოს, - ბარის დახლს მოშორდა და ერთგირვანქიანი ბანკნოტი იქვე დატოვა, სადაც ვილიმ დადო. იგულისხმებოდა, რომ ვილის უნდა აეღო, მაგრამ ვილიმ დატოვა და ჩვენთან დაბრუნდა.

- პრობლემა გადაჭრილია, - გამოგვიცხადა.

ამ დროს პოლი უკვე გატაცებით ელაპარაკებოდა ვიღაც ფერმერის ქალიშვილს. ეს თექვსმეტიოდე წლის მომხიბლავი გოგონა იყო, საშუალო სიმაღლის და, ცოტა არ იყოს, პუტკუნა, მუსლინის ყვავილებიანი, ფურჩალიანი კაბა ეცვა. პოლი მის წინ იდგა, ხელში ლუდის კათხით, და ლაპარაკობდა მომხიბლავი ხმით, უშუალო და სასიამოვნო მანერით, - იმ წუთიდან, რაც ბარში შემოვედი, სულ მინდა გითხრათ, რომ ამის მსგავსი კაბა, თქვენ რომ გაცვიათ, მას მერე არ მინახავს, რაც ესკოტში ვიყავი სამი წლის წინ.

ქალიშვილი თითქოს მონუსხულიყო. ლოყები შეფაკლოდა. ვფიქრობ, წუთის შემდეგ მიხვდებოდა, რომ პოლი თავხედურად ექცეოდა, მაგრამ ამ დროს ვილიმ მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

- წამოდი. ამას მერეც მოვასწრებთ.

ვერანდაზე გავედით. გზის მოპირდაპირე მხარეს ევკალიპტები იდგა, ფოთლები მთვარის შუქზე უპრიალებდათ. შორიახლოს მატარებელი იდგა და ორთქლსა და წყალს რელსებზე სტვენით უშვებდა. თედმა ხმადაბლა და მღელვარედ უთხრა:

- პოლ, შენა ხარ ყველაზე ძლიერი არგუმენტი იმის დასტურად, რაც კი ვიცი, რომ მთელი თქვენი უმაღლესი კლასი უნდა დაიხვრიტოს, უნდა გავთავისუფლდეთ თქვენგან.

უმალ დავეთანხმე. და ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. იმ საღამომდე, დაახლოებით ერთი კვირით ადრე პოლმა იმდენად გააცოფა თედი, რომ მან მართლა დაკარგა წონასწორობა, გაფითრდა, სახე ეცვალა და გამოუცხადა, აღარასოდეს დაგელაპარაკებიო.

- და არც ვილის, - მაშინვე დაამატა, - ერთი ჩამოსხმა ხართ.

მე და მერირროუზმა არაერთი საათი მოვანდომეთ იმას, რომ დაგვერწმუნებინა, ჩვენს რიგებში დაბრუნებულიყო, მაგრამ ახლა კი პოლმა ძალდაუტანებლად შენიშნა:

- ქალიშვილს არასოდეს გაუგია ესკოტი და როცა გაიგებს, რაც არის, მეტად ესიამოვნება.

- არა. არ ესიამოვნება. არ ესიამოვნება, - ეს იყო სულ, რაც თედმა ხანგრძლივი პაუზის მერე თქვა.

სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის დროსაც დიდხანს ვუყურებდით ვერცხლისფერი ფოთლების ნარნარ თრთოლას, შემდეგ კი:

- რა ჯანდაბაა. თქვენ ამას ვერასოდეს გაიგებთ, ვერც ერთი თქვენგანი, ვერასოდეს სიცოცხლეში. თუმცა, ფეხებზე მკიდია.

„თუმცა, ფეხებზე მკიდია“ ითქვა თედისთვის სრულიად უცხო ტონით, თითქმის ფუქსავატურად. და გაიცინა. არასოდეს მინახავს, ასე გაეცინა. გულისრევა ვიგრძენი, ისე, როგორც ზღვის ავადმყოფობის დროს იცის, რადგან მე და თედი ამგვარი პაექრობისას ყოველთვის გვერდიგვერდ ვიდექით ხოლმე. ახლა კი მიმატოვა.

სასტუმროს მთავარი შენობა გზის პირას იდგა. აქ იყო ბარი და სასადილო, სამზარეულო სათავსებითურთ. ფასადს გაყოლებული ვერანდა ხვიარა მცენარეებში გახვეულ ხის სვეტებს ეყრდნობოდა. ძელსკამებზე ვისხედით, ვამთქნარებდით და უეცრად ძლიერი დაღლილობა და შიმშილი ვიგრძენით. მალე მისის ბუთბიმ სასადილოში შეგვიპატიჟა, მერე კი ისევ ჩაკეტა კარი, ვერც ერთი მგზავრი რომ ვერ შემოსულიყო და საჭმელი მოეთხოვა. აქ გადიოდა კოლონიის ერთ-ერთი მთავარი გზა, რომელზეც ყოველთვის გაცხოველებული მოძრაობა იყო. მისის ბუთბი მსხვილი, სიმსუქნეშეპარული, მეტად უბრალო შესახედაობის ქალი იყო, ალეწილი სახე და უფერული, საგულდაგულოდ დაწ-

ნული თმა ჰქონდა. ვიწრო კორსეტს ატარებდა, უკანალი გამობ-ზეკოდა, მკერდი კი მიდგმულ თაროსავით ედგა. კეთილი და გუ-ლისხმიერი ქალი იყო, მასში ერთდროულად იგრძნობოდა მუდ-მივი მზაობა მომსახურებისათვის და შინაგანი ღირსება. მისის ბუთბიმ მოგვიბოდიშა, გვიან ჩამოხვედით და ხეირიან სადილს ვერ შემოგთავაზებთო, მაგრამ დაგვპირდა, რაც კი შესაძლებე-ლია, ყველაფერს გავაკეთებ, რომ კმაყოფილი დარჩეთო. შემ-დეგ თავი დაგვიკრა და გავიდა, ოფიციანტს შეგვატოვა, რომე-ლიც ერთობ დაღვრემილი გახლდათ იმის გამო, რომ ჩვენმა მომსახურებამ სამუშაო დღის დასრულების შემდეგ მოუწია. მშვენიერი როსტბიფის დიდი ულუფები, შემწვარი კარტოფილი და სტაფილო მოგვართვეს. შემდეგ ვაშლის ღვეზელი, ნაღები და ადგილობრივი წარმოების ყველი. ეს ინგლისური პაბის ჩვეული სადილი გახლდათ, მზრუნველი ხელით მომზადებული. სასადი-ლოში სიჩუმე იდგა. მაგიდები ხვალინდელი საუზმისთვის გაემ-ზადებინათ. ფანჯრებსა და კარებზე ტილოს მძიმე, ყვავილებიანი ფარდები ეკიდა. გზაზე მიმავალი მანქანების ფარების შუქი წამ-დაუწუმ სცემდა ფარდას, წამით ნახატს უხილავს ხდიდა და ტო-ვებდა მხოლოდ ყვავილების კონტრასტულ, წითელსა და ლურჯ გულებს, რომლებიც მანამ კაშკაშებდნენ, სანამ დამაბრმავებე-ლი შუქი მოახლოვდებოდა, მერე კი გვშორდებოდა და ქალაქის მიმართულებით მისრიალებდა. ყველას გვეძინებოდა, ლაპარა-კის სურვილი მაინცდამაინც არავის ეტყობოდა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უკეთესად ვიგრძენი თავი, რადგან პოლი და ვილი ოფიციანტს თავიანთი ჩვეულებისამებრ ექცეოდნენ, როგორც მსახურს, ხან ერთს ითხოვდნენ, ხან მეორეს, და თედი გამოფ-ხიზლდა, ოფიციანტს როგორც თავის ტოლს დაუწყო ლაპარაკი, იმაზე უფრო თბილადაც კი, ვიდრე ჩვეულებრივ, და მივხვდი,

რომ დარცხვენილია ვერანდაზე იმ ეპიზოდის გამო. მანამ თედი ოფიციანტს ეკითხებოდა ოჯახის, სამუშაოს, ცხოვრების შესახებ და თავის თავზეც უყვებოდა, პოლი და ვილი მდუმარედ ჭამდნენ, როგორც ყოველთვის იქცეოდნენ მსგავს სიტუაციებში. მათ უკვე დიდი ხანია მკაფიოდ გამოთქვეს თავიანთი აზრი ამ საკითხზე.

- თედ, რა გგონია, თუ მოსამსახურესთან კეთილი ძია იქნები, სოციალიზმის საქმეს ხელს შეუწყობ?

- დიახ, - მიუგო თედმა.

- მაშინ მე ვერაფრით დაგეხმარები, - უთხრა ვილიმ და მხრები აიჩეჩა, აგრძნობინა, უიმედო ხარო.

ჯიმიმ კიდევ მოითხოვა სასმელი. უკვე მთვრალი იყო. ყველაზე სწრაფად თვრებოდა, ვინც კი ოდესმე მინახავს. მალე მისტერ ბუთბიც შემოვიდა და გვითხრა, რომ როგორც მოგზაურებს, დალევის უფლება გვქონდა, რითაც ცხადად მიგვანიშნა, რატომაც დაგვრთეს სასადილოში ასე გვიან შესვლის ნება. მაგრამ იმ მაგარი სასმელების ნაცვლად, რასაც სასტუმროს მეპატრონე გვთავაზობდა, ღვინო მოვითხოვეთ, და მან კეიპის ჩაცივებული ღვინო მოგვიტანა. ღვინო ჩინებული გამოდგა და კეიპიდან მაგარ ბრენდიზე გადასვლა აღარც მოგვინდა, მისტერ ბუთბიმ მოგვიანებით რომ შემოგვიტანა, თუმცა, ისიც დავლიეთ და მერე ისევ ცოტაოდენი ღვინო მივაყოლეთ. შემდეგ ვილიმ გამოაცხადა, მომავალ უიკ-ენდზე ჩამოვალთო და მისტერ ბუთბის ჰკითხა, ხომ ვერ დაგვახვედრებდით ნომრებსო. გვიპასუხა, ამაზე ადვილი არაფერიაო და მერე ისეთი ანგარიში მოგვიტანა, გადასახდელი თანხა ძლივს შევაკოწიწეთ.

ვილის ჩვენთვის არც უკითხავს, შევძლებდით თუ არა მომავალ უიკ-ენდზე „მაშოპიში“ წამოსვლას, თუმცა, იდეა მოგვეწონა. უკან უკვე გრილ მთვარის შუქზე ვბრუნდებოდით. დაბლობზე

ცივი, თეთრი ნისლი იწვა, ძალიან გვიან იყო და ყველანი, ცოტა არ იყოს, მოვიბუზეთ. ჯიმი უგონოდ მთვრალი გახლდათ. როცა ქალაქში დავბრუნდით, უკვე მეტისმეტად გვიან იყო და ბიჭები ბანაკში ვეღარ დაბრუნდნენ; ამიტომ „გეინსბოროში“, ჩემს ოთახში დარჩნენ, მე კი ვილის ოთახში გადავედი. ასეთ შემთხვევებში ძალიან ადრე დგებოდნენ, დაახლოებით ოთხ საათზე, და ჩვენი პატარა ქალაქის გარეუბანში მიდიოდნენ, სადაც მანქანას დაემგზავრებოდნენ ხოლმე, რომელსაც ბანაკამდე მიჰყავდა, - საწვრთნელ ფრენას დაახლოებით ექვს საათზე, მზის ამოსვლისთანავე იწყებდნენ.

ამრიგად, შემდეგ უიკ-ენდზე „მაშოპიში“ წავედით. ვილი და მე, მერიროუზი, თედი, პოლი და ჯიმი. პარასკევის გვიანი საღამო იყო. შეგვაგვიანდა, რადგან სწორედ იმ დღეს გვქონდა კრება, რომელზეც „პარტიულ კურსს“ განვიხილავდით. როგორც ყოველთვის, საუბარი ეხებოდა იმას, თუ როგორ ჩაგვეთრია აფრიკელთა მასები აქტიურ მოქმედებაში. ჩვენი ოფიციალური განხეთქილების გამო დისკუსია ღვარძლიანი გამოვიდა, თუმცა, იმ საღამოს ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის, ერთ მთლიანობად გვეგრძნო თავი. დაახლოებით ოცი კაცი ვიყავით და დისკუსია დასრულდა იმით, რომ შევთანხმდით, - მიღებული „პარტიული კურსი“ სავსებით „სწორი“ იყო, თუმცა, ისიც ვაღიარეთ, რომ შედეგი ნულოვანია.

ჩავბარგდით მანქანაში ჩვენი ჩანთებითა და ზურგჩანთებით და დავდუმდით. ხმა არ ამოგვიღია, სანამ ქალაქს კარგა დიდი მანძილით არ დავშორდით. მერე კი პოლმა და ვილიმ „პოლიტიკურ კურსზე“ კამათი განაახლეს. ისეთს არაფერს ამბობდნენ, რაც ადრე არ თქმულა, და მათ შორის - კრებაზეც, მაგრამ ყველანი ყურადღებით ვუსმენდით, ალბათ, იმ იმედით, რაიმე ახა-

ლი იდეა დაიბადებოდა და ჩიხიდან გამოსვლაში დაგვეხმარებოდა. „პოლიტიკური კურსი“ მარტივი და მშვენიერი გახლდათ. იმ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერს კანის ფერი განსაზღვრავს, სოციალისტების პირდაპირი მოვალეობაა რასიზმთან ბრძოლა. მაშასადამე, „წინსვლა“ პროგრესული შავი და თეთრი ავანგარდული ჯგუფების ერთობლივმა ძალისხმევამ უნდა უზრუნველყოს. მაგრამ ვინ უნდა იყოს თეთრების პროგრესული ძალების სათავეში? ცხადია, პროფკავშირები. ხოლო შავების ავანგარდში? ცხადია, მათი პროფკავშირები. არადა, მაშინ შავი პროფკავშირები არ არსებობდა, კანონით იყო აკრძალული, ხოლო შავი მასები ჯერ არ იყვნენ იმდენად მომწიფებული, რომ აკრძალული საქმიანობა წამოეწყოთ. თეთრი პროფკავშირები კი შავებთან უფრო მტრულად იყვნენ განწყობილი, ვიდრე თეთრი მოსახლეობის ნებისმიერი სხვა ნაწილი, რადგან თავიანთ პრივილეგიებს უფრთხილდებოდნენ. ამის გამო ჩვენი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო მოვლენები, რა და როგორ უნდა მომხდარიყო უპირველესი პრინციპის თანახმად, რომელიც აცხადებდა, რომ პროლეტარიატი სათავეში უნდა ჩაუდგეს ხალხის მასებს თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე, ჩვენს რეალობაში ვერანაირ დადასტურებას ვერ პოულობდა. უპირველესი პრინციპი კი იმდენად წმინდა იყო, რომ მისი ეჭვქვეშ დაყენება შეუძლებელი გახლდათ. ჩვენს წრეში (მათ შორის - სამხრეთ აფრიკის კომუნისტურ პარტიაშიც) ნაციონალიზმი ითვლებოდა მემარჯვენე გადახრად, რომელსაც სასტიკად უნდა ებრძოლო. უპირველესი პრინციპი, ჰუმანიზმის ყველაზე გონივრულ პრინციპებს რომ ემყარებოდა, უღრმესი მორალური კმაყოფილებით გვავსებდა.

ვგრძნობ, რომ ისევ იმ ცინიკურ ტონს ვუბრუნდები, თვითგვემის ტონს. და მაინც, რაოდენ მანუგეშებელია: სალბუნს ჰგავს, ჭრილობას რომ დაადვეს. ეს კი მართლაც „ჭრილობაა“: მე, ისევე, როგორც ათასი სხვა, ვერ ვიხსენებ მომენტს პარტიაში თუ პარტიის გვერდით ყოფნის პერიოდიდან, როცა მტანჯველსა და შემაღონებელ წუხილს არ განვიცდიდი. და მაინც, ეს ტკივილი ნოსტალგიის საშიში ტკივილის მსგავსია, მისი ბიძაშვილი და ისევე მომაკვდინებელია. ამ თემას მაშინ მივუბრუნდები, როცა წერას გულწრფელად შევძლებ, სხვა ტონალობით.

მახსოვს, მერიროუზმა კამათს როგორ დაუსვა წერტილი, ჩაილაპარაკა:

- მაგრამ ისეთს არაფერს ამბობთ, რაც ადრე არ გითქვამთ.

საუბარი უმალ შეწყდა. მერიროუზი ამ ხერხს ხშირად იყენებდა, ერთ წამში შეეძლო ჩვენი ჩაჩუმება. თუმცა, მამაკაცები მას ქედმაღლურად უყურებდნენ, მიაჩნდათ, რომ პოლიტიკური აზროვნების უნარი სულ არ გააჩნდა. და ეს იმიტომ, რომ მერიროუზს არ შეეძლო ან არ სურდა პოლიტიკური ჟარგონით ელაპარაკა. არადა, სწრაფად ჩახვდებოდა ხოლმე საქმის არსს და შეეძლო ეს მარტივად გამოეთქვა. არსებობს აზროვნების ისეთი ტიპი, რომელიც ვილის ჰქონდა, როცა ადამიანს სხვისი იდეების აღქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი იმ ენაზეა ჩამოყალიბებული, რომელსაც თვითონ იყენებს.

მაშინ მერიროუზმა თქვა:

- ეტყობა, რაღაც სწორი არაა, თორემ ამაზე გაუთავებლად მსჯელობა არ დაგვჭირდებოდა.

თავდაჯერებული ლაპარაკობდა, მაგრამ როდესაც მამაკაცებმა არაფერი უპასუხეს, მიხვდა, ამჯერად უბრალოდ უთმენდნენ და ლამის მუდარით თქვა:

- შეიძლება მე ისე არ ვამბობ, როგორც საჭიროა, მაგრამ ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

როცა მის ხმაში მუდარა შენიშნეს, მამაკაცები ხასიათზე მოვიდნენ და ვილიმ უთხრა:

- ყველაფერს სწორად ამბობ. შენისთანა სილამაზის პატრონს უბრალოდ არ შეუძლია ისე არ ილაპარაკოს, როგორც საჭიროა.

მერიროუზი ჩემ გვერდით იჯდა, ავტომობილში ბნელოდა და ჩემკენ მობრუნდა, რომ გაეღიმა. ასეთ ღიმილს ხშირად ვუცვლიდით ერთმანეთს.

- მეძინება, - თქვა მან, მხარზე თავი ჩამომადო და კნუტივით ჩაიძინა.

ყველანი უსაშველოდ დავიღალეთ. მე მგონი, ადამიანი, რომელიც არასოდეს ყოფილა დაკავშირებული მემარცხენე მოძრაობასთან, ვერასოდეს წარმოიდგენს, თუ რამდენს შრომობენ საქმის ერთგული სოციალისტები; შრომობენ შეუსვენებლად, ყოველდღე, შრომობენ წლობით. თანაც, ჩვენ თავის სარჩენადაც გვიხდებოდა მუშაობა. მამაკაცებს კი, ყოველ შემთხვევაში, მათ, ვინც ბანაკში ნამდვილ სამხედრო მომზადებას გადიოდნენ, მუდმივი ნერვული სტრესი ჰქონდათ. მიტინგებს, დისკუსიებსა და დებატებს ყოველ საღამოს ვმართავდით. ყველანი ძალზე ბევრს ვკითხულობდით. დილის ოთხ-ხუთ საათამდე იშვიათად ვიძინებდით. გარდა ამისა, ყველანი „სულთა მკურნალებიც“ გახლდით. თედს უკიდურესობამდე მიჰყავდა ის, რაც ყოველ ჩვენგანში ბუდობდა. მიგვაჩნდა, რომ პირადად ვართ პასუხისმგებელნი ნებისმიერ ადამიანზე, ვისაც კი უჭირს. და ჩვენი სწორუპოვარი მოვალეობის ნაწილია, ავუხსნათ ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენია ერთი ნაპერწკალი მაინც, რომ

ცხოვრება დიდებული და ბრწყინვალე თავგადასავალია. ახლა, როცა წარსულში ვიხედები, შემიძლია ვივარაუდო, რომ მთელი იმ წარმოუდგენლად მძიმე საქმიანობისგან, რომელსაც მაშინ ვეწეოდით, მხოლოდ ადამიანებთან ამ პიროვნულ მუშაობას ჰქონდა შედეგი. ეჭვი მეპარება, რომელიმე ჩვენს „აღსაზრდელს“ ოდესმე დაავიწყდეს ის ჩვენი ზღვარგადასული რწმენა, - რომ ცხოვრება დიდებული და ბრწყინვალე თავგადასავალია, რადგან თუკი ამისა არ გვწამდა ჩვენი ხასიათიდან თუ ცხოვრების ნირიდან გამომდინარე, პრინციპის გამო მაინც გვჯეროდა. არაერთი შემთხვევა მახსენდება. მაგალითად, როგორ იტანჯებოდა ვილი რამდენიმე დღე იმის გამო, რომ არ იცოდა, როგორ დახმარებოდა ქალს, რომელიც სასტიკად განიცდიდა ქმრის ღალატს, და გადაწყვიტა, წასაკითხად მიეცა „ოქროს ტოტი“, რადგან „როცა ვიღაც უბედურია პირად ცხოვრებაში, უნდა სცადო და ყველაფერს ისტორიული პერსპექტივიდან შეხედო. ეს არის სწორი მიმართულება“. ქალმა წიგნი მალევე დაუბრუნა და მოუბოდიშა, ჩემთვის მეტისმეტად რთულიაო, მაგრამ ქმართან გაყრა მაინც მტკიცედ გადაეწყვიტა, რადგან მიმხვდარა, რომ მისგან სადარდებელი მეტი ჰქონდა, ვიდრე ხეირი. თუმცა, ის ქალი, როცა ჩვენი ქალაქიდან წავიდა, სხვაგან გადასახლდა, ვილის წერილებს რეგულარულად უგზავნიდა: თავაზიანს, გულთბილს, მადლიერებით აღსავსე წერილებს. მახსოვს საშინელი სიტყვები: „არასოდეს დავივიწყებ თქვენს სიკეთეს, რომ ჩემ მიმართ ინტერესი გამოამჟღავნეთ“ (თუმცა, მაშინ ჩემზე ამ სიტყვებს მაინცდამაინც არ უმოქმედია).

ორი წლის განმავლობაში ეს მაღალი თამასა დაძაბული ცხოვრებისა ყველას გვეჭირა, - ისიც დასაშვებია, ჩვენ, ყველა-

ნი, სრული ნერვული გამოფიტვის გამო, ცოტა არ იყოს, შექანებულებიც კი ვიყავით.

რომ არ ჩაგვძინებოდა, თედმა სიმღერა წამოიწყო. პოლმა კი სრულიად სხვა ხმით, ვიდრე ვილისთან კამათის დროს, დაიწყო თავისებური იმპროვიზაცია, ხმამაღალი ფიქრი იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს, თუკი აფრიკელები აჯანყდებიან რომელიმე ჰიპოთეტურ დასახლებაში, სადაც თეთრკანიანი კოლონისტები ცხოვრობენ (ეს საუბარი კენიასა და მაუ-მაუზე ათიოდე წლით ადრე გაიმართა). პოლმა ხატოვნად აღწერა, თუ როგორ შრომობდა ოცი წლის განმავლობაში „ორ-ნახევარი კაცი“ (ვილიმ გააპროტესტა დოსტოევსკიზე ეს მინიშნება, რადგან რეაქციულ მწერლად მიაჩნდა) იმისთვის, რომ ადგილობრივ ველურებს გაეცნობიერებინათ, განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე რაზმს რომ შეადგენდნენ. და როგორ მოახერხა ვიღაც ადგილობრივმა დემაგოგმა, რომელმაც ნახევარი წელი გაატარა ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში, თვალის დახამხამებაში შეექმნა მასობრივი მოძრაობა ლოზუნგით „ბოლო მოვუღოთ თეთრებს“.

ორ-ნახევარ კაცს, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პოლიტიკოსებს, ამან შოკი მოჰგვარა, მაგრამ გვიან იყო: დემაგოგმა მათ ცილი დასწამა, ხმა გაავრცელა, რომ სინამდვილეში ემსახურებოდნენ თეთრებს, რომლებიც მათ ფულს უხდიდნენ. თეთრებში პანიკა ატყდა და შეთითხნილი ბრალდებით ციხეში ჩასვეს დემაგოგიცა და ორ-ნახევარი კაციც. უბელადოდ დარჩენილი შავი მასები კი გორაკებსა და ტყეში გაიფანტნენ და პარტიზანები გახდნენ. „იმისდა კვალად, თუ შავი რაზმები თეთრი რაზმების ზეწოლით როგორ თმობდნენ პოზიციებს, ეს ასობით პატიოსანი, მართალი, წრფელი, განათლებული ახალგაზრდა,

რომლებიც ყველაფრით გვგავდნენ და რომლებიც პირდაპირ ინგლისიდან ჩამოიყვანეს კანონისა და სამართლის დასაცავად, შავი მაგიისა და ადგილობრივი შამანების გავლენის ქვეშ მოექცნენ. ამგვარმა ბილწმა ანტიქრისტიანულმა მოქმედებამ ყველა პატიოსან ადამიანში სრულიად სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია და ისინი ჩამოშორდნენ ბრძოლას შავკანიანთა უფლებებისთვის, და ეს პატიოსანი და მართალი ახალგაზრდები, ყველაფრით ჩვენი მსგავსნი, სამართლიანად აღშფოთებულნი, სცემდნენ, აწამებდნენ და სახრჩობელაზე კიდებდნენ იმ პარტიზანებს. კანონმა და სამართალმა გამარჯვება იზეიმა. თეთრებმა ციხიდან გაათავისუფლეს ორ-ნახევარი კაცი, დემაგოგი კი ჩამოახრჩვეს. შავ მოსახლეობას დემოკრატიული უფლებების მინიმუმი უბოძეს, მაგრამ ის ორ-ნახევარი კაცი...“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

ფანტაზიის ამ აღმაფრენაზე არც ერთ ჩვენგანს არაფერი უთქვამს. ეს ყველაფერი ჩვენი მოლოდინისა და პროგნოზისაგან წარმოუდგენლად შორს იდგა. თვით თხრობის ტონმაც კი შოკი მოგვგვარა (რა თქმა უნდა, ახლა ამაში იმედგაცრუებული იდეალიზმის გამოვლინებას ვხედავ, - ახლა, როცა ამ სიტყვებს პოლზე ვწერ, გაოცებას ვერ ვფარავ. პირველად დავუშვი აზრი, რომ გაიდეალების უნარი ჰქონდა).

პოლი კი განაგრძობდა:

- თუმცა, არსებობს მეორე ალბათობაც. რა მოხდებოდა, შავ რაზმებს რომ გაემარჯვათ? ჭკვიან ბელად-ნაციონალისტს არჩევანიც კი არა აქვს: უბრალოდ ვალდებულია, განამტკიცოს ნაციონალისტური გრძნობები და განავითაროს მრეწველობა. გიფიქრიათ თუ არა, ამხანაგებო, რომ ჩვენ, როგორც პროგრესული ადამიანები, ვალდებულნი ვიქნებით მხარი დავუჭიროთ ნა-

ციონალურ სახელმწიფოებს, რომელთა მთავარი საქმე კაპიტალისტური ეთიკის ყველა იმ ძირითადი ასპექტის განვითარება იქნება, უთანასწორობაზე რომ არის დაფუძნებული და ესოდენ რომ გვძულს? აბა, თუ გიფიქრიათ ამაზე? მე კი ვხედავ ამას, ვხედავ ჩემს მაგიურ კრისტალში, - ჩვენც მოგვიწევს ამ ყველაფრისთვის მხარის დაჭერა. დიახ, დიახ, დიახ, ალტერნატივა არ გვექნება.

ამ დროს ვილიმ შენიშნა:

- დალევა მოგიხდებოდა.

მაგრამ ყველა გზისპირა ბარი უკვე დაკეტილი იყო და პოლმა ჩაიძინა. მერიროუზს ეძინა. ჯიმის ეძინა. თედს, რომელიც წინა სავარძელზე იჯდა ვილის გვერდით, არ ეძინა, რომელიღაც არიების მელოდიებს უსტვენდა. მგონი, პოლს არც კი უსმენდა: როცა თედი რომელიმე მუსიკალურ ნაწყვეტს უსტვენდა ან ღიღინებდა, ნიშნავდა, რომ არ მოსწონდა ის, რაც ამ დროს ხდებოდა.

გაცილებით მოგვიანებით, როგორც მახსოვს, გავიფიქრე, რომ ყველა იმ ანალიტიკური დისკუსიების დროს, წლების განმავლობაში რომ ვეწეოდით, ერთადერთხელ ოდნავ მაინც მივუახლოვდით სიმართლეს (თუმცა, ის მაინც საკმაოდ შორს დარჩა ჩვენგან) და ეს მოხდა მაშინ, როცა პოლი თავის გამოგონილ ამბავს ღვარძლიანი პაროდიის სტილში გვიყვებოდა.

როდესაც სასტუმროს მივაღწიეთ, შუქი ყველგან ჩამქრალი დაგვხვდა. ნახევრად მძინარე მსახური ვერანდაზე გველოდებოდა, ჩვენს ოთახებამდე რომ მივეყვანეთ. შენობა, სადაც საძინებლები იყო, ბარისა და სასადილოს უკან იდგა, რამდენიმე ასეული იარდის დაშორებით, გორაკის ფერდობზე. აქ იყო ოცი ოთახი ერთ ჭერქვეშ, ათ-ათი ორივე მხარეს და ორი გრძელი ვე-

რანდა - შენობის ორივე მხარეს. ყოველი ოთახი ვერანდაზე გადიოდა. ოთახები კომფორტული და გრილი გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ გამჭოლი ვენტილაცია არ გააჩნდა. ყოველ ოთახში ელექტროვენტილატორი იდგა. ფანჯრები დიდი იყო. ოთხი ოთახი გამოგვიყვეს. ჯიმი და თედი ერთ ოთახში შევიდნენ, მე და ვილი - მეორეში; მერიროუზმა და პოლმა ცალ-ცალკე ოთახები მიიღეს. ყველა ჩასვლაზე ზუსტად ასე ვნაწილდებოდით. უფრო ზუსტად, რადგან მისტერ ბუთბი ამას არანაირ კომენტარს არ უკეთებდა, სასტუმრო „მაშოპიში“ მე და ვილი ყოველთვის ერთად, ერთ ნომერში ვცხოვრობდით. დილით ყველას მხოლოდ მაშინ გაგვეღვიძა, როცა საუზმე დიდი ხნის დასრულებული იყო. ბარი გაეხსნათ და თითქმის სრულ მდუმარებაში ცოტაოდენი დავლიეთ, შემდეგ კი იყო ლანჩი, რომელმაც ასევე თითქმის სრულ მდუმარებაში ჩაიარა. ოღონდ დროდადრო ერთმანეთს გაოცებით ვეუბნებოდით, რომ ძალიან დავღლილვართ. ლანჩი სასტუმროში ყოველთვის ჩინებული იყო: ხორცის ცივი საუზმეულის დიდი არჩევანი, ყველანაირი სალათი, რაც კი შეიძლება ინატრო, ახალი ხილი. მერე კი ყველანი ისევ დასაძინებლად წავედით. მზე თითქმის ჩასული იყო, როცა მე და ვილის გაგვეღვიძა და სხვებიც გავაღვიძეთ. ვახშმის დამთავრებიდან ნახევარ საათში ისევ საწოლებში ვიყავით. მომდევნო დღე, კვირა, გუშინდლისგან დიდად არ განსხვავდებოდა. თუმცა, ეს ჩვენი, არსებითად პირველი, სტუმრობა „მაშოპიში“ ყველაზე სასიამოვნო გამოდგა. საოცარი უშფოთველობა დაგვეუფლა, რაც დაღლილობით იყო გამოწვეული. სასმელი თითქმის არ დაგვილევია და მისტერ ბუთბი იმედგაცრუებული ჩანდა. იმ დღეებში ყველაზე ცოტას ვილი ლაპარაკობდა. მგონი, სწორედ მაშინ გადაწყვიტა, პოლიტიკას ჩამოშორებოდა, რამდენადაც ეს

შესაძლებელი იქნებოდა, და თავი მეცნიერებისთვის მიეძღვნა. პოლს კი ყველასთან წრფელი, გულიანი ურთიერთობა ჰქონდა, განსაკუთრებით, მისის ბუთბისთან, რომელსაც ის ძალიან მოსწონდა.

ქალაქში კვირა საღამოს დავბრუნდით, საკმაოდ გვიან, რადგან „მაშოპი“ არ გვეთმობოდა. გამგზავრების წინ ვერანდაზე ჩამოვსხედით. ლუდს ვსვამდით ჩაბნელებული სასტუმროს ფონზე. მთვარე ისე ანათებდა, რომ ქვიშის ცალკეულ მარცვლებს ვარჩევდით, ჩავლილი ურმების ბორბლებმა რომ ამოისროლა და ახლა სასტუმროს წინ, ბეტონის ბაქანზე, ცალ-ცალკე ბრწყინავდნენ. ევკალიპტის ძირს ჩამოშვებული მძიმე ფოთლები შუბის ბუნიკებივით ელვარებდნენ. თედმა ჩაილაპარაკა:

- მოდი, ჩვენს თავს შევხედოთ. ყველანი აქა ვართ და სათქმელიც კი არაფერი გვაქვს ერთმანეთისთვის. „მაშოპი“ საშიში ადგილია. დავიწყებთ აქ სიარულს ყოველ უიკ-ენდზე და ლეთარგიულ ძილს მივეცემით ლუდით, მთვარის შუქით, გემრიელი საჭმელებით მოდუნებული. ერთი მითხარით, ამან სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს?

„მაშოპიში“ მთელი თვე აღარ წავსულვართ. ყველანი მივხვდით, რამდენად გადავიღალეთ და მგონი, შეგვეშინდა იმისა, რაც შეიძლებოდა, მომხდარიყო, თუკი დაღლილობას უფლებას მივცემდით, ჩვენზე ემძლავრა. მთელი თვე თავაუღებლად ვმუშაობდით. პოლს, ჯიმისა და თედს სამხედრო მომზადების ვადა უმთავრდებოდათ და ყოველდღე უწევდათ ფრენა. კარგი ამინდი იდგა. ჩვენ უამრავ მეორეხარისხოვან პოლიტიკურ საქმეს ვაკეთებდით: ვატარებდით ლექციებს, სხვადასხვა სასწავლო მეცადინეობას, ვასრულებდით კვლევით სამუშაოს. თუმცა, „პარტიას“ მხოლოდ ერთხელ ჰქონდა სხდომა. მეორე ქვეჯგუფი ხუთმა

კაცმა დატოვა. საინტერესოა, რომ იმ ჩვენი ერთადერთი შეხვედრის დროს თითქმის გათენებამდე ცხარედ და ღვარძლიანად ვიკამათეთ; თუმცა, სხვა დღეებში ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით, თბილი ურთიერთობა გვქონდა და სხვადასხვა წვრილმანზე ვმსჯელობდით, რაც იმ მეორეხარისხოვან საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, ჩვენ რომ გვევალებოდა. იმხანად ჩვენი ჯგუფი „გეინსბოროში“ იკრიბებოდა. ვხუმრობდით, ვიხსენებდით „მაშოპისა“ და მის ავის მომასწავებელ, მომადუნებელ ზემოქმედებას. „მაშოპი“ ჩვენს საუბრებში მოდუნების, დეკადანსისა და ჭკუასუსტობის სიმბოლოდ იქცა. ჩვენი მეგობრები, რომლებიც იქ ნამყოფები არ იყვნენ, მაგრამ იცოდნენ, რომ ჩვეულებრივი გზისპირა სასტუმრო იყო, გვეუბნებოდნენ, გაგიფრენიათო. ჩვენი ვიზიტიდან ერთი თვის შემდეგ ხანგრძლივი უქმეები დადგა, ხუთშაბათის საღამოდან შემდეგ ოთხშაბათამდე. კოლონიაში დღესასწაულებს ერთობ სერიოზულად ეკიდებოდნენ და გადავწყვიტეთ, დიდი კომპანიით ჩავსულიყავით. კომპანია ჩვენ ექვსისგან და თედის ახალი პროტეჟესგან (მანჩესტერელი სტენლი ლეტისგან, რომლის გამოც მან მოგვიანებით მფრინავის კარიერა დაასამარა) შედგებოდა, და ასევე ჯონისგან, სტენლის მეგობრისგან. და კიდევ, ჯორჯ ჰუნსლოუს შევუთანხმდით, რომ მოგვიანებით შემოგვიერთდებოდა. სასტუმრომდე მანქანითა და მატარებლით ვიმგზავრეთ და იმ დროისთვის, როცა ხუთშაბათ საღამოს ბარი დაიკეტა, ნათელი შეიქნა, რომ ეს უიკ-ენდი წინამორბედისგან სრულიად განსხვავებული იქნებოდა.

იმ ხანგრძლივ უიკ-ენდზე სასტუმრო ხალხით სავსე დაგვხვდა. მისის ბუთბიმ ფლიგელიც კი გახსნა, სადაც კიდევ თორმეტი ოთახი იყო. ორი საცეკვაო საღამო ჰქონდათ დაგეგმილი,

პირველი საერთო იქნებოდა, მეორე - კერძო, და ჰაერში ცხოვრების რუტინული წესისგან გადახვევის სასიამოვნო ატმოსფერო უკვე შეიგრძნობოდა. როცა ჩვენი კომპანია მეტად დაგვიანებულ ვახშამს შეუდგა, ოფიციანტი სასადილოში ნაირფერადი ქაღალდის მოსართავებსა და ნათურების გირლანდებს ჰკიდებდა. მოგვართვეს სადღესასწაულო ცივი დესერტი, რომელიც მეორე დღისთვის მოემზადებინათ. მისის ბუთბიმ შიკრიკი გამოგზავნა, „სამხედრო-საჰაერო ძალების ბიჭები“ ხვალ დიდი ოთახის მორთვაში ხომ არ დაგვეხმარებიანო. შიკრიკად ჯუნ ბუთბი მოგვევლინა და ჩანდა, რომ ჩვენთან ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა, საკუთარი თვალით რომ ენახა ის „ბიჭები“, რომლებზეც შესაძლოა, დედამ უამბო. თუმცა, ისიც ჩანდა, რომ „ბიჭებმა“ მასზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს. კოლონიაში მცხოვრები ძალიან ბევრი ქალიშვილისთვის საკმარისი იყო, ერთხელ შეეხედათ ინგლისელი ყმაწვილებისთვის, რომ სამუდამოდ ჩამოეწერათ, არაფრისმაქნის დონდლოებად, ცხვირმოუხოცავ დედიკოს ბიჭებად ჩაეთვალათ. ჯუნი სწორედ ასეთი ქალიშვილი გახლდათ. იმ საღამოს ჩვენთან ზუსტად იმდენ ხანს დაჰყო, რამდენიც დედამისის თხოვნის გადმოსაცემად და პოლის ზეთავაზიანი აღტაცების მოსასმენად იყო საჭირო, რომელმაც „სამხედრო-საჰაერო ძალების“ სახელით მიიღო ეს „შესანიშნავი წინადადება“. ამის მერე ჯუნი უმალ გაგვშორდა. პოლმა და ვილიმ რამდენიმე ხუმრობა ამოაფრქვიეს გასათხოვარ ქალიშვილზე, თუმცა ისინი მათთვის ჩვეულ ოხუნჯობათა ქარგაში ჯდებოდა „მისტერ და მისის ბუთბებზე, მედუქნესა და მის ცოლზე“. მთელი უიკ-ენდის განმავლობაში და შემდგომ ჩასვლაზეც, ქალიშვილს ყურადღებას არც კი აქცევდნენ. როგორც ჩანს, ჯუნი იმდენად უინტერესო არსებად მიაჩნდათ,

რომ არც კი ახსენებდნენ სიბრალულის, ან შესაძლოა, - თუმცა, ჩვეულებრივ, არც ერთი მათგანი ამგვარი დამოკიდებულების ნიშნებს ვინმეს მიმართ არ ამჟღავნებდა, - რაინდული დიდსულოვნების გამო. ჯუნი მაღალი, ძვალმსხვილი ქალიშვილი იყო, დიდრონი, მოუხეშავი ხელები და მოწითალო ფეხები ჰქონდა, სახე - დედასავით ღაჟღაჟა, თმა კი უფერული, მსუქანი და ულაზათო სახის გარშემო უშნო კულულებად დახვეული. მისი სახის ნაკვთებსა თუ გარეგნობაში ოდნავ მაინც მიმზიდველსა თუ მომხიბლავს ვერაფერს ნახავდი. მაგრამ მასში მძლავრად ბორგავდა, გარეთ გამოსვლას თხოულობდა ბნელი ძალა. ჯუნი იმ მდგომარეობაში იყო, რომელსაც ცხოვრების განსაზღვრულ ეტაპზე არაერთი ქალიშვილი განიცდის: სექსუალური შეპყრობილობის მდგომარეობაში, რომელიც შეიძლება ტრანსის მსგავსი იყოს. როცა თხუთმეტი წლისა ვიყავი და ჯერ კიდევ ბეიკერ--სტრიტზე ვცხოვრობდი მამასთან ერთად, მე თვითონაც გავატარე რამდენიმე თვე ასეთ მდგომარეობაში, ამიტომ ახლა, როდესაც იმ არემარეში აღმოვჩნდები ხოლმე, მახსენდება, ცოტა არ იყოს, სირცხვილითაც კი, იმდროინდელი ჩემი ემოციური განწყობა, რომელიც იმდენად ძლიერი გახლდათ, რომ თითქოს ყველაფერს ისრუტავდა გარშემო, - ქვაფენილს, სახლებს, მაღაზიის ვიტრინებს. რაც შეეხება ჯუნს, აი, რა არის საინტერესო: ბუნებას, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე უნდა მოეწყო, რომ მამაკაცები, რომლებსაც ქალიშვილი უყურებდა, წამსვე უნდა მიმხვდარიყვნენ, ესოდენ სასტიკად რა აწუხებდა, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდებოდა. პირველივე საღამოს მე და მერიროუზმა ერთმანეთს უნებლიეთ გადავხედეთ და კინაღამ გადავიხარხარეთ, რადგან მაშინვე მივუხვდით ამ მდგომარეობას და გაოცებასთან ერთად სიბრალულიც ვიგრძენით.

სიცილი შევიკავეთ, რადგან გავაცნობიერეთ, რომ ფაქტი, ჩვენთვის ესოდენ აშკარა, ჩვენი მამაკაცებისთვის სრულიადაც არ იყო ცხადი და გვინდოდა ჯუნი მათი დაცინვისგან დაგვეცვა. ყველა ქალი, რომელიც მაშინ სასტუმროში იყო, ჯუნის მდგომარეობას ხედავდა და უგებდა. მახსოვს, ერთხელ დილით ვერანდაზე ვიჯექი მისის ლეტიმორთან ერთად, სიმპათიურ წითურთმიან ქალთან, სტენლი ლეტს რომ ეარშიყებოდა. უეცრად ჩვენი მხედველობის არეში ჯუნი შემოვიდა: ევკალიპტების ჩრდილში დაბორიალებდა ლიანდაგის შორიახლოს, ოღონდ ცხვირწინ ვერაფერს ხედავდა. ჩვენ თითქოს მთვარეულს ვადევნებდით თვალს. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, დაკვირვებით გაიხედავდა სადღაც შორს, ველს იქით, სადაც მთები იყო აღმართული, ასწევდა ხელებს, თმა რომ შეესწორებინა და გაირინდებოდა, - ისე, რომ მისი სხეული, რომელზეც ღია წითელი ბამბის კაბა ჰქონდა შემოტმასნილი, თითქოს მკვეთრი შავი შტრიხებით იყო შემოხაზული, იღლიებში კი უსწორმასწორო ფორმის მუქი ლაქები, ოფლის ლაქები მოუჩანდა, - მერე კი მუშტად შეკრულ ხელებს მოწყვეტილი მოძრაობით ჩამოუშვებდა ხოლმე ძირს და ისინიც ტანის გასწვრივ უღონოდ დაეკიდებოდნენ. ერთხანს უძრავად იდგა, მერე ისევ წინ წავიდოდა, შეჩერდებოდა, თითქოს ოცნებობდა თუ ზეზეულად სძინავდა და სიზმარს ხედავდა. მიწაზე რაღაც ნაგავს თეთრი სანდლის ჭვინტს ურტყამდა, ისევ წავიდოდა წინ ნელა, გაჩერდებოდა, და ასე, ვიდრე არ გაუჩინარდა, ევკალიპტებს არ მოეფარა, მზეზე რომ ბრწყინავდნენ. მისის ლეტიმორმა ხმამაღლა და მრავალმნიშვნელოვნად ამოიოხრა, მისთვის დამახასიათებლად, მსუბუქად ჩაიცინა და თქვა:

- ღმერთო ჩემო, მილიონ გირვანქადაც არ დავთანხმდებოდი ისევ ქალიშვილად გახდომას. ისევ გადავიტანო ეს ყველაფერი,

არა, არა, არაფრისდიდებით, მილიონ გირვანქადაც კი არ მინდა.

მე და მერიროუზი დავეთანხმეთ. და თუმცა ამ ქალიშვილის ყოველი გამოჩენა ჩვენში სირცხვილის უძლიერეს ტალღას აღძრავდა, მამაკაცები ვერაფერს ხვდებოდნენ და ძალიან ვფრთხილობდით, შემთხვევით რომ არ გაგვეცა, არ გვეღალატა. არსებობს ქალებისთვის დამახასიათებელი კეთილშობილური, რაინდული თანადგომა, რომელიც გამოიხატება ერთი ქალის დამოკიდებულებაში მეორის მიმართ და ის ისევე ძლიერია, როგორც ერთგულებისა და თავგანწირვის ნებისმიერი სახესხვაობა. ანდა, შესაძლოა, ჩვენ არ გვინდოდა დაგვეჯერებინა, რომ ჩვენი მამაკაცების წარმოსახვა და გრძნობები ესოდენ ნაკლული და არასრულყოფილი იყო.

ჯუნი ყველაზე ხშირად ბუთბის სახლის ვერანდაზე ატარებდა დროს, რომელიც სასტუმროდან რამდენიმე ასეული იარდით იყო დაშორებული, მასთან გვერდულად იდგა. სახლი დაახლოებით ათი ფუტის სიმაღლის საძირკველზე იყო შეყენებული, რაც ჭიანჭველებისგან იცავდა. თეთრად შეღებილ ფართო და გრილ ვერანდას უხვად მოსდებოდა ხვიარა მცენარეები და ყვავილები და მეტად თვალწარმტაც ადგილს წარმოადგენდა. სწორედ იქ უყვარდა ჯუნს წოლა ძველ, კრეტონგადაკრულ დივანზე, პორტატიულ გრამოფონზე ფირფიტებს საათობით ატრიალებდა და წარმოსახვაში იმ მამაკაცის სახებას იქმნიდა, რომელიც იხსნიდა იმ სომნამბულური მდგომარეობისგან, რომელშიც იყო ჩავარდნილი. და რამდენიმე კვირის შემდეგ ამ სახებამ ისეთი ძალა შეიძინა, რომ რეალური მამაკაცი შვა.

მერიროუზი და მე სასტუმროს ვერანდაზე ვისხედით, როდესაც ჩვენ წინ სატვირთო მანქანა გაჩერდა, აღმოსავლეთისკენ

რომ ჰქონდა გეზი აღებული. მანქანიდან გადმოვიდა ერთი ტლანქი ჯეელი, რომელსაც მსხვილი, მოწითალო ფეხები და გარუჯული ხელები ჰქონდა, თითოეული ხარის ბარკლის სისქისა. ჯუნი ამ დროს ჩაფიქრებული მიბორიალებდა მოხრეშილ ბილიკზე, რომელიც მამისეული სახლიდან სასტუმროსკენ მიდიოდა და სანდლის ჭვინტით კენჭებს ზევით ისროდა. როცა ჯეელი ბარისკენ გაემართა, ერთი კენჭი პირდაპირ მის ფეხებთან დაეცა. ჯეელი შეჩერდა და ქალიშვილს დაკვირვებით გახედა. შემდეგ ბარისკენ წავიდა, მაგრამ წამდაუწუმ უკან იხედებოდა რაღაცნაირი განყენებული გამომეტყველებით, თითქოს მონუსხულიაო. ჯუნი ბარში შეჰყვა. მისტერ ბუთბი იმ დროს ჯიმისა და პოლისათვის ტონიკიან ჯინს ამზადებდა და ინგლისზე ესაუბრებოდა. თავის ქალიშვილს ყურადღება არ მიაქცია, ის კი კუთხეში ჩამოჯდა და ერთიანად მოდუნდა, ჰაერში მტვრის ნამცეცებსა და მზის ათინათს დაუწყო თვალიერება მეოცნებე გამომეტყველებით. სახით ჩვენკენ იჯდა, მაგრამ ვერ გვამჩნევდა. ჯეელმა ლუდი აიღო და იმავე ძელსკამზე ჩამოჯდა, ჯუნისგან დაახლოებით ერთი იარდის დაშორებით. ნახევარი საათის შემდეგ, როცა თავის სატვირთოში ჯდებოდა, მარტო აღარ იყო, ჯუნი ახლდა. მერიროუზსა და მე უეცრად და სრულიად ერთდროულად სიცილი აგვივარდა და მანამ ვიცინეთ, სანამ პოლმა და ჯიმიმ არ მოირბინეს, რომ გაეგოთ, ასე რამ გაგვამხიარულა. ერთი თვის შემდეგ ჯუნი და ის ჯეელი დაინიშნენ და მაშინღა დაინახა ყველამ, რომ ჯუნი მშვიდი, სასიამოვნო და კეთილგონიერი ქალიშვილი ყოფილა. ნარკოტიკული გაოგნება უკვალოდ გაქრა და მხოლოდ ამის მერე გავაცნობიერეთ, რამდენად აღიზიანებდა მისის ბუთბის ქალიშვილის ასეთი მდგომარეობა. ახლა მას ჯუნთან ხალასი და ლაღი ურთიერთობა ჰქონდა: სიხარულით იღებ-

და მის დახმარებას სახლის საქმეებში, ისევ მეგობრობდა მასთან, ქორწილის სამზადისს ერთად განიხილავდნენ. ეს ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს დედას რცხვენოდა თავისი გაღიზიანებისა, რომელსაც ადრე გრძნობდა. და, შესაძლოა, სწორედ ამ ხანგრძლივმა გაღიზიანებამ გამოიწვია, რომ ერთხელაც მისის ბუთბიმ წონასწორობა დაკარგა და მეტად უსამართლოდ მოიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ, მას მერე, რაც ჯუნმა დაგვტოვა, იმავე საღამოს მისის ბუთბი ჩვენთან მოვიდა. ვილიმ დაპატიჟა. პოლმა, თავის მხრივ, სასწრაფოდ დაუდასტურა მოპატიჟება. ორივენი ისე ლაპარაკობდნენ, რომ მათი ტონი ყველას მეტისმეტად შეურცხმყოფლად თავაზიანი გვეჩვენა. თუმცა, წინა ჯერზე, ჩვენს პირველ უიკ-ენდზე, როცა ესოდენ დაღლილები ვიყავით, პოლის საუბრის ტონი დიასახლისთან სულაც არ ყოფილა ქედმაღლური, პირიქით, სადა იყო, დედასა და მამაზე, „სახლზე“ უყვებოდა. თუმცა კი მისი ინგლისი და მისის ბუთბის ინგლისი ორი სხვადასხვა ქვეყანა იყო.

ვხუმრობდით, მისის ბუთბის პოლი უყვარსო. სინამდვილეში კი არც ერთ ჩვენგანს ამის არ სჯეროდა. მართლა რომ დაგვეშვა ეს, ამ თემაზე აღარ ვიხუმრებდით. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ არ ვიხუმრებდით. რადგან მაშინ, თავიდან, ის ძალიან მოგვეწონა. თავად მისის ბუთბის კი, ეჭვგარეშეა, პოლი გულში ჩაუვარდა. ამავე დროს, ვილიც მოსწონდა. მათში სწორედ ის თვისება იზიდავდა, რომელსაც ვერ ვიტანდით, - უხეში ქედმაღლობა, რომელიც მათ თავდაჭერილსა და უზადო მანერებს ედო საფუძვლად.

სწორედ ვილის გამოისობით მივხვდი, რომ ბევრ ქალს მოსწონს, როცა უხეშად ეპყრობიან. ამის გაგება დამამცირებელი

გახლდათ და დროდადრო ამ აზრს ვეწინააღმდეგებოდი, არ ვაღიარებდი, რომ სიმართლე იყო. არადა, ამაში ისევ და ისევ ვრწმუნდებოდი. თუკი ცხოვრების გზაზე უცებ შეგვხვდებოდა ქალი, რომელთანაც ურთიერთობა ყველას გვიჭირდა, რომელთანაც როგორღაც შეგუებასა და მისადაგებას ვცდილობდით, ვილი იტყოდა ხოლმე:

- თქვენ უბრალოდ არ გესმით: ერთადერთი, რაც მას სჭირდება, ლაზათიანი გაროზგვაა.

(გამოთქმა „ლაზათიანი გაროზგვა“ კოლონიაში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული და ამას, ჩვეულებრივ, ასე ამბობდნენ: „ამ კაფრს ერთი ლაზათიანი გაროზგვა მოუხდება“, - ვილი კი მას უფრო ფართო გაგებით იყენებდა).

მახსოვს მერიროუზის დედა, ნევროზული, ძალაუფლების მოყვარული ქალი, რომელმაც თავის ქალიშვილს ყველა სასიცოცხლო ძალა გამოსწოვა. დაახლოებით ორმოცდაათი წლისა იყო, - მძვინვარე და ქოთქოთა, ბებერი კრუხივით. მერიროუზის ხათრით ვიღებდით და ვითმენდით ყოველ ჯერზე, როცა ქალიშვილის ძიებაში „გეინსბოროში“ შემოიჭრებოდა ხოლმე. გამოჩნდებოდა თუ არა, მერიროუზი დუნე გაღიზიანების, ნევროზული გათანგულობის მდგომარეობაში ვარდებოდა. იცოდა, რომ როგორღაც უნდა შესწინააღმდეგებოდა დედას, მაგრამ საამისოდ სულიერი ძალა არ ჰყოფნიდა. მზად ვიყავით დედამისისგან ყველაფერი მოგვეთმინა და მისთვის კოჭი გვეგორებინა, აი, ვილიმ კი სულ რაღაც ორიოდე ფრაზით განკურნა. ერთ საღამოს მერიროუზის დედა „გეინსბოროში“ მოვიდა და გვნახა, რომ დაცარიელებულ სასადილოში ვმასლაათობდით, სავარძლებში გადაწოლილები.

მან ხმამაღლა თქვა:

- აი, სად ყოფილხართ! ესე იგი, ყველაფერი ისევ ისე გრძელდება. არადა, დიდი ხანია ლოგინში უნდა იყოთ და გეძინოთ!

უკვე სკამზე ჩამოჯდომას, ჩვენთან შემოერთებას აპირებდა, რომ ვილიმ ხმის ოდნავ აუწევლად მიმართა (მხოლოდ სათვალეს აელვარებდა მისკენ):

- მისის ფაულერ.

- დიახ, ვილი? ისევ თქვენა ხართ?

- მისის ფაულერ, რატომ დასდევთ მერიროუზს კუდში, რატომ მოდიხართ აქ და რატომ იქცევით ასე მომაბეზრებლად და საძაგლად?

ქალმა ჰაერი ხმაურით შეისუნთქა, გაწითლდა და ასევე დარჩა, გაშტერებული უყურებდა ვილის და იდგა იმ სკამთან, რომელზეც წამის წინ დაჯდომას აპირებდა.

- დიახ, - სრულიად მშვიდად მიუგო ვილიმ, - თქვენ საშინლად აბეზარი ადამიანი ხართ. თუ გნებავთ, შეგიძლიათ ჩამოჯდეთ, მაგრამ ჩუმად უნდა იყოთ და სისულელეები არ ილაპარაკოთ.

მერიროუზი ერთიანად გაფითრდა, შიშისა და დედის გამო სირცხვილისაგან. მის ფაულერმა წუთიერი დუმილის შემდეგ მოკლედ, ნერვიულად ჩაიცინა და სკამზე დაჯდა. მთელი საღამო თავი უაღრესად მშვიდად ეჭირა. ამ შემთხვევის შემდეგ, თუკი „გეინსბოროში“ გამოჩნდებოდა, ვილის თანდასწრებით ისე იქცეოდა ხოლმე, როგორც პატარა, კარგად აღზრდილი გოგონა მკაცრი მამის თვალწინ. და ეს ეხება არა მარტო მისის ფაულერსა და იმ ქალს, „გეინსბოროს“ მფლობელს.

და, აი, ახლა გამოჩნდა მისის ბუთბი, რომელიც სულაც არ იყო ისეთი ჩხუბისთავი, კიდევ უფრო უარეს ჩხუბისთავს რომ დაეძებს. იმასაც ვერ ვიტყვი, თითქოს ვერ გრძნობდა, რომ, ცოტა არ იყოს, თავს გვაბეზრებდა. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც

გუმანით მაინც, გონებით თუ არა, - არადა, ჭკვიანი ქალი არ ეთქმოდა, - გრძნობდა, რომ უხეშად ექცეოდნენ, მაინც ისევ და ისევ ჩვენთან მოდიოდა, უხეშად რომ მოპყრობოდნენ. მისის ბუთბი მისის ფაულერივით ნერვულ ეგზალტაციაში არ ვარდებოდა იმის გამო, რომ „ლაზათიანად გაროზგეს“, და არც მორიდებული ხდებოდა, მისის ჯეიმზივით პატარა გოგონას არ ემსგავსებოდა; მოთმინებით გვისმენდა, საწინააღმდეგო აზრსაც გამოთქვამდა, ასე ვთქვათ, საუბარში ზედაპირულ დონეზე ერთვებოდა, შეფარულ შეურაცხმყოფელ ქედმაღლობას არ იმჩნევდა და ზოგჯერ იმასაც კი ახერხებდა, რომ ვილისა და პოლს შერცხვებოდათ და წრფელ, პატივისცემით აღსავსე ტონს უბრუნდებოდნენ. როცა მარტო რჩებოდა, დარწმუნებული ვარ, ხშირად წითლდებოდა, მუშტებს სიმწრით კრავდა და კბილებს შუა გამოცრიდა ხოლმე: „როგორ მინდა ერთი მაგრად მოვდო ცხვირში. დიახ, უნდა გამერტყა, როცა ეს მითხრა“.

იმ საღამოს პოლმა თავისი ერთ-ერთი საყვარელი თამაში წამოიწყო. კოლონიური სტერეოტიპების პაროდირებას აკეთებდა და იმ დონემდე მიჰყავდა, რომ თვით კოლონისტიც კი ხვდებოდა, რომ დასცინოდნენ. ვილიმ ამ თამაშში მხარი აუბა.

- და ჩვენი მზარეული აქ, რასაკვირველია, უკვე მრავალი წელია მუშაობს? გნებავთ სიგარეტი?

- გმადლობთ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ არ ვეწევი. დიახ, კარგი ბიჭია და ძალიან ერთგულიც.

- ასე მგონია, ლამის თქვენი ოჯახის წევრია, არა?

- დიახ, მეც ასე მგონია. დარწმუნებული ვარ, მასაც ძალიან ვუყვარვართ. ჩვენ ყოველთვის სამართლიანად და როგორც საჭიროა, ისე ვექცევით.

- იქნებ ოდნავ როგორც მეგობარს ან როგორც ბავშვს? - ეს ვილიმ თქვა, - შავკანიანები ხომ სინამდვილეში დიდი ბავშვები არიან.

- დიახ, მართალია. თუკი მართლა გესმის მათი, მიხვდები, რომ მართლაც ბავშვები არიან. მოსწონთ, ბავშვივით როცა ექცევი: მკაცრად, მაგრამ სამართლიანად. მე და მისტერ ბუთბის მიგვაჩნია, რომ შავებს სამართლიანად უნდა მოვექცეთ. ეს სწორია.

- მაგრამ, მეორე მხრივ, არ უნდა დაუშვათ, რომ კისერზე დაგასხდნენ, - გააგრძელა პოლმა, - თორემ ყოველგვარ პატივისცემას დაკარგავენ.

- ძალიან მიხარია, ეს რომ გესმით, პოლ, არადა, ინგლისელი ყმაწვილების უმეტესობას კაფრების თაობაზე რაღაც უცნაური იდეები აქვთ. ოღონდ ეგ სულ ტყუილია. უნდა იცოდნენ, არსებობს ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადავიდნენ.

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. საუბარი გრძელდებოდა მანამ, სანამ პოლმა არ უთხრა, - თავის ჩვეულ პოზაში იჯდა, - ლუდის კათხა ჩაუბღუჯავს, ჯიქურ იყურება და მომხიბლავად იღიმება:

- და, რასაკვირველია, ჩვენ და იმათ ევოლუციური განვითარების მთელი ასწლეულები გვაშორებს. სინამდვილეში, ისინი ხომ უბრალოდ ბაბუინები არიან და მეტი არაფერი.

მისის ბუთბი გაწითლდა და გვერდზე გაიხედა. სიტყვა „ბაბუინები“ კოლონიაში უკვე ერთობ უტაქტო სიტყვად ითვლებოდა, თუმცა სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინ თავისუფლად იხმარებოდა და საგაზეთო სათაურებშიც კი გვხვდებოდა (ისევე, როგორც „კაფრების“ თქმა ათი წლის შემდეგ დიდ უტაქტობად ჩაითვლება). მისის ბუთბის ვერ დაეჯერებინა, რომ „განათლებულ-

მა ახალგაზრდა კაცმა ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო კოლეჯიდან“ სიტყვა „ბაბუინები“ ახსენა. პოლს გახედა, - მისის ბუთბის ალალმართალ, ლოყაღაჟღაჟა სახეზე განაწყენებისთვის მზადყოფნა უკვე აშკარად იკითხებოდა, პოლი კი იჯდა, ვითომ აქ არაფერიო, ანგელოზის ღიმილითა და მოწიწებული ყურადღების გამომხატველი მომხიბლავი გამომეტყველებით, როგორც ერთი თვის წინ, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ პატარა ბიჭი იყო, რომელსაც სახლი ენატრებოდა და ძალიან უნდოდა, ვინმეს მასზე დედასავით ეზრუნა. მისის ბუთბიმ ხმაურიანად ამოიოხრა, წამოდგა და თავაზიანად ჩაილაპარაკა:

- თქვენის ნებართვით, წავალ. ჩემს ბებერს ვახშამი უნდა მოვუმზადო. მისტერ ბუთბის ძილის წინ წახემსება უყვარს. ვახშმობას ვერასოდეს ასწრებს, მთელი საღამო ბარში სტუმრებს ემსახურება.

მისის ბუთბიმ ძილი ნებისა გვისურვა. იმწამს ერთობ ნაწყენი ჩანდა, ვილისა და პოლს ხანგრძლივი, დაკვირვებული მზერა სტყორცნა და გავიდა.

პოლმა თავი უკან გადააგდო, გაიცინა.

- წარმოუდგენლად ფანტასტიკურები არიან. არა, უბრალოდ შეუძლებელია ასეთები იყვნენ.

- აბორიგენები, - სიცილით დაეთანხმა ვილი. აბორიგენებს კოლონიის თეთრკანიან მცხოვრებთ ეძახდა.

მერიროუზმა მშვიდად შენიშნა:

- ამაში აზრს ვერ ვხედავ, პოლ, შენ ადამიანებს უბრალოდ ამასხარავებ.

- ძვირფასო მერიროუზ, ძვირფასო, მშვენიერო მერიროუზ, - ჩაილაპარაკა პოლმა, თან ლუდის კათხაში ცხვირჩარგული ქირქილებდა.

ძვირფასი მერიროუზი ძალიან ლამაზი იყო, - საშუალო სიმაღლის, მოხდენილი, თაფლისფერი ტალღოვანი თმითა და უზარმაზარი წაბლისფერი თვალებით. მისი ფოტოები ჟურნალებში ხშირად იბეჭდებოდა და ერთხანს მოდელადაც კი მუშაობდა. პატივმოყვარეობის ნატამალიც არ გააჩნდა. მოთმინებით გაიღიმა და დაჟინებით განაგრძო, მისთვის ჩვეული, აუჩქარებელი მანერით:

- დიახ, პოლ. ბოლოს და ბოლოს, მე აქ გავიზარდე. მისის ბუთბისა კარგად მესმის. მეც ეგეთი ვიყავი, სანამ თქვენისთანა ადამიანებმა არ ამიხსნეს, რომ ვცდებოდი. ამ ქალს ვერ შეცვლი იმით, რომ ამასხარავებ. უბრალოდ გულს სტკენ.

პოლმა ისევ გაიცინა მისთვის დამახასიათებელი ჩუმი ჩაქირქილებით და ისე უპასუხა, ცხადი იყო, ოდნავადაც არ ეთანხმებოდა:

- მერიროუზ, მერიროუზ, შენც მეტისმეტად კარგი ხარ იმისთვის, რომ რეალობა იყო.

თუმცა, მერიროუზმა მაინც მოახერხა და იმავე საღამოს პოლი შეარცხვინა.

ჯორჯ ჰუნსლოუ, გზის ოსტატი, „მაშოპიდან“ დაახლოებით ასიოდე მილის დაშორებით ცხოვრობდა პატარა სასადგურე, გზისპირა ქალაქში ცოლთან, სამ შვილსა და ოთხ მოხუცთან, თავის და ცოლის მშობლებთან ერთად. საკუთარი სატვირთო მანქანით დაახლოებით შუაღამისას უნდა მოსულიყო ჩვენთან. შევთანხმდით, რომ საღამოობით ჩვენთან იქნებოდა, დღისით კი სამუშაოზე ივლიდა. სასადილოდან გარეთ გამოვედით, ჯორჯს რომ დავლოდებოდით ევკალიპტების მომცრო კორომში, რკინიგზის ახლოს. ხეებქვეშ ხის უხეში მაგიდა და ძელსკამები იდგა. მისტერ ბუთბიმ კეიპის თეთრი ღვინო, თორმეტი ჩაცივებული

ბოთლი გამოგვიგზავნა. იმ დროისათვის ყველანი უკვე ოდნავ დაძაბული ვიყავით. სასტუმრო ჩაბნელებული იყო. სინათლე მალე ბუთბის სახლშიაც ჩაქრა. შუქი მხოლოდ სასადგურე ჯიხურში ციმციმებდა და კიდევ, საძინებლებიანი შენობიდან, რამდენიმე ასეულ იარდში რომ იდგა ფერდობზე, მქრქალი ზოლი გამოდიოდა. ევკალიპტების ქვეშ ვისხედით, ტოტებიდან მთვარის შუქი გვცემდა, ღამის სიო ფეხებზე უწვრილეს ქვიშას გვაყრიდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს უდაბური ველდის შუაგულში ვიყავით. უდაბურმა და პირველქმნილმა პეიზაჟმა გრანიტის გორაკებით, ხეებითა და მთვარის შუქით სასტუმრო მთლიანად შთანთქა. მოშორებით, რამდენიმე მილის მანძილზე, უღელტეხილს გზატკეცილი კვეთდა: თეთრი შუქის ზოლი მაღალ, შავ ხეებს შორის ნაკადულივით ილანდებოდა. ევკალიპტების ზეთოვანი, ხმელი სურნელი, ქვიშის მშრალი, გამაღიზიანებელი სუნი, ცივი ღვინის არომატი, - ეს ყველაფერი კიდევ მეტად გვაბრუებდა, გვათრობდა.

ჯიმის ჩაეძინა, პოლს ეყრდნობოდა, ის კი, თავის მხრივ, მას იხუტებდა. მე ვილის მხარზე ვთვლემდი. სტენლი ლეტი და ჯონი-პიანისტი გვერდიგვერდ ისხდნენ და გულითადი ცნობისმოყვარეობით შემოგვცქეროდნენ. სრულიად არ მალავდნენ, არც იმწამს და არც სხვა დროს, რომ ნამდვილი ტანჯულები, ასე ვთქვათ, დაზარალებული მხარე, სწორედ ისინი არიან და არა ჩვენ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან მშრომელთა კლასი, თუმცა, სრულიადაც არ იყვნენ წინააღმდეგი, ომის წლების ბედნიერ გარემოებათა წყალობით ჰქონოდათ საშუალება ახლოდან და სულაც შიგნიდან დაჰკვირვებოდნენ ინტელექტუალების ერთი ჯგუფის ცხოვრებას. ასე სტენლი გვეძახდა და თავის აზრზე ჯიუტად იდგა. ჯონი-პიანისტი

არასოდეს ლაპარაკობდა. სიტყვებს საერთოდ არ ხმარობდა, არასდროს, არც არანაირს. ყოველთვის სტენლის გვერდით იჯ-და და ყველაფერში მდუმარედ კვერს უკრავდა.

თედს უკვე დაეწყო განცდები „ქვის ქვეშ მოყოლილი პეპლის“ გამო: სტენლის გამო, რომელიც ჯიუტად უარყოფდა, შველა რომ სჭირდებოდა. ნუგეშის საპოვნელად თედი მერიროუზს მიუჯდა და ხელი გადახვია. მერიროუზმა მომხიბლავად და მხიარულად გაიღიმა, თედისგან გათავისუფლება არ უცდია, მაგრამ მას და ყველა მამაკაცს თითქოს შინაგანად განერიდა. ეს თვისება სი-ნამდვილეში ბევრ, ასე ვთქვათ, პროფესიულად ლამაზ ქალს აქვს: იძლევიან უფლებას, შეეხო, მოეხვიო და აკოცო, თითქოს ეს ხარკი იყოს, რომელიც განგებას უნდა მიუზღონ იმისთვის, ესოდენ ლამაზებად რომ გააჩინა. ამ დროს სახეზე ერთგვარი დამთმენი ღიმილი დასთამაშებთ, მამაკაცის ხელების დამყო-ლობას რომ სდევს თან და დამთქნარებას ან სიბრალულით ამოოხვრას ჰგავს. თუმცა მერიროუზის შემთხვევაში ამის უკან კიდევ რაღაც იმალებოდა.

- მერიროუზ, - უთხრა თედმა ტლანქი გულითადობით, თან თავის მხარზე მის ოქროსფერ თმას დაჰყურებდა, - არც ერთი ჩვენგანი რატომ არ შეგიყვარდა? არც ერთ ჩვენგანს რატომ არ აძლევ ნებას, შეგიყვაროს?

მერიროუზმა საპასუხოდ გაუღიმა. ამ მრქალ, ევკალიპტების ტოტებითა და ფოთლებით დანაწევრებულ შუქშიც მისი წაბლის-ფერი თვალები წარმოუდგენლად დიდი ჩანდა, - თითქოს მქრქალ ნათელს ასხივებდნენ.

- მერიროუზის გული გატეხილია, - ჩაილაპარაკა ვილიმ ჩემ გვერდით.

- გატეხილი გულები ძველმოდურ რომანებშია, - ჩაურთო პოლმა, - ეს არ ესადაგება იმ ეპოქას, ჩვენ რომ ვცხოვრობთ.

- პირიქით, - თქვა თედმა, - ამჟამად გატეხილი გულები უფრო მრავლადაა, ვიდრე ოდესმე, და სწორედ იმიტომ, რომ ამ ჩვენს ეპოქაში ვცხოვრობთ. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი, ნებისმიერი გული, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს, დამსხვრეულია, განგმირული, დაგლეჯილია ისე ძლიერ, რომ უბრალოდ იარების ერთი მთლიანი გორგალია.

მერიროუზმა თავი ასწია, თედს მორიდებით, მაგრამ მადლიერად გაუღიმა და სერიოზულად თქვა:

- რა თქმა უნდა, ასეა.

მერიროუზს ჰყავდა ძმა, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა. ერთმანეთს ხასიათით ჰგავდნენ, მაგრამ, რაც მთავარია, შესაძლებელი კავშირებიდან ყველაზე ნაზი აერთიანებდათ, რაც ემყარებოდა იმას, რომ ერთმანეთს მხარში ედგნენ, ერთად უწევდნენ წინააღმდეგობას აუტანელ, უხეშ და შვილების შემარცხვენელ დედას. ერთი წლის წინ ძმა ჩრდილოეთ აფრიკაში დაეღუპა. იმ დროს მერიროუზი კეიპში ცხოვრობდა, სადაც მოდელად მუშაობდა. სამუშაოდ ხშირად იწვევდნენ, რადგან ძალიან ლამაზი გახლდათ. ერთ-ერთი ახალგაზრდა გარეგნულად მის ძმას ჰგავდა. მისი ფოტო ვნახეთ, - მოხდენილი, ქერა ულვაშით, საკმაოდ აგრესიული შესახედაობის ახალგაზრდა კაცი იყო. მერიროუზს ის უმალ შეუყვარდა. ერთხელ გვითხრა, - მახსოვს, რა შოკირებულები ვიყავით ხოლმე, როცა მის აბსოლუტურ, მაგრამ რაღაცნაირად გაუაზრებელ პირდაპირობას შევეჩეხებოდით:

- დიახ, ვიცი, იმიტომ შემიყვარდა, რომ ჩემს ძმას ჰგავდა, მაგრამ რა არის ამაში ცუდი?

მერიროუზი ხშირად სვამდა კითხვას ან პირდაპირ აცხადებდა: „მაგრამ რა არის ამაში ცუდი?“ და ჩვენ ვიბნეოდით, არ ვიცოდით, რა გვეპასუხა. ახალგაზრდა კაცი მის ძმას მხოლოდ გარეგნულად ჰგავდა და თუმცა სავსებით ბედნიერი იყო იმით, რომ მერიროუზთან რომანი ჰქონდა, მის ცოლად შერთვას არ აპირებდა.

- შეიძლება ასეცაა, - თქვა ვილიმ, - მაგრამ დიდი სიბრიყვეა. იცი, რა მოგივა, მერიროუზ, თუკი შტერივით მოიქცევი? იმ შენს შეყვარებულთან ურთიერთობას კულტად აქცევ და რაც დრო გავა, მით უფრო უბედურად იგრძნობ თავს. შენ უარს ეტყვი ყველა კარგ ახალგაზრდას, რომელსაც შეიძლება ცოლად გაჰყვე, და ბოლოს გაჰყვები ვიღაცას მხოლოდ იმიტომ, რომ გათხოვდე და ისეთივე გახდები, როგორიც ეს დაუკმაყოფილებლობისგან გატანჯული მატრონები არიან, ყოველი ფეხის ნაბიჯზე რომ გვხვდებიან.

სხვათა შორის, ყველაფერი მართლაც ასე მოხდა. კიდევ რამდენიმე წელი მერიროუზი საოცრად ლამაზი იყო, მამაკაცების ყურადღებას მომხიბლავი ღიმილით იღებდა, დამთქნარებას რომ მიაგავდა, მოთმინებით იჯდა ამა თუ იმ მამაკაცთან ხელგადახვეული, მერე კი უეცრად ცოლად გაჰყვა შუახნის კაცს, სამი შვილის მამას, რომელიც არ უყვარდა. მერიროუზის გული მაშინ განიგმირა, როცა მისი ძმა ტანკის მუხლუხებქვეშ ხორცისა და ძვლების სისხლიან გროვად იქცა.

- მაშ, რა უნდა ვქნა, შენი აზრით? - იკითხა მისთვის დამახასიათებელი საოცარი სინაზით. ფოთლებში ლაქებად შემოსულ მთვარის შუქზე ვილის გასცქეროდა.

- ერთ-ერთ ჩვენგანს ლოგინში უნდა ჩაუწვე და რაც მალე, მით უკეთესი. უგუნური ვნებისგან განსაკურნებლად ამაზე უკე-

თესი წამალი ჯერ არ გამოუგონებიათ, - უთხრა ვილიმ თავისი მამაკაცურად ხისტი მანერით, რასაც ყოველთვის იყენებდა, როცა ცხოვრებამოყირჭებული ბერლინელის ნიღაბს ირგებდა.

თედი დაიჯღანა და მერიროუზს ხელი მოაშორა, რითიც გვაგრძნობინა, რომ ამგვარ ცინიზმს არ იზიარებდა, და თუკი მოუხდებოდა მერიროუზთან დაწოლა, მხოლოდ და მხოლოდ წმინდა წყლის რომანტიკული გრძნობის გამო. და რასაკვირველია, ასეც იქნებოდა.

- ასეა თუ ისე, - ჩაილაპარაკა მერიროუზმა, - ამაში აზრს ვერ ვხედავ. მე ჩემს ძმაზე ვფიქრობ.

- ჯერ არავინ შემხვედრია, ინცესტზე ასე გულახდილად რომ ელაპარაკოს, - შენიშნა პოლმა. მას უნდოდა ყველაფერი ხუმრობაში გაეტარებინა, მაგრამ მერიროუზმა სრულიად სერიოზულად მიუგო:

- დიახ, მესმის, რომ ეს ინცესტი იყო, მაგრამ სასაცილო ის არის, რომ მაშინ ამაზე, როგორც ინცესტზე, არ ვფიქრობდი. გესმის, მე და ჩემს ძმას უბრალოდ გვიყვარდა ერთმანეთი.

ჩვენ ისევ გავოგნდით. ვიგრძენი, როგორ დაეძაბა ვილის მხარი და მახსოვს, ვიფიქრე, რომ ერთი წამის წინ ის მოდეკადენტო ევროპელი იყო, მაგრამ ერთადერთმა აზრმა, რომ მერიროუზს საკუთარ ძმასთან ეძინა, ვილი უმალ თავის ჭეშმარიტ არსთან დააბრუნა, - სინამდვილეში პურიტანი გახლდათ.

სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კი მერიროუზმა მშვიდად ჩაილაპარაკა:

- კი, მესმის თქვენი, მესმის, რატომ ხართ შოკში. ბოლო დროს ბევრს ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ ჩვენ ხომ არავის არაფერს ვუშავებდით? ამიტომაც ვერ ვიგებ, რა იყო ამაში ცუდი.

დუმილი კვლავ გაგრძელდა. საუბარში უეცრად პოლი ჩაეჭ-რა, მეტად მხიარულად და უდარდელად:

- მერიროუზ, თუ შენთვის საერთოდაც სულერთია, ჩემთან ხომ არ დაწვებოდი? რა იცი, იქნება განიკურნო?

პოლი ისევ ისე გამართული იჯდა, ჯიმის ხელს აშველებდა, რომელიც ბავშვივით ეხუტებოდა ძილში. პოლი ჯიმის დიდი მოთმინებით იჭერდა, სწორედ ისევე, როგორც მერიროუზი აძ-ლევდა თედს ნებას, ხელი მოეხვია.

პოლი და მერიროუზი ჩვენს ჯგუფში ერთსა და იმავე როლს თამაშობდნენ, თუმცა, იმავდროულად, იმ ბარიერის სხვადასხვა მხარეს იდგნენ, სქესით რომ არის განპირობებული.

მერიროუზმა მშვიდად უპასუხა:

- თუ ჩემმა კეიპელმა შეყვარებულმა ვერ მოახერხა, ძმა რომ დამვიწყებოდა, რატომ გგონია, შენ მოახერხებ?

პოლმა ჰკითხა:

- და რაში მდგომარეობს არსი წინააღმდეგობისა, რომელიც შენს თაყვანისმცემელს არ აძლევს უფლებას ცოლად შეგირ-თოს?

მერიროუზმა მიუგო:

- კეიპის ძალიან კარგი ოჯახიდანაა და მშობლები არ აძლე-ვენ ჩემი ცოლად მოყვანის უფლებას, რადგან, მათი აზრით, არ შევეფერები.

პოლმა თავს ისევ მისცა უფლება, ჩაეცინა ღრმა, მკერდის-მიერი მიმზიდველი ჩაცინებით. არ მინდა ვთქვა, რომ ამ ჩაცინე-ბის კულტივირებას ეწეოდა, მაგრამ ეჭვგარეშეა, იცოდა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ის წვრილმანთაგანი, რომელიც მის სახებას ესოდენ მომხიბლავსა და მიმზიდველს ხდიდა.

- ძალიან კარგი ოჯახი, - სარკასტულად ჩაილაპარაკა, - კეიპის კარგი ოჯახი. ეტყობა, ოჯახი მდიდარია, მართლა მდიდარი.

ეს განცხადება იმდენად სნობური არ ყოფილა, როგორიც შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა. პოლის სნობიზმი ირიბად გამოიხატებოდა, მის ხუმრობებსა და სიტყვებით თამაშში. სინამდვილეში, თავის ამ უმთავრეს ვნებას ყველანაირად გასაქანს აძლევდა, - ყველაფერ აბსურდულისა და უაზროსგან სიამოვნებას იღებდა. თუმცა, უფლება არა მაქვს ამისთვის გავკიცხო, რადგან შესაძლოა ნამდვილი მიზეზი, რის გამოც ესოდენ დიდხანს დავრჩი კოლონიაში მას მერე, რაც ამის საჭიროება აღარ იყო, ის არის, რომ ასეთ ადგილებში ყოველთვის უფრო მეტი საშუალებაა ამგვარი სიამოვნების მისაღებად. პოლი ყველას გვთავაზობდა მხიარულებასა და გართობას, როგორც მაშინ, როცა მისტერ და მისის ბუთბი, ხორცშესხმული ჯონ და მერი ბული, აღმოაჩინა, სასტუმრო „მაშოპის“ რომ უძღვებოდნენ.

მაგრამ მერიროუზმა მშვიდად შენიშნა:

- ეტყობა, შენ ეს სახალისოდ გეჩვენება, რადგან მიეჩვიე კარგ ოჯახებს ინგლისში და, რასაკვირველია, კარგი ინგლისური ოჯახი სრულიად სხვა რამეა, ვიდრე კეიპელი კარგი ოჯახი. თუმცა, ჩემთვის კი სულერთია, შედეგი ხომ ერთი და იგივეა, ასე არაა?

საპასუხოდ პოლმა გაურკვეველი გამომეტყველება მიიღო, რათა შეპარული შფოთვა მიეჩქმალა. თითქოს კიდეც შეეცადა, დაემტკიცებინა, რომ მერიროუზი უსამართლოდ აუმხედრდა და რაღაცნაირად, თითქოს ინსტინქტურად შეიშმუშნა, რომ ჯიმი უფრო მოხერხებულად მოწყობილიყო მის მხარზე, თითქოს ასე

უნდოდა ეჩვენებინა, რომ მასაც შეეძლო ყოფილიყო მზრუნველი და მოსიყვარულე.

- მე რომ შენთან ვწვებოდე, პოლ, - მშვიდად განაგრძო მერიროუზმა, - მგონი, ალბათ, მოგეჩვეოდი, მაგრამ შენ ისეთივე ხარ, როგორიც ის ჩემი კეიპელი კაცი. ცოლად არასოდეს მომიყვან. ქვის გული გაქვს.

ვილიმ ტლანქად ჩაიცინა. თედმა ჩაილაპარაკა:

- აი, პოლ, შენც მიიღე შენი.

თავად პოლს არაფერი უთქვამს. როცა ცოტა ხნის წინ შეეცადა, ჯიმი უფრო მოხერხებულად მოეწყო, როგორღაც ქვემოთ ჩაუცურდა და ახლა მისი თავი და მხრები პოლის მუხლებზე აღმოჩნდა, პოლი მას მზრუნველად იჭერდა. ჯიმის იხუტებდა და პატარა ბავშვივით ანანავებდა. მთელი საღამო მერიროუზს თვალს ადევნებდა, ჩუმად და სევდიანად იღიმებოდა. ამ შემთხვევის შემდეგ პოლი ყოველთვის ალერსიანად ელაპარაკებოდა მერიროუზს, თითქოს უნდოდა დაერწმუნებინა, რომ მის მიმართ ანტიპათია არ უნდა ჰქონოდა. თუმცა, ამას მაინც ვერ მიაღწია.

დაახლოებით თორმეტი საათი იქნებოდა, როცა სატვირთო მანქანის ფარების შუქმა მთვარის ნათელი შთანთქა. მანქანა ავტოსტრადიდან რკინიგზის გვერდით, ცარიელ ქვიშიან ადგილზე გადმოვიდა და გაჩერდა. ეს დიდი მანქანა იყო, პირთამდე სავსე ინსტრუმენტებით, უკან კი ფურგონი ჰქონდა გამობმული. ამ ფურგონში ჯორჯ ჰუნსლოუ ცხოვრობდა მაშინ, როცა გზის სამუშაოებს მეთვალყურეობდა ხოლმე. ჯორჯი მანქანიდან ჩამოხტა, მოვიდა და უმალ ღვინით სავსე ჭიქა მიიღო, რომლითაც თედი მიეგება. ღვინო ფეხზე მდგომმა დალია, ყლუპ-ყლუპად სვამდა და შუალედებში ამბობდა:

- ოჰ, თქვე ლოთებო, თქვე ბრიყვებო, თქვე ძილისგუდა პათოლოგებო, ჩამსხდარხართ აქ და ღვინოს უბათქუნებთ!

ღვინის სურნელი მახსოვს, მკვეთრი და გრილი, მახსოვს, როგორ გახსნა თედმა მეორე ბოთლი, ჭიქები რომ შეევსო, როგორ დაიღვარა ღვინო და შუშხუნით ჩაიქცა მტვერში. ისეთი სუნი დადგა, წვიმის მერე რომ იცის ხოლმე.

ჯორჯი მოვიდა და მაკოცა.

- მშვენიერო ანა, მშვენიერო ანა, ვაი, რომ ვერა ხარ ჩემი ამ საზიზღარი ტიპის გამო, ვილის რო ეძახიან.

შემდეგ თედი განზე გასწია, მერიროუზისთვის ლოყაზე რომ ეკოცნა, ის კი შეეცადა, ლოყა მოეშორებინა, და განაცხადა:

- რამდენი მშვენიერი ქალია ამქვეყნად, ჩვენ კი მხოლოდ ორი მათგანი გვყავს და როგორ მინდა, ამის გამო ვიტირო!

კაცებმა გაიცინეს, მერიროუზმა გამიღიმა და მეც ღიმილით ვუპასუხე. მის ღიმილში უეცარი და მძაფრი ტკივილი დავინახე და მივხვდი, რომ ჩემი ღიმილიც ასეთივე იყო. შერცხვა, თავი რომ გაამჟღავნა და ერთმანეთს სასწრაფოდ მოვაშორეთ თვალი, რომ არ გვეყურებინა ერთმანეთის უსუსურობისთვის. მგონი, არც მას და არც მე მაშინ არ დაგვიწყია იმაზე ფიქრი, ასეთი ტკივილი რამ გამოიწვია. ჯორჯი ბოლოს და ბოლოს ჩამოჯდა ჭიქით ხელში და ხმამაღლა თქვა:

- ამხანაგებო და ლოთებო, გეყოთ მაიმუნობა, მოვიდა დრო, მომიყვეთ, რა იცით ახალი.

ყველანი ავმოძრავდით, ავღელდით, ძილი გადაგვავიწყდა. ვუსმენდით, ვილი როგორ უყვებოდა ჯორჯს, რა პოლიტიკური ვითარება იყო ქალაქში. ჯორჯი უაღრესად სერიოზული კაცი იყო. და იგი ვილის, მის ჭკუას, მეტისმეტად აფასებდა, საკუთარი თავი კი ნამდვილ ბრიყვად მიაჩნდა. სჯეროდა, რომ - და ეს, ალ-

ბათ, ყოველთვის სჭირდა, - სრულიად არაადეკვატური და ფიზიკურად მახინჯი იყო.

სინამდვილეში ჯორჯს საკმაოდ საინტერესო გარეგნობა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ქალები ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას, მაშინაც კი, როდესაც თვითონ ამას ვერ ხვდებოდა. მომხიბლავი წითურთმიანი მისის ლეტიმორი, რომელიც ხშირად ირწმუნებოდა, ჯორჯი საზიზღარიაო, თვალს არ აშორებდა, თუკი ახლომახლო გამოჩნდებოდა. საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ უფრო დაბალი ჩანდა, რადგან ძალიან ფართო მხრები ჰქონდა და ყოველთვის მოხრილი დადიოდა. სხეული მხრებიდან წელამდე თვალში საცემად უწვრილდებოდა. ჯორჯი რაღაცით ხარს მოგაგონებდათ. ყველა მისი მოძრაობა ჯიუტი, მკვეთრი იყო. იგრძნობოდა, რომ მასში მძლავრი ძალა ბორგავდა, გამოსვლას რომ ითხოვდა და თავად მასაც რომ აღიზიანებდა, ამიტომ მუდმივად თრგუნავდა, ლაგამამოდებული ჰყავდა და ამას თავისდა უნებურად აკეთებდა. ეს დაკავშირებული გახლდათ მის ოჯახურ ცხოვრებასთან, მის ძალზე რთულ ოჯახურ ცხოვრებასთან. ოჯახში უკვე მრავალი წლის განმავლობაში მომთმენი, მორჩილი, თავგანწირვის გრძნობით აღსავსე ადამიანი იყო. არადა, ბუნებით, მგონი, სრულიად სხვა ადამიანი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, სწორედ ეს აიძულებდა თავის დამცირებას, - საკუთარი ძალისა არ სჯეროდა. ეს კაცი გაცილებით მეტს მიაღწევდა, ცხოვრებას საშუალება რომ მიეცა, წელში გამართულიყო. ასე მგონია, თვით ჯორჯი ამას აცნობიერებდა: გულის სიღრმეში იმის გამო იტანჯებოდა, რომ ოჯახური ცხოვრება ესოდენ აღიზიანებდა. იქნებ ეს შეგნებული თვითდამცირება იყო, სწორედ ის სასჯელი, რომელიც თვითონ დაიწესა? არ ვიცი... ან იქნებ თავს ისჯიდა იმის გამო, რომ მუდმივად ღალატობდა ცოლს?

გაცილებით ასაკოვანი უნდა ვყოფილიყავი, ვიდრე მაშინ ვიყავი, ჯორჯისა და მისი ცოლის ურთიერთობაში რომ გავრკვეულიყავი. ცოლს მძვინვარედ და ერთგულად თანაუგრძნობდა. და ეს ისეთი თანაგრძნობა იყო, რომელსაც ერთი მსხვერპლი მეორის მიმართ განიცდის.

ადამიანურ ურთიერთობაში ჯორჯი ერთ-ერთი სასიამოვნო კაცი გახლდათ, ვინც კი ოდესმე მინახავს. და ეჭვგარეშეა, ყველაზე სასაცილოც. სასაცილო იყო თავისთავად, სტიქიურად, ყოველ მიზეზგარეშე. არაერთხელ მინახავს, ხალხის ჯგრო, რომელიც ბარში დარჩა მისი დაკეტვის შემდეგ, როგორ უსმენდა და მთელი გულით, თავშეუკავებლად ხარხარებდა. და ასე გრძელდებოდა გათენებამდე. სიცილისგან იატაკზე ვგორავდით ხოლმე, სპაზმები გვეწყებოდა, ისე ვიცინოდით, მერე განძრევა აღარ შეგვეძლო. თუმცა, მეორე დღეს, როცა მის ხუმრობებს ვიხსენებდით, მაინცდამაინც სასაცილოს ვერაფერს ვხედავდით. არადა, გულის წასვლამდე ვიცინოდით, - ნაწილობრივ ეს მისი სახის ბრალიც გახლდათ: ჯორჯი ლამაზი იყო, მაგრამ როგორღაც ქრესტომათიულად ლამაზი, თითქმის მოსაწყენი ამ ქრესტომათიულობით; თუმცა, ვფიქრობ, ეს უფრო მისი ზედა ტუჩის დამსახურება იყო, ძალზე ვიწრო და გრძელი რომ ჰქონდა, რაც მის სახეს რაღაცნაირ გახევებულ, თითქმის ჩლუნგსა და ჯიქურ გამომეტყველებას სძენდა. ჯორჯი უცებ იწყებდა ლაპარაკს, სიტყვები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა და საკუთარი თავისადმი ზიზღით იყო გამსჭვალული. ჩვენ სიცილით ვიგუდებოდით, თვითონ კი ჩვენთან ერთად არასოდეს იცინოდა, უხმოდ შემოგვცქეროდა აშკარა გაოცებით, თითქოს ფიქრობდა: „ეტყობა, არც ისეთი წყალწაღებული ვყოფილვარ, თუკი შემიძლია ესოდენ ჭკვიანი და ღირსეული ხალხი მთელი გულით ვაცინო“.

მაშინ დაახლოებით ორმოცი წლისა იქნებოდა, ანუ თორმეტი წლით უფროსი ჩვენ შორის ყველაზე ხნოვან ვილიზე. ამაზე არასოდეს ვფიქრობდით, თუმცა, თვითონ ყოველთვის ახსოვდა. ჯორჯი იყო ადამიანი, რომელიც დაძაბული ადევნებდა თვალს, როგორ მიქროდნენ წლები, როგორ ელვისებურად მისდევდნენ ერთიმეორეს, როგორ უსხლტებოდნენ თითებშუა ძვირფასი თვლებივით და ზღვის ფსკერზე ეშვებოდნენ. ეს ქალებთან მისი ურთიერთობით იყო განპირობებული. მისი მეორე ვნება პოლიტიკა გახლდათ. მისთვის არცთუ ადვილი სატარებელი ტვირთი იყო ისიც, რომ აღზარდეს მშობლებმა, რომლებიც ტრადიციული ბრიტანული სოციალიზმის წიაღიდან იშვნენ, - XIX საუკუნის ყაიდის სოციალიზმიდან, - ისინი რაციონალურები, პრაქტიკულები, უპირველესად კი რელიგიურად ანტირელიგიურები იყვნენ. ასეთი აღზრდა კი მას კოლონიაში ადამიანებთან ურთიერთობაში ვერ დაეხმარებოდა. ჯორჯი მარტოხელა კაცი იყო, რომელიც ერთი ციცქნა, გადაკარგულ, მიყრუებულ ქალაქში ცხოვრობდა. ჩვენ, ახალგაზრდების კომპანია, მრავალი წელი მისი პირველი ნამდვილი მეგობრები ვიყავით. ყველას გვიყვარდა, მაგრამ წამითაც ვერ დავიჯერებ, რომ ჯორჯი ამას ხვდებოდა ან თავს უფლებას აძლევდა, ეს დაეშვა. მისი სიმდაბლე ზღვარგადასული გახლდათ, განსაკუთრებით - ვილის წინაშე. მახსოვს ერთხელ, როცა დავიტანჯე იმის ყურებით, თუ როგორ იჯდა ჯორჯი ვილის წინ და სხეულის ყოველი ნაწილით მოწიწებულ ყურადღებას გამოხატავდა, ის კი ამ დროს კატეგორიული ტონით რაღაცას აცხადებდა, თითქოს ღაღადებსო, ვუთხარი:

- ღმერთო ჩემო, ჯორჯ, შენ ისეთი საყვარელი ხარ და აუტანელია იმის ყურება, რომ მზად ხარ, ფეხსაცმელი აულოკო ისეთ კაცს, როგორიც ვილია.

- მისი ჭკუა რომ მქონდეს, - მითხრა და რაც ნიშანდობლივია, არც უკითხავს, როგორ შეგიძლია ასე ილაპარაკო კაცზე, ვისთანაც, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრობო, - მე რომ მისი ჭკუა მქონდეს, ამქვეყნად უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი, - და ზედა ტუჩი საკუთარი თავისადმი ზიზღით დამანჭა, - რას გულისხმობ, როცა მეუბნები, „საყვარელი“ ხარო? მე პათოლოგი ვარ, ხომ იცი. მე თქვენ ყველაფერს გიყვებით, როგორც სინამდვილეშია, შენ კი მეუბნები, საყვარელი ხარო.

გულისხმობდა, რომ ქალებთან თავის ურთიერთობაზე მხოლოდ მე და ვილის გვიყვებოდა.

მას მერე არაერთხელ მიფიქრია ამაზე. სიტყვაზე „საყვარელი“. იქნებ მინდოდა მეთქვა, „კარგი“. რა თქმა უნდა, ეს ორივე ეპითეტი, საკმარისია მათზე ფიქრი დაიწყო, აღარაფერს გამოხატავს. ადამიანები ამბობენ: „კარგი კაცი“, „კარგი ქალი“, „საყვარელი კაცი“, „საყვარელი ქალი“, რასაკვირველია, ყოფით საუბარში, თორემ ეს არაა სიტყვები, რომლებიც რომანში შეიძლება გამოიყენო. ვეცდები, მოვერიდო.

და მაინც, მარტივად გეტყვით, ყოველგვარი ღრმა ანალიზის გარეშე, ჩვენს ჯგუფში ჯორჯი იყო კარგი კაცი, ვილი კი - არა. ასევე მერიროუზი, ჯიმი, თედი და ჯონი-პიანისტი კარგები იყვნენ, აი, პოლი და სტენლი ლეტი კი - არა. უფრო მეტიც, ქუჩაში გამვლელებიდან შემთხვევით რომ აგვერჩია ათი კაცი და მათთვის გაგვეცნო, ან შეგვეთავაზებინა, იმ ღამით ევკალიპტების ძირას ჩვენთან ერთად დამსხდარიყვნენ, უმალ, ყოველგვარი ფიქრის გარეშე დაეთანხმებოდნენ ჩემს კლასიფიკაციას და მარტივად და უკომენტაროდ რომც მეხმარა სიტყვა „კარგი“, მაშინვე მიხვდებოდნენ, რასაც ვგულისხმობდი.

მე ამაზე ხშირად და დიდხანს მიფიქრია და ვხვდები, რომ მეორე მხრიდან ვუდგები და თითქოს უკანა შესასვლელიდან შევდივარ ამ სფეროში, მოსვენებას რომ არ მაძლევს. რასაკვირველია, მე ვლაპარაკობ იმაზე, რასაც აღნიშნავენ სიტყვით „პიროვნება“. ღმერთო ჩემო, ერთი წამითაც არ გვაძლევენ საშუალებას დავივიწყოთ, რომ „პიროვნება“ გაქრა. ამას ეძღვნება ლამის ნახევარი იმ რომანებისა, რაც კი გამოიცემა, და ეს სოციოლოგებისა და ყველანაირი „ლოგების“ განსჯის საგანია. ჩვენ ისე ხშირად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი ცოდნის ზეწოლით ადამიანის პიროვნება დაიშალა და აღარ არსებობს, ერთხანს კიდეც დავიჯერე. და მაინც, როცა წარსულს გავყურებ და გონების თვალით ვჭვრეტ იმ კომპანიას ევკალიპტების ძირას და მეხსიერებაში აღვიდგენ მათ, ყველას, უმალ ვხვდები, რომ ეს სისულელეა. ახლაც, ამდენი წლის მერეც მერიროუზი რომ შემხვედროდა, ის რომელიმე თავის ჟესტს გააკეთებდა, თვალებს აამოძრავებდა მისთვის ჩვეული მანერით და, აი, ჩემ წინაშე ისევ ისაა, ძველი მერიროუზი მთელი თავისი ავ-კარგით. ან, დავუშვათ, მერიროუზი „გატყდა“, შეიშალა, ჭკუიდან გადაცდა. ის ცალკეულ კომპონენტად დაიშლებოდა, მაგრამ ჟესტი, გამოხედვა შეუნარჩუნდებოდა, დაიკარგებოდა მხოლოდ მათი მთლიანობა, ურთიერთკავშირი. ამრიგად, საკმარისია მოვიკრიბო სულიერი ენერგია, რომ გონებაში გავაცოცხლო რომელიმე მათგანი, ვისაც ვიცნობდი, ყველა ეს საუბარი, ეს ანტიჰუმანური ბოდვა იმის თაობაზე, თითქოს პიროვნება გაქრა, აორთქლდა, ყოველგვარ აზრს კარგავს. ვზივარ და ვიხსენებ მტვრის სუნსა და მთვარის შუქს, ვხედავ, როგორ აწვდის თედი ჯორჯს ჭიქა ღვინოს და როგორ მეტისმეტად მხურვალედ უხდის ჯორჯი მადლობას. ან ვხედავ, როგორც კინოში შენელებული ჩვენებისას, როგორ აბრუ-

ნებს თავს მერიროუზი და როგორ დასთამაშებს ტუჩებზე გულ-გამგმირავი, მოთმინებით აღსავსე ღიმილი. კინო ვახსენე. დიახ. უკლებლივ ყველა მომენტი, რომელიც მახსოვს, ისეთივე დამა-ჯერებელია, როგორიც ღიმილი, ჟესტი, მოძრაობა ნახატსა თუ კინოში. ხომ არ გამოდის, რომ ის რეალისტურობა, რომელსაც ვცდილობ ასე ერთგულად ვემსახურო, ვიზუალური ხელოვნების სფეროს ეკუთვნის, და არა რომანს, რომელმაც დაშლა--დანაწევრების შემოტევის წინაშე უკან დაიხია? რა ესაქმება რო-მანისტს ღიმილისა თუ გამოხედვის მკაფიო გახსენებასთან, მან ხომ მშვენივრად იცის, რამდენი გაუგებრობა იმალება ამის მიღ-მა? და მაინც, ამ სიცხადესა და დამაჯერებლობას რომ არ ვებ-ღაუჭებოდე, სიტყვასაც ვერ დავწერდი, ზუსტად ისევე, როგორც ვცდილობდი, გამეძლო, არ გავგიჟებულიყავი ჩრდილოეთის ამ ცივ ქალაქში, თავს ვაიძულებდი, ზუსტად გამეხსენებინა, მზის მხურვალე შუქი როგორ ეხებოდა ჩემს კანს.

ასე რომ, კიდევ ერთხელ დავწერ, - ჯორჯი კარგი ადამიანი იყო. და ჩემთვის აუტანელი საყურებელი გახლდათ, ვილის სმე-ნისას როგორ ემსგავსებოდა მოუქნელ მოზარდს, უმწიფარ სკო-ლის მოწაფეს. იმ საღამოს ინფორმაცია არეულობაზე ქალაქის მემარცხენე დაჯგუფებებში დიდი მორჩილებით მოისმინა და თა-ვი დაგვიქნია. ამით გვანიშნა, რომ იფიქრებდა ამაზე, როცა მარ-ტო დარჩებოდა, და იფიქრებდა დიდხანს - რადგან, ცხადია, ის მეტისმეტად ბრიყვი იყო საიმისოდ, ხანგრძლივი ფიქრის გარე-შე გაეაზრებინა რაიმე, თუმცა კი ჩვენ, დანარჩენები, იმდენად ჭკვიანები ვიყავით, მისი მოსაზრების გაგება არც გვჭირდებოდა.

ყველას მოგვეჩვენა, რომ ვილიმ ვითარების ანალიზი ქედ-მაღლურად და არაგულწრფელად წარმოადგინა. ისე ლაპარა-კობდა, თითქოს კომიტეტში იჯდა სხდომაზე, ერთი სიტყვითაც

არ უხსენებია, რომ განგაშისათვის ახალი საბაბი გაჩნდა, - ჩვენი საუბრის ახლებური ტონი, დამცინავი და უნდო.

პოლმა გადაწყვიტა, ჯორჯისთვის სიმართლე ეთქვა, - ამით ვილის განუდგა და ეს მისთვის დამახასიათებელი მანერით გააკეთა. თედთან საუბარი წამოიწყო. მახსოვს, იმ დროს თედს ვუყურებდი და არ ვიცოდი, ამ მსუბუქსა და ირონიულ გამოწვევას გამოეპასუხებოდა თუ არა. თედი ყოყმანობდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს პოლს ამ თამაშში მხარი აუბა. და რადგან ეს მისთვის უცხო იყო, მის სიღრმისეულ მრწამსს ეწინააღმდეგებოდა, რაღაც მეტისმეტად ხმამაღლა, ცხარედ თუ ბობოქრად ალაპარაკდა, რაც ყურს უფრო მეტად გვჭრიდა, ვიდრე პოლის საუბარი.

პოლმა დაიწყო იმით, რომ აღწერა კომიტეტის სხდომა, სადაც „აფრიკის კონტინენტის ბედს თავიდან ბოლომდე, სრულად, ორ-ნახევარი კაცი წყვეტდა, რასაკვირველია, აფრიკელების, როგორც ასეთის, გაუთვალისწინებლად“ (რა თქმა უნდა, ეს ღალატი იყო - უცხო ადამიანების თანდასწრებით, როგორიც სტენლი და ჯონი-პიანისტი იყვნენ, იმის აღიარება, რომ შეიძლებოდა ეჭვი გვქონოდა ჩვენი რწმენის მართებულობაში. ჯორჯმა ეჭვით შეხედა ამ წყვილს, მერე კი, ეტყობა, იფიქრა, ალბათ, უკვე შემოგვიერთდნენო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე უპასუხისმგებლოდ არასოდეს მოვიქცეოდით, და კმაყოფილმა გაიღიმა, ჩვენს რიგებს ორი ახალი მოხალისე რომ შეემატა). ახლა პოლი აღწერდა, როგორ მოიქცეოდა ორ-ნახევარი კაცი, სასტუმრო „მაშოპიში“ რომ აღმოჩენილიყო. რას გააკეთებდნენ, რომ „სასტუმრო განვითარების სწორ გზაზე დაეყენებინათ“.

- მე თუ მკითხავთ, საქმის დასაწყებად სასტუმრო მოსახერხებელი ადგილია. რას იტყვი, თედ?

- საამისოდ ბართან შეიძლება ბევრი მარჯვე შესაძლებლობა მოგეცეს, პოლ (თედი ძალზე ცოტას სვამდა და ჯორჯი მოიღუშა, გაოცებით შეხედა).

- პრობლემა ის არის, რომ ეს ადგილი, გარკვეული გაზვიადების გარეშე, შეუძლებელია მზარდი სამრეწველო პროლეტარიატის ცხოვრების ცენტრად მივიჩნიოთ. თუმცა, შეიძლება და საჭიროც არის ვაღიაროთ, რომ ეს მთელ ქვეყანაზე ითქმის, განა ასე არაა?

- სწორი შენიშვნაა, პოლ. თუმცა, მეორე მხრივ, ამ მხარეში ფერმებში უამრავი ნახევრად მშიერი, უბირი მუშა შრომობს.

- რომლებიც სულმოუთქმელად ელიან, ზემოხსენებული პროლეტარიატი რკინისებური ხელით როდის მიმართავს იქით, საითაც საჭიროა. ეს ყველაფერი კარგია, ოღონდ პროლეტარიატი არა გვყავს.

- ეე, მე ვიცი! რკინიგზაზე ხუთი უბადრუკი, გაუბედურებული შავკანიანია, დაძონძილები, მათხოვრულად ცხოვრობენ. ეგენი, რა თქმა უნდა, გამოგვადგებიან?

- ესე იგი, ერთადერთი, რაც გვესაჭიროება, ის არის, რომ პროლეტარიატს მისი კლასობრივი პოზიციის სწორი გაგება გავაცნობიერებინოთ და მთელი რაიონი უმალ რევოლუციის ქარცეცხლში გაეხვევა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ვიტყვით: „კომუნიზმის მემარცხენე გადახრა, ინფანტილური ქაოსი“.

ჯორჯმა ვილის გახედა, მისგან საწინააღმდეგო სიტყვას ელოდა. მაგრამ ვილიმ იმ დილით მითხრა, თავი სწავლას უნდა მივუძღვნა და აღარა მაქვს დასაკარგი დრო „ამ პლეიბოებსა და ქალიშვილებზე, გათხოვებაზე რომ ოცნებობენო“. აი, ასე მარტივად და ხელაღებით უარყო ადამიანები, რომელთაც წლების

განმავლობაში იმდენად სერიოზულად უყურებდა, რომ მათთან მუშაობდა.

ჯორჯი კი ახლა მართლა ცუდად გახდა: იგრძნო, რწმენის გულისგული დავკარგეთ და ეს მის მარადიულ მარტოობას მხოლოდ განამტკიცებდა. ისე, რომ პოლისა და თედისთვის არ შეუხედავს, ჯონი-პიანისტს მიმართა:

- ასეთ სიბრიყვეს ხშირად როშავენ, არა, მეგობარო?

ჯონიმ თავი დაუქნია, ოღონდ იმისთვის არა, რომ ჯორჯის სიტყვები დაედასტურებინა. მგონი, სიტყვებს იშვიათად უგდებდა ყურს, უბრალოდ გრძნობდა, როგორ ექცეოდნენ, - კეთილგანწყობით თუ არა.

- რა გქვია? ადრე არ შევხვედრივართ, არა?

- ჯონი.

- ცენტრალური საგრაფოებიდან ხარ?

- მანჩესტერიდან.

- თქვენ ორნი ჩვენი ჯგუფის წევრები გახდით?

ჯონიმ უარის ნიშნად თავი გააქნია. ჯორჯმა განცვიფრებისაგან პირი დააღო, თვალებზე ხელი სწრაფად ჩამოისვა და ასევე დარჩა შეძრწუნებული და დადუმებული. ამ დროს ჯონი და სტენლი ისევ ისე ისხდნენ გვერდიგვერდ. ლუდს სვამდნენ და თვალს გვადევნებდნენ. ჯორჯი წინ მკვეთრი მოძრაობით გადაიხარა და ღვინის ბოთლი მიუწია, ეს სპონტანურად და დიდი მონდომებით გააკეთა, უნდოდა, როგორმე გაერღვია ბარიერი, რომელიც მათგან ყოფდა.

- არც ისე ბევრია, მაგრამ დალიეთ, მიირთვით, - უთხრა სტენლის.

- ჩვენ ეგ არ გვიყვარს, - მიუგო სტენლიმ, - ჩვენ ლუდი გვიყვარს.

და ხელი უამრავ ჯიბეზე დაიტყაპუნა, საიდანაც სხვადასხვა დახრილობით ლუდის ბოთლები ამოჩრილიყო. სტენლის თავისთვისა და ჯონისთვის ლუდის მარაგის მუდმივი შევსება წარმოუდგენლად კარგად ეხერხებოდა. მაშინაც კი, როდესაც მთელ კოლონიაში ლუდი გაწყდებოდა, ეს კი დროდადრო ხდებოდა, სტენლი ჩვენთან ლუდს ყუთობით ეზიდებოდა. მთელ ქალაქში ლუდის სამალავები ჰქონდა მოწყობილი და სანამ „მშრალი სეზონი“ იდგა, ლუდით სარფიანად წაივაჭრებდა კიდეც.

- მართალი ხარ, - უთხრა ჯორჯმა, - ჩვენ კი, ბედოვლათმა კოლონისტებმა, ჩვენი ორგანიზმი ამ „ნაჟურს“ შევაჩვიეთ, იმ დროიდან ვვარჯიშობთ ამაში, რაც დედის ძუძუს მოგვაშორეს.

ჯორჯს ღვინო უყვარდა. თუმცა ასეთმა გულმოდგინე მცდელობამ, ურთიერთობა დაემყარებინა მათთან, ამ წყვილზე ოდნავადაც კი არ იმოქმედა და გული არ მოულბო.

- როგორ ფიქრობთ, ამ ორს მაგრად მიტყეპვა ხომ არ მოუხდებოდა? - იკითხა ჯორჯმა და პოლსა და თედზე ანიშნა (პოლი იღიმებოდა, თედს კი ეტყობოდა, რომ დარცხვენილი იყო).

- პირადად ჩემთვის სულერთია, - უთხრა სტენლიმ.

ჯორჯს ჯერ ეგონა, ღვინოს გულისხმობსო, მაგრამ როცა მიხვდა, პოლიტიკაზე ამბობდა, ვილის მზერა სტყორცნა, - მისგან ელოდა დახმარებას. მაგრამ ვილი ისევ ისე იჯდა და თავისთვის რაღაცას ღიღინებდა. ვიცოდი, რომ სახლი ენატრებოდა. ვილის არც სმენა ჰქონდა და არც ხმა, მაგრამ როცა სახლი მოენატრებოდა, ბრეხტის „სამგროშიანი ოპერიდან“ ერთ მოტივს იწყებდა და გაუთავებლად იმეორებდა:

ოო, ზვიგენს ჰქონია
საშიში კბილები, ძვირფასო,
იხეხავს და იხეხავს,

თეთრად უნდა, აელვარებდეს.

რამდენიმე წლის შემდეგ ეს პოპულარულ სიმღერად იქცა, მაგრამ მე პირველად „მაშოპიში“ გავიგონე ვილისგან. და მახსოვს დროისა და სივრცის აღრევის მძაფრი შეგრძნება, როდესაც ეს მოტივი ლონდონში მოვისმინე, მოდურ სიმღერად გადაქცეული, მრავალი წლის მერე, რაც ვილი ნოსტალგიურად და სევდიანად ღიღინებდა მას, თან გვიხსნიდა, „ჩვენ ხშირად ვმღეროდით ამას, როცა პატარა ვიყავი. ერთმა კაცმა შეთხზა, სახელად ბრეხტი ჰქვია, საინტერესოა, რა ბედი ეწია, ოდესღაც კარგი იყო ძალიან“.

- ამხანაგებო, რა ხდება? - მომთხოვნი ტონით იკითხა ჯორჯმა მას მერე, რაც ხანგრძლივმა, უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა.

- მე ვიტყოდი, რომ ერთგვარი დემორალიზაციის პერიოდი დგება, - თქვა პოლმა აუჩქარებლად, ხისტად.

- ო, არა! - შესძახა თედმა, მაგრამ უმალ თავი შეიკავა და გაჩუმდა, მოიღუშა, მერე კი ფეხზე წამოიჭრა და გამოაცხადა, - დასაძინებლად მივდივარ!

- მალე ყველანი წავალთ დასაძინებლად, - უთხრა პოლმა, - ასე რომ, მოიცადე ერთი წამი.

- ძალიან მინდა დაწოლა. ზეზეულად მძინავს, - თქვა ჯონიმ. ეს ყველაზე გრძელი გამოსვლა იყო, რაც კი ოდესმე გაგვეგო მისი შესრულებით. ოდნავ შესამჩნევი ბარბაცით წამოდგა და სტენლის მხარს დაეყრდნო. ისე ჩანდა, თითქოს ჯონი ერთხანს ფიქრობდა იმაზე, რაც მოხდა და გადაწყვიტა, ვალდებული ვარ რაღაც ვთქვაო.

- საქმე ასეა, - მიმართა მან ჯორჯს, - სასტუმროში იმიტომ ჩამოვედი, რომ სტენლის მეგობარი ვარ. მითხრა, პიანინო აქვთ, შაბათობით ცეკვებიაო. პოლიტიკა არ მაინტერესებს. შენ ჯორჯ

ჰუნსლოუ ხარ. შენზე ლაპარაკობდნენ, მესმოდა. მოხარული ვარ, რომ გაგიცანი.

ჯორჯს ხელი გაუწოდა და იმანაც გულთბილად ჩამოართვა.

სტენლი და ჯონი მთვარის შუქზე გაბორიალდნენ. საძინებელი კორპუსისკენ წავიდნენ. თედიც ადგა და თქვა:

- მეც წავალ და აღარასოდეს ჩამოვალ აქ.

- ოჰ, არ გინდა ეს დრამატიზმი, - ცივად უთხრა პოლმა. ამ მოულოდნელმა სიცივემ თედი გააოცა, სათითაოდ შეგვავლო თვალი, თუმცა კი გეგონებოდა, ვერაფერს ხედავსო. ნაწყენი და დაბნეული ჩანდა, მაგრამ პოლს დაემორჩილა და ისევ დაჯდა.

- რა ხდება, რა ჯანდაბაა? რატომ არიან ეს ჯეელები ჩვენთან? - აგრესიულად იკითხა ჯორჯმა. ეს სასოწარკვეთილების აგრესია იყო, - შეიძლება კარგი ბიჭები არიან, მაგრამ რატომ ვლაპარაკობთ ჩვენს პრობლემებზე მათი თანდასწრებით?

ვილიმ ისევ არ უპასუხა. ყურში კვლავაც ჩამესმოდა ჩუმი, გულის გამაწვრილებელი მოტივი: „ოო, ზვიგენს ჰქონია საშიში კბილები“.

პოლი თედს მიუბრუნდა და ნელა და უგულოდ უთხრა:

- მგონი, ჩვენ არასწორად შევაფასეთ კლასობრივი ვითარება „მაშოპიში“. ვერ შევნიშნეთ კაცი, რომელიც ეჭვგარეშეა, აქ მთავარი, საკვანძო ფიგურაა. არადა, მუდმივად ჩვენ თვალწინ იყო და არის. მისის ბუთბის მზარეული.

- რა ჯანდაბაა? რა შუაშია მზარეული? - იკითხა ჯორჯმა გაცხარებით.

ნათქვამმა მეტისმეტად უხეშად გაიჟღერა. ჩვენ წინაშე აგრესიული და გულმოკლული ჯორჯი იდგა, ჭიქას ხელში ატრიალებდა და ღვინო წამდაუწუმ ეღვრებოდა მიწაზე, მტვერში. ყველამ გავიფიქრეთ, რომ ეს აგრესიულობა იმ განცვიფრებით იყო გა-

მოწვეული, რომელიც განიცადა, როცა ჩვენი განწყობა იგრძნო და გააცნობიერა. რამდენიმე კვირა არ გვენახა. მგონი, იმ წუთში დავიწყეთ ჩვენში მომხდარი ცვლილებების მთელი სიღრმით გაცნობიერება, რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჩვენს თავს გვერდიდან შევხედეთ, იმ თვალით, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩვენი საკუთარი გახლდათ. და რადგანაც ჩვენს დანაშაულს ვგრძნობდით, ჯორჯის საქციელმა აღგვაშფოთა, აღგვაშფოთა ისე, რომ გვინდოდა მისთვის გული მოგვეკლა. ცხადად მახსოვს, როგორ ვიჯექი და ჯორჯს სახეში შევყურებდი, მის მართალ სახეს ვუცქერდი, ვხედავდი, რა განრისხებული იყო და ჩემს თავს ვეუბნებოდი: „ღმერთო ჩემო, ნამდვილი სიმახინჯეა და თან, რა კომიკურია“. არ მახსოვს, ადრე ასე მეფიქრა. და მაშინ მივხვდი, რამ აღმიძრა ეს გრძნობა. თუმცა, ჩვენ, რასაკვირველია, მხოლოდ მოგვიანებით გავაცნობიერეთ ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ ჰქონდა ჯორჯს ასეთი მძაფრი რეაქცია მისის ბუთბის მზარეულის ხსენებაზე.

- რა თქმა უნდა, მზარეული, - ჩაილაპარაკა პოლმა განზრახ აუჩქარებლად. ახლა მას ახალი სურვილი ამოძრავებდა, ჯორჯის პროვოცირება და მისთვის გულის ტკენა სურდა, - მან იცის კითხვა. იცის წერა. რაღაც იდეები აქვს, მისის ბუთბიმ ეს დაიჩივლა კიდეც. ესე იგი, ინტელექტუალია. მოგვიანებით, რასაკვირველია, მისი დახვრეტა მოგვიწევს, როცა მისი იდეები დამაბრკოლებელი გახდება. მაგრამ თავისი მისია უკვე შესრულებული ექნება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხომ მასთან ერთად დაგვხვრეტენ.

მახსოვს, როგორ შეხედა ჯორჯმა ვილის - ხანგრძლივი, განცვიფრებული მზერით. შემდეგ, როგორ გამომცდელად გახედა თედს, რომელიც უკან თავგადაგდებული იჯდა: ნიკაპი ევკალიპ-

ტის ტოტებისკენ მიეშვირა და ვარსკვლავებს შეჰყურებდა, ფოთლებს შორის რომ ციმციმებდნენ; მერე კი, როგორ მიაჩერდა შეწუხებული გამომეტყველებით ჯიმის, უსულო გვამივით რომ ესვენა პოლის ხელში.

თედმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქვა:

- მეტი აღარ შემიძლია. ჯორჯ, ფურგონამდე მიგაცილებთ და წავალთ.

ეს შერიგების მცდელობა იყო, მაგრამ ჯორჯმა ხისტად მიუგო:

- არა.

რადგან ასე უპასუხა, პოლი უმალ ადგა, ჯიმის ხელი უშვა, რომელიც ძელსკამზე გაიშხლართა და ყინულივით ცივი დაჟინებით ჩაილაპარაკა:

- რა თქმა უნდა, ჩვენ საწოლამდე მიგაცილებთ.

- არა, - გაიმეორა ჯორჯმა. ხმა დამფრთხალი ჰქონდა. შემდეგ, როცა გაიგონა, საკუთარი ხმა როგორ ჟღერდა, ტონი შეიცვალა, - აჰ, თქვე წყეულო მამათმავლებო, აჰ, თქვე ლოთებო, კისერს მოიმტვრევთ რელსებზე.

- მე ვთქვი, - გააგრძელა პოლმა სასხვათაშორისოდ, - წამოვალთ და ლოგინში ჩაგაწვენთ-მეთქი.

როცა პოლი წამოდგა, მაგრად დაბარბაცდა, მაგრამ წონასწორობა შეინარჩუნა და სწორად დადგა. მას, ისევე, როგორც ვილის, შეეძლო ძალზე ბევრი დაელია და თითქმის არ ეტყობოდა ხოლმე, მაგრამ ახლა აშკარად მთვრალი იყო.

- არა, - გამოაცხადა ჯორჯმა, - არა-მეთქი. თქვენ რა, ვერ გაიგეთ?

ამ დროს ჯონი გამოერკვა. ძელსკამიდან კინაღამ მიწაზე ჩაცურდა და თავი რომ შეემაგრებინა, პოლს მოეჭიდა. შემდეგ წამოდგა და ისევ პოლს ჩამოეკიდა. რამდენიმე წამი ასე იდგნენ,

ბარბაცებდნენ, მერე კი პირდაპირ რკინიგზისა და ჯორჯის ფურგონისკენ აიღეს გეზი.

- მობრუნდით! - უყვირა ჯორჯმა, - იდიოტებო! თქვე გალეშილო ბრიყვებო! თქვე კრეტინებო!

უკვე რამდენიმე იარდით მოგვშორდნენ. მათი წაგრძელებული ჩრდილები, ულაზათოდ რომ მიირწეოდნენ, მკვეთრ, შავ ჩრდილებად გაწოლილიყვნენ მთვარის შუქზე მოციმციმე ქვიშაზე და თითქმის იმ ადგილს სწვდებოდნენ, სადაც ჯორჯი იდგა. სულელურ, ციცქნა მარიონეტებს მოგაგონებდნენ, რომლებიც გრძელ, შავ კიბეზე ჩამოდიან. ჯორჯი ერთხანს დაღვრემილი მისჩერებოდა, მერე გაგულისებულმა ერთი ლაზათიანად შეიგინა და დაედევნა. ამ დროს ყველანი ერთმანეთს შევყურებდით და დაღლილი, მაგრამ მიმტევებელი სახე გვქონდა მიღებული, თითქოს ვამბობდით: „რა სჭირს ჯორჯს? რა დაემართა?“

ჯორჯი დაეწია მათ, მხრებზე ხელი სტაცა და თავისკენ შემოაბრუნა. ჯიმი დაეცა. ლიანდაგის გასწვრივ მსხვილი ხრეში იყო დაყრილი და კენჭებზე ფეხი დაუცდა. პოლი სწორად იდგა და ცდილობდა, წონასწორობა შეენარჩუნებინა. ჯორჯი ჯიმის გვერდით ჭუჭყიან მიწაზე დაეშვა, მუხლებზე დადგა, შეეცადა, წამოეყენებინა, ცდილობდა, მიწიდან აეზიდა სამხედრო ფორმის სქელ გარსში გახვეული დამძიმებული სხეული.

- აჰ, შე ლოთო შტერიკელა, - ტლანქი ალერსით ეუბნებოდა გამობრუჟულ ბიჭს, - ხომ გეუბნებოდი, მობრუნდი-მეთქი, ხომ გეუბნებოდი? განა არ გითხარი?

უძლურებისგან სასოწარკვეთილმა კინაღამ ჯიმის ჯანჯღარიც კი დაუწყო, მაგრამ თავი შეიკავა: უთბილესი თანაგრძნობით ეპყრობოდა, მაშინაც კი, როცა რამდენჯერმე სცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, მიწას ვერ მოსწყვიტა, ვერ ააყენა. ამ დროს ყვე-

ლამ მივირბინეთ და მათ გვერდით დავდექით ბილიკზე. ჯიმი ზურგზე იწვა, თვალდახუჭული. შუბლი ხრეშზე გაეტეხა და ახლა ფერმკრთალ სახეზე მუქი სისხლი წვრილ ნაკადად ჩამოსდიოდა. მისი მუდამ გადატკეპნილი თმა ესოდენ ეფექტური პირველად ჩანდა: შუბლზე ხშირ, ლამაზ ტალღად სცემდა. თმის თითოეული ღერი ცალ-ცალკე ბზინავდა.

- ოო, ჯანდაბა, - ჯორჯმა სასოწარკვეთით ამოიოხრა.

- კი მაგრამ ამ აურზაურის ატეხა რა საჭირო იყო? - იკითხა თედმა, - უბრალოდ გვინდოდა ფურგონამდე მიგვეცილებინე.

ვილიმ ყელი ჩაიწმინდა. ასეთ დროს ყოველთვის ველურ, ხრჭიალის მსგავს ხმას გამოსცემდა ხოლმე. ხშირად აკეთებდა ასე. იმიტომ კი არა, რომ ნერვიულობდა, არამედ იმიტომ, რომ ზოგჯერ ასე ტაქტიანად ცდილობდა ჩვენს გაფრთხილებას რაღაცის გამო. სხვა დროს კი ამით თითქოს გვეუბნებოდა: „მე ვიცი რაღაც, რაც თქვენ არ იცით“. მივხვდი, ამჯერად ეს მეორე იგულისხმებოდა და ვილი ცდილობდა, ეთქვა, ჯორჯი იმიტომ არ გვიშვებს ფურგონთან, რომ იქ ქალი ჰყავს დამალულიო. როცა ვილი ფხიზელი იყო, სხვის საიდუმლოებას არასოდეს გასცემდა, მცირედ მინიშნებასაც კი არ გააკეთებდა, მაშასადამე, ახლა ძლიერ მთვრალი გახლდათ. იმისთვის, რომ ეს უტაქტობა გადამეფარა, მერიროუზს წავჩურჩულე:

- სულ გვავიწყდება, რომ ჯორჯი ჩვენზე უფროსია. ალბათ, ისე გვიყურებს, როგორც ბავშვებს.

ეს ხმამაღლა ვთქვი, ყველას რომ გაეგო. ჯორჯმაც გაიგონა ჩემი ნათქვამი, თავი მოაბრუნა, მხარს ზემოდან გამიღიმა როგორღაც ალმაცერად, თუმცა კი, მადლიერებითაც. ჯიმი ჯერ ვერ წამოგვეყენებინა. ვიდექით და დავყურებდით. შუაღამეს გვარიანად გადაცილებული იყო, მიწა გაცივდა, მთვარე დაბლა და-

ეშვა, ჩვენს ზურგს უკან, უღელტეხილის თავზე. მახსოვს, ვიდექი და მიკვირდა, რომ ჯიმი, როდესაც გონზე იყო, მხოლოდ მოუხეშავსა და სულაც უბადრუკ შთაბეჭდილებას ახდენდა, ამჯერად კი, სწორედ ახლა, მხოლოდ ახლა, როდესაც მთვრალი ბინძურ ხრეშზე უგონოდ ეგდო, რატომღაც ღირსეულად და მეტად გულის ამაჩუყებლად გამოიყურებოდა, შუბლზე შავი ნაჭრილობევით. იმავდროულად, დიდი ინტერესით ვფიქრობდი იმაზე, თუ რომელი ქალი იყო ჯორჯის ფურგონში: ფერმერთა მკაცრი ცოლებისგან თუ გასათხოვარი ქალიშვილებისგან რომელი, ან სასტუმროს მდგმურებისგან, იმათგან, ვისთანაც ერთად ვსვამდით რამდენიმე წუთის წინ ბარში, რომელი შეძვრა ფარულად ჯორჯის მანქანაში, რომელმა სცადა, რაც შეიძლებოდა შეუმჩნევლად გაეკეთებინა ეს წყაროს წყალივით გამჭვირვალე მთვარის შუქზე. მახსოვს, იმ ქალის შემშურდა. იმ ერთადერთ წამს მიყვარდა ჯორჯი, მიყვარდა მწარედ და მტკივნეულად. და ამის გამო ჩემს თავს ყველანაირად ვთათხავდი და უკანასკნელ ბრიყვს ვეძახდი, რადგან მე არაერთხელ უარვყავი იგი, არ მივიღე მისი სიყვარული. ჩემი ცხოვრების იმ ეტაპზე, მიზეზთა გამო, რაც ჩემთვის ცხადი მხოლოდ მოგვიანებით გახდა, იმ მამაკაცებს, რომლებსაც მართლა ვუნდოდი, ჩემამდე მოსვლის საშუალებას არ ვაძლევდი.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ჯიმი წამოვაყენეთ. ეს მეტად გაგვიჭირდა. და ასე წავედით, ყველანი ერთად, ხელს ვაშველებდით და ვუბიძგებდით, წინ რომ ევლო. გავიარეთ ევკალიპტების კორომი, შემდეგ გრძელი ბილიკი ყვავილნარს შორის და ასე მივედით მის ოთახამდე. როგორც კი დავაწვინეთ, გვერდზე გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშვა, მაშინაც კი არ გაუღვიძია, როცა ჭრილობას ვუმუშავებდით. ჭრილობა საკმაოდ

ღრმა აღმოჩნდა, შიგ მიწა და წვრილი კენჭები იყო და დიდი დრო დაგვჭირდა, სანამ სისხლს გავუჩერებდით. პოლმა თქვა, არ დავიძინებ და ჯიმის მივხედავ, თუმცა კი საკუთარი თავი საშინლად მძულს იმ წყეული ფლორენს ნაიტინგეილის როლშიო, მაგრამ ჩამოჯდა თუ არა, უმალ ჩაეძინა და მათ ორივეს, ბოლოს და ბოლოს, მერიროუზმა უდარაჯა, მათთან დილამდე დარჩა და თვალი წამითაც არ მოუხუჭავს.

თედი თავის ოთახში გავიდა, ლაკონიურად და ლამის გესლიანად გვისურვა ძილი ნებისა (დილით კი განწყობა შეეცვალა, ირონიული და ცინიკური გახდა, თავის თავს დასცინოდა. მომდევნო თვეებში განწყობა კიდევ არაერთხელ შეეცვალა რადიკალურად, ხან აქეთ, ხან იქით, - საკუთარი დანაშაულის შეგრძნებით გაჯერებული, პირქუში სერიოზულობით დაწყებული, კიდევ უფრო მწარე ცინიზმით დამთავრებული, - მოგვიანებით გვითხრა, რომ ეს მის ცხოვრებაში ყველაზე სამარცხვინო პერიოდი იყო). ვილი, ჯორჯი და მე კიბის საფეხურებზე ვიდექით, უკვე მიმქრალი მთვარის შუქში.

- გმადლობთ, - თქვა ჯორჯმა. მძიმედ, დაკვირვებით ჩამხედა თვალებში, მერე ვილის გახედა, შეყოყმანდა და არ თქვა ის, რის თქმასაც აპირებდა. ამის ნაცვლად, როგორც სჩვეოდა, მოღუშულმა იხუმრა:

- მე თქვენ ოდესმე მაგარ სეირს გაჩვენებთ.

გაგვშორდა, თავისი სატვირთო მანქანისკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდა, რკინიგზასთან რომ იდგა. ვილიმ კი ჩაიბურტყუნა:

- იმ კაცს ჰგავს, საიდუმლო პაემანი რომ აქვს.

ვილი დაუბრუნდა თავის ჩვეულ ამპლუას ცხოვრებით მოყირჭებული კაცისა და ახლა ყოვლისმცოდნის სახით სიტყვებს წელავდა, თავს აქნევდა და იღიმებოდა. მაგრამ მე იმდენად მშურ-

და იმ უცნობი ქალის, რომ ვერაფერი ვუპასუხე. და ასე, მდუმარედ წავედით დასაძინებლად. ალბათ, შუადღემდე გვეძინებოდა, მაგრამ ჩვენმა მფრინავებმა გაგვაღვიძეს, ოთახში ლანგრებით საუზმე შემოგვიტანეს. ჯიმის თავი შეხვეული ჰქონდა და მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურებოდა. თედი წარმოუდგენლად, შლეგურად მხიარული ჩანდა, პოლი კი თავის ხიბლს ლამის ფიზიკურად ასხივებდა და ამბობდა:

- მზარეულთან ძირგამომთხრელი სამუშაო უკვე დავიწყეთ, უფლება მოგვცა შენთვის, ძვირფასო ანა, საუზმე ჩვენ თვითონ მოგვემზადებინა და როგორც დამატებითი, მაგრამ აუცილებელი, დატვირთვა, - საუზმე ვილისთვის, - და მოხდენილი მოძრაობით, მნიშვნელოვანებით აღსავსე გამომეტყველებით წინ ლანგარი დამიდო.

- მზარეული უკვე გამალებული მუშაობს, საღამოსთვის გემრიელ რაღაცებს გვიმზადებს. არ გინდა ნახოთ, რა მოგიტანეთ?

იმდენი საჭმელი მოეზიდათ, ყველას გვეყო, ნამდვილი ქეიფიც კი გამოგვივიდა: ახალდაკრეფილი პაუ-პაუ და ავოკადო, ერბოკვერცხი ბეკონით, არომატული გახუხული პური, ყავა. ფანჯრები ღია იყო, გარეთ მზე აცხუნებდა, ოთახში კი ყვავილების სურნელით გაჯერებული სიო უბერავდა. პოლი და თედი ჩემს საწოლზე ჩამოსხდნენ, ერთმანეთს ვეპრანჭებოდით, ჯიმი კი ვილის საწოლზე მოკალათდა და ისეთი მორჩილი სახით იჯდა, თითქოს რცხვენოდა, გუშინ რომ გაილეწა. უკვე საკმაოდ გვიან იყო, ბარი ამუშავდა, ჩვენც ავდექით და ბარში გავეშურეთ. ბილიკზე, ყვავილებს შორის მივაბიჯებდით, რომლებიც მზის შუქს მძაფრი, მშრალი, გამჭოლი სურნელით ავსებდნენ. ეს მზეზე გადახურებული და გამხმარი ყვავილების სუნი გახლდათ. სასტუმროს ვერანდები ხალხით იყო სავსე, - სვამდნენ და

მხიარულად მუსაიფობდნენ. ბარიც სავსე აღმოჩნდა და დღესასწაული, როგორც პოლმა გვამცნო დიდი კათხის ქნევით, უკვე დაწყებულიყო.

თუმცა კი ვილი ჩამოგვშორდა. ჯერ ერთი, ბოჰემური ცხოვრების ისეთ გამოვლინებებს, როგორიცაა საძინებელში ერთობლივი საუზმე, არ იწონებდა.

- ცოლ-ქმარი რომ ვიყოთ, - მითხრა უკმაყოფილოდ, - მაშინ ეს შეიძლება ნორმალური ყოფილიყო.

გამეცინა.

- მიდი, იცინე, იცინე, მაგრამ ძველ წესებს თავისი აზრი აქვს. ისინი ადამიანებს ბევრი უბედურების თავიდან აცილებაში ეხმარებოდნენ.

გაღიზიანდა, რომ დავცინოდი, და მითხრა, ქალმა შენს სიტუაციაში უფრო ღირსეულად უნდა დაიჭიროს თავიო.

- რომელ სიტუაციაში? - მოულოდნელად ძლიერ გავბრაზდი იმ გრძნობის გამო, რომელიც ქალს უჩნდება იმწამს, როდესაც ჰგონია, კუთხეში მიიმწყვდიეს.

- დიახ, ანა, ქალებსა და მამაკაცებს ბევრი რამ მოეთხოვება. ასე იყო მუდამ და, როგორც ჩანს, ყოველთვის ასე იქნება.

- ყოველთვის ასე იყო? - ვილის ვთავაზობდი, საკუთარი წარსული გაეხსენებინა.

- იქ, სადაც ამას მნიშვნელობა აქვს.

- ამას მნიშვნელობა აქვს შენთვის და არა ჩემთვის.

ასეთი ჩხუბი არაერთხელ მოგვსვლია. ზეპირად ვიცოდით ყოველი ჩვენგანი რას იტყოდა: ქალის სისუსტე, მესაკუთრული გრძნობა, რომელიც მამაკაცებისთვისაა დამახასიათებელი, ქალები ძველ დროს და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ, გულისრევამდე. ვიცოდით, ეს ხასიათისა და ჩვევების შეუთავ-

სებლობა იყო, რაც იმდენად სიღრმისეულია თავისი ბუნებით, რომ ვერანაირი სიტყვები ვერაფერს შეცვლიდა, არც მასში და არც ჩემში, - სიმართლე ის იყო, რომ ყოველ ნაბიჯზე ერთმანეთის ყველაზე სიღრმისეულ გრძნობებსა და ინსტინქტებს მტკივნეულად ვეხებოდით. ამიტომ მომავალმა პროფესიონალმა რევოლუციონერმა უბრალოდ თავი ცივად დამიკრა, სხვა მაგიდასთან დაჯდა და წინ რუსული ენის გრამატიკა დაიდო. თუმცა, ცხადი იყო, თავის გემოზე მეცადინეობას ვერ მოახერხებდა, რადგან ევკალიპტებიდან ჩვენკენ ერთობ შემართული გამომეტყველებით ჯორჯი მოდიოდა.

პოლმა ხალისიანად შემომთავაზა:

- ანა, წამო სამზარეულოში, ნახე, რა მშვენიერი რაღაცები მზადდება.

პოლი მომეხვია. ვიცოდი, ვილი ამას ხედავდა და მიხაროდა. მერე მე და პოლი ქვით მოპირკეთებული დერეფნებითა და გასასვლელებით სამზარეულოში გავეშურეთ. სამზარეულო, დაბალჭერიანი დიდი ოთახი, სასტუმროს უკან იყო. მაგიდებზე ათასნაირი კერძი ეწყო, ზედ სათუთად თხელი ქსოვილი გადაეფარებინათ, ბუზებისგან რომ დაეცვათ. იქ მზარეულთან ერთად მისის ბუთბიც ბრძანდებოდა. მის სახეზე აშკარად იკითხებოდა განცვიფრება, - ვერაფრით გაეგო, როგორ ჩააყენა თავისი თავი ისეთ მდგომარეობაში, რომ ესოდენ პრივილეგირებული მდგმურები გავხდით: სამზარეულოში როცა მოგვეპრიანებოდა, მაშინ შეგვეძლო შესვლა. პოლი მზარეულს მიესალმა და ოჯახის ამბის გამოკითხვა დაუწყო. მისის ბუთბის, რასაკვირველია, ეს არ მოეწონა და პოლსაც სწორედ ეს უნდოდა. მზარეულსა და მისის ბუთბის პოლზე ერთნაირი რეაქცია ჰქონდათ: თითქოს დადარაჯებული და მეტად გაოცებულიც იყვნენ, პოლს არ ენდო-

ბოდნენ. მზარეული აშკარად დაიბნა. თუმცა, იმის გამო, რომ კოლონიაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ასობით და ათასობით სამხედრო მფრინავი ჩასულა, მათთან ურთიერთობის წყალობით ზოგიერთმა აფრიკელმა გააცნობიერა, - არსებობს ალბათობა, - ცხოვრებისეულ სხვა ალბათობათა გვერდით, - რომ თეთრკანიანი შავკანიანს შეიძლება მოეპყრას როგორც ადამიანი ადამიანს. მისის ბუთბის მზარეულისთვის ფეოდალური ურთიერთობების მეგობრული ტონი ნაცნობი იყო, თანამედროვე უპიროვნო ურთიერთობების სისასტიკეც უწყოდა. მაგრამ ახლა იგი პოლს თანასწორივით ელაპარაკებოდა, თავის შვილებზე უყვებოდა. სანამ ახალ კითხვაზე უპასუხებდა, მზარეული ყოველ ჯერზე ყოყმანობდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ამგვარი საუბრის ჩვევა არ გააჩნდა, თუმცა, ადამიანის ბუნებრივმა ღირსების გრძნობამ, რომელსაც ხშირად სათვალავშიაც კი არ აგდებენ ხოლმე, მალე იმძლავრა და პოლთან ისე დაიწყო საუბარი, როგორც თანასწორმა თანასწორთან. მისის ბუთბიმ რამდენიმე წუთი უსმინა, მერე კი უხეშად გააწყვეტინა, პოლს უთხრა:

- თუ გინდა, მართლა კარგი საქმე გააკეთო, პოლ, წაიყვანე ანა, დიდი ოთახი მორთეთ და გაალამაზეთ.

ამით პოლს აგრძნობინა, მივხვდი, გუშინ რომ გამამასხარავეო.

- რა თქმა უნდა, - მიუგო პოლმა, - სიამოვნებით.

თუმცა, რამდენიმე წუთით მაინც შეყოვნდა, მზარეულთან საუბარი რომ დაესრულებინა. მზარეული სიმპათიური კაცი იყო, მაღალი, ბრგე, რომელსაც მეტად ცოცხალი, მეტყველი სახე ჰქონდა; კოლონიის ამ კუთხეში ძალიან ბევრი აფრიკელი ქრონიკული უჭმელობისა და ხშირი ავადმყოფობის გამო მეტად

უბადრუკი სანახავი გახლდათ, ეს კაცი კი ცოლსა და ხუთ შვილთან ერთად ცალკე მდგომ მომცრო სახლში ცხოვრობდა, ბუთბის სახლის უკან რომ იდგა. რასაკვირველია, ეს კანონის დარღვევა იყო, რომლის თანახმადაც შავკანიანს უფლება არ ჰქონდა, ეცხოვრა მიწაზე, თეთრკანიანს რომ ეკუთვნოდა. სახლი საკმაოდ ღარიბული, თუმცა ოცჯერ მაინც უკეთესი იყო, ვიდრე სხვა აფრიკელის ქოხმახი. გარშემო ბოსტნეული და ყვავილები დაერგოთ, იქვე ქათმები და ციცრები დაბორიალებდნენ. ასე მგონია, „მაშოპიში“ სამსახურით მზარეული ძალზე კმაყოფილი უნდა ყოფილიყო.

როდესაც მე და პოლი სამზარეულოდან გამოვდიოდით, ისე დაგვემშვიდობა, როგორც იმ მხარეში იყო მიღებული, - „დილა მშვიდობისა, ნკოს, დილა მშვიდობისა, ნკოსიკაას“, რაც ნიშნავდა, „დილა მშვიდობისა, ბატონო და ქალბატონო“ (სიტყვასიტყვით: „ბელადო“ და „ბელადო ქალბატონო“).

- ო, ღმერთო, - ჩაილაპარაკა პოლმა გაბრაზებითა და გაღიზიანებით. მერე კი ცივად და ჭირვეულად დასძინა, თითქოს საკუთარ თავს იცავსო, - და მაინც საოცარია, რომ ეს არც მაწუხებს. ბოლოს და ბოლოს, ღმერთს ენება, რომ სწორედ ასეთი ცხოვრებისთვის გამოვეხმე არარსებობიდან, რომელიც, და ეს სავსებით ცხადია, მშვენივრად ესადაგება ჩემს გემოვნებასა და ნიჭს. ასე რომ, რაღას ვნერვიულობ, რა მაღელვებს? და მაინც...

დიდი ოთახისკენ გავემართეთ. მხურვალე მზის შუქში მივაბიჯებდით და ჩვენს ფეხქვეშ სურნელოვანი მტვრის ბოლქვები იშლებოდა. პოლი ისევ მომეხვია და მე ისევ გამიხარდა, მაგრამ ამჯერად იმიტომ არა, რომ ვილის შეიძლებოდა დავენახეთ. მახსოვს, მისი ხელი როგორ ინტიმურად ჩამოსრიალდა ჩემს ზურგზე და ოდნავ წელქვემოთ შეჩერდა, და როგორ გავიფიქრე,

რომ ჩვენს მჭიდრო ერთობლივ ცხოვრებაში ჩვენს კომპანიაში წამიერად აინთებოდა და ეგრევე ქრებოდა ურთიერთმიზიდულობის ასეთი ნაპერწკლები, მერე კი სინაზის, დანაშაულის გრძნობით ოდნავ შეფერილი დაუკმაყოფილებელი ცნობისწადილის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს ტოვებდა, მაინც სასიამოვნო რომ იყო რატომღაც; და გავიფიქრე, შესაძლოა, ჩვენ ერთმანეთთან განუხორციელებელი შესაძლებლობების სწორედ ეს ნაზი ტკივილი გვაკავშირებდა ყველაზე მეტად. პალისანდრის დიდი ხის ძირას, რომელიც შორიახლოს იდგა იმ ადგილთან, საითაც მივდიოდით და სადაც ვილი ვერ დაგვინახავდა, პოლი შეჩერდა, თავისკენ მიმაბრუნა სახით, ზემოდან ქვემოთ დამაცქერდა, გამიღიმა, - ნეტარი ტკივილის გრძნობამ ტანში რამდენჯერმე დამიარა.

- ანა, - თქვა, უფრო კი წაიმღერა, - ანა, მშვენიერო ანა, აბსურდულო ანა, შერეკილო ანა, ჩვენო ნუგეშო ამ სასტიკ უდაბურებაში, შემწყნარებელ-განცვიფრებული შავი თვალების ანა.

ერთმანეთს გავუღიმეთ, ხშირი ფოთლებიდან ასობით ოქროს ისარი, მზის სხივი გვცემდა. ეს სიტყვები ჩემთვის თითქოსდა გამოცხადება იყო, რადგან იმ პერიოდში მუდმივად ვიბნეოდი, ვირეოდი, დაუკმაყოფილებლობას ვგრძნობდი, ჩემი თავი უბედურად მიმაჩნდა და საკუთარი არაადეკვატურობის გამო ვიტანჯებოდი, ნებისმიერი შეუძლებელი მომავლისკენ დაუძლეველი სწრაფვა მქონდა, და გონების განწყობა, გადმოცემული სიტყვებით „შემწყნარებელ-განცვიფრებული შავი თვალები“, ჩემი მაშინდელი „მე“-სგან ჯერ კიდევ ძალზე შორს იდგა. ახლა მგონია, რომ მაშინ სინამდვილეში ადამიანებისა არ მესმოდა, მათში მხოლოდ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილების დამატებით საშუალებას ვხედავდი. ამას ახლაღა ვხვდები, როცა უკან, წარ-

სულში ვიხედები, მაშინ კი თითქოს რაღაც დამაბრმავებელ ბურანში ვცხოვრობდი, ვმოძრაობდი და ვთრთოდი ჩემი სურვილების ცვლილებისდა მიხედვით. რასაკვირველია, ეს მხოლოდ იმის აღწერაა, თუ რას წარმოადგენს ახალგაზრდობა. მაგრამ სწორედ პოლს, ერთადერთს ჩვენგან, ჰქონდა „განცვიფრებული თვალები“ და როდესაც ჩვენ ხელჩაკიდებულები შევდიოდით დიდ ოთახში, ვუყურებდი და გაოცებით ვფიქრობდი, - ნუთუ შესაძლებელია, ესოდენ თავდაჯერებული ახალგაზრდა კაცი თავს ჩემსავით გრძნობდეს, ანუ უბედურად და გატანჯულად, - და რომ მე მასავით „განცვიფრებული თვალები“ მაქვს, - და, ბოლოს და ბოლოს, რა ჯანდაბას ნიშნავს ეს? სრულიად მოულოდნელად მძაფრი, აუტანელი დეპრესიის ტალღა შემომაწვა, რაც იმ დღეებში ხშირად მომდიოდა, ყოველთვის უეცრად და მეყსეულად, ამიტომ პოლს მოვშორდი და ფანჯარასთან მივედი.

ასეთი ლამაზი ოთახები არასოდეს მენახა. ბუთბიმ ისინი იმიტომ ააშენებინა, რომ რკინიგზის იმ გაჩერებაზე საზოგადოებრივი შეკრებებისთვის დარბაზი არ იყო და ყოველ ჯერზე, როცა ცეკვები ან რაიმე პოლიტიკური შეკრება იმართებოდა, სასადილოს გათავისუფლება უხდებოდა. ააშენეს ყველაზე კეთილშობილური მოსაზრებებით, გამორჩენის მიზნით კი არა, არამედ როგორც საჩუქარი რაიონისთვის, სადაც ცხოვრობდნენ.

ოთახი მოზრდილი დარბაზისხელა იყო, თუმცა კი სასტუმრო ოთახს ჰგავდა: წითელი, გაპრიალებული აგურის კედლებით, მუქ წითლად შეღებილი ბეტონის იატაკით, - მოყვითალო--მოწითალო აგურის რვა მასიური სვეტი მაღალ, ძეძვით გადახურულ სახურავს იჭერდა. ოთახის ორივე ბოლოში ბუხრები იყო, თანაც იმხელა, რომ თითოეულში ხარის შეწვა შეიძლებოდა. ძეძვის სახურავი მძაფრ, ოდნავ მომწარო სურნელს გამოსცემ-

და, ამინდის მიხედვით რომ იცვლებოდა, - მშრალი იყო თუ ტენიანი. ოთახის ერთ ბოლოში როიალი იდგა, მეორეში - ფირსაკრავი და ფირფიტებიანი სტელაჟი. ყოველ მხარეს ექვს-ექვსი ფანჯარა დაეტანებინათ, ზოგიერთიდან მოჩანდა ხრეშის გროვები რკინიგზის სადგურს უკან, სხვებიდან კი იხსნებოდა ხედი უზარმაზარ სივრცეზე, რომელიც მხოლოდ მოლურჯო მთების გრეხილით იყო შემოფარგლული ჩვენგან მრავალი მილის დაშორებით.

ჯონი ოთახის სიღრმეში როიალზე უკრავდა, სტენლი ლეტი და თედი მის გვერდით იდგნენ. აშკარა იყო, პირწმინდად გადავიწყებოდა მათი იქ ყოფნა. მხრები ჯაზური მელოდიის რიტმში ერხეოდა, ფეხებსაც აყოლებდა და ფერმკრთალ, ოდნავ მოჩვარულ სახეზე სრულიად განყენებული გამომეტყველებით სადღაც მთებისკენ იყურებოდა. სტენლის არ ადარდებდა, რომ ამხანაგი გულგრილად ექცეოდა: ჯონი მისთვის იგივე იყო, რაც სადილის ტალონი, მოსაწვევი წვეულებებისა, სადაც უკრავდა, ლაზათიანი დროს ტარების საშვი. სტენლი არც მალავდა, რატომ მეგობრობდა ჯონთან, ზედმიწევნით გულახდილი გაიძვერა გახლდათ. სანაცვლოდ, იგი ზრუნავდა, რომ ჯონის მომარაგება სიგარეტით, ლუდითა და ქალებით ყოველთვის „კარგად ორგანიზებული“, შეუფერხებელი ყოფილიყო, თანაც სრულიად უფასოდ. სტენლის გაიძვერა ვუწოდე, თუმცა, ეს, რასაკვირველია, სრული აბსურდია. იგი იყო კაცი, რომელიც ძალზე ადრეულ ასაკში მიხვდა, რომ მდიდრებისთვის სხვა კანონები არსებობს, ღარიბებისთვის კი - სრულიად სხვა. ჩემთვის ეს მხოლოდ თეორიულ ცოდნად რჩებოდა, სანამ ლონდონის მუშათა რაიონში არ მომიწია ცხოვრებამ. აი, სწორედ მაშინ გავუგე სტენლი ლეტს. მას კანონისადმი ერთობ სიღრმისეული, შინაგანი ზიზღი

ჰქონდა. ზიზღი, თუკი ძალიან მოკლედ ვიტყვით, სახელმწიფოსადმი, რომელზეც ჩვენ ესოდენ ბევრს ვმსჯელობდით. იქნებ სწორედ ეს არ აძლევდა თედს მოსვენებას? იტყოდა ხოლმე: „მაგრამ ის ხომ ძალიან ჭკვიანია!“ - ანუ გულისხმობდა, რომ სტენლის ჭკუას თუ გამოვიყენებდით, საერთო საქმეს სასიკეთოდ წაადგებოდა. და მგონი, თედი სიმართლესთან ახლოს იყო. არსებობს პროფკავშირული მოღვაწის ასეთი ტიპი: ხისტი, მეტად თავდაჭერილი, რომელმაც კარგად იცის თავისი საქმე და ყველაფერს იკადრებს. არასოდეს მინახავს, სტენლის მოთმინება დაეკარგოს და ამ მკაცრ თვითკონტროლს იყენებდა როგორც იარაღს, რომლის მეშვეობითაც ცდილობდა, ცხოვრებისგან მაქსიმუმი მიეღო - ცხოვრებისგან, სადაც ყველაფერი წინასწარვე მის სასარგებლოდ არ იყო გადაწყვეტილი და ამას იღებდა როგორც მოცემულობას, - იღებდა მაქსიმუმს იმისა, რაც კი შესაძლებელი გახლდათ. ის საშინელი იყო. რა თქმა უნდა, მე საშინლად მეჩვენებოდა: უზარმაზარი, სახის ნაკვთები - ხისტი და ცხადი; მონაცრისფრო თვალების ყინულივით ცივი, ყველაფრის შემფასებელი მზერა. რატომ ითმენდა სტენლი იმპულსურ, მოუსვენარ, იდეალისტურად განწყობილ თედს? ვფიქრობ, იმ უპირატესობის გამო კი არა, რაც შეიძლებოდა ამ ურთიერთობით მიეღო. მას გულს უჩუყებდა, რომ თედი, „ჭკვიანი ბიჭი“, კვლავაც გულწრფელად იღვწოდა თავისი კლასის ინტერესების დასაცავად. და, იმავდროულად, სტენლის იგი შერეკილად მიაჩნდა. ეტყოდა ხოლმე: „მისმინე, მეგობარო, ბედმა გაგიღიმა, რომ უფრო მეტი ჭკუა გაქვს, ვიდრე ჩვენს უმეტესობას. მაშ, გამოიყენე შანსი, რომელიც მოგეცა და ნაგავში ხელს ნუ აფათურებ. პროლეტარები მაგას არ იზამდნენ, იმათ საკუთარი თავის გარდა არავინ და არაფერი აინტერესებთ. და რომ ეს ასეა, შენც იცი და

მეც“. „მაგრამ, სტენლი, - თედი მის გადარწმუნებას იწყებდა. ამ დროს თვალები აენთებოდა ხოლმე, შავი თმა მკვეთრი მოძრაობისგან ეჩეჩებოდა, - სტენ, თუკი ადამიანები, ისეთები, ჩვენ რომ ვართ, მხოლოდ საკუთარ თავზე აღარ იფიქრებენ, ყველაფერს შევცვლით, ნუთუ არ გესმის?“ სტენლი იმ წიგნებსაც კი კითხულობდა, თედი რომ აძლევდა და ამ სიტყვებით უბრუნებდა უკან: „ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. და, აი, რას გეტყვი: ღმერთმა ხელი მოგიმართოს“.

იმ დილით სტენლიმ როიალზე ლუდის კათხები ჩაამწკრივა. კიდევ ერთი ყუთი ლუდი კუთხეში დაედგა. სიგარეტის კვამლი როიალის გარშემო ბოლქვებად ტრიალებდა, არეკლილი მზის სხივები კვამლში გამჭოლად ატანდა: ახალგაზრდებს როიალთან ოთახის დანარჩენი სივრცისგან მზით გამსჭვალული კვამლის კედელი ყოფდა. ჯონი უკრავდა, უკრავდა, უკრავდა. ამქვეყნად აღარაფერი ახსოვდა. სტენლი ეწეოდა, სვამდა და ოთახში შემოსულ ქალებს ათვალიერებდა, გონებაში მარჩიელობდა, რომელი გამოადგებოდა ჯონს და რომელი - მას. თედს კი მთელი გულით ენატრებოდა ურთიერთობა ხან სტენლის პოლიტიკურ სულთან, ხანაც ჯონის მუსიკალურთან. როგორც ვთქვი, თედი მუსიკალურ თვითგანათლებას დაბეჯითებით ეწეოდა, მაგრამ დაკვრა არ შეეძლო. ღიღინებდა ხოლმე პროკოფიევის, მოცარტის, ბახის ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებს და სახეზე იმპოტენტის ტანჯვა ესახებოდა, სურვილი რომ კლავს, და ჯონის ემუდარებოდა, დაეკრა ის, რასაც ღიღინებდა. ჯონს სმენით შეეძლო აეწყო ნებისმიერი რამ და ცალი ხელით იწყებდა იმ მელოდიების დაკვრას, თედი რომ სთხოვდა, მეორე ხელი კი ამ დროს კლავიშების თავზე მოუთმენლად გაირინდებოდა ხოლმე ისე, რომ არ ეხებოდა. მაგრამ საკმარისი იყო, თედს ჯონზე ჰიპნოზუ-

რი ზეგავლენა ოდნავ შეესუსტებინა, მარცხენა ხელით ეგრევე სინკოპა გამოჰყავდა და წამში უკვე ორივე ხელი ჯაზური იმპროვიზაციის სტიქიას თავდავიწყებით ეძლეოდა. თედი კი იღიმებოდა, ცდილობდა, სტენლის მზერა დაეჭირა, თავისი სიმწრის გაოცება მისთვის რომ გაეზიარებინა. თუმცა, საპასუხო ღიმილი მხოლოდ მშვიდ კეთილგანწყობას გამოხატავდა. ის მუსიკის მიმართ აბსოლუტურად გულგრილი გახლდათ.

ამ სამეულმა მთელი დღე როიალთან გაატარა.

ოთახში ათი ან თხუთმეტი კაცი იქნებოდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო, რომ ცარიელი ჩანდა. მერიროუზი და ჯიმი სკამებზე ასულიყვნენ და სახურავის ძელებზე ქაღალდის გირლანდებს კიდებდნენ. მათ სამხედრო-საჰაერო ძალების ხუთი-ექვსი რიგითი ეხმარებოდა, გაეგოთ, რომ აქ ჯონი და სტენლი იქნებოდნენ და ქალაქიდან მატარებლით ჩამოსულიყვნენ. ჯუნ ბუთბი ფანჯრის რაფაზე იჯდა და ყველაფერს თავისი იდუმალი ფანტაზიის სამყაროდან ადევნებდა თვალს. როდესაც შესაშველებლად მიიპატიჟეს, თავი ნელა გააქნია უარის ნიშნად და განზე გაიხედა, სადღაც შორს, მთებისკენ იცქირებოდა. პოლი ერთხანს იმ ჯგუფის გვერდით იდგა, გირლანდებს რომ კიდებდა, მერე კი სტენლის ლუდი აართვა, წამოვიდა და ჩემ გვერდით ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

- განა სამწუხარო სანახაობა არ არის, ძვირფასო ანა? - თქვა მან და ახალგაზრდებზე მიმითითა, რომლებიც მერიროუზს შემოხვეოდნენ, - აი, ჩვენ წინ არიან ისინი, ყველანი უეჭველად სექსუალური დაუკმაყოფილებლობისგან გატანჯულნი, და, აი, მათ წინაშეა მერიროუზი, მშვენიერი როგორც მაისის ვარდი და რომელსაც არავისზე არ შეუძლია ფიქრი, გარდა თავისი დაღუპული ძმისა. და აი, ჯიმი, რომელიც მის გვერდით დგას, თანაც

ძალიან ახლოს, მაგრამ მასაც არავისზე შეუძლია ფიქრი ჩემ გარდა. ზოგჯერ ჩემს თავს ვეუბნები ხოლმე, რომ ლოგინში უნდა ჩავუწვე, რატომაც არა? ამით ხომ გავაბედნიერებ. მაგრამ თუკი გულახდილი ვიქნები, უნდა ვაღიარო, რომ არა მხოლოდ ამჟამად არა ვარ ჰომოსექსუალისტი, არამედ არც არასოდეს ვყოფილვარ. ვისზე ვფიქრობ ღამღამობით, როცა მარტო ვრჩები ლოგინში? თედზე? ან თუნდაც ჯიმიზე? ანდა რომელიმეზე იმ ახალგაზრდა გმირთაგან, შესაშური ერთგულებით მუდმივად ჩემ გარშემო რომ ტრიალებენ? სრულიადაც არა, მერიროუზზე ვფიქრობ. და შენზე. რა თქმა უნდა, მირჩევნია, თუკი ეს შესაძლებელია, ჩემთან რიგრიგობით რომ მოხვიდეთ, ერთად კი არა.

დარბაზში ჯორჯ ჰუნსლოუ შემოვიდა და პირდაპირ მერიროუზისკენ გაეშურა. ის ჯერ კიდევ სკამზე იდგა, თაყვანისმცემლები კი ხელს აშველებდნენ. ჯორჯის მიახლოებისას მფრინავები აქეთ-იქით გადგნენ. უეცრად რაღაც საშინელება მოხდა. ყოველთვის, როცა ჯორჯი ქალს ელაპარაკებოდა, მოუქნელი, მეტისმეტად მორჩილი ხდებოდა, ზოგჯერ ენაც კი დაებმებოდა ხოლმე (თუმცა, ყოველთვის ისე ჩანდა, თითქოს განზრახ უკიდებსო ენას). ასეთ დროს თვალის მოუწყვეტლად, მეტად დაძაბული, თითქმის მუქარით მიაჩერდებოდა ქალს. ღრმად ჩამჯდარი, თაფლისფერი, მეტყველი თვალები ჰქონდა. ამავე დროს ჯორჯს თავი მდაბლად და მორჩილად ეჭირა და თითქმის მობოდიშების ტონით ლაპარაკობდა. ქალები ნერვიულობდნენ, ბრაზდებოდნენ ან ნერვიულ სიცილს იწყებდნენ. ეჭვგარეშეა, ჯორჯი მექალთანე იყო. ვგულისხმობ ნამდვილ მექალთანეს და არა მამაკაცს, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით ასეთად წარმოგვიდგენს თავს და რასაც ახლა ესოდენ ბევრი ცდილობს. ჯორჯი იყო მამაკაცი, რომელსაც ქალის მართლაც დაუოკებელი მოთხოვნილე-

ბა ჰქონდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს დროში ასეთი მამაკაცები ცოტანიღა დარჩნენ. ვგულისხმობ, ცივილიზებულ მამაკაცებს, - ჩვენი ცივილიზაციის მიმნდობ, სექსუალურობის უქონელ მამაკაცებს. ჯორჯს ჰქონდა მოთხოვნილება, ქალი ფიზიკურად დამორჩილებოდა, მისი ხიბლის ტყვეობაში ყოფილიყო. ჩვენს დროში კი მამაკაცებს აღარ შეუძლიათ ქალზე ბატონობა ისე, რომ სირცხვილი არ იგრძნონ. და თუკი შეუძლიათ, ძალიან ცოტას. როდესაც ჯორჯი ქალს უყურებდა, წარმოიდგენდა, როგორი გახდებოდა, როდესაც გულის წასვლამდე გაჟიმავდა. თანაც ეშინოდა, ქალებს ეს ფიქრი მის თვალებში არ ამოეკითხათ. მაშინ ამას ვერ ვხვდებოდი, ვერ ვიგებდი, რატომ ვიბნეოდი ასე, როცა თვალებში მიყურებდა. მოგვიანებით კიდევ რამდენიმე მსგავს მამაკაცს შევხვდი და ყველანი მოუქნელნი და მოუთმენლად მორჩილნი იყვნენ.

ჯორჯი მერიროუზის გვერდით გაჩერდა, ის კი სკამზე იდგა ხელაწეული. მბზინავი გაშლილი თმა მხრებზე ტალღებად სცემდა, უსახელო ღია ყვითელი კაბა ეცვა. ხელ-ფეხი თანაბრად ჰქონდა გარუჯული - მოოქროსფრო-ყავისფრად. სამხედრო-საჰაერო ძალების ყმაწვილებს მის შემხედვარეთ ლამის გული მისდიოდათ. ჯორჯი წამით შეძრულივით შედგა, მერე რაღაც უთხრა. მერიროუზმა მკვეთრი მოძრაობით ჩამოუშვა ხელები, სკამიდან ჩამოვიდა და ახლა მის წინ დადგა, ქვემოდან აჰყურებდა. ჯორჯმა კიდევ რაღაც თქვა. მახსოვს მისი გამომეტყველება - ნიკაპი აგრესიულად წინ გამოეწია, დაძაბული უმზერდა, გამომეტყველებით კი ჩლუნგ მორჩილებას გამოხატავდა. მერიროუზმა მომუშტული ხელი შემართა და მკვეთრი მოძრაობით აარტყა სახეში ქვევიდან ზევით. ამ დარტყმაში მთელი ძალა ჩააქსოვა, - ჯორჯს თავი გადაუვარდა და თავისდა უნებურად ნაბიჯიც კი გადადგა უკან.

შემდეგ ისე, რომ არც კი შეუხედავს ჯორჯისთვის, მერიროუზი ისევ შედგა სკამზე და საქმე გააგრძელა, რომელიც იძულებით შეწყვიტა, - გირლანდების ჩამოკიდება გააგრძელა. ჯიმი ჯორჯს უღიმოდა, მაგრამ სახე მეტად გაოცებული ჰქონდა, თითქოს თავად იყო პასუხისმგებელი იმაზე, რაც მოხდა. ჯორჯი ჩვენთან მოვიდა და ისევ ის ჩვეული იერი მიიღო - მასხარისა. მერიროუზის თაყვანისმცემლებმა კი ისევ თავიანთი პოზა დაიბრუნეს, - უმწეოდ შესციცინებდნენ.

- მაშ, ასე, - კომენტარი გააკეთა პოლმა, - ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მერიროუზს ასე რომ დაერტყა ჩემთვის, დავიჯერებდი, რომ რაღაცას უკვე მივაღწიე.

ჯორჯს თვალებზე ცრემლი მოადგა.

- სრული იდიოტი ვარ, - ჩაილაპარაკა, - კრეტინი. საიდან მოვიტანე, რომ ისეთი ლამაზი ქალი, როგორიც მერიროუზია, ჩემით დაინტერესდება?

- მართლაცდა, რატომ უნდა დაინტერესდეს?

- მგონი, ცხვირიდან სისხლი მომდის, - თქვა ჯორჯმა მხოლოდ იმისთვის, რომ ცხვირსახოცის ამოღების საბაბი ჰქონოდა. მერე გაგვიღიმა და განაგრძო, - უბედურება ყოველი მხრიდან მატყდება თავს. ეს ნაბიჭვარი ვილი კი ისეა გატაცებული თავისი წყეული რუსულით, რომ ყურადღებასაც არ მაქცევს.

- ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი უბედურებები გვჭირს, - შენიშნა პოლმა. მშვიდ ფიზიკურ კმაყოფილებას ასხივებდა. ჯორჯმა თქვა:

- ვერ ვიტან ოცი წლის ჯეელებს. საერთოდ, რა უბედურებები შეიძლება გჭირდეთ?

- მძიმე შემთხვევაა, - მიუგო პოლმა, - ჯერ ერთი, ოცი წლისა ვარ. ეს კი ნიშნავს, რომ ქალებთან ურთიერთობისას ძალიან

ვნერვიულობ, არ ვიცი, როგორ მივუდგე. მეორეც, ოცი წლისა ვარ. მთელი ცხოვრება წინა მაქვს და ეს პერსპექტივა ზოგჯერ, უნდა გითხრათ, მზარავს. მესამეც, ოცი წლისა ვარ, ანა მიყვარს და გული ლამის გამისკდეს.

ჯორჯმა სწრაფი მზერა მტყორცნა, რომ გაეგო, მართალი იყო ეს თუ არა. მე მხრები ავიჩეჩე. ჯორჯმა ლუდის დიდი კათხა მოიყუდა, ერთიანად გამოცალა და თქვა:

- ნებისმიერ შემთხვევაში მე არ უნდა მადარდებდეს, ვის ვინ შეუყვარდა თუ არ შეუყვარდა. მე ნაძირალა და პათოლოგი ვარ. მხოლოდ ეს რომ ყოფილიყო, კიდევ არა უშავს, მაგრამ თან პრაქტიკოსი სოციალისტი ვარ. და ვარ ღორი. როგორ შეიძლება ღორი იყოს სოციალისტი, აი, ეს ვერაფრით გამიგია.

ჯორჯი ხუმრობდა, მაგრამ თვალებში ისევ ცრემლი ედგა, სხეული კი მძიმე, ძლიერი განცდისგან უთრთოდა.

პოლი მისკენ მიბრუნდა, ჩვეული ზანტი გრაციოზულობით რამდენიმე წამით უზარმაზარი ცისფერი თვალები ჯორჯს მიაპყრო. თითქოს მომესმა, როგორ გაიფიქრა: „ო, ღმერთო, აქ რაღაც ნამდვილი უბედურებაა თურმე, მე კი ამის გაგონებაც არ მსურს“. ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა, მეტად თბილად, ალერსიანად გამიღიმა და მითხრა:

- ძვირფასო ანა, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, მაგრამ მერიროუზთან მივდივარ, რომ მივეხმარო.

თვალებით კი მეუბნებოდა: „მოიშორე თავიდან ეს პირქუში რეგვენი და შენთან დავბრუნდები“.

- ანა, - მითხრა ჯორჯმა, - ანა, არ ვიცი, რა ვიღონო.

და მე ვიგრძენი იგივე, რაც პოლმა: არ მინდოდა საქმე მქონოდა უბედურებასთან. მომინდა წავსულიყავი და ყველასთან ერთად გირლანდები დამეკიდა, რადგან მას მერე, რაც მათ პო-

ლი შეუერთდა, უცებ ყველა გამხიარულდა. ცეკვა დაიწყეს. პოლი ცეკვავდა მერიროუზსა და ჯუნ ბუთბისთანაც კი, რადგან მამაკაცები დარბაზში უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე ქალები და სასტუმროს მდგმურებმა დარბაზში იწყეს დენა, როცა საცეკვაო მუსიკა გაიგონეს.

- მოდი, გარეთ გავიდეთ, - მითხრა ჯორჯმა, - მთელი ეს ახალგაზრდობა, მთელი ეს სიყმაწვილე, ეს მხიარულება მაგრად მიშლის ნერვებს. მთრგუნავს. თანაც, თუ ერთად მივალთ, შენი კაცი დამელაპარაკება. სწორედ ვილის მინდა დაველაპარაკო.

- დიდი მადლობა ნდობისათვის, - არც მთლად თავაზიანად ვუთხარი.

თუმცა მაინც გავყევი ვერანდაზე, რომელიც სწრაფად იცლებოდა, რადგან ყველანი დარბაზში გადადიოდნენ საცეკვაოდ. ვილიმ სახელმძღვანელო გვერდზე მოთმინებით გადადო და ჩაილაპარაკა:

- ეტყობა, ძალიან ბევრს ვითხოვ, როდესაც მგონია, რომ მშვიდი მეცადინეობის საშუალებას მომცემენ.

სამივენი ჩრდილში ჩამოვსხედით, მხოლოდ ფეხები გავშალეთ მზეზე. მაღალ კათხებში მსუბუქი ოქროსფერი ლუდი ლივლივებდა, რომელშიც მზის სხივები კრთოდა. შემდეგ ჯორჯმა ლაპარაკი დაიწყო. ძალიან სერიოზულ რაღაცებს ამბობდა, მაგრამ წამდაუწუმ თვითირონიით გაჟღენთილ ხუმრობებს ურთავდა, ამიტომ ნათქვამი საძაგელსა და უსიამო ჟღერადობას იძენდა. ამ დროს დარბაზიდან საცეკვაო მუსიკის ჰანგი ისმოდა და ძალიან მინდოდა იქ ვყოფილიყავი.

საქმე კი ასე იყო: უკვე გითხარით, რომ ჯორჯს ერთობ რთული ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა. პირდაპირ აუტანელი. ჰყავდა ცოლი, ქალიშვილი და ორი ვაჟი. გარდა ამისა, მშობლებსაც

ინახავდა: თავისი ცოლისა და საკუთარს. ნამყოფი ვიყავი მის პატარა სახლში. იქ ცოტა ხნით გაჩერებაც კი შეუძლებელი იყო. ახალგაზრდა, უფრო სწორად, საშუალო ასაკის წყვილი, რომელიც იძულებულია არჩინოს მთელი ოჯახი, სრულიად მოკლებული გახლდათ ერთობლივი ცხოვრების საშუალებას. პირდაპირ ამოგდებული იყვნენ ცხოვრებიდან ოთხი მოხუცისა და სამი ბავშვის გამო. ჯორჯი ისევე, როგორც მისი ცოლი, დილიდან საღამომდე შრომობდა, წელებზე ფეხს იდგამდა. ოთხივე მოხუცი ინვალიდი იყო, მაგრამ ყველა თავისებურად - ანუ ყველას საკუთარი მოვლა-პატრონობა, საკუთარი დიეტა და ასე შემდეგ სჭირდებოდა. ოთხივენი საღამოობით დაუსრულებლად თამაშობდნენ ბანქოს მომცრო სასადილო ოთახში, მუდმივად კინკლაობდნენ და ბებრულად ბუზღუნებდნენ; საათობით თამაშობდნენ, ოთახის ცენტრში ისხდნენ, ბავშვები კი ამ დროს გაკვეთილებს ამზადებდნენ სადაც მოუხდებოდათ, ჯორჯი და მისი ცოლი კი ადრე მიდიონენ დასაძინებლად, რადგან უმეტესად სრულიად გამოფიტული იყვნენ, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, საძინებელი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ცოლ-ქმარს მარტო დარჩენა შეეძლო. ასეთი იყო მათი სახლი. კვირის ნახევარს ჯორჯი გზებზე ატარებდა, ზოგჯერ სახლიდან ასობით მილის დაშორებით უწევდა მუშაობა, ქვეყნის მეორე ბოლოში. უყვარდა ცოლი, ცოლსაც უყვარდა, მაგრამ მუდმივად სინდისი ქენჯნიდა, რადგან ასეთი ოჯახის გაძღოლა ძალზე მძიმე შრომა იყო ნებისმიერი ქალისთვის, თანაც მას დამატებით მდივან-მემანქანედაც უხდებოდა მუშაობა. არც თვითონ და არც მის ცოლს მრავალი წელია არ დაუსვენიათ და ქრონიკულად აკლდათ ფული - რამდენიმე პენსისა თუ შილინგის გამო უსიამოვნება ხშირად მოსდიოდათ.

დროდადრო ამას ემატებოდა ჯორჯის სასიყვარულო თავგადასავლებიც. განსაკუთრებით აფრიკელი ქალები მოსწონდა. ხუთიოდე წლის წინ სასტუმრო „მაშოპიში“ გაჩერდა ღამის გასათევად და ადგილობრივი მზარეულის ცოლმა მეტად მოხიბლა. ეს ქალი მისი საყვარელი გახდა.

- თუკი ასეთი განსაზღვრება ამ შემთხვევაში დასაშვებია, - შენიშნა ვილიმ, რადგან ჯორჯმა იხმარა სიტყვა „mistress“. ჯორჯმა ეს სიტყვა დაიჟინა და სრულიად ვერ შენიშნა ვილის სიტყვებში ირონია.

- ვითომ რატომაც არა? თუ ჩვენ არ მოგვწონს „კანის ფერით გამოწვეული ბარიერი“, უნდა მივცეთ უფლება, ის ვუწოდოთ, რაც სიტუაციას შეეფერება. ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი პატივისცემის გამოხატულებაა.

ჯორჯს ხშირად უწევდა „მაშოპისთან“ ჩავლა. შარშან ბავშვებში შენიშნა ერთ-ერთი, რომელსაც კანი უფრო ღია ჰქონდა და მას ჰგავდა. საყვარელს ჰკითხა მის შესახებ. მან კი მიუგო, დიახ, ჩემი აზრითაც შენი შვილი უნდა იყოსო. ამ ზანგი ქალისთვის ეს განსაკუთრებული პრობლემა სულაც არ იყო.

- ჰო, მერე? - იკითხა ვილიმ, - და რაშია პრობლემა?

მახსოვს, როგორ შეხედა ჯორჯმა გულწრფელი და მწარე გაოცებით.

- ვილი, შე ბრიყვო, ეს ხომ ჩემი შვილია და მე პასუხისმგებელი ვარ, აქ ამ, ქოხში რომ ცხოვრობს.

- ჰო, მერე? - ისევ იკითხა ვილიმ.

- მე სოციალისტი ვარ, - თქვა ჯორჯმა, - და რამდენადაც კი შესაძლებელია ამ წყეულ დასაკარგავში, ვცდილობ, ვებრძოლო რასობრივ დისკრიმინაციას. მე ავდივარ ტრიბუნაზე, წარმოვთქვამ სიტყვებს და ვაცხადებ, რასაკვირველია, მეტად ტაქ-

ტიანად და ფრთხილად, რომ „რასობრივი ბარიერი“ კარგი არ არის და ჩვენი კეთილი, მდაბალი და მოწყალე იესო ამას არ მოიწონებდა. თუმცა, მე, ალბათ, არა მაქვს უფლება ეს ვამტკიცო, მაგრამ ეს ყველაფერი არაადამიანური და სრულიად ამორალურია, და თეთრკანიანები ამის გამო მარადიულ ცეცხლში მოხვდებიან. და ახლა კი მე თვითონ ვაპირებ ზუსტად ისე მოვიქცე, როგორც ნებისმიერი დამპალი თეთრკანიანი, რომელიც შავ ქალს ჟიმავს და ჩვენი კოლონიის რასობრივად შერეულ მოსახლეობას ახალი მულატებით ზრდის.

- იმ ქალს შენთვის ხომ არაფერი უთხოვია? - უთხრა ვილიმ.

- საქმე ეგ კი არაა, - ჯორჯმა ხელები სახეზე აიფარა და დავინახე, მის თითებს შორის სისველემ როგორ გამოჟონა, - ეს სულიერად მანგრევს, - ჩაილაპარაკა, - უკვე ერთი წელია ეს ვიცი და ამას ჭკუიდან გადავყავარ.

- რაც საქმეს მაინცდამაინც ვერ შველის, - შენიშნა ვილიმ და ჯორჯმა სახეს ხელები მოაცილა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

- ანა? - შემომღაღადა ჯორჯმა და თვალებში შემომაცქერდა.

საოცრად დავიბენი. ჯერ ერთი, იმ ქალზე ვეჭვიანობდი. წინაღამეს ვოცნებობდი იმ ქალის ადგილას ყოფნაზე, მაგრამ ეს გრძნობა როგორღაც უპიროვნო იყო. ახლა კი ვიცოდი, ვინ იყო ეს ქალი და შეძრული ვიყავი იმით, რომ მძულდა ჯორჯი და ვადანაშაულებდი, - ზუსტად ისე, როგორც წინაღამეს, როცა მისმა ქცევამ აღმაშფოთა, რადგან მაიძულა, თავი დამნაშავედ მეგრძნო. მერე, და ეს კიდევ უარესი იყო, მივხვდი, ისიც იწვევდა ჩემს აღშფოთებას, რომ შავკანიანი ქალი უყვარდა. არადა, მეგონა, ამგვარი ყალბი წარმოდგენებისგან თავისუფალი ვიყავი, მაგრამ თურმე ვცდებოდი. ჩემი თავის გამოც მრცხვენოდა, ჯორ-

ჯის გამოც და ვბრაზობდი ჩემს თავზეც და ჯორჯზეც. თუმცა, ყველაფერი ამით არ ამოწურულა. რადგანაც ძალზე ახალგაზრდა გახლდით (მაშინ ოცდასამი ან ოცდაოთხი წლისა ვიქნებოდი), არაერთი სხვა „ემანსიპირებული“ ქალიშვილივით სასტიკად მეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ოჯახური ცხოვრების ხაფანგში გავებმებოდი, „მომარჯულებდნენ“. ჯორჯის სახლი, ეს ხაფანგი, საიდანაც არც მას და არც მის ცოლს თავის დაღწევის შანსი არ ჰქონდათ, გარდა მოხუცების სიკვდილისა, ჩემთვის უსაზღვრო უბედურების განსახიერება იყო. იმდენად მაშინებდა, რომ კოშმარულ სიზმრებშიც კი ვხედავდი. და, ამავე დროს, ჯორჯი, - ხაფანგში გაბმული კაცი, რომელმაც ეს უბედური ქალი, თავისი ცოლი, გალიაში გამოკეტა, ჩემთვის, და ამას ვაცნობიერებდი, იმ მძლავრი სექსუალურობის განსახიერება იყო, რომელსაც გავურბოდი და მაგრამ მაინც მას მიველტვოდი. ინსტინქტურად ვგრძნობდი, რომ ჯორჯთან თუ დავწვებოდი, ისეთ სექსუალურობას შევიცნობდი, რომელიც არასოდეს განმეცადა. და ჩემში არსებული ამ ბობოქარი აზრებისა და გრძნობების მიუხედავად, კვლავაც მომწონდა, სინამდვილეში, კიდევაც მიყვარდა, უბრალოდ, ადამიანურად მიყვარდა. ვიჯექი იქ, ვერანდაზე, და ხმას ვერ ვიღებდი, ვგრძნობდი მხოლოდ, რომ სახე მიხურდა, ხელები კი მიკანკალებდა.

მუსიკასა და სიმღერას მივუგდე ყური, დიდი ოთახიდან რომ ისმოდა. მეჩვენებოდა, რომ ჯორჯი თავისი უბედურებით მთრგუნავდა, რაღაც ძალიან სათუთსა და მშვენიერს მართმევდა. თუმცა გონებით ვხვდებოდი, რომ ეს სრული უაზრობა იყო, მაგალითად, ვფიქრობდი, რომ მერიროუზს ჩემი შურდა, რადგან მიაჩნდა, რომ ვილისთან ყველაფერი მქონდა, რასაც კი თავისთვის

ისურვებდა, - სჯეროდა, რომ ჩვენ ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანები ვიყავით.

ამ დროს ვილიმ გამომხედა და ჩაილაპარაკა:

- ანა გაოგნებულია იმით, რომ შენი ქალი შავია.

- დიახ, - ვთქვი მე, - ვაღიარებ და მე თვითონ მიკვირს, როგორ განვიცდი ამას.

- მე კი მიკვირს, რომ ამას ასე თავისუფლად აღიარებ, - ცივად შენიშნა ვილიმ. სათვალე მზეზე აულაპლაპდა.

- მე კი მიკვირს, რომ შენ არ აღიარებ, - უთხრა ჯორჯმა ვილის, - მოკეტე, შე წყეულო ფარისეველო.

- და რა ალტერნატივა არსებობს? გაქვს რაიმე ჭკვიანური იდეა? - იკითხა ვილიმ, - შეგიძლია, არ მიპასუხო. ისეთ კაცს, როგორიც შენ ხარ, რასაკვირველია, გჯერა, რომ მოვალე ხარ ბავშვი შენთან წაიყვანო. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ოთხი მოხუცი იმდენად შეძრწუნდება, ამას ვერ გადაიტანენ და დაიხოცებიან, იმაზე არაფერს ვამბობ, რომ სალამსაც კი არავინ მისცემს შენს სამ შვილს, სკოლაში ბოიკოტს გამოუცხადებენ. დაკარგავ სამსახურს. ასევე, შენი ცოლიც. ცხრა კაცს ცხოვრება დაენგრევა. და რა იქნება ამაში კარგი შენი შვილისთვის, ჯორჯ?.. რას მისცემს? შეიძლება გკითხო?

- და რა? სულ ესაა? - ჩავურთე.

- დიახ, სულ ესაა, - მომიგო ვილიმ. მისთვის დამახასიათებელი გამომეტყველებით იჯდა, მსგავს სიტუაციებში რომ იღებდა ხოლმე: სახე სიკერპესა და მოთმინებას ასხივებდა, ტუჩები კი მაგრად ჰქონდა მოკუმული.

- მე შემეძლო, მეცადა, შემექმნა პრეცედენტი.

- რისი პრეცედენტი?

- ამ წყეულ ფარისევლობასთან ბრძოლის პრეცედენტი.

- საინტერესოა, ფარისევლობაზე ჩემთან რატომ ლაპარაკობ, როცა ერთი წამის წინ ფარისეველი მიწოდე?

ჯორჯი მორჩილი და დარცხვენილი სახით იჯდა. ვილიმ განაგრძო:

- და ამ შენს კეთილშობილურ ჟესტს ვინ ზღავს? შენზე რვა ადამიანის ცხოვრებაა დამოკიდებული.

- ჩემი ცოლი ჩემზე არაა დამოკიდებული. ეს მე ვარ მასზე დამოკიდებული. ვგულისხმობ, ემოციურად. თქვენ რა, გგონიათ, ეს არ მესმის?

- გინდა თავიდან დაგილაგო ფაქტები? - უთხრა ვილიმ მეტისმეტი მოთმინებით და თან თვალი სახელმძღვანელოსკენ გააპარა.

მეც და ჯორჯიც ვხვდებოდით, - იმის გამო, რომ ფარისეველი უწოდეს, ვილის გული აღარაფრით მოულბებოდა, მაგრამ ჯორჯი მაინც შეჰღაღადებდა:

- ვილი, ნუთუ შეუძლებელია რაიმეს გაკეთება? თორემ, აბა, ხომ არ შეიძლება ამაზე თვალი დავხუჭო?

- შენ რა, გინდა, გითხრა, რომ ეს უსამართლობა ან ამორალობაა, თუ კიდევ რამე სასარგებლო?

- ჰო, - მიუგო ჯორჯმა პაუზის შემდეგ და ნიკაპი მკერდზე ჩამოუვარდა, - მგონი, სწორედ ეგ მინდა, რადგან ყველაზე საშინელი ის არის, რომ ალბათ, გგონიათ, მასთან ურთიერთობა გავწყვიტე, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ასე არაა. და ბუთბის სამზარეულოში ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაჩნდეს ახალი ჰუნსლოუ. თუმცა ახლა მე, რასაკვირველია, უფრო ვფრთხილობ, ვიდრე წინათ.

- ეგ შენი საქმეა, - მიუგო ვილიმ.

- ნამდვილი უსულგულო ღორი ხარ, - მიახალა ჯორჯმა წამიერი დუმილის შემდეგ.

- გმადლობთ, - უთხრა ვილიმ, - მაგრამ ვერაფერს იზამ. შენც ხომ ასე ფიქრობ, განა არა?

- ეს ბიჭი ქათმებისა და გოგრების გარემოცვაში გაიზრდება, იმ ქოხში, მერე კი გახდება მუშა ფერმაში ან წერა-კითხვის ნახევრად მცოდნე კლერკი, ჩემი სამი შვილი კი უნივერსიტეტამდე მივა და მერე თავსაც დააღწევენ ამ წყეულ ქვეყანას. სიკვდილზეც კი წავალ, ოღონდ ამისთვის ფული ვიშოვო.

- და პრობლემის არსი რაშია? - იკითხა ვილიმ, - საქმე ისაა, რომ შენი სისხლი და ხორცია? შენი წმინდა სპერმა თუ რა?

მეც და ჯორჯიც შოკირებული ვიყავით. ვილიმ შეგვატყო, სახე დაეძაბა, გაუბოროტდა და ასევე დაურჩა მანამ, სანამ ჯორჯი ლაპარაკობდა.

- არა, პრობლემის არსი პასუხისმგებლობის გრძნობაშია. შეუსაბამობაში იმისა, რისიც მჯერა, იმასთან, როგორც ვიქცევი.

ვილიმ მხრები აიჩეჩა, დავდუმდით. შუადღის მძიმე სიჩუმეში გავიგონეთ, ჯონი როგორ უბრაგუნებდა კლავიშებს.

ჯორჯმა ისევ გამომხედა და მე ძალა მოვიკრიბე, რომ ვილისთვის წინააღმდეგობა გამეწია. როდესაც ეს მახსენდება, სიცილი მინდება, რადგან მექანიკურად მოვიშველიე ლიტერატურული არგუმენტები. ამ დროს ისიც მექანიკურად მპასუხობდა, პოლიტიკური არგუმენტებით. თუმცა, იმწამს ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავდი. და ვერც ჯორჯმა დაინახა ამაში რაიმე განსაკუთრებული, თავის დაკვრით ადასტურებდა ჩემს ყოველ სიტყვას.

- მისმინე, - ვუთხარი ვილის, - ხიხ საუკუნის მთელი ლიტერატურა სავსეა ასეთი მაგალითებით. ეს ზნეობის ერთგვარი სა-

ჯილდაო ქვა იყო. როგორც, ვთქვათ, მკვდრეთით აღდგომა. ახლა კი შენ უბრალოდ მხრებს იჩეჩ და შენი აზრით, ამას არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს?

- ვერც კი შევნიშნე, მხრები თუ ავიჩეჩე, - მიპასუხა ვილიმ, - თუმცა, შესაძლოა, სიმართლე ის არის, რომ საზოგადოების ზნეობრივი დილემა უკანონო ბავშვის გაჩენის ფაქტში განსაკუთრებული სიცხადით მართლაც აღარ გამოიხატება.

- და რატომ არ გამოიხატება? - ვიკითხე მე.

- რატომ არ გამოიხატება? - იკითხა ჯორჯმაც საოცარი გაცხარებით.

- თქვენ რა, მართლა გგონიათ, ამ ქვეყნის აფრიკელთა პრობლემა მართლა ის არის, რომ ბუთბის მზარეულის ოჯახში თეთრი გუგულის ბარტყი გაჩნდა?

- ყველაფერს ისე მოხერხებულად ალაგებ, - უთხრა ჯორჯმა ბრაზით (არადა, ის მაინც ივლის ვილისთან რჩევის მისაღებად. ისევ გააღმერთებს და მისწერს თვითგვემით აღსავსე წერილებს მრავალი წლის განმავლობაში მას მერე, რაც ვილი კოლონიას დატოვებს). ახლა კი იჯდა, მზის თვალისმომჭრელ შუქს მიშტერებოდა და თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა, რომ ცრემლი შეეკავებინა. მერე კი თქვა:

- წავალ, ჭიქას შევივსებ, - და ბარისკენ გაეშურა.

ვილიმ სახელმძღვანელო აიღო და არც შემოუხედავს, ისე მითხრა:

- კი, ვიცი, ვიცი, მაგრამ საყვედური, შენს თვალებში რომ ჩანს, ჩემზე არ მოქმედებს. შენც ხომ ზუსტად იმავეს ურჩევდი, ასე არაა? ჯერ ოხვრასა და ვიშვიშს მოჰყვებოდი, მაგრამ რჩევით ზუსტად იმავეს ურჩევდი.

- ესე იგი, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი იმდენად საშინელია, რომ ამის გამო განცდის უნარი დავკარგეთ და სერიოზულად უკვე ვეღარაფერი აგვაღელვებს.

- შეიძლება გთხოვო, საბაზისო წესებს მისდიო, როგორიცაა ბრძოლა უსამართლობასთან, მცდელობა, შეცვალო ის, რაც უსამართლოა? ნაცვლად იმისა, იჯდე და ცრემლები ღვარო?

- და მერე?

- მერე მე გრამატიკას ვიმეცადინებ, შენ კი წახვალ და ჯორჯს მისცემ უფლებას შენს მხარზე ტირილით გული იჯეროს, მეტისმეტად შეიცოდებ, არადა, ეს მაინც ვერაფერს შეცვლის.

ვილი დავტოვე და აუჩქარებლად წავედი დიდ ოთახში. ჯორჯი ფეხზე იდგა, კედელს მიყრდნობოდა, ხელში ჭიქა ეჭირა, თვალები დაეხუჭა. ვგრძნობდი, უნდა მივსულიყავი მასთან, მაგრამ არ მივედი. დარბაზში შევედი. მერიროუზი ფანჯრის რაფასთან იჯდა, მარტო, მასთან მივედი. მერიროუზი ტიროდა.

ჩავილაპარაკე:

- ეტყობა, ისეთი დღეა, ყველა ტირის.

- ოღონდ შენ არა, - მომიჭრა. ეს ნიშნავდა, რომ მე და ვილი ბედნიერები ვართ და მე უბრალოდ არ შეიძლება ცრემლებისთვის მიზეზი მქონდეს. არაფერი მითქვამს, ჩამოვჯექი და მერე ვკითხე:

- რა მოხდა?

- აი, აქ ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ ცეკვავს ყველა და დავფიქრდი. სულ რაღაც ერთი-ორი თვის წინ გვჯეროდა, რომ სამყარო შეიცვლებოდა და ყველაფერი მშვენივრად იქნებოდა, ახლა კი ყველამ ვიცით, ეს არ მოხდება.

- ჩვენ ეს ვიცით? - ვიკითხე, ცოტა არ იყოს, დაზაფრულმა.

- და რა შეცვლის რო? - მარტივად მომიგო.

ჩემს თავში სულიერი ძალა ვერ მოვნახე, რომ ამისთვის წინააღმდეგობა გამეწია. ხანმოკლე დუმილის შემდეგ მერიროუზმა მკითხა:

- რა უნდოდა შენგან ჯორჯს? ალბათ, გითხრა, რომ ბოზი ვარ, რადგან გავარტყი?

- შეგიძლია წარმოიდგინო, ჯორჯი ბოზს უწოდებს ვინმეს იმის გამო, რომ გაარტყეს, ა? და რატომ გაარტყი?

- ამის გამოც ვტიროდი, რადგან ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ გავარტყი, ის არის, რომ ვხვდები, ვინმეს, ჯორჯისთანას, შეუძლია ძმა დამავიწყოს.

- თუ ასეა, იქნებ ღირს ვინმეს, ჯორჯისთანას, ამის საშუალება მისცე?

- იქნებ კიდეც ღირდეს, - ჩაილაპარაკა და გამიღიმა თავდაჭერილი, ბებრული ღიმილით, რომელიც აშკარად მეუბნებოდა: „რა ბავშვი ხარ ჯერაც!“

ამიტომ გაბრაზებით ვკითხე:

- მაგრამ თუკი ხვდები რაღაცას, მაშ, რატომ არაფერს აკეთებ?

ჩემს კითხვას კიდევ ერთი თავდაჭერილი ღიმილი მოჰყვა, მერე კი მერიროუზმა თქვა:

- არასოდეს არავის ვეყვარები ისე, როგორც ჩემს ძმას ვუყვარდი. მართლა ვუყვარდი. ჯორჯს კი ჩემთან სექსი ექნება. ეს კი სრულიად სხვა რამეა, არა? და რა არის იმაში ცუდი, რომ მე, ნაცვლად იმისა, ვიღაცას ლოგინში ჩავუწვე, უბრალოდ ვამბობ: „ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო უკვე მქონდა და აღარასოდეს განმეორდება“. რა არის ამაში ასეთი განსაკუთრებული?

- როცა ამბობ, აი, როგორც ახლა, „რა არის ამაში ასეთი განსაკუთრებული?“, არ ვიცი, რა გიპასუხო, თუმცა ვგრძნობ, რაღაც სწორედაც რომ არის.

- მაინც რა? - მის ხმაში გულწრფელი ინტერესი გაისმა და მე კიდევ მეტი გაბრაზებით მივუგე:

- შენ უბრალოდ არ ცდილობ, არ ცდილობ. ეგრეევე უკან იხევ.

- შენთვის ადვილია ლაპარაკი, - მერიროუზი ისევ ვილიზე მიმანიშნებდა და ახლა უკვე ვეღარაფერი ვუპასუხე. ახლა ჩემი ჯერი დადგა, - ტირილი მომინდა. მერიროუზმა ეს შემატყო იმ ადამიანის სიმაღლიდან, ჩემთვის მიუწვდომელ ტანჯვას რომ განიცდის, და მითხრა:

- ანა, ნუ იტირებ, აზრი არა აქვს. წავალ, პირს დავიბან, მალე სადილიც იქნება.

და წავიდა. ახალგაზრდები როიალთან შეჯგუფებულიყვნენ და მღეროდნენ. ამიტომ მეც გავედი დარბაზიდან და იქით წავედი, სადაც ბოლოს ჯორჯი დავინახე კედელს მიყრდნობილი. ბუჩქებსა და ჭინჭარში გავლამ მომიწია, რადგან ჯორჯი უფრო შორს გასულიყო, კუთხეს მოჰფარებოდა. პაუ-პაუს ხეებს შორის, იმ მხარეს იყურებოდა, საითაც პატარა სახლი იდგა, რომელშიც მზარეული, მისი ცოლი და შვილები ცხოვრობდნენ. რამდენიმე ბავშვი მიწაში იქექებოდა ქათმებთან ერთად.

როცა ჯორჯმა სიგარეტის მოკიდება სცადა, შევნიშნე, ხელები უკანკალებდა. არაფერი გამოუვიდა, ამიტომ აუნთებელი სიგარეტი მოისროლა და მითხრა:

- არა, ჩემი უკანონო იქ არაა.

სასტუმროში გონგს შემოჰკრეს, - სადილზე გვიხმობდნენ.

- მოდი, შევიდეთ, - ვუთხარი მე.

- ჯობს ჩემთან დარჩე ცოტა ხანი.

ხელი მხარზე დამადო და მისი ხელის მხურვალებამ კაბაშიაც გაატანა. გონგის ლითონისებრი გაწელილი ბაგაბუგი შეწყდა, როიალიც ჩაჩუმდა. მდუმარებამ დაისადგურა და მხოლოდ მტრედი ღუღუნებდა პალისანდრის ხის ტოტებში. ჯორჯმა ხელი გულზე დამადო და მითხრა:

- ანა, მე შემიძლია ახლავე დავწვე შენთან, მერე მარიასთან, ასე ჰქვია ჩემს შავ ქალს, მერე კი, საღამოს, ჩემს ცოლთან და სრულიად ბედნიერი ვიქნები სამივესთან. გჯერა, ანა?

- არა, - გაბრაზებით მივუგე, - თუმცა, იმავდროულად, მისი ხელი ჩემს მკერდზე მაიძულებდა, დამეჯერებინა.

- არ გჯერა? - ირონიულად იკითხა, - არა?

- არა, - ჯიუტად გავაგრძელე. ამქვეყნად ყველა ქალის გულისთვის ვატყუებდი და მის ცოლზე ვფიქრობდი, რომლის გამოც ვგრძნობდი, რომ ოდესმე მეც შეიძლებოდა გამოვკეტილიყავი გალიაში.

ჯორჯმა თვალი მოხუჭა. მისი შავი წამწამები პაწაწინა ცისარტყელებს მიაგავდნენ, შავგვრემან ლოყებზე რომ კრთოდნენ. თვალი არ გაუხელია, ისე ჩაილაპარაკა:

- ზოგჯერ ჩემს თავს გვერდიდან ვუყურებ. ჯორჯ ჰუნსლოუ, პატივცემული მოქალაქე, მართალია, ოდნავ ექსცენტრიკული სოციალისტობის გამო, მაგრამ ეს ათასწილ ანაზღაურდება მისი ერთგული დამოკიდებულებით მოხუცი მშობლების, მშვენიერი ცოლისა და სამი შვილისადმი. ჩემ გვერდით კი ვხედავ უზარმაზარ გორილას, რომელიც ჩემი ორეულია, ვეება თათებს იქნევს და იკრიჭება. იმდენად მკაფიოდ ვხედავ, რომ მიკვირს, რატომ ვერავინ ამჩნევს.

ჩემი მკერდიდან ხელი ჩამოიღო, ამის მერე, როგორც იქნა, თავისუფლად დავიწყე სუნთქვა და ვუთხარი:

- ვილი მართალია. ვერაფერს შეცვლი, ამიტომ თავს ტყუილად ნუღარ იტანჯავ.

თვალები ჯერ კიდევ დახუჭული ჰქონდა. მე თავად არ მოველოდი, რომ ამას ვეტყოდი, ჯორჯმა თვალი დაჭყიტა და უკან გაიწია. თითქოს მისი აზრები წამეკითხოს, ვუთხარი:

- და თავსაც ვერ მოიკლავ.

- ვითომ რატომ? - გაოცებით მკითხა.

- იმავე მიზეზით, რის გამოც ვერ წამოიყვან შვილს. ცხრა კაცი გაწევს კისერზე.

- ანა, მე მიფიქრია და ჩემი თავისთვის მიკითხავს: წამოვიყვანდი თუ არა, რომ, ვთქვათ, მხოლოდ ორი კაცი ყოფილიყო ჩემს კისერზე?

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ჯორჯმა ხელი გადამხვია და ბუჩქებსა და ჭინჭარში წამიყვანა, თან მეუბნებოდა:

- წამომყევი სასტუმროში, მომაშორე გორილა, გააგდე.

ახლა კი მე, ცხადია, პათოლოგიური სინდისის ქენჯნა დამეწყო იმის გამო, რომ უარი ვუთხარი გორილას და უსქესო დის როლში გამოვედი, სადილზეც პოლის გვერდით დავჯექი და არა ჯორჯისა.

სადილის შემდეგ ყველას დიდხანს გვეძინა, მერე კი სმა დავიწყეთ, ამჯერად საკმაოდ ადრე. თუმცა, იმ საღამოს დაგეგმილი იყო „კერძო წვეულება, „მაშოპისა“ და ოლქის გაერთიანებული ფერმერებისთვის“. იმ დროისათვის, როცა ფერმერები და მათი ცოლები თავიანთი უზარმაზარი ავტომობილებით მობრძანდნენ, საცეკვაო დარბაზში უკვე საკმაოდ ბევრი ხალხი იყო, - ჩვენ და კიდევ ქალაქიდან მრავლად ჩამოსული სამხედრო მფრინავი. როიალთან ჯონი იჯდა, იქაურმა პიანისტმა, რომელიც ჯონიზე ათჯერ უარესად უკრავდა, სიამოვნებით დაუთმო

მას ადგილი და ბარში გადაინაცვალა. საღამოს წამყვანმა სასწრაფოდ დაარეგულირა სიტუაცია, წარმოთქვა არცთუ გულწრფელი სიტყვა იმის თაობაზე, რომ ყველას სულითა და გულით უხარია ლურჯ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდების ხილვა. ცეკვა გავაგრძელეთ და ვცეკვავდით მანამ, სანამ ჯონი არ დაიღალა, დაახლოებით დილის ხუთ საათამდე. მერე გარეთ გავედით. პატარ-პატარა ჯგუფებად ვიდექით, თავზე დაგვცქეროდა ვარსკვლავებით მოჭედილი ღამეული ცა, მთვარის კაშკაშა შუქის გამო კი ჩვენ გარშემო მიწაზე მკაფიო შავი ჩრდილები ილანდებოდა. ყველანი ხელგადახვეულები ვიდექით და ვმღეროდით. ღამის მაცოცხლებელ სიგრილეში ყვავილების სურნელება უფრო ძლიერ იგრძნობოდა, ახლა ისინი ქორფა და ძლიერი ჩანდნენ. ჩემთან ერთად პოლი იყო, მთელი საღამო ცეკვაში გავატარეთ. ვილი მერიროუზთან ცეკვავდა. ჯიმი, რომელიც ძალიან დათვრა, მარტოკა დაბორიალებდა წინ და უკან. როგორღაც მოახერხა და თვალზემოთ, წარბთან, შუბლი გაიჭრა და ახლა ჭრილობიდან სისხლი ჟონავდა. აი, ასე დასრულდა „მაშოპიში“ ჩვენი ყოფნის პირველი დღე, რომელმაც შემდგომი დღეების ხასიათი და ტონალობა განსაზღვრა. მეორე დღეს დიდ, „საერთო“ წვეულებაზე იგივე ხალხი მოვიდა და ბუთბის ბარში სასმელზე გაცხოველებული მოთხოვნა იყო, ბუთბის მზარეულიც აშკარად ძალზე დაიქანცა, მისი ცოლი კი, ეტყობა, საიდუმლო პაემნებზე სირბილს ასწრებდა ჯორჯთან, რომელიც ისევ უშედეგოდ და მტკივნეულად ცდილობდა მერიროუზის ყურადღების მიპყრობას.

მეორე საღამოს სტენლი ლეტმა ჟღალთმიან მისის ლეტიმორს დაუწყო არშიყობა, რამაც, საბოლოოდ... კინაღამ დავწერე, „კატასტროფა“ გამოიწვია-მეთქი. ეს სიტყვა აქ უადგილოდ

და სასაცილოდ გამოჩნდებოდა. იმ პერიოდის ერთ-ერთი მტკივნეული მომენტი სწორედ ის იყო, რომ ვერაფერი იქცეოდა კატასტროფად. ყველაფერი მრუდედ, უმსგავსოდ ხდებოდა, გამსჭვალული იყო უბედურების განცდით და შეფერილი ცინიზმით, მაგრამ არაფერი აღიქმებოდა როგორც ტრაგედია, და არ იყო სიტუაციები, რომლებიც ვინმეს ან რამეს შეცვლიდნენ. დროდადრო ემოციათა ჭექა-ქუხილი გავარდებოდა ხოლმე, სხვისი უბედურების ლანდშაფტს რომ გაანათებდა, მერე კი, მერე ვაგრძელებდით ცეკვას. სტენლი ლეტისა და მისის ლეტიმორის სასიყვარულო თავგადასავალს მხოლოდ ინციდენტი მოჰყვა, რაც მისის ლეტიმორის ოჯახურ ცხოვრებაში, ჩემი აზრით, ალბათ, არაერთხელ მომხდარა.

დაახლოებით ორმოცდახუთი წლის ქალი იყო, გვარიანად ჩაპუტკუნებული, ოღონდ მეტად ნატიფი ხელებისა და ჩამოქნილი ფეხების პატრონი. კანი ქათქათა და ნაზი ჰქონდა, თვალები კი - ძალზე დიდი, ცისფერი, სათუთი, დაბინდული, ახლომხედველი, თითქმის ლილისფერი, თითქმის იასამნისფერი თვალები, ცხოვრებას ცრემლების ფარდიდან რომ შეჰყურებდნენ. თუმცა ცრემლების ეს ფარდა ნაწილობრივ სასმლის ჭარბად სმითაც იყო გამოწვეული. მისი უხიაგი ქმარი, ვეება კაცი, კომივოიაჟორი და კიდევ, ჩამოყალიბებული, ხელიდან წასული ლოთი გახლდათ. გაიხსნებოდა თუ არა ბარი, მისტერ ლეტიმორი უმალ იწყებდა სმას და სვამდა მთელი დღე, ნელ-ნელა, მეთოდურად მიიწევდა წინ და გუნება-განწყობა სულ უფრო მოჟამულ--მოქუფრული უხდებოდა. ამ დროს მისის ლეტიმორზე ალკოჰოლი საპირისპიროდ მოქმედებდა, - უფრო დამყოლი, გულჩვილი ხდებოდა. ერთი შემთხვევაც კი არ მახსოვს, ცოლისთვის ეთქვას სიტყვა, რომელიც გესლით თუ ბოღმით არ იქნებოდა გაჟღენთი-

ლი. ისე ჩანდა, თითქოს ამას ვერ ამჩნევდა ან ამის გამო ნერვე-ბის წყვეტამ უკვე დიდი ხანია დაღალა და გადაღალა. შვილები არ ჰყავდათ, მისის ლეტიმორი განუყრელი იყო თავის ძაღ-ლთან, საუცხოო ჟღალ სეტერთან, რომელსაც ბეწვი ზუსტად იმავე ფერისა ჰქონდა, რაც მას - თმა და ზუსტად ისეთივე სევ-დიანი და ცრემლიანი თვალები. ისინი დიდხანს ისხდნენ ხოლმე ვერანდაზე, ჟღალთმიანი ქალი და მისი ჟღალი სეტერი ტალღო-ვანი ბეწვით, - სასტუმროს მდგმურები პატივისცემის ნიშნად სას-მელებს სთავაზობდნენ, უმასპინძლდებოდნენ. ეს სამნი ყოველ უიკ-ენდზე ჩადიოდნენ „მაშოპიში“ და, აი, სტენლი ლეტი მისის ლეტიმორით მოიხიბლა. „სულაც არ იფასებს თავს, - თქვა სტენ-ლიმ, - მართლა კარგია“. მეორე წვეულებაზე სტენლი უკვე თავს ევლებოდა, ამ დროს კი მისი ქმარი ბარში სვამდა, სანამ ბარი არ დაიხურა, რის მერეც მისტერ ლეტიმორმა როიალთან გა-დაინაცვლა და იდგა იქ, ერთ ადგილზე ირწეოდა, სანამ სტენ-ლიმ ბოლო, დამაგვირგვინებელი ჭიქა არ გაუწოდა და ისიც არ წაბანცალდა დასაძინებლად, ცოლი კი საცეკვაო დარბაზში და-ტოვა. ისე ჩანდა, თითქოს მისთვის აბსოლუტურად სულერთი იყო, რას აკეთებდა ცოლი. და ისიც მთელ დროს ჩვენთან ან სტენლისთან ერთად ატარებდა, რომელმაც ჯონის „უშოვა“ ქა-ლი, ფერმაში რომ ცხოვრობდა, სასტუმროსგან ორი მილის მო-შორებით - ქმარი ფრონტზე ჰყავდა. ეს ოთხნი, როგორც არაერ-თხელ უთქვამთ ჩვენთვის, დროს კარგად ან სულაც შესანიშნა-ვად ატარებდნენ ერთად. ჩვენ დიდ დარბაზში ვცეკვავდით: ჯონი უკრავდა, ხოლო ფერმერის ცოლი, იოჰანესბურგელი ტანსრუ-ლი, ლოყაწითელი, ქერათმიანი ქალი, მის გვერდით იჯდა. თედ-მა სტენლი ლეტის სულის გადარჩენისთვის ბრძოლა დროებით შეაჩერა. მისივე თქმით, ამ ბრძოლაში სექსი მეტისმეტად

ძლიერი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა. მთელი ხანგრძლივი უიკ-ენდი - ის კი თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა, - ვცეკვავდით და ვსვამდით, ყურებში კი მუდმივად ჩაგვესმოდა მუსიკა, რომელიც ჯონის ხელიდან იფრქვეოდა.

როცა ქალაქში დავბრუნდით, მივხვდით, რომ როგორც პოლმა შენიშნა, არდადეგები მაინცდამაინც არ მოგვიხდა. ჩვენგან მხოლოდ ერთმა მოახერხა მეტ-ნაკლებად წესიერად მოქცევა, - ეს ვილი გახლდათ, რომელიც ჯიუტად ერკინებოდა გრამატიკას, ყოველდღე და დიდხანს მეცადინეობდა. თუმცა ისიც კი ოდნავ მოდუნდა მერიროუზის ზეგავლენით. შევთანხმდით, რომ ისევ წავიდოდით „მაშოპიში“. მგონი, ეს ორი უიკ-ენდის მერე, მესამეზე მოხდა. ყველაფერი სხვანაირად იყო, ვიდრე საერთო ზეიმის დროს: ამჯერად სასტუმროში ლეტიმორების, მათი ძაღლის, ბუთბისა და ჩვენ გარდა კაციშვილი არ იყო. ბუთბი ერთობ თავაზიანად შეგვხვდა. ცხადი იყო, ცოლ-ქმარმა ბუთბიმ „გაგვჭორა“ და ჩვენი ერთობ მესაკუთრული დამოკიდებულება მათი სასტუმროსადმი სულაც არ ეპიტნავებოდათ. თუმცა იმდენ ფულს ვხარჯავდით, რომ ჩვენი თავიდან მოცილება, ჯერჯერობით მაინც, არ უნდოდათ. ის უიკ-ენდი ცუდად მახსოვს, ისევე, როგორც მომდევნო ოთხი-ხუთი, რამდენიმეკვირიანი ინტერვალებით. იქ ყოველ უქმეზე არ ჩავდიოდით.

კრიზისი, თუკი ამას კრიზისი შეიძლება დაერქვას, ალბათ, ჩვენი პირველი ვიზიტიდან ექვსი ან რვა თვის შემდეგ დაიწყო. და ეს სტუმრობა „მაშოპიში“ უკანასკნელი აღმოჩნდა. ისევ ისინი შევიყარეთ: ჯორჯი და ვილი, მერიროუზი და მე, თედი, პოლი და ჯიმი. სტენლი ლეტი და ჯონი ახლა სხვა კომპანიას შეუერთდნენ და დროს მისის ლეტიმორთან, მის ძაღლსა და ფერმერის ცოლთან ატარებდნენ. ზოგჯერ თედი მათთან მიდიოდა, ჩუმად

იჯდა, არაფრისმთქმელი გამომეტყველებით და ცოტა ხანში ჩვენთან ბრუნდებოდა, და ისევ ისე ჩუმად იჯდა და იღიმებოდა, კვლავ არაფრისმთქმელი გამომეტყველებით. წინათ ასე არ იღიმებოდა, თუმცა, ეს ღიმილი კი არა, უფრო ალმაცერი, მწარე, თვითგვემით აღსავსე ჩაცინება იყო. ევკალიპტების ძირას ვისხედით და გვესმოდა მისის ლეტიმორის ზანტი, მელოდიური ნათქვამი: „სტენ, ბიჭუნა, სასმელს ხომ ვერ მომიტანდი?.. სიგარეტი ხომ არ გექნება ჩემთვის, სტენ, ბიჭუნა?.. მოდი აქ, შვილიკო, დამელაპარაკე“. სტენლი კი ასე მიმართავდა: „მისის ლეტიმორ“, თუმცა, ზოგჯერ ავიწყდებოდა და ამბობდა: „მირა“, რაზეც იგი გიშრისფერ ირლანდიურ წამწამებს მორცხვად ხრიდა. მაშინ სტენლი ოცდაორის ან ოცდასამი წლის იქნებოდა, მისის ლეტიმორი კი მასზე ოციოდე წლით უფროსი გახლდათ. ძალიან მოსწონდათ ხალხში დედისა და მზრუნველი შვილის როლების თამაში, მაგრამ მათი სექსუალური ურთიერთმიზიდულობა იმდენად მძლავრი იყო, რომ როდესაც მისის ლეტიმორი გამოჩნდებოდა ხოლმე, დაფეთებულები თვალებს ვხრიდით.

როდესაც იმ უიკ-ენდებზე ვფიქრობ, ერთიმეორეზე აწყობილი მძივები მახსენდება: თავიდან ორი დიდი და ბრწყინვალე მოდის, შემდეგ კი ბევრი მომცრო და არცთუ შესამჩნევი, მერე კი ერთი და სულ ბოლოს უზარმაზარი და თვალისმომჭრელი ბრილიანტივით. თუმცა, ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რაოდენ ზანტია ჩვენი მეხსიერება, და საკმარისია ფიქრი დავიწყო იმ ბოლო უიკ-ენდზე, ვხვდები, რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო სხვა ინციდენტები სხვა, დავიწყებული უიკ-ენდების დროს, რომლებმაც საბოლოოდ ასეთ ფინალამდე მიგვიყვანა. მაგრამ ვერაფერს ვიხსენებ, ყველაფერი გაქრა. და როდესაც ვცდილობ, როგორმე გავიხსენო, ქანცის გაწყვეტამდე მივდივარ, - ეს მაგო-

ნებს ორთაბრძოლას ჩემს „თვითნება“ მე-სთან, რომელიც ცდილობს დაიცვას უფლება დამოუკიდებლად ცხოვრებისა. და მაინც, ის ყველაფერი ჩემს გონებაში ინახება, ოღონდაც კი შევძლო მიგნება და გამოხმობა. მაცვიფრებს ჩემი იმდროინდელი სიბეცე, რამდენად ბევრ რაღაცას ვერ ვამჩნევდი, მუდმივად სუბიექტურ, სქელ, მანათობელ ბურანში ვიყავი გახვეული. საიდან შეიძლება ვიცოდე, რომ რაც „მახსოვს“, მართლა მნიშვნელოვანი იყო? მახსოვს მხოლოდ ის, რაც გონებაში შემოინახა იმ ანამ, ოცი წლის წინანდელმა ანამ. ახლანდელი ანა რას გადაინახავდა, არ ვიცი, რადგან „ტკბილ დედილოსთან“ მიღებულმა გამოცდილებამ და ექსპერიმენტებმა რვეულებში იმდენად გამიმძაფრა ობიექტურობა, რომ... მაგრამ ასეთი განსჯის ადგილი ლურჯ რვეულშია და არა აქ. ასეა თუ ისე, ახლა მგონია, რომ ის უკანასკნელი უიკ-ენდი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, რაც ათიოდე სხვადასხვაგვარ დრამად დაიშალა, უეცრად და წინასწარი მინიშნების გარეშე, რაც, სინამდვილეში, ცხადია, შეუძლებელია მომხდარიყო. მაგალითად, პოლის მეგობრობა ჯექსონთან, ეტყობა, ისე შორს წავიდა, რომ მისის ბუთბის მოთმინების ფიალა აავსო. მახსოვს მომენტი, როცა დიასახლისმა პოლი სამზარეულოდან საბოლოოდ გააძევა, - ეს, ალბათ, ბოლოსწინა უიკ-ენდზე მოხდა. მე და პოლი სამზარეულოში ჯექსონს ვესაუბრებოდით, ასე ერქვა მზარეულს, როცა მისის ბუთბი შემოვიდა და გამოგვიცხადა:

- თქვენ იცით, რომ ეს წესით აკრძალულია, სასტუმროს მდგმურებს სამზარეულოში შესვლის უფლება არა აქვთ.

ცხადად და მკაფიოდ მახსოვს, რომ ამან გაგვაოგნა, როგორც რაღაც წარმოუდგენელმა უსამართლობამ; ასე გრძნობენ ხოლმე თავს ბავშვები, როცა უფროსების ძალმომრეობას პი-

რისპირ შეეჩეხებიან. როცა მოგვინდებოდა, სამზარეულოში მაშინ შევდიოდით ხოლმე, ის კი არაფერს გვეუბნებოდა. პოლმა მისის ბუთბი იმით დასაჯა, რომ სიტყვაზე დაიჭირა. სამზარეულოს ზღურბლზე აღარასოდეს გადაუბიჯებია, სამაგიეროდ, უკანა კართან იდგა ხოლმე და იცდიდა, სანამ ჯექსონი სადილობის დროის გასვლის შემდეგ გარეთ გამოვიდოდა და მზარეულს დემონსტრაციულად აცილებდა მისი სახლის მავთულის ღობემდე, ხელს მხარზე დაადებდა და ისე ებაასებოდა. თეთრი და შავი სხეულების შეხება გამიზნულად ხდებოდა, ამის მიზანი ნებისმიერი თეთრკანიანის პროვოცირება იყო, ვინც კი დაინახავდა. სამზარეულოს მეტად აღარც გავკარებივართ. და რადგანაც მეტად ანც გუნება-განწყობაზე ვიყავით, განუწყვეტლივ ვქირქილებდით და მისის ბუთბის „ვჭორავდით“, როგორც ბავშვები სკოლის დირექტორ ქალს. ახლა წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ ასე ბავშვურად ვიქცეოდით და სრულიადაც არ გვენაღვლებოდა, გულს რომ ვტკენდით. ის ჩვენთვის „აბორიგენი“ გახლდათ, რადგან პოლისა და ჯექსონის მეგობრობა აღაშფოთებდა. ამავე დროს, მშვენივრად ვაცნობიერებდით, რომ მთელ კოლონიაში ერთი თეთრიც არ მოიძებნებოდა, რომელიც ასეთ მეგობრობას არ დაგმობდა, არადა, როდესაც ჩვენს პოლიტიკურ მისიას აღვასრულებდით, სხვა თეთრკანიანების მიმართ, ჩვეულებრივ, უსაზღვრო მოთმინებასა და გამგებიანობას ვიჩენდით, როცა ვუხსნიდით, თუ რატომ არის მათი რასობრივი წარმოდგენები არაჰუმანური.

კიდევ რაღაც-რაღაცებიც მახსოვს, - როგორ ესაუბრებოდა თედი სტენლი ლეტს მისის ლეტიმორზე. თედმა უთხრა, მისტერ ლეტიმორი უკვე ეჭვიანობს და ამისთვის სრული საფუძველიც აქვსო. სტენლი ირონიულად და არხეინად იცავდა თავს. უთხრა,

მისტერ ლეტიმორი ცოლს როგორც არარაობას, ისე ექცევა და ამიტომ იმას იღებს, რასაც იმსახურებსო. მაგრამ სინამდვილეში მისი ირონია თედისკენ იყო მიმართული, რადგან სწორედ ის ეჭვიანობდა და ეჭვიანობდა სტენლიზე. სტენლის სულაც არ ადარდებდა, რომ ამით თედს ტანჯავდა. ან კი რატომ უნდა ედარდა? როდესაც ვიღაცაზე ერთი აზრით ზრუნავენ და ამ დროს სრულიად სხვა რამეს გულისხმობენ, ეს ყოველთვის პროტესტს იწვევს. ყოველთვის. რა თქმა უნდა, თედი, უპირველესად, „ქვის ქვეშ მოყოლილ პეპელას“ დასტრიალებდა და თავის რომანტიკულ გრძნობებს კარგად აკონტროლებდა. თუმცა, ისინი ნამდვილად ჰქონდა და ამიტომ სამართლიანად ზღავდა იმას, რასაც იმსახურებდა ისეთ მომენტებში, - რაც ხშირად ყოფილა, - როცა სტენლი გამგებიანად გაუღიმებდა, მერე თვალს მოჭუტავდა და ხისტად ეტყოდა: „გეყოფა, მეგობარო. ხომ იცი, რომ მე ჩაის სხვა ფინჯნით ვსვამ“. თედი მაინც აძლევდა მას წიგნებს, ეძახდა მუსიკის მოსასმენად. სტენლის დამოკიდებულება თედისადმი აშკარად დამამცირებელი და აგდებული გახდა. თედი კი ნაცვლად იმისა, სტენლისთვის მიეფურთხებინა, ყველაფერს იტანდა. თედი ერთ-ერთი უპატიოსნესი ადამიანი იყო, ვინც კი ოდესმე მინახავს, მაგრამ მაინც მონაწილეობდა სტენლის „საორგანიზაციო ექსპედიციებში“, როცა უნდოდა ლუდი ეშოვა ან საჭმელი აეწაპნა. მოგვიანებით გვიხსნიდა ხოლმე, ეს მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, საშუალება მქონოდა, სტენლისთვის ამეხსნა, - „ამას თვითონაც კი მიხვდება თავის დროზე“, - რომ ასე ცხოვრება არ ღირსო. თუმცა, გვეტყოდა თუ არა ამას, დარცხვენილ მზერას გვტყორცნიდა და ზურგს შეგვაქცევდა იმ თავისი ახალი ჩაცინებით - ეს იყო მწარე, საკუთარი თავისადმი სიძულვილით აღსავსე ჩაცინება.

თანაც, ამ ყველაფერს ჯორჯის შვილის სიტუაციაც ართულებდა. ჩვენს ჯგუფში ეს ყველამ იცოდა. არადა, ჯორჯი სულაც არ იყო ენაჭარტალა. დარწმუნებული ვარ, პირველ წელს ძალიან დაიტანჯა იმისგან, რომ არავის არაფერს უმხელდა. არც მე და არც ვილის ეს არავისთვის გვითქვამს, მაგრამ ყველამ მაინც შეიტყო. ეტყობა, ერთხელაც, როცა ყველანი ერთად ვსვამდით, ჯორჯმა რაღაც მინიშნება გააკეთა, რომელიც, როგორც ეგონა, უმეტესობისთვის გაუგებარი დარჩებოდა და მალე ჩვენ ყველანი ამ თემაზე უკვე ისევე ვშაყირობდით, როგორც ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გამო უიმედობით აღსავსე ხუმრობებს ვისროდით ხოლმე. მახსოვს ერთ საღამოს ჯორჯმა გულის წასვლამდე გვაცინა, - წარმოიდგინა, როგორ მივიდოდა ერთხელაც მასთან მისი ვაჟიშვილი მსახური ბიჭის სამუშაოს ძიებაში. ჯორჯი მას ვერ იცნობდა, მაგრამ რაღაც მისტიკური ძალა, და ასე შემდეგ და ასე ამგვარად, იმ გაუბედურებული ბიჭისკენ უბიძგებდა. მას სამზარეულოშო მუშაობის უფლებას მისცემდნენ და მალე ნატიფი სული და თანდაყოლილი გონიერება, რომელიც, რასაკვირველია, „ჩემგან ერგო მემკვიდრეობით“, ოჯახის ყველა წევრს მის მიმართ სიყვარულს აღუძრავდა. თვალის დახამხამებასაც ვერავინ მოასწრებდა, რომ ბიჭი თვითონ ისწავლიდა ოთხი მოხუცის მიერ იატაკზე უნებურად დაგდებული კარტის აღებას და სამივე ბავშვთან, „მის ნახევარ და-ძმასთან“ სათუთ, უანგარო და მდაბალ მეგობრობას დაამყარებდა. და კიდევ, ის იქნებოდა სრულიად უძვირფასესი შენაძენი ჩოგბურთის თამაშის დროს გადავარდნილი ბურთის მიმწოდებელი ბიჭის როლში. და, აი, ერთხელაც მისი უანგარო, მოთმინებით აღსავსე მსახურება დაჯილდოვდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ჯორჯს სრულიად მოულოდნელად გაუნათდებოდა გონება, სწორედ მაშინ, როცა

ბიჭი ფეხსაცმელს გაუწვდიდა, „რასაკვირველია, საგულდაგულოდ გაწმენდილ-გაპრიალებულს“. „ბატონო, კიდევ რა შემიძლია გავაკეთო თქვენთვის?“ - „შვილო!“ - „მამა! როგორც იქნა!“ და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

იმ საღამოს ჯორჯი მარტოდმარტო, თავზე ხელებშემოწყობილი უძრავად იჯდა ხის ძირას, - ეს იყო მძიმე, შავი ჩრდილი ფოთლების მოცახცახე ჩრდილებს შორის, შუბის ბუნიკის ფორმა რომ ჰქონდათ. ჩვენ მივედით, გვერდით მივუსხედით, მაგრამ ერთმანეთისთვის სათქმელი არაფერი გვქონდა.

იმ ბოლო უიკ-ენდზეც დიდი წვეულება იყო დაგეგმილი და „მაშოპიში“ ხუთშაბათს ჩავედით, სხვადასხვა დროს, ზოგი მანქანით, ზოგიც - მატარებლით. ერთმანეთს დიდ ოთახში შევხვდით. როდესაც მე და ვილი შევედით, ჯონი უკვე როიალთან იჯდა, გვერდით კი თავისი წითელსახიანი ქერა ქალი ჰყავდა. სტენლი მისის ლეტიმორთან ცეკვავდა, ჯორჯი კი მერიროუზს ებაასებოდა. ვილი უმალ მათკენ გაემართა, რომ ჯორჯი განედევნა და მისი ადგილი დაეკავებინა, პოლი კი ჩემთან მოვიდა, რომ შეეხსენებინა თავისი უფლებები ჩემზე. ჩვენი ურთიერთობა ისევ ისეთი რჩებოდა: პოლი სათუთი, ნახევრად დამცინავი, გამოუთქმელი მოლოდინით აღსავსე იყო. მისი შემხედვარე იფიქრებდი, და, ალბათ, ასეც ფიქრობდნენ, რომ ვილის რომანი აქვს მერიროუზთანო, პოლს კი - ჩემთან. თუმცა, ზოგჯერ შეიძლება ისიც მოსჩვენებოდათ, რომ ჯორჯსა და მე გვქონდა, ასევე, პოლსა და მერიროუზს. რასაკვირველია, ასეთი რომანტიკული, მოზარდებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის შესაძლებლობა განპირობებული გახლდათ ჩემი და ვილის ურთიერთობის ხასიათით, რომელიც, როგორც გითხარით, თითქმის ასექსუალური იყო. თუკი ჯგუფის ცენტრშია წყვილი, რომელსაც

სრულყოფილი სექსუალური ურთიერთობა აქვს, ეს სხვებზე კატალიზატორივით მოქმედებს და ხშირად, და ეს მართლაც ასეა, ჯგუფს ანგრევს. მას შემდეგ არაერთი ჯგუფი მინახავს როგორც პოლიტიკური, ასევე პოლიტიკისგან შორს მდგომი და ყოველთვის შეიძლებოდა იმის გამოცნობა, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ცენტრალურ წყვილს (ჯგუფში კი ყოველთვის არის ცენტრალური წყვილი), თუკი დააკვირდებოდი, სხვა წყვილებს როგორი ურთიერთობა ჰქონდათ.

იმ პარასკევს ჩვენი ჩასვლიდან ერთ საათიც არ იყო გასული, რომ პირველი უსიამოვნება მოხდა. ჯუნ ბუთბი დიდ ოთახში შემოვიდა და მე და პოლს სამზარეულოში წაყოლა და საღამოსთვის საჭმლის მომზადებაში დახმარება გვთხოვა, რადგან ჯექსონი მეორე დღის წვეულებისთვის დაგეგმილ კერძებს აკეთებდა. ჯუნმა იმ დროისთვის უკვე მოასწრო თავის ჯეელთან დაწინდვა და იმ ტრანსიდან გამოსვლა, რომელშიც მანამდე გახლდათ. ერთი სიტყვით, მე და პოლს გვთხოვა, სამზარეულოში გავყოლოდით, სადაც ჯექსონი ხილის ცივი დესერტისთვის ცილას თქვეფდა. პოლმა უმალ გაუბა საუბარი. ინგლისზე ლაპარაკობდნენ, ინგლისი კი ჯექსონისთვის ისეთი შორეული და ზღაპრული ქვეყანა იყო, რომ შეეძლო საათობით ემსჯელა ინგლისური ცხოვრების ისეთ წვრილმანებზეც კი, როგორიცაა მეტროპოლიტენის სისტემა ან ავტობუსები, ან პარლამენტი.

ჯუნის გვერდით ვიდექი და ვახშმისთვის სალათებს ვამზადებდით. ერთი სული ჰქონდა, საქმე მოემთავრებინა და საქმროს შესახვედრად გაქცეულიყო, რომელსაც წუთი წუთზე ელოდებოდა. ამ დროს მისის ბუთბი შემოვიდა, პოლსა და ჯექსონს შეხედა და თქვა:

- მგონი, გაგაფრთხილეთ, სამზარეულოში თქვენს ყოფნას არ მოვითმენ-მეთქი?

- ოჰ, დედიკო, - მიუგო ჯუნმა მოუთმენლად, - მე დავუძახე, რატომ არ გინდა კიდევ ერთი მზარეული აიყვანო, ჯექსონს ძალიან ბევრი სამუშაო აქვს.

- ჯექსონი ამ სამუშაოს უკვე თხუთმეტი წელია ასრულებს და ერთხელაც არ დაუწუწუნია.

- ოჰ, დედიკო, არც ახლა წუწუნებს, მაგრამ მას მერე, რაც ომი დაიწყო და სამხედრო-საჰაერო ძალების ბიჭებმა ჩვენთან ჩამოსვლა დაიწყეს, სამუშაო მოემატა. მე არა ვარ წინააღმდეგი, რომ დავეხმარო, და არც ანა და პოლი.

- იმას გააკეთებ, რასაც გეტყვი, - მოუჭრა დედამ.

- ოჰ, დედიკო, - გაიმეორა ჯუნმა ოდნავი გაღიზიანებით და ჩემს დასანახად დაიჯღანა, რაც ნიშნავდა, ყურადღებას ნუ მიაქცევო. მისის ბუთბიმ ეს შენიშნა და უთხრა:

- ზღვარს გადადიხარ. როდის აქეთ იძლევი განკარგულებებს სამზარეულოში?

ჯუნი გაცეცხლდა და სამზარეულოდან გავარდა.

ერთობ შეუხედავი მისის ბუთბი მძიმედ სუნთქავდა, ისედაც ლოყაწითელ სახეზე ახლა პირდაპირ ალმური ასდიოდა. პოლს სასოწარკვეთილმა გახედა. პოლს რაიმე შემრიგებლური რომ ეთქვა, რამენაირად მისი დამშვიდება ეცადა, ქალი შვებით ამოისუნთქავდა და უმალ დაუბრუნდებოდა ჩვეული კეთილგანწყობა, მაგრამ პოლი ისე მოიქცა, როგორც ცოტა ხნით ადრე: თავი დამიქნია, მანიშნა, გამომყევიო და მშვიდად გავიდა უკანა კარიდან. გზად ჯექსონს უთხრა:

- მოგვიანებით გნახავ, როცა სამუშაოს მორჩები. თუკი ოდესმე მორჩები.

მისის ბუთბის ვუთხარი:

- აქ არ მოვიდოდით, ჯუნს რომ არ ეთხოვა.

მაგრამ შერიგებისკენ ჩემი მოწოდება აღარ აინტერესებდა და არაფერი მიპასუხა. პოლს გავყევი. დიდ ოთახში შევედით და ცეკვა დავიწყეთ.

მთელი იმ ხნის განმავლობაში ერთმანეთში ვმასხრობდით იმაზე, რომ მისის ბუთბის პოლი უყვარდა. შესაძლოა, მართალიც იყო. მისის ბუთბი მეტისმეტად უბრალო ქალი იყო და ძალზე ბევრს შრომობდა მას მერე, რაც ომი დაიწყო და სასტუმრო, რომელიც მანამდე შემთხვევითი მგზავრებისთვის მხოლოდ ღამის გასათევი ადგილი იყო, კურორტად გადაიქცა, სადაც ადამიანები უქმეებზე დასასვენებლად ჩადიოდნენ. ეს მისთვის, როგორ ჩანს, დიდ დატვირთვად იქცა. გარდა ამისა, კიდევ იყო ჯუნი, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში დაღვრემილი მოზარდიდან ახალგაზრდა ქალად გარდაიქმნა, - ქალად, რომელსაც მომავლის არცთუ ურიგო პერსპექტივა ჰქონდა. ახლა, როცა უკან ვიხედები, ვხვდები, რომ სწორედ ჯუნის მოსალოდნელი გათხოვება ედო საფუძვლად მის დედობრივ განცდებს. ეტყობა, ჯუნი მისი ერთადერთი შვება იყო. მისტერ ბუთბი მუდმივად ბარის დახლთან იდგა. ის მსმელი მამაკაცების იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, ვისთან ერთადაც ცხოვრება ძალიან ძნელია. მამაკაცი, რომელსაც დროდადრო თავაწყვეტილი სმის მძიმე პერიოდი აქვს, არაფერია მასთან შედარებით, ვინც „იცის სმა“, - და არა მარტო იცის, არამედ კიდეც სვამს ყოველდღიურად, კვირიდან კვირამდე, წლიდან წლამდე, წლობით. ჩამოყალიბებული, თავდაუზოგავი მსმელები, როგორც წესი, ძალიან ცუდი ქმრები არიან. ახლა კი მისის ბუთბი კარგავდა ჯუნს, რომელიც საცხოვრებლად სამასი მილის დაშორებით უნდა გა-

დასულიყო. კოლონიაში ეს დიდ მანძილად სულაც არ ითვლებოდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ქალიშვილს კარგავდა. და, შესაძლოა, მასზე ომის პერიოდის მშფოთვარე განწყობაც მოქმედებდა. ქალი, რომელმაც ნებაყოფლობით დაივიწყა, რომ ქალია, ახლა მრავალი კვირის განმავლობაში უყურებდა, როგორ ევლებოდა თავს სტენლი ლეტი მისის ლეტიმორს, რომელიც ასაკით მისი ტოლი იყო. შესაძლოა, პოლზე მალულად მართლაც ოცნებობდა, არ ვიცი, მაგრამ ახლა, როცა უკან ვიხედები, მისის ბუთბი მარტოსულ და მგრძნობიარე ქალად წარმომიდგება. მაგრამ მაშინ ასე არ ვფიქრობდი. როგორც ერთ ჩლუნგ „აბორიგენს“, ისე ვუყურებდი. ღმერთო ჩემო, რა მტკივნეულია გახსენება იმ ადამიანებისა, რომელთაც სასტიკად ექცეოდი. არადა, მისის ბუთბის ნუგეშისცემა რა ადვილი საქმე იქნებოდა: მხოლოდ დროდადრო უნდა მოგვეპატიჟებინა ჩვენთან, ერთად დაგველია ან უბრალოდ გვესაუბრა მასთან. მაგრამ ჩვენ საკუთარ თავსა და ერთმანეთზე ვიყავით კონცენტრირებული, უკბილოდ ვხუმრობდით, დავცინოდით. მახსოვს, როგორი სახე ჰქონდა, როცა მე და პოლი სამზარეულოდან გავდიოდით. მისის ბუთბი ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებდა პოლს, ნაწყენი, არეული, შეშლილის მზერა ჰქონდა, რადგან ვერაფრით გაეგო, რა ხდებოდა. და მახსოვს, როგორ ხისტად უთხრა ჯექსონს, გაბზარული ხმით:

- ჯექსონ, შენ მთლად გათავხედდი, რატომ გათავხედდი ასე?

დადგენილი წესის თანახმად, ჯექსონს ყოველდღიურად სამიდან ხუთ საათამდე შესვენება ეკუთვნოდა, მაგრამ როგორც ფეოდალური სისტემის კანონმორჩილი წევრი თავის უფლებებს ადვილად, ნებაყოფლობით თმობდა, როცა საქმე თავზე საყრე-

ლი იყო. იმ დღეს მხოლოდ ხუთი საათისთვის გამოვიდა სამზარეულოდან და თავისი სახლისკენ ნელი ნაბიჯით წავიდა.

პოლმა მითხრა:

- ანა, ძვირფასო, ასე ძლიერ არ მეყვარებოდი, ჯექსონი უფრო ძლიერ რომ არ მიყვარდეს. ამწამს კი სულაც პრინციპის ამბავია...

მიმატოვა და ჯექსონის შესახვედრად წავიდა. მისი სახლის მესერთან იდგნენ და საუბრობდნენ, მისის ბუთბი კი სამზარეულოს ფანჯრიდან უყურებდა. როგორც კი პოლმა დამტოვა, ჩემთან ჯორჯი მოვიდა. ჯექსონს გახედა და ამოიოხრა:

- ჩემი ბავშვის მამა.

- ოო, მორჩი, - ვუთხარი მე, - რა აზრი აქვს.

- გესმის, ანა, რა ფარსია ეს ყველაფერი? ისიც კი არ შემიძლია, ჩემს შვილს ფული მივცე. გესმის, რამდენად აბსოლუტური სიგიჟე და მარაზმული საოცრებაა: ჯექსონი თვეში ხუთ გირვანქას იღებს. უნდა ვაღიარო, ჩემს სიტუაციაში, ბავშვებისა და მოხუცების ხელში, ხუთი გირვანქა ჩემთვისაც დიდი თანხაა, მაგრამ მე რომ უბრალოდ მიმეცა მარიასთვის ხუთი გირვანქა, რომ ბავშვს ხეირიანი ტანსაცმელი უყიდოს, ეს მათთვის იმხელა თანხა იქნებოდა. თურმე მათი ოჯახი საკვებზე კვირაში ათ შილინგს ხარჯავს. გოგრით, სიმინდის შეჭამადითა და სამზარეულოს ნარჩენებით იკვებებიან.

- და ჯექსონი ვერაფერს ხვდება?

- მარია ფიქრობს, რომ ვერა. მე ვკითხე და იცი, რა მიპასუხა? კარგი ქმარია, კარგად მეპყრობა მეც და ჩემს ყველა შვილსო... და, იცი, ანა, როცა ეს გავიგონე... ცხოვრებაში არასოდეს მიგრძნია თავი ამაზე უარეს ნაბიჭვრად...

- კიდევ წვები მასთან?

- კი. იცი, ანა, მიყვარს ის ქალი, ისე მაგრად მიყვარს, რომ...

მოგვიანებით დავინახეთ, რომ მისის ბუთბი სამზარეულოს მინაშენიდან გამოვიდა და იქით გაემართა, სადაც პოლი და ჯექსონი იდგნენ. ჯექსონი თავის ქოხში შეძვრა და მისის ბუთბი, მარტოსულ აღშფოთებაში გახელებული, თავისი სახლისკენ წავიდა. პოლი ჩვენთან მოვიდა და მოგვახსენა, რა უთხრა მისის ბუთბიმ ჯექსონს: „მე იმისთვის არ გაძლევ თავისუფალ დროს, რომ თავხედურად ლაპარაკობდე თეთრ ადამიანთან, რომელმაც მოქცევა არ იცის“.

პოლი მეტისმეტად გაბრაზებული იყო და ჩვეულმა უდარდელმა სიმსუბუქემ უღალატა. იმეორებდა:

- ღმერთო ჩემო, ანა, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო...

მერე ნელ-ნელა გონზე მოვიდა და საცეკვაოდ წამიყვანა.

- იცი, ჩემთვის ყველაზე საინტერესო რა არის? არსებობენ ისეთი ადამიანები, როგორიც, მაგალითად, შენ ხარ, რომელთაც სჯერათ, რომ ამ სამყაროს შეცვლა შეიძლება.

მთელი საღამო ვცეკვავდით და ვსვამდით. დასაძინებლად ყველანი ნაშუაღამევს წავედით. ვილი და მე მეტად ცუდ გუნება-განწყობაზე ვიყავით, ერთმანეთით მეტად უკმაყოფილონი. გაბრაზებული იყო, რადგან ჯორჯმა ისევ გადაგვიშალა გული, თავის პრობლემებზე გაუთავებლად ლაპარაკობდა. ჯორჯმა გადაღალა.

- როგორც გატყობთ, შენ და პოლი ერთმანეთს მშვენივრად უგებთ, - მითხრა ვილიმ.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში საფუძველი ამის სათქმელად ნებისმიერ მომენტში ჰქონდა. ვუპასუხე:

- იგივე შეიძლება ითქვას შენზე და მერიროუზზე.

ჩვენ უკვე ვიწექით, უფრო სწორად, ჩვენ-ჩვენს ლოგინებში. ვილის ხელში რომელიღაც წიგნი ეჭირა გერმანიაში სოციალიზმის განვითარების ადრეული ეტაპების შესახებ. წამომჯდარიყო, სათვალის მინებს აელვარებდა და გონებაში წყვეტდა, ღირდა თუ არა ჩხუბის დაწყება. როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჯორჯის თაობაზე ჩვენს ჩვეულ კამათში გადაიზრდებოდა... „თვალცრემლიანი სენტიმენტალობა“ VS „დოგმატური ბიუროკრატიზმი“. ანდა, შესაძლოა, - რადგან ვილი მეტისმეტად უგრძნობელ-მიუხვედრელი იყო, როცა საქმე მის იმპულსებსა თუ მოტივებზე მიდგებოდა, - გულწრფელად სჯეროდა, რომ პოლისა და ჩემი ურთიერთობა აღაშფოთებდა. ან, შესაძლოა, მართლაც აღაშფოთებდა. იმხანად, როდესაც ამას მსაყვედურობდა, ყოველთვის ვპასუხობდი: „მერიროუზი“. ახლა რომ ეთქვა ასეთი რამ, ვეტყოდი, რომ ნებისმიერ ქალს გულის სიღრმეში სჯერა, - თუ მამაკაცი ვერ აკმაყოფილებს, უფლება აქვს სხვასთან წავიდეს. ასეთ სიტუაციაში ეს ქალის პირველი და ყველაზე ძლიერი აზრია, მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეიძლება მოგვიანებით შეცვალოს რაციონალური მოსაზრებებისგან თუ სიბრალულისგან გამომდინარე. მაგრამ მე და ვილი სექსის გამო ვშორდებოდით. და რა? ახლა, როცა ამას ვწერ, ვფიქრობ, ეტყობა, მეტისმეტად სერიოზული ორთაბრძოლა გვქონდა, გაუთავებელი კამათისა და ათასნაირი არგუმენტისგან შემდგარი, რადგან ახლაც კი, ინსტინქტურად და ჩვევის გამო, ისეთი ტერმინებით ვაფასებ, როგორიცაა „მართალი“ თუ „მტყუანი“. სიბრიყვეა. ეს ყოველთვის სიბრიყვეა.

იმ ღამით არ გვიჩხუბია. ორიოდე წამის მერე თავისი მარტოსული მოტივი ააჟღერა: „ოო, ზვიგენს ჰქონია საშიში კბილები“, მერე კი წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო. მე კი დავიძინე.

მეორე დღეს ცუდი განწყობა სასტუმროს ყველა მდგმურს ინ-ფექციასავით გადაედო. ჯუნ ბუთბი ცეკვებზე იყო საქმროსთან ერთად და მხოლოდ გამთენიისას დაბრუნდა. მისტერ ბუთბიმ უყვირა ქალიშვილს, მისის ბუთბი კი აქვითინდა. ხმა ჯექსონის გამო მომხდარი სკანდალის შესახებ მსახურებს შორის გავ-რცელდა. ოფიციანტებს სადილზე ჩვენთან თავი ძალიან ცივად ეჭირათ. ჯექსონი სამ საათზე, როგორც წესით იყო დადგენილი, გამოვიდა სამზარეულოდან და დასასვენებლად წავიდა, მისის ბუთბის შეატოვა წვეულებისთვის მოსამზადებელი კერძები, ჯუნი კი არ დაეხმარა დედას, რადგან ნაწყენი იყო. გვესმოდა, როგორ უყვიროდა დედას: „ასეთი წუწურაქი რომ არ იყო, კიდევ ერთ მზარეულს დაიქირავებდი ჯექსონის დასახმარებლად, ნაცვლად იმისა, თვეში ხუთი გირვანქის გამო თავი ტანჯულად მოგვაჩვე-ნო“. მისის ბუთბის თვალები ჩასწითლებოდა და სახეზე ისევ ეტ-ყობოდა, რომ ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა, ჯუნს უკან დასდევდა და ეკამათებოდა, რადგან წუწურაქი მართლაც არ იყო. ხუთი გირვანქა მისის ბუთბისთვის უმნიშვნელო თანხა გახლდათ; ჩე-მი აზრით, მიზეზი, რის გამოც ახალ მზარეულს არ ქირაობდა, ის იყო, რომ ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი საქმის კეთება არ ეზარე-ბოდა და დარწმუნებული გახლდათ, ამ საკითხზე სხვა აზრი არც ჯექსონს შეიძლება ჰქონდესო.

მისის ბუთბი სახლში გადავიდა წამოსაწოლად. სტენლი ლე-ტი მისის ლეტიმორთან ერთად ვერანდაზე იჯდა. სასტუმროში ჩაის ოთხ საათზე სვამდნენ, მაგრამ მისის ლეტიმორს თავი სტკიოდა და შავი ყავა უნდოდა. მგონი, ქმართან უსიამოვნება ჰქონდა, მაგრამ უკვე ისე ვიყავით მიჩვეული მის „თავაზიანო-ბებს“, რომ ეს ჩვენთვის ჩვეული ამბავი გახლდათ და თავიდან ყურადღება არ მივაქციეთ. სტენლი ლეტი სამზარეულოში გავი-

და, ოფიციანტისთვის ყავის მოდუღება რომ ეთხოვა, მაგრამ ყავა უკვე შეენახათ, კარადის გასაღები კი ოჯახის საიმედო მეკუჭნავეს, ჯექსონს ჰქონდა. სტენლი ლეტმა ჯექსონის სახლს მიაშურა გასაღების წამოსაღებად. ალბათ, ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იმ ვითარებაში ეს შეიძლებოდა უტაქტობად აღექვათ. როგორც სჩვეოდა, პროდუქტების „ორგანიზება“ მოახდინა. ჯექსონი, რომელსაც სტენლი იმიტომ მოსწონდა, რომ სამხედრო--საჰაერო ძალების ფორმა მის მიმართ ადამიანურ დამოკიდებულებასთან ასოცირდებოდა, სახლიდან გამოვიდა კარადის გასაღებად და მისის ლეტიმორისთვის ყავის მოსადუღებლად. ეტყობა, მისის ბუთბიმ ეს თავისი ოთახის ფანჯრიდან დაინახა და გარეთ გამოვიდა, ჯექსონისთვის რომ ეთქვა, თუ კიდევ ერთხელ გაბედავ მსგავს რამეს, გაგაგდებო. სტენლიმ მისი დამშვიდება სცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ქალი შეპყრობილს ჰგავდა და მისტერ ბუთბი იძულებული შეიქნა, შინ ძალით შეეყვანა, ისევ რომ დაწოლილიყო და დაესვენა.

ჯორჯი ვილისა და ჩემთან მოვიდა, გვითხრა:

- წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ჯექსონი რომ გააგდონ? მთელი ოჯახი დაიღუპება.

- იმის თქმა გინდა, რომ შენ დაიღუპები, - დააზუსტა ვილიმ.

- არა, შე მართლა კრეტინო, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მათზე ვფიქრობ. ეს მათი სახლია. ჯექსონი ვეღარასოდეს იპოვის ისეთ სამუშაოს, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრების უფლებას მისცემენ. იძულებული გახდება სადმე მოეწყოს, მის ოჯახს კი უკან, ნიასალენდში მოუწევს დაბრუნება.

- სავსებით შესაძლებელია, - მიუგო ვილიმ, - და იცხოვრებენ როგორც ყველა აფრიკელი, ნაცვლად იმისა, შედიოდნენ უმცი-

რესობაში, ნახევარ პროცენტს რომ შეადგენს, თუკი მისთანების ნახევარი პროცენტი საერთოდ შეგროვდება.

ცოტა ხანში ბარი გაიხსნა და ჯორჯი დასალევად წავიდა. მასთან ჯიმი იყო. მგონი, დამავიწყდა მეთქვა მთავარი - ჯიმიმ მისის ბუთბი სასტიკად გააბრაზა. ეს წინა უიკ-ენდზე მოხდა, - მისის ბუთბის თანდასწრებით პოლს მოეხვია და აკოცა. მთვრალი იყო. მისის ბუთბი, უბირი ქალი, შოკირებული იყო. შევეცადე, ამეხსნა, რომ ქცევის წესები და ის, რაც კოლონიაში დაუშვებლად მიაჩნდათ, განსხვავდებოდა იმისგან, რაც ინგლისში იყო მიღებული. თუმცა, იმ დღის შემდეგ ჯიმის ზიზღის გარეშე ვეღარ უყურებდა. იმის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, სისტემატურად რომ თვრებოდა და გაუპარსავი დაიარებოდა, და მართლაც არასასიამოვნო სანახავი იყო თავისი ნახევრად შეხორცებული იარებით. ყველგან დაბორიალებდა გადაღეღილ სამხედრო კიტელში, რომელსაც თეთრი საყელო არ ეკეთა. ეს ყველაფერი მისთვის დასაშვები იყო; ნამდვილი მამაკაცი უნდა თვრებოდეს კიდეც, გაუპარსავი დადიოდეს და გარეგნობაზე არ ზრუნავდეს. იგი ჯიმს თბილად, ლამის დედასავით ექცეოდა. მაგრამ ცნებამ „ჰომოსექსუალიზმი“ ჯიმი იმის ზღვარს მიღმა დააყენა, რაც, მისი აზრით, დასაშვები გახლდათ. „მგონი, ეს სწორედ ისაა, რასაც ჰომოსექსუალიზმს ეძახიან“, - გამოაცხადა ისე, თითქოს ეს სიტყვა თავისთავად ყოფილიყოს შხამითა და გესლით გაჟღენთილი.

ჯიმი და ჯორჯი ბარში მანამდე გამოთვრნენ, სანამ ცეკვები დაიწყებოდა და ორივე ერთობ სენტიმენტალურ-მგრძნობიარე მდგომარეობაში იყო. როდესაც დიდ ოთახში შემოვიდნენ, ხალხით სავსე დახვდათ. ჯიმიმ და ჯორჯმა ერთად დაიწყეს ცეკვა: ჯორჯისგან ეს პაროდია იყო ამგვარ ურთიერთობაზე, ჯიმის კი

ბავშვურად ბედნიერი და უდარდელი იერი ჰქონდა. ცეკვით მხოლოდ ერთი წრე გააკეთეს, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა. მათთან მაშინვე მისის ბუთბი გაჩნდა, - შავი ატლასის შემოტმასნილ კაბაში სელაპს ჰგავდა, სახე აღშფოთებისგან უხურდა. წყვილთან მიიჭრა და მოსთხოვა, იქ წაეთრიეთ, სადაც ასეთი ქცევა დასაშვებად მიაჩნიათო. ამ უმნიშვნელო ეპიზოდს ყურადღება არც არავინ მიაქცია, ჯორჯმა კი უთხრა, რეგვენი დედაკაცი ნუ იქნებიო და ეგრევე ჯუნ ბუთბი გაიწვია საცეკვაოდ. ჯიმი იქვე დარჩა პირდაღებული, უსუსური გამომეტყველებით, ძალიან ჰგავდა ბავშვს, რომელმაც ვერ გაიგო, რისთვის გატყიპეს.

მე და პოლი ვცეკვავდით. ვილი და მერიროუზი ცეკვავდნენ. სტენლი და მისისი ლეტიმორი ცეკვავდნენ. მისტერ ლეტიმორი ბარში იჯდა, ჯორჯი კი დროდადრო გადიოდა თავის ფურგონში ვიზიტის გასაკეთებლად.

გაცილებით ხმაურიანად და აგდებულად ვიქცეოდით, ვიდრე ოდესმე. მგონი, ყველანი ვგრძნობდით, რომ ეს ჩვენი ბოლო უიკ-ენდი იყო „მაშოპიში“. თუმცა გადაწყვეტილება, რომ იქ აღარ ჩავიდოდით, არ მიგვიღია: ზუსტად ისევე, როგორც არასოდეს გადაგვიწყვეტია, რომ ვივლიდით. ყველა მოახლოებული დანაკლისის განცდამ შეგვიპყრო, - ნაწილობრივ იმიტომ, რომ პოლსა და ჯიმის მალე უნდა მიეღოთ დანიშნულება და სამხედრო ბანაკი დაეტოვებინათ.

თითქმის შუაღამე იყო, როცა პოლმა მითხრა, ჯიმი დიდი ხანია სადღაც გავიდა და აღარ მობრუნებულაო. ჯერ მოცეკვავეთა შორის მოვიკითხეთ, მაგრამ არავის ენახა. მე და პოლი ჯიმის საძებნელად წავედით და კარში ჯორჯს შევეფეთეთ. გარეთ მოღრუბლულიყო, ნესტიანი ამინდი იდგა. ქვეყნის იმ ნაწილში, სადაც ვიყავით, როგორც წესი, უმეტესად მზიანი ამინდი იდგა

ხოლმე და ამას ჩვეულ ამბად აღვიქვამდით, მხოლოდ ორი-სამი დღით თუ გაავდრდებოდა, - მოიღრუბლებოდა, წვრილი წვიმა ცრიდა ან ნოტიო ნისლით გაჯერებული თბილი ქარი უბერავდა, რაც ირლანდიის წვრილ, მსუბუქ წვიმას მოგაგონებდათ. აი, ახლაც ასეთი დღეები მოსულიყო. გარეთ ადამიანები წყვილებად და ჯგუფებად იდგნენ, გრილდებოდნენ და სიცხისგან სულს ითქვამდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ძალიან ბნელოდა, სახეებს ვერ ვარჩევდით. ამიტომ ბორიალი დავიწყეთ, ერთი ჯგუფიდან მეორისკენ ვინაცვლებდით, ვცდილობდოთ, ჯიმი სილუეტით გვეცნო. იმ დროისთვის ბარი უკვე დაიხურა, ჯიმი არც ვერანდაზე იყო და არც სასადილოში. ჩვენ უკვე ავნერვიულდით, რადგან არაერთხელ გვიპოვია ყვავილნარში ჩავარდნილი ან ევკალიპტების ძირას გაშხლართული. ყველა საძინებელში შევიხედეთ, მოვიარეთ მთელი ბაღი, მოვჩხრიკეთ ყველა ბუჩქი და ყვავილნარი, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. სასტუმროს მთავარი შენობის უკან ვიდექით და ვფიქრობდით, სად შეიძლებოდა კიდევ მოგვეძებნა, როცა ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, სამზარეულოს მინაშენში, შუქი აინთო. იქ ჯექსონი შევიდა, მარტო იყო. არ იცოდა, რომ ვხედავდით. ყოველთვის, როცა კი შეგვხვდებოდა ხოლმე, მზარეული მუდამ თავაზიანი და კეთილმოსურნე იყო, ახლა კი შეშფოთებული და გაბრაზებული ჩანდა. მახსოვს, მის სახეს ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი, რომ არასოდეს მენახა ისეთი, როგორიც თავისთავად იყო. გამომეტყველება შეეცვალა, იატაკზე რაღაც დაინახა. ფანჯარასთან მივირბინეთ, შევიხედეთ და იატაკზე ჯიმი დავინახეთ, რომელიც ან გათიშულიყო, ან, უბრალოდ, ჩასძინებოდა, ან ორივე ერთად. ჯექსონი მის წამოსაყენებლად დაიხარა და ზუსტად ამ დროს მის ზურგს უკან მისის ბუთბი გაჩნდა. ჯიმის გაეღვიძა, ჯექსონი

დაინახა და ბავშვივით წაეპოტინა, ორივე ხელი კისერზე მოხვია. ზანგმა უთხრა:

- ბაას ჯიმ, ბაას ჯიმ, ლოგინში უნდა ჩაწვეთ, აქ დარჩენა არ შეიძლება.

ჯიმიმ მიუგო:

- ჯექსონ, შენ ხომ გიყვარვარ? მხოლოდ შენ გიყვარვარ და მეტი არავის.

მისის ბუთბი იმდენად იყო შოკირებული, უკან მიაწყდა, კედელს მიეჯახა, თითქოს ჩაჯდა, სახე გაურუხდა. ამ დროს ჩვენ შევცვივდით სამზარეულოში და ჯიმის წამოყენება დავიწყეთ, ვცდილობდით, მისი ხელები ჯექსონის კისრიდან ჩამოგვეხსნა.

მისის ბუთბიმ გამოაცხადა:

- ჯექსონ, ხვალ აქედან მიდიხარ.

- მისუს, რა დავაშავე? - ჰკითხა ჯექსონმა.

- წაეთრიე. წაიყვანე შენი ბინძური ოჯახი და თვითონაც დამეკარგე თავიდან. ხვალვე დაიკარგე აქედან, თორემ პოლიციას დავუძახებ, - უთხრა მისის ბუთბიმ.

ჯექსონმა გამოგვხედა, დროდადრო შუბლი ეჭმუხნებოდა, ვერგაგების ტკივილი ტალღებივით გადაუვლიდა ხოლმე სახეზე, კუნთები ხან დაეძაბებოდა, ხან მოუდუნდებოდა, გეგონებოდა, სახე მუშტივით ეკვრება და ეშლებაო. მზარეული, რასაკვირველია, წამითაც ვერ ხვდებოდა, თუ რამ გაანაწყენა ასე მისის ბუთბი.

აუჩქარებლად ჩაილაპარაკა:

- მისუს, მე თქვენ თხუთმეტი წელი გემსახურეთ.

ჯორჯმა უთხრა:

- მე დაველაპარაკები, ჯექსონ.

ჯორჯს ჯექსონისთვის მანამდე პირადად არასოდეს მიუმართავს, მაგრამ ახლა ამ ადამიანის წინაშე თავს მეტისმეტად დამნაშავედ გრძნობდა.

ჯექსონმა მზერა ჯორჯზე აუჩქარებლად გადაიტანა და თვალების ზანტი ხამხამით მიაჩერდა, ისე, თითქოს მოულოდნელად დაარტყესო. ჯორჯი უხმოდ და გაუნძრევლად იდგა, ელოდებოდა. ბოლოს ჯექსონმა ჰკითხა:

- თქვენ არ გინდათ, რომ აქედან წავიდეთ, ბაას?

არ ვიცი, ამის უკან რა იმალებოდა. შეიძლება მთელი ამ ხნის განმავლობაში ცოლის ღალატის ამბავი იცოდა. იმ მომენტში სწორედ ასე ჩანდა. ჯორჯმა თვალები მოხუჭა და რაღაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნა, სრულიად უაზრო, იდიოტური, მერე კი სამზარეულოდან ბორძიკით გავიდა. ჯიმი ნახევრად ხელში აყვანილი გავათრიეთ სამზარეულოდან, ზურგში ხელის წაბიძგებით და ვუთხარით:

- ღამე მშვიდობისა, ჯექსონ, და დიდი მადლობა, რომ ბაას ჯიმის დახმარებას ცდილობდი.

ჯექსონმა არაფერი გვიპასუხა.

პოლმა და მე ჯიმი ლოგინში ჩავაწვინეთ. როდესაც გარეთ გავედით და ნოტიო წყვდიადში დავიძარით, ჯორჯის ხმა მოგვესმა, რომელიც ვილის ელაპარაკებოდა. ჩვენგან ათიოდე ნაბიჯის მოშორებით. ვილი ამბობდა: „ძალიანაც სწორია“, „ცხადია“, „სავსებით შესაძლებელია“, ჯორჯი კი სულ უფრო გაუგებრად და ცხარედ ლაპარაკობდა.

პოლმა ჩუმად მითხრა:

- ღმერთო ჩემო, ანა, წამოდი ჩემთან.

- არ შემიძლია, - ვუპასუხე.

- შეიძლება ხვალ-ზეგ აქედან გადამიყვანონ. შეიძლება ვეღარასოდეს გნახო.

- ხომ იცი, რომ არ შემიძლია.

არაფერი მითხრა, გატრიალდა და სიბნელეში გაუჩინარდა. კინაღამ უკან გავყევი, მაგრამ ამ დროს ჩემთან ვილი მოვიდა. თითქმის ჩვენს საძინებელთან ვიყავით, რომ მითხრა:

- ეს არის საუკეთესო, რაც კი შეიძლებოდა მომხდარიყო. ჯექსონი და მისი ოჯახი აქედან წავლენ და ჯორჯი აზრზე მოვა.

- ეს თითქმის უეჭველად ნიშნავს, რომ ოჯახი გაიყოფა. ჯექსონის ცოლი და შვილები მასთან ვეღარ იცხოვრებენ.

ვილიმ შენიშნა:

- აი, სულ ესა ხარ. ჯექსონს ბედმა გაუღიმა, რომ ოჯახის შექმნის საშუალება მიეცა. შავების უმეტესობას ამის საშუალება არა აქვს. ახლა კი ისეთი გახდება, როგორიც ყველაა. ეს არის და ეს. ანა, როდის მოთქვამდი და ტიროდი იმის გამო, რომ დანარჩენებს ოჯახი არა ჰყავთ?

- არა, მე მხარს ვუჭერდი კურსს, რომელსაც ამ წყეული წესრიგისთვის ბოლო უნდა მოეღო.

- დიახ, ასეა. და ეგ სწორიცაა.

- მაგრამ მე ჯექსონსა და მის ოჯახს ვიცნობ და ზოგჯერ ვერც კი ვიჯერებ, რომ მართლა იმას გულისხმობ, რასაც ამბობ.

- ცხადია, ვერ იჯერებ, სენტიმენტალურ ადამიანებს არაფრის არ სჯერათ, გარდა საკუთარი გრძნობებისა.

- მაგრამ ჯორჯისთვის არაფერი შეიცვლება. ჯორჯის ტრაგედია მარია კი არა, არამედ მისივე თავია. როცა ეს ქალი აქედან წავა, ვინმე სხვა გამოჩნდება.

- იქნებ ეს მისთვის გაკვეთილად გამოდგეს, - ჩაიბურტყუნა ვილიმ და როცა ამას ამბობდა, სახე საოცრად დაუმახინჯდა.

ვილი საძინებელში დავტოვე და ვერანდაზე გავედი. ნისლი უკვე იფანტებოდა და ასხივებდა მქრქალ, გაფანტულ, სუსტსა და ცივ შუქს, რომელიც ციდან დედამიწაზე იღვრებოდა. ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით პოლი იდგა და მიყურებდა. უეცრად იმ საღამოს მთელი სიმთვრალე, რისხვა და ტკივილი ჩემში გორგალივით შეიკრა და ყუმბარასავით აფეთქდა, უკვე ვერაფერს ვგრძნობდი გარდა იმისა, რომ პოლთან მინდოდა ყოფნა. მივირბინე მასთან, ხელი უხმოდ დამავლო და გავიქეცით, ოღონდ სად მივრბოდით, არ ვიცოდით. მივრბოდით გზატკეცილზე, აღმოსავლეთისკენ რომ მიდიოდა, გუბეებით დაფარულ ბეტონზე ფეხი გვისხლტებოდა და ვბორძიკობდით, მერე გადავუხვიეთ მანქანების გაკვალულ გრუნტის გზაზე, რომელიც სადღაც კი მიდიოდა, მაგრამ სად, არ ვიცოდით. გავრბოდით ამ გზაზე, ქვიშის ფსკერიან გუბეებში ვაბიჯებდით, რომლებსაც ვერც ვამჩნევდით. ცრიდა, ნისლი ისევ ჩამოეშვა. შავი, სველი ხეები გზის ორივე მხრიდან ჩვენკენ იხრებოდნენ, ჩვენ კი მათ უკან ვტოვებდით, გავრბოდით და გავრბოდით. ძალა გამოგველია, გზიდან გადავედით და ველზე გავაგრძელეთ სვლა. მიწა მცენარეებით იყო დაფარული, სიბნელეში რომ ვერ ვარჩევდით. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გავირბინეთ და სველ ფოთლებზე დავეცით, ერთმანეთს ჩახუტებული, წვრილი წვიმა კი ისევ ცრიდა აუჩქარებლად, დაბალი და ბნელი ღრუბლები კი ჩვენს თავზე მიქროდნენ. მთვარე სიბნელეს ებრძოდა, ხან ამოყვინთავდა, ხან მიიმალებოდა, ასე რომ, ხან მის შუქში ვიყავით, ხან ისევ წყვდიადში ვეფლობოდით. ისე ძლიერ გვაძაგძაგებდა, რომ კბილს კბილზე ვცემდით და ვიცინოდით. საღამოს თხელი კრეპის კაბა მეცვა და მეტი არაფერი. პოლმა ქურთუკი გაიძრო და მომაცვა, დავწექით. ჩახუტებული ვიწექით, ტანი ორივეს გვი-

ხურდა, გარშემო კი ყველაფერი ცივი და სველი იყო. პოლმა, რომელმაც ასეთ სიტუაციაშიც კი შეინარჩუნა ქცევის თავისი სტილი, შენიშნა:

- აქამდე ეს არასდროს გამიკეთებია, ძვირფასო ანა, და განა მეტად გონივრული არაა, შენსავით გამოცდილი ქალი რომ შევარჩიე?

გამეცინა. თუმცა, ჭკვიანები სრულიადაც არ გვეთქმოდა, საამისოდ მეტისმეტად ბედნიერად ვგრძნობდით თავს. რამდენიმე საათში სიბნელე ოდნავ გაიფანტა, ჯონის პიანინოს ცალკეული ჰანგები, სასტუმროდან რომ მოისმოდა, მიჩუმდა. მაღლა ავიხედეთ და დავინახეთ, ქარს ღრუბლები გაერეკა და ცაზე ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. წამოვდექით, გავიხსენეთ, საიდან ისმოდა მუსიკის ხმა და ჩვენი ჭკუით სასტუმროსკენ წავედით. ბორძიკით მივიკვლევდით გზას მაღალ ბალახსა და ბუჩქნარში, ხელჩაკიდებულები მივდიოდით, ხელები გვიხურდა, სახეზე კი ცრემლები და მცენარეების სისველე გვქონდა. სასტუმროს ვერ ვაგნებდით, ეტყობა, ქარს ხმა, სადღაც განზე მიჰქონდა. სიბნელეში ვეცემოდით, ვდგებოდით, ისევ მივიწევდით სადღაც აღმართში და ბოლოს მომცრო კოპის თავზე აღმოვჩნდით. გარშემო მრავალი მილის მანძილზე არაფერი იყო, გარდა მდუმარე წყვდიადისა და ვარსკვლავების ვერცხლისფერი ციმციმისა. გვერდიგვერდ ჩამოვსხედით სველ გრანიტის შვერილზე და ჩახუტებულებმა რიჟრაჟს დავუწყეთ ლოდინი. ისე დავსველდით, გავიყინეთ და დავიღალეთ, რომ ხმასაც კი ვერ ვიღებდით. ვისხედით ლოყებმიდებულები და ველოდებოდით.

არასოდეს ვყოფილვარ ასე ბედნიერი, შლეგურად და მტკივნეულად ბედნიერი, როგორც მაშინ. ეს განცდა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერ ვიჯერებდი. მახსოვს, ჩემს თავს ვეუბნებოდი: „აი,

ესაა, ეს ყოფილა ბედნიერება“, თუმცა, იმავდროულად, მიკვირდა, რომ ამდენი უბედურებიდან და სიმახინჯიდან ამოიზარდა. და მთელი ამ ხნის განმავლობაში გაყინულ, ერთმანეთზე მიკრულ სახეებზე მხურვალე ცრემლი გვდიოდა.

დიდი ხნის შემდეგ წყვდიადში ჩვენ თვალწინ ალისფერი ნათელი შეიჭრა და იქიდან თითქოს ჩვენკენ გამოცურდა პეიზაჟი: მდუმარე, რუხი, ნატიფი. სასტუმრო, რომელსაც ზემოდან ვერც კი იცნობდი, ნახევარი მილის დაშორებით აღმოჩნდა და სრულიად სხვა მხარეს, ვიდრე გვეგონა. მთლიანად სიბნელეში იყო ჩაძირული, ეული შუქიც კი არსად კრთოდა. და მაშინღა დავინახეთ, რომ კლდის შვერილი, რაზეც ვისხედით, მომცრო გამოქვაბულის გვერდით იყო, რომლის უკანა კედელი ბუშმენების ნახატებს დაეფარა. ცინცხალი ნახატები იყო, ამ ბინდბუნდშიც კი ბრწყინავდნენ, ოღონდ ძლიერ დაზიანებული და შებღალული. ქვეყნის იმ ნაწილში, სადაც ვიყავით, ასეთი ნახატები ხშირად შეგხვდებოდა, მაგრამ უმრავლესობა დაზიანებული ან განადგურებული იყო, რადგან თეთრკანიანი დეგენერატები ქვებს უშენდნენ, მათი ფასი არ იცოდნენ. პოლმა ცხოველებისა და ადამიანების მომცრო, ფერად, დამსკდარ-დაბზარულ ფიგურებს გახედა და თქვა:

- ბრწყინვალე კომენტარია ყველაფრისა, რაც ხდება, ძვირფასო ანა, თუმცა ახლა გამიჭირდებოდა სიტყვების შერჩევა, რომ ამეხსნა, რატომ.

მაკოცა, უკანასკნელად, ავდექით და ფერდობზე აუჩქარებლად დავიწყეთ დაშვება, სველ ბალახსა და ფოთლებში ფეხი გვერეოდა. სისველისგან ჩემი კრეპის კაბა დაპატარავდა, მუხლებსაც კი აღარ მიფარავდა და ძალზე გვახალისებდა, რომ ახლა მხოლოდ პატარ-პატარა ნაბიჯებით შემეძლო სიარული. ძა-

ლიან ნელა მივუყვებოდით გზას, სასტუმროსთან მივბორიალ-დით, მერე კი შენობასთან, სადაც საძინებელი ოთახები იყო და იქ, ვერანდაზე, მისის ლეტიმორი დავინახეთ. იჯდა და ტიროდა. საძინებლის კარი შეღებული იყო, იატაკზე, კართან, მისტერ ლე-ტიმორი იჯდა, ჯერ კიდევ მთვრალი, და გამობრუჟული მეთოდუ-რად და აუჩქარებლად იმეორებდა:

- ბოზი ხარ. მახინჯი ბოზი. ბერწი კახპა.

ასეთი რამ, როგორც ჩანდა, ადრეც მომხდარა. მისის ლეტი-მორმა თავი ასწია, ორივე ხელით თავისი მშვენიერი ჟღალი თმა უკან გადაიყარა, - ტირილისგან დაუშნოებული სახე დავინახეთ, ცრემლები ნიკაპზე ჩამოსდიოდა. მის ფეხთით ძაღლი მოკუნტუ-ლიყო, ჩუმად წკმუტუნებდა, დინგი თათებზე ედო, ფუმფულა კუ-დით იატაკს ხვეტდა, აქეთ-იქით ამოძრავებდა, თითქოს ბოდიშს გვიხდისო. მისტერ ლეტიმორმა ყურადღება არც მოგვაქცია. ჩა-წითლებული, საძაგელი თვალები ცოლისთვის მიეშტერებინა:

- უმაქნისი ბერწი კახპა. ქუჩის ბოზი. ბინძური კახპა.

პოლი გამშორდა და საძინებელში შევედი. ბნელოდა, ჰაერი ჩახუთულიყო.

ვილიმ მკითხა:

- სად იყავი?

მივუგე:

- მშვენივრად იცი, სადაც.

- მოდი აქ.

ახლოს მივედი, მაჯაში ხელი მტაცა და მიმიზიდა. მახსოვს, როგორ ვიწექი და როგორ მძულდა იგი და ვერაფრით გამეგო, რატომაა, რომ ეს ერთადერთი შემთხვევა, როცა კი ვილის ჩემ-თან ასე თუ ისე ნორმალური სექსი ჰქონდა, მაინცდამაინც მაშინ

უნდა მომხდარიყო, როდესაც დანამდვილებით იცოდა, ცოტა ხნის წინ სხვასთან ვიწექი.

ამ შემთხვევამ ჩემი და ვილის ურთიერთობას ბოლო მოუღო. ერთმანეთს ვეღარ ვაპატიეთ. არასოდეს გვილაპარაკია იმაზე, რაც იმ ღამით მოხდა, მაგრამ ყოველთვის გვახსოვდა. ჩვენს „ა-სექსუალურ“ ურთიერთთობას სწორედ სექსმა დაუსვა წერტილი.

შემდეგი დღე კვირა იყო და ყველანი ხეების ძირას შევიყარეთ, რკინიგზის ახლოს. ჯორჯი გვერდით, განმარტოებით იჯდა. განადგურებულ ადამიანს ჰგავდა, ბებერსა და მწუხარეს. ღამით ჯექსონმა ცოლ-შვილს ხელი დაავლო და გაქრა. ახლა ისინი ჩრდილოეთისკენ, ნიასალენდში მიდიოდნენ. მათი სახლი, უფრო სწორად, ქოხი, სადაც მუდამ სიცოცხლე ჩქეფდა, ერთ ღამეში გაპარტახებულს და გამოცარიელებულს დაემსგავსა. იავარქმნილი ადგილი, პაუ-პაუს ხეების ჩრდილში.

ჯექსონი, ეტყობა, ძალიან ჩქარობდა და წიწილები ვერ წაიყვანა. სახლთან რამდენიმე ციცარი და მოზრდილი კრუხი, ასევე, პატარა, გაჩხინკული ფრინველები დაბორიალებდნენ, რომელთაც „კაფრების ქათმებს“ ეძახდნენ. იქვე მშვენიერი მამლაყინწა დასეირნობდა, ზიმზიმა შავი და მოყავისფრობუმბულიანი, კუდი მზეზე სხვადასხვაფრად უელვარებდა, მიწას ახალგაზრდა, ძლიერი, თეთრი კლანჭებით ფხოჭნიდა და ხმამაღლა ყიოდა.

- ეს მე ვარ, - თქვა ჯორჯმა მამლის შემხედვარემ. მაიმუნობდა, როგორმე თავი რომ გადაერჩინა.

როდესაც სადილზე სასტუმროში მივბრუნდით, ჩვენთან მისის ბუთბი მოვიდა, ჯიმის გამო ბოდიში რომ მოეხადა. ჩქარობდა, ნერვიულობდა, თვალები აწითლებული ჰქონდა და მიუხედავად იმისა, ჯიმის ისე ვერ უყურებდა, სახეზე ზიზღი არ აღბეჭდვოდა,

ბოდიში გულწრფელად მოუხადა. ჯიმიმ მისი ბოდიში მხურვალე მადლიერებით მიიღო. სულაც არ ახსოვდა, რა მოხდა წინაღამეს, ჩვენ კი არაფერი მოვუყევით. ეგონა, ბოდიშს უხდიდნენ იმ ინციდენტის გამო, ცეკვებზე რომ მოხდა, როცა ჯორჯს წაეცეკვა.

პოლმა იკითხა:

- ჯექსონს რა ბედი ეწია?

მისის ბუთბიმ მიუგო:

- წავიდა, ჯანდაბამდე გზა ჰქონია.

ეს მძიმედ, თავდაჯერებულმა თქვა, ისეთი ხმით, რომელშიც განცვიფრება და ვერდაჯერება ჟღერდა იმისა, რასაც თვითონ ამბობდა. აშკარა იყო, მისის ბუთბი ცდილობდა, გაეცნობიერებინა, რა მოხდა ისეთი, რამაც აიძულა ასე იოლად გაეგდო მსახური, რომელიც თხუთმეტი წელი სულითა და გულით ემსახურებოდა.

- ჩვენთან მისი ადგილის დაკავებისა და სამუშაოს მიღების უამრავი მსურველია, - თქვა მან.

გადავწყვიტეთ, სასტუმრო შუადღისას დაგვეტოვებინა და მეტად იქ აღარც ჩავსულვართ. რამდენიმე დღის შემდეგ პოლი დაიღუპა, ჯიმი კი გერმანიის ცაში ბომბდამშენებზე საფრენად გაემგზავრა. თედმა მალე საფრენოსნო გამოცდა ჩააფლავა და სტენლი ლეტმა უთხრა, სულელი ხარო. ჯონი-პიანისტი კვლავაც უკრავდა წვეულებებზე და ჩვენს მდუმარე, დაინტერესებულ და განყენებულ მეგობრად რჩებოდა.

ჯორჯმა ადგილობრივ ხელისუფლებაში ძველი ნაცნობობა გამოიყენა და ჯექსონის ამბავი გაიგო. თურმე, ოჯახი ნიასალენდში ჩაუყვანია და იქ დაუტოვებია, თვითონ კი მზარეულად დამდგარა ქალაქის ერთ კერძო სახლში. დროდადრო ჯორჯი მის ოჯახს ფულს უგზავნიდა. იმედოვნებდა, იფიქრებენ, ფულს ცოლ-

ქმარი ბუთბი უგზავნისო, რომლებსაც, როგორც ჯორჯი ამტკიცებდა, სავსებით შესაძლებელია სინდისი ქენჯნიდეთო. მაგრამ რატომ უნდა შეეწუხებინა სინდისს? ბუთბის აზრით, მათ ხომ არაფერი ჩაუდენიათ ისეთი, რის გამოც უნდა შერცხვენოდათ.

აი, ასე დასრულდა ყველაფერი.

ეს „ომის საზღვრებისათვის“ მასალად გამოვიყენე. რა თქმა უნდა, ამ ორ „ისტორიას“ საერთო არაფერი აქვს. ცხადად მახსოვს ის წუთი, როდესაც მივხვდი, რომ ამის შესახებ დავწერდი. „მაშოპის“ საძილე კორპუსის კიბის საფეხურზე ვიდექი, გარშემო ყველაფერს მთვარის ცივი, მძიმე, მოციმციმე შუქი ანათებდა. იქ, ევკალიპტების გადაღმა, სადგურზე საბარგო მატარებელი ჩამოდგა, ერთ ადგილას იდგა, სტვენდა და ორთქლის თეთრ ქულებს უშვებდა. მატარებლის შორიახლო ჯორჯის სატვირთო მანქანა იყო, მის უკან კი ფურგონი - სულელური, ყავისფრად შეღებილი კოლოფი, რომელიც უვარგის შესაფუთ ყუთს მოგაგონებდა. იქ ამ დროს ჯორჯი და მარია იყვნენ ხოლმე, თითქოს დავინახე, ქალი როგორ მიიძურწებოდა და როგორ შეიპარა შიგ. ნოტიო, გრილი ყვავილნარი სურნელს აფრქვევდა. საცეკვაო დარბაზიდან ჯონის მიერ როიალზე დაკრული რიტმები მოისმოდა. ზურგს უკან პოლის, ჯიმისა და ვილის ხმა მესმოდა, ხანგამოშვებით კი პოლის ახალგაზრდული გადახარხარება. იმდენად ძლიერმა, ტკბილმა და სახიფათო აღტყინებამ შემიპყრო, რომ შემეძლო კიბიდან პირდაპირ ჰაერში გადამებიჯებინა და მევლო მაღლა, ჩემი შინაგანი სიმთვრალის ძალით ვარსკვლავებამდე ავსულიყავი. ეს მათრობელა აღტყინება, როგორც უკვე ვხვდებოდი, უშრეტი შესაძლებლობების უგუნურებისგან, საშიშროებისგან, ომისა და სიკვდილის იდუმალი, მახინჯი და დამზაფრავი გულისცემისგან მომდინარეობდა, სიკვდილისა, რომე-

ლიც ყველას გვსურდა, გვსურდა ერთმანეთისთვის და საკუთარი თავისთვის.

თარიღი, რამდენიმე თვის შემდეგ.

დღეს ეს ყველაფერი გადავიკითხე,

პირველად მას მერე, რაც დავწერე. ყველაფერი ნოსტალგიითაა გაჟღენთილი, ყოველი სიტყვა ნოსტალგიითაა დამძიმებული, თუმცა როდესაც ვწერდი, მეგონა, „ობიექტური“ ვიყავი. რის გამო მაქვს ნოსტალგია? არ ვიცი. მირჩევნია, მოვკვდე, ვიდრე იმ პერიოდიდან რაიმე მაინც გადავიტანო ხელახლა. და იმდროინდელი „ანაც“ უფრო ჩემს მტერს ჰგავს, - ან მეგობარს, რომელსაც ისე ახლოს იცნობ, რომ დანახვაც კი აღარ გინდა.

წითელი რვეული

მეორე რვეული, წითელი, ერთბაშად დავიწყე, უყოყმანოდ. პირველ გვერდს მკაფიო წარწერა ამშვენებდა: „ბრიტანეთის კომუნისტური პარტია“; სათაურის ქვეშ ორი ხაზი ჰქონდა გასმული, იქვე იყო თარიღი

3 იანვარი, 1950 წელი, და შემდეგ, ქვემოთ:

წინა კვირას მოლიმ შუაღამისას იმის სათქმელად შემომიარა, რომ პარტიის წევრებში პარტიაში მათი ყოფნის შესახებ კითხვების შემცველი ანკეტა გაუვრცელებიათ. გამოყოფილი ყოფილა ადგილიც, სადაც სთხოვდნენ დაწვრილებით მოეთხროთ თავიანთი „ეჭვებისა და მერყეობის“ თაობაზე. მოლიმ მითხრა, როდესაც ამ გრაფის შევსება დავიწყე, მეგონა, რამდენიმე წინადადებას დავწერდი, მაგრამ ცოტა ხანში მივხვდი, „ლამის დისერტაციას რომ ვწერდი, ათობით წყეულ ფურცელსო“. ეტყობოდა, თავის თავზე საშინლად ბრაზობდა.

- რა, აღსარება უნდა ვთქვა? მაგრამ რადგანაც დავწერე, აუცილებლად გავუგზავნი.

ვუთხარი, ეტყობა, ჭკუიდან გადასულხარ-მეთქი.

- დავუშვათ, ბრიტანეთის კომუნისტური პარტია ოდესმე ხელისუფლების სათავეში მოვიდეს და ეს დოკუმენტი არქივში ექნებათ შენახული. თუ შენს ჩამოსახრჩობად მტკიცებულებები დასჭირდებათ, ა, ბატონო, მზამზარეული, თანაც საჭიროზე ასჯერ მეტი.

ალმაცერად, მჟავედ გამიღიმა. ასეთი ღიმილი იცოდა, როცა ასეთ რაღაცებს ვეუბნებოდი ხოლმე. მოლი უცოდველი კომუნისტი ნამდვილად არ გახლდათ. მითხრა:

- ძალიან ცინიკური ხარ.

ვუპასუხე:

- შენც იცი, რომ ეს სიმართლეა. ან შეიძლება გახდეს.

მოლიმ მკითხა:

- თუ ასე ფიქრობ, როგორ ამბობ, რომ პარტიაში შესვლას აპირებ?

ვუთხარი:

- და შენ როგორღა რჩები პარტიაში, თუკი თვითონვე ასე ფიქრობ?

მოლიმ ისევ გამიღიმა, მაგრამ ამჯერად მჟავედ კი არა, ირონიულად და მერე თავი დამიქნია. ცოტა ხანი ჩუმად იჯდა, სიგარეტს ეწეოდა.

- ეს ყველაფერი საოცარია, არა, ანა?

მეორე დილით კი მითხრა:

- შენს რჩევას დავუჯერე და ჩემი ნაწერი დავხიე.

იმავე დღეს ამხანაგმა ჯონმა დამირეკა. მითხრა, გავიგე, პარტიაში შესვლას რომ აპირებთო და ამიტომ ამხანაგ ბილს, რომელიც კულტურის სფეროს კურირებდა, თურმე ჩემთან გასაუბრება სურდა.

- რასაკვირველია, თუ არ გნებავთ, შეგიძლიათ არც შეხვდეთ, - სასწრაფოდ დასძინა ჯონმა, - მაგრამ თქვა, რომ მისთვის მეტად საინტერესო იქნება იმ პირველი ინტელექტუალის გაცნობა, ვინც ცივი ომის დაწყების შემდეგ პარტიაში შემოდის.

ამან იმდენად სარდონიკულად გაიჟღერა, რომ მომეწონა და ვუთხარი, ამხანაგ ბილს შევხვდები-მეთქი. სინამდვილეში ჯერ არც მქონდა გადაწყვეტილი, შევიდოდი პარტიაში თუ არა. ერთ-ერთი მიზეზი შეუსვლელობისა ის იქნებოდა, რომ ისეთ რაღაცაში გარევა არ მიყვარს (მსგავსი რაღაც კი შეიძლება ნებისმიერი რამ იყოს), რაც, ჩემი აზრით, ზიზღის ღირსია. მეორე მიზეზი - ისეთი დამოკიდებულება მაქვს კომუნიზმისადმი, რომ იმას, რასაც სინამდვილეში ვფიქრობ, ვერც ერთ ამხანაგს ვერასოდეს გავუზიარებ. თითქოსდა ეს არგუმენტი გადამწყვეტი უნდა იყოს. თუმცა, როგორც ჩანს, ასე არაა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მრავალი თვის განმავლობაში ჩემს თავს ვეუბნებოდი, ვერაფრით შევალ იმ ორგანიზაციაში, რომელიც უღირსად მიმაჩნია-მეთქი, ისევ და ისევ ვიჭერ თავს იმაზე, რომ თითქმის გადავწყვიტე პარტიაში შესვლა. და ყოველთვის ერთსა და იმავე გარემოებებში, - ეს ორი სახის გარემოებებია: ჯერ ერთი, ეს ხდება ყოველთვის, როცა კი მცირე ხნით მაინც მიხდება ურთიერთობა მწერლებთან, გამომცემლებთან და ა.შ., - მოკლედ, როცა ლიტერატურულ სამყაროში ვტრიალებ. ეს სამყარო იმდენად ყალბია, მანერული, დედაკაცური და კლასობრივი ინტერესებით შეპყრობილი, ან იმდენად ვულგარული, თუკი საქმე მის კომერციულ მხარეს ეხება, რომ ნებისმიერი კონტაქტი მასთან პარტიაში შესვლას მაფიქრებინებს. მეორე - ეს ხდება მაშინ, როცა ვხედავ სიცოცხლის სიყვარულითა და ენთუზიამით აღსავსე მოლის, რომელიც სადღაც მიქრის იმისთვის, რომ რაღაცას ორგა-

ნიზება გაუკეთოს, ან მაშინ, როცა კიბეზე ავდივარ და სამზარეულოდან მესმის ხმები, - და შევდივარ. მეგობრული ატმოსფერო, ადამიანების ურთიერთობა, რომლებიც მხარდამხარ იღვწიან საერთო სიკეთისათვის. თუმცა, ეს მაინც არ არის საკმარისი. ხვალ შევხვდები ამხანაგ ბილს და ვეტყვი, რომ ბუნებით „თანამგზავრი“ ვარ და პარტიაში არ შევალ.

შემდეგი დღე.

შეხვედრა კინგ-სტრიტზეა დანიშნული: ციცქნა ოფისები, ფასადზე - შეჯავშნული მინა. ეს ადგილი რატომღაც არასოდეს შემინიშნავს, არადა, აქ არაერთხელ ჩამივლია. შეჯავშნულმა მინამ ორგვარი განცდა გამოიწვია. ერთი მხრივ - შიშის შეგრძნება: ძალადობის სამყარო, მეორე მხრივ - დაცულობისა: აუცილებლობა დაიცვა ორგანიზაცია, რომელსაც ადამიანები ქვებს ესვრიან. ვიწრო კიბით ავდიოდი და პირველ შეგრძნებაზე ვფიქრობდი: რამდენი ადამიანი შეუერთდა ბრიტანეთის კომპარტიას იმის გამო, რომ ინგლისში ძნელია იგრძნო ძალაუფლების, ძალადობის რეალიები. შესაძლოა, კომპარტია მათთვის გაშიშვლებული ძალაუფლების რეალიათა განსახიერებაა, ჩვენთან მორცხვად რომ არის შენიღბული?

ამხანაგი ბილი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, ებრაელი, სათვალიანი, ჭკვიანი, მუშათა წრიდან გამოსული. ეჭვით მიყურებდა, ცივად, წყვეტილად ლაპარაკობდა, ხმაში ზიზღი იგრძნობოდა. საინტერესოდ მომეჩვენა, რომ მისი ზიზღის საპასუხოდ, რომელსაც თვითონ ვერც კი აცნობიერებდა, ბოდიშის მოხდის მოთხოვნილება მიჩნდებოდა, ლამის ენა დამება. გასაუბრება ერთობ ეფექტური გამოვიდა. ამხანაგი ბილი გააფრთხილეს, რომ მე თითქმის მზად ვარ პარტიაში შესასვლელად და მიუხედავად იმისა, იმის სათქმელად მივედი, შესვლას არ ვაპირებ--

მეთქი, აღმოვაჩინე, რომ ამ სიტუაციას ვიღებ. ვიგრძენი (შესაძლოა, მისი ზიზღნარევი დამოკიდებულების გამო), რომ, ცხადია, ის მართალია, ისინი თავის საქმეს აკეთებენ, მე კი უბრალოდ ვზივარ და ერთადერთი, რასაც ვაკეთებ, ისაა, რომ სინდისის ქენჯნის გამო ვთრთი (თუმცა, რასაკვირველია, არა მგონია, რომ იგი მართალია). უკვე წასვლას ვაპირებდი, როდესაც ამხანაგმა ბილმა უეცრად დაახეთქა:

- ვფიქრობ, ხუთიოდე წლის შემდეგ თქვენ კაპიტალისტური პრესისთვის სტატიების წერას დაიწყებთ, სადაც მონსტრებად გამოგვიყვანთ, როგორც ამას სხვები აკეთებენ.

„სხვებში“, რა თქმა უნდა, ინტელექტუალებს გულისხმობდა, რადგან პარტიაში არსებობს მითი, რომ სწორედ ინტელექტუალები მოდიან და მიდიან. ამ დროს კი სიმართლე ისაა, რომ პარტიული კადრების დენადობა ყველა ფენასა თუ კლასში ერთნაირია. გავბრაზდი. და კიდევ, გული მეტკინა, რამაც განმაიარაღა. ვუთხარი:

- კეთილი, მე ამ საქმეში გამოცდილი ადამიანი ვარ. ახალბედა მოხალისე რომ ვყოფილიყავი, თქვენს დამოკიდებულებას შეეძლო ჩემთვის იმედი გაეცრუებინა.

გამჭოლი, ყინულივით ცივი მზერა მტყორცნა, დიდხანს მიყურა, თითქოსდა მეუბნებოდა: „რა თქმა უნდა, მე თავს ასეთი შენიშვნის უფლებას არ მივცემდი, გამოცდილი ადამიანი რომ არ იყოთ“. ეს თან მესიამოვნა (ასე ვთქვათ, ხროვაში მიმიღეს, უკვე შემეძლო რთულ, ირონიულ სიტყვიერ პაექრობებსა და სხვა მანევრებში მონაწილეობა, რაც მხოლოდ განდობილთათვისაა ნებადართული) და იმავდროულად, უეცრად თავი სრულიად დაცარიელებულად ვიგრძენი. იმდენი ხანია აღარ ვყოფილვარ მსგავს ატმოსფეროში, რომ, ბუნებრივია, გადამავიწყდა, როგო-

რი დაძაბული, სარკასტული, თავის დაცვის სურვილით გაჯერებული სულისკვეთება სუფევდა შიდა წრეებში. თუმცა იმ წუთებში, როდესაც პარტიაში შესვლას ვფიქრობდი, სავსებით ვაცნობიერებდი, რას წარმოადგენდა ეს შიდა წრეები. ყველა კომუნისტი, ვისაც კი ვიცნობდი, - ვგულისხმობ იმათ, ვისაც ოდნავი ინტელექტი მაინც ჰქონდა, - ცენტრის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, მიაჩნდა, რომ პარტიას მოაჯდა ხისტი ბიუროკრატების ჯგუფი, რომელიც მართავს, ნამდვილი მუშაობა კი ამ ცენტრის არსებობის მიუხედავად მიმდინარეობს. აი, მაგალითად, რა თქვა ამხანაგმა ჯონმა, როცა პირველად ვუთხარი, შეიძლება პარტიაში შევიდე-მეთქი.

- გაგიჟებულხართ და ეგაა. მათ სძულთ და ეზიზღებათ მწერლები, რომლებიც პარტიაში შედიან. ისინი მხოლოდ იმას სცემენ პატივს, ვინც არ შედის.

„ისინი“ ნიშნავდა „ცენტრს“. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით იყო ნათქვამი, თუმცა მეტად სახასიათო ხუმრობა კი გახლდათ. მეტროში საღამოს გაზეთს ვკითხულობდი. თავდასხმები საბჭოთა კავშირზე. რაც იქ ეწერა, სავსებით დამაჯერებელი მეჩვენა, მაგრამ თვით ტონი - გაბოროტებული, მოზეიმე, ნიშნის მოსაგები, - იმდენად ამაზრზენი იყო, გამიხარდა, პარტიაში რომ შევედი. სახლში წავედი, მოლისთან რომ მელაპარაკა. შინ არ დამხვდა, რამდენიმე საათი მოწყენილმა გავატარე, მიკვირდა, რამ შემიყვანა პარტიაში-მეთქი. როცა მოვიდა, ყველაფერს მოვუყევი, ბოლოს ვუთხარი:

- რა სასაცილოა, მინდოდა, მეთქვა, არ შევდივარ პარტიაში-- მეთქი, არადა, შევედი.

მოლიმ მომჟავოდ, მსუბუქად გაიღიმა (ასეთი ღიმილი მხოლოდ პოლიტიკაზე საუბრის დროს იცოდა, სხვა არაფერზე, მოლის ხასიათში სიმჟავე საერთოდაც არ არსებობდა):

- მეც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ შევედი.

ადრე ამაზე ერთხელაც კი არ მიუნიშნებია, ყოველთვის უაღრესად ლოიალური იყო ხოლმე. ამიტომ სახეზე, ალბათ, ძლიერი გაოცება გამომეხატა. მოლიმ დასძინა:

- ახლა, როცა უკვე პარტიაში ხარ, შემიძლია გითხრა...

იგულისხმებოდა, რომ უცხო ადამიანს სიმართლე არ უნდა სცოდნოდა.

- პარტიულ წრეებთან ისე დიდხანს ვიყავი ახლოს, რომ...

თუმცა, მოლის ახლაც არ შეეძლო გულახდილად დაესრულებინა ფრაზა და ეთქვა: „იმდენი რამ ვიცოდი, შეიძლებოდა შესვლა არც მომნდომებოდა“. ამის ნაცვლად გაიღიმა, უფრო სწორად, ალმაცერად ჩაიცინა.

- იმ მშვიდობისმყოფელ რაღაცაში მუშაობა იმიტომ დავიწყე, რომ იმ რაღაცებისა მჯეროდა. იქ ყველა უკვე პარტიის წევრი იყო. და ერთხელ იმ ძუკნა ელენმა მკითხა, რატომ არა ხარ პარტიაშიო. რაღაცნაირად უაზროდ ვუპასუხე. შეცდომა მომივიდა, იმიტომ, რომ გაბრაზდა. ორიოდე დღის მერე ელენმა მითხრა, გავრცელდა ხმა, თითქოს პარტიაში იმიტომ არ შეხვედი, აგენტი ხარო. მგონი, ეს ჭორი თვითონ გაავრცელა. ისე კი სასაცილოა: ხომ ცხადია, აგენტი რომ ვყოფილიყავი, პარტიაში სწორედაც შევიდოდი, - მაგრამ ისე მომეშხამა გუნება, რომ წავედი, ანკეტა შევავსე და ხელიც მოვაწერე...

მოლი იჯდა, სიგარეტს ერთობ უბედური გამომეტყველებით ეწეოდა, მერე კი თქვა:

- ეს ყველაფერი საოცარია, არა?

გატრიალდა და დასაძინებლად წავიდა.

5 თებ., 1950

როგორც მოველოდი, პოლიტიკურ დისკუსიებს, რომელთა დროსაც შემიძლია ვთქვა, რასაც მართლა ვფიქრობ, მხოლოდ იმ ადამიანებთან ვმართავ, რომლებიც პარტიაში იყვნენ და მისი რიგები დატოვეს. მათ აშკარად ვეცოდები: ეტყობა, გონება დაებინდა, პარტიაში რომ შევიდაო.

19 აგვისტო, 1951

ჯონთან ერთად პირველად ვისადილე მას მერე, რაც პარტიაში შევედი. ისე დავიწყე ლაპარაკი, როგორც ჩემს ძველ მეგობრებთან, ყოფილ პარტიელებთან: გულახდილად ვაღიარებდი იმას, რაც საბჭოთა კავშირში ხდებოდა. ჯონმა უმალ საბჭოთა კავშირის დაცვა დაიწყო, თანაც ერთობ საძაგლად. იმავე საღამოს ჯოისთან ვივახშამე, „ნიუ სტეიტსმენის“ წრეებიდან, და საბჭოთა კავშირის მწვავედ გაკრიტიკება დაიწყო. იმავე წამს აღმოვაჩინე, რომ ვთამაშობ სცენას „საბჭოთა კავშირის მექანიკური დაცვა“, ზუსტად იმას, რომელსაც ვერ ვიტან სხვისი შესრულებით. ჯოისი თავის აზრზე რჩებოდა, მე - ჩემსაზე. მიაჩნდა, რომ კომუნისტს ელაპარაკებოდა, ამიტომ კლიშეებს მიმართა. მეც შესაბამისად ვპასუხობდი. ორჯერ ვცადეთ ეს ყველაფერი შეგვეწყვიტა და სხვაგვარად გველაპარაკა, მაგრამ არ გამოგვივიდა, - ჰაერი თითქოს მტრული მუხტით იყო გაჯერებული. საღამოს მაიკლმა შემოიარა და ჯოისთან ინციდენტზე მოვუყევი. ვუთხარი, მიუხედავად იმისა, რომ მე და ჯოისი ძველი მეგობრები ვართ, შეიძლება აღარასოდეს შევხვდეთ ერთმანეთს. თუმცა, ჩემი შეხედულებები იოტისოდენაზეც არ შეცვლილა, მას მერე, რაც პარტიის წევრი გავხდი, ჯოისისთვის რაღაცის განსახიერებად ვიქეცი, რის მიმართაც ვალდებულია, გარკვეული დამოკი-

დებულება ჰქონდეს, ჰოდა, მეც შესაბამისი რეაქციით ვუპასუხე-- მეთქი. მაიკლმა მკითხა:

- აბა, რას ელოდებოდი?

აღმოსავლეთევროპელი გადასახლებულის, ყოფილი რევოლუციონერის, ნამდვილ პოლიტიკურ ბრძოლაში გამოწრთობილის პოზიციიდან მელაპარაკებოდა მე, „პოლიტიკურად უმწიფარს“. მეც ამ ამპლუას შესაფერისად ვპასუხობდი, ლიბერალურ სიბრიყვეებს ვაფრქვევდი. ეს მართლაც გასაოცარია, - როლები, რომლებსაც ვთამაშობთ, და ის, თუ როგორ ვთამაშობთ ამ როლებს.

15. სექტ., 1951

ჯეკ ბრიგსის საქმე. „თაიმსის“ ჟურნალისტი. „თაიმსიდან“ ომის დაწყებისას წავიდა. იმ პერიოდში პოლიტიკისგან განზე იდგა. ომის დროს ბრიტანეთის დაზვერვასთან თანამშრომლობდა. სწორედ მაშინ მოახდინეს გავლენა კომუნისტებმა ბრიგსზე და მან მემარცხენეობისკენ სტაბილურად იწყო გადახრა. ომის მერე უარი თქვა რამდენიმე მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე კონსერვატიულ გამოცემებში, მუშაობდა მემარცხენე გაზეთში მცირე ჯამაგირზე. ან, შესაძლოა, ეს გაზეთი მხოლოდ თავს აჩვენებდა, თითქოს მემარცხენე იყო, რადგან, როდესაც ბრიგსმა ჩინეთზე სტატიის დაწერა მოინდომა, მემარცხენეთა იმ ბურჯმა, რექსმა, ისეთი პირობები შეუქმნა, რომ იძულებული შეიქნა, გაზეთი დაეტოვებინა და საარსებო წყაროს გარეშე დარჩა. და იმ დროს, როცა პრესის სამყაროში კომუნისტად მიაჩნდათ და სამსახურშიც არავინ იღებდა, მისი სახელი უნგრეთში, სასამართლო პროცესზე ამოტივტივდა, სადაც ბრიტანეთის აგენტად გამოაცხადეს, რომელიც კომუნიზმის საწინააღმდეგო ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა. ჯეკი შემთხვევით შემხვდა, მძიმე

დეპრესიაშია - პარტიულსა და ახლოპარტიულ წრეებში ამბობენ, რომ „კაპიტალისტების ჯაშუშია“ და თავიდანაც ყოფილა. მეგობრები ეჭვით უყურებენ. მწერალთა ჯგუფის შეკრებაზე ვიმსჯელეთ ამის შესახებ და გადავწყვიტეთ, მივმართოთ ბილს, ამ საზიზღარ კამპანიას ბოლო რომ მოვუღოთ. მე და ჯონი ბილთან მივედით და ვუთხარით, რომ ეს აშკარა სიცრუეა, რომ ჯეკ ბრიგსი არასოდეს ყოფილა და ვერც იქნებოდა აგენტი. მოვითხოვეთ, რამე ეღონა. ბილი მეტად თავაზიანია, მოღიმარი. გვითხრა, რომ ყველაფერს გაარკვევს, „ცნობებს“ მოიძიებს და შეგვატყობინებს. „ცნობების“ ხსენებაზე არაფერი გვითქვამს, მშვენივრად ვიცოდით, რომ ამის მიღმა საკითხის პარტიულ წრეებში, „ერთი სართულით მაღლა“ განხილვას გულისხმობდა. ბილისგან არაფერი ისმოდა. კვირას კვირა მისდევდა. ისევ მივაკითხეთ. ბილი კვლავ მეტად თავაზიანი იყო. გვითხრა, ვერაფერს გავაწყობო. რატომ? „საქმე ის არის, რომ ამგვარ საჩოთირო საქმეებში, როდესაც ეჭვის ნატამალი მაინც არის“... მე და ჯონი გავცხარდით, მოვთხოვეთ, ეთქვა: პირადად ფიქრობს თუ არა, რომ ჯეკი ოდესმე შეიძლებოდა აგენტი ყოფილიყო? ბილი შეყოყმანდა, აშკარად არაგულწრფელ, მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს მოჰყვა იმაზე, რომ ყოველთვის არის შესაძლებლობა, ნებისმიერი ადამიანი აგენტი აღმოჩნდეს, „ჩემი ჩათვლით“. და ეს ყველაფერი ღიმილით - კეთილგანწყობით, მეგობრულად. მე და ჯონი გავტრიალდით და გავედით, - დათრგუნვილები, დაბოღმილები, მათ შორის, საკუთარ თავზე. ჯეკ ბრიგსს რამდენჯერმე შევხვდით, მიგვაჩნდა, რომ ვალდებული ვიყავით ეს გაგვეკეთებინა და სხვებსაც ძალა დავატანეთ, მასთან ურთიერთობა ჰქონოდათ. მაგრამ მითქმა-მოთქმა და ბოროტი ჭორების გავრცელება არ შეწყვეტილა. ჯეკ ბრიგსი უმძიმეს დეპრესიაშია, და ასევე,

სრულ იზოლაციაში — მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც. თანაც მომხდარის ირონია იმან გააღრმავა, რომ ჩინეთის შესახებ სტატიის გამო ატეხილი სკანდალიდან სამი თვის შემდეგ, - სტატიისა, რომელზეც რექსმა თქვა, თავისი ტონალობით კომუნისტური იქნებაო, - რესპექტაბელურმა გაზეთებმა ზუსტად იმ ტონში დაწერილი სტატიების ბეჭდვა დაიწყეს, და მაშინ კი რექსმა, ამ გაბედულმა კაცმა, გადაწყვიტა, რომ ამ სტატიის გამოქვეყნება სწორედაც დროული იქნებოდა. ჯეკი, რომელიც ამ ყველაფერს მეტად მწარედ განიცდიდა, თავის თავში ჩაიკეტა, - უარი განუცხადა.

ჩვენს დროში ეს სიუჟეტი, მეტ-ნაკლები მელოდრამატული ვარიაციებით, ჩვეულებრივია ნებისმიერი კომუნისტი ინტელექტუალისთვის ან ადამიანისთვის, რომელიც კომუნისტებთან ახლოს დგას.

3 იანვ., 1952

ამ რვეულში ძალიან ცოტას ვწერ. რატომ? ვხედავ, რომ რასაც ვწერ, ყველაფერი პარტიის კრიტიკას შეიცავს. თუმცა, ამისდა მიუხედავად, ჯერაც პარტიაში ვრჩები. ასევე, მოლიც.

* * *

გუშინ პრაღაში მაიკლის სამი მეგობარი ჩამოახრჩვეს. მთელი საღამო მელაპარაკა, - უფრო სწორად, თავის თავს ელაპარაკა. ჯერ ამიხსნა, რატომაა შეუძლებელი, ეს სამი კაცი კომუნიზმის მოღალატე ყოფილიყო. შემდეგ ამიხსნა, - თანაც ერთობ დიდი პოლიტიკური ოსტატობა გამოავლინა, - თუ რატომაა შეუძლებელი, პარტია აყალბებდეს მტკიცებულებებს უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ და სიკვდილით სჯიდეს მათ; რომ, შესაძლოა, ამ სამმა, უნებლიეთ, „ობიექტურად ანტირევოლუციური პოზიცია დაიკავა“. ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, სანამ არ ვუთხარი, ძილის დროა-მეთქი. მთელი ღამე ძილში ტიროდა. რამდენჯერმე გამეღვიძა, თითქოს ვიღაცამ შემაჯანჯღარა, და ყოველ ჯერზე ვხედავდი, რომ ტიროდა, ბალიშს ცრემლებით ასველებდა. დილით ვუთხარი, რომ ტიროდა. გაბრაზდა - თავის თავზე. როდესაც მაიკლი სამსახურში მიდიოდა, გავხედე - ბებერ კაცს ჰგავდა, რუხი, დანაოჭებული სახით - მექანიკურად დამიქნია თავი, ძალიან შორს იყო, იმ სამყაროში ჩაკეტილი, სადაც თავის თავს კითხვებს უსვამდა. მე კი ამ დროს როზენბერგების შეწყალების თხოვნაზე ვმუშაობ. შეუძლებელია ადამიანებს აიძულო, ამ თხოვნას ხელი მოაწერონ, გარდა პარტიის წევრებისა და პარტიასთან ახლო მდგომი ინტელექტუალებისა (ვითარება ისეთი არაა, როგორიც საფრანგეთში; ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ჩვენთან ზოგადი სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა; ყველა დაძაბულია. ეჭვიანი, დამფრთხალი. კიდევ ცოტაც და, საბოლოოდ გადავალთ ჭკუიდან და მაკარტიზმის საკუთარ ნაირსახეობაში აღმოვჩნდებით. პარ-

ტიის წევრები ხშირად მეკითხებიან, „რესპექტაბელურ“ ინტელექტუალებზე რომ არაფერი ვთქვათ, რატომ ვშუამდგომლობ როზენბერგებს და არა იმათ, ვისაც პრაღაში ცილი დასწამეს? ირკვევა, რომ ლოგიკური პასუხი არა მაქვს, ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის არის, რომ ვიღაცამ ხომ უნდა ითავოს როზენბერგების დაცვა. ყველაფერი მეზიზღება - საკუთარი თავიცა და ისინიც, ვინც თხოვნაზე ხელს არ აწერენ; მეჩვენება, რომ ეჭვებით გაჯერებულ ზიზღის ატმოსფეროში ვცხოვრობ. იმ საღამოს მოლი უცებ ატირდა, ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო: ჩემი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, უდარდელად მიყვებოდა, როგორ გაატარა დღე და უეცრად ტირილი აუვარდა. ჩუმად, უღონოდ. რაღაც გამახსენდა, მაგრამ იმწუთას ვერ მივხვდი, რა - რა და, რასაკვირველია, მერიროუზი, რომელმაც უცებ ცრემლები გადმოაფრქვია. სახეზე ღვარად სდიოდა იქ, „მაშოპის“ დიდ ოთახში, როცა ამბობდა: „ჩვენ გვჯეროდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ახლა კი ვიცით, რომ არ იქნება“. მოლიც ზუსტად ასე ტიროდა. იატაკზე ყველგან გაზეთები მიყრია, სადაც სტატიებია როზენბერგებსა და აღმოსავლეთ ევროპის მოვლენებზე.

* * *

როზენბერგები ელექტროსკამზე სიკვდილით დასაჯეს. ღამით ცუდად გავხდი. დილით გავიღვიძე და ჩემს თავს ვკითხე: რატომაა, რომ როზენბერგების საქმე ასეთ გრძნობებს იწვევს ჩემში, ხოლო კომუნისტურ ქვეყნებში ყალბი ბრალდებების გამო მხოლოდ უმწეო სევდას განვიცდი-მეთქი? პასუხი ერთობ ირონიანარევია. მე ვგრძნობ პასუხისმგებლობას იმაზე, რაც დასავლეთში ხდება და სრულიად არ ვგრძნობ იმაზე, რაც ხდება იქ. და მაინც ვრჩები პარტიაში. რაღაც ამის მსგავსი მოლის ვუთხარი, მან კი მომიჭრა, ძალიან მოკლედ და საქმიანად (რაღაც საორგანიზაციო დავიდარაბაში გახლართულიყო): „ჰო, ჰო, მესმის, მაგრამ ახლა დაკავებული ვარ“.

* * *

კესტლერი. მისი ნათქვამიდან ზოგიერთი რამ გონებაში შემომრჩა, - კერძოდ, ნებისმიერი კომუნისტი, რომელიც ზოგიერთი მოვლენის მერე პარტიაში მიანც დარჩა, ასე თავისი პირადი მითიდან გამომდინარე მოიქცა. რაღაც ამდაგვარი უწერია. და, აი, ჩემს თავს ვეკითხები: რაში მდგომარეობს ჩემი პირადი მითი? გულისხმობს ის თუ არა, რომ მიუხედავად იმისა, საბჭოთა კავშირზე კრიტიკული გამონათქვამების უმრავლესობა სიმართლეა, იქ აუცილებლად უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამ პერიოდის გადაგორებას უცდიან და იმედი აქვთ, მოვლენების ახლანდელ მიმდინარეობას შემოაბრუნებენ და ისევ ჭეშმარიტი სოციალიზმისკენ წავლენ? ადრე ამას ასე მკაფიოდ ვერ ვაყალიბებდი. რასაკვირველია, არ არსებობს ისეთი პარტიელი, რომელსაც ამას ვეტყოდი, თუმცა, ყოფილ პარტიელებთან სწორედ ამაზე ვლაპარაკობ. შეიძლება დავუშვათ, ყველა პარტიელს, ვისაც ვიცნობ, ამის მსგავსი მითი აქვს, საჯარო განხილვას რომ არ ექვემდებარება, თანაც ყველას - საკუთარი? ეს მოლის ვკითხე. უხეშად გამაწყვეტინა:

- იმ ბინძურ კესტლერს რატომ კითხულობ?

ამგვარი კომენტარი საუბრის მის ჩვეულ მანერას იმდენად სცილდებოდა, იქნებოდა ეს პოლიტიკურსა თუ ნებისმიერ სხვა თემაზე, რომ ძალზე გამიკვირდა, შევეცადე მასთან ამ საკითხზე მემსჯელა. მაგრამ მოლის ჩემთვის არ სცხელოდა. როდესაც საორგანიზაციო საქმეებითაა დაკავებული (ამჟამად კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნების ნაწარმოებთა გრანდიოზულ გამოფენას აწყობს), საქმეში იმდენად არის ხოლმე ჩაფლუ-

ლი, სხვა რამეზე ვეღარ ფიქრობს. ახლა სრულიად სხვა ამ-
პლუაშია. დღეს ვიფიქრე პირველად, რომ როდესაც მოლისთან
პოლიტიკაზე ლაპარაკს ვიწყებ, არ ვიცი, ვინ მიპასუხებს: უემო-
ციო, ირონიული, დაბრძენებული ქალი, პოლიტიკით რომაა და-
კავებული თუ პარტიული ფანატიკოსი, რომლის გამოსვლები,
ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მანიაკალურად ჟღერს. და
ეს ორი პიროვნება თვით ჩემშიც ცხოვრობს. აი, მაგალითად, ქუ-
ჩაში რედაქტორი რექსი შემხვდა. ეს გასულ კვირას მოხდა. მას
მერე, რაც ერთმანეთს მივესალმეთ, გამომეტყველება ღვარ-
ძლიანი და გაბოროტებული გაუხდა, და მივხვდი, რომ ახლა
პარტიის ძაგებას დაიწყებდა, მე კი მის დაცვას შევუდგებოდი.
ჩემთვის აუტანელი იყო თვით აზრი, რომ ახლა მისი გაავებული
ლაპარაკისთვის უნდა მესმინა და ჩლუნგი რეაგირება მომეხდი-
ნა. ამიტომ რაღაც მოვიმიზეზე და სასწრაფოდ დავემშვიდობე.
პრობლემა ისაა, როდესაც პარტიაში შედიხარ, ვერ ხვდები, რომ
მალე ვეღარ ნახავ ვერავის, ვინც არაა კომუნისტი ან ყოფილი
კომუნისტი და ვინც შეძლებს, ამ საშინელი დილეტანტური გაბო-
როტების გარეშე გელაპარაკოს. და იზოლაციაში ექცევი. აი,
ამიტომაც, რასაკვირველია, პარტიიდან გავალ.

* * *

გუშინ დამიწერია, რომ პარტიიდან გავალ. საინტერესოა, როდის და რის საფუძველზე.

* * *

ჯონთან ერთად ვივახშმე. იშვიათად ვხვდები - პოლიტიკური განხეთქილების ზღვარზე ვართ. ვახშმის დასასრულს მითხრა:

- მიზეზი, რომლის გამოც პარტიას ვტოვებთ, ის არის, რომ ჩვენთვის აუტანელი იქნებოდა ჩვენს იდეალებსა და მსოფლიოს გადაკეთების იმედთან დამშვიდობება.

ერთობ ბანალურად ჟღერს. თანაც, საინტერესოა, რადგან იგულისხმება, რომ ჯონს სჯერა და მეც უნდა მჯეროდეს, თითქოს მხოლოდ კომუნისტურ პარტიას ძალუძს მსოფლიოს გარდაქმნა უკეთესობისკენ. არადა, არც ერთ ჩვენგანს ამის არ სჯერა. გარდა ამისა, მისმა ნათქვამმა კიდევ იმიტომაც გამაოცა, რომ ეწინააღმდეგებოდა ყველაფერს, რასაც მანამდე ლაპარაკობდა (მე ვამტკიცებდი, რომ „პრაღის საქმე“ აშკარად ფალსიფიცირებულია, ჯონი კი ამბობდა, პარტია თუმცა კი ზოგჯერ ცდება, მაგრამ ასეთი აშკარა ცინიზმი მაინც წარმოუდგენელიაო). შინ წავედი. მეგონა, გულის სიღრმეში იმედი მქონდა, როდესაც პარტიაში შევიდოდი, გავმთლიანდებოდი, ბოლო მოეღებოდა იმ გაორებას, დაუკმაყოფილებლობას, შინაგან განხეთქილებას, ჩვენს

ცხოვრებას რომ ახასიათებდა. არადა, პარტიაში შესვლამ ეს განხეთქილება კიდევ უფრო გააღრმავა, - და საქმე ის კი არაა, რომ ეკუთვნი ორგანიზაციას, რომლის ნებისმიერი დოგმატი, ყოველ შემთხვევაში, ქაღალდზე, ეწინააღმდეგება იმ წარმოდგენებს, რომლებიც გაბატონებულია საზოგადოებაში, სადაც ცხოვრობ, არამედ მიზეზი რაღაც უფრო სიღრმისეულშია საძიებელი. ან, ყოველ შემთხვევაში, გასაგებად უფრო რთულში. ვცადე ამაში გარკვევა, მაგრამ ყოველ ჯერზე ჩემი გონება სიცარიელეში ეშვებოდა და ბოლოს დავიბენი, ავირ-დავირიე, არაქათი გამომეცალა. მაიკლი ძალზე გვიან მოვიდა, მოვუყევი, რაზეც ვფიქრობდი და რის გაგებას ვცდილობდი. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ „შემლოცველია“, ადამიანთა სულების მკურნალი. მაიკლმა ერთობ უემოციოდ, თან ირონიულად შემომხედა, და მითხრა:

- ჩემო ძვირფასო ანა, ადამიანის სული, როდესაც ის სამზარეულოში ზის ან როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ორადგილიან საწოლზე, ისედაც საკმაოდ რთული რამაა თავისთავად, ჩვენ მასზე პრაქტიკულად არაფერი ვიცით. შენ კიდევ ზიხარ აქ და განიცდი, რომ ადამიანის სულისა ვერაფერი გაგიგია, ადამიანისა, რომელიც მსოფლიო რევოლუციის შუაგულშია?

მაშინ ეს აზრები გონებიდან გავაძევე, მაგრამ მაინც დამნაშავედ ვგრძნობდი თავს, რადგან მიხაროდა, რომ ამაზე აღარ ვფიქრობდი.

* * *

მაიკლს ბერლინში გავყევი. ძველი მეგობრების პოვნა უნდოდა, რომელთა გზა-კვალი ომის დროს დაკარგა. ახლა ისინი ნებისმიერ ადგილას შეიძლებოდა ყოფილიყვნენ.

- ალბათ, აღარც არიან ცოცხლები, - თქვა თავისი ახლებური ხმით, რომელიც შეფერილი გახლდათ გადაწყვეტილებით, გულთან ახლოს აღარაფერი მიეტანა. ეს ახალი ხმა პრაღის მოვლენების შემდეგ შეიძინა. აღმოსავლეთი ბერლინი საზარელი ადგილია, უსიხარულო, რუხი, ნანგრევებად ქცეული, უპირველესად კი თვით ატმოსფერო გთრგუნავს: თავისუფლების არარსებობა ჰაერში თითქოს უხილავი შხამივითაა დაღვრილი. აი, ყველაზე სახასიათო ეპიზოდი: მაიკლი შემთხვევით შეეჩეხა იმ ადამიანებს, რომლებსაც ომამდე იცნობდა. მათ იგი მტრულად მიიღეს - მაიკლმა დაინახა თუ არა, მათკენ გაქანდა, რომ ყურადღება მიეპყრო, მაგრამ მათი გამომეტყველება შენიშნა და უმალ თავის თავში ჩაიკეტა. ეს ყველაფერი კი იმის გამო იყო, რომ იცოდნენ, მაიკლი მეგობრობდა იმათთან, ვინც პრაღაში ჩამოახრჩვეს, - ყოველ შემთხვევაში, სამ მათგანთან. ისინი მოღალატეები აღმოჩნდნენ, ეს კი ნიშნავდა, რომ მაიკლიც მოღალატეა. მაიკლმა სცადა მათთან საუბრის გაბმა, ძალზე მშვიდად, თავაზიანად. ისინი ძაღლების თუ რაღაც სხვა ცხოველების ხროვას ჰგავდნენ, ერთმანეთს რომ ეკვრიან შიშის დასაძლევად და მზად არიან უცხოს ყველანი ერთად ეცნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ქალმა, რომლის თვალებში ბოროტი ცეცხლი ენთო, იკითხა:

- რას ნიშნავს, ამხანაგო, თქვენი ძვირფასი კოსტიუმი?

მაიკლი ძალზე ცუდად იცვამს, ტანსაცმელზე ფულს პრაქტიკულად არ ხარჯავს. მიუგო:

- ირენა, ეს ყველაზე იაფფასიანი კოსტიუმია, რომელიც კი შეიძლება ლონდონში ნახო.

ქალს წამსვე ეჭვიანი გამომეტყველება გაუხდა, თავის ამხანაგებს გახედა, მერე გამხნევდა და მოზეიმე ხმით ჰკითხა:

- აქ რისთვის ჩამოხვედი? კაპიტალისტური ჭირის გასავრცელებლად? ამ შენს ჭინჭებს უნდა ვუყუროთ და თანაც იმაზე ვიფიქროთ, რომ ჩვენს ქვეყანაში საყოფაცხოვრებო საქონელი სანთლით საძებარია.

მაიკლი გაოცებისგან წამით გაშტერდა, მერე კი კვლავაც ირონიულად უპასუხა, ლენინსაც კი ესმოდა, რომ ახალგაჩენილ კომუნისტურ საზოგადოებაში შეიძლება საწყის ეტაპზე საყოფაცხოვრებო საქონლის ნაკლებობა იყოს. ინგლისი, „და ეს შენ იცი, ირენა“, - ერთობ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანაა და მშვენივრად არის უზრუნველყოფილი საყოფაცხოვრებო საქონლითო. ირენას აღშფოთებისგან, უფრო კი სიძულვილისგან სახე ეცვალა, დაიჯღანა. მერე შებრუნდა და წავიდა, თანამგზავრებიც მიჰყვნენ. მაიკლმა მხოლოდ ერთი ფრაზა თქვა:

- არადა, ჭკვიანი ქალი იყო.

მოგვიანებით, როცა ამ თემაზე ხუმრობდა, მის ხმაში სიმწარე და დაღლა იგრძნობოდა. მაგალითად, თქვა:

- ანა, წარმოიდგინე, გმირმა კომუნისტებმა სიცოცხლე გაწირეს იმისთვის, რომ შეექმნათ საზოგადოება, სადაც ამხანაგ ირენას შეუძლია შემაფურთხოს იმის გამო, რომ ჩემი კოსტიუმი მისი ქმრის კოსტიუმზე ოდნავ უკეთესია.

* * *

დღეს სტალინი მოკვდა. მე და მოლი სამზარეულოში გულშე-მოყრილი ვისხედით. გაუთავებლად ვიმეორებდი:

- ჩვენ არათანამიმდევრულები ვართ, უნდა გვიხაროდეს. ჩვენ ხომ უკვე რამდენიმე თვეა ერთმანეთს ვეუბნებოდით, ჯობს, მოკვდეს-მეთქი.

მოლიმ მიპასუხა:

- ოჰ, არ ვიცი, ანა, შეიძლება მან არც არაფერი იცოდა იმ სა-შინელებების შესახებ, რაც იქ ხდებოდა.

მერე კი გაიცინა და თქვა:

- ნამდვილი მიზეზი ჩვენი წუხილისა ის არის, რომ ძალიან გვეშინია. გაცილებით ადვილია საქმე ნაცნობ ბოროტებასთან გქონდეს.

- მაგრამ ამაზე უარესი შეუძლებელია.

- ვინ მოგახსენა? ჩვენ, ყველას, ეტყობა, გვჯერა, რომ უკეთე-სობა იქნება. კი მაგრამ, რატომ უნდა იყოს უკეთესობა? ზოგჯერ მეჩვენება, რომ ტირანიისა და ტერორის ახალი ყინულოვანი პე-რიოდი ახლოვდება და ვინ აღუდგება მას - ჩვენ?

როდესაც მოგვიანებით მაიკლი მოვიდა, მოლის სიტყვები გა-დავეცი, რომ შეიძლება სტალინმა არც არაფერი იცოდა; თანაც ვფიქრობდი, რა უცნაურია, რომ ყველას დიდი ადამიანის მოთ-ხოვნილება გვაქვს და რეალობის მიუხედავად, მის სახებას კვლავ და კვლავ აღვადგენთ-მეთქი. მაიკლი დაღვრემილი იყო, დაღლილი ჩანდა. ჩემდა გასაოცრად თქვა:

- არ ვიცი, იქნებ მართლაც არ იცოდა. აი, ესაა სწორედ საქმე: ყველაფერი და ყველგან შეიძლება სიმართლე აღმოჩნდეს, და

არ არსებობს შანსი ნებისმიერი რაღაცის შესახებ სიმართლის შეტყობისა. ყველაფერი დასაშვებია და იმდენად არანორმალური, რომ ყველაფერი შესაძლებელი ხდება.

როცა ამას ამბობდა, რაღაც ავადმყოფური, დაბნეული იერი ჰქონდა, ხმა კი უსიცოცხლო, რაც ახლა ხშირად აქვს ხოლმე. მოგვიანებით თქვა:

- მაშ, ასე, ჩვენ ახლა გვიხარია, რომ სტალინი მოკვდა. არადა, როცა ახალგაზრდა და პოლიტიკურად აქტიური ვიყავი, დიდ ადამიანად მიმაჩნდა. ყველას მიგვაჩნდა.

შემდეგ გაცინება სცადა და დასძინა:

- თავისთავად სულაც არაა ცუდი, რომ გინდა ამ სამყაროში დიდი ადამიანები არსებობდნენ.

შემდეგ თვალებზე ხელი აიფარა, ეს მისი ახალი ჟესტია, თითქოს შუქი თვალს სტკენსო. მითხრა:

- თავი მტკივა. წამო, დავწვეთ, კარგი?

სექსი არ გვქონია, მდუმარედ ვიწექით, გვერდიგვერდ. ძილში მაიკლი ტიროდა. იძულებული გავხდი, გამეღვიძებინა, რადგან კოშმარული სიზმარი სტანჯავდა.

* * *

დამატებითი არჩევნები. ჩრდილოეთი ლონდონი. კანდიდატები - კონსერვატორები, ლეიბორისტები, კომუნისტები. გაიმარჯვეს ლეიბორისტებმა, თუმცა ნაკლები უპირატესობით, ვიდრე წინა არჩევნებზე. როგორც ყოველთვის კომუნისტური პარტიის რიგებში ხანგრძლივი დისკუსიაა - უნდა ვეცადოთ თუ არა, რომ ლეიბორისტული პარტიის კანდიდატთა სიაში მოვხვდეთ. რამდენიმე ასეთ დისკუსიას დავესწარი. ყველა ერთი და იმავე სქემით წარიმართა. არა, ჩვენ არ გვინდა მათ სიებში შესვლა; ჯობს, გაიმარჯვონ ლეიბორისტებმა, ვიდრე კონსერვატორებმა. თუმცა, მეორე მხრივ, თუკი გვჯერა კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სისწორისა, უნდა ვეცადოთ, ჩვენი კანდიდატი მათ სიაში მოხვდეს. არადა, ვიცით, რომ ამის შანსი არა გვაქვს. ამ საკითხში ვიჭედებით ხოლმე, სანამ არ მოვა ემისარი ცენტრიდან და გვეტყვის, რომ შეცდომაა კომუნისტურ პარტიას ვუყუროთ როგორც აქტივისტების რაღაც ჯგუფს, ეს წინასწარი დამარცხებისთვის განწირული განწყობაა, არჩევნებზე ისე უნდა ვიბრძოლოთ, თითქოს დარწმუნებული ვართ, რომ გავიმარჯვებთ (თუმცა კი ვიცით, რომ ვერ გავიმარჯვებთ). ამრიგად, ცენტრის წარმომადგენლის მხურვალე სიტყვამ, მართალია, ახალი შრომითი მიღწევების ენთუზიაზმი ჩაგვინერგა, მაგრამ ძირითადი დილემა მაინც ვერაფრით გადაჭრა. სამივე შემთხვევაში, როცა კი ამ სიუჟეტის ცხოვრებისეულ ხორცშესხმას ვესწრებოდი, ეჭვი და ყოყმანი ხუმრობის დახმარებით დავძლიეთ. დიახ, ხუმრობის - პოლიტიკაში ის მეტად მნიშვნელოვანი რამაა. თავად ცენტრის წარმომადგენლმა იხუმრა: „დიახ, ამხანაგებო,

ყველა ჩვენს საწევრო შენატანს წყალი წაიღებს, თუ იმდენ ხმას ვერ შევაგროვებთ, ლეიბორისტების სიაში რომ შევაღწიოთ“. ყველამ შვებით გაიცინა და სხდომა დაიხურა. ეს ხუმრობა, პარტიის ოფიციალურ პოლიტიკურ კურსს სრულად რომ ეწინააღმდეგებოდა, სინამდვილეში იქ მყოფთა ნამდვილ გრძნობებს გამოხატავდა. სამი დღის განმავლობაში დავდიოდი ამომრჩეველთა სააგიტაციოდ. საარჩევნო კამპანიის შტაბბინა ერთი ამხანაგის სახლშია, იმ რაიონში რომ ცხოვრობს; კამპანია ყველგანმყოფმა ბილმა წარმართა, რომელიც იმ საარჩევნო ოლქის მკვიდრია. კიდევ, თორმეტიოდე დიასახლისია, რომელთაც დღისით დრო აქვთ საიმისოდ, რომ ამომრჩეველი გადმოიბირონ, - მამაკაცები საღამოს მოდიან. ყველა ყველას იცნობს, ის ატმოსფეროა, მე რომ ასე ძალიან მიყვარს, — ადამიანები საერთო სიკეთისათვის ერთად შრომობენ. ბილი ბრწყინვალე ორგანიზატორია, ყველა წვრილმანი გაუთვლია. ჩაი ჩამოარიგეს და გაიმართა დისკუსია იმაზე, თუ რა განწყობა იყო იმ რაიონში, სანამ სააგიტაციოდ მივიდოდით. ეს მუშათა რაიონია.

- პარტიას აქ ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს, - აცხადებს ერთი ქალი ამაყად.

ოციოდე ბარათი მომცეს: ზედ იმათი გვარები წერია, ვისაც უკვე ჩაუტარეს აგიტაცია და მონიშნულია, „ყოყმანობს“. ჩემი ამოცანაა კიდევ ერთხელ დაველაპარაკო და დავარწმუნო, კომპარტიას მისცენ ხმა. როდესაც შტაბბინიდან გავდიოდი, იქ გაცხარებული დისკუსია იყო საკითხზე, როგორ უნდა გეცვას, როცა ამომრჩეველთან სააგიტაციოდ მიდიხარ: ქალების უმეტესობას, რომლებიც ამ საქმიანობას ეწევიან, უფრო კარგად აცვია, ვიდრე ამ რაიონში მცხოვრებ ქალებს.

- ჩემი აზრით, არაა სწორი განსხვავებულად ჩაცმა, ვიდრე ყოველთვის გვაცვია, - ამბობდა ერთ-ერთი ქალი, - ეს ხომ ტყუილი გამოდის.

- ჰო, მაგრამ თუ გამოპრანჭული მიხვალ, არავინ დაგიჯერებს.

ამხანაგი ბილი - ხალისიანი, კეთილად მოღიმარი, - ისეთივე ენერგიულ და კეთილმოსურნე მდგომარეობაშია, რომელშიც მოლია ხოლმე, როცა კონკრეტული საქმით დაკავებული, ამბობს:

- მთავარია, შედეგი მივიღოთ.

ორივე ქალი არაგულწრფელობას საყვედურობს.

- ჩვენ ყველა სიტუაციაში მართლები უნდა ვიყოთ, თორემ ხალხი აღარ გვენდობა.

ადამიანები, რომელთა ბარათებიც მომცეს, ამ მუშათა რაიონის სხვადასხვა უბანში ცხოვრობენ, ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებით. რაიონი მეტად უსახურია, სახლები - ერთნაირი, პატარა და ღარიბული. ერთადერთი საწარმო, აქედან ნახევარი მილის დაშორებით, ყველა მხარეს სქელ კვამლს აფრქვევს. დაბლა ჩამოსული, მძიმე, შავი ღრუბლები და კვამლი, რომელიც ცაში ადის და მათ უერთდება.

პირველი სახლის კარი, სადაც მივედი, დაბზარული, გახუნებული საღებავით იყო დაფარული. მისის ს.: შალის უფორმო კაბაში, წინსაფარაკრული, ცხოვრებისგან გატანჯული ქალი. ორი პატარა ბავშვი ჰყავს, ორივე კარგად ჩაცმული, მოვლილი. ვეუბნები, რომ კომპარტიიდან ვარ. თავს მიქნევს. ვეკითხები:

- თუ სწორად ვხვდები, ჯერ არ გადაგიწყვეტიათ, ხმას ჩვენ მოგვცემთ თუ არა, ასეა?

მპასუხობს:

- თქვენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

მტრულად განწყობილი არაა, თავაზიანია. მეუბნება:

- ქალბატონმა, წინა კვირას რომ იყო მოსული, წიგნაკი დაგვიტოვა.

(იგულისხმება, ბუკლეტი). ბოლოს მეუბნება:

- მაგრამ ჩვენ ყოველთვის ლეიბორისტებს ვაძლევთ ხმას, ძვირფასო.

ბარათზე ვწერ - „ლეიბორისტები“, ვშლი „ყოყმანობს“ და გზას ვაგრძელებ.

შემდეგი ოჯახი, კვიპროსელები არიან. ეს სახლი კიდევ უფრო ღარიბულია: შეშფოთებული გამომეტყველების მქონე ახალგაზრდა კაცი, სიმპათიური შავგვრემანი ქალი, ახალშობილი. ავეჯი თითქმის არაა. ინგლისში ცოტა ხნის წინ ჩამოვიდნენ. ირკვევა, რომ „ყოყმანობენ“, იმიტომ, რომ არ იციან, არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ თუ არა. ვუხსნი, რომ უფლება აქვთ. ორივე კეთილგანწყობილია, მაგრამ უნდათ, დროზე წავიდე. ჩვილი ტირის, სახლში დაძაბული, მშფოთვარე ატმოსფეროა. ახალგაზრდა კაცი ამბობს, რომ კომუნისტების საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ რუსები არ მოსწონს. ვფიქრობ, ეს ორნი საარჩევნო უბანზე მისვლით თავს არ შეიწუხებენ, თუმცა ბარათზე მაინც ვტოვებ აღნიშვნას - „ყოყმანობს“.

აკურატული სახლი, მის წინ მოხულიგნო ბიჭბუჭების ჯგრო. როცა მივუახლოვდი, სტვენითა და აღტაცებული შეძახილებით შემხვდნენ. იძულებული ვარ შევაწუხო დიასახლისი, რომელიც ორსულადაა და დასასვენებლად წამოწოლილა. სანამ ბინაში შემიშვებდეს, შვილს საყვედურობს, რომ დაჰპირდა, მაღაზიაში მის ნაცვლად წავიდოდა და არ წავიდა. პასუხობს, მოგვიანებით წავალო. სიმპათიური, ჩამოსხმული, კარგად ჩაცმული თექვსმე-

ტიოდე წლის ყმაწვილია, - ყველა ბავშვი ამ რაიონში კარგადაა ჩაცმული, მაშინაც კი, როდესაც მათ მშობლებს ცუდად აცვიათ.

- რა გნებავთ? - მეკითხება დიასახლისი.

- კომპარტიიდან ვარ, - და ვუხსნი სიტუაციას.

მეუბნება:

- ჰო, მაგრამ თქვენ უკვე იყავით ჩვენთან.

თავაზიანია, ოღონდ გულგრილი. საუბრის შემდეგ, რომლის დროსაც ძალზე გამიძნელდა ეს ქალი რამეზე დამეყოლიებინა ან რამეზე შემკამათებოდა, მეუბნება, ჩემი ქმარი ყოველთვის ლეიბორისტებს აძლევს ხმას, მე კი ყოველთვის ქმარს ვემორჩილებიო. როცა გამოვდივარ, შვილს უყვირის, ის კი მეგობრების კომპანიასთან ერთად ნელ-ნელა მიდის, იკრიჭება და დედას არაფერს პასუხობს. ქალი მთელი ქუჩის გასაგონად იწყებს კივილს. თუმცა, ეს სცენა რაღაცნაირად კეთილ შთაბეჭდილებას მიტოვებს; დედა არც ელის, რომ შვილი მის ნაცვლად წავა მაღაზიაში და პრინციპის გამო უყვირის, ის კი, თავის მხრივ, მისი ამ რეაქციისთვის მზადაა და სულაც არაა წინააღმდეგი, უყვიროს.

შემდეგ სახლში ქალი უმალ და ერთობ დაჟინებითაც მთავაზობს ჩაის დალევას, მეუბნება, რომ უყვარს არჩევნები, „ადამიანები სამასლაათოდ შემოდიან ხოლმე“. მოკლედ, მარტოდ გრძნობს თავს. ლაპარაკობს და ლაპარაკობს პირად პრობლემებზე, ინტონაცია რაღაცნაირად გულის შემძვრელი, მღელვარე და უსასოო აქვს (იმ სახლებიდან, რომლებშიც ვიყავი, ნამდვილი უბედობა, ნამდვილი წუხილი სწორედ იქ ვიგრძენი). ქალმა მითხრა, რომ სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, რომ ყველაფერი მოჰბეზრდა, უნდა სამსახურში გავიდეს, მაგრამ ქმარი უფლებას არ აძლევს. ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა შეპყრობილივით.მასთან სამი საათი გავატარე და ვერა

და ვერ დავემშვიდობე. ბოლოს, როდესაც ვკითხე, მისცემთ თუ არა ხმას კომპარტიას-მეთქი, მიპასუხა:

- დიახ, ძვირფასო, თუკი გსურთ, - დარწმუნებული ვარ, ყველა აგიტატორს ასე პასუხობს.

თუმცა, დასძინა, რომ მისი ქმარი ყოველთვის ლეიბორისტებს აძლევდა ხმას. ბარათზე აღნიშვნა „ყოყმანობს“ შევცვალე „ლეიბორისტებით“ და გზა გავაგრძელე. შტაბბინაში საღამოს ათ საათზე დავბრუნდი, ყველა ბარათზე, სამის გარდა, „ლეიბორისტები“ ეწერა. ამხანაგ ბილს გავუწოდე და ვუთხარი:

- ზოგიერთი ჩვენი აგიტატორი მეტისმეტად ოპტიმისტია.

ბარათებს სწრაფად, უკომენტაროდ გადაავლო თვალი, მერე ყუთებში გადაანაწილა და ხმამაღლა, ისე, რომ ახალშემოსულ აგიტატორებს გაეგოთ, გამოაცხადა:

- ჩვენს პოლიტიკურ კურსს აქ რეალური მხარდაჭერა აქვს, ჩვენ კიდევ მივაღწევთ იმას, რომ ჩვენი კანდიდატი გაიმარჯვებს.

წინასაარჩევნო აგიტაციით სულ სამი დღე ვიყავი დაკავებული, მომდევნო ორი დღე იმათთან კი არ დავდიოდი, ვინც „ყოყმანობს“, არამედ იმ სახლებში, სადაც ჩვენგან ჯერ არავინ მისულიყო. კომპარტიის ორი მხარდამჭერი ვიპოვე, ორივე - კომპარტიის წევრი, ყველა დანარჩენი - ლეიბორისტია. ხუთი მარტოსული ქალი, რომლებიც ჩუმად, თავისთვის, ნელ-ნელა გადადიან ჭკუიდან მიუხედავად იმისა, რომ ქმრები და შვილები ჰყავთ, ანდა, უფრო ზუსტად, სწორედაც მათ გამო. თვისება, რომელიც მათ, ყველას, ახასიათებს, თავის თავში დაურწმუნებლობა, დანაშაულის გრძნობაა, თავს ბედნიერად რომ არ მიიჩნევენ. ფრაზა, რომელიც ყოველი მათგანის საუბარში გაისმა: „მგონი, რაღაც მჭირს“. როდესაც საარჩევნო შტაბბინაში დავბრუნდი, ეს იმ დღის მორიგე ქალს ვუამბე. მითხრა:

- სადაც უნდა ვატარებდე აგიტაციას, ყველგან არანორმალურები მხვდებიან. ჩვენს ქვეყანაში უამრავი ქალია, რომლებიც ჩუმად, ნელ-ნელა გადადიან ჭკუიდან.

ერთხანს დუმდა, მერე კი ცოტა არ იყოს აგრესიულად დასძინა, - აგრესიულობა კი ხომ მეორე მხარეა იმისა, რასაც იმ ქალებში ვგრძნობდი, ვისაც ველაპარაკე:

- არადა, მეც ასეთი ვიყავი, სანამ პარტიაში არ შევედი და ცხოვრებისეული მიზანი არ ვიპოვე.

მე ვიფიქრე ამაზე - სინამდვილეში ეს ქალები გაცილებით უფრო მაინტერესებდნენ, ვიდრე საარჩევნო კამპანია. არჩევნების დღე: გაიმარჯვეს ლეიბორისტებმა, თუმცა ნაკლები უპირატესობით. კომუნისტების კანდიდატმა თავისი შენატანი დაკარგა. ეს ხუმრობაა (შტაბბინაში ხუმრობების შემოქმედი ამხანაგი ბილია).

- კიდევ ორიოდე ათასი ხმა რომ მოგვეგო, ლეიბორისტების უპირატესობა წკიპზე იქნებოდა. თუმცა ყველაფერ ცუდში რაღაც კარგიც არის.

* * *

ჯინ ბარკერი. წვრილი პარტიული ფუნქციონერის ცოლია. ოცდათოთხმეტი წლის. დაბალი, შავგვრემანი, პუტკუნა. საკმაოდ შეუხედავი. ქმარი ზემოდან დაჰყურებს. სახეზე მუდმივად დაძაბული, კეთილმოსურნე ცნობისმოყვარეობის გამომეტყველება აქვს. დადის და აგროვებს პარტიულ საწევროებს. მოწოდებით ენაჭარტალაა, ლაპარაკობს გაუჩერებლად, თუმცა ლაქლაქას საინტერესო ტიპია - წანასწარ არასოდეს იცის, რას იტყვის, სანამ სიტყვას არ წამოისვრის. ჯინი მის გამო წამდაუწუმ კრთება, უცებ წყვეტს ლაპარაკს, გვიხსნის, რას გულისხმობდა ან ნერვიულად იცინის. ან შუა წინადადებაზე ჩერდება და განცვიფრებული შუბლს შეიჭმუხნის, თითქოს ამბობს: „მე ხომ სინამდვილეში ასე არ ვფიქრობ?“ ამიტომ, როცა ლაპარაკობს, ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ის გისმენს. ჯინმა რომანის წერა დაიწყო და ჩივის, დრო არა მაქვს საიმისოდ, დავასრულოო. ჯერაც არ შემხვედრია პარტიის წევრი, რომელსაც არ დაეწეროს, არ წერდეს ან არ აპირებდეს რომანის, მოთხრობის ან პიესის დაწერას. ეს სრულიად ექსტრაორდინარული რაღაც მგონია, თუმცა ამის მიზეზი არ მესმის. მისთვის დამახასიათებელი „სიტყვიერი ფაღარათის“ გამო, რომელიც ადამიანებს ან შოკს ჰგვრის, ან სიცილს აწყებინებს, ჯინი ნელ-ნელა ტაკიმასხარად იქცევა, ან „ოფიციალურ“ იუმორისტად. იუმორის გრძნობა სულ არ გააჩნია, მაგრამ გამოცდილებით იცის, რომ ის, რაც წამის წინ წამოისროლა და რამაც თვითონვე გააკვირვა, მსმენელს ან გააცინებს, ან დააბნევს, ამიტომ თვითონვე იცინის ნერვიულად და გაოცებით, მერე კი თხრობას აგრძელებს. სამი შვი-

ლი ჰყავს. მას და მის ქმარს შვილების მომავალთან დაკავშირებული საკმაოდ დიდი ამბიცია აქვთ, თვალყურს ადევნებენ, რომ სკოლაში კარგად ისწავლონ, რათა სტიპენდიები მიიღონ სწავლის გასაგრძელებლად. ბავშვებს დეტალურად უხსნიან პარტიის პოლიტიკური კურსის თავისებურებებს, უყვებიან რუსეთში არსებულ მდგომარეობაზე და ა.შ. უცნობებთან ბავშვები თავდაცვით პოზიციას იკავებენ, თავის თავში იკეტებიან, როგორც სჩვევიათ ადამიანებს, რომლებმაც იციან, რომ უმცირესობაში არიან. კომუნისტებთან ურთიერთობისას ბავშვები სიამაყით ახდენენ თავიანთი პარტიული „ნოუ-ჰაუს“ დემონსტრირებას, მათი მშობლები კი ამით თავს იწონებენ.

ჯინი სასადილოს ადმინისტრატორად მუშაობს. ხანგრძლივი, მრავალსაათიანი ცვლები აქვს. ბავშვები, სახლი და საკუთარი თავი სრულ წესრიგში ჰყავს. პარტიის ადგილობრივი განყოფილების მდივანია. თავისი თავით უკმაყოფილოა.

- არასაკმარისად ვშრომობ. ვგულისხმობ, რომ მხოლოდ პარტიული მუშაობა არაა საკმარისი, ქაღალდებთან მუშაობა მბეზრდება, ისეა, როგორც ოფისში, არაფერს მაძლევს.

ნერვიულად იცინის.

- ჯორჯი (მისი ქმარი) ამბობს, რომ ეს არასწორი მიდგომაა, მაგრამ არ მესმის, მუდმივად რატომ უნდა ვიზღუდავდე თავს. ვგულისხმობ, რომ ისინი ხშირად ცდებიან, არა?

იცინის.

- გადავწყვიტე, მრავალფეროვნებისთვის რაიმე არსებითის კეთება დავიწყო.

იცინის.

- ვგულისხმობ, სხვა რაღაცის. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ბელადებიც კი ლაპარაკობენ სექტანტობაზე, განა არა?.. თუმცა,

ცხადია, სწორედ ბელადები უნდა იყვნენ პირველები, ვინც ამაზე ხმას ამოიღებს.

იცინის.

- თუმცა, ეტყობა, ყოველთვის არ ხდება ასე. ყოველ შემთხვევაში, მრავალფეროვნებისთვის გადავწყვიტე, რაიმე სასარგებლოს მოვკიდო ხელი.

იცინის.

- ვგულისხმობ, სხვა რაღაცას. და, აი, ახლა შაბათობით გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების ჯგუფს ვამეცადინებ. ხომ იცით, ადრე მასწავლებელი ვიყავი. ჰოდა, ბავშვებს ვასწავლი. არა, ისინი პარტიელთა შვილები არ არიან, ჩვეულებრივი ბავშვები არიან.

იცინის.

- თხუთმეტნი არიან, რთული სამუშაოა. ჯორჯი ამბობს, უკეთესი იქნება, თუკი პარტიის ახალი წევრების მომზადებას დაიწყებო. მაგრამ მე მინდა რაიმე მართლა სასარგებლო გავაკეთო.

და ასე შემდეგ.

კომუნისტური პარტია, ძირითადად, იმ ადამიანებისგან შედგება, რომლებსაც პოლიტიკა მაინცდამაინც არ აინტერესებთ, მაგრამ ძლიერი მოთხოვნილება აქვთ, საზოგადოებას ემსახურონ. და კიდევ, არიან მარტოსული ადამიანები, რომელთათვის პარტია ოჯახია. პოეტი, სახელად პოლი, გასულ კვირას დათვრა და თქვა, რომ პარტია ეზიზღება, პარტიაზე გული ერევა, მაგრამ მასში „1935 წელს“ შევიდა და თუ იქიდან გამოვა, „მთელ ცხოვრებას დაკარგავს“.

ყვითელი რვეული

(ყვითელი რვეული რომანის ხელნაწერს ჰგავდა, რადგან დასათაურებული იყო: „მესამის ჩრდილი“. იწყებოდა ასევე, ეჭვგარეშეა, რომანივით:)

ჯულიამ ქვემოდან ასძახა:

- ელა, წვეულებაზე მიდიხარ? აბაზანა გჭირდება? თუ არა, მე შევალ!

ელამ არ უპასუხა. ერთი მხრივ, იმწუთას შვილის საწოლის კიდეზე იჯდა და ელოდებოდა, როდის ჩაიძინებდა, მეორე მხრივ, გადაწყვიტა, არ წასულიყო წვეულებაზე და ჯულიასთან კამათის დაწყება არ უნდოდა. ცოტა ხნის შემდეგ ფრთხილი მოძრაობა გააკეთა, მაგრამ მაიკლმა მაშინვე გაახილა თვალი და ჰკითხა:

- რა წვეულებაა? მიდიხარ?

- არა, - უპასუხა, - დაიძინე.

ბიჭუნას თვალები თავისთავად დაეხუჭა, წამწამები დააფახულა და გაირინდა. ძილშიც კი ეტყობოდა, რომ ძლიერი, ჩასხმული ბავშვია. მაიკლი ოთხი წლისა გახლდათ. მიმქრალ შუქზე მისი ქვიშისფერი თმა, წამწამები და ბუსუსებიც კი მოშიშვლებულ ხელზე ოქროსფერი ჩანდა. ზაფხული იყო, კანი გარუჯული ჰქონდა და ოდნავ ლიცლიცებდა. ელამ სინათლე ყველგან აუჩქარებლად ჩააქრო; მივიდა კართან და შედგა; გავიდა ოთახიდან - ისევ შედგა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ამ დროს ჯულიამ კიბეზე სწრაფად ამოირბინა, მხიარულად და უდარდელად ჰკითხა, როგორც სჩვეოდა:

- რა შვრები? მიდიხარ?

- ჩუუ, მაიკლმა ეს-ესაა ჩაიძინა.

ჯულიამ ხმადაბლა გააგრძელა:

- შედი და აბაზანა მიიღე. მინდა მშვიდად ვიჭყუმპალაო, როცა წახვალ.

- ხომ გითხარი უკვე, არსადაც არ მივდივარ, - ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულმა მიუგო.

- და რატომ არა? - იკითხა ჯულიამ და დიდ ოთახში შევიდა. მეორე სართულზე ორი ოთახი და სამზარეულო იყო, ყველა სათავსი საკმაოდ პატარა, - დაბალჭერიანი ჰქონდათ, რადგან ზედ სახურავის ქვეშ იყო. სახლი ჯულიას ეკუთვნოდა, ელა და მისი შვილი მაიკლი ამ სამ ოთახში დროებით ცხოვრობდნენ. იმ ოთახში, რომელიც შედარებით დიდი იყო, ნიშაში საწოლი იდგა, კიდევ წიგნები და რამდენიმე ესტამპიც იყო. ოთახი ნათელი გახლდათ, საკმაოდ ორდინარული, უფრო ზუსტად, უსახური. ელას მისი გადაკეთება თავისი გემოვნებით არ უცდია. რაღაც აკავებდა: ეს ჯულიას სახლი, ჯულიას ავეჯი იყო; მისი გემოვნების სფერო სადღაც შორს, მომავალში ილანდებდა. მიახლოებით ასე გრძნობდა. თუმცა იქ ცხოვრებამ დიდხანს მოუწია და სხვაგან გადაბარგებას ჯერაც არ აპირებდა. ელა ჯულიას ოთახში შეჰყვა და უთხრა:

- რატომღაც არ მინდა.

- შენ არასოდეს არ გინდა, - თქვა ჯულიამ.

მუხლმოკეცილი იჯდა სავარძელში, რომელიც ამ ოთახისთვის მეტისმეტად დიდი ჩანდა, სიგარეტს ეწეოდა. ჯულია პუტკუნა, საშუალო სიმაღლის, ენერგიული, სიცოცხლით აღსავსე ებრაელი ქალი იყო. მსახიობი გახლდათ, მაგრამ სამსახიობო კარიერა ვერ ააწყო. შესაბამისად, მეორეხარისხოვან როლებს ასრულებდა. როლები, როგორც თვითონ ჩიოდა, ორი სახისა იყო:

„ტიპური პროლეტარული კომიკური და ტიპური პროლეტარული პათეტიკური“. ცოტა ხნის წინ ტელევიზიაში დამატებითი სამუშაო გაუჩნდა. ჯულია თავისი თავით მეტისმეტად უკმაყოფილო გახლდათ.

როდესაც ჯულიამ თქვა: „შენ არასოდეს არ გინდა“, მან ნაწილობრივ გამოხატა უკმაყოფილება ელას და ნაწილობრივ კი თავისი თავის გამო. მას ხომ მუდმივად სადმე წასვლა უნდოდა, უარს ვერც ერთ მიწვევაზე ვერ ამბობდა. ჯულია ამბობდა, რომ მაშინაც კი, როდესაც ესა თუ ის როლი სძულს, როცა პიესა ეზიზღება, როდესაც იმ ყველაფერთან არ სურს საერთო ჰქონდეს, მაშინაც კი უდიდეს სიამოვნებას იღებს იმით, რომ „თავის პიროვნებას ყველას დასანახავად გამოაჩენს“. სიგიჟემდე უყვარდა რეპეტიციები, თეატრის სამყარო და მაღალი საზოგადოების მსგავსი მასლაათი და გესლიანი ჭორაობა.

ელა ქალთა ჟურნალში მუშაობდა. ზედიზედ მესამე წელი იყო, წერდა სტატიებს მოდასა და კოსმეტიკაზე, როგორ მოვაწონოთ თავი მამაკაცს და შევინარჩუნოთ იგი. თავისი სამუშაო სძულდა. სტატიები მაინცდამაინც კარგი ვერ გამოსდიოდა. სამსახურიდან უეჭველად გაუშვებდნენ, ჟურნალის მთავარი რედაქტორი მისი მეგობარი რომ არ ყოფილიყო. ელას ბოლო დროს ისეთ სამუშაოს აძლევდნენ, რომელიც უფრო მოსწონდა. ჟურნალში გაჩნდა სვეტი, სადაც იბეჭდებოდა მასალები სამედიცინო თემაზე. სვეტის წამყვანი პროფესიონალი ექიმი გახლდათ. ყოველ კვირას ასობით წერილი მოდიოდა, რომელთა ნახევარს მედიცინასთან არაფერი ესაქმებოდა: წერილები არსით პირადული იყო, ამიტომ პასუხიც პირადული უნდა ყოფილიყო. და ამ წერილებს პასუხობდა. და კიდევ, დაწერა ექვსიოდე მოთხრობა, რომლებსაც თვითონ ახასიათებდა, როგორც „ქალებისთვის

განკუთვნილსა და მგრძნობიარეს“. ისეთი ტიპის მოთხრობები იყო, რომლებსაც ელა და ჯულია, მათივე თქმით, ვერ იტანდნენ. და კიდევ, ელამ რომანის წერა დაიწყო. ასე რომ, ერთი შეხედვით, ჯულიას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, ელასთვის შურით შეეხედა. არადა, შურდა.

დღევანდელი წვეულება სწორედ იმ ექიმის სახლში იმართებოდა, რომლის „ხელქვეითიც“ ელა გახლდათ. სახლი ჩრდილოეთ ლონდონში იყო, საკმაოდ შორს. ელას წასვლა ეზარებოდა. ყოველთვის უჭირდა თავის ამოძრავება და ჯულია რომ არ ასულიყო მასთან, ალბათ, ლოგინში ჩაწვებოდა და წიგნს წაიკითხავდა.

- ამბობ, რომ კიდევ გინდა გათხოვება, - უთხრა ჯულიამ, - მაგრამ საინტერესოა, როგორ მოახერხებ ამას, თუკი არავის გაიცნობ?

- აი, ამას კი ვერ ვიტან, - მოულოდნელი გაცხარებით მიუგო ელამ, - ისევ გამოდებული ვარ სავაჭროზე, ამიტომ ვალდებული ვარ წვეულებებზე ვიარო.

- არ ღირს ამ ყველაფრის ასე აღქმა, კარგს არაფერს მოგიტანს. დიახ, ყველაფერი მართლაც ასეა მოწყობილი, განა არა?

- მგონი, კი, ასეა.

ელა, რომელსაც გულის სიღრმეში უნდოდა, ჯულია გასულიყო, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა (რომელიც იმ შემთხვევაში დივნის როლს ასრულებდა, ზედ მწვანე, რბილი შალის პლედი ჰქონდა გადაფარებული) და თვითონაც გააბოლა სიგარეტი. ეგონა, აღელვების დაფარვას ახერხებდა, არადა, მოღუშული სახე, დაძაბული გამომეტყველება ჰქონდა.

- ბოლოს და ბოლოს, - უთხრა ჯულიამ, - არავისთან არა გაქვს ურთიერთობა გარდა იმ საშინელი ფარისევლებისა შენს

ოფისში, - მერე კი დასძინა, - გარდა ამისა, გასულ კვირას შენ მიიღე გადაწყვეტილება, საბოლოო და უცვლელი.

ელას უეცრად გაეცინა და ერთი წამის მერე ჯულიაც შეუერთდა, - მათ შორის მყისვე დამყარდა თბილი, მეგობრული ურთიერთგაგება.

ჯულიას ამ ბოლო შენიშვნამ მეგობრები მათთვის ჩვეულსა და გასაგებ განწყობაზე დააყენა. ორივეს მიაჩნდა, რომ სრულიად ნორმალური, ლამის ტრადიციული ქალები არიან. ასე ვთქვათ, ტრადიციული ემოციური რეაქციების მქონე ქალები. ის, რომ მათი ცხოვრება ვერასოდეს თავსდებოდა ტრადიციულ ფარგლებში, მათი შეგრძნებით ან, სულაც, მათი თქმით, იმით იყო გამოწვეული, რომ არ შეხვედრიათ არც ერთი მამაკაცი, რომელიც მათ ჭეშმარიტ ბუნებას ამოიცნობდა. რეალურ ცხოვრებაში საქმე ასე იყო: ქალები მათ შურითა და მტრობით უყურებდნენ, მამაკაცთა გრძნობები კი მათ მიმართ - და ამას ორივე უჩიოდა, - მეტისმეტად ბანალური გახლდათ. ორივეს მიაჩნდა, რომ არიან ქალები, რომლებიც მიღებულ მორალს აშკარად უგულებელყოფენ. ჯულია ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც დაუჯერებდა ელას, თუკი ის ეტყოდა, რომ სანამ განქორწინებას ელოდა, გულმოდგინედ იხშობდა ყველა რეაქციას, ის მამაკაცები რომ იწვევდნენ მასში (ან ისინი თვითონ იხშობოდნენ), ვინც მის მიმართ ყურადღებას ამჟღავნებდა. ახლა ელა თავისუფალი იყო. მისმა ყოფილმა ქმარმა განქორწინებიდან მეორე დღესვე შეირთო ცოლი. ელას ეს არ ანაღვლებდა. მისი ქორწინება და ოჯახური ცხოვრება ერთობ სამწუხარო რამ გახლდათ, რასაკვირველია, მრავალ სხვაზე არაფრით უარესი, მაგრამ ელას შეგრძნება ჰქონდა, რომ საკუთარ თავს ღალატობდა, ასეთ კომპრომისულ ქორწინებაში რომ რჩებოდა. გვერდიდან კი ისე ჩან-

და, თითქოს ქმარი სხვა ქალთან გაექცა. ელას არ სიამოვნებდა, რომ ამის გამო ეცოდებოდათ, მაგრამ სიამაყით გამოწვეული სხვადასხვა გარემოების გამო არაფერი მოუმოქმედებია სიტუაციის ასახსნელად. თანაც, რა მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობენ ადამიანები?

ჰყავდა ბავშვი, თავის თავს პატივს სცემდა, ჰქონდა მომავალი. მომავალი ელას უმამაკაცოდ ვერ წარმოედგინა. მაშასადამე, და ამ მხრივ სრულიად ეთანხმებოდა ჯულიას, წვეულებებზე უნდა იაროს და მიწვევები მიიღოს. ამის ნაცვლად კი მეტისმეტად ბევრი სძინავს და საერთოდაც, დეპრესია აქვს.

- გარდა ამისა, თუკი წავალ, ექიმ ვესტთან კამათი მომიწევს, ამას კი, ჩვეულებრივ, კარგი არაფერი მოჰყვება ხოლმე.

ელას ამით იმის თქმა სურდა, რომ ექიმი ვესტი თავს იზღუდავდა და ადამიანებისთვის იმდენი სარგებლობა არ მოჰქონდა, რაც შეეძლო, და გულმოდგინების კი არა, არამედ წარმოსახვის ნაკლებობის გამო. ნებისმიერ კითხვას, რომელზეც ვერ უპასუხებდა, რომელ საავადმყოფოში დაწოლილიყვნენ ან რა წამალი დაელიათ, მკურნალობის რა მეთოდი გამოეყენებინათ, ელას გადასცემდა ხოლმე.

- კი, ვიცი, სრულად აუტანლები არიან.

ამ სიტყვაში „ისინი“ - ჯულია მოხელეებს, ბიუროკრატებს, ნებისმიერ ოფისში მომუშავეებს გულისხმობდა. ჯულიას აზრით, „ისინი“ საშუალო კლასს ეკუთვნოდნენ, თვითონ კი კომუნისტი გახლდათ, თუმცა კომუნისტურ პარტიაში არ შესულა. თანაც, მუშათა ოჯახიდან იყო.

- აი, შეხედე, - უთხრა ელამ აღელვებით, ხელჩანთა გახსნა და მოკეცილი, მოცისფრო ფურცელი ამოიღო.

ეს წერილი იყო, იაფფასიან ქაღალდზე დაწერილი: „ძვირფასო ექიმო ოლსეპ. სასწორკვეთა მაიძულებს, მოგწეროთ. კისერსა და თავში რევმატიული ტკივილი მაქვს. თქვენს საჟურნალო სვეტში ტანჯულ ადამიანებს გულისხმიერად აძლევთ რჩევებს. თუ შეიძლება, მეც დამეხმარეთ. რევმატიზმი დამეწყო, როცა ქმარი გარდამეცვალა, 1950 წლის 9 მარტს, დღის სამ საათზე, საავადმყოფოში. ახლა მეშინია, რადგან ბინაში მარტო ვარ, რა შეიძლება მომივიდეს, თუკი რევმატიზმი მთელ ტანში დამივლის, გარეთაც კი ვეღარ გავალ, შველა რომ ვითხოვო. მოუთმენლად ველი თქვენს გულისხმიერ დახმარებას. მისის დოროთი ბრაუნი“.

- და რა თქვა?

- თქვა, მე იმისთვის დამიქირავეს, ჟურნალში სამედიცინო სვეტი წავიყვანო და არა იმისთვის, ამბულატორიული ავადმყოფების ნევროზს ვუმკურნალოო.

- ხმაც კი მესმის მისი, - თქვა ჯულიამ, რომელიც ერთხელ შეხვდა ექიმ ვესტს და პირველივე შეხედვით განსაზღვრა, რომ მისი მტერია.

- მთელ ქვეყანაში ცხოვრობს ასობით და ათასობით ადამიანი, რომლებიც საკუთარი უბედურების ნელ ცეცხლზე იხარშებიან და მათთვის არავის სცხელა.

- მათთვის არავის სცხელა, - თავი დაუქნია ჯულიამ.

სიგარეტი ჩააქრო და როგორც ეტყობოდა, აღარ აპირებდა ბრძოლის გაგრძელებას, რომ ელა წვეულებაზე წასულიყო.

- წავალ, აბაზანას მივიღებ.

კიბეზე დაეშვა, ქუსლების მხიარული პაკიპუკითა და ღიღინით.

ელა მარტო დარჩა, გაუნძრევლად იჯდა. ფიქრობდა: „თუკი წავალ, ტანსაცმელი უნდა გავიუთოო“. თითქმის წამოდგა კიდეც, კარადაში რომ შეეხედა, მაგრამ უმალ მოიღუშა: „თუკი იმაზე ვფიქრობ, რა ჩავიცვა, გამოდის, წასვლა მინდა? რა უცნაურია. იქნებ მართლაც მინდა? ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის ასე ვაკეთებ ხოლმე, - ვამბობ, ამ რაღაცას არ გავაკეთებ-- მეთქი, მერე კი ვცვლი გადაწყვეტილებას. საქმე ის არის, იქნებ გადაფიქრებაც არაა საჭირო, იქნებ ყველაფერი ისედაც გადაწყვეტილია და გასაგები. მაგრამ რა? არა, მე არ გადავიფიქრებ ხოლმე. უეცრად აღმოვაჩენ, რომ ვაკეთებ იმ რაღაცას, თუმცა კი ვთქვი, არ გავაკეთებ-მეთქი. დიახ. და ახლა წარმოდგენაც კი აღარა მაქვს, რა გადავწყვიტე სინამდვილეში“.

რამდენიმე წუთის შემდეგ რომანს ჩაუჯდა, რომელიც ნახევრად მზად ჰქონდა. რომანის თემა თვითმკვლელობა გახლდათ, - ახალგაზრდა კაცის თვითმკვლელობა, რომელმაც სიკვდილის მომენტამდე არ იცოდა, რომ თავის მოკვლას აპირებდა, იმ წუთამდე, როცა გააცნობიერა, რომ ფაქტობრივად ამისთვის ემზადებოდა თვეების განმავლობაში და ემზადებოდა საგულდაგულოდ. რომანის არსი მდგომარეობდა იმ კონტრასტის გადმოცემაში, რომელიც არსებობდა მისი ცხოვრების გარეგნულ დინებას, რომელიც მოწესრიგებული, დაგეგმილი, თუმცა კი გრძელვადიან მიზანს მოკლებული გახლდათ, და სიღრმისეულ მოტივს შორის, რომელიც მხოლოდ თვითმკვლელობას ეხებოდა, და რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, თვითმკვლელობამდე მიიყვანა. მისი ყველა გეგმა ბუნდოვანი და განუხორციელებელი იყო მისი ყოველდღიური ცხოვრების აშკარად გამოხატულ პრაქტიკულობასთან შედარებით. სასოწარკვეთის ან სიგიჟის ფარული ტენდენცია, ან ლოგიკის არარსებობა განაპირობებს, ან, უფრო

სწორად, თავისთავად გაჩნდება შორეულ მომავალზე განუხორციელებელი ფანტაზიების გამო. ამიტომ სიუჟეტის განვითარების ნამდვილი ლოგიკა იქნება სასოწარკვეთის თავდაპირველად ოდნავ შესამჩნევად გამოხატული სუბსტრატის ზრდაში, გაუცნობიერებელ განზრახვაში, თვითმკვლელობა ჩაიდინოს. მისი სიკვდილის მომენტი გახდება ასევე ის მომენტი, რომელშიც მისი ცხოვრების განვითარების ლოგიკა გამჟღავნდება: წესრიგის, დისციპლინის, პრაქტიკულობის, საღი აზრის განვითარების ლოგიკა კი არა, არამედ არარეალურობისა. მისი სიკვდილის მომენტში ცხადი გახდება, რომ დამაკავშირებელი რგოლი სიკვდილის მოთხოვნილებასა და თვით სიკვდილს შორის მშვენიერ ცხოვრებაზე გიჟური, ველური ფანტაზიები იყო, ასევე აღმოჩნდება, რომ საღი აზრი და წესრიგიანობა მისი გონიერების მანიშნებელი კი არა (როგორც ეს რომანის დასაწყისში ჩანდა), არამედ სიგიჟის ნიშნები იყო.

რომანის იდეა ელას იმ მომენტში მოუვიდა, როცა აღმოაჩინა, რომ იცვამდა და იკაზმებოდა ვახშამზე წასასვლელად რომელიღაც კომპანიასთან ერთად მას მერე, რაც თავის თავს უთხრა, არსად წასვლას არ ვაპირებო. ამ აზრით მეტად გაოცებულმა გაიფიქრა: „აი, ზუსტად ასევე მოვიკლავდი თავს. აღმოვაჩენდი, რომ ცოტაც და, ფანჯრიდან გადავხტები ან ქურიდან ბუნებრივ აირს პატარა, დახშულ ოთახში გავუშვებ, და კომენტარსაც გავაკეთებდი განსაკუთრებული ემოციის გარეშე, უფრო კი უეცარი გაცნობიერების გრძნობით იმისა, რასაც ადრევე უნდა მივმხვდარიყავი: „ღმერთო ჩემო! აი, თურმე რის გაკეთებას ვაპირებდი. ეს ჩემში ყოველთვის იყო!“ საინტერესოა, რამდენია ჩემისთანა, ვინც თავს ზუსტად ასევე იკლავს? მიაჩნიათ, რომ ამას კრიტიკულ მომენტში ან მძიმე კრიზისის დროს სჩადიან. ამავე

დროს, ბევრს სწორედ ასე უნდა მოსდიოდეს, - უცებ აღმოაჩენენ, რომ საბუთებს აწესრიგებენ, გამოსამშვიდობებელ წერილს წერენ, მეგობრებსაც კი ურეკავენ და მხიარულად და კეთილმოსურნედ ესაუბრებიან, ცნობისმოყვარენიც კი არიან. უეცრად აღმოაჩენენ, რომ კარისა და ფანჯრის ჩარჩოს ღრიჭოებში გაზეთებს ტენიან და აკეთებენ ამას საქმიანად, მშვიდად, თან, თავის თავს ეუბნებიან ერთობ განყენებულად და უემოციოდ: „მაშ, ასე! მართლაც საინტერესოა. უცნაურია, რომ ადრე ვერ ვხვდებოდი, რაში იყო საქმე!“

რომანი ძნელად იწერებოდა. ამის მიზეზი ტექნიკური სირთულეები არ ყოფილა. პირიქით, ელას იმ ახალგაზრდა კაცის მკაფიოდ წარმოდგენა შეეძლო. იცოდა, როგორ ცხოვრობდა, როგორი ჩვევები ჰქონდა. თითქოს ეს ყველაფერი უკვე დაწერილი იყო სადღაც, მისი გულის სიღრმეში, და ახლა მხოლოდ გადაწერა სჭირდებოდა. პრობლემა ის იყო, რომ ელას ამ წიგნის გამო ერცხვინებოდა. მის შესახებ ჯულიას არაფერს ეუბნებოდა. იცოდა, რამე ამდაგვარს ეტყოდა: „მაგრამ ეს ხომ ნეგატიური თემაა, განა არა?“ ან „ეს ვერავის დაეხმარება, რომ გაიგოს, როგორ გააგრძელოს გზა, როგორ წავიდეს წინ“... ან კიდევ, რაღაც დებულებას მიახლიდა თანამედროვე კომუნისტური არსენალიდან. ჩვეულებრივ, ელა ჯულიას დასცინოდა, როდესაც ასეთ რაღაცას განაცხადებდა ხოლმე, თუმცა, გულის სიღრმეში, როგორც ჩანს, ეთანხმებოდა, რადგან არ ესმოდა, მსგავსი ტიპის რომანის წაკითხვისგან რა სარგებლობა შეიძლებოდა მიეღო კაცს. თუმცა, წერას მაინც აგრძელებდა. გარდა იმისა, რომ რომანი გაკვირვებასა და სირცხვილის გრძნობას აღუძრავდა, ზოგჯერ შეეშინდებოდა ხოლმე. კიდეც გაიფიქრა: „იქნებ ფარულად გადავწყვიტე, თავი მოვიკლა და მე თვითონ ამის შესახებ არაფერს ვუწყი?“

(თუმცა გულის სიღრმეში სჯეროდა, რომ ასე არ იყო). რომანის წერას აგრძელებდა და თავს ასე იმართლებდა: „სულაც არ არის აუცილებელი გამოვაქვეყნო, უბრალოდ ჩემთვის დავწერ“. და როდესაც მეგობრებთან ახსენებდა რომანს, ხშირად ხუმრობდა:

„ყველა, ვისაც კი ვიცნობ, რომანს წერს“, რაც მეტ-ნაკლებად სიმართლეს შეესაბამებოდა. არსებითად მისი დამოკიდებულება ამ საქმისადმი მსგავსი იყო იმ ადამიანის განცდებისა, რომელსაც ტკბილეული სიგიჟემდე უყვარს და მას მალულად, ყველასგან ფარულად ჭამს; ან განმარტოებულს დრო სხვა რამეში გაჰყავს, ვთქვათ, სცენების გათამაშებაში თავის ალტერ ეგო-სთან, ან სარკეში საკუთარ ანარეკლთან დიალოგში.

ელამ კარადიდან კაბა გამოიღო, საუთოებელი გაშალა და მხოლოდ ამის მერე ჰკითხა თავს: „ესე იგი, მაინც მივდივარ წვეულებაზე, არა? საინტერესოა, რა მომენტში გადავწყვიტე ეს?“ სანამ აუთოებდა, რომანზე ფიქრს აგრძელებდა, უფრო სწორად, აგრძელებდა იმის ზედაპირზე ამოტანას, რაც მასში ისედაც წყვდიადში ჩაფლულიყო, მომლოდინე იმისა, რომ მისი რიგიც დადგებოდა. ელამ კაბა გადაიცვა და თავის თავს მაღალ, ვიწრო სარკეში დაუწყო თვალიერება, და ის ახალგაზრდა კაცი ბოლომდე მხოლოდ მაშინ წარმოიდგინა, და მოახდინა კონცენტრაცია იმაზე, რასაც აკეთებდა. ელას არ მოსწონდა, როგორც გამოიყურებოდა. ეს კაბაც, სინამდვილეში, არასოდეს მოსწონდა. კარადაში ბლომად ტანსაცმელი ჰქონდა, მაგრამ თითქმის არაფერი მოსწონდა. ასევე, სახეც და ვარცხნილობაც. თმა, როგორც ყოველთვის, რაღაცნაირად უშნოდ დაივარცხნა. არადა, ყველაფერი ჰქონდა, მართლა მიმზიდველი რომ ყოფილიყო. ელა საშუალო სიმაღლის, გამხდარი ქალი იყო. მომცრო, წაგრძელებული, სწორნაკვთებიანი სახე ჰქონდა. ჯულია ხშირად

ეუბნებოდა: „შენს თავს სწორად რომ წარმოაჩენდე, პატარა, პიკანტური ფრანგი ქალი იქნებოდი, ძალიან, ძალიან სექსუალური, ეს შენი ტიპაჟია“. არადა, ელა ამ ტიპაჟში ვერაფრით თავსდებოდა. ახლა შალის სადა, შავი კაბა ჩაიცვა, რომელიც თითქოსდა „ძალიან, ძალიან სექსუალური“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მის ტანზე ასე რატომღაც არ ჩანდა. ელამ თმა უკან დაიმაგრა. ფერმკრთალი გახლდათ, თითქმის მკაცრი გარეგნობა ჰქონდა.

„მაგრამ ხომ არ მაინტერესებს ის ხალხი, ვისაც დღეს უნდა შევხვდე, - გაიფიქრა და სარკეს მოშორდა, - ასე რომ, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო კარგად მაშინ ჩავიცვამ, როცა ისეთ წვეულებაზე ვიქნები წასასვლელი, სადაც მართლა მინდა წასვლა“.

მის ბიჭუნას ეძინა. ელა სააბაზანოს კართან მივიდა და ჯულიას გასძახა:

- მაინც მივდივარ!

ამის გაგონებაზე ჯულიამ მშვიდად, კმაყოფილებით ჩაიცინა და ჩაილაპარაკა:

- ასეც ვიცოდი, წახვიდოდი.

ჯულიას ხმაში კმაყოფილებამ ელა, ცოტა არ იყოს, გააღიზიანა, მაგრამ მაინც დაუმატა:

- არ დავიგვიანებ.

ამაზე ჯულიას პირდაპირ არ უპასუხია. მხოლოდ უთხრა:

- საძინებლის კარს არ დავკეტავ, ასე რომ, მაიკლს შეეძლება ჩემთან მოირბინოს, თუკი დასჭირდება. ღამე მშვიდობისა.

ექიმ ვესტის სახლამდე ნახევარი საათი მეტროთი უნდა ევლო, ერთხელ ხაზიც გამოეცვალა, მერე კი ცოტა ხანი ავტობუსით ემგზავრა. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ელას არ უნდოდა

ხოლმე ჯულიას სახლიდან გასვლა, ის გახლდათ, რომ ქალაქი შიშს ჰგვრიდა. რამდენიმე მილი უნდა ევლო იმ სიმახინჯის შემ-ხედვარე, რასაც ლონდონის ცარიელი და უსახური შემოგარენი წარმოადგენდა, - ეს აუცილებლობა ელას აღაშფოთებდა; და როცა აღშფოთება ჩაცხრებოდა, რჩებოდა შიში. გაჩერებაზე, სა-დაც ელა ავტობუსს ელოდებოდა, გადაიფიქრა და გადაწყვიტა, ფეხით გაევლო, გადაწყვიტა, ამ შიშის გამო თავი დაესაჯა. ექიმ ვესტის სახლამდე ამ რამდენიმე მილს ფეხით გაივლის და არ დაემალება იმას, რასაც ვერ იტანს. მის თვალწინ უსასრულოდ გრძელდებოდა ქუჩა, რომელზეც უბადრუკი სახლები ჩამწკრი-ვებულიყო. ზაფხულის გვიანი საღამოსთვის დამახასიათებელი მონაცრისფრო შუქის გამო ცა კიდევ უფრო დაბლა ჩამოსული ჩანდა. გარშემო კი, მრავალი მილის მანძილზე, ეს სიმახინჯეა, უბადრუკობა. სწორედ ესაა ლონდონი - დაუსრულებული პატა-რა ქუჩები, ასეთი პატარა სახლებით გაშენებული. ამის ცოდნის წმინდა ფიზიკური სიმძიმე აუტანელი გახლდათ, - სად არის ის ძალა, რომელიც ამ სიმახინჯეს ადგილიდან დასძრავს? „და ყო-ველ ქუჩაზე, - ფიქრობდა ელა, - ქალები არიან, იმის მსგავსი, რომლის წერილი ჩანთაში მაქვს“. ამ ქუჩებში შიში და უმეცრება ბატონობდნენ, უმეცრებამ და უბადრუკობამ გააშენეს ისინი. და ეს იყო ქალაქი, რომელშიც ცხოვრობდა, რომლის ნაწილიც იყო, რომელზეც პასუხს აგებდა. ელა სწრაფად მიდიოდა, ქუჩაში მის გარდა არავინ იყო. ელა მიდიოდა და უსმენდა, როგორ რჩე-ბოდა ზურგს უკან მისი ქუსლების პაკიპუკი. ფანჯრებზე ფარდებს უყურებდა. ქუჩის ეს ნაწილი მუშური იყო, ამას ფარდების მაქმა-ნებითა და ყვავილებით მიხვდებოდი. იქ ცხოვრობდნენ ადა-მიანები, რომლებიც საშინელ წერილებს სწერდნენ, წერილებს, რომლებზეც პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო და რომლებშიც

მაინც უხდებოდა გარკვევა. მაგრამ უცებ ყველაფერი შეიცვალა, რადგან ფანჯრებზე ფარდები შეიცვალა: გამოანათა კაშკაშა ლურჯმა ფერმა, ფარშავანგის მსგავსმა - ეს მხატვრის სახლი გახლდათ. იაფფასიან სახლში დასახლდა და გაალამაზა. მას მიჰყვნენ ინტელექტუალები და თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლები. აქ ერთი მუჭა ადამიანები ცხოვრობდნენ, რომლებიც ამ რაიონის დანარჩენ მცხოვრებთ არ ჰგავდნენ. მათ არ ჰქონდათ ურთიერთობა მეზობლებთან, ქუჩის გაყოლებაზე რომ ბინდრობდნენ, ხოლო მათ, თავის მხრივ, არ შეეძლოთ ან არავითარ შემთხვევაში არ სურდათ მათთან სტუმრობა. სწორედ აქ იყო ექიმ ვესტის სახლი, - ამ უბანში პირველმოსახლე მხატვარს იცნობდა და სახლი თითქმის მის წინ, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს იყიდა. იმ კაცს უთქვამს: „სწორედაც დროულია, ფასები იზრდება“. ბაღი მოუვლელი ჩანდა. ექიმი ბევრს მუშაობდა, სამი შვილი ჰყავდა და ცოლი ავადმყოფების მიღებაში ეხმარებოდა. ბაღის მოსავლელად დრო აღარ რჩებოდათ (ქუჩის გაყოლებაზე ბაღები, ძირითადად, მოვლილი იყო). „ამ სამყაროდან, - გაიფიქრა ელამ, - არ მოდის წერილები, რომლებიც ქალთა ჟურნალების მისანთათვისაა განკუთვნილი“. კარი გაიღო და ელამ დიასახლისის, მისის ვესტის თავაზიანი სახე დაინახა. დიასახლისმა უთხრა:

- აი, ბოლოს და ბოლოს, თქვენც გამოჩნდით, - და ელას პალტო ჩამოართვა.

ჰოლი სიმპათიური, დაწკრიალებული, პრაქტიკული იყო, - ეს მისის ვესტის სამყარო გახლდათ.

- ქმარმა მითხრა, რომ ისევ გქონიათ შეხლა-შემოხლა იმ თქვენი შერეკილი მკითხველების გამო. ყოჩაღ, ამდენ ყურადღებას რომ უთმობთ იმ ადამიანებს.

- ეს ჩემი სამუშაოა, - მიუგო ელამ, - ფულს ამაში მიხდიან.

მისის ვესტმა გაუღიმა, სახეზე კეთილმოსურნე მოთმინების გამომეტყველებით. ელა გულზე არ ეხატებოდა. იმიტომ კი არა, რომ მის ქმართან მუშაობდა, - არა, მისის ვესტისათვის ეს მეტისმეტად ტლანქი და შეუძლებელი განცდა იქნებოდა. ელა ვერ ხვდებოდა, რით იყო გამოწვეული ამ ქალის ამრეზილი დამოკიდებულება, სანამ ერთხელ არ წამოსცდა: „თქვენ, კარიერისტი ქალები“. ამ ფრაზამ, მსგავსად მისი ისეთი გამოთქმებისა, როგორიც იყო „შერეკილი მკითხველები“ ან „ეს ხალხი“ იმდენად მოსჭრა ელას ყური, რომ ვერაფერი უპასუხა. ახლა კი მისის ვესტმა საჭიროდ ჩათვალა, თავისი, ანუ ცოლის უფლებები განეცხადებინა, ელასთვის ეცნობებინა, რომ ქმარი უყვება სამსახურის ამბებს. წინათ ელა თავის თავს ეუბნებოდა: „ყველაფრის მიუხედავად, მაინც კარგი ქალია“, მაგრამ ახლა კი გაბოროტებულმა გაიფიქრა: „არა, კარგი ქალი არ არის. ყველა ეს ადამიანი სინამდვილეში მკვდარია და დაწყევლილი, თვითონაც და მათი მადეზინფიცირებელი ფრაზებიც - „შერეკილი მკითხველები“, „კარიერისტი ქალები“. არა, არ მომწონს და არც ვაპირებ თავი მოვაჩვენო, რომ თითქოს მომწონს“.

ელა მისის ვესტს შეჰყვა სასტუმრო ოთახში, სადაც მისი ნაცნობები შეკრებილიყვნენ. მაგალითად, იმ ჟურნალის რედაქტორი, სადაც მუშაობდა. ისიც შუახნის იყო, მაგრამ ჭკვიანი ქალი გახლდათ და თანაც, კარგად ეცვა, ჭაღარა კულულებიც უხდებოდა. ეს ქალი გონებრივი შრომით იყო დაკავებული და მისი გარეგნობა მისი სამუშაოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, მისის ვესტისგან განსხვავებით, რომელსაც ასევე სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ ჭკუით არ გამოირჩეოდა. პატრიცია ბრენტი ერქვა. მისი სახელი ასევე მისი პროფესიის ნაწილი გახ-

ლდათ, - მისის პატრიცია ბრენტი, რედაქტორი. ელა მის გვერ-დით ჩამოჯდა, პატრიციამ უთხრა:

- ექიმი ვესტი ამბობს, რომ იმ წერილების გამო ჩხუბობთ.

ელამ მიმოიხედა და დაინახა, რომ ყველა მომლოდინე ღიმი-ლით შესცქეროდა. ეტყობა, განსახილველი ინციდენტი მისთვის ერთგვარი საფასური უნდა ყოფილიყო წვეულებაზე დასწრებისა, და ყველა ელოდა, რომ ცოტას წაითამაშებდა, შემდეგ კი თემის შეცვლის უფლებას მისცემდა. თუმცა, არც ფიქრობდნენ დისკუ-სიის გამართვასა და საკითხის სერიოზულ განხილვას.

ელამ ღიმილით მიუგო:

- არა, ჩხუბით არ ვჩხუბობთ.

მერე კი დაუმატა, საგულდაგულოდ გათამაშებული საწყალობელ-იუმორისტული ტონით, ზუსტად ისეთით, რომელ-საც მისგან ელოდნენ:

- მაგრამ მაინც ძალიან სამწუხაროა... ეს ხალხი, რომელთაც ვერაფრით შველი...

შენიშნა, რომ საძაგელი გამოთქმა თვითონ იხმარა: „ეს ხალ-ხი“. ელა გაღიზიანდა და თანაც, დაითრგუნა. „არ უნდა მოვსუ-ლიყავი, - გაიფიქრა, - ეს ხალხი (ამჯერად ვესტებსა და იმ ყვე-ლაფერს გულისხმობდა, რასაც ისინი განასახიერებდნენ) მხო-ლოდ თავისნაირებს იტანენ“.

- ეჰ, სწორედ ეგაა საქმე, - შენიშნა ექიმმა ვესტმა.

ეს მკვირცხლად თქვა, საერთოდაც მკვირცხლი ადამიანი იყო და კომპეტენტურიც. მერე ელას გასაბრაზებლად დასძინა:

- მანამდე, სანამ არ შეიცვლება მთელი სისტემა... არადა, ჩვენს ელას თვითონაც კი არ ესმის, რომ რევოლუციონერია.

- მე კი მეგონა, - გამოეპასუხა ელა, - ჩვენ ყველას სისტემის შეცვლა გვინდოდა.

თუმცა, ეს უკვე სრულიად არასწორი ინტონაცია იყო. ექიმი ვესტი თავისდა უნებურად მოიღუშა, მერე კი გაიღიმა:

- რასაკვირველია, გვინდა, - თქვა მან, - და რაც უფრო სწრაფად, მით უკეთესი.

ვესტები ლეიბორისტებს აძლევდნენ ხმას. ის, რომ ექიმი ვესტი ლეიბორისტი იყო, პატრიცია ბრენტისთვის ერთგვარად საამაყო გახლდათ. თვითონ კონსერვატორი იყო. ეს მის ტოლერანტობას ამტკიცებდა. ელას არანაირი პოლიტიკური შეხედულებები არ გააჩნდა, მაგრამ პატრიციას ელაც ეძვირფასებოდა და რაც უნდა სასაცილო იყოს, იმიტომ ეძვირფასებოდა, რომ ელა ჟურნალის მიმართ თავის აგდებულ დამოკიდებულებას არ მალავდა. ერთ ოთახში ისხდნენ. იმ ოთახში, ისევე როგორც მთელ რედაქციაში, ერთი და იგივე სულისკვეთება გამეფებულიყო, რომელიც ჟურნალს ახასიათებდა, მანერულად მორცხვი, მორჩილად ქალური, სნობისტური. ნებისმიერი ქალი, ვინც კი იქ მუშაობდა, თავისი ნების საწინააღმდეგოდ ამ სულისკვეთებით იმსჭვალებოდა, მათ შორის, პატრიციაც, რომლიც სრულიადაც არ იყო ასეთი. კეთილი, გულიანი, პირდაპირი ადამიანი გახლდათ, ყოველთვის იბრძოდა საკუთარი ღირსების დასაცავად. არადა, ოფისში მისთვის სრულიად უცხო სტილით ლაპარაკობდა, და ელა, რომელიც შიშობდა, იგივე არ დამემართოსო, აკრიტიკებდა მას. შემდეგ განმარტავდა თავის თვალსაზრისს და ამბობდა, რომ მართალია, ორივენი ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ თვითონ უნდა მოიპოვონ საარსებო საშუალება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს თავი უნდა მოიტყუონ იმის თაობაზე, რისი გაკეთებაც უწევთ. იგი ელოდა, და ნაწილობრივ, კიდეც უნდოდა, რომ პატრიცია შესთავაზებდა რედაქციიდან წასვლას. ნაცვლად ამისა კი ელა ძვირად ღირებულ სადილზე დაპატიჟა,

რომლის დროსაც ელას წინაშე თავის გამართლებას ცდილობდა და თავსაც იცავდა. აღმოჩნდა, რომ მისი ახლანდელი სამუშაო პროფესიონალური ფიასკო ყოფილა. მანამდე პატრიცია მოდის განყოფილების რედაქტორი იყო ქალთა ერთ-ერთ მსხვილ, ინტელექტუალურ ჟურნალში, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ თანამდებობისთვის შეუფერებლად მიიჩნიეს. ის მოდური, კულტურული, პრიალა ჟურნალი გახლდათ და ასეთი გამოცემის რედაქტორი უბრალოდ ვალდებული იყო, კულტურასა და ხელოვნებაში ყველაფერ ახლის ინტუიციური შეგრძნება ჰქონოდა. პატრიცია კი ამ კულტურული „ბალაგანის“ ცხოვრებაში ნაკლებად ერკვეოდა, რაც, ელას აზრით, მას დადებითად ახასიათებდა, მაგრამ ამან ქალთა ამ კონკრეტული ჟურნალების ჯგუფის მფლობელს აიძულა, პატრიცია გადაეყვანა ჟურნალში „ქალებისახლში“, რომელიც მუშათა კლასის ქალებზე იყო ორიენტირებული და მაღალი კულტურის პრეტენზია არ გააჩნდა. ახლა პატრიცია უკვე სავსებით შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას და ეს იყო მისი ფარული სევდის მიზეზი. მისი სული იმ, მეორე ჟურნალის ატმოსფეროში იურვოდა და ნეტარებდა, რომელთანაც მოდური ავტორები და მოდური მხატვრები თანამშრომლობდნენ. ახლა ეს ყველაფერი მოაკლდა. წარმოშობით წვრილი არისტოკრატული ოჯახიდან იყო, მდიდარი, მაგრამ მეშჩანური; იზრდებოდა მოსამსახურეთა გარემოცვაში და სწორედ ამან - „დაბალ წოდებასთან“ ადრეულმა ნაცნობობამ (პატრიცია მას „დაბალ წოდებას“ ოფისში მანერულ-მორცხვად ეძახდა, ოფისის გარეთ კი - ურცხვად) მისცა მძაფრი და უშუალო გაგება იმისა, თუ რითი უნდა „დაანაყრო“ ჟურნალის მკითხველები.

პატრიცია სულაც არ აპირებდა ელას გაშვებას და დროთა განმავლობაში მის მიმართ მტკივნეული, ნოსტალგიური პატივისცემა გაუჩნდა, როგორიც იმ პრიალა ჟურნალის მიმართ ჰქონდა, საიდანაც წასვლა მოუხდა. სასხვათაშორისოდ უყვარდა თქმა, რომ მასთან ზოგიერთი „ინტელექტუალი“ მუშაობს, ვისი მოთხრობებიც „ინტელექტუალურ ჟურნალებში“ იბეჭდება.

მას გაცილებით უფრო თბილი, უფრო ადამიანური დამოკიდებულება ჰქონდა იმ წერილების მიმართ, რედაქცია რომ იღებდა.

ახლა მან ელა დაიცვა, თქვა:

- ელას ვეთანხმები. ყოველ ჯერზე, როცა დილით ადამიანთა ტანჯვის იმ დოზას ვხედავ, რომელიც ყოველკვირა ჩვენთან წერილების სახით შემოდის, და რომელსაც როგორღაც უნდა მოუაროს, მიკვირს და ვერაფრით გამიგია, როგორ ახერხებს ამას. იმდენად მთრგუნავს, რომ მადაც კი მეკარგება, ხოლო როცა მადა მეკარგება, დამიჯერეთ, სასაცილოდ აღარავის აქვს საქმე ჩემ გარშემო.

ყველამ გაიცინა, ელამ კი პატრიციას მადლიერებით გაუღიმა. მან თავი დაუქნია, თითქოს უთხრა: „ყველაფერი რიგზეა, შენი გაკრიტიკება არც გვიფიქრია“.

საერთო საუბარი განახლდა და ელას საშუალება მიეცა, მშვიდად მიმოეხედა. სასტუმრო ოთახი დიდი გახლდათ. აქ ერთი კედელი მოენგრიათ. ქუჩის გაყოლებაზე სხვა, ასეთივე პატარა სახლებში პირველ სართულზე ორი ციცქნა ოთახი იყო: პირველი - სამზარეულო, სადაც ყოველთვის ბევრი ხალხი ირეოდა ხოლმე, მეორე კი საერთო ოთახი, სადაც იკრიბებოდნენ. აქ კი ოთახი მთელ სივრცეს იკავებდა. მეორე სართულზე, სადაც საძინებლები იყო, კიბე ადიოდა. ოთახი კაშკაშა გახლდათ, აქ უამ-

რავი ნათელი ფერი იყო თავმოყრილი, - მკვეთრად მოხაზული ფერადი ლაქები, ერთმანეთის კონტრასტული მწვანე, ღია ვარდისფერი, ყვითელი. მისის ვესტს აშკარად გემოვნება ღალატობდა და ოთახი არ გამოუვიდა. „ხუთი წლის შემდეგ, - გაიფიქრა ელამ, - სახლები ამ ქუჩაზე ნათელ და ღია ფერებად იქნება შეღებილი, ფარდები და ბალიშისპირებიც მათი შესაფერი იქნება. ჩვენ მეთოდურად ვუბიძგებთ მათ გემოვნების განვითარების ამ საფეხურისკენ, მაგალითად, ჟურნალში „ქალები სახლში“. ეს ოთახი კი როგორი გახდება? მგონი, ისეთი, როგორიც მაშინ მოდური იქნება... თუმცა მე, ალბათ, უფრო თავისუფლად უნდა დავიჭირო თავი, ბოლოს და ბოლოს, წვეულებაა“.

ელამ მიმოიხედა და მიხვდა, ეს წვეულება კი არა, არამედ იმ ადამიანების თავყრილობა იყო, რომლებიც შეიკრიბნენ, რადგან ვესტებმა თქვეს: „დროა, ვინმე მოვიწვიოთ სტუმრად“. ისინი კი მივიდნენ, რადგან თავს უთხრეს: „დროა, ვესტებს ვესტუმროთ“.

„ჯობდა, არ მოვსულიყავი, - გაიფიქრა ელამ, - მერე, უკანა გზაც ხომ გასავლელია“. ამ დროს ვიღაც მამაკაცი, რომელიც მოშორებით იჯდა, ადგა, ოთახი გადაჭრა და მის გვერდით ჩამოჯდა. თავდაპირველად ელამ შენიშნა მხოლოდ ახალგაზრდა სახე და საკმაოდ ირონიული, ნერვიული, კრიტიკული ღიმილი, რომლითაც წარუდგინა თავი (პოლ ტენერი ვარ, ექიმიო) და რომელშიც უეცრად რაღაც თბილმა და სათუთმა გამოასხივა, თითქოს მისი ნების საწინააღმდეგოდაც კი ან გაუცნობიერებლად. ელამ აღმოაჩინა, რომ საპასუხოდ უღიმის, ამ სითბოს გაელვებას ეხმიანება და ახლა უფრო დაკვირვებით შეათვალიერა კაცი. რა თქმა უნდა, შეცდა, არც ისეთი ახალგაზრდა იყო, როგორიც თავიდან მოეჩვენა: საკმაოდ უხეში თმა კეფაზე უკვე შესთხელე-

ბოდა, ძალზე თეთრი, ოდნავ ჭორფლიანი კანი თვალის უპეებთან დაღაროდა, თვალები ცისფერი, ღრმა, მომხიბლავი ჰქონდა, მზერა კი ერთდროულად მებრძოლიც, სერიოზულიც და დროდადრო თავის თავში დაეჭვებულიც.

„ნერვიული ადამიანის სახე აქვს“, - დაასკვნა ელამ და შენიშნა, რომ ლაპარაკისას მთელი სხეულით იძაბებოდა. არადა, კარგად ლაპარაკობდა, თუმცა, ვერ იტყოდი, რომ თავისუფლად. ამ ერთგვარმა თავდაუჯერებლობამ, მისი სიტყვების წინასწარ-განზრახულებამ ელა აიძულა, შინაგანად გაუცხოებოდა ამ კაცს, არადა, წამის წინ მიიზიდა, მისი ღიმილის უნებლიე სითბოს გამოეპასუხა.

ასეთი იყო ელას პირველი შთაბეჭდილება ადამიანზე, რომელიც შემდგომ ესოდენ ძლიერად და ღრმად შეუყვარდა. მოგვიანებით პოლი ხშირად ჩიოდა, ნაწილობრივ ხუმრობით, ნაწილობრივ - მართლაც სიმწრით: „დავიწყოთ იქიდან, რომ თავიდან არ შეგყვარებივარ. არადა, ერთი ნახვით უნდა შეგყვარებოდი. ერთხელ მაინც ყოფილიყო ჩემს ცხოვრებაში შემთხვევა, რომ ქალს შეეხედა ჩემთვის და ეგრევე შევყვარებოდი, მაგრამ არა“. მოგვიანებით ამ თემას უფრო გააღრმავებს, უკვე განზრახ იუმორისტულად: „სულის სარკე სახეა. როგორ შეუძლია კაცს ენდოს ქალს, რომელმაც შეიყვარა მხოლოდ მას მერე, რაც ფიზიკური სიახლოვე ჰქონდათ? სულაც მე კი არ შეგყვარებივარ“. და დაიწყებდა კომიკურად, თუმცა ერთგვარი სიმწრითაც ქირქილს, როდესაც ელა ამის საპასუხოდ შესძახებდა: „როგორ შეგიძლია ფიზიკური სიყვარული ყველაფერ დანარჩენისგან განაცალკევო? ეს ხომ უაზრობაა?!“

ელას ყურადღება კაცს ხელიდან უსხლტებოდა. ქალი ხვდებოდა, რომ მოუთმენლობას იჩენდა და კაცი ამას გრძნობდა.

იმასაც ხვდებოდა, რომ კაცს ეს არ მოსწონდა. მას ელა იზიდავდა. კაცის სახეზე აშკარად ჩანდა სურვილი, მისი ყურადღება შეეკავებინა. ელა გრძნობდა, რომ სადღაც, გულის სიღრმეში, ამის მიღმა სიამაყის გრძნობა იმალებოდა, მისი სექსუალური სიამაყის გრძნობა, რომელიც შეურაცხყოფილი იქნებოდა, თუკი მის იმპულსს არ გამოეპასუხებოდა, და ამიტომაც უეცრად მოუნდა, გაქცეულიყო, თავიდან მოეშორებინა იგი. ყველა ამ, მეტისმეტად მოულოდნელად და მეტისმეტად ძლიერად თავს დამტყდარმა გრძნობებმა, ურთიერთგამომრიცხავმა გრძნობებმა, რომლებმაც წამში დააკარგვინეს სიმშვიდე, თავისი ქმარი, ჯორჯი გაახსენა. ჯორჯს ცოლად თითქმის გასავათებული გაჰყვა, მას მერე, რაც ჯორჯი მთელი წელი გაშმაგებული თავს ევლებოდა. იცოდა, ცოლად არ უნდა გაჰყოლოდა და მაინც გაჰყვა; არ ეყო ნებისყოფა, მასთან ურთიერთობა გაეწყვიტა. დაქორწინების დღიდან მალევე ჯორჯმა მასში სექსუალური გაუცხოების გრძნობა გამოიწვია; და ამ გრძნობას ვერც ჩაახშობდი და ვერც თავიდან მოიშორებდი. ამან, პირიქით, ჯორჯის ლტოლვა გააორკეცა, რამაც, თავის მხრივ, მხოლოდ გააძლიერა გაუცხოება, - ისიც კი შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ჯორჯი მძაფრსა და ტკბილ დაკმაყოფილებას პოულობდა მის მიმართ ელას ფიზიკურ ზიზღში. აშკარად რაღაც გამოუვალ ფსიქოლოგიურ ჩიხში მოექცნენ.

შემდეგ იმისთვის, ცოლს რომ სწყენოდა და ეჭვიანობაც დაეწყო, ჯორჯი სხვა ქალთან დაწვა, და ეს ცოლს უამბო. ელამ თავის თავში დაგვიანებული სიმტკიცე აღმოაჩინა, ქმართან ურთიერთობა რომ გაეწყვიტა: როდესაც გაყრა მოითხოვა, ხაზს იმას უსვამდა - და ეს პატიოსანი ნაბიჯი არ გახლდათ, სასოწარკვეთილებით იყო ნაკარნახები, - მიღალატეო. ეს მის მორალურ კოდექსს ეწინააღმდეგებოდა და იმან, რომ საზოგადოდ მიღებულ

არგუმენტაციას მიმართა, გაუთავებლად იმეორებდა, მიღალატე და ამიტომ მოვითხოვ გაყრასო, ელას საკუთარი თავი შეაზიზღა. ჯორჯთან გატარებული ბოლო რამდენიმე კვირა ნამდვილ კოშმარად ექცა, რომელიც საკუთარი თავისადმი ზიზღისა და ისტერიისგან შედგებოდა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ მიატოვა მისი სახლი, რათა ამ ყველაფრისთვის წერტილი დაესვა, რათა დაედგინა დისტანცია თავის თავსა და იმ მამაკაცს შორის, მას რომ გუდავდა, თრგუნავდა, იმონებდა და, როგორც ჩანს, ნებისყოფას სრულიად აცლიდა. მოგვიანებით ჯორჯმა ცოლად შეირთო ის ქალი, რომელიც ელას დასაბრუნებლად გამოიყენა, და ელამ, შეიძლება ითქვას, შვებით ამოისუნთქა.

დეპრესია შემოეჩვია და ჩვევად ექცა, გაუთავებლად ეფიქრა თავის ქორწინებაზე, თავისი იმდროინდელი ქცევა მღელვარედ გაეანალიზებინა. არაერთ ჩახლართულ ფსიქოლოგიურ დასკვნამდე მივიდა; გახსენებისას თავის თავსაც და ყოფილ ქმარსაც აშავებდა; გრძნობდა, რომ ყოფილმა ქორწინებამ გამოფიტა და შინაგანად გააუპატიურა და რაც კიდევ უარესი იყო, გულის სიღრმეში ეშინოდა, რომ თავისი რაღაც სიღრმისეული მანკიერებების თუ ხარვეზის გამო შეიძლება სხვა მამაკაცთანაც იმავეს უცილობელი განმეორებისთვის იყო განწირული.

თუმცა მას მერე, რაც ელამ პოლ ტენერთან გაიბა ურთიერთობა, ძალზე მარტივად დაიწყო ამ ფრაზის თქმა: „მე, რა თქმა უნდა, ჯორჯი არასოდეს მყვარებია“. ისე, თითქოს ამას არაფრის დამატება აღარ სჭირდებოდა. არადა, მისი აზრით, ასეც იყო. და არ აწუხებდა ის რთული ფსიქოლოგიური ნიუანსები, რომლებიც ამ ფრაზას: „მე, რა თქმა უნდა, ჯორჯი არასოდეს მყვარებია“ და შემდეგს შორის, „მე მიყვარს პოლი“, განსხვავებას შეადგენდნენ.

მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა. ახლა კი ელას ერთი სული ჰქონდა, ახალი ნაცნობისგან თავი დაეხსნა, თავს ხაფანგში მოქცეულად გრძნობდა, - პოლისგან კი არა, არამედ იმ შესაძლებლობის გამო, რომელიც მასში შეიძლებოდა გაცოცხლებულიყო და წარსული განმეორებულიყო.

პოლმა უთხრა:

- მაშინ, მომიყევით იმ შემთხვევის შესახებ თქვენი პრაქტიკიდან, რომლის გამოც ექიმ ვესტთან უთანხმოება მოგივიდათ.

პოლი ცდილობდა გაქცევის საშუალება არ მიეცა. ელამ მიუგო:

- აა, თქვენც ხომ ექიმი ხართ და თქვენთვისაც ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ, შემთხვევაა პრაქტიკიდან.

ამ სიტყვებმა აგრესიულად და მკვახედ გაიჟღერა, ამიტომ ელამ თავი აიძულა, გაეღიმა და დასძინა:

- უკაცრავად. სამუშაო უფრო მეტად მიტაცებს, ვიდრე საჭიროა.

- მესმის თქვენი, - უპასუხა პოლმა.

ექიმი ვესტი არასოდეს ეტყოდა: „მესმის თქვენი“ და ელას გული მყისვე მოულბა. მისი ყინულისებრი თავდაჭერილობა, რომელსაც ვერც კი აცნობიერებდა და რომელიც მხოლოდ ახლობლებთან ურთიერთობისას იცვლებოდა, უმალ გალღვა. ხელჩანთაში წერილის ძებნა დაიწყო და შენიშნა, რომ პოლმა გაოცებით ჩაიღიმა, როდესაც დაინახა, რა არეულობა იყო მის ჩანთაში. ღიმილით გამოართვა წერილი. იჯდა, წერილი ხელში ეჭირა, ელას თბილად და გულღიად უყურებდა, თითქოსდა ესალმებოდა, ამჯერად ნამდვილს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, გაიხსნა მის წინაშე.

- რა შეეძლო გაეკეთებინა საწყალ ექიმ ვესტს? თქვენ რა, გინდოდათ, მალამოები და დასაზელები გამოეწერა მისთვის?

- არა, არა, რა თქმა უნდა, არა.

- ის ქალი, ალბათ, თავის პირად ექიმს გასაქანს არ აძლევს და დღეში სამჯერ ურეკავს, - წერილში ჩაიხედა, - 1950 წლის 9 მარტიდან. და ის საცოდავიც, ალბათ, ყველა მალამოს მიჯრით უნიშნავს, რაც კი გაუგია.

- დიახ, მესმის, - მიუგო ელამ, - ამ წერილს ხვალ უნდა ვუპასუხო. და კიდევ ას ცალ ასეთივეს.

ელამ ხელი გაუწოდა წერილის გამოსართმევად.

- რის მიწერას აპირებთ?

- რა შემიძლია მივწერო? საქმეც ის არის, რომ მისი მსგავსი ადამიანები ათასობით არიან და შეიძლება, მილიონობითაც კი.

ამ სიტყვამ „მილიონობით“ როგორღაც ბავშვურად გაიჟღერა და ელამ პოლს თვალებში ჩახედა, შეეცადა, მისთვის უმეცრებისა და უბედურების თავისი შეგრძნება გადაეცა. პოლმა წერილი დაუბრუნა და ჰკითხა:

- მაინც რას მისწერთ?

- ისეთს ვერაფერს, რაც მართლა სჭირდება. ცხადია, უნდა ექიმი ოლსეპი თავისი ფეხით ეახლოს, თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდივით, და გადაარჩინოს.

- ცხადია.

- ესაა სწორედ უბედურება. ვერ ვეტყვი: „ძვირფასო მისის ბრაუნ, თქვენ არავითარი რევმატიზმი არა გაქვთ, თქვენ სრულიად მარტო დარჩით, ყველამ დაგივიწყათ, ჰოდა, იგონებთ ავადმყოფობის სიმპტომებს, რათა მთელ მსოფლიოს აუწყოთ საკუთარი პერსონის შესახებ, ვინმემ ყურადღება რომ მოგაქციოთ“. განა შემიძლია ეს ვუთხრა?

- თქვენ შეგიძლიათ ეს ყველაფერი ტაქტიანად უთხრათ. შეიძლება თვითონაც ხვდება ამას. შეგიძლიათ ურჩიოთ, მეტი ურთიერთობა ჰქონდეს ადამიანებთან, შევიდეს რომელიმე ორგანიზაციაში ან რაიმე ამდაგვარი.

- დიდი ქედმაღლობა იქნება, რჩევები რომ მივცე.

- მან დახმარებისთვის მოგმართათ და ქედმაღლობა ის იქნება, თუკი არაფერს ურჩევთ.

- თქვენ ამბობთ, ორგანიზაციაში შევიდესო! მაგრამ მას სრულიად სხვა რაღაც სჭირდება, რაღაც უპიროვნო კი არ უნდა. ეს ქალი მრავალი წლის განმავლობაში გათხოვილი იყო და ახლა ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ცოცხალი ნახევარი ჩამოაჭრეს.

ამაზე პოლმა აღარ უპასუხა. მდუმარედ იჯდა. იჯდა და ელას უყურებდა მდუმარედ და სერიოზულად, და ელა ვერაფრით ხვდებოდა, რას ფიქრობდა.

ბოლოს თქვა:

- შესაძლოა, მართალი ხართ. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ურჩიოთ დასაქორწინებელ სააგენტოს მიმართოს.

პოლს გაეცინა, როდესაც ელას სახეზე ზიზღი დაინახა და განაგრძო:

- დიახ, დიახ, გაგიკვირდებათ, თუკი გაიგებთ, რამდენი მშვენიერი ოჯახი შევქმენი მე თვითონ დასაქორწინებელი სააგენტოს მეშვეობით.

- თქვენ ისე მსჯელობთ, როგორც... სოციალური მუშაკი და ფსიქიატრი ერთდროულად, - უთხრა ელამ და როგორც კი ეს თქვა, უმალ მიხვდა, რას ეტყოდნენ საპასუხოდ. ექიმი ვესტი, საღი აზრით აღსავსე პრაქტიკოსი თერაპევტი, ვინც ვერ იტანდა „არანორმალურობებს“, ხშირად ხუმრობდა ხოლმე თავის ერთ-ერთ კოლეგაზე, „ადამიანთა სულების მკურნალზე“, რომელთა-

ნაც სერიოზული ფსიქიკური დარღვევების მქონე პაციენტებს გზავნიდა. მაშ, სწორედ პოლი ყოფილა ის „სულების მკურნალი“.

ამ დროს პოლ ტენერმა უხალისოდ ჩაილაპარაკა:

- დიახ, გარკვეული აზრით, სწორედაც ვარ.

ელა ხვდებოდა, კაცს არ სურდა ამ თემაზე საუბარი, რადგან შიშობდა, რომ ქალს ადვილად წარმოსადგენი და მოსალოდნელი რეაქცია ექნებოდა. და როგორი იქნებოდა ეს მოსალოდნელი რეაქცია, ელამ იცოდა, რადგან შვება და თან ინტერესი იგრძნო, ინტერესი, რომელიც უხერხულობასთან იყო გადაჯაჭვული: პოლი ხომ „შემლოცველი“ გახლდათ და ესე იგი, მისი სულის სიღრმეებში ჩახედვის უნარიც ჰქონდა. სასწრაფოდ თქვა:

- ჰოო, მაგრამ მე არ ვაპირებ თქვენთვის ჩემი პრობლემების გადმოლაგებას.

პაუზის შემდეგ, რომლის დროსაც, როგორც ელა ხვდებოდა, პოლი ცდილობდა, ისეთი სიტყვები მოეძებნა, ქალს რომ დაეხმარებოდა ამისგან თავის შეკავებაში, უთხრა:

- მე კიდევ, წვეულებაზე არასოდეს ვიძლევი რჩევებს.

- დაქვრივებულ მისის ბრაუნს თუ არ ჩავთვლით.

პოლმა გაიღიმა და ჰკითხა:

- თქვენ საშუალო კლასს ეკუთვნით, არა?

ეს აშკარა შეფასება იყო. ელა გაღიზიანდა.

- წარმოშობით, - თქვა მან.

პოლმა კი უთხრა:

- მე კი მუშათა კლასიდან ვარ და ამიტომ დაქვრივებულ მისის ბრაუნზე თქვენზე ცოტა მეტი გამეგება.

ამ დროს მათთან პატრიცია ბრენტი მივიდა და პოლი თავისი ჟურნალის ერთ-ერთ თანამშრომელთან სასაუბროდ წაიყვანა.

ელა მიხვდა, - ის და პოლი იმ წყვილს ჰგავდნენ, რომელიც მხოლოდ ერთმანეთით არის გართული, ეს წვეულება კი მსგავს ურთიერთობას არ გულისხმობდა. პატრიციამ გამომეტყველებით აგრძნობინა, რომ მათ საზოგადოების ზედმეტი ყურადღება დაიმსახურეს. ელა ამან შეაშფოთა. პოლს მისი დატოვება არ უნდოდა. ელას დაჟინებით, მუდარით და, ამავე დროს, მტკიცედ და ხისტად შეხედა. „დიახ, - გაიფიქრა ელამ, - როგორი ხისტი მზერაა, თითქოს სამხედრო ბრძანებაა, რომელიც მავალდებულებს, ადგილზე დავრჩე და ველოდო, სანამ გათავისუფლდება და ჩემთან მოსვლას შეძლებს“. და ელა მას შინაგანად ისევ დაშორდა.

ელას წასვლის დრო დადგა. ვესტებთან მხოლოდ ერთი საათი გაატარა, მაგრამ წასვლა მოუნდა. პოლ ტენერი პატრიციასა და ვიღაც ახალგაზრდა ქალს შორის იჯდა. ელას არ ესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ქალების დამორცხვებულ--მღელვარე გამომეტყველებიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ პირდაპირ ან ირიბად მსჯელობდნენ ექიმ ტენერის პროფესიაზე და იმაზე, თუ როგორ შეუძლია მის პროფესიულ ცოდნას მათ თავიანთი თავის შეცნობაში დაეხმაროს. ექიმს კი სახეზე თავაზიანი, მაგრამ დაძაბული ღიმილი დასთამაშებდა. „მალე ვერ დაიხსნის თავს მათგან“, - დაასკვნა ელამ, წამოდგა, მისის ვესტთან მივიდა და მოუბოდიშა, რომ ნაადრევად მიდიოდა, - ქალს სტუმრის გაქცევა ნამდვილად არ ესიამოვნა. ელამ დამშვიდობების ნიშნად თავი დაუქნია ექიმ ვესტს, რომელსაც უკვე ხვალ დილას ნახავს, თავის მაგიდაზე დახვავებულ წერილებს თვალს რომ მოსწყვეტს, და პოლს გაუღიმა. როდესაც პოლმა გაიგო, ელა მიდისო, გულწრფელი განცვიფრებით აღსავსე ცისფერი თვალები შეანათა. ელა ჰოლში გავიდა, პალტო რომ ჩაეცვა და

ისიც სასწრაფოდ გაჰყვა, შესთავაზა, სახლამდე მანქანით მიგიყვანთო. ახლა პოლი უცერემონიოდ, თითქმის უხეშად ელაპარაკებოდა, რადგან უკმაყოფილო იყო, ასეთ მდგომარეობაში რომ ჩააყენეს, იძულებული გახადეს, ყველას თვალწინ გამოჰკიდებოდა. ელამ თქვა:

- შეიძლება სხვადასხვა გზა გვაქვს.

პოლმა ჰკითხა:

- სად ცხოვრობთ?

და როდესაც ელამ მისამართი უთხრა, პოლმა გადაჭრით განაცხადა, ერთი გზა გვაქვსო.

მომცრო ინგლისური მანქანა ჰყავდა. სწრაფად და ოსტატურად მართავდა. მათი ლონდონი, ვინც მანქანას მართავს ან ტაქსით მგზავრობს და იმათი, ვინც მეტროთი და ავტობუსით დადის, ორი სხვადასხვა ქალაქია. ელა ფიქრობდა, რომ ამ სიმახინჯის არაერთი მილი, რომელიც მარტომ გაიარა, ახლა ჰგავდა მსუბუქი ნისლით დაბურულსა და სხვადასხვაფერი შუქით მანათობელ ქალაქს, რომელიც მასზე ვეღარ იბატონებს და ვეღარც დააშინებს. ამ დროს პოლ ტენერი მას დროდადრო გამომცდელად გახედავდა ხოლმე, თითქოს პატარ-პატარა ისრებს უშენსო, და მის ცხოვრებაზე მოკლე, პრაქტიკულ კითხვებს უსვამდა. ელას თითქოსდა უნდოდა, ეპასუხა მისგან მომდინარე ამ გამოწვევაზე, იმაზე, რომ აშკარად ცდილობდა, მისთვის ანალიზი გაეკეთებინა და რაღაც კლასიფიკიციასა თუ სქემაში ჩაესვა. პოლს უამბო, რომ მთელი ომის განმავლობაში ფაბრიკის მუშა ქალებისთვის განკუთვნილ სასადილოში მუშაობდა და საერთო საცხოვრებელში მათთან ერთად ცხოვრობდა; რომ ომის შემდგომ ტუბერკულოზი დაემართა, ოღონდ შედარებით მსუბუქი ფორმით, და ექვსი თვე სანატორიუმში გაატარა, მთელი ის ხანი ზურგზე იწვა.

ეს იყო გამოცდილება, რომელმაც შეცვალა მისი ცხოვრება და გაცილებით უფრო ღრმა გავლენა მოახდინა მასზე, ვიდრე ომის წლებმა, რომლებიც ფაბრიკის მუშა ქალებთან გაატარა. დედა ძალზე ახალგაზრდა გარდაეცვალა, მამა ზრდიდა, გადამდგარი ოფიცერი, გულჩათხრობილი და ჯიუტი კაცი, რომელიც მანამდე ინდოეთში მსახურობდა.

- თუკი ამას შეიძლება ეწოდოს აღზრდა, ჩემს ნებაზე ვიყავი მიშვებული, რის გამოც მამაჩემის მადლიერი ვარ, - თქვა ელამ და გაიცინა.

და კიდევ, გათხოვილი იყო, მაგრამ ქორწინება უიღბლო და ხანმოკლე გამოდგა. ამ ყოველ ცნობაზე პოლ ტენერი თავს უქნევდა და ელამ ნათლად წარმოიდგინა, როგორ ზის საწერ მაგიდასთან კაბინეტში, პაციენტებს უსმენს და თავს უქნევს.

- თქვენზე ამბობენ, რომანებს წერსო, - თქვა პოლმა და მანქანა ფრთხილად დაამუხრუჭა ჯულიას სახლთან.

- არა, რომანებს არ ვწერ, - ელამ გულმოსულმა უპასუხა, არ ესიამოვნა, მის „კუთვნილ ტერიტორიაზე“ რომ შეიჭრა, და მანქანიდან სასწრაფოდ გადმოვიდა. პოლიც სასწრაფოდ გადმოვიდა და სახლის კართან ერთდროულად აღმოჩნდნენ. წამით ორივე შედგა, თითქოს არ იცოდნენ, რა ექნათ. მაგრამ ელას შესვლა ეჩქარებოდა, მისი დაჟინებული ყურადღებისგან უნდოდა თავის დაღწევა. პოლმა, ცოტა არ იყოს, უტიფრად და უცერემონიოდ ჰკითხა:

- ხვალ ჩემთან ერთად გასასეირნებლად წამოხვალთ?

მერე კი თითქოს გონს მოეგოო, სასწრაფოდ ახედა ცას, მძიმე ღრუბლებით რომ იყო დაფარული, და ჩაილაპარაკა:

- ხვალ, ეტყობა, კარგი ამინდი იქნება.

ამის გაგონებაზე ელას გაეცინა და სიცილმა გუნება ცოტა გამოუკეთა, უთხრა, წამოვალო. პოლს სახე გაუნათდა, შვების, არა, სულაც გამარჯვებულის გამომეტყველება მიიღო. „პატარა გამარჯვება მოიპოვა“, - გაიფიქრა ელამ და მყისვე გული ოდნავ გაუგრილდა. შემდეგ, ხანმოკლე ყოყმანის მერე, პოლმა ხელი ჩამოართვა, უთხრა, რომ ხვალ ორი საათისთვის გამოუვლიდა და მანქანისკენ გაბრუნდა. ელა სახლში შევიდა, ჩაბნელებული ჰოლი გადაკვეთა და ჩაბნელებული კიბე აიარა. სრულიად მდუმარე სახლში მიაბიჯებდა. ჯულიას ოთახის კარქვეშ, ღრიჭოში სინათლის ზოლი ჩანდა. ბოლოს და ბოლოს, ჯერ ძალზე ადრე იყო. ელამ დაუძახა:

- ჯულია, მოვედი!

ჯულიამ მკაფიოდ და ხმამაღლა უპასუხა:

- შემოდი, ვისაუბროთ.

ჯულიას მეტად კომფორტული საძინებელი ჰქონდა. ახლა ორადგილიან საწოლზე იყო წამოწოლილი, ბალიშების გროვას ეყრდნობოდა, კითხულობდა. პიჟამა ეცვა, მკლავები დაკაპიწებული ჰქონდა. მეგობარმა ელას კეთილმოსურნე, თუმცა კი ერთობ გამჭოლი, გამომცდელი მზერით გახედა.

- როგორი იყო? მომიყევი ერთი.

- მოსაწყენი, - უთხრა ელამ და ჯულიას ამით უსაყვედურა, რომ წასვლა აიძულა. ნების უხილავი ძალისხმევით აიძულა.

- ფსიქიატრმა მომაცილა, - დასძინა მან. ეს სიტყვა განზრახ იხმარა, რომ დაენახა გამომეტყველება, რომელიც, როგორც ელამ იცოდა, თვით მასაც ჰქონდა და რომელსაც პატრიციასა და იმ ახალგაზრდა ქალის სახეებზე ხედავდა, პოლს რომ ელაპარაკებოდა. და როდესაც დაინახა ეს გამომეტყველება, უმალ შერცხვა და ინანა, ასე რომ თქვა, - თითქოს ჯულიას წინააღმდეგ წი-

ნასწარგანზრახული აგრესია ჩაედინოს. „არადა, ასეცაა“, - გაიფიქრა.

- და მგონი, არ მომეწონა, - განაგრძო ელამ და როგორც სჩვეოდა, ბავშვივით დაიწყო თამაში ჯულიას სუნამოებით მის ტუალეტის მაგიდაზე. სუნამოს მაჯებზე ისვამდა და ჯულიას გამომეტყველებას უყურებდა სარკეში, რომელიც ისევ გამჭოლი, მომთმენი და სკეპტიკური გაუხდა. გაიფიქრა, „ჯულია მართლაც დედობის ერთგვარი განსახიერებაა, მაგრამ ამ თამაშში მხარი უნდა ავუბა თუ არა? გარდა ამისა, უმეტესად მე თვითონ მაქვს მის მიმართ დედობრივი გრძნობა, მოთხოვნილება, დავიცვა, თუმცა, არ ვიცი, რისგან“.

- და რატომ არ მოგეწონა? - დაინტერესდა ჯულია.

კითხვა სერიოზულად იყო დასმული და ელას მასზე სწორად რომ ეპასუხა, დაფიქრება სჭირდებოდა. თუმცა, ამის ნაცვლად, უთხრა:

- გმადლობთ, მაიკლს რომ მიმიხედე.

და ზედა სართულზე ავიდა, ოდნავ დამნაშავესავით გაუღიმა დამშვიდობების ნიშნად.

მეორე დღეს ლონდონის თავზე მზემ გამოანათა, გამოიდარა. ქუჩაში ხეები სახლებისა და ტროტუარების მძიმე დანამატად უკვე აღარ ჩანდნენ, არამედ მინდვრების, მდელოების, ბუნების გაგრძელება იყვნენ ქალაქში. როგორც კი ელამ წარმოიდგინა მზით გაკაშკაშებული ბალახი, მისი ეჭვი დაგეგმილ გასეირნებაზე მყისვე სიხარულმა შეცვალა; და გუნება-განწყობის ამ უეცარმა ცვლილებამ მიახვედრა, რომ ბოლო დროს, ეტყობა, მუდმივად დათრგუნვილი იყო, თანაც უფრო მეტად, ვიდრე აცნობიერებდა. როდესაც ბავშვს საუზმეს უმზადებდა, ელამ უცებ წაიმღერა. და მხოლოდ იმიტომ, რომ პოლის ხმა გაახსენდა. როცა

ელაპარაკებოდა, ელა მის ხმას როგორღაც ყურადღებას არ აქცევდა, ახლა კი უეცრად გონებაში გაუხმიანდა, - თბილი იყო, ზოგჯერ თითქოს შიგადაშიგ ხაოიანი ლაპარაკი კაცისა, რომელსაც კარგი განათლება თავიდანვე არ მიუღია (ხმას უსმენდა და მასზე ფიქრობდა, თუმცა, გარეგნობას არ იხსენებდა). ელა სიტყვებს კი არ უსმენდა, რომელთაც პოლი წარმოთქვამდა, არამედ მისი ხმის ჟღერადობას, რომელშიც ახლა ერთდროულად დელიკატურობას, ირონიასა და თანაგრძნობას ამჩნევდა.

ჯულია დღისით მეგობრებთან წასვლას აპირებდა, მაიკლიც თან მიჰყავდა. ადრე წავიდნენ, საუზმის დამთავრებისთანავე, ბიჭუნას რომ არ გაეგო, დედამისი უმისოდ სასეირნოდ რომ მიდიოდა.

- და მაინც, საკმაოდ კმაყოფილი გამომეტყველება გაქვს, - შენიშნა ჯულიამ.

ელამ მიუგო:

- უკვე რამდენიმე თვეა ლონდონიდან არ გავსულვარ. გარდა ამისა, სიტუაცია, როცა ჩემ გვერდით მამაკაცი არაა, არანაირად არ მაწყობს.

- და ვის აწყობს რო? - გამოეპასუხა ჯულია, - თუმცა, არა მგონია, ნებისმიერი მამაკაცი უკეთესი იყოს, ვიდრე არანაირი.

ელას ბოსტანში ეს პატარა კენჭი ისროლა და მშვენიერ ხასიათზე მყოფმა სახლი ბავშვთან ერთად დატოვა.

პოლმა დააგვიანა და იმის მიხედვით, თუ როგორ იხდიდა ბოდიშს, ამას კი როგორღაც ფორმალურად, თითქმის მექანიკურად აკეთებდა, ელა მიხვდა, რომ დაგვიანება სჩვეოდა, ეს მის ხასიათთან იყო დაკავშირებული და არა იმასთან, რომ ძალზე დაკავებული ექიმია, რომელსაც უამრავი მოვალეობა აკისრია. ისე კი ელა კმაყოფილიც იყო, პოლმა რომ დააგვიანა. საკმარი-

სი იყო, ერთადერთხელ შეეხედა პოლისთვის, რომლის სახეც ნერვიულ გაღიზიანებას ოდნავ მოეღრუბლა, გახსენებოდა, რომ გუშინ საღამოს არ მოეწონა. გარდა ამისა, დაგვიანება მიანიშნებდა, რომ მაინცდამაინც დაინტერესებული არ უნდა ყოფილიყო მათი ურთიერთობით, და ეს პანიკის მსუბუქ შეტევას უმსუბუქებდა, რომლის მიზეზი, მართალია, პოლი კი არ იყო, არამედ ჯორჯის გახსენება (ელა ამას თვითონაც ხვდებოდა). მაგრამ ჩასხდნენ თუ არა მანქანაში და ლონდონიდან გამავალ გზას დაადგნენ, ელამ შენიშნა, რომ პოლი ისევ სწრაფ, ნერვიულ მზერას ესროდა. თანაც, მისი სიმტკიცე იგრძნო. თუმცა, პოლი გაუჩერებლად ლაპარაკობდა და ელა უსმენდა მის ხმას, რომელიც ზუსტად ისევ - წვრილმანებამდე - თბილი და სასიამოვნო იყო, როგორც მისი გახსენებისას. ელა უსმენდა, ფანჯარაში იყურებოდა, უცინოდა. პოლი უყვებოდა, რატომ დააგვიანდა, რომ მან და მისმა თანამშრომელმა ექიმებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს.

- სინამდვილეში ხმამაღლა არაფერი თქმულა, მაგრამ ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლები ერთმანეთთან კომუნიკაციას ღამურებივით, წრიპინით ამყარებენ, ეს კი ჩემისთანა წარმომავლობის ადამიანებს მეტად რთულ მდგომარეობაში აყენებს.

- თქვენ იქ მუშათა კლასის წარმომადგენელი ერთადერთი ექიმი ხართ?

- არა, საავადმყოფოში სხვებიც არიან, მაგრამ ჩემს განყოფილებაში მხოლოდ მე ვარ. და ისინი, ისეთებს, როგორიც მე ვარ, არასოდეს აძლევენ ამის დავიწყების საშუალებას. თან, ამას სრულიად გაუცნობიერებლად აკეთებენ.

პოლი ამაზე იუმორით, უბოროტოდ ლაპარაკობდა, თუმცა მის სიტყვებში სიმწარეც იგრძნობოდა, მაგრამ ძველი ჩვევის გამო ამ სიმწარეს ცეცხლი და სიმძაფრე აკლდა.

დღეს ერთმანეთთან საუბარი უადვილდებოდათ, თითქოს ბარიერი, მათ შორის რომ იდგა, ღამით გაქრა. ლონდონის განაპირა რაიონების საზიზღარი, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები უკან დარჩა და ახლა მზის გულზე მიქროდნენ. ელას ხასიათი ისე გამოუკეთდა, რომ ამ გრძნობამ კიდეც გააბრუა. გარდა ამისა, იცოდა, რომ ეს კაცი მისი საყვარელი გახდებოდა. ამას ხვდებოდა იმ სიტკბოებიდან გამომდინარე, რასაც მისი ხმა ანიჭებდა, - ფარული ნეტარება ავსებდა. პოლი ღიმილით გახედავდა ხოლმე და, ჯულიასი არ იყოს, მანაც შენიშნა:

- საკმაოდ კმაყოფილი გამომეტყველება გაქვთ.

- დიახ, იმიტომ, რომ ლონდონს მოვშორდით.

- ასე ვერ იტანთ?

- აჰ, არა, მომწონს, ვგულისხმობ, მომწონს, რომ აქ ვცხოვრობ, მაგრამ ვერ ვიტან, აი, ამას...

და იმაზე მიუთითა, რაც ფანჯარაში ჩანდა. იქ კი ბუჩქნარის მესერი და ხეები ისევ შეცვალა მორიგმა დასახლებამ. მასში არაფერი იყო ძველი ინგლისისა, ყველაფერი ახალი და უსახური გახლდათ. მთავარ ქუჩას მიუყვებოდნენ, რომელზეც მაღაზიები იყო ჩამწკრივებული, - მაღაზიები ზუსტად ისეთი იყო და ისევე ერქვა, როგორც ათობით სხვა მაღაზიას, რომელთა ჯერ კიდევ ლონდონში ჩაუარეს.

- რატომ?

- ცხადია, იმიტომ, რომ ასეთი სიმახინჯეა.

პოლმა გაოცებით გადახედა. ცოტა ხნის შემდეგ შენიშნა:

- აქ ადამიანები ცხოვრობენ.

ელამ მხრები აიჩეჩა.

- იმათაც ვერ იტანთ?

მისი სიტყვები ელას გულზე მოხვდა: გაიფიქრა, რომ წლების განმავლობაში ყველა, ვისთანაც ურთიერთობა უწევდა, ყოველ-გვარი ახსნა-განმარტების გარეშე ხვდებოდნენ, თუ რატომ ვერ იტანდა „ამ ყველაფერს“ და კითხვა, ვერ იტანს თუ არა ასევე „ი-მათ“, - „იმათში“ კი უბრალო ხალხი იგულისხმებოდა, - სრული-ად უადგილო გახლდათ. და მაინც, ამ კითხვაზე ერთხანს იფიქ-რა და მერე ერთგვარად გამომწვევად უპასუხა:

- გარკვეული თვალსაზრისით, დიახ, ვერ ვიტან იმას, რომ და-მორჩილდნენ. ეს ყველაფერი პირისაგან მიწისა უნდა აღიგავოს, - ეს ყველაფერი.

და ჰაერში ფართო რკალი ელვისებურად მოხაზა ხელით, თითქოს ელა ამ ჟესტით პირისაგან მიწისა აღგვიდა ლონდონის ბნელსა და უძლეველ სიმძიმეს, ათასობით მახინჯ დასახლებას, ადამიანთა ურიცხვ, ციცქნა, კონვულსიურ სიცოცხლეს, ადა-მიანებისა, ინგლისში რომ ბინადრობდნენ.

- მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ ასე არ გამოვა, - უთხრა პოლ-მა ღიმილით და ერთგვარი კეთილმოსურნე სიჯიუტით, - ეს ყვე-ლაფერი განვითარდება, გაჩნდება სულ უფრო მეტი და მეტი ქსელი მაღაზიებისა, ანტენები, რესპექტაბელური ადამიანები. ხომ იცით ეს, განა არა?

- რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენ ყველაფერ ამას იღებთ. რა-ტომ მიგაჩნიათ, რომ ასეც უნდა იყოს?

- იმიტომ, რომ ასეთია დრო, რომელშიც ვცხოვრობთ. და ყვე-ლაფერი უკეთესი გახდა, ვიდრე წინათ იყო.

- უკეთესი! - შესძახა ელამ, მაგრამ უმალ თავი მოთოკა, რად-გან მიხვდა, რომ სიტყვას „უკეთესი“ უპირისპირებდა ცხოვრების

საკუთარ ხედვას, რომელიც საავადმყოფოში შეიძინა, ხედვას და შეგრძნებას რაღაც ბნელი, უპიროვნო, დამანგრეველი ძალისა, რომელიც ცხოვრების ფესვებს ასაზრდოებდა და გამოხატულებას ომებში, სისატიკესა და ძალადობაში პოულობდა და რასაც მათი კამათის საგანთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

- თქვენ გულისხმობთ, - თქვა ელამ, - უკეთესია, იმ გაგებით, რომ აღარ არის უმუშევრობა და არავინ შიმშილობს.

- რაც უნდა უცნაური იყოს, სწორედ ამას ვგულისხმობ.

პოლმა ეს ისე თქვა, რომ მათ შორის ბარიერი კვლავ აღიმართა: პოლი მუშათა კლასიდან იყო, იგი - არა, ანუ პოლი, ასე ვთქვათ, განდობილი გახლდათ. ამიტომ ელა დადუმდა, მან კი ცოტა ხნის მერე ჩაილაპარაკა:

- ყველაფერი გაცილებით უკეთესი გახდა, გაცილებით, გაცილებით უკეთესი. როგორ შეგიძლიათ ეს ვერ დაინახოთ? მე მახსოვს...

პოლი შეყოვნდა, გაჩუმდა, ამჯერად იმიტომ კი არა, რომ „აწვებოდა“ (როგორც ელა აფასებდა ამას თავისთვის), რადგან ამ სფეროში თავის გაცილებით მდიდარ გამოცდილებას ეყრდნობოდა, არამედ იმიტომ, რომ გახსენებამ მწველი ტკივილი მოჰგვარა.

ამიტომ ელამ კიდევ ერთხელ სცადა:

- არ მესმის, როგორ შეიძლება ხედავდე, რა ემართება ამ ქვეყანას და ეს ყველაფერი არ გძულდეს. ზედაპირზე ყველაფერი მშვენივრადაა, - აწყობილ-დამშვენებული, მაგრამ სიღრმეში ყველაფერი შხამითაა გაჟღენთილი. გარშემო სიძულვილი, შური და ტანჯვაა ადამიანებისა, რომლებიც მარტოობისგან აგონიაში არიან.

- იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ რაღაცასა და ნებისმიერ ქვეყანაზე. ნებისმიერ ადგილზე, სადაც ცხოვრების გარკვეული დონეა.

- ეგ საქმეს არ შველის.

- რაც უნდა იყოს, უმჯობესია, ვიდრე შიშის გარკვეული ნაირსახეობა.

- გინდათ თქვათ, რომ სინამდვილეში სიღარიბე საშინელია. და, რასაკვირველია, გინდათ თქვათ, რომ მე ამის გაგების უნარი არ გამაჩნია.

ამაზე პოლმა სწრაფად გახედა, გახედა გაოცებულმა, რადგან ასე ჯიუტად იცავდა თავის პოზიციას და როგორც ელამ იგრძნო, ერთგვარი პატივისცემითაც კი. მის მზერაში არაფერი იყო მსგავსი იმ მზერისა, რომლითაც მამაკაცი უყურებს ქალს და აფასებს მის სექსუალურ მიმზიდველობას და ელამ უფრო თავისუფლად იგრძნო თავი.

- ანუ თქვენ გსურთ გიგანტური ბულდოზერი მთელ ინგლისს გადაატაროთ?

- დიახ.

- და დატოვოთ მხოლოდ რამდენიმე ტაძარი და ერთი-ორი თვალწარმტაცი სოფელი?

- დიახ.

- შემდეგ კი დაასახლოთ ადამიანები ამ შესანიშნავ ახალ ქალაქებში, რომელთაგან ყველა არქიტექტორის ოცნებაა, და უთხრათ, იცხოვრეთ, მოგწონთ თუ არაო.

- დიახ.

- თუ იქნებ თქვენ ძირძველი, პატრიარქალური ინგლისი მოგწონთ თავისი დროს ტარებითა და ცეკვა-თამაშით, ქალიშვილებით შინნაქსოვ, კოჭებამდე კაბებში?

ამაზე ელამ გაბრაზებით მიუგო:

- რა თქმა უნდა, არა! ვერ ვიტან ამ ხარახურას უილიამ მორისის სტილში. თქვენ კი პატიოსნად არ იქცევით. შეხედეთ თქვენს თავს - დარწმუნებული ვარ, თქვენი ძალის უმეტესობა იმაზე დაიხარჯა, რომ კლასობრივი ბარიერი გადაგელახათ. დარწმუნებული ვარ, აღარაფერია საერთო იმას შორის, როგორ ცხოვრობთ დღეს და როგორ ცხოვრობდნენ თქვენი მშობლები. ალბათ, თქვენ უბრალოდ უცხო გახდით მათთვის. ეტყობა, თქვენ შინაგანად გახლეჩილი ხართ. და მთელი ქვეყანაც ასეა. თქვენ ეს იცით. მე კი ეს ყველაფერი მძულს, დიახ, მძულს. მძულს ქვეყანა, რომელიც იმდენადაა გახლეჩილი... იმდენად, რომ საერთოდ არაფერი ვიცოდი მასზე, სანამ ომი არ დაიწყო... და სანამ იმ ქალებთან ცხოვრებამ არ მომიწია.

- ჰოო, - ჩაილაპარაკა ბოლოს პოლმა, - გუშინ მართლები ყოფილან: თქვენ ნამდვილად რევოლუციონერი ბრძანდებით.

- არა, ასე არაა. ეგ სიტყვები ჩემთვის არაფერს ნიშნავს. პოლიტიკა სრულიად არ მაინტერესებს.

ამაზე პოლს გაეცინა, მერე კი უთხრა, თანაც ისე თბილად და წრფელად, რომ ელას გულიც კი აუჩუყდა:

- თქვენ რომ წარმატება მოგეპოვებინათ თქვენი ახალი იერუსალიმის მშენებლობაში, იგივე იქნებოდა, მცენარე მისთვის შეუფერებელ ნიადაგში გადარგვით მოგეკლათ. ყველაფერში, რაც ხდება, არსებობს წინსწრაფვა და უწყვეტობა, ყველაფერს თავისი ლოგიკა აქვს. თქვენ რომ ყველაფერი თქვენებურად გაგეკეთებინათ, თვით ადამიანთა სულს ჩაკლავდით, მორალურ ძალას წაართმევდით.

- წინსწრაფვა და უწყვეტობა... და ღირს კი ამის ესოდენ გაფრთხილება, გაფრთხილება, უბრალოდ, თავისთავად?

- დიახ, ელა, ღირს, ნამდვილად. მერწმუნეთ, ღირს.

მისი სიტყვები იმდენად გულწრფელად გაისმა და იმდენად პირადულადაც, რომ ახლა ელამ გახედა გაოცებით. მერე კი გადაწყვიტა, ამაზე არაფერი ეპასუხა. „ამით მეუბნება, - გაიფიქრა ელამ, - ამ შინაგანი გაორებისგან იმდენად ვიტანჯები, რომ ზოგჯერ ეჭვი მიპყრობს, ღირს კი ეს ყველაფერი ამის ფასადო?“

ელამ ისევ ფანჯარაში დაიწყო ყურება. უკვე სხვა სოფელში მიდიოდნენ. ეს წინაზე უკეთესი ჩანდა: აქ ძველებური ცენტრი იყო, სახლებს სხვადასხვაფერი სახურავები ჰქონდა, მზით გახურებული. მაგრამ ცენტრალური ნაწილის გარშემო ახალი, უსახური სახლები და თვით ცენტრალურ მოედანზე მორიგი „ვულვორთი“ იდგა, თავისი თანამოძმეების ზუსტი ასლი, და ყალბი პაბი „ტიუდორი“. ახლა ასეთი სოფლები, ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგვანან, ერთიმეორეს წაეწყობა. ელამ თქვა:

- მოდი, ამ სოფლებს, სადაც საერთოდ არაფერი არაა, გვერდი ავუქციოთ.

ამჯერად პოლმა გახედა დაუფარავი გაოცებით და ელამ ეს შენიშნა, თუმცა, ამის მიღმა რა იმალებოდა, მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა. ერთხანს პოლი ხმას არ იღებდა, მაგრამ როდესაც გამოჩნდა ვიწრო გზა, რომელიც ხშირ, მზით გაჩახჩახებულ ხეებს შორის იკარგებოდა, იქით გადაუხვია. პოლმა ჰკითხა:

- სად ცხოვრობს მამათქვენი?

- აა, - გამოეპასუხა ელა, - ვხვდები, საითაც მიგყავთ საუბარი. არა, ის სულაც არაა ასეთი.

- ასეთი? მე განა რამე ვთქვი?

- არა, მაგრამ სულ მაგას მიმანიშნებთ. ადრე არმიაში მსახურობდა, ინდოეთში. სამხედრო სამსახურისთვის შეუფერებელი აღმოჩნდა და ერთხანს ადმინისტრაციაში მუშაობდა. მაგრამ ის არც ასეთია.

- და როგორია, ბოლოს და ბოლოს?

ელამ გაიცინა. მის ხმაში წრფელმა და ნამდვილმა სიყვარულმა გაიჟღერა, თუმცა, სიმწარემაც, რაც თავად მისთვისაც მოულოდნელი იყო.

- როდესაც ინდოეთიდან დაბრუნდა, კორნუოლში ძველი სახლი იყიდა. პატარა სახლი, მოშორებულ ადგილას. სახლი ძალიან მომხიბლავია, ძველი, - ხომ გესმით. მამაჩემი ის კაცია, რომელსაც უყვარს და ყოველთვის უყვარდა განმარტოება. ბევრს კითხულობს. საკმაოდ კარგად ერკვევა ფილოსოფიაში. და რელიგიაშიც ბევრი იცის, მაგალითად, ბუდაზე.

- თქვენ თუ მოსწონხართ?

- მოვწონვარ თუ არა?

ამ კითხვამ ელა განაცვიფრა. არაერთხელ დაუსვამს ეს კითხვა თავისთვის. პოლისკენ მიბრუნდა, მონათესავე სულის აღმოჩენით გახარებულმა გაიცინა და უთხრა:

- აი, მესმის კითხვა. მაგრამ, მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა გიპასუხოთ.

მერე კი დასძინა ჩუმად, ძალიან ჩუმად:

- არა, თუკი ჩავუფიქრდები, არა. და არც არასოდეს მოვწონდი. მგონი, არ მოვწონდი, მართლაც არ მოვწონდი.

- რა თქმა უნდა, მოსწონხართ, - მიუგო პოლმა დაუყოვნებლად. ეტყობოდა, ნანობდა, ეს რომ ჰკითხა.

- არავითარი „რა თქმა უნდა“ ამ შემთხვევაში არ შეიძლება არსებობდეს, - და ელა გაჩუმდა, ჩაფიქრდა.

გრძნობდა, პოლი თბილად, თანაც დამნაშავესავით გადახედავდა ხოლმე და ძალიან სიამოვნებდა, ასე რომ ზრუნავდა მასზე.

შეეცადა, თავისი ნათქვამი აეხსნა:

- როდესაც უქმეებზე მასთან ჩავდივარ, მამას ჩემი დანახვა უხარია, ეს აშკარაა. თუმცა, არასოდეს დაუწუწუნია, იშვიათად რომ ვაკითხავ. მაგრამ, როდესაც მასთან ვარ, ეს არაფერში ემჩნევა. ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესრიგს მისდევს. ერთი ხნიერი ქალი დაუდის, სახლს ულაგებს. საჭმელს რაც შეეხება, არც ეს აწუხებს. არის პროდუქტები, რომელთაც მიეჩვია და ყოველთვის აქვს, მაგალითად, საქონლის ხორცი მოსახარშად, სტეიკი - შესაწვავად, კვერცხი. საუზმის წინ აუცილებლად სვამს თავის ულუფა ჯინს, ვახშმის მერე კი - ორ-სამ ჭიქა ვისკის. ყოველ დილით, საუზმის შემდეგ, სასეირნოდ დადის, საკმაოდ შორს. დღისით ბაღში საქმიანობს. ყოველ საღამოს გვიანობამდე კითხულობს. როდესაც იქ ვარ, არაფერი იცვლება. არც კი მელაპარაკება ხოლმე.

ელამ ისევ გაიცინა.

- როგორც თქვენ უწოდებთ, მე მართლაც სხვა ტალღაზე ვარ. მამას ერთი ახლო მეგობარი ჰყავს, პოლკოვნიკი, გარეგნულადაც კი ჰგვანან ერთმანეთს: ორივე გამხდარია, ლამის გაძვალტყავებული, ხშირი წარბები აქვთ და სწორედ ღამურებივით ურთიერთობა აქვთ, - ადამიანის ყურისთვის შეუმჩნეველ წრიპინს გამოსცემენ. ზოგჯერ საათობით პირისპირ მდუმარედ სხედან და ვისკის სვამენ, იშვიათად თუ იტყვიან ერთ-ორ მოკლე ფრაზას, ინდოეთს იხსენებენ. როდესაც მამაჩემი მარტო რჩება, მგონი, ღმერთს ან ბუდას, ან კიდევ სხვა ვინმეს ელაპარაკება, ოღონდ

არა მე. როდესაც რამეს ვეტყვი ხოლმე, ჩვეულებრივ, დაბნეული მპასუხობს, ან სხვა თემაზე გადააქვს საუბარი.

ელა გაჩუმდა, იმაზე ფიქრობდა, რომ ეს მისთვის თქმული ყველაზე გრძელი სიტყვა იყო, რაც უცნაური გახლდათ, რადგან ჩვეულებრივ იშვიათად ლაპარაკობდა და მამაზეც იშვიათად ფიქრობდა. პოლმა ეს თემა აღარ განავითარა, უეცრად ჰკითხა:

- როგორ მოგწონთ აქ?

ოღროჩოღრო გზა, რომელსაც მიუყვებოდნენ, გაილია და მომცრო, ბუჩქნარით შემოღობილ მინდორს მიადგა.

- ვაი, - თქვა ელამ, - დიახ. დღეს დილით იმედი მქონდა, რომ სადმე მდელოზე ან მინდორზე მომიყვანდით, დიახ, ზუსტად ასეთზე.

მანქანიდან სწრაფად გადავიდა, თუმცა, მოასწრო და პოლის განცვიფრებული მზერა შენიშნა, არადა, წამსვე გადაავიწყდა, მხოლოდ მოგვიანებით გაახსენდა, როდესაც ცდილობდა, მიმ-ხვდარიყო, რას გრძნობდა პოლი მის მიმართ იმ დღეს.

ერთხანს ელა მინდორზე დაბორიალებდა, ბალახსა და ყვავი-ლებს ეფერებოდა, ყნოსავდა, მზეს ეფიცხებოდა. როცა მოტრი-ალდა და წამოვიდა, დაინახა, რომ პოლს ბალახზე მომცრო ფარდაგი გაეშალა, იჯდა და ელოდებოდა. მისმა მომლოდინე პოზამ ის სიმსუბუქის განწყობა გაუქარწყლა, რომელიც მცირე თავისუფლებამ მოჰგვარა, მზიან მდელოზე რომ სუფევდა, და ისევ დაიძაბა. სწრაფი, მსუბუქი მოძრაობით დაეშვა ფარდაგზე მის გვერდით და გაიფიქრა: „რაღაც აქვს ჩაფიქრებული. ღმერ-თო ჩემო, ასე სწრაფად აპირებს ჩემთან სიყვარულობას? არა, არა, ამას არ იზამს, ჯერ არა“. მიუხედავად ამის, მის გვერდით წამოწვა და თავი ბედნიერად იგრძნო. უხაროდა, რომ ყველაფე-რი წესითა და რიგით მიდიოდა და ამას არ ეწინააღმდეგებოდა.

მოგვიანებით, და საკმაოდ მალეც, პოლი მის გაბრაზებას დაიწყებს, ეტყვის, რომ იქ ელამ შეიტყუა, რადგან გადაწყვიტა, მასთან დაწოლილიყო და საამისო გეგმა წინასწარ დააწყო. ელას ეს აცოფებდა. ყოველ ჯერზე, როცა კამათს დაიწყებდნენ, პოლი ერთსა და იმავეს ჯიუტად იმეორებდა და ელას გული რაღაცნაირად უცივდებოდა. მერე კი ელას ეს გადაავიწყდა. მოგვიანებით, პოლი ამ თემას ისევ მიუბრუნდა და ელა მიხვდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს მისთვის. რამდენჯერმე განმეორებულმა კინკლაობამ ელას სულში პატარა, მაგრამ შხამიანი კვალი დატოვა. ციცქნა ლაქა, რომელიც თანდათან გაიზარდა. პოლი ტყუოდა. კი, მართალია, ელა მანქანაში მიხვდა, რომ პოლი მისი საყვარელი გახდებოდა, მაგრამ ეს მაშინ გააცნობიერა, როცა მის ხმას უსმენდა, რადგან ამ ხმას მიენდო. მაგრამ ეს მერე უნდა მომხდარიყო. ოდესმე. „პოლი მიხვდება, როდის დადგება შესაფერისი მომენტი“, - ფიქრობდა ელა. და თუკი ეს მომენტი პირველივე დღეს დადგა, ესე იგი, ასეც უნდა მომხდარიყო.

- როგორ გგონია, რას ვიზამდი, შენ რომ სიყვარულობა არ დაგეწყო ჩემთან? - ჰკითხა ელამ მოგვიანებით, ჰკითხა ინტერესით, მტრულად.

- სასტიკად გაბრაზდებოდი, - მიუგო პოლმა სიცილით, თუმცა ხმაში სევდაც გამოერია.

ეს სევდა, გულწრფელი სევდა მიიზიდავს ელას პოლისკენ და დააახლოებს მათ, თითქოს ისინი ერთი უბედურების, რაღაც სასტიკის მსხვერპლნი არიან, რასაც ვერ უმკლავდებიან და რაც თვით ცხოვრებას მოსდგამს.

- მაგრამ ეს ხომ შენ ჩააწყვე, - ეუბნებოდა ელა, - ფარდაგიც კი წამოიღე. ალბათ, როცა ქალაქგარეთ მიდიხარ, ყოველ ჯერზე

მანქანაში, ყოველი შემთხვევისთვის, ფარდაგს დებ. ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

- რასაკვირველია. აბა, რა შეედრება რბილსა და თბილ ფარდაგს, ბალახზე რომაა გაშლილი?

ამ სიტყვებზე ელას ყოველთვის ეცინებოდა. მოგვიანებით კი ფიქრობდა: „ალბათ, სხვა ქალებიც დაჰყავდა იმ მდელოზე, შეიძლება, სულაც წესად აქვს“.

მაგრამ ახლა სრულიად ბედნიერი იყო. ქალაქის სიმძიმეს ვეღარ გრძნობდა, ბალახის სურნელება და მზე საუცხოო იყო. უცებ მისი ირონიული ღიმილი დაინახა და უმალ წამოჯდა, თავის დაცვა დააპირა. პოლმა უცებ მის ქმარზე განზრახ ირონიულად დაიწყო ლაპარაკი. ელამ ყველა კითხვაზე მოკლედ უპასუხა, რადგან წინა საღამოს უკვე მოყოლილი ჰქონდა ძირითადი ფაქტები. მერე ელამ მოუყვა ბავშვზე, მაგრამ ამჯერად ზედაპირულად, რადგან თავს დამნაშავედ გრძნობდა, რომ თვითონ აქ იყო მზის გულზე, - მაიკლსაც მოეწონებოდა მანქანით გასეირნება და მზიანი მდელო.

უეცრად მიხვდა, რომ პოლი თავის ცოლზე რაღაცას უყვებოდა. წუთები დასჭირდა, რომ გაეცნობიერებინა, რას ეუბნებოდა. და კიდევ უთხრა, რომ ორი შვილი ჰყავს. ელა ამან გააოგნა, თუმცა არ დაუშვა, ამას მისთვის იმის რწმენა დაენგრია, რაც ხდებოდა. იმან, რომ პოლი თავის ცოლზე აჩქარებითა და თითქმის გაღიზიანებით ლაპარაკობდა, ელას უკარნახა, - ცოლი არ უყვარდა. ელას გულში უკვე ხმიანობდა სიტყვა „სიყვარული“, თანაც, ისე მიამიტურად, რომ სრულიად არ ჰგავდა იმას, თუ როგორ აანალიზებდა ჩვეულებრივ ადამიანთა ურთიერთობებს. ელამ ისიც კი წარმოიდგინა, რომ პოლი, ალბათ, ცოლთან არ ცხოვრობდა, რადგან მასზე ასე ზერელედ ლაპარაკობდა.

პოლმა ალერსი დაუწყო. „კაცმა რომ თქვას, მართალია, ეს ყველაზე შესაფერისი მომენტია, აქ ყველაფერი ისეთი ლამაზია“, ფიქრობდა ელა. მის სხეულს მეტისმეტად კარგად ახსოვდა ქმარი, ამიტომ მოდუნებას ვერ ახერხებდა. თუმცა მალე მინებდა, პოლს მიენდო. მათ სხეულებს ერთმანეთისა კარგად ესმოდათ (ოღონდ ამას მერე იტყვის, „სხეულებს ერთმანეთისა კარგად ესმოდათ“, მაშინ კი ფიქრობდა: „ჩვენ ერთმანეთისა კარგად გვესმის“). მაგრამ როდესაც ერთხელ თვალი ოდნავ გაახილა, პოლის სახე დაინახა, იმწამს ხისტი და თითქმის მახინჯიც კი. თვალები ისევ სასწრაფოდ დახუჭა, რომ არ დაენახა და ისევ სიამოვნებას მიეცა. შემდეგ ელამ შენიშნა, რომ პოლი პირს არიდებდა და სახე ისევ ხისტი გაუხდა. ელა ინსტინქტურად შეეცადა, გარიდებოდა, მაგრამ პოლის ხელმა, მის მუცელზე რომ ჰქონდა, შეაჩერა, ამის საშუალება არ მისცა. პოლმა გასაბრაზებლად უთხრა:

- მეტისმეტად გამხდარი ხარ.

ელას გაეცინა, წამითაც არ გაბრაზებულა, რადგან მისი ხელი, მუცელზე რომ ედო, ანიშნებდა, სწორედ ისეთი მოსწონდა, როგორიც სინამდვილეში იყო. და შიშველ ელასაც მოსწონდა თავისი თავი. სხეული გამხდარი, მსუბუქი ჰქონდა, მხრები და მუხლები - წვეტიანი, მაგრამ მკერდი და მუცელი - თეთრი და გლუვი, მომცრო ტერფები კი - დელიკატური და ნაზი. ხშირად უნდოდა სხვანაირი ყოფილიყო: ელა ოცნებობდა უფრო ხორცსავსე, მომრგვალებული, „დიდი ქალი“ ყოფილიყო, მაგრამ ის, თუ როგორ ეხებოდა მას პოლის ხელი, ამ ფიქრს ავიწყებდა. ელა ბედნიერი იყო. ერთხანს ასე იწვნენ, მისი ხელი ელას მუცელზე ესვენა. მერე კი მკვეთრი მოძრაობით აიღო ხელი და ჩაცმას შეუდგა. ელას მოულოდნელად ძალიან მოუნდა ტირი-

ლი, თავისი სხეული მეტისმეტად გაძვალტყავებული, მეტისმეტად მჩატე ეჩვენა. პოლმა ჰკითხა:

- კაცთან ბოლოს როდის იწექი?

ელა დაიბნა, გაიფიქრა: „ჯორჯზე მეკითხება? მაგრამ ჯორჯი არ მიყვარდა. მის შეხებას ვერ ვიტანდი“.

- არ ვიცი, - მიუგო და უცებ მიხვდა, რა იგულისხმა პოლმა: რომ მასთან შიმშილის მოსაკლავად დაწვა. სახეზე სისხლი მოაწვა, სწრაფად წამოდგა, შეტრიალდა და ისეთი ხმით უთხრა, რომელიც თვითონვე საზიზღრად მოეჩვენა:

- სულაც წინა კვირას, წვეულებაზე ერთი კაცი შევაბი და ჩემთან წავიყვანე.

ცდილობდა, შესაფერისი გამოთქმები ეპოვა, იხსენებდა, გოგოები იმ ომისდროინდელი სასადილოდან რას ამბობდნენ ხოლმე. როგორც იქნა, საჭირო სიტყვები გაახსენდა და უთხრა:

- მაგარი კაცი იყო. რაც საჭიროა, ყველაფერი ზედ ება.

თქვა და მანქანაში ჩაჯდა, კარი მოაჯახუნა. პოლმა ფარდაგი უკანა სავარძელზე დააგდო, სასწრაფოდ მიუჯდა საჭეს და დაძაბული სახით დაიწყო მანევრირება, მანქანა მინდვრიდან გზაზე რომ გაეყვანა.

- ესე იგი, ეს წესად გაქვს? - იკითხა პოლმა. თავდაჭერილად და თითქოს სასხვათაშორისოდ ლაპარაკობდა. ელამ გაიფიქრა, რომ თუ ერთი წამის წინ ეს ჰკითხა როგორც მამაკაცმა, ახლა ექიმივით ელაპარაკებოდა, ექიმივით, რომელთანაც მიღებაზე მივიდა. ელა ფიქრობდა, რომ ახლა მხოლოდ ერთი რაღაც უნდოდა, - რაც შეიძლება მალე მიეღწია სახლამდე, ყველაფერი რაც შეიძლება მალე მორჩენილიყო, რომ დაგდებულიყო ლოგინზე და ტირილით გული ეჯერებინა. ის, თუ როგორ იწვნენ და ერთმანეთს ეალერსებოდნენ, ახლა მის გონებაში მჭიდროდ

დაუკავშირდა ქმრის გახსენებას, იმას, თუ როგორ ეკუმშებოდა და გაურბოდა მისი სხეული ჯორჯს, რადგან ახლა მისი სული იკუმშებოდა და გაურბოდა ამ ახალ მამაკაცს.

- ესე იგი, წესად გაქვს ეს? - ისევ იკითხა პოლმა.

- რა მაქვს წესად? - ელას გაეცინა, - აა, მივხვდი.

და მან შეხედა პოლს ისე, თითქოს თვალებს არ უჯერებდა, შეხედა, როგორც შეშლილს. პოლი კი ახლა მართლაც ჰგავდა ოდნავ შექანებულს, სახე დამანჭოდა ეჭვის გამო, რომელიც ღრღნიდა. ახლა ის უკვე ექიმი კი აღარ იყო, მიღება რომ ჰქონდა, არამედ მისი მტერი მამაკაცი. ახლა თვითონ ელაც მტრულად განეწყო, ბოროტად ჩაიცინა და უთხრა:

- და მაინც, მაგარი ბრიყვი ხარ.

ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ, სანამ მანქანა მთავარ გზატკეცილზე არ გავიდა და მანქანების მჭიდრო ნაკადს არ შეუერთდა, რომელიც უკან, ქალაქისკენ ნელა მიიწევდა. პოლმა უკვე სხვა ინტონაციით, ამხანაგურად თქვა, დაზავება შესთავაზა:

- ბოლოს და ბოლოს, ეს სულაც არაა ჩემი განსასჯელი. ჩემი პირადი ცხოვრებაც არ გამოდგება მისაბაძ მაგალითად.

- იმედია, შენთვის დამაკმაყოფილებელი თავშესაქცევი აღმოვჩნდი.

პოლი მეტად დაბნეული ჩანდა. ელას იგი სულელად ეჩვენებოდა, რადგან ვერაფერს ხვდებოდა. ელა ხედავდა, როგორ ცდილობდა გონებაში შესაფერისი სიტყვების შერჩევას და როგორ ვერ პოულობდა. ელა არ მიეხმარა, არ მისცა საშუალება, გული გაეხსნა. ელა ისე გრძნობდა თავს, თითქოს რამდენჯერმე განგებ მკერდში, შიგ სასულეში დაარტყეს. იმდენად სტკიოდა ამ დარტყმების გამო, რომ სული უგუბდებოდა, მზად იყო, პირდაფ-

ჩენილს ესუნთქა. ტუჩები უკანკალებდა, მაგრამ ერჩივნა, მომკვდარიყო, ვიდრე მისი თანდასწრებით ატირებულიყო. პირი იბრუნა და ერთხანს სოფლის პეიზაჟს გაჰყურებდა, რომელიც უკვე ბინდბუნდსა და სიგრილეში ინთქმებოდა, მერე კი თვითონ ალაპარაკდა. როცა მიზნად დაისახავდა, შეეძლო გესლიანი, ხისტი და საინტერესო მოსაუბრე ყოფილიყო. ელა პოლს ჟურნალის ცხოვრებიდან ჭორებით ართობდა, უყვებოდა პატრიცია ბრენტის საქმეებზე, ასე შემდეგ და ასე შემდეგ, და თან სძულდა პოლი, რადგან მან საშუალება მისცა, თავისი თავი შეეცვალა და ყალბი ყოფილიყო. ელა ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა გაუჩერებლად, პოლი კი ხმას არ იღებდა და როდესაც ჯულიას სახლს მიაღწიეს, ელა სწრაფად გადავიდა მანქანიდან და კართან უფრო ადრე მივიდა, სანამ პოლი დაწევას მოასწრებდა. ელა ცდილობდა, გასაღები მოერგო, როდესაც პოლი მივიდა და უთხრა:

- ამ საღამოს შენი მეგობარი ჯულია შენს ბიჭს ვერ დააძინებს? თუ გინდა, სპექტაკლზე წავიდეთ. არა, კინოში, დღეს კვირაა.

ელას განცვიფრებისგან სუნთქვა შეეკრა.

- მაგრამ შენთან შეხვედრას აღარ ვაპირებ. ნუთუ გგონია, რომ შეგხვდები?

პოლმა, რომელიც ზურგს უკან ედგა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

- და რატომაც არა? ხო მოგეწონე, რა აზრი აქვს ამის დამალვას?

ელამ უცებ ვერ მოიფიქრა, რა ეპასუხა, ამ სტილში არ ლაპარაკობდა. და ახლა უკვე აღარ ახსოვდა და ძალიანაც რომ მოენ-

დომებინა, ვერ გაიხსენებდა, რა ბედნიერად გრძნობდა თავს მასთან მდელოზე. გამოუცხადა:

- აღარ შეგხვდები.

- და რატომ, საინტერესოა?

ელამ პოლის ხელი მხრიდან მკვეთრი მოძრაობით ჩამოაგდო, გასაღები კლიტეს მოარგო, გადააბრუნა და უთხრა:

- დიდი ხანია არავისთან ვწოლილვარ. თუ არ ჩავთვლით ხანმოკლე რომანს ორი წლის წინ. მშვენიერი რომანი იყო...

ელამ დაინახა, როგორ დაემანჭა სახე პოლს და კმაყოფილება იგრძნო, გული რომ ატკინა და მოატყუა, რადგან სინამდვილეში რომანი სულაც არ იყო მშვენიერი. თუმცა, ახლა უკვე სიმართლეს ამბობდა, ბრალს სდებდა სხეულის ყოველი ნაწილაკით. უთხრა:

- ამერიკელი იყო. ერთხელაც არ უწყენინებია ჩემთვის. ლოგინში სრულიადაც არ იყო კარგი. ასე ამბობ ხოლმე, მგონი, არა? მაგრამ არც მამცირებდა.

- რატომ მიყვები ამას?

- მართლა ბრიყვი ყოფილხარ, - უთხრა ელამ მხიარულად და ზიზღით. იგრძნო, როგორ უძლიერდებოდა მწარე და სასტიკი მხიარულება, რომელიც მისთვისაც დამანგრეველი იყო და პოლისთვისაც, - შენ ჩემს ქმარზე მელაპარაკებოდი. მაგრამ რა კავშირი აქვს მას ამ ყველაფერთან? ისე კი, მე თუ მკითხავ, საერთოდაც არავისთან ვწოლილვარ...

პოლმა სიმწრითა და ეჭვით გაიცინა, მან კი განაგრძო:

- მასთან წოლას ვერ ვიტანდი. ეგ არც ითვლება. შენ მეკითხები, სხვა მამაკაცთან როდის იწექიო. რასაკვირველია, ეს უმარტივესია. ამბობ, რომ ფსიქიატრი ხარ, ადამიანთა სულის მკურ-

ნალი, ამ დროს კი ელემენტარული რაღაცები არ გესმის. საერთოდ არავისი არ გესმის.

ამ სიტყვებით შევიდა ჯულიას სახლში, კარი მოიჯახუნა, კედელს სახით მიეყრდნო და აქვითინდა. იგრძნობოდა, რომ შინ ჯერაც არავინ იყო. ზარმა ლამის ზედ მის ყურთან დარეკა, პოლი ცდილობდა, ეიძულებინა, კარი გაეღო. თუმცა, ელამ ეს ხმა ზურგს უკან მოიტოვა და კიბეს ტირილით, ნელა აუყვა. სახლის ბნელ ჭაში მიაბიჯებდა, პატარა, ნათელი ბინისკენ, ზემოთ. ახლა ტელეფონმა დარეკა. ელამ იცოდა, რომ ეს პოლი იყო, სატელეფონო ჯიხურიდან რეკავდა, სახლის მოპირდაპირე მხარეს რომ იდგა. დიდხანს რეკავდა, ელა კი ისევ ტიროდა. მერე აპარატი დადუმდა, ცოტა ხანში ისევ აწკრიალდა. ელამ ტელეფონის შავ, უსახურ კოლოფს სიძულვილით გახედა, ნერწყვი გადაყლაპა, ძალა მოიკრიბა და ყურმილი აიღო. თურმე ჯულია რეკავდა, უთხრა, მეგობრებთან ვახშმად დარჩენა მინდა, ბავშვს მოგვიანებით მოვიყვან და თვითონვე დავაძინებ, შენ კი შეგიძლია სადმე წახვიდე, თუკი გინდაო.

- რა დაგემართა? - მოესმა ელას ჯულიას ჩვეული, მჟღერი და მშვიდი ხმა.

- ვტირი.

- კი, მესმის, რომ ტირი. და რატომ?

- ეს წყეული კაცები, ყველანი მეზიზღებიან.

- ჰო, ჰო, კარგი, დავუშვათ ასეა, მაგრამ მაშინ მარტო წადი კინოში, იქნებ ცოტა გაერთო.

ელას უცებ გულზე მოეშვა, ის, რაც მოხდა, ესოდენ ტრაგიკულად და მნიშვნელოვნად აღარ ეჩვენებოდა, გაიცინა.

როდესაც ნახევარ საათში ტელეფონმა კვლავ დარეკა, ელამ ისე უპასუხა, რომ პოლი არც გახსენებია. მაგრამ სწორედ პოლი

აღმოჩნდა. უთხრა, მანქანაში ვზივარ და გელოდები, უნდა დაგელაპარაკოო.

- ვერ გამიგია, ამით რას მივაღწევთ, - უთხრა ელამ.

ცივად და თანაც ხუმრობანარევი ტონით ლაპარაკობდა. პოლმაც ხუმრობის ტონითვე მიუგო:

- კინოში წავიდეთ და სულაც არ მოგვიწევს ლაპარაკი.

ელა დათანხმდა. შეხვედრით სავსებით მშვიდად შეხვდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავს პირობა მისცა, აღარასოდეს დავწვები მასთანო. ამას წერტილი დაესვა. შეხვედრაზე კი იმიტომ დათანხმდა, რომ უარის თქმა თითქოსდა ამ ყველაფრისგან მელოდრამას შექმნიდა. და კიდევ იმიტომ, რომ პოლის ხმას ყურმილში არაფერი ჰქონდა საერთო იმ სისასტიკესთან, რომელიც მის სახეზე ამოიკითხა, როცა მდელოზე ახედა. და იმიტომ, რომ ახლა იმ წერტილს დაუბრუნდებიან, საიდანაც დაიწყეს მანქანაში, როცა ლონდონიდან გადიოდნენ. პოლის დამოკიდებულება იმისადმი, რაც მდელოზე მოხდა, თვით ამ ფაქტს აუქმებდა. ეს უბრალოდ არ მომხდარა, თუკი მასში ასეთი აზრები და გრძნობები გამოიწვია.

მოგვიანებით პოლი ამბობდა:

- როცა დაგირეკე მას მერე, რაც სახლში შევარდი, შენ კი უცებ ადექი და გამობრძანდი, ესე იგი, უბრალოდ გინდოდა, შეგხვეწნოდი.

პოლი იცინოდა. ელა ვერ იტანდა, თუ როგორ იცინოდა ასეთ დროს. დამწუხრებულ სახეს იღებდა, ხელოვნურად დამწუხრებულს და თან იღიმებოდა, როგორც ბებერი გარყვნილი მექალთანე. ბებერ გარყვნილს თამაშობდა, თავისი თავისთვის რომ დაეცინა. თუმცა როგორც ელა გრძნობდა, თამაშობდა და თან, არც თამაშობდა, რადგან მისი ჩივილი გულწრფელი იყო. და, აი,

ამ დროს ელა ჯერ საპასუხოდ გაუღიმებდა, ახალისებდა, თუ როგორ ასახიერებდა პოლი გარყვნილს, მერე კი სწრაფად შეცვლიდა საუბრის თემას. ასეთ მომენტებში თითქოს პოლი გაორდებოდა ხოლმე. ელა დარწმუნებული გახლდათ, რომ ამ დროს პოლი ნამდვილი პოლი არ იყო ან სულ სხვაგვარს პოლს ელაპარაკებოდა. ასეთ წუთებში მათი ურთიერთობა ისეთ დონეზე იყო, რომ არათუ არავითარი კავშირი არ ჰქონდა იმ სიმარტივესა და სიმსუბუქესთან, რომელსაც ერთად ყოფნისას განიცდიდნენ, არამედ მათ ურთიერთობას იმდენად აუფასურებდა, რომ ელას ალტერნატივა აღარ რჩებოდა და ამგვარ ეპიზოდებს არაფრად აგდებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლს უნდა დაშორებოდა.

კინოში არა, მაგრამ რესტორანში კი წავიდნენ. პოლი ისევ უყვებოდა შემთხვევებს თავისი „საავადმყოფოს ცხოვრებიდან“. ორ სხვადასხვა საავადმყოფოში ორ სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. ერთში ფსიქიატრ-კონსულტანტი იყო, მეორეში რეორგანიზაციულ საქმეებს უძღვებოდა. ეს ასე აუხსნა:

- ვცდილობ, გველების ბუდე რაღაც უფრო ცივილიზებულს დავამსგავსო. ვისთან მიწევს ბრძოლა? საზოგადოებასთან? არა, ძველმოდურ ექიმებთან.

მის მონათხრობში ორი თემა ჟღერდა. პირველი ჯანდაცვის დაწესებულებებში საშუალო რგოლის თანამშრომლების უსაზღვრო პომპეზურობა იყო. ელა ხედავდა, რომ მის კრიტიკულ შენიშვნებს კლასობრივი საფუძველი ჰქონდა; ეს ყველაფერში გამოსჭვიოდა, რასაც კი ამბობდა, თუმცა, პირდაპირ არაფერს იტყოდა. დარწმუნებული იყო, რომ სიჩლუნგე და წარმოსახვის უქონლობა საშუალო კლასის დამახასიათებელი თვისებებია და მისი საკუთარი, პროგრესული მიდგომა, სიახლისკენ სწრაფვა განპირობებულია იმით, რომ მუშათა კლასიდან იყო გამოსული.

ეს, რასაკვირველია, ძალიან ჰგავდა ჯულიას გამოსვლებს და იმასაც, თუ როგორ აკრიტიკებდა ელა ექიმ ვესტს. და მაინც, დროდადრო წყენისგან თითქოს ქვავდებოდა, თითქოს პირადად მას აკრიტიკებდნენ; ასეთ მომენტებში იმ პერიოდს იხსენებდა, როდესაც მუშათა სასადილოში მუშაობდა და ფიქრობდა, რომ არა ცხოვრებაში შეძენილი ეს გამოცდილება, ახლა ვერაფრით შეძლებდა მმართველი კლასების ცხოვრებისთვის ქვემოდან, ფაბრიკის მუშა ქალების თვალით შეეხედა, ისე, როგორც ზოგ-ჯერ ადამიანები უცნაურსა და გაუგებარ თევზებს აკვარიუმის ფსკერიდან აჰყურებენ ხოლმე. მისი მონათხრობის მეორე თემა პირველის ამობრუნებული ვარიანტი იყო და როდესაც პოლი მას შეეხებოდა, გამომეტყველება თვალსა და ხელშუა ეცვლებო-და. როდესაც საავადმყოფოს წესებს აკრიტიკებდა, გესლიანი ირონიით ლაპარაკობდა და ამისგან სიამოვნებას თვითონვე იღებდა. როდესაც თავის პაციენტებზე ჩამოაგდებდა სიტყვას, სერიოზულ იერს იძენდა. ზუსტად ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა მათ მიმართ, როგორც ელას „მისის ბრაუნისადმი“. მათ ეს საზოგადო სახელი შეარქვეს ყველას, ვინც კი ელას ჟურნალ-ში „პეტიციებს“ გზავნიდა. პოლი მათზე საოცარი დელიკატურო-ბითა და კეთილგანწყობით ლაპარაკობდა, თუმცა იმავ-დროულად მრისხანე თანაგრძნობითაც. მის მრისხანებას მათი უსუსურობა იწვევდა.

ახლა პოლი უკვე იმდენად მოსწონდა, თითქოს ის ეპიზოდი მდელოზე არც კი მომხდარიყოს. პოლმა სახლამდე მიაცილა და ჰოლში შეჰყვა. ზედა სართულზე ავიდნენ, ელამ გაიფიქრა: „ახ-ლა ყავას დავლევთ და, ალბათ, შინ წავა“. ასე გულწრფელად ეგონა. მაგრამ როდესაც ისევ მის მკლავებში აღმოჩნდა, გაიფიქრა: „კი, ასეც უნდა იყოს, ჩვენ მთელი საღამო ხომ ძალზე

ახლოს ვიყავით“. მოგვიანებით, როცა პოლმა უთხრა, „შენ, რა-საკვირველია, იცოდი, რომ ამას გავაკეთებდით“, ელამ უპასუხა: „რა თქმა უნდა, არ ვიცოდი! და შენ რომ არ დაგეწყო, ამას არა-ვითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა“. რაზეც პოლი ეუბნებოდა: „ო, როგორი ფარისეველი ხარ!“ ან: „თუ ასეა, შენი მოქმედების ქვეცნობიერი მოტივების იგნორირების უფლება უბრალოდ არა გაქვს“.

პოლ ტენერთან გატარებული ის ღამე ელასთვის ყველაზე არსებითი გამოცდილება გამოდგა, რაც კი მამაკაცებთან ურთი-ერთობაში ჰქონია; იმდენად განსხვავდებოდა ყველაფრისგან, რომ იმან, რაც კი წარსულში იყო, მნიშვნელობა დაკარგა. ეს გრძნობა ისე სრული და უეჭველი იყო, რომ როდესაც მეორე დი-ლით პოლმა ჰკითხა:

- როგორ უყურებს ჯულია ასეთ რაღაცებს?

ელამ გაუცინა და ჰკითხა:

- როგორ რაღაცებს?

- მაგალითად, იმას, რაც წინა კვირას მოხდა. ხომ მითხარი, კაცი მოვიყვანე წვეულებიდანო.

- არანორმალური ხარ, - უთხრა ელამ და გულიანად გაიცინა. სიბნელეში იწვნენ. ელამ თავი მიაბრუნა, მისი სახე რომ დაენა-ხა, მისი ბნელი პროფილი ბუნდოვან შუქში ჩანდა, ფანჯრიდან რომ შემოდიოდა; მასში იყო რაღაც გაუცხოებული თუ მარტოსუ-ლი და ელამ გაიფიქრა: „ისევ იმ გუნებაზე დადგა, ადრე რომ იყო“. თუმცა, ახლა ელას ეს აღარ აწუხებდა, რადგან პოლის თე-ძო მის სხეულს ეხებოდა და ამ თბილ შეხებაში იმდენი ბუნებ-რიობა და უბრალოება იყო, მის გაუცხოებას მნიშვნელობა დაეკარგა.

- ჰო, რას ამბობს ჯულია?

- რაზე?

- ხვალ დილით რას იტყვის?

- რატომ უნდა თქვას საერთოდ რამე?

- გასაგებია, - სწრაფად ჩაილაპარაკა; ეგრევე წამოდგა და დასძინა, - სახლში უნდა შევიარო, გავიპარსო და პერანგი გამოვიცვალო.

ელასთან მთელი კვირა მოდიოდა, ყოველ საღამოს, გვიან, როცა მაიკლს უკვე ეძინა. და ყოველ დილას ადრიანად მიდიოდა, „პერანგი რომ გამოეცვალა“.

ელა უზომოდ ბედნიერი იყო. არაფერზე ფიქრობდა, ნეტარებდა. როდესაც პოლი რაიმეს ეტყოდა თავისი მე-ს „ნეგატიური ნახევრის“ სახელით, ელა იმდენად დარწმუნებული იყო თავის გრძნობაში, რომ მარტივად პასუხობდა:

- ო, რა სულელი ხარ, ხომ გეუბნები, არაფერი გესმის-მეთქი.

(განსაზღვრება „ნეგატიური“ ჯულიას ეკუთვნოდა, ეს სიტყვა მას მერე იხმარა, რაც პოლს კიბეზე შეეფეთა, „მის გამომეტყველებაში არის რაღაც მწარე და ნეგატიური“). ელას ეგონა, პოლი მალე ცოლად მოიყვანდა. ან, შესაძლოა, არც მალე. ეს მოხდებოდა მაშინ, როცა უნდა მომხდარიყო და პოლი თვითონ მიხვდებოდა, როდის დადგებოდა საიმისო დრო, რომ დაქორწინებულიყვნენ. პოლის ქორწინებას, ეტყობა, ვერც კი უწოდებდი ნამდვილ ქორწინებას, თუკი შეეძლო მუდმივად, ყოველღამ მასთან ყოფილიყო და შინ მხოლოდ იმისთვის დაბრუნებულიყო, „პერანგი რომ გამოეცვალა“.

შემდეგ კვირადღეს, ქალაქგარეთ მათი პირველი ექსკურსიის ერთი კვირის თავზე, ჯულიამ ისევ წაიყვანა ბიჭუნა თავის მეგობრებთან, პოლმა კი ელა - კიუში. ბალახზე იწვნენ, ბუჩქებს უკან,

როდოდენდრონების ძირას, მაღლა ხეები ჩანდა, ფოთლებსა და ტოტებს შორის მზე იჭყიტებოდა. ხელჩაკიდებულები იწვნენ.

- აი, ხომ ხედავ, - ჩაილაპარაკა პოლმა ბებერი გარყვნილის ჩაღიმებით, - მე და შენ უკვე ძველი ცოლ-ქმარივითა ვართ: ვიცით, რომ ღამით ლოგინში ვიალერსებთ და ახლა მხოლოდ ხელჩაკიდებულები ვწევართ.

- და რა არის ამაში ცუდი? - იკითხა ელამ გაკვირვებით.

პოლი წამოიწია, ზემოდან დააცქერდა. ელამ გაუღიმა. იცოდა, პოლს უყვარდა. გრძნობდა, უსიტყვოდ ენდობოდა პოლს.

- რა არის ამაში ცუდი? - იკითხა პოლმა ხუმრობანარევი სასოწარკვეთით, - ეს ხომ საშინელებაა. აი, მე და შენ, და ჩვენ...

პოლის დამოკიდებულება იმის მიმართ, რასაც იმ მომენტში წარმოადგენდნენ, სახეზე, თვალებში აესახა, თვალებში, ნაზად რომ დაჰყურებდნენ.

- აი, შეხედე, რას დავემსგავსებოდით, ცოლ-ქმარი რომ ვყოფილიყავით.

ელამ იგრძნო, გული როგორ შეუქანდა: „რასაკვირველია, ამას ისე არ ამბობს, როგორც იტყოდა კაცი, რომელიც ქალის გაფრთხილებას აპირებს. ასეთი არარაობა, ასეთი ნაძირალა ვერ იქნება, რასაკვირველია!“

ელამ დაინახა, რომ პოლის გამომეტყველებაში ისევ ის ძველი სიმწარე გამოსჭვიოდა და გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს, ასეთი არაა, უბრალოდ, შინაგანი დიალოგი აქვს თავის თავთან“. და შუქი, რომელიც კინაღამ ჩაქრა წყვდიადში, ისევ აკიაფდა. ელამ თქვა:

- მაგრამ შენ საერთოდაც უცოლო ხარ. ამას შეუძლებელია ქორწინება დაარქვა. შენ მას სულ ვერ ხედავ.

- ჩვენ ოცი წლისანი დავქორწინდით. უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც ასეთ ქორწინებებს აკრძალავს, - დასძინა მან და ელას აკოცა. მის ხმაში სასოწარკვეთით შეზავებული ისევ ის იუმორისტული ნოტები გაისმა, - ელა, დიდ კეთილგონიერებას იჩენ, რომ არ თხოვდები. ასევე კეთილგონივრულად გააგრძელე, არ დანებდე.

ელამ გაიღიმა. გიფიქრა: „მაშასადამე, მართალი ვყოფილვარ. მაფრთხილებს, მეუბნება, ჩემგან მხოლოდ ამას შეიძლება ელოდო და მეტს არაფერსო“. ელა განადგურებული იყო. არადა, პოლს ხელები ისევ მის მხრებზე ეწყო და ელა გრძნობდა, როგორ მსჭვალავდა მისი ხელების სითბო მის სხეულს და სიყვარულით აღსავსე თვალებიც იქვე იყვნენ. პოლი იღიმებოდა.

იმ ღამეს მათი ალერსი რაღაც მექანიკურ აქტად იქცა, ელა უბრალოდ საპასუხო მოძრაობებს აკეთებდა. ყველაფერი სხვანაირად იყო, წინა ღამეებისგან განსხვავებულად. პოლმა ეს თითქოს ვერც კი შენიშნა; მერე, როგორც ყოველთვის, მაგრად ჩახუტებულები იწვნენ. მაგრამ ელა დამფრთხალი, გახევებული იყო.

მეორე დილით ჯულიას დაელაპარაკა, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში პოლის ღამეულ ვიზიტებზე სიტყვაც არ დასცდენია.

- ცოლი ჰყავს, - თქვა ელამ, - უკვე ცამეტი წელია. ეს ისეთი ქორწინებაა, როცა ღამით სახლში თუ არ მიდიხარ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ორი შვილი ჰყავს.

ჯულიამ გაურკვეველი სახე მიიღო, დუმდა, ელოდებოდა, კიდევ რას იტყოდა ელა.

- საქმე ისაა, რომ არაფერში დარწმუნებული არ ვარ... თანაც, მაიკლი მყავს.

- მაიკლს როგორ ექცევა?

- მხოლოდ ერთხელ ნახა და ისიც ერთი წუთით. ძალიან გვიან მოდის, ხომ იცი. როცა მაიკლი იღვიძებს, უკვე წასულია. შინ მიდის, „პერანგი რომ გამოიცვალოს“.

ამის გაგონებაზე ჯულიას გაეცინა და ელაც აჰყვა.

- როგორც ჩანს, არაჩვეულებრივი ქალია, - ჩაილაპარაკა ჯულიამ, - მასზე რამეს თუ გიყვება?

- მითხრა, რომ ძალიან ახალგაზრდები დაქორწინდნენ. მერე ომში წავიდა და როცა დაბრუნდა, მიხვდა, რომ ცოლი მისთვის უცხო ადამიანი იყო. და როგორც გავიგე, იმ დროიდან წამდაუწუმ რომანები აქვს.

- არ ჟღერს მთლად სანუგეშოდ, - შენიშნა ჯულიამ, - და რა გრძნობა გაქვს მის მიმართ?

იმწამს ელა არაფერს გრძნობდა, გარდა მტკივნეული, გაყინული უსასოობისა. ვერასოდეს მიხვდებოდა, როგორ თანაარსებობდა მათ ურთიერთობაში ნამდვილი ბედნიერება და პოლის ცინიზმი. ელა ლამის პანიკამ მოიცვა. ჯულია გამჭოლი მზერით აკვირდებოდა.

- როცა პირველად დავინახე, გავიფიქრე, ძალზე დაძაბული და უბედური გამომეტყველება აქვს-მეთქი.

- სულაც არაა უბედური, - სწრაფად მიუგო ელამ. მერე კი, როცა გააცნობიერა, როგორ უმალ და უსაფუძვლოდ, ინსტინქტურად შეეცადა პოლის დაცვას, თავის თავზე გაეცინა და აუხსნა:

- კი, მინდა გითხრა, რომ რაღაც სიმწარე მასში არის. მაგრამ თავისი საქმეც აქვს და ის უყვარს. ერთი საავადმყოფოდან მეორეში მიქრის, ამ ყველაფერს გადასარევად ყვება და კიდევ, როგორც ლაპარაკობს თავის პაციენტებზე, ჩანს, რომ მართლა

განიცდის მათ გამო. მერე კიდევ, ღამღამობით, ჩემთან როცაა, ძილი თითქოს არც კი სჭირდება.

ელა გაწითლდა, მიხვდა, რომ ტრაბახობდა.

- კი, კი, ასეა, - თქვა მან, როცა შენიშნა, როგორ ჩაეღიმა ჯულიას, - მერე კი, დილით, გარბის, თითქმის უძილო ღამის შემდეგ ახალი პერანგი რომ ჩაიცვას და, ალბათ, ცოლთან წვრილმანებზე იმასლაათოს. ენერგია. მსგავსი ენერგია უბედური ვერ იქნება. და, კაცმა რომ თქვას, სიმწარეც ვერ ექნება. ეს ორი რამ შეუთავსებელია.

- ჰოო, თუკი ასეა, - ჩაილაპარაკა ჯულიამ, - ალბათ, ღირს მოვიცადოთ და ვნახოთ, რა გამოვა, არა?

იმ ღამით პოლი მეტად მხიარული და ყურადღებიანი იყო. „თითქოს ბოდიშს იხდისო“, - გაიფიქრა ელამ. ტკივილი გაუქრა, გაიწოვა. დილით ელა მიხვდა, რომ ბედნიერების განცდა დაუბრუნდა. როცა პოლი იცვამდა, ელას უთხრა:

- ამ საღამოს ვერ მოვალ, ელა.

ელამ სრულიად აუღელვებლად მიუგო:

- კარგი, არა უშავს.

მაგრამ პოლმა განაგრძო:

- ბოლოს და ბოლოს, ზოგჯერ მაინც ხომ უნდა ვინახულო ბავშვები.

ამ სიტყვებმა ისე გაიჟღერა, თითქოს ელა შვილებს განზრახ აშორებდა.

- მაგრამ მე ხომ არ გიშლიდი მათთან ურთიერთობას, - უთხრა ელამ.

- როგორ არ მიშლიდი, ძალიანაც მიშლიდი, - თითქმის წაიმღერა პოლმა.

ელას შუბლს ტუჩებით შეეხო, სიცილით. „აი, ასე კოცნიდა სხვა ქალებსაც, როცა სამუდამოდ ტოვებდა“, - გაიფიქრა ელამ. დიახ. მას არ უყვარდა, დასცინოდა მათ და შუბლზე კოცნიდა. უეცრად წარმოუდგა სურათი, რომელსაც გულგანგმირული მიაჩერდა. დაინახა, როგორ დებდა პოლი ფულს ბუხრის თაროზე. თუმცა, პოლი ხომ ის მამაკაცი არ იყო, - ელას ეს კარგად ესმოდა, - რომელიც ქალებს ფულს უხდის. და მაინც მას შეეძლო წარმოედგინა, და თითქმის კიდეც ხედავდა ამას ფიზიკურად, როგორ ტოვებდა ფულს ბუხრის თაროზე. დიახ. მისი დამოკიდებულება ქალებისადმი სიღრმისეულად და ქვეცნობიერად სწორედ ასეთი იყო. და ელას მიმართაც ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა. მაგრამ როგორ ეთანადებოდა ეს იმ დაუსრულებელ საათებს, ერთად რომ ჰქონდათ გატარებული, როცა მისი ყოველი მზერა და მოძრაობა სიყვარულზე მეტყველებდა (ის, რომ პოლი კვლავ და კვლავ უხსნიდა სიყვარულს, არაფერს ნიშნავდა, უფრო ზუსტად, ამას მნიშვნელობა არ ექნებოდა, ეს რომ არ დაემტკიცებინა იმით, თუ როგორ ეხებოდა და როგორ ჟღერდა ამ დროს მისი ხმა)? და ახლა კი, წასვლისას, ვითომ დამწუხრებული დაეჭყანა და უთხრა:

- მოკლედ, ელა, ამ ღამით თავისუფალი ხარ.

- რას გულისხმობ თავისუფალში?

- ჰოო... შენი ყველა საყვარლისთვის, შენ ხომ ამდენ ხანს უგულებელყოფდი მათ, ასე არაა?

ელამ ბავშვი საბავშვო ბაღში მიიყვანა, მერე სამსახურში წავიდა. ისე გრძნობდა თავს, თითქოს სიცივე ძვლებში, სულაც ხერხემალში გასჯდომოდა. ოდნავ აჟრჟოლებდა. არადა, თბილი დღე იყო. ერთხანს პატრიციას იშვიათად ელაპარაკებოდა, საკუთარი ბედნიერებით ტკბებოდა. ახლა კი უფროს კოლეგასთან

ურთიერთობას ადვილად დაუბრუნდა. ოდესღაც პატრიცია გათხოვილი იყო, თერთმეტი წლის განმავლობაში; მერე ქმარმა მიატოვა, მასზე ახალგაზრდა ქალთან გაიქცა. პატრიციას დამოკიდებულება კაცების მიმართ ასე შეიძლება აღიწეროს: გალანტური... სარკასტული ცინიზმი. ელას ეს აღიზიანებდა, ასეთი რამ მისთვის უცხო გახლდათ. პატრიცია ორმოცდაათ წელს გადასცილებოდა და ზრდასრული ქალიშვილი ჰყავდა. ელამ იცოდა, რომ პატრიცია გაბედული ქალი იყო. თუმცა მასთან ძალზე ახლო ურთიერთობას ერიდებოდა; თავისი თავის მასთან გაიგივება არ მოსწონდა, თუნდაც თანაგრძნობის გამო, რადგან ეს ნიშნავდა, რომ საკუთარ თავს რაღაც შესაძლებლობებს ართმევდა. ან ეჩვენებოდა ასე. იმ დღეს პატრიციამ ორიოდ სიტყვით უამბო, რომ მისი ერთ-ერთი კოლეგა ცოლს გაეყარა და გაღიზიანებულმა ელამ სიტყვა გააწყვეტინა. მოგვიანებით, როცა ოთახში შებრუნდა, მოუბოდიშა, რადგან პატრიციას აწყენინა. ელა პატრიციასთან ურთიერთობისას, რომელიც ასაკით მასზე უფროსი გახლდათ, ყოველთვის უხერხულობას გრძნობდა. იმდენად არ მოსდიოდა თვალში, რამდენადაც პატრიციას მოსწონდა. ელამ იცოდა, რომ პატრიციასთვის რაღაცის სიმბოლო იყო, იქნებ მისი საკუთარი ახალგაზრდობის (მაგრამ ელა ამაზე ფიქრის უფლებას თავს არ აძლევდა, ეს სახიფათო გახლდათ)?

ახლა განზრახ ჩამოჯდა პატრიციასთან სამასლაათოდ, ხუმრობდა, რაღაცას უყვებოდა და უეცრად შეძრწუნებულმა დაინახა, რომ მის პატრონს თვალები ცრემლებით ევსებოდა. დაინახა ისე მკაფიოდ, თითქოს ბინოკლში ფოკუსი გაასწორეს: დაინახა შუახნის ფუმფულა, კეთილი, ჭკვიანი ქალი, გამოწყობილი მოდურ მაღაზიაში ნაყიდ კაბაში, რომელიც მის ტანზე უნიფორმასავით ჩანდა; დაინახა შეღებილი ჭაღარა თმის ბღუჯა, მისი კულუ-

ლები და თვალები - ხისტი, როდესაც მუშაობდა, და სათუთი, როდესაც ელას ელაპარაკებოდა. სანამ პატრიციასთან იჯდა, ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორმა დაურეკა, სადაც მისი მოთხრობა დაბეჭდეს. ჰკითხა, თავისუფალი თუ ხართ და ჩემთან ერთად თუ ისადილებთო. ელამ უპასუხა, რომ თავისუფალი იყო და შინაგანად ყური მიუგდო ამ სიტყვას. ბოლო ათი დღე როგორღაც შებოჭილად გრძნობდა თავს. ახლა კი, არა, თავისუფალი კი არა, არამედ ცალკე, განცალკევებული იყო. მანამდე გრძნობდა, რომ ვიღაცის ნებას მიჰყვებოდა, პოლის ნებას. ოდესღაც იმ რედაქტორს მასთან დაწოლა უნდოდა და ელამ მაშინ უარი უთხრა. ახლა კი გაიფიქრა, იქნებ დავწვე კიდეცო. რატომაც არა? რა მნიშვნელობა აქვს? რედაქტორი ჭკვიანი, მიმზიდველი მამაკაცი იყო, მაგრამ თვით აზრი, რომ ფიზიკურად უნდა შეხებოდა, ელაში უსიამო განცდას იწვევდა. მასში ქალისადმი კეთილგანწყობა, იმ ინსტინქტური სითბოს ნაპერწკალიც კი არ იყო, რომელიც პოლში ესოდენ ძალუმად იგრძნობოდა. და სწორედ ამიტომაც დაწვება ახლა მასთან. ახლა ვერაფრით მოუშვებს ახლოს მამაკაცს, რომელიც მართლა მოსწონს. თუმცა, როგორც ეტყობა, პოლისთვის ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა; ისე ხუმრობდა „კაცზე, რომელიც წვეულებიდან შინ მიიყვანა“, თითქოს ეს მოსწონდა კიდეც. მაშ, ძალიანაც კარგი, ძალიანაც კარგი - თუკი ასე უნდა, იყოს ასე, თვითონაც ფეხებზე ჰკიდია... და ელამ უფლება მისცა, სადილზე დაეპატიჟებინათ და პაემანზე საგულდაგულოდ დახატულ-მოკაზმული წავიდა. მთელი სამყარო, ყველაფერი გულს ურევდა.

ამ კაცთან სადილი როგორც ყოველთვის, ისეთივე იყო, - ანუ ერთობ ძვირად ღირებული; ელას ძვირფასი კერძები უყვარდა. კაცი საინტერესო მოსაუბრე გახლდათ და ელაც სიამოვნებით

უსმენდა. როგორც ადრე, ახლაც ადვილად დაამყარეს ინტელექტუალური კონტაქტი. საუბრისას ელა დროდადრო გახედავდა ხოლმე და ფიქრობდა, რომ ამ კაცთან დაწოლა წარმოუდგენელია. თუმცა, რატომაც არა? ხომ მოსწონს? მაგრამ სიყვარული? მაგრამ სიყვარული მირაჟია, ქალთა ჟურნალების თემა: სიტყვა „სიყვარული“ არ ესადაგება კაცს, რომლისთვისაც სულერთია, წვები სხვა კაცებთან თუ არა. „თუმცა, თუკი ამ კაცთან დაწოლას ვაპირებ, რაღაც უნდა მოვიმოქმედო“. ელამ არ იცოდა, რა გაეკეთებინა; უკვე იმდენჯერ უთხრა უარი ამ კაცს, რომ იმედი სულ გადაუწურა. როდესაც სადილს მორჩნენ და ქუჩაში გავიდნენ, ელას უცებ გულზე მოეშვა: რა სისულელეა, რა თქმა უნდა, არ დაწვება მასთან, ახლა უკან წავა, ოფისში, ეს არის და ეს. და უცებ კარში ორი მეძავი დაინახა და გაახსენდა ის სცენა პოლთან, დილით რომ მოელანდა, და როდესაც რედაქტორმა დაიწყო: „ელა, მე ძალიან მინდა, რომ“... - ელამ ღიმილით გააწყვეტინა და უთხრა: „შინ წამიყვანეთ, ოღონდ ჩემთან კი არა, თქვენთან“. მისთვის იმის გაფიქრებაც კი აუტანელი იყო, რომ მის ლოგინში ვიღაც შეიძლებოდა ჩაწოლილიყო, პოლის გარდა. იმ კაცს ცოლი ჰყავდა და ამიტომ თავის მეორე ბინაში წაიყვანა. საერთოდ, ქალაქგარეთ ცხოვრობდა, ცოლ-შვილი იქ ჰყავდა, ქალაქის ბინას კი ასეთი თავგადასავლებისთვის იყენებდა. მთელი ის ხანი, რაც ელამ ამ კაცთან შიშველმა გაატარა, განუწყვეტლივ პოლზე ფიქრობდა. „ეტყობა, არანორმალურია? რას გადავეკიდე ამ არანორმალურს? ნუთუ მართლა ჰგონია, რომ სხვა მამაკაცთან შემიძლია დავწვე, როცა თვითონ იგი მყავს? არა, შეუძლებელია ამის სჯეროდეს“. ამავე დროს, ცდილობდა, რაც შეიძლება სასიამოვნო ყოფილიყო ამ თავისი ინტელექტუალური მოტრაპეზესთვის. კაცს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა

და ელამ იცოდა, - ეს იმის ბრალი იყო, თავად რომ არ უნდოდა და ამიტომ ამაში დამნაშავე თვითონ იყო, თუმცა კი კაცი თავს ადანაშაულებდა. ამიტომ ელა იმისთვის განეწყო, რომ სიამოვნება მიენიჭებინა მისთვის. თავს კი ეუბნებოდა, ეს კაცი არ უნდა წვალობდეს იმის გამო, რომ მე დანაშაულს ჩავდივარ, - ვწევარ კაცთან, რომელშიც ერთ გროშსაც კი არ მივცემდიო... და როდესაც ყველაფერი მორჩა, ელამ უბრალოდ ჩამოწერა ეს ინციდენტი. ეს ყველაფერი მისთვის არაფერს ნიშნავდა. და მაინც, ამან ელას გულის სიღრმეში უსიამო განცდა დაუტოვა; მეტად სუსტად იყო, აკანკალებდა და ტირილი უნდოდა, თავს ძალზე უბედურად გრძნობდა. სინამდვილეში, მთელი სულითა და გულით უნდოდა პოლი, რომელმაც მეორე დღეს დაურეკა და უთხრა, ვერ მოვალო. იმ დროისათვის პოლის მოთხოვნილება ელას იმდენად გაუმძაფრდა, რომ თავი ასე დაამშვიდა, - ეს არაფერს ნიშნავს, ბოლოს და ბოლოს, სამსახური აქვს და ბავშვებსაც ხომ უნდა მიხედოსო.

ერთმანეთს შემდეგ საღამოს შეხვდნენ, ამ დროის განმავლობაში ორივემ თავდაცვითი ნაგებობები აღმართა, თუმცა კი ისინი რამდენიმე წამში ჩამოიშალა, ელა და პოლი ისევ ერთად იყვნენ. იმ ღამით პოლმა, რაღაც მომენტში, ჩაილაპარაკა:

- უცნაურია, მაგრამ ფაქტია: თუკი გიყვარს ქალი, ფიზიკური სიახლოვე მეორესთან სრულიად არაფერს ნიშნავს.

მაშინ ამას ყურადღება არ მიაქცია: თითქოს ჩაირთო შინაგანი მექანიზმი, რომელიც არ მისცემდა იმის გაგების საშუალებას, რაც გულს მოუკლავდა. მაგრამ მეორე დღეს კი გაახსენდა, ეს სიტყვები გონებაში ამოუტივტივდა და ყური მიუგდო მათ. მაშასადამე, იმ ორი ღამის განმავლობაში პოლი ექსპერიმენტებს ატარებდა ვიღაცასთან და იგივე გამოცდილება მიიღო, რაც

თვითონ. ახლა ელას მისი რწმენა და ნდობა სავსებით დაუბრუნდა. მერე კი პოლმა დაუწყო გამოკითხვა, რას აკეთებდა ეს ორი დღე. ელამ უთხრა, რომ ისადილა რედაქტორთან, რომელმაც მისი მოთხრობა დაბეჭდა.

- შენი ერთი მოთხრობა წავიკითხე. საკმაოდ კარგია.

გულისტკივილით თქვა, თითქოს ერჩივნა, ცუდი ყოფილიყო.

- რატომ არ უნდა ყოფილიყო კარგი? - იკითხა ელამ.

- ალბათ, ეს შენი ქმარია, ჯორჯი?

- ნაწილობრივ. მთლად არა.

- და რაო, რედაქტორმა?

ერთი წამით მოუნდა, ეთქვა: „მეც იგივე გავაკეთე, რაც შენ“. შემდეგ გაიფიქრა: „თუკი შეუძლია გუნება გაიფუჭოს იმის გამო, რაც არასოდეს მომხდარა, რა დაემართება, თუკი ვეტყვი, რომ იმ კაცთან ვიწექი? თუმცა ეს მე არ გამიკეთებია, ეს არ ითვლება, ეს სრულიად სხვა რაღაც იყო“.

მოგვიანებით ელა იფიქრებს, რომ მათი „ურთიერთობა“ (არასოდეს ხმარობდა სიტყვა „რომანს“) დაიწყო მაშინ, როცა ორივემ შეამოწმა, როგორ გამოსდიოდათ ეს სხვებთან და აღმოაჩინეს, რომ მათი ურთიერთგრძნობა ყველა სხვა ადამიანს მათთვის მიუღებელს ხდიდა. ეს მისგან პოლის ღალატის ერთადერთი შემთხვევა იყო, თუმცა ელას მიაჩნდა, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამავე დროს, ელა მწარედ ნანობდა, რაც ჩაიდინა, რადგან ეს ეპიზოდი მოგვიანებით თავისებურ კრისტალიზაციად იქცა მისი მისამართით გაკეთებული ყველა ბრალდებისა. ამის შემდეგ პოლმა მასთან ყოველ საღამოს დაიწყო სიარული, იშვიათი გამონაკლისების გარდა, და როცა არ მოდიოდა, ელამ იცოდა, იმიტომ კი არ მოიქცა ასე, რომ მისვლა არ უნდოდა, არამედ ამის საშუალება მართლა არ ჰქონდა.

როგორც წესი, გვიან მოდიოდა, სამსახურისა და ბავშვის გამო. პოლი ეხმარებოდა „მისის ბრაუნის“ წერილებზე ეპასუხა და ელას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა მასთან ერთად მუშაობა, როდესაც ცდილობდნენ, დახმარებოდნენ იმ ადამიანებს, რომლებისთვისაც ელას ზოგჯერ მაინც შეეძლო რაღაცის გაკეთება.

მის ცოლზე საერთოდ არ უფიქრია. ყოველ შემთხვევაში, თავიდან.

თავიდან მისი ერთადერთი საფიქრალი მაიკლი გახლდათ. პატარა ბიჭს ძალიან უყვარდა მამა, რომელმაც მეორე ცოლი შეირთო და ამერიკაში გადასახლდა. ბავშვისთვის ბუნებრივი იქნებოდა, ეს ახალი მამაკაცი სიყვარულით მიეღო. მაგრამ პოლი თითქოს გაქვავდებოდა, როდესაც მაიკლი ეხუტებოდა ან სიხარულით გაქანდებოდა ხოლმე მის შესახვედრად. ელა ხედავდა, პოლი როგორ ინსტინქტურად განუდგებოდა ხოლმე ბავშვს, თავისთვის ქირქილებდა და მერე როგორ ამუშავებდა გონებას (ადამიანთა სულის მკურნალის გონებას, რომელიც სიტუაციას აფასებს, რომ საუკეთესო გამოსავალი იპოვოს). ჩვეულებრივ, ნაზად იშორებდა მაიკლის ხელებს მხრებიდან და უწყებდა ლაპარაკს როგორც ზრდასრულ ადამიანს. და მაიკლიც იმავე სტილში პასუხობდა. ელას გული ეწვოდა, როდესაც ხედავდა, რომ პატარა ბიჭი, რომელიც მოკლებული იყო მამობრივი სიყვარულის რამენაირ გამოვლინებას, პოლს ემორჩილებოდა, ცდილობდა, ყოფილიყო დიდი, სერიოზული, ცდილობდა, ეპასუხა მის სერიოზულ კითხვებზე. პოლის შესახვედრად მიმართული მისი მხურვალე იმპულსი ჩახშობილ იქნა. ეს გრძნობა ბიჭუნამ მხოლოდ დედისკენ მიმართა, მასთან იყო მოსიყვარულე და გულთბილი როგორც სიტყვით, ასევე შეხებით, ხოლო პოლისთვის, მამაკაცური სამყაროსთვის, მას ყოველთვის მზად ჰქონდა

მშვიდი, პასუხისმგებლობით აღსავსე, მოფიქრებული პასუხი. დროდადრო ელა პანიკას ეძლეოდა: მე მაიკლს ზიანს ვაყენებ, ის შეიძლება დაიჩაგროს. ის ვეღარასოდეს მიიღებს მამაკაცს ბუნებრივი სითბოთიო. თუმცა, მერე ფიქრობდა: „მაგრამ სინამდვილეში მე ხომ ასე არა მგონია. მისთვის ხომ ნამდვილად სასარგებლოა, რომ ბედნიერი ვარ, მისთვის კარგია, რომ მე, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი ქალი ვარ“. ამიტომ ელა შფოთვას წყვეტდა, გუმანით გრძნობდა, რომ აღელვება არ ღირდა. თავს უფლება მისცა, ბოლომდე ჩაფლულიყო იმ სიყვარულში, რომელიც პოლისგან მოდიოდა, და არაფერზე ეფიქრა. თუმცა, მაინც უხდებოდა ამ ურთიერთობისთვის გვერდიდან შეხედვა, ყველაფრის უცხო თვალით დანახვა და ელას მაშინვე შიში ეუფლებოდა და ცინიკური ხდებოდა. ამიტომ ცდილობდა, ეს არ გაეკეთებინა. იმდღევანდელი დღით ცხოვრობდა და მომავალში არ იყურებოდა.

* * *

ხუთი წელი.

მე რომ რომანი მქონდეს დასაწერი, მისი ძირითადი თემა თუ მოტივი თავიდან დაფარული იქნებოდა და მხოლოდ თანდათანობით გაცხადდებოდა. პოლის ცოლის მოტივი - „მესამის“ მოტივი. თავიდან ელა მასზე არ ფიქრობს. შემდეგ კი თავს შეგნებულად ატანს ძალას, რომ აღარ იფიქროს. ეს ხდება მაშინ, როცა გააცნობიერებს, რომ მისი დამოკიდებულება ამ უცნობი ქალის მიმართ ზიზღის ღირსია: გრძნობს, რომ გაიმარჯვა მასზე, სიამოვნებს, რომ პოლი წაართვა. როდესაც ელა პირველად გააცნობიერებს ამ გრძნობას, ისე შერცხვება და შეეშინდება, რომ სასწრაფოდ გადამალავს მას, თავის თავში დამარხავს. და მაინც, „მესამის“ აჩრდილი კვლავ გამოჩნდება და ელას უკვე აღარ შეუძლია მასზე არ იფიქროს. ბევრს ფიქრობს იმ იდუმალ ქალზე, რომელთანაც პოლი ყოველთვის ბრუნდება (და რომელთანაც ყოველთვის დაბრუნდება), ოღონდ ახლა უკვე გამარჯვების გრძნობით კი არა, არამედ შურით. ელას მისი შურს. ნელ-ნელა და თანდათან გონებაში იქმნის მის სახებას - უშფოთველის, მშვიდის, არა ეჭვიანის, არა შურიანის, უპრეტენზიო ქალის, რომლის სულიერ სამყაროში ბედნიერების ულევი წყაროა დაფარული: იგი თვითკმარია და, იმავდროულად, ყოველთვის მზადაა გაუნაწილოს თავისი ბედნიერება ყველას, ვისაც სჭირდება. ელას თავში მოუვიდა (თუმცა, მოგვიანებით, სამიოდე წლის შემდეგ), რომ გაუგებარია, საიდან გაჩნდა ეს ჩინებული სახება, მით უფრო, რომ სრულიად არ შეესაბამებოდა იმას, რასაც პოლი თავის ცოლზე უყვებოდა. მაშ, საიდან გაჩნდა? თანდათან ელა მიხ-

ვდა, - ასეთი თვითონ უნდოდა, რომ ყოფილიყო. მის მიერ წარ-მოსახული ქალი მისი საკუთარი ჩრდილი გახლდათ, იგი თავის თავში ასახიერებდა ყველაფერ იმას, რაც ელასი არ იყო, რად-გან იმ დროისთვის ელა სავსებით აცნობიერებდა თავის სრულ დამოკიდებულებას პოლზე და ეს შიშის ზარს სცემდა. თავისი არსების ყოველი ფესვით პოლში იყო ჩაზრდილი და ცხოვრება უმისოდ უკვე ვეღარ წარმოედგინა. იმის გაფიქრებაც კი, რომ პოლის გარეშე შეიძლებოდა დარჩენილიყო, ზაფრავდა და ამი-ტომ ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა. და ელა იმ წარმოსახვითი ქალის სახებას ებღაუჭებოდა, მასში თითქოს საყრდენს პოულობდა.

მეორე მოტივი არსებითად პირველის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, ეს რომანის ბოლოს გაირკვევა - ესაა პოლის ეჭვიანობა. ეჭვიანობა ძლიერდება და რიტმულად უკავშირდება იმას, თუ როგორ ნელ-ნელა შორდება პოლი. კაცი ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ბრალს სდებს ელას, რომ სხვებთან წვება. კაფეში ყოფნისას დააბრალებს, რომ გაეკეკლუცა კაცს, რომელიც მან სულაც ვერ შეამჩნია. თავიდან ელა იცინის. შემ-დეგ მასში ძლიერდება სიმწარე, მაგრამ ახშობს ამ გრძნობას, ეს მეტისმეტად სახიფათოა. მოგვიანებით, როცა უკვე გააცნო-ბიერებს იმ მეორე, უშფოთველი და ა.შ. ქალის სახების არსს, თვითონ რომ წარმოსახა, პოლის ეჭვიანობაზე ფიქრს იწყებს და ცდილობს, მიხვდეს - სიმწრის გამო არა, უბრალოდ, რომ გაიგოს, რა დგას ამის მიღმა.ელა დაასკვნის, რომ პოლის აჩ-რდილი, წარმოსახვითი მესამე, გარყვნილი კაცია, თავისი თავი რომ ეზიზღება, თავისუფალი, ქარაფშუტა და უგულოა (ამ თა-მაშს პოლი, საკუთარი თავის დაცინვით, დროდადრო ეთამაშება ელას). ეს კი ნიშნავს, რომ როდესაც პოლმა ელასთან სერიოზუ-

ლი ურთიერთობა დაიწყო, გარყვნილი კაცი მასში გაძევდა, განზე გადგა და ახლა თავის დროს, დაბრუნებას ელოდება. და ელა ახლა ხედავს, რომ მის გვერდით მშვენიერი, ბრძენი, უშფოთველი ქალია, მის აჩრდილთან კი მუდმივად ბნელი სილუეტია ამ პირწავარდნილი მექალთანისა, საკუთარი თავი რომ ეზიზღება. ეს ორი, ერთმანეთთან ძნელად შესათავსებელი ფიგურა, გვერდიგვერდ მოდის - თანაც, ელასა და პოლის ფეხის აწყობით. და დგება მომენტი (ოღონდ რომანის ბოლოს, ეს მისი კულმინაციაა), როცა ელა ფიქრობს: „პოლის ჩრდილოვანი ფიგურა, ის კაცი, რომელსაც ყველგან ხედავს, იმ მამაკაცშიც კი, რომელიც მე თვითონ ვერც კი შევამჩნიე, - თითქმის ვოდევილური მექალთანეა. ეს კი ნიშნავს, რომ პოლს ჩემთან ურთიერთობა აქვს თავისი „პოზიტიური“ (ჯულიას გამოთქმაა) ნახევრით. ჩემთან კარგია. მაგრამ ჩემი ჩრდილის როლში გამოდის კარგი ქალი, დაბრძენებული, ძლიერი, რომელიც არაფერს პატიობს, რაც ნიშნავს, რომ მე მასთან ჩემი „ნეგატიური“ ნახევრით მაქვს ურთიერთობა. ანუ ის სიმწარე, რომელსაც მის მიმართ განვიცდი, ძლიერდება - ეს უბრალოდ საქმის რეალური ვითარების დაცინვაა. სინამდვილეში ამ ურთიერთობაში ის უკეთესია, ვიდრე მე, და ის უხილავი ფიგურები, წამითაც რომ არ გვტოვებენ, ამის ჩინებული დადასტურებაა“.

მეორეხარისხოვანი მოტივები. მისი რომანი. პოლი ეკითხება, რას წერს და ისიც პასუხობს. უხალისოდ. რადგან, როდესაც პოლი მის მწერლობაზე იწყებს ლაპარაკს, ხმა ყოველთვის ეჭვიანი აქვს. ელა ამბობს:

- ეს რომანი თვითმკვლელობაზეა.

- და რა იცი თვითმკვლელობაზე?

- არაფერი. უბრალოდ, ვწერ.

(ჯულიასთან მწარედ ხუმრობს, - როდესაც ჯეინ ოსტინი წერდა და მასთან ოთახში ვინმე შედიოდა, თავის რომანს საშრობის ქვეშ მალავდაო; სტენდალის სენტენციას იმეორებს, რომ ნებისმიერი მწერალი ქალი, თუკი ჯერ ორმოცდაათი წლის არ არის, ფსევდონიმით უნდა წერდეს).

პოლი რამდენიმე მომდევნო დღის განმავლობაში სუიციდური მიდრეკილებების მქონე თავის პაციენტებზე უყვება. კარგა ხანი დასჭირდება იმის მისახვედრად, რომ ამას იმიტომ აკეთებს, ელა მეტისმეტად მიამიტად და უმეცრად მიაჩნია იმისთვის, რომ თვითმკვლელობაზე წერდეს (და ელა კიდეც ეთანხმება). პოლი მას ჭკუას არიგებს. ელა პოლისგან თავისი რომანის დამალვას იწყებს. ამბობს, რომ „სულაც არ უნდა მწერალი გახდეს, უბრალოდ უნდა დაწეროს წიგნი და ნახოს, რა გამოვა“. ეტყობა, ეს პოლისთვის სრული უაზრობაა და მალე წუწუნს იწყებს, რომ ელა მის პროფესიულ ცოდნას რომანისთვის მასალის შესაგროვებლად იყენებს.

ჯულიას მოტივი. პოლს არ მოსწონს ელას ურთიერთობა ჯულიასთან. ამაში მის საწინააღმდეგო შეთქმულებას ხედავს და პროფესიონალურ ხუმრობებს ისვრის მათი მეგობრობის ლესბოსურ ასპექტებზე. ამაზე ჯულია შენიშნავს, თუ ასეა, ვინ იცის, იქნებ მისი მეგობრული ურთიერთობა მამაკაცებთან ჰომოსექსუალურიაო.

ამაზე პოლი პასუხობს, რომ მას იუმორის გრძნობა არ გააჩნია. ელას პირველი ინსტინქტური სურვილია, მსხვერპლად გაიღოს ჯულია პოლის გულისთვის; მაგრამ შემდგომ მათი მეგობრობა სახეს იცვლის, მასში პოლის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება შეიმჩნევა. მართავენ ღრმა და რთულ, კრიტიკული განჭვრეტებით აღსავსე საუბრებს, რომლის საფუძველია

კრიტიკული დამოკიდებულება მამაკაცების, როგორც ასეთების, მიმართ. ამავე დროს ელას ეს პოლის ღალატად არ მიაჩნია, რადგან მათი საუბრები სხვა განზომილებაშია - ესაა სიღრმისეული და რთული განჭვრეტების სამყარო, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ გრძნობასთან, რომელსაც პოლი იწვევს მასში.

მაიკლის მიმართ ელას დედობრივი სიყვარულის მოტივი. ელა მუდმივად იბრძვის, რომ პოლი მაიკლისთვის მამად იქცეს და მუდმივად მარცხდება ამ ბრძოლაში. პოლი ამბობს: „აი, ნახავ, შენ მხოლოდ გაგიხარდება, როცა მიხვდები, რომ მართალი ვიყავი“. რაც მხოლოდ ერთ რამეს შეიძლება ნიშნავდეს: „როდესაც მიგატოვებ, მოხარული იქნები, შენს შვილთან ახლო ურთიერთობა რომ არ დავამყარე“. ამიტომ ელას ურჩევნია, ამას ყური არ მიუგდოს.

პოლის საკუთარი პროფესიისადმი დამოკიდებულების მოტივი. ამ მხრივ პოლი შინაგანად გაორებულია. იგი სერიოზულად უყურებს პაციენტებთან თავის ურთიერთობას, მაგრამ, ამავე დროს, მასხრად იგდებს იმ ჟარგონს, რომელსაც ამ ურთიერთობისას ხმარობს. მას შეუძლია მოუყვეს თავის რომელიმე პაციენტზე და ეს მონათხრობი აღსავსე იქნება ფსიქოლოგიური წვდომითა და სიღრმით, თუმცა ამ დროს ლიტერატურისა და გრძნობების ენაზე მეტყველებს. შემდეგ შეუძლია ეს სიუჟეტი ფსიქოანალიტიკური ტერმინებით წარმოადგინოს და სრულიად სხვა განზომილებაში გადაიყვანოს. მერე კი, ხუთი წუთის შემდეგ, შეუძლია აბუჩად აიგდოს ის ტერმინები, რომლებიც გამოიყენა როგორც ლიტერატურული ნორმებისა და ჭეშმარიტი გრძნობების საზომი. და ყოველ ასეთ მომენტში, ყოველ ჰიპოსტასში - ლიტერატურულში, ფსიქოანალიტიკურში, - კაცი, რომელიც ანგრევს ყველა წარმოდგენათა ყველა სისტემას, რომლებ-

საც დასრულებულობის პრეტენზია აქვთ, სერიოზულობას ბოლომდე შეინარჩუნებს და ელასგან ყოველ მომენტში თავისი სიტყვების უპირობო მიღებას ელის; და გუნება წაუხდება, როდესაც ელა ამ ჰიპოსტასების ერთმანეთთან შეხამებას შეეცდება.

მათი ერთობლივი ცხოვრება მუდმივი სიმბოლოებითა და გამოთქმებით აღივსება: „მისის ბრაუნი“ მის პაციენტებსა და იმ ქალებს აღნიშნავს, რომლებიც დახმარებისთვის ელას ჟურნალს მიმართავენ.

„შენი ტრაქტატი თვითმკვლელობებზე“, ელას რომანი, პოლის დამოკიდებულება მის მიმართ.

კიდევ ერთი გამოთქმა, რომელიც სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, თუმცა, როდესაც პოლმა ის პირველად იხმარა, ელამ ვერ გააცნობიერა, მისი მსოფლგანცდის რამდენად ღრმა ასპექტები პოვებდა მასში ასახვას. „ჩვენ ორივენი ლოდებს მივაგორებთ აღმართში“, - ასე აღნიშნავდა ყველაფერს, რაშიც, თავისი აზრით, მარცხი განიცადა. მისი ბრძოლა სიღარიბესთან, რომელშიც დაიბადა, ბრძოლა სტიპენდიების, უმაღლესი სამედიცინო ხარისხებისა და წოდებების მოსაპოვებლად ნაკარნახები გახლდათ შემოქმედებითი შრომისაკენ სწრაფვით, სურვილით, გამხდარიყო მეცნიერი. მაგრამ ახლა უკვე იცის, რომ ნამდვილი მეცნიერი ვერ გახდება. და ეს ნაკლი დაკავშირებულია მისი პიროვნების ერთ-ერთ საუკეთესო თვისებასთან, - მის უცვალებელ და უშურველ მზაობასთან, თანაუგრძნოს გაჭირვებულს, გაუნათლებელს, ავადმყოფს. ყოველთვის, როდესაც მის წინაშე დგება არჩევანი - მუშაობა ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიაში თუ გაჭირვებულის დახმარება, - ყოველთვის მეორეს არჩევს. პირველაღმომჩენი, შუქურა, გზის გამკვალავი ვეღარასოდეს გახდება. იგი იქცა კაცად, ვინც ებ-

რძვის საშუალო კლასს, რეტროგრადულ სამედიცინო ხელ-მძღვანელობას, რომელიც ცდილობს მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ადამიანები ჩაკეტოს, პაციენტს კი დამაშოშმინებელი პე-რანგი ჩამოაცვას თავზე. „მე და შენ, ელა, ორივე უიღბლო ვართ. მთელი ცხოვრება ვებრძვით ადამიანებს, რომლებიც ჩვენზე გაცილებით სულელები არიან და ვცდილობთ, შევაგნე-ბინოთ ჭეშმარიტებები, რაც დიდი ადამიანებისთვის ყოველთვის ცნობილი იყო. არაერთი ათასწლეულია დიდმა ადამიანებმა იციან, რომ ავადმყოფის ჩაკეტვა ერთკაციან საკანში ნიშნავს, რომ ავნო. უკვე არაერთი ათასწლეული ცნობილია, რიმ ღარი-ბი, რომელსაც ეშინია სახლის მეპატრონისა და პოლიციისა, მო-ნაა. მათ ეს დიდი ხანია იციან. ეს ჩვენც ვიცით. მაგრამ იცის თუ არა ეს მრავალმა ათასმა განათლებულმა ბრიტანელმა? არა. და ჩვენი მოვალეობაა, ჩემი და შენი, ელა, ვუთხრათ ეს. რადგან დიდი ადამიანები მეტისმეტად დიდები არიან იმისთვის, რომ შე-ვაწუხოთ. ისინი უკვე ამუშავებენ ვენერას კოლონიზაციის მეთო-დებს და დღე-დღეზე დაიწყებენ მთვარეზე ირიგაციული ნაგებო-ბების მშენებლობას. ეს ყველაფერი თანამედროვეობის მნიშ-ვნელოვანი ამოცანებია. მე და შენ კი ლოდებს მივაგორებთ აღ-მართში. მთელი ცხოვრება მე და შენ ჩვენს ძალას ვახმართ იმას, რომ უზარმაზარი ქვა მთის წვერზე ავაგოროთ. ქვა ის ჭეშ-მარიტებაა, რომელიც დიდი ადამიანებისთვის ინსტინქტურად ნაცნობია, მთა კი კაცობრიობის სიბრიყვეა. ჩვენ კი ქვას ვექაჩე-ბით. ზოგჯერ მგონია, ჯობდა, მოვმკვდარიყავი, ვიდრე მიმეღო ის სამუშაო, რომლისკენაც ესოდენ ვისწრაფოდი. რაზე ვხარჯავ დროს? ვუხსნი ექიმ შაკერლის, დაფეთებულ ბირმინგემელ კა-ცუნას, რომელიც ცოლს ტანჯავს იმით, რომ არ იცის, როგორ უნ-და უყვარდეს, რომ ვალდებულია, გახსნას საავადმყოფოს კარი,

რომ არ უნდა ჰყავდეს გაუბედურებული და ავადმყოფი ადამიანები ჩაკეტილი სიბნელეში, საკნებში, რომელთა კედლები თეთრი რბილი ტყავითაა მოპირკეთებული, და რომ დამაშოშმინებელი პერანგი სიბრიყვეა. აი, რა ხდება ჩემს დროში. ხოლო იმ ავადმყოფობის მკურნალობა, რომელიც გამოწვეულია საზოგადოების მოწყობით, ისეთი სისულელეა, რომ... აი, შენ კი, ელა, შენ აძლევ რჩევებს მუშების ცოლებს, რომლებიც ზუსტად იმდენადვე არიან კარგები, რამდენადაც მათი ქმრები. ურჩევ მოდას მისდიონ და ბინა ისე გააწყონ, როგორც მოითხოვენ ბიზნესმენები, რომლებიც სნობიზმს იმისთვის იყენებენ, ფული რომ აკეთონ. საწყალ ქალებს კი, საყოველთაო სიბრიყვის მონებს, ურჩევ, წავიდნენ და კლუბში ჩაეწერონ, ან ჯანმრთელობისთვის სასარგებლო რაიმე ჰობი გაიჩინონ, რომ აღარ იფიქრონ იმაზე, არავის რომ არ უყვარს. ხოლო თუკი გამაჯანსაღებელი ჰობი არ უშველის, ან რატომ უნდა უშველოს, ჩემთან მოდიან ამბულატორიაში სამკურნალოდ... ჯობდა, მოვმკვდარიყავი, ელა. ჯობდა, მოვმკვდარიყავი. არა, შენ, რასაკვირველია, ეს არ გესმის, სახეზე გატყობ“.

და ისევ სიკვდილი. სიკვდილი მისი რომანიდან ამოვიდა და მის ცხოვრებაში შეაბიჯა. თუმცა სიკვდილს ენერგიის სახე აქვს, რადგან ეს კაცი შეპყრობილივით მუშაობს და მას გააფთრებული, ავი თანაგრძნობა ამოძრავებს, დიახ, ესაა ადამიანი, რომელიც ამბობს, ჯობდა, მოვმკვდარიყავიო, მაგრამ ამავე დროს თავდაუზოგავად შრომობს უმწეო ადამიანების სასიკეთოდ.

* * *

ეს რომანი თითქოსდა უკვე დაწერილია და მე მას ვკითხულობ. და ახლა, როცა მას მთლიანობაში აღვიქვამ, კიდევ ერთ თემას ვამჩნევ, რომელიც არ მქონდა გაცნობიერებული, წერას რომ ვიწყებდი. ეს მიამიტობაა. იმ მომენტიდან, როცა ელა შეხვდება პოლს და შეიყვარებს, იმ მომენტიდან, როცა პირველად იხმარს სიტყვას „სიყვარული“, იბადება მიამიტობა.

და, აი, ახლა, როცა ვიხსენებ ჩემს ურთიერთობას მაიკლთან (ელას გამოგონილ შვილს ჩემი ნამდვილი საყვარლის სახელი იმ ნაძალადევი ღიმილით მივეცი, რომლითაც პაციენტი აწვდის ფსიქოანალიტიკოსს მონაცემებს, რომელთაც ამდენი ხანი ელოდა და რომლებიც თვით პაციენტს სრულიად უსარგებლოდ მიაჩნია), მე უპირველესად საკუთარ მიამიტობას ვხედავ. ნებისმიერი გონიერი ადამიანი თავიდანვე განჭვრეტდა, თუ რით დამთავრდებოდა ეს სასიყვარულო ამბავი. თუმცა, ანა, ისევე, როგორც ელა პოლის შემთხვევაში, უარს ამბობს ამის დანახვაზე. პოლმა შვა ელა, მიამიტი ელა. მან მასში მოსპო მცოდნე, დაეჭვებული, რაფინირებული ელა და კვლავ და კვლავ, მისი ნებაყოფლობითი დასტურით, იგი მის გონებას მიაძინებს, და ელა მიცურავს მისკენ თავისი სიყვარულის ტალღებზე, თავისი მიამიტობის ტალღებზე, რასაც შეიძლება სპონტანური შემოქმედი რწმენაც ვუწოდოთ. და როდესაც პოლის დაეჭვება საკუთარი თავში გაანადგურებს ამ შეყვარებულ ქალს, იგი ისევ დაიწყებს აზროვნებას, დაიწყებს ბრძოლას, რათა თავის მიამიტობას დაუბრუნდეს.

ახლა, როდესაც მამაკაცისკენ ლტოლვას ვგრძნობ, მასთან შესაძლო ურთიერთობის სიღრმე იმისდა მიხედვით შემიძლია შევაფასო, რამდენად იღვიძებს ჩემში მიამიტი ანა.

ზოგჯერ მე, ანას, რომელიც წარსულში ვიხედები, მინდა ვიხარხარო. კი, ასე შურითა და უსიამო გაოცებით დასცინის ცოდნა უცოდველობას. ახლა მე უკვე აღარ შემიძლია ასე ვირწმუნო. მე, ანა, არასოდეს მივცემდი ჩემს თავს პოლთან ან მაიკლთან რომანის უფლებას. უფრო სწორად, თავს უფლებას მივცემდი სასიყვარულო ურთიერთობა დამემყარებინა და მორჩა, ზუსტად მეცოდინებოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები; მე გაცნობიერებულად დავიწყებდი უნაყოფო, შეზღუდულ ურთიერთობას.

ის, რაც ელამ ამ ხუთი წლის განმავლობაში დაკარგა, იყო შემოქმედების უნარი მიამიტობის მეშვეობით.

* * *

მათი რომანის დასასრული. თუმცა, მაშინ ელა ამას არ არ-ქმევდა. ამ სიტყვებს მოგვიანებით გამოიყენებს, სიმწრით.

ელა მიხვდება, რომ პოლი ტოვებს, იმ მომენტში, როცა შე-ნიშნავს, რომ წერილების გარჩევაში აღარ ეხმარება. პოლი იტ-ყვის:

- და რა აზრი აქვს? მთელი დღეები საავადმყოფოში დაქვრი-ვებულ მისის ბრაუნს ვეხმარები. და არ შემიძლია რაიმე მარ-თლა არსებითი გავუკეთო. ცოტა იქ ვიღაცას დავეხმარე, ცოტა აქ. საბოლოოდ, ლოდების აღმართში ამგორებლებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ. ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავი დავარ-წმუნეთ, რომ სარგებლობა მოგვაქვს. ფსიქიატრია და სოციალუ-რი სამუშაო მხოლოდ კომპრესის დადებაა სატანჯველზე, რომე-ლიც არავის სჭირდება.

- კი მაგრამ, პოლ, შენ ხომ იცი, რომ ეხმარები მათ.

- სულ იმაზე ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალზე ძველმოდური ვართ, დროს ჩამოვრჩით. განა ის ექიმი ექიმია, ვინც თავის პაციენტში სამყაროსეული ბოროტების მსხვერპლს ხედავს?

- შენ რომ მართლა ასე ფიქრობდე და ამის მიმართ ასეთი და-მოკიდებულება გქონდეს, ამდენს თავდაუზოგავად არ იმუშავებ-დი.

პოლი შეყოყმანდა, მერე კი „უკბინა“:

- ჰო, ელა, მაგრამ შენ ჩემი საყვარელი ხარ და არა ცოლი. რატომ გგონია, რომ მე გაგიზიარებ ყველაფერს, რაც შედის ცნე-ბაში „ეს წყეული ცხოვრება“?

ელა გაბრაზდა:

- ყოველღამ ჩემთან ხარ ლოგინში და ყველაფერს მიყვები. მე შენი ცოლი ვარ.

როგორც კი თქვა ეს, მიხვდა, რომ რომანის დასრულების ბრძანებას ხელი თავად მოაწერა. და ის, რომ ეს ადრე არ ჰქონდა ნათქვამი, საშინელ სიმხდალედ მოეჩვენა. საპასუხოდ პოლმა შეურაცხყოფილივით ჩაიცინა, - ეს განშორების ნიშანი იყო.

* * *

ელა დაასრულებს თავის რომანს და მას გამოსაქვეყნებლად მიიღებენ. იცის, რომ რომანი საკმაოდ კარგი გამოვიდა, თუმცა, არა განსაკუთრებული. რეცენზია რომ ჰქონოდა დასაწერი, დაწერდა, რომ ეს არის პატარა, მართალი რომანი. თუმცა, როდესაც პოლი წაიკითხავს, ერთობ სარკასტულად შენიშნავს:

- ესე იგი, დრო მოსულა, რომ ჩვენ, მამაკაცებმა, ქუდი დავიხუროთ და პენსიაზე გავიდეთ. ცხოვრება შევწყვიტოთ.

ელა დაფრთხება და ჰკითხავს:

- რას გულისხმობ?

თუმცა ელამ თავი ვერ შეიკავა და გაეცინა, რადგან პოლმა ეს საკუთარი თავის პაროდირებით, გადაჭარბებული დრამატიზმით თქვა და სასაცილოდაც გამოუვიდა. მერე კი პაროდიულ ტონს თავი დაანება და უაღრესად სერიოზულად უთხრა:

- ჩემო ძვირფასო ელა, განა არ იცი, რა რევოლუცია ხდება ჩვენს დროში? რუსეთისა დ ჩინეთის რევოლუციები ამასთან შედარებით არაფერია. ჩვენი დროის ნამდვილი რევოლუციაა ქალების აჯანყება მამაკაცების წინააღმდეგ.

- ჰო, მაგრამ, პოლ, ჩემთვის ეს ცარიელი სიტყვების რახარუხია.

- წინა კვირას ერთი ფილმი ვნახე, კინოში წავედი უშენოდ, ისეთი ფილმია, რომელიც მამაკაცმა მარტომ უნდა ნახოს.

- რა ფილმია?

- იცი თუ არა, რომ ქალებს ახლა შეუძლიათ შვილი უმამაკაცოდ გააჩინონ?

- მაგრამ, ღვთის გულისათვის, რად გვინდა ეს?

- მაგალითად, შეიძლება საკვერცხეებზე ყინული დავადოთ და ქალს ბავშვი გაუჩნდეს. კაცობრიობას მამაკაცები აღარ სჭირდება.

ამის გაგონებაზე ელა ხარხარებს, საკუთარი თავის რწმენა უბრუნდება.

- მაგრამ რომელი საღ ჭკუაზე მყოფი ქალი მოინდომებს, რომ მამაკაცის მაგივრად ყინული ჰქონდეს საკვერცხეებში?

ამაზე პოლიც იცინის.

- ელა, ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს ჩვენი დროის მაუწყებელი ნიშნებია.

საპასუხოდ ელას აღმოხდება:

- ღმერთო ჩემო, პოლ, შენ რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც, ნებისმიერ მომენტში, გეთხოვა ჩემთვის ბავშვის გაჩენა, უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი.

ინსტინქტური, დამფრთხალი მოძრაობა. პოლი შინაგანად ემიჯნება მას, შორდება. მერე კი ჩაცინებით პასუხობს, სიტყვებს საგულდაგულოდ არჩევს:

- ჰო, ელა, მაგრამ მე თვით პრინციპზე ვლაპარაკობ. მამაკაცები საჭირო აღარ არიან.

- ეგ პრინციპები არ მაინტერესებს, - იცინის ელა, - შენ არანორმალური ხარ. ამას ყოველთვის ვამბობდი.

ამაზე პოლი მშვიდად და თავშეკავებით პასუხობს:

- რა ვიცი, შეიძლება მართალიც ხარ. შენ, ელა, მეტად საღად მოაზროვნე ქალი ხარ. და ყოველთვის ასეთი იყავი. ამბობ, რომ მე არანორმალური ვარ. მე ეს ვიცი და სულ უფრო და უფრო გადავდივარ ჭკუიდან. ზოგჯერ ჩემს თავს ვეკითხები, რატომ არ მკეტავენ საკანში ჩემი პაციენტების ნაცვლად. შენ კი სულ უფრო

და უფრო ნორმალური ხდები. ამაშია შენი ძალა და ერთ მშვენიერ დღეს შენ კიდეც დაიდებ საკვერცხეებზე ყინულს.

ამის გაგონებაზე ელა ყვირილს იწყებს, იმდენად სტკენს ეს გულს და უკლავს, რომ აღარ ენაღვლება, როგორ აღიქვამს ამას პოლი.

- მართლა გიჟი ხარ! მირჩევნია, მოვკვდე, ვიდრე ბავშვი ამ მეთოდით ვიყოლიო. როგორ არ გესმის, რომ მას შემდეგ, რაც გაგიცანი, ბავშვი შენგან მინდა მყავდეს? მას მერე, რაც გაგიცანი, ისეთი სიხარული მეწვია...

ელა ხედავს მის გამომეტყველებას, ხედავს, რომ ინსტინქტურად უარყოფს ყველაფერს, რაც ამწამს გაიგონა.

- მაშ, კარგი, დავუშვათ, ერთ დღეს მართლაც სრულიად არასაჭირონი აღმოჩნდებით და სწორედ იმიტომაც აღმოჩნდებით, რომ საკუთარი თავის რწმენა არ გაგაჩნიათ.

ახლა პოლის სახეზე შიში და სევდა გამოისახა, მაგრამ ელა ვეღარ ჩერდება, მისთვის უკვე ყველაფერი სულერთია.

- შენ ვერასოდეს იგებდი ერთ მარტივ რაღაცას, იმდენად მარტივს, რომ მე ვერც კი გამიგია, რატომ ვერ იგებდი. შენთან ერთად ჩემთვის ყველაფერი სიხარულად და ბედნიერებად იქცა, შენთან კარგად ვარ, შენ კი მსჯელობ იმაზე, ქალები საკვერცხეებზე ყინულს დაიდებენო. საკვერცხეებზე. რა შუაშია ეს? თუ თვითონ გსურთ ხელი მოაწეროთ ბრძანებულებას, რომ აღგგავონ პირისაგან მიწისა, კი ბატონო, მიდით, ჩემთვის სულერთია.

ამაზე პოლი ელას ჩასახუტებლად ხელს შლის და ამბობს:

- ელა, ელა, მოდი ჩემთან.

და ელაც მიდის მასთან. პოლი გულში იხუტებს, მაგრამ წუთის მერე ისევ გაბრაზებას უწყებს:

- აი, ხომ ხედავ, მე მართალი ვიყავი: როცა არსებითს მივადგებით ხოლმე, შენ ამას პატიოსნად აღიარებ, - თქვენ აღგვგვით ჩვენ პირისაგან მიწისა და გაიცინებთ.

* * *

სექსი. ჩვენთვის, ქალებისთვის, სექსზე წერა ძნელია, რადგან ის ჩვენთვის მართლა კარგი მხოლოდ მაშინაა, როცა მასზე არ ფიქრობ, არ ცდილობ მის შემადგენელ ნაწილებად დაშლას. ქალები შეგნებულად ცდილობენ, არ იფიქრონ სექსის ტექნიკურ მხარეზე. ისინი მტკივნეულად რეაგირებენ მამაკაცების საუბრებზე სექსის ტექნიკაზე და ამას საფუძვლად თვითგადარჩენის ინსტინქტი უდევს: მათ სურთ შეინარჩუნონ შეგრძნებების უშუალობა, რომელიც აუცილებელია დასაკმაყოფილებლად.

ქალებისთვის სექსი თავისი არსით მეტად ემოციური საქმეა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაწერილა ამ თემაზე? და მაინც, ყველაზე ჭკვიან და ყველაზე მგრძნობიარე მამაკაცთან ურთიერთობისას ყოველთვის დგება ისეთი მომენტი, როცა ქალი ხედავს, რომ მათ უფსკრული ყოფს: კაცი ვერ მიხვდა, ქალი უეცრად მარტოობას გრძნობს. ცდილობს, დაივიწყოს მომენტი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაფიქრება მოუწევს. ჯულია, მე და ბობი ჯულიასთან სამზარეულოში ვსხედვართ და ვმასლაათობთ. ბობი ერთი განქორწინების ისტორიას გვიყვება. ამბობს:

- პრობლემა სექსი იყო. საწყალს სამკერვალო ნემსისხელა ჰქონდა.

ჯულია:

- მე კი ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ თავისი ქმარი არ უყვარდა.

ბობი ფიქრობს, რომ ჯულიამ ვერ გაიგონა, რაც თქვა:

- დიახ, დიახ, ეს ყოველთვის სასტიკად ტანჯავდა, უბრალოდ ძალიან პატარა ჰქონდა.

ჯულია:

- უბრალოდ, არასოდეს ჰყვარებია, საკმარისი იყო, ერთხელ შეგეხედა და მიხვდებოდი.

ბობს უკვე მოუთმენლობა აშკარად ეტყობა:

- ეს იმათი ბრალი არ იყო, იმ უბედური დებილების, თვითონ ბუნება იყო მათი წინააღმდეგი.

ჯულია:

- რასაკვირველია, ეს ქალის ბრალია. არ უნდა გაჰყოლოდა ცოლად, თუკი არ უყვარდა.

ბობი, რომელმაც თანამოსაუბრის სიბრიყვის გამო საბოლოოდ დაკარგა მოთმინება, ტექნიკის საფუძვლიან ახსნა-განმარტებას იწყებს, ჯულია კი ამ დროს გამომხედავს ხოლმე, ოხრავს, იღიმება და მხრებს იჩეჩს. მერე ჯულია, იმის გამო, რომ ბობი თავისას ჯიუტად მიერეკება, ბოროტად ხუმრობს, გააწყვეტინებს, სიტყვის გაგრძელების საშუალებას არ აძლევს.

რაც შემეხება მე, ანას, უცნაურია, მაგრამ სანამ ამაზე წერა არ დავიწყე, ჩემი და მაიკლის სექსუალური ურთიერთობა არასოდეს გამიანალიზებია.

არადა, ის სრულიად ცხადად ვითარდებოდა, რაც გონებაში ისე წარმომესახება, როგორც მკაფიო მრუდი გრაფიკზე.

როდესაც ელა პოლთან დაწვა, პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის ეგრევე განიცდიდა ორგაზმს. და სწორედ ამ გარემოებამ „დააკანონა“ ის ფაქტი, რომ პოლი უყვარს და მისცა საშუალება ეხმარა სიტყვა „სიყვარული“. მე ვაგინალურ ორგაზმს ვგულისხმობ. ელა მას ვერ განიცდიდა, პოლი რომ არ ჰყვარებოდა. ამ ტიპის ორგაზმი იმის ხარჯზე მიიღწევა,

რომ მამაკაცს ქალის მოთხოვნილება აქვს და ამ მოთხოვნილებაში დარწმუნებულია.

დრო გადიოდა და პოლმა მექანიკური საშუალებების გამოყენება დაიწყო (სიტყვა „მექანიკურს“ დავყურებ - მამაკაცი ასე არ იტყოდა). პოლი ახლა უფრო ელას სხეულზე მანიპულირებით გადიოდა ფონს, უპირატესობას კლიტორულ ორგაზმს ანიჭებდა. ეს მეტად ამაღელვებელი, აღმგზნები იყო, მაგრამ ელას პიროვნებაში ამას რაღაც ეწინააღმდეგებოდა. გრძნობდა, რომ პოლი ინსტინქტურად ამბობდა უარს, მათ ურთიერთობას დამორჩილებოდა, ელასთვის მთლიანად მიეძღვნა თავი. ელა ხვდებოდა, რომ პოლი გაუცნობიერებლად (თუმცა, შესაძლოა, აცნობიერებდა კიდეც) უფრთხოდა გრძნობებს. ვაგინალური ორგაზმი გრძნობაა და მეტი არაფერი გრძნობის გარდა, ის განიცდება როგორც გრძნობა და გამოიხატება ისეთი შეგრძნებების მეშვეობით, რომლებსაც გრძნობისგან ვერ განასხვავებ. ვაგინალური ორგაზმი მოუხელთებელ, ბნელ, განზოგადებულ შეგრძნებაში გაქრობაა, რომელიც თითქოსდა თბილ მორევში გატრიალებს. კლიტორული ორგაზმის რამდენიმე სახესხვაობა არსებობს და ყოველ გამოვლინებაში ის უფრო მძლავრია (აი, მამაკაცური სიტყვა), ვიდრე ვაგინალური ორგაზმი. შესაძლებელია არსებობდეს ათასობით გრძნობადი განცდა, შეგრძნება და ასე შემდეგ, მაგრამ არსებობს მხოლოდ ერთი, ნამდვილი ქალური ორგაზმი, და ის მაშინ ხდება, როდესაც მამაკაცი, რომელსაც სურვილისა და ქალის მოთხოვნილების ერთობლიობა ამოძრავებს, ეუფლება მას და სურს, ქალმა თავისი თავი სრულად მისცეს. ყველაფერი სხვა სიყალბე და ფალსიფიკაციაა და ყველაზე გამოუცდელი ქალიც კი ამას ინსტინქტურად გრძნობს. მაიკ-

ლთან შეხვედრამდე ელას არასოდეს განეცადა კლიტორული ორგაზმი. უთხრა ეს და პოლიც აღფრთოვანდა:

- მაშ, ელა, რაღაცაში მაინც აღმოჩნდი ქალწული.

მაგრამ, როდესაც პოლს უთხრა, არასოდეს განმიცდია „ნამდვილი ორგაზმიო“, ელა კი ამას სწორედ ასე უწოდებდა ჯიუტად, პოლი უნებლიეთ მოიღუშა და შენიშნა:

- იცი თუ არა, რომ ზოგიერთი გამოჩენილი ფიზიოლოგის აზრით ქალებს ვაგინალური ორგაზმისთვის ფიზიოლოგიური საფუძვლები არ გააჩნიათ?

- ესე იგი, მეცნიერები ამაში მაინცდამაინც ვერ ერკვევიან, განა ასე არაა?

და, აი, დროთა განმავლობაში მათ სასიყვარულო, ფიზიკურ ურთიერთობაში მთავარი აქცენტი ნამდვილი ორგაზმიდან კლიტორულზე გადავიდა. დადგა ის მომენტი, როცა ელამ გააცნობიერა (და ამაზე ფიქრი სასწრაფოდ აიკრძალა), რომ ნამდვილი ორგაზმს აღარ განიცდის. ეს ცოტა ხნით ადრე მოხდა, ვიდრე ყველაფერი დასრულდებოდა, სანამ პოლი მიატოვებდა. მოკლედ, გრძნობად დონეზე სინამდვილე ელამ უკვე იცოდა, თუმცა, მისი გონება ამის აღიარებაზე ჯერ კიდევ უარს ამბობდა.

და კიდევ, სულ ცოტა ხნით ადრე, სანამ ყველაფერი დასრულდებოდა, პოლმა რაღაც უამბო, რაც მან (რადგან ლოგინში პოლი კლიტორულ ორგაზმებს აძლევდა უპირატესობას) ეგრევე გვერდზე გადადო, ჩათვალა, რომ ეს ამ კაცის პიროვნული გაორების კიდევ ერთი გამოვლინება იყო, რადგან მისი ტონი, ის, თუ როგორ უყვებოდა ამ ამბავს, აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ელა მასთან სინამდვილეში განიცდიდა.

- დღეს საავადმყოფოში რაღაც მოხდა, რაც გაგახალისებს.

მანქანაში ისხდნენ, ჯულიას სახლთან, მანქანაში შუქი არ ენთო. ელა პოლისკენ მიიწია და მან ხელი გადახვია. ელამ იგრძნო, რომ კაცი უხმო, გამოუთქმელი სიცილისგან იგუდებოდა.

- როგორც მოგეხსენება, ჩვენს დიდად წარმატებულ კლინიკაში ორ კვირაში ერთხელ ტარდება ლექციები, რომელთა მიზანია თანამშრომლების საერთო-კულტურული დონის ამაღლება. გუშინ გამოცხადდა პროფესორ ბლადროტის ლექცია მდედრი გედების ორგაზმის თაობაზე.

ელა ინსტინქტურად გაიწია, მაგრამ პოლმა ისევ მიიზიდა და უთხრა:

- ვიცოდი, რომ ასე გააკეთებდი. იჯექი ჩუმად და მისმინე. თქმა არ უნდა, რომ დარბაზი გაივსო. პროფესორი ჩვენ წინაშე სარივით გაჭიმული წარდგა, თანაც ექვს ფუტზე მეტი სიმაღლისაა. ჭაღარა წვერის ცანცარით გამოგვიცხადა, ერთხელ და სამუდამოდ დავამტკიცე, მდედრ გედებს ორგაზმი რომ არა აქვთო და აპირებს ეს უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო აღმოჩენა შემოგვთავაზოს როგორც ამოსავალი დებულება მცირედი დისკუსიისათვის საზოგადოდ ქალური ორგაზმის თაობაზე.

ელამ გაიცინა.

- დიახ, ასეც ვიცოდი, რომ სწორედ ამ მომენტში გაიცინებდი, მაგრამ მე ჯერ არ დამიმთავრებია. იმწამს დარბაზში ერთგვარი მღელვარება შეინიშნებოდა. ვიღაცები დგებოდნენ და გადიოდნენ. ჩვენმა ღრმად პატივცემულმა პროფესორმა, რომელსაც ერთობ შეშფოთებული გამომეტყველება ჰქონდა, განაცხადა, გულწრფელად ვფიქრობ, რომ საუბრის ეს თემა არავისთვის იქნება შეურაცხმყოფელიო.

ბოლოს და ბოლოს, სექსუალური სფეროს მეცნიერული შესწავლა, რაც სექსთან დაკავშირებული მცდარი წარმოდგენების-

გან, ცრურწმენებისგან უნდა გავმიჯნოთ, მთელ მსოფლიოში, ამ ტიპის ყველა საავადმყოფოში, მიმდინარეობს. და ვინ დატოვა დარბაზი? ყველა ქალმა, ვინც კი იყო. დარბაზში დაახლოებით ორმოცდაათი მამაკაცი და თხუთმეტიოდე ქალი იქნებოდა. ყველა ექიმი ქალი დგებოდა და გადიოდა ისე, თითქოს უბრძანესო. ჩვენი პროფესორი ამან კალაპოტიდან ამოაგდო. ცანცარა წვერი წინ წამოსწია და გამოაცხადა, მეტად მაოცებს, მდედრობითი სქესის ჩემს კოლეგებს, რომელთა მიმართ უღრმეს პატივისცემას განვიცდი, თურმე შეუძლიათ ასეთი ფარისევლური გრძნობები გამოავლინონო. მაგრამ მის ამ სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, დარბაზში ერთი ქალიც კი აღარ იყო დარჩენილი. ამის საპასუხოდ პროფესორმა ყელი ჩაიწმინდა და განაცხადა, რომ ქალი კოლეგების ასეთი სამწუხარო დამოკიდებულების მიუხედავად, აგრძელებს მოხსენებას. ჩემი აზრით, თქვა მან, მდედრი გედების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ვაგინალური ორგაზმისთვის ქალებს არანაირი ფიზიოლოგიური საფუძველი არ გააჩნიათო. არა, ელა, ნუ იწევი, მართალი რომ ვთქვათ, ქალები წარმოუდგენლად ადვილად პროგნოზირებადი ხართ. ჩემ გვერდით ექიმი პენვორთი იჯდა, ხუთი შვილის მამა, წამჩურჩულა, უცნაურია, რომ პროფესორის ცოლი, ქალი, რომელიც თავისუფალი შეხედულებებით არის ცნობილი, ჩვეულებრივ ყოველთვის ესწრება მეუღლის ასეთ გამოსვლებს, მაგრამ მაინცდამაინც დღეს არ მოვიდაო. და იმ მომენტში მე ჩემს სქესს ვუღალატე. მე ქალებს გავყევი და დარბაზი დავტოვე. გარეთ არც ერთი მათგანი არ იყო. უცნაურია, ყველანი გამქრალიყვნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი ძველი მეგობარი სტეფანია მოვძებნე, სასადილოში მაგიდასთან იჯდა და ყავას სვამდა. გვერდით მივუჯექი. აშკარად მეტად გაუცხოებულიყო. ვკითხე:

„სტეფანია, რატომ წახვედით ყველანი ჩვენი სახელოვანი პროფესორის სექსის თაობაზე ამ საბედისწერო მოხსენებიდან?“

მან ერთობ მტრულად, თან დატკბილულად გამიღიმა და მითხრა:

- ჩემო ძვირფასო პოლ, ქალები, რომლებსაც ჭკუის ნატამალი მაინც აქვთ, ამ ბოლო საუკუნის განმავლობაში მიხვდნენ, რომ არაფრისდიდებით არ უნდა გააწყვეტინო მამაკაცს, რომელიც ჩვენი სექსუალური განცდების შესახებ გვიყვება.

ნახევარი საათი დაძაბული შრომა და სამი ჭიქა ყავა დამჭირდა იმისთვის, ჩემი მეგობარი სტეფანია მეიძულებინა, ძველებურად შევეყვარებინე.

პოლი ისევ იცინოდა, ელას გულში იხუტებდა. მერე მიბრუნდა, თვალებში რომ ჩაეხედა მისთვის და უთხრა:

- დიახ. და შენც ნუ გამიბრაზდები მხოლოდ იმიტომ, რომ მე და პროფესორი ერთსა და იმავე სქესს ვეკუთვნით, - სტეფანიასაც ზუსტად ასე ვუთხარი.

ელას გაბრაზება უკვალოდ გაქრა და მასთან ერთად გაიცინა. ფიქრობდა: „ამ ღამით ჩემთან დარჩება“. ბოლო დრომდე ყველა ღამეს მასთან ატარებდა, თუმცა, ახლა კვირაში ორჯერ-სამჯერ შინ მიდიოდა. პოლმა შენიშნა, როგორც ჩანს, ისე, სასხვათაშორისოდ:

- ელა, შენ ყველაზე ნაკლებად ეჭვიანი ქალი ხარ, ვისაც კი ვიცნობ.

ელას უცებ გააჟრჟოლა, მერე კი პანიკაში ჩავარდა, შემდეგ კი თავდაცვითი მექანიზმი ჩართო და მან თითქოს ვერც კი გაიგონა, რა უთხრეს. იკითხა:

- მოდიხარ ჩემთან?

პოლმა მიუგო:

- გადავწყვიტე, რომ არ წამოვიდე. თუმცა მართლა ასე რომ გადამეწყვიტა, აქ არ ვიჯდებოდი, ასე არაა?

ხელიხელჩაკიდებულები ავიდნენ მეორე სართულზე. კიბეზე ჩაილაპარაკა:

- საინტერესოა, შენ და სტეფანია როგორ მორიგდებოდით ერთმანეთში.

ელამ გაიფიქრა, რომ პოლი უცნაურად უყურებდა, თითქოს რაღაცას ამოწმებდა. პანიკის ახალი შემოტევა იგრძნო და გაიფიქრა: „ბოლო დროს სტეფანიაზე ბევრს ლაპარაკობს, ვაითუ“... და იმწამს გონება დაებინდა, თქვა:

- ვახშმისთვის რაღაცები მოვამზადე, თუ გინდა, ვჭამოთ.

ივახშმეს, პოლმა შეხედა და უთხრა:

- მზარეულიც ძალიან კარგი ხარ. აბა, რა გიყო, ელა?

- რასაც აკეთებ, - მიუგო ელამ.

პოლი აკვირდებოდა, სახეზე ნაძალადევი სასოწარკვეთა ეწერა, რასაც ელა ბოლო დროს ხშირად ამჩნევდა.

- და ერთი იოტითაც კი ვერ შეგცვალე. ისიც კი, როგორ იცვამ ან თმას როგორ ივარცხნი.

ეს პერიოდულად მათი წაკინკლავების მიზეზი ხდებოდა. პოლი სხვანაირ ვარცხნილობას ურჩევდა, სხვანაირად აცმევდა და თან იმეორებდა:

- ელა, რატომ გინდა მაინცდამაინც მკაცრ მასწავლებელს ჰგავდე? ღმერთმა ხომ იცის, მასთან საერთო არაფერი გაქვს.

ზოგჯერ ელასთვის ღრმად გულამოჭრილი ბლუზები მოჰქონდა ან მაღაზიის ვიტრინაში კაბას დაანახვებდა და ეტყოდა:

- არ გინდა ასეთი ჩაიცვა?

მაგრამ ელა შავი თმის კეფაზე გუნდად შეკვრას აგრძელებდა და იმ ექსტრავაგანტურ სამოსზე უარს ამბობდა, რომელიც

პოლს მოსწონდა. გონების სიღრმეში გაუელვა: „ახლა იმაზე ჩივის, რომ მისით უკმაყოფილო ვარ და სხვა მამაკაცი მინდა. და რაღას იფიქრებს, თუკი სექსუალურად დავიწყებ ჩაცმას? ეფექტური რომ გავხდე, ამას ვერ აიტანს. ეს ყველაფერი ძნელზე ძნელია“.

ერთხელ პოლს დამცინავად უთხრა:

- აი, პოლ, შენ წითელი ბლუზა მიყიდე, ისეა ამოჭრილი, მკერდი ოდნავ მიჩანს, მაგრამ როდესაც ჩავიცვი, მომადექი და ყველა ღილი ბოლომდე შემიკარი, - ეს ინსტინქტურად გააკეთე.

იმ საღამოს პოლმა თმა გაუშალა. შემდეგ მოიღუშა, დაკვირვებით შეხედა და თითოეული კულულის შუბლსა და ყელთან დაწყობა დაუწყო. ელამ უფლება მისცა ყველაფერი ისე გაეკეთებინა, როგორც მოსწონდა. ჩუმად იდგა, მისი ხელების სითბოს გრძნობდა, უღიმოდა და უცებ გაიფიქრა: „ვიღაც სხვას მადარებს, მე საერთოდ ვერ მხედავს“. მკვეთრი მოძრაობით გაიწია განზე. პოლმა უთხრა:

- ელა, შეგიძლია მართლა ლამაზი ქალი იყო, თუკი თავს ამის უფლებას მისცემ.

ელამ ჰკითხა:

- ესე იგი, ლამაზად არ მიგაჩნივარ?

პოლმა ნახევრად ამოიოხრა, ნახევრად გაიცინა და საწოლისკენ წაიყვანა.

- რასაკვირველია, არა, - თქვა პოლმა.

- ძალიანაც კარგი, - თავდაჯერებით, ღიმილით მიუგო ელამ.

სწორედ იმ ღამეს, თითქოსდა სასხვათაშორისოდ, პოლმა უთხრა, ნიგერიაში სამუშაოს მთავაზობენ და ვფიქრობ, ხომ არ დავთანხმდეო. ელამ ეს კი გაიგონა, მაგრამ მნიშვნელობა თითქმის არ მიუნიჭებია; პოლმა ეს ყველაფერი სასხვათაშორისოდ

თქვა. შემდეგ ელამ იგრძნო, რომ თითქოს თვით მასში გაჩნდა ხვრელი, რომელშიც შიში და შფოთი ჩაედინებოდა და რომ რაღაც გამოუსწორებელი ხდებოდა. და მაინც აიძულა თავი, ეფიქრა: „მაშ ასე, ამით ყველა პრობლემა გადაწყდება. მას გავყვები. აქ არაფერი მაკავებს. მაიკლი რომელიმე სკოლაში იქაც ივლის. აქ რამ უნდა დამაბას?“

ეს სიმართლე იყო. ელა იწვა სიბნელეში, პოლს ეხუტებოდა და ფიქრობდა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მან ყველას დააშორა. ელა ახლა თითქმის აღარსად დადიოდა, რადგან პოლის გარეშე წასვლა არ უნდოდა და კიდევ იმიტომაც, რომ თავიდანვე მიხვდა, - როდესაც სადმე ერთად მიდიოდნენ, ეს უფრო მეტ პრობლემას ქმნიდა და ამად არ უღირდა. ან პოლი ეჭვიანობდა და ამბობდა, როდესაც შენს მეგობრებთან ვარ ლიტერატურული სამყაროდან, ზედმეტად ვგრძნობ თავსო. ამაზე ელა პასუხობდა:

- ესენი მეგობრები კი არა, ნაცნობები არიან.

ცოცხალი კავშირი არავისთან აღარ შერჩა, გარდა შვილისა. ჯულია სხვა საქმეა, ვერსად დაიკარგება - მათი მეგობრობა სამუდამოა.

- შემიძლია წამოგყვე, ხომ ასეა?

პოლი წამით შეყოყმანდა და სიცილით უთხრა:

- მაგრამ როგორ შეელევი შენს ბრწყინვალე ლიტერატურულ ცხოვრებას ლონდონში?

მართლაც არანორმალური ხარო, უთხრა ელამ და შეუდგა გეგმის დაწყობას, თუ როგორ წაჰყვებოდა პოლს აფრიკაში.

ერთხელ პოლის სახლში შეიარეს. მისი ცოლ-შვილი არდადეგებზე იყო წასული. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კინოში ერთად იყვნენ და პოლმა თქვა, სახლიდან ახალი პერანგი უნდა წამოვი-

ღოო. მანქანა პატარა სახლთან გაჩერდა, ზუსტად ისეთივე სახლების რიგში რომ იდგა ქალაქის გარეუბანში, შეპერდ-ბუშიდან ჩრდილოეთისკენ. მომცრო კოხტა ბაღში ბავშვის სათამაშოები იყო მიმოფანტული.

- სულ ვეუბნები მიურიელს, - თქვა გაღიზიანებულმა პოლმა, - ბავშვები სათამაშოებს ასე ნუ ფანტავენ-მეთქი.

და იმ მომენტში ელა მიხვდა - ეს მისი სახლი იყო.

- ერთი წუთით შევიდეთ, - თქვა მან.

ელას არ უნდოდა შესვლა, მაგრამ მაინც შეჰყვა. ჰოლის კედლებზე ტრადიციული ყვავილებიანი შპალერი იყო გაკრული, კედელთან შავი ხის კარადა იდგა, იატაკზე ღია ფერის სიმპათიური ნოხი დაეგოთ. გაუგებარია, რატომ, მაგრამ ელა ამან დაამშვიდა. სასტუმრო ოთახი სხვა ეპოქის გემოვნებით გაეწყოთ: ღია ფერის შპალერი, ფარდები და დივნის ბალიშები ერთმანეთს არ ესადაგებოდა. ჩანდა, რომ ოთახი ახალგარემონტებული იყო, თითქოს საჩვენებლად გამოფინესო. ეს დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდა. ელა პოლს სამზარეულოში შეჰყვა. პოლი „ახალ პერანგს“ ეძებდა, - ამ შემთხვევაში, სამედიცინო ჟურნალს, რომელიც სჭირდებოდა. ამ სახლში სამზარეულო ის ადგილი იყო, სადაც მის ბინადართა ცხოვრება მიედინებოდა, არადა, ერთობ უბადრუკი გახლდათ.

ერთ კედელზე წითელი შპალერი გაეკრათ და გეგონებოდა, სამზარეულოც გარდაქმნის პროცესშიაო. მაგიდაზე დაეხვავებინათ რამდენიმე ნომერი ჟურნალისა „ქალები სახლში“. ამის დანახვაზე თითქოს დენმა დაარტყა, მაგრამ მერე თავს უთხრა, რომ ბოლოს და ბოლოს, თვითონაც ამ საზიზღარ, სნობურ ჟურნალში მუშაობს და რა უფლება აქვს, ცხვირი აუბზუოს იმას, ვინც მას კითხულობს; რომ არ იცნობს არავის, თავის სამუშაოს მთე-

ლი სულითა და გულით რომ აკეთებდეს; ყველა თითქოს ძალისძალად მუშაობს, ან ცინიკურად უყურებს, ან მისი შესრულებისას გაორებულია, ასე რომ, თვითონ არაფრითაა სხვებზე უარესი. მაგრამ ასეთმა მსჯელობამ ელას არ უშველა. კუთხეში მომცრო ტელევიზორი იდგა და წარმოიდგინა, როგორ ზის პოლის ცოლი ყოველ საღამოს აქ, კითხულობს ჟურნალს, უყურებს ტელევიზორს ან აყურადებს, რას აკეთებენ ზედა სართულზე ბავშვები. პოლმა შენიშნა, როგორ იდგა ელა სამზარეულოში, როგორ ათვალიერებდა ჟურნალებს, თან, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და მისთვის დამახასიათებელი შავი იუმორით შენიშნა:

- ეს მისი სახლია, ელა. აქ შეუძლია ის გააკეთოს, რაც მოესურვება. ესაა ყველაზე მცირე, რაც კი შემიძლია მივცე.

- დიახ, ყველაზე მცირე.

- ჰო, ეტყობა, ჟურნალი ზემოთაა, - პოლი სამზარეულოდან გავიდა, თავი ოდნავ მოაბრუნა და უთხრა, - წავედით, არა?

ელამ გაოცებულმა გაიფიქრა: „რა, თავის სახლს მაჩვენებს და ამით რაღაცის დემონსტრირება, რაღაცის თქმა უნდა? ნუთუ ვერ ხვდება, რა ცუდად ვარ აქ?“

მაგრამ ელა მაინც მორჩილად გაჰყვა საძინებელში. ეს ოთახიც სხვებისგან განსხვავებული აღმოჩნდა, ცხადი იყო, დიდი ხანია არაფერი შეეცვალათ. ორ ერთნაირ საწოლშუა პატარა მაგიდა იდგა, ზედ - პოლის დიდი ფოტო ჩარჩოში. ფერადოვანი გადაწყვეტა ასეთი იყო: მწვანე, ფორთოხლისფერი, შავი, უამრავი ზოლი მშფოთვარე ტონებთან ერთად - ეს იყო „ჯაზის ერა“ სახლის მოწყობაში, ოცდახუთი წლის მერე მისი ჩასახვიდან. პოლმა ჟურნალი იპოვა, მაგიდაზე იდო გადაშლილი. უკვე მზად იყო გასასვლელად, მაგრამ ელამ უთხრა:

- ამას წინათ ექიმმა ვესტმა წერილი გადმომცა: „ძვირფასო ექიმო ოლსოპ, თუ შეიძლება, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე. ბოლო დროს ღამღამობით ვერ ვიძინებ. დაწოლის წინ ვსვამ ცხელ რძეს და ვცდილობ, მოვდუნდე, მაგრამ არ მშველის. ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ რამე. მიურიელ ლერნერი. P. S. დამავიწყდა მეთქვა, რომ ქმარი დილის 6 საათზე მაღვიძებს ხოლმე, საავადმყოფოში მუშაობს გვიანობამდე, ზოგჯერ კვირა დღესაც არ მოდის შინ. სულიერად დავძაბუნდი. ეს უკვე მეხუთე წელია, გრძელდება“.

პოლი სერიოზული და სევდიანი გამომეტყველებით უსმენდა.

- მე ეს არასოდეს დამიმალავს, - თქვა მან ბოლოს, - და არც მაინცდამაინც ვამაყობ იმით, რომ ასეთი ქმარი ვარ.

- ღმერთო ჩემო, მაშ, რატომ არ გინდა ამას ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო?

- რაო?! - შესძახა პოლმა და სიცილი აუვარდა, ისევ გარყვნილი მამაკაცის საყვარელ როლს დაუბრუნდა, - მივატოვო უბედური ქალი და ორი ბავშვი?

- იქნებ იპოვოს კაცი, რომელიც მასზე იზრუნებს. ოღონდ არ მითხრა, რომ ამის წინააღმდეგი იქნებოდი. შენ ხომ არ შეიძლება მოგწონდეს როგორც ცხოვრობს?

პოლმა სერიოზულად უპასუხა:

- ხომ გეუბნებოდი, რომ ერთი უბრალო ქალია. შენი ვარაუდით, ყველა ადამიანი ისეთივეა, როგორიც შენ. მას კი უყვარს ტელევიზორის ყურება და კედლებზე შპალერის ნაკუწების გაკვრა, კითხულობს ჟურნალს „ქალები სახლში“ და კიდევ, მზრუნველი, კარგი დედაა.

- და მისთვის სულერთია, კაცი რომ არა ჰყავს?

- როგორც ვხვდები, ჰყავს, მისთვის ეს არასოდეს მიკითხავს, - თქვა პოლმა და ისევ გაიცინა.

- ჰოო, არ ვიცი! — ჩაილაპარაკა ელამ და საბოლოოდ დაითრგუნა. პოლს უკენ მიჰყვებოდა, ამჯერად ქვედა სართულზე ჩადიოდნენ.

ელამ დატოვა ეს პატარა, დისჰარმონიით აღსავსე სახლი და შვებით ამოისუნთქა, თითქოს ხაფანგს დააღწიაო თავი; როცა გარეთ გავიდა, მიმოიხედა და გაიფიქრა: „შეიძლება აქ ყველა სახლი ასეთია და მათში ყველაფერი ფრაგმენტულია, არც ერთ მათგანში არ არის ის მთლიანობა, რომელიც ასახავს სრულ ცხოვრებას, სრულ პიროვნებას იქ მცხოვრები ადამიანისა, ანდა სულაც, იქ მცხოვრები ოჯახისა“.

- იცი, შენ რა არ მოგწონს? - უთხრა პოლმა, როცა მანქანა დაძრა, - არ მოგწონს, რომ მიურიელს შეუძლია ასეთი ცხოვრებით ბედნიერი იყოს.

- ნუთუ ეს შესაძლებელია?

- ერთხელ ვკითხე, ჩემი მიტოვება ხომ არ გინდა-მეთქი. რომ მოინდომოს, შეუძლია მშობლებთან დაბრუნდეს. მიპასუხა, არაო. გარდა ამისა, უჩემოდ მთლად დაიბნევა.

- ო, ღმერთო! - შესძახა ელამ შიშითა და ზიზღით.

- ეს სიმართლეა, მისთვის მამასავით ვარ, მთლიანად ჩემზეა დამოკიდებული.

- კი მაგრამ საერთოდ ვერ გხედავს.

- სამაგიეროდ, მე ძალზე საქმიანი ვარ, - მოკლედ მოუჭრა, - როცა შინა ვარ, ყველა პრობლემას ვწყვეტ. ბუნებრივი აირის გამათბობელი, ელექტროდენის გადასახადები, სად ვიყიდოთ იაფად ხალიჩა, როგორ დავეხმაროთ ბავშვებს სკოლაში, - ყველაფერს მე ვწყვეტ.

და რადგან ელასგან პასუხს ვერ ეღირსა, დაჟინებით განაგრძო:

- ადრეც მითქვამს, ელა, სნობი ხარ. ვერ ეგუები, რომ ასეთი ცხოვრება შეიძლება ვინმეს მოსწონდეს.

- ვერ ვეგუები და არც მჯერა მაგის. უსიყვარულოდ ცხოვრება მსოფლიოში არც ერთ ქალს არ მოსწონს.

- შენ პერფექციონისტი ხარ. აბსოლუტისტი. ყველაფერს რაღაც იდეალს უფარდებ, რომელიც გონებაში გაქვს და თუკი რაიმე შენს მშვენიერ წარმოდგენებს არ შეესაბამება, იმწამსვე მის ძაგებას იწყებ. ან თავს იტყუებ და ისეთ სახეს იღებ, თითქოს ის რაღაც მართლა მშვენიერია, ამ დროს კი სულაც არაა ასეთი.

ელას გაუელვა: „ჩვენზე ლაპარაკობს“, პოლმა კი განაგრძო:

- მაგალითად, მიურიელსაც შეუძლია თქვას შენზე: „ღმერთო, რატომ ურიგდება ეს ქალი იმას, რომ ჩემი ქმრის საყვარელია? სადაა საიმედოობა, დაცულობა? თანაც, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ამორალურია“.

- აჰ, დაცულობა!

- დიახ, სწორედაც. აგდებით ამბობ: „აჰ, დაცულობა! აჰ, ეს მორალი!“, მაგრამ მიურიელი ასე არ იტყოდა. მისთვის ამ ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. ადამიანთა უმეტესობისთვის ამ ყველაფერს მართლაც აქვს მნიშვნელობა.

ელა უცებ იგრძნო, რომ პოლი გაბრაზებული და საშინლად გაღიზიანებული იყო. და უცებ მიხვდა, რომ პოლი ცოლთან აიგივებდა თავის თავს (არადა, როცა მასთან, ელასთან იყო, სრულიად სხვა წარმოდგენები და გემოვნება ჰქონდა). გამოდის, საიმედოობა და მორალურობა მისთვისაც მნიშვნელოვანი ყოფილა?

ელა დუმდა და ფიქრობდა: „თუ მართლა მოსწონს ასეთი ცხოვრება ან, ყოველ შემთხვევაში, ამის მოთხოვნილება აქვს, მაშინ გასაგებია, რატომაა ჩემით მუდმივად უკმაყოფილო. კეთილგონიერი, პატიოსანი ცოლის ანტიპოდი ჭკვიანი და მახვილგონიერი, მხიარული და სექსუალური საყვარელია. შესაძლოა, მართლა მოსწონებოდა, მე რომ მისთვის მეღალატა და მეძავივით ჩამეცვა, მაგრამ ამას არ ვიზამ. მე ვარ ისეთი, როგორიც ვარ და თუ ეს არ მოსწონს, ცივი წყალი დალიოს“.

მოგვიანებით, იმავე საღამოს, პოლმა სიცილით, თუმცა კი აგრესიულად უთხრა:

- ელა, შენთვის კარგი იქნებოდა, ისეთი თუ გახდებოდი, როგორიც სხვა ქალები არიან.

- რას გულისხმობ?

- იჯდე სახლში და ელოდო, იყო ცოლი, ცდილობდე, აარიდო ქმარი სხვა ქალებს. ნაცვლად იმისა, გყავდეს საყვარელი, რომელიც შენს ფეხთით იქნება გართხმული.

- აა, აი, თურმე რას გულისხმობ, - ჩაილაპარაკა ელამ ირონიულად, - მაგრამ ქორწინება რაღაც ორთაბრძოლად რატომ წარმოგიდგენია? მე არ ვფიქრობ ამაზე, როგორც საომარ დაპირისპირებაზე.

- შენ არ ფიქრობ! - თქვა პოლმა ისე, რომ ირონია უკან დაუბრუნა. პაუზის მერე კი, - შენ ეს-ესაა დაწერე რომანი თვითმკვლელობაზე.

- და ეგ ერთმანეთთან რა კავშირშია?

- მთელი ეს ღრმა განჭვრეტები...

პოლმა თავი ხელში აიყვანა, გაჩუმდა. იჯდა და სკეპტიკურად შეჰყურებდა, თუმცა, თან სიბრალულით, და ასევე, გაიფიქრა ელამ, დადანაშაულებითაც. ზედა სართულზე იყვნენ, მის პატარა

ოთახში ისხდნენ, ზედ სახურავის ქვეშ, კედელს მიღმა ბავშვს ეძინა, პატარა მაგიდაზე, რომელიც მათ შორის იდგა, ვახშმის ნარჩენები ეწყო, პოლს რომ მოუმზადა, - ყველაფერი ისე იყო, როგორც ათასჯერ ყოფილა. პოლი ხელში ღვინის ჭიქას ატრიალებდა და ისე უთხრა, რომ მის ხმაში ტკივილმა გაიჟღერა:

- არ ვიცი, ეს ბოლო რამდენიმე თვე უშენოდ როგორ გავძელი.

- და რა ხდებოდა განსაკუთრებული ამ ბოლო თვეებში?

- არაფერი. და სწორედ ეგაა საქმე. ყველაფერი იწელება და იწელება. ნიგერიაში ძველი ჭრილობების წამლობას არ დავიწყებ, ქეციანი ლომის ტანზე იარების მოშუშებას. ეს ჩემი სამუშაოა, - მალამოს დადება ბებერი ცხოველის ჭრილობებზე, რომელსაც აღარ შერჩა სასიცოცხლო ძალა, თავის თავს თვითონ რომ უმკურნალოს. აფრიკაში, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ახალზე, განვითარებადზე ვიმუშავებ.

ნიგერიაში გამაოგნებლად უეცრად გაემგზავრა. ყოველ შემთხვევაში, ელასთვის. ამაზე ჯერ კიდევ როგორც შორეულ პერსპექტივაზე, ისე მსჯელობდნენ და უცებ პოლმა შეუარა და უთხრა, ხვალ მივემგზავრებიო. ბუნებრივია, მათი გეგმა იმის თაობაზე, თუ როგორ ჩავიდოდა მასთან ელა აფრიკაში, ერთობ ბუნდოვანი იყო, რადგან პოლს ჯერ უნდა ენახა, რა სიტუაცია და რა პირობები იქნებოდა იქ. ელა აეროპორტში ისე აცილებდა, თითქოს ორიოდე კვირაში უკან დაბრუნდებოდა. მაგრამ როდესაც პოლმა საბოლოოდ აკოცა და თვითმფრინავისკენ გაემართა, მოიხედა, რაღაცნაირად სიმწრით დაუქნია თავი და ალმაცერად ჩაიცინა, თითქოს ტანში ჭვალმა დაუარაო, ელა უცებ მიხვდა, რომ სახე ცრემლებისგან სველი ჰქონდა, იგრძნო, რომ განშორების ყინულივით ცივი ნაღველი ახრჩობდა. ტიროდა და

ტიროდა, ვერაფრით გაჩერდა, ვერაფრით გათბა, კანკალებდა, თითქოს ყინვა ყოფილიყოს. მისი გამგზავრების მერეც დიდხანს გაუგრძელდა ეს. ელა წერდა წერილებს, აწყობდა გეგმას, გულის სიღრმიდან კი წყვდიადი ჟონავდა, რომელიც თანდათან მის ირგვლივ შავ ღრუბლად მკვრივდებოდა. პოლისგან წერილი ერთხელ მოვიდა, სადაც სწერდა, რომ ჯერჯერობით ვერაფერს ეტყვის მისი და მაიკლის შესაძლო ჩასვლის თაობაზე, მერე კი სიჩუმემ დაისადგურა.

ერთხელაც, როცა ექიმ ვესტთან ერთად წერილების გროვას არჩევდა, ექიმმა სასხვათაშორისოდ შენიშნა:

- გუშინ პოლ ტენერისგან წერილი მივიღე.

- მართლა?

როგორც იცოდა, ექიმ ვესტს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა პოლთან მის ურთიერთობაზე.

- ეტყობა, იქაურობა მოსწონს და ოჯახსაც წაიყვანს.

ექიმი ვესტი აკურატულად ამაგრებდა ერთმანეთს წერილებს, რომლებზეც თავად უნდა წაემუშავა, ლაპარაკი გააგრძელა:

- როგორც ვხვდები, სწორად მოიქცა, აფრიკაში რომ გადასახლდა. წასვლის წინ მიამბო, რომ ვიღაც თავქარიან ქალს გადაჰკიდებია. ეტყობა, სერიოზულად გაიტაცა. მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ის ქალი მაინცდამაინც არ მომეწონა.

ელამ მაქსიმალურად დაძაბა ნებისყოფა, სუნთქვა მშვიდად რომ განეგრძო. ექიმ ვესტს გახედა და გადაწყვიტა, რომ ეს საუბარი საერთო მეგობარზე ტრივიალური ჭორაობის კატეგორიას განეკუთვნებოდა და არავითარ შემთხვევაში არ ისახავდა მიზნად მისთვის გულის ტკენას. აიღო წერილი, რომელიც ექიმმა გაუწოდა და რომელიც ასე იწყებოდა: „ძვირფასო ექიმო ოლ-

სეპ, მინდა მოგწეროთ ჩემს პატარა ბიჭზე, რომელიც ღამღამობით, ძილში დადის“... და ჰკითხა:

- ექიმო ვესტ, ეს, რასაკვირველია, თქვენს ეპარქიას ეკუთვნის?

მათი მეგობრული ორთაბრძოლა წერილების გამო კვლავაც წლობით გრძელდებოდა, ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

- არა, ელა, სრულებითაც არა. თუკი ბიჭი ღამღამობით ძილში დადის, მას არ უნდა გამოვუწერო წამლები და ასე რომ მოვიქცე, თქვენ პირველი დამძრახავთ. უთხარით იმ ქალს, ექიმთან მიიყვანოს და ფრთხილად აგრძნობინეთ, რომ ეს ნამდვილად არ არის ბიჭის ბრალი და შესაძლოა, თავად მისი ბრალია. თუმცა, ჩემგან არ გესწავლებათ, რა უნდა მისწეროთ.

შემდეგი წერილი აიღო და თქვა:

- მე ვურჩიე ტენერს, ინგლისში რაც შეიძლება დიდხანს არ ჩამოვიდეს. მსგავსი სიტუაციებიდან გამოსვლა არც ისე ადვილია ხოლმე. ის ახალგაზრდა ქალი თავს აბეზრებდა, მოითხოვდა, ცოლად შემირთეო. სხვათა შორის, არც ისეთი ახალგაზრდაა. და ესაა სწორედ საქმე. ვფიქრობ, თავქარიანი ცხოვრებისგან გადაიღალა და გადაწყვიტა, დროა, მშვიდი ნავსაყუდელი ვიპოვოო.

ელამ ამ საუბარზე ფიქრი თავის თავს აუკრძალა, ვიდრე ის და ექიმი ვესტი წერილების გარჩევას მორჩებოდნენ. მაშასადამე, მიამიტი ვყოფილვარო, გადაწყვიტა ბოლოს. ეტყობა, რომანი ჰქონდა სტეფანიასთან, საავადმყოფოში. ყოველ შემთხვევაში, პოლი არ ახსენებდა არავის სხვას, გარდა სტეფანიასი, მასზე ბევრს ლაპარაკობდა. თუმცა ამ ტონით მასზე არასოდეს უთქვამს „თავქარიანი ქალი“. ეს უბრალოდ ვესტის გამოთქმაა, ვესტისთანები მუდმივად ხმარობენ ისეთ იდიოტურ გამოთქმებს,

როგორიცაა „თავქარიანი ქალი“, „თავქარიანი ცხოვრებისგან გადაიღალა“ და მართლაც, რამდენად აუტანელნი არიან ეს რესპექტაბელური ადამიანები, მთელი ეს საშუალო კლასი.

იმ დროს ელას მძიმე დეპრესია ჰქონდა და ღრუბელმა, რომელიც პოლის გამგზავრების დღიდან გარს ეკრა, მთლიანად მოიცვა. პოლის ცოლზე ფიქრობდა: ის, ალბათ, სწორედ იმავეს გრძნობდა, სრულ გაუცხოებას, როდესაც პოლმა მის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. ყოველ შემთხვევაში, მას, ელას, ერთი უპირატესობა ჰქონდა: მეტისმეტად მიამიტი გახლდათ იმისთვის, მიმხვდარიყო, რომ პოლმა სტეფანიასთან რომანი გააბა. მაგრამ იქნებ მიურიელსაც ურჩევნია თავის გამოშტერება, ალბათ, მასაც ურჩევნია სჯეროდეს, რომ მისი ქმარი ყოველ ღამეს საავადმყოფოში ატარებს?

ელამ სიზმარი ნახა, მშფოთვარე და უსიამო. პატარა და მახინჯ სახლში აღმოჩნდა, სადაც არც ერთი ოთახი არ ჰგავდა მეორეს. პოლის ცოლი იყო და მხოლოდ ნებისყოფის საოცარი დაძაბვით ახერხებდა სახლის შენარჩუნებას, რომ არ დანგრეულიყო. სახლი სადაც იყო ნაწილებად დაიშლებოდა, რადგან ოთახები ერთმანეთს მტრობდნენ. ელამ გადაწყვიტა, სახლი ხელახლა გაეწყო, ერთ სტილში, თავისი გემოვნებისამებრ. მაგრამ საკმარისი იყო, ახალი ფარდები დაეკიდა ან კედლები გადაეღება, რომ იმწამს ჩნდებოდა მიურიელის ოთახი, რომელსაც ისევ ის ძველი სახე ჰქონდა. ელა ამ სახლში მოჩვენებასავით ცხოვრობდა და ნელ-ნელა მიხვდა, რომ სახლს თავის დაცვის რაღაცნაირი უნარი ჰქონდა და ასეთი იქნებოდა, სანამ მასში მიურიელის სული ბინადრობდა სწორედ იმის გამოისობით, რომ ერთი ოთახი მეორეს არ ჰგავდა, ყველა სხვადასხვა სტილის, სხვადასხვა მიმდინარეობიდან და ეპოქიდან იყო გამოსული.

ელამ თავისი თავი დაინახა: სამზარეულოში იდგა, ხელი ედო ჟურნალების დასტაზე „ქალები სახლში“; თვითონ „ერთობ სექსუალური ვინმე“ იყო (თითქმის გაიგონა კიდეც, ექიმი ვესტი როგორ იტყოდა ამას), კაშკაშა ფერის ვიწრო ქვედაკაბა და მეტად შემოტმასნილი ჯემპრი ეცვა და კიდევ, ძალზე მოდური ვარცხნილობა ჰქონდა, მოკლედ შეკრეჭილი თმა. და ელამ გააცნობიერა, რომ მიურიელი აქ არ იყო, ნიგერიაში გაემგზავრა, პოლთან ერთად რომ იყოს, ელა კი შინ დარჩა და ელოდება, ელოდება, სანამ პოლი არ დაბრუნდება.

როცა ელას გამოეღვიძა, მიხვდა, რომ ტიროდა. ამ ხნის განმავლობაში პირველად მოუვიდა თავში აზრად, რომ ის ქალი, რომლისგანაც პოლს თავი უნდა დაეღწია, ვის გამოც ნიგერიაში წავიდა, რადგან აუცილებლად უნდა დაშორებოდა, თვითონ იყო. ანუ ის „თავქარიანი ქალი“ თვითონ გახლდათ.

და კიდევ, მიხვდა, რომ ექიმ ვესტს ამ თემაზე საუბარი შემთხვევით არ წამოუწყია, შესაძლოა, ამისკენ უბიძგა რომელიმე ფრაზამ პოლის წერილიდან; ეს გახლდათ გაფრთხილება ექიმ ვესტის წესიერი და რესპექტაბელური სამყაროსგან, რომელიც თავისი ერთ-ერთი წევრის დასაცავად გამოვიდა. ეს მისი, ელას მისამართით იყო გაკეთებული.

რაც უნდა უცნაური ყოფილიყო, ამ შოკის ძალა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თავი დაეღწია დეპრესიისგან, რომლის კლანჭებშიც უკვე მრავალი თვე იყო მოქცეული, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც გამოსულიყო. ხასიათი მკვეთრად შეეცვალა: სიმწარე და გაავება იგრძნო, გამომწვევად და თავისუფლად დაიწყო მოქცევა. ჯულიას უთხრა, რომ პოლმა „მიაგდო“ და ამას წინათ ვერ ხვდებოდა, ესე იგი, სრული დეგენერატია (ჯულიამ ხმა არ ამოიღო და ელა მიხვდა, რომ სავსებით

ეთანხმებოდა). ელამ განაცხადა, ერთ ადგილას ჯდომას და დაუსრულებლად ცრემლის ღვრას არ ვაპირებო.

იმის გაუაზრებლად, რომ ქვეცნობიერად ამის გაკეთებას აპირებდა, ელა წავიდა და თავისთვის მთელი ფუთა ახალი ჩასაცმელი იყიდა. ეს ახალი ტანსაცმელი იმ „სექსუალური“ სამოსის კატეგორიას არ განეკუთვნებოდა, პოლი რომ ცდილობდა მისთვის თავს მოეხვია, თუმცა სრულიად განსხვავდებოდა იმ ყველაფრისგან, რასაც წინათ ატარებდა და იდეალურად მიესადაგებოდა მის ახალ თვითშეგრძნებას; თავად ელა კი ირონიული, გულგრილი და საკმაოდ სასტიკი გახდა, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ეგონა. და კიდევ, თმა შეიკრიჭა, ასე რომ, ახლა მის პატარა წამახულ სახეს ტალღასავით თმა მაცდუნებლად ეკრა გარს. გადაწყვიტა, ჯულიას სახლიდან წასულიყო. ჯულიას სახლი ის ადგილი იყო, სადაც პოლთან ერთად ცხოვრობდა და იქ ყოფნა აღარ შეეძლო.

ელამ გადაჭრით, ცივი გონებითა და პრაქტიკულად იმოქმედა, ახალი ბინა იპოვა და შესახლდა. ბინა დიდი იყო, მეტისმეტად დიდი მისთვისა და ბავშვისთვის. ელა მხოლოდ იქ შესახლების მერე მიხვდა, რომ შეუვსებელი სივრცე მამაკაცისთვის ჰქონდა განკუთვნილი, სინამდვილეში კი - პოლისთვის, რადგან იმგვარად აგრძელებდა ცხოვრებას, თითქოს პოლი ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დაუბრუნდებოდა.

შემდეგ კი სრულიად შემთხვევით ახალი ამბავი გაიგო, - პოლი ინგლისში ჩამოსულა შვებულებით და უკვე ორი კვირაა აქ ყოფილა. საღამოს, იმ დღის ბოლოს, როცა ეს გაიგო, ელა, თითქმის თავისი ნების საწინააღმდეგოდ, ლამაზად გამოეწყო, თვალები და ტუჩები შეიღება, თმა დაიყენა და ფანჯარასთან დადგა პოლის მოლოდინში. შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, ის კი

იდგა და ელოდებოდა, ფიქრობდა: „თავისუფლად შეიძლება საავადმყოფოში გვიანობამდე დარჩეს. ადრე არ უნდა დავწვე დასაძინებლად, თორემ თუ დაინახავს, რომ შუქი არ მინთია, არ შემომივლის, რადგან ჩემს შეწუხებას მოერიდება“.

ასე იდგა ფანჯარასთან ყოველღამ. დროდადრო თითქოს თავის თავს გვერდიდან შეხედავდა ხოლმე და იტყოდა: „ეს სიგიჟეა. აი, თურმე, რას ნიშნავს გაგიჟება. გაგიჟება ნიშნავს, რომ იცი, აბსურდულად იქცევი, მაგრამ გაჩერების ძალა არ შეგწევს. ხომ ვიცი, რომ პოლი არ მოვა“. და მიუხედავად ამისა, აგრძელებდა მორთვა-მოკაზმვას და ყოველ საღამოს, ყოველ ღამეს ფანჯარასთან ატარებდა და როდესაც იქ იდგა და თავის თავს გვერდიდან უყურებდა, ხვდებოდა, რომ მისი ეს სიგიჟე იმ სიგიჟიდან გამომდინარეობდა, როდესაც უარს ამბობდა იმის გაცნობიერებაზე, თუ რამდენად გარდაუვალი იყო მათი ურთიერთობის დასრულება და ხვდებოდა თავის მიამიტობას, რომელმაც ამდენი ბედნიერება არგუნა. დიახ, მისმა ბრიყვულმა რწმენამ, მიამიტობამ და მინდობამ ლოგიკურ ნაყოფად ის გამოიღო, რომ ახლა ფანჯარასთან იდგა და ელოდებოდა კაცს, რომელიც ზუსტად იცოდა, აღარასოდეს დაუბრუნდებოდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ელამ ექიმ ვესტისგან შეიტყო, რომ პოლი ისევ აფრიკაში დაბრუნებულა. ეს მან თითქოსდა სასხვათაშორისოდ უთხრა, თუმცა რაღაც ფარული და ბოროტი ნიშნის მოგებითაც.

- ცოლი აღარ გაჰყვა, - დასძინა ექიმმა ვესტმა, - არ უნდა ფესვებს მოწყვეტა. როგორც ჩანს, აქ თავისი ცხოვრებით სავსებით კმაყოფილია.

* * *

ამ ამბის პრობლემა ის არის, რომ პოლისა და ელას ურთიერთობის რღვევის კანონზომიერებათა ანალიზის ტერმინებით არის დაწერილი. მისი დაწერის სხვა გზას ვერ ვხედავ. საკმარისია, რაღაც განიცადო ცხოვრებაში ხანგრძლივად და ეს რაღაც უკვე ნიშანდობლივ მაგალითად, სქემად იქცევა. ნიშანდობლივი რომანში, ისეთშიც კი, რომელიც ხუთი წელი გაგრძელდა და ურთიერთობის სიღრმით ქორწინებას უახლოვდებოდა, ისაა, თუ როგორ დასრულდა. ამიტომ ეს გამონაგონია. რადგან ადამიანი ცხოვრების განცდის პროცესში ყველაფერს სრულიად სხვანაირად აღიქვამს.

დავუშვათ, ასე დამეწერა: ორი სრული დღე, ძირისძირობამდე რომ იქნებოდა აღწერილი, უმცირესი წვრილმანების ჩათვლით, ერთი დღე - რომანის დაწყებისა, მეორე - მისი დასრულების წინ? არა, არ გამოვა, რადგან ინსტინქტურად დავიწყებდი იმ გარემოებების ხაზგასმასა და გამოყოფას, რაც ბოლოს დაანგრევდა სასიყვარულო ურთიერთობას. მონათხრობს ფორმას სწორედ ისინი ანიჭებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უბრალოდ ქაოსი გამოვიდოდა, იმიტომ, რომ ეს ორი დღე, რომლებიც დროის მრავალთვიანი მონაკვეთით არიან დაშორებული, არ იქნებოდა რამენაირი უსიამოვნო წვრილმანით გამორჩეული. უბრალოდ, ეს იქნებოდა აღწერა გაუაზრებელი ბედნიერებისა და ერთი-ორი დისჰარმონიული მომენტისა, რომლებიც სინამდვილეში მოახლოებული კრახის მანიშნებელი გახლდათ, მაგრამ იმ დროს ასე არ აღიქმებოდა, - ეს მომენტები ბედნიერების შეგრძნებაში ჩაიკარგა.

ლიტერატურა ანალიზია იმისა, რაც უკვე მოხდა.

იმ მეორე ნაწყვეტის ფორმა, რომელიც „მაშოპიში“ განვითარებულ მოვლენებზე მოგვითხრობს, ნოსტალგიაა. პოლსა და ელაზე ნაწყვეტში ნოსტალგია არ არის, მისი ფორმა ტკივილის ნაირსახეობაა.

იმისთვის, რომ აჩვენო ქალი, რომელსაც მამაკაცი უყვარს, უნდა აჩვენო, როგორ უმზადებს საჭმელს ან უხსნის ბოთლ ღვინოს ვახშმისთვის; როდესაც ელის, რომ, აი, ახლა დარეკავს ზარი კარზე. ან როგორ იღვიძებს დილით კაცზე ადრე, რომ იხილოს, ძილის სიმშვიდეს მისალმების ღიმილი როგორ შეცვლის. დიახ. და ეს ათასჯერ გაიმეოროს. მაგრამ ეს ლიტერატურა არ იქნება. შესაძლოა, ეს კინოფილმში უფრო გამოვიდეს. დიახ, ცხოვრების ფიზიკური ხარისხი თავად ცხოვრებაა, ცხოვრება სრულიადაც არ არის ანალიზი, რომელსაც მას მერე აკეთებ, რაც ყველაფერი უკვე მომხდარია, და ეს არც დისონანსისა და არც წინათგრძნობის მომენტები არ არის. კადრი ფილმიდან: ელა ფორთოხალს აუჩქარებლად აცლის კანს, პოლს ყვითელ ლებნებს აწვდის და პოლი სათითაოდ ართმევს, დაფიქრებული, დაღრემილი, - რაღაც სხვაზე ფიქრობს.

ლურჯი რვეული

ლურჯი რვეული ასე იწყებოდა:

„ტომი, მგონი, ყველაფერში დედას ადანაშაულებს“.

შემდეგ ანამ დაწერა:

მას მერე, რაც ტომისა და მოლის შორის გათამაშებული სცენის მოწმე გავხდი, ზევით ავედი და იმავე წამს მომხდარის მხატვრულ მოთხრობად გადაკეთება დავიწყე. გამაოგნა აზრმა, რომ რასაც ვაკეთებ, ყველაფერს ლიტერატურად ვაქცევ, - ეს ხრიკია. რატომ არ შეიძლება უბრალოდ აღვწერო, რაც დღეს მოხდა მოლისა და მის ვაჟიშვილს შორის? რატომ არასდროს უბრალოდ არ აღვწერ იმას, რაც მოხდა? რატომ არ ვწერ დღიურს? როგორც ჩანს, ჩემი მეთოდი ყველაფრის ლიტერატურად გადაქცევისა, საშუალებაა, რომ საკუთარ თავს რაღაც დავუმალო. დღეს ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა, მე ვიჯექი და ვუსმენდი, როგორ ომობდნენ მოლი და ტომი. ამან ძალზე მომშალა, მაშინვე ავედი ჩემთან და მოთხრობის წერა დავიწყე, არადა, მსგავსს არაფერს ვაპირებდი.

7 იანვ., 1950

ამ კვირაში ტომის ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა. მოლი არ აიძულებს, მომავლის გეგმები გაარკვიოს. პირიქით, ამას წინათ უთხრა, ამაზე ნუ იდარდებო და რამდენიმე კვირით საფრანგეთში სამოგზაუროდ წასვლა შესთავაზა, - „თვალსაწიერის გასაფართოებლად“ (ამ ფრაზამ ტომი გააღიზიანა). დღეს სამზარეულოში აშკარად იმ განზრახვით შემოვიდა, რომ მოლისთან ეჩხუბა - მეც და მოლიც ამას უმალ მივხვდით, როგორც კი სამზარეულოში შემოვიდა. ბოლო დროს მოლის მიმართ მტრულადაა

განწყობილი. ეს მამისეულ სახლში მისი პირველი ვიზიტის შემდეგ დაიწყო (იმ მომენტში ჩვენ ვერ მივხვდით, თუ როგორი დიდი გავლენა მოახდინა ტომიზე ამ ვიზიტმა). სწორედ მაშინ დაიწყო დედამისის გაკრიტიკება იმის გამო, რომ კომუნისტი და „ბოჰემაა“. მოლიმ ხუმრობაგაშვებით უპასუხა, რომ ქალაქგარეთ მიწათმფლობელებითა და ფულით პირთამდე სავსე საკუთარი სახლების დროდადრო მონახულება ერთობ სახალისოა, მაგრამ ტომის მაგრად გაუღიმა ბედმა, რომ არ მოუწევს იქ მთელი ცხოვრების გატარება.

რამდენიმე კვირის შემდეგ ტომი მეორეჯერ ესტუმრა მამის სახლს და იქიდან დედას მეტისმეტად თავაზიანი და მტრულად განწყობილი დაუბრუნდა. იმ მომენტში ჩავერიე: ტომის მოვუყევი ის, რის მოყოლასაც მოლის სიამაყე საშუალებას არ აძლევდა. ტომის ვუამბე დედამისისა და მამამისის ურთიერთობის ისტორია: როგორ ახდენდა მასზე ფინანსურ ზეწოლას რიჩარდი, როცა აიძულებდა მასთან დაბრუნებას, როგორ ემუქრებოდა მოლის, შენს დამქირავებელს ვეტყვი, კომუნისტი რომ ხარო და ასე შემდეგ, სამუშაო რომ დაეკარგა, - მთელი ეს უმსგავსი ისტორია. თავიდან ტომიმ არ დაიჯერა; ცოტა ვინმე თუ შეედრება რიჩარდს გულღია მასპინძლის როლში ხანგრძლივი უქმეების დროს, ეს ადვილად შემიძლია წარმოვიდგინო. შემდეგ ტომიმ დაიჯერა, რაც მოვუყევი, მაგრამ ამან არ უშველა. მოლიმ შესთავაზა, მამასთან მთელი ზაფხული გაეტარებინა იმისთვის, რომ (როგორც ამიხსნა) მთელ ამ ბრწყინვალებას ხანგრძლივი ხმარებისგან ელფერი დაჰკარგოდა. ტომი მამასთან ექვსი კვირით გადავიდა ქალაქგარე სახლში. მომხიბლავი ცოლი და ყველაფერი საუკეთესო ტრადიციების დაცვით. სამი მშვენიერი პატარა ვაჟიშვილი. რიჩარდი სახლში უქმეებზე ჩამოდის, ჩამოჰყავს

ნაცნობები ბიზნესის სამყაროდან და ა.შ. ადგილობრივი მიწათ-მფლობელები. მოლის რეცეპტი სასწაულმოქმედი აღმოჩნდა, ტომიმ განაცხადა, უქმეები „მეტისმეტად გაგრძელდაო“. მოლი სიხარულით ცას ეწია, მაგრამ სიხარული თურმე ნაადრევი ყოფილა. იმდღევანდელი ჩხუბი სცენას ჰგავდა პიესიდან. ტომი ვითომცდა იმისთვის მოვიდა, რომ დედა დახმარებოდა სამხედრო სამსახურის საკითხის გადაწყვეტაში; ცხადი იყო, მოლისგან ელოდებოდა, რომ თავისი პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე, ურჩევდა, უარი ეთქვა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლაზე. მოლის, რასაკვირველია, უნდოდა, მისი შვილი ასე მოქცეულიყო, მაგრამ უთხრა, თვითონ გადაწყვიტეო. ტომიმ იმის განცხადებით დაიწყო, რომ ვალდებულია გაიაროს სამხედრო სამსახური, - ეს მისი ვალია. ეს შეტევის დასაწყისი გახლდათ: მოლის ცხოვრების წესზე, მის პოლიტიკურ შეხედულებებზე, მის მეგობრებზე, - ყველაფერზე, რასაც თავისთავად წარმოადგენდა. ასე ისხდნენ - სამზარეულოს მაგიდით გაყოფილი: ტომის შეუვალი გამომეტყველების შავგვრემანი სახე მოლისკენ ჰქონდა მიმართული, ის კი იჯდა თავისუფლად, მოდუნებული, უსმენდა, ყურადღება წამდაუწუმ გადაჰქონდა სადილის მომზადებაზე, დაუსრულებლად გადი-გამოდიოდა, სატელეფონო ზარებისთვის რომ ეპასუხა და პარტიულ საკითხებზე ემსჯელა; ტომი ყოველი სატელეფონო ზარის დასრულებასა და მის დაბრუნებას მოთმინებით ელოდა. ხანგრძლივი და გააფთრებული ორთაბრძოლის ბოლოს ტომიმ თვითონ დაარწმუნა თავი, გამხდარიყო კაცი, რომელიც სამხედრო სამსახურის გავლაზე უარს პოლიტიკური მოტივებით ამბობს; და ახლა მისი შეტევა მოლიზე უკვე დაკავშირებული იყო მის ახალ პოზიციასთან - საბჭოთა კავშირის მილიტარიზმი და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. გასვლი-

სას ტომმა განაცხადა (თითქოს ეს ბუნებრივად გამომდინარეობდა იქიდან, რაც ადრე ითქვა), რომ აპირებს ძალზე ადრე შეირთოს ცოლი და ბევრი შვილი იყოლიოს. მოლი მყისვე მოეშვა, ტირილი დაიწყო. მე ზევით ავედი, ჯენეტი რომ მესადილებინა. გუნება მომეშხამა, რადგან მოლი და რიჩარდი მაიძულებდნენ, ჯენეტის მამაზე მეფიქრა. ჩემი აზრით, ეს საკმაოდ დიდი სიბრიყვე იყო, მხოლოდ დამატებითი ნერვების წყვეტა. ამ ყველაფერს არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. რამდენჯერ გავუმეორე ჩემს თავს: „ჩემი შვილის მამა, თუ ვიღაც ამისმაგვარი, ჩემთვის არაფერს ცვლის. ოდესმე ჯენეტი იტყვის: „დედაჩემი მამაჩემის ცოლი ერთი წელი იყო, მერე დაშორდნენ“. როცა ქალიშვილი წამოიზრდება, მე სიმართლეს ვეტყვი და მისი ინტერპრეტაცია შეიცვლება: „დედაჩემმა მამაჩემთან სამი წელი იცხოვრა, მერე გადაწყვიტეს, ბავშვი გაეჩინათ და დაქორწინდნენ, უკანონო რომ არ გამოვსულიყავი, მერე კი დაშორდნენ“. ოღონდ ამ სიტყვებს არავითარი კავშირი არ ექნება იმასთან, რასაც, ჩემი შეგრძნებით, სიმართლე შეიძლება ეწოდოს. საკმარისია ერთხელ მაინც გავიფიქრო მაქსზე (ვილი - შავ რვეულში), რომ წამსვე უძლურების განცდა მეუფლება. მაგრამ იმ მომენტში, როცა ბავშვი გაჩნდა, ეს ბრიყვული, უაზრო ქორწინება თითქოს გაუქმდა. მახსოვს, როცა ჯენეტი პირველად დავინახე, გავიფიქრე: „რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს: სიყვარულს, ქორწინებას, ბედნიერებას და ასე შემდეგ. აი, ეს ხომ არსებობს, გადასარევი ბავშვი“.

მაგრამ ჯენეტი ამას ვერ გაიგებს. ტომის ეს არ ესმის. ტომის ამის გაგება რომ შეეძლოს, აღარ გაკიცხავდა მოლის მამამისთან გაშორების გამო. გამახსენდა, რომ სანამ ჯენეტი დაიბადე-

ბოდა, დაწყებული მქონდა დღიურის წერა. წავალ, მოვძებნი. აი, ის ჩანაწერი, რომელიც ახლა გამახსენდა.

9 ოქტომბერი, 1946

გუშინ საღამოს, სამსახურის მერე, ამ საშინელი სასტუმროს ნომერში დავბრუნდი. მაქსი საწოლზე იწვა, დუმდა. დივანზე ჩამოვჯექი. მოვიდა, თავი მუხლებზე დამადო და ხელები მომხვია. მის სასოწარკვეთას ვგრძნობდი. მკითხა:

- ანა, არაფერი გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი. რატომ?

- იმიტომ, რომ სხვადასხვანაირი ადამიანები ვართ.

- და მაშინ რას ნიშნავს ერთნაირი ადამიანები? - იკითხა მან და ინტონაციაში ირონია მექანიკურად გაურია, საუბრის თავის ნაძალადევად შენელებულ, თავდაცვით, ირონიულ სტილზე გადაერთო.

ვიგრძენი, შინაგანად გავიყინე, გავხევდი; გავიფიქრე, შეიძლება, ამას მნიშვნელობა არცა აქვს-მეთქი, მაგრამ მაინც ჩემს აზრზე დავრჩი, ვთქვი:

- რა თქმა უნდა, რაღაცას უნდა ნიშნავდეს ერთნაირ ადამიანებად ყოფნა.

მაშინ მითხრა:

- წამო, დავწვეთ.

მერე მკერდზე ხელი დამადო და მის მიმართ უბრალოდ ფიზიკური ზიზღი ვიგრძენი, ვთქვი:

- რა აზრი აქვს? ჩვენ არ შევეფერებით ერთმანეთს და არც არასოდეს შევეფერებოდით.

ჰოდა, დავიძინეთ. გამთენიისას ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა მეზობელ ნომერში სიყვარულობა დაიწყო. კედლები იმდენად თხელი იყო, რომ ყველაფერი გვესმოდა. სანამ ვუსმენდი, თავი

ძალზე უბედურად ვიგრძენი; ცხოვრებაში არასოდეს ვყოფილ-ვარ ასეთი უბედური. მაქსს გაეღვიძა და იკითხა:

- რაშია საქმე?

ვუპასუხე:

- ხედავ, ბედნიერება შესაძლებელია, ჩვენ ორივეს უნდა გვჯე-როდეს ამისა.

ძალიან ცხელოდა. წყვილი კედელს მიღმა იცინოდა. მზემ კე-დელი ოდნავ შესამჩნევად გაავარდისფრა. მაქსი ჩემ გვერდით იწვა, მისი სხეული მხურვალე და უბედური იყო. ჩიტები გალობ-დნენ, ძალზე ხმამაღლა, მერე მზემ მეტისმეტად დააცხუნა და ხმა გააკმენდინა. ერთბაშად. ერთი წამის წინ მკაფიოდ, მხიარულად და არეულ-დარეულად ჟღურტულებდნენ და უეცრად სიჩუმემ დაისადგურა. ცოლ-ქმარი კედელს მიღმა მასლაათობდა, იცი-ნოდა, მერე კი ბავშვმა გაიღვიძა და ატირდა.

მაქსმა იკითხა:

- იქნებ ბავშვი უნდა გაგვეჩინა?

ვუთხარი:

- გინდა თქვა, რომ ბავშვი დაგვაახლოებს?

ეს გაღიზიანებით ვთქვი და იმავე წამს საკუთარი თავი შემ-ძულდა, მაგრამ მისი სენტიმენტალიზმი ნერვებს მიშლიდა. მაქ-სი მოიღუშა და გაიმეორა:

- ბავშვი უნდა გავაჩინოთ.

და მაშინ მოულოდნელად გავიფიქრე: „და რატომაც არა? ჩვენ კიდევ რამდენიმე თვე ვერ წავალთ კოლონიიდან. ფული არა გვაქვს. ჰოდა, გავაჩინოთ ბავშვი - მე ყოველთვის ისე ვცხოვრობ, თითქოს მომავალში ოდესმე რაღაც საოცრება პირ-დაპირ ჰაერიდან გაჩნდება. მაშ, მოდი, ახლავე მოხდეს რა-ღაც“... - მისკენ მივტრიალდი და სიყვარულობა დავიწყეთ. ჯენე-

ტი იმ დილით ჩაისახა. შემდეგ კვირას ქორწინება გავაფორმეთ. ერთი წლის მერე კი დავშორდი. თუმცა ამ კაცმა ვერ მოახერხა თუნდაც ოდნავ შეეტოკებინა ჩემი გული, არასოდეს გამხდარა ჩემთვის ახლობელი. მაგრამ ჯენეტი ხომ არსებობს... მე მგონი, ფსიქოანალიტიკოსთან უნდა მივიდე.

10 იანვარი, 1950

დღეს მისის მარქსი მოვინახულე. ხანგრძლივი შესავალი სიტყვის შემდეგ მკითხა:

- რამ მოგიყვანათ?

ვუთხარი:

- იმან, რომ ცხოვრებაში არაერთხელ მიმიღია ისეთი გამოცდილება, რომელსაც, წესით, ჩემზე უნდა ემოქმედა, მაგრამ ასე არ ხდებოდა.

ჩემგან გაგრძელებას ელოდა, ამიტომ ვთქვი:

- აი, მაგალითად, ჩემი მეგობრის, მოლის, ვაჟიშვილმა, - წინა კვირას გადაწყვიტა, უარი თქვას სამხედრო-სავალდებულო სამსახურზე პოლიტიკური მოტივებით, თუმცა ასეთივე წარმატებით შეეძლო საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიეღო. საკუთარ თავსაც იმავეს ვამჩნევ.

- რას გულისხმობთ?

- მე ადამიანებს ვაკვირდები: გადაწყვეტენ ხოლმე ან ეს გამოვიდნენ, ან ის და ეს რომელიღაც ცეკვას მაგონებს: ასეთივე წარმატებით შეუძლიათ რაღაც საწინააღმდეგო გააკეთონ და იმავე დამაჯერებლობით.

მისის მარქსი შეყოყმანდა წამით, მერე კი იკითხა:

- რომანი დაწერეთ?

- დიახ.

- ახალს წერთ?

- არა და აღარასოდეს დავწერ.

თავი დააქნია. მე უკვე ვიცნობდი მისთვის ჩვეულ ამ თავის დაქნევას და ამიტომაც ავუხსენი:

- აქ იმიტომ არ მოვსულვარ, რომ მწერლური სტუპორი მაქვს.

მან ისევ დააქნია თავი და მე ვუთხარი:

- თქვენ უნდა დამიჯეროთ, თუკი...

ჩემი დაბნეულობა უცნაური და აგრესიული იყო და გავიღიმე, თუმცა ვიგრძენი, რომ გაღიმებაც აგრესიული გამომდიოდა და ვთქვი:

- ...გვინდა ერთმანეთს გავუგოთ.

ნაძალადევად გამიღიმა, მერე კი:

- და რატომ აღარ გინდათ რომანის დაწერა?

- იმიტომ, რომ ხელოვნებისა აღარაფერი მწამს.

- მაშ, თქვენ ხელოვნებისა აღარ გწამთ, - თითოეული სიტყვა საგულდაგულოდ გამოთქვა და თითქოსდა გამომიწოდა, რომ თითოეულით ცალ-ცალკე დავმტკბარიყავი.

- არა.

- საინტერესოა.

14 იანვ., 1950

სიზმრებს ხშირად ვხედავ. ერთი სიზმარი: საკონცერტო დარბაზში ვარ. ადამიანები თოჯინებს ჰგვანან, საღამოს კაბები აცვიათ. დგას როიალი. ედვარდის ეპოქის სტილში მაცვია, სულელური ატლასის კაბა, მახრჩობელა მარგალიტების ასხმულათი, დედოფალ მერივით. როიალს ვუზივარ. ერთი ჰანგიც კი ვერ დამიკრავს. დაკვრა არ ვიცი. პუბლიკა კი იცდის და იცდის. სიზმარი სტილიზებულია, სცენას ჰგავს სპექტაკლიდან ან ძველებურ ილუსტრაციას. ვუყვები მას მისის მარქსს და ის მეკითხება:

- რაზეა ეს სიზმარი?

ვპასუხობ:

- გრძნობების არარსებობაზე.

მისი ტუჩის კუთხეები ოდნავ შესამჩნევ, მაგრამ ბრძნულ ღიმილს გამოსახავს. ეს ღიმილი ჩვენი ყოველი შეხვედრის თანამდევია და საუბარს წარმართავს. დირიჟორის ჯოხივით. კიდევ ერთი სიზმარი: ომის პერიოდი, ცენტრალური აფრიკა, იაფფასიანი დანსინგი. ყველა მთვრალია, ისე ცეკვავენ, რომ ეს უფრო სექსს ჰგავს და არა ცეკვას. განზე ვდგავარ და ველოდები. მიახლოვდება მამაკაცი, სლიპინა, გლუვი თმით, თოჯინას ჰგავს. მაქსს ვცნობ (თუმცა რაღაცნაირი ლიტერატურულია, ვილის იერი აქვს, რომელიც ჩემს რვეულებში აღვწერე). უნდა მომეხვიოს, მისკენ თოჯინასავით მივდივარ, ვშეშდები და ვეღარ ვინძრევი. სიზმარი ისევ გროტესკულია. კარიკატურას ჰგავს. მისის მარქსი მეკითხება:

- რაზეა ეს სიზმარი?

- ისევ იმაზე, გრძნობების არარსებობაზე. მაქსთან ფრიგიდული ვიყავი.

- მაშ, ფრიგიდულობის გეშინიათ?

- არა, რადგან ის ერთადერთი მამაკაცია, ვისთანაც ფრიგიდული ვიყავი.

თავი დააქნია. უეცრად შევშფოთდი: ნუთუ ისევ შეიძლება ფრიგიდული გავხდე?

19 იანვ., 1950

დღეს დილით ჩემს ოთახში ვიყავი, ზედ სახურავქვეშ. კედელს მიღმა ბავშვი ტიროდა. ამან გამახსენა სასტუმროს ნომერი აფრიკაში, სადაც ბავშვი კედელს მიღმა დილაობით ტირილით გვაღვიძებდა, მერე აჭმევდნენ და ღუღუნს იწყებდა, სიხარულით აღსავსე ჭყლოპინს გამოსცემდა, მისი მშობლები კი იმ

დროს სიყვარულობდნენ. ჯენეტი იატაკზე იჯდა და კუბურებით თამაშობდა. გუშინ საღამოს მაიკლმა დამირეკა და მანქანით გასეირნება შემომთავაზა, მაგრამ ვუთხარი, ვერ შევძლებ, მოლი შინ არ იქნება და ჯენეტს ვერავის დავუტოვებ-მეთქი. მან ირონიულად მომიგო:

- რას იზამ, ცხადია, დედობრივი მზრუნველობა საყვარელთან შეხვედრაზე გაცილებით მაღლა დგას.

მისმა ცივმა ირონიამ მის წინააღმდეგ განმაწყო. დღეს დილით კი ყველაფრის განმეორებადობის შეგრძნება დამეუფლა, - კედელს მიღმა ბავშვი ტირის, ჩემი მტრული განწყობა მაიკლის მიმართ (მაქსის მიმართ მტრული განწყობის გახსენება). მერე კი ყველაფრის, რაც ხდება, არარეალურობის განცდა, ვერ გავიხსენე, სად ვარ, - აქ, ლონდონში, თუ იქ, აფრიკაში, იმ მეორე სახლში, სადაც ბავშვი ტიროდა კედელს მიღმა. ჯენეტი ისევ იატაკზე იჯდა, ამომხედა და მითხრა:

- დედიკო, მოდი, მეთამაშე.

განძრევაც კი არ შემეძლო. მერე თავს ვაიძულე, სავარძლიდან წამოვდექი და ბავშვის გვერდით იატაკზე დავეშვი. შევხედე და გავიფიქრე: „ეს ჩემი ბავშვია, ჩემი სისხლი და ხორცი“. თუმცა, ამას ვერ ვგრძნობდი. ისევ მითხრა:

- დედიკო, მოდი, მეთამაშე.

ხის კუბურები ავიღე და სახლის აგებას შევუდექი, მაგრამ რობოტივით ვირჯებოდი. ყოველი მოძრაობა ნებისყოფის დიდ დაძაბვად მიჯდებოდა. ჩემს თავს გვერდიდან ვხედავდი, როგორ ვიჯექი იატაკზე - სურათი „ახალგაზრდა დედა ეთამაშება თავის პატარა ქალიშვილს“. თითქოს ფილმის კადრი ან ფოტოგრაფია ყოფილიყოს. მისის მარქსს ვუამბე და მითხრა:

- მერე?

ვუპასუხე:

- ყველაფერი ისე იყო, როგორც სიზმარში, ოღონდ ეს უცებ რეალურ ცხოვრებაში მოხდა.

არაფერი თქვა და განვაგრძე:

- და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ მაიკლის მიმართ მტრული განცდა გამიჩნდა და ამან ყველაფერი გაყინა.

- ერთად გძინავთ?

- დიახ.

ისევ პაუზა და ღიმილით ვუთხარი:

- არა, ფრიგიდული არა ვარ.

თავი დამიქნია. ეს მოლოდინის მანიშნებელი იყო. ვერ ვხვდებოდი, მისის მარქსი რა სიტყვებს ელოდა ჩემგან. შემეშველა:

- თქვენმა პატარა ქალიშვილმა გთხოვათ მისულიყავით მასთან და გეთამაშათ?

ვერ მივხვდი. მითხრა:

- გეთამაშათ. მისულიყავით და გეთამაშათ. თქვენ არ შეგეძლოთ თამაში.

გავბრაზდი. მივხვდი. ბოლო რამდენიმე სეანსის დროს უკვე არაერთხელ მივყავდი ერთი და იმავე აზრისკენ და ამას მეტად ოსტატურად აკეთებდა; და ყოველ ჯერზე წონასწორობას ვკარგავდი; და ეს ყოველთვის ისე ჩანდა, თითქოს თავს ვიცავდი სიმართლისგან. ვთქვი:

- არა, ეს სიზმარი ხელოვნებაზე არ ყოფილა.. არ ყოფილა, - და შევეცადე, მეხუმრა, - ვის დაესიზმრა ეს? მე თუ თქვენ?

ჩემი ხუმრობის საპასუხოდ არ გაუცინია.

- ჩემო ძვირფასო, თქვენ დაწერეთ წიგნი, თქვენ შემოქმედი ხართ.

სიტყვა „შემოქმედი“ რბილი, გამგებიანი ღიმილით თქვა.

- მისის მარქს, უნდა დამიჯეროთ, ჩემთვის მართლა სულერთია, დავწერ კიდევ ერთ რომანს თუ არა.

- თქვენთვის სულერთია, - თქვა მან და შეეცადა, სიტყვებს მიღმა „ჩემთვის სულერთია“ გამეგონა სხვა სიტყვები: „გრძნობების არარსებობა“.

- დიახ, - ჯიუტად გავაგრძელე, - ჩემთვის სულერთია.

- ჩემო ძვირფასო, იმიტომ გავხდი ფსიქოანალიტიკოსი, რომ ოდესღაც მჯეროდა, შემოქმედი ვარ-მეთქი. მე ბევრ შემოქმედთან, მხატვართან ვმუშაობ, ამ სიტყვის ფართო გაგებით. რომ იცოდეთ, თქვენამდე რამდენი ადამიანი იჯდა ამ სავარძელში იმის გამო, რომ სადღაც შიგნით სტუპორი დაემართათ და შემოქმედების უნარი დაკარგეს.

- მაგრამ მე ერთ-ერთი მათგანი არა ვარ.

- აღწერეთ თქვენი თავი.

- როგორ?

- აღწერეთ ისე, თითქოს ვიღაც სხვას აღწერთ.

- ანა ვულფი, ტანდაბალი და გამხდარი, შავგვრემანი ქალი, სუსხიანი, მეტისმეტად კრიტიკული და დაეჭვებული. ოცდაცამეტი წლისაა. ერთი წელი იყო ცოლი კაცისა, რომელიც სრულიად არ უყვარდა. ჰყავს გოგონა.

მისის მარქსმა გამიღიმა. ვთქვი:

- არ გამოვიდა?

- სცადეთ კიდევ ერთხელ: ჯერ ერთი, ანა ვულფმა დაწერა რომანი, რომელმაც არაერთი დადებითი რეცენზია დაიმსახურა და ისეთი წარმატება მოიპოვა მკითხველ საზოგადოებაში, რომ დღემდე ფაქტობრივად იმ ფულით ცხოვრობს, რომელიც მისი ხელახალი გამოცემებისგან შესდის.

მტრულმა გრძნობამ ამავსო.

- ძალიან კარგი. ანა ვულფი ზის სავარძელში, სულთა მკურნალის პირისპირ. აქ იმიტომ მოვიდა, რომ გული აღარაფერზე უტოკდება. შინაგანად გახევებულია. მას ძალზე ბევრი ნაცნობ--მეგობარი ჰყავს. ადამიანებს მოსწონთ მასთან ურთიერთობა, მაგრამ მას მხოლოდ ერთი ადამიანი აინტერესებს ამქვეყნად - თავისი ქალიშვილი ჯენეტი.

- რატომაა გახევებული?

- ეშინია.

- რის?

- სიკვდილის.

მისის მარქსმა თავი დამიქნია. და მე თამაშის წესი დავარღვიე, ვთქვი:

- არა, ჩემი საკუთარი სიკვდილსა არ მეშინია. მგონია, იმ დღიდან, რაც თავი მახსოვს, ყველაფერი, რაც რეალურად ხდება სამყაროში, სიკვდილი და ნგრევაა. მგონია, ეს სიცოცხლეზე უფრო ძლიერია.

- რატომ ხართ კომუნისტი?

- მათ რაღაცის მაინც სჯერათ.

- რატომ ამბობთ „მათ“, თუკი თქვენ თვითონ კომუნისტური პარტიის წევრი ხართ?

- მე რომ შემეძლოს ვთქვა „ჩვენ“ და ეს იყოს გულწრფელად ნათქვამი, ახლა აქ არ ვიჯდებოდი, ასე არაა?

- ანუ, სინამდვილეში, თქვენ სულაც არ გენაღვლებათ თქვენი ამხანაგები?

- მე ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ამას მეკითხებით?

- არა.

- უკვე გითხარით, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ-ქვეყნად მენაღვლება, ჩემი ქალიშვილია. და ეს ეგოიზმია.

- თქვენ არ გენაღვლებათ თქვენი მეგობარი მოლი?

- მე ის მიყვარს.

- და თქვენ არ გენაღვლებათ თქვენი კაცი, მაიკლი?

- დავუშვათ, ხვალ მიმაგდებს, რამდენი ხანი მემახსოვრება? მომწონდა თუ არა მასთან წოლა?

- რამდენი ხანია, რაც იცნობთ? სამი კვირაა? და რატომ უნდა მიგაგდოთ?

ვერ მოვიფიქრე, რა მეპასუხა, საერთოდაც გამიკვირდა, ეს რომ ვთქვი. ჩვენი დრო ამოიწურა. დავემშვიდობე. გასვლისას მისის მარქსმა მითხრა:

- ჩემო ძვირფასო, არ დაგავიწყდეთ, რომ შემოქმედს ყოველ-თვის რაღაცის სწამს სულითა და გულით.

თავი ვერ შევიკავე და გავიცინე.

- რამ გაგაცინათ ასე?

- არ გეჩვენებათ, რომ ეს ყველაფერი სასაცილოა - ხელოვნე-ბა წმინდაა, დიდებული აკორდი, ტონალობა ფა მაჟორი?

- შეხვედრამდე, ჩემო ძვირფასო, ზეგ, როგორც ყოველთვის.

31 იანვ., 1950

დღეს მისის მარქსს ათობით სიზმარი ვუამბე. ყველა ბოლო სამი დღის განმავლობაში ვნახე. ყველას ერთი და იგივე თვისე-ბა ჰქონდა: ეს ყალბი ხელოვნება, კარიკატურა, ილუსტრაცია, პაროდია გახლდათ. ყოველ სიზმარში მდიდრული, ცოცხალი და ცინცხალი ფერები იყო, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა.

- ძალიან ბევრ სიზმარს ხედავთ.

ვუპასუხე:

- საკმარისია თვალი მოვხუჭო, რომ ეგრევე ვხედავ სიზმარს.

მკითხა:

- რაზეა ეს სიზმრები?

და გავუღიმე, სანამ თვითონ დამასწრებდა, საპასუხოდ მკაცრად მიყურებდა, უკვე მზად იყო, ადგილზე მოვესვი, მაგრამ ვეუბნები:

- სულ მინდა რაღაც გკითხოთ. ამ სიზმრების ნახევარი კოშმარებია. მართლა მეშინია, ვიღვიძებ და ცივი ოფლი მასხამს. და მაინც, სიზმრის ყოველი წამი სიამოვნებას მგვრის. ძალიან მომწონს სიზმრების ნახვა. მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როცა დაძინების დრო მოვა. ღამით კი ყოველ ჯერზე ვაიძულებ თავს, გავიღვიძო იმის გასაცნობიერებლად, რომ სიზმარს ვხედავ და ამის ცოდნისგან სიამოვნება მივიღო. დილაობით ბედნიერი ვარ, თითქოს ღამით, სანამ მეძინა, ქალაქებს ვაშენებდი. და რა? გუშინ შემხვდა ერთი ნაცნობი, რომელიც უკვე ათი წელია დადის ფსიქონალიტიკოსთან, - ცხადია, ამერიკელია.

მისის მარქსმა გაიღიმა.

- ამ ქალმა რაღაცნაირად კაშკაშა, სტერილური ღიმილით მითხრა, რომ სიზმრები მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ცხოვრება და უფრო რეალურია მისთვის, ვიდრე ის, რაც რეალურად ხდება დღისით და მის ბავშვსა თუ ქმარს ეხება.

მისის მარქსმა ისევ გაიღიმა და მე გავაგრძელე:

- კი, ვიცი, რისი თქმაც გსურთ, და ეს ასეცაა. გამიმხილა, ოდესღაც მიმაჩნდა, რომ მწერალი ვიყავიო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, მიუხედავად მისი სოციალური წარმომავლობისა, კანის ფერისა თუ მსოფლმხედველობისა, რომელსაც ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე არ ჰგონებოდა, რომ მწერალი, მხატვარი, მოცეკვავე ან კიდევ ვიღაც ამდაგვარია. და, შესაძლოა, ეს ფაქტი უფრო საინტერესოა, ვიდრე ყვე-

ლაფერი, რასაც ამ ოთახში განვიხილავთ. ასი წლის წინ ადამიანთა უმრავლესობას ხომ აზრადაც არ მოუვიდოდა, აუცილებლად მხატვრები, შემოქმედები ყოფილიყვნენ. ისინი აღიარებდნენ და ეგუებოდნენ იმ ადგილს ცხოვრებაში, რომელიც უფალმა ღმერთმა ინება და მიუჩინა. და განა შემაშფოთებელი არ არის, რომ ჩემს სიზმარს მეტი განცდა, სიხარული, დაკმაყოფილება მოაქვს ჩემთვის, ვიდრე ყველაფერ იმას, რაც ცხადში ხდება? მე არ მინდა იმ ამერიკელს დავემსგავსო.

დუმილი, წამქეზებელი ღიმილით იღიმის.

- დიახ, მესმის, თქვენ გსურთ, ვთქვა, რომ ჩემი შემოქმედებითი პოტენციალი სიზმრებში რეალიზდება.

- და განა ასე არ არის?

- მისის მარქს, მინდა გკითხოთ: იქნებ ცოტა ხანს ჩემს სიზმრებს ყურადღება არ მივაქციოთ?

ცივად მეუბნება:

- თქვენ მოდიხართ ჩემთან, ფსიქოანალიტიკოსთან, და მეკითხებით, ხომ არ შეგვიძლია თქვენს სიზმრებს ყურადღება არ მივაქციოთ?

- იქნებ არსებობს თუნდაც შესაძლებლობა იმისა, რომ ჩემი ესოდენ მომნუსხველი სიზმრები გრძნობებისგან გაქცევაა?

მდუმარედ ზის, ფიქრობს. ძალზე ჭკვიანია - მოხუცი ბრძენი ქალი. ხელით მანიშნებს, მთხოვს, სიჩუმე დავიცვა, სანამ ფიქრობს იმაზე, მიზანშეწონილია თუ არა ის, რასაც ვთხოვ. მე კი ამ დროს ვათვალიერებ ოთახს, სადაც ვსხედვართ. ოთახი ვიწროა და გრძელი, მაღალჭერიანი, ფერები და ხმა კი - მიმქრალი. ყველგან ყვავილებია. კედლებზე საქვეყნოდ ცნობილი შედევრების რეპროდუქციებია, არის სკულპტურაც. ოთახი სამხატვრო სალონს ჰგავს. ამ ოთახს მაღალი დანიშნულება აქვს. მე აქ

ყოფნა მსიამოვნებს, როგორც სამხატვრო გალერეაში. საქმე ისაა, რომ ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეესაბამება იქ არსებულს - ჩემს ცხოვრებაში ბევრი იყო და არის მოუმწიფებელი, დაუსრულებელი, ნედლი, საცდელი; ისევე, როგორც იმ ადამიანების ცხოვრებაში, ვისაც ახლოს ვიცნობ. სანამ ოთახს ვათვალიერებდი, თავში მომივიდა, რომ სწორედ ჩემი ცხოვრების დაუმუშავებლობა, სინედლე და დაუსრულებლობაა ყველაზე ძვირფასი, რასაც მთელი ძალით უნდა ჩავეჭიდო.

მისის მარქსი მედიტაციიდან გამოვიდა და მითხრა:

- ძალიან კარგი, ჩემო ძვირფასო. მოდი, დროებით გვერდზე გადავდოთ თქვენი სიზმრები. მოდით ჩემთან და მომიყევით, რასაც ცხადში წარმოისახავთ.

იმ დღიდან, რაც დღიურში ეს ბოლო ჩანაწერი გავაკეთე, თითქოსდა ჯადოსნური ჯოხის აქნევით სიზმრები შემიწყდა.

- ხედავთ რამეს სიზმარში? - მეკითხება მისის მარქსი სასხვათაშორისოდ, რომ გაარკვიოს, მზად ვარ თუ არა უარი ვთქვა მისგან დამალვის აბსურდულ მცდელობაზე. განვიხილავთ იმ გრძნობის ნიუანსებს, რასაც მაიკლის მიმართ განვიცდი. ერთად უმეტესად ბედნიერი ვართ, მაგრამ დროდადრო გული მომდის მასზე და მძულს ხოლმე. ყოველთვის ერთი და იმავე მიზეზით: როდესაც ქილიკობს იმის გამო, წიგნი რომ დავწერე, - ეს მას არ სიამოვნებს, გამოჯავრებას მიწყებს, „ავტორესას“ მეძახის; როდესაც ირონიულად ლაპარაკობს ჯენეტზე, რომ დედობას უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე მის სიყვარულს; როდესაც მაფრთხილებს, რომ არ აპირებს ჩემს ცოლად შერთვას. ყოველ ჯერზე მაფრთხილებს, როცა მეტყვის, რომ ვუყვარვარ და მე ვარ უძვირფასესი, რაც კი ცხოვრებაში გააჩნია. მე მწყინს და ვბრაზობ. გესლიანად ვუთხარი:

- ამგვარი გაფრთხილების გამეორება საჭირო არ არის. საკმარისია ერთხელ ითქვას.

მაიკლმა პასუხის ნაცვლად ხუმრობა დამიწყო, გამომაჯავრა და ხასიათზე მომიყვანა. მაგრამ იმ ღამეს მასთან პირველად ვიყავი ფრიგიდული. როდესაც ეს მისის მარქსს მოვუყევი, მითხრა:

- ერთხელ სამი წელი ვმუშაობდი ქალთან, რომელსაც ფრიგიდულობა ტანჯავდა. ცხოვრობდა კაცთან, ვინც უყვარდა, მაგრამ ამ სამი წლის განმავლობაში ორგაზმი ერთხელაც არ ჰქონია. იმ დღეს, როცა დაქორწინდნენ, ორგზამი პირველად განიცადა.

ამას რომ მიყვებოდა, თავს აქნევდა, თითქოს მეუბნებოდა: „აი, ხომ ხედავ?!“

გამეცინა:

- მისის მარქსს, თუ გესმით, რეაქციონერობის როგორი ბურჯი ხართ?

- და ეგ სიტყვა რას ნიშნავს, ძვირფასო?

- ჩემთვის ძალიან ბევრს, - მივუგე.

- და მაინც, იმ ღამის მერე, რაც თქვენმა კაცმა გითხრათ, რომ ცოლად არ შეგირთავთ, თქვენ ფრიგიდული ხართ? - ეს ადრეც უთქვამს ან უგრძნობინებია, მაგრამ ამის გამო ფრიგიდული არ გავმხდარვარ.

ეს ვთქვი და მივხვდი, რომ სიმართლეს არ ვამბობდი, და ვაღიარე:

- კი, მართალია, ის, თუ როგორ ვპასუხობ ლოგინში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მექცევა.

- რასაკვირველია, თქვენ ხომ ნამდვილი ქალი ხართ.

მისის მარქსი სიტყვებს „ქალი“, „ნამდვილი ქალი“ ზუსტად ისევე წარმოთქვამს, როგორც ამბობს: „ხელოვანი“, „ნამდვილი

ხელოვანი“. ეს ერთგვარი აბსოლუტია. როდესაც მითხრა, რომ მე ნამდვილი ქალი ვარ, გამეცინა და თავი ვერაფრით შევიკავე, ცოტა ხნის მერე კი მანაც დაიწყო სიცილი. მერე მკითხა, რატომ იცინიო და მეც ავუხსენი. უკვე მზად იყო, შემთხვევა გამოეყენებინა და ჩაერთო სიტყვა „ხელოვნება“, რომელიც აღარ გვიხსენებია იმ დღიდან, რაც სიზმრები შემიწყდა. ამის ნაცვლად კი მითხრა:

- ჩემთან ურთიერთობისას რატომ არასოდეს ახსენებთ თქვენს პოლიტიკურ შეხედულებებს?

დავფიქრდი და მივუგე:

- რაც შეეხება კომპარტიას, მე ის ერთდროულად მძულს, მეშინია და თან, რაც ძალი და ღონე მაქვს, ვებღაუჭები. ვებღაუჭები, რადგან მინდა დავიცვა, მოვუარო. შეგიძლიათ ამის გაგება?

თავი დამიქნია. გავაგრძელე:

- და ჯენეტი. ზოგჯერ ვნანობ, რომ არსებობს, რადგან მის გამო ძალიან ბევრ რაღაცაზე მიხდება უარის თქმა. თუმცა, იმავდროულად, მიყვარს. მოლიც რაღაც წამს შეიძლება შემძულდეს იმის გამო, რომ უფროსივით მექცევა, ასე ზრუნავს ჩემზე, მაგრამ გავა წამი და ისევ მიყვარს. მაიკლთანაც ასეა. ამიტომ ჩვენ შეიძლება მხოლოდ ერთ-ერთ მათგანთან ჩემი ურთიერთობა გავაანალიზოთ, რომ გავიგოთ ჩემი შინაგანი სტრუქტურა, ჩემი პიროვნება.

ცივად გამიღიმა და მითხრა:

- ძალიან კარგი. მოდი, მაიკლი იყოს.

31 იანვ., 1950

მისის მარქსთან მივედი და ვუთხარი, რომ მართალია, მაიკლთან ისე ბედნიერი ვარ, როგორც არასოდეს, მაინც ხდება რაღაც, რაც ვერ გამიგია. მასთან ჩახუტებული ვიძინებ, მის ხელში

ვდნები, ბედნიერი ვარ, მაგრამ მეორე დილას მაინც რატომღაც ნაწყენი თუ გაღიზიანებული ვიღვიძებ.

ასე მიპასუხა:

- მაშ, იქნებ, ძვირფასო, უკვე სიზმრების ნახვის დრო მოვიდა?

სიცილი ამიტყდა, ის კი მშვიდად ელოდა, სანამ დავწყნარდებოდი, და მეც ვაღიარე:

- თქვენ ყოველთვის მართალი ხართ.

გუშინდელი ღამიდან კი, თითქოს ვიღაცამ მიბრძანაო, ისევ ვხედავ სიზმრებს.

27 მარტი, 1950

ძილში ვტირი. როცა ვიღვიძებ, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ვტიროდი. როდესაც ეს მისის მარქსს მოვუყევი, შენიშნა:

- ის ცრემლები, რასაც ძილში ვღვრით, ერთადერთი ნამდვილი ცრემლებია ჩვენს ცხოვრებაში. როცა ვიღვიძებთ, იმიტომ ვტირით, რომ ჩვენი თავი გვეცოდება.

ვუთხარი:

- ძალზე პოეტურია, მაგრამ არ მჯერა, რომ მართლა ასე ფიქრობთ.

- რატომაც არა?

- რადგან, როცა ვიძინებ და ვიცი, რომ ვიტირებ, ამის ცოდნა სიამოვნებას მანიჭებს.

მიღიმის. მე მზად ვარ, ველოდები, რას მეტყვის, მაგრამ ამჯერად აღარ მეხმარება.

- იმის თქმას ხომ არ აპირებთ, რომ მაზოხისტი ვარ? - ირონიულად ვეკითხები.

თავს მიქნევს, რასაკვირველია, ხართო.

- არის ტკივილში ნეტარება, - ვამბობ და მის აზრს ვახმოვანებ.

თავს მიქნევს. ვეუბნები:

- მისის მარქსს, სევდიანი და ნოსტალგიური ტკივილი, რომლის გამოც ვტირი, ის გრძნობაა, რომელმაც ამ წყეული წიგნის დაწერა მაიძულა.

მკვეთრი მოძრაობით წელში გაიმართა; ზის გაჭიმული და დაძაბული, გაოგნებულია იმის გამო, რომ გავბედე და წიგნს, ხელოვნებას, ამ წმიდათაწმიდა ქმედებას, წყეული ვუწოდე. ვაგრძელებ:

- რაც თქვენ გააკეთეთ, ისაა, რომ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმიყვანეთ სუბიექტურ გაგებასთან იმისა, რაც თავადაც ვიცოდი, - რომ თვით წიგნის საწყისი, წყარო იყო მოწამლული.

მეუბნება:

- თვითშემეცნება სწორედ გაღრმავებული გაგებაა იმისა, რაც ადამიანმა ისედაც იცოდა.

შევეპასუხე:

- მაგრამ ეს არ კმარა.

მისის მარქსი თავს მიქნევს, დუმს და ფიქრობს. ვგრძნობ, რაღაც მწიფდება, მაგრამ რა, არ ვიცი. მეკითხება:

- დღიურს თუ წერთ?

- დროდადრო.

- წერთ იმას, რაც აქ ხდება?

- ზოგჯერ.

თავს მიქნევს. და მე ვიცი, რასაც ფიქრობს. მისის მარქსს მიაჩნია, რომ თვით პროცესი, დღიურის წერა, თავისთავად დასაწყისია იმისა, რასაც აღიქვამს როგორც „გალღობას“, პირველ ეტაპს იმ სტუპორის შესუსტებისა, რომელიც წერის საშუალებას არ მაძლევს. ძალიან მეწყინა, ისე გავბრაზდი, რომ ხმა ვერ ამოვიღე. ვგრძნობდი, დღიური რომ ახსენა, და ეს, ასე ვთქვათ, თა-

ვისი სამუშაო პროცესის ნაწილად აქცია, ამით გამძარცვა, დამასაკლისა.

დღიური, როგორც პირადი დოკუმენტი, აქ წყდება. შემდეგ გრძელდება საგაზეთო ამონაჭრების სახით, აკურატულად რომაა ჩაწებებული და დათარიღებული.

მარტი, 1950

modeliori am varcxnilobas uwodebs „wyalbadis bombis stils“, sadac aso H aRniSnavs wyalbadis zeJangs, romelsac Tmis SesaRebad iyeneben. Tma isea dawyobili, TiTqos bombis afeTqebam aqeT-iqiT gaSala, afeTqebam, sadRac kefaze rom moxda. „deili telegrafi“

13 ივლისი, 1950

დღეს კონგრესში მოწონების შეძახილები გაისმა, როდესაც დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა, ბატონმა ლოიდ ბენტსენმა დაჟინებით მოუწოდა პრეზიდენტ ტრუმენს, უბრძანოს ჩრდილოეთ კორეას ერთი კვირის განმავლობაში დატოვოს ტერიტორია და გააფრთხილოს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ქალაქები ატომური ბომბებით დაიბომბება. „ექსპრესი“

29 ივლისი, 1950

ბრიტანეთის გადაწყვეტილება, დამატებით 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯოს თავდაცვაზე, ნიშნავს, რომ, როგორც ცხადად მიანიშნა ბატონმა ეტლიმ, ცხოვრების დონის მოსალოდნელი ზრდა და სოციალური მომსახურების სფეროს გაუმჯობესება გაურკვეველი დროით გადაიდო. „ნიუ სტეიტსმენი“

3 აგვ., 1950

ამერიკა დაუყოვნებლივ იწყებს წყალბადის ბომბის წარმოებას, რომელიც წინასწარი პროგნოზით ატომურ ბომბზე ასჯერ მძლავრი იქნება. „ექსპრესი“

5 აგვ., 1950

ჰიროსიმასა და ნაგასაკის გამოცდილების გათვალისწინებით და მასზე დაყრდნობით, როდესაც აფეთქების ტალღის რადიუსს, ტემპერატურის ნახტომისებურ აწევასა და რადიაციის დონეს ვაფასებთ, ჩვენი ვარაუდით, დიდი ბრიტანეთის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში ერთ ატომურ ბომბს 50000 კაცის განადგურება შეუძლია. წყალბადის ბომბზე რომ აღარაფერი ვთქვათ. „ნიუ სტეიტსმენი“

24 ნოემბ., 1950

მაკარტური შეტევაზე გზავნის 100000 ჯარისკაცს იმისთვის, რომ კორეაში ომს ბოლო მოუღოს. „ექსპრესი“

9 დეკ., 1950

კორეამ სამშვიდობო მოლაპარაკებების წინადადება წამოაყენა, მაგრამ მოკავშირეები არ ცხრებიან. „ექსპრესი“

15 დეკ., 1950

აშშ „სერიოზული საფრთხის წინაშეა“. მიღებულია სასწრაფო ცნობა. დღეს საღამოს პრეზიდენტმა ტრუმენმა თავის მიმართვაში ამერიკის მოქალაქეებისადმი განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის მოქმედებების გამო აშშ „სერიოზული საფრთხის წინაშეა“.

13 იანვ., 1951

გუშინ ტრუმენმა შეერთებული შტატების თავდაცვითი მრეწველობის წინაშე მასშტაბური ამოცანები დააყენა, რაც ყველა რიგითი ამერიკელისგან მსხვერპლს გულისხმობს. „ექსპრესი“

12 მარტი, 1951

ეიზენჰაუერი ატომური ბომბების შესახებ. მე დაუყოვნებლივ გამოვიყენებდი მათ, დარწმუნებული რომ ვიყო, მტერს სათანადოდ დააზარალებს. „ექსპრესი“

6 აპრილი, 1951

ჯაშუში ქალი, რომელმაც ატომური იარაღის საიდუმლო გასცა, მოკვდება. მის ქმარსაც ელექტრულ სკამზე დასვამენ. მოსამართლე: „კორეა თქვენ გამო მოხდა“.

2 მაისი, 1951

კორეა: მოკლულია, დაჭრილია, უგზო-უკვლოდ დაკარგულია 371 კაცი.

9 ივნისი, 1951

აშშ უზენაესმა სასამართლომ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის გაასამართლა აშშ კომპარტიის 11 ლიდერი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მთავრობის ძალადობრივ ჩამოგდებას. უახლოეს მომავალში აღსრულდება განაჩენი: თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ჯარიმა 10000 დოლარის ოდენობით თითოეულ ბრალდებულს. „სტეიტსმენი“

16 ივნისი 1951

2 ივნისის „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ წერდა: „მიახლოებითი გამოთვლებით, კორეაში მოკლულია ან ომით გამოწვეული გასაჭირის გამო დაღუპულია 2 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ უმეტესობას ბავშვები შეადგენენ. 10 მილიონზე მეტი უსახლკაროდ დარჩა და უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს“. დონ სუნ კიმი, კორეის რესპუბლიკის საგანგებო დავალებათა ელჩი, 1-ელ ივნისს გვატყობინებდა: „მხოლოდ ერთი ღამის განმავლობაში 156 სოფელი გადაწვეს. ეს სოფლები მოწინააღმდეგის ჯარების მოძრაობის მარშრუტზე მდებარეობდა. ამიტომ გაეროს თვითმფრინავებს ისინი, რასაკვირველია, უნდა გაენადგურები-

ნა. და ყველა მოხუცი და ბავშვი, ვინც კი იმ სოფლებში იმყოფებოდნენ, რადგან ევაკუაციის ბრძანება ვერ შეასრულეს, დახოცეს. „ნიუ სტეიტსმენი“

13 ივლისი, 1951

სამშვიდობო მოლაპარაკებები შეჩერებულია, რადგან წითლები უარს ამბობენ კორეაში მოკავშირეთა 20 ფოტორეპორტიორისა და ჟურნალისტის შეშვებაზე. „ექსპრესი“

16 ივლისი

10000 კაცი მონაწილეობს „ნავთობის მღელვარებაში“. ჯარები ცრემლსადენ აირს იყენებენ. „ექსპრესი“

28 ივლისი

აშშ-ში გადაიარაღებისთვის დღემდე გაწეულ ხარჯებს ამერიკელთა ცხოვრების დონის შესამჩნევი დაწევა არ გამოუწვევია. პირიქით, მოხმარების დონე იზრდება. „ნიუ სტეიტსმენი“

1-ელი სექტ., 1951

ჩანასახის უჯრედების სწრაფი გაყინვისა და უვადო შენახვის მეთოდიკამ შეიძლება დროის ცნების შესახებ ჩვენი წარმოდგენების გადახედვამდე მიგვიყვანოს. ჯერჯერობით ამ მეთოდიკას მამაკაცის სპერმისთვის იყენებენ, მაგრამ ის შეიძლება ასევე ქალების კვერცხუჯრედების დასამუშავებლადაც იქნეს გამოყენებული. მამაკაცი, რომელიც 1951 წელს ცხოვრობს, და ქალი, რომელიც 2051 წელს იცხოვრებს, შესაძლოა „დაქორწინდნენ“ 2251 წელს, რათა შვან ბავშვი სუროგატული დედის მეშვეობით. „სტეიტსმენი“

17 ოქტ., 1951

მაჰმადიანური სამყარო ცეცხლის ალშია გახვეული. სუეცში დამატებითი შენაერთები გადაისროლეს. „ექსპრესი“

20 ოქტ., 1951

ჯარები ეგვიპტის ბლოკირებას ახდენენ. „ექსპრესი“

16 ნოემბერი, 1951

კორეაში წითლებმა მოკავშირეთა ტყვედ ჩავარდნილი 12790 ჯარისკაცი და 250000 მშვიდობიანი მოქალაქე მხეცურად დახოცეს. „ექსპრესი“

24 ნოემბერი, 1951

ვარაუდობენ, რომ ჯერ კიდევ ჩვენს სიცოცხლეში კაცობრიობის რაოდენობა 4 მილიარდს მიაღწევს. როგორ მოვახდენთ ასეთ სასწაულს - 4 მილიარდის გამოკვებას? „ნიუ სტეიტსმენი“

24 ნოემბერი, 1951

არავინ იცის, რამდენი ადამიანი დასაჯეს სიკვდილით, ჩააგდეს ციხეებში, გაუშვეს შრომაგასწორებით ბანაკებში ან რამდენი დაიღუპა მრავალსაათიანი დაკითხვების დროს დიდი საბჭოთა „წმენდის“ პერიოდში, 1937-1938 წლებში; არც ის ვიცით, რუსეთში დღეს რამდენი ადამიანია იძულებითი შრომით დაკავებული - 1 თუ 20 მილიონი. „ნიუ სტეიტსმენი“

13 დეკ., 1951

რუსეთი ატომურ ბომბდამშენს აშენებს. ის მსოფლიოში ყველაზე სწრაფი იქნება. „ექსპრესი“

1-ელი დეკ. 1951

შეერთებული შტატები უდიდეს ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის, რაც კი ყოფილა მისი არსებობის ისტორიაში. არადა, მხოლოდ სამხედრო ხარჯები და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური დახმარება მოცულობით ომისწინანდელ ბიუჯეტს აჭარბებს. „სტეიტსმენი“

29 დეკ., 1951

ბრიტანეთის მთელ ისტორიაში ეს იყო პირველი წელიწადი, როდესაც ჩვენი 11 დივიზია უცხო ქვეყნებში იდგა, და როდესაც ჩვენი ნაციონალური შემოსავლის 10% შეიარაღებაზე დაიხარჯა. „ნიუ სტეიტსმენი“

29 დეკ., 1951

არსებობს იმის ნიშნები, რომ შეერთებულ შტატებში მაკკარტისა და ძმათა მისთა მეტისმეტი მოსდით. „ნიუ სტეიტსმენი“

12 იანვ., 1952

როდესაც ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ტრუმენმა მსოფლიოს განუცხადა, რომ შეერთებული შტატები ყველაფერს გააკეთებს წყალბადის ბომბის წარმოების დასაჩქარებლად (რომლის აფეთქების ძალა, მეცნიერთა აზრით, 1000-ჯერ მეტი იქნება იმ ბომბზე, რაც ჰიროსიმაში ააფეთქეს, ანუ 20 მილიონი ტონა ტრინიტრიტოლუოლის აფეთქების ტოლი იქნება), ალბერტ აინშტაინმა მშვიდად განაცხადა, რომ „სრული და საყოველთაო განადგურების აჩრდილი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ მოჩანს“. „ნიუ სტეიტსმენი“

1-ელი მარტი, 1952

ისევე, როგორც შუა საუკუნეებში, ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაადანაშაულეს და მოკლეს კუდიანობის ბრალდებით, ძალზე ბევრი რუსი კომუნისტი და სხვა რუსი პატრიოტი შეეწირა „წმენდას“ კონტრრევოლუციური საქმიანობის მითური ბრალდებით. და მართლაც, სწორედ იმიტომ, რომ არ არსებობდა რეალური საფუძველი მათი მხილებისთვის, დაპატიმრებებმა ესოდენ ფანტასტიკურ მასშტაბს მიაღწია (ბატონი ვაისბერგი გამოთვლის მეტად გონებამახვილურ სისტემას იყენებს და ვარაუდობს, რომ 1936-დან 1939 წლამდე დაახლოებით 8 მილიონი კაცი დააპატიმრეს). „ნიუ სტეიტსმენი“

22 მარტი, 1952

კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ბრალდება, რომელიც გაეროს მისამართით გაისმა, არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სრული სიგიჟე იქნებოდა. „სტეიტსმენი“

15 აპრილი, 1952

რუმინეთის კომუნისტურმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება ბუქარესტიდან „არაპროდუქტიული ადამიანების“ მასობრივი დეპორტაციის შესახებ. ეს 200000 კაცია, რაც ქალაქის მოსახლეობის მეხუთედს შეადგენს. „ექსპრესი“

22 ივნისი, 1952

შეუძლებელია დავადგინოთ იმ ამერიკელების ზუსტი რაოდენობა, რომლებსაც უარი უთხრეს პასპორტების გაცემაზე და რომლებსაც შეეხო განსაზღვრული შეზღუდვები, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ დაზარალდა სრულიად განსხვავებული წარმომავლობის, სარწმუნოების, პოლიტიკური შეხედულებების მქონე მოქალაქეთა ფართო სპექტრი. მათ მიეკუთვნება... „ნიუ სტეიტსმენი“

5 ივლისი, 1952

მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამერიკული „კუდიანებზე ნადირობით“ ყალიბდება საყოველთაო ერთფეროვნების ახალი დონე, ახალი ორთოდოქსია, რომლის ნორმებზეც უარის თქმა მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური კეთილდღეობის დათმობის ხარჯზე შეიძლება. „ნიუ სტეიტსმენი“

2 სექტ., 1952

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ატომური ბომბის მიზანში ზუსტი მოხვედრისას

ზარალი მართლაც ძალზე დიდია, მის მასშტაბს ხშირად წარმოუდგენლად აზვიადებენ ხოლმე. „ექსპრესი“

მშვენივრად მესმის, რომ მხოლოდ თავაზიანი ლაპარაკით რევოლუციას ვერ მოახდენ, მაგრამ ჩემი კითხვა ასეთია: ფორმოზის სამხედრო აგრესიის თავიდან ასაცილებლად მართლა აუცილებელი იყო მილიონ-ნახევარი კაცის მოსპობა თუ უფრო ადეკვატური საშუალება მათი განიარაღება იქნებოდა? „ნიუ სტეიტსმენი“

13 დეკ., 1952

იაპონელები იარაღს ითხოვენ. „ექსპრესი“

13 დეკ., 1952

მაკკარენის აქტის მე-2 პარაგრაფის საფუძველზე გათვალისწინებულია ეგრეთ წოდებული დროებითი დაკავების ცენტრების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ცენტრების შექმნას არ ავალდებულებს, კანონი აშშ იუსტიციის მინისტრს ანიჭებს უფლებამოსილებას, დააკავოს და განათავსოს „დროებითი დაკავების ამგვარ დაწესებულებებში, მითითების თანახმად... ყველა პირი, რომლებზეც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი მიიღებენ მონაწილეობას (ან შეუთანხმდებიან სხვა პირებს, რომ მიიღონ მონაწილეობა) ჯაშუშობისა და საბოტაჟის აქტებში“.

3 ოქტ., 1952

ჩვენმა ბომბმა მაგრად ბუთქა. ბრიტანული ატომური იარაღის პირველი გამოცდა წარმატებით ჩატარდა. „ექსპრესი“

11 ოქტ., 1952

ყოჩაღი პოლკოვნიკი მაუ-მაუდან. „ექსპრესი“

23 ოქტ., 1952

გაროზგეთ. ლორდი გოდარდი, უზენაესი მოსამართლე. „ექსპრესი“

25 ოქტ., 1952

პოლკოვნიკი რობერტ სკოტი, ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზის მეთაური ფიურშტენფელდბრუკში: „ამერიკასა და გერმანიას შორის შეთანხმების წინასწარი ვარიანტი უკვე ხელმოწერილია. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ თქვენი სამშობლო მალე ნატოს სრულუფლებიანი წევრი გახდება. თქვენთან ერთად მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც ჩვენ, როგორც მეგობრები და ძმები, მხარდამხარ დავდგებით, რათა კომუნიზმის საფრთხეს წინ აღვუდგეთ. მე ვლოცულობ და ვიმედოვნებ, რომ მალე დადგება წუთი, როცა მე ან სხვა რომელიმე ამერიკელი სარდალი ამ მშვენიერ სამხედრო-საჰაერო ბაზას სამხედრო-საჰაერო ძალების გერმანელ მთავარსარდალს გადასცემს, რაც ახალი გერმანული ლიუფტვაფეს ჩამოყალიბების მაუწყებელი იქნება“. „ნიუ სტეიტსმენი“

17 ნოემბერი, 1952

აშშ-ში წყალბადის ბომბის გამოცდა მიმდინარეობს. „ექსპრესი“

1-ელი ნოემბერი, 1952

კორეა: საერთო დანაკარგი მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაწყებიდან, მათ შორის, მშვიდობიან მოსახლეობაში, მალე მიუახლოვდება ტუსაღების რიცხვს, რომელთა სტატუსი მოლაპარაკებების წარმოებისთვის მთავარ დაბრკოლებად იქცა. „სტეიტსმენი“

27 ნოემბერი, 1952

კენიის მთავრობამ დღეს განაცხადა, რომ კოლექტიური სასჯელის სახით მთავარსარდალ ჯეკ მაიკელჯონის მკვლელობისთვის (ეს კვირას მოხდა) 750 კაცი და 2200 ქალი და ბავშვი იქნა დეპორტირებული. „ექსპრესი“

8 ნოემბერი, 1952

ბოლო წლებში, მაკარტიზმის კრიტიკოსებს არაჯანსაღი ანტიამერიკელების იარლიყს აწებებდნენ. „ნიუ სტეიტსმენი“

22 ნოემბერი, 1952

მხოლოდ და მხოლოდ ორი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც პრეზიდენტმა ტრუმენმა ბრძანება გასცა, აემოქმედებინათ წყალბადის ბომბის წარმოების პროგრამა. მდინარე სავანაზე (სამხრეთი კაროლინა) დაუყოვნებლივ დაიწყო მილიარდი დოლარის ღირებულების ტრიტიუმის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობა; 1951 წლის ბოლოს წყალბადის ბომბის წარმოება იქცა ინდუსტრიად, რომელიც თავისი მასშტაბით მხოლოდ „იუ ეს სტილსა“ და „ჯენერალ მოტორსს“ თუ შეედრება. „ნიუ სტეიტსმენი“

22 ნოემბერი, 1952

თუმცა, ახლანდელი საარჩევნო კამპანიის პირველი გასროლა უკვე გაკეთდა, რაც მეტად მარჯვედ დაემთხვა რესპუბლიკელთა საარჩევნო კამპანიის ციებ-ცხელებიან კულმინაციას, რომლებმაც, ელჯერ ჰისის თქმით, ყველაფერი გამოწურეს, რაც კი შესაძლებელი იყო, სახელმწიფო დეპარტამენტის „დაბინძურებისგან“ და ამ პირველი გასროლის როლი შეასრულა ვისკონსინის შტატის სენატორ ალექსანდრ უაილის აღიარებამ, რომ მან გაეროს სამდივნოში ამერიკელი კომუნისტების „მასობრივად შეჟონვის“ სიტუაციის გამოძიება მოითხოვა. ამის შემდეგ სენატის ქვეკომიტეტმა უსაფრთხოების საკითხებზე დევნის ახალი კამპანიის პირველი თორმეტი მსხვერპლის ჯვარედინი დაკითხვა დაიწყო, ყველანი მაღალი რანგის მოხელეები არიან... თუმცა, თორმეტი მოწმის უარმა, მიეცათ ჩვენებანი კომუნისტებთან კავშირის თაობაზე, ისინი ვერ გადაარჩინა. სრული-

ად აშკარაა, რომ „კუდიანებზე მონადირე“ სენატორები უფრო მსხვილ მსხვერპლს ეძებდნენ, ვიდრე ეს თორმეტია, რომელთა დანაშაულის ერთადერთი მტკიცებულება (მათ კი ძირგამომთხრელი საქმიანობა ედებათ ბრალად) მათი დუმილი გახლავთ. „ნიუ სტეიტსმენი“

29 ნოემბერი, 1952

პრაღის პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური მართლმსაჯულების სტანდარტული კანონებით მიმდინარეობს, მაინც მეტად საინტერესო მოვლენაა. დავიწყოთ იმით, რომ ჩეხოსლოვაკია ერთადერთი ქვეყანაა აღმოსავლეთის ბლოკში, სადაც ძველთაგანვე დამკვიდრდა დემოკრატიული ცხოვრების წესის ტრადიცია, რაც გულისხმობდა სამოქალაქო თავისუფლებების დაცვასა და დამოუკიდებელ სასამართლოს. „ნიუ სტეიტსმენი“

3 დეკ., 1952

დარტმურელი კაცი გაროზგეს. არამზადამ „კატის“ ტიპის მათრახით თორმეტი დარტყმა მიიღო. „ექსპრესი“

17 დეკ., 1952

პრაღაში კომუნიზმის 11 ლიდერი ჩამოახრჩვეს. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის განცხადებით, ისინი კაპიტალიზმის ჯაშუშები იყვნენ.

29 დეკ., 1952

დაპროექტდა ახალი ატომური ქარხანა, რომლის ღირებულებაა 100000 გირვანქა სტერლინგი, ხოლო დანიშნულება - ბრიტანული ატომური იარაღის წარმოების გაორმაგება. „ექსპრესი“

13 იანვარი, 1953

მკვლელთა საზარელი შეთქმულება საბჭოთა კავშირში. დღეს დილით მოსკოვის რადიომ ებრაელი ექიმ-ტერორისტების ჯგუფს ბრალად დასდო საბჭოთა ბელადების განადგურების მცდელობა, მათ შორის, გენერალიტეტის წარმომადგენლებისა და მეცნიერ-ფიზიკოსებისა. „ექსპრესი“

6 მარტი, 1953

სტალინი მოკვდა. „ექსპრესი“

23 მარტი, 1953

მაუ-მაუმ 25000 კაცი დააპატიმრა. „ექსპრესი“

23 მარტი, 1953

პატიმართა ამნისტია რუსეთში. „ექსპრესი“

1-ელი აპრილი, 1953

რას ნიშნავს თქვენთვის მშვიდობა კორეაში? „ექსპრესი“

7 მაისი, 1953

კორეაში იზრდება მშვიდობის დამყარების იმედი. „ექსპრესი“

8 მაისი, 1953

ამერიკაში განიხილავენ გაეროს შესაძლო მოქმედებას „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კომუნისტური აგრესიის მოსათოკად“. ინდოჩინეთში უამრავი თვითმფრინავი, ტანკი და საბრძოლო მასალა იგზავნება. „ექსპრესი“

13 მაისი

მხეცობა ეგვიპტეში. „ექსპრესი“

18 ივლისი, 1953

ღამის ბრძოლა ბერლინში. ამ დილით აღმოსავლეთ ბერლინის ბნელ ქუჩებში ქალაქის მცხოვრებნი საბჭოთა სატანკო დივიზიასა და საბჭოთა ქვეით ჯარს ებრძოდნენ. „ექსპრესი“

6 ივლისი

აჯანყება რუმინეთში. „ექსპრესი“

10 ივლისი, 1953

ბერია გაასამართლეს და დახვრიტეს. „ექსპრესი“

27 ივლისი, 1953

კორეაში ცეცხლი შეწყდა. „ექსპრესი“

7 აგვისტო, 1953

სამხედრო ტყვეთა მასობრივი აჯანყება. ჩრდილოეთ კორეაში გაეროს ჯარებმა ცრემლსადენი აირისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით სამხედრო ტყვეთა მასობრივი აჯანყება ჩაახშვეს. „ექსპრესი“

20 აგვ., 1953

ირანი. გადატრიალებას 300 კაცი ემსხვერპლა. „ექსპრესი“

18 თებ., 1954

ბრიტანეთმა ატომური ბომბები მოიმარაგა. „ექსპრესი“

27 მარტი, 1954

მეორე წყალბადის ბომბის გამოცდა გადაიდო. პირველი აფეთქების შემდეგ კუნძულებზე ჯერ კიდევ მაღალი ტემპერატურაა. „ექსპრესი“

30 მარტი

ააფეთქეს მეორე წყალბადის ბომბი. „ექსპრესი“

მერე ისევ პირადი ჩანაწერები იწყება.

2 აპრილი, 1954

დღეს მივხვდი, რომ მისის მარქსს გავუუცხოვდი, გავუუცხოვდი იმას, რასაც იგი მასთან ურთიერთობის „გამოცდილებას“ უწოდებს; ეს დაკავშირებულია ზოგიერთ რაღაცასთან, რასაც მეუბნებოდა. როგორც ჩანს, ამას უკვე მიხვდა. მითხრა:

- არ დაგავიწყდეთ, როდესაც ფსიქოანალიტიკოსთან სიარულს შეწყვეტთ, ამით თქვენი გამოცდილება არ დასრულდება.

- თქვენ გულისხმობთ, რომ დვრიტა მოქმედებას გააგრძელებს?

გამიღიმა და თავი დამიქნია.

4 აპრილი, 1954

ისევ ვნახე სიზმარი - ანარქიული პრინციპი მომდევდა უკან, ამჯერად რაღაც არაადამიანური გარეგნობის მქონე ჯუჯის სახით. სიზმარში მისის მარქსიც იყო, ძალზე დიდი და ძლევამოსილი, კეთილი და თავაზიანი ალქაჯის მსგავსი. ჩემი სიზმარი მოისმინა და მითხრა:

- როდესაც მარტო იქნებით, თქვენი თავის ამარა და რაღაც საშიშროება დაგემუქრებათ, საშველად კეთილ ჯადოქარს უხმეთ.

- ანუ თქვენ, - ვუთხარი.

- არა, ეს თქვენ თვითონ ხართ, განსხეულება იმისა, რაც თქვენ ჩემგან გამოძერწეთ.

ესე იგი, ყველაფერი დასრულდა. მან თითქოს მითხრა: „ახლა თქვენ თქვენი თავის ამარა დარჩით“. ეს ყველაფერი სასხვათაშორისოდ, თითქმის გულგრილად ჩაილაპარაკა, კაცივით, უკვე ნახევრად რომ შეგაქცია ზურგი. მისმა ოსტატობამ აღმაფრთოვანა. მისის მარქსმა ეს ისე გააკეთა, თითქოს ჩემთან დამშვიდოებებისას რაღაც გამომიწოდა, - შესაძლოა, აყვავებული ტოტი ან თილისმა, ბნელი ძალებისგან რომ გიცავს.

7 აპრილი, 1954

მკითხა, თქვენს ჩანაწერებში აისახება თუ არა თქვენი „გამოცდილებაო“. მისის მარქსს ბოლო სამი წლის განმავლობაში ერთხელაც არ უხსენებია ჩემი დღიური. ასე რომ, ინსტინქტურად იცოდა, ჩანაწერებს რომ არ ვაკეთებდი.

ვუთხარი:

- არა.

- საერთოდ არანაირ ჩანაწერებს არ აკეთებდით?

- არა. თუმცა ძალიან კარგი მეხსიერება მაქვს.

პაუზა.

- ანუ დღიური, რომლის წერაც დაიწყეთ, ცარიელი დარჩა?

- არა, მასში საგაზეთო ამონაჭრებს ვაწებებდი.

- რა ტიპის ამონაჭრებს?

- იმას, რამაც ძალიან იმოქმედა ჩემზე. მოვლენებს, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანი მეჩვენა.

კითხვის თვალით გამომხედა, თითქოს მითხრა: „მერე? უფრო ზუსტ განსაზღვრებას ველი“. ავუხსენი:

- ამას წინათ გადავათვალიერე: ის, რაც მაქვს, ომების, მკვლელობის, ქაოსის, ტანჯვის ქრონიკაა.

- და თქვენ გგონიათ, ესაა ბოლო რამდენიმე წლის პირუთვნელი ასახვა?

- და თქვენ ეს სურათი პირუთვნელი არ გეჩვენებათ?

შემომხედა - ირონიულად. უსიტყვოდ მეუბნებოდა, რომ ჩემი და მისი ერთობლივი „გამოცდილება“ შემოქმედებითია და ნაყოფიერი, და რომ ვეშმაკობ, როცა ასე ვლაპარაკობ. ვუთხარი:

- მაშ, ძალიანაც კარგი: საგაზეთო ამონაჭრების დანიშნულებაა რაღაც თანაფარდობა შემოიტანოს. ეს სამი წელი, მეტი თუ არა, ჩემს ძვირფას სულთან ჭიდილში გავატარე, ამ დროს კი...

- ამ დროს, რა?

- მე უბრალოდ გამიმართლა, რომ არ მაწამეს, არ მომკლეს, შიმშილით სული არ ამომხადეს, ციხეში არ დამალპეს.

მის სახეზე თავშეკავებული ირონია იკითხებოდა. ვუთხარი:

- თქვენ, რასაკვირველია, უნდა გესმოდეთ, რომ ის, რაც ამ ოთახში ხდება, ადამიანს მხოლოდ იმისკენ არ მიმართავს, რა-

საც თქვენ ქმნადობას უწოდებთ არამედ, კიდევ... არც კი ვიცი, სწორად როგორ განვსაზღვრო.

- მოხარული ვარ, რომ აზრად არ მოგდით სიტყვა „ნგრევა“.

- ჰო, კარგი, ყველაფერს ორი მხარე აქვს და ასე შემდეგ, მაგრამ მაინც, რაც უნდა იყოს, როდესაც სადღაც რაღაც საშინელება ხდება, სიზმარში ვხედავ, რომ ეს პირადად მე მეხება.

- თქვენ გაზეთიდან ჭრიდით ყველა ცუდ ახალ ამბავს და თქვენს დღიურში, სადაც ჩვენი ერთობლივი გამოცდილება უნდა ასახულიყო, აწებებდით როგორც ინსტრუქციებს, საკუთარ თავს რომ აძლევდით, თუ რა სიზმრები გენახათ?

- კი მაგრამ, მისის მარქსს, რა არის ამაში ცუდი?

ჩვენ უკვე არაერთხელ შევსულვართ ამ ჩიხში და არც ერთი ჩვენგანი არ ცდილობს გამოსავალი იპოვოს. იჯდა და ღიმილით შემომცქეროდა, თავდაჭერილი, მომთმენი. პირდაპირ თვალებში ვუყურებდი, თითქოს ვიწვევდი.

9 აპრილი, 1954

დღეს, როცა უკვე წასვლას ვაპირებდი, მისის მარქსმა მითხრა:

- ახლა კი, ძვირფასო, მითხარით, როდის აპირებთ წერის ხელახლა დაწყებას?

რასაკვირველია, შემეძლო მეთქვა, რომ დროდადრო ისევ ვჯღაბნი ჩემს რვეულებში, მაგრამ ის სხვა რამეს გულისხმობდა. ვუთხარი:

- შესაძლებელია, არც არასოდეს.

მისის მარქსი გაღიზიანდა, მოუთმენლად შეირხა. იმ დიასახლისს ჰგავდა, რომელსაც ყველაფერი თავდაყირა წაუვიდა, - მისი მოძრაობა გულწრფელი იყო, არ ჰგავდა მის ღიმილს, თავის

დაკვრასა თუ კანტურს, ან სეანსების დროს ენის მოუთმენელ წკლაპუნს.

- რატომ არ შეგიძლიათ იმის გაგება, - ვუთხარი და გულწრფელად მინდოდა, მიმხვდარიყო, რას ვეუბნებოდი, - იმის გაგება, რომ გაზეთი ხელში ვერ ამიღია ისე, რაც იქ წერია, იმდენად გამაოგნებლად, შემზარავად არ მომეჩვენოს, რომ მერე რაც კი ოდესმე შეიძლება დავწერო, მასთან შედარებით არარაობად არ მივიჩნიო?

- მაშინ გაზეთების კითხვას თავი უნდა დაანებოთ.

გამეცინა. ცოტა ხნის მერე გამიღიმა.

15 აპრილი, 1954

რამდენიმე სიზმარი ვნახე და ყველა იმის შესახებ, რომ მაიკლი მტოვებს.

სწორედ ჩემი სიზმრებიდან შევიტყვე, რომ მალე უნდა მიმატოვოს, რომ მალე მიმატოვებს. სიზმარში თვალს ვადევნებ განშორების სცენებს. უემოციოდ. ცხადში სასტიკად, უკიდურესად უბედური ვარ. ძილში არაფერი მაწუხებს. მისის მარქსმა დღეს მკითხა:

- რომ მეთხოვა, ერთი ფრაზით გამოგეხატათ ის, რაც ჩემგან ისწავლეთ, რას იტყოდით?

- რომ თქვენ ტირილი მასწავლეთ, - მივუგე საკმაოდ ცივად.

გამიღიმა, მიმანიშნა, თქვენს „ცივ“ დამოკიდებულებას ვიღებო.

- კიდევ?

- რომ მე ასჯერ უფრო დაუცველი ვარ, ვიდრე ვიყავი.

- კიდევ? სულ ესაა?

- გინდათ მითხრათ, რომ მე თან ასჯერ ძლიერიცა ვარ? არ ვიცი. მართლა არ ვიცი. იმედია, ასეა.

- მე ვიცი, - დაჟინებით მითხრა, - თქვენ ბევრად ძლიერი გახდით. და თქვენ ამას დაწერთ.

სწრაფად, გადაჭრით დამიქნია თავი, მერე კი დასძინა:

- აი, ნახავთ. რამდენიმე თვის ან რამდენიმე წლის შემდეგ.

მხრები ავიჩეჩე. შევთანხმდით, რომ შემდეგ კვირას უკანასკნელად შევხვდებოდით ერთმანეთს.

23 აპრილი, 1954

ბოლო შეხვედრის წინ სიზმარი ვნახე და მისის მარქსს მოვუყევი. დამესიზმრა, რომ ხელში რაღაც ზარდახშა მიჭირავს, შიგ კი ძალიან ძვირფასი რამ დევს. მივაბიჯებ გრძელ ოთახში, სამხატვრო გალერეას თუ სალექციო დარბაზს რომ ჰგავს, აქ ბევრი მკვდარი ქანდაკება და სურათია (როდესაც სიტყვა „მკვდარი“ ვთქვი, მისის მარქსს ირონიულად გაეღიმა). დარბაზის ბოლოს ადამიანთა ჯგუფი მელოდება, სცენისმაგვარ შემაღლებაზე დგანან. ელიან, როდის გადავცემ ზარდახშას. წარმოუდგენლად ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს შემიძლია მათ ეს ძვირფასეულობა ჩავაბარო. მაგრამ, როდესაც გადავცემ, ვხედავ, რომ ყველანი ბიზნესმენები, ბროკერები, ამის მსგავსი ვიღაცები არიან. ზარდახშას არ ხსნიან, ფულს დასტებად მაჩეჩებენ, დიდ თანხებს. ტირილს ვიწყებ. ვუყვირი: „გახსენით ზარდახშა, გახსენით ზარდახშა!“ - მაგრამ ჩემი არ ესმით ან არ უნდათ, გაიგონ. უეცრად ვხვდები, რომ ყველანი ფილმის თუ პიესის პერსონაჟები არიან, რომ ეს ყველაფერი თვითონ დავწერე და მრცხვენია. ყველაფერი ფარსად იქცევა, ბუნდოვან და მღელვარე ფარსად, მე კი საკუთარი პიესის პერონაჟი ვარ. ვხსნი ზარდახშას და ვაიძულებ, შიგ ჩაიხედონ. მაგრამ ძვირფასი ნივთის ნაცვლად, რაც მეგონა, რომ შიგ იქნებოდა, ფრაგმენტები, ნამსხვრევები აღმოჩნდა და თან, ეს არ არის რაღაც ერთი მთლიანი, ფრაგმენ-

ტებად რომ დაშლილა, არამედ ნატეხები და ნაკუწები მსოფლიოს ყველა კუთხიდან - ვცნობ წითელი მიწის გუნდას, რომელიც, ვიცი, აფრიკიდანაა, იქვეა ლითონის ნატეხი, რომელიც ინდოჩინეთში მოსტყდა შაშხანას, და კიდევ, ბევრი საზარელი რამ - კორეაში დახოცილი ადამიანების ხორცის ნაგლეჯები და ვიღაცის კომუნისტური სამკერდე ნიშანი, საბჭოთა ციხეში რომ დაიღუპა. და ეს - უამრავი საზარელი ფრაგმენტის ხილვა ისეთ ტკივილს მაყენებს, რომ ვეღარ ვუყურებ და ზარდახშას ვხურავ. მაგრამ ბიზნესმენებისა და მდიდრების ჯგუფი ვერაფერს ამჩნევს. ხელში იღებენ ზარდახშას, მე ზურგს ვაქცევ, რომ არ დავინახო, რაც შიგაა, ისინი კი აღტაცებული არიან. მერე მეც ვუყურებ და ვხედავ, ზარდახშაში კიდევ რაღაცაა. ეს პატარა, მწვანე ნიანგია, რომელსაც ეშმაკურ დინგზე სარდონიკული ღიმილი დასთამაშებს. თავიდან მგონია, ნეფრიტისა და ზურმუხტისაა, მაგრამ მერე ვხვდები, რომ ცოცხალია და გაყინული ცრემლები, ლოყებზე რომ ჩამოსდის, ბრილიანტებად იქცევა. რომ გავაცნობიერე, ბიზნესმენები მოვატყუე-მეთქი, გადავიხარხარე და გამეღვიძა.

მისის მარქსმა ამ სიზმარს უკომენტაროდ მოუსმინა, თითქოს არც კი დაინტერესდა. ჩვენ თბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს, მაგრამ მან შინაგანად უკვე ზურგი შემაქცია, ისევე, როგორც მე - მას. მითხრა, აუცილებლად შემოირბინეთ ხოლმე „მოსანახულებლად“, თუკი დაგჭირდებათო. გავიფიქრე, როგორ შეიძლება დამჭირდეს, როცა თავისი სახება მიანდერძა--მეთქი; კარგად ვიცი, ყოველ ჯერზე, როცა გამიჭირდება, სიზმარში გამომეცხადება დიდი დედა ალქაჯი (მისის მარქსი ტანად პატარა, ძარღვიანი, ენერგიული ქალია, მაგრამ სიზმარში ყოველთვის დიდსა და მძლავრს ვხედავ). გამოვედი ჩაბნელებული, საზეიმო ოთახიდან, სადაც ესოდენ ბევრი დრო გავატარე, ზოგჯერ

მთლიანად იქ ვიყავი, ზოგჯერ ჩემს ფანტაზიებსა და სიზმრებში გახლდით ჩაფლული; გამოვედი ოთახიდან, რომელიც ხელოვ-ნების შესანახ სანაწილეს ჰგავდა, და ცივ, უსახურ ქვაფენილზე აღმოვჩნდი. საკუთარი ანარეკლი დავინახე ვიტრინის მინაში: პატარა, ფერმკრთალი, უკმეხი ქალი, დამანჭული სახით და უმალ ვიცანი ეს ჩაცინება, - იმ პატარა, მწვანე და ბოროტ ნიანგს ეხატა პირზე, ჩემს სიზმრისეულ ბროლის ზარდახშაში რომ იჯდა.

თავისუფალი ქალები

2

ორი ვიზიტი, რამდენიმე სატელეფონო ზარი და ტრაგედია.

ტელეფონმა სწორედ მაშინ დარეკა, როდესაც ანა ბავშვის ოთახიდან ფეხის წვერებზე გამოდიოდა. ჯენეტმა ისევ გაიღვიძა და ბუზღუნით, მაგრამ თანაც კმაყოფილმა განაცხადა:

- მგონი, მოლია, ახლა რამდენიმე საათი გაუჩერებლად იჭორავებთ.

- ჩუუ, - უთხრა ანამ, თან, ტელეფონისკენ მიდიოდა და ფიქრობდა: „ისეთი ბავშვისთვის, როგორიც ჯენეტია, უსაფრთხოებისა და სიმყუდროვის საფარი ბებიებისა და ბაბუებისგან, ბიძაშვილ-მამიდაშვილებისგან, მოწესრიგებული ცხოვრებისგან კი არ შედგება, არამედ მეგობრებისგან, ყოველდღე რომ რეკავენ, და იმ სიტყვებისგან, რაც ამ დროს უცვლელად ითქმება“.

- ჯენეტმა თითქმის დაიძინა, მაგრამ მთხოვს, გადმოგცე, რომ ძალიან უყვარხარ, - ხმამაღლა თქვა ყურმილში და მოლიმაც სათანადოდ უპასუხა, თავისი როლის შესაფერისი რეპლიკით:

- გადაეცი ჯენეტს, რომ მეც ძალიან მიყვარს და უთხარი, ახლავე დაიძინოს.

- მოლი ამბობს, რომ უნდა დაიძინო და ტკბილ სიზმრებს გისურვებს, - თქვა ანამ ხმამაღლა, ჩაბნელებული ოთახისკენ.

ჯენეტმა მიუგო:

- აბა, როგორღა დავიძინებ, როცა რამდენიმე საათი გაუჩერებლად იჭორავებთ?

მაგრამ იმ სიჩუმიდან გამომდინარე, რომელიც ამ სიტყვებს მოჰყვა, ანა მიხვდა, რომ ბავშვი იძინებდა, სავსებით კმაყოფილი ყველაფრით; და ანამ ჩუმად თქვა:

- ყველაფერი რიგზეა. ჰო, როგორა ხარ?

მოლიმ ვითომცდა სასხვათაშორისოდ ჰკითხა:

- ანა, ტომი შენთან ხომ არ არის?

- არა, და რატომ უნდა იყოს აქ?

- უბრალოდ ვიკითხე... რომ გაიგოს, ვღელავ, ნამდვილად გაცოფდება.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში იმ ახალ ამბებში, მოლის სახლიდან რაც ისმოდა, ანასგან ნახევარი მილის დაშორებით რომ იყო, მხოლოდ და მხოლოდ ტომი ფიგურირებდა. ტომი თავის ოთახში საათობით იჯდა უძრავად, სრულიად მარტო და, როგორც ჩანს, თავში აზრის ნატამალიც არ უჭაჭანებდა.

მოლიმ უკვე შეცვალა ტონი და ახლა ხუმრობანარევი ბუზღუნითა და წუწუნით დეტალურად უყვებოდა იმას, წინადღეს როგორ ივახშმა თავის ერთ-ერთ ყოფილ მხურვალე თაყვანისმცემელთან, შეერთებულ შტატებში რომ ცხოვრობდა. ანა უსმენდა და გრძნობდა, მეგობარს ისეთი ხმა ჰქონდა, ეტყობა, ისტერიკისგან თავს ძლივს იკავებდა და მორჩილად ელოდებოდა, როდის დაასრულებდა მოყოლას. ამბის ბოლო ასეთი იყო:

- ჰოდა, ვუყურებდი საშუალო ასაკის იმ გაბღენძილ რეგვენს და ვიხსენებდი, როგორი იყო, - ალბათ, ისიც ფიქრობდა თავის-

თვის, რა სამწუხაროა, რომ მოლი ასე შეიცვალაო, - მაგრამ რატომ ვაკრიტიკებ ასე ყველასა და ყველაფერს? რატომ არავინ მომწონს სინამდვილეში? არასოდეს? და საქმე ის კი არაა, რომ ახლანდელი ვარიანტები წარსულის მშვენიერ გამოცდილებასთან ახლოსაც ვერ მივა, რადგან მაშინაც, წარსულში, არ მახსოვს მომენტი, თავისთვის მეთქვას: „აი, ეს სწორედ ის არის“. მაგრამ მე ხომ მრავალი წელი ვიხსენებდი სემს სევდით, ნოსტალგიით, რომ ის საუკეთესო იყო მთელი იმ ჯგროდან და ვერაფრით ამეხსნა, რატომ დავიწუნე მაშინ მე იდიოტმა, არადა, დღეს ვიხსენებდი, როგორ ძლიერ მღლიდა უკვე მაშინ... და რას აპირებ, ჯენეტი რომ დაიძინებს? წახვალ სადმე?

- არა, სახლში ვიქნები.

- თეატრში უნდა გავქანდე. ისედაც ვაგვიანებ. ანა, ძალიან გთხოვ, ჩემთან ერთ საათში დარეკე, რაიმე საბაბით, და ტომი მოიკითხე.

- მითხარი, რა გაწუხებს ასე?

- დღეს ტომი რიჩარდთან იყო ოფისში. კი, ყველაფერი ვიცი, რასაც მეტყვი ამაზე და მართალიც იქნები. რიჩარდმა დამირეკა და მითხრა: „კატეგორიულად მოვითხოვ, ტომი ჩემთან დაუყოვნებლივ მოვიდეს“. ასეც გადავეცი: „მამაშენი მოითხოვს, მასთან დაუყოვნებლივ მიხვიდე“. მიპასუხა: „კარგი, დედა“, - ადგა და წავიდა. დიახ, აი, ასე მარტივად. არ სურს, მეკამათოს, აიღო და კოჭი გამიგორა. ისეთი განცდა მქონდა, რომ მეთქვა, გადახტი ფანჯრიდან-მეთქი, გადახტებოდა.

- მერე რიჩარდმა დაგირეკა?

- დაახლოებით სამი საათის წინ დამირეკა, სარკაზმისგან გაბერილმა, უპირატესობის გრძნობით აღსავსემ, ქედმაღალმა, და მითხრა, რომ მე ტომისა არ მესმის. ვუპასუხე, რომ მიხარია, თუ-

კი მისი ვინმეს საერთოდ ესმის. და მითხრა, ტომი ეს-ესაა წავიდაო. მაგრამ შინ არ დაბრუნებულა. მის ოთახში შევედი, საწოლზე ფსიქოლოგიის წიგნები დაუხვავებია, ბიბლიოთეკიდან მოათრია. გეგონება, ყველას ერთდროულად კითხულობსო... ანა, გავიქეცი, მთელი ნახევარი საათი მჭირდება გრიმის გასაკეთებლად, - წყეული, სულელური პიესაა, რა ჭირად დავთანხმდი ამ როლს? კარგი, ღამე მშვიდობისა.

ათი წუთის შემდეგ, როდესაც ანა სამუშაო მაგიდასთან იდგა და აბრს იკრებდა, უკვე აპირებდა ლურჯი რვეული აეღო, რომ ტელეფონმა ისევ დარეკა.

- ეს წამია, მარიონმა დამირეკა. წარმოგიდგენია, ტომი მასთან მისულა მოსანახულებლად. ეტყობა, გამოვიდა თუ არა რიჩარდისგან, დაჯდა მატარებელზე და მასთან გაემგზავრა. თხუთმეტი-ოცი წუთი ყოფილა და წასულა. მარიონმა თქვა, ძალზე ჩუმი და მშვიდი იყოო. არადა, ტომი ასეთი უკვე დიდი ხანია აღარ ყოფილა. ანა, არ გეჩვენება, რომ ეს ძალზე უცნაურია?

- ჩუმი და მშვიდი იყო?

- ჰო. მარიონი კი ისევ მთვრალი. რიჩარდი, ცხადია, შინ არ ბრძანდებოდა. ახლა სახლში შუაღამეზე ადრე არც მიდის - ხომ იცი, იქ, ოფისში, ქალი ჰყავს. მარიონი ამაზე ბევრს მელაპარაკა, მიყვებოდა და მიყვებოდა გაუთავებლად. ალბათ, ტომისაც სწორედ ამაზე ესაუბრა. შენზეც ბევრი მელაპარაკა, ნუ ღელავ, შენზეც აქვს რაღაც მოსაზრებები. ამიტომ მგონია, რომ რიჩარდმა უთხრა, თქვენ შორის რაღაც რომ მოხდა.

- სინამდვილეში არ მომხდარა.

- ისევ ნახე?

- არა. და არც მარიონი მინახავს.

ქალები იდგნენ, თითოეული - ტელეფონთან, თავ-თავიანთ სახლში; დუმდნენ; ახლა ერთ ოთახში რომ ყოფილიყვნენ, ერთმანეთს ალმაცერად გადახედავდნენ ან ალმაცერად გაუღიმებდნენ. უეცრად ანამ გაიგონა:

- ანა, ძალიან მეშინია. რაღაც საშინელება ხდება, ზუსტად ვიცი. ო, ღმერთო, რა ვქნა, არადა, გასაქცევი ვარ, ტაქსის დაჭერა მომიწევს. კარგად.

ჩვეულებრივ, როდესაც ანა კიბეზე ფეხის ხმას გაიგონებდა, თავის ოთახში შედიოდა ხოლმე, უელსელ ყმაწვილთან ზედმეტი ურთიერთობა თავიდან რომ აერიდებინა. ამჯერად ადგილზე დარჩა, უცდიდა და სიხარულის შეძახილისგან ძლივს შეიკავა თავი, როდესაც დაინახა, თურმე ტომი იყო, მასთან მოვიდა. ტომიმ მოწონების გულისხმიერი ღიმილით შეავლო თვალი ანასა და მის ოთახს, ფანქარს მის ხელში, მაგიდაზე გაშლილ რვეულებს, ყველაფერი აშკარად ისე იყო, როგორც მოელოდა. მერე კი უცებ ტომიმ ღიმილი მოსხიპა, თვალები ჩაუქრა და მზერა სადღაც შიგნით გადაიტანა, თითქოს საკუთარ თავში იყურებოდა, გამომეტყველება დაუსერიოზულდა და საზეიმო გაუხდა. ანა ინსტინქტურად გაიწია ტელეფონისკენ, მაგრამ თავი შეიკავა, გაიფიქრა, რაიმე საბაბით ზევით უნდა ავიდე და იქიდან დავრეკოო. ტომიმ უთხრა:

- როგორც ვხვდები, გინდა დედაჩემს დაურეკო, არა?

- ჰო. ეს-ესაა დამირეკა.

- მაშინ ადი ზევით და დარეკე. სულაც არა ვარ წინააღმდეგი.

ეს კეთილშობილური ჟესტი იყო: ერთგვარი მცდელობა, დაძაბულობა განემუხტა.

- არა, აქედან დავრეკავ.

- როგორც ვხვდები, დღეს ჩემს ოთახში ნამდვილი ჯაშუშივით შეიპარა, გუნება მაგრად მოეშხამებოდა, როცა იმ წიგნებს ნახავდა სიგიჟეზე.

როდესაც ანამ სიტყვა „სიგიჟე“ გაიგონა, გაოგნდა. იგრძნო, როგორ ეძაბებოდა სახე. როცა მიხვდა, ტომიმ ეს შენიშნა, ენერგიულად, კატეგორიული ტონით შესძახა:

- ტომი! დაჯექი! უნდა დაგელაპარაკო, მაგრამ ჯერ მოლის დავურეკავ.

ტომი არც გაუოცებია ანას მოულოდნელ კატეგორიულობას.

დაჯდა, სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა: ფეხები შეატყუპა, ხელები სახელურებზე დააწყო, - უყურებდა, როგორ კრეფდა ანა ტელეფონის ნომერს. მაგრამ მოლი უკვე წასულიყო. ანა საწოლზე ჩამოჯდა, გაღიზიანებული, მოღუშული: სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ტომის მათი შეშინება სიამოვნებდა. ტომიმ შენიშნა:

- ანა, შენი საწოლი კუბოს ჰგავს.

ანამ თავის თავს გვერდიდან შეხედა: პატარა, ფერმკრთალი, შავ პერანგსა და შავ შარვალში, არაფერი ზედმეტი, ზის, ფეხებმოკეცილი ვიწრო საწოლზე, შავი ქსოვილი რომ აქვს გადაფარებული.

- მაშ, კუბო ყოფილა, - თქვა ანამ, მაგრამ წამოდგა და სავარძელში გადაჯდა, ტომის პირისპირ. ოთახს ათვალიერებდა, საგნიდან საგანზე გადაჰქონდა მზერა, ყველაფერს გულდასმით სინჯავდა, ანას იმდენივე დრო დაუთმო, რამდენიც მის სავარძლებს, წიგნებს, ბუხარსა და სურათებს.

- გავიგე, დღეს მამაშენთან ყოფილხარ?

- კი.

- რა უნდოდა?

- ალბათ, გინდოდა გეთქვა: „თუკი უფლება მაქვს ვიკითხო“, - თქვა მან.

და ჩაიქირქილა. ეს რაღაც ახალი იყო - უნებური, მჭახე, გაბოროტებული ჩაქირქილება. ანამ იგრძნო, რომ ისევ პანიკა ეუფლებოდა. ძალიან მოუნდა, თვითონაც ჩაეცინა. ანამ სცადა, თავი ხელში აეყვანა, თავს უთხრა: „ჯერ ხუთი წუთიც არაა, რაც მოვიდა და მისი ისტერიკული განწყობა გადაგედო, ინფექციასავით, ფრთხილად უნდა ვიყო“.

ანამ გაიღიმა და უთხრა:

- მართლაც მაგის თქმა მინდოდა, მაგრამ თავი შევიკავე.

- და რა აზრი აქვს ამ ყველაფერს? კარგად ვიცი, რომ შენ და დედაჩემი მუდმივად ჩემზე ლაპარაკობთ, მამუშავებთ. ჩემ გამო შიშობთ.

და ანამ ისევ იგრძნო ტომის მშვიდი, მაგრამ გაბოროტებული სიხარული. ანას წინათ მასში მცირედი ავისმოსურნეობა თუ გაბოროტება არასოდეს შეუნიშნავს; უეცრად მოეჩვენა, რომ მის ოთახში ვიღაც უცხო იდგა. გარეგნულადაც კი სხვანაირი იყო, რადგან ტომის შავგვრემან, ცოტა არ იყოს, ტლანქ, ჯიუტ სახეზე მოზეიმე, გაბოროტებული ღიმილი დასთამაშებდა: ვიწრო თვალების ჭრილიდან შესცქეროდა, ქვემოდან ზემოთ მტრულად უყურებდა და უღიმოდა:

- მაშ, რა უნდოდა მამაშენს?

- მითხრა, რომ ერთი ფირმა, რომელსაც მისი ფირმა აკონტროლებს, განაში კაშხალს აშენებს. მკითხა, ხომ არ გინდა იქ წასვლა და აფრიკელთა საკეთილდღეოდ წამუშავებაო, - ისეთი სამსახური შემომთავაზა, სადაც მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე უნდა ვიზრუნო.

- უარი უთხარი?

- ვუთხარი, რომ ამის აზრს ვერ ვხედავ. ვგულისხმობ, რომ მამაჩემისთვის ამ ყველაფრის აზრი მხოლოდ ისაა, რომ ისინი იაფი მუშახელია. და თუნდაც მივაღწიო იმას, რომ აფრიკელები უფრო ჯანმრთელები გახდნენ, ოდნავ უკეთესი კვება ჰქონდეთ და თუნდაც მათი შვილებისთვის სკოლების გახსნა მოვახერხო, ამას მაინც არავითარი აზრი არ ექნება. მაშინ მამაჩემმა მითხრა, რომ მეორე კომპანია, რომელიც ასევე ეკუთვნის მის კომპანიას, ჩრდილოეთ კანადაში რაღაცას აშენებს და შემომთავაზა, იქ წავიდე და დაახლოებით ასეთივე საქმე ვაკეთო.

ანას უყურებდა და ელოდებოდა, რას ეტყოდა. გაბოროტებული უცნობი გაქრა; ახლა ანას პირისპირ ისევ ძველი ტომი იჯდა, ფიქრობდა, შუბლი ეჭმუხნებოდა, ეჭვები აწუხებდა. უცებ თქვა:

- იცი, სულაც არაა სულელი.

- არა მგონია, ოდესმე გვეთქვას, რომ რიჩარდი სულელია.

ტომიმ მოთმინებით გაიღიმა, თითქოს უთხრა: „მართალს არ ამბობ“. ანას გასაგონად კი თქვა:

- როდესაც ვუთხარი, არ მინდა ამ სამუშაოს ხელი მოვკიდო-- მეთქი, მამაჩემმა მკითხა, რატომო და მეც ავუხსენი. მაშინ კი თქვა, ეს კომუნისტური იდეების გავლენის ბრალიაო.

ანას გაეცინა: „ცხადია, ამას იტყოდა“, ხმამაღლა კი თქვა:

- მე და დედაშენს გვგულისხმობს.

ტომი ელოდა, სანამ იმას იტყოდა, რასაც თვითონაც მოელოდა, მერე კი ჩაილაპარაკა:

- აი, ხომ ხედავ. არა, მამაჩემს ეს არ უგულისხმია. გასაკვირი არაა, რომ ერთმანეთი სულელები გგონიათ; ერთმანეთისგან სისულელეს ელით, ყოველთვის მზადა ხართ ამისთვის. როდესაც ჩემი მშობლების ურთიერთობას ვუყურებ, ვერც ერთს ვე-

ღარ ვცნობ, ერთმანეთთან ისეთი სულელები არიან. შენც, რიჩარდთან ურთიერთობისას.

- ჰო, კარგი, მაგრამ, მაშ რა იგულისხმა?

- მითხრა, ის, თუ როგორ პასუხობ ჩემს წინადადებას, დასავლეთის ქვეყნებზე კომუნიზმის რეალური გავლენით მიღებული შედეგების ერთგვარი შეჯამებააო. თქვა, რომ ნებისმიერი, ვინც კი იყო პარტიაში ან ახლაც პარტიაშია, ან ოდესმე როგორღაც დაკავშირებული იყო მასთან, განდიდების მანიითა შეპყრობილი. და დასძინა, პოლიციის უფროსი რომ ვყოფილიყავი და სადმე კომუნისტები აღმომეჩინა, ერთადერთ კითხვას დავუსვამდი: „თანახმა იქნებით თუ არა, რომ გაემგზავროთ დაბალგანვითარებულ ქვეყანაში და იქ სოფლის ორმოცდაათადგილიან საავადმყოფოს უხელმძღვანელოთ?“ და ყველა წითელი უპასუხებს: „რა აზრი აქვს ორმოცდაათი კაცის ჯანმრთელობაზე ზრუნვას, როდესაც საზოგადოების საბაზისო მოწყობა უცვლელი რჩება“.

ტომი წინ გადაიხარა, ანას თვალებში ჩახედა და ჰკითხა:

- რას იტყვი, ანა?

ანამ გაიღიმა და მოწონების ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მერე თქვა:

- არა, ეს სულაც არ ჟღერს სულელურად.

- სწორედაც.

ტომი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და შვებით ამოისუნთქა. მან, ასე ვთქვათ, მამა გადაარჩინა, დაიცვა მოლისა და ანას ზიზღისაგან და ახლა მათაც მიუზღო საკადრისი:

- მე კი ვუთხარი, რომ ეს ტესტი შენი ან დედაჩემის გამოვლინების საშუალებას არ მისცემდა, რადგან ორივენი წახვიდოდით იმ სოფლის საავადმყოფოში, ხომ ასეა?

ტომისთვის მნიშვნელოვანი იყო ანას ეთქვა „დიახ“, მაგრამ ანას უნდოდა ბოლომდე გულწრფელი ყოფილიყო, თავისი თავის გულისთვის.

- კი, წავიდოდი, მაგრამ რიჩარდი მაინც მართალია. მან ზუსტად აღწერა ის, თუ რა განცდა მექნებოდა მაგ დროს.

- მაგრამ ხომ მაინც წახვიდოდი?

- კი.

- საინტერესოა, მართლა წახვიდოდი? მე, ალბათ, არა. ანუ მე ორივე წინადადებაზე უკვე უარი ვთქვი. აი, პასუხიც. არადა, კომუნისტიც კი არასოდეს ვყოფილვარ - უბრალოდ თვალს გადევნებდით შენ, დედაჩემსა და თქვენს მეგობრებს, როგორ საქმიანობდით და ამან იმოქმედა ჩემზე. მე ნებისყოფის დამბლა მაქვს.

- ეს რიჩარდმა გითხრა? ნებისყოფის დამბლა? - ჰკითხა ანამ, რადგან ყურებს არ დაუჯერა.

- არა. მაგრამ ამას გულისხმობდა. ეს განსაზღვრება ერთ--ერთ წიგნში ამოვიკითხე, სიგიჟეზე როა. მამაჩემმა ის თქვა, რომ კომუნისტური ქვეყნების გავლენა ევროპაზე იმით გამოიხატა, რომ ადამიანებისთვის ყველაფერი სულერთი გახდა, უმჯობესია, არც კი მიმართო, რადგან ყველა შეეგუა იმ აზრს, რომ შეიძლება მთელი ქვეყანა სულ რაღაც სამ წელიწადში შეიცვალოს — როგორც ჩინეთი ან რუსეთი. და თუკი ადამიანები უახლოეს მომავალში ვერ ხედავენ გლობალურ ცვლილებებს, ჯობს, თავი გაანებო, მათთვის უკვე სულერთია... როგორ ფიქრობ, ასეა?

- მხოლოდ ნაწილობრივ. ეს იმ ადამიანებს ეხება, რომლებმაც ერთხანს კომუნისტური მითის წიაღში გაატარეს.

- ცოტა ხნის წინ შენ თვითონ იყავი კომუნისტი, ახლა კი ამბობ, „კომუნისტური მითიო“.

- ზოგჯერ მგონია, მე და დედაშენს გვადანაშაულებ, და ბევრ ჩვენგანსაც იმის გამო, რომ კომუნისტები აღარა ვართ.

ტომიმ თავი ჩაქინდრა, მოიღუშა,

- მახსოვს, როგორი საქმიანები, აქტიურები იყავით, როგორ დაქროდით აქეთ-იქით, მუდმივად რაღაცას აკეთებდით. ახლა კი ასე აღარ არის.

- შენი აზრით, ნებისმიერი საქმიანობა ჯობს არანაირს?

ტომიმ თავი ასწია და მკვახედ, თითქოს ბრალს სდებსო, უთხრა:

- შენ იცი, რასაც ვგულისხმობ.

- კი, რა თქმა უნდა, ვიცი.

- გამოიცანი, რა ვუთხარი მამაჩემს? ვუთხარი, იქ რომ წავსულიყავი და დამეწყო ეს უმსგავსი საქველმოქმედო საქმიანობა, მუშებს შორის რევოლუციური ჯგუფების ჩამოყალიბებას დავიწყებდი-მეთქი. სულაც არ გაბრაზებულა. მითხრა, რომ ჩვენს დროში რევოლუცია დიდი ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი რისკია და პროფილაქტიკურ ზომებს მიიღებდა, რევოლუციური აჯანყების შემთხვევისთვის, მე რომ წამოვიწყებდი, დაზღვევის სისტემას შეიმუშავებდა.

ანას არაფერი უთქვამს და ტომიმ დასძინა:

- ეს ხუმრობა იყო, გესმის?

- კი, მესმის.

- კიდევ ვუთხარი, რომ შეუძლია მშვიდად იძინოს და ჩემზე არ ინერვიულოს, რადგან რევოლუციას არ მოვაწყობ. ეს რომ ოცი წლის წინ ხდებოდეს, მოვაწყობდი. ახლა კი არა. იმიტომ, რომ ჩვენ უკვე ვიცით, რა ხდება რევოლუციურ ჯგუფებში: ხუთი წელიც არ გავიდოდა, რომ ერთმანეთის ხოცვას დავიწყებდით.

- ეს არ არის აუცილებელი.

ტომის მზერაში აშკარად იკითხებოდა: „მართალი არა ხარ“, ხმამაღლა კი თქვა:

- მახსოვს შენი და დედაჩემის ერთი საუბარი, ერთ-ორი წლის წინანდელი. მაშინ დედაჩემს უთხარი: „ჩვენ რომ კომუნისტები ვყოფილიყავით რუსეთში ან უნგრეთში, ან კიდევ სადმე, ერთ--ერთი ჩვენგანი აუცილებლად დახვრეტდა მეორეს როგორც მოღალატეს“. ესეც ხუმრობა იყო.

ანამ თქვა:

- ტომი, დედაშენსაც და მეც, ჩვენ ორივეს, საკმაოდ რთული ცხოვრება გვქონდა, ბევრ რამეს ვაკეთებდით. შენ აღარ უნდა ელოდო ჩვენგან ახალგაზრდულ ენთუზიაზმს, ლოზუნგებს, გამარჯვების ყიჟინას, საბრძოლო მოწოდებებს. ჩვენ ორივენი საშუალო ასაკში შევდივართ, ვუახლოვდებით მას.

ანა თავის თავს უსმენდა და მიხვდა, რომ ეს ყველაფერი ერთგვარი გულცივი გაოცებით თქვა, თითქმის გაღიზიანებითაც კი.

თავის თავს უთხრა: „ისე ვლაპარაკობ, როგორც ბებერი, დაღლილი ლიბერალი“, მაგრამ გადაწყვიტა, პოზიცია არ დაეთმო. ტომის გახედა და მის საკმაოდ სკეპტიკურ მზერას წააწყდა. ტომიმ უთხრა:

- იმის თქმა გინდა, რომ არა მაქვს უფლება ვილაპარაკო როგორც ადამიანმა, რომელმაც საშუალო ასაკს მიაღწია? ჩემს ასაკში? მაგრამ, ანა, მე ასე აღვიქვამ თავს, ვგრძნობ, რომ არა ვარ ახალგაზრდა. რას მეტყვი ამაზე?

გაბოროტებული უცნობი ისევ მობრუნდა, მის წინ იჯდა, თვალები ავად უელავდა.

ანამ სწრაფად ჩაილაპარაკა:

- ტომ, აი, რა მითხარი: როგორ შეაჯამებდი საუბარს მამაშენთან?

ტომიმ ამოიოხრა და ისევ დაემსგავსა თავის თავს.

- ყოველ ჯერზე, როცა ოფისში ვხედავ, მიკვირს. მახსოვს, როგორ იყო ეს პირველად, - მანამდე ყოველთვის ან სახლში ვხედავდი, ან მარიონთან. როგორ გითხრა... ვუყურებდი როგორც ერთ ორდინარულ, ჩვეულებრივ, მოსაწყენ კაცს, გესმის? როგორადაც შენ და დედაჩემს მიგაჩნიათ ის. მოკლედ, როცა ოფისში პირველად ვნახე, დავიბენი, - ვიცი, ახლა მეტყვი, რომ ეს იმ ძალაუფლების ბრალია, რომელიც აქვს, თავისი ფულის გამო. მაგრამ საქმე მხოლოდ ეს არ ყოფილა. იქ კიდევ იყო რაღაც სხვა, უფრო მნიშვნელოვანი. ბევრად. მომეჩვენა, რომ სულაც არაა ორდინარული, მეორეხარისხოვანი.

ანა იჯდა და ფიქრობდა: „საით მიჰყავს საუბარი? ეტყობა, რაღაც გამომრჩა. მაგრამ რა?“

ტომიმ შენიშნა:

- ვიცი, რასაც ფიქრობ. ტომი თვითონაა ორდინარული და მეორეხარისხოვანიო.

ანა აილეწა, ადრე მართლაც ასე ფიქრობდა. ტომიმ შენიშნა, რომ ანა გაწითლდა და გესლიანად გაუღიმა. თქვა:

- ორდინარული ადამიანები აუცილებლად სულელები კი არ არიან, ანა. კარგად ვიცი, რასაც წარმოვადგენ. სწორედ ამიტომაც ვგრძნობ თავს უხერხულად, როცა მამაჩემის ოფისში მივდივარ და ვუყურებ, როგორ მართავს საქმეს, ვხედავ, რომ ბიზნესში ძალიან დიდი კაცია. მეც კარგად გამომივიდოდა ეს. თუმცა, არა, ვერ შევძლებდი, ვერასოდეს შევძლებდი, რადგან გაორებული ცნობიერებით მომიწევდა ცხოვრება - შენი და დედაჩემის გამო. მშვენივრად მესმის, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც შენ და დედაჩემი ხართ, ათასჯერ უკეთესი ხართ, ვიდრე იგია, მიუხედავად იმისა, რომ უიღბლოები ხართ და ცხოვრება ვერ

ააწყვეთ. ოღონდ ჯობდა, ეს არ მცოდნოდა. დედაჩემს არავითარ შემთხვევაში არ უთხრა, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, მამაჩემს გავეზარდე, - მას რომ გაეკეთებინა ეს, ბედნიერი ვიქნებოდი და როცა დრო მოვიდოდა, მის სამუშაო სავარძელში დავიკავებდი ადგილს.

ანამ გამომცდელად გახედა: ეჭვი შეეპარა, რომ ტომიმ ეს სწორედ იმ განზრახვით უთხრა, რომ მოლის აუცილებლად ყველაფერს მოუყვება და გულს ატკენს. თუმცა, ტომის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ მშვიდი, მოთმინებით აღსავსე და გულმოდგინე თვითანალიზით იყო დაკავებული.

ამავე დროს, ანამ იგრძნო, რომ ისევ ისტერიკა ეწყებოდა; თანაც იცოდა, რომ ეს ტომის მდგომარეობის ანარეკლი იყო; სასოწარკვეთილი ეძებდა სიტყვებს, რომლებიც დაეხმარებოდნენ ამ მდგომარეობასთან გამკლავებაში. ანამ დაინახა, როგორ ძალიან ნელა მიატრიალა ტომიმ მძიმე თავი მოკლე და მსხვილ კისერზე და გახედა მის რვეულებს, რომლებიც თითქოს საგანგებოდ გამოეფინათ სამუშაო მაგიდაზე და გაიფიქრა: „ღმერთო, ოღონდ ეს არა, იმედია, აქ იმისთვის არ მოსულა, რომ მათზე მელაპარაკოს? და თვით ჩემზე?“

ანამ სასწრაფოდ უთხრა:

- მგონი, შენ ძალზე ამარტივებ მამაშენის პიროვნებას. მე არ მიმაჩნია, რომ მისთვის უცხოა ცნობიერების გაორება: ერთხელ რიჩარდმა თქვა, ჩვენს დროში დიდი ბიზნესმენი რომ იყო, იგივეა, ამანათების მეტად მკვირცხლი და მარჯვე დამტარებელი იყოო. და არ დაგავიწყდეს, რომ ოცდაათიან წლებში კომუნიზმით იყო გატაცებული. ბოჰემური ცხოვრებაც მოსწონდა და კიდეც ცხოვრობდა, ოღონდ არცთუ დიდხანს.

- და ახლა, ეს თავს რომ გაახსენოს, მდივან ქალებთან რომანებს ხლართავს. ეს აძლევს საშუალებას, თავს დაუმტკიცოს, რომ ერთი ჩვეულებრივი კბილანა კი არ არის იმ ბორბლისა, „საშუალო კლასი“ რომ ეწოდება.

ეს უკმეხად გახლდათ ნათქვამი, შურისგებით, და ანამ გაიფიქრა: „აი, რაზე უნდა, რომ მელაპარაკოს“. შვებით ამოისუნთქა.

ტომიმ თქვა:

- მას მერე, რაც დღისით მამაჩემთან ოფისში ვიყავი, მერე მარიონთან წავედი. უბრალოდ, მომინდა, მენახა. ჩვეულებრივ, მას მხოლოდ ჩვენთან, შინ ვხედავ ხოლმე. მთვრალი იყო, ბავშვებს კი ისე ეჭირათ თავი, თითქოს ამას ვერ ამჩნევდნენ. მიყვებოდა მამაჩემსა და მდივან ქალებზე, ბავშვებს კი ისე ეჭირათ თავი, თითქოს ვერ ხვდებოდნენ, რას მიყვებოდა.

ტომი გაჩუმდა, ელოდებოდა, ანა რას ეტყოდა; მისკენ გადაიწია, თვალები მოჭუტა, ისევ ბრალმდებლის მზერა ჰქონდა, მაგრამ რადგან ანა დუმდა, განაგრძო:

- რატომ არ გინდა გულწრფელად თქვა? რატომ არ მეუბნები, რასაც ფიქრობ? ვიცი, რომ მამაჩემი გეზიზღება. და იმიტომ, რომ არ არის კარგი კაცი.

ამის გაგონებაზე, „არ არის კარგი“, ანას უნებლიეთ გაეცინა, ტომიმ კი წარბი შეკრა.

ანამ უთხრა:

- უკაცრავად, მაგრამ ეს ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელსაც არ ვხმარობ.

- ვითომ რატომ? შენ ხომ ამას გულისხმობ? მამაჩემმა მოსპო მარიონი და ახლა სპობს მის შვილებს. შენ ხომ ვერ იტყვი, რომ მარიონია ყველაფერში დამნაშავე?

- ტომი, არ ვიცი, რა გითხრა... შენ მოხვედი ჩემთან და ვიცი, რომ ჩემგან საღ, გონივრულ სიტყვას ელი. არადა, არ ვიცი, უბრალოდ, არ ვიცი...

ტომის ფერმკრთალი, ოფლით დაცვარული სახე გულგამგმირავად მართალი ჩანდა, მის თვალებში გულწრფელობა გამოკრთოდა. მაგრამ მის თვალებში კიდევ იყო რაღაც - გაბოროტებული კმაყოფილების ნაპერწკლები; იგი ადანაშაულებდა ანას, რომ იმედი გაუცრუა, თანაც, უხაროდა, ასე რომ მოხდა. ტომიმ ისევ მიაბრუნა თავი და მის რვეულებს გახედა. „აი, ახლა, - გაიფიქრა ანამ, - უნდა ვუთხრა ის, რაც უნდა, რომ ჩემგან გაიგონოს“. მაგრამ ვერ მოასწრო ამ აზრის ბოლომდე მიყვანა, რადგან ტომი წამოდგა და მისი რვეულებისკენ წავიდა. ანა დაიძაბა, მაგრამ არ განძრეულა, მისთვის აუტანელი იყო თვით აზრი, რომ ვიღაცას შეიძლებოდა მის რვეულებში ჩაეხედა. ამავე დროს, გრძნობდა, რომ ტომის ჰქონდა ამის უფლება, თუმცა, ანას არ შეეძლო, აეხსნა, რატომ. ანასთან ზურგით იდგა და რვეულებს დაჰყურებდა. მერე მოიხედა და უთხრა:

- ოთხი რვეული რატომ გაქვს?

- არ ვიცი.

- უნდა იცოდე.

- არასოდეს მითქვამს ჩემი თავისთვის, ჩანაწერებს ოთხ რვეულში გავაკეთებ-მეთქი. თავისთავად მოხდა.

- და რატომ არ შეიძლება ერთი რვეული იყოს?

ანამ ცოტა იფიქრა და თქვა:

- შესაძლოა იმიტომ, რომ დიდი არეულობა იქნებოდა. ქაოსი.

- იყოს მერე. რატომაც არა?

ანა სიტყვებს არჩევდა, როდესაც ზედა სართულიდან ჯენეტის ხმა გაისმა.

- დედა?

- რა იყო? მეგონა, გეძინა.

- მეძინა, წყალი მომწყურდა. ვის ელაპარაკები?

- ტომის. გინდა ამოვიდეს და ძილი ნებისა გისურვოს?

- მინდა. და წყალიც მინდა.

ტომი აუჩქარებლად შებრუნდა და გავიდა; ანას ესმოდა, სამზარეულოში როგორ აავსო ჭიქა წყალი, როგორ მძიმედ ავიდა კიბეზე. ამასთან, საოცარი მღელვარებაც იგრძნო: თითქოს მისი სხეულის ყოველი ნაწილი და ყოველი უჯრედი რაღაც გამაღიზიანებელი ნივთიერების ზემოქმედებაში მოექცა. ტომის ყოფნა მის ოთახში და აუცილებლობა, მოეფიქრებინა, როგორ მორეოდა, აიძულებდა მეტ-ნაკლებად შეენარჩუნებინა ცივი გონება, არ დაეკარგა თავი. მაგრამ ახლა უკვე ძლივს ცნობდა თავს, ეტირებოდა, თან სიცილი უნდოდა, ყვირილიც კი უნდოდა, უნდოდა, რაღაც დაემსხვრია, რაღაც მოეგდო ხელში და ეჯანჯღარებინა მანამ, სანამ... ეს რაღაც, რა თქმა უნდა, ტომი იყო. ანა თავს გამოუტყდა, რომ მისი განწყობა, მისი მდგომარეობა გადაედო, რომ მისმა ემოციებმა დაიმორჩილა; განცვიფრებით გაიფიქრა, რომ ის, რაც მის სახეზე გაბოროტებისა და სიძულვილის გამონაშუქად ჩანდა, ხოლო ხმაში კი სისასტიკისა და უკმეხობის მოკლე-მოკლე ამოფრქვევად ჟღერდა, ეტყობა, სინამდვილეში გარეგნული გამოვლენა იყო ისეთი საშინელი ძალის მძვინვარე სულიერი ქარიშხლისა, რომ... და უცებ იგრძნო, რომ ხელისგულებსა და იღლიებში ცივმა ოფლმა დაასხა. ძალიან შეშინდა, ყველა მისი განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა ერთზე დაიყვანებოდა: შეძრწუნებული იყო. მაგრამ ხომ შეუძლებელი იქნებოდა, ფიზიკურად შინებოდა ტომის? ასე ეშინოდა და ბავშვთან გაგზავნა? არა, ჯენეტის გამო ანა წამითაც

კი არ შიშობდა. ესმოდა, ზემოთ ორი ხმა როგორ მხიარულად ჟღერდა, ერთმანეთს ერთვოდა. მერე სიცილი გაისმა - ჯენეტი იცინოდა. შემდეგ - ნელი, მიზანმიმართული ნაბიჯები და ტომიც შემოვიდა. უმალ იკითხა:

- როგორ გგონია, როგორი იქნება ჯენეტი, როცა გაიზრდება?

სახე გაფითრებული და გაკერპებული ჰქონდა, მეტი არაფერი: ანას როგორღაც გულზე მოეშვა. ტომი სამუშაო მაგიდასთან იდგა, ცალი ხელით ეყრდნობოდა. ანამ უთხრა:

- არ ვიცი. ჯერ მხოლოდ თერთმეტი წლისაა.

- შენ ამაზე არ ნერვიულობ.

- არა. ბავშვები მუდმივად იცვლებიან. საიდან შეიძლება ვიცოდე, მერე რა მოუნდება?

ტომიმ ტუჩები გაბუსხა, სკეპტიკურად გაიღიმა.

ანამ ჰკითხა:

- რა იყო? ისევ რაღაც სისულელე წამოვროშე?

- საქმე ისაა, როგორ ლაპარაკობ. საქმე შენს მიდგომაშია.

- უკაცრავად.

ძალაუნებურად ეს სიმწრითა და, ცხადია, გაღიზიანებით თქვა, და ტომის სახეზე ღიმილმა გაიელვა - კმაყოფილების ღიმილმა.

- ჯენეტის მამაზე ფიქრობ ხოლმე?

ეს დარტყმა პირდაპირ სასულეში მოხვდა; ანამ იგრძნო, შიგნით როგორ დაეძაბა და შეეკუმშა ყველაფერი. თუმცა, მაინც უპასუხა:

- არა, თითქმის არასოდეს.

ტომი დაჟინებული და გაქვავებული მზერით მიაჩერდა, ანამ კი განაგრძო:

- შენ გინდა, პატიოსნად მოგიყვე ჩემს გრძნობებზე, არა? შენ ეს წამია ზუსტად ტკბილი დედილოს სტილში ალაპარაკდი. ხშირად მეუბნებოდა, დაახლოებით ასე: „ის შენი შვილის მამა“. ან: „ის თქვენი ქმარი იყო“. მაგრამ ეს ჩემთვის ლიტონი სიტყვებია. შენ რა გადარდებს, რომ დედაშენს არ უყვარდა რიჩარდი? ისე, შემიძლია პირდაპირ გითხრა, რომ დედაშენი გაცილებით მეტად იყო მისით გატაცებული, ვიდრე მე - მაქს ვულფით.

იდგა ტომი მის წინ გაჭიმული, გაფითრებული, საკუთარ თავში მზერაჩაბრუნებული; ანას ეჭვი შეეპარა, ხედავდა თუ არა, ესმოდა თუ არა რაიმე საერთოდ. თუმცა, როგორც ჩანს, მაინც ესმოდა, ამიტომ ანამ განაგრძო:

- კარგად მესმის, რას ნიშნავს, გყავდეს შვილი კაცისგან, რომელიც არ გიყვარს. თუმცა, ეს ვერ გავიგე მანამ, სანამ სხვა კაცი არ შემიყვარდა. მინდოდა, მაიკლისგან ბავშვი მყოლოდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ გავაჩინე შვილი იმ კაცისგან, რომელიც არ მიყვარდა...

ანა დადუმდა, გაირინდა, ვეღარ გაიგო, უსმენდა თუ არა? ტომი კედელს მიაშტერდა, რომელიღაც წერტილს უყურებდა, ანასგან რამდენიმე ფუტის დაშორებით. მერე ანაზე გადაიტანა ამღვრეული, გაბნეული მზერა და უძლური სარკაზმით უთხრა, - ანას არასოდეს სმენოდა, ასე ელაპარაკა:

- გააგრძელე, ანა, ჩემთვის ეს ნამდვილი გამოცხადებაა... ვისმენ, თუ როგორ მსჯელობენ გამოცდილი ადამიანები თავიანთ გრძნობებზე.

გულგამგირავად, სერიოზულად უყურებდა, ამიტომ ანამ ჩაიხშო მღელვარება, ტომის სარკაზმმა რომ გამოიწვია, და განაგრძო:

- მგონი, საქმე ასეა: ეს არაა საშინელება — შემიძლია ვთქვა, ეს შეიძლება იყოს საშინელება, მაგრამ არ არის დამანგრეველი, არ წამლავს მთელ ცხოვრებას - შეგიძლია გაძლო უიმისოდ, რაც გსურს. არაფერია ცუდი იმაში, რომ უთხრა საკუთარ თავს: „ეს სამუშაო მთლად ის არაა, რაც მინდოდა, მე მეტის გაკეთება შემიძლია“. ან: „მე ვარ კაცი, რომელსაც სიყვარული სჭირდება, არადა, უმისოდაც ვცხოვრობ“. აი, რა არის მართლაც საშინელება, - გეჭიროს თავი ისე, თითქოს სიყვარული არ გჭირდება, მაშინ, როცა გჭირდება. ანდა, თითქოს მოგწონს შენი სამსახური, როდესაც იცი, რომ მეტი შეგიძლია. საშინელება იქნებოდა, დანაშაულის გრძნობის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო მეთქვა: „მე მიყვარდა ჯენეტის მამა“, როდესაც კარგად ვიცი, რომ არ მიყვარდა. ასევე ცუდი იქნებოდა, დედაშენს ეთქვა: „მე მიყვარდა რიჩარდი“. ან: „მე მიყვარს ჩემი სამუშაო“...

ანა გაჩუმდა. ტომიმ თავი დაუქნია, ანამ ვერ გაიგო, კმაყოფილი იყო იმით, რაც მოისმინა, თუ მისი მოსაზრება იმდენად ცხადი იყო, რომ ტომის არ სჭირდებოდა, ვინმეს ეს ეთქვა. ტომი ისევ რვეულებს მიუბრუნდა, ლურჯყდიანი გადაშალა. ანამ დაინახა, სარკასტული სიცილისგან მხრები უცახცახებდა, - იმიტომ იცინოდა, რომ ანას გული სტკენოდა.

- რა იყო?

ტომიმ ხმამაღლა წაიკითხა:

- „12 მარტი, 1956 წელი. უეცრად ჯენეტი აუტანელი და აგრესიული გახდა. საერთო ჯამში - განვითარების რთული ფაზა“.

- მერე რა?

- მახსოვს, როგორ ჰკითხე ერთხელ დედაჩემს: „როგორაა ტომი?“ დედაჩემის ხმა საიდუმლო ლაპარაკისთვის მაინცდამა-

ინც არ გამოდგება. მჟღერი ჩურჩულით გიპასუხა: „ოჰ, ახლა განვითარების რთულ ფაზაშია“.

- შეიძლება ასეც იყო.

- რთული ფაზა. ეს მოხდა ერთ საღამოს, როცა შენ და დედა-ჩემი სამზარეულოში ვახშმობდით. მე ვიწექი, თქვენ კი მასლაათობდით და იცინოდით. ქვემოთ ჩამოვედი, წყალი რომ დამელია. იმ პერიოდში თავს უბედურად ვგრძნობდი, ყველაფრის გამო ვნერვიულობდი. ვერ ვაკეთებდი საშინაო დავალებებს, სკოლაში რომ გვაძლევდნენ, ღამღამობით მეშინოდა. წყალი, რა თქმა უნდა, მხოლოდ საბაბი იყო. მე სამზარეულოში ყოფნა მინდოდა, რადგან თქვენ ისე გემრიელად იცინოდით. არ მინდოდა, მიმხვდარიყავით, როგორ მეშინოდა. როცა გამოვედი სამზარეულოდან, ამ თქვენს დიალოგს მოვკარი ყური.

- მერე?

ანამ იგრძნო, რომ სრულიად გასავათდა; ჯენეტზე ფიქრობდა. ჯენეტმა ეს-ესაა გაიღვიძა და წყალი მოითხოვა. ცდილობს თუ არა ტომი, მიანიშნოს, რომ ჯენეტი უბედურია?

- ამან ბოლო მომიღო, - თქვა ტომიმ სევდიანად, - მთელი ბავშვობა ვცდილობდი, რაღაცისთვის მიმეღწია, რაც მნიშვნელოვნად, სიახლედ მიმაჩნდა. იმ ღამით გავიმარჯვე - ბნელ კიბეზე ჩამოსვლა შევძელი და ისე დავიჭირე თავი, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. რაღაცას უნდა მივკედლებოდი, რაღაც გრძნობას, თუ რას წარმოვადგენ სინამდვილეში. დედაჩემი კი ამბობდა, ასეთი და ასეთი ფაზა აქვსო. სხვანაირად რომ ვთქვათ, რასაც პირადად მე ვგრძნობ, სრულიადაც არ არის მნიშვნელოვანი, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ჯირკვლების ან რაღაც ამდაგვარის ფუნქციონირების შედეგია თურმე და ამან დროთა განმავლობაში უნდა გაიაროს.

ანამ არაფერი უპასუხა; ჯენეტზე წუხდა. მაგრამ მისი გოგონა კომუნიკაბელური, მხიარული ჩანს და კარგადაც სწავლობს. ღამღამობით ძალზე იშვიათად იღვიძებს და ერთი სიტყვაც არ დასცდენია, რომ სიბნელის ეშინია.

ტომიმ ჩაილაპარაკა:

- ალბათ, შენ და დედაჩემმა ახლაც თქვით, რომ ისევ რთულ ფაზაში ვარ?

- თქმით თითქოს არ გვითქვამს, მაგრამ, ეტყობა, ვგულისხმობდით, - ანამ დაძაბულმა მიუგო.

- და რასაც ახლა ვგრძნობ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს? მაგრამ როდისღა, რა მომენტში მომანიჭებთ უფლებას, ვუთხრა თავს, რომ ჩემს გრძნობებს აქვს ძალა, აქვს მნიშვნელობა? ბოლოს და ბოლოს, ანა... - ტომი მისკენ შებრუნდა, - არ შეიძლება მთელი ცხოვრება რაღაც ფაზებს გადიოდე. მაშინ სადღაც ხომ უნდა არსებობდეს მიზანი?

მისი თვალები სიძულვილს ასხივებდა და ანას ძალის დაძაბვა დასჭირდა, რომ ეპასუხა:

- თუკი გგონია, რომ მე რაღაც მიზანს მივაღწიე და შენზე რაღაც სიმაღლიდან ვმსჯელობ, სიმაღლიდან, შენს პოზიციას რომ დაჰყურებს, ცდები.

- ფაზები, - ტომი მაინც თავისას აწვებოდა, - სტადიები. მზარდი ტკივილი.

- მე კი მგონია, რომ ქალები სწორედ ასე ხედავენ ყველაფერს, მათ შორის, ადამიანებს. მით უმეტეს, საკუთარ შვილებს. თავდაპირველად არის ცხრა თვე, როდესაც არ იცი, ბიჭი დაიბადება თუ გოგო. ზოგჯერ ინტერესით ვფიქრობ ხოლმე: როგორი იქნებოდა ჯენეტი, ბიჭად რომ დაბადებულიყო. ნუთუ არ გესმის? მერე ჩვილები განვითარების ყველა სტადიას გადიან, უმცროსი

ასაკის ბავშვები ხდებიან. როდესაც ქალი უყურებს ბავშვს, ის მისი განვითარების ყველა სტადიას ხედავს, ახსოვს ყველაფერი, რაც მანამდე იყო. ზოგჯერ ვუყურებ ჯენეტს და ვხედავ, როგორი ჩვილი იყო, ვგრძნობ მას მუცელში და ვხედავ მას სხვადასხვა ასაკის, ზომის გოგონად, ამ ყველაფერს, ერთდროულად.

ტომი საყვედურითა და სარკაზმით უყურებდა, მაგრამ ანა მაინც განაგრძობდა:

- ქალები ასე ვხედავთ ყველაფერს. ყველაფერი თავისთავად ერთგვარ უწყვეტ შემოქმედებით პროცესს შეადგენს. და რა, განა ეს ჩვენთვის ბუნებრივი არ არის, ყველაფერს ვხედავდეთ ასე და მხოლოდ ასე?

- მაგრამ თქვენ საერთოდ ვერ ხედავთ ჩვენში პიროვნებებს. ჩვენ მხოლოდ რაღაცის დროებითი ფორმები ვართ. ფაზები.

ტომიმ გესლიანად გაიცინა. ანამ გაიფიქრა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ტომიმ პირველად გაიცინა გულიანად და ცოტა გული მიეცა. ერთხანს არც ერთს ხმა არ ამოუღია, ტომი ნახევრად მიბრუნებული იყო მისგან, რვეულებს ფურცლავდა, ანა კი ყურადღებით შესცქეროდა, ცდილობდა, დაწყნარებულიყო, ღრმად ესუნთქა, ცდილობდა, სიმშვიდე და წონასწორობა შეენარჩუნებინა. თუმცა, ხელისგულები ოფლისგან ჯერ კიდევ ნოტიო ჰქონდა. ისევ და ისევ ერთი აზრი მოსდიოდა თავში: ეტყობა, ვიბრძვი, რომელიღაც უხილავ მტერს ვეჯახებიო. თითქმის ხედავდა კიდეც მტერს - ეს იყო რაღაც ბოროტი, ამაში ანას ეჭვი არ ეპარებოდა, თითქმის მატერიალურად ხილული არსი, ბოროტებისა და ნგრევისგან აგებული, და ეს რაღაც იდგა მასა და ტომის შორის, ცდილობდა, ორივე დაეღუპა.

ბოლოს ანამ თქვა:

- მე ვიცი, რას ეძებ აქ, რისთვის მოხვედი. მოხვედი იმისთვის, რომ აგიხსნა, რისთვის ვცხოვრობთ ჩვენ ყველა. მაგრამ წინასწარ იცი, რა შემიძლია გითხრა, რადგან ძალიან კარგად მიცნობ. ეს კი ნიშნავს, რომ აქ მოხვედი წინასწარი ცოდნით იმისა, თუ რას გეტყვი, რაღაცაში რომ დარწმუნდე.

და ანამ ჩუმად და თავისთვისვე მოულოდნელად დასძინა:

- აი, რატომ მეშინია.

ეს ვედრება იყო, ტომისკენ მიმართული; ტომიმ გამოხედა და ამ მზერამ ანა დაარწმუნა, რომ მართლაც უნდა ეშინოდეს რაღაცის.

ტომიმ ჯიუტად უთხრა:

- გინდა მითხრა, რომ ერთი თვის შემდეგ გრძნობები შემეცვლება, ყველაფერი სხვანაირად იქნება. და თუკი არა? განა არ შეიძლება ეს დავუშვათ? ჰოდა, მითხარი, ანა: რისთვის ვცხოვრობთ?

ახლა ანასთან ზურგშექცევით იდგა, უხმო და მოზეიმე სიცილი აცახცახებდა.

- ჩვენ, ანუ ჩვენისთანა ადამიანები, რაღაცით ვგავართ ბოლო ჟამის სტოიკოსებს, - უთხრა ანამ.

- შენ მეც იმ ტიპის ადამიანებს მიმაკუთვნებ, რაც თავად ხარ? დიდი მადლობა, ანა.

- შესაძლოა, შენი უბედურება ისაა, რომ დიდი არჩევანი გაქვს და არჩევანის გაკეთება გიჭირს.

ანა ტომის ზურგზე ატყობდა, რომ ყურადღებით უსმენდა, ამიტომ განაგრძო:

- მამაშენის დახმარებით შეგიძლია გაემგზავრო ორი ათეულიდან ნებისმიერ ქვეყანაში და თითქმის ნებისმიერი სამუშაო მიიღო. მე და დედაშენს ასევე შეგვიძლია შემოგთავაზოთ

თორმეტიოდე სხვადასხვა საქმიანობა - თეატრში ან რომელიმე გამომცემლობაში. ან ხუთიოდე წელი შეგიძლია სასიამოვნო უსაქმურობაში გაატარო, - მე და დედაშენი შეგინახავდით იმ შემთხვევაშიც, თუკი მამაშენი უარს იტყოდა ამაზე.

- შეიძლება ათასი საქმე გამონახო, მაგრამ მხოლოდ ვიღაც ერთი შეიძლება იყო, - ჯიუტად ჩაილაპარაკა ტომიმ, - მაგრამ იქნებ მე ჩემი თავი ამ დიდი არჩევანის ღირსად არ მიმაჩნია? იქნებ არა ვარ სტოიკოსი... რეგი გეითსს იცნობ?

- მერძევის შვილს? არა, მაგრამ დედაშენი მიყვებოდა მასზე.

- რასაკვირველია, მოგიყვებოდა.. თითქმის მესმის კიდეც, რა გამოთქმებს იხმარდა. საქმე კი ისაა, და დარწმუნებული ვარ, დედაჩემმა სწორედ ასე აგიხსნა, იმ ჯეელს საერთოდ არა აქვს არჩევანი. სტიპენდია მიიღო და თუ გამოცდას ვერ ჩააბარებს, მამამისთან ერთად მთელი ცხოვრება რძის დამტარებელი იქნება. მაგრამ თუკი ჩააბარებს, და დარწმუნებული ვარ, ჩააბარებს, ეგრევე საშუალო კლასში აღმოჩნდება, ჩვენ გვერდით. მას არ გააჩნია ასობით არჩევანი. მას მხოლოდ ერთი შესაძლებლობა აქვს. მაგრამ მართლა იცის, რა უნდა. ნებისყოფის დამბლა არ აწუხებს.

- შენ იმის გამო გშურს რეგი გეითსისა, რომ ესოდენ მწირი შესაძლებლობები აქვს?

- ჰო. თანაც, წარმოიდგინე, კონსერვატორია. მიაჩნია, რომ ვინც სისტემით უკმაყოფილოა, სრული იდიოტია. წინა კვირას ერთად ვიყავით ფეხბურთზე. მინდა ისეთი ვიყო, როგორიც რეგია.

ტომიმ ისევ გაიცინა და ანას ამ სიცილის გაგონებაზე გააჟრჟოლა. ტომიმ განაგრძო:

- ტონი გახსოვს?

- კი, - მიუგო ანამ და გაახსენდა მისი სკოლის ერთ-ერთი მეგობარი, რომელმაც ყველა გააოცა იმით, რომ იდეური მოსაზრებებით უარი თქვა სამხედრო სამსახურზე. ორი წელი იძულებით ქვანახშირის მაღაროში იმუშავა, ნაცვლად იმისა, ჯარში წასულიყო, რითიც თავისი რესპექტაბელური ოჯახი ძლიერ დაამწუხრა.

- ტონი სამი კვირის წინ სოციალისტი გახდა.

ანას გაეცინა, მაგრამ ტომიმ თქვა:

- ესაა სწორედ საქმე. გახსოვს, უარი რომ თქვა სამხედრო სამსახურზე? ეს მხოლოდ იმისთვის გააკეთა, რომ მშობლები გაემწარებინა. შენც იცი, ანა, ასეა.

- კი მაგრამ, მან ხომ პატიოსნად მოიხადა ის ორი წელი მაღაროში, განა არა?

- ტონის კარგად ვიცნობ. დარწმუნებული ვარ, ეს ხუმრობასავით რამ იყო. ერთხელ ისიც კი მითხრა, არა ვარ დარწმუნებული, სწორად მოვიქეცი თუ არაო. მაგრამ მითხრა, არ მივცემ მშობლებს უფლებას, როგორც მოეხასიათებათ, ისე მაბურთაონო. სწორედ ასე თქვა.

- და მაინც, - დაიჟინა ანამ, - ეს სულაც არ იქნებოდა ადვილი, ასეთი სამუშაო, და ტონიმ ყველაფერს გაუძლო.

- არა, ანა, საქმე ეს არაა. და ახლა ზუსტად ასევე გახდა სოციალისტი. შენ იცნობ ახალი ტიპის სოციალისტებს — ძირითადად, ოქსფორდული ტიპის ჯეელები არიან, არა? ჟურნალ „მემარცხენე რევიუს“ ან რაღაც ამდაგვარის გამოცემა გადაწყვიტეს. მოკლედ, გავიცანი ეგენი. ლოზუნგებს გაიძახიან, ბრბოსავით იქცევიან...

- ტომი, სისულელეს ამბობ.

- არა, არ ვამბობ სისულელეს. ერთადერთი მიზანი, რომლის გამოც ამ ყველაფერს აკეთებენ, ისაა, რომ დღეს კომპარტიაში უკვე აღარავინ შედის, ეს ერთგვარი ჩანაცვლებაა. რაღაცნაირ ველურ ჟარგონზე ლაპარაკობენ. მე ხომ მახსოვს, შენ და დედა-ჩემი როგორ დასცინოდით ამ ჟარგონს, მაშინ იმათ რატომღა აქვთ უფლება ასე ლაპარაკისა? იმიტომ, რომ ახალგაზრდები არიან. თუმცა, ალბათ, მეტყვი, რომ ეს საკმარისი არაა. მე კი სხვა რამეს გეტყვი: ხუთიოდე წლის შემდეგ ტონის ექნება მშვენიერი სამსახური ქვანახშირის მრეწველობის ნაციონალურ სამმართველოში ან კიდევ სადმე. შესაძლოა, პარლამენტის წევრი გახდეს ლეიბორისტული პარტიიდან. დაიწყებს ორატორობას მემარცხენეობასა და სოციალისტებზე, - ტომი უკვე ლამის ყვირილით ლაპარაკობს, სუნთქვა ეკვრის.

- იქნება მართლა სასარგებლო საქმე გააკეთოს, - ვარაუდი გამოთქვა ანამ.

- სინამდვილეში ტონის არაფრისა არა სწამს. ეს ყველაფერი მხოლოდ პოზიციაა, რომელიც დაიკავა. გოგო ჰყავს და ცოლადაც მოიყვანს. სოციოლოგია. ერთ-ერთია მათი კომპანიიდან. სულ ერთად დარბიან, პლაკატებს აკრავენ, ლოზუნგებს გაჰყვირიან.

- ისე ლაპარაკობ, თითქოს გშურს.

- ანა, ასე ზემოდან ნუ მელაპარაკები. ბავშვივით მექცევი.

- მე ეს არ მიგულისხმია. მგონი, ცდები.

- არა, არ ვცდები. ზუსტად ვიცი, შენ და დედაჩემი ტონიზე რომ ლაპარაკობდეთ, სულ სხვა რამეს იტყოდით. უნდა ნახო იმის გოგო. წარმომიდგენია, რას იტყვი. იმ კომპანიაში ყველას დედასავითაა. ანა, რატომ არ მელაპარაკები გულწრფელად?

ბოლო სიტყვები სახემოქცეულმა, თითქმის ყვირილით თქვა. ტომი რამდენიმე წუთი გაცოფებული შესცქეროდა ანას, მერე მკვეთრი მოძრაობით შებრუნდა - თითქოს ეს აფეთქება სჭირდებოდა, გამბედაობა რომ მოეკრიბა - მისი რვეულების კითხვა დაიწყო; მისი ზურგი ლამის ასხივებდა მის გადაწყვეტილებას, სასტიკი წინააღმდეგობა გაეწია, თუკი ანა ამას დაუშლიდა.

ანა იჯდა ჩუმად, თითქოსდა გაშიშვლებული და ყველას დასანახავად გამოჭენებული, და თავს აიძულებდა, არ გატოკებულიყო. სასტიკად იტანჯებოდა, ფიქრობდა, თუ რამდენად ინტიმურია სინამდვილეში მისი დღიურები. ტომი კი კითხულობდა და კითხულობდა მის რვეულებს რაღაც ავადმყოფური გაცხარებით, ანა კი უბრალოდ იჯდა, წყნარად და უძრავად. მერე მიხვდა, რომ არაქათი გამოეცალა, ლამის სტუპორში ჩავარდა და სასხვათაშორისოდ გაიფიქრა: „მაშ, რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს? თუკი ესაა ყველაფერი, რაც სურს, რა მნიშვნელობა აქვს ჩემს განცდებს?“

რაღაც ხნის მერე (შესაძლოა, მთელი საათიც კი გავიდა) ტომიმ იკითხა:

- სხვადასხვანაირი ხელით რატომ წერ? და ზოგ ნაწყვეტს ფრჩხილებში რატომ სვამ? ზოგ გრძნობას მნიშვნელობას ანიჭებ და ზოგიერთს არა? როგორ განსაზღვრავ, რა არის მნიშვნელოვანი და რა არა?

- არ ვიცი.

- არა, ასე ლაპარაკი არ გამოვა. ყველაფერი მშვენივრად იცი. აქა გაქვს ჩანაწერი, რომელიც მაშინ გააკეთე, როცა ჩვენთან ცხოვრობდი: „ფანჯარასთან ვიდექი და ქვემოთ ვიყურებოდი. გეგონებოდა, ტროტუარამდე რამდენიმე მილი იყო. უეცრად ვიგრძენი, რომ შემიძლია გადავხტე. უკვე წარმოვიდგინე, რო-

გორ ვაგდივარ ქვაფენილზე. მერე მომეჩენა, რომ გვამთან ვდგავარ ქვაფენილზე. გაორება დამემართა. გარშემო ყველაფერი სისხლითა და ტვინით იყო მორწყული. მუხლებზე დავდექი და სისხლისა და ტვინის ლოკვა დავიწყე“.

პროკურორის გამომეტყველებით გახედა, მაგრამ ანა დუმდა. - ეს ნაწერი დიდ ფრჩხილებში ჩასვი. მერე კი დაწერე: „წავედი მაღაზიაში და ვიყიდე ერთ-ნახევარი გირვანქა ტომატი, ნახევარი გირვანქა ყველი, ალუბლის მურაბის პატარა ქილა და მეოთხედი გირვანქა ჩაი. მერე ტომატის სალათი მოვამზადე და ჯენეტი პარკში სასეირნოდ წავიყვანე“.

- მერე რა?

- ეს ჩანაწერები ერთ დღესაა გაკეთებული. რატომ ჩასვი ფრჩხილებში პირველი ფრაგმენტი, სადაც წერ, რომ სისხლისა და ტვინის ლოკვა დაიწყე?

- ყოველ ჩვენგანს აქვს ხოლმე გიჟური და შლეგური ფანტაზიები, თუ როგორ გდია მკვდარი ქვაფენილზე, კანიბალიზმის ანდა თვითმკვლელობის თემაზე, ანდა რაღაც ამდაგვარზე.

- და ამას მნიშვნელობა არა აქვს?

- არა.

- ტომატი და მეოთხედი გირვანქა ჩაი - ეს რა, მნიშვნელოვანია?

- დიახ.

- რა გაიძულებს გადაწყვიტო, რომ სიგიჟესა და სისასტიკეს არა აქვს იმხელა ძალა, რაც მცდელობას, იცოცხლო?

- საქმე მხოლოდ ეს არაა. მე ფრჩხილებში სიგიჟესა და სისასტიკეს კი არ ვათავსებ. აქ რაღაც სხვაა.

- რა?

ტომი დაჟინებით მოითხოვდა პასუხს, ანა კი, სრულიად დაუძლურებული, ცდილობდა, პასუხი ეპოვა.

- აღქმის სხვა ტიპია. ნუთუ არ გესმის? იმ დღეს, როცა ვყიდულობ პროდუქტებს, ვაკეთებ საჭმელს, ვუვლი ჯენეტს და ვმუშაობ, მე, ვთქვათ, სიგიჟის აფეთქება მემართება - როცა ამას ვიწერ, ეს შემზარავი და დრამატული ჩანს. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩავიწერე. არადა, ის, რაც იმ დღეს რეალურად ხდებოდა, სრულიად ტრივიალური იყო.

- მაშინ რა საჭიროა ამის წერა? შენ აცნობიერებ, რომ მთელი ეს რვეული, ლურჯი, ავსებულია ან საგაზეთო მონაჭრებით, ანდა იმის მსგავსი ფრაგმენტებით, როგორიც ესაა, სისხლსა და ტვინზე, ყველაფერი ფრჩხილებშია ჩასმული, ანდა გადაშლილი, გადახაზული, მერე კი უცებ მოდის ჩანაწერი, რომ ტომატი და ჩაი იყიდე, თუ რაღაც ამდაგვარი?

- კი, მგონი, ასეა. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ მუდმივად ვცდილობ სიმართლე ვწერო და ვგრძნობ, რომ ეს ყველაფერი ტყუილია.

- შეიძლება, სიმართლეცაა, - თქვა ტომიმ მოულოდნელად, - შეიძლება, სიმართლეცაა, მაგრამ შენ ამის ატანა არ შეგიძლია და ამიტომაც შლი.

- შესაძლოა.

- ოთხი რვეული რატომაა? რა მოხდებოდა, დაგეწერა ერთი დიდი წიგნი, სადაც არ იქნებოდა არანაირი განყოფილებები, არანაირი ფრჩხილები, ყველაფერი ერთნაირი ხელით იქნებოდა დაწერილი?

- უკვე გითხარი - ქაოსი.

ტომი მოტრიალდა, ანასთვის რომ შეეხედა. მჟავედ ჩაილაპარაკა:

- აი, ზიხარ ასეთი პატარა და აკურატული და შეხედე, რაებს წერ.

ანამ მიუგო:

- ამწუთას ზუსტად დედაშენივით თქვი: ზუსტად ასე მაკრიტიკებს - ზუსტად ასეთივე ტონით.

- ნუ ცდილობ თავიდან მომიშორო, ანა. გეშინია ქაოსური იყო?

ანამ იგრძნო, რომ შიგნით ყველაფერი შიშისგან შეეკუმშა და წამიერი დუმილის მერე უთხრა:

- ალბათ, კი, მგონი, მეშინია.

- მაშინ ეს უსამართლობაა. ბოლოს და ბოლოს, ხომ გაქვს პრინციპები, არა? დიახ, გაქვს - გძულს ისეთი ადამიანები, როგორიც მამაჩემია, ადამიანები, რომლებიც თავის თავს საზღვრებს უწესებენ. მაგრამ შენც ხომ ზღუდავ თავს. იმავე მიზეზით. შენ გეშინია. შენც უპასუხისმგებლო ხარ.

ამ ბოლო ბრალდებაზე ტუჩები დაეძაბა, გამოებურცა, პირი დაემანჭა, - კმაყოფილების ღიმილით დაემანჭა. ანა უცებ მიხვდა, რომ ტომი მასთან სწორედ ამის სათქმელად მოვიდა. მთელი საღამო სწორედ ამ მომენტისკენ მიიკვლევდნენ გზას ესოდენი გაჭირვებით. ტომი ლაპარაკს აგრძელებდა, მაგრამ ანას მოულოდნელად გონება გაუნათდა და გააწყვეტინა:

- მე ხშირად კარს ღიას ვტოვებ, - ამ რვეულების საკითხავად ადრეც მოსულხარ?

- კი, მოვსულვარ. გუშინაც ვიყავი, მაგრამ დაგინახე, ქუჩაში რომ მოდიოდი და შეუმჩნევლად გავედი. ესე იგი, ანა, მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ შენ უსამართლოდ იქცევი. შენ ბედნიერი ადამიანი ხარ.

- მეე? ბედნიერი ადამიანი ვარ? - იკითხა ანამ ირონიულად.

- მოკლედ, საკუთარი ბედით კმაყოფილი. დიახ, ასეა. გაცილებით მეტად, ვიდრე დედაჩემი და ან ვინმე სხვა, ჩემი ნაცნობებიდან. მაგრამ თუ კარგად დაუკვირდები, დაინახავ, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა. ზიხარ აქ, წერ და წერ, მაგრამ არავისა აქვს უფლება, წაიკითხოს, - ეს ქედმაღლობაა, ადრეც მითქვამს შენთვის. საიმისოდ პატიოსნებაც კი არ გყოფნის, იყო ისეთი, როგორიც ხარ - ერთიანად დანაწევრებული, დამსხვრეული. მაშ, რატომ უნდა დამყურებდე ზემოდან, რატომ უნდა მეუბნებოდე: „შენ რთულ ფაზაში ხარ“. შენ თვითონ თუ არა გაქვს რთული ფაზა, მხოლოდ იმიტომ, რომ არანაირ ფაზაში არ შეიძლება იყო, შენ იღებ ზომებს და საკუთარ თავს სხვადასხვა სექციად ანაწილებ. თუკი ყველაფერი ქაოსურია, ასეც უნდა იყოს. არა მგონია, რაღაცაში მაინც იყოს მკაფიო სტრუქტურა, - ამას შენ იგონებ და აკეთებ იმიტომ, რომ გეშინია. სულაც არ მიმაჩნია, რომ ადამიანები კარგები არიან, პირიქით, კანიბალები არიან და თუკი დაუკვირდები, დაინახავ, რომ არავის არავინ ენაღვლება. უკეთეს შემთხვევაში, ადამიანს შეუძლია იყოს კარგი რომელიმე ერთ ადამიანთან ან თავის ოჯახთან. თუმცა, ეს ეგოიზმია, ეს არ ნიშნავს, რომ მართლა კარგი ხარ. ჩვენ არაფრით არა ვართ უკეთესები ცხოველებზე, ჩვენ უბრალოდ ისე ვიჭერთ თავს, თითქოს უკეთესები ვართ. სინამდვილეში, ჩვენ ერთმანეთი არ გვიყვარს.

ტომი ანასთან მივიდა, მის წინ ჩამოჯდა; ისევ თავის თავს დაემსგავსა. ანა ხედავდა ზანტ, ჯიუტ ბიჭს, რომელსაც წინათ იცნობდა. მერე კი ტომი წვრილი ხმით, შემაშინებლად აქირქილდა და ანამ დაინახა, რომ მასში გაბოროტება ისევ ღვივდებოდა.

ანამ მიუგო:

- ამაზე ვერაფერს გიპასუხებ, ასე არაა?

ტომი მისკენ გადაიხარა და უთხრა:

- კიდევ ერთ შანსს მოგცემ, ანა.

- რაო? - განცვიფრებულმა თქვა და კინაღამ გაეცინა, მაგრამ ტომის შემზარავი გამომეტყველება ჰქონდა და ანამ ჰკითხა:

- რას გულისხმობ?

- სერიოზულად ვამბობ. აი, მითხარი. შენ რომელიღაც ფილოსოფიის მიხედვით ცხოვრობდი, ასე არაა?

- ალბათ, ასეა.

- ახლა კი ამბობ, კომუნისტური მითიო. რის მიხედვით ცხოვრობ ახლა? ოღონდ ისეთი სიტყვები არ მითხრა, როგორიც „სტოიციზმია“, ეს არაფერს ნიშნავს.

- მგონი, საქმე ასეა: განსაზღვრული სიხშირით, შესაძლოა, საუკუნეში ერთხელ, ხდება რაღაც ქმედება, რომელსაც რწმენა ამოძრავებს. რწმენის ჭა ივსება და ამა თუ იმ ქვეყანაში ხდება მძლავრი გარღვევა. ესაა სვლა წინ მთელი მსოფლიოსთვის, რადგან ეს ქმედება, რომელიც მოძრაობაში წარმოსახვას მოჰყავს, წარმოდგენაა იმისა, რაც შესაძლებელია მთელი მსოფლიოსთვის. ჩვენს საუკუნეში ასეთი გარღვევა იყო 1917 წელი რუსეთში. ასევე, ჩინეთში. შემდეგ ჭა იწრიტება, რადგან სისასტიკესა და სიმახინჯეს, როგორც თავად თქვი, მეტისმეტად დიდი ძალა აქვს. და ათასობით ჭა ისევ ივსება. მერე კი ყველაფერი მტკივნეულად ყირავდება, წინ მიდის.

- წინ? - იკითხა ტომიმ.

- ყველაფრის მიუხედავად? სვლა წინ?

- დიახ, რადგან ყოველ ჯერზე ოცნება უფრო ძლიერდება. თუკი ადამიანებს შეუძლიათ რაღაცის წარმოსახვა, მოვა დრო, როცა ისინი ამას ხორცს შეასხამენ კიდეც.

- რის წარმოსახვა?

- იმის, რაზეც ლაპარაკობდი, - როგორ გახდნენ კარგები. სიკეთის. ცხოველის მდგომარეობიდან გამოსვლის.

- და ახლა ჩვენ რა გვრჩება? რა უნდა ვაკეთოთ?

- ოცნება შევინარჩუნოთ, რათა იცოცხლოს. იმიტომ, რომ მუდმივად მოდიან ახალი ადამიანები. ადამიანები, რომელთა ნებისყოფა არაა პარალიზებული.

ანამ სიტყვა შემართულმა, თავდაჯერებულმა დაასრულა, თავი ენერგიულად დააქნია და უმალ საკუთარი თავის სმენისას, გაიფიქრა, რომ ტკბილი დედილოც ზუსტად ასევე ამთავრებდა ხოლმე სეანსებს: „უნდა გჯეროდეს! უნდა არსებობდეს რწმენა!“ მოკლედ, მაჟორული ჰანგი - საყვირი და ფანფარები. ეტყობა, სახეზე თვითდადანაშაულების სუსტმა ღიმილმა გადაურბინა - კიდეც იგრძნო ის, თუმცა კი ყველაფრისა სჯეროდა, რასაც ამბობდა, - რადგან ტომიმ რაღაცნაირი ავი ნიშნის მოგებით დაუქნია თავი. ტელეფონი აწკრიალდა და ტომიმ თქვა:

- ეს დედაჩემია, ამოწმებს, ჩემი ფაზა როგორ იწოვება.

ანამ აიღო ყურმილი, თქვა, „გისმენთ“, მერე თქვა, „არა“, ყურმილი დაკიდა, ტომისკენ შებრუნდა და უთხრა:

- არა, დედაშენი არ იყო, მაგრამ ჩემთან ახლა მოვლენ.

- მაშ, ჩემი წასვლის დროა.

ტომი აუჩქარებლად წამოდგა, მიდიოდა მისთვის დამახასიათებელი მძიმე სიზანტით; განყენებული და თვითჩაღრმავებული გამომეტყველება მიეღო, რომლითაც რამდენიმე საათის წინ მოვიდა. თქვა:

- გმადლობთ, რომ დამელაპარაკე.

გულისხმობდა: „გმადლობთ, რომ დაადასტურე ჩემი მოსაზრებანი შენზე“.

ტომი გავიდა თუ არა, ანამ მოლის დაურეკა, რომელიც უკვე დაბრუნებულიყო თეატრიდან. ანამ უთხრა:

- ტომი იყო ჩემთან, ეს-ესაა წავიდა. ძალიან მაშინებს. რაღაც არაა ისე, როგორც უნდა იყოს, ოღონდ ვერ ვხვდები, რა. და არა მგონია, ის ვუთხარი, რაც უნდა მეთქვა.

- და რას ამბობდა?

- ამბობდა, რომ გარშემო მხოლოდ ხრწნაა და დამპლობა.

- ეგრეც არის, - თქვა მოლიმ ხმამაღლა და ხალისიანად. იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, რაც მათი ბოლო საუბრიდან გავიდა, რომლის დროსაც მისი შვილის მდგომარეობას განიხილავდნენ, მხიარული დიასახლისის როლის თამაში მოასწრო, როლისა, რომელსაც ვერ იტანდა პიესაში, რომელიც ეჯავრებოდა, - და როლიდან ჯერ კიდევ ვერ გამოსულიყო. და კიდევ, მოლიმ ერთ მსახიობთან ერთად პაბში შერბენაც მოასწრო და იქ ყოფნა მოეწონა. ასე რომ, თავის წინანდელ გუნება-განწყობას ერთობ დაშორდა.

- და ეს წუთია, მარიონმა ქვემოდან დამირეკა. ბოლო მატარებელს ჩამოჰყოლია მხოლოდ იმიტომ, რომ მომინახულოს.

- ღმერთი დიდებულო, რისთვის? - იკითხა მოლიმ აღელვებით.

- არ ვიცი. მთვრალია. ხვალ დილით მოგიყვები ყველაფერს. მოლი... - ანა პანიკაში იყო, ვერაფრით დაევიწყებინა, ახლაც თვალწინ ედგა, რა გამომეტყველებით წავიდა მისგან ტომი, - მოლი, სასწრაფოდ უნდა დავეხმაროთ ტომის. დარწმუნებული ვარ, ეს აუცილებელია.

- დაველაპარაკები, - მიუგო მოლიმ საქმიანად.

- მარიონი უკვე მოვიდა. კარი უნდა გავუღო. ღამე მშვიდობისა.

- ღამე მშვიდობისა. დილით მოგახსენებ ტომის სულიერ მდგომარეობას. მგონი, ტყუილად ვღელავთ. გაიხსენე, ჩვენ თვითონ რა საშინლად ვიქცეოდით მის ასაკში.

სანამ ყურმილს დაკიდებდა, ანამ მოასწრო იმის გაგონება, თუ როგორ ხმამაღლა და ხალისიანად გაიცინა მისმა მეგობარმა.

ანამ თითი დააჭირა ღილაკს, რომელიც სადარბაზოს კარის კლიტეს აღებდა და გაიგონა, როგორ ტლანქად ამოდიოდა მარიონი კიბეზე. შეეძლო გასულიყო და დახმარებოდა, თუმცა, სტუმარს ეს ნამდვილად არ ესიამოვნებოდა.

მარიონი ოთახში დაახლოებით ისეთივე ღიმილით შემოვიდა, როგორითაც ტომი: ეს იყო წინასწარ გამზადებული ღიმილი და მთელი ოთახისთვის განკუთვნილი. მარიონმა როგორღაც მიაღწია სავარძელს, რომელშიც ტომი იჯდა და შიგ მოწყვეტით ჩაეშვა. მძიმე ქალი იყო, - მაღალი, ხორცსავსე, დაღლილი ტანი ჰქონდა. სახე რბილი, უფრო სწორად კი - მოდუნებული, წაბლისფერი თვალების მზერა - დაბინდული. დაბინდული და ეჭვით აღსავსე. ახალგაზრდობაში მარიონი ტანწერწეტა, ცოცხალი და მხიარული ქალიშვილი იყო. „წაბლისფერთვალება გოგო“, როგორც ამბობდა რიჩარდი ოდესღაც სიყვარულით, ახლა კი მტრულად.

მარიონი თვალებს აცეცებდა, ხან მოჭუტავდა, ხანაც ფართოდ ახელდა. აღარ იღიმებოდა. ჩანდა, რომ მაგარი მთვრალი იყო და ანას უნდა დაეწვინა. ჯერჯერობით კი ანა მის წინ ჩამოჯდა, რომ მარიონს უფრო ადვილად შესძლებოდა მასზე მზერისა და ყურადღების კონცენტრირება - იმავე სავარძელში, რომელშიც იჯდა, როცა ტომი იყო მასთან.

მარიონმა მოძებნა მდგომარეობა, საიდანაც ანას დაინახავდა და გაჭირვებით ჩაილაპარაკა:

- რა ბედნიერი ხარ - შენ - ანა. დიახ - მე ასე მგონია - შენ - შენს გემოზე ცხოვრობ. რა კარგი ოთახია. და შენ - შენ - თავისუფალი ხარ. შენს გემოზე ცხოვრობ.

- მოლი, მოდი, დაგაწვენ, დილით ვისაუბროთ.

- შენ გგონია, მთვრალი ვარ, - თქვა მარიონმა ძალზე მკაფიოდ და ნაწყენი ადამიანის აღშფოთებით.

- კი, ცხადია, მთვრალი ხარ. რა მნიშვნელობა აქვს. უნდა გამოიძინო.

ამ დროისთვის ანა უკვე ძალიან დაიქანცა, დაღლილობა უეცრად დაატყდა თავს და ხელ-ფეხს თითქოს მიწისკენ ექაჩებოდა. სავარძელში ერთიანად მოშვებული იჯდა და ცდილობდა, ტალღებად წამოსულ დაქანცულობას გამკლავებოდა.

- დალევა მინდა, - ჭირვეულად თქვა მარიონმა, - დალევა მინდა, დალევა მინდა.

ანამ აიძულა თავი, ამდგარიყო, სამზარეულოში გასულიყო, სადაც ჩაიდნიდან ჭიქაში ჩაის ნაყენის ნარჩენი ჩაასხა, დაახლოებით ერთი კოვზი ვისკი დაუმატა და ეს სასმელი მარიონს მიართვა.

მარიონმა უთხრა, „გმადლობთ“. ხარბად მოსვა მისთვის მომზადებული ნაზავი და თავი დაუქნია. ჭიქა ფრთხილად ეჭირა, თითები მჭიდროდ, სიყვარულით შემოეხვია.

- როგორაა რიჩარდი? - იკითხა ამის მერე, სიტყვებს მკაფიოდ გამოთქვამდა, სახე დაძაბული ჰქონდა, რადგან ცდილობდა, სწორად ელაპარაკა. ანამ მისი ნათქვამი მარიონის ხმის ნორმალურ ჟღერადობაზე გადაიყვანა და გაიფიქრა: „ღმერთო ჩემო, მარიონი ჩემზე ეჭვიანობს, მე კი აზრადაც არ მომსვლია“.

ანამ ცივად ჩაილაპარაკა:

- კი მაგრამ, მარიონ, შენ ეს ჩემზე უკეთ არ იცი?

ანა მიხვდა, - მისი ტონის უკმეხობა იმ მთვრალ სივრცეში განქარდა, რომელიც მას და მის სტუმარს ყოფდა; ხედავდა, მარიონი ეჭვიანად ცდილობდა, გაეშიფრა მისი სიტყვების დაფარული აზრი. ანამ ნელა და ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

- მარიონ, ჩემ გამო რიჩარდზე ნუ ეჭვიანობ. რიჩარდმა თუკი რამე გითხრა, იცოდე, ტყუილია.

- შენ გამო არ ვეჭვიანობ, - უთხრა მარიონმა, სიტყვები სისინით ამოაფრქვია.

სიტყვამ „ეჭვიანობა“ მარიონს ეჭვიანობა გაუღვივა; და ანა რამდენიმე წამის განმავლობაში უყურებდა ეჭვიანობით ატანილ ქალს; მარიონი მოღრეცილი სახით ათვალიერებდა ოთახს, აკვირდებოდა საგნებს, რომლებიც განსაზღვრულ როლს ასრულებდნენ მის ეჭვიან ფანტაზიებში; მისი მზერა ისევ და ისევ ანას საწოლს უბრუნდებოდა.

- ეგ ტყუილია, - უთხრა ანამ.

- ეს - ეს არც ისე - არც ისე მნიშშშვნელოვანია, - თქვა მარიონმა და უცნაური ხმა გამოსცა, კეთილად ჩაიცინასავით, - რატომ შენ არა, როცა ამდენი? შენ მაინც არა ხარ საწყენი... მაგრამ მე მისთვის არავინ არა ვარ.

მარიონმა თავი უკან გადააგდო და ჩაისა და ვისკის ნაზავი სამი ხარბი ყლუპით შთანთქა.

- მე ეს მჭირდებოდა, - თქვა საზეიმოდ და ანას ჭიქა გაუწოდა, ისევ რომ შეევსო. ანამ ჭიქა არ გამოართვა. უთხრა:

- მარიონ, მოხარული ვარ, ჩემს სანახავად რომ მოხვედი, მაგრამ დამიჯერე, ცდები.

მარიონმა შემაშინებლად ჩაუკრა თვალი და მთვრალი კაცის ეშმაკურობით უთხრა:

- მე კიდევ მგონია, რომ შურის გამო ჩამოვედი. მე შენი მშურს. შენ ისეთი ხარ, როგორიც მე მინდოდა, ვყოფილიყავი - თავისუფალი ხარ, გყავს საყვარლები და რაც გინდა, იმას აკეთებ.

- მე არა ვარ თავისუფალი, - უთხრა ანამ და გააცნობიერა, რაოდენ ცივად ჟღერდა მისი ხმა და მიხვდა, ამისთვის რაღაც უნდა მოეხერხებინა.

ანამ თქვა:

- მარიონ, მე მინდა მყავდეს ქმარი. არ მომწონს ასეთი ცხოვრება.

- შენთვის ასე ლაპარაკი ადვილია. ოღონდ, რომ მოგენდომებინა, გათხოვდებოდი. მოკლედ, უნდა დამტოვო ღამის გასათევად. ბოლო მატარებელი უკვე წასულია. რიჩარდი კიდევ ისეთი ძუნწია, ჩემთვის მანქანასაც კი არ დაიქირავებს. რიჩარდი საშინლად ძუნწი კაცია. კი, კი, ძუნწია.

(ანამ შენიშნა, რომ მარიონი ბევრად უფრო ფხიზლად ლაპარაკობდა, როცა ქმარს ლანძღავდა.)

- შეგიძლია წარმოიდგინო, რომ ასეთი სიძუნწე შეუძლია? არადა, მდიდარია, ფული თავზე საყრელად აქვს. იცი, ჩვენ იმ ერთ პროცენტში შევდივართ, ყველაზე მდიდარი ადამიანების, ის კიდევ, ყოველი თვის ბოლოს ანგარიშებს მიმოწმებს. ტრაბახობს, ამ ერთ პროცენტში ვართო, მაგრამ როცა მოდური კაბა ვიყიდე, გამლანძღა. რასაკვირველია, როცა ანგარიშებს მიმოწმებს, არკვევს, რამდენს ვხარჯავ სასმელზე, მაგრამ ფულიც ასევე ენანება ჩემთვის.

- რატომ არ მიდიხარ დასაძინებლად?

- და სად დავიძინო. ზევით ვინაა?

- ჯენეტი და ჩემი მდგმური, მაგრამ არის კიდევ ერთი საწოლიც.

მარიონს თვალები გაუბრწყინდა; მზერაში აღტაცებასთან შეზავებული ეჭვი ჩაუდგა.

თქვა:

- როგორი უჩვეულოა, მდგმური რომ გყავს, ის ხომ მამაკაცია. შენგან პირდაპირ საოცარია.

ანამ ეს სიტყვები ისევ თარგმნა და თითქოს კიდეც გაიგონა, როგორ აქილიკებენ რიჩარდი და მარიონი, როცა მარიონი ფხიზელია ხოლმე. ქილიკობენ მისი მდგმურის გამო. ანას უცებ გულის რევა იგრძნო ზიზღისაგან, წინანდელთან შედარებით ეს ახლა გაცილებით იშვიათად მოსდიოდა, ზიზღისაგან, რომელსაც მასში იწვევდნენ ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ რიჩარდი და მარიონი. ანამ გაიფიქრა: „ცხოვრება ისე, როგორც მე ვცხოვრობ, ადვილი არაა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ისეთებთან ერთად მაინც არ მიწევს ცხოვრება, რიჩარდი და მარიონი რომ არიან. მე არ ვცხოვრობ იმ სამყაროში, სადაც ქალს შეუძლია მამაკაცი-მდგმური ისე შეუშვას სახლში, გესლიანი ქილიკი რომ არ დაიმსახუროს“.

- და რას ფიქრობს ამაზე ჯენეტი, რომ შენ აქ, შენს ბინაში, მამაკაცთან ერთად ცხოვრობ?

- მარიონ, მე მამაკაცთან ერთად არ ვცხოვრობ. მე დიდი ბინა მაქვს და ერთ ოთხს ვაქირავებ. ის კი იყო პირველი, ვინც ოთახის სანახავად მოვიდა და მოეწონა. ზემოთ არის ციცქნა ოთახი, სადაც არავინ ცხოვრობს. მომეცი ნება, დაგაწვინო.

- ლოგინში ჩაწოლა არ მიყვარს. არადა, ოდესღაც ეს ყველაზე ბედნიერი დროება იყო ჩემს ცხოვრებაში. როცა ახალდაქორ-

წინებული ვიყავით. აი, რატომ მშურს შენი. არც ერთ მამაკაცს აღარ ვუნდივარ. ყველაფერი დასრულდა. ზოგჯერ რიჩარდი ჩემთან წვება, მაგრამ თავის სტიმულირება უწევს. თუმცა, კაცები ბრიყვები არიან, ჰგონიათ, ჩვენ ვერაფერს ვამჩნევთ. ანა, თუ წოლილხარ ოდესმე კაცთან, რომელსაც იცოდი, რომ ამისთვის თავის აღგზნება სჭირდებოდა?

- გათხოვილი როცა ვიყავი, ამის მსგავსი რაღაც ხდებოდა.

- ჰო, მაგრამ შენ ის მიატოვე. ძალიანაც კარგი. ის თუ იცი, რომ ერთ კაცს შევუყვარდი? ჩემი ცოლად შერთვა უნდოდა და ამბობდა, რომ ჩემს შვილებსაც მიიღებდა. რიჩარდმა თავი მოიკატუნა, ვითომ ისევ ვუყვარდი. არადა, ერთადერთი, რაც უნდოდა, ის იყო, რომ გადამეფიქრებინა, კვლავაც მისი შვილების ძიძა რომ ვყოფილიყავი. მეტი არაფერი. ძალზე გულსატკენია, რომ ვერ მოვახერხე მისი მიტოვება, როცა მივხვდი, ეს იყო ერთადერთი, რაც ჩემგან უნდოდა. ის თუ იცი, რომ რიჩარდმა ამ ზაფხულს შვებულებაში თან წამიყვანა? და ყველაფერი მაინც ზუსტად ისევე იყო. ვწვებოდით ლოგინში და მას თავის სტიმულირება უხდებოდა. ვიცი, ამ დროს იმ პატარა გოგოზე ფიქრობდა, ოფისში რომ უზის.

მკვეთრი მოძრაობით გაიშვირა წინ ხელი, რომელშიც ჭიქა ჰქონდა და კატეგორიულად თქვა:

- დამისხი.

ანა ოთახიდან გავიდა, ჩაისა და ვისკის ისეთივე ნაზავი მოამზადა და შემობრუნდა. მარიონმა დალია და თავისი თავისადმი სიბრალულით ამოიკვნესა:

- როგორ იგრძნობდი თავს, ანა, რომ იცოდე, მამაკაცს აღარასოდეს ეყვარები? როცა შვებულებაში მივდიოდით, მეგონა, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. არ ვიცი, რატომ მეგონა.

პირველ საღამოს რესტორანში შევედით, გვერდით მაგიდასთან ახალგაზრდა იტალიელი ქალი იჯდა. რიჩარდი წამდაუწუმ უყურებდა და, ალბათ, ეგონა, ვერაფერს ვამჩნევდი. მერე მითხრა, ადრე უნდა დაწვე დასაძინებლადო. ის იტალიელი უნდოდა გამოეჭირა, მაგრამ ადრე დაწოლაზე უარი ვთქვი.

მარიონმა ამოიქვითინასავით და მერე კმაყოფილების გამკივანი შეძახილი აღმოხდა.

- არა, ვაჟბატონო, შენ ჩემთან ერთად იმისთვის კი არ წამოხვედი შვებულებაში, კახპებზე რომ ინადირო-მეთქი!

ხმა შურისგებით ჰქონდა აღსავსე, თვალები ცრემლებისგან დაუწითლდა, მსუქან ლოყებზე წითელი ლაქები დაეტყო.

- მეუბნება, შენ შვილები გყავსო, ასე არაა? მაგრამ რატომ უნდა მოვუარო შენს შვილებს, თუკი შენ ფეხებზე გკიდივარ-- მეთქი, - აი, რას ვპასუხობ. მაგრამ მას ეს არ ესმის. რატომ უნდა მოვუარო იმ კაცის შვილებს, რომელსაც არ ვუყვარვარ? განა მართალი არა ვარ, ანა, ა? განა მართალი არა ვარ? მიდი, მითხარი რამე, ხომ მართალი ვარ, არა? როცა მითხრა, შენი ცოლად მოყვანა მინდაო, მითხრა, რომ ვუყვარვარ, არ უთქვამს, სამ შვილს გაგიჩენ, მერე კი ბოზებში დავიწყებ სიარულს, შენ კი უნდა იჯდე და შვილებს მოუაროო. მითხარი რამე, ანა... შენ რა გენაღვლება, მხოლოდ ერთი შვილი გყავს და შეგიძლია აკეთო ყველაფერი, რაც მოგეპრიანება. შენთვის ადვილია რიჩარდის მოზიდვა, მას ხომ ნებისმიერ მომენტში შეუძლია შემოგირბინოს და ყველაფერი ჩქარ-ჩქარა მოახერხოს.

ტელეფონმა ერთხელ გაიწკრიალა და დადუმდა.

- ეს, ალბათ, შენი კაცებისგან ერთ-ერთია, - ივარაუდა მარიონმა, - შესაძლოა, რიჩარდიც კი. ჰოდა, თუ რიჩარდია, უთხარი, რომ აქა ვარ, რომ არ დავეხსნები. უთხარი.

ტელეფონი ისევ აწკრიალდა და აღარ გაჩერებულა.

ანა ყურმილის ასაღებად წამოდგა და გაიფიქრა: „მარიონი თითქმის გამოფხიზლდა“.

აიღო თუ არა ყურმილი, მოლის კივილი გაიგონა:

- ანა, ტომიმ თავი მოიკლა! თავში ისროლა!

- რაა?!

- ჰო! ეგრევე დაბრუნდა, შენ რომ დამირეკე. არაფერი უთქვამს, ზევით ავიდა. რაღაც ხმა გავიგონე, მაგრამ ვიფიქრე, კარი გაიჯახუნა-მეთქი. მერე ხმამაღალი კვნესა მომესმა, დიდი ხნის მერე. რაღაც ავძახე, მაგრამ არ მიპასუხა და ვიფიქრე, რომ მომეჩვენა. მერე რატომღაც შემეშინდა და ზევით ავედი, დავინახე, კიბეზე სისხლი ჟონავდა. არ ვიცოდი, ტომის თუ რევოლვერი ჰქონდა. ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ მოკვდება, ვიცი, გავიგონე, რა თქვეს პოლიციელებმა. მოკვდება! - უცებ იყვირა.

- საავადმყოფოში მოვდივარ. რომელი საავადმყოფოა?

შემდეგ მამაკაცის ხმა გაისმა.

- დიახ, მის, მე დაველაპარაკები.

მერე კი ყურმილში:

- თქვენი მეგობარი და მისი შვილი სენტ-მერის საავადმყოფოში მიგვყავს. მგონი, თქვენს მეგობარს უნდა, მის გვერდით იყოთ.

- ახლავე გამოვდივარ.

ანა მობრუნდა და მარიონს გახედა. თავი ჩამოვარდნოდა, ნიკაპი მკერდზე დაებჯინა. ანამ მარიონი დიდი გაჭირვებით ააყენა სავარძლიდან, საწოლამდე მიათრია და დატოვა. მარიონი საწოლზე გაიშხლართა: პირი ღია, სახე - დორბლისა და ცრემლებისგან სველი. ანამ პლედები დააყარა, შუქი ჩააქრო და რაც ეცვა, იმ ტანსაცმლით გავარდა გარეთ. შუაღამე დიდი ხნის გადა-

სული იყო. ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. არც ტაქსი ჩანდა. ანა ტირილ-ტირილით, სირბილით გაუყვა ქუჩას, თვალი მოჰკრა პოლიციელს და მისკენ გაიქცა.

- სასწრაფოდ საავადმყოფოში უნდა მივიდე! - უთხრა და მკლავში ჩაეჭიდა.

კიდევ ერთი პოლიციელი გამოჩნდა. პირველი ანასთან დარჩა, მეორე კი ტაქსის საძებნელად გავარდა. როცა მანქანა მოიყვანა, ერთ-ერთმა საავადმყოფომდე მიაცილა. ტომი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ექიმების აზრით, დილამდე ვერ გაატანდა.

რვეულები - შავი რვეული

შავ რვეულში მარცხნივ, სათაურის ქვეშ - „წყარო“, არაფერი ეწერა. სამაგიეროდ, გვერდის მარჯვენა ნახევარზე, საკმაოდ ბევრი რამ იყო დაწერილი.

მისტერ რეჯინალდ ტარბრუკის წერილია„ამალგამეიტედ ვიჟენიდან“ მის ანა ვულფს: „გასულ კვირას წავიკითხე - უნდა ვაღიარო, სრულიად შემთხვევით - თქვენი მშვენიერი წიგნი „ომის საზღვრები“. თავიდანვე გამაოცა მისმა გულწრფელობამ და სიახლემ. ჩვენ, რასაკვირველია, მუდმივად ვეძებთ სიუჟეტებს, რომლებიც სატელევიზიო დადგმებისთვის შეიძლება გამოდგეს. მინდა ამის თაობაზე გაგესაუბროთ. იქნებ მომავალ პარასკევს დღის პირველ საათზე შევხვდეთ და თითო ჭიქა დავლიოთ - იცით ბარი „ბლეკ ბული“ პორტლენდ-სტრიტზე? აუცილებლად დამირეკეთ“.

ანა ვულფის წერილი მისტერ რეჯინალდ ტარბრუკს: „მეტად მადლობელი ვარ თქვენი წერილის გამო. ალბათ, ჯობს, თავიდანვე პირდაპირ გითხრათ, რომ ძალზე იშვიათად ვუყურებ სატელევიზიო დადგმებს, რომლებმაც შეიძლება მომანდომონ მასობრივი ინფორმაციის ამ წყაროსთვის წერა. ვწუხვარ“.

მისტერ რეჯინალდ ტარბრუკის წერილი ანა ვულფს: „უდიდესი მადლობა გულწრფელობისთვის. მე კარგად მესმის თქვენი და სრულიად გეთანხმებით, სწორედ ამიტომაც მოგწერეთ მაშინვე, როგორც კი დავასრულე თქვენი მშვენიერი „ომის საზღვრები“. ჩვენ ძალიან გვჭირდება ახალი, გულწრფელად დაწერილი, მართალი პიესები. ხომ არ შემხვდებოდით სასაუბროდ

მომავალ პარასკევს „რედ ბერონში“? ეს ერთი პატარა, უპრეტენზიო რესტორანია, თუმცა იქ მშვენივრად ამზადებენ ხორცს“.

ანა ვულფი - რეჯინალდ ტარბრუკს: „დიდი მადლობა, მაგრამ მე მართლა იმას ვგულისხმობდი, რასაც გწერდით. მე რომ მჯეროდეს, ჩემთვის მისაღები ფორმით ტელევიზიისთვის „ომის საზღვრების“ ადაპტირება შესაძლებელია, სხვა დამოკიდებულება მექნებოდა. ასეა თუ ისე - გულწრფელად თქვენი“...

რეჯინალდ ტარბრუკი - ანა ვულფს: „რა სამწუხაროა, რომ ძალზე ცოტა მწერალი გვყავს, რომლებიც თქვენსავით გასაოცრად გულწრფელები არიან! გაძლევთ პატიოსან სიტყვას, არ მოგწერდით, ჭეშმარიტი შემოქმედებითი ტალანტები ასე ძალიან რომ არ გვესაჭიროებოდეს. ტელევიზიას ნამდვილი პიესები სწყურია! ძალიან გთხოვთ, ისადილეთ ჩემთან ერთად მომავალ ორშაბათს „უაით ტაუერში“. ალბათ, დრო დაგვჭირდება, რომ მართლა საფუძვლიანად და მშვიდად ვისაუბროთ. მეტად გულწრფელად, თქვენი“...

სადილი რეჯინალდ ტარბრუკთან „ამალგამეიტედ ვიჟენიდან“ „უაით ტაუერში“.

ანგარიში: 6 გირვანქა, 15 შილინგი, 7 პენსი.

სადილისთვის რომ ვემზადებოდი, ჩასაცმელს ვარჩევდი, გავიფიქრე, როგორ მოეწონებოდა ეს მოლის - ახალი როლის თამაში. გადავწყვიტე, „მწერლობით დაკავებული ქალბატონის“ სახე მიმეღო. გამოვიღე ქვედაკაბა, რომელიც მეტისმეტად გრძელი მაქვს, და ბლუზა, რომელიც ასევე ოდნავ დიდია. ორივე ჩავიცვი და მხატვრულობის პრეტენზიის მქონე მძივები ჩამოვიკიდე. და კიდევ, მოგრძო მარჯნის საყურე. ზუსტად ისე გამოვიყურებოდი, როგორც ამ როლს შეეფერება. თუმცა, ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს, თითქოს სხვის ტყავში ვიჯექი. თავს

საზიზღრად ვგრძნობდი. მოლიზე ფიქრმა არ მიშველა. ბოლო მომენტში ისევ ისე ჩავიცვი, როგორც ვიცვამ ხოლმე ჩვეულებრივ. დიდხანს ვიწვალე.

მისტერ ტარბრუკი (დამიძახეთ უბრალოდ რეგი) გაოცდა: ელოდებოდა, რომ მწერლობით დაკავებულ ქალბატონს იხილავდა. არადა, შუახნის სიმპათიური ინგლისელი აღმოჩნდა.

- მაშ, მის ვულფ, - თუ შეიძლება ანას დაგიძახებთ - ახლა რას წერთ?

- „ომის საზღვრების“ ჰონორარებს ვხარჯავ.

ცოტა არ იყოს, შოკირებულია: ისეთი ტონით ვლაპარაკობ, თითქოს მხოლოდ ფული მაინტერესებს.

- წიგნს, ეტყობა, დიდი წარმატება აქვს?

- ოცდახუთ ენაზე ითარგმნა, - ერთობ სასხვათაშორისოდ ვეუბნები.

ხუმრობაგაშვებით დაიმანჭა - ვითომდა, შემშურდაო. სხვა ტონალობაზე გადავერთე: ვლაპარაკობ როგორც საკუთარი შემოქმედების ერთგული შემოქმედი:

- რასაკვირველია, არ მინდა მეორე რომანი ნაჩქარევად დავწერო. მეორე რომანი ძალზე მნიშვნელოვანია, ხომ მეთანხმებით?

აღტაცებულია, გულზე მოეშვა.

- პირველსაც ვერ წერს ყველა, - ამოიოხრა.

- თქვენც, ცხადია, წერთ, არა?

- როგორი ჭკვიანურია თქვენი მხრიდან ამის მიხვედრა!

ახლა უკვე მექანიკურად - სახის ისეთივე დამანჭვა.

- მაგიდის უჯრაში ნახევრად დასრულებული რომანი მიდევს, მაგრამ სამსახურში მთელი ეს ალიაქოთი არ მაძლევს საშუალებას, რომანი ბოლომდე მივიყვანო.

ამ თემაზე მასლაათით წარმატებით მოვუღეთ ბოლო კრევეტებს ნივრიან სოუსში და ცხელ კერძს. მოთმინებით ველოდები, სანამ იტყვის იმას, რაც აუცილებლად უნდა თქვას.

- და, რა თქმა უნდა, გაუთავებლად მიწევს ბრძოლა, რომ ყველა ბარიერში როგორმე გავათრიო რაღაც მართლა ღირებული. ცხადია, ის ჯეელები, ზემოთ რომ სხედან, საერთოდ არაფრის აზრზე არ არიან (თვითონ ზევით ასასვლელი გზა სანახევროდ გავლილი აქვს).

- არადა, სულაც არ არიან ბრიყვები. უბრალოდ, რაღაცნაირად ჯიუტები და ჩლუნგები ბრძანდებიან. ზოგჯერ ძალაუნებურად ფიქრობ, - საერთოდ, რაში მჭირდება ეს ყველაფერი?

ჰალვა და თურქული ყავა. მისტერ ტარბრუკმა სიგარა გააბოლა, მე რაღაც სიგარეტი მიყიდა. ამდენი ხანი ჩემი მშვენიერი რომანი არც კი გვიხსენებია.

- მითხარით, რეგი, „ომის საზღვრების“ გადასაღებად სამხრეთ აფრიკაში მთელი გადამღები ჯგუფის ჩაყვანას აპირებთ?

სახე წამით გაეყინა, ოღონდ მხოლოდ წამით, მერე ისევ მომხიბლავად მოდუნდა:

- მოხარული ვარ, ეს კითხვა რომ დამისვით, რადგან, ცხადია, სწორედ ესაა პრობლემა.

- ამ რომანში პეიზაჟი ხომ ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს?

- ო, დიახ, მეტად არსებით როლს, სრულიად გეთანხმებით. საოცარია. როგორ გრძნობთ ბუნებას. დიახ, კითხვისას სურნელებასაც კი ვგრძნობდი, ეს უბრალოდ განსაცვიფრებელია.

- სტუდიაში აპირებთ გადაღებას?

- დიახ, რა თქმა უნდა, ეს მეტად სერიოზული პრობლემაა და სწორედ ამიტომაც მინდოდა თქვენთან ამაზე საუბარი. მითხა-

რით, ანა, რას უპასუხებდით, თუკი გკითხავდნენ, თქვენი მშვენიერი წიგნის ძირითადი თემა რა არისო? ცხადია, უმარტივეს პასუხს გთხოვთ, რადგან ტელევიზია თავისი არსით მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა.

- რომანი უბრალოდ „რასობრივ ბარიერზეა“.

- ო, გეთანხმებით, საშინელებაა, მე თვითონ, რასაკვირველია, ამას პირადად არასოდეს შევჯახებივარ, მაგრამ როცა თქვენს წიგნს კითხულობ, საშინელებაა! ჰოდა, ვიფიქრე, შეძლებთ თუ არა გამიგოთ, ჩემი თვალთახედვა გაიზიაროთ, - დიდი იმედი მაქვს, რომ შეძლებთ. შეუძლებელი იქნებოდა, „ომის საზღვრები“ გადაგვეღო, როგორც... (ისევ თავისებურად იმანჭება)... ილუზიონისტის მაგიურ კრისტალში, როგორცაა დაწერილი. გამარტივება აუცილებელია, რომანის არსის, შესანიშნავი გულისგულის შენარჩუნებით. ჰოდა, ვიფიქრე, რას იტყოდით, თუკი მოქმედების ადგილს ინგლისში გადავიტანდით - არა, მომისმინეთ. ალბათ, წინააღმდეგი არ იქნებით, თუკი აგიხსნით, როგორ ვხედავ ამ ყველაფერს — ტელევიზია ხომ ხედვის საკითხია, ასე არაა? შესაძლებელია თუ არა ამ ყველაფრის დანახვა? აი, ესაა მთავარი საკითხი და მე ვგრძნობ, დიახ, რომ ზოგიერთ ჩვენს მწერალს ეს ავიწყდება. მოკლედ, ნება მომეცით, მოგიყვეთ, როგორ ვხედავ ამ ყველაფერს. ომის პერიოდია, - სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა. ყველაფერი ინგლისში ხდება, მე თვითონ ვმსახურობდი ავიაციაში - ო, არა, მე არ ვიყავი ერთ-ერთი იმ ბიჭთაგანი ლურჯ ფორმაში, კანცელარიაში ვიჯექი. მაგრამ, შესაძლოა სწორედ ამიტომაც იმოქმედა ასე თქვენმა წიგნმა ჩემზე. თქვენ იდეალურად გადმოეცით ატმოსფერო.

- რომელი ატმოსფერო?

- ო, ჩემო ძვირფასო, თქვენ ისეთი შესანიშნავი ხართ, ნამდვილი შემოქმედები მართლაც საოცარი ხალხია, უმეტეს შემთხვევაში თვითონაც კი ვერ ხვდებით, რა დაწერეთ...

უეცრად დავახეთქე, თუმცა კი ამის თქმას არ ვაპირებდი:

- ან იქნებ ვხვდებით და ეს არც მოგვწონს.

მოიღუშა, გადაწყვიტა, ცალ ყურში გაეტარებინა, და განაგრძო:

- სიმართლის ეს გასაოცარი შეგრძნება, ეს სასოწარკვეთა, რომელსაც თავდავიწყებისკენ მივყავართ, ეს აღგზნება - არასოდეს მიცხოვრია ისე სისხლსავსედ, როგორც იმ ხანებში... ერთი სიტყვით, მინდა ასეთი რამ შემოგთავაზოთ. ჩვენ შევინარჩუნებთ თქვენი წიგნის გულისგულს, რადგან ეს მნიშვნელოვანია, გეთანხმებით. სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა. ჭაბუკი მფრინავი. შეუყვარდება ადგილობრივი სოფლის გოგონა. მისი მშობლები წინააღმდეგნი არიან - მოგეხსენებათ, კლასობრივი ამბები, ო, ღმერთო, ისინი ჯერ კიდევ ცოცხლობენ ჩვენში. შეყვარებულებს განშორება მოელით. ბოლოს კი გვექნება ის საოცარი სცენა სადგურზე - მიდის და ვიცით, რომ დაიღუპება. ძალიან გთხოვთ, დაფიქრდით ამაზე, მხოლოდ წამით წარმოიდგინეთ - რას იტყვით?

- თქვენ გინდათ, სცენარი დაგიწეროთ?

- ჰო და არაც. თქვენი წიგნი თავისი არსით უბრალოდ სასიყვარულო რომანია. დიახ, ასეა. დიახ, მართლაც, რასიზმის მთელი ეს პრობლემა ვიცი, ძალზე მნიშვნელოვანია, და მე ეს ყველაზე კარგად მესმის, რამდენად არაადამიანურია, მაგრამ თქვენი წიგნი სინამდვილეში მარტივი და ძალზე გულის ამაჩუყებელი სასიყვარულო რომანია. იქ ეს ყველაფერია, დამიჯერეთ, ეს კიდევ ერთი „შემთხვევითი შეხვედრაა“, ძალიან ჰგავს

მას და იმედია, თქვენც დაინახავთ ამას ისევე ცხადად, როგორც მე ვხედავ - არ დაგავიწყდეთ, რომ ტელევიზია ხედვის საკითხია.

- დიახ, ვხედავ და, რასაკვირველია, შეიძლება გადავაგდოთ „ომის საზღვრები“ და ყველაფერი თავიდან დავწეროთ?

- არა, მთლად ასე არაა, რადგან წიგნი საკმაოდ ცნობილი და ესოდენ მშვენიერია... და მინდა, სათაური შევინარჩუნო, რადგან გეოგრაფიული საზღვრები, რასაკვირველია, არ იგულისხმება? ყოველ შემთხვევაში, თავისი არსით? მე ამას ასე არ ვხედავ. ესაა გამოცდილების საზღვრები.

- მაშინ იქნებ უკეთესი იყოს, თუკი წერილს გამომიგზავნით, სადაც სატელევიზიო დადგმისთვის ახალი სცენარის დაწერის თქვენს პირობებს მომწერთ?

- არა, მთლად ახლისა არა (ისევ თავისებურად დაიმანჭა).

- და იმაზე არ ფიქრობთ, რომ ვისაც წიგნი წაუკითხავს, გაუკვირდება, როცა აღმოაჩენს, რომ „შემთხვევით შეხვედრას“ ჰგავს, ოღონდ „საავიაციო“ რაღაცად გადაქცეულა?

(ისევ თავისებურად დაიმანჭა.)

- არა, ჩემო ძვირფასო ანა, მათ არაფერი უკვირთ, ან რატომ უნდა უკვირდეთ, ისინი ხომ მაგიურ კრისტალს ჩაჰყურებენ.

- მაშ, დიდი მადლობა მშვენიერი სადილისთვის.

- ო, ჩემო ძვირფასო ანა, თქვენ სრულიად მართალი ხართ, რასაკვირველია, დიახ, დიახ. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ თქვენ, თქვენი ჭკუის პატრონი, უნდა ხვდებოდეთ, რომ ვერ დავიწყებთ გადაღებას ცენტრალურ აფრიკაში, ის ჯეელები, ზემოთ რომ სხედან, ამხელა ფულის დახარჯვის უფლებას არ მოგვცემენ.

- კი, რასაკვირველია, ამხელა ფულის დახარჯვის უფლებას არ მოგვცემენ, მაგრამ, მგონი, ამაზე საკმარისად არაორაზროვნად ვწერდი ჩემს წერილში.

- არადა, ფილმი მართლაც მშვენიერი გამოვიდოდა. თუ გსურთ, თქვენზე ორიოდე სიტყვას ვეტყვი ჩემს მეგობარს კინოსამყაროდან?

- არა, ეს ყველაფერი უკვე გავიარე.

- ო, ძვირფასო, მესმის თქვენი, როგორ კარგად მესმის. რას იზამ, ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ისაა, რომ ვიშრომოთ და ვიშრომოთ. ამას ვაცნობიერებ ხოლმე, როცა საღამოს შინ ვბრუნდები, ჩემს მაგიდას ვუყურებ და ვხედავ გორებად დახვავებულ წიგნებს, რომლებიც სიუჟეტის ძიებაში უნდა გადავიკითხო, და ვხედავ ასობით სცენარს, და ვიცი, რომ მაგიდის უჯრაში დევს ჩემი საწყალი, ნახევრად დასრულებული რომანი, მე კი უკვე მთელი ნახევარი წელია იმის დროც კი არა მაქვს, ხელში ავიღო, - თავს იმით ვინუგეშებ, რომ ზოგჯერ მაინც ვახერხებ გავათრიო რაღაც ახალი და ღირებული - ძალიან გთხოვთ, იფიქრეთ ჩემს წინადადებაზე, „ომის საზღვრების“ თაობაზე. მართლა დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გამოგვივა.

რესტორნიდან გამოვდივართ. ორი ოფიციანტი თავს გვიკრავს. რეჯინალდი თავის პალტოს იღებს და სუსტი, რაღაცნაირად დამნაშავე ღიმილით მონეტას ხელში უდებს იმას, ვინც პალტო მიაწოდა. ქუჩაში გავდივართ. ჩემი თავით სასტიკად უკმაყოფილო ვარ: რისთვის ვაკეთებ ამ ყველაფერს? მე ხომ უკვე პირველი წერილიდან, რომელიც „ამალგამეიტედ ვიჟენიდან“ მივიღე, ზუსტად წარმოვიდგინე, რა მოხდებოდა; იმის გამოკლებით, რომ ეს ადამიანები ყოველთვის ერთი გრადუსით უარესი აღმოჩნდებიან ხოლმე, ვიდრე ელოდები. მაგრამ, თუკი ეს თავი-

დანვე ვიცი, საერთოდაც რატომ ვხვდები? მხოლოდ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდე? ზიზღი საკუთარი თავისადმი ნელ-ნელა სხვა გრძნობაში გადადის, რომელსაც უმალ ვცნობ - ეს პატარა ისტერიკის მსგავსი რამ არის. მშვენივრად ვიცი, რომ ერთი წამის შემდეგ რაღაც არასწორს, უხეშს, მამხილებელს ვიტყვი, რაც შესაძლოა, თავად მე მამხელს. დგება ისეთი მომენტი, როდესაც ვიცი, ან თავი უნდა მოვთოკო, ან, თუ ამას არ ვიზამ, ჩამითრევს და გამოვალ სიტყვით, რომელსაც წერტილს ვეღარ დავუსვამ. ქუჩაში ვდგავართ, მისტერ ტარბრუკს ერთი სული აქვს, დამემშვიდობოს. მეტროს სადგურ „ტოტენჰემ-კორტროუდისკენ“ მივდივართ. ვეუბნები:

- რეგი, იცით, სინამდვილეში რისი გაკეთება მომინდებოდა „ომის საზღვრებიდან“?

- დიახ, გისმენთ, ძვირფასო, ოღონდ რაც შეიძლება სწრაფად მომიყევით (თუმცა, მაინც იღუშება უნებურად).

- კომედიას გავაკეთებდი.

გაოცებული წამით შედგება. მერე ისევ აგრძელებს გზას.

- კომედიას?

მესვრის ალმაცერ მზერას, რომელშიც გაღიზიანება იკითხება. მერე მეუბნება:

- კი მაგრამ, ძვირფასო, რომანში ისეთი შესანიშნავი მედიდურობაა, ეს ნამდვილი ტრაგედიაა. ერთ კომიკურ სცენასაც კი ვერ ვიხსენებ.

- თქვენ გახსოვთ ის აღგზნება, რომელზეც თავად ლაპარაკობდით? ომის პულსაცია?

- დიახ, ძვირფასო, ძალიან კარგად მახსოვს.

- ჰოდა, გეთანხმებით, ეს წიგნი, სინამდვილეში, სწორედ ამაზეა.

პაუზა. მის სიმპათიურ, მომხიბლავ სახეზე დაძაბულობა აღიბეჭდება: ჩანს, ფრთხილობს. ვლაპარაკობ გესლიანად, ხისტად, ზიზღით. ზიზღით საკუთარი თავის მიმართ.

- აი, ახლა კი უნდა ამიხსნათ, რისი თქმა გინდათ ამით.

მეტროს შესასვლელთან ვდგავართ. გარშემო ათასობით ადამიანია. კაცი, გაზეთებს რომ ყიდის, სრულიად უსახურია, პირის ნაცვლად - ხვრელი, კურდღელივით წინ გამოშვერილი კბილებით, გასივებული იარების გამო თვალები არ უჩანს.

- კარგი, განვიხილოთ თქვენი სიუჟეტი, - ვეუბნები, - ჭაბუკი პილოტი, ლამაზი, გაბედული და უგუნურებამდე უშიშარი. გოგონა, ადგილობრივი ბრაკონიერის მომხიბლავი ქალიშვილი. ომისდროინდელი ინგლისი. სასწავლო-საავიაციო ბაზა. ახლა განვაგრძოთ. გახსოვთ ის სცენა, რომელიც კინოფილმებში არაერთხელ გვინახავს - თვითმფრინავები გერმანიის თავზე მიფრინავენ, ისვრიან. შემდეგი კადრი: მფრინავების სასადილო--კლუბი, კედლებზე - ლამაზმანების ფოტოები: ქალიშვილები, უფრო მომხიბლავები, ვიდრე სექსუალურები, აბა, ჩვენს ყმაწვილებს უხეშ ინსტინქტებს ხომ ვერ მივაწერთ. სიმპათიური ჭაბუკი დედის წერილს კითხულობს. ბუხრის თაროზე - სპორტული პრიზები.

პაუზა.

- ჩემო ძვირფასო, სრულიად გეთანხმებით, ჩვენ მეტისმეტად ხშირად ვიღებთ მსგავს ფილმებს.

- თვითმფრინავები ბრუნდებიან. ორი აკლია. მამაკაცები ჯგუფებად დგანან, ცას გასცქერიან, ელიან... შემდეგი კადრი: ცარიელი საწოლი. ოთახში ახალგაზრდა კაცი შედის. არაფერს ამბობს. თავის საწოლზე ჯდება და გაჰყურებს მეორეს - ცარიელს. მიდის ცარიელ საწოლთან. საწოლზე - ხავერდის დათუნიაა.

იღებს დათუნიას. კადრი: თვითმფრინავი იწვის. და ისევ: ახალგაზრდა კაცს დათუნია უჭირავს, მშვენიერი ქალიშვილის ფოტოს უყურებს, - არა, ჯობს, ქალიშვილის კი არა, ბულდოგის. ისევ: თვითმფრინავი იწვის, ჟღერს სახელმწიფო ჰიმნი.

ხმას არ ვიღებთ. გაზეთების გამყიდველი, უცხვირო, კურდღლისსახიანი, გაჰყვირის:

- ომი კუნძულ კემოიზე! ომი კუნძულ კემოიზე!

ეტყობა, რეგიმ ჩათვალა, რომ რაღაც ვერ გაიგო, ამიტომ იღიმება და ამბობს:

- კი მაგრამ, ძვირფასო ანა, თქვენ ხომ სიტყვა „კომედია“ ახსენეთ.

- თქვენ იმდენად გამჭრიახი აღმოჩნდით, რომ ჩასწვდით იმას, თუ რაზეა ჩემი წიგნი, - ის სიკვდილის ნოსტალგიაზეა.

იღუშება და ამჯერად ასევე რჩება, მოღუშული.

- დიახ, მრცხვენია და მზად ვარ, გამოვისყიდო ჩემი დანაშაული, - მოდი, გადავიღოთ კომედია არაფრისმომცემ გმირობაზე. მოდი, გავაკეთოთ ამ ბნელი ისტორიის პაროდია, როცა იღუპება ოცდახუთი ახალგაზრდა და მხოლოდ ხავერდის დათუნიებსა და სპორტულ პრიზებს ტოვებენ, და კიდევ, ქალს, რომელიც თავისი სახლის მესერთან დგას და ცას სტოიკურად გასცქერის, უყურებს, როგორ მიფრინავს გერმანიაში თვითმფრინავების მორიგი გუნდი. და სახეზე ყვრიმალები ნერვიულად ებურცება. რას იტყვით ამაზე?

გაზეთების გამყიდველი გაჰყვირის: „ომი კუნძულ კემოიზე!“ და უცებ მიჩნდება განცდა, რომ ეს ყველაფერი პიესაა, რომელიც თეატრში დაიდგა, და მე სცენაზე, მოქმედების შუაგულში ვარ.

სიცილს ვიწყებ. ისტერიულად ვიცინი. რეგი მიყურებს, იბღვირება, ძალიან არ მოვწონვარ. მის ტუჩებს, ცოცხალს, მოძრავს, რომლებიც აქამდე მზად იყვნენ, თანაგრძნობის ღიმილი გამოესახათ, თავი მოეწონებინათ, ახლა რაღაც მძიმე და მწუხარე გრიმასა შეჰყინვიათ.

სიცილს ვწყვეტ და უეცრად მთელი ეს უნებლიე სიცილი და ლაპარაკის მხეცური მანერა ქრება და ისევ ისეთი ვხდები, როგორიც საერთოდ ვარ, ნორმალური. მეუბნება:

- მოკლედ, ანა, მე გეთანხმებით, მაგრამ იძულებული ვარ, ჩემი საქმე ვაკეთო. ამაში მართლაც არის შესანიშნავი კომიკური იდეა, მაგრამ არა სატელევიზიო, ეს კინოსთვისაა. დიახ, ვხედავ ამას, მე თქვენი მესმის.

(ამ მსჯელობით იგიც საკუთარ ნორმალურობას უბრუნდება, რადგან მეც ხომ ნორმალური გავხდი.)

- თუმცა, რა თქმა უნდა, ეს, მეტისმეტი სისასტიკე იქნებოდა. საინტერესოა, მაყურებელი თუ მიიღებდა ამას.

(ტუჩები ისევ თავისებურად დააწყო - დაიმანჭა. მალიმალ მიყურებს, ვერ იჯერებს, რომ ეს წუთია, უკიდურესი ურთიერთსიძულვილი განვიცადეთ. ამის დაჯერება მეც მიჭირს.)

- ჰო, შესაძლოა, ამას კიდეც ემუშავა. ბოლოს და ბოლოს, ომის შემდეგ უკვე ათი წელია გასული, - მაგრამ ეს ტელევიზიისთვის არ გამოდგება. ტელევიზია მარტივი რამეა. და ჩვენი აუდიტორია - ეს ჩემგან არ გესწავლებათ, მაინცდამაინც ინტელექტუალური პუბლიკა არ ბრძანდება. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

ვყიდულობ გაზეთს პირველ გვერდზე სათაურით: „ომი კუნძულ კემოიზე!“. სასხვათაშორისოდ შევნიშნავ:

- ეს კემოი იქნება კიდევ ერთი ადგილი, რომლის არსებობა მხოლოდ იმიტომ შევიტყვეთ, რომ იქ ომია.

- დიახ, ჩემო ძვირფასო, ეს მეტისმეტი საშინელებაა, მართლაც, რა ცუდად ვართ ინფორმირებულები.

- მე კიდევ აქ გაჩერებთ, არადა, თქვენ, ალბათ, სამსახურში გეჩქარებათ.

- დიახ, ისედაც ძალიან დამაგვიანდა. ნახვამდის, ანა, ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.

შინ მისულს მემართება დეპრესია, რომელიც საკუთარი თავის სასტიკ დადანაშაულებაში გადადის. მაგრამ ერთადერთი ნაწილი ამ შეხვედრისა, რომლის გამოც არ მრცხვენია, ისაა, როდესაც ისტერიულად და ჩლუნგივით ვიქცეოდი. აღარასოდეს გამოვეხმაურები ტელევიზიისა და კინოსამყაროს წინადადებებს. რისთვის? ჩემს თავს მარტივად უნდა ვუთხრა: „სწორად იქცევი, რომ აღარ წერ. ეს ყველაფერი იმდენად დამამცირებელია და მახინჯი, რაც შეიძლება შორს უნდა გეჭიროს მისგან თავი. ეს ხომ ისედაც იცი უკვე, მაშ, ისევ და ისევ რატომ უნდა ჩაირტყა დანა?“

წერილი მისის ედვინა რაიტისგან, შეერთებული შტატებიდან. იგი წარმოადგენს პროგრამას „ლურჯი ფრინველი“, ეს ერთსაათიანი სატელევიზიო დადგმების ციკლია:

„ძვირფასო მის ვულფ! შევარდნის მზერით მოუღლელად ვეძებთ პიესებს, რომლებიც შეიძლება მდგრადი ინტერესის საგანი გახდეს ჩვენს ეკრანზე გადასატანად და ჭეშმარიტი სიხარული და მღელვარება განვიცადეთ, როდესაც თქვენი რომანი „ომის საზღვრები“ წავიკითხეთ. გწერთ იმ იმედით, რომ მომავალში მრავალ პროექტზე ერთობლივად მუშაობას შევძლებთ, რაც ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება. პარიზსა და რომში მივდივარ და სამი დღით ლონდონში შევჩერდები. ვიმედოვნებ, დამირეკავთ სასტუმრო „ბლეკსში“, შეხვედრაზე რომ შევთან-

ხმდეთ. წერილს ვურთავ ბროშურას, რომელიც ჩვენი ავტორების დასახმარებლად მოვამზადეთ. გულწრფელად თქვენი“...

ბროშურა ტიპოგრაფიული წესით დაბეჭდილი აღმოჩნდა, მოცულობა - ათ-ნახევარი გვერდი. ასე იწყებოდა: „ყოველწლიურად ჩვენთან რედაქციაში ასობით ამანათი მოდის პიესების ტექსტებით. ბევრი მათგანის ავტორი ჩვენი ჟანრის თავისებურებების ჭეშმარიტ წვდომას ამჟღავნებს, მაგრამ მათი ნაწარმოებები ვერ პასუხობს ჩვენს მოთხოვნებს იმის გამო, რომ ავტორებს ჩვენი საქმის ფუძემდებლური პრინციპების ცოდნა აკლიათ. ყოველ კვირას ჩვენ მაყურებელს ვთავაზობთ ერთსაათიან გადაცემებს და ა.შ. და ა.შ. და ა.შ“. პირველი პუნქტი ასეთი იყო: „გადაცემათა ციკლის „ლურჯი ფრინველი“ ძირითადი პრინციპი მრავალფეროვნებაა! თემის არჩევანი შეზღუდული არ არის! ჩვენ გვაინტერესებს როგორც სათავგადასავლო მოთხრობები, ასევე ამბები სიყვარულზე, მოგზაურობაზე, ეგზოტიკაზე, სიუჟეტები ოჯახურ ცხოვრებაზე, ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობაზე, ჩვენთვის საინტერესოა ფანტასტიკაც, კომედიაც და ტრაგედიაც. „ლურჯი ფრინველი“ უარს არ ამბობს არც ერთ პიესაზე, რომელიც გულწრფელად და დამაჯერებლად მოგვითხრობს ნებისმიერი სახის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე“. ოცდამეექვსე პუნქტში ნათქვამი იყო: „ციკლ „ლურჯი ფრინველის“ სატელევიზიო დადგმებს ყოველკვირა უყურებს ყველა ასაკის ცხრა მილიონი მაყურებელი. „ლურჯი ფრინველი“ უბრალო ამერიკელებს, ქალებს, კაცებს, ბავშვებს სთავაზობს მართალ ისტორიებს ცხოვრების შესახებ. ჩვენ გვენდობიან და ეს, ჩვენ, „ლურჯი ფრინველის“ თანამშრომლებს, დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ამიტომ ავტორები, რომლებიც ჩვენთვის წე-

რენ, არ უნდა ივიწყებდნენ პასუხისმგებლობას, რაც გვეკისრება და რასაც პროგრამა „ლურჯ ფრინველთან“ ერთად იზიარებენ:

„ლურჯი ფრინველი“ არ განიხილავს პიესებს, სადაც წამოჭრილია რელიგიის, რასობრივი კუთვნილების, პოლიტიკური მრწამსის საკითხები ან ლაპარაკია კანონგარეშე სექსზე“. ბროშურა ამ სიტყვებით მთავრდებოდა: „გულწრფელად, მხურვალე მოუთმენლობით ველით იმ დღეს, როდესაც თქვენი პიესის წაკითხვის საშუალებაც მოგვეცემა“.

მის ანა ვულფი - მისის ედვინა რაიტს: „ძვირფასო მისის რაიტ! მადლობას მოგახსენებთ ჩემთვის ესოდენ სასიამოვნო წერილისათვის. თუმცა, ბროშურიდან, რომელიც თქვენს ავტორებს ორიენტირებს უსახავს, მივხვდი, რომ თქვენ არ მოგწონთ პიესები, სადაც წამოჭრილია რასობრივი საკითხები ან ლაპარაკია კანონგარეშე სექსზე. „ომის საზღვრებში“ ერთიც არის და მეორეც. ამიტომ თქვენი სატელევიზიო პროგრამისთვის ამ რომანის შესაძლო ადაპტაციის საკითხის განხილვა მაინცდამაინც მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. გულწრფელად თქვენი“...

მისის ედვინა რაიტი - მის ანა ვულფს (ტელეგრამა პასუხის წინასწარ გადახდით): „დიდი მადლობა სწრაფი პასუხი გონივრული მსჯელობა წერტილი გეპატიჟებით ხვალ საღამოს რვა საათზე ოტელ ბლეკსში ვახშამზე“.

სადილი მის რაიტთან „ოტელ ბლეკსში“. ანგარიში: 11 გირვანქა, 4 შილინგი, 6 პენსი.

ედვინა რაიტი ორმოცდახუთი ან ორმოცდაათი წლის პუტკუნა ქალია; თავით ფეხამდე თეთრ-ვარდისფერი, თმა დახვეული, ფოლადისფერი და მბზინავი აქვს; ქუთუთოები - მოცისფრო--მონაცრისფრო; ტუჩები - მბზინავი ვარდისფერი, დაბერილი; ფრჩხილები - კრიალა, ღია ვარდისფერი. კოსტიუმი - ღია ცისფე-

რი, ძალზე ძვირად ღირებული. ძვირად ღირებული ქალი. მარტინის ვწრუპავთ და მეგობრულად და უშუალოდ ვმასლაათობთ. სამ ჭიქას სვამს, მე - ორს. სწრაფად სვამს, მართლა სჭირდება სასმელი. სიტყვა ჩამოაგდო ინგლისის ლიტერატურული სამყაროს ადამიანებზე, ცდილობს, გაარკვიოს, ვის ვიცნობ პირადად და ვის - არა. თითქმის არავის ვიცნობ. ცდილობს, დაადგინოს, მე რა ადგილს ვიკავებ. ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის შესაფერის ადგილს პოულობს, მიღიმის და მეუბნება:

- ერთ-ერთი ჩემი უახლოესი დაქალი, მას მერე, რაც შეხვდა (ასახელებს ამერიკელ მწერალს), მუდმივად მეუბნება, რომ ვერ იტანს... სხვა მწერლებს. მგონი, მას ერთობ საინტერესო მომავალი ელის.

რესტორანში გადავდივართ. თბილა, სიმყუდროვეა, უპრეტენზიო, გემოვნებით გაწყობილი. მისის რაიტი ჯდება, გარშემო მიმოიხედავს და წამით კარგავს პროფესიონალურ იერს: მისი დახატული, წვრილნაოჭებიანი ქუთუთოები თითქმის იხუჭება, თვალები უვიწროვდება, ვარდისფერი ბაგეები ოდნავ ღია აქვს - ვიღაცას თუ რაღაცას ეძებს. მერე დამწუხრებული ადამიანის გამომეტყველებას იღებს და როგორც ჩანს, გულწრფელია, მართლა იმას გულისხმობს, რასაც ამბობს:

- მე მიყვარს ინგლისი. მიყვარს ინგლისში ჩამოსვლა. ყოველთვის ვეძებ საბაბს, აქ რომ გამომგზავნონ.

საინტერესოა, რა წარმოადგენს მისთვის „ინგლისი“ - ამ სასტუმროს? მაგრამ, ეტყობა, მეტისმეტად ჭკვიანი და გამჭრიახია, ასე რომ იფიქროს. მეკითხება, კიდევ ხომ არ მინდა მარტინი; უკვე ვაპირებ უარი ვუთხრა, მაგრამ მერე ვხვდები, რომ კიდევ უნდა დალევა და ვეუბნები: „დიახ“. მუცელში რაღაც დაძაბულობას ვგრძნობ; მერე ვხვდები, რომ მისი დაძაბულობა გადმომედო.

თვალებში ვუყურებ: სიმპათიური სახე აქვს და ჩანს, ყოველთვის მზადაა თავის დასაცავად, გრძნობებსა და ემოციებს მუდმივად აკონტროლებს; რატომღაც მეცოდება. მისი კარგად მესმის. ვახშამს უკვეთს - ყურადღებიანია, ტაქტიანი. ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს სავახშმოდ მამაკაცმა დამპატიჟა. არადა, მასში არაფერია მამაკაცური; საქმე ის არის, რომ მიეჩვია ასეთი სიტუაციების გაკონტროლებას. ვგრძნობ, ეს სიტუაცია მისთვის რამდენად ხელოვნურია და თამაში რა ძალისხმევად უჯდება. სანამ ნესვს ველოდებით, მისის რაიტი სიგარეტს უკიდებს. ასე ზის: თვალებმოხუჭული, თითებშუა სიგარეტით; ისევ ყურადღებით მოავლო თვალი დარბაზს. უეცრად სახე წამით გაუნათდა, ეს შვების გამონათება იყო, რომელიც უმალ მოსხიპა; შემდეგ თავი დაუკრა და გაუღიმა ამერიკელს, რომელიც მარტო შემოვიდა დარბაზში, კუთხეში მაგიდას მიუჯდა და მენიუ გადაშალა. საპასუხოდ, კაცმა ხელი დაუქნია, მისის რაიტმა ისევ გაუღიმა, - მის თვალწინ სიგარეტის კვამლი ბოლქვებად იშლება. მერე ისევ ჩემკენ მობრუნდა და ცოტაოდენი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ყურადღება ჩემზე გადმოეტანა. მოულოდნელად გაცილებით ასაკოვანი მეჩვენა. ერთობ მესიმპათიურება. ცხადად, მკაფიოდ ვხედავ, როგორ ჩაიცვამს ამ საღამოს სასტუმროს ნომერში რაღაც ძალიან ქალურს. კი, ვხედავ უნაზეს შიფონს, ყვავილებიანს, რაღაც ამდაგვარს... რათა მოიხსნას ის დაძაბულობა, რომელსაც მთელი დღე გრძნობს მისთვის შეუფერებელი როლის შესრულების გამო; და აჟურულ მაქმანებსაც, როგორ ათვალიერებს და როგორ მახვილსიტყვაობს ამის გამო, თავის თავს ეხუმრება. ოღონდ ვიღაცას ელოდება. მერე ფრთხილი კაკუნი გაისმის. კარს აღებს, ხუმრობს. იმ დროისთვის სასმლის წყალობით ორივე კარგ ხასიათზე იქნება, სრულიად მოდუნებულნი

ცოტას კიდევ დალევენ. მერე კი ზომიერი და თავდაჭერილი კოიტუსი ჩატარდება.

ნიუ-იორკში რომელიღაც წვეულებაზე შემთხვევით შეხვდებიან და ირონიულ რეპლიკებს გაცვლიან. ჯერჯერობით კი თავის ულუფა ნესვს გულდასმით აგემოვნებს, და ბოლოს ამბობს, რომ ინგლისურ საჭმელს უფრო გამოხატული გემო აქვს. მეუბნება, რომ უნდა სამსახურს თავი დაანებოს, საცხოვრებლად ახალ ინგლისში გადავიდეს და რომანი დაწეროს (ქმარს ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებს). ვხვდები, რომ არც ერთ ჩვენგანს არა აქვს „ომის საზღვრებზე“ ლაპარაკის მაინცდამაინც დიდი სურვილი. მისის რაიტმა ჩემზე უკვე გამოიტანა დასკვნა; ეს არც მოწონებაა და არც დაწუნება; ეს ყველაფერი მისთვის სავალდებულოა ამბავია; ვახშამი დანახარჯია, რომელიც ბიზნესთან არის დაკავშირებული, მაგრამ რას იზამ, საქმე საქმეა. ერთი წამის მერე ჩემს წიგნზე დაიწყებს ლაპარაკს, თავაზიანად, მაგრამ ზედაპირულად. ვსვამთ კარგ, ბლანტ ბურგუნდიულს, ვჭამთ ბიფშტექსს, სოკოსა და ნიახურს. ისევ იმეორებს, რომ ინგლისური პროდუქტები უფრო გემრიელია, მაგრამ დასძენს, რომ მათი გამოყენებით კარგი კერძების მომზადება უნდა ვისწავლოთ. ამ დროისთვის ორივენი სასმლისგან კარგ ხასიათზე ვდგებით; თუმცა, მუცელში დაძაბულობა მემატება — ეს მისი დაძაბულობაა. დროდადრო კუთხეში მჯდომ ამერიკელს მზერას სტყორცნის. უეცრად ვხვდები, რომ თუ ყურადღებას მოვადუნებ, დავიწყებ იმის მოყოლას, როგორი ისტერიკა მომივიდა რამდენიმე კვირის წინ, რამაც მაიძულა რეჯინალდ ტარბრუკისთვის კომიკური პაროდიის ვარიანტი შემეთავაზებინა. გადავწყვიტე, ყურადღება არ მოვადუნო, მე ხომ მომწონს ეს ქალი. თუმცა, ამავე დროს, მაშინებს.

- ანა, მე ისე მომეწონა თქვენი წიგნი.

- ძალიან მოხარული ვარ, გმადლობთ.

- ახლა აფრიკა, აფრიკული პრობლემები ჩვენში დიდ ინტერესს იწვევს.

გავუღიმე და ვუთხარი:

- მაგრამ წიგნში ხომ მაინცდამაინც რასობრივი პრობლემაა განხილული.

ისიც იღიმება, მადლიერია ჩემი, რომ გავიღიმე და ამბობს:

- მაგრამ ხშირად საქმე ისაა, თუ რა ხარისხით. აი, ვთქვათ, თქვენს მშვენიერ რომანში ახალგაზრდა მფრინავი და ზანგი ქალიშვილი ერთად წვებიან. მაშ, დაიწყებთ თუ არა მტკიცებას, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანია? დაიწყებთ, თუ არა იმის მტკიცებას, რომ მათი სექსუალური ურთიერთობა თქვენი რომანის განუყოფელი შემადგენელია?

- არა, არ დავიწყებ.

ცოტა არ იყოს, დაიბნა. მისი მოღლილი, ძალზე შორსმჭვრეტელი მზერის მიხედვით ცხადად ჩანს, რომ ოდნავ იმედგაცრუებულია. იმედი ჰქონდა, რომ კომპრომისზე არ წავიდოდი; თუმცა, მისი საქმე სწორედ საწინააღმდეგოს მიღწევაა. როგორც ვხვდები, მისთვის სიუჟეტის საკვანძო მომენტი სწორედ სექსია. მისი ჩემთან ურთიერთობის მანერა შეუმჩნევლად იცვლება: ახლა მას საქმე აქვს მწერალთან, რომელიც მზადაა დათმოს პატიოსნება, ოღონდ კი ტელევიზიაში მოხვდეს. ვეუბნები:

- ჰო, მაგრამ მათი სიყვარული შესაძლებლიდან ყველაზე უმწიკვლო ფორმით რომ წარმართულიყო, ეს ხომ მაინც თქვენი კოდექსის დარღვევა იქნებოდა?

- საქმე ისაა, თუ როგორ იქნებოდა ნაჩვენები.

ამ მომენტისთვის ჩემთვის უკვე ცხადია, რომ შეიძლება შევწყვიტოთ საუბარი, არავითარი აზრი არა აქვს. დაკავშირებულია თუ არა ეს ჩემს მიდგომასთან, ჩემს შეხედულებასთან? არა, სრულიადაც არა; საქმე იმ ამერიკელშია, კუთხეში რომ ზის, იმ მღელვარებაში, რომელიც ჩემს თანამოსაუბრეში გამოიწვია. ორჯერ შევნიშნე, რომ ამერიკელი უყურებდა; ვფიქრობ, მისის რაიტის მღელვარებას საფუძველი აქვს. კაცი ფიქრობს, მივიდეს მასთან თუ იქნებ გავიდეს და მარტომ გაისეირნოს. მაგრამ, როგორც ჩანს, ისე მოსწონს, რომ გადაწყვეტს ერთხანს დარჩეს. ოფიციანტს ჩვენი მაგიდიდან თეფშები მიაქვს. მისის რაიტი მოხარულია, გაიგოს, რომ ყავას დავლევ, მაგრამ დესერტი არ მინდა; ამ მოგზაურობის დროს მას ხან საქმიანი სადილი აქვს, ხან - ვახშამი, მაგრამ უფრო ხშირად - სადილი, ვახშამი კი ყოველდღე, ამიტომ მისთვის დიდი შეღავათია ამ ამბის თუნდაც ერთი კერძით შემცირება. კიდევ ერთ მზერას ესვრის თანამემამულე-- განდეგილს, რომელსაც არაფერი ეტყობა იმისა, თითქოს წასვლას აპირებდეს; და გადაწყვეტს, საქმეს მიუბრუნდეს:

- როდესაც ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ თქვენი მართლაცდა მშვენიერი მასალა, თავში მომივიდა იდეა, რომ მისგან შესანიშნავი მიუზიკლი შეიძლება გამოვიდეს: ზოგჯერ მიუზიკლში უფრო ადვილია სერიოზული საკითხებისთვის გვერდის ავლა, ვიდრე სწორხაზოვან თხრობაში.

- მიუზიკლის მოქმედების ადგილი ცენტრალური აფრიკაა?

- ჯერ ერთი, თუ მიუზიკლის გადაღებას გადავწყვეტთ, ეს გადაჭრის ფონის პრობლემას, რომელზეც ვითარდება მოქმედება. თქვენი ფონი მშვენიერია, მაგრამ ტელევიზიისთვის სრულიად არ გამოდგება.

- თქვენ გულისხმობთ სტილიზებულ დეკორაციებს აფრიკული პეიზაჟებით?

- დიახ, იდეა სწორედ ასეთია. და ძალზე მარტივი. ახალგაზრდა მფრინავი გადის სამხედრო მომზადებას ცენტრალურ აფრიკაში. მომხიბლავი ზანგი ქალიშვილი, რომელსაც წვეულებაზე გაიცნობს. კაცი მარტოსულია. ქალიშვილი მის მიმართ კეთილად განეწყობა. კაცი მის ოჯახს გაიცნობს.

- მაგრამ იმ ადგილებში მას ზანგი ქალიშვილის წვეულებაზე გაცნობის არანაირი შანსი არა აქვს. პოლიტიკური კონტექსტის გარდა, იქ მცხოვრები თეთრკანიანების მხოლოდ უმცირესობა ცდილობს „რასობრივი ბარიერის“ მოშლას. თქვენ ხომ პოლიტიკური მიუზიკლის დადგმას არ აპირებთ?

- აი, თურმე რა ყოფილა, ეს არ ვიცოდი... ვთქვათ, კაცი მოხვდა ავარიაში და ქალიშვილმა უშველა, თავის სახლში მიიყვანა?

- თავის სახლში ვერ მიიყვანდა იმის გარეშე, ათობით კანონი რომ არ დაერღვია. და რომც როგორღაც მოეხერხებინა და ფარულად მიეყვანა თავისთან, ეს ძალზე საშიში და სახიფათო იქნებოდა, ასე რომ, საერთო განწყობა მიუზიკლისთვის სრულიად შეუფერებელი იქნებოდა.

- მიუზიკლში შეიძლება მეტად სერიოზულ საკითხებსაც შეეხოთ, - თითქოს საყვედურს მეუბნება, მაგრამ ამას გულგარეთ, ფორმალურად აკეთებს, - ჩვენ ადგილობრივ სიმღერებსა და ცეკვებს გამოვიყენებდით. ცენტრალური აფრიკის მუსიკალური კულტურა ჩვენი მაყურებლისთვის სრულიად ახალი ხილია.

- იმ დროს, რომელიც რომანშია აღწერილი, აფრიკელები ამერიკულ ჯაზს უსმენდნენ. მაშინ თავიანთ მუსიკალურ სტილს ჯერ კიდევ არ ავითარებდნენ.

მისი მზერა მეუბნება: „თქვენ განზრახ ცდილობთ ყველაფრის გართულებას“. მიუზიკლის თემას თავს ანებებს და მეუბნება:

- თუკი გადავწყვეტთ თქვენი წიგნის საავტორო უფლებების შეძენას, სიუჟეტი ჩვეულ სტილში რომ გადავიღოთ, ვფიქრობ, მოქმედების ადგილი შესაცვლელი გახდება. გთავაზობთ შემდეგს: სამხედრო ბაზა ინგლისში. ეს ამერიკული ბაზა იქნება. ამერიკელ ჯარისკაცს შეუყვარდება ინგლისელი ქალიშვილი.

- ჯარისკაცი შავკანიანია?

ყოყმანობს.

- ჰოო, ეს მეტისმეტად გაართულებდა საქმეს. რადგან, ბოლოს და ბოლოს, თავისი არსით ეს უბრალოდ სასიყვარულო ისტორიაა. თავის საფუძველში. მე დიდი პატივს ვცემ ბრიტანულ სამხედრო კინოს. თქვენ შესანიშნავ ფილმებს იღებთ ომზე - რა ზომიერებაა. თქვენ ტაქტის დიდი გრძნობა გაქვთ. სწორედ ასეთ გრძნობებს უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენც. და იმ დროის ატმოსფერო - ბრიტანეთისთვის ბრძოლის ატმოსფერო, და ამ ფონზე ერთი-ერთი ჩვენი ბიჭისა და ერთ-ერთი თქვენი გოგოს უბრალო სასიყვარულო ისტორია.

- მაგრამ თუკი ჯარისკაცს შავკანიანად გამოიყვანდით, თქვენს მიყრუებულ სამხრეთში მცხოვრებთა მუსიკის გამოყენებასაც შეძლებდით?

- დიახ, რასაკვირველია. მაგრამ, იცით, ეს არ იქნება ჩვენი მაყურებლისთვის ახალი და მოულოდნელი.

- აა, ახლა გავიგე, - ვეუბნები, - შავკანიან ამერიკელ ჯარისკაცთა გუნდი მღერის გადაკარგულ ინგლისურ სოფელში, მიდის ომი და მომხიბლავი და კოხტა ინგლისელი გოგონების გუნდი არა მარტო მღერის, არამედ ცეკვავს კიდეც.

ვეკრიჭები. იღუშება. მერე საპასუხოდ ისიც მეკრიჭება. ჩვენი მზერა იკვეთება და ჩაიფხუკუნებს. მერე ისევ იცინის. მერე თავს მოთოკავს, დაღვრემილი ზის. და ისე, თითქოს ეს ძირგამომთხრელი სიცილი საერთოდ არც კი ყოფილიყოს, ერთი ღრმად ამოიოხრავს და იწყებს:

- თქვენ, რასაკვირველია, ხელოვანი ბრძანდებით, მშვენიერი ხელოვანი, და ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან შეხვედრა და საუბარი, და მე თქვენიც მესმის, საფუძვლიანი და სრულიად ბუნებრივი გადაწყვეტილებაა, რომ არ გსურთ თქვენს ნაწერში რაიმეს შეცვლა. მაგრამ მომეცით უფლება გითხრათ, რომ ეს შეცდომაა - ასეთი შეუწყნარებელი დამოკიდებულება ტელევიზიის მიმართ. ეს ხომ მომავლის ხელოვნებაა, მე ამას ასე ვხედავ და ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩემთვის დიდი პატივია ტელევიზიაში და ტელევიზიისათვის მუშაობა.

ჩუმდება: ამერიკელმა „განდეგილმა“ მიმოიხედა, ოფიციანტს ეძებს - მაგრამ არა, უბრალოდ ერთი ყავაც უნდა შეუკვეთოს. ისევ მაქცევს ყურადღებას და აგრძელებს:

- როგორც თქვა ერთმა დიდმა, თანაც, ძალიან დიდმა ადამიანმა, ხელოვნება მოთმინების საკითხია. იქნებ მოისურვოთ დაფიქრება ამ ყველაფერზე, რაც აქ ვილაპარაკეთ და შემდეგ მომწეროთ? ან იქნებ ჩვენთვის სცენარის სხვა თემაზე დაწერა მოგინდეთ? რასაკვირველია, ჩვენ ვერ მივცემთ ოფიციალურ დაკვეთას ავტორს, რომელსაც ტელევიზიასთან მუშაობის გამოცდილება არა აქვს, მაგრამ მოხარული ვიქნებით, გაგიწიოთ ყველანაირი დახმარება და რჩევები მოგცეთ.

- გმადლობთ.

- და შტატებში ჩამოსვლაზე არ ფიქრობთ? ძალიან გამიხარდება, თუკი დამირეკავთ, შევხვდებით და ჩვენს იდეებს განვიხილავთ, რას იტყვით?

ვყოყმანობ. თითქმის შევიკავე თავი, მაგრამ მერე ვგრძნობ, რომ არა, თავს ვერ ვიკავებ. ვეუბნები:

- დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდი თქვენთან შტატებში, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემომიშვებენ, მე კომუნისტი ვარ.

თვალები შემომაფეთა: უზარმაზარი, ცისფერი, დამფრთხალი. ამასთან, უნებლიე მოძრაობას აკეთებს - სკამიანად სცილდება მაგიდას, უკან მიაჩოჩებს, წამოიწევს, წასვლა უნდა. სუნთქვა აუჩქარდა. ჩემ წინ ახლა მეტისმეტად შეშინებული ადამიანია. უკვე ვნანობ, ეს რომ ვუთხარი. მე ეს რამდენიმე მოსაზრებით გავაკეთე: პირველი - ყველაზე ბავშვურით — მინდოდა შოკში ჩამეგდო; მეორე, არანაკლებ ბავშვურით — რომ ვალდებული ვარ ეს ვუთხრა: თუკი მერე ვინმესგან შეიტყობს, ანა ვულფი კომუნისტიაო, შეიძლება იფიქროს, რომ განზრახ დავუმალე. და მესამე, უბრალოდ მაინტერესებდა, რა მოხდებოდა. მისის რაიტი ჩემ წინ ზის, მძიმედ და სწრაფად სუნთქავს, მზერა დაბნეული აქვს, ვარდისფერი ტუჩები უკვე ოდნავ გადღაბნილი საცხით ნახევრად ღია დარჩენია. ფიქრობს: „ეს გაკვეთილი იქნება ჩემთვის, მომავალში ყველაფერს წინასწარ დავადგენ, სანამ შეხვედრას დავნიშნავ“. გარდა ამისა, თავს მსხვერპლად გრძნობს: იმ დილით წავიკითხე ციტატების ამონარიდი ამერიკული პრესიდან, რომ ათობით ადამიანი დაითხოვეს სამსახურიდან. ეს ყველაფერი გააღვივა ანტიამერიკული კომიტეტების საქმიანობამ და ასე შემდეგ. სუნთქვა ეკვრის, მეუბნება:

- რასაკვირველია, აქ ევროპაში ყველაფერი სხვანაირადაა, ეს კი მესმის...

მაღალი საზოგადოების ქალის მისი ნიღაბი ჩემ თვალწინ დაიმსხვრა. მომახალა:

- მაგრამ, ძვირფასო, მე არასოდეს, არაფრისდიდებით, აზრადაც კი ვერ დავუშვებდი, რომ...

ეს ნიშნავს: „თქვენ მე ასე მომწონხართ, მაშ, როგორ შეგიძლიათ კომუნისტი იყოთ?!“ ამას უეცრად და ძლიერ გამოვყავარ წყობიდან, ვბრაზდები ამ შეზღუდულობაზე და ამ დროს ყველაფერ იმას ვგრძნობ, რასაც ასეთ სიტუაციებში ვგრძნობ ხოლმე. ამას ისევ ჯობს, კომუნისტი იყო და თუნდაც ნებისმიერ ფასად გქონდეს შეხება რეალობასთან, ვიდრე იმდენად იყო მისგან დაშორებული, ამწამს რომ გაიჟღერა, ისეთი ჩლუნგი რეპლიკის წამოსროლა შეგეძლოს. ორივენი ძლიერ ვბრაზობთ, ორივემ ერთდროულად, უეცრად დავკარგეთ წონასწორობა. არ მიყურებს, ცდილობს, გონზე მოვიდეს. მე კი ვზივარ და ვიხსენებ იმ შემთხვევას, ორი წლის წინ რომ მოხდა, როცა მთელი ღამე რუს მწერალთან საუბარში გავატარე. ერთ ენაზე ვლაპარაკობდით - კომუნისტურ ენაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ იმდენად განსხვავებული გამოცდილება გვქონდა, რომ ჩვენთვის ნებისმიერ ფრაზას თავისი, განსაკუთრებული აზრი ჰქონდა და ჩვენი აზრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. სრული ირეალურობის შეგრძნება დამეუფლა, და ბოლოს, გვიან ღამით, უფრო სწორად კი, დილაადრიან, ის, რასაც უსაფრთხო და არარეალურ ჟარგონზე ვამბობდი, გადავიყვანე რაღაც რეალურში, რაც მართლა მოხდა - ვუამბე იანზე, რომელსაც ციხეში აწამებდნენ, მოსკოვში. და ზუსტად იგივე მოხდა - შიშისგან მზერა გაუშეშდა, თავისდა უნებურად უკან გაიწია, თითქოს გაქცევა უნდოდა; ისეთ რაღაცებს ვამბობდი, თავის ქვეყანაში იგივე რომ ეთქვა, უეჭველად ციხეში ჩასვამდნენ. სინამდვილეში, ჩვენი საერთო სწავლებიდან ამო-

ღებული ფრაზები სიმართლის დამალვის საშუალება იყო. სიმართლე კი ის გახლდათ, რომ ჩვენ საერთო არაფერი გვქონდა, გარდა იარლიყისა „ჩვენ - კომუნისტები ვართ“. და, აი, ახლა ეს ქალბატონი ამერიკიდან - ჩვენ შეგვეძლო მთელი ღამე ლაპარაკში გაგვეტარებინა, საუბრის ენა - დემოკრატიული, მაგრამ ამის მიღმა სრულიად განსხვავებული გამოცდილება იქნებოდა. და, აი, ვსხედვართ და ნელ-ნელა გვახსენდება, რომ ჩვენ ერთმანეთი, კაცმა რომ თქვას, მოგვწონს. მაგრამ ერთმანეთისთვის მეტი აღარაფერი გვაქვს სათქმელი; ისევე, როგორც რუს მწერალთან იმ მომენტის მერე მეტი აღარაფერი მქონდა სალაპარაკო. ბოლოს მეუბნება:

- ჰოო, ჩემო ძვირფასო, უნდა გითხრათ, ცხოვრებაში ასე ჯერ არაფერი გამკვირვებია. ამის გაგების უნარი, უბრალოდ, არ გამაჩნია.

ამჯერად მადანაშაულებს და ისევ ვბრაზდები. არადა, კიდევ უმატებს:

- თუმცა, რასაკვირველია, მე აღტაცებული ვარ თქვენი პატიოსნებით.

ვფიქრობ: „მე რომ ახლა ამერიკაში ვიყო, მე რომ მათი ის რაღაც კომიტეტები მდევნიდნენ, ამ სასტუმროში სუფრასთან არ ვიჯდებოდი და სასხვათაშორისოდ არ შევნიშნავდი, რომ კომუნისტი ვარ“. ამიტომ გაბრაზება შეცდომაა, მაგრამ სწორედ სიბრაზის გამო ვეუბნები ცივად:

- შესაძლოა, ამ ქვეყანაში უფრო გონივრულია ცნობების წინასწარ შეგროვება, სანამ მწერალს სავახშმოდ დაპატიჟებთ, რადგან ბევრმა მათგანმა შეიძლება საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ.

თუმცა, მისის რაიტს გამომეტყველებაზე ვატყობ, რომ უკვე ძალიან შორსაა ჩემგან, - ჩემს გულწრფელობაში ეჭვი ეპარება: მე აღმოვჩნდი უჯრედში „კომუნისტები“, ეს კი ნიშნავს, არსებობს ალბათობა იმისა, რომ ვცრუობ. გამახსენდა ის მომენტი რუს მწერალთან საუბარში, როდესაც იგი არჩევანის წინაშე დადგა: ან დამყოლოდა და ემსჯელა იმაზე, რასაც ვთავაზობდი, ან უარი ეთქვა თანამონაწილეობაზე, რაც კიდევაც გააკეთა, ირონიული გამგებიანობის ნიღაბი მოირგო და განაცხადა:

- ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ჩვენი ქვეყნის მეგობარი სინამდვილეში ჩვენი მტერი აღმოჩნდება ხოლმე.

სხვა სიტყვებით: „თქვენ მტრების - კაპიტალისტების ზეწოლას დაემორჩილეთ“. საბედნიეროდ, ამ რთულ მოსახვევში უეცრად გამოჩნდა ამერიკელი, რომელიც ჩვენს მაგიდას მოუახლოვდა. ვფიქრობ იმაზე, ხომ არ ითამაშა ამან იმ მარცვლის როლი, რომელმაც სასწორის პინა მისის რაიტის სასარგებლოდ გადაწონა, იმ გარემოებამ, რომ მან გულწრფელად და არა ეშმაკური განზრახვით, დროებით მიივიწყა იგი. ეს მანაღვლიანებს, რადგან ვეჭვობ, მართლაც ასეა.

- მაშ, ასე, ჯერი, - ამბობს მისის რაიტი, - სხვათა შორის, ვფიქრობდი, ნეტავი თუ შევხვდებით-მეთქი ლონდონში, ყური მოვკარი, რომ შენც აქა ხარ.

- ჰაი, - ამბობს კაცი, - როგორა ხარ? მიხარია, რომ შევხვდით.

უზადოდაა ჩაცმული, შესანიშნავად უჭირავს თავი, მშვენიერ ხასიათზეა.

- ეს მის ვულფია, - ამბობს მისის რაიტი, ამ ფრაზის წარმოთქმა უჭირს, რადგან მისი გრძნობები ამწუთას ასეთია: ჩემს მეგო-

ბარს ვაცნობ მტერს და ამის შესახებ როგორღაც უნდა გავაფ-რთხილო.

- მის ვულფი ძალიან, ძალიან ცნობილი მწერალია, - განაგ-რძობს და ვამჩნევ, რომ სიტყვები „ძალიან ცნობილი მწერალი“ მისი ნევროზული მდგომარეობის სიმძაფრეს როგორღაც აც-ხრობს. ვამბობ:

- იმედია, მაპატიებთ, თუკი დაგტოვებთ? სახლში მეჩქარება, პატარა გოგონა მყავს.

აშკარაა, რომ მისის რაიტს მძიმე ლოდი ჩამოეხსნა გული-დან. სამივენი ერთად გამოვდივართ რესტორნიდან. როდესაც ვემშვიდობები და ვტრიალდები, გვერდითი მზერით ვხედავ, რომ მისის რაიტი მსუბუქი მოძრაობით ხელკავს უკეთებს. მეს-მის, როგორ ეუბნება:

- ო, ჯერი, როგორ მიხარია, რომ აქა ხარ, უკვე ვშიშობდი, რომ ამ საღამოს მარტო გავატარებდი.

კაცმა უთხრა:

- ჰო მაგრამ, ძვირფასო ედი, შენ განა ოდესმე გემუქრებოდა მარტოობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თვითონ გსურ-და მარტო დარჩენა?

ვხედავ მის ღიმილს - ძუნწსა და მადლიერს. მე კი მივდივარ შინ და ვფიქრობ, რომ ამ საღამოს ერთადერთი მართალი მო-მენტი ის იყო, როცა ჩვენი ნაცნობობის კომფორტული ზედაპი-რულობა დავარღვიე. ამავე დროს, მრცხვენია, უკმაყოფილო ვარ, დავითრგუნე სწორედ ისევე, როგორც იმ რუსთან საუბრის შემდეგ.

წითელი რვეული

28 აგვისტო, 1954

გუშინ მთელი საღამო ვცდილობდი რაც შეიძლება მეტი ცნობა შემეგროვებინა კუნძულ კემოიზე. ჩემს წიგნის თაროებზე თითქმის ვერაფერი ვიპოვე, იგივე სურათია მოლისთანაც. ორივე შეშინებული ვიყავით - შესაძლოა, ეს ახალი დიდი ომის დასაწყისია. მერე მოლიმ მითხრა:

- უკვე რამდენჯერ მომხდარა ასე: ჩვენ აქ ვისხედით, ვღელავდით, დიდი ომი კი არ დაწყებულა.

ვგრძნობდი, რომ ამის გარდა კიდევ რაღაც ადარდებდა. ბოლოს და ბოლოს, მიამბო: ძმებ ფორესტებთან ახლო მეგობრობა ჰქონდა. როდესაც ისინი „აორთქლდნენ“ - სავარაუდოდ, ჩეხოსლოვაკიაში, - შტაბში მივიდა, მათი ამბავი რომ გაეგო. უთხრეს, ნუ ღელავთო, ფორესტები მნიშვნელოვან პარტიულ დავალებას ასრულებენო. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მათ სამი წელი ციხეში გაატარეს, ცოტა ხნის წინ გამოუშვიათ. და გუშინ მოლი ისევ წასულა შტაბში და უკითხავს, იცოდით თუ არა, ფორესტები რომ ციხეში იყვნენო. თურმე შტაბში ეს თავიდანვე იცოდნენ. მოლიმ მითხრა:

- პარტიიდან გამოსვლაზე ვფიქრობ.

ვუპასუხე:

- რატომაც არა, თუკი არაფერი გამოსწორდება. ისე, სტალინის შემდგომ ჯერ კიდევ ალაგებენ სიტუაციას.

განაგრძო:

- გასულ კვირას თქვი, რომ პარტიიდან გამოსვლას აპირებ. ასეა თუ ისე, ჰელს ყველაფერი ვუთხარი, დიახ, თავად შეფს ვე-

ლაპარაკე. განვუცხადე: „ყველა ავაზაკი უკვე მოკვდა, ასე არაა? სტალინი, ბერია, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. მაშ, ისევ ისე რატომ იქცევით?“ მიპასუხა, რომ ეს საბჭოთა კავშირის მხარდაჭერის საკითხია, რომელსაც კრიტიკისა და განქიქების გამო მძიმე დროება უდგას. ხომ გესმის, ყველაფერი ისეა, როგორც ყოველთვის. ვეკითხები: „და რას იტყვით ებრაელების მდგომარეობაზე საბჭოთა კავშირში?“ მეუბნება, რომ ეს ყველაფერი კაპიტალისტური მონაჭორია. ვუთხარი: „ო, ღმერთო, ოღონდ ეს არა“. მაგრამ მან, ასეთმა მშვიდმა და კეთილგანწყობილმა, მაინც წამიკითხა სამსაათიანი ლექცია, რომ პანიკას არ უნდა მივეცე. უეცრად გამიჩნდა შეგრძნება, რომ ან მე გავგიჟდი, ან ისინი - ყველანი გიჟები არიან. ვუთხარი: „მომისმინეთ, ბიჭებო, თქვენ თქვენთვის რაღაცები უნდა გაარკვიოთ და რაც შეიძლება მალე, თორემ პარტიაში მალე აღარავინ დაგრჩებათ, - უნდა ისწავლოთ სიმართლის თქმა და ბოლო მოუღოთ ამ ყველა საიდუმლოებას, მიჩუმათებასა და წაყრუებას, მთელ ამ ტყუილს ყველაფერზე მსოფლიოში“. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ მე უბრალოდ ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ, რაც გასაგებიცაა, რადგან ჩემი მეგობრები ციხეში ისხდნენ. უცებ მივხვდი, რომ თავის მართლება დავიწყე, მობოდიშებით ველაპარაკებოდი და ეს იმ დროს, როცა მშვენივრად ვიცი, მე მართალი ვარ, ის კი ცდება. განა ეს საოცარი არ არის, ანა? ერთი წუთი გავიდა მხოლოდ და უკვე თავს ვიმართლებდი. ძლივს გავჩერდი. სასწრაფოდ წამოვედი. დავბრუნდი შინ, ავედი ზემოთ და დავწექი, საშინელ ხასიათზე ვიყავი.

გვიან საღამოს მაიკლი მოვიდა. მოვუყევი, რაც მოლიმ მითხრა. მეკითხება:

- მაშ, პარტიიდან გასვლას აპირებ?

კითხვამ ისე გაიჟღერა, თითქოს, ყველაფრის მიუხედავად, გული დასწყდება, თუკი ამას გავაკეთებ. მერე კი ძალზე ცივად დასძინა:

- ანა, თუ აცნობიერებ, რომ როდესაც შენ და მოლი პარტიიდან გასვლაზე ლაპარაკობთ, თითქოსდა თავისთავად ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ, რომ ამ მოქმედებით აუცილებლად მორალური გახრწნის ჭაობში აღმოჩნდებით. სინამდვილეში კი ლამის მილიონობით აბსოლუტურად სრულფასოვანი და გონიერი ადამიანი გავიდა პარტიიდან (თუკი მანამდე მათი დახოცვა ვერ მოასწრეს) და ეს გააკეთეს იმიტომ, რომ უნდოდათ გაქცეოდნენ მკვლელობას, ცინიზმს, შიშს, ორპირობას.

ვკითხე:

- მაგრამ იქნებ პრობლემა ეს არაა?

- აბა, რა?

- ერთი წამის წინ მომეჩვენა, რომ მეთქვა, პარტიიდან გამოვდივარ-მეთქი, გული დაგწყდებოდა.

მაიკლმა გაიცინა, აღიარა, ასეაო; მერე გაჩუმდა, ისევ გაიცინა და თქვა:

- ანა, იქნებ შენთან იმიტომ ვარ, რომ სასიამოვნოა ყოფნა იმ ადამიანთან, რომელიც რწმენითაა აღსავსე, თუნდაც შენ თვითონ ეგ რწმენა არ გაგაჩნდეს?

- რწმენა! - ჩავილაპარაკე.

- შენი გულწრფელი ენთუზიაზმი.

შევეპასუხე:

- მგონი, პარტიისადმი ჩემი დამოკიდებულება ამ სიტყვით არ უნდა გამოიხატებოდეს.

- მაგრამ შენ ხომ მაინც პარტიაში რჩები და ამით... ამით ყველაფერია ნათქვამი და უფრო მეტიც.

- შენთვის?

ძალზე უბედური გამომეტყველება მიიღო, უხმოდ და უძრავად იჯდა, ფიქრობდა. ბოლოს მითხრა:

- რას იზამ, ჩვენ ხომ ვცდილობდით მაინც. ჩვენ მართლა ვცდილობდით. არ გამოგვივიდა, თუმცა... ანა, წამო, დავწვეთ.

შესანიშნავი სიზმარი ვნახე. მესიზმრა, რომ მსოფლიოს თავზე გადაჭიმულიყო უთხელესი და უმშვენიერესი ქსოვილი, წარმოუდგენლად ლამაზი და მთლიანად ფერადოვანი სურათებით მოხატული. სურათები კაცობრიობის მითების ილუსტრაცია იყო, მაგრამ უძრავი კი არა, არამედ თავად მითები, ამიტომ ეს ფაფუკი, მოციმციმე მატერია ცოცხალი იყო. უამრავ ნაზ, ფანტასტიკურ ფერად მოეხატათ, თუმცა, ამ ვეებერთელა ტილოზე წითელი ტონი ჭარბობდა; მანათობელი, სხვადასხვა ელფერის წითელი. სიზმარში ამ ქსოვილს ვეხებოდი, ვეფერებოდი, სიხარულისგან ვტიროდი. ისევ შევხედე და დავინახე, რომ ფორმით საბჭოთა კავშირის რუკას ჰგავდა. და უცებ მან ზრდა დაიწყო; გაიწელა, ტალღებად განივრცო, თითქოს მოკაშკაშე, მოლივლივე ზღვაო. ახლა მასში აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირის გარშემო არსებული ქვეყნები, როგორიცაა პოლონეთი, უნგრეთი, თუმცა, კიდეებზე ქსოვილი ძალზე თხელი და სრულიად გამჭვირვალე იყო. სიხარულის ცრემლები ისევ მდიოდა. მხოლოდ სიხარულისგან კი არ ვტიროდი, არამედ რაღაც ბუნდოვანი წინათგრძნობისგანაც. წითელი მოციმციმე ბურუსი, ესოდენ ნაზი, უკვე ჩინეთის თავზეც გავრცელდა, იქ გახშირდა და გამკვრივდა, კაშკაშა წითლად გადაიქცა. მე უკვე სადღაც ცარიელ სივრცეში ვეკიდე და წონასწორობის შესანარჩუნებლად მხოლოდ ფეხებს ვამოძრავებდი დროდადრო, თითქოს ჰაერში მივდიოდი. კოსმოსური სივრცის ლურჯ ბურუსში ვიყავი ჩაფლული, ჩემ ქვემოთ

დედამიწა ბრუნავდა, კომუნისტური ქვეყნები წითლად ანათებ-დნენ, სხვადასხვა ელფერის წითლად, დანარჩენი მსოფლიო კი სხვადასხვაფერი იყო და ერთად ჭრელი მოზაიკა იქმნებოდა. აფრიკა შავი იყო, მაგრამ ეს გახლდათ ღრმა, მანათობელი და მღელვარების გამომწვევი შავი ფერი, ისეთი, როგორიც იცის ხოლმე ღამით, როდესაც მთვარე ჯერ კიდევ ჰორიზონტს მიღ-მაა, მაგრამ მალე ამოვა. ახლა უკვე მეშინოდა და გულისრევის შეგრძნებაც გამიჩნდა, თითქოს ჩემს არსებაში შემოაღწია რაღა-ცამ, რაღაც გრძნობამ, რომლის დანახვა და აღიარება არ მინ-დოდა. ისე ძლიერად მაზიდებდა, თავბრუ ისე ძლიერ მეხვეოდა, რომ ქვემოთ ვეღარ ვიხედებოდი, ვეღარ ვუყურებდი, თუ რო-გორ ბრუნავდა ჩემს ფეხქვეშ დედამიწა. მერე მაინც ჩავიხედე და ეს ჩვენებასავით იყო — დრო გაქრა და კაცობრიობის მთელი ის-ტორია, კაცობრიობის მთელი ხანგრძლივი ისტორია იმწამს ჩემ თვალწინ გადაიშალა, და ეს იყო ტრიუმფისა და სიხარულის მძლავრი, შთამაგონებელი ჰიმნი, სადაც ტკივილი მხოლოდ და მხოლოდ პატარა და სიმპათიური კონტრაპუნქტი გახლდათ. ვუ-ყურებდი და ვხედავდი, რომ იმ ოლქებში, სადაც წითელი დომი-ნირებდა, სხვა კაშკაშა ფერებმაც შეაღწიეს მსოფლიოს სხვა კუთხეებიდან.

ფერები დნება, ერთმანეთში გადაედინება, ეს ყველაფერი წარმოუდგენლად ლამაზია და მსოფლიო ერთ მთლიანობად, ერთ ფერად იქცევა, მოკაშკაშე, მშვენიერ და ისეთ ფერად, ადრე რომ არასოდეს მენახა. ეს თითქმის გაუსაძლისი სიხარულის, გაუსაძლისი ბედნიერების წამია, რომელიც თითქოსდა ფუვდე-ბა, იბერება და უცებ დედამიწა ფეთქდება - მე კი სრულ სიჩუმეში ვარ, სრულ სიმშვიდეში, მარტო ვდგავარ უკიდეგანო კოსმოსურ სივრცეში. ჩემ ქვემოთ სიჩუმეა, მდუმარება. ნელა მბრუნავი დე-

დამიწა ნელა გაიწოვება, ნაწილებად, ფრაგმენტებად იშლება, რომლებიც სადღაც სივრცეში მიქრიან, რომელშიც მეცა ვარ და, აი, ჩემ გარშემო, სადამდეც კი თვალი მიმიწვდება, ყველგან მიცურავენ უზარმაზარი ნამსხვრევები, უზარმაზარი და უწონადი ნაკუწები, რომლებიც ერთმანეთს ეჯახებიან და სადღაც შორს მიფრინავენ. მსოფლიო აღარ არსებობს, არის მხოლოდ ქაოსი. და ამ ქაოსში მარტო ვარ. და ძალზე მკაფიოდ, პირდაპირ ჩემს ყურთან, ჩუმი ხმა ჩამესმის: „ქსოვილში ვიღაცამ ძაფს გამოქაჩა და ყოველივე დაირღვა“. ვიღვიძებ, მიხარია, ამაღლებული განწყობა მაქვს. ძალიან მინდოდა, მაიკლი გამეღვიძებინა და ჩემი სიზმარი მომეყოლა, თუმცა, მშვენივრად ვხვდებოდი, რომ სიტყვებით შეუძლებელი იქნებოდა, გამომეხატა ის გრძნობები, სიზმარში რაც განვიცადე. თითქმის უმალ სიზმრის არსმა გაქრობა იწყო; ჩემს თავს ვუთხარი: „არსი იკარგება, მოიხელთე, ჩქარა დაიჭირე“, და ეგრევე გამიელვა, მე ხომ არ ვიცი, სიზმრის არსი რაში მდგომარეობს-მეთქი. და გაქრა, წარმოუდგენლად ბედნიერი დამტოვა. ლოგინში ვიჯექი, მაიკლის გვერდით, სიბნელეში. უბრალოდ, ჩემთვის. მერე ისევ დავწექი, მაიკლს ხელები მოვხვიე, ისიც გადმობრუნდა და სახით მკერდზე მომეკრო. და, აი, მაშინ გავიფიქრე: „სიმართლე კი ისაა, რომ მე არც პოლიტიკასა და არც ფილოსოფიასთან, და მსგავს რაღაცებთან, არაფერი მესაქმება, მხოლოდ ის მაინტერესებს, რომ მაიკლი ტრიალდება ჩემკენ სიბნელეში და სახით მკერდზე მეკრობა“. და ამაზე ფიქრით ისევ ძილში ჩავყვინთე. დღეს დილით კი არაჩვეულებრივად ცხადად მახსოვდა სიზმარიც და ისიც, თუ რას ვგრძნობდი. განსაკუთრებით ჩამრჩა სიტყვები: „ქსოვილში ვიღაცამ ძაფს გამოქაჩა და ყოველივე დაირღვა“. დღის განმავლობაში სიზმარი იკუმშებოდა, ქსოვილივით, გარეცხვის მერე რომ შედგება

ხოლმე, ასე რომ, ახლა ის პატარა, უაზრო და კაშკაშაა. ამ დილით კი მაიკლმა ჩემზე მოხუტებულმა გაიღვიძა, თვალი გაახილა და გამიღიმა. თვალების თბილი სილურჯე, როცა მიყურებს. გავიფიქრე: „ჩემს ცხოვრებაში იმდენი მახინჯი და ავადმყოფური რაღაც იყო, რომ ახლა, როდესაც ბედნიერების ნიაღვარი მავსებს, ჩემში ზღვის ცისფერი, თბილი, კამკამა წყალივით იღვრება, ამის დაჯერება, უბრალოდ, არ შემიძლია“. ჩემს თავს ვეუბნები: „მე - ანა ვულფი, დიახ, ეს მე ვარ - ანა, და მე ვარ ბედნიერი“.

შემდეგ ჩაწებებული იყო რამდენიმე ფურცელი, გაურკვეველი ხელით ნაწერი და 1952 წლის 11 ნოემბრით დათარიღებული.

მწერალთა ჯგუფის შეკრება გუშინ საღამოს. ხუთნი ვართ. შევიკრიბეთ იმისთვის, რომ განვიხილოთ, რაც სტალინმა ენათმეცნიერების შესახებ დაწერა. რექსი, ლიტერატურული კრიტიკოსი, პამფლეტის საგულდაგულოდ განხილვას გვთავაზობს, ყოველი წინადადების ცალ-ცალკე, მიყოლებით. ჯორჯი, ოცდაათიანი წლების თაობის „პროლეტარული მწერალი“, ჩიბუხს რომ ეწევა, ცოტა არ იყოს, უხეშად ამბობს:

- ღმერთო ჩემო, ეს აუცილებელია? თეორიაში ყოველთვის მოვიკოჭლებდი.

კლაივი, ჟურნალისტი და კომუნისტური პამფლეტების ავტორი, ამბობს:

- კი, ჩვენ ეს სერიოზულად უნდა განვიხილოთ.

დიკი, რომელიც სოციალისტური რეალიზმის სტილში წერს რომანებს, შენიშნავს:

- სულ ცოტა, ძირითად იდეებში მაინც უნდა გავერკვეთ.

მაშ, ასე, რექსი იწყებს. სტალინზე პატივისცემით, სადად ლაპარაკობს, იმ ტონით, რომელიც ჩვენთვის დიდი ხანია ნაცნო-

ბია. გავიფიქრე: „არადა, ახლა ნებისმიერი ჩვენგანი პაბში ან სადმე ქუჩაში რომ იყოს, სულ სხვანაირად ილაპარაკებდა, ძუნწად და ტკივილიანი ხმით“. უხმოდ ვუსმენთ რექსის მოკლე შესავალ სიტყვას. შემდეგ დიკი, რომელიც რუსეთიდან ეს-ესაა დაბრუნდა (მუდმივად რომელიმე კომუნისტურ ქვეყანაში მოგზაურობს), იხსენებს საუბარს ერთ-ერთ საბჭოთა მწერალთან მოსკოვში. ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ მკაცრად გააკრიტიკა სტალინმა ერთი ფილოსოფოსი.

- არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი პოლემიკური ტრადიციები ჩვენსაზე გაცილებით უხეში და ხისტია.

ლაპარაკობს უბრალოდ, ცოტა არ იყოს, უხეშად, იმ მანერით, რომელიც შეიძლება ასე დავახასიათოთ: „აი, შემომხედეთ, თქვენ წინაშე ვარ - გულღია, ალალ-მართალი ბიჭი“, ზოგჯერ მე თვითონაც ვლაპარაკობ ხოლმე ასე.

- და, რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი სამართლებრივი ტრადიციები ასევე ძლიერ განსხვავდება ჩვენისგან.

და ასე შემდეგ. უხერხულად ვგრძნობ ხოლმე თავს, როცა ვიღაც ამ სტილში ლაპარაკობს; რამდენიმე დღით ადრე მე თვითონ დავიწყე ასე ლაპარაკი და უმალ ენა დამება. ჩვეულებრივ, ენა არ მებმის. ხელში პამფლეტის თითო ეგზემპლარი გვაქვს. იმედგაცრუებული ვარ, რადგან პამფლეტი სისულელედ, სიბრიყვედ მეჩვენება, თუმცა, ფილოსოფიური ცოდნა არ გამაჩნია (რექსს ის აქვს) და მეშინია, რაღაც სისულელე არ ვთქვა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი. ვვარდები ისეთ მდგომარეობაში, რომელიც სულ უფრო და უფრო ჩვეული ხდება ჩემთვის: სიტყვებს უეცრად აზრი ეკარგება. უცებ ვამჩნევ, რომ ფრაზები, სიტყვათა ჯგუფები, რაც მესმის, თითქოს უცხო ენაზე

ჟღერს - და ბზარი იმას შორის, რასაც უნდა აღნიშნავდნენ და რასაც სინამდვილეში აღნიშნავენ, უძირო უფსკრულად იქცევა. ეგრევე გამახსენდა რომანები ენის რღვევაზე, როგორიცაა ჯეიმზ ჯოისის „ფინეგანის ქელეხი“. მერე კიდევ, სემანტიკით ეს შეპყრობილობა. თვით ის ფაქტი, რომ სტალინი თავს იწუხებს და წერს პამფლეტს ამ თემაზე, იმის მანიშნებელია, რომ ყველა გრძნობს ენის გამო რაღაც უხერხულობას. თუმცა, საერთოდ, რა უფლება მაქვს ვინმე გავაკრიტიკო, როცა უმშვენიერესი რომანების ფრაზებიც კი შეიძლება სრულიად იდიოტურად მომეჩვენოს? არადა, ეს პამფლეტი თავიდან ბოლომდე ერთობ უხეირო მგონია და ვამბობ:

- შესაძლოა, ცუდი თარგმანია.

მობოდიშების საკუთარმა ტონმა შემზარა (ზუსტად ვიცი, მე და რექსი აქ მარტო რომ ვმსხდარიყავით, სრულიად სხვა ტონი მექნებოდა). როგორც კი ეს ვთქვი, უმალ მივხვდი, რომ აქ მყოფთა საერთო აზრი გამოვხატე: პამფლეტი მართლაც უვარგისია. მრავალი წლის განმავლობაში, როდესაც რუსულ პამფლეტებს, სტატიებს, რომანებსა და განცხადებების ტექსტებს ვარჩევდით, ვამბობდით: „შესაძლოა, ცუდი თარგმანია“. მიკვირს, რამდენად გამიძნელდა ამ სიტყვების თქმა, რამდენად არ მინდოდა ამის გაკეთება (საინტერესოა, რამდენი ჩვენგანი მოდის მსგავს შეკრებებზე მტკიცე გადაწყვეტილებით, საჯაროდ განაცხადოს თავისი დამოკიდებულება და გაღიზიანება, და აღმოაჩენს, რომ ხმას ვერ იღებს, და რომ არსებობს რაღაც გაუგებარი და უძლიერესი აკრძალვა, რომელსაც ყველანი ვემორჩილებით?) და ბოლოს, ჩემს ხმაშიც გახმაურდა ინტონაცია: „მე ერთი პატარა გოგონა ვარ“, ესოდენ მომხიბლავი ინტონაცია. ვამბობ:

- მისმინეთ, ფილოსოფიური მომზადება არ მყოფნის საიმისოდ, რომ ჩემი კრიტიკა კომპეტენტური იყოს, მაგრამ უეჭველია, აი, ეს წინადადება, - ის კი საკვანძოა აქ, - და ეს ფრაზა: „არც ზედნაშენი, არც ბაზისი“, - ცხადია, ან სრულიად სცილდება მარქსისტულ კანონიკას და ეს სრულიად ახალი მოსაზრებაა, ან რაღაც ხრიკია, თუ არა უბრალოდ თავდაჯერებულობა.

(გულზე მეშვება, როდესაც ვამჩნევ, რომ ამ ყველაფრის თქმის დროს თანდათანობით მიქრება „მომხიბლავი“ ინტონაცია და ვსერიოზულდები, თუმცა, ალბათ, მეტისმეტად აღგზნებული ვლაპარაკობ.)

რექსი წითლდება, პამფლეტს ხელში ატრიალებს, მერე კი აცხადებს:

- დიახ, უნდა ვაღიარო, რომ ამ ფრაზამ ჩემზეც გამაოგნებლად იმოქმედა, საკმაოდ ისეთად მომეჩვენა...

სიჩუმემ დაისადგურა, რომელიც ჯორჯმა, ცოტა არ იყოს, უხეშად დაარღვია:

- ჩემი გონება ამ თეორიებს ვერ სწვდება.

ახლა ყველას, ცოტა არ იყოს, დაბნეული გამომეტყველება გვაქვს, ყველას, ჯორჯის გარდა. ბევრ ამხანაგს ჩვევად ექცა ამ უცერემონიო და სასხვათაშორისო ტონზე გადასვლა, ერთგვარ მოსახერებელ, ფარისევლურ ნიღბად გამოყენება. თუმცა, ჯორჯს ეს ხასიათის ორგანულ ნაწილად გადაქცევია და სავსებით კმაყოფილია თავისი თავით. ჩემს თავს ასეთ აზრზე ვიჭერ: „რაც უნდა იყოს, ეს გამართლებულია - იმდენს შრომობს პარტიის საკეთილდღეოდ, რომ თუ ეს მისთვის საშუალებაა პარტიაში დარჩენისა, მაშინ“...

არ შევთანხმებულვართ, პამფლეტზე აღარ გვემსჯელა, მაგრამ ჩვენს თავს მივეცით უფლება, აღარ გვეფიქრა მასზე; ზოგად

საკითხებზე ვიწყებთ ლაპარაკს, სხვადასხვა ქვეყანაში კომუნისტების მოქმედებაზე. რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, ჩვენი ქვეყანა. მე კი ამ დროს ვფიქრობ: „არც ერთ ჩვენგანს არც ერთხელ არ უთქვამს: „რაღაც არსებითად არასწორი ხდება“; თუმცა, თავისი სიღრმისეული აზრით ჩვენი მსჯელობა სწორედ ამაზეა. ვეღარ ვჩერდები, განუწყვეტლივ ვფიქრობ უცნაურ ფენომენზე - როდესაც ორნი ვართ, ჩვენი დისკუსიები სრულიად სხვა დონეზე მიმდინარეობს, ვიდრე, როცა სამნი ვმსჯელობთ.

როდესაც ორნი ვართ - ეს ორი პიროვნებაა, ორი ადამიანი, რომლებიც კრიტიკული ტრადიციისამებრ საუბრობენ, პოლიტიკაზე მსჯელობენ, რაც შეეძლო გაეკეთებინა ნებისმიერ ადამიანს, არაკომუნისტს (როდესაც ვამბობ „ნებისმიერ ადამიანს“, „არაკომუნისტს“, ვგულისხმობ, რომ გარეშე დამკვირვებელი ვერ მიხვდებოდა, რომ კომუნისტები ვართ, თუ ჟარგონს არ მივიღებთ მხედველობაში). მაგრამ, თუკი ორზე მეტი ვართ, სულ სხვა სულისკვეთება სუფევს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია სტალინზე საუბრისას. დიახ, უკვე სავსებით მზად ვარ, დავიჯერო, რომ ის შეშლილი და მკვლელია (თუმცა, არ მავიწყდება მაიკლის სიტყვები, რომ ამბობს, ისეთ დროში ვცხოვრობთ, აბსოლუტურად შეუძლებელია გაიგო სიმართლე ნებისმიერ რამეზეო), თუმცა, მსიამოვნებს, როცა ადამიანები მასზე სადად და კეთილგანწყობით, პატივისცემით ლაპარაკობენ, რადგან ეს ტონიც რომ უკუვაგდოთ, როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, მასთან ერთად დაიკარგება რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი - დემოკრატიის, ღირსეულად ცხოვრების რწმენა. ოცნება დასამარდება - ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის.

საუბარი წყვეტილი, დაუკავშირებელი ხდება. ჩაის დალევას ვთავაზობ. ყველას უხარია, რომ კრება დასასრულს უახლოვდე-

ბა. ჩაის ვამზადებ და მახსენდება მოთხრობა, რომელიც გასულ კვირას მივიღე. ერთმა ამხანაგმა გამომიგზავნა, სადღაც ლიდსის ახლოს რომ ცხოვრობს. როცა პირველად წავიკითხე, მომეჩვენა, რომ ავტორი უბრალოდ ირონიაში ავარჯიშებდა კალამს. მერე ვიფიქრე, რომ ეს ოსტატური პაროდიაა ზოგიერთ შეხედულებასა და განწყობაზე. და მხოლოდ ამის მერე გავაცნობიერე, რომ ეს ყველაფერი სრულიად სერიოზულად იყო დაწერილი. ამას მას შემდეგ მივხვდი, რაც მეხსიერებაში უფრო ღრმად ჩავიხედე და მსგავსი ფანტაზიები აღმოვაჩინე. ნიშანდობლივად სწორედ ეს მომეჩვენა, რომ შესაძლებელი ყოფილა ესოდენ განსხვავებული წაკითხვა — პაროდიად, ირონიად ან სრულიად სერიოზულ მოთხრობად. ჩემი აზრით, ეს გარემოება, თავისი არსით, კიდევ ერთი გამოვლინებაა საყოველთაო დანაწევრებისა, რაღაცის მტკივნეულად დაშლისა, რაც, როგორც ვგრძნობ, ენასთან არის დაკავშირებული: ის იცრიცება ჩვენი გამოცდილების მაღალი სიმკვრივის ფონზე. მაგრამ, როდესაც ჩაიდანი ავადუღე, ვთქვი, მოთხრობა მინდა წაგიკითხოთ-მეთქი.

აქ ჩაწებებული იყო რამდენიმე ჩვეულებრივი, მოცისფრო ცალხაზიანი ფურცელი, ჩანაწერებისთვის განკუთვნილი ბლოკნოტიდან ამოხეული. ფურცლები მეტად აკურატული, მკაფიო ხელით იყო ნაწერი.

როდესაც ამხანაგმა ტედმა შეიტყო, დელეგაციის შემადგენლობაში შემიყვანეს, საბჭოთა კავშირში რომ მიემგზავრებაო, წარმოუდგენელი სიამაყე იგრძნო. თავიდან ვერც კი დაიჯერა. ფიქრობდა, რომ ასეთი დიდი პატივის ღირსი არ იყო, მაგრამ ამ შესაძლებლობას ხელიდან ვერ გაუშვებდა: სწვეოდა მუშათა პირველ სახელმწიფოს! და, აი, დადგა ის ღირსშესანიშნავი დღე, როდესაც აეროპორტში შეხვდა სხვა ამხანაგებს დელეგა-

ციიდან. სამი დელეგატი-მასწავლებელი პარტიის წევრი არ იყო, მაგრამ ისინიც რა კარგი ბიჭები აღმოჩნდნენ! ევროპის თავზე გადაფრენამ ტედი აღაფრთოვანა, — მისი მღელვარება ყოველი წუთით ძლიერდებოდა და როდესაც ბოლოს და ბოლოს მოსკოვში აღმოჩნდა, სასტუმროს ძალზე მდიდრულ ნომერში, მღელვარებისგან თითქმის ჭკუაზე აღარ იყო. როდესაც დელეგაციამ დანიშნულების ადგილს მიაღწია, უკვე ძალზე გვიან იყო, ამიტომ იძულებული გახდნენ, დილისთვის გადაედოთ ეს მეტად ამაღელვებელი შეხვედრა - შეხვედრა პირველ კომუნისტურ ქვეყანასთან! ტედი ვეება მაგიდასთან იჯდა - ისეთ უზარმაზარ მაგიდასთან, ოც კაცს რომ მიუსვამდი ერთად - რომელიც მის განკარგულებაში იყო და იწერდა ყველაფერს, რაც იმ დღეს გადახდა (მტკიცედ გადაწყვიტა, ამ ძვირფასი მოგზაურობის ყოველი წამი აღენუსხა), როდესაც კარზე კაკუნი გაისმა. თქვა:

- მობრძანდით, - რომელიმე ამხანაგი ეგონა დელეგაციიდან.

ზღურბლზე ორი ახალგაზრდა იდგა, ქსოვილის ქუდები და მუშური ფეხსაცმელი ეცვათ. ერთმა უთხრა:

- ამხანაგო, თუ შეიძლება, წამოგვყევით.

მათ ალალი, უბრალო სახეები ჰქონდათ და არ მიკითხავს, სად მივყავდი (თუმცა, ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა გამოვტყდე, რომ წამით მტანჯველი ეჭვი დამეუფლა, გამახსენდა ის, რასაც კაპიტალისტურ გაზეთებში წერდნენ - ჩვენი ნებისდა მიუხედავად, ყველანი მოწამლული ვართ ამ შხამით!). ლიფტით ქვემოთ ჩავედით ჩემს თავაზიან მეგზურებთან ერთად. ქალმა, სარეგისტრაციო მაგიდასთან რომ იჯდა, გამიღიმა და ჩემს ახალ ამხანაგებს მიესალმა. ქუჩაში შავი ავტომობილი გველოდა. მალე ჩვენ წინ კრემლის ქონგურები აღიმართა. მგზავრობა ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. უზარმაზარი ჭიშკარი გავიარეთ და ერთი უსახუ-

რი კარის წინ შევჩერდით. ჩემი ორი ამხანაგი მანქანიდან გადავიდა და კარი გამიღო. გამიღიმეს:

- წამობრძანდით, ამხანაგო.

ავედით შესანიშნავ მარმარილოს კიბეზე, რომლის ორივე მხარეს უამრავი ხელოვნების ნიმუში იყო, და გვერდითა, სადა და უპრეტენზიო დერეფანში გადაუხვიეთ. სავსებით ჩვეულებრივი კარის წინ შევჩერდით, ისეთი ჩვეულებრივის, ნებისმიერი კარი რომაა. ჩემმა ერთ-ერთმა გამყოლმა დააკაკუნა. გაისმა ოდნავ ხრინწიანი ხმა:

- მობრძანდით.

ახალგაზრდებმა ისევ გამიღიმეს და თავიც დამიკრეს. გატრიალდნენ და დერეფანს გაუყვნენ, ხელმკლავით. კადნიერი გრძნობით აღსავსე შევედი ოთახში, რატომღაც უკვე ვიცოდი, თუ ვის შევხვდებოდი იქ. ამხანაგი სტალინი ჩვეულებრივ საწერ მაგიდასთან იჯდა. ჩანდა, რომ მაგიდა სამუშაოა, მასზე ხშირად და ხანგრძლივად მუშაობენ, ამხანაგი სტალინი ჩიბუხს ეწეოდა, მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა.

- შემოდით, ამხანაგო, და დაბრძანდით, - მითხრა თავაზიანად.

თავი თავისუფლად ვიგრძენი, დავჯექი და მის მართალსა და კეთილ სახეს შევაცქერდი, თვალებში ჩავხედე, სადაც ნაპერწკლები კრთოდნენ.

- გმადლობთ, ამხანაგო სტალინ, - ვუთხარი, როდესაც მის წინ ვჯდებოდი.

ამას ხანმოკლე პაუზა მოჰყვა, მიღიმოდა და ყურადღებით მათვალიერებდა. შემდეგ თქვა:

- ამხანაგო, უნდა მაპატიოთ, რომ ასე გვიან შეგაწუხეთ...

- რას ბრძანებთ, - მხურვალედ გავაწყვეტინე, - მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ღამღამობით მუშაობთ.

მან თავის უხეში მუშური ხელი შუბლზე მოისვა. ახლა კი შევნიშნე დაღლილობისა და დაძაბულობის კვალი — ის ჩვენთვის მუშაობს! მთელი მსოფლიოსთვის! ერთდროულად ამაყიც ვიყავი და მორჩილიც.

- ამხანაგო, ასე გვიან იმიტომ შეგაწუხეთ, რომ თქვენი რჩევა მჭირდება. გავიგე, რომ მასწავლებლების დელეგაცია ჩამოვიდა თქვენი ქვეყნიდან და გადავწყვიტე, ეს შესაძლებლობა გამოვიყენო.

- რასაც მიბრძანებთ, ამხანაგო სტალინ.

- ხშირად ვფიქრობ, სწორ რჩევებს მაძლევენ თუ არა ევროპაში ჩვენი პოლიტიკის თაობაზე და განსაკუთრებით, ჩვენს პოლიტიკაზე დიდ ბრიტანეთში.

ხმას არ ვიღებდი, თუმცა, საოცრად ამაყი ვიყავი - ის მართლაც დიდი ადამიანია! როგორც კომუნისტების ჭეშმარიტი ბელადი, მზადაა, რჩევა მიიღოს ისეთი უბრალო და რიგითი პარტიული კადრისგან, როგორიც მე ვარ!

- თქვენი მადლობელი ვიქნებოდი, ამხანაგო, თუკი მომიხაზავდით, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა დიდ ბრიტანეთში. კარგად მესმის, რომ ჩვენი ტრადიციები მნიშვნელოვნად განსხვავდება თქვენისგან და რომ ჩვენი პოლიტიკა ამ ტრადიციებს არ ითვალისწინებს.

თავისუფლად, ლაღად ვიგრძენი თავი და დავიწყე. ვუთხარი, რომ ხშირად მიფიქრია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკაზე დიდ ბრიტანეთთან მიმართებაში, რომ ბევრი შეცდომა და ხარვეზია დაშვებული. ვგრძნობ, ეს იმ იზოლაციის ბრალია, საბჭოთა კავშირი რომ მოექცა იმ სასტიკი სიძულვი-

ლის გამო, რომელსაც კაპიტალისტური ძალები მზარდი კომუ-ნისტური ქვეყნის მიმართ განიცდიან-მეთქი.

ამხანაგი სტალინი მისმენდა, ჩიბუხს აბოლებდა და ზოგჯერ თავს მიქნევდა. როდესაც შევყოყმანდებოდი, მეუბნებოდა, და ეს არაერთხელ მოხდა:

- ამხანაგო, განაგრძეთ, თუ შეიძლება, აზრის თავისუფლად გამოთქმა, ნუ გერიდებათ.

ასეც ვიქცეოდი. სამი საათი ვილაპარაკე. დავიწყე მოკლე ანალიტიკური ანგარიშით კომპარტიის ისტორიულ მდგომა-რეობაზე დიდ ბრიტანეთში. ერთხელ ზარი დარეკა, შემოვიდა ამხანაგი, რომელმაც ლანგრით ორი ჭიქა რუსული ჩაი შე-მოიტანა და ერთი მე დამიდგა. სტალინი ჩაის პატარ-პატარა ყლუპებით სვამდა, თავს მიქნევდა და მისმენდა. როდესაც საუბარს მოვრჩი, უბრალოდ მითხრა:

- გმადლობ, ამხანაგო. ახლა ვხედავ, რომ ძალზე ცუდ რჩე-ვებს მაძლევდნენ.

მერე საათს გახედა და თქვა:

- მაპატიეთ, ამხანაგო, მაგრამ კიდევ უნდა წავიმუშავო გემო-ზე, სანამ მზე ამოვა.

ავდექი. ხელი გამომიწოდა, ჩამოვართვი.

- ნახვამდის, ამხანაგო სტალინ.

- ნახვამდის, ჩემო კეთილო ბრიტანელო ამხანაგო, კიდევ ერ-თხელ გიხდით მადლობას.

უხმოდ გავცვალეთ ღიმილი. ვგრძნობდი, რომ თვალზე ცრემ-ლი მომადგა, - ამ ცრემლებით სიკვდილამდე ვიამაყებ! როდე-საც ოთახიდან გავდიოდი, სტალინმა ისევ დაიწყო ჩიბუხის გა-მართვა, უკვე ქაღალდების გროვას დაჰყურებდა, მის წინ რომ იდო, მაგიდაზე და ელოდა, როდის მოიცლიდა და გულდასმით

წაიკითხავდა. ჩემი ცხოვრების ყველაზე დიადი წამები განვიცადე და დერეფანში გავედი. ორი ახალგაზრდა ამხანაგი მელოდებოდა. ჩვენ უღრმესი ურთიერთგაგებით გავუღიმეთ ერთმანეთს. თვალები ყველას ცრემლიანი გვქონდა. უკან, სასტუმროში, მდუმარედ გავწიეთ. მხოლოდ ერთხელ გაისმა:

- ის უდიადესი ადამიანია.

ეს მე ვთქვი, მათ პასუხად თავი დამიქნიეს. სასტუმროში ნომრის კარამდე მიმაცილეს. უთქმელად ჩამომართვეს ხელი. ისევ მივუჯექი ჩემს დღიურს. ახლა ჩასაწერი მართლაც უკვე მქონდა! მზის ამოსვლამდე ვიმუშავე, ვფიქრობდი მართლაც რომ უდიადეს ადამიანზე, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე, რომელიც ჩვენგან სულ ახლოსაა, კვლავაც ფხიზლობს და შრომობს ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ, მისი მომავლის სადარაჯოზე დგას!

მერე ისევ ანას ხელწერა გრძელდებოდა:

როდესაც კითხვას მოვრჩი, ხმა არავის ამოუღია. ბოლოს, ჯორჯმა შენიშნა:

- კარგი და მართალი მასალაა, კარგი ქარგაა.

ამის გაგება ნებისმიერად შეიძლებოდა. მერე მე ვთქვი:

- მახსოვს, მეც მქონდა ზუსტად ასეთი ფანტაზია, სიტყვასიტვით ასეთივე, ოღონდ მე მთელი ევროპისთვის მოვუხაზე პოლიტიკა.

უეცრად ყველამ ცალყბად გაიცინა, ჯორჯმა კი თქვა:

- თავიდან ვიფიქრე, პაროდიაა-მეთქი. ჰგავს, არა?

კლაივმა თქვა:

- მახსოვს, რაღაც წავიკითხე რუსულიდან ნათარგმნი - მგონი, ოცდაათიანი წლების დასაწყისში დაწერილი... ორი ჯეელი წითელ მოედანზე დგას, ტრაქტორი გაუფუჭდათ. ვერ გაურკვე-

ვიათ, კონკრეტულად, რა გაფუჭდა. უეცრად ბრგე მამაკაცი მიუახლოვდებათ. ჩიბუხს ეწევა. „რა მოხდა?“ - ეკითხება. „საქმეც ისაა, ამხანაგო, რომ ვერ გაგვიგია, რა მოხდა“. „მაშ, ვერ გაგიგიათ? ეს ცუდია“. ბრგე მამაკაცი ჩიბუხის ტარით მექანიზმის რაღაც დეტალზე მიუთითებს: „ამაზე არ გიფიქრიათ?“ ჯეელები ცდიან, ძრავა აღმუვლდება, ტრაქტორი გაცოცხლდება. უცნობისკენ შეტრიალდებიან, მადლობა რომ უთხრან, ის კი დგას და მამაშვილურად უყურებს, თვალებში ნაპერწკლები უციმციმებს. ხვდებიან, რომ ეს ამხანაგი სტალინია. მან კი უკვე სამხედრო სალამი მისცა და განაგრძო მარტომ სვლა კრემლისკენ, წითელ მოედანზე, სრულიად მარტომ.

ისევ გაგვეცინა, ჯორჯმა კი თქვა:

- აი, ეს იყო დროება, თუ იყო, რაც უნდა ილაპარაკონ. მოკლედ, წავედი მე სახლში.

როდესაც ვიშლებოდით, ჰაერი ურთიერთმტრობით იყო დამუხტული, ერთმანეთს ვაღიზიანებდით და ამას ყველა ვგრძნობდით.

ყვითელი რვეული - მესამის ჩრდილი

სწორედ პატრიცია ბრენტმა, რედაქტორმა, შესთავაზა ელას ერთი კვირით პარიზში გამგზავრება. რადგან წინადადება პატრიციასგან მოდიოდა, ელას პირველი ინსტინქტური იმპულსი უარი იყო.

- ჩვენ არ უნდა მივცეთ მათ უფლება, დიდი ხნით გამოგვიყვანონ წყობიდან, - თქვა პატრიციამ. „მათში“ მამაკაცები იგულისხმა.

მოკლედ რომ ვთქვათ, პატრიციას ერთი სული ჰქონდა, ელა მიტოვებული ქალების კლუბში ჩაეწერა; ამაში არა მხოლოდ ზრუნვა, არამედ პირადი დაკმაყოფილებაც იგრძნობოდა. ელამ თქვა, რომ მისი აზრით პარიზში მოგზაურობა დროის უქმი ხარჯვაა და მეტი არაფერი. მოგზაურობის საბაბი იყო შეხვედრა მათი მსგავსი მიმართულების ფრანგული ჟურნალის რედაქტორთან და მოლაპარაკება ბრიტანეთში ერთ-ერთი იმ რომანის პუბლიკაციის უფლების შესყიდვაზე, რომელიც ჟურნალში გაგრძელებებით იბეჭდება ხოლმე.

- შეიძლება ეს რომანი ვოჟირარელი დიასახლისებისთვის ერთობ შესაფერისი საკითხავია, მაგრამ ბრიქსტონელი დიასახლისებისთვის კი სრულიად შეუფერებელია.

- ეს უფასო შვებულებაა, - მიუგო პატრიციამ გესლიანად, რადგან გრძნობდა, რომ ელა უფრო მეტს უარყოფდა, ვიდრე პარიზში გასეირნება იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ელამ გადაიფიქრა. მას შეახსენეს, რომ პოლმა წელიწადზე მეტია, რაც მიატოვა, არადა, ყველაფერს, რასაც ამბობდა, გრძნობდა, აკეთებდა, კვლავაც შინაგა-

ნად მას უსადაგებდა. ისე ააგო თავისი ცხოვრება, რომ მის გულისგულში იყო მამაკაცი, რომელიც არასოდეს დაუბრუნდებოდა. მას გათავისუფლება სჭირდებოდა. ეს გადაწყვეტილება გონებით მიიღო, ის გულიდან არ წამოსულა. ელა მოდუნებული, ყველაფრისადმი გულგრილი, დაცარიელებული იყო. როდესაც პოლმა მიატოვა, ამან არა მარტო რაიმეთი გახარების უნარი, არამედ ნებისყოფაც წაართვა. და, როგორც იქნა, თქვა, პარიზში იმ ურჩი პაციენტივით წავალ, რომელიც ბოლოს და ბოლოს დათანხმდა წამლის მიღებას, მაგრამ მაინც ჯიუტად იმეორებს, რასაკვირველია, ეს წამალი არ მიშველისო.

აპრილი იდგა. პარიზი, როგორც ყოველთვის, მშვენიერი იყო და ელამ ნომერი პატარა, უპრეტენზიო სასტუმროში, სწორედ იმ სასტუმროში დაიქირავა, სადაც ორი წლის წინ პოლთან ერთად გაჩერდა. დაბინავდა ნომერში, სადაც მისთვისაც იყო ადგილი. და როდესაც ეს გააცნობიერა, გაიფიქრა, იქნებ არ უნდა გავჩერებულიყავიო აქ. მაგრამ ძალა არ ეყო, ახალი საცხოვრებელი ეძებნა, მერე გადაბარგებულიყო და დარჩა იქ, სადაც იყო. ჯერ სულაც არ იყო გვიან. მისი ნომრის მაღალი ფანჯრებიდან იშლებოდა პარიზის ხედი, რომელიც ამწვანებული ხეებითა და მოსეირნე მოქალაქეებით იყო გალამაზებული. ელას თითქმის ერთი საათი დასჭირდა, რომ თავი ეიძულებინა, ნომრიდან გასულიყო და რესტორანში ევახშმა. ჭამდა აჩქარებით, თავს უმწეოდ გრძნობდა, თითქოს ყველას დასანახავად იყო გამოჭენებული; როცა სასტუმროში ბრუნდებოდა, ყველაფერს განზრახ გულდასმით აკვირდებოდა, ვინმეს შემთხვევით თვალებით რომ არ შესჩეხებოდა. მიუხედავად ამისა, ერთი-ორმა მამაკაცმა მხიარულად გასძახა და ელას ორივეჯერ გააჟრჟოლა და ნაბიჯს აუჩქარა. საძინებელში შევიდა და კარი გასაღებით ჩაკეტა, თითქოს

რაღაც საფრთხეს ემალებოდა. მერე ფანჯარასთან დაჯდა და დაიწყო ფიქრი, რომ ხუთიოდე წლის წინ განმარტოებით ვახშამი არაერთ სასიამოვნო წუთს მოჰგვრიდა თავისი მარტოობითა და შესაძლებლობით, ვინმე გაეცნო; გასეირნება რესტორნიდან სასტუმრომდე კი ნამდვილი ნეტარება იქნებოდა. და უეჭველია, დალევდა ფინჯან ყავას ან ჭიქა ღვინოს ერთ-ერთ იმ მამაკაცთან, რომელმაც რაღაც მოაძახა. მაშ, რა დაემართა? დიახ, პოლთან ცხოვრებისას მართლაც მიაჩვია თავი, მამაკაცებისთვის აღარ შეეხედა, შემთხვევითაც კი, მისი ეჭვიანობის გამო; მასთან ისე ცხოვრობდა, თითქოს იცავდნენ, ლათინურამერიკელი ქალივით, სახლიდან რომ არასოდეს გადის. თუმცა, მიაჩნდა, რომ მხოლოდ გარეგნულად შეეწყო პოლის ხასიათს, გამოგონილი სატანჯველი რომ აერიდებინა მისთვის. ახლა კი მიხვდა, რომ თვით მისი პიროვნების შინაგანი, სიღრმისეული სტრუქტურა შეიცვალა.

ელა ერთხანს ფანჯარასთან იჯდა სრულ აპათიაში, უყურებდა, როგორ ეპარებოდა ბინდი პარიზის თავს - ქალაქი სიბნელეშიც იფურჩქნებოდა და ელა ცდილობდა, თავი ეიძულებინა, სასეირნოდ გასულიყო, ადამიანებს დალაპარაკებოდა; ვინმეს უფლება უნდა მისცეს, გაიცნოს და ცოტა გაეარშიყოს. მაგრამ მიხვდა, რომ ისევე არ ძალუძდა კიბეზე ჩასვლა, პორტიესთვის გასაღების ჩაბარება და ქუჩაში გასვლა, როგორც ოთხი წელი ერთკაციან საკანში რომ მჯდარიყო და უეცრად ეთქვათ, თავისუფალი ხარ, დაუყოვნებლივ უნდა გახვიდე გარეთ და ისე მოიქცე, თითქოს არაფერი მომხდარაო. დასაძინებლად დაწვა, მაგრამ რული არ მიეკარა. როგორც ყოველთვის, თავს პოლის გახსენებით ინანავებდა. მას მერე, რაც მიატოვა, ელამ ერთხელაც კი ვერ მიაღწია ვაგინალურ ორგაზმს; შეეძლო, განეცადა გარეგანი

ორგაზმის გამჭოლი სიმძაფრე, მისი ხელი პოლის ხელად იქ-ცეოდა და როდესაც ამას აკეთებდა, გულში თავისი ჭეშმარიტი ქალური არსის დაკარგვას დასტიროდა.ამის მერე იძინებდა, მე-ტისმეტად აღგზნებული, განერვიულებული, გაწვალებული, მოტყუებული. პოლის ასეთი გამოყენებით იგი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მის „ნეგატიურ“ არსს, მამაკაცს, რო-მელსაც თავისი თავისა არ სჯეროდა. ხოლო ის კაცი, რომელიც სინამდვილეში იყო, სულ უფრო და უფრო მეტად შორდებოდა. უფრო და უფრო უჭირდა მისი თვალების სითბოს, მისი ხმის დამ-ცინავი ტონის გახსენება. მის გვერდით ეძინა დამარცხების აჩ-რდილს და ამ აჩრდილს პირზე, მაშინაც კი, როცა წამით იღვი-ძებდა, ჩვეულებისამებრ, ხელებს გაშლიდა, რომ მის მკერდში თავი ჩაერგო ან თვითონ დაედო თავი მის მხარზე, ოდნავ შესამ-ჩნევი, მწარე, თვითირონიით აღსავსე ღიმილი დასთამაშებდა.

როდესაც სიზმარში ხედავდა, ყოველთვის ადვილად ცნობდა, ნებისმიერ გარსში, რომელსაც თავისთვის ირჩევდა, რადგან მი-სი ჭეშმარიტი არსი თბილი იყო, ის მშვიდი მამაკაცურობის გან-სახიერება გახლდათ. ის პოლი, რომელიც უყვარდა, სიზმრებში ჰყავდა შენარჩუნებული, ცხადში კი არაფერი დარჩენოდა ტკივი-ლის გარდა, რომელიც ასევე სხვადასხვა სახეს იღებდა.

მეორე დილას ელამ ძალიან გვიან გაიღვიძა, როგორც ყო-ველთვის ხდებოდა, როცა შვილს მოშორდებოდა ხოლმე. გაიღ-ვიძა იმ ფიქრით, რომ მაიკლმა დიდი ხანია გაიღვიძა, ჩაიცვა, ჯულიასთან ერთად ისაუზმა და რომ ახლოვდება ლანჩის დრო სკოლაში. შემდეგ თავს უთხრა, რომ პარიზში იმისთვის არ ჩასუ-ლა, გონებაში ხელახლა განეცადა შვილის დღის წესრიგის ყვე-ლა ეტაპი; თავს შეახსენა, რომ ფანჯრის მიღმა პარიზია და მას

ელის. ფუქსავატი მზით განათებული ქალაქი. და უკვე დროა რედაქტორთან შესახვედრად მოემზადოს.

რედაქცია ჟურნალისა „Femme et Foyer“ („ქალი და ოჯახური კერა“) მდინარის მეორე ნაპირზე იყო; ძველი შენობის შუაგულში, სადაც მხოლოდ მაშინ მოხვდებოდი, თუკი გაივლიდი უზარმაზარი, ნატიფი თაღის ქვეშ, სადაც დიდი ხნის წინ მდიდრული ეკიპაჟები დარახრახებდნენ და უფრო ადრე კი შენობის ასაღებად იერიშზე გადასული ჯარისკაცები იკრიბებოდნენ, შენობისა, ვიღაცის საკუთრება რომ იყო.

რედაქციას თორმეტიოდე, ზომიერად თანამედროვედ, ძვირფასად გაწყობილი ოთახი ჰქონდა მასონობის ამ მოფამფალებულ ციტადელში, სადაც ფეოდალიზმისა და ეკლესიის სურნელი ჯერაც იგრძნობოდა. ელა, რომელსაც უკვე ელოდებოდნენ, მესიე ბრიუნის კაბინეტში თავაზიანად შეიყვანეს, სადაც თვით მესიე ბრიუნმა მიიღო - ზორბა, ნაპატივებმა ახალგაზრდამ, ნორჩ ხარს რომ ჰგავდა; მისალმებისას თავისი უზადო მანერები სრულად გამოავლინა, თუმცა, ამისდა მიუხედავად, მაინც ვერ დაფარა, რომ სულ არ აინტერესებდა არც თვით ელა და არც მისთვის შეთავაზებული კონტრაქტი. ელას შესთავაზა, აპერიტივი ერთად დავლიოთო. რობერ ბრიუნმა ექვსიოდე მოხდენილ მდივან ქალს ამცნო, რომ რადგან თავის საცოლესთან ერთად აპირებდა სადილობას, ვერაფრით დაბრუნდებოდა სამ საათამდე, რაზეც საპასუხოდ ექვსიოდე გამგებიანი, მილოცვის გამომხატველი ღიმილი მიიღო. ელამ და რობერ ბრიუნმა საუკუნეებით განწმენდილი შიდა ეზო გადაკვეთეს, ძველებური ჭიშკარი გაიარეს, ქუჩაში გავიდნენ და კაფესკენ გაემართნენ;çამ დროის განმავლობაში ელა ახალგაზრდა კაცს მომავალი ქორწილის თაობაზე თავაზიანად ეკითხებოდა. მანაც გამართული ინგლისურით ამ-

ცნო, რომ მისი საცოლე არაჩვეულებრივად მომხიბლავი, ჭკვიანი და ნიჭიერი ქალიშვილია. ქორწილი მომავალ თვეს გაიმართება, ახლა კი თავიანთი მომავალი ბინის მოწყობით არიან დაკავებული. ელიზი (ამ სახელს იგი მესაკუთრის დამუშავებული ინტონაციით წარმოთქვამდა, სერიოზულად და მკაცრად) ამწუთას მოლაპარაკებას აწარმოებს ერთი ხალიჩის ყიდვის თაობაზე, რომლის შეძენა ძლიერ სურთ. მას, ელას, განსაკუთრებული პრივილეგია ექნება - პირადად გაიცნობს მის საცოლეს. ელამ სასწრაფოდ დაარწმუნა, რომ აღტაცებულია ამ პერსპექტივით და კიდევ ერთხელ მიულოცა. ამ დროს მათ უკვე მიაღწიეს ქვაფენილის იმ მონაკვეთს, რომელიც მზისგან ტენტებით იყო დაცული და გაწყობილი მაგიდებით, რომელიც თავიანთი სტუმრობით უნდა გაებედნიერებინათ; ჩამოსხდნენ და პერნო შეუკვეთეს. მოლაპარაკების მომენტი დადგა. ელა არახელსაყრელ მდგომარეობაში იყო. იცოდა, თუკი პატრიციასთან ამ რომან-სერიალის „როგორ ვიპოვე ჩემი დიადი სიყვარული“ გამოცემის უფლებით დაბრუნდებოდა, გამოუსწორებლად პროვინციელი მატრონა პატრიცია სიხარულით ცას ეწეოდა. მისთვის სიტყვა „ფრანგული“ ხარისხის უმაღლესი ნიშნის უტყუარი დასტური იყო, ზომიერი, მაგრამ ჭეშმარიტად სასიყვარულო რომანი, მაღალი სტილის მქონე და უდახვეწილესი. მისთვის ფრაზა „Femme et Foyer“ ისეთივე ნატიფსა და პიკანტურ არომატს აფრქვევდა, როგორსაც კარგი ფრანგული სუნამო. არადა, ელამ დანამდვილებით იცოდა, თუკი პატრიცია მართლაც წაიკითხავდა რომანს (ინგლისურად თარგმნილს, რადგან ფრანგული ენა არ იცოდა), აღიარებდა, თუმცა კი უხალისოდ, რომ რომანი არაფრად ვარგოდა. ელას შეეძლო წარმოედგინა, თუკი მოისურვებდა, რომ პატრიციას მისივე სისუსტეებისგან იცავდა.

მაგრამ სინამდვილეში ელა არ აპირებდა რომანის შეძენას, ასეთი განზრახვა საერთოდაც არ ჰქონია, თავიდანვე არ ჰქონია; ეს კი ნიშნავდა, რომ ელა ამ ნაპატივები, გაზულუქებული და უზადოდ კორექტული ახალგაზრდა კაცის დროს ტყუილუბრალოდ ხარჯავდა. წესით, უნდა შერცხვენოდა, მაგრამ სირცხვილს რატომღაც არ გრძნობდა. რობერი რომ მოსწონებოდა, სინდისის ქენჯნა შეაწუხებდა: ასე კი ელა მასში მხოლოდ ფაუნის წარმომადგენელს ხედავდა, ტიპურ საშუალო ფენას, მშვენივრად გაწვრთნილ ეგზემპლარს, და სავსებით მზად იყო, გამოეყენებინა ის; ელა, როგორც დამოუკიდებელი არსება, იმდენად დასუსტებული იყო, მამაკაცის დაცვის გარეშე საზოგადოებრივ ადგილას, კაფეში ყოფნისგან სიამოვნების მიღების უნარიც კი აღარ ჰქონდა, ხოლო მის წინ მჯდომი კაცი სავსებით გამოდგებოდა თანამგზავრის როლისთვის, სხვებზე არაფრით იყო ნაკლები ან მეტი. ფორმალური მხარის დასაცავად, ელამ დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს რომანის ადაპტირება ინგლისისთვის. ეს იყო ამბავი საბრალო ნორჩ ქალიშვილზე, რომელიც თავის მშვენიერ დედაზე დარდობს, სასტიკმა ქმარმა საფლავის კარამდე ნაადრევად რომ მიიყვანა. ობოლი მონასტერში, კეთილი მონაზვნების მეთვალყურეობით იზრდებოდა. დიდი ღვთისმოსაობის მიუხედავად, თხუთმეტი წლისამ ქალწულობა დაკარგა, უსულგულო მებაღის მსხვერპლი შეიქნა, სათნო დებს თვალებში ვეღარ უყურებდა და პარიზში გაიქცა, სადაც მამაკაცებს ეკიდებოდა (ანუ ბიწიერად ცხოვრობდა და თან წარმოუდგენელ სულიერ სიწმინდეს ინარჩუნებდა). მამაკაცები ერთმანეთს ცვლიდნენ და უკლებლივ ყველა უნამუსოდ ტოვებდა საწყალს. ბოლოს, როდესაც რომანის გმირს ოცი წელი შეუსრულდა (იმ დროისთვის უკვე მოასწრო უკანონოდ გაჩენილი ბავშვი კეთი-

ლი მონაზვნებისთვის გადაელოცა), გაიცნო მეფუნთუშის თანაშემწე, რომლის სიყვარულს ვერ უპასუხა, რადგან თავი სრულიად უღირსად მიაჩნდა. იგი გაექცა ამ სიყვარულს, დიდსა და წრფელს, და გაიარა კიდევ რამდენიმე სასტიკი, უგულო კაცის ხელში, თითქმის განუწყვეტელი ქვითინით. და, აი, ბოლოს და ბოლოს, მეფუნთუშის თანაშემწემ (ოღონდ მხოლოდ მას მერე, რაც საკმარისად ბევრი სიტყვა ითქვა), იპოვა, აპატია, მარადიული სიყვარული აღუთქვა, ვნებასა და ერთგულ მფარველობას დაჰპირდა. „Mon amour“ - ეს ეპოსი ამ სიტყვებით მთავრდებოდა, - „Mon amour, მე ხომ არ ვიცოდი, რომ როცა გაგირბოდი, ნამდვილ, დიდ სიყვარულს გავურბოდი“.

- საქმე ისაა, - თქვა ელამ, - ამ ყველაფერს იმდენად აშკარად გამოხატული ფრანგული სურნელი უდის, რომ თქვენი რომანის ხელახლა დაწერა მოგვიწევს.

- ხელახლა დაწერა? კი მაგრამ, რას გულისხმობთ? რისი თქმა გსურთ?

მის დიდ, წაბლისფერ, გადმოკარკლულ თვალებში წყენა იკითხებოდა. ელამ კინაღამ წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, - კინაღამ სინანული გამოთქვა თხრობის ტონალობის გამო, სადაც მჭიდროდ იყო გადაბმული რელიგიურობა და ეროტიზმი, - იმის გაფიქრებამ გააჩერა, რომ პატრიცია ბრენტიც ზუსტად ასე დაიძაბებოდა, ვინმეს რომ ეთქვა მისთვის: „ამ ყველაფერს იმდენად აშკარად გამოხატული ინგლისური სურნელი უდის“.

რობერ ბრიუნმა თქვა:

- მე ეს ამბავი მეტად სევდიანი მეჩვენა; ფსიქოლოგიურად უაღრესად ზუსტია.

ელამ შენიშნა:

- ყველაფერი, რაც კი ქალთა ჟურნალებისთვის იწერება, უაღრესი ფსიქოლოგიური სიზუსტით გამოირჩევა. ოღონდ საქმეც ისაა, რა დონისაა ეს ფსიქოლოგიზმი?

მღელვარე გაუგებრობის შეგრძნებამ კაცს თვალები წამით გაუშეშა. შემდეგ კი ელამ შენიშნა, რომ რობერის მზერა ქუჩის გასწვრივ გასრიალდა: საცოლე ახლოვდებოდა. კაცმა ჩაიბურტყუნა:

- პატრიცია ბრენტის წერილიდან ისე გავიგე, რომ მან რომანის შეძენა გადაწყვიტა.

ელამ უთხრა:

- თუკი გადავწყვეტთ რომანის გამოქვეყნებას, მისი ხელახლა დაწერა მოგვიხდება, მონასტრების, მონაზვნებისა და მთელი ამ რელიგიის ამოღება იქნება საჭირო.

- მაგრამ რომანის არსი - ხომ უნდა დამეთანხმოთ? - ის არის, რომ ქალიშვილს კეთილი გული აქვს და სულის სიღრმეში უბედურია და უბიწო.

რობერი უკვე მიხვდა, რომანს ვერ გაყიდდა; თუმცა, მისთვის სულერთი იყო, გაყიდდა თუ არა; მისი მზერა ერთ წერტილში მოექცა, რადგან ქუჩის ბოლოს გამოჩნდა მომხიბლავი, გამხდარი ქალიშვილი, რომელიც რაღაცით ელას ჰგავდა, - მომცრო, წამახული, ფერმკრთალი სახე და ფუშფუშა შავი თმა. სანამ ქალიშვილი უახლოვდებოდათ, ელამ გაიფიქრა: „შესაძლოა, იმ ტიპის ქალებს ვეკუთვნი, რომლებიც მოსწონს, მაგრამ თვითონ, რა თქმა უნდა, არ მიეკუთვნება იმ ტიპის მამაკაცებს, რომლებიც მე მომწონს“. უკვე ელოდებოდა, რობერი წამოდგება, საცოლეს რომ მიესალმოსო, მაგრამ ბოლო წამს მან მზერა მოაშორა და ქალიშვილმა ჩაიარა. „აი, თურმე, რა, - გაიფიქრა ელამ, - აი, თურმე, რა“. და დაუწყო თვალთვალი, თუ როგორ სკრუპულო-

ზურად, პრაქტიკულ-გრძნობისმიერად აფასებდა ქალებს ქუჩაში: რობერი ყოველ მათგანს შემფასებელი მზერით მანამ უყურებდა, სანამ ქალი საპასუხოდ არ გახედავდა, ზოგი გაღიზიანებული, ზოგიც ინტერესით, მხოლოდ ამის მერე გადაჰქონდა მზერა სხვა რაღაცაზე.

ბოლოს და ბოლოს, ქუჩაში გამოჩნდა ერთდროულად უშნო და მიმზიდველი ქალი: ოდნავ არაჯანსაღი სახის ფერი ჰქონდა, არცთუ მაინცდამაინც კოხტა, თუმცა, ზედმიწევნით კარგად შეღებილი და ძალზე კარგად ჩაცმული. სწორედ ის აღმოჩნდა საცოლე. ერთმანეთს მიესალმნენ დაპატენტებული სიამოვნებით წყვილისა, რომელიც თავის ურთიერთობას კანონიერსა და ყოველმხრივ წესიერ საფუძველზე აგებს. როგორც ჩაფიქრებული იყო, ყველამ მზერა ბედნიერ წყვილზე გადაიტანა, ხალხი მათ უღიმოდა. ელა წარუდგინეს. საუბარი ფრანგულად გაგრძელდა. საუბრის თემა იყო ხალიჩა, რომელიც გაცილებით უფრო ძვირი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ, მაგრამ ხალიჩა მაინც შეიძინეს. რობერ ბრიუნი ბუზღუნებდა; მომავალი მადამ ბრიუნი შავად შეღებილ წამწამებს აფახულებდა და ძლივს შეფარული სასიყვარულო ვნებით ბუტბუტებდა, რომ მისთვის არაფერი ენანება. მათი ხელები ერთმანეთს შეხვდა იმ მომენტში, როცა სახეზე ღიმილი გამოესახათ. რობერის ღიმილი ერთობ თვითკმაყოფილი გახლდათ, ქალისა - კმაყოფილი და ოდნავ დაძაბული. და მანამდეც კი, სანამ მათი ხელები ერთმანეთს დაშორდნენ, კაცმა თვალი შეავლო ქუჩას, ჩვეულებისამებრ, სადაც მოხდენილი ქალიშვილი გამოჩნდა. რობერმა უმალ აიყვანა თავი ხელში; ოდნავ მოიღუშა. მის მომავალ ცოლს ღიმილი წამით გაუშეშდა, მან ყველაფერი შენიშნა. თუმცა, ამისდა მიუხედავად, ქალიშვილი ძალდაუტანებელ მუსაიფს განაგრძობდა, სკამის საზურგეს მიეყ-

რდნო, ელას უყვებოდა, რამდენად რთულია ბინის მოწყობა ამ ძნელ დროში. მისმა მზერამ, საქმროს რომ ესროდა, ელას გაახსენა მეძავი, ვინც ერთხელ, გვიან საღამოს, ლონდონის მეტროში ნახა; ის ქალიც მამაკაცებს ასევე თვალებით ეფერებოდა და უხმობდა, დაფარული, გულის ამაჩუყებელი მზერით.

ელამ საუბარში თავისი წვლილი შეიტანა, მოჰყვა პრობლემებზე, რომლებიც თან სდევს ბინის გაწყობას თანამედროვე ინგლისში. ლაპარაკობდა და თან ფიქრობდა: „ო, მე აქ ზედმეტი ვარ. ვზივარ დაწინდულ წყვილთან. თავს იზოლირებულად, ამორიცხულად ვგრძნობ. გავა ერთი წუთი, ადგებიან და მარტო დავრჩები. და კიდევ მეტად ვიგრძნობ თავს ყველას დასანახავად გამოჭენებულად. რა დამემართა? და მაინც, მირჩევნია, მოვკვდე, ვიდრე ამ ქალის ადგილას აღმოვჩნდე. და ეს მართლაც ასეა“.

კიდევ ოციოდე წუთი ისხდნენ ერთად. საცოლე ცოცხლად, ქალურად, ნაზად გადახედავდა ხოლმე თავის „ტყვეს“. რობერი კვლავაც უზადო მანერებს ინარჩუნებდა და თავი მესაკუთრესავით ეჭირა. მას მხოლოდ თვალები გასცემდა. საცოლეს თვალები რობერის თვალების სინქრონულად მოძრაობდა - ხედავდა, როგორ გულდასმით და დეტალურად (თუმცა კი ახლა იძულებით სწრაფად) აფასებდა ყველა ქალს, ვინც კი ჩაუვლიდა.

ელას გული ეწურებოდა, იმდენად აშკარა იყო მისთვის ეს სიტუაცია; არადა, ის ნებისმიერისთვის ცხადი გახდებოდა, ვინც ამ წყვილს ხუთ წუთს მაინც ადევნებდა თვალს. ეს ორი უკვე დიდი ხანია საყვარლები იყვნენ. ქალს აქვს ფული და ის კაცს სჭირდება. ქალს თავდაუზოგავად, რაღაცნაირი მოწიწებით უყვარს. კაცი მას მიეჩვია, უყვარს, მაგრამ ოჯახური ვალდებულებებისგან წინასწარ დაიღალა. ვეება, ნაპატივები ხარი უკვე ბორგავს, თუმ-

ცა, ქამანდი კისერზე ჯერ ბოლომდე არ მოსჭერია. ორი-სამი წლის მერე ისინი მესიე და მადამ ბრიუნები იქნებიან, იცხოვრებენ მშვენივრად გაწყობილ ბინაში (ყველაფერი ქალის ფულით იქნება გაკეთებული). ეყოლებათ პატარა ბავშვი და შესაძლოა, მოხდენილი ძიძაც; ქალი კვლავაც იქნება მოსიყვარულე და ალერსიანი, მხიარული და ისევ გააწვალებს დაძაბულობა, უხერხულობა და შიში; კაცი იქნება თავაზიანი, კეთილმოსურნე, მაგრამ ზოგჯერ ცუდი გუნება-განწყობა მოუვლის, როდესაც ოჯახის მოვალეობანი მის სასიყვარულო თავგადასავლებს ხელს შეუშლის.

და თუმცა ელასთვის ამ ქორწინების ყოველი ეტაპი ცხადი იყო ისე, თითქოს უკვე წარსულში ყოფილიყოს და ამის შესახებ მოუყვნენ, მაინც გაღიზიანდა, რადგან ეს სიტუაცია ძალიან არ მოსწონდა, მაინც შიშით ელოდებოდა მომენტს, როცა წყვილი ადგებოდა და წავიდოდა. რაც მათ გააკეთეს კიდეც, თან, არ დავიწყებიათ შესაშური ფრანგული თავაზიანობის არც ერთი ნიუანსი: კაცი ხავერდოვნად, გულგრილად თავაზიანი გახლდათ, ქალი კი მღელვარედ თავაზიანი, მისი შემყურე, მის თვალებში ჩანდა, ხომ ხედავ, რა კარგად ვექცევი შენს საქმიან ნაცნობებსო. და ელა მაგიდასთან მარტო დარჩა, სწორედ მაშინ, როცა მეგობრულ, თბილ კომპანიაში სადილის დრო მოვიდა, და ისე გრძნობდა თავს, თითქოს ცოცხლად ტყავი გააძვრეს. მან უმალ დაიცვა თავი, წარმოიდგინა, რომ პოლი მოვა და იმ ადგილას დაჯდება, სადაც ბრიუნი იჯდა. აცნობიერებდა, რომ ახლა, როცა მარტო დარჩა, ორი მამაკაცი აფასებდა, თავიანთ შანსს წონიდნენ. ერთი წუთის შემდეგ ერთ-ერთი მიუახლოვდება და თვითონ ცივილიზებულად მოიქცევა: დალევს მასთან ერთად ერთ-ორ ჭიქას, გაიხარებს ახალი ნაცნობობით, მერე კი დაბ-

რუნდება სასტუმროში, გაძლიერებული, პოლისგან, მისი აჩრდილისგან თავისუფალი. ელას ზურგს უკან იდგა დიდი ქოთანი აყვავებული მცენარეებით. მზის შუქი მის თავზე გადაჭიმულ ტენტში აღწევდა და ნათების მსუბუქ ბურუსში ხვევდა. ელამ თვალი მოხუჭა და გაიფიქრა: „როცა თვალს გავახელ, შეიძლება პოლი დავინახო“ (იმწამს სრულიად წარმოუდგენლად ეჩვენა, რომ იგი სადღაც ახლომახლო არ იყო, საცაა უთუოდ მოვიდოდა და გვერდით მიუჯდებოდა). გაიფიქრა: „მაშ, რას ნიშნავდა, როცა ვამბობდი, პოლი მიყვარს-მეთქი, თუკი მისი წასვლის შემდეგ ლოკოკინად ვიქეცი, რომელსაც ჩიტმა სახლი-ნიჟარა დაუმტვრია? მე უნდა მეთქვა, რომ ჩემი ცხოვრება პოლთან ერთად თავისი არსით ნიშნავს, რომ მე საკუთარ თავს ვინარჩუნებ, ვრჩები თავისუფალი და დამოუკიდებელი. მე ხომ არაფერს ვთხოვდი, არ ვთხოვდი, ცოლად მოვეყვანე. და მაინც, ახლა ერთიანად განადგურებული ვარ. მაშ, ეს ყველაფერი ტყუილი ყოფილა. სინამდვილეში ის ჩემი თავშესაფარი იყო. არაფრით ვყოფილვარ უკეთესი იმ შეშინებულ ქალზე, მის ცოლზე. მე არაფრით ვარ უკეთესი, ვიდრე ელიზი, რობერის მომავალი ცოლი. მიურიელ ტენერი პოლს იმით ინარჩუნებდა, რომ არასოდეს არაფერს ეკითხებოდა, თავს მთლიანად ამორიცხავდა მისი ცხოვრებიდან. ელიზი ყიდულობს რობერს. მე კი ვხმარობდი სიტყვა „სიყვარულს“, მეგონა, თავისუფალი ვიყავი, როცა სინამდვილეში“... სადღაც, სულ ახლოს გაისმა ხმა, ვიღაცამ იკითხა, თავისუფალია თუ არა ადგილი თქვენს მაგიდასთანო, და ელამ გაახილა თვალი, დაინახა დაბალი, ცოცხალი, მხიარული ფრანგი კაცი, რომელიც მის გვერდით ჯდებოდა. ელამ თავს უთხრა, რომ ის სიმპათიურია და რომ მასთან დარჩება; ნაცვლად ამისა, გაუღიმა და უთხრა, შეუძლოდ ვარ, თავი მისკდებაო, ადგა და

წავიდა. მშვენივრად აცნობიერებდა, - პატარა გოგონასავით მოიქცა, კაცმა რომ დააფრთხო.

მან გადაწყვეტილება მიიღო. დაბრუნდა უკან, სასტუმროში, პარიზი ფეხით გაიარა, მოაგროვა ბარგი, გაუგზავნა ტელეგრამა ჯულიას და ერთიც - პატრიციას, დაიქირავა ტაქსი და აეროპორტისკენ გასწია. სალაროში სწორედ ერთი ბილეთი იყო დარჩენილი; თვითმფრინავი ცხრაზე მიფრინავდა - გზას სამი საათი უნდოდა. აეროპორტის რესტორანში სიამოვნებით ივახშმა - თავის თავს დაუბრუნდა; მოგზაურობისას ადამიანს აქვს უფლება, მარტო იყოს. თორმეტიოდე ფრანგული ქალთა ჟურნალი პროფესიონალურად გადაათვალიერა, მონიშნა სტატიები და რომანები, რომლებსაც პატრიცია ბრენტი შეიძლებოდა დაეინტერესებინა. ამ საქმეს გონების მხოლოდ ნაწილს უთმობდა; ამავე დროს ფიქრობდა: „იმ მდგომარეობაში, რომელშიც მე ვარ, საუკეთესო წამალი სამუშაოა. კიდევ ერთ რომანს დავწერ, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ როდესაც წინა რომანს ვწერდი, არ მქონია მომენტი, თავისთვის მეთქვას, რომანს დავწერ-მეთქი. უბრალოდ აღმოვაჩინე, რომ რომანს ვწერ. მაშასადამე, უნდა მივაღწიო ცნობიერების ასეთივე მდგომარეობას - რაღაც მსგავსს მზაობისა, პასიური მოლოდინისა. მაშინ შეიძლება უცებ აღმოვაჩინო, რომ ვწერ რომანს. თუმცა, ჩემთვის სულერთია, დავწერ თუ არა - ჰო, მაგრამ მაშინაც სულერთი იყო. დავუშვათ, პოლს ეთქვა ჩემთვის: „ცოლად მოგიყვან, თუკი დამპირდები, რომ არასოდეს სიტყვასაც კი არ დაწერ?“ ღმერთო ჩემო, მე დავთანხმდებოდი! მზად ვიქნებოდი, მეყიდა პოლი, როგორც ელზა ყიდულობს რობერ ბრიუნს. მაგრამ ეს ორმაგი ტყუილი იქნებოდა, რადგან თვით წერის პროცესს ამასთან კავშირი არა აქვს - ეს არ არის შემოქმედებითი აქტი, უბრალოდ წერილობითი ფიქ-

საციის აქტია. ამბავი უკვე დაწერილი იყო უხილავი მელნით... მაშ, იქნებ ჩემში უკვე არის ახალი ისტორია, უხილავი მელნით დაწერილი... მაშ, რაშია საქმე? მე უბედური ვარ, რადგან დავკარგე რაღაც დამოუკიდებლობა, რაღაც თავისუფლება; მაგრამ ჩემი განცდა საკუთარი „თავისუფლებისა“ არაფრით არ არის დაკავშირებული რომანის დაწერასთან; ის უკავშირდება ჩემს დამოკიდებულებას მამაკაცთან, ეს კი არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდა, რადგან ახლა ერთიანად განადგურებული ვარ. სიმართლე კი ისაა, რომ ბედნიერება, რომელსაც პოლთან განვიცდიდი, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ამქვეყნად. და ბოლოს სადამდე მიმიყვანა ამან? მარტო ვარ, მეშინია მარტო ყოფნის, შინაგანი ძალა დამეშრიტა, გავრბივარ უმშვენიერესი ქალაქიდან, რადგან ვერ ვპოულობ სულიერ ძალას, დავურეკო ათეულობით ნაცნობიდან ვინმეს, ვისაც ძალიან გაუხარდება ჩემი ხმის გაგონება, ან, ყოველ შემთხვევაში, ისე დაიჭერს თავს, რომ ძალიან გაუხარდა.

საშინელება ისაა, რომ ჩემი ცხოვრების ნებისმიერი ეტაპის დასრულებისას რომელიმე ელემენტარულ ჭეშმარიტებასთან პირისპირ ვრჩები, დიდი ხანია ყველასთვის კარგად რომაა ცნობილი; ამ შემთხვევაში, ასეთთან: ქალის ყველა გრძნობა დამყარებულია იმ საზოგადოებრივ მოწყობაზე, რომელიც კარგა ხანია დაიკარგა. ჩემი სიღრმისეული გრძნობები, ჭეშმარიტი გრძნობები, მამაკაცთან ურთიერთობას უკავშირდება. ერთ მამაკაცთან ურთიერთობას. თუმცა, მე ასე არ ვცხოვრობ და ძალიან ცოტა ქალს ვიცნობ, სწორედ ასე რომ ცხოვრობენ. ამიტომ, რასაც ვგრძნობ, ყველაფერი უსაფუძვლო და სულელურია... მუდმივად იძულებული ვხდები, ვაღიარო, რომ ჩემი გრძნობები სისულელეა, მუდმივად მიხდება საკუთარი თავის გამორიცხვა.

მე უნდა დავემსგავსო მამაკაცებს, მეტი ვიფიქრო სამუშაოზე, ვიდრე ადამიანებზე; უპირველესად უნდა ვიფიქრო სამუშაოზე და მამაკაცები მხოლოდ მათი გამოჩენის შემთხვევაში მივიღო, ან ვიპოვო ჩემთვის მოსახერხებელი მამაკაცი, კარაქიან პურზე რომ მეყოს. მაგრამ ასე ხომ ვერ ვიზამ, ასე არ შემიძლია“.

რეისი გამოცხადდა და ელა სხვებთან ერთად თვითმფრინავში ავიდა. თავის ადგილას დაჯდა და როცა დაინახა, მის გვერდით ქალი იჯდა, შვება იგრძნო, რომ მამაკაცი არ იყო. არადა, ხუთი წლის წინ გული დასწყდებოდა. თვითმფრინავი ოდნავ გაგორდა წინ, მერე მოუხვია და ასაფრენად სიჩქარის აკრეფა დაიწყო. თვითმფრინავი ვიბრირებდა, სიჩქარე აკრიფა; გეგონებოდა, ერთიანად დაიძაბა, ჰაერში ასახტომად ემზადება და უეცრად სვლა შეანელაო. რამდენიმე წუთი ერთ ადგილას იდგა, უქმად ღმუოდა. რაღაც არ იყო წესრიგში. ამ ლითონის კონტეინერში გამოკეტილი და ერთმანეთთან ასე ახლოს მჯდომი მგზავრები ალმაცერად შეჰყურებდნენ ერთმანეთს, შეჰყურებდნენ ოპტიმიზმით განათებულ სახეებს და ფიქრობდნენ, სახეზე მღელვარება თუ დაგვეტყოო; ხვდებოდნენ, რომ უდარდელობის ნიღაბი მათ სახეებს საიმედოდ ფარავდა; ახლა უკვე სტიუარდესას შეჰყურებდნენ, რომლის გულგრილი გამომეტყველება არაბუნებრივი და ნაძალადევი ეჩვენებოდათ. თვითმფრინავმა სამჯერ აკრიფა სიჩქარე, ასაფრენად მოემზადა, მაგრამ სვლა შეანელა და გაჩერდა. იდგა და ღმუოდა. მერე ნელა მიგორდა აეროპორტის შენობასთან. მგზავრებს თვითმფრინავიდან გამოსვლა და მოცდა სთხოვეს, ვიდრე მექანიკოსები „ძრავის უმნიშვნელო ხარვეზს გამოასწორებდნენ“. მგზავრებმა მწყობრი მარშით მიაშურეს რესტორანს, სადაც აეროპორტის პერსონალმა თავაზიანი გამომეტყველებით, მაგრამ უტყვი გაღიზიანებით გამოუცხადა,

რომ ავახშმებდნენ. ელა კუთხეში შეიყუჟა, მარტო იყო, მოწყენილი და გულმოსული. მგზავრები ერთობ მდუმარე კომპანიად ქცეულიყვნენ; ეტყობა, ყოველი მათგანი იმაზე ფიქრობდა, როგორ გაგვიმართლა, ძრავის ხარვეზი დროზე რომ აღმოაჩინესო. ყველა ჭამდა, დრო რომ გაეყვანა, უკვეთდნენ სასმელს და უყურებდნენ მექანიკოსებს, რომლებიც პროჟექტორების შუქში თვითმფრინავის გარშემო შეჯგუფებულიყვნენ.

ელამ უეცრად იგრძნო, რომ გული რაღაც მჭახე, გამჭოლმა გრძნობამ შეუკუმშა, რომელიც, როდესაც გაანალიზა, მარტოობა აღმოჩნდა. თითქოს ადამიანებისგან სივრცე ყოფდა, უაღრესად ცივი ჰაერით, ემოციური ვაკუუმით რომ იყო სავსე. ელა ლამის ფიზიკურად შეიგრძნობდა ამ სიცივესა და იზოლაციას. ისევ გაახსენდა პოლი და რაც სავსებით ბუნებრივად ეჩვენებოდა, ის იყო, რომ საცაა კარში გამოჩნდებოდა, შემოვიდოდა და მის გვერდით ჩამოჯდებოდა. ელა თითქმის ფიზიკურად გრძნობდა, სიცივე, გარს რომ აკრავდა, ლღობას იწყებდა იმ რწმენის მძლავრი ზეწოლით, რომ პოლი მალე დაუბრუნდებოდა. ნებელობითი ძალისხმევით შეაჩერა თავისი ფანტაზიის სრბოლა. პანიკურმა აზრმა გაუელვა: „თუკი ვერ შევძლებ, შევაჩერო, აღვკვეთო ეს სიგიჟე, ვერასოდეს დავუბრუნდები საკუთარ თავს, ვერასოდეს განვიკურნები“. მოახერხა და გააძევა პოლის აჩრდილი, ყველგან თან რომ სდევდა; და უმალ გათოშილი სივრცე გაიშალა მის გარშემო და სიცივემ და ყველასა და ყველაფერთან გაუცხოების შეგრძნებამ სულში შეაღწია; ფრანგულ ჟურნალებს ფურცლავდა, ბევრი ჰქონდა, და აღარაფერზე ფიქრობდა. მის გვერდით მამაკაცი იჯდა, ისიც ჟურნალებს კითხულობდა, თანაც მეტად დაკვირვებით, ელამ შენიშნა, რომ ეს სამედიცინო ჟურნალები იყო. ერთი შეხედვითაც ცხადი იყო,

რომ ამერიკელია: საშუალო სიმაღლის, ჩასხმული, ენერგიული; თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, უბზინავდა და ყავისფერ ბეწვს უგავდა. უცნობი ხილის წვენს ზედიზედ სვამდა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს მოულოდნელმა დაყოვნებამ მისი ჩვეული, აღუშფოთებელი სიმშვიდე სრულიად ვერ დაარღვია. ერთხელ მათი მზერა გადაიკვეთა, მას მერე, რაც ორივე დიდხანს უყურებდა თვითმფრინავს, რომლის გარშემო ახლა მექანიკოსების მთელი ჯგრო ირეოდა, კაცმა ხმამაღლა ჩაიცინა და თქვა:

- ეტყობა, აქ მთელი ღამე ვიყურყუტებთ.

და სამედიცინო სტატიებს მიუბრუნდა. უკვე თორმეტი საათი იწყებოდა და აეროპორტის შენობაში მათი რეისის მგზავრებიდან აღარავინ იყო, მათ გარდა. უეცრად გარეთ, მათ წინ საშინელი ხმაური ატყდა, გაისმა ყვირილი და შეძახილები ფრანგულ ენაზე; მექანიკოსებს კამათი მოუვიდათ, ლანძღავდნენ და ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთი, როგორც ჩანს, ყველაზე უფროსი, ცდილობდა, სხვების რაღაცაში დარწმუნებას, ან, შესაძლოა, რაღაცაზე ჩიოდა, წამდაუწუმ ხელებს იქნევდა და მხრებს იჩეჩდა. მისი ხელქვეითები ჯერ რაღაცას უყვიროდნენ, მერე კი დაღვრემილები გაჩუმდნენ. შემდეგ ყველანი ერთ ჯგუფად აეროპორტის შენობისკენ წაბორიალდნენ, უფროსი მარტოდმარტო დატოვეს თვითმფრინავთან. მარტოდ დარჩენილი ერთხანს მთელი გულით ილანძღებოდა, მერე საბოლოოდ აიჩეჩა მხრები, თითქოს ამოიგდოო, და სხვებს მიჰყვა. ამერიკელმა და ელამ ისევ გადახედეს ერთმანეთს. კაცს ეს სიტუაცია, ეტყობა, სახალისოდ ეჩვენებოდა, თქვა:

- მე ეს მაინცდამაინც არ მაღელვებს.

და სწორედ ამ დროს რეპროდუქტორში მათი რეისი გამოცხადდა. ელა და ამერიკელი თვითმფრინავისკენ წავიდნენ. ელამ ჩაილაპარაკა:

- იქნებ ჯობს ამ რეისით გაფრენაზე უარი ვთქვათ?

კაცმა წამით გამოაჩინა მშვენიერი, ძალზე თეთრი კბილები, ცისფერი, ბიჭური თვალებიდან კი სიცოცხლის სიყვარულით გაჯერებული ენთუზიაზმი გადმოაფრქვია და მიუგო:

- ხვალ დილით შეხვედრა მაქვს.

როგორც ჩანს, შეხვედრა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მისთვის სიცოცხლის სასწორზე შეგდებადაც კი ღირდა. მგზავრები, რომელთა უმეტესობას მექანიკოსების ჩხუბის სცენა ნანახი არ ჰქონდა, თავიანთ ადგილებზე მორჩილად დასხდნენ. აშკარად იმაზე ფიქრობდნენ, რომ მიუხედავად რთული სიტუაციისა, მხნეობა უნდა შეენარჩუნებინათ. სტიუარდესას გარეგნულად მშვიდ ქცევაშიც ნერვიული დაძაბულობა გამოსჭვიოდა. თვითმფრინავის გაკაშკაშებულ სალონში ორმოცი კაცი შიშს შეეპყრო და ყველა მთელი ძალით ცდილობდა ეს დაეფარა. ყველა, გარდა ამერიკელისა; ის ახლა მის გვერდით იჯდა და კვლავაც სამედიცინო ლიტერატურის კითხვას შეუდგა. რაც შეეხება ელას, თვითმფრინავში ისე შეაბიჯა, როგორც სიკვდილმისჯილის საკანში; მაგრამ როცა ახსენდებოდა, როგორ აიჩეჩა მთავარმა მექანიკოსმა მხრები, თვითონაც იმავეს გრძნობდა. როდესაც თვითმფრინავი აზანზარდა, ელამ გაიფიქრა: „მოვკვდები, სავსებით შესაძლებელია, მოვკვდე და მოხარულიც ვიქნები“.

ერთი წამის მერე გააცნობიერა, რომ ამ აღმოჩენას არ შეუძრწუნებია. სულის სიღრმეში ეს ყოველთვის იცოდა: „მე უკიდურესად დაშრეტილი ვარ, იმდენად ღრმად, საბოლოოდ და ისე

ძლიერად დავიღალე, მთელი არსებით შევიგრძნობ დაღლილობას, რომ თვით შესაძლებლობა, თავი დავაღწიო ამ აუცილებლობას - გავაგრძელო ცხოვრების გზაზე სიარული - დიდი ხნის ნანატრ გათავისუფლებასავით აღიქმება. რა საოცარია! და ამ ადამიანთაგან ყოველი, გარდა შეიძლება ამ მამაკაცისა, რომელშიც სიცოცხლე ძალუმად ჩქეფს, თავზარდაცემულია იმის გამო, რომ თვითმფრინავი შეიძლება დაიღუპოს, არადა, ყველამ მორჩილად დაიკავა თავისი ადგილი. მაშ, იქნებ ყველას ერთნაირი გრძნობები გვაქვს?“ ელამ ინტერესით გახედა სამ მგზავრს, რომლებიც მის წინ ისხდნენ გასასვლელის მეორე მხარეს; შიშისგან გაფითრებულიყვნენ, შუბლი ოფლით დასცვაროდათ. თვითმფრინავი ისევ ჰაერში ასახტომად მოემზადა. ასაფრენ ბილიკზე ღმუილით გაქანდა, მერე კი მძლავრად აძაგძაგებულმა ქანცგაწყვეტილი ადამიანივით ძლივძლივობით ასწია თავი ჰაერში. ძალზე დაბლა მიფრინავდა, ზედ სახლების სახურავებზე გაჭირვებით მიბობღავდა ზევით; ამერიკელმა ჩაიღიმა და შენიშნა:

- მაშ ასე, გამოგვივიდა, - და ჟურნალს მიუბრუნდა.

სტიუარდესა, რომელიც თითქოს გაშეშდა და აქამდე უძრავად იდგა გაბრწყინებული ღიმილით სახეზე, ახლა გამოცოცხლდა და საჭმლის მომზადებას შეუდგა. ამერიკელმა ჩაილაპარაკა:

- სიკვდილმისჯილებს ახლა კარგად დაგვაპურებენ.

ელამ თვალი დახუჭა. გაიფიქრა: „დარწმუნებული ვარ, დავიღუპებით. ან არის დიდი ალბათობა, რომ დავიღუპებით. და მაიკლს რა მოუვა? არც კი გამხსენებია - ჯულია, რა თქმა უნდა, მიხედავს“.

მაიკლის გახსენებამ წამით ისევ მოანდომა სიცოცხლე, მერე კი გაიფიქრა: „როდესაც დედა ავიაკატასტროფაში იღუპება, სამწუხაროა, მაგრამ ეს მის სახელს არ შებღალავს. ეს თვითმკვლელობა არაა. რა საოცარია! - ვამბობთ, რომ ჩვენ ბავშვს სიცოცხლეს ვჩუქნით, მაგრამ იგივე ბავშვი ჩუქნის სიცოცხლეს მშობლებს, როდესაც, ვთქვათ, ერთ-ერთი გადაწყვეტს, ცხოვრება გაგრძელოს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი თვითმკვლელობა ბავშვს დიდ ტკივილს მიაყენებს. საინტერესოა, რამდენია ასეთი მშობელი, რომელმაც ცხოვრების გაგრძელება გადაწყვიტა, რადგან შეეშინდა, რომ ბავშვს გულს ატკენდა, არადა, დიდი ხანია აღარ უნდა სიცოცხლე“ (ელას ძილი ერეოდა). მაშ, თუკი ასე მოხდა, ეს პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლებს. რასაკვირველია, შემეძლო უარი მეთქვა თვითმფრინავში ჩაჯდომაზე, მაგრამ მაიკლი ხომ ვერასოდეს გაიგებს იმ სცენის ამბავს, მექანიკოსებს შორის რომ გათამაშდა. ყველაფერი დასრულდა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დაღლილობის უზარმაზარი ტვირთით დავიბადე და მთელი ცხოვრება დავათრევ მას. და მხოლოდ ერთადერთხელ მივაგორებდი აღმართში უზარმაზარ ლოდს - იმ დროს, როცა პოლთან ერთად ვიყავი. მაგრამ უკვე საკმარისია პოლზე, სიყვარულზე, ჩემს თავზე ფიქრი - რაოდენ დამღლელია ყველა ეს გრძნობა, რომელთა ხაფანგში ვებმებით და რომელთაგან ვეღარ ვთავისუფლდებით, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვინდა“... ელა გრძნობდა, როგორ ძალუმად ძაგძაგებდა თვითმფრინავის კორპუსი.

„ნაკუწებად დაიშლება, - გაიფიქრა მან, - და ჰაერში ფოთოლივით დავბზრიალდები, წყვდიადში გამაფარფატებს, დაბლა დავეშვები, ცივსა და შავ, ყველაფრის გამომრიცხავ ზღვაში“.

ელას ჩაეძინა და როდესაც თვალი გაახილა, თვითმფრინავი მიწაზე იდგა, ამერიკელი კი აჯანჯღარებდა, ცდილობდა, გაეღვიძებინა. უკვე ღამის პირველი საათი იყო; ხოლო, როცა მგზავრები აეროპორტის შენობაში შეიყვანეს, სამ საათს ბევრი არაფერი უკლდა. ელას სხეული გახევებოდა, გაყინვოდა, დაქანცულობისგან გასავათებული იყო. ამერიკელი კვლავაც მის გვერდით იდგა; კვლავაც სიცოცხლით აღსავსე და თავდაჯერებული. ფართო, ლოყებღაჟღაჟა სახე სიჯანსაღითა და სიმშვიდით გაცისკროვნებოდა. ელას შესთავაზა, ერთი ტაქსით წასულიყვნენ; მანქანები ყველა მგზავრს აშკარად არ ეყოფოდა.

- მეგონა, ვერ ჩამოვაღწევდით, - თქვა ელამ და აღმოაჩინა, რომ მისი ხმა ისევე უდარდელად ჟღერდა, როგორც ამერიკელისა.

- მართლაცდა ასე ჩანდა.

კაცმა გაიცინა, ქათქათა კბილები გამოაჩინა.

- როცა დავინახე, იმ ჯეელმა მხრები როგორ აიჩეჩა, გამიელვა, ეშმაკმა დალახვროს, ცუდადაა საქმე-მეთქი! სად ცხოვრობთ?

ელამ უპასუხა და დასძინა:

- ღამის გასათევი თუ გაქვთ?

- სასტუმროს მოვძებნი.

- ასე გვიან არცთუ ადვილი იქნება. ჩემთან დაგპატიჟებდით, მაგრამ ორი ოთახი მაქვს და ერთში ჩემს ვაჟიშვილს სძინავს.

- დიდი მადლობა, რა თავაზიანი ხართ, მაგრამ საჭირო არაა, ნუ ღელავთ, მე ხომ არ ვღელავ.

და მართლაც არ ღელავდა. მალე ინათებს, არადა, დასაწოლიც კი არა აქვს; ისეთივე ცინცხალი და სიცოცხლით სავსეა, როგორიც თავიდან იყო, მოსაღამოებულს. ელა სახლამდე

მიაცილა, დაემშვიდობა და უთხრა, ბედნიერი ვიქნები, თუკი ერთად ვივახშმებთო. ელა წამიერი ყოყმანის მერე დათანხმდა. ესე იგი, ხვალ საღამოს, უფრო ზუსტად, დღესვე შეხვდებიან. ელა ფიქრობდა, რომ მას და ამერიკელს ერთმანეთისთვის არაფერი ექნებოდათ სათქმელი და მომავალი საღამო უკვე წინასწარ ჰგვრიდა მოწყენილობას. მის ვაჟს ეძინა ოთახში, რომელიც ნორჩი ცხოველის ბუნაგს ჰგავდა: აქ ჯანსაღი ძილის სურნელი იდგა. მაიკლს საბანი აუკეცა და ცოტა ხნით გვერდით დაუჯდა, მისი ყურებით ტკბებოდა, ფანჯრიდან შემოსულ დილის ნაცრისფერ შუქში უკვე ჩანდა მისი ვარდისფერი სახე და წაბლისფერი თმა, ძილში რომ აშლოდა. გაიფიქრა: „იმავე ტიპისაა, რაც ამერიკელი - ორივე კვადრატული, ჩასკვნილი, ვარდისფერი და ძლიერი. თუმცა, ამერიკელი ფიზიკურად არ მიზიდავს; ამავე დროს, არ შემიძლია ვთქვა, რომ მაღიზიანებს, როგორც, ვთქვათ, ახალგაზრდა, ნაპატიები ხარი რობერტ ბრიუნი. მაშ, რატომაც არა?“ ელა დასაძინებლად დაწვა და პირველად მრავალი, მრავალი ღამის განმავლობაში არ დაუწყია პოლის გახსენება. ფიქრობდა, რომ ორმოცი კაცი, რომლებიც მზად იყვნენ სიკვდილისთვის თვალებში შეეხედათ, ახლა თავის საწოლებში იწვა, ცოცხლები, ქალაქში მიმოფანტულები.

ორი საათის მერე შვილმა გააღვიძა. გაოცებით და სიხარულით გაიბადრა: დედა დაბრუნებულა! რადგან ოფიციალურად მისი შვებულება ჯერ კიდევ გრძელდებოდა, ელა სამსახურში არ წავიდა, უბრალოდ, პატრიციას ტელეფონით უთხრა, რომანი-სერიალი არ ვიყიდე და არც პარიზმა მიშველაო. ჯულია რეპეტიციაზე წავიდა, ახალ პიესას დგამდნენ. ელა მთელი დღე მარტო იყო, ალაგებდა, საჭმელს ამზადებდა, ავეჯს აქა-იქ ადგილი შეუცვალა, ხოლო, როცა ბიჭუნა სკოლიდან დაბრუნდა, ეთამაშა.

ამერიკელმა, რომელსაც, როგორც გაირკვა, კაი მეიტლენდი ერქვა, დარეკა. როცა უკვე საკმაოდ გვიან იყო. თქვა, რომ ახლა მთლიანად ელას განკარგულებაში იყო: როგორ სურს დროის გატარება? ოპერა? ბალეტი? ელამ უთხრა, ამისთვის უკვე გვიანიაო და შესთავაზა, უბრალოდ ევახშმათ. ელამ იგრძნო, რომ ამერიკელს გულზე მოეშვა:

- მართალი გითხრათ, ყველა ეს წარმოდგენები საჩემო საქმე არაა, იშვიათად დავდივარ ასეთ რაღაცებზე. მაშინ მითხარით, სად გესიამოვნებათ ვახშამი?

- რამე უჩვეულო ადგილას გსურთ წასვლა? თუ უბრალოდ ისეთ ადგილას, სადაც კაცმა შეიძლება კარგი ბიფშტექსი ან რაიმე მაგდაგვარი მიირთვას?

ამერიკელმა ისევ იგრძნო შვება.

- აი, სწორედ ეს იქნებოდა ჩემთვის ზედგამოჭრილი. სრულიად უბრალო საჭმელი მირჩევნია.

ელამ დაუსახელა სოლიდური, კარგი რესტორანი და გვერდზე გადადო კაბა, რომელიც ამ საღამოსთვის შეარჩია: ეს იყო ერთ-ერთი იმ კაბებიდან, რომლებიც პოლის დროს არასოდეს უტარებია, მის მრავალრიცხოვან აკრძალვებს ემორჩილებოდა, და რომელსაც ბოლო დროს იცვამდა, გამომწვევად. ჩაიცვა ქვედაკაბა და ბლუზი, და ისეთი მაკიაჟი გაიკეთა, რომ უფრო ჯანსაღი გარეგნობა ჰქონოდა, ვიდრე საინტერესო. მაიკლი ლოგინში წამომჯდარიყო, მის გარშემო კომიქსებიანი ჟურნალები ეყარა.

- რატომ მიდიხარ სადღაც, როცა ეს-ესაა ჩამოხვედი?

ბიჭი დიდი გულისტკივილის განსახიერება იყო.

- იმიტომ, რომ ასე მინდა, - მიუგო ელამ ჩაცინებითა და მისი ტონის მიბაძვით.

ბიჭმა გაგებით გაუღიმა, მერე მოიღუშა და ნაწყენი ინტონაციით გააგრძელა:

- ეს უსამართლობაა.

- მაგრამ შენ ხომ ერთ საათში უკვე გეძინება.

- ჯულია არ წამიკითხავს?

- მე ხომ გიკითხავდი ორი საათი, მერე, ხვალ სკოლაში მიდიხარ და დროზე უნდა დაიძინო.

- როცა წახვალ, იმედია, დავითანხმებ.

- მაშინ, ჯობს ახლა ამას ნუ მეუბნები, თორემ გავბრაზდები.

ბიჭი გამომწვევად შეჰყურებდა: მკვრივი, ჩასკვნილი, ლოყებღაჟღაჟა, საკუთარ თავსა და ამ სახლში თავის უფლებებში მეტისმეტად დარწმუნებული.

- რატომ არ ჩაიცვი ის კაბა, რომლითაც წასვლას აპირებდი?

- გადავწყვიტე, რომ ასე უკეთესია.

- ოჰ, ეს ქალები, - ჩაილაპარაკა ცხრა წლის ბიჭმა ქედმაღლურად, ბატონკაცურად, - ოჰ, ეს ქალები ამ თავიანთი კაბებით.

- მაშ, ღამე მშვიდობისა, - უთხრა ელამ, ტუჩებით წამით შეეხო მის თბილსა და გლუვ ლოყას; სიამოვნებით შეისუნთქა საპნის ცინცხალი სურნელი, მის თმას რომ ასდიოდა.

ელა ქვევით ჩავიდა და ნახა, რომ ჯულია აბაზანას იღებდა. გასძახა:

- მე მივდივარ!

პასუხად მიიღო:

- არ დაიგვიანო, დროზე მოდი, გუშინ ღამე სულ არ გიძინია!

კაი მეიტლენდი რესტორანთან ელოდებოდა. ცინცხალი გამომეტყველება ჰქონდა, სიცოცხლე პირდაპირ ჩქეფდა მასში. ცისფერი თვალების ნათელი მზერა უძილო ღამეს ოდნავადაც

არ დაებინდა; ელა მის გვერდით დაეშვა სკამზე, უეცრად დაღ-ლილობა იგრძნო და ჰკითხა:

- თქვენ რა, საერთოდ არ გეძინებათ?

კაცი საზეიმოდ გაიბადრა და გამოაცხადა:

- დღე-ღამეში სამ-ოთხ საათზე მეტი არასოდეს მძინავს.

- კი მაგრამ, რატომ?

- იმიტომ, რომ თუკი დროს ძილზე ტყუილუბრალოდ დავხარ-ჯავ, ვერასოდეს მოვხვდები იქ, სადაც მინდა, რომ მოვხვდე.

- მომიყევით თქვენზე, - სთხოვა ელამ, - და მერე მე გიამბობთ ჩემზე.

- ჩინებულია, - მიუგო, - ჩინებულია. მართალი გითხრათ, თქვენ ჩემთვის გამოცანა ხართ, ამიტომ ბევრი ლაპარაკი მოგი-წევთ.

ამ დროს ოფიციანტები გამომეტყველებით ანიშნებდნენ, რომ მათ „განკარგულებაში არიან“ და მეიტლენდმა შეუკვეთა კოკა--კოლა და „ყველაზე დიდი ბიფშტექსი, რაც კი მოგეპოვებათ“, ოღონდ უკარტოფილოდ, რადგან წონაში უნდა დაიკლოს, ასევე, ტომატის საწებელი.

- სპირტიან სასმელებს არასოდეს სვამთ?

- არასოდეს, მხოლოდ ხილის წვენს.

- ვშიშობ, რომ ჩემთვის ღვინის შეკვეთა მოგიწევთ.

- სიამოვნებით, - თქვა მან და ოფიციანტს „ყველაზე საუკეთე-სო“ ერთი ბოთლი ღვინის მოტანა დაავალა.

როდესაც ოფიციანტები წავიდნენ, კაი მეიტლენდმა ყოველი სიტყვის დაგემოვნებით ჩაილაპარაკა:

- პარიზში გარსონები თავს იკლავენ, რომ როგორმე გაგ-რძნობინონ, გაუთლელი სოფლელი ხარო; აქ კი, როგორც ვხე-

დავ, ამას ოფიციანტები მარტივად და ძალდაუტანებლად ახერ-ხებენ.

- და თქვენ გაუთლელი სოფლელი ხართ?

- ცხადია, - მიუგო მან და ქათქათა კბილების სრული კომ-პლექტი გამოაჩინა.

- მოვიდა დრო, მოვისმინო თქვენი ცხოვრების ისტორია.

მის თხრობას ვახშმის მთელი დრო დასჭირდა, რომელმაც, თუკი კაის ვიგულისხმებთ, ზუსტად ათ წუთს გასტანა. მაგრამ მან მეტად ზრდილობიანად მოიცადა, სანამ ელა დანაყრდებოდა და მის ყველა კითხვას უპასუხებდა. ღარიბ ოჯახში დაიბადა, მაგრამ ჭკუა დაჰყვა და გამოიყენა კიდეც. სტიპენდიებმა და გრანტებმა მიიყვანა იქ, სადაც უნდოდა ყოფნა, - ქირურგი გახლდათ, აკე-თებდა ოპერაციებს თავის ტვინზე, მისი კარიერა წინ მიიწევდა, ბედნიერი ოჯახი და მშვენიერი მდგომარეობა ჰქონდა, ხუთი შვილი ეზრდებოდა, შესაშური მომავალი ელოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამას თვითონვე ამბობს.

- და რას ნიშნავს ამერიკაში ღარიბ ოჯახში დაბადება?

- მამაჩემი მთელი ცხოვრება ქალის წინდებით ვაჭრობდა და ახლაც ვაჭრობს. ვერ ვიტყვი, რომ ვშიმშილობდით, მაგრამ თა-ვის ტვინის ქირურგიით ჩემს გვარში რომ ნამდვილად არავინ იყო დაკავებული, ამაზე კი თავს დავდებ.

მისი ტრაბახი იმდენად ძალდაუტანებელი, იმდენად ორგანუ-ლი იყო მისთვის, რომ უკვე ტრაბახიც კი აღარ იყო. საუბრისას მისი სიცოცხლისმოყვარეობა და ძალა როგორღაც ელასაც გა-დაედო. უკვე აღარ ახსოვდა, რომ რესტორანში დაღლილი მივი-და. როდესაც კაიმ უთხრა, მოვიდა დრო, თქვენც მიამბოთ თქვე-ნი ცხოვრების შესახებო, შეეცადა, ეს როგორმე გადაედო, რად-გან მიხვდა, რომ მკაცრი გამოცდა ელოდა. ჯერ ერთი, ელამ გა-

აცნობიერა, რომ მისი ცხოვრება, თუკი მას თვითონ უნდა მოჰ-ყვეს, შეუძლებელია აღწერო მხოლოდ და მხოლოდ უბრალო ფაქტების ჩამოთვლით: ჩემი მშობლები იყვნენ ესა და ეს, ვცხოვრობდი იქა და იქ, ვმუშაობდი იქა და იქ. მეორეც, ელამ იგრძნო, რომ ეს მამაკაცი იზიდავდა და ამ აღმოჩენამ გუნება მოუშხამა. როდესაც მან თავისი დიდი ხელი მხარზე დაადო, ძუ-ძუები დაეძაბა, ყრუდ ეტკინა. ლაჯები დაენამა. არადა, მათ სა-ერთო არაფერი ჰქონდათ. ელა ვერ გაიხსენებდა ვერც ერთ შემ-თხვევას თავისი ცხოვრებიდან, როდესაც ფიზიკურად ასე აღეგ-ზნო მამაკაცს, თუკი რაღაცით მაინც არ იქნებოდა მისთვის ახ-ლობელი. ჩვეულებრივ, ელა რეაგირებდა მზერაზე, ღიმილზე, ლაპარაკის, სიცილის მანერაზე. მისი აზრით, კაი მეიტლენდი ჯან-ღონით აღსავსე ველური გახლდათ და იმის აღმოჩენა, რომ თურმე ლოგინში სურს ჩაუწვეს, ელას ცნობიერების ერთგვარ გაორებას იწვევდა. გაღიზიანებული, შეწუხებული იყო; გაახსენ-და, რომ ზუსტად ასე გრძნობდა თავს, როცა მისი ყოფილი ქმარი ცდილობდა მის აღგზნებას ფიზიკური შეხებით და ამას მისი სურ-ვილის საწინააღმდეგოდ აკეთებდა. ელამ გაიფიქრა: „ძალიან ადვილად შეიძლება ისევ ფრიგიდული აღმოვჩნდე“. მერე კი გა-აცნობიერა, რამდენად კომიკური იყო: აგერ იჯდა და სურვილის-გან იწვოდა და ამავე დროს, თავისი ჰიპოთეტური ფრიგიდულო-ბის გამო წუხდა. ელამ ხმამაღლა გაიცინა და კაიმ იკითხა:

- რა არის სასაცილო?

ელამ ის უთხრა, რაც პირველად თავში მოუვიდა, და კაიმ უბოროტო ღიმილით მიუგო:

- თქვენც გაუთლელ სოფლელად მიმიჩნევთ. მაგრამ არა უშავს, ყველაფერი რიგზეა, არ მწყინს. წინადადება მაქვს: ოციოდე ადგილას მაქვს დასარეკი და მირჩევნია, ეს სასტუმროს

ნომერში გავაკეთო. მოდი, ჩემთან წავიდეთ, მე დასალევს მოგცემთ და როცა ტელეფონზე ლაპარაკს მოვრჩები, ბოლოს და ბოლოს, შეძლებთ მომიყვეთ თქვენზე.

ელა დათანხმდა და გაიფიქრა, საინტერესოა, იღებს თუ არა ჩემს თანხმობას, როგორც ლოგინში ჩაწოლისთვის მზადყოფნასო. ასე რომც ყოფილიყო, კაცი ამას არ იმჩნევდა. ელამ გაიფიქრა, რომ როდესაც თავისი წრის მამაკაცებთან ჰქონდა ურთიერთობა, ყოველთვის შეეძლო „ამოეკითხა“ მათი აზრები და გრძნობები მათი მზერის, ჟესტების თუ საუბრის საერთო განწყობის მიხედვით; ანუ სიტყვები ასეთ სიტუაციაში ახალს არაფერს ეუბნებოდა, ისედაც ყველაფერი უკვე იცოდა. მაგრამ ამ მამაკაცთან საერთოდ არაფერი იცოდა. ცოლიანი იყო, მაგრამ ელამ ვერაფრით ამოიცნო, რასაც მყისვე მიხვდა, ვთქვათ, იგივე რობერ ბრიუნის შემთხვევაში, თუ როგორ უყურებდა იგი ცოლქმრულ ღალატს. რადგანაც ელამ მასზე არაფერი იცოდა, ეს ნიშნავდა, რომ არც მან იცის მასზე რაიმე; მაგალითად, არ იცის, რომ ახლა ელას კერტები უხურს.

ოროთახიანი ნომერი ჰქონდა ძვირად ღირებულ სასტუმროში, შენობის შუაგულში: კონდიციონერიანი, უფანჯრო, კლაუსტროფობიული, აკურატულად და უსახურად გაწყობილი.

ელას მოეჩვენა, რომ გალიაში გამოკეტეს, მაგრამ კაი, ეტყობა, აქ მშვენივრად გრძნობდა თავს. ელას ვისკი დაუსხა, ტელეფონის აპარატი ახლოს დაიდგა და ოციოდე ზარი გააკეთა, თანაც მთელმა ამ პროცესმა მხოლოდ ნახევარი საათი წაიღო. ელა უსმენდა და თავისთვის აღნიშნა, რომ მეორე დღეს სულ ცოტა ათი შეხვედრა დანიშნა, მათ შორის - ლონდონის ოთხი ძალიან ცნობილ კლინიკაში. როცა ტელეფონით ლაპარაკს მორჩა, ძალზე ენერგიულად დასცა ბოლთა.

- მაგარია! - შესძახა, - მაგარია! როგორ მიხარია, რა მშვენიერია ყველაფერი!

- მე რომ აქ არ ვყოფილიყავი, რას გააკეთებდით?

- ვიმუშავებდი.

ტუმბოზე სამედიცინო ჟურნალების ვეება დასტა იდო და ელამ ჰკითხა:

- წაიკითხავდით?

- დიახ. თუ გინდა, მუდმივად მაღალ დონეს ინარჩუნებდე, ძალიან ბევრი უნდა იკითხო.

- და რაიმეს კითხულობთ გარდა პროფესიული ლიტერატურისა?

- არა, - გაიცინა მან და დაუმატა, - კულტურაზე ჩემს ოჯახში ცოლი ზრუნავს. მე არ მცალია.

- მომიყევით თქვენს ცოლზე.

კაიმ უმალ ფოტო გააძრო. სურათზე მოხდენილი, ბავშვურსახიანი ქერა ქალი იყო აღბეჭდილი ხუთი ჩვილის გარემოცვაში.

- დალახვროს ეშმაკმა! ხომ ლამაზია? ყველაზე ლამაზი გოგოა ჩვენს ქალაქში!

- ამიტომაც მოიყვანეთ ცოლად?

- აბა რა, რასაკვირველია...

კაიმ ელას ინტონაცია გააცნობიერა და თავის თავზე მასთან ერთად იცინა, მერე კი თქვა თავის გაქნევით, თითქოს საკუთარი თავისა უკვირსო:

- რასაკვირველია! ჩავიფიქრე, რომ ცოლად შევირთავდი ყველაზე ლამაზ, ყველაზე მაგარ გოგოს ჩვენს ქალაქში და გავაკეთე ეს. სწორედაც რომ გავაკეთე.

- ბედნიერი ხართ?

- მშვენიერი გოგოა, - განაცხადა მყისვე და დიდი ენთუზიაზმით, - ძალიან კარგია და ხუთი კარგი ვაჟიშვილი მყავს. მინდოდა, გოგონაც გვყოლოდა, მაგრამ ბიჭებიც ჩინებული მყავს. და უბრალოდ მინდა, მეტი დროის გატარების საშუალება მქონდეს მათთან. როცა ერთად ვართ, თავს გადასარევად ვგრძნობ.

ელამ გაიფიქრა: „ახლა თუ ავდგები და ვიტყვი, რომ ჩემი წასვლის დროა, დამეთანხმება, არ გაბრაზდება, კეთილგანწყობას არ დაკარგავს. შესაძლოა, კიდევ შევხვდეთ. შესაძლოა, არა. და ორივე შემთხვევაში არც ერთ ჩვენგანს არ ექნება განსაკუთრებული განცდა. მაგრამ ახლა მე ვიღებ გადაწყვეტილებას, რადგან არ იცის, რა მიყოს. უნდა წავიდე, მაგრამ რატომ? გუშინ არ იყო, რომ დავასკვენი, სასაცილოა, რომ ჩემნაირი ქალები იმ გრძნობების მიხედვით ცხოვრობენ, რომლებიც სრულიად არ შეესაბამება ჩვენს ცხოვრებას-მეთქი. მამაკაცი ახლა, ამ სიტუაციაში, იმ ტიპის მამაკაცი, როგორიც მე ვიქნებოდი, მამაკაცად რომ დავბადებულიყავი, ახლა უბრალოდ გაჟიმავდა იმას, ვინც უნდა და მერე ამაზე აღარ იფიქრებდა, არც გაახსენდებოდა“.

ამ დროს კაიმ თქვა:

- აი, ელა, ჩემს თავზე ბევრი მოგიყევით და თქვენ ძალიან მაგრად შეგძლებიათ მოსმენა, უნდა ვაღიარო, მაგრამ თქვენზე კი არაფერი ვიცი, საერთოდ არაფერი.

„აი, ახლა, - გაიფიქრა ელამ, - აი, ახლა“.

მაგრამ მომენტს აჭიანურებდა.

- და თქვენ თუ იცით, რომ ახლა უკვე შუაღამეა?

- მართლა? ნუთუ? რა ცუდია. არასოდეს ვწვები სამ ან ოთხ საათზე ადრე. შვიდისთვის კი უკვე ფეხზე ვარ და ასეა ყოველ ცისმარე დღეს.

„ახლა, - გაიფიქრა ელამ, - რა სასაცილოა, თურმე ეს ძალიან ძნელია“. მისთვის თქმა იმისა, რაც თქვა, ნიშნავდა დაპირისპირებოდა საკუთარ ყველაზე სიღრმისეულ ინსტინქტებს და თვითონვე გაოცდა, როცა მისმა სიტყვებმა მოულოდნელად სასხვათაშორისოდ გაიჟღერა და მხოლოდ წამით შეეკრა სუნთქვა.

- ჩემთან დაწოლა ხომ არ მოგინდებოდათ?

კაი უყურებდა და იკრიჭებოდა. გაკვირვებით არ გაჰკვირვებია. უფრო დაინტერესებული ჩანდა. „დიახ, - გაიფიქრა ელამ, - მას აინტერესებს“. ძალიანაც კარგი; სწორედ ამით მოსწონდა ის ელას. უეცრად მკვრივ კისერზე წამოსკუპებული მკვრივი თავი უკან გადააგდო და საზეიმოდ შესძახა:

- ჯანდაბა, ვახ, ჯანდაბა! მაგარია! არ მომინდებოდა? დიახ, სერ! დიახ, ელა, თქვენ ეს რომ არ შემოგეთავაზებინათ, არც კი ვიცოდი, რა მეთქვა.

- ვიცი, - მიუგო ელამ ღიმილითა და ხელოვნური მოკრძალებით (ელა გრძნობდა თავისი ღიმილის ხელოვნურ მოკრძალებულობას და განცვიფრებული იყო.).

ხელოვნური მოკრძალებით თქვა:

- მაშ, სერ, მგონი, უნდა მომცეთ ბრძანება, „თავისუფლად“ თუ რაღაც ამდაგვარი.

კაცი გაიკრიჭა. ოთახის მეორე ბოლოში იდგა; და ელამ დაინახა ის, როგორც არსება, რომელიც მხოლოდ ხორცისგან შედგება, - თბილი, სასიცოცხლო ძალით მჩქეფარე ხორცის ნაერთი. ჰოდა, ძალიანაც კარგი, ასე იყოს (ამ მომენტში ელა თავის თავს გამოეყო, განზე გადგა, უყურებდა და უკვირდა, რაც ხდებოდა.).

ღიმილით წამოდგა და კაბა ნელ-ნელა გაიძრო. კაიმ ღიმილით გაიხადა პიჯაკი და პერანგის შეხსნას შეუდგა.

საწოლში ელამ შოკი განიცადა, იგრძნო დაძაბული, მხურვალე ხორცი (ელა თან განზე იდგა და ირონიულად ფიქრობდა: „ერიჰაა!“). კაცი თითქმის უმალ დაეუფლა და რამდენიმე წამის შემდეგ ყველაფერი დასრულდა. ელა უკვე მზად იყო, დაემშვიდებინა ან ტაქტი გამოეჩინა, მაგრამ ამ დროს კაი ზურგზე გადაწვა, ხელები თავქვე ამოიდო და გახარებულმა შესძახა:

- დაგლიჯა! დაგლიჯა! ეშმაკმა დალახვროს!

(ამ მომენტში ელა თავის თავს დაუბრუნდა: ორივე ელა გაერთიანდა და ახლა როგორც ერთი ადამიანი, ისე აზროვნებდა.)

ელა მის გვერდით იწვა, ფიზიკურ გულაცრუებას მალავდა, იღიმებოდა.

- ეშმაკმა დალახვროს! - თქვა კაცმა კმაყოფილი ღიმილით, - აი, ეს მომწონს. შენთან არავითარი პრობლემა არ არსებობს!

ელა აუჩქარებლად წონიდა მის სიტყვებს, ორივე ხელით ეხვეოდა. მერე კაიმ თავის ცოლზე დაიწყო ლაპარაკი, როგორც ჩანს, ისე, უბრალოდ, თავის ნათქვამს მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

- იცი რა? ჩვენ ერთ კლუბში დავდივართ საცეკვაოდ, კვირაში ორ-სამჯერ. წარმოიდგინე, ქალაქში საუკეთესო კლუბია. ყველა კაცი მე მიყურებს და ფიქრობს: „როგორ გაუმართლა ამ ჯეელს!“ ჩემი ცოლი იქ ყოველთვის ყველაზე ლამაზია, ხუთი მშობიაროობის მერეც კი. იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ უამრავი დრო გვაქვს. ეშმაკმა დალახვროს! ზოგჯერ ვფიქრობ, ავიღებ და ვეტყვი, ხუთი შვილი გვყავს-მეთქი. და მას მერე, რაც დავქორწინდით, ეს სულ რაღაც ხუთჯერ თუ გვქონდა. არა, მე, რა თქმა უნდა, ვაზვიადებ, მხოლოდ ხუთჯერ არა, მაგრამ დაახლოებით. მას ეს არ აინტერესებს, თუმცა, მისი გარეგნობით ამას ვერ იფიქრებ.

- და რაშია პრობლემა? - იკითხა ელამ თავდაჭერით, ტაქტიანად.

- აზრზე არა ვარ. სანამ დავქორწინდებოდით, როცა ერთმანეთს ვხვდებოდით, ძალზე მხურვალე იყო. ჯანდაბა, რო მახსენდება!

- რამდენ ხანს ხვდებოდით?

- სამი წელი. მერე დაწინდულები ვიყავით. ოთხი წელი.

- და არასოდეს გყვარებიათ ერთმანეთი?

- გვყვარებია? ა, ჰო, მივხვდი. არა, ამის უფლებას არასოდეს მაძლევდა და არც მინდოდა, მოეცა. ბევრი რამე ყოფილა ჩვენ შორის, მაგრამ ეს არა. დალახვროს ეშმაკმა, რა მაგარი მხურვალე იყო მაშინ, რო მახსენდება!

მერე კი, თაფლობის თვეს, გაიყინა. და ახლა საერთოდ აღარც ვეკარები. ანდა, იშვიათად, როცა რომელიმე წვეულებაზე შევხურდებით ხოლმე ორივე.

კაიმ წყვეტილად, ენერგიულად ჩაიცინა, მეტად ახალგაზრდა კაცივით იცინოდა; გარუჯული ფეხები მაღლა აიშვირა და მერე ისევ საწოლზე დაახეთქა.

- დავდივართ საცეკვაოდ, თანაც ისე იცვამს, რომ გარშემო ყველა პანტაპუნტით ეცემა, კაცები პირდაღებულები აშტერდებიან, შურთ ჩემი, მე კი ვფიქრობ ჩემთვის: „ერთი კი იცოდნენ!“

- და ასეთი სიტუაცია გაწყობს?

- ჯანდაბა, რა თქმა უნდა, არ მაწყობს, მაგრამ ძალით ჩემს თავს ვერავის მოვახვევ. აი, სწორედ ეს მომწონს შენში - შენ ამბობ, წამო, დავწვეთო და ყველაფერი მარტივად და გადასარევად გამოდის. შენ მე მომწონხარ.

ელა გვერდით იწვა და იღიმებოდა. კაცის დიდი, ჯანმრთელი სხეული სასიცოცხლო ენერგიისაგან ლამის პულსირებდა. კაიმ თქვა:

- ცოტა მოიცადე და კიდევ ერთხელ ვიზამ. ასეთი ჩვევა მაქვს.

- ქალები გყავს ხოლმე?

- ზოგჯერ. როცა შემთხვევა ჩამივარდება. კუდში არავის დავსდევ. მაგის დრო არა მაქვს.

- მეტისმეტად დაკავებული ხარ იქით სწრაფვით, სადაც უნდა აღმოჩნდე?

- დიახ, სწორედ ასეა.

ხელი ჩამოისვა, თავი შეიმოწმა.

- იქნებ ჯობს, ეს მე გავაკეთო?

- რაა? შენ რა, შეგიძლია?

- შემიძლია თუ არა? - იკითხა ელამ, იდაყვზე იყო დაყრდნობილი, ზემოდან დაჰყურებდა.

- ჯანდაბა, ჩემი ცოლი კი ხელს არასოდეს მკიდებს. ქალებს ეს არ უყვართ, - კიდევ ერთი ამოუშვა შეძახილ-ჩაცინება, - ესე იგი, რა, შეგიძლია?

ცოტა ხნის შემდეგ გამომეტყველება შეეცვალა: სახეზე განცვიფრებული მგრძნობიარება გამოესახა.

- აი, ეს მესმის! - თქვა მან, - ეშმაკმა დალახვროს! აი, ეს მესმის!

ელა აუჩქარებლად მოძრაობდა და ის ძალზე დიდი გახადა, მერე კი უთხრა:

- ახლა კი, თუ შეიძლება, შენც ნუ იჩქარებ.

კაი მოიღუშა, წამით დაფიქრდა; ელა ხედავდა, რომ მის ნათქვამზე ფიქრობდა; რა-რა და ბრიყვი ნამდვილად არ იყო - ელა კი სულ მის ცოლსა და მის სხვა ქალებზე ფიქრობდა, უკვირდა.

კაი დაეუფლა; ელამ კი გაიფიქრა: „ადრე ეს არასოდეს გამიკეთებია - მე ვანიჭებ სიამოვნებას. რა საოცარია; ადრე ეს არასოდეს მითქვამს, ასე არც კი მიფიქრია. როცა პოლთან ვიყავი, რაღაც სიბნელეში ვინთქმებოდი და ყველა აზრი მტოვებდა. იმის არსი, რაც ახლა ხდება, ეს არის: მე სრულად ვინარჩუნებ გონებას, მესმის, რასაც ვაკეთებ, ტაქტიანი ვარ და გონისმიერი, მე გამოცდილი ვარ - მე ვანიჭებ სიამოვნებას. ამას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რაც ჩემსა და პოლს შორის ხდებოდა. მაგრამ მე ამ კაცთან ლოგინში ვარ და იმას, რაც ჩვენ შორის ხდება, ინტიმური ურთიერთობა ეწოდება“. მისი ხორცი ელას ხორცში მოძრაობდა, მეტისმეტად სწრაფად, უხიაგოდ. ელასთვის ყველაფერი ისევ მეტისმეტად სწრაფად დასრულდა, ის კი აღტაცებისგან ღრიალებდა, ელას კოცნიდა და ყვიროდა:

- დაგლიჯა, დაგლიჯა, დაგლიჯა!

ელა ფიქრობდა: „მაგრამ პოლთან ეს დრო მე სავსებით მეყოფოდა - მაშ, რაშია საქმე? რა არ ხდება ისე, რადგან აშკარად არ იქნება საკმარისი, თუკი უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს მამაკაცი არ მიყვარს“. უეცრად ელამ გააცნობიერა, რომ ამ კაცთან თავისი სექსუალურობის პიკს ვერასოდეს მიაღწევს, ვერ დაკმაყოფილდება. გაიფიქრა: „ისეთი ქალებისთვის, როგორიც მე ვარ, მთლიანობა და სიწმინდე არაა უბიწოება, არაა ერთგულება, არც ერთი ამ ძველმოდური სიტყვებიდან. მთლიანობა და სიწმინდე ორგაზმია. ეს ისაა, რასაც მე ვერანაირად ვერ ვაკონტროლებ. ამ კაცთან მე არ მექნება ორგაზმი, მე მხოლოდ სიამოვნების მინიჭება შემიძლია, ესაა და ეს. მაგრამ რატომაა ასე? ხომ არ მინდა ვთქვა, რომ ორგაზმი შეიძლება მქონდეს მხოლოდ იმ კაცთან, რომელიც მიყვარს? თუკი ასეა, ჩემს თავს რამხელა

მარტოობისთვის ვწირავ? რა უსიცოცხლო უდაბნოში მომიწევს ამიერიდან ცხოვრება?“

კაი უაღრესად მადლიერი იყო, უზომოდ მადლიერი, პირდაპირ ასხივებდა ფიზიკურ ბედნიერებასა და კმაყოფილებას. ელა კი თავისი თავით აღფრთოვანდა, მან ხომ მოახერხა კაცის ესოდენ გაბედნიერება.

როდესაც ელამ ჩაიცვა, ტაქსი რომ გამოეძახა და შინ წასულიყო, კაიმ თქვა:

- საინტერესოა, როგორია შენნაირი ქალი, როცა ცოლად გყავს, ეშმაკმა დალახვროს!

- შენ ეს მოგეწონებოდა? - ჰკითხა ელამ თავდაჭერით, მოკრძალებულად.

- აბა, რა! ერთი წარმოიდგინე, ქალი, რომელსაც შეიძლება დაელაპარაკო და ლოგინშიც ასეთი მაგარია - გლიჯავს!

- და განა შენ არ ელაპარაკები ცოლს?

- ის კარგი გოგოა, - ჩაილაპარაკა მან სერიოზულად და გონისმიერად, - მას და შვილებს მეტად ვაფასებ.

- და ის ბედნიერია?

ამ კითხვამ კაი იმდენად გააკვირვა, რომ ხელი თავქვეშ ამოიდო, გაირინდა, დაფიქრდა, თანაც ელას გამომცდელად გახედა, - დასერიოზულდა და მოიღუშა. ელამ აღმოაჩინა, რომ ეს კაცი ძალიან მოსწონდა; უკვე ჩაცმული მისი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, უყურებდა და მოსწონდა. კაიმ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა: - მას ქალაქში საუკეთესო სახლი აქვს. იღებს ყველაფერს, რასაც კი მოისურვებს, თავისთვის და ოჯახისთვის. ხუთი ბიჭი ჰყავს - ვიცი, რომ გოგო უნდა, იქნება შემდეგ ჯერზე გამოგვივიდეს... ჩემთან მშვენივრად ატარებს დროს, - კვირაში ორჯერ ან სამჯერ საცეკვაოდ დავდივართ და სადაც უნდა მივი-

დეთ, ყველგან ულამაზესია. მას მე ვყავარ - კი, ელა, შემიძლია გითხრა, ტრაბახით კი არა, დიახ, ვხედავ, რომ გეღიმება, როცა ამას ვამბობ, - და მაინც, ტრაბახით კი არა, არამედ მართლა, - მის კაცს საქმეები ჩინებულად მისდის.

საწოლთან მდგარი მომცრო მაგიდიდან ცოლის ფოტო აიღო და იკითხა:

- განა უბედური ჩანს?

ელამ პატარა, მომხიბლავ სახეს დახედა და მიუგო:

- არა, უბედური არ ჩანს.

მერე დაუმატა:

- თუმცა, ისეთი ქალის ცხოვრება, როგორიც შენი ცოლია, ჩემთვის ისევე გაუგებარია, როგორც ბუზის ცხოვრება.

- მართალია, არა მგონია, რომ ასეთ ცხოვრებას გაუგო, არა მგონია.

ტაქსი უკვე იცდიდა, ელამ აკოცა და წავიდა, მაგრამ მანამდე კაიმ უთხრა:

- ხვალ დაგირეკავ. ეშმაკმა დალახვროს, ძალიან მინდა კიდევ ერთხელ გნახო.

ელამ მომდევნო საღამოც მასთან გაატარა. და იმიტომ არა, თითქოს მცირედი იმედი მაინც ჰქონდა, რომ მასთან კარგად იგრძნობდა თავს, არამედ იმიტომ, რომ მის მიმართ კეთილგანწყობასა და სიმპათიას გრძნობდა. გარდა ამისა, ეჭვობდა, რომ თუ შეხვედრაზე უარს ეტყოდა, კაის აწყენინებდა, გულს ატკენდა.

ისევ ერთად ივახშმეს და ისევ იმავე რესტორანში („ეს ჩვენი რესტორანია, ელა“, - თქვა კაიმ სენტიმენტალურად; როგორც შეეძლო ეთქვა: „ეს ჩვენი მელოდიაა, ელა“.).

კაი თავის კარიერაზე უყვებოდა.

- და როდესაც ყველა გამოცდას ჩააბარებ და ყველა კონფერენციას დაესწრები, მერე რას იზამ?

- მერე სენატორის პოსტზე ვიყრი კენჭს.

- და რატომ არა პრეზიდენტისა?

კაიმ ელასთან ერთად თავის თავზე ძალდაუტანებლად, მსუბუქად გაიცინა, როგორც ყოველთვის.

- არა, პრეზიდენტობას არ ვეცდები. აი, სენატორობას - კი. ელა, სერიოზულად გეუბნები, დაიმახსოვრე ჩემი სახელი. შენ კიდევ გაიგონებ ჩემს სახელს, თხუთმეტი წლის შემდეგ მე ყველაზე დიდი სპეციალისტი ვიქნები ჩემს სფეროში. აქამდე ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც ვამბობდი, როგორც ვგეგმავდი. განა ასე არაა? ამიტომ მე ზუსტად ვიცი, რას გავაკეთებ მომავალში. სენატორი კაი მეიტლენდი, ვაიომინგის შტატი. გინდა, დამენაძლევე?

- არასოდეს ვდებ ნაძლევს, როცა დანამდვილებით ვიცი, რომ წავაგებ.

მეორე დღეს კაი შტატებში გაფრინდა. მანამდე მოასწრო და თავისი სფეროს თორმეტიოდე წამყვან სპეციალისტს შეხვდა, დაათვალიერა დაახლოებით ამდენივე საავადმყოფო, მონაწილეობა მიიღო ოთხ საერთაშორისო კონფერენციაში. ერთი სიტყვით, ინგლისი ბოლომდე გამოწურა.

- რუსეთში მინდა წავიდე, - თქვა კაიმ, - მაგრამ ვერ მივდივარ, სანამ ყველაფერი ისეა, როგორც დღესაა, ვერ მივდივარ.

- მაკ-კარტის გულისხმობ?

- გაგიგია მაკ-კარტი?

- რა თქმა უნდა, გაგვიგია.

- ეს რუსები, იცი, ჩემს სფეროში საკმაოდ კარგად მუშაობენ, რაღაცები გამოსდით, მე იმათ სტატიებს ვკითხულობ, ასე რომ, სიამოვნებით წავიდოდი, მაგრამ ახლა არა, ამ სიტუაციაში.

- და როდესაც სენატორი გახდები, რა პოზიცია გექნება მაკ-კარტისა და მისი ამფსონების მიმართ?

- ჩემი პოზიცია? ისევ დამცინი?

- სულაც არა.

- ჩემი პოზიცია ასეთია: დიახაც, ის მართალია, ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ წითლებმა გაგვაბითურონ.

ელა შეყოყმანდა, მერე კი თავდაჭერითა და მოკრძალებით თქვა:

- ქალი, რომლის სახლშიც ახლა ვცხოვრობ, კომუნისტია.

ელამ იგრძნო, როგორ დაიძაბა კაი, მერე დაფიქრდა, თუმცა, ისევ მოეშვა და თქვა:

- ვიცი, რომ აქ, თქვენთან, ყველაფერი სხვანაირადაა. მე ეს არ მესმის, ნება მომეცი, პირდაპირ გითხრა.

- კარგი, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

- მართალი ხარ, მნიშვნელობა არა აქვს. წამოხვალ ჩემთან სასტუმროში დღეს?

- თუ გინდა.

- ო, მინდა თუ არა!

და ელამ ისევ მიანიჭა მას სიამოვნება. კაი მოსწონდა, ეს იყო და ეს, მეტი არაფერი.

მის სამუშაოზე ილაპარაკეს. კაის სპეციალიზაცია ლობოტომია აღმოჩნდა.

- ეშმაკმა დამლახვროს, ასობით ტვინი მაქვს შუაზე გადაჭრილი.

- და არ გაწუხებს, რასაც აკეთებ?

- რატომ უნდა მაწუხებდეს?

- მაგრამ ხომ იცი, რომ როდესაც ამ ოპერაციას ჩაატარებ, შედეგი შეუქცევადია და ადამიანი არასოდეს გახდება ისეთი, როგორიც მანამდე იყო.

- მაგრამ სწორედ ესაა მთელი იდეა! მთელი აზრი! უმრავლესობას სულაც არ უნდა ისევ ისეთი გახდეს, როგორიც მანამდე იყო.

მერე კი იმ პირდაპირობით, რომელიც საერთოდ ახასიათებდა, დაუმატა:

- თუმცა, ვაღიარებ, ზოგჯერ როცა ვფიქრობ, რომ ასობით ოპერაცია ჩავატარე, რომელთა შედეგი შეუქცევადია...

- რუსები ამას არ მოგიწონებდნენ, სრულებითაც არ მოგიწონებდნენ, - თქვა ელამ.

- ვიცი. და სწორედ ამიტომაც მინდა მათთან ჩასვლა, რომ ვნახო, ასეთ შემთხვევაში რას აკეთებენ. მითხარი, როგორ მოხდა, რომ ლობოტომიის შესახებ იცი?

- ერთხელ რომანი მქონდა ექიმთან. ფსიქიატრი და ნევროლოგი იყო, ოღონდ თავის ტვინის ოპერაციებს არ აკეთებდა. მეუბნებოდა, რომ არასოდეს ურჩევს პაციენტს ლობოტომიას, გამონაკლისის, ძალზე იშვიათი შემთხვევების გარდა.

კაიმ მოულოდნელად თქვა:

- როგორც კი გითხარი, ლობოტომიას ვაკეთებ-მეთქი, ვიგრძენი, რომ ოდნავ ნაკლებად მოგწონვარ.

პაუზის მერე ელამ აღიარა:

- მართალია, სწორედ ასეა, მაგრამ თავს ვერაფერს მოვუხერხებ.

კაის გაეცინა და თქვა:

- ჰოდა, თავს მეც ვერაფერს მოვუხერხებ.

მერე კი დასძინა:

- აი, შენ ამბობ, რომანი მქონდაო. და ყველაფერი ასე მარტივადაა? სულ ესაა?

ელამ გაიფიქრა, რომ როდესაც ამ სიტყვებით აღწერა ის, რაც მასა და პოლს შორის იყო, - „ერთხელ რომანი მქონდა“ - ამით ზუსტად ისევე მოიქცა, როგორც პოლი, როცა თქვა, ერთ თავქარიან ქალთან მაქვს რომანიო თუ რაღაც ამდაგვარი, დაახლოებით ამ აზრით. და ელამ ისევ დაიჭირა თავი იმაზე, რომ ფიქრობდა: „მშვენიერია! პოლმა თქვა, რომ ასეთი ვარ! მართლაც ასეთი ვარ და ძალიანაც მიხარია ეს!“

კაი მეიტლენდმა ჰკითხა:

- გიყვარდა?

ერთმანეთთან ურთიერთობაში სიტყვა „სიყვარული“ ერთხელაც არ უხმარიათ და კაისაც ერთხელაც არ უთქვამს ეს სიტყვა, როცა თავის ცოლზე ლაპარაკობდა.

ელამ მიუგო:

- ძალიან.

- არ გინდა გათხოვება?

ელამ მოკრძალებით უთხრა:

- გათხოვება ყველა ქალს უნდა.

კაიმ ჩაიფხუკუნა, მერე მობრუნდა და გამომცდელად შეხედა.

- მე შენი არ მესმის, ელა. იცი ეს თუ არა? სრულიად ვერ გიგებ. მაგრამ ვიცი, რომ მეტად დამოუკიდებელი ქალების რიცხვს ეკუთვნი.

- ჰო, ალბათ, ასეც არის.

კაი მოეხვია და უთხრა:

- ელა, შენ ბევრი რამ მასწავლე.

- მოხარული ვარ. იმედია, გაკვეთილები სასიამოვნო იყო.

- ცხადია, მათ შორის სასიამოვნოც იყო.

- აღტაცებული ვარ.

- გინდა გამაბრაზო?

- ცოტა.

- ჰო, კარგი. არა ვარ ამის წინააღმდეგი. იცი, ელა, დღეს შენი სახელი ვახსენე ერთ საუბარში და მითხრეს, რომ წიგნი დაგიწერია.

- ყველა წერს წიგნებს.

- მე რომ ჩემს ცოლს ვუთხრა, ურთიერთობა მქონდა ნამდვილ მწერალთან-მეთქი, უბრალოდ ვერ გადაიტანს. კულტურასა და ეგეთ რაღაცებზე ტვინი ეკეტება.

- ალბათ, ჯობს, არ უთხრა.

- რა მოხდება, შენი წიგნი რომ წავიკითხო?

- მაგრამ შენ ხომ არ კითხულობ წიგნებს?

- კითხვა შემიძლია, - თქვა მან, - რაზეა?

- ჰოო... მოიცა, დავფიქრდე... მასში ბევრი ლაპარაკია საგანთა არსზე... მართალი წიგნია და ასე შემდეგ.

- შენ მას სერიოზულად უყურებ?

- რა თქმა უნდა, სერიოზულად ვუყურებ.

- ო'კეი. მაშინ ყველაფერი რიგზეა. წასვლას ხომ არ აპირებ?

- უნდა წავიდე. ჩემი ბიჭი დაახლოებით ოთხ საათში გაიღვიძებს, თანაც, შენგან განსხვავებით, მე ძილი მჭირდება.

- ო'კეი. ელა, არასოდეს დაგივიწყებ. მაინც საინტერესოა, როგორი იქნებოდა შენი ქმრობა.

- ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მაინცდამაინც არ მოგეწონებოდა.

ელა იცვამდა. კაი გაშხლართული იწვა ლოგინზე, თვალს ადევნებდა; უყურებდა გამჭოლად, დაფიქრებით.

- ესე იგი, მაინცდამაინც არ მომეწონებოდა, - ჩაილაპარაკა მან, გაიზმორა და ჩაიცინა, - საფიქრებელია, რომ არ მომეწონებოდა.

- კი.

ერთმანეთს ძალიან თბილად დაშორდნენ.

ელა სახლამდე ტაქსით მივიდა. კიბეზე უჩუმრად დააპირა ასვლა, ჯულია რომ არ შეეწუხებინა. თუმცა, მისი ოთახის კარქვეშა ღრიჭოში სინათლის ზოლი მოჩანდა, ჯულიამ გასძახა:

- ელა?

- მე ვარ. მაიკლი როგორ იყო?

- ხმაც არ ამოუღია. შენ როგორ იყავი?

- საინტერესო იყო, - მიუგო ელამ მცირე დაფიქრების შემდეგ.

- საინტერესო?

ელა ჯულიას საძინებელში შევიდა. ჯულია ბალიშებზე ნახევრად წამოწოლილიყო, ეწეოდა და კითხულობდა. ელას გამომცდელად, დაფიქრებით გახედა.

ელამ თქვა:

- კარგი ადამიანია.

- ძალიანაც კარგი.

- ხვალ დილით კი საზარელი დეპრესია დამატყდება თავს. მართალი გითხრა, უკვე ვგრძნობ მის მოახლოებას.

- რადგან შტატებში ბრუნდება?

- არა.

- საშინლად გამოიყურები. რა მოხდა? ლოგინში ძალიან ცუდი იყო?

- არცთუ მაინცდამაინც კარგი.

- რაც არის, არის, - ჩაილაპარაკა ჯულიამ მოთმინებით, - მოწევ სიგარეტს?

- არა. მინდა დავიძინო, სანამ დეპრესია თავს დამატყდება.

- უკვე დაგატყდა. რატომ წვები კაცთან, რომელიც არ გიზიდავს?

- არ მითქვამს, რომ არ მიზიდავს. საქმე ისაა, უაზრობა მგონია დაწოლა ნებისმიერ კაცთან, გარდა პოლისა.

- გადაგივლის.

- კი. რასაკვირველია, მაგრამ ძალიან ბევრი დრო დამჭირდება.

- სიმტკიცე და გამძლეობა უნდა გამოიჩინო, - უთხრა ჯულიამ.

- ზუსტად ამას ვაკეთებ, - მიუგო ელამ, მეგობარს ღამე მშვიდობისა უსურვა და თავის ოთახში შევიდა.

ლურჯი რვეული

15 სექტემბერი, 1954

გუშინ მაიკლმა მითხრა (ერთმანეთი ერთი კვირა არ გვენახა):

- მაშასადამე, ანა, ჩვენი დიადი სიყვარული დასასრულს უახლოვდება?

რაოდენ დამახასიათებელია მისთვის კითხვის ნიშნის დასმა წინადადების ბოლოს: თვითონ ასრულებს ჩვენს ურთიერთობას, მაგრამ ისე ამბობს, თითქოს ამას მე ვაკეთებდე.

ღიმილით ვუპასუხე, ოღონდ, ჩემდა უნებურად, ირონიულად:

- იყო კი ეს დიადი სიყვარული?

- ო, ანა, თხზავ ისტორიებს ცხოვრებაზე, საკუთარ თავს უყვები და არ იცი, რა არის სიმართლე და რა - არა.

- და რა, ჩვენ არ გვქონდა დიადი სიყვარული?

- როცა ამას ვამბობდი, უცებ სუნთქვა შემეკრა და უნებლიეთ საწყალობლად და ვედრებით გამომივიდა, თუმცა კი ჩემს სიტყვებში ეს გრძნობები არ მიგულისხმია.

როგორც კი მისი პასუხი გავიგონე, გამაჟრჟოლა და საშინელი დაბნეულობა ვიგრძენი, თითქოს მაიკლი უარს მეუბნებოდა არსებობის უფლებაზე.

- თუ იტყვი, რომ გვქონდა, ესე იგი, გვქონდა. თუ იტყვი, რომ არ გვქონდა, ესე იგი, არ გვქონდა.

- მაგრამ შენი საკუთარი გრძნობები არ უნდა გავითვალისწინოთ?

- ჩემი? კი მაგრამ, ანა, ჩემი გრძნობები რატომ უნდა გავითვალისწინოთ?

(ეს მწარედ, დაცინვით, მაგრამ თან, სიყვარულით თქვა). რეპლიკების ამ გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იძულებული გავხდი, წინააღმდეგობა გამეწია გრძნობისთვის, რომელიც ყოველთვის მეუფლება ხოლმე ჩვენი ამგვარი წაკინკლავების შემდეგ: ესაა მომხდარის არარეალურობის შეგრძნება, თითქოს სუბსტანცია, რომლისგანაც შევდგები, უეცრად ძალზე თხელი ხდება და დნობას იწყებს. მერე კი გამიელვა აზრმა, - იმისთვის, რომ თავი აღვიდგინო, უნდა მივმართო ჩემს იმ ჰიპოსტასს, რომელიც მაიკლს ყველაზე მეტად არ მოსწონს, მე მივმართავ კრიტიკულ ანას, მოაზროვნე ანას. ჰოდა, ძალიანაც კარგი; ის ამბობს, რომ მე ისტორიებს ვთხზავ ჩვენი ერთობლივი ცხოვრების შესახებ. მე ჩავიწერ, თანაც რამდენადაც შესაძლებელია მაქსიმალური სიმართლით, ჩემი ერთი დღის ყველა სტადიას. თუნდაც ხვალიდან. როგორც კი ხვალინდელი დღე დასასრულს მიუახლოვდება, დავჯდები და წერას დავიწყებ.

17 სექტემბერი, 1954

წინა საღამოს ვერაფერი დავწერე, რადგან თავს ძალიან უბედურად ვგრძნობდი. ახლა კი ვცდილობ, გავერკვე, აი, რაში: ხომ არ მოახდინა ჩემი დღის მიმდინარეობაზე გავლენა ჩემმა გადაწყვეტილებამ, დაკვირვებით აღმეწერა ყველაფერი, რაც მოხდებოდა. მხოლოდ იმიტომ, ცნობიერად გადავწყვიტე, რომ ეს დღე განსაკუთრებული იქნებოდა? ასეა თუ ისე, ყველაფერს ჩავიწერ და ვნახავ, რა გამოვა. გამეღვიძა ადრე, დაახლოებით ხუთზე. გამაღვიძა დაძაბულობამ, რადგან მომეჩვენა, რომ თითქოს მომესმა, როგორ შეკრთა ჯენეტი კედელს მიღმა. მაგრამ ის, ალბათ, უბრალოდ აწრიალდა და გაყუჩდა. ფანჯარაში ნაცრისფერი შუქის ნაკადი იღვრებოდა. ღია ნაცრისფერი შუქი. ამ მრუმე შუქში ავეჯი უზარმაზარი ჩანდა. მე და მაიკლი ფანჯრისკენ სახით

ვიწექით, ჩემი ხელი მისი პიჟამის ქვეშ იყო, ორივე ხელით ვეხ-ვეოდი, ჩემი მუხლები მის მოკეცილ ფეხებში მქონდა. მისგან მა-ცოცხლებელი, უფრო მეტიც, მწველი სიმხურვალე მოდიოდა. მაგრამ გავიფიქრე: „არადა, ძალიან მალე მიმატოვებს, წავა და აღარ დაბრუნდება“. შესაძლოა, მივხვდე, როდის იქნება ეს უკა-ნასკნელად, შესაძლოა, ვერც მივხვდე. ვინ იცის, იქნება სულაც ესაა უკანასკნელი?“ შეუძლებლად მომეჩვენა ერთმანეთისთვის შემეხამებინა ეს ორი გრძნობა: რომ მაიკლს, ესოდენ თბილს, ჩემს მკლავებში სძინავს და გაცნობიერება იმისა, რომ მალე აღარ იქნება ჩემთან. ხელი ოდნავ მაღლა ავწიე, ჩემი ხელისგუ-ლი მის ბალანზე გასრიალდა, მკერდზე რომ ეზრდება; სრიალაც რომაა და ხეშეშიც ერთდროულად. ეს არაჩვეულებრივი იყო, ამაღელვებელი. შეკრთა, გაეღვიძა, იგრძნო, არ მეძინა და უცებ მკითხა:

- რა მოხდა, ანა?

ხმა მისი სიზმრიდან მოდიოდა, გაბრაზებულიც იყო და შეში-ნებულიც. მაიკლი ზურგზე დაწვა და უმალ დაიძინა. სახეზე და-ვაკვირდი, მისი სიზმრის ანარეკლი რომ დამენახა; სახე მაგრად შეკრულ მუშტს მიუგავდა. ერთხელ, როცა მაიკლმა უეცრად გა-იღვიძა და შეშინდა, მითხრა:

- დიახ, თუკი ჯიუტად აგრძელებ წოლას კაცთან, რომელიც ევროპის ბოლო ოცი წლის მოსიარულე ისტორიაა, უნდა შეეგუო, რომ მისი ძილი იშვიათადაა უშფოთველი.

მის ხმაში წყენა გახმიანდა; სწყინდა, რომ ნამდვილად არ ვი-ყავი ევროპის ამ ისტორიის ნაწილი. და მაინც, ვიცი, რომ კიდევ იმიტომაც არის ჩემთან, რომ ევროპის ამ ისტორიის ნაწილი არა ვარ, ანუ ჩემში რაღაც გადარჩა, არ დანგრეულა. ამ დილით მა-იკლს სახეზე დავხედე, მშფოთვარე ძილით ეძინა, და ისევ შევე-

ცადე, წარმომედგინა, თითქოს ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების ნაწილია, ჩემი წარსული, და როგორ მოვახერხებდი ამით ცხოვრებას: „ჩემი შვიდი უახლოესი ნათესავი, მათ შორის, დედა და მამა, გაზის კამერაში ტანჯვით დაიღუპა. ჩემი ახლო მეგობრები, უმეტესობა, უკვე მკვდრები არიან; კომუნისტები იყვნენ, რომლებიც თვით კომუნისტებმა დახოცეს. ვინც გადარჩა, ლტოლვილებივით ცხოვრობენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ქვეყანაში. მე კი ჩემს დარჩენილ წლებს გავატარებ ქვეყანაში, რომელიც არასოდეს გახდება ჩემთვის ნამდვილი სახლი“. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამის წარმოდგენა ვერ მოვახერხე. შუქი იმ დილით მძიმე იყო, თავსხმა წვიმის გამო, ფანჯრის მიღმა რომ მოდიოდა. „მუშტი გაიშალა“: მაიკლს სახე მოუდუნდა. ახლა ის ფართო, გახსნილი, მშვიდი და თავდაჯერებული იყო. სიმშვიდემ ქუთუთოები მოუხუჭა, მათ ზემოთ წარბები ოდნავ მოუჩანდა, გლუვი, მბზინავი. ადვილად შემეძლო წარმომედგინა, როგორი ბიჭი იქნებოდა: უშიშარი, ჩხუბისთავი, გულღია, გულწრფელი, ოდნავ დაძაბულღიმილიანი. ადვილად წარმოვიდგენდი მის სიბერესაც: ის იქნება ჭკვიანი, ღვარძლიანი და ენერგიული მოხუცი, რომელიც თავის მწარე, ინტელიგენტურ მარტოობაში ისე იქნება ჩაკეტილი, როგორც პატიმარი ერთკაციან საკანში. მავსებდა გრძნობა, რომელსაც განიცდის ქალი, როდესაც შვილს უყურებს: ტრიუმფის მწველი გრძნობა, მიუხედავად ყველა სიძნელისა, მიუხედავად სიკვდილის უმძიმესი ტვირთისა, ეს ადამიანური არსება ცოცხლობს, აი, იგი, აქ არის, სიცოცხლის სასწაული. ჩემს თავში ეს გრძნობა გავამყარე, გავაძლიერე, რათა წინ აღდგომოდა მეორე შეგრძნებას, რომ მაიკლი მალე მიმატოვებდა. ეტყობა, ეს ძილში იგრძნო, რადგან შეტოკდა და თქვა:

- ანა, ჯობს, დაიძინო.

გაიღიმა ისე, თვალი არ გაუხელია. მისი ღიმილი თბილი და ძლიერი იყო; ის იმ სამყაროში არ ჩასახულა, სადაც ამბობს: „კი მაგრამ, ანა, ჩემი გრძნობები რატომ უნდა გავითვალისწინოთ?“ და გავიფიქრე: „არა, სისულელეა, რა თქმა უნდა, არ მიმატოვებს; შეუძლებელია, ასე მიღიმოდეს და თან ჩემს მიტოვებას ფიქრობდეს“. ზურგზე დავწექი მაიკლის გვერდით. ჩემს თავს დაძინების უფლებას არ ვაძლევდი, რადგან ჯენეტს მალე უნდა გაეღვიძა. ოთახში შუქი თითქმის გამჭვირვალე, ოდნავ მონაცრისფრო წყალს ჰგავდა, თითქოს მოძრაობდა, რადგან ფანჯრის მინაზე, წვიმის წვეთები ჩამოდიოდნენ. მინა ოდნავ ზანზარებდა. ქარიან ღამეს მინა ძაგძაგებს, ჟღრიალებს, მაგრამ არ მეღვიძება ხოლმე. მაგრამ უმალ ვიღვიძებ, საკმარისია, ჯენეტი ლოგინში გადატრიალდეს, კედელს მიღმა, მეზობელ ოთახში.

ახლა, ალბათ, დაახლოებით ექვსი საათია. მუხლები დაძაბული მაქვს. ვაცნობიერებ, რომ იმ სენმა, რომელიც ტკბილ დედილოსთან ურთიერთობისას განვსაზღვრე როგორც „დიასახლისის ავადმყოფობა“, კვლავ დამრია ხელი. დაძაბულობა ჩემს არსებაში, რომელიც სიმშვიდესა და უშფოთველობას მაკარგვინებს, იმან გამოიწვია, რომ ჩემს გონებაში ირთვება და მოქმედებას იწყებს ელექტროსქემა: უნდა-ჩავაცვა-ჯენეტს-მოვუმზადო-საუზმე-გავუშვა-სკოლაში-მოვუმზადო-საუზმე-მაიკლს-არ დამავიწყდეს, ჩაი გაგვითავდა-და-ასე შემდეგ-და-ასე შემდეგ. ამ უსარგებლო, მაგრამ, როგორც ეტყობა, გარდაუვალ დაძაბულობასთან ერთად ჩნდება წყენაც. რითია ის გამოწვეული? უსამართლობით. მე ხომ წვრილმანებზე, დეტალებზე ზრუნვას ამდენი დრო უნდა დავახარჯო. წყენა თავის ობიექტად მაიკლს ირჩევს, თუმცა კი გონებით ვიცი, რომ ის არაფერ შუაშია. მაინც

მიჩნდება მის მიმართ წყენა, ვღიზიანდები, რადგან ვიცი, რომ მისი დღე სხვანაირად წარიმართება, - ყველა ასეთი წვრილმანი მდივანი ქალებისა და მედდების მისახედია, მრავალი ქალისა, განსხვავებული მონაცემებითა და ნიჭით, სწორედ ისინი მოუხსნიან ამ პრობლემებს. ვცდილობ, მოვდუნდე და გავწყვიტო ეს სქემა, რომელშიც დაძაბულობის დენი მოძრაობს. მაგრამ ხელები და ფეხები უკვე დამიბუჟდა, დამიმძიმდა, გვერდზე უნდა გადავტრიალდე. მეზობელი ოთახიდან ხმა კიდევ ერთხელ გაისმა - ჯენეტი იღვიძებს. იმავდროულად, მაიკლიც შეინძრა და მე ჩემი დუნდულებით ვიგრძენი, რომ აღეგზნო, გაუდიდდა. ჩემი წყენა ფორმას იღებს: აბა, რა, ამისთვის ისეთ დროს ირჩევს, როცა დაძაბული ვარ, ჯენეტს ვაყურადებ.

თუმცა, ჩემი გაბრაზება უშუალოდ მას არ ეხება. დიდი ხნის წინ, როცა ტკბილი დედილოს სეანსებს ვესწრებოდი, გავიგე, რომ წყენაც და გაბრაზებაც უპიროვნოა. ეს ჩვენი, თანამედროვე ქალების სენია. მე ამას მათ სახეებზე ვკითხულობ, მათ ხმაში მესმის ყოველ ცისმარე დღეს და იმავეს ვატყობ იმ წერილებში, სამსახურში რომ მიგზავნიან. ქალების შეგრძნება: წყენა უსამართლობის გამო, უპიროვნო შხამი. ის უბედურები, რომლებსაც ვერ გაუგიათ, რომ ამ გრძნობაში პიროვნული არაფერია, თავის მამაკაცებს დაატეხენ ხოლმე თავს. ჩემსავით აზრზე მოსულები კი ცდილობენ, შეებრძოლონ მას. ეს ადვილი ბრძოლა არ არის. მაიკლი უკნიდან მეუფლება, ნახევრად ძილში, გაშმაგებული ღრმად შემოდის. უპიროვნოდ მეუფლება, რადგან არ ვპასუხობ, როგორც მაშინ, როცა მას ანა უყვარს. გარდა ამისა, გონების ნაწილი დაკავებული მაქვს ფიქრით, რომ თუ ჯენეტის ნაბიჯებს კართან გავიგონებ, უნდა მოვასწრო ადგომა, კართან სასწრაფოდ მისვლა, ქალიშვილი რომ გავაჩერო. შვიდ საათზე

ადრე არასოდეს მოდის ხოლმე ჩემთან; ასეთი ჩვეულება გვაქვს და ნაკლებად მოსალოდნელია, ახლა მოვიდეს; და მაინც, ფხიზ-ლად უნდა ვიყო. სანამ მაიკლი მაგრად მიჭერს და მავსებს, ხმაური მეზობელ ოთახში გრძელდება და ვიცი, მაიკლსაც ესმის ეს ხმა და რომ ეს სიამოვნების ნაწილია, მას ეს სიამოვნებს, - დამეუფლოს სარისკო მომენტში; რომ ჯენეტი, რვა წლის გოგო-ნა, მისთვის ყველა ქალს ერთობლივად განასახიერებს, ყველა ქალს, რომელთაც ღალატობს, ჩემთან დაწოლის საშუალება რომ ჰქონდეს, ნაწილობრივ კი ის ბავშვია; ბავშვობის კვინტე-სენცია, რომლის წინაშეც იგი თავის სიცოცხლის უფლებას იცავს. როდესაც მაიკლი თავის ბავშვებზე ლაპარაკობს, ყოველ-თვის ულვაშებში იცინის; სიყვარულით, თუმცა კი აგრესიულად - მისი მემკვიდრეები, მისი მკვლელები. ჩემი ბავშვი კედელს მი-ღაა, ძალიან ახლოს ჩვენთან, მაგრამ ის არ მისცემს უფლებას ამ ბავშვს, გააბითუროს, თავისუფლება წაართვას. როცა ყველა-ფერი მორჩა, მაიკლმა მითხრა:

- ახლა კი, ანა, მგონი, ჯენეტის გამო მიმატოვებ, ასე არაა?

პატარა ბავშვივით ლაპარაკობს, რომელიც გრძნობს, რომ უმცროსი და-ძმის გამო უგულებელყოფენ. მე ვიცინი და ვკოცნი; თუმცა, უეცრად ისეთ მწარე წყენას ვგრძნობ, რომ მთელი ძა-ლით ვაჭერ კბილებს ერთმანეთს. და როგორც ყოველთვის, წყე-ნას ვახშობ ფიქრით: „მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავი, მეც ასეთი ვიქნებოდი“. დედობის გაკონტროლება და დისციპლინა ძალზე რთულად ავითვისე, ამიტომ თავს ვერ ვიტყუებ და პატიოსნად ვეუბნები თავს, მამაკაცი რომ ვყოფილიყავი და არ მქონოდა აუცილებლობა, მუდმივი თვითკონტროლით მეცხოვრა, მათგან განსხვავებული არაფრით ვიქნებოდი. მიუხედავად ამისა, იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, რაც მჭირდება, რაღაც რომ

მოვიცვა, ჩემში წყენის ცეცხლი ბობოქრობს. ჯენეტთან შესვლამდე სწრაფად გამოვიბანე, სექსის სუნმა რომ არ შეაწუხოს, თუმცა, ჯერ არ იცის, რა არის სექსი. მე ეს სუნი მომწონს, არ მიყვარს მისი ასე სწრაფად მოშორება; და ის ფიქრი, რომ იძულებული ვარ ეს გავაკეთო, ისედაც წამხდარ გუნება-განწყობას კიდევ უფრო მიფუჭებს. მახსოვს, რა გავიფიქრე: ის აზრი, რომ გაცნობიერებულად ვაკვირდები ჩემს გრძნობებს, კიდევ უფრო ამძაფრებს მათ; ჩვეულებრივ, ჩემი ემოციები არაა ესოდენ ძლიერი. მაგრამ, როცა შევედი ჯენეტთან და კარი მივხურე, როცა დავინახე, როგორ იჯდა თავის საწოლში, როგორ გაეშალა შავი თმა, ელფის კულულებად როგორ დაეფინა მხრებზე, მის პატარა და ფერმკრთალ სახეზე (ჩემს სახეზე) ღიმილი გამოჩნდა, წყენამ უმალ გამიარა, რადგან უკვე მივეჩვიე დისციპლინას და წყენა თითქმის მეყსეულად შეიცვალა სიყვარულის თბილი გრძნობით. შვიდის ნახევარია და პატარა ოთახში ძალიან ცივა. ფანჯრის მინაზე წყალი ჩამოდის. ბუნებრივი აირის ღუმელს ვანთებ, სანამ ქალიშვილი ისევ ლოგინშია. საბანი ფერადი კომიქსებითაა აჭრელებული, თვალს ყურადღებით მადევნებს, რომ დარწმუნდეს, ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც ჩვეულებად გვაქვს, თანაც კითხვას აგრძელებს. მისდამი ჩემს სიყვარულში ჯენეტის ზომამდე ვიმცრობი, ჯენეტად ვიქცევი. ვეება, ყვითელი ცეცხლი - თითქოს ვიღაცის დიდი თვალი; ფანჯარა, უზარმაზარი - მასში ყველაფერმა შეიძლება შემოაღწიოს; ავის მომასწავებელი რუხი შუქი, რომელიც ელის ან მზეს, ან ბოროტ სულს, ან, შესაძლოა, - ანგელოზს, ვინც წვიმას განდევნის. შემდეგ ისევ ანად ვაქცევ თავს: ვხედავ ჯენეტს, პატარა ბავშვს, რომელიც დიდ საწოლში ზის. ჩაიარა მატარებელმა და კედლები ოდნავ აზანზარდა. მივდივარ მასთან, რომ ვაკოცო და შევისუნთქავ მისი კანის, თმის,

მისი პიჟამის საამო სურნელს, ლოგინში რომაა გამთბარი. სანამ ჯენეტის ოთახი თბება, გავდივარ სამზარეულოში და საუზმეს ვუმზადებ - რძიანი ქერის ფაფა, ერბოკვერცხი და ჩაი. ამ ყველაფერს ლანგარზე ვაწყობ. ლანგრიანად ვბრუნდები მასთან და ჯენეტი საუზმობს, ლოგინიდან აუდგომლად, მე კი ვსვამ ჩაის და სიგარეტს ვეწევი. სახლი ჯერ არ გაცოცხლებულა - მოლი კიდევ ორ-სამ საათს იძინებს. ტომი გვიან დაბრუნდა და თან ქალიშვილი მოიყვანა, არც ისინი ადგებიან მალე. კედელს მიღმა ბავშვი ტირის: ტირის ისე, როგორც ოდესღაც ტიროდა ჯენეტი. ესაა დაკმაყოფილებული ჩვილის ტირილი ნახევრად ძილში, ჩვილის ტირილი, რომელსაც ეს-ესაა აჭამეს და რომელიც საცაა ჩაიძინებს. ჯენეტი ამბობს:

- კიდევ ერთი ბავშვი ხომ არ გავიჩინოთ?

ამას ხშირად მეკითხება, მე კი ვპასუხობ:

- ბავშვი რომ გავიჩინოთ, საჭიროა ქმარი, მე კიდევ ქმარი არა მყავს.

ამას ნაწილობრივ იმიტომ მეკითხება, რომ უნდა, კიდევ ერთი შვილი გავაჩინო, და ნაწილობრივ იმიტომ, რომ სურს კიდევ ერთხელ მკითხოს მაიკლის როლზე ჩვენს ცხოვრებაში. მერე მეკითხება:

- მაიკლი აქაა?

- კი, აქაა. ჯერ სძინავს, - მტკიცედ ვეუბნები.

ჩემი ინტონაციის სიმტკიცე არწმუნებს ჯენეტს, რომ ყველაფერი წესრიგშია; და ისიც მშვიდად ამთავრებს საუზმეს. ოთახი უკვე გათბა, ჯენეტი დგება, თავის თეთრ პიჟამაში მეტისმეტად გამხდარი და სუსტი მეჩვენება. ცალი ხელით მეხვევა, აქეთ-იქით ირწევა და იავნანას ღიღინებს. მეც ვარწევ, ვუმღერი, - ის ჩვილად იქცევა, ჩვენს მეზობლად რომ იძინებს ახლა, ჩვილად, რო-

მელსაც მე არ გავაჩენ. მერე მკვეთრი მოძრაობით მიშვებს ხელს და მე ვსწორდები ხესავით, რომელიც მიწისკენ დადრიკეს, მერე კი უეცრად ხელი აუშვეს. ჯენეტი იცვამს, რაღაცას ხმადაბლა ღიღინებს, ჯერ კიდევ ძილმორეულია, ჯერ კიდევ მშვიდი, ჩუმი. ვფიქრობ იმაზე, რომ ეს უშფოთველობა მას კიდევ წლების განმავლობაში გაჰყვება, სანამ არ მოუწევს წნეხში ცხოვრება, როცა იძულებული გახდება, იფიქროს: „ნახევარ საათში უნდა გავთალო კარტოფილი, ეს არ უნდა დამავიწყდეს, მერე უნდა ჩამოვწერო სია, რა ვიყიდო მაღაზიაში, მერე კიდევ, კაბაზე საყელო გამოვცვალო, ოღონდაც არ დამავიწყდეს, მერე კი“... ძალიან მინდა დავიცვა ამ წნეხისგან, ზეწოლისგან, როგორღაც ეს ყველაფერი გადავუვადო, გავუხანგრძლივო; მერე კი ჩემს თავს ვეუბნები, რომ არ უნდა ვეცადო ამისგან დავიცვა, და ეს ჩემი სურვილი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ანას უნდა დაიცვას საკუთარი თავი, დაიცვას ანა. ჯენეტი აუჩქარებლად იცვამს, რაღაცას ღიღინებს, ბუტბუტებს; მოძრაობს ნელა და უსისტემოდ, როგორც ფუტკარი მზის გულზე. იცვამს წითელ, მოკლე, გოფრირებულ ქვედაკაბას, მუქ ლურჯ სვიტერსა და გრძელ მუქ ლურჯ წინდებს. პატარა მოხდენილი გოგონა. ჯენეტი. ანა. მეზობლის ბავშვს სძინავს; მისგან ნეტარი სიჩუმე მოდის. ყველას სძინავს, ჩემსა და ჯენეტის გარდა. განსაკუთრებული სიახლოვის, ინტიმური განსაკუთრებულობის გრძნობა - გრძნობა, რომელიც გამიჩნდა, როდესაც ჯენეტი დაიბადა, როცა ხშირად მე და ის ვფხიზლობდით მაშინ, როცა ჩვენ გარშემო მთელ ქალაქს ეძინა. ესაა თბილი, ზანტი, ინტიმური სიხარულის გრძნობა. ჯენეტი იმდენად სუსტად მეჩვენება, რომ მინდა გვერდით დავუდგე, ხელი დავაფარო, დავიცვა მცდარი ნაბიჯისა თუ მოძრაობისაგან; და იმავდროულად, ისე ძლიერად, რომ ეს ძალა მას უკვდავად აქ-

ცევს. მე ვგრძნობ იმას, რასაც ღამით მაიკლის გვერდით ვგრძნობდი - ტრიუმფს, მინდა ვიცინო; ეს მშვენიერი, გასაოცარი, უკვდავად ადამიანური არსება ცოცხლობს, აი, აგერაა, აქ, მიუხედავად სიკვდილის უმძიმესი ტვირთისა.

თითქმის რვა საათია და ჩემს მოვალეობათა მეორე წყების წნეხი მიახლოვდება; დღეს მაიკლი საავადმყოფოში მიდის, სამხრეთ ლონდონში, ეს კი ნიშნავს, რომ რვა საათზე უნდა ადგეს, დროზე უნდა მიასწროს მისვლა. ურჩევნია, ჯენეტი მანამდე წავიდეს სკოლაში, ვიდრე თვითონ ადგება. ეს ჩემთვისაც უკეთესია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორ ნაწილად გახლეჩა მიხდება. ორ პიროვნებას - ჯენეტის დედასა და მაიკლის საყვარელს - ცალ-ცალკე ცხოვრება ურჩევნია. ძალიან მიჭირს, ერთდროულად ორივე ვიყო. წვიმამ გადაიღო. ვწმენდ ფანჯრის მინას, რომელიც სითბოსგან, ღამის ძილისგან დაიორთქლა და ვხედავ, რომ გარეთ გრილა, ნესტია, მაგრამ აღარ იწვიმებს. ჯენეტის სკოლა სახლთან ახლოსაა, სასიარულო ბევრი არა აქვს. ვეუბნები:

- ყოველი შემთხვევისთვის, ლაბადა წაიღე.

უმალ პროტესტს მიცხადებს, ხმას უწევს:

- არა, დედიკო, არა, ვერ ვიტან ლაბადას, პალტოთი წავალ.

ვეუბნები მშვიდად, მტკიცედ:

- არა, ლაბადით წახვალ. მთელი ღამე წვიმდა.

- საიდან იცი, რომ წვიმდა, შენ ხომ გეძინა?

ეს რეპლიკა, რომელიც მოზეიმე გონებამახვილობითაა აღსავსე, გოგონას უმალ კარგ გუნებაზე აყენებს. წინააღმდეგობას მეტად აღარ გამიწევს, უპრობლემოდ წაიღებს ლაბადას და რეზინის ჩექმების ჩაცმაზეც დამთანხმდება.

- დღეს სკოლიდან წამომიყვან?

- ვეცდები, თუ არა და, შენ თვითონ მოდი, შენთან მოლი იქნება.

- ანდა ტომი.

- არა, ტომი ვერ იქნება.

- რატომ ვერ იქნება ტომი?

- ტომი უკვე დიდია, თანაც მეგობარი გოგონა ჰყავს.

ამას განზრახ ვამბობ, რადგან ვამჩნევ, რომ ბოლო დროს ჯენეტი ტომიზე ეჭვიანობს. მშვიდად მეუბნება:

- მე ტომის მაინც ყოველთვის ყველაზე მეტად მოვეწონები.

და დასძენს:

- თუ ჩემს წამოსაყვანად არ მოხვალ, ბარბარასთან წავალ და ვითამაშებთ.

- კარგი, თუ ასეა, მაშინ ბარბარასგან ექვს საათზე წამოგიყვან.

ჯენეტი კიბეზე საშინელი ხმაურითა და ბრაგაბრუგით ჩარბის. ისეთი ხმაა, გეგონება, სახლის შუაგულში ზვავი ჩამოწვაო. ვშიშობ, რომ ეს ხმაური მოლის გააღვიძებს. კიბის ზედა ბაქანზე ვდგავარ და ვაყურადებ, სანამ ათი წამის შემდეგ მოჯახუნებული კარის ხმას არ გავიგებ; ამის მერე, გარკვეული ძალისხმევით, ყველა ჩემს საფიქრალს ჯენეტზე გასაღებით ვკეტავ; ისევ გამოვუშვებ გარეთ, როცა დრო მოვა. ჩემს საძინებელში ვბრუნდები. ზეწრებით დაფარული მაიკლი მუქ ბორცვს ჰგავს. მაშინვე ფარდებს ვხსნი, საწოლის კიდეზე ვჯდები და კოცნით ვაღვიძებ. მკლავებში მომაქცევს და მეუბნება:

- მოდი ჩემთან.

ვპასუხობ:

- უკვე რვა საათია. ეგ მერე.

ხელისგულს მკერდზე მადებს. კერტები მეწვის და იმისთვის, რომ ჩავიხშო რეაქცია მის შეხებაზე, ვიმეორებ:

- რვა საათია.

- ანა, დილაობით ყოველთვის ძალიან მობილიზებული და პრაქტიკული ხარ.

- ძალიანაც კარგი, - უდარდელად ვპასუხობ, თუმცა, ჩემს ხმაში მსუბუქი წყენა მესმის.

- სადაა ჯენეტი?

- სკოლაში წავიდა.

მისი ხელები ჩემს მკერდს სცილდება და ახლა მე - წინააღმდეგობის სულისკვეთებიდან გამომდინარე - ვგრძნობ, რომ იმედგაცრუებული ვარ, რადგან სიყვარულობას არ ვიწყებთ. თუმცა, იმავდროულად, შვებით ამოვისუნთქე; ეს რომ დაგვეწყო, დააგვიანებდა და ამაში დამნაშავე მე გამოვიდოდი. და კიდევ, რასაკვირველია, წყენას ვგრძნობ - ეს ჩემი სენია, ჩემი ტვირთი, ჩემი ჯვარი. ნაწყენი ვარ, რომ მითხრა: „ანა, დილაობით ყოველთვის ძალიან მობილიზებული და პრაქტიკული ხარ“, არადა, სწორედ ჩემი მობილიზებულობა აძლევს დამატებით ორსაათიანი ძილის საშუალებას.

მაიკლი დგება, იბანს, იპარსავს, მე კი საუზმეს ვუმზადებ. ჩვენ ყოველთვის დაბალ მაგიდასთან ვსაუზმობთ, საწოლთან რომ დგას, სასწრაფოდ გვერდზე ვწევთ ხოლმე ქვეშაგებს. აი, ჩვენ ვსვამთ ყავას გახუხული პურითა და ხილით, მაიკლი კი - ეგრევე ჩანს, რომ პროფესიონალია - აკურატულად, საგულდაგულოდაა ჩაცმულ-გამოწყობილი, სრულიად მშვიდია, მზერა დაწმენდილი აქვს. დაკვირვებით მიმზერს. ვხვდები, რაღაც უნდა მითხრას. ნუთუ ჩემი მიტოვება დღეს დაგეგმა? მახსენდება, რომ ეს პირველი დილაა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, როცა ერთად

ვართ. არ მინდა ამაზე ფიქრი, რადგან მაიკლი შინ თავს უბედურად გრძნობს, როგორც ტუსაღი ციხეში და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბოლო ექვსი დღე ცოლთან გაატარა. მაგრამ მთელი ეს დრო თუ სახლში არ გაატარა, მაშ, სად იყო? ჩემი გრძნობა ეჭვიანობა კი არა, უფრო ყრუ ტკივილია, დანაკარგის მძიმე, ყრუ ტკივილი. მაგრამ მე ვუღიმი, ტოსტებიან თეფშს ახლო ვუდგამ, ახალ გაზეთებს ვაწვდი. გაზეთებს თვალს გადაავლებს და სასხვათაშორისოდ მეუბნება:

- არ ვიცი, უახლოესი ორი ღამის განმავლობაში გამიძლებ თუ არა, საღამოთი უნდა მივიდე საავადმყოფოში, თითქმის შენი სახლის პირდაპირაა, იქ ლექციებს ვკითხულობ.

რამდენიმე წამის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთს ვუგზავნით ირონიის ტალღას, რადგან ყველა ღამეს წლობით ერთად ვატარებდით. მერე ძალდაუტანებლად ხდება სენტიმენტალური, თუმცა, თანაც აშარჟებს ამას:

- აჰ, ანა, ერთი შეხედე, რაოდენ მოყირჭებული, გაცვეთილია ახლა ეს ყველაფერი შენთვის.

ისევ მხოლოდ ვუღიმი, რადგან აზრი არა აქვს არაფრის თქმას, მაიკლი კი აგრძელებს და ამჯერად უდარდელად ასახიერებს გამოცდილ მექალთანეს:

- ყოველ ცისმარე დღეს ამოდის მზე და ყოველ ცისმარე დღეს შენ უფრო და უფრო პრაქტიკული ხდები. ნებისმიერმა, ოდნავ გონიერმა კაცმა მშვენივრად იცის, რომ როცა ქალი მასთან ესოდენ პრაქტიკული და მობილიზებული ხდება, განშორების დრო დგება.

უეცრად ისეთ ტკივილი ვიგრძენი, რომ უკვე აღარ შემეძლო ამ თამაშის გაგრძელება, და ვთქვი:

- რას იზამ, ასეა თუ ისე, ძალიან გამიხარდება, თუკი დღეს საღამოს ჩემთან მოხვალ. ივახშმებ ჩემთან?

მიპასუხა:

- სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, შენთან ვახშმობაზე უარი მეთქვა მაშინ, როდესაც ასე გემრიელად ამზადებ, ხომ მართალია?

- მოუთმენლად დაგელოდები, — ვამბობ.

მაიკლი მეუბნება:

- სასწრაფოდ თუ ჩაიცვამ, სამსახურამდე მანქანით მიგიყვან.

ვყოყმანობ, რადგან ვფიქრობ: „თუ ამ საღამოს ვახშმის მომზადება მომიწევს, ყველაფერი სამსახურში წასვლამდე უნდა ვიყიდო“. ყოყმანს მატყობს და უმალ მეუბნება:

- თუ არ გაწყობს, წავედი.

მაიკლი მკოცნის და ეს კოცნა თითქოს გაგრძელებაა იმ სიყვარულისა, ჩვენ რომ გვქონდა. ეგრევე რაღაცას მეუბნება და ამით აუქმებს ჩვენი ინტიმური სიახლოვის ამ ერთ წამს, რადგან მისი სიტყვები სრულიად სხვა თემას აგრძელებს:

- სხვა თუ არაფერი შეგვრჩა საერთო, სექსი ხომ ნამდვილად შეგვრჩა.

ყოველ ჯერზე, როცა ამას ამბობს, ასე ლაპარაკი კი ცოტა ხნის წინ დაიწყო, ვგრძნობ, რომ მაჟრჟოლებს სადღაც სიღრმეში, დიაფრაგმასთან; ესაა ჩემზე სრული უარის თქმა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე აღვიქვამ; და ჩვენ შორის უზარმაზარი დისტანციაა. და ამ მღელვარე ცარიელი სივრცის მიღმა ვამბობ:

- მაშ, სულ ესაა, რაც გვაერთიანებს?

მაიკლი კი მპასუხობს:

- სულ?.. კი მაგრამ, ჩემო ანა, ჩემო ძვირფასო ანა... თუმცა, ჩემი წასვლის დროა, თორემ დავაგვიანებ.

ამის მერე კი მიდის, მჭმუნვარედ, მწარედ გაღიმებული, მიდის მამაკაცივით, რომელიც უარყვეს.

ახლა მეც უნდა ვიჩქარო. ისევ ვიბან, ვიცვამ. შავ-თეთრი კაბა შევარჩიე პატარა საყელოთი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მაიკლს მოსწონს, მეორეც - საღამოს სხვა კაბის ჩაცმის დრო შეიძლება არც კი აღმომაჩნდეს. მერე გავრბივარ ბოსტნეულისა და ხორცის მაღაზიებში. ეს უდიდესი სიამოვნებაა - შეძენა პროდუქტისა, რომელსაც მოგვიანებით მაიკლს მოვუმზადებ; გრძნობადი სიამოვნებაა, როგორც თავად საჭმლის მომზადების აქტი. წარმოვიდგენ ხორცის ნაჭერს, რომელიც საფანელსა და კვერცხშია ამოვლებული; არაჟნიან-ხახვიანი სოკო, რომელიც ნელ ცეცხლზე დგას და თუხთუხებს კონცენტრირებული, გამჭვირვალე ბულიონი. წარმოიდგინო მთელი ეს ტრაპეზი, ნიშნავს შექმნა ის, გავაკეთო ის მოძრაობები, რომელთაც გავაკეთებ, როცა შევამოწმებ ინგრედიენტებს, ტემპერატურას, მზაობის ხარისხს. ნაყიდი პროდუქტი სახლში მომაქვს, მაგიდაზე ვაწყობ, მერე მახსენდება, რომ ხბოს ხორცი უნდა დაიბეგვოს და ეს ახლავე უნდა გავაკეთო, რადგან საღამოთი შეიძლება ჯენეტს გაეღვიძოს. ამიტომ კარგა მაგრად დავბეგვე ხორცის ნაჭრები და როდესაც ლამის სიფრიფანას დაემსგავსა, ქაღალდში გავახვიე და გვერდზე გადავდე. უკვე ცხრა საათია. ფული ცოტა მაქვს, ამიტომ იძულებული ვიქნები ავტობუსით ვიმგზავრო და არა ტაქსით. ჩემს განკარგულებაში თხუთმეტი წუთია. სახელდახელოდ ვგვი ოთახს და ვასწორებ ლოგინს, თანაც ვცვლი თეთრეულს, რომელიც ღამით დალაქავდა. როდესაც ზეწრებს სარეცხის კალათაში ვტენი, სისხლის პატარა ლაქას ვამჩნევ. მაგრამ ხომ შეუძლებელია, რომ ამ ღამით მენსტრუაცია მქონოდა? სასწრაფოდ ვიხედები კალენდარში და ვხვდები, რომ კი, დღეს უნდა დამეწყოს. უეც-

რად დაღლილობასა და გაღიზიანებას ვგრძნობ, რადგან მას ყოველთვის ვგრძნობ ხოლმე, როცა მენსტრუაცია მაქვს (გავიფიქრე, ხომ არ ჯობს, რომელიმე სხვა დღე შევარჩიო ჩემი გრძნობებისა და შეგრძნებების აღსაწერად-მეთქი, მაგრამ მერე გადავწყვიტე, გავაგრძელო. ეს ჩემს გეგმებში არ ყოფილა გათვალისწინებული, მენსტრუაცია გადამავიწყდა. გადავწყვიტე, რომ სირცხვილისა და მორიდების ინსტინქტური იმპულსი უმართებულოა: მწერლისთვის ეს ემოციები საკადრისი არ არის). ბამბის ტამპონს ვიტენი, უკვე კიბეზე ჩავრბივარ და უცებ ვხვდები, რომ სათადარიგო ტამპონები დამავიწყდა. ვაგვიანებ. ხელჩანთაში ტამპონებს ვყრი, ცხვირსახოცის ქვეშ ვმალავ და ჩემი გაღიზიანება ელვის სისწრაფით მატულობს. ამავე დროს, ჩემს თავს ვეუბნები, მენსტრუაციის დაწყება რომ ვერ შემემჩნია, ასე სულ არ გავღიზიანდებოდი-მეთქი. ასეა თუ ისე, უნდა დავმშვიდდე და თანაც, ახლავე, სამსახურში მისვლამდე. თორემ მერე აღმოვაჩენ, რომ დამანგრეველი უგუნებობა დამატყდა თავს. ბოლოს და ბოლოს, მაინც შემიძლია ტაქსით მგზავრობის უფლება მივცე თავს, ასე კიდევ ათ წუთს მოვიგებ. ვჯდები დიდ სავარძელზე. ვცდილობ, მოვდუნდე, მაგრამ მეტისმეტად დაძაბული ვარ. ვცდილობ, რამე მოვიფიქრო, რომ დაძაბულობა შევასუსტო. ფანჯრის რაფაზე დგას ექვსიოდე თიხის ქოთანი მომწვანო--მორუხი ხვიარა მცენარეებით, რა ჰქვია, არც ვიცი. თიხის ქოთნები სამზარეულოში გადამაქვს და სათითაოდ ვუშვებ წყლით სავსე ტაშტში. თვალს ვადევნებ, როგორ ამოდის ზედაპირზე ბუშტუკები, როდესაც მიწაში წყალი ჩადის და იქიდან ჰაერს გამოდევნის. ფოთლებზე წყლის წვეთები ბრწყინავს. მოშავო მიწას ნეშომპალას სუნი აუვიდა. თავს უკეთ ვგრძნობ. მცენარეებიან თიხის ქოთნებს უკან, ფანჯრის რაფაზე ვდგამ, სადაც ცოტაოდენ

მზის შუქს დაიჭერენ, თუკი მზე დღეს საერთოდ გამოანათებს. მერე პალტოს ვტაცებ ხელს, ჩავრბივარ კიბეზე და ვხედავ მოლის გრძელ ხალათში, ჯერ კიდევ ბოლომდე არაა გამოფხიზლებული.

- სად გარბიხარ ასე? - მეკითხება.

არ გავჩერებულვარ, გავძახე:

- მაგვიანდება!

ვიგრძენი, როგორ კონტრასტულად ჟღერდა ჩვენი ხმები: მისი - მაღალი, ზანტი და გაწელილი, ჩემი კი - დაძაბული. ტაქსი არაა და არც ჩანს, გაჩერებამდე მირბენას ვასწრებ და ეგრევე მოდის ავტობუსი, ავდივარ და უმალ იწყება წვიმა. წინდები ოდნავ გამიტალახიანდა, არ დამავიწყდეს საღამოთი გამოცვლა: მაიკლი ყურადღებას აქცევს ასეთ წვრილმანებს. ავტობუსში ვგრძნობ ყრუ ტკივილს მუცლის ქვემოთ. ძალიან არ მტკივა. ეს კარგია, რადგან ტკივილის პირველი შემოტევა თუ ძალიან ძლიერი არ არის, ყველაფერი ორიოდე დღეში გამივლის. როგორ შემიძლია ასეთი უმადური ვიყო, როცა ჩემი ტკივილი ვერც კი შეედრება სხვა ქალებისას? მოლი, მაგალითად, ხუთი-ექვსი დღე საოცრად იტანჯება, მუდმივად ოხრავს და წუწუნებს. ვამჩნევ, რომ ჩემი ფიქრი ისევ პრაქტიკული მიმართულებით წავიდა. ვიხსენებ, რა მაქვს გასაკეთებელი, ოღონდ ამჯერად - სამსახურში. ამავე დროს, მაწუხებს ჩემი დღევანდელი განწყობა, მუდმივად ვაფიქსირო ყველაფერი, რაც მოხდება, მერე რომ ჩავწერო და ეს განსაკუთრებით მენსტრუაციის დაწყების გამო მაწუხებს. რადგან ეს ჩემთვის ნიშნავს ახალ ემოციურ მდგომარეობაში გადასვლას, რაც რეგულარულად მემართება და რაც არცთუ მნიშვნელოვანია; თუმცა კი ვიცი, საკმარისია დავწერო სიტყვა „სისხლი“, ყველაფერი რაღაც განსაკუთრებულ, ზედმეტ

მნიშვნელობას შეიძენს, თვით ჩემთვისაც კი, როდესაც გადავიკითხავ იმას, რაც დავწერე. ამრიგად, მე დავეჭვდი იმის ღირებულებაში, რის გაკეთებასაც ვაპირებ, - აღვწერო ჩემი დღე, - თანაც დავეჭვდი ისე, წერა არც კი დამიწყია. როგორც მგონია, უფრო არსებით პრობლემაზე ვფიქრობ, - ლიტერატურულ გემოვნებაზე, ტაქტის გრძნობაზე. მაგალითად, როცა ჯეიმზ ჯოისმა აღწერა კაცი, რომელიც ტუალეტში ისაქმებს, ამან მკითხველი შოკში ჩააგდო. თუმცა, მას სწორედაც სიტყვებისთვის შოკის მოგვრის უნარის წართმევა სურდა. ამას წინათ კი რომელიღაც წიგნის მიმოხილვაში ამოვიკითხე, ვიღაცას უთქვამს, ტუალეტში მომსაქმებელი ქალის აღწერა ზიზღის გრძნობას აღმიძრავსო. რასაკვირველია, ამან აღმაშფოთა, რადგან ის კაცი გულისხმობდა, რომ არ სურს, რომანტიკულ სახებას - ქალის სახებას - რომანტიზმი წაართვან. არადა, ყველაფრის მიუხედავად, მართალი იყო. მესმის, რომ თავისი არსით ეს სულაც არაა ლიტერატურის პრობლემა. მაგალითად, როცა მოლი მეუბნება, ჩვეულებისამებრ ხმამაღლა და სიცილით: „დამიდგა ჩემი წყეული დღეები“, უმალ ვაიძულებ თავს, ჩავიხშო გულისრევა და ზიზღი, თუმცა კი ჩვენ, ორივენი, ქალები ვართ; ვაცნობიერებ, რომ შეიძლება უსიამოვნო სუნის ატანამ მომიწიოს. ვფიქრობ იმაზე, როგორ ვრეაგირებ მოლიზე და მავიწყდება სიმართლის წერის პრობლემები (რაც გულისხმობს სიმართლის თქმას ჩემს საკუთარ თავზე); შეშფოთებით ვფიქრობ, თვით მე ხომ არ ამდის ეს უსიამოვნო სუნი? ეს ერთადერთია ჩემთვის ცნობილი ყველა სუნიდან, რომელიც არ მიყვარს. იმ სუნს, რომელსაც ტუალეტში ვაყენებ, მშვიდად ვუყურებ; მომწონს სექსის, კანის ან თმის სუნი, მაგრამ მენსტრუალური სისხლის ამ ბუნდოვან, რაღაცნაირად მყაყე, აშმორებულ სუნს ვერ ვიტან. მაღიზიანებს. ამ სუნს აღვიქვამ რო-

გორც თვით ჩემთვის რაღაც უცხოს, გარედან თავს მოხვეულს. ის ჩემგან არ მოდის. თუმცა, ორი დღე იძულებული ვიქნები, ვითმინო ეს გარეშე ჩარევა - უსიამო სუნი, მე რომ ამდის. ვაცნობიერებ, რომ ამაზე საერთოდ არ ვიფიქრებდი, გადაწყვეტილი რომ არ მქონდეს ყველაფერ იმის პატიოსნად აღწერა, რაც მოხდება. მენსტრუაცია არის რაღაც, რასაც ვაგვარებ ისე, რომ სრულიად არ ვფიქრობ ამაზე, ან, უფრო ზუსტად, ვფიქრობ ჩემი გონების იმ ნაწილით, რომელიც ყოველდღიური ჰიგიენის საკითხებს წყვეტს. მაგრამ თვით იდეა, რომ ყველაფერი პატიოსნად უნდა ჩავიწერო, არღვევს წონასწორობას და ანგრევს სიმართლეს: ამიტომ ფიქრს მენსტრუაციაზე გონებიდან გავდევნი; თუმცა, გონებაში ვინიშნავ, რომ როგორც კი სამსახურში მივალ, უნდა შევიდე ტუალეტში და შევამოწმო, ამდის თუ არა სუნი. სინამდვილეში კი უკვე დროა დავიწყო ფიქრი ჩემს მომავალ საუბარზე ამხანაგ ბათთან. მე ირონიულად ვეძახი „ამხანაგ ბათს“, ის კი ირონიულად - „ამხანაგ ანას“. წინა კვირას რაღაცაზე გავბრაზდი და ვუთხარი:

- ამხანაგო ბათ, განგების ნებით რუსეთში რომ გვეცხოვრა და იქ კომუნისტები ვყოფილიყავით, თქვენ უკვე დიდი ხანია, წლების წინ, დახვრეტას მომისჯიდით?

- დიახ, ამხანაგო ანა, მე ეს სავსებით შესაძლებელი მგონია.

(პარტიის ცხოვრებისთვის, ამ ეტაპზე, ამგვარი ხუმრობები მეტად დამახასიათებელია.)

ჯეკი კი ამ დროს იჯდა და ორივეს გვიღიმოდა, ჩვენს მხარეს გამოიხედავდა ხოლმე თავისი მრგვალი სათვალით. ამხანაგ ბათთან ჩემი შეხლა-შემოხლა ჭკუაში უჯდებოდა. ჯონ ბათი გავიდა თუ არა, მითხრა:

- ერთ გარემოებას არ ითვალისწინებ: სავსებით შესაძლებელია, სწორედ შენ გაგეცა ჯონ ბათის დახვრეტის ბრძანება.

ამ ფრაზამ ჩემი პირადი კოშმარი გამახსენა და როგორმე თავიდან რომ მომეშორებინა, ვუთხარი:

- ჩემო ძვირფასო ჯეკ, ამ ცხოვრებაში ისეთი თანამდებობა მაქვს, აუცილებლად მე უნდა დამხვრიტონ, ყოველ მიზეზგარეშე, სწორედ მე, ეს როლი ტრადიციულად მეკუთვნის.

- ნუ იქნები ასე დარწმუნებული. შენ რომ ოცდაათიან წლებში ჯონ ბათი გცნობოდა, ასე მარტივად ბიუროკრატი ჯალათის როლს ვერ განუსაზღვრავდი.

- მაგრამ ყველა შემთხვევაში საქმე ეს არაა.

- აბა, რა არის?

- უკვე თითქმის ერთი წელი გავიდა სტალინის სიკვდილიდან, მაგრამ არაფერი შეცვლილა.

- ძალიან ბევრი რამ შეიცვალა.

- ციხიდან ხალხი გამოუშვეს, მაგრამ არაფერი კეთდება იმისთვის, რომ შეიცვალოს განწყობა, რომლის გამოც ხალხი იქ ხვდება.

- ისინი კანონების შეცვლას აპირებენ.

- კანონი შეიძლება გადაწერო გინდ ასე, გინდ ისე, მაგრამ ეს არ შეცვლის იმ სულისკვეთებას, რაზეც ვლაპარაკობ.

ჯეკი დაფიქრდა, მერე თავი დამიქნია.

- სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ ზუსტად არაფერი ვიცით.

მზერა მეტად ყურადღებიანი და ლმობიერი ჰქონდა. ხშირად ვეკითხები ჩემს თავს: ხომ არ არის ეს ლმობიერება, განყენებულობა, რის გამოც შესაძლებელია ჩვენი ასეთი საუბრები, ნიშანი შინაგანი რღვევისა, პიროვნების დაშლისა, ღალატისა, რომელ-

საც ამა თუ იმ ეტაპზე თითქმის ყოველი ჩვენგანი სჩადის? ან იქ-ნებ პირიქით, ეს ძალის ნიშანია, ძალისა, რომელსაც ურჩევნია, თავი მორიდებულად დაიჭიროს? არ ვიცი. სამაგიეროდ, ვიცი, რომ ჯეკი ერთადერთია პარტიაში, ვისთანაც შემიძლია მსგავსი დისკუსიების გამართვა. თვეზე მეტი ხნის წინ ვუთხარი, რომ პარტიის დატოვებას ვფიქრობ და მან ხუმრობით მიპასუხა:

- პარტიაში ოცდაათი წელია ვარ და ზოგჯერ მგონია, მხო-ლოდ მე და ჯონ ბათი ვიქნებით ერთადერთი ადამიანები, ვინც აქ დარჩება, ერთადერთნი იმ ათასობით კაცისგან, რომელთაც ვიცნობ.

- პარტიას აკრიტიკებ თუ იმ ათასობით კაცს, ვინც პარტია და-ტოვა?

- ბუნებრივია, იმ ათასობით კაცს, ვინც პარტია დატოვა, - მი-პასუხა სიცილით.

საღამოს კი მითხრა:

- მაშ, ანა, თუკი პარტიის დატოვებას აპირებ, თუ შეიძლება, ერთი თვით ადრე გამაფრთხილე, რადგან ძალიან კარგად მუშა-ობ და დრო დამჭირდება შემცვლელის მოსანახავად.

დღეს ჯონ ბათს ანგარიში უნდა ჩავაბარო ორ წიგნზე, რომ-ლებიც წავიკითხე. ისევ ვიჩხუბებთ. ჯეკმა დამიქირავა იარაღად მის ბრძოლაში პარტიის სულისკვეთებასთან, - იმ სულისკვეთე-ბასთან, რომელსაც უღიმღამოდ და უსიცოცხლოდ მიიჩნევს. ით-ვლება, რომ ჯეკი მთელი გამომცემლობის მუშაობას ხელმძღვა-ნელობს. სინამდვილეში კი რაღაც ადმინისტრატორის მაგვა-რია, მასზე მაღლა „პარტიამ“ ჯონ ბათი დააყენა. საბოლოოდ პარტიის შტაბში წყდება, რა გამოიცემა და რა - არა. ჯეკი „კარგი კომუნისტია“, ანუ მან საკუთარი პიროვნებიდან განდევნა ყალბი სიამაყე, რასაც შეიძლება ის გამოეწვია, რომ გული დასწყდებო-

და დამოუკიდებლობის სრულად დაკარგვის გამო. კაცმა რომ თქვას, სრულიადაც არ ენაღვლება, რომ ქვეკომიტეტი პარტიის შტაბში იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებსაც მან უნდა შეასხას ხორცი. პირიქით, ის თავიდან ბოლომდე უჭერს მხარს ამგვარ ცენტრალიზმს. თუმცა, მიაჩნია, რომ შტაბი არასწორ პოლიტიკას ატარებს; და, უფრო მეტიც, ეს ცალკეული ადამიანების და დაჯგუფებების საკითხი არ არის, რომელთა საქმიანობასაც არ ამართლებს; ზედმეტი ტვინის ჭყლეტის გარეშე აცხადებს, რომ ინტელექტუალური გაგებით პარტია „მოცემულ ეპოქაში“ დამყაყებული წყალია, ჭაობი, და სხვა არაფერი დარჩენია, ცვლილებებს დაელოდოს. ჯერჯერობით კი მზადაა აიტანოს, რომ მისი სახელი იმ იდეებსა და წარმოდგენებთან ასოცირდება, რომლებიც ეზიზღება. მასა და ჩემ შორის ის განსხვავებაა, რომ ჯეკი პარტიას განიხილავს ათწლეულებისა და შეიძლება საუკუნეების პერსპექტივაშიც კი (ვაბრაზებ ხოლმე, ვეუბნები, რაღა პარტია და რაღა კათოლიკური ეკლესია-მეთქი), მე კი მგონია, რომ ეს საბოლოო ინტელექტუალური კრახია. ლანჩების, შესვენებების დროს დაუსრულებლად ვმსჯელობთ ამაზე. ზოგჯერ ჯონ ბათიც გვესწრება, გვისმენს, დროდადრო საუბარშიც კი ერთვება. ეს თან მახარებს და თან ძლიერ მაბრაზებს, რადგან ის, რასაც ამ საუბრებისას ვამბობთ, წარმოუდგენლად შორსაა იმისგან, რასაც ოფიციალური „პარტიული კურსი“ ჰქვია. უფრო მეტიც, ნებისმიერ კომუნისტურ ქვეყანაში ასეთი საუბრები აღქმული იქნებოდა როგორც ღალატი. და მაინც, როდესაც პარტიიდან გავალ, სწორედ ეს დამაკლდება, - ადამიანთა საზოგადოება, რომლებიც მთელ ცხოვრებას ატარებენ ატმოსფეროში, სადაც თავისთავად იგულისხმება, რომ მათი ცხოვრება რომელიღაც ცენტრალურ ფილოსოფიას ემყარება. სწორედ

ესაა მიზეზი, რომ ძალიან ბევრი, ვისაც პარტიიდან გასვლა სურთ, ანდა მიაჩნიათ, რომ ეს უნდა გააკეთონ, მაინც მის რიგებში რჩებიან. პარტიის გარეთ მე არ შემხვედრია ისეთი ადამიანები, არ მინახავს ისეთი გაერთიანება ან ინტელექტუალთა ტიპები, პარტიული ინტელექტუალების განსაზღვრულ ტიპთან შედარებით ნაკლებად გათვითცნობიერებულნი, ზედაპირულნი და შეზღუდულნი არ ყოფილიყვნენ. და ტრაგედია ის არის, რომ პასუხისმგებლობის ეს ინტელექტუალური განცდა, ეს უმაღლესი ხარისხის სერიოზული დამოკიდებულება, ვაკუუმშია; ეს მხოლოდ ბრიტანეთს არ ეხება; არა მარტო კომუნისტურ ქვეყნებს იმ სახით, როგორითაც ახლა არსებობენ; არამედ იმ სულისკვეთებას, რაც დამახასიათებელი იყო ინტერნაციონალური კომუნიზმისთვის წარსულში, მანამდე, სანამ ეს სულისკვეთება არ ჩაკლა თვითგადარჩენისთვის ბრძოლის სასოწარკვეთილმა, შლეგურმა სულისკვეთებამ, რომელსაც ახლა ჩვენ „სტალინიზმი“ ვუწოდეთ.

ავტობუსიდან ჩამოვდივარ და ვხვდები, რომ მომავალ ორთაბრძოლაზე ფიქრისგან ზედმეტად აღგზნებული ვარ: ამხანაგ ბათთან პაექრობაში წარმატების საწინდარია სიმშვიდე, აუცილებელია სიმშვიდის შენარჩუნება. მე კი არა ვარ მშვიდად, თანაც, მუცლის ქვემოთ მტკივა. თანაც, ნახევარი საათით დავაგვიანე, ყოველთვის ვცდილობ დროზე მივიდე და პატიოსნად ვიმუშაო დადგენილი რვა საათი, რადგან ანაზღაურების გარეშე ვმუშაობ და არ მსურს, ამის გამო პრივილეგიები მქონდეს (მაიკლი ხუმრობს: „ჩემო ძვირფასო ანა, შენ დიად ბრიტანულ ტრადიციას იცავ, - საშუალო კლასი ყოველთვის მსახურობდა და მსახურობს საზოგადოების საკეთილდღეოდ; შენ უფასოდ მუშაობ ბრიტანეთის კომუნისთვის ისევე, როგორც ბებიაშენს შეეძ-

ლო უფასოდ მუშაობა დამშეულებისა და ღარიბებისთვის“. მე თავადაც შემიძლია ასე ხუმრობა, მაგრამ როდესაც ეს მაიკლისგან მესმის, მწყინს). ეგრევე შევდივარ ტუალეტში, ყველაფერს სწრაფად ვაკეთებ, რადგან ვაგვიანებ; ტუალეტში თავს ვითვალიერებ, ტამპონს ვიცვლი და თეძოებზე ვისხამ და ვისხამ თბილ წყალს ტოლჩით, როგორმე რომ მოვიშორო შმორის მომჟავო სუნი. მერე თეძოებზე და იღლიებში ცოტა სუნამოს ვისვამ, ჩემს თავს ვახსენებ, რომ აქ ერთ საათში ისევ აუცილებლად უნდა შემოვიარო; მერე ისე, რომ ჩემს კაბინეტში არც კი შევდივარ, პირდაპირ ჯეკისკენ მივემართები. ჯეკი თავის კაბინეტშია, ჯონ ბათთან ერთად. ჯეკი მეუბნება:

- ანა, რა სასიამოვნო სუნამო გაქვს.

გულზე უმალ მომეშვა, ვიგრძენი, რომ ყველაფერი შემიძლია გავაკეთო, ყველაფრის ძალა შემწევს. ვუყურებ გაბზარული ხმით მოლაპარაკე ჯონ ბათს, ხნოვან კაცს, რომლის ძარღვებში უკვე დაშრა სასიცოცხლო ძალა და მახსენდება, როგორ მეუბნებოდა ჯეკი, რომ ახალგაზრდობაში, ოცდაათიანი წლების დასაწყისში, მხიარული, გონებამახვილი, ნიჭიერი კაცი იყო. ბრწყინვალე ორატორი ყოფილა; იმ წლების ბიუროკრატიულ აპარატთან ოპოზიციაში იყო, ყოველთვის მეტად კრიტიკულად გახლდათ განწყობილი და მოურიდებლად ეპყრობოდა. ჯეკმა ეს მიამბო, ავადმყოფური სიამოვნება მიიღო იმისგან, რომ ამ ყველაფრის წარმოდგენის უნარი სრულიად არ მქონდა, შემდეგ მომცა წიგნი, ჯონ ბათს რომ დაუწერია ოცი წლის წინ, რომანი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროებაზე. წიგნი ბრწყინვალედ დაწერილი, ცოცხალი, თამამი აღმოჩნდა. და, აი, ისევ ვუმზერ და უნებლიეთ თავში მომდის: „ბრიტანეთის კომპარტიის ნამდვილი დანაშაული ის მრავალი შესანიშნავი და საოცარი

ადამიანია, რომლებიც მან ან გატეხა, ან გამოახმო და პედანტ, საკანცელარიო ვირთხებად აქცია, მოხელეებად, რომლებიც ცხოვრობენ მათივე მსგავსი კომუნისტების დახურულ საზოგადოებაში და არ უწყიან, რა ხდება მშობლიურ ქვეყანაში“. მერე მიკვირს და გუნება მეშხამება იმის გამო, რომ ისეთ გამოთქმას ვხმარობ, როგორიცაა „დანაშაული“.

ეს სიტყვა კომუნისტების არსენალიდანაა და სრულიად უაზროა. ამ ყველაფერს ერთვის სოციალური პროცესი, რომელიც ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „დანაშაული“, სულელურად და უადგილოდ აქცევს. ამ აზრის გაჩენისას ჩემში ახალი აზროვნების სახეობა იბადება; ვაგრძელებ ფიქრს, ტლანქად და მოუხეშავად: „კომუნისტური პარტია, ნებისმიერი სხვა ინსტიტუტის მსგავსად, კრიტიკულად განწყობილთა აბსორბირების ხარჯზე აგრძელებს არსებობას. ის ან შთანთქავს, ან ანადგურებს მათ“. ვფიქრობ: „მე ყოველთვის ვიცნობდი და ვხედავდი მხოლოდ იმ საზოგადოებას, რომელიც ასე იყო მოწყობილი: არსებობს მმართველი სეგმენტი, ანუ მთავრობა, რომელსაც ოპოზიციაში უდგას საზოგადოების სხვა სეგმენტები; იმ სეგმენტს, რომელსაც ძალა აქვს, ან მთლიანად ცვლის ოპოზიციურ სეგმენტს, ან განდევნის მას“. სინამდვილეში კი სულაც არაა ასე; უეცრად ყველაფერს სხვაგვარად ვხედავ, დიახ, არსებობს დახავსებული, გაქვავებული ადამიანების ჯგუფი, რომელსაც წინ აღუდგნენ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა რევოლუციონერები, ისეთები, როგორიც ოდესღაც იყო ჯონ ბათი, და ერთად ისინი შეადგენენ მთლიანობას, მათი ძალები ერთმანეთს აწონასწორებს. შემდეგ ჩნდება დახავსებული, გაქვავებული ადამიანების ჯგუფი, როგორიცაა ახლა ბათი, მათ ოპოზიციაში კი - ახლების, კრიტიკულად განწყობილთა, ცოცხალი გონების მქონეთა ჯგუფი. არადა, ის

მკვდარი აზრი, უსიცოცხლო, გაქვავებული შიგთავსი, ამ ცოცხალი ყლორტების გარეშე ვერ იარსებებს, რომლებიც, თავის მხრივ, გამხმარ, მკვდარ მერქნად ესოდენ სწრაფად იქცევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მე, „ამხანაგი ანა“ - და ახლა, როცა ამხანაგ ბათის ირონიული ტონი მახსენდება, უკვე შიშს მგვრის, - სწორედ მე უზრუნველვყოფ ამხანაგ ბათის არსებობას, მე ვასაზრდოებ და როცა დრო მოვა, მის ადგილს დავიკავებ, გავხდები ისეთი, როგორიც თვითონაა. და როდესაც ასე დავიწყე ფიქრი, რომ არავინაა არც მართალი, არც მტყუანი, რომ არსებობს მხოლოდ პროცესი, ძალიან შემეშინდა, რადგან ჩემში ყველაფერი ისტერიულად უარყოფს და აპროტესტებს ცხოვრებაზე ასეთ შეხედულებას და მე ისევ ვბრუნდები ჩემს კოშმარში, რომელშიც, როგორც ჩანს, მრავალი წელია ვცხოვრობ, როგორც ციხის საკანში, და სადაც უმალ ვხვდები, რომ საკმარისია ოდნავ მოვადუნო ყურადღება, კოშმარი რეალურ ფორმას იღებს, მოდის ჩემთან სიზმარში თუ ცხადში და ყველაზე მარტივად ასე შეიძლება აღიწეროს: თვალახვეული კაცი აგურის კედელთან დგას. წამებისგან ცოცხალ-მკვდარია. მის წინ მხარზე თოფებმიდებული ექვსი კაცია, სასროლად გამზადებული, და მეშვიდე, მათი მეთაური, ხელაწეული დგას. როდესაც ხელს დაიქნევს, გაისვრიან და ტუსაღი მკვდარი დაეცემა. უეცრად მოულოდნელი რამ ხდება, - თუმცა, არც ისე მოულოდნელი, რადგან მეშვიდე ამ ხნის განმავლობაში რაღაცას ელოდა, აყურადებდა. სადღაც, ქუჩაში, გაისმის ყვირილი, სროლა. ექვსნი ეჭვით უყურებენ მეშვიდეს, ოფიცერს. ის კი დგას და ელოდება, რით დამთავრდება ბრძოლა ქუჩაში. გაისმის შეძახილი: „ჩვენ გავიმარჯვეთ!“ ამის გაგონებაზე ოფიცერი გაივლის სივრცეს, რომელიც აგურის კედელს აშორებს, თვალებს გაუხსნის ტუსაღს და მის ადგილს იკავებს. კაცი,

რომელიც აქამდე თვალახვეული იყო, ახლა ოფიცერს აუხვევს. არის ერთი მომენტი - და ეს არის შეძრწუნების მომენტი ჩემს კოშმარში - როდესაც ერთმანეთს გაუღიმებენ, ელვის სისწრაფით, მწარედ, სიტუაციის გაგებითა და მიღებით. ამ გაღიმების დროს თანამოძმეები არიან. ამ ღიმილშია ჩაქსოვილი ის შემზარავი სიმართლე, რომელიც არ მინდოდა, მცოდნოდა, რადგან უარყოფდა ყველა შემოქმედებით გრძნობასა და ემოციას. ახლა ოფიცერი, მეშვიდე, დგას თვალახვეული და ელოდება. მასავით მიყრდნობია კედელს. ყოფილი ტუსაღი უახლოვდება რაზმს, რომელსაც დახვრეტა აქვს დავალებული. ყველანი იარაღშემართული დგანან. იგი ხელს მაღლა აწევს, მერე კი დაიქნევს. ისმის გასროლა და კაცი კედელთან, მიწაზე ეცემა, კონვულსიურად. ექვსი ჯარისკაცი ცუდად ხდება, ახლა ისინი სადმე წავლენ და დათვრებიან, რომ ღვინოში ჩაახშონ ჩადენილი მკვლელობის გახსენება. ის კაცი კი, რომელიც ადრე შეკრული იყო და ახლა კი თავისუფალია, დგას და იღიმება, სანამ ჯარისკაცები ბარბაცით მიდიან, წყევლიან და ეზიზღებათ ის, როგორც დასწყევლიდნენ და შეიძულებდნენ იმას, მეორეს, ვინც ახლა მკვდარია. ღიმილი კაცისა, რომელიც ექვს ჯარისკაცს უყურებს, დამზაფრავი ირონიაა და გაგებით არის აღსავსე. ეს ჩემი კოშმარია. ამ დროს ამხანაგი ბათი კი ზის და იცდის. როგორც ყოველთვის, ოდნავ შესამჩნევად იღიმება, კრიტიკულად, თითქოს თავს იცავსო. მისი ღიმილი მანჭვას ჰგავს.

- აბა, ამხანაგო ანა, მოგვცემთ თუ არა უფლებას, დავბეჭდოთ ეს ორი შედევრი?

ჯეკი თავისდა უნებურად იმანჭება; ვხედავ, რომ ისევე, როგორც მე, იმწამს მიხვდა, რომ ეს ორი წიგნი გამოქვეყნდება: ეს უკვე გადაწყვეტილია. ჯეკმა ორივე წიგნი წაიკითხა და მისთვის

დამახასიათებელი ლმობიერებით შენიშნა, ღმერთმა იცის, ეს რა არის, თუმცა, ალბათ, უარესიც „შეიძლებოდა ყოფილიყო“. ვამბობ:

- თუკი მართლა გაინტერესებთ ჩემი აზრი, მგონი, მხოლოდ ერთი წიგნი უნდა გამოიცეს. თანაც, გაითვალისწინეთ, მაინცდამაინც კარგ წიგნად არც ერთი არ მიმაჩნია.

- თავისთავად ცხადია, სრულიადაც არ მოველი, რომ კრიტიკოსების მოწონებისა და აღიარების იმ სიმაღლეებს მიაღწევენ, როგორსაც თქვენი შედევრი.

ეს რეპლიკა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამხანაგ ბათს „ომის საზღვრები“ არ მოეწონა; ჯეკისთვის უთქვამს, რომ მოეწონა, მაგრამ ჩემთან საუბრისას რომანს არასოდეს ახსენებს. თავისი რეპლიკით უნდა თქვას, რომ ჩემს რომანს ასეთი წარმატება, როგორც თვითონ განსაზღვრავდა, „კაპიტალისტური საგამომცემლო მაქინაციების“ წყალობით ხვდა. მე, რასაკვირველია, ვეთანხმები; ერთი რამის გარდა, ეპითეტი „კაპიტალისტური“ სავსებით შესაძლებელია შევცვალოთ სხვა ეპითეტით, მაგალითად, „კომუნისტურით“ ანდა „ქალების ჟურნალისთვის შესაფერისით“ და ა.შ. მისი ტონი იმ თამაშის ნაწილია, რომელსაც ვთამაშობთ, ჩვენ უბრალოდ ჩვენს როლებს ვასრულებთ: მე „წარმატებული ბურჟუაზიული მწერალი“ ვარ, ის - „პროლეტარიატის ფასეულობათა სადარაჯოზე მდგომი“ (ამხანაგ ბათის ოჯახი ინგლისის საშუალო კლასის ზედაფენას ეკუთვნის, მაგრამ ამას, ცხადია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს).

ვთავაზობ:

- იქნებ ეს ორი წიგნი ცალ-ცალკე განგვეხილა?

მაგიდაზე ვდებ ორ შეკვრას და ერთ-ერთს ამხანაგ ბათისკენ ვწევ. თავს მიქნევს. ხელნაწერს, რომლის განხილვასაც ვთავა-

ზობ, ჰქვია „მშვიდობისა და ბედნიერებისთვის“. მისი ავტორი ახალგაზრდა მუშაა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეძახის მას ამხანაგი ბათი. სინამდვილეში, ორმოცს არის მიღწეული, ბოლო ოცი წელია პარტიულ მოხელედ მუშაობს, ოდესღაც კალატოზი იყო. წიგნი ცუდადაა დაწერილი, სიუჟეტი - სიცოცხლეს მოკლებული, მაგრამ რაც მასში მართლაც შემაშფოთებელია, ის სრულიად შეესაბამება დღეს გავრცელებულ ყველა კომუნისტურ მითს. თუკი ვინმე, ასეთ შემთხვევაში, ვთქვათ, მარსის წარმოსახვითი ბინადარი (ანდა, მოცემულ შემთხვევაში - რუსეთის), წაიკითხავდა ამ წიგნს, შეექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ა) ბრიტანეთის ქალაქებში საშინელი სიდუხჭირე და უმუშევრობაა, სისასტიკე ბატონობს, ყველგან დიკენსის სტილის სიღარიბეა; და ბ) ბრიტანელი მუშები, ყველანი, კომუნისტები არიან ან, ყოველ შემთხვევაში, კომუნისტებში თავიანთ ბუნებრივ წინამძღოლებს ხედავენ. ამ რომანს რეალობასთან საერთო არაფერი აქვს („ჯეკმა ასე დაახასიათა ის: „გამოწიტება კომუნისტური ოცნებების სამყაროდან“.).

თუმცა კი ეს მეტად აკურატული ასახვაა ყველა თავის მოსატყუებელი კომუნისტური მითისა მოცემულ კონკრეტულ ეტაპზე; უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მე ამ თემის სხვადასხვა ფორმაში შეფუთული ორმოცდაათიოდე ვარიაცია წავიკითხე. ვეუბნები:

- თქვენ მშვენივრად იცით, რომ ეს ძალიან ცუდი წიგნია.

ამხანაგ ბათის წაგრძელებული, ძვლოვანი სახე უკმეხ სიჯიუტეს გამოსახავს. მახსენდება რომანი, რომელიც ოცი წლის წინ დაწერა, ესოდენ ცოცხალი, საინტერესო და ვერ ვიჯერებ, რომ ეს იგივე კაცია. ახლა იგი ამბობს:

- შედევრი არაა, შედევრს არც გპირდებოდით, მაგრამ მიმაჩნია, რომ წიგნი კარგია.

ეს, ასე ვთქვათ, იმის უვერტიურაა, რაც უნდა მოხდეს. მე ყველაფერს ეჭვქვეშ დავაყენებ, ის კი ამ ყველაფერს დაიცავს და მკერდით გადაეფარება, შედეგი კი მაინც ერთი იქნება, რადგან გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. წიგნი დაიბეჭდება. ადამიანებს, რომლებიც პარტიაში არიან და საკუთარი აზრის ნატამალი მაინც აქვთ შერჩენილი, კიდევ უფრო შერცხვებათ პარტიული ფასეულობების სტაბილური დევალვაციის გამო; „დეილი უორკერი“ წიგნს შეაქებს: „მიუხედავად ყველა ნაკლისა, ეს მართალი რომანია პარტიულ ცხოვრებაზე“; იმ „ბურჟუა“ კრიტიკოსებს, რომლებიც შეამჩნევენ მას, ზიზღის გრძნობა გაუჩნდებათ. ყველაფერი ისე მოხდება, როგორც არაერთხელ მომხდარა. უეცრად ყოველგვარი ინტერესი მეკარგება. ვამბობ:

- ძალიან კარგი, თქვენ ამ წიგნს გამოსცემთ. სალაპარაკოც მეტი არაფერია.

განცვიფრებული დუმილი ისადგურებს, ამხანაგებმა ჯეკმა და ბათმა გადახედეს კიდეც ერთმანეთს. ამხანაგმა ბათმა თავი დახარა. შეშფოთებულია. ვაცნობიერებ, რომ ჩემი როლი თუ ფუნქციაა კამათი, კრიტიკოსის როლის თამაში, რათა ამხანაგმა ბათმა ისულდგმულოს ილუზიით, რომ გათვითცნობიერებული ოპონენტის წინაშე ბრძოლით იცავს თავის პოზიციას. სინამდვილეში კი ის თვითონაა, ოღონდ ახალგაზრდობაში, რომელიც ზის მის წინაშე ახლანდელი სახით და მან თავისივე თავი უნდა დაამარცხოს, ოღონდ, ახალგაზრდა. მრცხვენია, რომ ადრე ამას, ესოდენ აშკარა სიტუაციას, ვერ ვაცნობიერებდი; ვფიქრობ კიდეც, იქნებ ყველა ეს წიგნი არც კი გამოცემულიყო, უარი რომ მეთქვა დატყვევებული კრიტიკოსის როლის თამაშზე?

- არა, ანა, ასე არ გამოვა. თქვენგან ველით კრიტიკას, რომელიც ამხანაგ ბათს ასწავლის, დამოძღვრავს.

ვპასუხობ:

- თქვენ იცით, რომ ეს წიგნი უვარგისია. ამხანაგმა ბათმაც იცის, რომ უვარგისია.

ამხანაგმა ასწია თავი, დაღლილი თვალები მომაშტერა, - თვალების გარშემო კანი დანაოჭებოდა.

- მეც ვიცი, რომ უვარგისია. და ყველამ ვიცით, - მაინც დაიბეჭდება.

ჯონ ბათი ამბობს:

- ხომ არ იქნებით, ამხანაგო ანა, იმდენად თავაზიანი, რომ ექვსი ან რვა სიტყვით ამიხსნათ, თუკი ინებებთ თქვენი ძვირფასი დროის ჩვენზე დახარჯვას, რატომაა ეს წიგნი უვარგისი?

- როგორც ვხვდები, ავტორმა ოცდაათიანი წლების მოგონებანი ამოქექა, მის გონებაში ხელუხლებლად და უცვლელად რომ ინახებოდა და 1954 წლის ბრიტანეთს მოარგო. გარდა ამისა, ეტყობა, წარმოუდგენია, რომ ბრიტანეთის დიადი მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის მიმართ ლოიალური გრძნობებითაა გამსჭვალული.

მის თვალებში მრისხანების ცეცხლმა იფეთქა. უეცრად მომუშტულ ხელს მაღლა სწევს და ჯეკის მაგიდაზე მთელი ძალით ახეთქებს.

- უნდა დაიბეჭდოს, მორჩა და გათავდა! - ყვირის, - ჯანდაბა, უნდა დაიბეჭდოს! აი, ჩემი სიტყვა!

ეს იმდენად უცნაური და უაზროა, რომ მეცინება. მერე კი ვხვდები, რაოდენ კანონზომიერია ყველაფერი, რაც ხდება. ჩემი სიცილის გაგონებაზე, მერე კი ჯეკის ღიმილის დანახვაზე, ჯონ ბათი თითქოსდა ბრაზისაგან მოიჭმუჭნა; შინაგანად ბევრი ბარი-

კადა გადალახა და თავის ციხესიმაგრეში ჩაიკეტა, საიდანაც ჯიუტად და გაავებით შემოგვყურებდა.

- ეტყობა, მე თქვენ გახალისებთ, ანა. კეთილი ინებეთ და ამიხსენით, რატომ?

ვიცინი, ვუყურებ ჯეკს, ის თავს მიქნევს: კი, აგვიხსენი. ისევ ჯონ ბათს გავხედე, დავფიქრდი და ვამბობ:

- ის, რაც თქვით, იმ ყველაფერს აჯამებს, რაც არ არის რიგზე ჩვენს პარტიაში. ეს არის პარტიის ინტელექტუალური გახრწნის კრისტალიზაცია, ასე რომ, მეცხრამეტე საუკუნის ჰუმანიზმის ამოძახილი: გაბედულება, ყველა სიძნელის მიუხედავად და სიმართლე სიცრუის წინააღმდეგ, იმისთვის უნდა იქნეს გამოყენებული, რომ კომუნისტური ფირმის უსაძაგლესად ყალბი წიგნის დაბეჭდვის უფლება დაიცვათ და რომლის გამოქვეყნებით პარტია არაფრით რისკავს, საკუთარი პატიოსანი რეპუტაციითაც კი.

სასტიკად გავბრაზდი. მერე გამახსენდა, მე თვითონაც ამ ფირმისთვის რომ ვმუშაობ და ჩემგან მისი გაკრიტიკება არ ეგების; და რომ ჯეკი მართავს ამ ფირმას და მართლაც იძულებული იქნება, გამოაქვეყნოს ეს წიგნი. ვშიშობ, რომ ვაწყენინე ჯეკს: ისიც მიყურებს, მერე მხოლოდ ერთხელ მიქნევს თავს და მიღიმის. ჯონ ბათი ხედავს თავის დაქნევას, მის ღიმილს. ჯეკი მზადაა, თავზე დაიტეხოს ჯონ ბათის აღშფოთების გრიგალი. ბათი მრისხანებისგან დაიკრუნჩხა, მაგრამ ეს სამართლიანი რისხვაა, ის მართალსა და სწორ საქმეს, სიმართლეს იცავს. მოგვიანებით ეს ორი მომხდარს განიხილავს; ჯეკი იტყვის, რომ მეთანხმება; წიგნი დაიბეჭდება.

- და მეორე წიგნი? მაგაზე რას იტყვით? - მეკითხება ბათი.

მაგრამ მე ყველაფერი მომწყინდა და მომბეზრდა. ვფიქრობ, რომ სწორედ ესაა ის დონე, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქ-

მნა წარმოდგენა პარტიაზე, და ეს ის დონეა, რომელზეც პარტიულ გადაწყვეტილებებს იღებენ. ასე კეთდება ყველა საქმე; ყველაფერი საუბრების დონეზე კი არ ხდება, მე და ჯეკს რომ გვაქვს ხოლმე, ეს საუბრები პარტიის ცხოვრებზე არავითარ გავლენას არ ახდენენ. უეცრად ვიღებ გადაწყვეტილებას, რომ პარტიიდან გავიდე. მე თვითონაც მაინტერესებს, რატომ გადავწყვიტე ეს ახლა და არა რომელიმე სხვა მომენტში.

- მაშ, ასე, - ვამბობ უაღრესად თავაზიანად, - ორივე წიგნი გამოქვეყნდება. დიდი მადლობა მეტად საინტერესო დისკუსიისთვის.

- დიახ, გმადლობთ თქვენ, ამხანაგო ანა, მართლაც მეტად საინტერესო დისკუსია გამოვიდა, - მპასუხობს ჯონ ბათი.

ჯეკი დაკვირვებით მიყურებს; მგონი, მიხვდა, რა გადავწყვიტე. მაგრამ ამ ორ კაცს ახლა განსახილველი აქვს საკითხები, რომლებიც მე არ მეხება, ამიტომ ჩემთან, მეზობელ კაბინეტში გავდივარ. ამ ოთახში ორნი ვსხედვართ, მე და როზა, ჯეკის მდივანი. ერთმანეთი მაინცდამაინც გულზე არ გვეხატება, ამიტომ საკმაოდ ცივად ვესალმები. ჩემს მაგიდაზე ჟურნალები და ქაღალდებია დახვავებული, ვჯდები და მუშაობას ვიწყებ.

ჩემი საქმეა ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების კითხვა, რომლებიც ინგლისურ ენაზე იბეჭდება კომუნისტურ სახელმწიფოებში: რუსეთში, ჩინეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში და ა.შ. და ა.შ. თუკი თვალში მომხვდება „ბრიტანეთის პირობებში გამოსადეგი“ მოთხრობა, წერილი ან რომანი, ჯეკს უნდა ვაჩვენო და, მაშასადამე, ჯონ ბათს. ძალზე ცოტა რამაა ხოლმე „ბრიტანეთის პირობებში გამოსადეგი“, იშვიათად, - რაიმე სტატია ან პატარა მოთხრობა. და მაინც, ხარბად ვკითხულობ ყველაფერს, ისევე, როგორც ჯეკი, და იმავე მიზეზით: ჩვენ სტრიქო-

ნებშუა ვკითხულობთ, ვცდილობთ, ამოვიცნოთ ტენდენციები, ზოგადი მიმართულება.

თუმცა, როგორც ბოლო დროს გავაცნობიერე, ამის მიღმა კიდევ რაღაც იმალება. მიზეზი იმისა, რომ ამ ტექსტებს ასეთი ხალისით ვშთანთქავ, სხვა რაღაცაშია. ეს ტექსტები, ძირითადად, ბრტყელი-ბრტყელი, ტლანქი, ოპტიმისტურია; დაწერილია უცნაურად ამაღლებული და შემართული სტილით; თუნდაც ლაპარაკი იყოს ომსა და ტანჯვაზე. მთელი ეს ნაჯღაბნი საზრდოობს მითით, მისგან გამომდინარეობს, მაგრამ უვარგისი, უსიცოცხლო და ბანალურია, - ჩემი მედლის მეორე მხარე. მრცხვენია იმ ფსიქოლოგიური იმპულსისა, რომელმაც „ომის საზღვრები“ შვა. გადავწყვიტე, აღარასოდეს არაფერი დავწერო, თუკი რასაც ვწერ, აუცილებლად ასეთი გრძნობებით უნდა საზრდოობდეს.

ბოლო წელს, როდესაც ვკითხულობდი ამ მოთხრობებსა და რომანებს, რომლებშიც შეიძლება აქა-იქ გაიელვოს მართალმა აბზაცმა, წინადადებამ, ფრაზამ, იძულებული გავხდი, მეღიარებინა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნების გამონაშუქი ყოველთვის ეფუძნება ღრმა, უეცარ, მოულოდნელად ძლიერ, ძნელად განსასაზღვრავსა და ძალზე პირად განცდას. და მე ვკითხულობ ამ უსიცოცხლო მონაჩმახს და ვლოცულობ, რომ ერთხელ მაინც შემხვდეს მოთხრობა, რომანი, თუნდაც წერილი, რომელიც მთლიანად ამ ნამდვილ, პირად განცდაზე იქნება დაფუძნებული.

დიახ, სწორედ ამაში მდგომარეობს პარადოქსი: მე, ანა, უარვყოფ ჩემს საკუთარ, „არაჯანსაღ“ ხელოვნებას, მაგრამ ასევე უარვყოფ „ჯანსაღ“ ხელოვნებასაც, როდესაც მას ვხედავ.

მთელი საქმე ის არის, რომ ყველა ეს ნაწარმოები, თავისი არსით, პიროვნულობისგან დაცლილია. მათი ბანალურობა უსახურობის ბანალურობაა. თითქოს „ჩვენი დროის ანონიმის“ საქ-

მიანობას ვადევნებდე თვალს. მას მერე, რაც პარტიაში შევედი, ჩემი „პარტიული სამუშაო“ უმეტესად ის იყო, რომ მცირე აუდიტორიას ვუკითხავდი ლექციებს ხელოვნებაზე. დაახლოებით ასეთ რამეს ვამბობდი ხოლმე: „შუა საუკუნეების ხელოვნება არ იყო ინდივიდუალური, ის სათემო გახლდათ, თემურ ცნობიერებას ეფუძნებოდა. მისთვის უცხო იყო ავადმყოფური ინდივიდუალიზმი, რაც კაპიტალისტური ეპოქის ხელოვნების მამოძრავებელი ძალაა. და აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ინდივიდუალური ხელოვნების მძლავრი ეგოიზმიც წარსულს ჩაბარდება. ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ისეთ ხელოვნებას, რომელიც ადამიანის სულიერ წინააღმდეგობებსა და თანამოძმეებთან გაუცხოებას კი არ გამოხატავს, არამედ მის პასუხისმგებლობას სხვა ადამიანზე, ძმურ გრძნობებს მის მიმართ. დასავლური ხელოვნება, განვსაზღვროთ ის ამ გაცვეთილი სახელწოდებით, მაშ, ასე, დასავლური ხელოვნება უფრო და უფრო გვაგონებს გამკივან ყვირილს, რომელსაც სული გამოსცემს, საკუთარ ტკივილს რომ აფიქსირებს. ტკივილი ჩვენი სიღრმისეული და ჭეშმარიტი არსი, ჩვენი რეალობა ხდება“, - რაღაც ამდაგვარს ვამბობდი. სამიოდე თვის წინ ლექციაზე ენა დამება და ვეღარ დავასრულე. ლექციები მეტად აღარ წამიკითხავს. ვიცი, ეს ენაბლუობა რისი მანიშნებელია.

უცებ თავში მომივიდა, - ჯეკთან სამუშაოდ იმიტომ მოვედი, თუმცა კი ამას ვერ ვაცნობიერებდი, რომ მსურდა, ჩემი პირადი, ძლიერი წუხილი ხელოვნების, ლიტერატურის (და, ესე იგი, ცხოვრების) საკითხებზე, ჩემი გადაწყვეტილება, აღარ გამეგრძელებინა წერა, ჩემი ყურადღების ფოკუსში მოქცეულიყო იმ დროისთვის, როდესაც იძულებული შევიქნებოდი, ეს საქმე გულმოდგინედ, ყოველდღე, თავაუღებლად მეკეთებინა.

ამას ჯეკს ვეუბნები. მისმენს და მიგებს (ყოველთვის ყველაფერს იგებს). მერე მეუბნება:

- ანა, კომუნიზმი ჯერ ოთხ ათეულ წელსაც კი არ ითვლის. მისი ნაშობი ხელოვნება, არაფრად ვარგოდა და არაფრად ვარგა. მაგრამ რატომ არ გინდა დაუშვა, რომ ეს პირველი ნაბიჯებია ბავშვისა, რომელიც სიარულს სწავლობს? და ერთი საუკუნის შემდეგ...

- ...ანდა ხუთის, - ვეუბნები მე, მინდა გავაბრაზო.

- შესაძლოა, ერთი საუკუნის შემდეგ დაიბადოს ახალი ხელოვნება. რატომაც არა?

ვამბობ:

- არც კი ვიცი, რა ვიფიქრო. რადგან ვეჭვობ, რომ ამ ხნის განმავლობაში სისულელეებს ვროშავდი. გასაგებია, რომ ეს ჩვენი კამათი, დისკუსიები მუდმივად ერთისა და იმავეს გარშემო ტრიალებს? ეს არის ინდივიდუალური ცნობიერება, ინდივიდუალური მგრძნობელობა.

ისიც მაბრაზებს, მეუბნება:

- და შენი ინდივიდუალური ცნობიერება შობს შენს მხიარულსა და შემართულ საზოგადოებრივ და ალალ ხელოვნებას?

- რატომაც არა? შესაძლოა, ინდივიდუალური ცნობიერებაც ჯერ ბავშვია, რომელიც სიარულს სწავლობს?

თავს მიქნევს და ეს ნიშნავს: „კი ბატონო, ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა, მაგრამ დროა, საქმეს შევუდგეთ“.

ამ უსიცოცხლო და უვარგისი ლიტერატურის კითხვა ჩემი სამუშაოს მხოლოდ ნაწილია. რადგან ვინმეს სურვილისა თუ მოლოდინის მიუხედავად, ჩემი სამუშაო სრულიად სხვა რაღაცად, „სოციალურ ქველმოქმედებად“ იქცა. ასე ხუმრობს ჯეკი, ასე ვხუმრობ მე თვითონ და კიდევ მაიკლი: „რა არის ახალი სო-

ციალურ ფრონტზე, ანა? მოახერხე კიდევ რამდენიმე ცდომილი სულის გადარჩენა?“

სანამ „სოციალურ ქველმოქმედებას“ შევუდგებოდე, ჩავდივარ ტუალეტში, ვიბან, ვიღებები და ვფიქრობ: ეს-ეს არის მიღებული გადაწყვეტილება პარტიიდან გასვლის თაობაზე ხომ არ არის შედეგი იმისა, რომ დღეს უფრო ცხადად და მკაფიოდ ვაზროვნებ, რომ გადავწყვიტე, ჩემი ერთი დღე დეტალურად აღვწერო? თუკი ასეა, ვინ არის ის ანა, რომელიც ჩემს დაწერილს წაიკითხავს? ვინ არის ის მეორე, რომლის განსჯისა და დადანაშაულების მეშინია, ან, ყოველ შემთხვევაში, რომლის შეხედულება ცხოვრებაზე განსხვავდება ჩემი შეხედულებებისგან? ვფიქრობ, როცა არ ვწერ, არ ვაცნობიერებ ყველაფერს, რაც ხდება. ან იქნებ ხვალ, როცა ის მეორე ანა დაკვირვებით შემომხედავს, გადავწყვეტ, რომ არ ღირს პარტიიდან გასვლა? ერთი მხრივ, ჯეკი დამაკლდება, სხვა ვისთან განვიხილავ ყველა ამ პრობლემას გულწრფელად, შეუფარავად? რასაკვირველია, მაიკლთან ერთად, მაგრამ ის ხომ მტოვებს? თანაც, მასთან ასეთ საუბრებს სიმწარე დაჰკრავს. მაგრამ, აი, რა არის საინტერესო: მაიკლი ყოფილი კომუნისტია, მოღალატე, წაწყმედილი სული, ჯეკი - კომუნიზმის ბიუროკრატი. გარკვეულწილად, ჯეკი მაიკლის მეგობრების მკვლელია (თუმცა, მაშინ - მეც, რადგან პარტიაში ვრჩები). სწორედ ჯეკი ამათრახებს მაიკლს, როგორც მოღალატეს. და სწორედ მაიკლი ამათრახებს ჯეკს, როგორც მკვლელს. და მაინც, მხოლოდ ამ მამაკაცებთან (არადა, ეს ორნი თუკი შეხვდებიან, სიტყვასაც კი არ იტყვიან, იმდენად არ ენდობიან ერთმანეთს) შემიძლია ვილაპარაკო და სწორედ მათ აქვთ ჩემი გრძნობების გაგების უნარი. ისინი ერთი და იმავე ისტორიის შემადგენელი ნაწილი არიან. მე ისევ ტუალეტში ვარ და

სხეულზე სუნამოს ვიპკურებ, როგორმე რომ დავძლიო სისხლის აშმორებული სუნი, სისხლისა, რომ მდის, და უეცრად ვაცნობიერებ, - რასაც მაიკლსა და ჯეკზე ვფიქრობ, ის ჩემი კოშმარია დამხვრეტთა რაზმსა და ტუსაღებზე, რომლებიც ერთმანეთს ადგილს უცვლიან. დაბნეული ვარ, თავბრუ მეხვევა, ავდივარ ზევით, ჩემს კაბინეტში, ვჯდები მაგიდასთან და მკვეთრი მოძრაობით ჩემგან შორს ვწევ მაგიდაზე დახვავებულ ჟურნალებს: „ვოქსი“, „საბჭოთა ლიტერატურა“, „ხალხებო, გამოიღვიძეთ თავისუფლებისთვის!“, „აღორძინებული ჩინეთი“ და ა.შ. და ა.შ. (იმ სარკეს, რომელშიც წელიწადზე მეტხანს ვიყურებოდი) და ვგრძნობ, რომ ამის კითხვა აღარ შემიძლია. უბრალოდ, აღარ შემიძლია. მე ამას ჩავაკვდი და ეს ჩემში მოკვდა. ვნახოთ, რა მელის დღეს „სოციალურ ფრონტზე“. და როცა ჩემს ფიქრებში ამ წერტილამდე მივდივარ, შემოდის ჯეკი, რადგან ჯონ ბათი უკვე წავიდა შტაბში, და მეუბნება:

- ანა, ხომ არ დალევდი ჩემთან ერთად ფინჯან ჩაის სანდვიჩებით?

ჯეკი ოფიციალურ პარტიულ ხელფასზე ცხოვრობს, რაც კვირაში რვა გირვანქას შეადგენს; ცოლი მასწავლებელი ჰყავს და ისიც დაახლოებით ამდენივეს იღებს. ამიტომ იძულებულია, ეკონომია გასწიოს; ეკონომიის ერთ-ერთი საშუალებაა ლანჩზე გასვლა კი არა, არამედ სახლიდან რაიმე წასახემსებლის მოტანა. მადლობას ვუხდი, მივდივარ მასთან და ვსაუბრობთ. ოღონდ იმ ორ რომანზე კი არა; მათზე ერთმანეთისთვის სათქმელი აღარაფერი გვაქვს: მათ გამოაქვეყნებენ და ორივეს შეგვრცხვება, - ორივეს თავისებურად. ჯეკის მეგობარი ცოტა ხნის წინ დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან და კერძო საუბარში უამბო იქ გამეფებულ ანტისემიტიზმზე. და ასევე მოუყვა ჭორებს მკვლელობებზე,

წამებაზე, დაშინებაზე. და, აი, მე და ჯეკი ვსხედვართ და ვამოწმებთ ინფორმაციის ყოველ მისხალს: ეს მართალია? დამაჯერებელია? თუკი ეს მართალია, მაშინ ნიშნავს, რომ... და უკვე მეასეჯერ მიკვირს, რომ ეს კაცი კომუნიზმის ბიუროკრატიული სისტემის ნაწილია, არადა, ესმის იმდენივე, რაც მე და რაც ნებისმიერი რანგისა და წოდების კომუნისტს, რას შეიძლება ვენდოთ და რას - არა. ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ - და უკვე მერამდენედ - სტალინი, მგონი, გიჟი იყო, კლინიკური გიჟი. ვსვამთ ჩაის სანდვიჩებით და ვმსჯელობთ, აი, რაზე: საბჭოთა კავშირში რომ გვეცხოვრა სტალინის მმართველობის უკანასკნელ წლებში, ჩავთვლიდით თუ არა ჩვენს მოვალეობად, მოგვეკლა ის პოლიტიკური მოტივებით. ჯეკი ამბობს, რომ - არა; სტალინი მისი ცხოვრებისეული გამოცდილების განუყოფელი ნაწილია, ყველაზე სიღრმისეული ნაწილი და რომ დანამდვილებით სცოდნოდა, სტალინი დანაშაულებრივად შეშლილია, როცა ჩახმახის გამოკვრის წამი დადგებოდა, ამას უბრალოდ ვერ იზამდა: ამას ერჩივნა, რევოლვერი თავისი თავისკენ მიებრუნებინა. მეც ვამბობ, რომ ვერ შევძლებდი, რადგან „მკვლელობა პოლიტიკური მოტივებით ეწინააღმდეგება ჩემს პრინციპებს“. და ა.შ. და ა.შ.; და თავში მომდის, თუ რამდენად საშინელია თვით ეს საუბარი, და რამდენად არაკეთილსინდისიერი, რადგან მე და ჯეკი ვართ კომფორტაბელურსა და უსაფრთხო, გალაღებულ ლონდონში და ჩვენს სიცოცხლეს საერთოდაც არაფერი ემუქრება. კიდევ რაღაც ხდება, რაც მე უფრო და უფრო მაშინებს - სიტყვები აზრს კარგავენ. ვუსმენ ჯეკისა და ჩემს საუბარს - სიტყვები თითქოს საიდანღაც ამოდიან, ჩემი სიღრმიდან, რომელსაც სახელი არ გააჩნია, მაგრამ არაფერს ნიშნავენ. მუდმივად ვხედავ, ლამის ფიზიკურად თვალწინ მიდგას მკვლელობის, წა-

მების, ჯვარედინი დაკითხვების სურათები, - ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, და სიტყვები, რომლებსაც წარმოვთქვამთ, არანაირად არ არის დაკავშირებული იმასთან, რასაც ვხედავ. როგორც ბუტბუტი, როგორც გიჟის ბოდვა, ისე ისმის. უეცრად ჯეკი მეკითხება:

- ანა, პარტიიდან გასვლას აპირებ?

ვპასუხობ:

- კი.

ჯეკი თავს მიქნევს. ეს მეგობრული, მოწყალე თავის დაქნევაა. თანაც, მეტად მარტოსული. და ჩვენ შორის იმავე წამს უფსკრული იშლება - ოღონდ არა უნდობლობის, ჩვენ ვენდობით ერთმანეთს, არამედ მომავალი გამოცდილებისა. ის პარტიაში დარჩება, რადგან ესოდენ დიდი ხანი გაატარა იქ, რადგან ეს მისი ცხოვრება იყო და ასეთად დარჩება, რადგან ყველა მისი მეგობარი პარტიაშია და კვლავაც იქნება. და ძალზე მალე შეხვედრისას ერთმანეთისთვის უცხოები ვიქნებით. და ვფიქრობ, რამდენად კარგი ადამიანია და რამდენად კარგია ყველა მისთანა; და როგორ მოატყუა ისინი ისტორიამ, - და როდესაც ასეთ მელოდრამატულ ფრაზას ვიყენებ, ვხვდები, რომ ეს მელოდრამატული კი არა, არამედ ზუსტი და მკაფიო ფორმულირებაა. და ეს რომ ამწამს მისთვის მეთქვა, ჯეკი საპასუხოდ უბრალოდ თავს დამიქნევდა მეგობრულად. და ჩვენ ერთმანეთს ირონიული ურთიერთგაგებით გავხედავდით — აი, ასეა საქმე, რას იზამ, ამაზეც მადლობა ღმერთს ა.შ. (იმ ორი კაცივით, დასახვრეტად გამზადებული პატარა რაზმის წინ ადგილებს რომ ცვლიდნენ).

დაკვირვებით ვუყურებ - ჯეკი ჩამომჯდარა მაგიდის კიდეზე, ხელში ნახევრად შეჭმული უგემური სანდვიჩით; მიუხედავად ყველაფრისა, ოქსფორდისა თუ კემბრიჯის პედაგოგს ჰგავს, რომელიც სწორედაც იქნებოდა, რომ მოესურვებინა. შესახედაობა

ერთობ ბიჭური აქვს; სათვალიანია, ფერმკრთალი და ინტელიგენტური. და იგი პატიოსანია. დიახ, ეს მართებული განსაზღვრებაა - პატიოსანი. მაგრამ, ამავე დროს, მის ზურგს უკან დგას - და ეს ერთ-ერთი მისი შემადგენელია და რაც ჩემზეც შეიძლება ითქვას, - სისხლიანი საქმეების, მკვლელობის, ღალატისა და სიცრუის სავალალო ჩამონათვალი. მეკითხება:

- ტირი, ანა?

- მე ძალიან ადვილად ვტირი ხოლმე, - ვპასუხობ.

თავს მიქნევს და მეუბნება:

- ისე უნდა მოიქცე, როგორც გრძნობები და სინდისი გკარნახობს.

ეს რომ გავიგე, გამეცინა, რადგან ჯეკში მისი ბრიტანული კულტურა, აღზრდა, მისი წესიერი და სინდისიერი ნონკონფორმიზმი ალაპარაკდა. ხვდება ჩემი სიცილის მიზეზს, თავს მიქნევს და მეუბნება:

- ჩვენ, ყველანი, განსაზღვრული ცხოვრებისეული გამოცდილების პროდუქტი ვართ. მე, მაგალითად, ოცდაათიანი წლების დასაწყისში მოვედი გონსა და აზრზე.

უეცრად თავს სასტიკად უბედურად ვგრძნობ და ვეუბნები:

- ჯეკ, წავალ, ვიმუშავებ.

შევდივარ ჩემს ოთახში, ვჯდები მაგიდასთან, თავს ხელებში ვრგავ და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ჩვენი ჩლუნგი მდივანი ქალი ლანჩზეა გასული. ვფიქრობ: „მაიკლი მტოვებს, ეს გადაწყვეტილია; და თუმცა მან თვითონ დატოვა პარტია დიდი ხნის წინ, ის მთელი ამ ისტორიის ნაწილია. და, აი, მეც გავდივარ პარტიიდან. მთავრდება ერთი ცხოვრებისეული ეტაპი. რა იქნება მერე? მივდივარ, ასე მინდა, მე რაღაც ახლისკენ მივდივარ და ასე უნდა მოვიქცე. მე კანს ვიცვლი ან ხელახლა ვიბადები“. მდი-

ვანი როზა შემოდის, ხედავს, რომ ხელებში თავჩარგული ვზივარ და მეკითხება, ავად ხომ არა ხართო. ვპასუხობ, რომ ძილი დამაკლდა და ცოტა წავთვლიმე. მერე კი ვიწყებ „სოციალურ მუშაობას“, რაც ძალიან დამაკლდება, როცა პარტიიდან გავალ, და ჩემს თავს ვიჭერ აზრზე: მე მოვისაკლისებ ილუზიას, რომ რაღაც სასარგებლოს მაინც ვაკეთებ და უკვე თვითონაც ვეღარ გამირკვევია, მართლა მგონია თუ არა, რომ ეს ილუზიაა.

დაახლოებით წლინახევრის წინ ერთ-ერთ პარტიულ ჟურნალში გამოჩნდა ცნობა, რომ გამომცემლობაში „ბოულზი და ჰართლი“, ანუ ჩვენს ფირმაში, გადაწყდა რომანების ბეჭდვაც და არა მხოლოდ ისტორიული, სოციოლოგიური მასალებისა და ა.შ., რაც ერთხანს მისი ერთადერთი საქმიანობა იყო. და ამის მერე, უეცრად, ხელნაწერების ნიაღვარი წამოვიდა. თავიდან ვხუმრობდით, ეტყობა, პარტიის ყველა წევრი შეთავსებით კიდევ რომანისტად მუშაობს-მეთქი, მაგრამ ძალზე მალე ეს ხუმრობადაც აღარ აღიქმებოდა, რადგან ყოველი ხელნაწერის გამოჩენასთან ერთად - არადა, ცხადი იყო, რომ ზოგიერთი წლობით იდო მაგიდის უჯრაში, - წერილიც მოდიოდა; და სწორედ ეს წერილები იქცა ჩემს სამუშაოდ. რომანების უმეტესობა საკმაოდ სუსტია ან ბანალური ანონიმის დაწერილი, ან უბრალოდ უმეცარი ადამიანებისა. მაგრამ წერილები სულ სხვა ამბავია. არაერთხელ მითქვამს ჯეკისთვის, ძალზე სამწუხაროა, რომ არ შეგვიძლია რჩეული წერილების კრებულის ცალკე წიგნად გამოცემა-- მეთქი, რაზეც მპასუხობს ხოლმე:

- კი მაგრამ, ძვირფასო ანა, ეს ხომ ანტიპარტიული აქცია იქნებოდა, აბა, რას მთავაზობთ?!

აი, ტიპური წერილი:

„ძვირფასო ამხანაგო პრესტონ! არ ვიცი, რა აზრი გაქვთ იმაზე, რასაც გიგზავნით. ეს მე ოთხიოდე წლის წინ დავწერე. ხელნაწერი რამდენიმე ჩვეულებრივ, „პატივცემულ“ გამომცემლობას გავუგზავნე. სხვა რა ვთქვა! როდესაც წავიკითხე, რომ „ბოულზმა და ჰართლიმ“ გადაწყვიტა, ხელი შეუწყოს მხატვრულ შემოქმედებას და არა მხოლოდ ფილოსოფიური ტრაქტატები ბეჭდოს, გული მომეცა და მომინდა კიდევ ერთხელ ვცადო ბედი. იქნებ ეს გადაწყვეტილებაა ესოდენ ნანატრი ნიშანი ჭეშმარიტი შემოქმედებისადმი პარტიის ახლებური დამოკიდებულებისა? ასეა თუ ისე, მოუთმენლად ველი თქვენს შეფასებას - თქმაც არ უნდა! ამხანაგური სალამით...

P. S. ძალიან მიჭირს წერისთვის დროის გამონახვა. მე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვარ (რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ორმოცდაათი კაციდან თხუთმეტამდე შემცირდა, თანაც ამ თხუთმეტიდან უმრავლესობას პარტიის წევრები მხოლოდ ჰქვია). აქტიურად ვმუშაობ პროფკავშირში. ვარ ადგილობრივი მუსიკალური საზოგადოების მდივანიც. მომიტევეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ადგილობრივი კულტურული ცხოვრების ასეთი ფაქტები ყურადღების ღირსია, თუმცა კი ისიც ვიცი, ამაზე შტაბში რას იტყოდნენ! მყავს ცოლი და სამი შვილი. ამიტომ ეს რომანი რომ დამეწერა (თუკი საერთოდ იმსახურებს ამ სახელწოდებას!), ყოველ დილას ოთხ საათზე ვდგებოდი და სამ საათს ვწერდი, ვიდრე ბავშვები და ჩემი საუკეთესო ნახევარი გაიღვიძებდნენ. მერე კი, წინ, სამსახურისკენ, ოჰო-ჰო, კიდევ ერთი დღე ჯოჯოხეთური შრომისა ბოსების საკეთილდღეოდ. ამ შემთხვევაში, ეს არის „ბერკი ლტდ“, ცემენტის მწარმოებელი ფირმა. არ გსმენიათ? მერწმუნეთ, მათ საქმიანო-

ბაზე რომანის დაწერა რომ შემეძლოს, სასამართლოში მიკრავ-დნენ თავს ცილისწამებისთვის. მეტი რა ვთქვა!“

და კიდევ ერთი:

„ძვირფასო ამხანაგო! განსაკუთრებული შიშითა და მღელვა-რებით გიგზავნით ჩემს მოთხრობებს. იმედია, თქვენგან სამარ-თლიანსა და გულახდილ შეფასებას მოვისმენ, ისინი მეტისმე-ტად ხშირად მიბრუნდებოდნენ ჩვენი ე. წ. კულტურული ჟურნა-ლებიდან. მოხარული ვარ, რომ პარტიამ ბოლოს და ბოლოს გა-დაწყვიტა, ხელი შეუწყოს ნიჭიერებას თავის გარემოში, ნაც-ვლად იმისა, ყოველ კონფერენციაზე კულტურაზე სიტყვით გა-მოდიოდეს და სინამდვილეში კი ამისთვის არაფერს აკეთებდეს. ყველა ეს ტომი დიალექტიკური მატერიალიზმისა და გლეხთა აჯანყების შესახებ ძალიან კარგია, მაგრამ რას იტყოდით ცოც-ხალ სტატიაზე? მე მდიდარი სამწერლო გამოცდილება მაქვს. წე-რა ომის დროს დავიწყე (მეორე მსოფლიო ომის დროს), როცა „ბატალიონის ფურცლისთვის“ ვწერდი. მას მერე მუდმივად ვწერდი, როცა კი დრო გამომიჩნდებოდა. თუმცა, არის ერთი დაბრკოლება, - კამათი ცოლსა და ორ შვილთან (ჩემი ცოლი სავსებით ეთანხმება კინგ-სტრიტელ „ბრძენებს“, რომ ჯობს, ამ-ხანაგებმა საქმე აკეთონ და მოწოდებები დაარიგონ, ვიდრე დროს უაზრო ჟღაბნაში ხარჯავდნენ); ეს ნიშნავს მუდმივ ბრძო-ლას არა მხოლოდ მათთან, არამედ ადგილობრივ პარტიულ მო-ხელეებთანაც, რომელთაც სახე უმჟავდებათ, როგორც კი ვეტ-ყვი, რომ საწერად დასვენების დღეები მჭირდება.ამხანაგური სალამით“...

„ძვირფასო ამხანაგო! ამ წერილის დაწყება ჩემთვის დიდი თავსატეხია, არადა, თუ გადავიფიქრე და ამას შევუშინდი, ვერა-სოდეს შევიტყობ, გული გიკარნახებთ თუ არა, დამეხმაროთ, თუ

ჩემი წერილი აიღოთ და ნაგვის ყუთში მოისროლოთ. უპირველესად გწერთ როგორც დედა. ჩემი ოჯახი, ისევე, როგორც ათასობით სხვა, მეტად დაზარალდა ომის დამამთავრებელ ეტაპზე. იძულებული გავხდი, მე თვითონ შემენახა და მეზრუნა ჩემს ორივე შვილზე, თუმცა, სწორედ მაშინ დავასრულე ქრონიკის (არა რომანის) წერა ჩემს ახალგაზრდობაზე, რომელზეც ძალზე კარგი შთაბეჭდილება შეექმნა ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო გამომცემლობის მკითხველ ქალს (ვშიშობ, რომ კაპიტალისტური გამომცემლობის, თანაც უნდა გავითვალისწინოთ შესაძლო წინასწარ აკვიატებული წარმოდგენები - მე არ ვმალავ ჩემს პოლიტიკურ მრწამსს!). მაგრამ საზრუნავი ორი ბავშვი მყავდა და იძულებული გავხდი, დავმშვიდობებოდი იმედს, რომ სიტყვის მეშვეობით მოვახერხებდი თვითგამოხატვას. ძალზე გამიმართლა და ერთ სამშვილიან ქვრივ კაცთან „სახლის მომვლელის“ ადგილი მივიღე, და აი, ხუთი წლის განმავლობაში არაფერი გვიჭირდა, მაგრამ მერე მან მეორედ შეირთო ცოლი და იძულებული გავხდი, შვილებიანიად წამოვსულიყავი. მერე ერთ კბილის ექიმთან დავიწყე მუშაობა მისაღებში, კვირაში ათ გირვანქად, ჩემი შვილებიც უნდა შემენახა და საკუთარი თავიც და ნორმალური ცხოვრების გარეგნული იერი როგორმე შემენარჩუნებინა. ახლა ჩემი ორივე შვილი უკვე მუშაობს და მე მოულოდნელად ისევ გამომიჩნდა თავისუფალი დრო. ორმოცდახუთი წლისა ვარ, მაგრამ არ ვეთანხმები აზრს, თითქოს ჩემი ცხოვრება დასრულდა. მეგობრები და ამხანაგები მეუბნებიან, რომ ჩემი ვალია მთელი ცხოვრება მივუძღვნა პარტიას (რომლის ერთგული ვიყავი გულში, რადგან პრაქტიკული სარგებლობის მოტანის დრო არ მქონდა). თუმცა, გავბედავ კი ამის გამხელას? - როცა პარტიაზე ვფიქრობ, ვიბნევი, ხშირად ჩემი აზრები ნეგატიურია.

ვერაფრით შემითანხმებია ჩემი ახალგაზრდობის რწმენა კაცობრიობის ბედნიერი მომავლის თაობაზე იმასთან, რასაც ახლა ვკითხულობთ (მართალია, კაპიტალისტურ პრესაში, მაგრამ ეს, ეტყობა, ის შემთხვევაა, რომელზეც იტყვიან ხოლმე, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო?) და მიმაჩნია, რომ სწორი იქნება, თუკი ჩემს ჭეშმარიტ არსს ყურს მივუგდებ და წერას დავიწყებ. არადა, დრო გადიოდა ყოველდღიურ ფუსფუსსა და შრომაში ლუკმაპურისათვის და მე ცხოვრების მშვენიერ გამოვლინებებთან კავშირი დამეკარგა. თუ შეიძლება, მირჩიეთ, რა წავიკითხო, როგორ განვვითარდე და როგორ ავინაზღაურო დაკარგული დრო. ძმური სალამით...

P. S

. ჩემმა ორივე შვილმა სკოლა დაამთავრა და, ვშიშობ, ორივე გაცილებით მისწრებს ცოდნით. ამის გამო გამიჩნდა არასრულფასოვნების შეგრძნება, რომელთან გამკლავებაც ძალიან მიჭირს. მე იმაზე მეტად ვიქნები თქვენი მადლიერი, ვიდრე ამის გამოთქმას მოვახერხებ, თუკი დიდსულოვნად დამეხმარებით და რამეს მირჩევთ“.

მთელი წლის განმავლობაში ვპასუხობდი ამ წერილებს, ვხვდებოდი ავტორებს, ვაძლევდი პრაქტიკულ რჩევებს. მაგალითად, ვიწვევდი ლონდონში მათ, ვისაც თავიანთ ადგილობრივ პარტიულ მოხელეებთან ბრძოლა უწევდათ იმისთვის, რომ როგორმე მოეპოვებინათ წერისათვის აუცილებელი დრო. მე და ჯეკი მათ ლანჩზე ან ჩაიზე ვეპატიჟებოდით და ვეუბნებოდით (ჯეკი ასეთ შემთხვევებში შეუცვლელია, რადგან პარტიაში მაღალი თანამდებობა უჭირავს), რომ უნდა ებრძოლონ იმ მოხელეებს, დაუმტკიცონ, რომ თავისუფალი დროის უფლება ეკუთვნით. გა-

სულ კვირას კი ერთი ქალი იურიდიულ კონსულტაციაში მივიყვანე, რომ რჩევა მიეღო ქმართან გაყრის თაობაზე.

როდესაც ამ წერილებს ან მათ ავტორებს ვარჩევ ხოლმე, როზა ლატიმერი ჩემ წინ, თავის მაგიდასთან ზის და იმდენად ვერ მიტანს, გაქვავებული გამომეტყველება აქვს. ჩვენი დროის ტიპური პარტიული მუშაკია. წარმომავლობით საშუალო კლასის დაბალი ფენიდანაა, თვალები ლამის ცრემლებით აევსოს, როცა ესმის სიტყვა „მუშა“. როდესაც სიტყვით გამოდის და ხმარობს ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა „ბრიტანელი მუშა“ და „მუშათა კლასი“, მომეტებული პატივისცემისგან სუნთქვა ეკვრის. როდესაც როზა პროვინციაში მიტინგის მოსაწყობად და სიტყვის წარმოსათქმელად მიემგზავრება, უკან ყოველთვის წარმოუდგენლად ეგზალტირებული ბრუნდება: „შესანიშნავი ადამიანები არიან, - ამბობს იგი, - შესანიშნავი, არაჩვეულებრივი ადამიანები. ნამდვილი ადამიანები არიან“. ერთი კვირის წინ წერილი მივიღე, პროფკავშირული მოღვაწის ცოლის წერილი, ვისთან ერთადაც როზამ შარშან რამდენიმე დღე გაატარა, რის შემდეგაც ჩვეულებისამებრ შესანიშნავ, არაჩვეულებრივ ადამიანებზე დითირამბების მღერით დაბრუნდა. ქალი ჩიოდა, უკიდურეს წერტილს მივაღწიეო, მისი ქმარი თურმე მთელ დროს ან თავის პროფკავშირელ ამფსონებთან ატარებს ან პაბში ზის; არასოდეს ეხმარება მას ან მათ ოთხ შვილს. პოსტ კრიპტუმში, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ნათელი მოჰფინა სიტუაციას, ეწერა, რომ უკვე რვა წელია აღარა აქვთ „სასიყვარულო ცხოვრება“. ეს წერილი კომენტარების გარეშე როზას მივაწოდე, ჩაიკითხა და მომენტალურად თავდაცვითი პოზიცია დაიკავა, სწრაფად, გაბოროტებით თქვა:

- მსგავსი არაფერი შემიმჩნევია, როცა იქ ვიყავი. ის ამა სოფლის მარილია. დიახ, ის ადამიანები მარილია ამა სოფლისა!

მერე კი წერილი დამიბრუნა და ფარისევლური, გაბრწყინებული ღიმილით მითხრა:

- იმედია, საკუთარი თავის შეცოდების სურვილს თქვენ უფრო განუმტკიცებთ.

ვხვდები, რამხელა შეღავათი იქნება, როცა როზას საზოგადოებისგან გავთავისუფლდები. იშვიათია, ვინმე არ მომეწონოს (ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე წამზე მეტი ხნის განმავლობაში), მაგრამ როზა აქტიურად და მუდმივად არ მიყვარს. და არ მომწონს მისი ფიზიკური ყოფნა ჩემ გვერდით. გრძელი, მახინჯი კისერი აქვს, ფერიმჭამელებითა და ალაგ-ალაგ საცხით დაფარული. უშნო კისერზე წამოსკუპებია პატარა, ვულგარულად მოლამაზო თავი - ჩიტის თავივით. როზა მუდმივად უნისკარტებს თავის ქმარს, ასევე პარტიულ მოხელეს, სასიამოვნო და არცთუ ჭკვიან კაცს; ორი შვილი ჰყავთ, რომლებსაც საშუალო კლასისთვის ყველაზე დამახასიათებელი ტრადიციულობით ზრდიან, მუდმივად შფოთავენ მათი მანერებისა და მომავლის გამო. ოდესაღაც როზა მეტად მომხიბლავი ყოფილა, მეუბნებოდნენ, რომ ოცდაათიან წლებში ის იყო ერთ-ერთი „პარტიულ ლამაზმანთაგანი“. მე კი, რასაკვირველია, მაშინებს, მაშინებს ისევე, როგორც ჯონ ბათი, - მეშინია, რომ ოდესმე მეც მისნაირი გავხდები. რა დამიფარავს ამისგან?

როდესაც როზას ვუყურებ, ლამის ტრანსში ჩავვარდე, თითქოს დაჰიპნოზებული ვარ მისი ჭუჭყიანი კისრით და მახსენდება, რომ დღეს განსაკუთრებული მიზეზი მაქვს, საკუთარ სხეულის სისუფთავეზე მეტი გულმოდგინებით ვიზრუნო, და კიდევც ერთხელ ჩავდივარ ტუალეტში. როცა ჩემს ოთახში ვბრუნდები,

ვხედავ, რომ ახალი ფოსტა მოუტანიათ: ორი ხელნაწერი და ორიც წერილი. ერთ-ერთი წერილი მოხუცი პენსიონერისგანაა — სამოცდათხუთმეტი წლის კაცია, მარტო ცხოვრობს და საზრდოობს იმედით, რომ ამ წიგნის პუბლიკაცია (რომელიც, ერთი შეხედვით, ძალზე სუსტი ჩანს), „ჩემს სიბერეს გაალამაზებს“. გადავწყვიტე, მოვინახულო და უცებ გამახსენდა, რომ ამ სამუშაოს თავს ვანებებ. ვინმე თუ გააგრძელებს მას, როცა მე წავალ? ალბათ, არა. მაგრამ ესოდენ მნიშვნელოვანია კი? „სოციალური ქველმოქმედებისთვის“ გაწეული ერთწლიანი შრომის შემდეგ ვერ ვიტყვი, თითქოს მიმაჩნდეს, რომ ყველა ჩემ მიერ შედგენილმა წერილმა, ვიზიტმა, ჩემმა რჩევამ ან თუნდაც პრაქტიკულმა დახმარებამ არსებითი შედეგი მოიტანა. შესაძლოა, ოდნავ შესუსტდა გულაცრუება, ოდნავ შესუსტდა ნაღველი თუ სევდა, მაგრამ ასე ფიქრი სახიფათოა, ის ჩემთვის მეტად ახლობელია და ამის მეშინია.

მივდივარ ჯეკთან, თავის კაბინეტშია, მკლავებდაკაპიწებული ზის, ფეხები მაგიდაზე შეუწყვია და ჩიბუხს ეწევა. ფერმკრთალსა და ჭკვიან სახეზე ეტყობა, რომ მეტად კონცენტრირებულია, რაღაცაზე ფიქრობს, იღუშება და ჩვეულებრივზე მეტად ჰგავს უნივერსიტეტის პროფესორს, რომელიც ისვენებს. ვიცი, თავის სამუშაოზე ფიქრობს. მისი სპეციალობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაა. ამ თემაზე დაახლოებით ნახევარი მილიონი სიტყვა აქვს დაწერილი, მაგრამ ახლა ამის გამოქვეყნება შეუძლებელია, რადგან სიმართლე დაწერა ისეთი ადამიანების როლზე, როგორიცაა ტროცკი და მისთანანი. ხელნაწერებს, შენიშვნებს, საუბრების ჩანაწერებს აგროვებს. ვაჯავრებ ხოლმე:

- სიმართლის თქმას ორიოდე საუკუნის მერე შევძლებთ.

მიღიმის და მშვიდად მპასუხობს:

- ან ორიოდე ათეული წლის შემდეგ, ან ხუთიოდე ათეულის.

სრულებით არ აწუხებს, რომ მის სკრუპულოზურ ნაშრომს კიდევ დიდხანს არავინ აღიარებს, შესაძლოა, მის სიცოცხლეში ვერც კი დაიბეჭდოს. ერთხელ მითხრა:

- სულაც არ გამიკვირდება, თუკი გამოჩნდება ვინმე, ვისაც ისე გაუმართლა, რომ არაა პარტიის წევრი და ვისაც ჩემზე ადრე მოუნდება ამ ყველაფრის გამოქვეყნება. თუმცა, უცხო კაცისთვის ხელმისაწვდომი არ არის ის დოკუმენტები, რაც მე მაქვს და ვერც იმ ადამიანებს შეხვდება, ვისაც შევხვედრივარ. ასე რომ, გზა ორივე მხრიდან გადაკეტილია.

ვეკითხები:

- ჯეკ, როცა მე წავალ, ვინმე გააგრძელებს ამ ადამიანებსა და მათ პრობლემებთან მუშაობას?

მპასუხობს:

- იცი, მე ფულს ვერ გადავუხდი იმას, ვინც ამას გააკეთებს. ჩვენ არც იმდენი ამხანაგი გვყავს, ვისაც შეუძლია იცხოვროს საავტორო ჰონორარებით.

მერე ცოტა მოლბა და მითხრა:

- ვნახავ, ყველაზე მძიმე შემთხვევაში რა შეიძლება გაკეთდეს.

- არის ერთი მხცოვანი პენსიონერი, - ვამბობ, მაგიდასთან ვჯდები და ვმსჯელობთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება დავეხმაროთ.

მერე ჯეკი მეუბნება:

- როგორც ვხვდები, როცა წასვლას გადაწყვეტ, ერთი თვით ადრე არც გამაფრთხილებ? ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სწო-

რედ ასე მოიქცევი, გადაწყვეტ წასვლას და პირდაპირ გახვალ ქუჩაში.

- ჰო, მაგრამ ასე რომ არ გავაკეთო, მაშინ, ალბათ, ვერასოდეს შევძლებ წასვლას.

თავს მიქნევს.

- სადმე სხვაგან აპირებ მუშაობას?

- არ ვიცი, უნდა მოვიფიქრო.

- გინდა განმარტოვდე, საქმეს ჩამოშორდე?

- საქმე ის არის, რომ ეტყობა, ჩემს თავში ამქვეყნად ყველაფერზე უამრავი ურთიერთგამომრიცხავი წარმოდგენა არსებობს.

- ნებისმიერი ადამიანის თავშია უამრავი ურთიერთგამომრიცხავი წარმოდგენა. მერედა, რა მნიშვნელობა აქვს ამას?

- მაგრამ ჩვენთვის ამას კი უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა.

(ვგულისხმობ, რომ კომუნისტებისთვის ამას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.)

- კი მაგრამ, ანა, არ გიფიქრია, რომ კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში...

- ო, ჯეკ, არ გვინდა ისტორიაზე, განვლილ ხუთ საუკუნესა და ეგეთ რაღაცებზე ლაპარაკი. ეს მხოლოდ თავის დაძვრენის საშუალებაა.

- არა, მხოლოდ თავის დაძვრენის საშუალება არ არის, რადგან კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა მხოლოდ ხუთი, ათი, თხუთმეტი კაცი, რომელთა ცნობიერება მართლაც შეესატყვისებოდა მათ ეპოქას. და თუკი ჩვენი ცნობიერება და სინამდვილის ჩვენეული გაგება არ შეესაბამება ჩვენს დროს, რა არის ამაში ესოდენ საშინელი? ჩვენი შვილები...

- ან ჩვენი შვილთაშვილთა შვილთაშვილები, - ვეუბნები და ჩემს ხმაში გაღიზიანება ხმიანდება.

- კარგი, ჩვენი შვილთაშვილთა შვილთაშვილები მოიხედავენ უკან და ცხადად გააცნობიერებენ, რომ სამყაროს ჩვენეული ხედვა, როგორც მას დღეს აღვიქვამთ, მცდარი იყო. მაგრამ მათი წარმოდგენები ხომ მათი დროის შესაბამისი იქნება? ასე რომ, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

- კი მაგრამ, ჯეკ, ეს ყველაფერი საშინელი ბოდვაა.

ვგრძნობ, რომ ჩემი ხმა მეტისმეტად მჭახედ ჟღერს და ვაიძულებ თავს, გავჩუმდე. ვაცნობიერებ, ჩემი მენსტრუაცია წამომეწია; ყოველთვე დგება ასეთი მომენტი, როცა ძალიან ადვილად ვღიზიანდები, რადგან ვგრძნობ, რომ დაუცველი ვარ და რაიმეს გაკონტროლების უნარი არა მაქვს. კიდევ იმიტომაც ვღიზიანდები, რომ ამ კაცმა რამდენიმე წელი უნივერსიტეტში გაატარა, ფილოსოფიას სწავლობდა და არ შემიძლია ვუთხრა, ვიცი, რომ ცდები, რადგან ამას ვგრძნობ-მეთქი (და გარდა ამისა, ჯეკის ნათქვამში არის რაღაც სახიფათოდ მიმზიდველი და ჩემი გაღიზიანება ნაწილობრივ იმითაა გამოწვეული, რომ არ მინდა ამ ხიბლს დავყვე). ჯეკი ჩემს მჭახე ტონს ყურადღებას არ აქცევს. რბილად მეუბნება:

- და მაინც მინდა, ამაზე დაფიქრდე. ანა, როდესაც ადამიანი დაჟინებით ამტკიცებს, რომ აქვს უფლება, იყოს მართალი, ამაში არის რაღაც ქედმაღლური.

(სიტყვა „ქედმაღლობა“ გულზე მხვდება, რადგან ჩემს თავს ქედმაღლობაში ძალზე ხშირად ვადანაშაულებ.)

ვპასუხობ, მაგრამ ეს საკმაოდ დუნედ და არადამაჯერებლად ჟღერს:

- მე კი ასე ვფიქრობ, ასე ვფიქრობ, ასე ვფიქრობ.

- კარგი. მოდი, კიდევ ერთხელ ვცადოთ: ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მეცნიერებაში რევოლუციური აღმოჩენები გაკეთდა, თანაც ყოველ დარგში. საფიქრებელია, რომ მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი მეცნიერი, ვინც გააცნობიერებდა ამ ყველა აღმოჩენის, თუნდაც, მათი ნაწილის, შესაძლო შედეგებს. ან, შესაძლოა, მასაჩუსეტში არის მეცნიერი, რომელსაც ესმის რაღაც ერთი, კემბრიჯელ მეცნიერს - რაღაც მეორე, საბჭოელს კი - რაღაც მესამე. და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. თუმცა, ამაშიც კი ეჭვი მეპარება. ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე ჩვენს თანამედროვეს შეეძლოს ყველა შესაძლო შედეგის შემოქმედებითად გაცნობიერება. ვთქვთ, იმისა, რომ მრეწველობაში დაიწყებენ ატომური ენერგიის გამოყენებას...

ვგრძნობ, რომ ჯეკი ძალიან სცილდება საუბრის თემას და ჯიუტად ვაგრძელებ ჩემსას:

- შენ მხოლოდ ერთს ამბობ: უნდა შევეგუოთ იმას, რომ დაქსაქსული ვართ.

- დაქსაქსული, - გაიმეორა მან.

- დიახ.

- მე უცილობლად ვამტკიცებ: შენ არა ხარ მეცნიერი, შენ მეცნიერული წარმოსახვა არ გაგაჩნია.

ვეუბნები:

- შენ ჰუმანიტარული სფეროს სპეციალისტი ხარ, ასეთი განათლება მიიღე და უეცრად ხელებს სწევ და ამბობ, რომ არაფერზე არ შეიძლება გქონდეს საკუთარი აზრი, რადგან მათემატიკა და ფიზიკა არ გასწავლეს?

ჩანს, თავს უხერხულად გრძნობს, ეს კი იშვიათად ემართება ხოლმე და ამიტომ მეც უხერხულად ვარ. მიუხედავად ამისა, მაინც ვაგრძელებ:

- გაუცხოება. დაქსაქსულობა და შინაგანი გათიშულობა. ეს კომუნისტური იდეის, ასე ვთქვათ, მორალური ასპექტია. და უცებ შენ მხრებს იჩეჩ და აცხადებ, რადგანაც ჩვენი ცხოვრების მექანიკური ასპექტები ასე გართულდა, მორჩილად უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ არც კი შეგვიძლია ვცადოთ მოვლენების ერთიანობაში გააზრებაო.

ვხედავ, რომ სახეზე ჯიუტი, გაუცხოებული გამომეტყველება უჩნდება, ასე ხშირად ჯონ ბათი გამოიყურება ხოლმე; ჩანს, ბრაზობს. ჯეკი ამბობს:

- არ იყო დაქსაქსული, არ ნიშნავს შემოქმედებითად აცნობიერებდე იმას, რაც ხდება. ანდა ცდილობდე ამის გაკეთებას. უბრალოდ, შენი საქმე რაც შეიძლება კარგად უნდა გააკეთო და იყო კარგი ადამიანი.

ვგრძნობ, რომ ღალატობს ყველაფერს, რასაც მკერდით უნდა იცავდეს. ვამბობ:

- ეს ღალატია.

- რის?

- ჰუმანიზმის იდეის.

დაფიქრდა და მეუბნება:

- თვით ჰუმანიზმის იდეაც შეიცვლება, ისევე, როგორც ყველაფერი.

ვეუბნები:

- მაშინ სხვა რამედ გადაიქცევა. ჯერჯერობით კი ჰუმანიზმი ჩვენ გვესმის როგორც დამოკიდებულება პიროვნებისადმი, ინდივიდუუმისადმი, როგორც რაღაც მთლიანობისადმი, პიროვნება კი თავის მთლიანობაში უნდა ესწრაფოდეს მაქსიმალურ შეგნებულობასა და პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც კი სამყაროში ხდება. შენ კი ახლა ზიხარ ჩემ წინ და მშვიდად აცხადებ,

თუმცა კი ჰუმანისტი ხარ, - იმის გამო, რომ მეცნიერების მიღწევები ძალზე გართულდა, ადამიანი საერთოდ აღარ უნდა ესწრაფოდეს მთლიანობას და არც უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ოდესმე მიაღწევს, უნდა შეურიგდეს თავის დაქსაქსულობასო.

ზის და ფიქრობს. და უცებ აზრად მომდის, რომ ჯეკში არის რაღაც განუვითარებელი, არასრულფასოვანი, ყოველ შემთხვევაში, მის გარეგნობაში; და უკვე ვეღარ გამიგია, ეს ჩემი რეაქციაა იმაზე, რომ პარტიიდან წასვლა გადავწყვიტე და ამასთან დაკავშირებული ყველა ემოციის პროეცირებას მასზე ვახდენ თუ მართლაც არ ყოფილა ის, რაც აქამდე მეგონა. ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ვაფიქსირებ, რომ დაბერებულ ბიჭს ჰგავს, ასეთი სახე აქვს; და მახსენდება, რომ ცოლად ჰყავს ქალი, რომელიც გარეგნულად დედად შეეფერება და თანაც, სრულიად აშკარაა, რომ სიყვარულით იქორწინეს.

მაინც ჩემსაზე ვდგავარ:

- შენ ამბობ, იმისთვის, რომ აიცილო დაქსაქსულობა და გათიშულობა, კარგად უნდა იმუშაო, პირნათლად შეასრულო შენი მოვალეობებიო და ასე შემდეგ. მაშ, იგივე ძალიან მარტივად ჩვენს როზაზეც შეიძლება ითქვას.

- დიახ, ასეა, იგივე ძალიან მარტივად შეიძლება ითქვას მასზე და მე ვამბობ კიდეც.

ვერ ვიჯერებ, რომ ჯეკი მართლა ასე ფიქრობს, თვალებშიც კი ჩავხედე იმ იმედით, რომ დავინახავდი სიცილის ნაპერწკლებს, სრულიად აუცილებელს ამ მომენტში, მაგრამ არა, ვხედავ, - სერიოზულია, მართლა ასე ფიქრობს და ვეღარ ვიგებ, რატომაა, რომ მხოლოდ ახლა, როცა ვთქვი, პარტიიდან გასვლა გადავწყვიტე-მეთქი, ჩვენ შორის ეს უთანხმოება ჩამოვარდა.

უეცრად პირიდან ჩიბუხს იღებს და ამბობს:

- ანა, მგონი, შენს სულს საფრთხე ემუქრება.

- სავსებით შესაძლებელია. და განა ეს ასე მნიშვნელოვანია?

- შენ ძალზე საშიშ მდგომარეობაში ხარ. იმის წყალობით, რომ ჩვენს გამომცემლობებს საავტორო ანაზღაურების ძალზე კარგი მექანიზმები აქვთ, საკმარის ფულს იღებ იმისთვის, რომ არ იმუშაო.

- და არც მიცდია ეს ისე წარმომეჩინა, თითქოს ჩემს განსაკუთრებულ დამსახურებებთანაა დაკავშირებული...

(ისევ ვამჩნევ, რომ ჩემი ხმა მჭახედ ჟღერს, და ამ სიტყვებს ღიმილს ვურთავ.)

- დიახ, არ გიცდია, მაგრამ არის ალბათობა, რომ ამ შენმა მშვენიერმა წიგნმა კვლავაც მოგიტანოს ისეთი შემოსავალი, რომელიც უფლებას მოგცემს ჯამაგირზე არ იზრუნო, ერთხანს მაინც. შენი ქალიშვილი ყოველდღე სკოლაშია, არც მასზე გაქვს მეტისმეტად ბევრი საზრუნავი. ამიტომ ვერაფერი დაგიშლის სადმე შეიყუჟო და არაფერი აკეთო, მხოლოდ უსასრულოდ იფიქრო და იმსჯელო ყველაფერზე ამქვეყნად.

გავიცინე (სიცილი გაღიზიანებული გამომივიდა).

- ასე რამ გაგამხიარულა?

- სკოლაში ერთი მასწავლებელი ქალი მყავდა, მაშინ გარდამავალ ასაკში ვიყავი და აქეთ-იქით მაგრად მარყევდა, ჰოდა, ის მიმეორებდა ხოლმე: „ანა, აბა, რას ჰგავს, ამდენს რომ ფიქრობ? წადი და გააკეთე რამე“.

- შეიძლება მართალიც იყო.

- საქმე ის არის, რომ მე ასე არ მგონია. და ასევე, არა მგონია, რომ შენ ხარ მართალი.

- რას იზამ, ანა, მე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

- მე კი ვერც ერთი წამით ვერ დავიჯერებ, რომ თვითონ გჯერა, მართალი ვარო.

ამის გაგონებაზე ჯეკი აენთო და ელვისებურად მტრული მზერა მესროლა. ვგრძნობ, რომ ჩემს სახეზეც მტრობა აღბეჭდილა. გაოცებას ვარ, რა უცებ აღმოჩნდა, რომ ესოდენ შეურიგებლები ვართ ერთმანეთის მიმართ; განსაკუთრებით, როცა დამშვიდოებების დრო დადგა. იმიტომ, რომ ახლა, როცა ორივენი ვგრძნობთ ამ მტრობას, დამშვიდობება არც ისე ძნელია, როგორც მოველოდი. ორივეს თვალზე ცრემლი გვადგება, ერთმანეთს ლოყზე ვკოცნით, მაგრად ვეხვევით ერთმანეთს; ეჭვი არა არის, რომ ჩვენმა უკანასკნელმა კამათმა შეცვალა ჩვენი ურთიერთგრძნობები. სწრაფად გავდივარ ჩემს ოთახში, ვიღებ პალტოსა და ჩანთას, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ როზა არ ჩანს და ახსნა-განმარტება არ მომიწევს.

ისევ წვიმს - საძაგლად, გულის გამაწვრილებლად ცრის. გარშემო დიდი, რუხი სახლებია, ბურუსში ჩაძირული, ავტობუსები კი ალისფერნი, ცოცხალნი არიან. უკვე ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვასწრებ სკოლაში შევლას ჯენეტის გამოსაყვანად, თუნდაც ტაქსით წავიდე. ამიტომ ავდივარ ავტობუსში და ვზივარ მგზავრებით გარემოცული, ჩახუთულობის სუნი რომ ასდით. ყველაზე მეტად ამქვეყნად აბაზანის მიღება მინდა, თანაც დაუყოვნებლივ. ლაჯები ერთმანეთს ეხახუნება, ერთმანეთს ეკრობა, იღლიები გამიოფლიანდა. ავტობუსში ყოფნისას ვგრძნობ, რომ სიცარიელეში ვეშვები, მაგრამ გადავწყვიტე, ამაზე აღარ ვიფიქრო; ჯენეტის ხათრით შემართული უნდა ვიყო. ასე ვტოვებ წარსულში ანას, ვინც სამსახურში მიდის და გაუთავებლად ეკამათება ჯეკს, მას, რომელიც დამწუხრებული, გულაცრუებული ადამიანების წერილებს კითხულობს და რომელსაც

გულზე არ ეხატება როზა. როცა სახლში შევდივარ, ვხედავ, რომ ცარიელია, და ჯენეტის მეგობარს, უფრო სწორად, დედამისს ვურეკავ. ჯენეტი სახლში შვიდი საათისთვის მოვა; რაღაც თამაში აქვთ დასამთავრებელი. მაშინ აბაზანას - წყლით, სააბაზანოს კი ცხელი ორთქლით ვავსებ, აბაზანაში ვეშვები, აუჩქარებლად და სიამოვნებით ვბანაობ. აბაზანის მერე ვათვალიერებ ჩემს თეთრ-შავ კაბას და ვხედავ, რომ საყელო ოდნავ გასჭუჭყიანებია, მისი ჩაცმა აღარ შეიძლება. ვღიზიანდები, რადგან კაბა სულ ტყუილად შეეწირა სამსახურს. თავიდან ვარჩევ ტანსაცმელს; ამჯერად ჩემს „მხიარულ“ ზოლიან შარვალსა და შავ ჟაკეტს ვიცვამ, მერე კი ლამის მესმის, როგორ ამბობს მაიკლი: „ანა, დღეს ასე ძალიან რატომ ჰგავხარ ბიჭს?“ - ამიტომ საგულდაგულოდ ვივარცხნი თმას ისე, რომ სრულიად არ ვგავდე ბიჭს. გაზქურაზე უკვე ყველა ცეცხლი მინთია. ერთდროულად ორი ვახშმის მომზადებას ვიწყებ. ერთს ჯენეტისთვის, მეორეს - ჩემთვისა და მაიკლისთვის. ამჟამად ჯენეტი ისპანახზე გიჟდება, რომელიც ნაღებსა და კვერცხთან ერთადაა ჩაშუშული. შემწვარი ვაშლისთვის ყავისფერი შაქრის ყიდვა დამვიწყებია. თავქუდმოგლეჯილმა ჩავირბინე კიბე და შევვარდი მაღაზიაში, რომელსაც მეპატრონეები უკვე ხურავდნენ. მხიარულებმა და კეთილმოსურნეებმა შემიშვეს და ძალაუნებურად მათ თამაშში ჩათრეული აღმოვჩნდი, ასე რომ უყვართ: სამი მამაკაცი სამუშაო თეთრ ქურთუკებში მემსახურება, თან მაჯავრებენ და უბოროტოდ მაქილიკებენ, მეძახიან: „ჩემო სიყვარულო“ და „ჩემო ჩიტუნია“. მე მომხიბლავი პატარა ანა ვარ, პატარა გოგონა. ისევ ავრბივარ კიბეზე, მოლი უკვე მოსულა, მასთან ერთად მოვიდა ტომიც. ხმამაღლა კამათობენ, მე კი ისეთ სახეს ვიჭერ, თითქოს არაფერი მესმის. ავდივარ მაღლა, იქ ჯენეტია. აღგზნებულია, მაგრამ ჩემგან

შორს; ის თავის ბავშვურ სამყაროში, სკოლაში იყო, მერე თავის მეგობართან ერთად ისევ თავის ბავშვურ სამყაროში და ჯერჯერობით იქიდან გამოსვლა არ უნდოდა. მეკითხება:

- შეიძლება ლოგინში ვივახშმო?

ვეუბნები, ოღონდ ყასიდად:

- ოჰ, შე ზარმაცო!

- დიახ, ვარ ზარმაცი, მერე რა მოხდა?

და სანამ კიდევ მოვასწრებდე რაიმეს თქმას, თვითონ შედის სააბაზანოში და აბაზანის წყლით ავსებას იწყებს. კიბის უჯრედის სიშორეზე მესმის, როგორ მხიარულად მუსაიფობენ ის და მოლი, როგორ იცინიან. ბავშვებთან მოლი სრულიად ძალდაუტანებლად ბავშვივით არის. ჯენეტს უყვება უაზრო ზღაპარს ცხოველებზე, რომლებმაც ხელში თეატრი ჩაიგდეს, როგორ მართავდნენ თეატრს და ვერავინ ამჩნევდა, რომ ცხოველები იყვნენ და არა ადამიანები. მისი მოთხრობა იმდენად მიტაცებს, რომ ჩავდივარ კიბის ბაქანზე, სააბაზანოს წინ, ბოლომდე რომ მოვისმინო, კიბის ერთი უჯრედით დაბლა კი ტომი დგას, ისიც უსმენს, მაგრამ უკმაყოფილო და სკეპტიკური გამომეტყველებით - ყველაზე მეტად დედა მაშინ აღიზიანებს, როცა ჯენეტს ან სხვა ბავშვებს ელაპარაკება. ჯენეტი იცინის, ხელებს იქნევს წყალში და მესმის, როგორ ხვავრიელად იღვრება წყალი აბაზანიდან იატაკზე. ახლა უკვე ჩემი გაბრაზებისა და გაღიზიანების ჯერი დგება, რადგან მე მომიწევს ამ წყლის აღება, იატაკის მოწმენდა. ჯენეტი გამოდის თეთრ ხალათსა და თეთრ პიჟამაში, თვალები უკვე ებლიტება. შევდივარ სააბაზანოში, მუხლებზე ვდგები და ვაგროვებ ტონობით წყალს, იატაკზე რომ დაიღვარა. როდესაც ჯენეტთან ვბრუნდები, უკვე ლოგინშია, გარშემო კომიქსები დაუხვავებია. შემაქვს ლანგარი, ზედ კერძია - კვერცხიანი ისპანახი

და დაბრაწულქერქიანი კრემიანი ვაშლი. ჯენეტი მთხოვს, კიდევ რამე ვუამბო. „იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა გოგონა, სახელად ჯენეტი“, - ვიწყებ მე და ისიც სიამოვნებით იღიმის. ვუყვები, როგორ წავიდა გოგონა ერთ წვიმიან დღეს სკოლაში, როგორ სწავლობდა, გაკვეთილებს ამზადებდა, სხვა ბავშვებთან თამაშობდა, როგორ ეჩხუბა მეგობარს...

- არა, დედიკო, არ მიჩხუბია. ეს გუშინ მოხდა. მე მიყვარს მერი უკუნითი უკუნისამდე.

და მე ვცვლი ჩემს ზღაპარს ისე, რომ იქ ჯენეტს მერი უკუნითი უკუნისამდე უყვარს. ჯენეტი ჭამს დაგემოვნებით, მეოცნებე გამომეტყველებით, კოვზი ყოველ ჯერზე ნელა, ნარნარად მიაქვს პირთან, ისმენს, როგორ ვუყვები მის ერთ დღეს, როგორ ვაძლევ ფორმას. ვაკვირდები და ვხედავ, როგორ აკვირდება ჯენეტს ანა. კედლის მიღმა ბავშვი ტირის. და ისევ მიჩნდება ყველაფრის უწყვეტობის შეგრძნება, მხიარული და მყუდრო ინტიმურობისა, და თხრობას ვასრულებ.

- მერე კი ჯენეტმა გემრიელად ივახშმა კვერცხიანი ისპანახით და კრემიანი ვაშლით, ბავშვმა კედელს მიღმა ცოტა წაიტირა, დამშვიდდა, დაიძინა, ჯენეტმა კბილები გაიხეხა და ისიც გაემზადა დასაძინებლად.

ლანგარს ვიღებ, ჯენეტი მეკითხება:

- კბილები აუცილებლად უნდა გავიხეხო?

- რა თქმა უნდა, მოთხრობაში ხომ ასე იყო.

ჯენეტი ნარნარი მოძრაობით უშვებს ფეხებს იატაკზე, მთვარეულივით მიდის პირსაბან ტაშტთან, კბილებს იხეხავს და ლოგინში წვება. ფარდებს ვხურავ, შუქს ვაქრობ. ჯენეტს ჩვევად აქვს, ძილის წინ ზრდასრული ადამიანივით ზურგზე წვება, თავქვეშ ხელებს იწყობს და უყურებს, როგორ ოდნავ ირხევა ფარ-

და. ისევ წვიმს, ამჯერად საკმაოდ ძლიერად. მესმის, როგორ გაჯახუნდა გასასვლელი კარი: მოლი თეატრში წავიდა. ეს ხმა ჯენეტმაც გაიგონა და მეუბნება:

- როცა გავიზრდები, მსახიობი გამოვალ.

გუშინ თქვა, მასწავლებელიო, მერე კი ნახევრად მიძინებული მთხოვს:

- იავნანა მიმღერე, - თვალს ხუჭავს და ბუტბუტებს, - დღეს მე პატარა ბავშვუნა ვარ, პატარა ბავშვუნა.

ვუმღერი და ვუმღერი, ჯენეტი კი მისმენს: აინტერესებს, იავნანის მისთვის ცნობილი ვარიანტებიდან ამჯერად რომელს შევარჩევ, რადგან მარაგში უამრავი ვარიაცია მაქვს თემაზე: „დაიძინე, პატარავ, ნახე ტკბილი სიზმრები“... ხშირად, ჯენეტის აზრით, ჩემი შერჩეული სიტყვები მის განწყობას არ შეესაბამება, მაჩუმებს და მთხოვს, სხვანაირად ვიმღერო; მაგრამ დღეს სწორად გამოვიცანი და ვუმღერი ისევ და ისევ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ჯენეტს ჩაეძინა. როცა სძინავს, ძალიან, ძალიან პატარა და დაუცველი ჩანს და ძლივს ვიხშობ მისი დაცვის, ცხოვრებაში ყველა უბედურებისგან დაფარვის მძლავრ იმპულსურ სურვილს. ამ საღამოს ეს შეგრძნება განსაკუთრებით გამიძლიერდა; თუმცა კი ვიცი, იმიტომ, რომ მენსტრუაცია მაქვს და მე თვითონ მინდა ვიღაცას ჩავეკრა და ჩავეხუტო. ოთახიდან ჩუმად გავდივარ, კარს უხმოდ ვხურავ.

ახლა კი მაიკლისთვის ვახშამი უნდა მოვამზადო. ვხსნი ქაღალდში შეხვეულ ხბოს ხორცს, დილით რომ კარგა გვარიანად დავბეგვე. ნაჭრებს სათითაოდ კვერცხის გულში, მერე კი საფანელში ვავლებ. საფანელი ჯერ კიდევ გუშინ გავამზადე, ისევ გამოსცემს სიხმელის ცინცხალ სურნელს, მიუხედავდ იმისა, რომ ჰაერი ტენიანია. სოკოს წვრილად ვჭრი და ნაღებიან ჯამში ვყრი.

მაცივარში პატარა ქვაბით ბულიონი მაქვს გადანახული, ჟელედ რომ ქცეულა, ვუცდი, სანამ გალღვება და მწვანილითა და სანელებლებით ვკაზმავ. იმ ვაშლებიდან, რომლებიც ჯენეტისთვის შევწვი, ფრთხილად ვიღებ რბილობს ჯერ კიდევ ცხელი, დამსკდარი კანიდან და ამ მასას ოდნავ ვანილშერეულ კრემს ვურევ. იმდენ ხანს ვდღვებ ამ მასას, სანამ ბლანტი არ გახდება, მერე ისევ ფრთხილად ვათავსებ ვაშლის კანში და ქურაში ვაწყობ, რომ უფრო დაიბრაწოს და ტკაცუნა ქერქი მოიგდოს. სამზარეულოს ჩემი ნახელავის არომატი ავსებს: რა გემრიელი სურნელებაა, და უეცრად ვგრძნობ, რომ საოცრად ბედნიერი ვარ, იმდენად ბედნიერი, თბილმა ჟრუანტელმაც კი დამიარა ტანში, მერე კი შიგნით ყველაფერი გაცივდა და გავიფიქრე: „ბედნიერების განცდა სიცრუეა. ესაა ბედნიერების ჩვევა, რომელიც ამის მსგავს მომენტებში ჩამომიყალიბდა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში“. და ბედნიერება ქრება, საშინლად დაღლილი ვარ. დაღლილობასთან ერთად მოდის დანაშაულის განცდა. ჩემთვის იმდენად ზედმიწევნითაა ცნობილი დანაშაულის განცდის ყველა ფორმა და სასესხვაობა, რომ ეს უკვე დამღლელია და მოსაბეზრებელიც კი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველ ჯერზე ამ გრძნობასთან ბრძოლა მიხდება. შესაძლოა, მე ჯენეტს ძალზე ცოტა დროს ვუთმობ - თუმცა, არა, სისულელეა, ის არ იქნებოდა ესოდენ ბედნიერი და უდარდელი, რაღაცას არასწორად რომ ვაკეთებდე. ჯეკი მართალია, მეტისმეტად ეგოისტი ვარ, ამას ჯობს, რამე საქმე გავაკეთო და არ ვაფათურო ხელი მუდმივად საკუთარ სინდისსა და გონებაში, - ასეა, სისულელეა, ამის არ მჯერა. მე უნდა შემეყვარებინა როზა, მაგრამ ეს მხოლოდ წმინდანს ხელეწიფება, საშინელი ქალია. მე ვცხოვრობ ფულით, რომელიც პატიოსანი შრომით არ მომიპოვებია, რადგან მხოლოდ ბედნი-

ერმა შემთხვევამ აქცია ჩემი წიგნი ბესტსელერად. სხვა ადამიანები, ვისაც ჩემზე მეტი ნიჭი აქვთ, იძულებული არიან, იტანჯონ, იწვალონ, - არა, სისულელეა, ეს ჩემი ბრალი არ არის. დღეს ბრძოლა საკუთარი თავით უკმაყოფილების სხვადასხვა ფორმასთან, რა თქმა უნდა, დამღლელია, მაგრამ ვიცი, ეს მხოლოდ ჩემი პირადი უბედურება არ არის. როდესაც ამ თემაზე ქალებს ვესაუბრები, მეუბნებიან, რომ ყველანაირი სახისა და ტიპის დანაშაულის განცდასთან უწევთ ბრძოლა და ამ გრძნობას ირაციონალურად მიიჩნევენ, როგორც წესი, ეს ეხება სამსახურს ან მათ სურვილს, თავს მეტი დრო დაუთმონ; ეს დანაშაულის განცდა ნერვიული ჩვევაა, რომელიც წარსულში ჩამომიყალიბდა ზუსტად ისევე, როგორც ბედნიერება, რამდენიმე წუთის წინ რომ ვგრძნობდი, ნერვიული ჩვევაა, იმ სიტუაციაში ჩამოყალიბებული, რომელიც აღარ არსებობს. ვიღებ ღვინოს, ცოტა რომ შეთბეს და ჩემს ოთახში გავდივარ. მიყვარს დაბალი, თეთრი ჭერის, მქრქალი კედლების ყურება, ბინდბუნდში რომ იძირება, ცეცხლის წითელი ნათებისა ბუხარში. ღრმა სავარძელში ვეშვები და ახლა დეპრესია უკვე იმდენად შემომაწვა, რომ ლამის ტირილს ვიწყებ. ვფიქრობ, ვცდილობ, თავის გამხნევებას, თავს ვიტყუებ: კერძების მომზადება მაიკლისთვის და ეს მოლოდინი - რისთვისაა ეს ყველაფერი? მას ახლა სხვა ქალი ჰყავს, რომელიც ჩემზე მეტად უყვარს. მე ეს ვიცი. დღეს ჩემთან მოვა მხოლოდ ჩვევის ან კეთილი გულის გამო. ისევ ვცდილობ მოვერიო ამ ჩემს ნაღვლიან განწყობას და ძალისძალად ვიბრუნებ საკუთარი თავის რწმენისა და ნდობის შეგრძნებას (თითქოს ჩემი თავის შიგნით სხვა ოთახში გავედი) და ვამბობ: მაიკლი მალე მოვა, ერთად ვივახშმებთ, ღვინოს დავლევთ, მომიყვება, დღეს რა გააკეთა სამსახურში, მერე სიგარეტს მოვწევთ და მომეხვევა. და

ვეტყვი, რომ დღეს მენსტრუაცია მაქვს და როგორც ყოველთვის, დამცინებს და მეტყვის: „ჩემო ძვირფასო ანა, ოღონდ არ ეცადო შენი დანაშაულის განცდის ჩემთვის აკიდებას“. მენსტრუაციის დროს თავს იმით ვიმშვიდებ ხოლმე, რომ ვიცი, ღამით მაიკლი მომესიყვარულება; ეს აქარწყლებს ჩემს პროტესტს იმ სისხლიანი ჭრილობის წინააღმდეგ, რომელიც ჩემი სხეულის სიღრმეშია და რომელიც იქ ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ იხსნება. მერე კი ერთად დაგვეძინება, მთელი ღამე.

ვხვდები, რომ საკმაოდ გვიანაა. მოლი თეატრიდან ბრუნდება. მეკითხება:

- მაიკლი მოვა დღეს?

ვპასუხობ:

- კი.

მაგრამ გამომეტყველებაზე ვატყობ, რომ ამის არ სჯერა. მეკითხება, როგორ ჩაიარა დღემ და ვეუბნები, რომ პარტიიდან გამოსვლა გადავწყვიტე. თავს მიქნევს და ამბობს, რომ შენიშნა, ადრე თუ ლამის თორმეტ სხვადასხვა კომიტეტში იყო და მუდმივად პარტიული საქმეებით გახლდათ დაკავებული, ახლა მხოლოდ ერთის წევრია და ვერაფრით აიძულებს თავს, პარტიული საქმე აკეთოს.

- ასე რომ, მგონი, ჩემი საქმეც მაგისკენ მიდის, - დაასკვნის მოლი.

მაგრამ რაც მართლა აღელვებს მას დღეს, ეს ტომია. თვალში არ მოსდის მისი ახალი გოგო (არც მე). მეუბნება:

- აი, რა მომივიდა აზრად: ყველა მისი გოგო ერთი ტიპისაა, იმ ტიპის, რომელსაც მე უბრალოდ ვერაფრით მოვეწონები და ეს წინასწარი მოცემულობაა. შემოვლენ თუ არა, ლამის გამოასხივონ ჩემით უკმაყოფილება და ასე გრძელდება უცვლელად;

ტომი კი, ნაცვლად იმისა, ეცადოს, დაგვაშორიშოროს, ეცადოს, არ შევხვდეთ ერთმანეთს, პირდაპირ შუბლით გვაჯახებს. ანუ, თავის გოგოებს იყენებს როგორც ერთგვარ ალტერ ეგოს, იმისთვის, რომ მაგრძნობინოს, რას ფიქრობს ჩემზე, მაგრამ არაფერს მეუბნება. ხომ არ ფიქრობ, რომ ეს ყველაფერი, როგორც ამბობენ, ყურითაა მოთრეული? რომ რაღაც-რაღაცები გამოვიგონე?

ასე სულაც არ ვფიქრობ, პირიქით, მგონია, რომ მართალია, მაგრამ ტყუილს ვეუბნები. ყოველთვის ვცდილობ, ტაქტიანი ვიყო, როცა საქმე ტომის ეხება, ზუსტად ისევე, როგორც მოლი ტაქტიანად გვერდს უვლის მაიკლის წასვლის თემას, - ერთმანეთს ვუფრთხილდებით. შემდეგ მეუბნება, და ეს უკვე არაერთხელ უთქვამს, რომ გული ძალიან სწყდება, ტომიმ რომ უარი თქვა არმიაში სამსახურზე, რადგან იმ ორმა წელმა, რომელიც ქვანახშირის მაღაროებში გაატარა, თითქოს გმირად აქცია თავისი მეგობრების ვიწრო წრეში და „ჩემთვის აუტანელია მისი თვითკმაყოფილი, ეგზალტირებული გამომეტყველება“. ეს მეც მაღიზიანებს, მაგრამ მეგობარს ვამშვიდებ, რომ ეს მხოლოდ ახალგაზრდობის ბრალია, ტომი გაიზრდება და გამოიცვლება.

- ამ საღამოს კი რაღაც საშინელება ვუთხარი. განვუცხადე, რომ ათასობით კაცი მთელ ცხოვრებას მაღაროებში ატარებს და სულაც არ მიაჩნიათ, რომ გმირობას სჩადიან, და ღვთის გულისათვის, ნუ გიჭირავს თავი ისე, თითქოს რაღაც განსაკუთრებული გააკეთე-მეთქი. ეს, რასაკვირველია, უსამართლობა იყო, რადგან ტომიმ სწორედაც რომ გააკეთა რაღაც მართლა განსაკუთრებული: მისი წარმომავლობისა და განათლების მქონე ბიჭი მაღაროში მუშაობდა. მართლა გაუძლო ყველაფერს, ბოლომდე აიტანა... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს!

მოლი სიგარეტს უკიდებს, მე ვუყურებ მის ხელებს, მუხლებზე რომ დაუწყვია, როგორღაც უსუსური და დათრგუნვილი ჩანს. მოგვიანებით მეტყვის:

- იცი, რა მაშინებს? ეტყობა, დავკარგე უნარი დავინახო რაღაც წმინდა იმაში, რასაც ადამიანები აკეთებენ. ხვდები, რას ვგულისხმობ? მაშინაც კი, როდესაც რაღაც კარგს აკეთებენ, მე ცინიკური ვხდები, ფსიქოლოგიურ ანალიზს ვიწყებ. განა ეს საშინელება არ არის, ანა, საშინელება?

ძალიან კარგად ვიცნობ და კარგად მესმის მისი გრძნობებისა, ამას ვეუბნები და დათრგუნვილები, მდუმარედ ვსხედვართ, ბოლოს კი მეუბნება:

- მგონი, ამას ტომი ცოლად შეირთავს, უბრალოდ წინათგრძნობა მაქვს.

- რომელიღაც მათგანი ხომ უნდა შეირთოს?

- ისიც ვიცი, რომ ეს იმ დედის ჩივილს ჰგავს, რომელსაც არ სურს, შვილმა ცოლი შეირთოს... თუმცა არც უამისობაა. მაგრამ გეფიცები: ის გოგო არავითარ შემთხვევაში არ მომეწონება. წყეული საშუალო კლასის ისეთი პირწავარდნილი სოციალისტია. იცი, პირველად როცა დავინახე, გავიფიქრე: „ღმერთო ჩემო, ეს რა პატარა საშინელი კონსერვატორია, ტომი რომ ცდილობს მომიქსიოს?“ და უცებ აღმოჩნდა, რომ სოციალისტია, იმ უნივერსიტეტელი სოციალისტებიდან, ოქსფორდიდან. იქ სოციოლოგიას სწავლობს. იცი, ადამიანს შეიძლება დაეუფლოს ისეთი განწყობა, რომ მუდმივად ჯეიმზ კეირ ჰარდის ხედავდეს, მისი აჩრდილი ელანდებოდეს. როგორ გაოგნდებოდნენ ეს ღლაპები, უცებ რომ დაინახონ, რა საშინელი შედეგი მოაქვს მათ თეორიებს. თავის ახალ მეგობარ გოგოსთან ერთად ტომის ბევრი საოცარი აღმოჩენა მოელის. იცი, როდესაც სხედან და

მსჯელობენ იმაზე, რომ უნდა აიძულონ ლეიბორისტები, შეასრულონ წინასაარჩევნო დაპირებები, ლამის თვალნათლივ ვხედავ, როგორ მატერიალიზდება ჰაერში მათ გარშემო სადაზღვევო პოლისები და სადეპოზიტო ანგარიშები. იცი, გუშინ რა უთხრა ტომის, უკვე დროა, სიბერეზე იზრუნო, პრაქტიკული ზომები მიიღოო. შეიძლება ამას შეეკამათოს კაცი?

გვეცინება, მაგრამ გულზე არ გვეშვება. მოლი მიდის, „ღამე მშვიდობისას“ მისურვებს. ამ სიტყვებს ნაზად წარმოთქვამს (ზუსტად ისე, როგორც მე ვუსურვე ღამე მშვიდობისა ჯენეტს) და მე ვიცი, იმიტომ, რომ ძალზე წუხს ჩემ გამო, განიცდის, მაიკლი რომ არ მოვა. უკვე თერთმეტია; ვიცი, არ მოვა. რეკავს ტელეფონი, ეს მაიკლია.

- ანა, მაპატიე, დღეს მართლა ვერ ვახერხებ შენთან მოსვლას.

ვეუბნები, რომ არა უშავს. აგრძელებს:

- ხვალ დაგირეკავ, ან ამ დღეებში. ღამე მშვიდობისა, ანა.

და ენის ბორძიკით ამატებს:

- მაპატიე, თუკი ჩემთვის რაღაც საგანგებოდ მოამზადე.

ეს „თუკი“ უეცრად მაცოფებს. მერე მიკვირს, რომ ასეთმა წვრილმანმა ასე დამაკარგვინა მოთმინება და მეცინება. ჩემი სიცილი ესმის და ამბობს:

- ჰო რა, ანა, ჰო, რასაკვირველია...

ამით უნდა მითხრას, რომ უგულო ვარ და არ მიყვარს ის, მაგრამ უცებ ეს ყველაფერი ჩემთვის სრულიად აუტანელი ხდება და ვაცხადებ:

- ღამე მშვიდობისა, მაიკლ, - და ყურმილს ვუკიდებ.

ქურიდან აკურატულად გადმომაქვს ყველაფერი, რისი შენახვაც შეიძლება, დანარჩენი გადასაყრელია. თითქმის ყველაფე-

რი. ვჯდები და ვფიქრობ: „აი, თუ ხვალ დამირეკავს“... თუმცა კი ვიცი, რომ ეს არ მოხდება. ვაცნობიერებ, ბოლოს და ბოლოს ვაცნობიერებ, რომ ყველაფერი მორჩა. მივდივარ, ვამოწმებ, სძინავს თუ არა ჯენეტს - ვიცი, რომ სძინავს, მაგრამ უნდა დავრწმუნდე. მერე ვხვდები, რომ ქაოსის საზარელი, ავი ქარბორბალა უკვე ძალიან ახლოსაა, მართალია, ჯერ ჩემ გარეთ, მაგრამ მხოლოდ მომენტს ელოდება, რომ ჩემში შემოაღწიოს. სასწრაფოდ უნდა დავიძინო, სანამ ამ ქაოსად არ გადავიქეცი. უბედურების შეგრძნებისა და დაღლილობისგან მაცახცახებს. მაღალ ჭიქას ღვინით პირთამდე ვავსებ და ვსვამ, ერთიანად. მერე ლოგინში ვწვები. დალეულისგან თავი მიბჟუის. „ხვალ, - ვფიქრობ, - ხვალ პასუხისმგებლობით აღვივსები, მომავალს თვალებში გაბედულად შევხედავ, საკუთარ თავს აღარ შევიცოდებ, უბედურად თავს აღარ ვიგრძნობ“. მერე ვიძინებ, მაგრამ მანამ, სანამ ჩაძინებას მოვასწრებდე, მესმის, რომ ვტირი, ვტირი ძილში - ამჯერად მხოლოდ ტკივილს ვგრძნობ, არავითარი სიტკბოება.

ეს ყველაფერი გადახაზული იყო - გაუქმებული, ქვეშ კი სასხვათაშორისოდ მიწერილი: „არა, არ გამოვიდა. როგორც ყოველთვის, ჩავფლავდი“. უფრო ქვემოთ კი ტექსტი, - ხელწერა ამჯერად სხვანაირი, უფრო აკურატული, უფრო მოწესრიგებული, ვიდრე წინა გრძელი ჩანაწერისა, სადაც სიტყვები ღვარად მოედინებოდა, ერთმანეთს ეხლებოდა და ძალზე არეული ჩანდა.

15 სექტემბერი, 1954

ჩვეულებრივი დღე. ჯეკსა და ჯონ ბათთან სამუშაო დისკუსიის დროს გადავწყვიტე, გავიდე პარტიიდან. ახლა სიფრთხილე მმართებს, უნდა ვეცადო, არ შევიძულო პარტია ისე, როგორც შევიძულებთ ხოლმე ცხოვრების იმ ფაზას, რომელიც გადავლა-

ხეთ. უკვე შესამჩნევია პირველი სიმპტომები; სრულიად ირაციონალური მომენტები, როცა ჯეკი აღარ მომწონდა, მაღიზიანებდა. ჯენეტი, როგორც ყოველთვის, უპრობლემოა. მოლი ნერვიულობს და არცთუ უსაფუძვლოდ, ტომის გამო. წინათგრძნობა აქვს, რომ თავის ახალ გოგოს ცოლად შეირთავს. მისი წინათგრძნობები კი, როგორც წესი, მართლდება ხოლმე. მე გავაცნობიერე ის ფაქტი, რომ მაიკლმა გადაწყვიტა, მიმატოვოს. ძალა უნდა მოვიკრიბო.

თავისუფალი ქალები

3

ტომი ეჩვევა, რომ დაბრმავდა. ამ დროს უფროსები ცდილობენ, დაეხმარონ.

ერთი კვირის განმავლობაში ტომი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო. ამ კვირის ბოლო იმით აღინიშნა, რომ მოლიმ სწორედ ეს სიტყვები იხმარა. მის ხმაში წინანდელი ძალისა და თავდაჯერების ნატამალიც კი აღარ დარჩა.

- განა საოცარი არაა, ანა? სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო, მაგრამ იცოცხლებს. სხვა შედეგი თითქოს არც შეიძლებოდა მიგვეღო. არადა, რომ მომკვდარიყო, ალბათ, მაშინაც ვიტყოდით, ეს გარდაუვალი იყოო.

ერთი კვირის განმავლობაში ეს ორი ქალი საავადმყოფოში მის სარეცელთან ათენებდა და აღამებდა, ან მეზობელ პალატაში იცდიდა, სანამ ექიმები თათბირობდნენ, დასკვნები გამოჰქონდათ და წყვეტდნენ, რა ზომები მიეღოთ; მერე შინ, ანასთან ბრუნდებოდნენ, ცოტა ხანი მაინც რომ გაეტარებინათ ჯენეტთან; კითხულობდნენ თანაგრძნობის გამომხატველ წერილებს და იღებდნენ ნაცნობებს, რომლებიც მოდიოდნენ, როგორმე რომ ენუგეშებინათ; და ასევე, ცდილობდნენ, თავიანთ თავში ეპოვათ ძალა, როგორმე გაეგრძელებინათ ურთიერთობა რიჩარდთან,

რომელიც მომხდარში მათ ადანაშაულებდა. ერთი კვირის განმავლობაში, როცა დრო გაჩერდა და გრძნობებიც დაიხშო (ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რატომ ვერ ვგრძნობთ ვერაფერს, გარდა გაოგნებისა და დაძაბულობისაო, თუმცა, ტრადიცია, რასაკვირველია, ასეთ რეაქციას უშვებს და ამართლებს), ლაპარაკობდნენ, თუმცა კი მოკლედ და, ასე ვთქვათ, სქემატურად, რადგან თემები, რასაც ეხებოდნენ, მშვენივრად იყო მათთვის ცნობილი: როგორ უვლიდა მოლი ტომის, როგორი ურთიერთობა ჰქონდა ანას ტომისთან; ცდილობდნენ, მოეძებნათ ის მომენტი თუ მოვლენა, როდესაც მათ საბოლოოდ განიცადეს მარცხი და ვერ მისცეს ტომის ის, რაც სჭირდებოდა. იყო თუ არა ყველაფრის მიზეზი ის, რომ მოლიმ ერთი წლით დატოვა? არა, მას კვლავაც მიაჩნდა და გრძნობდა, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო. ან იყო თუ არა მიზეზი ის, რომ მათი საკუთარი ცხოვრება ესოდენ ჩამოუყალიბებელი გახლდათ? მაგრამ განა შეეძლოთ სხვანაირები ყოფილიყვნენ? ეს იმიტომ მოხდა, რომ ანამ რაღაც ისე არ თქვა, ან არ თქვა ის, რაც უნდა ეთქვა, როდესაც ტომიმ ბოლოს მოინახულა? შესაძლოა, მაგრამ ისინი გრძნობდნენ, რომ საქმე ამაში არ იყო; ან კი საიდან უნდა სცოდნოდათ? ამ კატასტროფას რიჩარდს არ აბრალებდნენ, მაგრამ როდესაც მათ დადანაშაულებას დაიწყებდა, ეუბნებოდნენ:

- მოიცა, რიჩარდ, აზრი არა აქვს ერთმანეთის შეურაცხყოფას. საქმე ის არის, რით შეგვიძლია ახლა დავეხმაროთ?

ტომის მხედველობის ნერვი დაუზიანდა; ტომი მთელი ცხოვრება უსინათლო დარჩება. ტვინი დაზიანებული არაა, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი მალე უნდა აღდგეს.

ექიმებმა თქვეს, რომ ტომის საფრთხე აღარ ემუქრება. დრო ისევ შემოვიდა მათ ცხოვრებაში და მოლი ერთიანად მოდუნდა,

საათობით ტიროდა, უსასოოდ და უხმოდ. ანა მთლიანად დაკავებული იყო მასა და ჯენეტზე ზრუნვით, რომელიც უნდა დაეცვა იმის გაცნობიერებისგან, რომ ტომიმ თავის მოკვლა სცადა. მათ იხმარეს გამოთქმა „უბედური შემთხვევა“, თუმცა, ეს სისულელე გამოვიდა, რადგან ახლა ბავშვის თვალებში შიშს ხედავდნენ, ჯენეტს ეშინოდა, რომ საყოფაცხოვრებო საგნებსა და საზოგადოდ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისეთი შემთხვევის ალბათობა იმალება, რაც საავადმყოფოში ზურგზე უძრავად წოლასა და სრულ სიბრმავეს იწვევს. და ანამ შეცვალა ფორმულირება, უთხრა, რომ ტომი თავის რევოლვერს წმენდდა, გაუვარდა და შემთხვევით თავი დაიჭრა. მაშინ ჯენეტმა შენიშნა, რომ მათ არა აქვთ შინ რევოლვერი; და ანამაც დაუდასტურა, - არა აქვთ და არც არასოდეს ექნებათ; ამის მერე ჯენეტი შიშისგან გათავისუფლდა, დამშვიდდა.

ტომი კი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში საავადმყოფოს ზეწრებში გახვეულ, უტყვ სხეულად რჩებოდა, ნახევრად ჩაბნელებულ პალატაში რომ იწვა, ტომი, რომელსაც თავს დაჰფოფინებდნენ, უეცრად გაცოცხლდა, ამოძრავდა და ამეტყველდა. და ადამიანთა ამ ჯგუფმა - მოლიმ, ანამ, რიჩარდმა, მარიონმა - ადამიანებმა, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მის გვერდით იდგნენ და ელოდნენ, მის გვერდით ისხდნენ და ელოდნენ, უძილობისგან იტანჯებოდნენ ამ უდროო ერთი კვირის განმავლობაში - თავიანთ გონებაში უეცრად გააცნობიერეს, რა შორს წასვლის უფლება მისცეს ბიჭს. ტომი თითქოს გასხლტა სადღაც სიკვდილში, გაეცალა მათ. მერე კი უეცრად ალაპარაკდა და ეს მათთვის შოკის მომგვრელი გამოდგა. და რადგან ეს მისი თვისება, ლამის მათი დამადანაშაულებელი სიჯიუტე, რომელიც აიძულებდა, ტყვია დაეხალა თავისი თავისთვის, მეხ-

სიერებიდან ამოიშალეს, მასზე ფიქრი თავიდან მოიშორეს, ბიჭ-ში ხედავდნენ მხოლოდ მსხვერპლს, რომელიც საფენებსა და თეთრ ზეწრებში გახვეული იწვა. მისი პირველი სიტყვები - თან, ყველანი იქ იყვნენ, ყველამ გაიგო, - ასე ჟღერდა:

- აქ ხართ ყველანი, არა? აი, რა, მე თქვენ ვერ გხედავთ.

იმან, თუ როგორ წარმოთქვა ეს სიტყვები, ყველა გააოგნა. ტომიმ კი განაგრძო:

- მე მართლა დავბრმავდი, ასეა, არა?

და იმან, თუ როგორ გაიჟღერა ნათქვამმა, წაართვა მათ საშუალება, როგორმე შეერბილებინათ სიტუაცია, არადა, სწორედ ასეთი იყო მათი პირველი იმპულსი ბიჭის გაცოცხლებისა. ერთი წამის მერე მოლიმ შვილს სიმართლე უთხრა. ოთხნი იდგნენ მის საწოლთან, დაჰყურებდნენ მის მჭიდროდ გადახვეულ თავს, ვეღარაფერს და ვერავის რომ ვერ ხედავდა, და სუნთქვა ეკვროდათ სიბრალულისა და ძრწოლისაგან, როცა წარმოიდგენდნენ, თუ როგორი მარტოსული იყო ბიჭი და როგორ ვაჟკაცურად იბრძოდა იმწამს. მაგრამ ტომი დუმდა. ჩუმად და უძრავად იწვა. მოუხეშავი ხელები, მამისგან რომ ერგო, სხეულის გასწვრივ უძრავად ეწყო. მერე ხელები ასწია, უხერხული მოძრაობით შეატყუპა და გულზე დაიდო, ასე გამოხატა მზაობა, გაეძლო ყველაფრისთვის, რაც წილად ხვდა. თუმცა, ამ მოძრაობაში იყო რაღაც, რამაც აიძულა ანა და მოლი, ერთმანეთისთვის შეეხედათ, მზერა გაეცვალათ, რომელშიც მხოლოდ სიბრალული არ ყოფილა. მათ მზერაში შეძრწუნება იკითხებოდა, თითქოს ერთმანეთს კი არ გადახედეს, არამედ თავი დაუქნიეს. რიჩარდმა შენიშნა, როგორ გაუზიარეს ქალებმა ერთმანეთს ეს გრძნობა და ლამის კბილები ააღრჭიალა ბრაზისგან. ჩხუბისა და კამათისთვის ადგილი სრულიად შეუფერებელი გახლდათ, მაგრამ გარეთ გავიდნენ თუ

არა, ალაპარაკდა. საავადმყოფოდან გამოსულები ერთხანს ერთად მიდიოდნენ, მხოლოდ მარიონი ჩამორჩა ოდნავ - იმდენად შოკირებული იყო იმით, რაც ტომის შეემთხვა, რომ სმა შეწყვიტა, მაგრამ, ეტყობა, ჯერაც თავის სამყაროში გახლდათ ჩარჩენილი, სადაც ყველაფერი შენელებული ტემპით ხდებოდა. რიჩარდი გააფთრებით ეცა მოლის, თანაც დროდადრო ანას ბოროტ, გესლიან მზერას ესროდა, რითიც აჩვენებდა, რომ ერთდროულად ორივეს მიმართავდა:

- ეს რა სისაძაგლე გააკეთე? უმსგავსოდ, უსასიზღრესად მოიქეცი, ხომ ასეა?

- რაო? - იკითხა მოლიმ, ანას ხელი ჰქონდა მის მხარზე მოხვეული და ქვემოდან ახედა. ახლა, როცა საავადმყოფოდან გამოვიდნენ, მოლის ერთიანად აცახცახებდა შეკავებული ქვითინისგან.

- როცა ასე იოლად უთხარი, რომ სამუდამოდ დაბრმავდა. როგორ გააკეთე ეს?! როგორ?!

- ტომიმ იცოდა, - უპასუხა ანამ, რადგან მოლი იმდენად იყო შეძრული, ლაპარაკის უნარი დაკარგა და რადგან მიხვდა, რომ რიჩარდი სინამდვილეში სულ სხვა რაღაცას სდებდა ბრალად.

- იცოდა, იცოდა, - სისინით გაიმეორა რიჩარდმა, - ეს-ესაა გონს მოვიდა, შენ კი ეგრევე ეუბნები, რომ სამუდამოდ დაბრმავდა.

ანამ მის გრძნობებს კი არა, მის სიტყვებს უპასუხა:

- ეს უნდა სცოდნოდა.

მოლიმ ანას ეს ისე უთხრა, რომ რიჩარდს სულ არ მიაქცია ყურადღება, დიალოგი განაგრძო, რომელიც იმწამს დაიწყო, როცა ტომის სარეცელთან ერთმანეთს გადახედეს მდუმარედ,

თავიანთი შიშებისა და მოლოდინის დამადასტურებელი მზერით:

- ანა, მგონი, უფრო ადრე მოვიდა გონს, უკვე ჰქონდა ცნობიერება, ოღონდ არ ვიცი, რამდენი ხანი. ელოდებოდა, სანამ ყველანი შევიკრიბებოდით - თითქოს ეს ყველაფერი კიდეც ახალისებს. განა ეს არაა საზარელი, ანა?

და ისტერიულად აქვითინდა, ანამ კი შენიშნა:

- საკუთარი ემოცია მოლის თავზე არ უნდა დავატეხოთ.

რიჩარდმა, რომელსაც ზიზღისგან აძაგძაგებდა, გაუგებარი, გაცოფებული ღმუილი ამოუშვა, ქუსლებზე შებრუნდა და მარიონისკენ სირბილით წავიდა. რომელიც მათ თითქოსდა ძილ--ბურანში მისდევდა, ცოლს ხელი სტაცა და წაათრია საავადმყოფოს ხასხასა გაზონზე, რომელიც სიმეტრიულად იყო დაყოფილი ფერადოვანი, ხასხასა ყვავილნარით. მანქანაში ჩახტა და გააქროლა. მოლისკენ ერთხელაც აღარ მოუხედავს, მიატოვა. ახლა ქალებს ტაქსი უნდა ეძებნათ და შინ დამოუკიდებლად მისულიყვნენ.

ტომის არც ერთხელ, არც ერთი წამით არ დაუკარგავს თვითკონტროლი, არ ჩავარდნილა ისტერიკაში. მცირედი ნიშანიც კი არ ჩანდა იმისა, რომ თავს დამტყდარი უბედურების გამო იტანჯებოდა ან თავი ეცოდებოდა. პირველივე წუთიდან, პირველივე წარმოთქმული სიტყვებიდან მოყოლებული, მშვიდი და მომთმენი გახლდათ, თავაზიანი მზაობით ემორჩილებოდა ექიმებისა და ექთანების მოთხოვნებს, თანამშრომლობდა მათთან და მოლისა და რიჩარდთანაც კი, საღად მსჯელობდა თავის გეგმებზე. იგი, როგორც წამდაუწუმ იმეორებდნენ ექთანები ერთგვარი მშფოთვარე უხერხულობით, რომელსაც მოლი და ანა მშვენივრად აცნობიერებდნენ, „სანიმუშო პაციენტი“ იყო. არასოდეს, - ამტკი-

ცებდნენ ისინი და განუწყვეტლივ იმეორებდნენ, - არ უნახავთ კაცი, არათუ ოცი წლის ჭაბუკი, რომელსაც ესოდენ საშინელი ხვედრის პირისპირ ასე ღირსეულად დაეჭირა თავი.

ტომის შესთავაზეს, ერთხანს სხვა საავადმყოფოში ყოფილიყო, სადაც დაბრმავებულებს აუცილებელ ჩვევებს ასწავლიდნენ, მაგრამ ტომიმ დაჟინებით მოითხოვა, დაუყოვნებლივ შინ წაეყვანათ. დროს უქმად არ კარგავდა და საავადმყოფოში გატარებული რამდენიმე კვირის განმავლობაში ძალზე ბევრი რამ ისწავლა, - უკვე შეეძლო დამოუკიდებლად ჭამა და დაბანა, საკუთარი თავის მოვლა, პალატაში ნელ-ნელა სიარული. ანა და მოლი ხშირად ისხდნენ და თვალს ადევნებდნენ: კვლავაც ნორმალური იყო, ისეთივე, როგორიც ადრე, თუ არ ჩავთვლით შავ ქსოვილს უსინათლო თვალებზე, დადიოდა ჯიუტად, მოთმინებით, საწოლიდან სკამისკენ, სკამიდან კედლისკენ, ტუჩებმოკუმული; მის ყოველ, ყველაზე მცირე მოძრაობაშიც კი ნებელობითი ძალისხმევა ჩანდა. „არა, გმადლობთ, დაო, მე თვითონ მოვახერხებ“. „არა, დედა, გმადლობთ, ნუ მეხმარები“. „არა, ანა, არ მჭირდება დახმარება“. და მართლაც, დახმარება არ სჭირდებოდა.

გადაწყდა, მოლის სასადილო ტომის ოთახად გადაეკეთებინათ - ამ შემთხვევაში, დაიკლებდა საფეხურების რაოდენობა, რომელთა გავლა მოუწევდა თავის ოთახამდე მისასვლელად. ტომის ამზადებდნენ იმისთვის, რომ ეს მცირედი ცვლილებები მიეღო, თუმცა, ჯიუტად იმეორებდა, ჩემი და ყველას ცხოვრება ძველებურად უნდა გაგრძელდესო.

- დედა, არაფრის შეცვლა არ არის საჭირო, მინდა, ყველაფერი ძველებურად იყოს.

ხმა ისეთივე გაუხდა, როგორიც წინათ: ისტერიული ნოტები, უწყვეტი ქირქილი და სიმჭახე, რომელიც იმ საღამოს ჰქონდა, როდესაც მოლიმ და ანამ უკანასკნელად მოინახულეს, სრულიად გაქრა. მისი მეტყველება, ისევე როგორც მოძრაობა, იყო აუჩქარებელი, ხმა - ღრმა, თავდაჭერილი, ყოველი სიტყვა - მეთოდური გონების კონტროლქვეშ. თუმცა, როდესაც თქვა, „არაფრის შეცვლა არაა საჭირო“, ქალებმა ერთმანეთს გადახედეს, ახლა მათ ეს მშვიდად შეეძლოთ გაეკეთებინათ, რადგან ტომი მათ ვეღარ ხედავდა (არადა, ვერ გათავისუფლებულიყვნენ შეგრძნებისგან, რომ მაინც ყველაფერს ხვდებოდა) და ორივემ ერთნაირი რაღაც განიცადა: პანიკაში გარდამავალი დამთრგუნველი შეშფოთება, რადგან ტომი ისე ლაპარაკობდა, თითქოს სულ არაფერი შეცვლილიყოს, თითქოს შემთხვევით დაბრმავდა და თუკი დედამისი ამის გამო იტანჯებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ცხოვრებას უმსუბუქებდა, მიაჩნდა, რომ ასეა მიღებული ან უბრალოდ, მოსწონდა ფორიაქი, წუწუნი, უმიზეზოდ პრობლემების გამოგონება, როგორც სჩვევიათ იმ ქალებს, რომელთაც სახლში არეულ-დარეულობა ან ქმრის მავნე ჩვევები აღიზიანებთ. ტომი შემწყნარებლობას იჩენდა, თითქოს მათ ხელს უწყობდა კიდეც, მსგავსად იმისა, კაცი რომ ხელს უწყობს ქალს, რომელსაც ჭირვეული ხასიათი აქვს. ორივენი თვალს ადევნებდნენ მას, შეძრულები, ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე, მერე კი თვალს აშორებდნენ, რადგან ვერ თავისუფლდებოდნენ შეგრძნებისგან, რომ ტომი, მართალია, ვერაფერს ხედავს, მაგრამ ყველაფერს ხვდება, მათი უტყვი პანიკის ნიშნებს ჰაერში იჭერს; სრულიად უძლურნი უყურებდნენ, თუ როგორ ჯიუტად და, ეტყობა, მშვიდად და სავსებით უმტკივნეულოდ

იწყებდა გაშინაურებას იმ ბნელ სამყაროში, სადაც უკანასკნელ დღემდე მოუწევდა ყოფნა.

ფანჯრის რაფები ზედ დაგებული თეთრი ბალიშებით, ფანჯრის რაფები, რომლებზეც მოლის და ანას უყვარდათ ჯდომა და მასლაათი, მათ ზურგს უკან ყვავილების ქოთნებით, როცა გარეთ წვიმდა ან როცა მრუმე შუქი თეთრად შეღებილ ფანჯრებს სწვდებოდა, - აი, ერთადერთი, რაც ოთახში წინანდელი მოწყობისგან შემორჩა. ახლა იქ იდგა ვიწრო და უზადოდ გასწორებული საწოლი, მაგიდა, მის წინ უბრალო, ხმელი სკამი და რამდენიმე მოხერხებულად დადგმული თარო. ტომი ბრაილის შრიფტს სწავლობდა. ასევე, ხელახლა სწავლობდა წერას, დამოუკიდებლად, ნიმუშების რვეულისა და სახაზავის მეშვეობით. ხელწერა ძალზე შეეცვალა: ასოები დიდი, კვადრატული და მკაფიო, თითქოსდა ბავშვური გაუხდა. როდესაც მოლი მისი ოთახის კარზე დააკაკუნებდა ხოლმე, შავი ქსოვილით თვალახვეული ტომი ბრაილის წიგნსა თუ რვეულს მოსწყდებოდა, თავს მაღლა ასწევდა და ამბობდა: „შეიძლება“, ისე, როგორც იტყოდა სამსახურში მყოფი კაცი, რომელიც ოფისში მაგიდასთან ზის და მზადაა, ახალმოსული თავაზიანად მიიღოს.

მოლიმ თავიდან უარი თქვა ახალ როლზე, ტომის მოვლის საშუალება რომ ჰქონოდა, მაგრამ შემდგომ სამსახურს დაუბრუნდა და ისევ დაიწყო სცენაზე გამოსვლა. ანა აღარ შედიოდა ტომისთან საღამოობით, როცა მოლი თეატრში იყო, რადგან ტომიმ უთხრა:

- ანა, მე ვაფასებ, რომ მოდიხარ ჩემთან, რომ გეცოდები, მაგრამ მარტო მოწყენილი სულაც არა ვარ. მომწონს მარტო ყოფნა.

ისე თქვა, როგორც იტყოდა ნებისმიერი ადამიანი, ვისაც მარტო ყოფნა სიამოვნებს. და ანა, რომელიც ცდილობდა, აღედგინა ის სიახლოვე, რაც მასა და ტომის შორის იყო თვითმკვლელობის მცდელობამდე, ვერაფერი გააწყო (ეჩვენებოდა, რომ თითქოს მის წინ ვიღაც უცხო იყო, კაცი, რომელსაც ადრე არ იცნობდა), სიტყვაზე ენდო და მასთან ვიზიტები შეწყვიტა. ანა თავს იმტვრევდა, მაგრამ ვერაფრით მოიფიქრა, რაზე შეიძლებოდა დალაპარაკებოდა ტომის, რა შეიძლებოდა, ეთქვა. და კიდევ, როდესაც ერთი-ერთზე ხვდებოდნენ, ანას დროდადრო პანიკური შიში ეძალებოდა, თუმცა, მის გამომწვევ მიზეზს ვერ ხვდებოდა.

ახლა მოლი ანას უკვე სახლიდან კი აღარ ურეკავდა, რადგან ტელეფონი ტომის ოთახის კართან ეკიდა, არამედ ქუჩიდან ან თეატრიდან.

- როგორაა ტომი? - ეკითხებოდა ანა.

და მოლი პასუხობდა მისთვის ჩვეული მაღალი ხმით, კვლავ რომ ემორჩილება პატრონს, თუმცა, მის საუბარში ეჭვის, ტკივილის ინტონაცია ისმოდა, რომელიც არ უნდოდა, სხვას შეემჩნია.

- ანა, ეს ყველაფერი იმდენად საოცარია, რომ არ ვიცი, რა გავაკეთო, არ ვიცი, რა გითხრა. ოთახიდან არ გამოდის, ზის, მუშაობს, მუდმივად მშვიდია, ხმას არ იღებს; როდესაც ვგრძნობ ხოლმე, რომ ამის ატანა აღარ შემიძლია, შევდივარ მასთან და ის კი მშვიდად მეკითხება: „ჰო, დედა, რით შემიძლია დაგეხმარო?“

- კი, ვიცი, ვიცი.

- მაშინ მე, რასაკვირველია, რაღაც სისულელეს ვეუბნები, მაგალითად: „ვიფიქრე, ჩაი ხომ არ უნდა-მეთქი?“ ჩვეულებრივ, მპასუხობს, რომ არა, არ უნდა, ძალზე თავაზიანად, ცხადია, და

ოთახიდან გამოვდივარ. ახლა კი იმას სწავლობს, როგორ მოიმზადოს თავისთვის ჩაი და ყავა. და საჭმლის კეთებაც კი დაიწყო.

- დამოუკიდებლად იღებს ჩაიდანს, ქვაბებსა და ყველაფერს?

- კი. პირდაპირ გაოგნებული ვარ. იძულებული ვხდები, სამზარეულოდან გამოვიდე, ის მშვენივრად ხვდება, რასაც ვგრძნობ ამ დროს და მეუბნება: „დედა, ნუ გეშინია, თავს არ დავიწვავ“.

- ჰოო, მოლი, არც კი ვიცი, რა გითხრა.

(ამ დროს ორივენი დადუმდებოდნენ, რადგან იყო რაღაც, რის ხსენებასაც ორივე უფრთხოდა.)

მერე კი მოლი აგრძელებდა:

- ჩემთან კი ვიღაცები მოდიან და ყველა ისეთი კეთილია და მოსიყვარულე, ხომ გესმის?

- კი, მშვენივრად მესმის.

- „თქვენი საწყალი შვილი, უბედური ტომი“... ყოველთვის ვხვდებოდი, რა ჯუნგლებში გვიწევდა ცხოვრება, მაგრამ ახლა ამას განსაკუთრებულად ცხადად ვხედავ.

ანა ამას მართლა მშვენივრად ხვდებოდა, რადგან მათი საერთო ნაცნობები მას რეპლიკების სამიზნედ იყენებდნენ, რომლებიც ზედაპირულად კეთილმოსურნე იყო, მაგრამ სიღრმისეულად - ღვარძლიანი. იმ რეპლიკებისა, რომელთა სამიზნე, სინამდვილეში, მოლი გახლდათ. „რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხაროა, მოლი ერთი წლით რომ წავიდა სამოგზაუროდ და ბიჭი მარტო დატოვა“, - „არა მგონია, ეს ერთმანეთთან კავშირში იყოს. თანაც, სანამ წავიდოდა, ყველაფერი გულდასმით აწონ--დაწონა და გაიაზრა“. ანდა: „ისინი ხომ გაშორდნენ ერთმანეთს, ოჯახი დაინგრა, ამან ტომიზე, ეტყობა, გაცილებით უფრო მძიმედ იმოქმედა, ვიდრე ჩვენ შეგვეძლო წარმოგვედგინა“. „აჰ, კი,

რასაკვირველია, - პასუხობდა ანა ღიმილით, - აი, მეც იგივე მომივიდა. ჩემი ოჯახიც დაინგრა. ვიმედოვნებ, ჯენეტი იმავეს არ ჩაიდენს“. და მაინც, სანამ ანა მოლის და თავის თავსაც იცავდა, რჩებოდა რაღაც გამოუთქმელი, მათი პანიკის მიზეზი, ისეთი რამ, რომლის თქმისა ორივეს ეშინოდა.

ეს თუნდაც იმით გამოიხატა, რომ ნახევარი წელიც კი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ანა მოლისთან რეკავდა უბრალოდ სამასლაათოდ, სთხოვდა, რაღაც გადაეცა ტომისთვის; ხშირად შეირბენდა მოლისთან და ტომისთანაც შედიოდა სამუსაიფოდ, დადიოდა მოლის წვეულებებზე, სადაც ტომიც იყო ხოლმე; მონაწილეობდა მოლის ცხოვრებაში, მათ შორის, მის პირად ცხოვრებაში, ყველაფერი იცოდა მამაკაცებთან მისი ურთიერთობების შესახებ, გათხოვების მოთხოვნილებასა და იმ მარცხზე, რომელსაც ამ მხრივ განიცდიდა - და, აი, ახლა, ეს გრძელი, სიახლოვის თანდათანობით მზარდი, ერთი წლის ხანგრძლივობის გზა გადაიხაზა, მოისპო. ახლა ანა მოლის მხოლოდ პრაქტიკული საკითხების გამო ურეკავდა, რადგან ტელეფონი ტომის ოთახთან ასე ახლოს რომც არ ყოფილყო, მან როგორღაც განივითარა უნარი, ინტუიციით მიმხვდარიყო, რას ლაპარაკობენ ადამიანები. ამას რაღაც ახალი, მეექვსე გრძნობით იგებდა. მაგალითად, ერთხელ დარეკა რიჩარდმა, რომელიც კვალავაც აგრესიულად ადანაშაულებდა მათ ყველაფერში და უთხრა:

- მიპასუხე მხოლოდ „ჰო“ ან „არა“, მეტი არაფერი მინდა შენგან: მინდა ტომი დასასვენებლად გავუშვა ბრმების პროფესიონალ მომვლელთან ერთად. დათანხმდება?

მოლიმ სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რომ ტომიმ გამოსძახა თავისი ოთახიდან:

- უთხარი მამაჩემს, რომ კარგად ვარ. ჩემ მაგივრად მადლობა გადაეცი და უთხარი, რომ ხვალ დავურეკავ.

ანა მოლის მოსანახულებლად ვეღარ მიდიოდა ადვილად და მარტივად, ვეღარ რჩებოდა მასთან საღამოობით, ერთი წუთით, როცა მის სახლს ჩაუვლიდა. ახლა წინასწარ, ტელეფონით აფრთხილებდა ვიზიტის შესახებ, როცა მივიდოდა, კარზე რეკავდა და ესმოდა, როგორ ვიბრირებდა ზარის ხმა ზედა სართულზე; თანაც დარწმუნებული იყო, რომ ტომიმ უკვე იცოდა, ვინ ეწვიათ. იღებოდა კარი, ზღურბლზე იდგა მოლი გამგებიანი, ტკივილიანი და თუმცა კი ხელოვნური, მაგრამ მაინც მხიარული ღიმილით. ეგრევე სამზარეულოში გადიოდნენ, ლაპარაკობდნენ რაღაც განყენებულზე, მაგრამ არც ერთი წამით არ ავიწყდებოდათ, რომ ტომი იქვე, კედლის მიღმა იყო. ჩაის ან ყავას იმზადებდნენ და ტომისაც სთავაზობდნენ. ყოველთვის უარს ეუბნებოდა. მერე ქალები ადიოდნენ ოთახში, ადრე მოლის საძინებელში, ახლა კი ერთდროულად საძინებელსა და სასტუმრო ოთახში. ისხდნენ და თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ მუდმივად ფიქრობდნენ ხეიბარ ბიჭზე, რომელიც ქვედა სართულზე, მათ ქვემოთ იყო და რომელიც ახლა სახლის ცენტრად იქცა, მასში ბატონობდა, ნებისმიერ წამს უწყოდა, იქ რა ხდებოდა. უსინათლო, მაგრამ ყოვლისმცოდნე და ყველგანმყოფი. თავიდან მოლი, ჩვეულებისამებრ, მასლაათს იწყებდა, ანას თეატრალური სამყაროს ახალ ამბებსა და ჭორებს უზიარებდა. მერე უცებ ჩუმდებოდა, სახე მშფოთვარედ ემანჭებოდა, თვალები უწითლდებოდა მუდმივად შეკავებული ცრემლებისაგან. ახლა მას ასეთი „მიდრეკილება“ გაუჩნდა: უეცრად და ყოველგვარი გამაფრთხილებელი ნიშნების გარეშე აქვითინდებოდა - შუა სიტყვაზე, შუა ფრაზაში, - ატირდებოდა უმწეოდ და ისტერიკულად. მისი ცხოვრება

მთლიანად შეიცვალა. დადიოდა თეატრში სამუშაოდ, დადიოდა მაღაზიაში საყიდლებზე და ბრუნდებოდა შინ, მარტოდმარტო იჯდა სამზარეულოში ან თავის საძილე-სასტუმროში.

- შენ რა, ვერავის ხედავ? - ჰკითხა ანამ.

- ტომიმაც მკითხა ეს. გასულ კვირას მითხრა: „დედა, არ მინდა ჩემ გამო შეწყვიტო ადამიანებთან ურთიერთობა. მეგობრები რატომ არ მოგყავს?“ და გადავწყვიტე, მისთვის დამეჯერებინა. და, აი, დავპატიჟე ის პროდიუსერი, რომელსაც მოვწონდი, ჩემი ცოლად შერთვა რომ უნდოდა. დიკი. ხომ გახსოვს? იცი, ძალიან მხარს მიჭერდა და მანუგეშებდა ტომის ამბავზე, - ამით მინდა ვთქვა, რომ მართლა ძალზე ადამიანური იყო, კეთილად, შეგნებულად მექცეოდა, ყოველგვარი ქვენა აზრებისა და ღვარძლიანი მინიშნებების გარეშე. ჰოდა, ვისხედით აქ, ამ ოთახში, ცოტა ვისკი დავლიეთ. და, იცი, პირველად გავიფიქრე, რომ სულაც არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, - დიკი კეთილია, კეთილი და კარგი, მართლა, და მე დღეს სავსებით მზად ვარ, კეთილსა და ძლიერ მხარს მივეყრდნო. მწვანე შუქი უკვე თითქმის ავუნთე და უცებ მივხვდი, სრულიად უმანკო კოცნითაც კი ვერ ვაკოცებ ისე, რომ ტომიმ უმალ არ შეიტყოს. თუმცა, ტომი, ალბათ, ამას არასოდეს გააპროტესტებდა, არ მეთანხმები? და სავსებით შესაძლებელია, რომ დილით ჩემთვის ეთქვა: „დედა, კარგი საღამო გქონდა გუშინ? მოხარული ვარ“.

ანამ ჩაიხშო სურვილი, ეთქვა: „არა, აჭარბებ“, რადგან მოლი არ აჭარბებდა და ანა ვერ მისცემდა თავს უფლებას, მეგობრისთვის ტყუილი ეთქვა.

- და, იცი, ანა, როდესაც ვუყურებ ტომის იმ საზარელი შავი ქსოვილით თვალებზე, - გესმის, ისეთი სუფთაა და აკურატული,

და მისი პირი - ხომ იცი, მისი პირი? კატეგორიული, დოგმატური... უცებ ისე ვღიზიანდები ხოლმე...

- კი. მესმის შენი.

- მაგრამ განა ეს საშინელება არ არის? მე ფიზიკურად ვღიზიანდები. ეს ნელი, გააზრებული მოძრაობა, მოკლედ, ხომ იცი.

- კი.

- საქმე ის არის, რომ ტომი ისეთივეა, როგორიც წინათ, ოღონდ ახლა ყველაფერი დაკანონებულია, თუკი ხვდები, რასაც ვგულისხმობ.

- კი.

- გაღიზიანებისგან მზად ვარ, ჭყივილი დავიწყო. და, აი, იძულებული ვარ, ოთახიდან გავიდე, რადგან დარწმუნებული ვარ, მშვენივრად ხვდება, რასაც ვგრძნობ და...

მოლიმ სიტყვა გაწყვიტა. მერე კი აიძულა თავი, გაეგრძელებინა, თანაც გამომწვევად ლაპარაკობდა:

- ტომის ეს ყველაფერი მოსწონს.

ისტერიკულად გაიცინა და დაასკვნა:

- ის ბედნიერია, ანა.

- კი.

ახლა, როდესაც ეს სიტყვები ხმამაღლა ითქვა, ორივეს როგორღაც გულზე მოეშვა.

- პირველად სიცოცხლეში ბედნიერია. აი, რა არის საშინელება... ეს ჩანს იმით, თუ როგორ მოძრაობს და როგორ ლაპარაკობს - პირველად ცხოვრებაში მის პიროვნებაში მთლიანობა გაჩნდა.

მოლი ისე დაიზაფრა, როცა თავისი ნათქვამი გაიგონა: „მის პიროვნებაში მთლიანობა გაჩნდა“ და გონებაში ეს შეუთანადა მისი დაბრმავების სიმართლეს, სიტყვა სასულეში გადასცდა,

დაახველა. ხელები სახეზე აიფარა და აქვითინდა. ოღონდ ამჯერად სხვაგვარად, მთელი სხეულით ცახცახებდა.

როცა ტირილს მორჩა, თავი ასწია, გაღიმება სცადა და თქვა:

- არ უნდა ვიტირო. შეიძლება გაიგოს.

ახლაც კი გულადად იღიმებოდა.

ანამ შენიშნა, რომ მეგობრის ოქროსფერ თმას ჭაღარა გამორეოდა, რომ თვალები ჩასცვივნოდა, ჩაშავებოდა; სახე გაუხდა, ღაწვები მკვეთრად წინ წამოეწია. მზერა დაწმენდილი, მაგრამ სევდიანი ჰქონდა.

- მგონი, კარგი იქნება, თუკი თმას შეიღებავ.

- რისთვის? - იკითხა მოლიმ გაბოროტებით, მერე კი დასძინა, - ლამის მისი ხმა მესმის: წარმოიდგინე, ავდივარ ზემოთ მაგარი ვარცხნილობით, ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი თავით, ტომი იგრძნობს საღებავის სუნს ან რაღაც ამდაგვარს თუ რაღაც ვიბრაციებს და მეტყვის: „დედა, თმა შეიღებე? ძალიან მოხარული ვარ, ყოჩაღ, საკუთარ თავზე ხელი რომ არ ჩაიქნიე“.

- მე კი მართლა ძალიან გამიხარდება, თუკი ხელს არ ჩაიქნევ, თუნდაც ტომის არ გაუხარდეს.

- მგონი, საღი აზროვნების უნარი დამიბრუნდება, როცა ამ ყველაფერს მივეჩვევი... გუშინ სწორედ ამაზე ვფიქრობდი - ვგულისხმობ სიტყვებს „როცა ამ ყველაფერს მივეჩვევი“. აი, რა არის ცხოვრება: ეჩვევი ისეთ რაღაცებს, რაც თავისი არსით გაუსაძლისია.

თვალები დაუწითლდა და ცრემლებით აევსო, აახამხამა, ისევ რომ არ ატირებულიყო.

რამდენიმე დღის მერე მოლიმ სატელეფონო ჯიხურიდან დარეკა, რომ ეთქვა:

- ანა, რაღაც უცნაური ხდება, ძალიან უცნაური. მარიონმა დაიწყო ტომის მონახულება, ნებისმიერ დროს შედის მასთან, როცა კი მოეპრიანება.

- თვითონ როგორაა?

- მას მერე, რაც ტომის ეს დაემართა, წვეთი არ დაულევია. თვითონ უთხრა ტომის, იმან კიდევ - მე.

- ჰოო? და რა თქვა კიდევ?

მოლიმ ვაჟიშვილის ბოხი, პედანტური ხმა განასახიერა:

- მარიონი მშვენივრად უმკლავდება პრობლემას. მიღწევები აქვს, არცთუ ურიგო მიღწევები.

- შეუძლებელია!

- კი! ზუსტად ასე თქვა!

- ჰოო, ყოველ შემთხვევაში, რიჩარდს შეუძლია კმაყოფილი იყოს.

- გაცოფებულია. წერილებს მიგზავნის - გრძელსა და ცოფიანს. საკმარისია მისი წერილი გავხსნა, თანაც იმავე ფოსტით შეიძლება კიდევ ათობით წერილი იყოს მოსული, რომ ტომი მეკითხება: „მაშ, რას ბრძანებს მამა?“ მარიონი ყოველდღე მოდის, საათობით ლაპარაკობენ. ტომი ამ დროს მოხუც პროფესორს ჰგავს, საყვარელ მოწაფეს თავაზიანად რომ იღებს.

- ჰოო... - უმწეოდ ჩაილაპარაკა ანამ, - ჰო, რა.

- სწორედაც.

რამდენიმე დღის მერე ანა რიჩარდის ოფისში მიიწვიეს. თავად დაურეკა; ღვარძლი ახრჩობდა და წყვეტილად ლაპარაკობდა:

- შენი ნახვა მინდა. თუ გაწყობს, გამოგივლი.

- მაგრამ, ცხადია, სინამდვილეში, არ გინდა, გამომიარო.

- მგონი, ხვალ მოვახერხებ ერთი-ორი საათით გათავისუფლებას.

- აჰ, არა, დარწმუნებული ვარ, ძლიერ დაკავებული ბრძანდები. მე თვითონ მოვალ. რა დროს გირჩევნია?

- გაწყობს სამ საათზე?

- იყოს სამი, შევთანხმდით, - თქვა ანამ და გააცნობიერა, რომ ერთობ უხარია, რიჩარდი მასთან სახლში რომ არ მივა. რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ მოიცილა თავიდან იმის გახსენება, თუ როგორ იდგა ტომი მაგიდასთან და მის რვეულებს ჩაჰყურებდა, როგორ ფურცლავდა მიყოლებით იმ საღამოს, როცა თავის მოკვლა სცადა. მხოლოდ ცოტა ხნის წინ გააკეთა რამდენიმე ჩანაწერი და ისიც, ძალისძალად. ეჩვენებოდა, რომ ბიჭი - მისი შავი თვალების ელვარე მზერაში ბრალდება ჩაბუდებულიყო - გვერდით ედგა. ეჩვენებოდა, რომ თავისი ოთახი აღარ ეკუთვნოდა. და აქ რომ რიჩარდი მოსულიყო, ყველაფერი კიდევ უფრო დამძიმდებოდა.

ზუსტად სამ საათზე რიჩარდის მდივანი ქალის წინაშე წარდგა, თავის თავს უთხრა, რომ რიჩარდი, რასაკვირველია, ალოდინებდა. დაახლოებით, ათ წუთს - ასე გადაწყვიტა, ეს მონაკვეთი საკმარისი იქნება, რიჩარდმა პატივმოყვარეობა რომ დაიკმაყოფილოს. ანას თხუთმეტი წუთის მერე აცნობეს, რომ შესვლა შეეძლო.

რიჩარდი, ტომის თქმისა არ იყოს, სამუშაო მაგიდასთან იმდენად შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, ანა ვერც კი წარმოიდგენდა. მისი იმპერის მთავარი სამმართველო სითიში მდებარე ძველებურსა და უშნო შენობაში იყო. ეს შენობა, ცხადია, არ იყო ის ადგილი, სადაც ბიზნესი რეალურად კეთდება; ეს უფრო ვიტრინა გახლდათ, სადაც რიჩარდისა და მისი კოლეგების პიროვ-

ნებები იყო წარმოდგენილი. ინტერიერის გაფორმებაში ყველაფერი ძალდაუტანებლად, მსოფლიო სტანდარტებით იყო გაკეთებული. მსგავსი ოფისი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეიძლება ნახოთ. იმ მომენტიდან, რაც სტუმარი მასიურ კარში შეაბიჯებდა, ყველაფერი - ლიფტები, დერეფნები, მისაღები, - გახლდათ ხანგრძლივი, მაგრამ ტაქტიანი მზადება იმ წამისთვის, როცა რიჩარდის კაბინეტში შესვლის უფლებას მისცემდნენ. იატაკზე ექვსი დუიმის სისქის მუქი ხალიჩა დაეგოთ, კედლებზე - თეთრი ფილები, მათ შორის კი - დამუქებული მინები. რბილი შუქი, რომელიც გაუგებარია, საიდან იღვრებოდა; ეტყობა, კედლის უამრავი მცენარის უკნიდან: სათუთად მოვლილი და მარჯვე ხელით მიმართულებამიცემული ერთი დონიდან მეორეზე გადადიოდნენ, მორჩილად ამწვანებულები.

რიჩარდი, რომლის ავის მომასწავებელი, ჯიუტი ფიგურა უსახური კოსტიუმით იყო შემოსილი, იჯდა მაგიდასთან, რომელიც უფრო მომწვანო მარმარილოს აკლდამას მიაგავდა.

სანამ ანა იცდიდა და მდივან ქალს ათვალიერებდა, შენიშნა, რომ იმავე ტიპის ქალებს მიეკუთვნებოდა, რომელსაც მარიონი: კიდევ ერთი წაბლისფერთმიანი ქალიშვილი, ძალდაუტანებელი უწესრიგობისკენ რომაა მიდრეკილი. ანა ყურადღებით დააკვირდა, თუ როგორ ლაპარაკობდნენ ის და რიჩარდი იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, რაც დასჭირდა იმისთვის, ანა რომ კაბინეტში შეეყვანა. ანამ ჩაიჭირა მზერა, რომელიც გაცვალეს და მიხვდა, რომანი ჰქონდათ. რიჩარდმა დაინახა, რომ ანამ დასკვნა გამოიტანა და უთხრა:

- ანა, შენგან მორალის კითხვა არ მჭირდება. სერიოზულად უნდა დაგელაპარაკო.

- მაგრამ მე ხომ სწორედ ამისთვის მოვედი აქ, ასე არაა?

რიჩარდი შეეცადა გაღიზიანებას მორეოდა. ანამ უარი თქვა მაგიდასთან დამჯდარიყო, მის წინ, და ფანჯრის რაფაზე მოეწყო, მისგან მოშორებით. სანამ რიჩარდი ლაპარაკს დაიწყებდა, მის მაგიდაზე, სამუშაო ტელეფონზე მწვანე ნათურა აინთო და მან, მობოდიშებით, ტელეფონს უპასუხა.

- ერთი წამით, - კვლავ მოიბოდიშა რიჩარდმა; შიდა კარი გაიღო და გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ხელში საქაღალდე ეჭირა. უაღრესად ძალდაუტანებელი და კორექტული მოძრაობით საქაღალდე რიჩარდის წინ, მარმარილოზე დადო და ლამის თითის წვერებზე, სრულიად უხმაუროდ გავიდა კაბინეტიდან.

რიჩარდმა სასწრაფოდ გახსნა, ფანქრით რაღაც ჩაინიშნა და უკვე ხელი უნდა დაეჭირა ღილაკისთვის, მაგრამ უცებ ანას მზერა შენიშნა და იკითხა:

- რაღაც განსაკუთრებულად სასაცილო გაგახსენდა?

- განსაკუთრებულად არა, უბრალოდ სასაცილო. გამახსენდა, ერთხელ რომ თქვი, ნებისმიერი საზოგადო მოღვაწის მნიშვნელოვნება განისაზღვრება იმით, თუ რამდენი ახალგაზრდა ტრიალებს მის გარშემო, ვისაც ბაგეთაგან რძე და თაფლი გადმოსდითო.

- მაგას მოლი იტყოდა.

- ჰო რა, მართალი გითხრა, მისი ნათქვამია. შეიძლება გკითხო, შენ რამდენი გყავს?

- მგონი, ოცდახუთამდე იქნება.

- პრემიერ-მინისტრი, ალბათ, ამ რაოდენობით ვერ დაიკვეხნის.

- სავსებით შესაძლებელია, ასეც იყოს. ანა, ასეთი რაღაცების გარეშე არ შეგიძლია?

- მე უბრალოდ ვცდილობ საუბარი გავაგრძელო.

- თუ ასეა, მე დაგეხმარები. მარიონზე ვილაპარაკოთ. იცი, რომ მთელ დროს ტომისთან ატარებს?

- მოლიმ მითხრა. და კიდევ მითხრა, რომ სმას თავი დაანება.

- ყოველ დილით ქალაქში მიდის. ყიდულობს ყველა გაზეთს, რაც კი გამოდის და ტომის უკითხავს. შინ შვიდ ან რვა საათზე ბრუნდება. ლაპარაკობს მხოლოდ ტომისა და პოლიტიკაზე.

- სმას თავი დაანება, - შეახსენა ანამ.

- და შვილებს რაც შეეხება? დილით, საუზმეზე ხედავს და თუ გაუმართლა, ერთ საათს - საღამოს. მგონი, დღის განმავლობა-ში მათი არსებობა არც ახსენდება.

- მგონი, ვინმე უნდა დაიქირავო. დროებით.

- მისმინე, ანა, აქ იმისთვის მოგიწვიე, რომ ამ ყველაფერზე სერიოზულად ვილაპარაკოთ.

- სერიოზულად ვამბობ. გთავაზობ, დაიქირავო ვინმე კარგი ქალი, რომელიც ბიჭების მოვლაში შეგეშველება. დროებით, სა-ნამ ყველაფერი არ დალაგდება.

- ღმერთო, ეს რა დამიჯდება, - ჩაილაპარაკა რიჩარდმა და სიტყვა გაწყვიტა, მოიღუშა, თითქოს დაირცხვინა.

- ანუ, გულისხმობ, რომ არ გინდა შენს სახლში უცხო ქალი დიასახლისობდეს, თუნდაც დროებით? თორემ შეუძლებელია, ფულს გულისხმობდე. მარიონისგან ვიცი, რომ წელიწადში ოც-დაათი ათასი გაქვს, დამატებით შემოსავალზე რომ არაფერი ვთქვათ.

- მარიონის წარმოდგენები ფინანსურ საკითხებზე, როგორც წესი, სრული ბოდვაა. კარგი, ჰო, ასეა, მე არ მინდა, ჩემს სახ-ლში უცხო დიასახლისობდეს. და საერთოდ, ეს სრულიად შეუძ-ლებელია! მარიონს პოლიტიკა არასოდეს აწუხებდა, ოდნავა-

დაც კი არ აინტერესებდა. და უცებ გაზეთების ჭრას იწყებს, ამონარიდებს აკეთებს და „ნიუ სტეიტსმენის“ ხმაზე ჭიკჭიკებს.

ანას გაეცინა:

- კი მაგრამ, რიჩარდ, რაშია საქმე? რა გაღიზიანებს ასე? რა მოხდა, მითხარი. მარიონი გონების დაკარგვამდე სვამდა. ახლა შეწყვიტა. ამისთვის კი, ალბათ, ნებისმიერი ფასის გადახდა ღირს? ისიც კი მგონია, რომ როგორც დედა, ახლა უკეთესია, ვიდრე იყო.

- აი, ეს თქვი, რაც თქვი!

რიჩარდს შესამჩნევად აუკანკალდა ტუჩები, სახეში სისხლმა აასხა. შენიშნა, რომ ანას სახეზე მისი დიაგნოზი აწერია: „თავისი თავი ეცოდება“, ძალა მოიკრიბა იმის ხარჯზე, რომ ღილაკს ისევ დააჭირა თითი და როდესაც შემოვიდა რიდით აღსავსე ყურადღებიანი ახალგაზრდა კაცი, - ამჯერად, სხვა - საქაღალდე გადასცა და უბრძანა:

- დაუკავშირდით სერ ჯეისონს და მოიწვიეთ სადილზე კლუბში. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს.

- ვინაა სერ ჯეისონი?

- მშვენივრად იცი, რომ ეს შენთვის სულერთია.

- მაინტერესებს.

- ერთი ძალიან კარგი კაცი.

- კეთილი.

- თანაც, ძალიან უყვარს ოპერა და ყველაფერი იცის მუსიკის შესახებ.

- მშვენიერია.

- ჩვენ მისი კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას ვაპირებთ.

- ეს ყველაფერი მეტად დამამშვიდებლად ჟღერს, არა? რიჩარდ, მე ძალიან გთხოვდი, რომ საქმეზე გადახვიდე. რა გაქვს ჩაფიქრებული? რისთვისაა მთელი ეს საუბარი?

- თუკი მე ვიღაც ქალს ფულს გადავუხდი იმაში, რომ ბავშვებთან ის მოვალეობები შეასრულოს, რაც მარიონს ეკისრება, ეს მთელ ჩემს ცხოვრებას თავდაყირა დააყენებს. რომ აღარაფერი ვთქვათ ფინანსურ ხარჯზე, - დასძინა ბოლოს, რადგან თავი ვერ შეიკავა.

- ახლა გავიფიქრე, ასე ექსტრაორდინარულად იმიტომ ღელავ ხარჯის გამო, რომ ოცდაათიან წლებში განვითარების „ბოჰემური პერიოდი“ გაიარე. ასეა, არა? ცხოვრებაში არ მინახავს კაცი, რომელიც ესოდენ შეძლებულ ოჯახში დაბადებულიყოს და გაზრდილიყოს და ასე უყურებდეს ფულს. ეტყობა, როცა ოჯახმა კუთვნილ შილინგებთან მისასვლელი გზა გადაგიკეტა, ეს შენთვის ნამდვილი შოკი აღმოჩნდა? შენ ისევ ისე იქცევი და თავს პატარა პროვინციული ქარხნის მენეჯერად აღიქვამ, რომელმაც გაცილებით დიდ წარმატებას მიაღწია, ვიდრე შეიძლებოდა იმედი ჰქონოდა.

- მართალი ხარ. ეს ნამდვილი შოკი იყო. ცხოვრებაში პირველად მივხვდი, რა ფასი აქვს ფულს. ეს არასოდეს დამვიწყებია. გეთანხმები - მე ისე ვუყურებ ფულს, როგორც უნდა უყურებდეს კაცი, რომელსაც მისი შოვნა დამოუკიდებლად, საკუთარი შრომით უწევს. მარიონმა ეს ვერც ვერასოდეს გაიგო. აი, შენ და მოლი კი სულ მიჩიჩინებთ, ჭკვიანიაო!

ეს ბოლო სიტყვები ისეთი წყენითა და ისეთი აღშფოთებით თქვა, რომ ანას ისევ მთელი გულით გაეცინა.

- რიჩარდ, რა სახალისო ვინმე ხარ. კი, მართლა, სახალისო ხარ. კარგი, არ გვინდა კამათი. შენ მძიმე ტრავმა მიიღე, როცა

შენმა ოჯახმა სერიოზულად მიიღო კომუნიზმთან შენი გაარშიყებბა; და ამით დაკარგე შენი ფულით მშვიდად გახარების უნარი. თანაც, მუდმივად არ გიმართლებს ქალებში. მოლიცა და მარიონიც საკმაოდ სულელი არსებები არიან და ხასიათი კი ორივეს, უბრალოდ, საშინელი აქვს.

ახლა რიჩარდი ანას თვალებში შეჰყურებდა, სახეზე ისევ მისთვის დამახასიათებელი სიჯიუტე ეწერა.

- დიახ, ასე ვხედავ, დიახ, ასეა.

- კარგი. და ახლა რა?

მაგრამ რიჩარდმა გვერდზე გაიხედა; იჯდა და მოღუშული აკვირდებოდა ღია მწვანე ფოთლების ანარეკლს ფანჯრის დაბურულ მინაში. და უცებ ანას გაუელვა, რომ ამჯერად რიჩარდს მისი ნახვა ასეთი შემთხვევებისთვის ჩვეული მიზეზით კი არ უნდოდა - მოლის რომ თავს დასხმოდა მისი მეშვეობით - არამედ იმისთვის, რომ თავისი ახალი გეგმები გამოუცხადოს.

- რიჩარდ, რაზე ფიქრობ? რა ჩაიფიქრე? შენ რა, მარიონის პენსიაზე გაშვებას აპირებ? ასეა? მიგაჩნია, რომ მოლი და მარიონი უნდა დაბერდნენ სადღაც, მოშორებით, ერთად, შენ კი ამ დროს...

ანა მიხვდა, რომ მისი ფანტაზია მიზანს მოხვდა, მტკივნეულად შეეხო.

- ოჰ, რიჩარდ, - თქვა ანამ, - შენ ვერ მიატოვებ მარიონს ახლა. მით უფრო, რომ ალკოჰოლიზმს ეს-ესაა მოერია.

რიჩარდმა ჩაილაპარაკა:

- მას არ ვაინტერესებ. მარიონს ჩემთვის დრო არ რჩება. მე შეიძლება იქ საერთოდაც არ ვიყო.

მის ხმაში აშკარად შელახული თავმოყვარეობა გახმიანდა. ამან ანა განაცვიფრა, რადგან რიჩარდს მართლა სტკიოდა გუ-

ლი. მარიონის გაქცევამ მისი ციხიდან, ან უბედურების თანამოზიარის გაქცევამ, მარტო დატოვა იგი და ამის გამო გულგატეხილი გახლდათ, განიცდიდა.

- ღვთის გულისათვის, რიჩარდ! შენ მას წლობით უარყოფდი. უბრალოდ იყენებდი, როგორც...

რიჩარდს ტუჩები ისევ აუკანკალდა, შავ, ოდნავ გადმოქაჩულ თვალებზე ცრემლი მოადგა.

- ო, ღმერთო! - უნებლიეთ ჩაილაპარაკა ანამ. გაიფიქრა: „ეტყობა, მე და მოლი სრული იდიოტები ვართ. აი, რაზე დაიყვანება ყოველივე, ეს სიყვარულის მისეული გამოხატულებაა, სხვანაირად არ შეუძლია. და ამას, ალბათ, მარიონიც ხვდება“.

ანამ თქვა:

- და რაში გამოიხატება შენი გეგმა? მომეჩვენა, რომ გატაცებული ხარ იმ ქალიშვილით, მისაღებში რომ გიზის? ასეა, არა?

- დიახ, ასეა. ყოველ შემთხვევაში, მას ვუყვარვარ.

- რიჩარდ, - უმწეოდ ჩაილაპარაკა ანამ.

- დიახ, ასეა. მარიონისთვის კი სულერთია, ვარსებობ თუ არა.

- მაგრამ თუ ახლა გაეყრები მარიონს, ამან შეიძლება საბოლოოდ გატეხოს.

- ეჭვი მეპარება, საერთოდ შეამჩნევს ამას თუ არა. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, რადიკალური ნაბიჯის გადადგმას არ ვაპირებ. სწორედ ამიტომ მინდოდა შენი ნახვა. მინდა შევთავაზო მარიონსა და ტომის ერთად წავიდნენ სადმე დასასვენებლად. ბოლოს და ბოლოს, ისედაც სულ ერთად არიან. ოღონდ კი მოისურვონ. და სანამ წასული იქნებოდნენ, მე ბავშვებს ჯინს გავაცნობდი - ძალდაუტანებლად და ნელ-ნელა. ბიჭები მას, რასაკვირველია, იცნობენ და მოსწონთ კიდეც, მაგრამ დავეხმარე-

ბოდი, შეჰგუებოდნენ აზრს, რომ თავის დროზე ცოლად შევირთავ.

ანა მდუმარედ იჯდა, სანამ დაჟინებით არ ჰკითხეს:

- ჰა, რას იტყვი?

- გინდა იცოდე, რას იტყვის მოლი?

- მე შენ გეკითხები, ანა. მგონია, რომ მოლისთვის ეს შეიძლება შოკის მომგვრელი აღმოჩნდეს.

- ეს მოლისთვის შოკი სულაც არ იქნება. რაც უნდა გააკეთო, მისთვის შოკი არ იქნება. შენ ეს მშვენივრად მოგეხსენება. მაშ, მითხარი, სინამდვილეში რა გინდა ჩემგან? რის გაგებას ცდილობ?

ანა რიჩარდის დახმარებაზე უარს ამბობდა არა მხოლოდ მის მიმართ ზიზღის გამო, არამედ საკუთარი თავისადმი ზიზღის გამოც, - აი, ზის, განსჯის და ბრალად სდებს ესოდენ კრიტიკული, გულცივი, მაშინ, როდესაც ასე უბედური ჩანს, - ანა ისევ ფანჯრის რაფაზე იჯდა, მოკუნტული, სიგარეტს ეწეოდა.

- გისმენ, ანა?

- შენ რომ გეკითხა მოლისთვის, მგონი, მისთვისაც შეღავათი იქნებოდა, თუკი ტომი და მარიონი დროებით წავიდოდნენ დასასვენებლად.

- რასაკვირველია, შეღავათი იქნებოდა. ასეთი ტვირთის მოცილება!

- მისმინე, რიჩარდ, შეგიძლია მოლის შეურაცხყოფა მიაყენო სხვა ადამიანებთან საუბარში, მაგრამ ჩემთან კი - არა!

- მაშინ, რაშია პრობლემა, თუკი მოლი წინააღმდეგი არ იქნება?

- პრობლემა, ცხადია, ტომია.

- მაგრამ, რატომ? მოლი ამბობს, რომ მას, როგორც ჩანს, ისიც კი მოსწონს, როდესაც მარიონი უბრალოდ შეირბენს ხოლმე მასთან. ის მხოლოდ მასთანაა ბედნიერი - ანუ მარიონთან.

ოდნავი ყოყმანის შემდეგ ანამ თქვა:

- ტომიმ ყველაფერი ისე მოაწყო, რომ დედამისი მუდმივად მასთანაა, შინ, უშუალოდ მის გვერდით არა, მაგრამ ახლოს. როგორც მისი ტყვე. და მეეჭვება, ამაზე უარი თქვას. ტომიმ შეიძლება ეს აღიქვას როგორც ძალზე ძვირფასი საჩუქარი, - სადმე წავიდეს მარიონთან ერთად, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოლიც თანდართული იქნება, ჩემოდანზე მიკრული ქვითარივით, და მის კონტროლქვეშ.

რიჩარდი აფეთქდა.

- მე ეს წინასწარ უნდა მეფიქრა! თქვენ საზიზღარი, ბინძური აზრების მქონე, ცივსისხლიანი, ანგარიშიანები ხართ... - სიტყვა ვეღარ დაამთავრა, მეტყველების უნარი დაკარგა, გაცოფებული მდუმარედ იჯდა და მძიმედ სუნთქავდა. ამავე დროს რიჩარდი დაკვირვებით და ინტერესით შეჰყურებდა ანას, აშკარად ელოდებოდა, უნდოდა მოესმინა, რას ეტყოდა კიდევ.

- შენ აქ იმისთვის მომიწვიე, რომ მეთქვა ის, რაც ვთქვი. იმისთვის, რომ გქონდეს საბაბი, გამომლანძღო. და მოლიც გამოლანძღო. მე შენ კეთილი საქმე გაგიკეთე: გითხარი ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა და ახლა მივდივარ.

ანა მაღალი ფანჯრის რაფიდან ჩამოცურდა, წელში გაიმართა და რიჩარდის წინ დადგა, წასასვლელად გამზადებული. საკუთარი თავის ზიზღი ავსებდა, ფიქრობდა: „რიჩარდმა აქ, რასაკვირველია, იმავე მიზეზით მომიწვია, რომლითაც ყოველთვის მიწვევდა, - მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს მისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა. მაგრამ ეს თავიდანვე უნდა მცოდ-

ნოდა. ესე იგი, მე აქ ვარ იმიტომ, რომ შეურაცხვყო რიჩარდი და ის ყველაფერი, რასაც იგი განასახიერებს. მე ვარ ნაწილი ამ ბრიყვული თამაშისა და, წესით, ჩემი თავისა უნდა მრცხვენოდეს“. და მიუხედავად იმისა, რომ ანა მართლა ასე ფიქრობდა და გულწრფელადაც ფიქრობდა, რიჩარდი მაინც იდგა მის წინ იმ ადამიანივით, რომელიც ელის, როდის დაჰკრავენ მათრახს. და ანამ უთხრა:

- ძვირფასო რიჩარდ, არსებობენ ადამიანები, რომლებისთვის აუცილებელია, რომ თავიანთი მსხვერპლი გვერდით ჰყავდეთ. შენ ეს, რასაკვირველია, იცი? ბოლოს და ბოლოს, ის ხომ შენი შვილია.

ანა მივიდა კართან, საიდანაც კაბინეტში შევიდა, მაგრამ კარს სახელური არ აღმოაჩნდა. თურმე მისი გაღება მხოლოდ მისაღებში ან რიჩარდის მაგიდაზე ღილაკის დაჭერით შეიძლებოდა.

- რა ვქნა, ანა?

- არა მგონია, რამე გამოგივიდეს.

- მე არ მივცემ მარიონს უფლებას, ჭკუაში მომიგოს!

ანა ისე განაცვიფრა ამ ნათქვამმა, რომ გაეცინა.

- რიჩარდ, გეყოფა! მარიონმა უკვე მიიღო თავისი. ყველაზე უნიათო და უნებისყოფო ადამიანებიც კი პოულობენ უკან დასახევ გზას. მარიონი ტომისთან დადის იმიტომ, ეს ტომის სჭირდება. მორჩა და გათავდა. დარწმუნებული ვარ, მარიონი რაღაც გეგმებს არ აწყობს. მარიონზე თქმა, ჭკუაში მომიგოსო, ეს... ეს...

- სულერთია! ის ყველაფერს მშვენივრად ხვდება და ამით პირდაპირ ნეტარებს. იცი, რა მითხრა რამდენიმე თვის წინ? „რიჩარდ, შეგიძლია მარტო დაიძინო და“...

მაგრამ რიჩარდმა სიტყვა გაწყვიტა. ანამ სათქმელი კინაღამ მის ნაცვლად დაამთავრა:

- კი მაგრამ, რიჩარდ, შენ ხომ წუწუნებდი, რომ მასთან ერთ ლოგინში გიწევს წოლა?

- უცოლო კაცივით ვცხოვრობ. მარიონი ახლა ცალკე, თავის ოთახში იძინებს... და არასოდეს არაა სახლში. ნორმალური ცხოვრება რატომ უნდა ამირიოს ასე?

- კი, მაგრამ, რიჩარდ...

ამ საუბრის უნაყოფობის შეგრძნებამ აიძულა ანა, გაჩუმებულიყო. თუმცა, რიჩარდი ელოდებოდა, სურდა, გაეგო, რას ეტყოდა კიდევ. ანამ უთხრა:

- კი, მაგრამ, რიჩარდ, შენ ჯინი გყავს. არ შეიძლება ლოგიკურ კავშირს ვერ ხედავდე. შენ გყავს შენი მდივანი ქალი.

- უბრალოდ, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ჯინს გათხოვება უნდა.

- ჰო, მაგრამ, რიჩარდ, მდივანი ქალების ამოუწურავი რეზერვი არსებობს. და ასეთ ნაწყენ სახეს ნუ იღებ! ვითომ ძალიან გატკინე გული! შენ ხომ სულ ცოტა თორმეტიოდე მდივანთან გქონდა რომანი. ა? განა ასე არ იყო?

- ჯინი მინდა ცოლად შევირთო.

- ჰოო, არა მგონია, ეს ადვილი საქმე იყოს. ტომი ამას არ დაუშვებს, თუნდაც მარიონმა გაყრის უფლება მოგცეს.

- კიდეც მითხრა, რომ არ მომცემს.

- მაშინ მოიცადე ცოტა. მარიონს დრო სჭირდება.

- დრო, დრო მიდის და მე არ ვახალგაზრდავდები. მომავალ წელს ორმოცდაათისა გავხდები. ჩემს თავს ვერ მივცემ უფლებას, დრო დავკარგო. ჯინი ოცდასამისაა. რატომ უნდა იყოს აქ დარჭობილი, დაკარგოს ყველა შანსი, სანამ მარიონი...

- შენ ეს ტომისთან ერთად უნდა განიხილო, ჩემთან კი არა. ხომ გესმის, ისაა ამ ყველაფრის გასაღები.

- წარმომიდგენია, რას მეტყვის. ყოველთვის მარიონის მხარეზე იყო.

- იქნებ სცადო გადმობირება? შენს მხარეზე გადმოყვანა?

- ამის შანსი არა მაქვს.

- მართალია, ვშიშობ, რომ არა გაქვს. შენ, ალბათ, ტომის დაკრულზე მოგიწევს ცეკვა. ზუსტად ისევე, როგორც მოლის და მარიონს.

- შენგან სხვას არც არაფერს ველოდი! ბიჭი ხეიბარია, შენ კი ისე ლაპარაკობ, თითქოს ვიღაც ბოროტმოქმედი იყოს.

- კი, ვიცი, სხვას რომ არ მოელოდი. ჩემგან სწორედ ამას ელოდი. თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ სწორედ ის მოგართვი, რაც გინდოდა. რიჩარდ, გამიშვი სახლში. გააღე კარი.

ანა კართან იდგა და ელოდებოდა, სანამ რიჩარდი გაუღებდა.

- და შენ კიდევ იცინი! როცა გარშემო ასეთი არეულობაა! და ყველა იტანჯება!

- მე ვიცინი და ეს შენც კარგად იცი, იმიტომ, რომ ასეთი ძალიან, ძალიან ძვირფასი ხალიჩის შუაგულში მდგომი ამ ჩვენი დიადი ქვეყნის ფინანსური სფეროს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი განსახიერება სამი წლის ბავშვივით ცქმუტავს ბოღმისა და მოუთმენლობისგან. რიჩარდ, გამიშვი აქედან. თუ შეიძლება.

რიჩარდმა აშკარად თავს ძალა დაატანა, მაგიდასთან მისულიყო და ღილაკისთვის თითი დაეჭირა. კარი გაიღო.

- შენს ადგილას რამდენიმე თვეს მოვიცდიდი და ტომის სამუშაოს შევთავაზებდი აქ. კარგ, მნიშვნელოვან თანამდებობას.

- შენ რა, იმის თქმა გინდა, რომ ტომი მოწყალებას გაიღებდა და ამ წინადადებას დასთანხმდებოდა? ხომ არ გაგიჟებულხარ?

ახლა მას მემარცხენე ტიპის პოლიტიკაზე ეკეტება ჭკუა, მარიონთან ერთად, პირდაპირ ოფლი სდით აღშფოთებისგან, როცა ფიქრობენ, თუ როგორ უსამართლოდ ჩაგრავენ ჩვენს სამყაროში იმ წყეულ, გაუბედურებულ ნიგერებს.

- მაშ, მაშ. და რატომაც არა? ეს ხომ ახლა ძალზე მოდურია. შენ რა, არ იცი? რიჩარდ, დროს ჩამორჩი. შენ, როგორც ყოველთვის, დროს ფეხს ვერ უწყობ. დღეს ეს მემარცხენე გადახრა კი არა, კომილფოა.

- მგონი, ასეთი დასასრული შენ ძალიანაც მოგეწონებოდა.

- ო, რა თქმა უნდა. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები - თუ ჭკვიანურად წაიყვან საქმეს, ტომი სიამოვნებით მოვა აქ სამუშაოდ. შესაძლოა, მოხარულიც კი იყოს, თუ შენს ადგილს დაიკავებს.

- ჩემთვის ეს ბედნიერება იქნება. ანა, შენ არასოდეს გესმოდა ჩემი, მთელი ეს ბიზნესი გულზე სულაც არ მეხატება. როგორც კი ამის საშუალება მომეცემა, მინდა, გადავდგე და მშვიდად და წყნარად ვიცხოვრო ჯინთან ერთად, შეიძლება, კიდევ გავაჩინო შვილები. აი, ჩემი გეგმები. ამ ფინანსური მაქინაციებისთვის არა ვარ შექმნილი.

- მიუხედავად ამისა, შენი ფინანსური იმპერიის შემოსავალი მას მერე, რაც შენ დაიწყე მისი მართვა, ოთხჯერ გაიზარდა, მარიონს თუ დავუჯერებთ. ნახვამდის, რიჩარდ.

- ანა.

- რა გინდა კიდევ?

რიჩარდი სასწრაფოდ წამოდგა და ანასა და შეღებულ კარს შორის ჩადგა. დუნდულების მკვეთრი, მოუთმენელი მოძრაობით კარი მიაჯახუნა. კონტრასტმა მის მოძრაობასა და უზადო მექანიზმებს შორის, რომლებიც ამ ძვირად ღირებულ ოფისში, უფრო სწორად, საგამოფენო დარბაზში მოქმედებდნენ,

მტკივნეულად შეახსენა ანას, რომ აქ სრულიად უადგილოდაა. თავისი თავი თითქოს გვერდიდან დაინახა: აი, დგას და ელოდება, როდის გაუშვებენ, პატარა, ფერმკრთალი და სიმპათიური, ჭკვიანი და სკეპტიკური, მაგრამ აშკარად ნაძალადევი ღიმილით სახეზე. ეჩვენებოდა, რომ ქაოსის ელემენტია, რომელიც ამ მოწესრიგებული ფორმების გარემოცვაში მოხვდა, რომ დისკომფორტისა და შფოთვის წყაროა. ძვირად ღირებული კოსტიუმით დაფარული რიჩარდის დუნდულების ეს მცირე, საძაგელი მოძრაობა მის საკუთარ, ოდნავ დაფარულ სულიერ არეულობას ესატყვისებოდა; ამიტომაც ვერ ბედავდა რიჩარდის აშკარა სიძულვილით გამსჭვალვას, რადგან ეს ფარისევლობა და სიყალბე იქნებოდა. ეს რომ უთხრა თავის თავს, სიძულვილის ნაცვლად სრული უძლურება იგრძნო.

განაცხადა:

- რიჩარდ, მგონი, ამ ყველაფერს აზრი არა აქვს. ყოველი ჩვენი შეხვედრისას ერთი და იგივე ხდება.

რიჩარდი მიხვდა, რომ ანა როგორღაც მოტყდა, სულით დაეცა. მის პირისპირ მყარად იდგა, თვალები მოჭუტული ჰქონდა. მერე კი ნელა და აუჩქარებლად გაიღიმა. „რას ცდილობს, რომ გამახსენოს?“ ანა გაოცებული იყო. ვერ ხვდებოდა. არა, შეუძლებელია! დიახ, სწორედაც ასეა. ის ახსენებდა იმ საღამოს, როდესაც ანა თითქმის მზად იყო მასთან დასაწოლად, თუმცა ამის ალბათობა ძალზე მცირე იყო. და ნაცვლად იმისა, გაბრაზებულიყო ან მის მიმართ ზიზღი ეგრძნო, ანამ დაიმორცხვა და ისიც იცოდა, რომ რიჩარდმა ეს შენიშნა. ანამ უთხრა: - რიჩარდ, თუ შეიძლება, კარი გამიღე.

რიჩარდი იდგა, თავისი სარკაზმით განზრახ აწვებოდა და ამისგან სიამოვნებას იღებდა. ანამ კარისკენ ნაბიჯი გადადგა და

გაღება სცადა. თავის თავს გვერდიდან ხედავდა: აი, უგერგილოდ, ფორიაქით ცდილობს კარის გაღებას. კარი არ დაემორჩილა, მერე კი გაიღო. რიჩარდი მაგიდასთან მიბრუნდა და საჭირო ღილაკს თითი დააჭირა. ანა უმალ გავიდა, ჩაუარა მარიონის სავარაუდო შემცვლელს - ხვავრიელი ბიუსტის მქონე მდივანს, გაიარა შენობის შუაგული, რომელიც რელიეფური, გამოქანდაკებული ფოთლებით იყო შემკული, ზიმზიმებდა და ხალიჩებით გახლდათ მოფენილი და გარეთ გავიდა, უსახურ ქუჩაში, რამაც წარმოუდგენელი შვება მოჰგვარა.

ანა უახლოესი მეტროსადგურისკენ გაემართა, არაფერზე ფიქრობდა, თანაც აცნობიერებდა, რომ სრული კოლაფსის ზღვარზე იყო. პიკის საათი დაიწყო. ბრბომ ჩაითრია. უეცრად პანიკამ შეიპყრო, თანაც ისე მძლავრად, რომ ბრბოდან გამოძვრა, სალაროსკენ რომ მიათრევდა, და შეჩერდა, კედელს წაეპოტინა. ხელისგულები და იღლიები დაენამა. ასეთი შემოტევა უკვე ორჯერ დაემართა, პიკის საათისას და ორივე - ახლახან. „რაღაც მემართება, - ფიქრობდა და ცდილობდა, თავი მოეთოკა, - რაღაცის ზედაპირზე დავსრიალებ, მაგრამ რის ზედაპირზე?“ ასე იდგა კედელთან, ბრბოში, უკან დაბრუნების უნარწართმეული. ქალაქი პიკის საათისას - აქედან სახლში სწრაფად მისვლას ვერ მოახერხებს, ამ ხუთი თუ ექვსი მილის სხვანაირად გავლას. არა, მეტროთი არა, არ გამოვა. ყველა ეს ადამიანი დიდი ქალაქის წნეხშია მოქცეული. ყველა, გარდა რიჩარდისა და მისთანებისა. თუკი ანა ისევ მივა მასთან, სთხოვს მანქანის გამოძახებას, ის, რასაკვირველია, დაეხმარება. გაუხარდება კიდეც, მაგრამ ამას ანა, ცხადია, არ გააკეთებს. არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ აიძულოს თავს, წინ წავიდეს. ანამ აიძულა თავი, წინ წასულიყო, ხალხის ჯგროში ჩაეჭედა, აიღო ბილეთი, ესკალატორით

დაეშვა, ადამიანების ამ ჭაობში ჩათრეული. ბაქანზე დიდხანს იდგა: ოთხი მატარებელი გაუშვა, ვიდრე მოახერხებდა და ვაგონში შეაღწევდა. ახლა ყველაზე უარესი უკან დარჩა. ახლა უბრალოდ უნდა იდგეს და ელოდოს; ახლა მას ყოველი მხრიდან ადამიანები იჭერენ, რომლებმაც აავსეს ეს, კაშკაშა სინათლით განათებული, სურნელოვანი სივრცე. უნდა იდგეს და ელოდოს და ათი-თორმეტი წუთის შემდეგ თავის სადგურამდე მივა. ანას ეშინოდა, გული არ წამივიდესო.

ფიქრობდა: თუკი ვიღაც ნაწილებად იშლება, გონებას კარგავს, რას ნიშნავს? ის, ვინც ცოტაც და ნაწილებად დაიმსხვრევა, რაწამს ეკითხება თავს: მე შემადგენელ ნაწილებად ვიმსხვრევი? და თუკი ეს მელის, რა ფორმა შეიძლება ამან მიიღოს? თვალი მოხუჭა, გიჟური შუქი კვლავაც ქუთუთოებზე აჭერდა. უცხო სხეულები ყოველი მხრიდან აწვებოდნენ, ოფლისა და ჭუჭყის სუნი იდგა; მან იგრძნო ანა, რომელიც ნებელობის პატარა კვანძად გამონასკვულიყო სადღაც მუცელში. „ანა, ანა, მე - ანა ვარ, - იმეორებდა და იმეორებდა, - და ნებისმიერ შემთხვევაში არა მაქვს ავადმყოფობის უფლება. მე მყავს ჯენეტი. ხვალ შეიძლება გავქრე პირისაგან მიწისა და ეს ყველასთვის სულერთი იქნება, გარდა ჯენეტისა. მაშინ, რას წარმოვადგენ, ვინ ვარ? - რაღაც, რაცჯენეტს სჭირდება. მაგრამ ეს ხომ საშინელებაა“, - გაიფიქრა და შიში გაუძლიერდა, - ეს ცუდია ჯენეტისთვის. მაშ, სცადე კიდევ ერთხელ: ვინ ვარ მე, ანა?“ ახლა უკვე ჯენეტზე არ ფიქრობდა, მისგან თავი დაიფარა. ნაცვლად ამისა, წარმოიდგინა ოთახი, მოგრძო, ჩუმი და თეთრი; ფერადი რვეულები მაგიდაზე. დაინახა თავისი თავი, როგორ ზის უზურგო სკამზე და წერს, წერს; რაღაცას წერს ერთ-ერთ რვეულში, მერე გაავლებს სქელ ხაზს ან წაშლის დაწერილს; დაინახა გვერდები, რომლებიც

სხვადასხვა ხელწერით იყო აჭრელებული; ყველაფერი დანაწილებული, ფრჩხილებში ჩასმული, დამსხვრეული - თავი ცუდად იგრძნო, შეაქანა; მერე კი თავისი თავი კი აღარ დაინახა, არამედ ტომი: აი, დგას, ტუჩები მაგრად მოუკუმავს; ფურცლავს და ფურცლავს რვეულებს, სადაც ყველაფერი ესოდენ მეთოდურადაა დალაგებული, არსის მიხედვით.

ანამ თვალი გაახილა, შიშს გრძნობდა, თავბრუ ეხვეოდა, დაინახა მოზიმზიმე ჭერი, მსუბუქად რომ ირწეოდა, ერთმანეთში არეული სარეკლამო განცხადებები, დაცლილი სახეები, თვალებში ერთი სურვილი აქვთ - თავი შეიმაგრონ, როცა მატარებელს შეაქანებს. სახეები მისგან დაახლოებით ექვსი დუიმის დაშორებით; კანი მოყვითალო-მორუხო, დიდი ფორებით, პირი - უსუფთაო და ნოტიო. თვალები თვალებში დაჟინებით შეჰყურებენ. ანამ გაიფიქრა: „სანამ აქ ვიდექი, უკან თავგადაწეული, თვალდახუჭული, ჩემს სახეს ათვალიერებდა და წარმოიდგენდა, რომ ეს სახე მის ქვეშაა“. ცუდად გახდა; შებრუნდა; სხვა მხარეს გაიხედა. კაცის წყვეტილი სუნთქვა მის ლოყას სწვდებოდა. ჭუჭყის სუნი. კიდევ ორი გაჩერება. ანა ნელ-ნელა, მისხალ--მისხალ შორდებოდა მას, მატარებლის რწევასა და რხევაში არჩევდა მამაკაცის მოძრაობას, რომელიც ჯგრო ხალხში შეღწევას ცდილობდა, მასთან ახლოს უნდოდა მისვლა, სახე აღგზნებისგან მტკივნეულად ემანჭებოდა. მახინჯი იყო. „ღმერთო, რა მახინჯები არიან, რა მახინჯები ვართ“, - ფიქრობდა ანა და მისი სხეული, რომელსაც იმ მამაკაცის სხეულის სიახლოვე ემუქრებოდა, ზიზღისა და შიშისგან თრთოდა. თავის გაჩერებაზე ანა ხალხში წინ გაჭირვებით წაიწია, გარეთ, ბაქანზე გავიდა, მამაკაცი უკან მიჰყვა, ცდილობდა, ზურგზე მიკვროდა, ესკალატორზე მის უკან დადგა და ტურნიკეტისკენ მიმავალ რიგშიც. ანამ ბილე-

თი ჩააბარა და გაბრაზებით მიიხედა, როცა კაცმა უთხრა: „გინდა გავისეირნოთ?“ კაცი იკრიჭებოდა, ზეიმობდა; გონებაში უკვე მოიპოვა მასზე გამარჯვება, დაამცირა, სანამ ანა ვაგონში თვალდახუჭული იდგა. ანამ უთხრა „მომშორდი“; მიდიოდა და მიდიოდა, სანამ მიწისქვეშეთიდან გარეთ, ქუჩაში არ გააღწია. უცნობი ისევ კუდში მიჰყვებოდა. ანა შეშინდა და როდესაც შეშინდა, იმის გამო განცვიფრდა, თუ როგორ ძლიერ შეაშინა იმ კაცმა. „რა დამემართა? ასეთი რაღაცები ყოველდღე ხდება. ესაა სწორედ ცხოვრება დიდ ქალაქში, მე ეს არ მეხება“. არადა, ძლიერად შეეხო; ისევე ძლიერად, როგორც რიჩარდის აგრესიული მოთხოვნილება, დაემცირებინა იქ, კაბინეტში, ნახევარი საათის წინ. ანამ იცოდა, რომ კაცი უსიამოდ იღიმებოდა და უკან მიჰყვებოდა, და ძლივს იკავებდა თავს, თავქუდმოგლეჯილი რომ არ გაქცეულიყო, პანიკა ახრჩობდა. ანამ გაიფიქრა: „რომ შემეძლოს, შევხედო ან ხელი შევახო რაღაცას, რაც სიმახინჯე არაა“... ხილის გამყიდველის ურიკას მოჰკრა თვალი, ზედ ლამაზად, აკურატულად, მომცრო გორაკებად ნაყოფი დაეწყოთ: გარგარი, ატამი და ქლიავი. ანამ ხილი იყიდა: შეისუნთქა სუფთა, ცინცხალი არომატი, შეიგრძნო კანის სიგლუვე ან ხორკლიანობა. უკეთ იგრძნო თავი. პანიკამ გადაუარა. მამაკაცი, რომელიც აეკიდა, ახლა მის გვერდით იდგა, იცდიდა, იკრიჭებოდა; მაგრამ ახლა ანა მისთვის მიუწვდომელი იყო. ანამ ჩაუარა, მიუწვდომელმა.

ანას შინ მისვლა შეაგვიანდა, მაგრამ ამის გამო არ ღელავდა: აივორი სახლში უნდა ყოფილიყო. იმ ხნის განმავლობაში, რაც ტომიმ საავადმყოფოში გაატარა, ანა კი ძალზე ხშირად მოლისთან იყო, აივორი ჯენეტისა და მის ცხოვრებაში შემოვიდა. სანამ ანა საავადმყოფოში მორიგეობდა, გოგონა კინოში დაჰ-

ყავდა, გაკვეთილების მომზადებაში ეხმარებოდა, ეუბნებოდა ანას, არ ედარდა და რომ მისთვის ეს სულაც არაა ძნელი, რომ ძალიანაც სიამოვნებს ჯენეტის პატრონობა. მართლაც ასე იყო. და მაინც, ანას ეს ცვლილებები აფიქრებდა. საქმე აივორი კი არა, ჯენეტი იყო, რადგან აივორი გოგონასთან მეტად ადვილად და უბრალოდ, ძალზე ტაქტიანად და მომხიბლავად ურთიერთობდა.

ახლა, როდესაც ანა უსახურ კიბეზე ადიოდა თავის ბინაში, გაიფიქრა: „ჯენეტს მამაკაცი სჭირდება, მის ცხოვრებაში არაა მამაკაცი, გოგონას მამა სჭირდება. აივორს მშვენივრად შეეგუა, კეთილია და კარგი. და მაინც, რადგან ის მამაკაცი არაა - რისი თქმა მინდა, როცა ვამბობ: „ის მამაკაცი არაა?“ რიჩარდი - მამაკაცია, მაიკლი - მამაკაცია. აივორი კი, არა? კარგად მესმის, რომ „ნამდვილ მამაკაცთან“ უცილობლად იქნებოდა დაძაბულობისა და წინააღმდეგობის, გულის გახსნის არცთუ მარტივი მომენტი, რასაც აივორთან ურთიერთობისას არ შეიძლება მოხდეს; ეს იქნებოდა ცხოვრების ახალი მხარე, რომელიც ახლა დახშულია; და მაინც, აივორი ისეთი საყვარელია, როცა ჯენეტთანაა, მაშ, რას ვგულისხმობ „ნამდვილ მამაკაცში“? ჯენეტს ხომ ძალიან უყვარს აივორი. და ასევე, მისი მეგობარი რონი - ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს“.

დაახლოებით ერთი თვის წინ აივორმა ჰკითხა ბინის მეპატრონესა და დიასახლისს, შეიძლება ჩემმა მეგობარმა, რომელსაც ფული უჭირს და უმუშევარი დარჩა, ჩემთან იცხოვროსო. ანამ ასეთ შემთხვევებში მიღებული ყველა სიტყვა წარმოთქვა, შესთავაზა, ოთახში მეორე საწოლი დაედგათ და ასე შემდეგ. ორივე მხარემ თავისი როლები ითამაშა და რონი, უმუშევარი მსახიობი, აივორის ოთახსა და მის საწოლში შესახლდა, და

რადგანაც ანასთვის სულერთი იყო, არაფერი უთქვამს. ისე ჩანდა, რომ რონი მათთან ცხოვრებას აპირებდა, ვიდრე ანა არ გააგდებდა. ანა მიხვდა, რომ რონი ის საფასური იყო, რომელიც, აივორის აზრით, მას უნდა გადაეხადა ჯენეტთან ცოტა ხნის წინ დაწყებული მეგობრობის სანაცვლოდ.

რონი შავგვრემანი, გრაციოზული ყმაწვილი გახლდათ, საგულდაგულოდ დაწყობილი თმა და ქათქათა თეთრი კბილები ჰქონდა, გაღიმებისას რომ აჩენდა. ღიმილს ყოველ ჯერზე გააზრებულად და გულდასმით გამოსახავდა. ანას არ მოსწონდა, მაგრამ რადგან აცნობიერებდა, რომ უფრო მეტად მისი ტიპაჟი არ მოსწონდა და არა თვითონ, პიროვნულად, ემოციას იხშობდა. რონიც მშვენივრად შეეწყო ჯენეტს, მაგრამ აივორისგან განსხვავებით, მთელი გულით კი არა, არამედ ანგარებით. შესაძლოა, აივორთან მის ურთიერთობასაც ანგარება ედო საფუძვლად. ეს ანას არ აღელვებდა და არც ჯენეტისთვის ხედავდა რაიმე საფრთხეს, რადგან აივორს ენდობოდა, იცოდა, რომ ის ბავშვს არასოდეს და არანაირად არ მოჰგვრიდა შოკს. და მაინც ვერ გრძნობდა თავს მშვიდად. ვთქვათ, მე მეცხოვრა კაცთან - „ნამდვილ მამაკაცთან“ - ანდა მყოლოდა ქმარი. ჯენეტისთვის ეს ერთგვარად დაძაბულობის გამომწვევი იქნებოდა, უეჭველად. დროდადრო ჯენეტი მისით ძალზე უკმაყოფილო იქნებოდა, იძულებული გახდებოდა, ესწავლა მისი მიღება, მასთან საერთო ენის გამონახვა. და მისი უკმაყოფილება სწორედ მის სქესთან იქნებოდა დაკავშირებული, იმასთან, რომ მამაკაცია. და თუნდაც აქ ეცხოვრა მამაკაცს, რომელთანაც მე არ მძინავს, ან არ მინდა, მეძინოს, თვით ის ფაქტი, რომ იგი „ნამდვილი მამაკაცია“, გამოიწვევდა დაძაბულობას, საპირწონეს როლს შეასრულებდა. მაშ, რა გამოდის? მაშინ რატომ მგონია, რომ სახლში

ნამდვილი მამაკაცი უნდა მყავდეს და ეს უკეთესი იქნება ჯენეტისთვის, ჩემზე რომ არაფერი ვთქვათ, და არა ეს მომხიბლავი ყმაწვილი, სახელად აივორი? მინდა კი იმის თქმა და ვუშვებ კი იმ აზრს (და ყველას კი მიაჩნია ასე?), რომ ბავშვის ნორმალურად განვითარებისთვის დაძაბულობაა საჭირო? მაგრამ რატომ? და მაინც, ეჭვგარეშეა, მე ვგრძნობ, რომ ასეა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ვიგრძნობდი თავს უხერხულად, როცა ვუყურებ, როგორ ურთიერთობს აივორი ჯენეტთან, ის ხომ თითქოსდა დიდი, კეთილი ნაგაზია, ან რაღაც მსგავსი უვნებელი უფროსი ძმისა, - მე ვხმარობ სიტყვა „უვნებელს“. ზიზღი. მე ვგრძნობ ზიზღს. მე უნდა მეზიზღებოდეს ჩემი თავი ასეთი გრძნობების გამო. ნამდვილი მამაკაცი რიჩარდია? მაიკლი? ისინი თავის ბავშვებს სულაც არ ექცევიან კარგად. თუმცა, მაინც არ არის არავითარი ეჭვი, რომ ეს მათი თვისება - ანუ ის, რომ მათ ქალები მოსწონთ და არა მამაკაცები - ჯენეტს უფრო დიდ სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ის, რაც აივორს შეუძლია შესთავაზოს.

ანა, როგორც იქნა, თავის გაწკრიალებულ ოთახში აღმოჩნდა, უკან მოიტოვა ბნელი და მტვრიანი კიბე, და თავს ზემოთ აივორის ხმა გაიგონა. ჯენეტს წიგნს უკითხავდა. ანამ ჩაუარა დიდი ოთახის კარს, აძვრა თეთრ კიბეზე და დაინახა ჯენეტი, - გოგონა, რომელიც უფრო შავთმიან ონავარ ბიჭს ჩამოჰგავდა, საწოლზე იჯდა მუხლმოკეცილი, დაინახა აივორი, - შავგვრემანი, გაბურძგნილი და კეთილმოსურნე, რომელიც საწოლის გვერდით იატაკზე იჯდა. აივორს მაღლა აწეულ ხელში წიგნი ეჭირა და უკითხავდა. წიგნში მოქმედება გოგონების სკოლაში ხდებოდა. მეტად გამომსახველად კითხულობდა. ჯენეტმა თავი გააქნია, დედას მიანიშნა, რომ აივორისთვის სიტყვა არ გაეწყვეტინებინაა. აივორმა, რომელიც კითხვისას მეორე ხელს ისე იქ-

ნევდა, თითქოს დირიჟორის ჯოხი უჭირავსო, ანას თვალი ჩაუკრა და ხმა აიმაღლა:

- „და ბეტი ჰოკეის გუნდში ჩაეწერა. მიიღებენ კი? გაუღიმებს კი ბედი?“

მერე ანას თავისი ჩვეული ხმით უთხრა:

- დაგიძახებთ, როცა დავამთავრებთ.

და განაგრძო:

- „გადაწყვეტილება მისის ჯექსონს უნდა მიეღო. ბეტი ღელავდა: ნეტავ გულწრფელად ელაპარაკებოდა თუ არა მისის ჯექსონი, როდესაც ოთხშაბათს, მატჩის მერე, წარმატება უსურვა? მართლა უსურვა თუ არა წარმატება?“

ანა ერთხანს კარს უკან იდგა და აყურადებდა: აივორის ხმაში რაღაც ახალი გაჩნდა: დაცინვის კილო. დასცინოდა გოგონების სკოლას, ქალების სამყაროს და არა მოთხრობის აბსურდულობას; ეს დაცინვის კილო მას მერე გაუჩნდა, რაც მიხვდა, რომ ანა უსმენდა. თუმცა, ამაში ახალი არაფერი იყო; ეს ანასთვის კარგად ნაცნობი გახლდათ. რადგან დაცინვა, ჰომოსექსუალისტების თავდაცვის იარაღი, სხვა არაფერი იყო, თუ არა მეტისმეტი თავაზიანობა, რაც დამახასიათებელია „ნამდვილი“ მამაკაცისთვის, „ნორმალური“ მამაკაცისთვის, რომელსაც სურს, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ქალთან ურთიერთობის საზღვრები დაადგინოს. როგორც წესი, გაუცნობიერებლად. მას ცივი, „ალმაცერი“ გრძნობა ამოძრავებდა, ზუსტად ისეთივე, ოღონდ ერთი ნაბიჯით შორს წასული; გრადუსი აწეული გახლდათ, არსი კი იგივე იყო. ანამ შეღებულ კარში შეიხედა და დაინახა, რომ ქალიშვილს სახეზე აღტაცებული ღიმილი დასთამაშებდა, თუმცა, თან უხერხულ გაოცებასაც გრძნობდა. მან აივორის ინტონაციაში დაცინვა დაიჭირა და მიხვდა, რომ და-

ცინვა მისკენ იყო მიმართული - ქალთა სქესის წარმომადგენელზე. ანამ ქალიშვილს გონებაში თანაგრძნობით აღსავსე შეტყობინება გაუგზავნა: „რას იზამ, ჩემო საწყალო გოგონა, გირჩევნია, ახლავე შეეჩვიო ამას, რაც შეიძლება ადრე, რადგან მოგიწევს ცხოვრება ამ სამყაროში, სადაც ძალიან ბევრია მსგავსი რაღაც“. მაგრამ ახლა, როცა ანამ დატოვა მოქმედების ასპარეზი, აივორის ხმა ისევ ფორმალურად აჟღერდა, პაროდიული ნოტები გაქრა.

იმ ოთახის კარიც, სადაც აივორი და რონი ცხოვრობდნენ, შეღებული გახლდათ. რონი მღეროდა, ასევე, პაროდიულად. ეს იყო პოპულარული სიმღერა, რომელსაც ყოველ კუთხეში გაიგონებდი, ერთგვარი სასიყვარულო მოთქმა-ჩივილი.

- „ჩემო ძვირფასო, შემიყვარე ჩქარა, ჩემო ძვირფასო, მომეხვიე ჩქარა, მე და შენ საჩხუბარი რა გვაქვს, მე და შენ საკოცნელი გვაქვს“... - რონიც „ნორმალურ“ სიყვარულს დასცინოდა და ამას აკეთებდა აშკარად ვულგარულად, ბულვარულად, იქედნურად.

ანამ გაიფიქრა: „რას ეფუძნება ჩემი ვარაუდი, რომ ეს ყველაფერი ჯენეტზე არ იმოქმედებს? რატომ ვარ დარწმუნებული, რომ ბავშვები მავნე გავლენას არ ექვემდებარებიან? ყველაფერი დაიყვანება იმაზე, რომ დარწმუნებული ვარ, ჩემი გავლენა, ჩემი ჯანსაღი გავლენა, მათ გავლენას გადაწონის. მაგრამ რატომ ვარ დარწმუნებული?“ კიბისკენ მიბრუნდა, ქვევით ჩასვლა დააპირა. სიმღერა შეწყდა, რონიმ ოთახიდან თავი გამოყო. მომხიბლავი, საგულდაგულოდ დავარცხნილი, ახალგაზრდა ქალიშვილის თავი, ბიჭს რომ მიაგავს. უსიამოდ იღიმებოდა. მთელი ძალ-ღონით ცდილობდა, ეჩვენებინა, ვიცი, ბინის მეპატრონე მალულად რომ მითვალთვალებსო; ერთ-ერთი მისი თვისება,

რომელიც ანას აღიზიანებდა, ეს იყო: რონის თავისთავად ცხად ფაქტად მიაჩნდა, რომ რაც უნდა ეკეთებინათ ადამიანებს, რაც უნდა ელაპარაკათ, ეს ყოველთვის უშუალოდ მას ეხებოდა; ერთი წამითაც არ გაძლევდა საშუალებას, დაგვიწყებოდა. ანამ თავი დაუკრა. გაიფიქრა: „ამ ორის გამო საკუთარ სახლში თავისუფლად ყოფნაც კი აღარ შემიძლია. საკუთარ ბინაში იძულებული ვარ, მუდმივად თავდაცვით პიზიციებზე ვიდგე“.

რონიმ ამჯერად გადაწყვიტა თავისი უკეთური გრძნობები არ გამოეჩინა, ოთახიდან გამოვიდა და კართან თავისუფალ პოზაში დადგა, ცალი ფეხი გვერდზე გასწია.

- საოცარია, ანა, ვერც კი წარმოვიდგენდი, „ბავშვის საათისგან“ სიამოვნებას თუ თქვენც იღებდით.

- უბრალოდ ზემოთ ავედი, მათთვის რომ დამეხედა, - მოუჭრა ანამ.

ახლა რონი მომხიბლაობის განსახიერებად იქცა. მომხიბლაობისა, წინ რომ ვერავინ აღუდგება.

- რა შესანიშნავი ბავშვია ეს თქვენი ჯენეტი.

რონის გაახსენდა, რომ აქ უფასოდ ცხოვრობს და ანას კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული. ის ახლა ზუსტად ისე გამოიყურებოდა, - დიახ, ანამ სწორედ ეს გაიფიქრა, - როგორც კარგად აღზრდილი ქალიშვილი, რომელსაც იმდენად უზადო მანერები აქვს, რომ უკვე თითქმის აუტანელია. „შენ ნამდვილი jeune fille ხარ, აი, ვინ“, - უხმოდ უთხრა ანამ და გაუღიმა, ღიმილში კი შეეცადა ეს აზრი ჩაექსოვა: „ვერ გამაბრიყვებ, ნურას უკაცრავად“. ანა კიბეზე დაეშვა, მაგრამ უკან მოიხედა და დაინახა, რომ რონი ისევ ისე იდგა კედელთან, თუმცა, მას აღარ უყურებდა, კედელს მიშტერებოდა. მის მომხიბლავ, მეტისმეტად აკურატულ სახეზე უძლურება გამოისახა. შიშისგან იყო დაძაბუ-

ნებული. „ღმერთო ჩემო, - გაიფიქრა ანამ, - წინასწარ ვხვდები, რა მოხდება ცოტა ხანში. მინდა, აქედან წავიდეს, მაგრამ არ მეყოფა ძალა, რომ გავაგდო, რადგან თუკი სიფრთხილე დავივიწყე, შემეცოდება“.

სამზარეულოში შევიდა და ჭიქა აუჩქარებლად აავსო წყლით, უყურებდა წყლის ჭავლს, უსმენდა, როგორ ჩხრიალებდა, ეს გრილი ხმა სჭირდებოდა. წყალი ისე გამოიყენა, როგორც ცოტა ხნის წინ ხილი: რომ დამშვიდებულიყო, თავი რომ დაერწმუნებინა, ყველაფერი შეიძლება ნორმალურად იყოსო. და მაინც ვერ თავისუფლდებოდა ამ აზრისგან: „მე წონასწორობა დავკარგე, მე კალაპოტიდან ამოვვარდი. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამ ბინაში ჰაერი მოწამლულია, რომ აქ ყველაფერი გამსჭვალულია გაუკუღმართებითა და საზიზღარი ბოღმით, მაგრამ ეს სისულელეა. სიმართლე კი ისაა, რომ ყველაფერი, რაც ახლა თავში მომდის, ყველა აზრი ყალბია. ვგრძნობ, რომ ასეა... მაგრამ მაინც ამ აზრებით ვიცავ თავს. მაგრამ რისგან ვიცავ?“ ისევ შეუძლოდ იგრძნო თავი, შეეშინდა, ისევე, როგორც მეტროში ყოფნისას. გაიფიქრა: „უნდა შევწყვიტო ეს ყველაფერი, უბრალოდ ვალდებული ვარ, ეს გავაკეთო“, - თუმცა, თავის თავსაც ვერ უხსნიდა, რა უნდა შეეწყვიტა. ანამ გაიფიქრა: „მეორე ოთახში გავალ, ცოტა ხანი დავჯდები და“... - აზრის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა, რადგან მის გონებაში ცხადად გამოიკვეთა გამომშრალი ჭის სახება, რომელშიც წყალი კი გროვდება, ოღონდ ძალიან ნელა. „აი, რაშია ჩემი პრობლემა - დავშრი. დავცარიელდი. რაღაც გარეშე წყარო უნდა მოვძებნო, თორემ“... დიდი ოთახის კარი შეაღო, იქ კი - სინათლის წყაროსგან მოშორებით - თვალში შეეჩეხა ქალის მსხვილი სილუეტი, რომელშიც იყო რაღაც შემაშინებელი. ანამ შეჰკივლა: „ვინ ხარ?“ - და ჩამრთველს

თითი დააჭირა, სილუეტმა შუქის ზემოქმედებით ფორმა მიიღო და პიროვნებად იქცა.

- ღმერთო ჩემო, ეს შენ ხარ, მარიონ? - ანა ძალაუნებურად გაღიზიანებითა და გაბრაზებით ლაპარაკობდა. თავისი შეცდომის გამო შერცხვა და მარიონს ყურადღებით დააკვირდა, რადგან ამ ქალთან მრავალი წლის ურთიერთობის განმავლობაში მიეჩვია აზრს, რომ იგი სიბრალულსა და თანაგრძნობას იწვევდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - შიშს. და სანამ ანა მარიონს უყურებდა, ასევე ხედავდა იმ პროცესსაც, რომელიც თვით მასში მიმდინარეობდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ბოლო ხანს დღეში რამდენჯერმე უწევდა მისი ყველა სტადიის გავლა; ყურადღება მოიკრიბა, დაიძაბა; და რადგან ესოდენ დაღლილი გახლდათ, რადგან „ჭა დაშრა“, მან თავისი გონება, ეს მომცრო, კრიტიკული, მშრალი მექანიზმი, საბრძოლველად მოამზადა. ეს ფიზიკურადაც კი შეეძლო ეგრძნო: დიახ, მისი გონება - იქ, მუშაობისას, მშვენივრადაა გავარჯიშებული, შეუძლია დაიცვას იგი - მისი გონება მანქანაა, ერთგვარი მექანიზმი. და გაიფიქრა: „დიახ, ჩემი გონება ერთადერთი ბარიერია ჩემსა და ჩემს, - თუმცა, ამჯერად მან ბოლომდე მიიყვანა წინადადება, იცოდა, როგორ უნდა დაესრულებინა ის, - ჩემსა და ჩემს სიგიჟეს, ნაწილებად დაშლას შორის, დიახ“.

მარიონმა ჩაილაპარაკა:

- ბოდიშს ვიხდი, თუ უნებლიეთ შეგაშინე. ზემოთ ავედი და გავიგონე, რომ შენი ახალგაზრდა კაცი წიგნს უკითხავდა ჯენეტს და ხელი აღარ შევუშალე. და გავიფიქრე, რა სასიამოვნო იქნება, თუკი დავჯდები და დაველოდები-მეთქი ასე, სიბნელეში.

ანამ ყურადღება მიაქცია, მარიონმა ეს სიტყვები, „შენი ახალგაზრდა კაცი“, როგორ წარმოთქვა, დატკბილული კეკლუ-

ცობით (თითქოსდა მაღალი საზოგადოების მატრონას უნდა ახალგაზრდა ქალს ასიამოვნოსო) და გაიფიქრა, საკმარისია, მარიონი შეხვდეს, რომ ეგრევე, რამდენიმე წუთის შემდეგ, რაღაც მსგავსი ფრაზა გაიელვებს ხოლმე, რაც ძალიან მოქმედებს ნერვებზე; და შეგნებულად გაიხსენა, რომ არსებობს სამყარო, სადაც აღიზარდა მარიონი, საიდანაც გამოვიდა. ანამ უთხრა:

- მაპატიე უკმეხი ტონი. გადავიღალე. პიკის საათში მოვხვდი.

ფარდებს სწევდა და ამით თავის ოთახს მშვიდ სიმკაცრეს უბრუნებდა, რათა ამაში საყრდენი ეპოვა.

- ანა, რა განებივრებული ხარ! ჩვენ, საწყალ, უბრალო ადამიანებს ეგეთ რაღაცებთან ყოველდღე გვიხდება გამკლავება.

ანამ განცვიფრებით შეხედა მარიონს, რომელიც ცხოვრებაში არასოდეს, ერთხელაც კი არ ყოფილა იძულებული, გამკლავებოდა ისეთ უბრალო რაღაცას, როგორიცაა პიკის საათი. დაინახა მარიონის სახე, უცოდველი, აღტაცებული, თვალები უბრწყინავდა. და უთხრა:

- დალევა მომიხდება. შენც გინდა? - უცებ ყველაფერი გაახსენდა, მერე გაუხარდა, რომ დავიწყებული ჰქონია და გულწრფელად, სასხვათაშორისოდ შესთავაზა მარიონს სასმელი, რაზეც მან მიუგო:

- ოჰ, კი, მეც მინდა ცოტა დავლიო. ტომი ამბობს, რომ უფრო სწორი იქნება, თუკი მე ცოტ-ცოტას დავლევ, როგორც ყველა, ვიდრე საერთოდ ავიკრძალო. ამბობს, რომ ეს უფრო ვაჟკაცურია. როგორ ფიქრობ, მართალია? მგონი, კი, დიახ, მგონია, რომ ის ძალიან ჭკვიანიცაა და ძალიან ძლიერიც.

- კი მაგრამ, ამის გაკეთება, ალბათ, ძალიან ძნელია.

ანა მარიონთან ზურგშექცევით ვისკის ჭიქებში ასხამდა და ფიქრობდა: „აქ იმიტომაა, იცის, ეს-ესაა რიჩარდს რომ შევხვდი? და თუკი მისი ვიზიტის მიზეზი სხვა რამეა, მაშინ, რა?“

ანამ უთხრა:

- ეს-ესაა რიჩარდს შევხვდი.

მარიონმა ჭიქა ვისკი აიღო, წინ დაიდგა და სრულიად გულწრფელი სიმშვიდით ჩაილაპარაკა:

- ჰოო? რა გასაკვირია, თქვენ ხომ ძველისძველი მეგობრები ხართ.

ამ სიტყვების - „ძველისძველი მეგობრები“ - გაგონებისას ანამ ძლივს შეიკავა თავი, სკეპტიკურად რომ არ დამანჭულიყო; შეშფოთებით გააცნობიერა, რომ უფრო და უფრო ღიზიანდებოდა; ცივი გონება სრულად აამუშავა და გაიგონა, აივორი ზემოთ როგორ იჭაჭებოდა: „დაარტყი! დაარტყი!“ - აყვირდა ორმოცდაათი ბავშვი და ბეტი ისე გაქანდა მოედანზე, თითქოს მისი სიცოცხლე ამ დარტყმაზე იყო დამოკიდებული. მთელი ძალით დაარტყა და გოლი გაიტანა! გამოუვიდა! როგორი სიხარული იყო! ჰაერი ზანზარებდა მისი მეგობრების ყიჟინისგან, ნორჩი, ძლიერი ხმებისგან. ბეტი მეგობრებს სიხარულისგან ცრემლმორეული შესცქეროდა“.

- ეს მშვენიერი მოთხრობები მოსწავლეთათვის ისე მიყვარდა, როცა პატარა ვიყავი, - ჩაილაპარაკა მარიონმა და პატარა გოგონასავით გაიპრანჭა.

- მე კი ასეთებზე გული მერევა.

- ჰოო, შენ ხომ ყოველთვის ინტელექტუალური გოგონა იყავი.

ანა ჩამოჯდა ვისკის ჭიქით ხელში და მარიონს დააკვირდა. ყავისფერი, ძვირფასი კოსტიუმი ეცა, როგორც ჩანს, ახალშეძე-

ნილი. შავი, ოდნავ შევერცხლილი თმა აკურატულად დაევარ-ცხნა. წაბლისფერი თვალები უელავდა, ლოყები ვარდისფერი ჰქონდა. ასე შეიძლება გამოიყურებოდეს ბედნიერი ცოლი და დედა, გაფურჩქნილი და ენერგიული მატრონა.

- ჰოდა, რატომ მოვედი შენთან, - თქვა მარიონმა, - ეს ტომის იდეაა. ანა, შენი დახმარება გვჭირდება. ტომის თავში მშვენიერი აზრი მოუვიდა, მე მართლა მიმაჩნია, რომ ძალიან ჭკვიანი და კარგი ბიჭია და ორივემ გადავწყვიტეთ, რომ შენ უნდა მოგმარ-თოთ.

ამ სიტყვებით მარიონმა ვისკი მოსვა, დაიმანჭა, აქაოდა, არ მესიამოვნაო, ჭიქა გვერდით გადადგა და ისევ აჟღურტულდა.

- ტომის გამოისობით მივხვდი, რაოდენ გაუნათლებელი ვარ. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გაზეთებს ვუკითხავდი. წინათ საერთოდ არაფერს ვკითხულობდი. ყველაფერში ისე კარგად ერკვევა, ყველაფერს ისე კარგად მიხსნის, მართლა ახალ ადა-მიანად ვგრძნობ თავს და ისე მრცხვენია, რომ წინათ მხოლოდ საკუთარი საფიქრალი და პრობლემები მაწუხებდა.

- რიჩარდმა ჩემთან საუბარში ახსენა, რომ პოლიტიკამ გაგი-ტაცა.

- ჰო, კი, ეგრეა და თვითონ საშინლად ბრაზობს, დედაჩემი და ჩემი დებიც ცოფს ყრიან.

ცელქი გოგონა - იჯდა და იღიმებოდა, როგორც ცელქი გო-გონა, კეკლუცად მოეკუმა ტუჩები და ცალი თვალით დამნაშავე-სავით გახედავდა ხოლმე ანას.

- შემიძლია წარმოვიდგინო.

მარიონის დედა გენერლის ქვრივი გახლდათ, დები - მაღალი წოდების ქალბატონები და ანა ხვდებოდა, რამდენად სიამოვნებ-და მარიონს მათი გაცოფება.

- მაგრამ მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ ეგეთ რაღაცებზე ისევე, როგორც მე არ მქონდა მანამ, სანამ ტომიმ არ ამიხსნა. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ იმ მომენტიდან დავიწყე ნამდვილი ცხოვრება. თითქოს ხელახლა დავიბადე.

- ასეც გამოიყურები.

- კი, ვიცი. ანა, დღეს შეხვდი რიჩარდს?

- კი, მასთან, ოფსში.

- გაყრა ახსენა? ამას იმიტომ გეკითხები, რომ თუკი ახსენა შენთან საუბარში, მაშინ, ალბათ, სერიოზულად უნდა მივიღო მისი სიტყვები. მუდმივად რაღაცას მეუბნება, მაშინებს - ეს ძალიან უყვარს. ამიტომაც აღარ ვუყურებ ამას სერიოზულად. მაგრამ თუკი მართლა ლაპარაკობს ამაზე, მგონი, მე და ტომიმ სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ მის სიტყვებს.

- ვფიქრობ, მდივანი ქალის ცოლად შერთვა უნდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს.

- ნახე? - იკითხა მარიონმა ცელქი გოგონას გამომეტყველებით და არაორაზროვნად ჩაიქირქილა.

- კი.

- ვერაფერი შეამჩნიე?

- რომ ისე გამოიყურება, როგორც შენ მის ასაკში?

- დიახ, - მარიონმა ისევ ჩაიქირქილა, - განა ეს სასაცილო არ არის?

- თუ შენ ასე მიგაჩნია, მაშინ კი, სასაცილოა.

- დიახ, ასე მიმაჩნია, - მარიონმა უეცრად ამოიოხრა და სახის გამომეტყველება შეეცვალა. ანას თვალწინ პატარა ცელქი გოგონადან დაღვრემილ, პირქუშ ქალად გადაიქცა.

- ნუთუ ვერ ხვდები, რომ იძულებული ვარ, მივიჩნიო ეს სასაცილოდ?

- კი, ვხვდები.

- ეს მოხდა ერთხელ დილით, მოულოდნელად, საუზმისას. რიჩარდი ამ დროს ყოველთვის აუტანელია. დილაობით, როგორც წესი, საზიზღარ ხასიათზეა და ვერაფერს მოაწონებ, მუდმივად ფუჭ შენიშვნებს მაძლევს, მეჩხუბება. მაგრამ, იცი, რა არის საინტერესო? ყოველთვის ვაძლევდი ამის უფლებას. მაინც რატომ? და სულ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, შენიშვნებს მაძლევდა, მეჩხუბებოდა იმის გამო, რომ ასე ხშირად დავდივარ ტომის სანახავად. და უეცრად რაღაც მომივიდა, გამოცხადების მსგავსი, გონება გამინათდა. კი, კი, ანა, სწორედ ასე იყო. ლამის ხტუნვა-ხტუნვით სცემდა ბოლთას ოთახში, სადაც, ჩვეულებრივ, ვსაუზმობთ ხოლმე. სახე გასწითლებოდა. საძაგელ ხასიათზე იყო. მე კი ვუსმენდი, ვუსმენდი მის ხმას. საზიზღარი ხმა აქვს, არა? ყოველთვის საზიზღრად ლაპარაკობს, არა?

- კი, ეგრეა.

- და, აი, გავიფიქრე, - ო, ანა, ნეტა კი შემეძლოს ამის ახსნა, ეს ნამდვილი გამოცხადება იყო, - გავიფიქრე: უკვე მრავალი წელია მისი ცოლი ვარ და ამ დროის განმავლობაში მე შეფუთული, შეჩურთული ვარ მასში. ქალებს ასე ხშირად ემართებათ, არა? მუდამ მასზე ვფიქრობდი, მხოლოდ მასზე და მეტი არავისზე. ყოველღამ, მრავალი წლის განმავლობაში ძილის წინ ვტიროდი ხოლმე, ვტიროდი, ვიდრე არ დამეძინებოდა. ვუწყობდი სცენებს, ნამდვილი შტერი ქალივით ვიქცეოდი, ვიტანჯებოდი... და ახლა ისმის კითხვა - რისთვის? ანა, მე სერიოზულად ვლაპარაკობ.

ანამ გაიღიმა და მარიონმა განაგრძო:

- საქმე ისაა, რომ სინამდვილეში განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს. ასე არ არის? სიმპათიურსაც ვერ უწოდებ. ვერც

იმას იტყვი, ძალიან ჭკვიანიაო. ის არ მაინტერესებს, რომ ასეთი დიდი ბობოლაა ბიზნესში და ასე შემდეგ. ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობ?

- კი, მერე?

- ჰოდა, გავიფიქრე: აი, ამ არსებას შევწირე მთელი ჩემი ცხოვრება-მეთქი. ცხადად მახსოვს ის მომენტი. სუფრასთან ვიჯექი, ვსაუზმობდით, ხალვათად მეცვა, პერანგი, რომელიც იმიტომ ვიყიდე, მისთვის თავი რომ მომეწონებინა. როდესაც ასე ვიცვამ - ხო გესმის, ეს ყვავილები და ყველაფერი... მოსწონს, უფრო ზუსტად, წინათ მოსწონდა, როდესაც ასე ვიცვამდი. მე კი ასეთი რამეები ყოველთვის მძულდა. ჰოდა, გავიფიქრე, მრავალი წელია ვიცვამ ტანსაცმელს, რომელსაც ვერ ვიტან და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ ამ არსებას ვასიამოვნო-- მეთქი.

ანას გაეცინა. მარიონიც იცინოდა, მის სიმპათიურ, ცოცხალ სახეზე ირონია და თვითკრიტიკული დამოკიდებულება იკითხებოდა, თვალები კი სევდიანი და მართალი ჰქონდა.

- ეს დამამცირებელია, არა, ანა?

- კი, დამამცირებელია.

- შემიძლია ნაძლევს ჩამოვიდე, რომ ასე შტერულად არასოდეს მოქცეულხარ ვიღაც სულელი კაცის გამო. შენ საამისოდ მეტისმეტად ჭკვიანი ხარ.

- ეს შენ ფიქრობ ასე, - მოუჭრა ანამ და იმავე წამს ინანა, რომ ასე თქვა, მარიონისთვის მნიშვნელოვანი იყო ანაში თვითკმარი, შეუვალი ქალის დანახვა.

მარიონმა მისი ნათქვამი ვერ გაიგონა, თავისას აგრძელებდა დაჟინებით:

- დიახ, შენ საღი აზროვნების უნარი მოჭარბებულად გაქვს და სწორედ ამიტომაც ვარ შენით აღფრთოვანებული.

მარიონს თითები დაეძაბა, ვისკის ჭიქას მაგრად მოუჭირა. ყლუპი ხარბად მოსვა, მერე კიდევ ერთი და კიდევ, - ანამ აიძულა თავს, განზე გაეხედა. ახლა მარიონს აღარ უყურებდა, მხოლოდ ხმას უსმენდა:

- მერე კიდევ, აი, ის გოგო ავიღოთ, ჯინი. პირველად რომ ვნახე, ესეც გამოცხადებასავით იყო. რიჩარდი ამბობს, მიყვარსო. მაგრამ სინამდვილეში ვინ უყვარს, ჯერ კიდევ საკითხავია. მას უბრალოდ ქალის ერთი ტიპი უყვარს. ეს ძალიან ახურუშებს.

ეს უხეში გამოთქმა - „ეს ძალიან ახურუშებს“ - მარიონისგან მოულოდნელი იყო და ამან ანა აიძულა, ისევ შეეხედა მისთვის. მარიონი სავარძელში იჯდა, გაჭიმული, უძრავი, მისი ხორცსავსე სხეული დაძაბულიყო, ტუჩები მაგრად მოეკუმა, ხელებს მთელი ძალით უჭერდა ცარიელ ჭიქას, რომელშიც დროდადრო ხარბად იხედებოდა.

- მაშ, რა სიყვარულია ეს? მას არასოდეს ვუყვარდი. მას ტანსრული, წაბლისფერთმიანი და დიდმკერდიანი ქალიშვილები უყვარს. ახალგაზრდობაში მაგარი ბიუსტი მქონდა.

- „წაბლისფერთმიანი ქალიშვილი“, - ჩაილაპარაკა ანამ, ყურადღებით უყურებდა, რა ხარბად ჩასჭიდებოდა მარიონი ცარიელ ჭიქას.

- დიახ. ასე რომ, პირადად მე ეს არ მეხება. აი, რა დასკვნა გამოვიტანე. სავსებით შესაძლებელია, სრულიადაც არ მიცნობს. მაშ, რატომ ვლაპარაკობთ სიყვარულზე?

მარიონმა გაიცინა, ოღონდ ძალისძალად. თავი უკან გადააგდო და ასე იჯდა, თვალმოხუჭული: ქუთუთოებს ისე მაგრად უჭერდა, რომ წამწამები უკრთოდა, უეცრად მოშვებულ ლოყებს

უჩრდილავდა. მერე თვალები გაიხსნენ, ახამხამდნენ, რაღაცას დაუწყეს ძებნა; ვისკის ბოთლს ეძებდა, ანას სამუშაო მაგიდაზე რომ იდგა. „თუ კიდევ მთხოვს ვისკის, იძულებული ვიქნები, მივცე“, - გაიფიქრა ანამ. ანა ისე გრძნობდა თავს, თითქოს მთელი არსებით მონაწილეობდა იმ უხმო ბრძოლაში, რომელიც მარიონს საკუთარ თავთან გაემართა. მარიონმა თვალები დახუჭა, მძიმედ ამოიოხრა, გაახილა, ვისკის ბოთლს შეხედა. ცარიელი ჭიქა ხელში დაატრიალა და ისევ დახუჭა.

„სულერთია, - გაიფიქრა ანამ, - ჯობს, მარიონი ნამდვილი ლოთი იყოს, ოღონდ პიროვნული მთლიანობა შეინარჩუნოს. ეს სიმწარე და პირდაპირობა ჯობს, ვიდრე სიფხიზლე, თუკი ამ სიფხიზლის ფასად საზიზღარ, ცელქ და პრანჭია გოგოდ უნდა იქცეს“. დაძაბულობამ იმდენად მტკივნეულ მწვერვალს მიაღწია, რომ ანა უნებლიეთ შეეცადა, როგორმე მოდუნებულიყო.

- ტომის ჩემგან რა უნდოდა?

მარიონი წელში გასწორდა, ჭიქა გვერდზე გასწია და წამში ყოველმხრივ გულახდილი, ტრაგიზმით აღსავსე ქალი, მიტოვებული ქალი, პატარა გოგოდ გადაიქცა.

- აჰ, ისეთი მშვენიერია, ყველაფრით მშვენიერი, ანა. ვუთხარი, რომ რიჩარდს გაყრა უნდა და მან ისე მშვენივრად დაიჭირა თავი.

- და რა გითხრა?

- მითხრა, რომ სწორად უნდა მოვიქცე, მხოლოდ ის უნდა გავაკეთო, რაც მართლა სწორად მიმაჩნია, და რიჩარდს არ უნდა შევუწყო ხელი მის უგუნურ ვნებაში მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სულგრძელობად მიმაჩნია, ან იმიტომ, რომ კეთილშობილურად მოქცევა მინდა, რადგან ჩემი პირველი რეაქცია იყო - დიახ, მივცემ გაყრის უფლებას, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს? საკუთა-

რი ფული საკმარისად მაქვს, ეს არანაირი პრობლემა არ იქნება. მაგრამ ტომიმ თქვა, „არა“, მე რიჩარდის სიკეთეზე უნდა ვიფიქრო, ხანგრძლივ პერსპექტივაში. და ამიტომ ვალდებული ვარ, თავისი მოვალეობები შევახსენო.

- გასაგებია.

- ჰო. ტომის მეტად ცოცხალი აზროვნება აქვს. არადა, სულ რაღაც ოცდაერთი წლისაა. თუმცა, მგონი, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის საშინელებაც, რაც დაემართა, - ვგულისხმობ, რომ ეს ყველაფერი, რასაკვირველია, საშინელებაა, თუმცა, მიჭირს ამას ტრაგედია დავარქვა, რადგან ისე ვაჟკაცურად უჭირავს თავი, სულით არასოდეს ეცემა, და საერთოდ, მართლა არაჩვეულებრივი ადამიანია.

- კი, მგონი, მართალი ხარ.

- ჰოდა, ტომი მეუბნებოდა, რომ რიჩარდს არ უნდა მივაქციო ყურადღება, უბრალოდ იგნორირება გავუკეთო. სერიოზულად ვამბობ, მე ხომ ვაპირებ ცხოვრება უფრო არსებით რაღაცებს მივუძღვნა. და ამაში ტომი მიმართულებას მაძლევს. მე სხვებისთვის ვიცხოვრებ, ჩემი თავისთვის კი არა.

- კეთილი.

- აი, სწორედ ამიტომ შემოგირბინე. ტომისა და მე უნდა დაგვეხმარო.

- დიახ, სიამოვნებით. და რა უნდა გავაკეთო?

- გახსოვს შენი ის ნაცნობი, შავკანიანთა მოძრაობის წინამძღოლი? მგონი, მეთიუზი ჰქვია, არა?

ანა ამას ნამდვილად არ მოელოდა.

- ნუთუ ტომ მატლონგს გულისხმობ?

მარიონმა ბლოკნოტი და ფანქარი სერიოზული სახით ამოიღო, მოემზადა.

- კი. თუ შეიძლება, მომეცი მისი მისამართი.

- მაგრამ ის ხომ ციხეშია, - თქვა ანამ. ხმაში უძლურება შეეპარა. საკუთარ ხმაში პროტესტის სუსტი ნოტები გაარჩია და გააცნობიერა, რომ მხოლოდ უძლურებას კი არ გრძნობდა, არამედ შიშსაც. ეს სწორედ ის პანიკა გახლდათ, რომელიც ტომთან ურთიერთობისას ეუფლებოდა ხოლმე.

- ჰო, რა თქმა უნდა, ციხეშია, მაგრამ რა ჰქვია იმ ციხეს?

- კი მაგრამ, მარიონ, რის გაკეთებას აპირებთ?

- უკვე გითხარი, რომ აღარ ვაპირებ მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრებას. მინდა წერილი მივწერო საწყალს და გავარკვიო, რით შემიძლია დავეხმარო.

- კი მაგრამ, მარიონ... - ანამ მარიონს შეხედა, უნდოდა, აღედგინა კონტაქტი იმ ქალთან, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინ ელაპარაკებოდა. წაბლისფერი თვალების ალალ მზერას გადააწყდა, რომელშიც დამნაშავე, მაგრამ ბედნიერი ისტერია კიაფობდა. ანამ მტკიცედ გააგრძელა, - ეს ციხე მოწესრიგებული დაწესებულება არ გეგონოს, ეს არაა ბრიქსტონი ან რაღაც მსგავსი. შესაძლოა, სულაც ბარაკია, სადღაც ბუჩქნარში, ნებისმიერი დასახლებული პუნქტიდან ასობით მილის დაშორებით, სადაც ორმოცდაათიოდე პოლიტპატიმარი ჰყავთ დამწყვდეული, და სავსებით შესაძლებელია, წერილებს არც იღებენ. როგორ წარმოგიდგენია ეს? გგონია, აქვთ პაემნის დღეები, ტუსაღის უფლებები და ასე შემდეგ?

მარიონმა ტუჩები გაბუსხა და თქვა:

- მგონი, ეს დამღუპველი მიდგომაა, როგორ შეიძლება ასე მოეპყრა საწყლებს.

„დამღუპველი მიდგომა“ - ეს ტომისგანაა, კომუნისტებთან მისი ურთიერთობის გამოძახილი; აი, „საწყლები“ კი ნამდვი-

ლად მარიონისაა, ასი პროცენტით. ალბათ, დედამისი და დები თავიანთ გამონაცვალ ტანსაცმელს საქველმოქმედო ორგანიზაციებს აბარებენ“.

- მინდა ვთქვა, - გამოაცხადა მარიონმა ბედნიერი გამომეტყველებით, - ეს ხომ ბორკილდადებული კონტინენტია („ტრიბიუნი“, - გაიფიქრა ანამ, - ან შესაძლოა, „დეილი უორკერი“). და სანამ ჯერ კიდევ ძალიან გვიან არაა, დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები, რომ აფრიკელებს სამართლიანობის რწმენა აღვუდგინოთ („ნიუ სტეიტსმენი“, - გაიფიქრა ანამ). ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა გავერკვეთ შექმნილ სიტუაციაში, ყველას ინტერესების გათვალისწინებით („მანჩესტერ გარდიანი“ მწვავე კრიზისის პერიოდში). ანა, ვერ გამიგია შენი დამოკიდებულება. ხომ არ უარყოფ, რომ არსებობს აშკარა მტკიცებულებები იმისა, რომ დაშვებულ იქნა შეცდომები? („თაიმსი“, მოწინავე წერილი ერთი კვირის შემდეგ, რაც გახდა ცნობილი, რომ თეთრკანიანთა მთავრობამ გაუსამართლებლად დახვრიტა ოცი აფრიკელი, კიდევ ორმოცდაათი კი ციხეში ჩასვა).

- მარიონ, რამ მოგიარა?

მარიონი ანასკენ ნერვიულად გადაიხარა, ტუჩებს ილოკავდა, ნერვიულად ახამხამებდა თვალებს, მართალი ადამიანის გამომეტყველებით.

- მისმინე, თუკი თქვენ გინდათ მონაწილეობა მიიღოთ პოლიტიკურ ცხოვრებაში, აფრიკის პრობლემებზე იმუშაოთ, საამისოდ უამრავი ორგანიზაცია არსებობს, შეგიძლიათ ნებისმიერში შეხვიდეთ. და ტომიმ ეს მშვენივრად იცის.

- მაგრამ ის საწყლები, აბა, ისინი როგორ იქნებიან? - საყვედურით ჩაილაპარაკა მარიონმა.

ანამ გაიფიქრა, რომ უბედურ შემთხვევამდე ტომის პოლიტიკური განვითარება გაცილებით სცილდებოდა ისეთ ცნებას, როგორიცაა „საწყლები“, ასე რომ, ან გონება საფუძვლიანად დაუზიანდა, ან... ანა დადუმდა, პირველად დაფიქრდა იმაზე სერიოზულად, ტომის გონება მართლა ხომ არ აერიაო.

- ტომიმ გითხრა, აქ მოსულიყავი და მისტერ მატლონგის მისამართი გაგეგო? იმისთვის, რომ საწყალ პატიმრებს გაუგზავნოთ პროდუქტების ამანათები და სანუგეშო წერილები? ტომიმ მშვენივრად იცის, რომ ისინი ვერასოდეს მიაღწევენ ციხემდე, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ.

მარიონს წაბლისფერი თვალები უბრწყინავდა, ანას თვალებში უყურებდა, მაგრამ ვერ ხედავდა. მისი ღიმილი ეკუთვნოდა ვიღაც მომხიბლავ მეგობარს, რომელსაც იოლად ვერ დააბნევ.

- ტომი ამბობს, რომ შენი რჩევები ძალზე წაგვადგება და შეგვიძლია ერთადაც ვიმუშაოთ, ვიშრომოთ კეთილი საქმისთვის.

სურათი ნელ-ნელა გამოიკვეთა და ანა გაბრაზდა. ხმამაღლა კი ცივად თქვა:

- ბოლო წლებში ტომის სერიოზულად არასოდეს უხმარია გამოთქმა „კეთილი საქმე“. მხოლოდ ირონიულად. თუკი ასე ლაპარაკობს, ნიშნავს, რომ...

- ანა, ნუ იქნები ასეთი ცინიკური, ეს ხომ შენ არ გჩვევია.

- ნე დაგავიწყდება, რომ ჩვენ ყველას, ტომის ჩათვლით, წლების განმავლობაში კეთილი საქმეები თავზე საყრელად გვქონდა და შემიძლია დაგარწმუნო, ყოველ ჯერზე ასეთი მოწიწებით რომ გვეთქვა, „კეთილი საქმე“, ვერც ერთ წამოწყებას ბოლომდე ვერ მივიყვანდით.

მარიონი წამოდგა. გამომეტყველება მეტისმეტად დამნაშავე, ანცი ჰქონდა და ჩანდა, აღფრთოვანებული იყო თავისი თავით.

ახლა ანა ხვდებოდა, რომ ის და ტომი მასზე ლაპარაკობდნენ და მისი სულის გადარჩენა დაისახეს მიზნად. რატომ? ანა ძალიან, საოცრად ძლიერ გაბრაზდა. მისი განრისხება სრულიად შეუსაბამო იყო იმასთან, რაც ხდებოდა, ყველანაირ ზღვარს სცილდებოდა; ანა ამას მშვენივრად აცნობიერებდა და ამის გამო კიდევ უფრო მეტად იზაფრებოდა.

მარიონმა შეატყო გაცოფება და ამით კმაყოფილიც ჩანდა და დაბნეულიც. უთხრა:

- მაპატიე, რომ ასე აგანერვიულე არაფრის გამო.

- ეს არ არის არაფრის გამო. მისწერეთ მისტერ მატლონგს, ციხეების დეპარტამენტის მთავარი შტაბი, ჩრდილოეთი პროვანსი. ამ წერილს, ცხადია, არ მიიღებს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მთავარი ხომ თვით საქმის კეთების სურვილია, განა არა?

- აჰ, ანა, დიდი მადლობა, ძალიან დაგვეხმარე. ვიცოდით, რომ დაგვეხმარებოდი. გმადლობთ. ჩემი წასვლის დროა.

და მარიონმა დიდი სიფრთხილით დაიწყო კიბეზე ჩასვლა. ყოველი მოძრაობით დამნაშავე, მაგრამ ურჩ გოგონას მოგაგონებდათ. ანა უყურებდა და თავის თავს გვერდიდან ხედავდა; აი, დგას კიბის ბაქანზე - გულცივი, მკაცრი, კრიტიკული. როდესაც მარიონი თვალს მიეფარა, ანა ტელეფონთან მივიდა და ტომის დაურეკა.

დაახლოებით ნახევარი მილის მანძილიდან, რაც მათ ყოფდა, ტომის ხმა მოესმა, - დინჯი, ოფიციალური:

- ორი ნული, ხუთი, ექვსი, შვიდი, გისმენთ.

- ანა ვარ. ჩემთან მარიონი იყო და ეს-ესაა წავიდა. მითხარი, მართლა შენი იდეაა, იშვილოთ აფრიკელი პოლიტპატიმრები ეპისტოლარული მეთოდებით? თუ ასეა, მაშინ უკაცრავად, მაგრამ იძულებული ვიქნები, ვივარაუდო, რომ ცოტა აურიე.

ხანმოკლე პაუზა.

- მოხარული ვარ, რომ დამირეკე, ანა. მგონი, ეს სარგებლობას მოიტანს.

- ვის მოუტანს? საწყალ ტუსაღებს?

- თუკი ბოლომდე გულახდილი ვიქნებით, ეს მარიონს არგებს. არ მეთანხმები? ვფიქრობ, გარე სამყაროში რაღაცამ უნდა გაიტაცოს, სულიერ პრობლემებს თავი რომ დააღწიოს.

ანამ დააზუსტა:

- ანუ ეს რაღაც თერაპიის მსგავსია?

- დიახ. ნუთუ არ მეთანხმები?

- ჰო, მაგრამ, ტომი, საქმე სხვა რამ არის, მე არ მიმაჩნია, რომ თერაპია მეც მჭირდება, ყოველ შემთხვევაში, ამ სახის თერაპია.

ხანმოკლე დუმილის შემდეგ ტომიმ ფრთხილად უთხრა:

- გმადლობ, ანა, რომ დამირეკე და შენი მოსაზრება შემატყობინე. მეტად მადლობელი ვარ შენი.

ანამ გაიცინა, გესლიანად. მოელოდა, რომ ტომი მასთან ერთად გაიცინებდა; მიუხედავად ყველაფრისა, მაინც წინანდელ ტომიზე ფიქრობდა, რომელიც აუცილებლად გაიცინებდა. ყურმილი დაკიდა. ერთიანად აცახცახებდა, იძულებული გახდა, ჩამომჯდარიყო.

იჯდა და ფიქრობდა: „აი, ამ ბიჭს, ტომის, მე პატარაობიდან ვიცნობ. მას დიდი უბედურება შეემთხვა, დახეიბრდა, ამავე დროს მგონია, რომ ზომბივითაა, ის საშიში ადამიანია. არა, არ გაგიჟებულა, რაღაც სხვად იქცა, რაღაც სხვა გახდა... მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი არ შემიძლია, მოგვიანებით. ჯენეტი უნდა ვავახშმო“.

უკვე მეათე საათი იყო და ჯენეტს დიდი ხანია უნდა ევახშმა. ანამ საჭმელი ლანგარზე დაალაგა და ზედა სართულზე ავიდა, ისე განაწყო გონება, რომ არაფერზე ეფიქრა, არც მარიონზე, არც ტომიზე, არც არაფერზე, რასაც ისინი წარმოადგენდნენ. ჯერჯერობით.

ჯენეტმა ლანგარი მუხლებზე დაიდო და ჰკითხა:

- დედიკო?

- ჰო.

- მოგწონს აივორი?

- კი.

- მე ძალიან მომწონს. კეთილია.

- კი, კეთილია.

- და რონი მოგწონს?

- კი, - მიუგო ანამ მცირედი ყოყმანის შემდეგ.

- მაგრამ სინამდვილეში რონი არ მოგწონს.

- რატომ გგონია? - ანამ გაოცებულმა და შეშინებულმა ჰკითხა.

- არ ვიცი, - უპასუხა ბავშვმა, - უბრალოდ ვიფიქრე, რომ არ მოგწონს. იმიტომ, რომ მის გამო აივორი სულელურად იქცევა.

გოგონას მეტი არაფერი უთქვამს, ფიქრებში ჩაიძირა და ვახშამი სრულ სიჩუმეში დაასრულა. ხანგამოშვებით ჯენეტი დედას გამჭოლ მზერას ესროდა. ანა მის გვერდით იჯდა და აძლევდა უფლებას, აი, ასე შეეხედა მისთვის, სავსებით მშვიდსა და უდრეკ, თავდაჯერებულ გამომეტყველებას ინარჩუნებდა.

როდესაც ჯენეტმა ჩაიძინა, ანა სამზარეულოში ჩავიდა და სიგარეტი გააბოლა. რამდენიმე ფინჯანი ჩაი დალია. ახლა ჯენეტზე ფიქრმა შეაწუხა: ჯენეტი ამ ყველაფერს არჩევს, არადა, არ ესმის, ეს რა არის. საქმე აივორიც კი არაა, არამედ ატმოსფერო,

რომელსაც რონი ქმნის. ანას შეეძლო ეთქვა აივორისთვის, რომ რონი უნდა წავიდეს. ის, რასაკვირველია, იმავე წამს მისი ცხოვრების საფასურს შესთავაზებდა, მაგრამ საქმე ხომ ეს არაა. ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ჯენის შემთხვევაში.

ჯემი ცეილონელი სტუდენტი იყო, რამდენიმე თვე ცხოვრობდა იმ ოთახში, სადაც ახლა - აივორი და რონი. ანას არ მოსწონდა, მაგრამ ვერ აიძულებდა თავს, გაეგდო, რადგან ფერადკანიანი იყო. ბოლოს და ბოლოს, პრობლემა თავისით გადაწყდა, რადგან ჯემი ცეილონზე დაბრუნდა. ახლა კი ანას არ შეეძლო, თავი ეიძულებინა, რომ გაეშვა ახალგაზრდების წყვილი, რომელიც სულიერ სიმშვიდეს ურღვევდა, რადგან ჰომოსექსუალისტები იყვნენ და მათთვის, ისევე, როგორც ფერადკანიანი სტუდენტისთვის, არ იქნებოდა ადვილი ახალი საცხოვრებლის შოვნა.

მაგრამ რატომ უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას ამის გამო?.. „თითქოსდა „ნორმალურ“ მამაკაცებთან მაკლდა პრობლემები“, - უთხრა თავს და ხუმრობით შეეცადა გაექარწყლებინა მღელვარება, მაგრამ ხუმრობამ არ უშველა. მაშინ სცადა მეორე მხრიდან მისდგომოდა: „ეს ჩემი სახლია, ჩემი სახლია, ჩემი სახლი“, - ამჯერად შეეცადა თავი ძლიერი მესაკუთრული განცდით აღევსო. არც ამან უშველა, - იჯდა და ფიქრობდა: „ისე, რატომ მაქვს საკუთარი სახლი? იმიტომ, რომ დავწერე წიგნი, რომლის მრცხვენია და რომელმაც ბლომად ფული მომიტანა. შემთხვევა, ბედნიერი შემთხვევა, მეტი არაფერი. მძულს ეს ყველაფერი - ჩემი სახლი, ჩემი საკუთრება, ჩემი უფლებები. ამავე დროს, საკმარისია თავი უხერხულად ვიგრძნო, მეც, სხვებისა არ იყოს, საყრდენს სწორედ ამ ცნებებში ვპოულობ. ჩემი. საკუთრება, უფლებები. ჯენეტს დავიცავ იმით, რომ ჩემი საკუთრება მაქვს. და რა

სჭირს დასაცავი? მას ბედმა არგუნა ინგლისში ცხოვრება, სადაც უამრავი მამაკაცი დედიკოს ბიჭი და ჰომოსექსუალისტია, ან, გარკვეულწილად, ჰომოსექსუალისტი... - თუმცა, ეს უღიმღამო აზრი ძლიერმა და გულწრფელმა განცდამ წაუშალა, - არამც და არამც, ამქვეყნად ჯერ კიდევ არიან ნამდვილი მამაკაცები, თუნდაც ბევრნი არ იყვნენ და მე ვიზრუნებ, რომ ერთ-ერთი ჯენეტს ერგოს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ როცა გაიზრდება, ნამდვილი მამაკაცის ცნობის უნარი ჰქონდეს, თუკი ცხოვრების გზაზე შემოხვდება. რონის წასვლა მოუწევს“.

ამ ფიქრით ანა სააბაზანოსკენ წავიდა, დასაძინებლად რომ მომზადებულიყო. სააბაზანოში შუქი ენთო. ანა ზღურბლზე შეჩერდა. რონი სარკეში თავის თავს შეწუხებული გამომეტყველებით ათვალიერებდა, წინ წახრილიყო მომცრო თაროსთან, სადაც ანა კოსმეტიკას ინახავდა. ლოყებზე ხელის მსუბუქი ტყაპუნით, დაგორგოლავებული ბამბით ლოსიონს ისვამდა, ანას ლოსიონს, რომელიც დაუკითხავად აეღო და ამავე დროს, ცდილობდა, შუბლზე ნაოჭები გაესწორებინა.

ანამ ჰკითხა:

- ჩემი ლოსიონი უფრო მოგწონს, ვიდრე საკუთარი?

რონის სრულიადაც არ გაჰკვირვებია, მობრუნდა. ანა მიხვდა, რომ სწორედ ეს იყო რონის გეგმა, უნდოდა, სააბაზანოში ანა თავზე წასდგომოდა.

გრაციოზულმა და კეკლუცმა, ანას უთხრა:

- ძვირფასო, გადავწყვიტე, შენი ლოსიონი გამოვცადო. ნუთუ ეს შეიძლება გეწყინოს?

- დიდად არა, - მიუგო ანამ. კარის ჩარჩოს მიყუდებული იდგა, რონის უმზერდა და შემდგომ ახსნა-განმარტებას ელოდებოდა.

რონის ძვირფასი, მქრქალი ძოწისფერი აბრეშუმის ხალათი ეცვა, კისერზე - მოწითალო აბრეშუმის ყელსახვევი. ფეხზე - ტყავის ძვირფასი, წითელი, ოქრომკედით მოქარგული ჩუსტები, მავრიტანიულ სტილში. რონი თავისი იერით ჰარამხანას უფრო მოუხდებოდა, ვიდრე ლონდონის ბინას, სადაც სტუდენტები ცხოვრობენ. რონი გვერდზე თავდახრილი იდგა, შავი თმის კულულს ათამაშებდა, ფრჩხილებზე ახალწასმული ლაქი უბრწყინავდა.

- დიახ, თმას შემაფერადებელი შამპუნით ვიბან, - შენიშნა მან, - მაგრამ ჭაღარა მაინც ვერ მოვიშორე.

- ერთობ დახვეწილად გამოიყურები, კი, დახვეწილად, - ჩაილაპარაკა ანამ. უცებ მიხვდა, - რონის საოცრად აშინებდა აზრი, რომ ანას შეეძლო გაეგდო და ცდილობდა, დამეგობრებოდა როგორც ერთი ქალიშვილი მეორეს. ანამ სცადა, თავი დაერწმუნებინა, ეს ყველაფერი სახალისოაო, მაგრამ სიმართლე ის იყო, რომ რონი ზიზღის ჰგვრიდა და ამის გამო რცხვენოდა.

- მაგრამ, ჩემო ძვირფასო ანა, - ენის მოჩლექით უთხრა, ცდილობდა, მომხიბლავი ყოფილიყო, - დახვეწილი გარეგნობა, რასაკვირველია, ძალიან კარგია, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი - თუ შეიძლება ასე ითქვას, - შენ ქირაობ და არა შენ გქირაობენ.

- მაგრამ, რონი, - უთხრა ანამ, თავისდა უნებურად აჰყვა ამ თამაშში, მიუხედავად ზიზღისა, და ახლა სწორედ იმ როლს თამაშობდა, რომელსაც მისგან მოელოდნენ, - ერთობ მომხიბლავი ხარ, ერთი-ორი ჭაღარა თმის ღერის მიუხედავად. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენ.

- არც ისე ბევრნი არიან, წინათ რომ იყვნენ, - ამოიოხრა მან, - იძულებული ვარ, თავს გამოვუტყდე. რა თქმა უნდა, ჩემი საქმე

არც ისე ცუდადაა, მიუხედავად ყველა ჩავარდნისა თუ დაღმასვლისა, ოღონდ სხვა გზა არა მაქვს, ჩემს თავს საგულდაგულოდ უნდა მოვუარო.

- იქნებ გიჯობს უახლოეს მომავალში მდიდარი მფარველი გაიჩინო?

- აჰ, ჩემო ძვირფასო! - შესძახა მან და თეძოები ოდნავ შესამჩნევად და უნებურად შეატოკა, - აბა, როგორ ფიქრობ, ამას აქამდე არ ვეცდებოდი?

- არ მეგონა, თუ ამ ბაზარზე შეთავაზება ამდენად სჭარბობდა მოთხოვნას, - შენიშნა ანამ, ზიზღი აღარ დაუფარავს და მანამდე შერცხვა, სანამ ამ სიტყვების წარმოთქმას მოასწრებდა. „ღმერთო ჩემო, - გაიფიქრა მან, - დაიბადო რონად! რა საშინელებაა. დაიბადო ასეთად - აი, მე ვწუწუნებ, რომ ძალიან ძნელია იყო ისეთი ქალი, როგორიც ვარ, მაგრამ, ღმერთო დიდებულო! ხომ შეიძლება რონი ვყოფილიყავი?!“

რონიმ მზერა ჰკიდა, გულახდილი მზერა, მის თვალებში დაუფარავი სიძულვილი იკითხებოდა. რონი აირია, გრძნობების ეს ამოფრქვევა მისთვის მეტისმეტად მძლავრი აღმოჩნდა, მერე კი თქვა:

- მეც მგონია, რომ შენი ლოსიონი უფრო მიხდება, ვიდრე ის, რომელსაც ვხმარობ, - ხელში აიღო ფლაკონი, აქაოდა, ჩემი უნდა გახდესო. ანას ალმაცერად უყურებდა, იწვევდა, თავის სიძულვილს აღარ ფარავდა.

ანამ გაიღიმა და ფლაკონი ხელიდან აართვა.

- ესე იგი, ალბათ, გიჯობს ასეთივე იყიდო, არა?

რონის ღიმილმა გადაურბინა, თავხედურმა: თავისი გამომეტყველებით მიანიშნა, რომ ანამ უღალატა, რომ სძულს და ამ საქმეს ასე არ დატოვებს.

მერე კი ღიმილი გაქრა და სახეზე ისევ ის, ანასთვის ნაცნობი, დამთრგუნველი შიში გამოესახა. თავს აშკარად ეუბნებოდა, რომ ასეთი გამოხდომებით საკუთარ თავსვე ვნებს, რომ ანას კი არ უნდა აბრაზებდეს, არამედ თავს უქონავდეს.

სასწრაფოდ დაემშვიდობა, ბოდიშის მოხდის მსგავსი რაღაც ჩაიჭიკჭიკა ერთობ მომხიბლავად, ძილი ნებისა უსურვა და მსუბუქად და ელეგანტურად, სირბილით ავიდა კიბეზე, აივორთან.

ანამ აბაზანა მიიღო და მერე ზევით ავიდა, რომ ენახა, ეძინა თუ არა ჯენეტს. ახალგაზრდა კაცების ოთახის კარი ფართოდ იყო ღია. ანა გაოცდა: მათ ხომ მშვენივრად იციან, რომ ყოველ საღამოს, ამ დროს, ზევით ადის, რომ შეამოწმოს, სძინავს თუ არა ჯენეტს. მერე კი უცებ მიხვდა, რომ კარი ღია შემთხვევით არ დაუტოვებიათ. მოესმა: „სქელტრაკა ძროხები“... - ამას აივორი ამბობდა. მერე კი უხამსი ხმა გაიგონა, მის მიერვე იმიტირებული. შემდეგ რონიმ თქვა: „ჩამოდღლეზილი ოფლიანი ძუძუები“... - და ისეთი ხმა ამოუშვა, თითქოს გული ერეოდა.

ანა გაცოფდა და კინაღამ ოთახში შევარდა, სკანდალი რომ მოეწყო, მაგრამ ნაცვლად ამისა, უცებ იგრძნო, რომ შეძრულია, შეშინებული და ერთიანად ცახცახებს. ნელ-ნელა ჩავიდა კიბეზე, იმედი ჰქონდა, მდგმურებმა ვერ გაიგეს, კართან რომ ვიდექიო. მაგრამ როგორც კი იმ ადგილს მოშორდა, კარი მიაჯახუნეს და ანამ გაიგონა ხარხარი - აივორის შესრულებით; და წვრილი ხმით მატრაბაზული ქირქილი, - რონის შესრულებით. ანა ლოგინში ჩაწვა ერთიანად შეძრული. თავისი თავით შეძრული, რადგან ხვდებოდა, რომ ეს პატარა, უხამსი სცენა, რომელიც საგანგებოდ მისთვის გაითამაშეს, სხვა არაფერი იყო, თუ არა რონის ქალურობის ღამეული სახე და აივორის მეგობრული, ბომბორა ნაგაზის სტილში რომ გამოიხატებოდა, ქცევა და მას შეეძ-

ლო ეს წინასწარ გაეთვალა და სათანადოდ მომზადებულიყო, არ ეცადა, სანამ ასე დაუფარავად წარმოუდგენდნენ. ანას იმის შეეშინდა, თუ რამდენად ძლიერ იმოქმედა ამ ყველაფერმა მასზე. ანა ლოგინში იჯდა, თავის დიდსა და ბნელ ოთახში, სიგარეტს ეწეოდა და გრძნობდა, რომ დაუცველი და უსუსური იყო. ისევ უთხრა თავს: „თუ მე ნაწილებად დავიშლები“... იმ კაცმა მტეროში პირველი დარტყმა მიაყენა, ახალგაზრდებმა ზედა სართულიდან ეს საქმე ბოლომდე მიიყვანეს, იმდენად შეურყიეს ძალა, რომ კანკალმა აიტანა. ერთი თვის წინ, როდესაც თეატრიდან ბრუნდებოდა, ბნელ მოსახვევში ექსჰიბიციონისტი შეხვდა. ნაცვლად მისი აბსოლუტური იგნორირებისა, ანა დაიზაფრა, თითქოს ის პირადად მას დაესხა თავს, - მოეჩვენა, რომ პირადად მას, ანას ერჩის. არადა, არცთუ შორეულ წარსულში როცა იხედებოდა, უშიშარ, შეუვალ ანას ხედავდა, ანას, რომელიც მშვიდად იტანდა დიდი ქალაქის ყველა უბედურებასა და სიმახინჯეს. ახლა კი სიმახინჯე თითქოსდა ისე მიუახლოვდა და ისე ჯიუტად დასდევდა კუდში, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა, ანას თავი დაეკარგა, კივილით დაშლილიყო ნაწილებად.

მაგრამ როდის გაჩნდა ეს ახალი, დამფრთხალი და დაუცველი ანა? პასუხი იცოდა: როდესაც მაიკლმა მიატოვა.

ანამ, შეშინებულმა, სნეულმა, მაინც იპოვა ძალა, ალმაცერად ჩაეცინა, ეს ჩაცინება საკუთარი თავისთვის განკუთვნილი და იმის გაცნობიერებით იყო გამოწვეული, რომ დამოუკიდებელი ქალია, გაუკუღმართებული სექსის სიმახინჯე მასზე არ მოქმედებს, მისგან შეუვალია. სიბნელეში იჯდა და ალმაცერად იღიმებოდა, ან უფრო სწორად, აიძულებდა თავს, გაეღიმა და ფიქრობდა, რომ მთელ დედამიწაზე არ არის არავინ, ვისაც შეუძლია გაუზიაროს თავისი გასაოცარი აღმოჩენა, - არავის, მოლის

გარდა. მაგრამ მოლის ისეთი უბედურება შეემთხვა, რომ ახლა ამაზე მასთან ლაპარაკის დრო არ იყო. დიახ, ხვალ აუცილებლად უნდა დაურეკოს მოლის და ტომიზე დაელაპარაკოს.

და მისი ცნობიერების წინა პლანზე ისევ ტომი გამოვიდა, აივორისა და რონის გვერდით დადგა; და ეს უკვე მეტისმეტი იყო, ანა საბნის ქვეშ შეძვრა, შეიფუთნა, საბანს მოებღაუჭა.

„საქმე ისაა, - უთხრა თავის თავს, ცდილობდა ამ ყველაფრისთვის მშვიდად შეეხედა, - რომ ვერაფერს ვუმკლავდები. მე ამაზე - ქაოსზე - ზემოთ ვარ მხოლოდ იმიტომ, რომ მაქვს გონება - ჩემი მომცრო, კრიტიკული, უფრო და უფრო ცივი, წონასწორობის ძლივს შემანარჩუნებელი გონება“.

იწვა შეშინებული, და გაახსენდა სიტყვები: „წყარო დაშრა“. ამ სიტყვებთან ერთად გონებში გაჩნდა სახება: ჭა დაინახა, ფსკერზე - ხმელი, დამსკდარი მიწა.

რაღაც ისეთის ძიებაში, რაც საშუალებას მისცემდა თავი შეენარჩუნებინა, ტკბილი დედილოს გახსენებას ჩაეჭიდა, „ჰო. აუცილებელია, წყალი დამესიზმროს“, - უთხრა თავის თავს, რადგან, აბა, რა აზრი ჰქონდა იმ ხანგრძლივ გამოცდილებას, რომელიც ტკბილ დედილოსთან ურთიერთობამ შესძინა, თუკი ახლა, გვალვის დროს, მისი დახმარების იმედი არ ექნება? „სიზმარში უნდა ვნახო წყალი, უნდა ვნახო, როგორ ვიპოვო წყარო“.

ანამ დაიძინა და სიზმარი ნახა. უშველებელი უდაბნოს კიდეზე იდგა, შუადღისას. უდაბნო ყვითელი იყო. მზე მქრქალად ანათებდა, რადგან ჰაერში ქვიშის მტვერი დაფრინავდა. მზეს ავის მომასწავებლად ჟღალი ფერი დაჰკრავდა, ქვიშიან, ყვითელ არემარეს დაჰნათოდა. ანამ იცოდა, რომ უდაბნო უნდა გადაესერა. შორს მთები წამომართულიყო, - ძოწისფერი, ჟღალი, რუხი. სიზმარში ყველა ფერი არაჩვეულებრივად ლამაზი და კაშკაშა

იყო. წყალი არსად ჩანდა. ანამ უდაბნოში იწყო სვლა, როგორმე მთებამდე უნდა მიეღწია.

დილით ანას ამ სიზმრით გაეღვიძა და მიხვდა, რა იყო მისი არსი. ის აჯამებდა იმ ცვლილებებს, რაც ანაში მოხდა, საკუთარი თავის ახალ ცოდნას ასახავდა. უდაბნოში მარტო იყო, წყალი იქ არ მოიპოვებოდა და წყარომდე შორი გზა ჰქონდა გასავლელი. ანამ იმის გაცნობიერებით გაიღვიძა, რომ თუ სურს უდაბნო გადაიაროს, ზედმეტი ტვირთი უნდა მოიშოროს. როცა იძინებდა, ანა დაბნეული იყო, არ იცოდა, რა ექნა აივორისა და რონისთვის, მაგრამ როცა გაიღვიძა, იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. აივორი, როცა ის სამსახურში მიიჩქაროდა (რონი საყვარელი ქალიშვილის უფლებით ჯერ კიდევ ლოგინში ნებივრობდა, დილის ძილით ტკბებოდა, რაც სასიყვარულო გარჯით ჰქონდა დამსახურებული), გააჩერა და უთხრა:

- აივორ, მინდა აქედან წახვიდეთ.

იმ დილით აივორი გულამაჩუყებელი, ყურადღებიანი და გაფითრებული გახლდათ. სრულიად გასაგებად, თუმცა კი უსიტყვოდ ეუბნებოდა: „მაპატიეთ, მაგრამ მე ის მიყვარს და ამას ვერაფერს ვუხერხებ“.

ანამ განაგრძო:

- აივორ, თქვენ უნდა გაიგოთ, რომ ასე ვეღარ გაგრძელდება.

მიუგო:

- მე უკვე ვაპირებდი მეთქვა, - თქვენ ისეთი სიკეთე გამოიჩინეთ ჩვენ მიმართ, დიდი მადლობა... და მინდა ფული გადაგიხადოთ იმისთვის, რომ რონი აქ ცხოვრობს.

- არა.

- ნებისმიერ თანხას მოგცემთ, - თქვა აივორმა და ახლა, როდესაც აშკარად რცხვენოდა იმ პიროვნებისა, რომელიც გუშინ

ღამით იყო და, რაც მთავარია, აშინებდა პერსპექტივა, რომ მის იდილიას საცაა ბოლო მოეღებოდა, მაინც ვერ შეიკავა თავი და მის ხმაში ისევ აგდებული, დამცინავი ნოტები გახმიანდა.

- იქიდან გამომდინარე, რომ რონი აქ უკვე რამდენიმე კვირაა ცხოვრობს და მე ერთხელაც არ მიხსენებია ფული, ადვილად შეიძლება მიხვდეთ, რომ საქმე ფული არაა, - უთხრა ანამ, თან გულის სიღრმეში სძულდა ის ცივი, კრიტიკული არსება, აივორის წინ რომ იდგა და ხმა, რომლითაც ელაპარაკებოდა.

აივორი შეყოყმანდა, მის სახეზე დანაშაულის, თავხედობისა და შიშის წარმოუდგენელი ნაზავი იკითხებოდა.

- ანა, მომისმინეთ, სამსახურში ძალიან ვაგვიანებ. საღამოს დავბრუნდები და მოვილაპარაკოთ.

ეს რომ თქვა, კიბე ნახევრად ჩარბენილი ჰქონდა, საფეხურებს ახტებოდა, ერთი სული ჰქონდა, ანას გაქცეოდა და ასევე, თავის დაუოკებელ სურვილს, გაემასხარავებინა, გამოეწვია იგი.

ანა სამზარეულოში შებრუნდა. იქ ჯენეტი საუზმობდა.

გოგონამ იკითხა:

- რაზე ლაპარაკობდი აივორთან?

- ვთხოვე, რომ ჩვენგან წავიდნენ, ან, ყოველ შემთხვევაში, რონი მაინც.

ანამ დაინახა, რომ ჯენეტი მზად იყო ამის გასაპროტესტებლად და სასწრაფოდ დაუმატა:

- ის ოთახი ერთ კაცზეა გათვლილი და არა ორზე. ისინი ხომ მეგობრები არიან და შეიძლება მერეც მოუნდეთ ერთად ცხოვრება.

ანას გასაკვირად ჯენეტს კამათი აღარ დაუწყია. სანამ საუზმეს ამთავრებდა, გოგონა დუმდა, ჩაფიქრებული იყო, ისევე, როგორც წინა საღამოს. როცა საუზმეს მორჩა, იკითხა:

- და რატომ არ შეიძლება სკოლაში რომ ვისწავლო?

- შენ ისედაც სწავლობ სკოლაში.

- არა, ნამდვილ სკოლას ვგულისხმობ. პანსიონს.

- პანსიონები სინამდვილეში სულაც არაა ისეთი, როგორც იმ წიგნშია აღწერილი, შენ და აივორი რომ კითხულობდით გუშინ.

ჯენეტი, ეტყობა, ამ თემაზე საუბრის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და დადუმდა. და როცა დრო მოვიდა, თავის სკოლაში ჩვეულებრივად წავიდა.

ცოტა ხანში რონი ჩამოვიდა, ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე. საგულდაგულოდ ჩაეცვა, ლოყებზე ტონალური კრემის ფენა ჰქონდა, მაგრამ მაინც ჩანდა, რომ გაფითრებულიყო. პირველად ანას საშინაო საქმეებში დახმარება შესთავაზა, უთხრა, შემიძლია მაღაზიაში გაგეგზავნოთ და ყველაფერი ვიყიდო, რაც საჭიროაო.

- მე საოცრად კარგად ვასრულებ ასეთ პატარ-პატარა დავალებებს.

როდესაც ანამ დახმარებაზე უარი უთხრა, სამზარეულოში ჩამოჯდა და მასლაათი გაუბა, მავედრებელი თვალებით ცდილობდა ანას მზერის დაჭერას.

მაგრამ ანა გადამჭრელი ზომების მისაღებად იყო განწყობილი და როდესაც საღამოს მის ოთახში აივორი შევიდა სალაპარაკოდ, ეს განწყობა არ დაუკარგავს.

და, აი, აივორი იძულებული გახდა ასეთი გამოსავალი შეეთავაზებინა: რონი წავა, თვითონ კი დარჩება.

- ბოლოს და ბოლოს, ანა, მე აქ უკვე მრავალი თვეა ვცხოვრობ და ჩვენ ერთმანეთის საქმეებში არასოდეს ჩავრეულვართ, ერთმანეთისთვის ხელი არაფრით შეგვიშლია. გეთანხმებით,

რონი მთლად სწორად არ მოიქცა, მაგრამ გპირდებით, სულ მალე წავა აქედან.

ანა ყოყმანობდა, აივორი კი ისევ აწვებოდა:

- მერე კიდევ, ჯენეტიც ხომ არსებობს. მომენატრება. და არა მგონია, ვაჭარბებდე, თუკი ვიტყვი, რომ მასაც მოვენატრები. სანამ თქვენ ასე დაკავებული იყავით, როცა თქვენს უბედურ მეგობარს მხარს უმაგრებდით, მის ბიჭს ასეთი საშინელება რო დაემართა, ჩვენ სულ ერთად ვიყავით.

ანამ ფარ-ხმალი დაყარა. რონი წავიდა. წასვლისას კი მთელი სპექტაკლი მოაწყო, - ანას სრულიად აშკარად აგრძნობინა, რადგან მაგდებ, ნამდვილი ჩათლახი ხარო (არადა, ანას სწორედ ასე გრძნობდა თავს). აივორს კი სავსებით ცხადად მიახვედრა, რომ საყვარელს კარგავდა, რომლის მინიმალური საფასური თავშესაფარი იყო. აივორმაც ამ დანაკარგის გამო ანაზე გულში ბოღმა ჩაიხვია და ამას არც მალავდა. მუდმივად მოღუშული დაიარებოდა.

თუმცა ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ყველაფერი წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა, ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც უბედურებამდე, ტომის რომ დაემართა. აივორს თითქმის ვეღარ ხედავდნენ. ახლა ის კვლავ გადაიქცა ახალგაზრდა მდგმურად, რომელიც მხოლოდ ესალმებოდა და ემშვიდობებოდა, როცა კიბეზე ხვდებოდნენ ერთმანეთს. აივორი საღამოს შინ იშვიათად ატარებდა. მერე ანამდე მოაღწია ხმამ, რომ რონის ახალი მფარველის დიდი ხნით შენარჩუნება ვერ მოუხერხებია, მათთან ახლოს პატარა ოთახი უქირავებია და ისევ აივორი არჩენდა.

რვეულები - შავი რვეული

შავი რვეული ახლა თავდაპირველ ჩანაფიქრს შეესაბამებოდა, ორივე მხარე შევსებული ჰქონდა. მარცხნივ, სათაურქვეშ, „წყარო“ ეწერა:

11 ნოემბერი, 1955

დღეს - მსუქანი, თითქმისდა შინაური ლონდონელი მტრედი ქვაფენილზე დაგოგავს, ადამიანებს შორის, ავტობუსის გაჩერებისკენ რომ მიიჩქარიან. ვიღაც კაცი შემთხვევით ფეხს ჰკრავს, მტრედი ჰაერში ატრიალდება, ლამპიონის ბოძს ეჯახება, მიწაზე ვარდება, კისერგაშეშებული აგდია, ნისკარტი ღია აქვს. კაცი განცვიფრებული შედგება, ელოდა, რომ მტრედი გაფრთხიალდებოდა, გზას დაუთმობდა. კაცი მალულად მიმოიხედავს, გაქცევას აპირებს, მაგრამ უკვე გვიანაა, მას წითელსახიანი კაპასი ქალბატონი უახლოვდება.

- აჰ, შე არამზადავ! მტრედს ფეხი როგორ დაარტყი!

კაცი აილეწა, სახე გაუწითლდა. დაბნეულობისა და სასაცილო გაოცებისაგან ალმაცერად იღიმება.

- მაგრამ ისინი ხო ყოველთვის ფრინდებიან ხოლმე, - სამართლიანობას ითხოვს კაცი.

ქალი ყვირის:

- შენ მოკალი მტრედი, საბრალო ჩიტს ფეხი დაარტყი!

თუმცა მტრედი ჯერ კიდევ ცოცხალია: ლამპიონის ძირში გდია, კისერს იგრძელებს, ცდილობს, თავი წამოსწიოს, ფრთებს შლის და კეცავს, ისევ და ისევ. ამასობაში შემთხვევის ადგილას უკვე შეგროვდა ხალხი, მათ შორისაა ორი თხუთმეტიოდე წლის ბიჭი. ქუჩის ჯიბგირების ჭკვიანი და მოსაზრებული გამომეტყვე-

ლება აქვთ. ორივენი გაუნძრევლად დგანან, შესქერიან, კევს ღეჭავენ. ვიღაც ამბობს:

- გამოიძახეთ ცხოველთა დაცვის სამსახური.

ქალი ყვირის:

- ეს არ დაგვჭირდებოდა, ამ ხულიგანს საბრალო ჩიტისთვის ფეხი რომ არ დაერტყა!

კაცი ადგილზე ცქმუტავს, ცოტა არ იყოს, მოსულელო გამომეტყველება აქვს - დამნაშავე, ბრბოს რომ ეზიზღება. მხოლოდ ბიჭები ინარჩუნებენ სრულ სიმშვიდეს. ერთ-ერთი რეპლიკას ისვრის:

- ეგეთი ბოროტმოქმედის ადგილი ციხეშია.

- დიახ, დიახ! - ყვირის ქალი.

ამ თავისმა რისხვამ იმდენად აიტაცა, რომ მტრედს ზედაც არ უყურებს.

- რა ციხე, - ამბობს მეორე ბიჭი, - ერთი კარგად უნდა გაროზგოს კაცმა, აი, რას გეტყვით.

ქალი დაკვირვებით შეხედავს ბიჭებს თვალებში და მიხვდება, რომ ამასხარავებენ.

- და თქვენც, აგრეთვე! - ყვირის ქალი, თან სუნთქვა ეკვრის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ ხმას მისი სხულიდან რისხვა ამოაფრქვევს, - თქვენ იცინით, საბრალო ჩიტუნა კი იტანჯება!

ბიჭები მართლაც ვეღარ იკავებენ თავს, იკრიჭებიან, ოღონდ არა დარცხვენითა და გაოცებით, როგორც ამ ყველაფერში დამნაშავე არამზადა.

- იცინით, - ამბობს ქალი, - იცინით. ეს თქვენ უნდა გაიროზგოთ კარგად, დიახ, ასეა, ნამდვილად.

ამ დროს ვიღაც პრაქტიკული გონების კაცი მოღუშული სახით წინ დაიხრება, მტრედს ახლოდან დასცქერის, აკვირდება. მერე წელში გასწორდება და აცხადებს:

- მტრედი მოკვდება.

კაცი მართალია: მტრედს თვალზე ლიბრი გადაეკრა, ნისკარტიდან სისხლი წამოუვიდა. ქალს თავისი სიძულვილის სამი ობიექტი ავიწყდება და ფრინველის თავზე წაიხრება, დასცქერის. პირი ოდნავ ღია აქვს, სახეზე უსიამო ცნობისმოყვარეობა აწერია, რომლითაც მტრედის კონვულსიებს თვალს ადევნებს. მტრედი ცდილობს თავი წამოსწიოს და ბოლოს მთელი სხეულით მოეშვება.

- მოკვდა, - ამბობს პრაქტიკული გონების კაცი.

არამზადა, რომელმაც ამასობაში გონება მოიკრიბა, ბოდიშის ტონით ამბობს, თუმცა ჩანს, რომ ამავე დროს არავითარ სისულელეს არ დაუშვებს:

- ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს უბრალოდ უბედური შემთხვევაა. არასოდეს მინახავს, მტრედი არ აფრენილიყოს, როცა ადამიანი მიდის.

ჩვენ ყველანი მტრედების ამ პირწავარდნილ მკვლელს გაკიცხვით ვუმზერთ.

- უბედური შემთხვევა! - იმეორებს ქალი, - უბედური შემთხვევა!

მაგრამ ხალხი უკვე დაშლას იწყებს. პრაქტიკული გონების კაცი მტრედს ხელში იღებს, მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა, რადგან ახლა აღარ იცის, რა უყოს, სად წაიღოს. მტრედის ფეხისმრტყმელი გაპარვას ცდილობს, მაგრამ ქალი არ ეშვება, უკან მისდევს, ჯიუტად მოითხოვს:

- მითხარით თქვენი სახელი, მითხარით თქვენი მისამართი, მე თქვენ სასამართლოში გიჩივლებთ.

კაცი შეშფოთებული ეუბნება:

- ოჰ, ოღონდაც არ გვინდა ბუზისგან სპილოს გამოყვანა.

ქალი პასუხობს:

- როგორც ვხვდები, სპილოში საწყალი ჩიტის მკვლელობას გულისხმობთ.

- მაგრამ ეს ხომ სპილო არაა, მკვლელობაა - სპილო არაა, - საუბარში ერთვება ერთ-ერთი ბიჭი, იკრიჭება, ხელებს ქურთუკის ჯიბეებში იწყობს.

მისი მეგობარი ნათქვამს ჭკვიანური გამომეტყველებით აიტაცებს:

- მართალი ხარ. ბუზები - მკვლელობაა, მაგრამ სპილოები - არა.

- ეგეც მართალია, - ეთანხმება პირველი, - აბა, როდის იყო ეს მტრედი სპილო? ის ხომ ბუზია.

ქალი ბიჭებისკენ მიბრუნდება და ბოროტმოქმედი, მადლიერების გრძნობით აღსავსე, დანაშაულის ადგილიდან გარბის, თავისდა უნებურად, მეტად დარცხვენილი სახით. ქალი ცდილობს იპოვოს შესაფერისი სიტყვები, რომ ბიჭებს უთხრას ყველაფერი, რასაც იმსახურებენ, მაგრამ ყურადღება ებნევა, პრაქტიკული გონების კაცს უყურებს, რომელიც ისევ მათ გვერდით დგას უმწეო გამომეტყველებით, ხელში მტრედი უჭირავს. ერთ-ერთი ბიჭი სარკასტულად იკითხავს:

- მისტერ, მტრედის ხორციანი ღვეზელის გაკეთებას ფიქრობთ?

- კიდევ ერთ სიტყვას იტყვი და პოლიციას დავუძახებ, - უმალ რეაგირებს პრაქტიკული გონების კაცი.

ქალი აღტაცებულით ამბობს:

- სწორია, სწორია, დიდი ხანია უნდა დაგვეძახა.

ერთ-ერთი ჯეელი ხმამაღლა, თავხედურად წაუსტვენს.

- აი, ეს მაგარია, - ამბობს, - მიდით, მიდით, დაუძახეთ ძაღლებს. ისინი თქვენ, მისტერ, ციხეში ჩაგაყუდებენ, რადგან საზოგადოებრივი მტრედი მიისაკუთრეთ.

და ორივენი ხარხარით სასწრაფოდ გაეცლებიან იქაურობას, რადგან პოლიციის გამოძახებაზე წავიდა ლაპარაკი, თუმცა, ცდილობენ სახე არ დაკარგონ.

შემთხვევის ადგილზე რჩებიან კაპასი ქალი, პრაქტიკული გონების კაცი, მტრედის გვამი და რამდენიმე სეირის მაყურებელი. კაცი აქეთ-იქით თვალს აცეცებს, შეამჩნევს, რომ ლამპიონის ბოძზე ნაგვის ყუთია მიმაგრებული და მისკენ წავა, მტრედი რომ ჩააგდოს. მაგრამ ქალი წინ გადაუდგება, მტრედს ხელიდან გამოსტაცებს.

- მე მომეცით, - ამბობს ის და სინაზისგან სუნთქვა ეკვრის, - საწყალ ჩიტუნას ყვავილების ყუთში დავმარხავ, ჩემთან, ფანჯრის რაფაზე.

პრაქტიკული გონების კაცი მადლიერია, იქაურობას სასწრაფოდ მოსცილდა. ქალი მარტო რჩება. დგას და ზიზღით უყურებს, როგორ წვეთავს ბლანტი სისხლი ღია ნისკარტიდან.

12 ნოემბერი

ამ ღამით მტრედი დამესიზმრა. რაღაცას მახსენებდა, მაგრამ რას, ვერ ვხვდებოდი. ძილში, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვცდილობდი, გამეხსენებინა, მაგრამ, როცა გავიღვიძე, უკვე ვიცოდი, რასაც მიმანიშნებდა. ეს იმდროინდელი შემთხვევა იყო, როდესაც უიკენდებს „მაშოპიში“ ვატარებდით. ეს ეპიზოდი მრავალი წელია, დავიწყებული მქონდა, მაგრამ ახლა ჩემს გონებაში მთე-

ლი სიცხადით გაცოცხლდა. მტანჯავს იმის გაცნობიერება, რომ ჩემს გონებაში ესოდენ ბევრი რამ ინახება, საიმედოდ დაგმანული და მიუწვდომელი, რაც კი ცხოვრებაში გადამიტანია, და რაღაც კონკრეტული შემთხვევა რომ არა, იმის მსგავსი, გუშინ რაც მოხდა, არასოდეს გამახსენდებოდა. ეტყობა, ეს რომელიღაც შუალედური უიკენდი იყო და არა უკანასკნელი, გარდამტეხი, რადგან ბუთბისთან ჩვენ ჯერ კიდევ კარგი ურთიერთობა გვქონდა. მახსოვს, საუზმის დროს მისის ბუთბი შემოვიდა ოცდამეორე კალიბრის შაშხანით ხელში და ჩვენს კამპანიას მიმართა:

- რომელიმემ იცით სროლა?

პოლმა თოფი გამოართვა და უთხრა:

- ჩემს ძვირფას განათლებაში არ დავიწყებიათ კაკბებისა და ხოხბების მკვლელობის სიამეთა ჩართვა.

- ჩვენთან კი ყველაფერი მარტივადაა, - თქვა მისის ბუთბიმ, - ჩვენთან კი არიან კაკბები და ხოხბები, მაგრამ არცთუ მრავლად. მისტერ ბუთბის ცოტა ხნის წინ წამოსცდა, არ იქნებოდა ურიგო, მტრედისხორციანი ღვეზელი რომ გაგვეკეთებინაო. ჩემი ქმარი ადრე თვითონ ნადირობდა ხოლმე, მაგრამ ახლა მაინცდამაინც ფორმაში არაა. ჰოდა, ვიფიქრე, თქვენ ხომ არ იზამდით სიკეთეს?..

პოლი გაოცებული გამომეტყველებით ატრიალებდა ხელში თოფს. ბოლოს და ბოლოს ჩაილაპარაკა:

- აბა, რა გითხრათ, წინათ არასოდეს მომფიქრებია ამ ფრინველისთვის თოფის სროლა, მაგრამ თუკი ეს მისტერ ბუთბის გამოსდის, ალბათ, მეც გამომივა.

- ეს სულაც არაა ძნელი, - თქვა მისის ბუთბიმ, როგორც ყოველთვის პოლის მოჩვენებითმა თავაზიანობამ შეაცდინა, - იქ, კოპებს შორის მომცრო ვლეია, სადაც ბლომად მტრედია. უბრა-

ლოდ მოიცადეთ, სანამ მშვიდად დასხდებიან და მერე ესროლეთ.

- ეს ხომ უსინდისობა იქნება, - ჩაილაპარაკა ჯიმიმ, ცოტა არ იყოს, მოსულელო გამომეტყველებით.

- ო, ღმერთო, უსინდისობა იქნება! - შესძახა პოლმა და შეძრწუნება გაითამაშა, - ერთი ხელი თვალებზე აიფარა, მეორით კი თოფი განზე გასწია.

მისის ბუთბიმ არ იცოდა, სერიოზულად მიეღო მისი სიტყვები თუ არა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის განმარტა:

- უსინდისობა სულაც არ არის. არ ისროლოთ, ვიდრე არ დარწმუნდებით, რომ მოკლავთ ჩიტს. რა არის ამაში ცუდი?

- მართალია, - უთხრა ჯიმიმ პოლს.

- მართალი ბრძანდებით, - მიმართა პოლმა მისის ბუთბის, - ასი პროცენტით მართალი ხართ. ჩვენ ამას ვიზამთ. რამდენი მტრედი დასჭირდება მისტერ ბუთბის ღვეზელს?

- ექვს ცალზე ნაკლები თუ იქნება, აზრი არა აქვს, მაგრამ თუ მეტს მოიტანთ, კიდევ ერთს გამოვაცხობ. მრავალფეროვნებისთვის.

- მართალია, - თქვა პოლმა, - ეს მრავალფეროვნებას შემოიტანს. ჩვენ იმედი გქონდეთ, არ დაგაღალატებთ.

მისის ბუთბიმ ძალზე სერიოზულად გადაუხადა მადლობა და წავიდა, თოფი კი ჩვენ დაგვიტოვა.

საუზმე დასასრულს მიუახლოვდა. დილის დაახლოებით ათი საათი იქნებოდა და ძალიან გაგვიხარდა, რომ ლანჩამდე თავშესაქცევი გამოგვიჩნდა. იქვე სასტუმროსთან ძირითად გზატკეცილს პერპენდიკულარულად კვეთდა სოფლის შარაგზა, მიიკლაკნებოდა, ძველი აფრიკული ბილიკის მიხვეულ-მოხვეულს მიუყვებოდა და შორს, ველდში იკარგებოდა. ეს შარაგზა რომის

კათოლიკურ მისიაში მიდიოდა, სასტუმროდან დაახლოებით შვიდი მილზე, უდაბურ ადგილას. ზოგჯერ იქიდან მანქანა მოდიოდა პროდუქტების წასაღებად, ზოგჯერ იქ ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ ან იქიდან ბრუნდებოდნენ სოფლის მუშები, რადგან მისიონერებს დიდი ფერმა ჰქონდათ, მაგრამ გზა უმეტესად ცარიელი იყო ხოლმე. ეს არემარე ქვიშნარ ველდს წარმოადგენდა, მთლად მოსწორებულს კი არა, ოდნავ ტალღოვანს, აქ-იქ კოპი - წვეტიანი, მცირე დიამეტრის ბორცვები წამოჭიმულიყო. როცა წვიმდა, თითქოს ნიადაგს მისი მიღება არ უნდოდა და წინააღმდეგობას უწევდა. წყალი დოლის ცემის ხმას გამოსცემდა, თეთრი წვეთები მიწაზე გამალებით ხტოდნენ, მკვრივ ნიადაგს ეხეთქებოდნენ და უკან, ჰაერში ბრუნდებოდნენ ორი-სამი ფუტის სიმაღლეზე, მაგრამ ერთი საათიც არ იქნებოდა გასული ქარიშხლის შემდეგ, რომ მიწა სრულიად შრებოდა და მხოლოდ ჩახრამულ ადგილებსა და ვლეიში ერთხანს კიდევ ცოცხლობდა და ხმაურობდა წყალი. იმ ღამით ისეთი კოკისპირული წვიმა მოვიდა, რომ სახლის რკინის სახურავი, სადაც გვეძინა, მთელი ღამე ზანზარებდა და გრუხუნებდა, მაგრამ ახლა მზე მაღლა იდგა, ცა მოწმენდილიყო და ჩვენ გზის გასწვრივ, თეთრ ქვიშაზე მივაბიჯებდით, რომელიც ფეხქვეშ მშრალად იბნეოდა და მოშავო, ტენიან მიწას აჩენდა.

იმ დილით ხუთნი ვიყავით, სხვები სად იყვნენ, არ მახსოვს. შესაძლოა, იმ უიკენდზე მხოლოდ ხუთნი ჩავედით. პოლს თოფი ეჭირა, უზადოდ სპორტული იყო, იღიმებოდა, თავის თავზე ეცინებოდა ამ როლში. ჯიმი მის გვერდით მიდიოდა: მოუხეშავი, მომსუქნო, ფერმკრთალი. გონიერი თვალები წამდაუწუმ პოლისკენ გაურბოდა, დაბნეული - გულში ჩაკლული სურვილისგან, ირონიული - საკუთარი მდგომარეობის გაცნობიერებისგან.

მე, ვილი და მერიროუზი უკან მივყვებოდით. ვილის წიგნი მოჰქონდა. მე და მერიროუზს ლამაზად გვეცვა, - ღია ფერის ბრეტელებიანი ჯინსის შარვლები და პერანგები. მერიროუზს ცისფერი შარვალი და ვარდებიანი პერანგი ეცვა, მე - ვარდისფერი შარვალი და თეთრი პერანგი.

როგორც კი მთავარი გზატკეცილიდან სოფლის ქვიშიან შარაგზაზე გადავუხვიეთ, ძალზე ნელა და ფრთხილად მოგვიწია სიარულმა, რადგან მწერებმა ღამეული თავსხმა წვიმის შემდეგ ნამდვილი დღესასწაული მოიწყვეს. გარშემო თითქოს ყველაფერი ფუთფუთებდა, თითქოს საოცარ თავდავიწყებას მიეცა. დაბალ ბალახზე ურიცხვი თეთრი პეპელა თრთოდა და ფარფატებდა, ფრთები ოდნავ მომწვანო ჰქონდათ. ყველა პეპელა თეთრი იყო, ოღონდ სხვადასხვა ზომისა. იმ დილას რომელიღაც სახეობა გამოიჩეკა, გამოძვრა, გამოიქცა თუ გამოცოცდა თავისი ჭუპრებიდან და ახლა გათავისუფლებას ზეიმობდა. ბალახსა და გზაზე კი, ყველგან, ურიცხვი კალია ხასხასებდა, ერთი რომელიღაც კონკრეტული სახისა, და ყველანი დაწყვილებულიყვნენ. პეპლებივით უამრავი იყვნენ, მილიონობით.

- და ერთი კალია მეორეს ზურგზე შეასკუპდა, - ჩაილაპარაკა პოლმა. ნათქვამი მსუბუქად, მაგრამ სრულიად სერიოზულად გახმიანდა. პოლი შეჩერდა. მის გვერდით მიმავალი ჯიმიც მორჩილად შედგა. ჩვენ კინაღამ ზურგში დავეჯახეთ და ძალაუნებურად გავჩერდით.

- საოცარია, - ჩაილაპარაკა პოლმა, - ამ სიმღერის სიღრმისეული თუ კონკრეტული აზრი ადრე არ მესმოდა.

ამ ყველაფერში იყო რაღაც აბსურდული და ჩვენ იმდენად დაბნეულები კი არ ვიყავით, არამედ რაღაც მოწიწებულმა ძრწოლამ აგვიტანა, რომელსაც თან შიში ერთვოდა. ვიდექით

და ვიცინოდით, მაგრამ ჩვენი სიცილი არაბუნებრივად ხმამაღალი გახლდათ. გარშემო, საითაც უნდა გაგეხედა, ყველგან მწერები იყვნენ, ყველანი წყვილდებოდნენ. ერთი მწერი ფეხებით მყარად, უძრავად იდგა ქვიშაზე, მეორე კი, ზუსტად ისეთივე, მის ზურგზე იჯდა იმდენად მყარად, რომ ქვედა ვერც კი ინძრეოდა. ან ერთი ცდილობდა ზურგზე შესცოცებოდა მეორეს, ამ დროს ქვედა სრულიად უძრავად იდგა, აშკარად ცდილობდა, მიხმარებოდა იმას, რომელსაც მის ზურგზე ასვლა უნდოდა და რომლის გულმოდგინე ან სასოწარკვეთილი მცდელობა ორივეს გადაყირავებას უქადდა. ან წყვილი, რომელმაც მოუხერხებელი მოძრაობა გააკეთა, ვარდებოდა და ის, რომელიც ქვემოთ იყო, იმწამსვე გასწორდებოდა და ელოდებოდა. სანამ მეორე კალია განაახლებდა გარჯას მართებული მდგომარეობის მისაღწევად, მის ადგილს სხვა, ზუსტად ისეთივე, იკავებდა. გაბედნიერებული, ანუ წარმატებით დაწყვილებული მწერები ჩვენ გარშემო ყველგან იყვნენ, ერთმანეთზე იდგნენ, მსხვილი შავი, მბზინავი თვალები უაზროდ გაშტერებოდათ. ჯიმის კონვულსიური სიცილი აუვარდა და პოლმა ზურგზე ხელი დაჰკრა.

- ეს მეტისმეტად ვულგარული მწერები ჩვენი ყურადღების ღირსი არ არიან, - გამოაცხადა პოლმა.

მართალიც იყო. ცალკე აღებული ერთი ეს მწერი, ან ათი, ან ასი, შეიძლებოდა ლამაზი მოგჩვენებოდა: კაშკაშა ფერისა იყვნენ, თითქოს ეს-ესაა შეღებეს ტუბიდან გამოდენილი ზეთის საღებავითო, და თითქმის ანათებდნენ თხელ, ზურმუხტისფერ ბალახში. მაგრამ როდესაც ათასობით იყვნენ - კასკასა მწვანე--წითლები, უაზროდ გაშტერებული შავი, გლუვი თვალებით - აბსურდულად, უმსგავსად და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სრულიად ბრიყვულად გამოიყურებოდნენ.

- პეპლების ყურება გაცილებით სასიამოვნოა, - ჩაილაპარაკა მერიროუზმა, რომელიც ასეც აკეთებდა. ისინი წარმოუდგენლად ლამაზები იყვნენ. საითაც თვალი სწვდებოდა, ცისფერი ჰაერი მათი თეთრი ფრთების მსუბუქი მოძრაობისგან გრაციოზულად თრთოდა. შორს თუ გაიხედავდი, პეპლები თეთრ მოციმციმე აჟურულ ქსოვილს ჰგავდნენ, მწვანე ბალახზე რომაა გაშლილი.

- ჰო, მაგრამ, ძვირფასო მერიროუზ, - შეეკამათა პოლი, - შენ, ალბათ, შენთვის ჩვეული მომხიბლავი გულუბრყვილობით გგონია, პეპლები აქ იმისთვის შეიყარნენ, რომ სიცოცხლის დღესასწაული იზეიმონ, ან უბრალოდ თამაშობენ და ფრენით ერთობიან, არადა, საქმე სულ სხვაგვარადაა. მათ ქვენა მოტივი ამოძრავებთ, - მათ სექსი უნდათ, ზუსტად ისევე, როგორც ამ საშინლად ვულგარულ კალიებს.

- რა იცი? - იკითხა მერიროუზმა მუდმივად ჩუმი ხმითა და საოცარი გულწრფელობით; და პოლმა გადაიხარხარა, იცოდა, რამდენად მომხიბლავად ჟღერდა მისი სიცილი, ნაბიჯი შეანელა და მერიროუზის გვერდით განაგრძო სიარული, ჯიმი მარტო დატოვა, ყველაზე წინ. ვილიმ, რომელიც მერიროუზს მიჰყვებოდა, პოლს ადგილი დაუთმო და ჩემკენ წამოვიდა, მაგრამ მე ამ დროს ჯიმის დავეწიე, რომელიც თავს მარტოდ გრძნობდა.

- მაგრამ ეს მართლა აბსურდია, - თქვა პოლმა და მის ხმაში წრფელმა დაბნეულობამ გაიჟღერა. მის მზერას თვალი გავაყოლეთ. დაწყვილებული კალიების ურიცხვ ჯგროში ორი წყვილი გამოირჩეოდა. ერთი — გიგანტური, მძლავრი, ფეხების ვეება ზამბარებზე დგუშივით წამომართული და მის ზურგზე კი - ერთი ციცქნა, უსუსური პარტნიორი, რომელსაც ძალა არ ჰყოფნიდა, საჭირო სიმაღლეზე აბობღებულიყო. მეორე წყვილში კი, გვერ-

დით რომ იდგა, ყველაფერი პირიქით იყო, - ერთი ციცქნა, კაშ-კაშა, საწყალი კალია და მის თავზე - გიგანტური, მძლავრი, მძვინვარე მწერი, რომელსაც ლამის გაეჭყლიტა და გაესრისა.

- ახლა ერთი პატარა სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარებას ვცდი, - გამოაცხადა პოლმა.

ფრთხილად, კალიები რომ არ გაეჭყლიტა, გზის კიდეზე გა-დავიდა, სადაც მაღალი ბალახი იზრდებოდა, თოფი მიწაზე და-დო და ბალახის ღერო მოწყვიტა. ქვიშაში ცალ მუხლზე დადგა, მწერებს აქეთ-იქით ყრიდა ხელის მარჯვე და გულგრილი მოძ-რაობით. მძიმეწონოსანი კალია აკურატულად მოხსნა პაწია ამ-ხანაგს, მაგრამ დიდი კალია მაშინვე ძველ ადგილს დაუბრუნდა, მეტად ზუსტი და საოცარი ნახტომი გააკეთა, - საოცარი თავისი მტკიცე ნებელობით.

- ოპერაციის ჩასატარებლად ორი კაცი დაგვჭირდება, - გამო-აცხადა პოლმა.

ჯიმიმ უმალ თავისთვისაც მოწყვიტა ბალახის ღერო და პო-ლის გვერდით ჩაიმუხლა, თუმცა კი სახეზე ზიზღი ეტყობოდა, რადგან იძულებული შეიქნა, მოფუთფუთე მწერებს მიახლოებო-და. ორი ახალგაზრდა ახლა მუხლებზე იდგა და ბალახის ღე-როებით მანიპულირებდა. მე, ვილი და მერიროუზი გვერდით ვი-დექით. ვილი დაღვრემილი იყო.

- რაოდენ უწმაწურია ეს ყველაფერი, - ჩავილაპარაკე ირო-ნიულად.

იმ დილას მე და ვილი, როგორც ყოველთვის, მაინცდამაინც ვერ ვეწყობოდით ერთმანეთს, თუმცა, ამისდა მიუხედავად, გაიღიმა, მე გამიღიმა, და გულწრფელად გაოცებულმა იმით, რაც ხდებოდა, მითხრა:

- და მაინც, საინტერესოა.

და ჩვენ ერთმანეთს გავუღიმეთ, სიყვარულით, თუმცა კი ტკივილიანადაც, რადგან ასეთი მომენტები ძალზე იშვიათი იყო. მერიროუზი კი, რომელიც ჩამუხლული ბიჭების მეორე მხარეს იდგა, დაკვირვებით უყურებდა მათ, უყურებდა შურითა და ტკივილით. ეჩვენებოდა, რომ მის წინაშე ბედნიერი წყვილია და თავს მივიწყებულად და მიტოვებულად გრძნობდა. ეს ვეღარ ავიტანე, ვილის მოვშორდი და მერიროუზის გვერდით დავდექი. ორივენი ბიჭების თავზე, წინ გადავიხარეთ, ველოდით, რა მოხდებოდა.

- მიდი, - თქვა პოლმა.

მან თავისი მონსტრი ისევ ასწია და პაწია მწერს მოაცილა, მაგრამ ჯიმიმ უგერგილო მოძრაობა გააკეთა, ამიტომ არაფერი გამოუვიდა და სანამ კიდევ ერთხელ შეეცდებოდა ჩაფიქრებულის ხორცშესხმას, დიდრონი კალია ისევ დაუბრუნდა თავის საწყის პოზიციას.

- რა იდიოტი ხარ, - უთხრა გაღიზიანებულმა პოლმა.

იმ გაღიზიანებამ ამოხეთქა, რომელსაც ჩვეულებრივ იხშობდა ხოლმე, რადგან იცოდა, ჯიმის საშინლად სტკენდა გულს. ჯიმის კი ამ დროს ბალახის ღერო გაუვარდა და განაწყენებულმა ჩაიცინა. შეეცადა, დაეფარა წყენა, მაგრამ პოლმა უმად დასტაცა ხელი ბალახის ორივე ღერს, სწრაფი მოძრაობით ის მწერები ჩამოსვა, ზემოთ რომ იყვნენ, დიდიც და პატარაც, და ელვისებურად შეუცვალა ადგილი. ორი მშვენიერი წყვილი გამოვიდა: დიდი კალიებისა და პატარა კალიების.

- აი, ბატონო, - თქვა პოლმა, - მეცნიერული მიდგომა. აკურატულად. მარტივად. და ეფექტურად.

ასე ვიდექით ყველა, ხუთივე. ვიდექით და საღი აზრის ტრიუმფს ვჭვრეტდით. მერე კი ისევ აგვივარდა ხარხარი; ყველანი გაუჩერებლად ვხარხარებდით, ვილიც კი, თავს ვერ ვიკავებ-

დით, რადგან ეს ყველაფერი მართლაც აბსურდული იყო. ამ დროს კი ჩვენ ირგვლივ, ჩვენი მცირედი ძალისხმევის გარეშე, ათეულათასობით ხასხასა კალია გულმოდგინედ ირჯებოდა გვარის გაგრძელებისთვის. და ეს ჩვენი პატარა ტრიუმფიც კი მალე დასრულდა, რადგან დიდი კალია, რომელიც მეორე დიდ კალიაზე იჯდა, მიწაზე ჩამოვარდა და იმავე წამს ის, რომელიც მანამდე ქვემოთ იყო, ზედ დააჯდა.

- რა უხამსობაა, - სერიოზულად ჩაილაპარაკა პოლმა.

- ჩვენ არ გაგვაჩნია მტკიცებულებები, - აიტაცა ჯიმიმ, ცდილობდა იმავე ტონით ელაპარაკა, როგორითაც მისი მეგობარი, ცდილობდა, გაემეორებინა მისი ხმის ძალდაუტანებელი სერიოზულობა, მაგრამ არ გამოუვიდა, რადგან მის ხმას სიმსუბუქე აკლდა, მეტისმეტად მჭახედ ანდა ზედმეტად მღელვარედ ჟღერდა, - ჩვენ არ გაგვაჩნია მტკიცებულებები, რომ ბუნებაში უფრო მეტი წესრიგია, ჩვენთან შედარებით. საიდან ვიცით, რომ ყველა ესენი, ყველა ეს მინიატიურული ტროგლოდიტი, ისე განთავსდა, რომ მამრი ყოველთვის მდედრზეა? ან თუნდაც, - კადნიერი, სრულიად შეუფერებელი ტონით განაგრძო, - ყოველ წყვილშია მდედრი და მამრი? ეს არ ვიცით, ჩვენ შეიძლება სრული აღვირახსნილობისა და აღრევის მომსწრენი ვართ: მამრები - მამრებთან, მდედრები - მდედრებთან.

ჩაიქირქილა და წამოახველა. ვუყურებდით მის წამოწითლებულ, დარცხვენილსა და გონიერ სახეს და ვხვდებოდით, რომ ჯიმის ვერაფრით გაეგო, რატომ იყო, რომ ყველაფერი, რასაც კი ამბობდა (ან შეეძლო ეთქვა შესაფერის მომენტში), არასოდეს ჟღერდა ისე მარტივად და მსუბუქად, როგორც პოლის ნებისმიერი ნათქვამი. იგივე ტირადა პოლს რომ ეთქვა, - რაც სავსებით შესაძლებელი იყო, - ყველანი ავხარხარდებოდით. ნაც-

ვლად ამისა კი უხერხულობა ვიგრძენით, მთელი სიმძაფრით ვგრძნობდით, რომ ამ მახინჯი, ერთმანეთზე მბობღავი მწერებით ვიყავით გარშემორტყმული.

უეცრად პოლი ფეხზე წამოიჭრა და ჯერ მონსტრების წყვილი გასრისა ფეხით, რომელთა შეწყვილებაც ცოტა ხნის წინ თვითონ მოაწყო, მერე კი - პაწიების წყვილიც.

- პოლ, - აღმოხდა მერიროუზს და შეძრული დაჰყურებდა განაჭყლეტს, კაშკაშა ფრთების, თვალებისა და რაღაც თეთრი, წებოვანი მასისგან რომ შედგებოდა.

- სენტიმენტალური ადამიანის ტიპური რეაქცია, - მიუგო პოლმა განზრახ ვილის პაროდირებით (ამ დროს ვილიმ გაიღიმა, ამით აჩვენა, ვხვდები, რომ გამომაჯავრეო). თუმცა მერე პოლმა სრულიად სერიოზულად განაგრძო:

- ძვირფასო მერიროუზ, დაღამდება თუ არა, - ან თამასა ოდნავ გადავწიოთ, - ხვალ დაღამდება თუ არა, ამ არსებებიდან ცოცხალი თითქმის არც ერთი აღარ იქნება, - და იგივე ბედი ელის შენს პეპლებსაც.

- ო, არა, - თქვა ტანჯვით მერიროუზმა, თან ჰაერში მოფარფატე პეპლებს უყურებდა, თუმცა კალიებს თვალს არიდებდა, - კი მაგრამ, რატომ?

- იმიტომ, რომ მეტისმეტად ბევრნი არიან. წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, ყველა ცოცხალი რომ გადარჩენილიყო? ეს ხომ ნამდვილი შემოსევა იქნებოდა. სასტუმრო „მაშოპი“ ჩაიძირებოდა, აღიგვებოდა პირისაგან მიწისა კალიების ამ მოფუთფუთე, გზად ყველაფრის გამანადგურებელ მასაში და მასის მიერ, ამ დროს პეპლების გაცილებით უფრო საზარელი ურდოები გამარ-

ჯვების ცეკვას შეასრულებდნენ მისტერ და მისის ბუთბისა და მათი გასათხოვად მომწიფებული ქალიშვილის გვამებზე.

ნაწყენმა, გაფითრებულმა მერიროუზმა პოლს თვალი მოაშორა. ყველამ ვიცოდით, რომ დაღუპულ ძმაზე ფიქრობდა. ასეთ მომენტებში ისეთი მარტოსული ჩანდა, რომ ყველას სურვილი გვიჩნდებოდა, გულში ჩაგვეკრა.

მიუხედავად ამისა, პოლმა ლაპარაკი განაგრძო და ამჯერად სტალინის პაროდირებით დაიწყო:

- ეს სრულიად აშკარაა, ეს თავისთავად ცხადია და სინამდვილეში საერთოდ არ არის საჭირო ამ ყველაფერზე ლაპარაკი. მაშ, რატომ ვირჯები ასე? ასეა თუ ისე, რაიმეს თქმის საჭიროება არის თუ არა, ეს საქმეს არ ეხება. როგორც ყველას მოგეხსენებათ, მე ვამტკიცებ, რომ ბუნება მფლანგველია. გავა სულ ცოტა ხანი და ეს მწერები ერთმანეთს დახოცავენ, დაიღუპებიან ჩხუბის, კბენის, შეგნებული მკვლელობის, თვითმკვლელობის, ტლანქი შეწყვილების შედეგად. ან შეჭამენ ფრინველები, რომლებიც ახლაც ელიან, როდის გავეცლებით აქაურობას, რათა მოულხინონ. როდესაც ისევ დავბრუნდებით ამ მშვენიერსა და სასიამოვნო კურორტზე, მომავალ უიკენდზე, ან თუ ჩვენი პოლიტიკური მოვალეობანი შეგვაყოვნებენ, ერთის შემდეგ, როდესაც ჩვენს ესოდენ მკაცრად რეგლამენტირებულ გასეირნებას მოვაწყობთ ამ გზაზე, დავინახავთ ერთს ან, შესაძლოა, ორ ამ გადასარევ მწვანე-წითელ კალიას, რომლებიც ჩვეული საქმით იქნებიან დაკავებული, - ბალახში ხტუნვით, და გავიფიქრებთ, რა ლამაზები არიანო! და მაინცდამაინც არ შეგვაწუხებს მილიონობით გვამი, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ არ იქნებიან ჩამარხული ქვიშაში, საბოლოო განსასვენებლის გზაზე მყოფნი, ყველგან ჩვენ ირგვლივ. მე აღარც კი ვახსენებ პეპლებს, გაცილებით ლა-

მაზებს, მაგრამ კალიებზე საეჭვოა უფრო სასარგებლოებს, რომ-ლებიც ესოდენ აქტიურად და ძალიან მოგვენატრებიან დეკა-დენტური, ჩვენთვის ასე ჩვეული თავშექცევისგან თავისუფალ დროს.

ვერ ვხვდებოდით, პოლი მერიროუზს შეგნებულად რატომ სტკენდა გულს, როდესაც ის ძმის დაღუპვაზე ფიქრობდა. მერი-როუზი ტკივილიანად იღიმებოდა და ჯიმი, რომელსაც მუდმივად ტანჯავდა შიში, რომ დაიღუპებოდა, რომ მოკლავდნენ, ოდნავ იღიმებოდა, ხელოვნურად და ალმაცერად, მერიროუზივით.

- მე მინდა გითხრათ, ამხანაგებო...

- ვიცით, რაც უნდა გვითხრა, - უხეშად გააწყვეტინა ვილიმ, გაბრაზებული იყო. შესაძლოა, სწორედ ასეთი მომენტების გამო გახლდათ ვილი „ფიგურა, რომელიც მამის როლს ასრულებდა“ ჩვენს კომპანიაში, როგორც ამას პოლი ამბობდა, - მორჩი, - თქვა ვილიმ, - წავედით მტრედებზე სანადიროდ.

- ეს სრულიად აშკარაა, ეს თავისთავად ცხადია, - თქვა პოლ-მა, სტალინის საყვარელ ფრაზებს მიუბრუნდა, მისი შესავალი სიტყვებიდან, იმისთვის, რომ ვილისგან თავი დაეცვა, - რომ ჩე-მი მასპინძელი მისტერ ბუთბი უღვეზელოდ დარჩება, თუკი ჩვენ ესოდენ უპასუხისმგებლოდ მოქცევას კვლავაც გავაგრძელებთ.

დავიძარით. გზის კიდეს მივუყვებოდით. კალიებში. ჩვენ წინ, დაახლოებით ნახევარი მილის დაშორებით, მომცრო კოპი იყო, - გრანიტის ქვების მყიფე გროვა; მის იქით კი, თითქოს უხილავი ხაზი გაევლოთ, კალიები აღარ იყვნენ. უბრალოდ აღარ იყვნენ, აღარ არსებობდნენ, გადაშენებულ სახეობად ქცეულიყვნენ. თუმცა პეპლები ყველგან იყვნენ, - მოფარფატე თეთრი ფურ-ცლები.

ვფიქრობ, ეს უფრო ოქტომბერში ან ნოემბერში ხდებოდა. მწერების გამო კი არა, მეტისმეტად უვიცი ვარ საიმისოდ, რომ წელიწადის დრო მათი ქცევის მიხედვით განვსაზღვრო, არამედ საშინელი სიცხის გამო, იმ დღეს რომ იყო. გამთანგავი, ხვავრიელი, შემზარავი სიცხე იდგა. წვიმის სეზონის შუაწელი რომ ყოფილიყო, ჰაერს შამპანურის სურნელი დაჰკრავდა, როგორც მოახლოებული ზამთრის გაფრთხილება. მაგრამ იმ დღეს, მახსოვს, სიცხე პირდაპირ გვილაწუნებდა ლოყებზე, ხელებზე, ფეხებზე, ტანსაცმელშიც კი ატანდა. ეტყობა, ეს ყველაფერი წვიმის სეზონის მთლად დასაწყისში ხდებოდა, ბალახი ჯერ კიდევ დაბალი იყო, თეთრ ქვიშაზე ნათელი და ხასხასა ბალახი ბღუჯა--ბღუჯად მიმოფანტულიყო.

ესე იგი, ეს ჩვენს ბოლო უიკენდამდე სამი-ოთხი თვით ადრე ხდებოდა, პოლის დაღუპვის წინ. გზა კი, რომელსაც იმ დილით მივუყვებოდით, სწორედ ის გზა იყო, რომელზეც თვეების მერე მე და პოლი მივრბოდით ხელჩაკიდებულები, წვიმაში, რომელიც ცრიდა და ყველგან ატანდა, მივრბოდით იმისთვის, სველ ბალახზე რომ დავცემულიყავით. სად? შესაძლოა, იმ ადგილის შორიახლო, სადაც იმ დღეს ჩამოვსხედით, ღვეზელისთვის მტრედები რომ დაგვეხოცა.

მომცრო კოპის გავცდით და ახლა ჩვენ თვალწინ დიდი კოპი აღიმართა. მისის ბუთბის თქმით, ამ ორ კოპის შორის, მომცრო ხრამში, ხშირად სხდებოდნენ მტრედები. გზას მოვშორდით და დიდი კოპისკენ წავედით სრულ სიჩუმეში. მახსოვს, როგორ მივდიოდით, ვდუმდით და მზე ზურგზე გვაჭერდა. ვხედავ ხუთ პატარა, კაშკაშა ფიგურას, ბალახით დაფარულ ვლეიზე რომ მიაბიჯებს თეთრი პეპლების კორიანტელში, უძირო ლურჯი ცის ქვეშ.

დიდი კოპის ძირში რამდენიმე მაღალი ხის ჯგუფი იდგა, სწორედ იქ ჩამოვსხედით. კიდევ რამდენიმე ხე ჩვენგან დაახლოებით ოცი იარდით იყო დაშორებული. იქიდან მტრედის ღუღუნი ისმოდა. ჩვენი გამოჩენით შეწუხებული მტრედი დადუმდა, მაგრამ მერე, ეტყობა, გადაწყვიტა, საფრთხე აღარ მემუქრებაო და ღუღუნი განაახლა. ეს დაბალი, დამბანგავი, ძილისმომგვრელი ხმა იყო, ჭრიჭინების ხმასავით მომნუსხავი, — ახლა, როცა მივაყურადეთ, გავაცნობიერეთ, რომ ჩვენ გარშემო ერთი ჭრიჭინი გაჰქონდათ.

ჭრიჭინების ხმა ქინაქინას ჰგავს, სისხლში რომ მოძრაობს, მალარიით როცა ხარ ავად: გიჟური, დაუსრულებელი ზრიალი, რომელიც, ასე გგონია, ყურის დაფს გაუდის, მაგრამ მალე ვეღარც ამჩნევ, აღარ გესმის, ისევე, როგორც ქინაქინის ზრიალი სისხლში.

- ერთადერთი მტრედია, - თქვა პოლმა, - მისის ბუთბიმ შეგვაცდინა.

თოფი გრანიტის ლოდზე დადო, ფრინველს დააკვირდა, თოფი ასწია, დაუმიზნა და იმ მომენტში, როდესაც ყველანი გასროლას ველოდით, უეცრად დასწია.

ხანგრძლივი, მომქანცველი ლოდინისთვის განვეწყვეთ. ხეების ჩრდილი ხშირი იყო, ბალახი - რბილი და თან, ზამბარასავით დრეკადი, მზე ნელ-ნელა მიიწევდა ზენიტისკენ. ჩვენს ზურგს უკან კოპი კოშკივით აღმართულიყო, პეიზაჟზე დომინირებდა, მაგრამ არ გვთრგუნავდა, საშიში არ იყო. იმ მიდამოში კოპი ხშირად მცდარ შთაბეჭდილებას გიქმნის. თავიდან ძალიან მაღალი გეჩვენება, მაფრამ რაც უფრო უახლოვდები, მით მეტად დაბლდება, თითქოს იფანტება, რადგან მომრგვალო გრანიტის ქვებისგან შედგება; ასე რომ, როდესაც ასეთი ბორცვის ძირში

დგახარ, თავისუფლად გაარჩევ ვლეის ქვებს შორის ღრიჭოებში; ვეება, მოლაპლაპე ქვები, რომლებიც გაუგებარია, როგორ ინარჩუნებენ მდგრადობას, პირამიდას მოგაგონებენ, რომელიც ვიღაც გოლიათმა ხრეშისგან ააშენა. ეს კოპი, როგორც ვიცოდით, - რადგან ადრევე გამოვიკვლიეთ, - მიწისა და ქვის არაერთ გამაგრებას შეიცავდა, რაც მაშონას ტომის სამოცდაათმა კაცმა ოთხმოცი წლის წინ გააკეთა, როდესაც მომხვდური მატაბილის ტომისგან თავის დაცვას ცდილობდნენ. და კიდევ, იქ მრავლად იყო ბუშმენების შესრულებული მშვენიერი ნახატი, ყოველ შემთხვევაში, მშვენიერი მანამ, ვიდრე ქალაქიდან ჩამოსულებმა არ დააზიანეს, თავშესაქცევად ქვებს ესროდნენ.

- წარმოიდგინეთ, - თქვა პოლმა, - აი, აქ ვსხედვართ, მაშონას ტომის ადამიანების პატარა რაზმი, ალყაში ვართ. მატაბილები გვიახლოვდებიან, მდიდრულად და შემაშინებლად მორთულები. რიცხობრივად ბევრად გვჭარბობენ. გარდა ამისა, ჩვენ, როგორც გამიგია, მეომარი ტომი არა ვართ, უბრალო ხალხი ვართ, მშვიდობიანი საქმიანობისა და სიამოვნების მოყვარული, მატაბილი კი ყველას და ყოველთვის ამარცხებს. ჩვენ, მამაკაცებმა ვიცით, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ მტანჯველი სიკვდილი გველის, თქვენ კი, იღბლიანებს, ანასა და მერიროუზს, თქვენ, ქალებს, თქვენი ახალი ბატონები მხოლოდ და მხოლოდ უცხო ტომში წაგათრევენ, ჩვენზე მძლავრი რომაა, უფრო გამბედავი და მეომარი მამაკაცების ტომში.

- ისინი ამას არ დაუშვებდნენ, თავს მოიკლავდნენ, - თქვა ჯიმიმ, - არა, ანა? არა, მერიროუზ?

- რასაკვირველია, - კეთილად მიუგო მერიროუზმა.

- რასაკვირველია, - ვთქვი მე.

მტრედი კი ღუღუნებდა და ღუღუნებდა. მომცრო, ლამაზი ჩიტი, რომელიც ცის ფონზე მუქად ჩანდა. პოლმა აიღო თოფი, დაუმიზნა და ესროლა. ჩიტი ჩამოვარდა, მიწისკენ წამოვიდა, ფრთები უღონოდ აიქნია, ჰაერში რამდენჯერმე გადატრიალდა და მიწას ყრუდ ბრაგვანით დაენარცხა. ეს ხმა მკაფიოდ გაისმა იმ ადგილას, სადაც ვისხედით.

- ძაღლი გვჭირდება, - თქვა პოლმა.

აშკარად ელოდა, ჯიმი უმალ წამოხტებოდა და მტრედის მოსატანად გაიქცეოდა. ვხედავდით, რომ ჯიმი თავს ებრძოდა, თუმცა ცოტა ხანში მაინც წამოდგა, მეზობელ კორომამდე მივიდა, მტრედი ბალახში სანადირო ძაღლივით მოძებნა, ფრინველის გრაციოზულობადაკარგული სხეული აიღო, დაბრუნდა, მტრედი პოლის ფეხებთან დააგდო და ისევ დაჯდა. ამ პატარა გასეირნების დროს მზემ ჯიმის დააცხუნა, პერანგზე მუქი, სველი ლაქები დააჩნდა. პერანგი გაიხადა. წელამდე გაშიშვლებული ტანი ფერმკრთალი, ფუმფულა, თითქმის ბავშვური ჰქონდა.

- ასე აჯობებს, - გამომწვევად თქვა, ხვდებოდა, რომ ვათვალიერებდით და, ალბათ, მეტად კრიტიკულადაც.

ღუღუნი ახლა აღარ ისმოდა.

- ერთი მტრედი, - ჩაილაპარაკა პოლმა, - ჩვენს მასპინძელს ერთ ლუკმად ეყოფა.

უეცრად მოშორებით მდგარი ხეებიდან მტრედების ღუღუნი, - ნაზი, მოგუდული ხმა მოისმა.

- მოთმინება, - თქვა პოლმა. თოფი გვერდზე გადადო და სიგარეტი გააბოლა.

ამ დროს ვილი კითხვას შეუდგა. მერიროუზი ზურგზე იწვა: გაშლილი ოქროსფერი თმა მწვანე ბალახზე ეფინა, თვალები მოეხუჭა. ჯიმიმ ახალი გასართობი იპოვა. ბალახის ბღუჯებს შო-

რის ქვიშის ვიწრო ღარი იყო, რომელშიც ცოტა ხნის წინ აშკარად წყალი მიედინებოდა, შესაძლოა, გუშინ ღამით, როცა თავსხმა წვიმა მოვიდა. მინიატიურული მდინარის კალაპოტს მიაგავდა, ორიოდე ფუტის სიგანის, რომელსაც უკვე მოესწრო დილის მზისგან დაშრობა. თეთრ ქვიშაში თორმეტიოდე პატარა მრგვალი ჩაღრმავება ჩანდა, სხვადასხვა ზომის, ქაოსურად განლაგებული. ჯიმი მუცელზე იწვა და ბალახის გრძელი, მაგარი ღეროთი შეიარაღებული, ცდილობდა ერთ-ერთი, შედარებით დიდი ჩაღრმავება კიდევ უფრო გაეღრმავებინა, ბალახის ღეროს შიგ ატრიალებდა.

წვრილი ქვიშა ფსკერზე ჩაშვავდა და რამდენიმე წამში ნატიფი, აკურატული ფორმის ორმო სრულიად მოისპო.

- ოჰ, შე მოუხეშავო იდიოტო, - ცალყბად მიუგდო პოლმა. მსგავს მომენტებში, როგორც ყოველთვის, ჯიმის გაღიზიანებითა და გულისტკივილით ელაპარაკებოდა. გულწრფელად ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა ვინმე ესოდენ მოუხეშავი ყოფილიყო. ჯიმის ბალახის ღერო გამოსტაცა, ზუსტი და თითქმის ელეგანტური მოძრაობით მეორე ჩარღმავების ძირში ჩაარჭო და ერთი წამის მერე იქიდან ამოაძვრინა მწერი, რომელმაც ეს ორმო გათხარა, - ციცქნა ლომჭიანჭველა, თავისი სახეობისთვის საკმაოდ დიდი ეგზემპლარი, დიდი ასანთის ღერისხელა. მწერი უხერხულად ჩამოცურდა პოლის ბალახის ღეროდან, ქვიშაზე დაეცა და უმალ კონვულსიურად, გაშმაგებით ამოძრავდა და ერთი წამის შემდეგ ქვიშის ქვეშ გაუჩინარდა - ოდნავ წამობურცული და მყისვე გასწორებული თხელი ქვიშის ქვეშ.

- აი, ასე, - უხეშად თქვა პოლმა და ჯიმის ბალახის ღერო დაუბრუნა. პოლი საკუთარმა უხეშობამ შეაცბუნა; ჯიმიმ, რომელიც გაჩუმდა და ოდნავ გაფითრდა, არაფერი უპასუხა. ბალახის ღე-

რო გამოართვა და დააკვირდა თვალით თითქმის შეუმჩნეველ ბურცობს, რომლის ქვეშაც ლომჭიანჭველა ჩამალულიყო.

ჩვენ კი ამ დროს იმდენად გავერთეთ ამ ყველაფრით, ვერც კი შევნიშნეთ, რომ მეზობელ კორომში ორი მტრედი მოფრინდა. აღუღუნდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, არავითარი სურვილი არ ჰქონდათ შეხმატკბილებისა, რადგან ხან ერთად ღუღუნებდნენ, ხანაც — რიგრიგობით.

- ძალიან საყვარლები არიან, - ჩაილაპარაკა მერიროუზმა პროტესტის ტონით, თუმცა თვალი არ გაუხელია.

- მიუხედავად ამისა ისინი, ისევე, როგორც შენი პეპლები, განწირული არიან.

პოლმა თოფი ასწია და გაისროლა. ამჯერად ჩიტი ქვასავით წამოვიდა მიწისკენ. მეორე მტრედი შეშინებული აქეთ-იქით ატრიალებდა თავს, მერე ცაში აიხედა, თვალით ეძებდა ძერას, რომელმაც შეიძლება უეცრად გაიტაცა მისი მეგობარი, მერე მკვეთრი მოძრაობით კისერი მოიგრიხა და მიწას დახედა, მაგრამ, ეტყობა, ბალახში დაგდებულ გასისხლიანებულ საგანში მოკლული მტრედი ვერ ამოიცნო, რადგან ხანმოკლე დაძაბული დუმილის შემდეგ, რომელიც წამით გადატენილი თოფის ტკაცანმა დაარღვია, ღუღუნი განაახლა. პოლმა იმავე წამს ასწია თოფი და ესროლა. მტრედი, თავისი ამხანაგისა არ იყოს, მიწაზე თვალის დახამხამებაში ჩამოვარდა. ამჯერად არც ერთ ჩვენგანს ჯიმისკენ არც კი გაუხედავს, რომელიც თვალს არ აშორებდა ახალაღმოჩენილ მწერს. ქვიშაში უზადოდ სწორი ფორმის ერთი ციცქნა ორმო გაკეთდა, რომლის ფსკერზე თვალისთვის უხილავი არსება შრომობდა, ქვიშას უმცირეს ტალღებად ამოძრავებდა. ისე ჩანდა, თითქოს ჯიმიმ ვერც კი შეამჩნია, ახალი მტრედი რომ მოკლა. არც პოლს გაუხედავს მისკენ. უბრალოდ ელოდე-

ბოდა, წარბები ოდნავ შეეკრა და რაღაც მელოდიას უსტვენდა. რამდენიმე წამის მერე ჯიმი, ისე, რომ ერთხელაც არ გამოუხედავს არც ჩვენკენ, არც პოლისკენ, გაწითლდა, მძიმედ წამოდგა, კორომისკენ წავიდა და ორი მოკლული მტრედი მოიტანა.

- ძაღლი თურმე საჭირო არც კი ყოფილა, - შენიშნა პოლმა.

ეს სიტყვები მაშინ თქვა, როცა ჯიმის უკანა გზის ნახევარიც არ ჰქონდა გავლილი, მაგრამ მაინც გაიგონა. შემიძლია ვივარაუდო, რომ პოლს არც უფიქრია, ისე ხმამაღლა ეთქვა, ჯიმის გაეგონა, თუმცა მაინცდამაინც არც ის აღელვებდა, გაიგონებდა თუ არა. ჯიმი ისევ დაჯდა მიწაზე და დავინახეთ, რომ მის თეთრ, მოფლაშულ მხრებს ალმური მოედო, ორი გასეირნების გამო ხასხასა ბალახზე, თაკარა მზის ქვეშ. ჯიმი მწერებზე დაკვირვებას დაუბრუნდა.

ისევ დაძაბულმა დუმილმა დაისადგურა. მტრედის ღუღუნი აღარსაიდან ისმოდა. სამი სისხლმდინარე, მოკლული მტრედი მზის გულზე ეყარა მიწიდან ამოჩრილ მომცრო ქვასთან. რუხი გრანიტი, თითქოს ძვირფასი ქვებით, ხავსის ლაქებით იყო მორთული; ჟანგისფერი, მწვანე... ბალახზე კი შედედებული ალისფერი სისხლის წვეთები ციმციმებდა.

ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებდა.

- ეს თქვენი ნანადირევი გაიხრწნება, - შენიშნა ვილიმ, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯიუტად აგრძელებდა კითხვას.

- უფრო გემრიელია, როცა ოდნავ წაიმძაღებს, - ჩაილაპარაკა პოლმა.

დავინახე, პოლმა როგორ ჰკიდა მზერა ჯიმის, დავინახე, როგორ დაიწყო ჯიმიმ ბრძოლა საკუთარ თავთან, ამიტომ სწრაფად

ავდექი და მოშვებული, ფრთებჩამოყრილი მკვდარი ჩიტები ჩრდილში გადავიტანე.

იმ მომენტისთვის ჰაერი ჩვენ გარშემო საყოველთაო, ერთმანეთით გამოწვეული დაძაბულობისაგან ლამის ცახცახებდა და პოლმა თქვა:

- დალევა მინდა.

- პაბი მხოლოდ ერთ საათში გაიღება, - მიუგო მერიროუზმა.

- მაშ, ისღა დამრჩენია, იმედი ვიქონიო, რომ მსხვერპლის აუცილებელი რაოდენობა თავს მალე შემოგვთავაზებს. ეს დრო რომ მოვა, ეგრევე მივატოვებ აქაურობას და ვინმე სხვას გადავაბარებ ამ სასაკლაოს ბოლომდე მიყვანის საპატიო უფლებას.

- მაგრამ არც ერთმა არ ვიცით ისე კარგად სროლა, როგორც შენ, - თქვა მერიროუზმა.

- და ეს შენც კარგად იცი, - დაუმატა ჯიმიმ მოულოდნელად გესლიანად.

ქვიშის ჭავლის მოძრაობას ადევნებდა თვალს. ახლა უკვე ვეღარ მიხვდებოდი, ლომჭიანჭველას რომელი სორო იყო ახალი გათხრილი. ჯიმი ჩაჰყურებდა იმას, რომელიც უფრო დიდი ჩანდა და რომლის ფსკერზე ერთ ბეწო ბურცობი იყო - ნადავლის მოლოდინში გარინდებული მონსტრის სხეული - და მოჩანდა ერთი ციცქნა თავის ნაწილი — მონსტრის ყბის ნაწილი.

- ერთადერთი, რაც ახლა გვჭირდება, რამდენიმე ჭიანჭველაა, — ჩაილაპარაკა ჯიმიმ.

- და რამდენიმე მტრედი, - თქვა პოლმა და ჯიმის კრიტიკულ შენიშვნაზე დაამატა, - განა რა ჩემი ბრალია, ამდენი სხვადასხვანაირი ნიჭის პატრონი რომ ვარ? ღმერთი გაძლევს. ღმერთი გართმევს. ამ შემთხვევაში, მომცა.

- უსამართლოდ, - შევეპასუხე.

პოლმა ალმაცერად ჩაიცინა: მომხიბლავად და თან აშკარად გამოხატა ჩემდამი პატივისცემა, ანუ მაღიარა და დამსახურებული პატივი მომაგო. ვილიმ, ისე, რომ წიგნისთვის თვალი არ მოუშორებია, ყელი ჩაიწმინდა. ხმა ერთობ კომიკური გამოუვიდა, როგორც ცუდ თეატრალურ დადგმაში. პოლსა და მე სრულიად უკონტროლო, ისტერიკული სიცილი აგვიტყდა — რაც ჩვენს კომპანიაში ხშირად ხდებოდა - ზოგჯერ ერთს ემართებოდა, ზოგჯერ - ორს, ზოგჯერ კი - ყველას ერთად. ვიცინოდით და ვიცინოდით, ვილი კი კითხვას აგრძელებდა. მაგრამ მახსოვს, რა მწუხარედ იყო წელში მოხრილი, როგორი სიმწრით ჰქონდა მოკუმული ტუჩები. თუმცა იმ მომენტში ვამჯობინე, არ შემემჩნია.

უეცრად ჰაერი ფრთების ძალუმმა ტყლაშუნმა გააპო და მტრედი ლამის ზედ ჩვენს თავს ზემოთ დაეშვა, ტოტს ბრჭყალებით მაგრად მოეჭიდა. შეგვამჩნია, ფრთები აიქნია, გაფრენა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, ზემოდან დაგვყურებდა, გვათვალიერებდა, თავს ხან აქეთ ატრიალებდა, ხან - იქით. მისი შავი, მბზინავი, ფართოდ გახელილი თვალები საოცრად მიაგავდა გზის გაყოლებაზე დაწყვილებული კალიების თვალებს. ცხადად ვხედავდით მის ღია ვარდისფერ თათებს, ტოტს მაგრად რომ მოსჭიდებოდა, ვხედავდით მზის ანაშუქს ფრთებზე, თითქოს ლაქებიაო. პოლმა თოფი ასწია, - იძულებული გახდა თითქმის პერპენდიკულარულად დაეჭირა, - გაისროლა და ჩიტი ჩვენ გვერდით დაეცა მიწაზე. სისხლის წვეთები ჯიმის ხელზე შეეშხეფა. ჯიმი ისევ გაფითრდა, სისხლი მოიწმინდა, თუმცა არაფერი უთქვამს.

- ეს უკვე ამაზრზენია, - გამოაცხადა ვილიმ.

- თავიდანვე ასეთი იყო, - მიუგო პოლმა მშვიდად და თავდაჭერილად.

წინ გადაიწია, მტრედი აიღო და დაკვირვებით შეათვალიერა. მტრედი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. სხეული მოდუნებოდა, მაგრამ მისი შავი თვალები პირდაპირ თვალებში გვიყურებდა. თვალზე ლიბრი გადაეკრა, მერე ოდნავ, თუმც კი მაინც შესამჩნევად შეირხა, შეეცადა სიკვდილს გაქცეოდა და პოლის ხელში აფართხალდა.

- რა ვქნა? - იკითხა პოლმა და ხმა კინაღამ გაებზარა, მაგრამ თავი მაშინვე ხელში აიყვანა ხუმრობის მეშვეობით, - თქვენ რა, მიგაჩნიათ, რომ კისერი უნდა მოვუგრიხო ამ ბედოვლათს?

- დიახ, - მიუგო ჯიმიმ და თვალი თვალში გაუყარა, თითქოსდა გამოიწვია. უნდილმა სისხლმა ისევ სახეში აასხა, უფორმო ლაქებად დააჩნდა, მაგრამ მაინც მოახერხა და აიძულა პოლს, თვალი დაეხარა.

- ძალიან კარგი, - ჩაილაპარაკა პოლმა ქედმაღლურად და ტუჩები მოკუმა. მტრედი ნაზად ეჭირა, აშკარად წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, როგორ მოეკლა. ჯიმი კი მისგან ელოდა იმის დამტკიცებას, რომ ამის უნარი ჰქონდა. ჩიტი კი ამ დროს პოლის ხელში ფართხალებდა, - ფრთების კორიანტელში იძირებოდა, - თავი გვერდზე ჩამოუვარდა; მერე ისევ აცახცახდა, თავის წამოწევა სცადა, მაგრამ ისევ და ისევ გვერდზე უვარდებოდა, მის ლამაზ თვალებს ლიბრი სულ უფრო მეტად ეკვროდა, მაგრამ მაინც თრთოდა, სიკვდილს ებრძოდა.

მერე კი უცებ მოკვდა, პოლი სასტიკი გამოცდისგან გაათავისუფლა და პოლმა ის მკვდარი მტრედებისკენ მოისროლა.

- შენ ყოველთვის და ყველაფერში გიმართლებს, - ჩაილაპარაკა ჯიმიმ ბოროტი, აკანკალებული ხმით. ტუჩები აშკარად

აუკანკალდა, - მსუქანი, ლამაზი ტუჩები, რომლებსაც შეფარული სიამაყით „დეკადენტურს“ ეძახდა.

- დიახ, ვიცი, - თქვა პოლმა, - მე ეს ვიცი. ღმერთი მწყალობს. რადგან, და ეს უნდა ვაღიარო, ძვირფასო ჯიმი, რომ მე ვერ ვაიძულებდი თავს, მტრედისთვის კისერი მომეგრიხა.

ჯიმის, რომელსაც საკუთარი განცდები ტანჯავდა, ზურგი შეაქცია და ისევ ლომჭიანჭველას სოროების თვალიერებას შეუდგა. იმ დროს, როდესაც პოლს ელაპარაკებოდა, და სხვა ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა, ძალზე პატარა, ფანტელივით მსუბუქი ჭიანჭველა ორმოში ჩავარდა და ფსკერზე აღმოჩნდა, და იმ მომენტში, როდესაც ჯიმიმ ჩაიხედა ორმოში, მისი ერთი ციცქნა სხეული ორად მოიკეცა, მონსტრის ყბებში აღმოჩნდა. ამ სასიკვდილო დრამის მასშტაბი იმდენად მცირე იყო, რომ ორმო, ჭიანჭველა და ლომჭიანჭველა ფრჩხილზე დაეტეოდნენ, ვთქვათ, მერიროუზის პატარა ვარდისფერ ფრჩხილზე.

ერთი ციდა ჭიანჭველა თეთრი ქვიშის თხელი ფენის ქვეშ გაუჩინარდა და ერთი წამის მერე გარეთ ისევ ყბა ამოიწვერა, — ცარიელი, სუფთა, შემდგომი გამოყენებისთვის გამზადებული.

პოლმა თოფი სწრაფად გადატენა, გამოყენებული მასრა ამოაგდო და მის ადგილას ახალი ტყვია ჩასვა.

- დედილო ბუთბის მინიმალური მოთხოვნილება რომ დავაკმაყოფილოთ, სულ ცოტა, კიდევ ორი ცალი გვჭირდება, - შენიშნა მან.

ხეებზე არც ერთი მტრედი არ იყო. მაღალი, განტოტვილი ხეები მდუმარედ იდგნენ მწველი მზის გულზე, მწვანე, გრაციოზულ ტოტებს ოდნავ არხევდნენ. იმ დროისთვის პეპლების რაოდენობა შესამჩნევად შემცირდა, გამთანგავ სიცხეში მხოლოდ რამდენიმე ათეულიღა აგრძელებდა „ცეკვას“. სიცხის

ტალღები ბალახზე, ქვიშაზე ზეთივით მიცურავდა, ბალახიდან აქა-იქ ამოშვერილ ქვებზე კი თითქოს დედდებოდა, უფრო მკვრივი ხდებოდა.

- არაფერია, - ჩაილაპარაკა პოლმა, - არაფერი ხდება. რა მოწყენილობაა.

დრო გადიოდა, ვიცდიდით. ვეწეოდით. მერიროუზი უძრავად იწვა, თვალდახუჭული, თაფლივით ტკბილი და მომხიბლავი. ვილი კითხვას ჯიუტად განაგრძობდა, საკუთარ განათლებაში არსებულ ხარვეზებს ავსებდა. კითხულობდა წიგნს „სტალინი კოლონიალიზმის საკითხზე“.

- აი, კიდევ ერთი ჭიანჭველა, - წამოიძახა ჯიმიმ.

მსხვილი ჭიანჭველა, ამჯერად თითქმის ლომჭიანჭველასხელა, ბალახში მიიკვლევდა გზას, ქაოსურად მოძრაობდა, ხან ერთ მხარეს გაიქცეოდა, ხან - მეორეს, მონადირე ძაღლივით, კვალს რომ იღებს. ორმოში ჩავარდა და ამჯერად ჩვენი თვალით დავინახეთ, როგორ ამოიწვერა ქვიშიდან მბზინავი ყავისფერი ღოჯები, ჭიანჭველას წელზე შემოეჭდო, მოუჭირა და თითქმის შუაზე გაწყვიტა. ორთაბრძოლა. ორმოში - თეთრი ქვიშის მოძრაობა. ქვიშის ქვეშ იბრძოდნენ. მერე ყველაფერი მიწყნარდა.

- ამ ქვეყანაში არის რაღაც ისეთი, - თქვა პოლმა, - რაც სულში კვალს დამიტოვებს და ეს მთელი სიცოცხლე თან გამყვება. როცა ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ ვიზრდებოდით ჩვენ, ისეთი ბიჭები, როგორიც მე და ჯიმი ვართ, ასე ვთქვათ, წესიერი ოჯახებიდან, ყოველმხრივ საიმედოდ დაცულები - ეს ჩვენი ძვირფასი, ტრადიციული სახლები, ეს კერძო სკოლები და ოქსფორდი, - განა მადლობა არ უნდა შევწიროთ ბედისწერას, რომ მოგვენიჭა შესაძლებლობა გავიაროთ ეს სკოლა, შევიცნოთ სიცოცხლის

კანონები, სადაც ბუნებას მუდამ გასისხლიანებული ღოჯები და კლანჭები აქვს?

- მე მადლიერებას ვერ ვგრძნობ, - გამოეპასუხა ჯიმი, - მე მძულს ეს ქვეყანა.

- მე კი ჭკუას ვკარგავ. ყველაფერს მას უნდა ვუმადლოდე. მეტად ვეღარასოდეს დავაფრქვევ იმ ლიბერალურსა და ამაღლებულ ბანალობებს, რომლებიც ჩემი ფართო განათლების მიღებისას ავითვისე. ახლა უკვე ვიცი, რა რად ღირს.

ჯიმიმ თქვა:

- შესაძლოა, მეც ვიცი, რა რად ღირს. მაგრამ მე წინანდებურად დავაფრქვევ ბანალურად ამაღლებულ აზრებს. მაშინვე, როგორც კი ინგლისში აღმოვჩნდები. ამ წამის მოლოდინში გული მელევა. და იმ განათლებამ, რომელიც მივიღეთ, უპირველესად იმისთვის მოგვამზადა, რომ ცხოვრება ხანგრძლივი და უმნიშვნელო ამბავია. აბა, კიდევ რას გვასწავლიდნენ? პირადად მე ერთი სული მაქვს, ეს ხანგრძლივი და უმნიშვნელო არსებობა დაიწყოს. როგორც კი დავბრუნდები, თუკი საერთოდ დავბრუნდები.

- აჰა! - წამოიძახა პოლმა, - აი, კიდევ ერთი ჩიტი მოფრინავს! არა, აღარ მოფრინავს.

კიდევ ერთმა მტრედმა ჰაერი მკერდით გაკვეთა, ჩვენს ხესთან მოფრინდა, მაგრამ დაგვინახა, გეზი იცვალა, ჰაერში მოუხვია, კინაღამ გვერდითა კორომის ერთ-ერთ ხეზე დაჯდა, მაგრამ გადაიფიქრა და შორს გაქროლდა. გზაზე სოფლის მუშები გამოჩნდნენ, შინ ბრუნდებოდნენ. მდუმარედ ვუყურებდით. ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ, ვიდრე შეგვამჩნევდნენ, მაგრამ როგორც კი შეგვნიშნეს, უმალ ჩაჩუმდნენ და გვერდზე გაიხედეს, თვალები დახარეს. ასე ჩაგვიარეს, თითქოს ცდილობდნენ თავი-

დან აერიდებინათ ბოროტება, რომელიც ჩვენი, თეთრი ადამიანების, გვერდით ნებისმიერ წამს შეიძლება დაგატყდეს თავს.

პოლმა ჩუმად ჩაილაპარაკა:

- ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო.

მერე კი უკვე სრულიად სხვა, არასერიოზული ტონით გამოაცხადა:

- თუკი ამას ობიექტურად შევხედავთ და რამდენადაც შესაძლებელია ამხანაგ ვილისა და მისი კატეგორიის ადამიანების მოსაზრებას არ გავითვალისწინებთ, ამხანაგო ვილი, მოგიწოდებთ ობიექტურად განიხილოთ ერთი საკითხი.

ვილიმ წიგნი გვერდზე გადადო, ყველანაირად აჩვენა, მზად ვარ ურთიერთობის შენს ირონიულ სტილს ავყვეო.

- ეს ქვეყანა ფართობით ესპანეთზე დიდია. ის იტევს აქ მობინადრე მილიონ-ნახევარ შავკანიანს, რომლებიც, ალბათ, ანგარიშში ჩასაგდებიც არ არიან, და ასი ათას თეთრკანიანს. ეს აზრი, ხმამაღლა გამოთქმული, სულ ცოტა, ორწუთიან დაფიქრებას საჭიროებს. მაშ, რას ვხედავთ? ჩვენ იოლად შეგვიძლია მივხვდეთ - და გვაქვს საფუძველი ასე შევაფასოთ არსებული სიტუაცია, ამხანაგო ვილი, მიუხედავად თქვენი არგუმენტებისა, - რომ ეს ქვიშის უმნიშვნელო გროვაა ისტორიის ნაპირებზე - არცთუ ურიგო მეტაფორაა, რას იტყვით? არცთუ ორიგინალური, მაგრამ ყოველთვის შესაფერისი, - ეს მილიონ-ნახევარზე ოდნავ მეტი კაცი ამ ღვთივკურთხეულ მიწაზე მხოლოდ იმისთვის ცხოვრობს, ერთმანეთი რომ ტანჯონ.

ამ სიტყვებზე ვილიმ წიგნი ისევ აიღო ხელში, გადაშალა და კვლავ ჩაუღრმავდა.

- ამხანაგო ვილი, დე მისრიალებდეს თქვენი მზერა ბეჭდურ სიტყვაზე, მაგრამ თქვენი სულის სმენა დე მიადევნებდეს გუ-

ლისყურს ჩვენს სიტყვას. რადგან ჩვენ გვაქვს საქმე შემდეგ ფაქ-ტებთან - დიახ, დიახ, ფაქტებთან! - აქ საკმარისი საკვებია ყვე-ლასთვის — საკმარისი მასალა, რომ უზრუნველყოს საცხოვრე-ბელი ყველასთვის! - საკმარისი ნიჭია, თუმცა კი ჯერჯერობით ისე ღრმად დაფარული, რომ მხოლოდ ყველაზე კეთილმოსურნე მზერას ძალუძს მათი გარჩევა, - საკმარისი ნიჭი საიმისოდ, რომ ნათელი შვას იქ, სადაც ამჟამად წყვდიადია.

- და ამის საფუძველზე შენ აკეთებ დასკვნას, რომ... - უთხრა ვილიმ.

- მე არავითარ დასკვნას არ ვაკეთებ. მე გამაოგნა ახალმა... თითქოს დამაბრმავებელი შუქის შემონათებაა, შუქის აფეთქება, სხვანაირად ვერც იტყვი.

- მაგრამ, რასაც შენ ამბობ, მთელ მსოფლიოს ეხება და არა მხოლოდ ამ ქვეყანას, - შენიშნა მერიროუზმა.

- ო, შეუდარებელო მერიროუზ! დიახ. თვალი ამეხილა და ახ-ლა ვხედავ, - ამხანაგო ვილი, განა არ დამეთანხმებით, რომ საქ-მე გვაქვს ისეთი კანონის გამოვლინებასთან, რომელიც აქამდე არ იყო აღნუსხული ჩვენს სწავლებაში? ნგრევისა და განადგუ-რების კანონის გამოვლინებასთან?

ვილიმ უპასუხა და სწორედ იმ ტონით, რომელსაც მისგან ყველანი ველოდით:

- ამ შემთხვევაში არაა საჭირო რაღაც ახალი კანონების ძიება, გარდა საყოველთაოდ ცნობილი კანონისა კლასობრივი ბრძოლის შესახებ.

თქვა ეს და თითქოს ჩამრთავი მექანიზმის ღილაკს თითი დააჭირესო, ჯიმს, პოლსა და მე ისტერიკული სიცილი აგვივარ-და, თავშეუკავებელი ხარხარი, რომელსაც ვერასოდეს ვიკავებ-დით და რომელსაც ვილი არასოდეს უერთდებოდა.

- მე სრულიად აღტაცებული ვარ, - თქვა მან და მკაცრად მოკუმა ტუჩი, - რომ თქვენნაირ კეთილ სოციალისტებს - არადა, თქვენგან ორი ხომ მაინც მიიჩნევს თავს ასეთად, - ეს ყველაფერი ამდენად კომიკური ჰგონიათ.

- მე არა მგონია ეს კომიკური, - გამოაცხადა მერიროუზმა.

- შენ საერთოდ არაფერი და არასდროს არ გგონია კომიკური, - უთხრა პოლმა, - იცი თუ არა, მერიროუზ, რომ საერთოდ არასოდეს იცინი? არასოდეს! ამ დროს ჩემი შეხედულება ცხოვრებაზე, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც პათოლოგიური და ყოველ განვლილ წუთთან ერთად სულ უფრო პათოლოგიური ხდება, მე, ამისდა მიუხედავად, თითქმის განუწყვეტლივ ვიცინი? საქმის ამ ვითარების რაგვარი ახსნა შეგიძლია შემომთავაზო?

- ცხოვრებაზე ჩემი შეხედულება არ გამაჩნია, - მიუგო მერიროუზმა, რომელიც კვლავაც ზურგზე იწვა და სათუთსა და მოვლილ თოჯინას ჩამოჰგავდა, რომელიც ბრეტელებიან შარვალსა და კაშკაშა ფერის პერანგში გახლდათ გამოწყობილი, - ნებისმიერ შემთხვევაში, - დაამატა მან, - თქვენ საერთოდაც არ იცინით. მე ხშირად გისმენთ თქვენ (ეს ისე თქვა, თითქოს ერთ-ერთი ჩვენგანი კი არ იყო, არამედ გარეშე დამკვირვებელი) და შევამჩნიე, რომ მით უფრო ხმამაღლა იცინით, რაც უფრო საშინელ რაღაცას ამბობთ. ჰოდა, მე ამას სიცილს არ ვეძახი.

- და როცა შენს ძმასთან იყავი, მერიროუზ, იცინოდი? და იმ იღბლიან ჯეელთან, შენს კეიპელ რჩეულთან? იცინოდი?

- კი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ბედნიერები ვიყავით, - მარტივად მიუგო მერიროუზმა.

- ღმერთო დიდებულო, - მოწიწებით ჩაილაპარაკა პოლმა, - მე ვერასოდეს ვიტყოდი ამას. ჯიმ, შენ ოდესმე გიცინია იმის გამო, რომ ბედნიერი იყავი?

- მე არასოდეს ვყოფილვარ ბედნიერი, - უთხრა ჯიმიმ.

- შენ, ანა?

- არც მე.

- ვილი?

- რასაკვირველია, ვიცინოდი, - ჯიუტად მოუგო ვილიმ, სოციალიზმს, ბედნიერების ფილოსოფიას იცავდა.

- მერიროუზ, - თქვა პოლმა, - შენ სიმართლე გვითხარი, ვილისა მე არ მჯერა, შენი კი მჯერა. და შენი, მერიროუზ, შეიძლება შეშურდეს კაცს, მთელი სულითა და გულით შეშურდეს. მიუხედავად ყველაფრისა. იცი ეს თუ არა?

- კი, - უთხრა მერიროუზმა, - მგონი, ყველა თქვენგანზე მეტად გამიმართლა. და ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ბედნიერი ვიყავი. ან რით არის ეს ცუდი?

სიჩუმე ჩამოვარდა. ერთმანეთს გადავხედეთ. მერე კი პოლმა მერიროუზს მდაბლად დაუკრა თავი.

- როგორც ყოველთვის, - თავმდაბლად და მორჩილად ჩაილაპარაკა, - შენთვის საპასუხოდ სათქმელი არაფერი გვაქვს.

მერიროუზმა თვალი ისევ მოხუჭა. უეცრად ახლომდებარე კორომის ერთ-ერთ ხეზე მტრედი მოწყვეტით დაეშვა. პოლმა ესროლა, მაგრამ ააცილა.

- სრული ფიასკო! - შესძახა მან ხელოვნური, ირონიული ტრაგიზმით.

ჩიტი ტოტზე დარჩა, გაოცებული ატრიალებდა თავს, უყურებდა, როგორ ნარნარი ბრუნვა-ბრუნვით მიფრინავდა მიწისკენ

ფოთოლი, პოლის ტყვიამ რომ მოსწყვიტა. პოლმა თოფი გადატენა და ისევ გაისროლა. ჩიტი ჩამოვარდა. ჯიმი ჯიუტად არ დგებოდა ადგილიდან. არა და არ დგებოდა. და პოლი, სანამ მისი და ჯიმის ნებისყოფის შერკინება ჯიმის გამარჯვებით დასრულდებოდა, წამოდგა და გამარჯვება დაიბევა იმის ხარჯზე, რომ სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა:

- მაძებარი ძაღლი ჩემი თავისთვის მე თვითონ ვიქნები.

აუჩქარებლად წამოდგა და ნანადირევის მოსატანად გაემართა. ყველანი ცხადად ვხედავდით, როგორ ებრძოდა თავს ჯიმი, როგორ ძლივს იკავებდა თავს, რომ არ წამომხტარიყო და უკან არ გაჰკიდებოდა. პოლი კი მოკლული მტრედიანად მთქნარებით მობრუნდა და მოკლული მტრედების გროვაზე დააგდო.

- ისეთი სისხლის სუნია, რომ მალე გული ამერევა, - თქვა მერიროუზმა.

- მოითმინე, - უთხრა პოლმა, - ნორმა თითქმის შევასრულეთ.

- ექვსი თავზე გადაგვივა, - დაამატა ჯიმიმ, - რადგან არც ერთი ჩვენგანი ამ ღვეზელს პირსაც არ დააკარებს. და მისტერ ბუთბის საშუალება ექნება, მთლიანად შესანსლოს.

- მე, რასაკვირველია, მივირთმევ, - თქვა პოლმა, - და ასევე, თქვენც. ნუთუ მართლა გგონიათ, რომ როდესაც მადისაღმძვრელ, არომატულ ხორცის ღვეზელს მოგვიტანენ, ამ ჩიტუნების ნაზი ღუღუნი გაგახსენდებათ, ესოდენ უხეშად რომ გააწყვეტინა მზაკვარმა ბედისწერამ?

- დიახ, - თქვა მერიროუზმა.

- დიახ, - ვთქვი მე.

- შენ, ვილი? - იკითხა პოლმა, ეს საკითხი დისკუსიის თემად აქცია.

- შესაძლოა, არა, - უპასუხა ვილიმ ისე, რომ წიგნისთვის თვალი არ მოუშორებია.

- ქალები ნაზი არსებები არიან, - თქვა პოლმა, - ისინი დროს მოკლავენ მისის ბუთბის მშვენიერ როსტბიფთან ურთიერთობაში, გვიყურებენ, როგორ შევჭამთ მტრედებს და ჩვენი უმოწყალო სისასტიკისთვის კიდევ მეტად შეგვიყვარებენ.

- მაშონასა და მატაბილის ტომთა ქალების მსგავსად, - ჩაურთო ჯიმიმ.

- ხანდახან გამიტაცებს ხოლმე ფიქრი იმ შორეულ დროებაზე, - ჩაილაპარაკა პოლმა, მოხერხებულად მოეწყო თოფით ხელში, თან ხეებს ყურადღებით უმზერდა, - რაოდენ მარტივი იყო ყოველივე. ადამიანები ერთმანეთს ხოცავდნენ საპატიო მიზეზით: მიწა, ქალი, საკვები. ჩვენ კი არ გვგავდნენ. სრულიად სხვანაირები იყვნენ. რაც შეგვეხება ჩვენ, იცით, რა გველის? მე გეტყვით. ისეთი სწორუპოვარი ამხანაგების შრომის შედეგად, როგორიცაა ვილი, რომელიც მუდამ მზადაა საკუთარი თავი სხვას შესწიროს, ანდა ისეთების წყალობით, როგორიც მე ვარ, ვისაც მხოლოდ საკუთარი მოგება აინტერესებს, მე განვჭვრეტ, - ორმოცდაათიოდე წლის შემდეგ ეს გასაოცარი, უდაბური სივრცე, ჩვენ თვალწინ რომაა გადაშლილი და ახლა მხოლოდ პეპლებითა და კალიებით არის სავსე, დაიფარება წყვილ-წყვილად მდგარი, ზიარკედლებიანი სახლებით, რომლებიც კარგად ჩაცმული შავკანიანი მუშებით იქნება სავსე.

- და რაშია პრობლემა? - იკითხა ვილიმ.

- ეს პროგრესია, - მიუგო პოლმა.

- დიახ, პროგრესია, - თქვა ვილიმ.

- და სახლები წყვილ-წყვილად რატომ უნდა იდგნენ და საზიარო კედელი რატომ უნდა ჰქონდეთ? - იკითხა ჯიმიმ მეტად სე-

რიოზულად. ხდებოდა ხოლმე, როდესაც ის მეტად სერიოზულად უყურებდა სოციალისტურ მომავალს, - სოციალისტური მთავრობის დროს ყველას საკუთარი სახლი ექნება თავისი ბაღით ან დიდი, ფართო ბინები.

- ჩემო ძვირფასო ჯიმი! - შესძახა პოლმა, - რა სამწუხაროა, რომ ეკონომიკა გიღრღნის გულს. სოციალიზმი იქნება თუ კაპიტალიზმი, ნებისმიერ შემთხვევაში მთელ ამ მშვენიერ, ასათვისებლად ვარგის მიწას იმ დონეზე აითვისებენ, რაც კი შესაძლებელია მეტად დაბალგანვითარებული სახელმწიფოსთვის. მისმენ, ამხანაგო ვილი?

- გისმენ.

- და რადგანაც მთავრობა, - მნიშვნელობა არა აქვს, სოციალისტური იქნება ის თუ კაპიტალისტური, - შეეჩეხება აუცილებლობას, დააბინაოს უსახლკაროთა უზომო რაოდენობა და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად, ყველა შესაძლო ვარიანტიდან ყველაზე იაფფასიანი საცხოვრებელის ტიპს აირჩევს, რადგან საუკეთესო ყოველთვის მტერია კარგისა და ეს მშვენიერი პეიზაჟი ასე გარდაიქმნება: აქ იდგება ერთ-ერთი იმ მრავალი ქარხნიდან, ამ ქვეყანაში რომ აშენდება, ლურჯ ცას რომ გაბოლავს, გარშემო კი - უამრავი იდენტური, იაფფასიანი სახლი. მართალი ვარ, ამხანაგო ვილი?

- მართალი ხარ.

- და მერე რა?

- ამაში არაა საქმე.

- ჩემთვის კი სწორედ ესაა საქმე. აი, სწორედ ამიტომ ვფიქრობ მაშონასა და მატაბილის ტომთა გულუბრყვილო სიველურეზე. სხვა სახის ველურობა იმდენად საზარელია, რომ ამაზე არც მინდა ლაპარაკი. ეს ჩვენი დროის რეალობაა, დროისა,

რომელშიც გვიწევს ცხოვრება, მიუხედავად იმისა, კაპიტალიზმია თუ სოციალიზმი. აბა, რას იტყვი, ამხანაგო ვილი?

ვილი შეყოყმანდა და მერე თქვა:

- რა თქმა უნდა, გარეგნულად კი იქნება ზოგიერთი მსგავსი თვისება, მაგრამ...

სიტყვა ჩემი და პოლის ხარხარმა გააწყვეტინა, ოდნავ მოგვიანებით ჯიმიც შემოგვიერთდა.

მერიროუზმა ვილის აუხსნა:

- იმაზე კი არ იცინიან, რასაც ამბობ, არამედ იმაზე, რომ ყოველთვის იმას ამბობ, რასაც შენგან ელიან.

- მე ამას ვხვდები, - მიუგო ვილიმ.

- არა, მერიროუზ, - უთხრა პოლმა, - არა ხარ მართალი. მე იმაზეც ვიცინი, რასაც ამბობს. რადგან სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ეს ყველაფერი ტყუილია. ღმერთმა დამიფაროს ზედმეტი კატეგორიულობისაგან, მაგრამ ვშიშობ, რომ... რაც შემეხება პირადად მე, დროდადრო ინგლისიდან გავფრინდები, რათა ჩემი ოკეანისგაღმა დაბანდებები გავაკონტროლო და ერთხელაც შემთხვევა ამ მხარეში მომიყვანს და როდესაც სწორედ ამ ადგილებს გადავუფრენ, დედამიწას დავხედავ და დავინახავ ბოლში გახვეული ქარხნების მილებს და საცხოვრებელ მასივებს და ეს მშვიდი, სასიამოვნო, იდილიური დღეები გამახსენდება, და...

ჩვენ წინ ერთ-ერთ ხეზე მტრედი დაეშვა. მერე კიდევ ერთი, და კიდევ ერთი... პოლმა გაისროლა. ჩიტი ჩამოვარდა. კიდევ გაისროლა. მეორე ჩიტიც ჩამოვარდა. მესამე ფოთლების ტევრიდან პირდაპირ ცაში აიჭრა ისე, თითქოს კატაპულტით გატყორცნესო. ჯიმი წამოდგა, წავიდა, ორი მოკლული მტრედი მოიტანა, ნანადირევზე დააგდო და თქვა:

- შვიდი ცალია. ღვთის გულისათვის, არაა საკმარისი?

- საკმარისია, - მიუგო პოლმა და თოფი გვერდზე გადადო, - მოდი, ახლა კი სასწრაფოდ პაბისკენ ავიღოთ გეზი. სისხლს ჩამოვიბანთ თუ არა, პაბიც გამოწერილივით გაიხსნება.

- შეხედეთ, - თქვა ჯიმიმ.

ბალახში ჩვენკენ გზას მოიკვლევდა ხოჭო, არცთუ მსხვილი, თუმცა ორჯერ მაინც დიდი ყველაზე მოსულ ლომჭიანჭველაზე.

- არ გამოდგება, - შენიშნა პოლმა, - ეს მისთვის ბუნებრივი მსხვერპლი არაა.

- ვინ იცის, - მიუგო ჯიმიმ.

ხოჭოს ყველაზე დიდი ორმოსკენ უბიძგა. უცებ ყველაფერი კონვულსიურად ამოძრავდა. ლაპლაპა ყავისფერი ღოჯები ხოჭოს ტანზე შემოეჭდო, ხოჭო ახტა და ლომჭიანჭველა ქვიშიდან სანახევროდ ამოათრია. ორმოს კიდეები მოერღვა, თეთრი ქვიშა ჩანჩქერის ნაკადივით ჩაიქცა და უხმაურო, სასიკვდილო ბრძოლის ადგილის გარშემო რამდენიმე დუიმის მანძილზე ქვიშა ამოძრავდა, ამოიბურცა, მორევივით დატრიალდა.

- ყურნი რომ გვესხან სმენად, - ჩაილაპარაკა პოლმა, - გავიგონებდით, ყვირილი და კივილი, ხროტინი და კვნესა როგორ ავსებს აქაურობას, მაგრამ იმით, რაცა გვაქვს, გვგონია, მზით გაკაშკაშებულ ველდზე ნეტარი და უდრტვინველი სიჩუმეა გამეფებული.

ფრთების ბათქუნი შემოგვესმა. ხის ტოტზე ჩიტი დაეშვა.

- არა, არ გინდა, - უთხრა მერიროუზმა ტკივილიანად, თვალი გაახილა და იდაყვზე წამოიწია.

მაგრამ უკვე გვიან იყო. პოლმა გაისროლა, ჩიტი ჩამოვარდა. ვერ მოასწრო მიწაზე დანარცხება, რომ კიდევ ერთი მოფრინდა და გამხმარი სქელი ტოტის სულ ბოლოში დაეშვა წვრილ რტოზე, - ჩამოჯდა და ნარნარად აქანავდა. პოლმა გაისროლა, ჩიტი

ჩამოვარდა, დაიჭყივლა და ფრთები უღონოდ ააფართხალა. პოლი წამოხტა, სირბილით მივიდა, ორივე ჩიტს ხელი დასტაცა, - მოკლულსა და დაჭრილს. დავინახეთ, როგორ მოკუმა ტუჩები, სწრაფად და მტკიცედ დახედა დაჭრილ მტრედს, მის ხელში რომ ფართხალებდა და უმალ კისერი მოუგრიხა.

მობრუნდა, ორი ახალი მკვდარი ჩიტი მიწაზე დააგდო და თქვა:

- ცხრა ცალია. მორჩა, საკმარისია.

გაფითრებულიყო, მთლად კარგად ვერ გამოიყურებოდა, თუმცა, მაინც მოახერხა და ჯიმის ტრიუმფალურად გაუღიმა, თანაც ისე, თითქოს საკუთარი თავისა უკვირსო.

- წავედით, - თქვა ვილიმ და წიგნი დახურა.

- მოიცადეთ, - თქვა ჯიმიმ. ქვიშა აღარ მოძრაობდა. ჯიმიმ ბალახის ღერო აიღო და ქვიშაში მოაფათურა, ჯერ ხოჭო, მერე კი ლომჭიანჭველა ამოიყვანა. ლომჭიანჭველას ღოჯები ხოჭოს სხეულში სამუდამოდ ჩარჩენილიყო. თვით ლომჭიანჭველას თავი წაწყვეტილი ჰქონდა.

- მორალი კი ისაა, - შენიშნა პოლმა, - რომ ორთაბრძოლა მხოლოდ ბუნებრივ მტრებს შორის უნდა ხდებოდეს.

- და ვინ უნდა გადაწყვიტოს, რომელია ბუნებრივი მტერი და რომელი არა?

- შენ არა, ყოველ შემთხვევაში, - მიუგო პოლმა, - აი, შეხედე, შენ ბუნებრივი წონასწორობა დაარღვიე. ახლა ერთი ლომჭიანჭველათი ნაკლებია. და საფიქრებელია, ასობით ჭიანჭველა, რომელიც მის სტომაქში აღმოჩნდებოდა, ახლა ცოცხალი დარჩება. და კიდევ, მივიღეთ მკვდარი ხოჭო, რომელსაც სრულიად ტყუილად მოესწრაფა სიცოცხლე.

ჯიმიმ ქვიშის ლაპლაპა „მდინარეს“ შემოუარა, ორმოებით რომ იყო დაფარული. ფრთხილად მიაბიჯებდა, გადარჩენილი, ქვიშის სამალავებში ჩასაფრებული ლომჭიანჭველები რომ არ შეეწუხებინა. გაოფლილ, დაწითლებულ ტანზე პერანგი გადაიცვა. მერიროუზი ისე წამოდგა, როგორც მხოლოდ მას ეხერხებოდა: მორჩილად, მოთმინებით, თითქოსდა გაიტანჯა და ნებისყოფის ნატამალიც აღარ შერჩაო. ხეების ჩრდილის საზღვარზე ვიდექით, არ გვინდოდა მზეზე გასვლა, ჰაერი ვარვარებდა, ოდნავ გვაქანებდა, თავბრუ გვესხმოდა, რადგან პეპლები გაუჩერებლად, მონოტონურად ტრიალებდნენ ჰაერში, „ცეკვავდნენ“, თითქოს სიცხისგან შეიშალნენო. და სანამ იქ ვიდექით, ხეები, რომელთა ჩრდილსაც ვაფარებდით თავს, უცებ ახმაურდნენ, გაცოცხლდნენ. კორომის ბინადრებმა - ჭრიჭინებმა, რომლებიც ორი საათის განმავლობაში მოთმინებით ელოდნენ, როდის წავიდოდით, ბოლოს და ბოლოს, იხუვლეს, აჭახჭახდნენ, მკვეთრად და ხმამაღლა; ერთმა დაიწყო, მეორე აჰყვა, მერე კი - უამრავი ერთად. მეზობელ, ზუსტად ასეთივე კორომში კი ორი ახალი მტრედი მოფრინდა, ჩამოსხდნენ და აღუღუნდნენ. პოლი დაფიქრებით უყურებდა, თოფს აქანავებდა.

- არა, - უთხრა მერიროუზმა, - ძალიან გთხოვ, არ გინდა.

- და რატომაც არა?

- ძალიან გთხოვ, პოლ.

ცხრა მოკლული მტრედი, ვარდისფერი თათებით ერთმანეთზე გადაბმული, პოლს ხელზე ჰქონდა ჩამოკონწიალებული, სისხლი მიწაზე წვეთავდა.

- ეს წარმოუდგენელი მსხვერპლია, - თქვა პოლმა სერიოზულად, - მაგრამ შენი ხათრით, მერიროუზ, თავს შევიკავებ.

მერიროუზმა გაუღიმა, მაგრამ მადლიერებთ კი არა, არამედ ცივი საყვედურით. ყოველთვის ასე უღიმოდა. პოლმა საპასუხოდ გაუღიმა, - მისი მომხიბლავი, გარუჯული სახე, ფართოდ გახელილი ცისფერი თვალებით, სავსებით მზად იყო მისი ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე კრიტიკული მზერისთვის. წინ წავიდნენ, მკვდარი ჩიტები ფრთებით ბალახს ედებოდნენ.

ჩვენ სამნი მივყევით.

- რა სამწუხაროა, - შენიშნა ჯიმიმ, - რომ მერიროუზს ასე არ მოსწონს პოლი. რადგან ერთად, და ეს ეჭვგარეშეა, იმას წარმოადგენენ, რასაც იდეალურ წყვილს უწოდებენ ხოლმე.

შეეცადა ეს მსუბუქი ირონიული ტონით ეთქვა და თითქმის გამოუვიდა კიდეც. თითქმის, მაგრამ ბოლომდე ვერა; ხმაში ეჭვიანობის შორეული ანარეკლი მაინც გაუკრთა.

გავხედეთ. ეს ორი მართლაც იდეალური წყვილი იყო, ორივე მსუბუქი და გრაციოზული, მზის შუქი მათ ღია ფერის თმას ელაციცებოდა, გარუჯულ კანს ოქროსფრად უფერადებდა. არადა, მერიროუზი პოლის გვერდით მიდიოდა, ზედაც არ უყურებდა, ის კი ამაოდ ესროდა მუდარით აღსავსე, გულამაჩუყებელ მზერას.

უკანა გზაზე სიცხე იმდენად აუტანელი შეიქნა, რომ ლაპარაკის ხალისი დაგვეკარგა. როდესაც მომცრო კოპის ჩავუარეთ, რომლის გრანიტის ლოდებს მზე ავარვარებდა, თავბრუდამხვევი მხურვალების ტალღა ისე დაგვეტაკა, რომ ძალაუნებურად ფეხს ავუჩქარეთ. გარშემო სიცარიელე და სიმშვიდე იყო, მხოლოდ ჭრიჭინები ხმიანობდნენ და სადღაც შორს მტრედი ღუღუნებდა. როცა კოპის გავცდით, სვლა შევანელეთ და კალიებს დავუწყეთ თვალით ძებნა და აღმოვაჩინეთ, რომ თითქმის ყველა ის კაშკაშა, დაწყვილებული მწერი გამქრალიყო. ძალზე ცოტა დარჩენილიყო, ერთმანეთზე ამხედრებულები მკვეთრ ფერებად

შეღებილ სარეცხის სამაგრებს მოგაგონებდნენ, ზედ მიხატული შავი თვალებით. ძალზე ცოტანი იყვნენ. და პეპლებიც თითქმის აღარ ჩანდნენ. ჩვენ გვერდით ერთიორმა თუ ჩაიფრინა ზანტად, მოქანცულად.

სიცხისგან თავი გვისკდებოდა. სისხლის სუნისგან გვაზიდებდა.

სასტუმროში მისვლისას დავიშალეთ, ჩვენ-ჩვენს ნომრებში ისე შევედით, რომ ერთმანეთისთვის სიტყვა არ გვითქვამს.

* * *

შავი რვეულის მარჯვენა ნახევარზე, სათაურქვეშ „ფული“, ეწერა შემდეგი:

რამდენიმე თვის წინ ახალი ზელანდიიდან წერილი მომივიდა ჟურნალისგან „პოუმგრენეით რევიუ“. მოთხრობას მთხოვდნენ. გავუგზავნე პასუხი, რომ მოთხრობებს არ ვწერ. მაშინ მთხოვეს, „ნაწყვეტები პირადი დღიურიდან, თუკი ვწერ“. ვუპასუხე, არა მგონია, დასაშვები იყოს დღიურის გამოქვეყნება, რომელსაც პირადად შენთვის წერ-მეთქი. იმით ვერთობოდი, რომ გონებაში ვთხზავდი დღიურს, რომელიც გამოდგებოდა კოლონიის ან დომინიონის ლიტერატურულ მიმოხილვაში, წრეებში, რომლებიც კულტურული ცხოვრების ცენტრებისგან იზოლირებულია, სადაც პათეტიკური ტონი უფრო მისაღებია, ვიდრე, ვთქვათ, გამომცემლებსა და მათ კლიენტებთან ურთიერთობისას ლონდონსა ან პარიზში (თუმცა ზოგჯერ ამაში ეჭვი მეპარება). მოკლედ, დღიურს წერს ახალგაზრდა ამერიკელი, რომელსაც მამა ინახავს, სადაზღვევო ბიზნესში რომ საქმიანობს. ამ ახალგაზრდას სამი მოთხრობა დაუბეჭდეს და რომანის დაახლოებით მესამედი დასრულებული აქვს. საკმაოდ ბევრს სვამს, თუმცა არც იმდენს, როგორც უნდა, რომ სხვებს ეგონოთ; მარიხუანას ეწევა მხოლოდ

მაშინ, როცა შტატებიდან მეგობრები აკითხავენ. ეს უტიფარი მოვლენა - „ამერიკის შეერთებული შტატები“ - ეზიზღება.

16 აპრილი. ლუვრის კიბეზე. გამახსენდა დორა. ამ ქალიშვილს სერიოზული პრობლემები ჰქონდა. საინტერესოა, მოახერხა თუ არა მათი გადაწყვეტა. მამას უნდა მივწერო. მისი ბოლო წერილის ტონმა გამაღიზიანა. ნეტავი ოდესმე თუ გავუგებთ ერთმანეთს? მე ხელოვანი ვარ - Mon Dieu!

17 აპრილი. The are the Lyon. ვიხსენებდი ლიზას. ღმერთო ჩემო, არადა, უკვე მთელი ორი წელი გასულა! რას ვუშვრები ჩემს ცხოვრებას? პარიზმა ცხოვრება მომტაცა... პრუსტი უნდა გადავიკითხო.

18 აპრილი. ლონდონი. სამეფო ცხენოსანი გვარდიის პოლკის აღლუმი. მწერალი სამყაროს სინდისია. ვიხსენებდი მარის. მწერლის ვალია უღალატოს ცოლს, სამშობლოს, მეგობარს, თუკი ეს მის შემოქმედებას წაადგება. ასევე, საყვარელსაც.

18 აპრილი. ბუკინგემის სასახლესთან. ჯორჯ ელიოტი — მდიდრების გისინგია. მამას უნდა მივწერო. მხოლოდ ოთხმოცდაათი დოლარი დამრჩა. ნეტავი ოდესმე საერთო ენას თუ გამოვნახავთ?

9 მაისი. რომი. ვატიკანი. ვიხსენებდი ფანის. ო, ღმერთო, მისი თეძოები, თეთრი გედის ყელს რომ მოგაგონებს! აუ, რა პრობლემები ჰქონდა! მწერალი არის, უნდა იყოს ადამიანის სულის სამზარეულოს მაკიაველი. უნდა გადავიკითხო ტომი (ვულფი).

11 მაისი. The Campagna. ვიხსენებდი ჯერის — მათ მოკლეს იგი. Salauds! საუკეთესონი ახალგაზრდები კვდებიან. მე ცოტაღა დამრჩა. ოცდაათისა თავს მოვიკლავ. ვიხსენებდი ბეტის. ლაიმის ხის შავი ჩრდილი მის სახეზე თავის ქალას მიაგავდა.

თვალის უპეზე ვაკოცე, თეთრი ძვალი რომ მეგრძნო ტუჩებით. კვირის ბოლომდე მამაჩემისგან წერილს თუ არ მივიღებ, ამ დღიურს გამოსაქვეყნებლად შევთავაზებ. დაე, ჭამოს სირცხვილი. ტოლსტოი უნდა გადავიკითხო. მას არ უთქვამს არაფერი, რაც ისედაც არ იყოს ცნობილი, მაგრამ ახლა, როდესაც რეალობა ჩემს ცხოვრებას ფიტავს, იქიდან პოეზიას აძევებს, შეიძლება მეც შევუშვა ჩემს პანთეონში.

21 ივნისი. Les Halles. ველაპარაკე მარის. ძალიან დაკავებულია, მაგრამ ერთი ღამე უფასოდ შემომთავაზა. Mon Dieu, როდესაც ამაზე ვფიქრობ, თვალები ცრემლებით მევსება! თავის მოკვლას როცა დავაპირებ, გავიხსენებ, რომ ქუჩის მეძავმა ღამე შემომთავაზა ფულის გულისთვის კი არა, არამედ სიყვარულის გამო. ასეთი ქათინაური არასოდეს მიმიღია. ინტელექტის ნამდვილი მეძავი ჟურნალისტი კი არაა, არამედ კრიტიკოსი. გადავიკითხე „ფანი ჰილი“. ვფიქრობ, ხომ არ დავწერო სტატია სათაურით „სექსი - ოპიუმი ხალხისათვის“.

22 ივნისი. Cafe de Flore. დრო მდინარეა, რომელსაც ჩვენი აზრის ფოთლები დავიწყების ქვეყანაში მიაქვს. მამაჩემი ამბობს, რომ შინ უნდა დავბრუნდე. ნუთუ ვერასოდეს გამიგებს? ჟიულისთვის ვწერ პორნოს სათაურით „ლაჯები“. ხუთას დოლარს მივიღებ, ასე რომ, მამაჩემს შეუძლია მშვიდად ჩამოიხრჩოს თავი. ხელოვნება ჩვენი შებღალული იდეალების სარკეა.

30 ივლისი. ლონდონი. საზოგადოებრივი ტუალეტი. ლეჩესტერ-სკვერი. ო, ჩვენი ურბანისტული კოშმარის წყალწაღებული ქალაქები! ვიხსენებდი ელისს. ის ხორციელი ჟინი, რომელსაც პარიზში ვგრძნობ, ხარისხობრივად განსხვავდება იმისგან, რასაც ლონდონში განვიცდი. პარიზში მისი არომატი შეკაზმულია je ne sais quoi-ით, ლონდონში კი ის უბრალოდ სექსია.

პარიზში უნდა დავბრუნდე. ბოსიუე ხომ არ წამეკითხა? მესამეჯერ გადავიკითხე ჩემი წიგნი „ლაჯები“. არაა ურიგო. მასში საუკეთესო არ ჩამიქსოვია, რაც კი მაქვს, მაგრამ ის ჩავაქსოვე, რაც ამ საუკეთესოს უშუალოდ მოჰყვება. პორნოგრაფია ორმოცდაათიანების ჭეშმარიტი ჟურნალისტიკაა. ჟიულმა მითხრა, რომ ამაში სამას დოლარს გადამიხდის. Salauds! მამაჩემს ტელეგრამა გავუგზავნე, მივწერე, რომ დავასრულე წიგნი, რომელიც დასაბეჭდად მიიღეს. ათასი დოლარი გამომიგზავნა. „ლაჯები“ მედისონ-ავენიუს თვალებში მძლავრი შეფურთხებაა. ლეტარი - ღარიბების სტენდალია. უნდა გადავიკითხო სტენდალი.

* * *

ახალგაზრდა ამერიკელი მწერალი, სახელად ჯეიმზ შაფტერი გავიცანი.

ვაჩვენე ჩემი დღიური. გაგიჟდა, ისე მოეწონა. კიდევ ათასი სიტყვა, ან დაახლოებით მაგდენი, მოვჩმახეთ, მერე კი ეს ყველაფერი პატარა ამერიკულ ჟურნალში გაგზავნა, რომელიც წიგნების მიმოხილვებს ბეჭდავს. წარუდგინა როგორც თავისი მეგობრის დაწერილი, რომელიც მეტისმეტად მორიდებულია, თვითონ რომ შესთავაზოს გამოსაქვეყნებლად. დღიური დაბეჭდეს. ჯეიმზმა ლანჩზე დამპატიჟა, გამარჯვება რომ აღგვენიშნა. მომიყვა: კრიტიკოსმა ჰანს პ.-მ, ერთობ მედიდურმა კაცმა, მის შემოქმედებაზე დაწერა წერილი, სადაც ამტკიცებდა, რომ იგი თავიდან ბოლომდე ფულზეა გაყიდული. კრიტიკოსი ლონდონში გეგმავდა ჩამოსვლას. ჯეიმზმა, რომელიც მანამდე არაფრად აგდებდა მას, რადგან არ მოსწონდა, აეროპორტში - ფსიქოპათიური ტელეგრამა, სასტუმროში კი ყვავილების თაიგული გაუგზავნა. როდესაც ჰანს პ. სასტუმროში მივიდა, იქ ჯეიმზი დახვდა, შოტლანდიური ვისკის ბოთლითა და კიდევ ერთი თაიგულით

ხელში. მერე კი კრიტიკოსს შესთავაზა, ლონდონში თქვენი მეგზური მე ვიქნებიო. ჰანს პ.-ს ეს ყველაფერი ესიამოვნა, თუმცა თავი აშკარად უხერხულად იგრძნო. თურმე ჯეიმზი ასე იქცეოდა მთელი ორი კვირა, სანამ ჰანს პ. ლონდონში იყო, პირდაპირ თვალებში შესცინებდა.

როდესაც ჰანს პ. ლონდონიდან მიდიოდა, თავისი მორალური მრწამსის სიმაღლიდან ამოუთქვამს: „თქვენ, რასაკვირველია, უნდა გესმოდეთ, რომ მე არასოდეს ვაძლევ უფლებას ჩემს თავს, პირადმა გრძნობებმა კრიტიკოსის ჩემს პირუთვნელ განსჯაზე იმოქმედოს“. ჯეიმზს მყისვე მიუხლია: „რომელიც ებრძვის უზნეობასა და სიმდაბლეს“ - და პასუხად მიიღო ის, რაც, მისი თქმით, ასე ჟღერდა: „კი, რა თქმა უნდა, ასეა, თუმცა მე ისიც მესმის, რომ პიროვნული ურთიერთობა მაინც ერთობ მნიშვნელოვანი რამაა - კი, ეს ნამდვილად ასეა“. ორი კვირის შემდეგ ჰანს პ.-მ დაწერა სტატია ჯეიმზის შემოქმედებაზე, სადაც აღნიშნავდა, რომ „ფულზე გაყიდულობის“ ელემენტები შაფტერის შემოქმედებაში უფრო ახალგაზრდობის პატიოსანი ცინიზმია, რომელიც საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობითაა განპირობებული, ვიდრე მისი, ჯეიმზის, მსოფლმხედველობის ორგანული შემადგენელი. ჯეიმზი მთელი დღე სიცილისაგან მიწაზე ხოხავდა.

ჯეიმზი ახალგაზრდა მწერლის იმიჯს თავდაყირა აყენებს. ახალგაზრდა მწერლები, თითქმის ყველანი, გულუბრყვილონი არიან და ამას შეუგნებლად და ნაწილობრივ შეგნებულადაც იყენებენ, როგორც თავდაცვის იარაღს. ჯეიმზი კი თამაშობს, რომ ფულზე იყიდება. მაგალითად, როდესაც საქმე აქვს რეჟისორთან, რომელიც იწყებს ჩვეულ საუბარს, თითქოს უნდა ფილმი გადაიღოს მისი მოთხრობის მიხედვით, „და ყველაფერს ისე

დატოვებს, როგორც მოთხრობაშია, თუმცა მცირედი ცვლილებები, უბრალოდ, გარდაუვალი იქნება“, ჯეიმზს შეუძლია მთელი დღე მასთან გაატაროს, მართალი კაცის გამომეტყველებით, მომეტებული პატიოსნებისგან ენა რომ ებმის, შესთავაზოს სიუჟეტის სულ უფრო და უფრო შლეგური ცვლილებები, ოღონდ კი ფილმმა რაც შეიძლება მეტი მოგება მოიტანოს, და რეჟისორი ამის მოსმენისას სულ უფრო და უფრო იძაბება. თუმცა, როგორც ჯეიმზი ამბობს, შენ ვერ შესთავაზებ ვერანაირ, თუნდაც სრულიად წარმოუდგენელ ცვლილებას, რომელიც არ დაიჩრდილება იმის წინაშე, რასაც თვით კინოსტუდიის წარმომადგენელნი შემოგთავაზებენ. ამიტომ იბნევიან, ვერ იგებენ, ვამასხარავებ თუ არაო. ჯეიმზი მიდის, „მადლიერების გრძნობისგან დამუნჯებული, გრძნობისგან, რომელიც ესოდენ აღავსებს“. „გაუგებარი მიზეზით“ მათ რაღაც სწყინთ და ჯეიმზს თავს არიდებენ. ანდა, თუკი მიპატიჟებულია წვეულებაზე, სადაც რომელიმე კრიტიკოსი ან რომელიმე მნიშვნელოვანი ბობოლაა, რომელსაც ოდნავ მაინც დაჰკრავს მედიდურობა, ჯეიმზს შეუძლია მთელი საღამო მის ფეხთით გაატაროს, ეხვეწოს და ემუდაროს რაიმე წყალობას და უშურველად აფრქვიოს ქათინაურები. მერე კი სიცილით კვდება. მე ვუთხარი, ეს მეტად სახიფათოა-მეთქი. მითხრა, იმაზე სახიფათო არ არის, ვიდრე იყო „გულწრფელი ახალგაზრდა მწერალი ჩაშენებული პატიოსნებითო“. „პატიოსნება, - ამბობს მთქნარებით და თან ლაჯებში იფხანს, - წითელი ნაჭერია მამონას ხარის წინაშე, ანუ მეორენაირად რომ ვთქვათ, პატიოსნება ღარიბების შარვლის უბის საფარველია“. ჰოო, ძალიანაც კარგი-მეთქი. „ანა, კარგი რა, მაშინ რაღას იტყვი ამ ჩვენს პაროდიულ მატრაბაზობაზე? რა განსხვავებაა ჩემსა და შენ შორის?“

ვაღიარე, რომ მართალი იყო. მერე კი ახალგაზრდა ამერიკელის დღიურის წარმატებით შთაგონებულებმა, გადავწყვიტეთ კიდევ ერთი შეგვეთხზა. ეს იქნებოდა მწერალი ქალის დღიური, რომელმაც ცოტა ხნის წინ მიაღწია საშუალო ასაკს და რომელმაც რამდენიმე წელი აფრიკაში, კოლონიაში გაატარა, ახლა კი იმდროინდელი განცდები ტანჯავს. ეს განკუთვნილი იქნებოდა რუპერტისათვის, „ზენიტის“ რედაქტორისთვის, რომელმაც მთხოვა „რაიმე თქვენი ნაწერებიდან - გაგვაბედნიერეთ, ბოლოს და ბოლოს!“

ჯეიმზმა რუპერტი გაიცნო და თითქმის შეიძულა. რუპერტი მტირალა ბავშვივითაა, ისტერიული, წაიჰომოსექსუალისტებს, ჭკვიანია.

აღდგომის კვირა. კენსინგტონში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის კარი XX საუკუნის ქუჩის ცხოვრებითაა გაპრიალებული. შიგნით - მოლიცლიცე ჩრდილები, საკმეველი, მუხლმოდრეკილი ფიგურები, რომლებიც რწმენის მეტანიებს აღასრულებენ, რწმენისა, უხსოვარი დროიდან რომ მოდის. იატაკის ვეება სივრცე, არაფრით დაფარული. რამდენიმე მღვდელი, რომლებიც ჩაძირული არიან რიტუალურ ქმედებაში. რამდენიმე მორწმუნე, მუხლმოდრეკილი რომ დგას მაგარ იატაკზე, წინ იხრება, შუბლით რომ შეეხოს. კი, ცოტანი არიან, მაგრამ - ნამდვილნი. ეს ყველაფერი ნამდვილი იყო. მე ვიგრძენი, რომ ეს ნამდვილი რეალობაა. ბოლოს და ბოლოს, დედამიწაზე დღეს მცხოვრები ადამიანების უმეტესობა რელიგიის წიაღშია, უმცირესობა კი წარმართია. წარმართები? ო, რა სასიხარულო სიტყვაა თანამედროვე ადამიანების მოსაწყენი უნაყოფობისთვის, სრულ უღმერთობაში რომ ცხოვრობენ. მხოლოდ მე ვიდექი წელში გამართული, ყველა დანარჩენი - მუხლებზე. მე,

ჩემი ჯიუტი და ციცქნა არსი, ვგრძნობდი, როგორ მეკეცებოდა მუხლები, მაგრამ ჯიუტად ვიდექი გაჭიმული, მარტოდმარტო. მღვდლები - საზეიმონი, ჰარმონიულნი. და ვაჟკაცურნი. რამდენიმე მშვენიერი, ფერმკრთალი ახალგაზრდა, გულამაჩუყებლად სერიოზულები კრძალვისგან, რომელიც მათ აღავსებს. ჭექა--ქუხილის მსგავსი, მდიდრული, ღრმა და ვაჟკაცურად ძლიერი გალობა რუსულ ენაზე, რომელიც ტალღებად ავსებს ეკლესიას.

მუხლები მომიდუნდა... ვერც შევამჩნიე, როგორ დავეშვი მუხლებზე. სად გაქრა ჩემი ციცქნა პიროვნება, რომელიც ყოველთვის თავისი თავის სადარაჯოზე დგას? ჩემთვის სულერთი გახდა. მე გაცილებით მნიშვნელოვან რაღაცას ვგრძნობდი. უცებ ყურადღება მივაქციე იმას, რომ მღვდლების საზეიმო სილუეტებმა სიმკვეთრე დაკარგა, თითქოს გაბუნდოვანდა. ცრემლებისგან, თვალებში რომ ჩამიდგა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. როგორღაც ავდექი, ბორძიკით, გავიქეცი, მივატოვე ის მიწა, რომელიც ჩემი არ იყო; ზეიმურობა, სერიოზულობა, რომელიც ჩემი არ იყო. შესაძლოა, სამომავლოდ ჯობს ჩემი თავი აგნოსტიკოსად ჩავთვალო და არა ათეისტად? ამ სიტყვაში, „ათეისტი“, რაღაც სრულიად უნაყოფოა ჩაქსოვილი, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება, საკმარისია გაიხსენო (მაგალითად) იმათი მედიდური მგზნებარება, ვინც იმ ეკლესიაში მსახურობდა. „აგნოსტიკოსი“ უკეთ გადმოსცემს განწყობას? დავაგვიანე კოქტეილიან წვეულებაზე. თუმცა, არა უშავს, გრაფის მეუღლემ ვერ შეამჩნია. „რა სამწუხაროა, - გავიფიქრე, როგორც ყოველთვის, - იყო გრაფინია პარელი... როგორი დაცემაა, კაცმა რომ თქვას, მას მერე, რაც ცხოვრებაში ოთხი ესოდენ სახელოვანი მამაკაცის საყვარლობამ მოუწია?“ მაგრამ ჩვენ ყველას, თითოეულ ჩვენგანს, გვჭირდება მცირედი ნიღაბი, რომ სისასტიკით აღსავ-

სე სამყაროსგან თავი დავიცვათ. ოთახები, როგორც ყოველთვის, ლონდონის ლიტერატურული ნაღები საზოგადოებითაა სავსე. იქვე მივაგენი ჩემს ძვირფას ჰარის. ო, როგორ მიყვარს ეს მაღალი, ცხენის მსგავსი, გაფითრებულშუბლიანი ინგლისელები, ისეთი კეთილშობილები არიან. წვეულების უაზრო ხმაურში ვლაპარაკობთ. „ომის საზღვრების“ მიხედვით პიესის დაწერას მთავაზობს. პიესისა, რომლის ავტორი არც ერთ მხარეზე არ იქნება, არამედ მთავარი აქცენტი გაკეთდება კოლონიალიზმის ტრაგედიის არსზე, თეთრკანიანი ადამიანის ტრაგედიაზე. ეს, რასაკვირველია, სწორია... რა არის სიღარიბე, შიმშილი, უსახლკარობა, მთელი ეს ყოფითი, პროზაული დეგრადაცია (ეს სიტყვა ისეთი ზუსტია და რამხელა ჭეშმარიტი სულიერი მგრძნობელობა ახასიათებს განსაზღვრული ტიპის ინგლისელ მამაკაცებს, ნებისმიერ ქალზე რამდენად მძაფრი ინტუიცია აქვთ) შედარებით იმ რეალობასთან, იმ დილემის ადამიანურ რეალობასთან, რომელიც თეთრკანიანი ადამიანის წინაშე დგას? მოვუსმინე და საკუთარი წიგნი უფრო ღრმად გავიგე. და გავიფიქრე, რომ სულ რაღაც ერთი მილის დაშორებით ჩვენგან მუხლმოდრეკილი ფიგურები რუსულ ეკლესიაში, ცივ იატაკზე, თავს ხრიან უფრო ღრმა სიმართლის წინაშე მოწიწებულნი. ჩემი სიმართლის? არა, სამწუხაროდ! თუმცა მაინც გადავწყვიტე, რომ მომავალში საკუთარ თავი წარმოვადგინო როგორც აგნოსტიკოსი და არა ათეისტი, ხვალ კი ჰარისთან წავალ და ჩემს პიესაზე ვილაპარაკებთ. დამშვიდობებისას - ისე, დელიკატურად! - ხელი მომიჭირა. ეს ცივი და მეტად ამაღლებული შეხება იყო. შინ წავედი და ასე მგონია, მაშინ ყველაზე ახლოს ვიყავი რეალობასთან, ვიდრე ოდესმე მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მერე კი ჩემს ახალდაგებულ, ვიწრო ლოგინში ჩავწექი. მე თუ

მკითხავთ, აუცილებელია ყოველდღე ახალგარეცხილ თეთრეულში ჩაწვე. ო, როგორი გრძნობადი (ოღონდ არა უხეშად გრძნობადი!) ნეტარებაა: ახალდაბანილი, აბაზანის მერე რომ შეძვრები გრილსა და სუფთა ლოგინში, დაწვები ახალგარეცხილ ზეწრებზე და დაელოდები, სანამ ძილი მოგერევა. ო, რა ბედნიერი ვარ...

აღდგომის დღე - კვირა.

ჰარისთან ვიყავი ლანჩზე. რა მომხიბლავი სახლი აქვს! უკვე ჩამოუწერია ჩემი პიესის სიუჟეტთან დაკავშირებული ძირითადი იდეები. სერ ფრედი ჰარის ახლო მეგობარია და როგორც ფიქრობს, მთავარ როლზე დათანხმდება. ამ შემთხვევაში სპონსორის ძებნა აღარ მოგვიხდება - ჩვეულ სირთულეს თავიდან ავიცილებთ. სიუჟეტში უმნიშვნელო ცვლილებების შეტანა შემომთავაზა: ახალგაზრდა თეთრკანიანი ფერმერი არაჩვეულებრივად ლამაზსა და ჭკვიან აფრიკელ ქალიშვილს დაადგამს თვალს და ცდილობს მასზე გავლენა მოახდინოს, აიძულოს, განათლება მიიღოს, რათა განვითარდეს და სულიერად გაიზარდოს, რადგან მისი ოჯახი გაუთლელი აბორიგენები არიან. მაგრამ ქალიშვილს არასწორად ესმის მისი მამოძრავებელი მოტივები და შეუყვარდება იგი. შემდეგ, როცა ფერმერი აუხსნის (ო, ძალზე დელიკატურად!), თუ რატომ იჩენს მის მიმართ ყურადღებას, ქალიშვილი წონასწორობას დაკარგავს, გამხეცდება და ერთი კარგად მიალანძღავს. სასტიკად დასცინებს. ფერმერი მოთმინებით მოისმენს ამ ყველაფერს, ხმასაც კი არ აუწევს. ქალიშვილი პოლიციაში წავა და განაცხადებს, რომ ფერმერი მის გაუპატიურებას ცდილობდა. ფერმერი საზოგადოებისგან გაკიცხვას უხმოდ მიიღებს. ციხეში ჯდება, მხოლოდ თვალებით, მზერით ადანაშაულებს, - ქალიშვილი პირს მიაბრუნებს, სირცხვილის-

გან იწვის. შეიძლება ნამდვილი, ძლიერი დრამა გამოვიდეს! ჰარის თქმით, ის თეთრკანიანი ადამიანის უფრო მაღალ სულიერ სტატუსს გამოხატავს სიმბოლურად, ადამიანისა, რომელიც ისტორიის ხაფანგში გაება, აფრიკის ცხოველურმა ჭაობმა ჩაითრია. როგორი სიმართლეა, როგორი გულშემძვრელი, როგორი სიახლეა. ჭეშმარიტი ვაჟკაცობა ის არის, რომ დინების საწინააღმდეგოდ გაცურო. როდესაც ჰარისგან გამოვედი და შინისკენ გავემართე, რეალობა თავისი თეთრი ფრთებით შემეხო. პატარ-პატარა ნაბიჯებს ვდგამდი, ნელა მივდიოდი, ეს შესანიშნავი განცდა რომ არ დამკარგოდა. და ასე მივედი ლოგინამდე, განბანილი და სუფთა, და დავიწყე კითხვა „ქრისტეს მიბაძვის შესახებ“, წიგნისა, რომელიც ჰარიმ მათხოვა.

წიგნი მეტისმეტად ვრცელი მეჩვენა, მაგრამ ჯეიმზმა თქვა, არა, ერთი ამოსუნთქვით იკითხებაო. ჯეიმზი მართალი აღმოჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო მომენტში ჩემი წარმოუდგენელი მგრძნობიარობა დამეუფლა და გადავწყვიტე ჩემს მარტოობას გავფრთხილებოდი. რუპერტმა გამომიგზავნა ბარათი, სადაც ეწერა, - აჰ, კი, რასაკვირველია, მესმის, ზოგიერთი განცდა მეტისმეტად პირადულია და ამიტომ გამოქვეყნებას არ ექვემდებარებაო.

ამ ადგილას მეოთხე რვეულში ჩაკრული გახლდათ ჯეიმზ შაფტერის მოთხრობის მანქანაზე გადაბეჭდილი ასლი - მოთხრობა მას მერე დაწერა, რაც ერთი ლიტერატურული ჟურნალისთვის სთხოვეს ათიოდე რომანის მიმოხილვის მომზადება. მან ეს ტექსტი რედაქტორს გაუგზავნა, ფიქრობდა, მიმოხილვის ნაცვლად დაბეჭდავენო. რედაქტორმა მოთხრობა დიდი ენთუზიაზმით მიიღო, მისწერა ჯეიმზს და სთხოვა უფლება, ჟურნალში დაებეჭდა, - „მაგრამ სადაა თქვენი მიმოხილვა, მისტერ შაფ-

ტერ? გვეგონა, ამ ნომრისთვის მზად იქნებოდა“. სწორედ ამ მომენტში მიხვდნენ ჯეიმზი და ანა, რომ დამარცხდნენ: ეტყობა, სამყაროს რაღაც ისეთი დაემართა, რომ პაროდიისათვის მეტი ადგილი აღარ იყო. ჯეიმზმა სერიოზული რეცენზია დაწერა იმ ათიოდე რომანზე, სათითაოდ გაარჩია, ერთმანეთის მიყოლებით, დათქმული ათასი სიტყვის მოცულობით. ანასა და ჰარის კი პაროდია მეტად აღარ დაუწერიათ.

სისხლი ბანაბის ფოთლებზე

შრრრრრრ, შრრრ, შრრრ, იმეორებენ ბანანის პალმები, მოჩვენებებივით ირხევიან აფრიკის ძველთაძველი, დაქანცული მთვარის შუქზე, ფოთლებში, როგორც საცერში, ქარს ცხრილავენ. მოჩვენებები. დროისა და ჩემი ტკივილის მოჩვენებები. უფეხურას შავი ფრთები, ღამეული პეპლების თეთრი ფრთები სერავენ, სერავენ მთვარის შუქს, ცხრილავენ და მიწაზე უშვებენ. შრრრრრრ, შრრრ, შრრრ, იმეორებენ ბანანის პალმები და გაფითრებული მთვარე ტკივილად ჟონავს მათ ფოთლებზე. ჯონ, ჯონ, მღერის ჩემი შავკანიანი გოგონა, სიბნელეში ფეხებგადაჯვარედინებული ზის, ქოხის საჩრდილობლის ქვეშ და მთვარის შუქი მის თვალებში საიდუმლოდ ციმციმებს. თვალებში, რომელნიც ღამით არაერთხელ დამიკოცნია, უპიროვნო დრამის მსხვერპლის თვალები, დრამისა, რომელიც მალე თავის უსახურებას დაკარგავს — ო, აფრიკა! - რადგან მალე ბანანის ფოთლები დაიგრიხება, მუქწითელი გახდება, წითელი მტვერი კიდევ მეტად გაწითლდება, უფრო წითელი გახდება, ვიდრე ახალი საცხი ჩემი შეყვარებულის ტუჩებზე, რომელიც თეთრკანიანი მოვაჭრის ჟინის დასაკმაყოფილებელ მსხვერპლადაა განწირული.

- დამშვიდდი, ნონი, დაიძინე, მთვარეს ოთხი რქა აქვს, მათში მუქარაა - და მე ვჭვრეტ ბედს - შენს, ჩემსა და ჩვენი ხალხის ბედს.

- ჯონ, ჯონ, - ამბობს ჩემი გოგონა და ხმა მიუგავს სევდის ამოოხვრას, გახურებული ფოთლების ამოოხვრას, ფოთლებისა, რომლებსაც მთვარის შეხება ენატრებათ.

- დაიძინე, ჩემო ნონი.

- მაგრამ გული ჩემი აბანოზის ხედ ქცეულა, ისე ცუდად ვარ, ისე მტანჯავს ბრალი ჩემი, ბედისწერამ რომ მარგუნა.

- დაიძინე, დაიძინე, გულში წყენა შენზე არა მაქვს, ო, ჩემო ნონი, მე ხშირად მინახავს, თეთრკანიან კაცს ისარივით მზერა უტყორცნია შენს მშვენიერ თეძოთა ნარნარ რხევაზე, ჩემო ნონი. მე ეს მინახავს, ისევე, როგორც ვხედავ ბანანის ფოთლების პასუხს მთვარის შეხებაზე, როგორც ვხედავ წვიმის თეთრ შუბებს, ჩვენი სამშობლოს ნიადაგს რომ სასიკვდილოდ განაპობენ, კანიბალის მიერ გაუპატიურებულს. დაიძინე.

- მაგრამ ჯონ, ჩემო ჯონ, მე ცუდად ვარ, რადგან ვიცი, რომ გიღალატე შენ, ჩემს მამაკაცს, ჩემს შეყვარებულს, მაგრამ ჩემზე ძალა იხმარეს, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ და ეს გააკეთა თეთრმა კაცმა მაღაზიიდან.

შრრრრრ, შრრრრ, იმეორებენ ბანანის ფოთლები და უფეხურა ჭახჭახებს მკვლელობის ბოროტებაზე, მთვარეს მიმართავს, ხანგრძლივი ავადმყოფობისგან რუხი ფერი რომ დასდებია.

- მაგრამ ჯონ, ჩემო ჯონ, ეს მხოლოდ პატარა ტუჩის საცხი იყო, ერთი პატარა, ღაჟღაჟა ტუჩის საცხი, რომლის საყიდლადაც წავედი, რათა სიყვარულს დანატრებული, უსიყვარულობისგან გადამშრალი ჩემი ტუჩები უფრო მშვენიერი გამხდარიყო შენთვის, ჩემო სიყვარულო, და როდესაც ამ საცხს ვყიდულობდი, დავინახე, მოვაჭრის ცივი, ცისფერი თვალები როგორ აენთო, როცა ჩემს თეძოებს შეხედა და მე გავიქეცი, მე, ჩემო სიყვარულო, მაღაზიიდან გამოვიქეცი შენთან, ჩემო სიყვარულო, და ჩემი ტუჩები შენთვის ღაჟღაჟებდნენ, ჩემი ჯონისთვის, ჩემი მამაკაცისთვის.

- დაიძინე, ჩემო ნონი, ასე ნუღარ ზიხარ, ფეხმორთხმით, ღამეული შუქის დამცინავ ლიცლიცში. ნუ ზიხარ ასე, ნუ ტირი ტკი-

ვილისგან, რომელიც ჩემი ტკივილიცაა, ჩვენი ხალხის ტკივილიც, რომელიც დასტირის ჩვენს ბედს, ტკივილისგან, რომელიც მარადიულად გექნება, ჩემო ნონი, ჩემო გოგონა.

- მაგრამ სადაა შენი სიყვარული, ჩემო ჯონ, სადაა შენი სიყვარული ჩემდამი?

ო, სიძულვილის წითელი გველის ეს ბნელი ხვეულები, ბანანის ხეების ფესვებში რომ მისრიალებს, ჩვენი სულის დაგმანული სარკმლის მიღმა რომ იზრდება და სივდება.

- ჩემი სიყვარული, ჩემო ნონი, მუდამ შენთანაა, ჩვენი ხალხისთვის, სიძულვილის წითელი კობრასთვის.

- ეიე, ეიე, ეიე, - გაჰკივის ჩემი სიყვარული, ნონისადმი ჩემი სიყვარული, რომლის იდუმალი წიაღი ახლა თეთრი კაცის ჟინის შუბითაა გარღვეული, გარღვეულია დაუოკებელი ჟინით დაეუფლოს ყველაფერს, - ვაჭრის ჟინით.

- ეიე, ეიე, ეიე, - მწუხარედ მოთქვამენ ბებერი ქალები თავის ქოხებში, როდესაც ესმით ქარის ხმა და ჩემი სიმტკიცე, როდესაც ესმით ის ნამუსახდილი ბანანის ფოთლებში.

ქარის ხმავ, გააქროლე ჩემი ტკივილი თავისუფალ სამყაროში, დაე ბანი მოგცეთ მტვერმა, რომელშიც მისრიალებს გველი! გველო, კოჭში დაგესლე უსულგულო სამყარო, ჩემ გამო იძიე შური!

- ეიე, ეიე, ჩემო ჯონ, და რა ვუყო ჩვილს, რომელიც ახლა ჩემშია, გულქვეშ რომ მაწვება, შენ რომ მინდა გაგიჩინო, ჩემო სიყვარულო, ჩემო მამაკაცო, და არა იმ წყეულ თეთრ მოვაჭრეს, რომელსაც როდესაც გამოვექეცი, უცებ გამომეკიდა, ჩემი კოჭების ცქრიალს მიჰყვა და როცა მტვერში მომისროლა იმჟამს, როცა მზე ჩადის, იმჟამს, როცა მთელი სამყარი მარადიულ ღამეს ეწირება?

- დაიძინე, დაიძინე, ჩემო გოგონა, ო, ნონი, ეს ჩვილი, - ამა სამყაროს ნაშიერის, სამყაროსი, რომელიც თვისი ხვედრისგან დამძიმებულა, შეჯვარებულა შერეული სისხლის საიდუმლოსთან, იგი ნაშიერია შურისმაძიებელ აჩრდილთა, ჩემი ვაჟი სიძულვილის გველისა, ძალას რომ იკრებს.

- ეიე, ეიე, - გაჰკივის ჩემი ნონი; მისი ტკივილისგან მოხრილი სხეული საჩრდილობლის ჩრდილში შავად მოჩანს, იდუმალებით მოცული.

- ეიე, ეიე, ეიე, - მოთქვამენ ბებერი ქალები, როდესაც ესმით ჩემი სიმტკიცე, ქალები, რომლებიც ცხოვრების დინებას დაჰყურებენ; წიაღი მათი დიდი ხანია გამოხმა, მათში სიცოცხლე დაიწრიტა, მაგრამ თავის ქოხებში სხედან და ცოცხალთა მდუმარე კივილს აყურადებენ.

- დაიძინე, ჩემო ნონი. მხოლოდ და მხოლოდ მრავალი წლის მერე დაგიბრუნდები. მე უნდა აღვასრული ჩემი, მამაკაცის დანიშნულება. ჩემს შეჩერებას ნუ ეცდები.

მუქლურჯი და მუქმწვანე აჩრდილები ღამის შუქზე, ჩემი სიძულვილით დამსხვრეული აჩრდილები. და მუქი წითელი გველი ძოწისფერ მტვერში ბანანის პალმებქვეშ. ურიცხვ პასუხთა შორის - ერთია პასუხი. მილიონ მიზანდასახულობაში - ერთია მხოლოდ. შრრრრ, შრრრ, იმეორებენ ბანანის ფოთლები და ჩემი სიყვარული მღერის: ჯონ, სად მიდიხარ, როდესაც ჩემს წიაღს მუდამ ენატრები და აღსავსეა შენი წადილით.

მე მივდივარ ქალაქში თეთრი ადამიანისა, ქალაქში, რომლის ქუჩები სწორია როგორც რუხი ლითონისგან ჩამოსხმული თოფის ლულა, მე იქ ვიპოვი ჩემს ძმებს და ხელში ჩავუდებ სიძულვილის წითელ გველს, და თეთრი კაცის ჟინს ერთად მივაგნებთ, და მოვკლავთ მას, და ბანანის ფოთლებზე აღარასოდეს

დამწიფდება უცხო ნაყოფი, და ჩვენი ნამუსახდილი სამშობლოს მიწა აღარ იტირებს, და ჩვენი სულის გამომშრალი მტვერი აღარასოდეს ინატრებს წვიმას.

- ეიე, ეიე, - გაჰკივინ ბებერი ქალები.

ღამეში, მთვარე რომ ემუქრება, უპიროვნო მკვლელობის კივილი ჟღერს.

ჩემი ნონი, წელში მდაბლად მოხრილი, ქოხში შედის და მთვარის ძოწისფერ-მომწვანო შუქი დედდება, და სიცარიელეა ჩემს გულში - იქაა მხოლოდ გველი-ჩემი-ბედისწერა.

აბანოზის ხის ფერის ელვის გამონაშუქს ფოთლები ეზიზღება. ჭექა-ქუხილი პალისანდრის ხეს კლავს. პაუ-პაუს ხის ტკბილი ნაყოფი უკვე აივსო ინდიგოს ფერის შურისმაძიებელი წვენით. შრრრ, შრრ, იმეორებენ ბანანის ფოთლები, რომლებიც დროის დინებისგან დაღლილი მთვარის აჩრდილს ჩამოჰგვანან. მე მივდივარ, ვეუბნები ბანანის ფოთლებს. შეშლილი გამონაშუქისა და ამოოხვრის უსასრულობა ტყის ძილს გაჰკვეთს და ნაკუწებად არღვევს.

წინ მიმაქროლებს ჩემი ხვედრი და მტვრის კორიანტელი ფეხქვეშ შავად მკვრივდება, როგორც ჭაობი ჩემი ბუნდოვანი მომავლისა. ზურგს უკან ვტოვებ ბანანის პალმას და სისხლისფრად წითელი გველები ჩემი სიყვარულ-სიძულვილისა კვალში მომძახიან: და მთვარე ბანანის ფოთლებზე ალისფერია, მღერის შრررრ, შრრ, კივის და მოთქვამს, მთელი გულით, მდაბლად მესაუბრება რაღაცის შესახებ, ო, ტკივილი ჩემი, წითელი, დაჭიმული ტკივილი ჩემი, ალისფერი, ო, წითელი და ალისფერი, სისხლმდინარე ფოთლები ჩემი სიძულვილისა.

ამ ადგილას ფურცელზე მიკრული იყო „ომის საზღვრების“ რეცენზია, რომელიც „საბჭოთა მწერლიდანაა“ ამოჭრილი და 1952 წლის აგვისტოთია დათარიღებული.

მართლაც შემზარავია ექსპლუატაცია, რომელიც ბრიტანეთის კოლონიებში სუფევს და ასახულია ამ გაბედულ, პირველ რომანში მოცემული ავტორისა, რომანში, რომელიც დაწერილია და გამოქვეყნებული ექსპლუატატორების ცხვირწინ, რათა მთელმა მსოფლიომ შეიტყოს შეულამაზებელი სიმართლე, ბრიტანეთის იმპერიალიზმის ფასადს უკან რომ იმალება. ამავე დროს ჩვენ ვერ მივცემთ თავს უფლებას, აღფრთოვანებამ კონკრეტული ახალგაზრდა ავტორის გამბედაობით, რომელიც სინდისის კარნახით დიდ რისკზე მიდის, თვალი დაგვიბრმავოს და დაგვიკარგოს იმის გაგება, რომ კლასობრივი ბრძოლა აფრიკაში სათანადო კუთხით არაა გაშუქებული. რომანში მოთხრობილია ახალგაზრდა მფრინავზე, ნამდვილ პატრიოტზე, რომელმაც დიად ანტიფაშისტურ ომში მალე სიცოცხლე უნდა გასწიროს სამშობლოსათვის და რომელიც ჩაერთვება ე. წ. სოციალისტების ჯგუფის საქმიანობაში, რომლის წევრები ზნედაცემული ცხოვრებით ცხოვრობენ და თეთრკანიან კოლონისტთა პოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობენ. ამ მდიდარ კოსმოპოლიტ-- სოციალისტთა ხროვასთან ურთიერთობაში იგი მათ სრულ უარყოფამდე და სიძულვილამდე მიდის, მიმართავს ხალხს, უბრალო შავკანიან ქალიშვილს, რომელიც მას მუშათა კლასის ნამდვილ, შეულამაზებელ ცხოვრებას გააცნობს. თუმცა სწორედ ეს არის რომანის ყველაზე სუსტი წერტილი, რომანისა, რომელიც ერთობ კეთილშობილური განზრახვითაა ჩაფიქრებული, ოღონდ, სამწუხაროდ, არასწორი მიმართულებითაა წასული. რამეთუ რა საერთო შეიძლება ჰქონდეს უმაღლესი ფენიდან გა-

მოსულ ახალგაზრდა ინგლისელს მზარეულის ქალიშვილთან? რის მიგნებას შეიძლება ცდილობდეს მწერალი ჭეშმარიტი სიმართლისკენ მიმავალ თავის ეკალბარდიან გზაზე? იგი უნდა ცდილობდეს მიაგნოს ტიპურს, მაგრამ მოცემული სიტუაცია არ არის და არც შეიძლება იყოს ტიპური. ვთქვათ, ახალგაზრდა ავტორი, რომელიც კადნიერად ცდილობს დაიპყროს სიმართლის ევერესტი, თავის გმირად გამოიყვანდა ახალგაზრდა თეთრკანიან მუშას, გმირ ქალად კი - აფრიკელ ქალიშვილს, ვინც ფაბრიკაში შრომობს და მუშათა ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობს. ასეთ სიტუაციაში ავტორს შეეძლო მიეგნო პრობლემის გადაჭრის გზისთვის - პოლიტიკური, სოციალური, სულიერი ასპექტით - და გაეშუქებინა აფრიკაში თავისუფლებისთვის ბრძოლა უახლოეს პერსპექტივაში. სადაა ამ წიგნში მუშათა კლასი? სად არიან კლასობრივი ცნობიერებით აღჭურვილი მებრძოლები? ისინი არ ჩანან. მაგრამ, დაე, ამ ახალგაზრდა ავტორმა არ დაყაროს ფარ-ხმალი! მხატვრული სიმაღლეების დაპყრობა მხოლოდ სულით ძლიერებს შესწევთ! წინ! მთელი მსოფლიოს საკეთილდღეოდ!

რეცენზია „ომის საზღვრებზე“ დაიბეჭდა „საბჭოთა გაზეთში“, დათარიღებულია 1954 წლის აგვისტოთი.

„აფრიკა, დიდებული და ველური! როგორი არაჩვეულებრივი ბრწყინვალებაა ნაჩვენები ამ რომანის ფურცლებზე, რომანისა, რომელმაც ეს-ესაა მოაღწია ჩვენამდე დიდი ბრიტანეთიდან და რომელიც აღწერს ომისდროინდელ მოვლენებს, აფრიკის კონტინენტის ველებისა და ჯუნგლების შუაგულში რომ ხდებოდა.

თავისთავად ცხადია, ხელოვნებაში ტიპური პერსონაჟები განსხვავდებიან მეცნიერული წარმოდგენისგან ტიპურ სახეებზე როგორც შინაარსით, ასევე, ფორმით. მაშასადამე, როდესაც ავ-

ტორი თავისი წიგნის დასაწყისში ახდენს ციტირებას გამონათქვამისა, რომელსაც, მართალია, თანამედროვე დასავლური სოციოლოგიური თეორიული აზროვნების შეუსაბამობის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ, ამასთან, ჭეშმარიტების მარცვალსაც შეიცავს: „ამბობენ, რომ ადამი იმ მომენტში დაიღუპა, ანუ დაეცა, როდესაც ვაშლი იგემა. მე კი ვამტკიცებ, რომ ეს მოხდა მაშინ, როდესაც მან პირველად განაცხადა თავისი უფლების შესახებ, ჰქონოდა საკუთრება, როდესაც თქვა: „მე, ჩემთვის, ჩემი და ასე შემდეგ“, - ჩვენ ვიწყებთ მისი ნაშრომის კითხვას მხურვალე მოუთმენლობითა და დიდი იმედით აღსავსენი, რასაც რომანის კითხვის პროცესში ახდენდა, სამწუხაროდ, არ უწერია. და მაინც, მოდი, გავიხაროთ იმით, რომ ეს ახალგაზრდა ავტორი გვაძლევს იმედს, - მას ამის ძალა შესწევს და ეჭვგარეშეა, გაამართლებს კიდეც, როდესაც იმ დასკვნამდე მივა, რომ ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოები უცილობლად რევოლუციური უნდა იყოს. მაღალმხატვრულობასთან ერთად, ის სიცოცხლის დამამკვიდრებელი შინაარსით, იდეოლოგიური სიღრმითა და ჭეშმარიტი ჰუმანიზმით უნდა იყოს გამორჩეული. კითხვისას, რაც უფრო წინ მიიწევ, ძლიერდება შეგრძნება: რამდენად კეთილშობილი, ჭეშმარიტად ღრმა უნდა იყვნენ სოციალური ტიპები, რომელთაც შობს ეს, ჯერ კიდევ ნაკლებგანვითარებული კონტინენტი; ეს შეგრძნება მთელი რომანის განმავლობაში აღარ გვტოვებს და არაერთხელ ბადებს ცოცხალ გამოძახილს ჩვენს გულებში. რადგან ახალგაზრდა პილოტიც და მიმნდობი აფრიკელი ქალიშვილიც ავტორის ოსტატობის წყალობით სამუდამოდ დაიდებენ ბინას ჩვენს გულებში და სწორედ იმ სახით, როგორითაც წარმოგვიდგენენ, თუმცა მომავლის ზნეობრივი პოტენციალის გახსნის სისრულის თვალსაზრისით ისინი ტიპურ

სახეებს არ წარმოადგენენ. ძვირფასო ავტორო, ჩვენი მკითხველები ერთხმად მოგმართავენ: „გააგრძელეთ წერა! არ დაივიწყოთ, რომ ხელოვნება უეჭველად ჭეშმარიტების ნათელი შუქით უნდა იყოს მოფენილი! არ დაივიწყოთ, რომ აფრიკისა და, მთლიანობაში, განვითარებადი ქვეყნების, სადაც ესოდენ ძლიერია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რეალისტური ხელოვნების ახალი კონკრეტული ფორმების შექმნა მარტივი პროცესი არ არის, არამედ მეტად რთული საქმეა!“

რეცენზია „ომის საზღვრებზე“, „საბჭოთა ლიტერატურული მიმოხილვიდან“ (საგანგებო გამოშვება, რომელიც კოლონიალიზმის პრობლემებს მიეძღვნა; 1956 წლის დეკემბერი).

„იმპერიალისტურ, კოლონიურ უღელთან ბრძოლამ აფრიკაში თავისი ჰომეროსები და ჯეკ ლონდონები შვა. მაგრამ მან, ასევე, სიცოცხლე აჩუქა მთელ რიგ წვრილ, თეორიული მსჯელობით დაკავებულ ფსიქოლოგებს, რომლებსაც ამავე დროს განსაზღვრული, თუმცა კი უმნიშვნელო ღირსებებიც აქვთ. მაშინ, როდესაც შავკანიან მუშათა კლასი სულ უფრი მტკიცედ მიაბიჯებს პროგრესის გზაზე, როდესაც ყოველდღე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულ უფრო მეტი გმირული ქმედების მოწმენი ვხდებით, რა შეიძლება ითქვას რომანზე, სადაც მოცემულია ახალგაზრდა, ოქსფორდდამთავრებული ბრიტანელისა და შავკანიანი ქალიშვილის სასიყვარულო ურთიერთობის დეტალური ქრონიკა? ქალიშვილი - ხალხის მასების ერთადერთი წარმომადგენელია რომანში, ამავე დროს მისი სახე ბუნდოვანი რჩება, ბოლომდე არაა გახსნილი, არაა დამაკმაყოფილებელი. არა, ავტორს მართლაც ეგების ისწავლოს ჩვენი ჯანსაღი, პროგრესული ლიტერატურისგან, რათა გააცნობიეროს, რომ სასოწარკვეთას სარგებლობა არავისთვის მოუტა-

ნია. ეს რომანი უნაყოფო, დეკადენტურია. მასში აშკარად შეიმჩნევა ფროიდისტული ტენდენციები. მასში ასევე მისტიციზმის ელემენტებიც არის. რაც შეეხება რომანში გამოყვანილ „სოციალისტების“ ჯგუფს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორი შეეცადა, დაეწერა სატირა, მაგრამ არ გამოუვიდა. ყოველივე იმაში, რაც მან დაწერა, არის რაღაც არაჯანსაღი და ორაზროვანიც კი. ვურჩევთ ისწავლოს მარკ ტვენისგან, რომლის ჯანსაღი იუმორი ესოდენ ძვირფასია ყველა პროგრესული მკითხველისათვის, ისწავლოს, თუ როგორ შეიძლება აიძულო კაცობრიობა დასცინოს იმას, რასაც უკვე ყავლი გაუვიდა, მოკვდა, ისტორიის ბორტს მიღმა დარჩა“.

წითელი რვეული

13 ნოემბერი, 1955

სტალინის სიკვდილის შემდეგ კომპარტიაში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომელიც, გამოცდილი ადამიანების თქმით, წინათ უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. ადამიანთა ჯგუფები, კომუნისტები და ყოფილი კომუნისტები, იკრიბებოდნენ, რათა განეხილათ, რა ხდებოდა პარტიაში, რუსეთსა და ბრიტანეთში. პირველ ასეთ შეხვედრაზე, სადაც მეც გახლდით მიწვეული (არადა, წელიწადზე მეტი გავიდა მას მერე, რაც პარტიიდან გამოვედი), პარტიის ცხრა ნამდვილი და ხუთი ყოფილი წევრი მოვიდა. და ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ჩვენ - ყოფილ წევრებს - არავინ მოგვმართავდა როგორც მოღალატეებს. ჩვენ შევხვდით როგორც სოციალისტები, გულღიად და ერთმანეთის ნდობით. დისკუსიის შინაარსი თანდათანობით იცვლებოდა, ვითარდებოდა და ჩამოყალიბდა ბუნდოვანი გეგმა, - პარტიული ცენტრიდან უნდა მოვიშოროთ „დახავსებული ბიუროკრატია“ ისე, რომ კომპარტია შეიცვალოს და გახდეს ნამდვილი ბრიტანული კომპარტია, რომელიც არ იქნება მოსკოვის ბრმად ერთგული, არ ექნება მუდმივად სიცრუის საჭიროება და ასე შემდეგ, ერთი სიტყვით, ნამდვილ დემოკრატიულ პარტიად იქცევა. მე ისევ აღმოვჩნდი აღტყინებული, საერთო მიზნით შთაგონებული ადამიანების შუაგულში - მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პარტიიდან კარგა ხნის წინ გავიდნენ. ერთი სიტყვით, გეგმა გულისხმობდა: ა) პარტიამ, რომელიც გათავისუფლდა „გამოცდილი კადრებისგან“, ვინც ტყუილისა და გაბითურების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სწორად აზროვნების უნარი დაკარ-

გეს, თავისი წარსული უნდა უკუაგდოს და შესაბამისი განცხადება გააკეთოს. ეს პირველი რიგის ამოცანაა; ბ) გაწყვიტოს კავშირი უცხოურ კომუნისტურ პარტიებთან იმ (არცთუ შორეულ) დრომდე, სანამ სხვა კომუნისტური პარტიები ასევე განახლდებიან და უარყოფენ თავიანთ წარსულს; გ) ერთობისკენ მოუწოდოს ათასობით ადამიანს, რომლებიც ოდესღაც კომუნისტები იყვნენ და აღშფოთებულებმა დატოვეს პარტია, შესთავაზოს მათ შემოუერთდნენ ახალ, განახლებულ პარტიას; დ) მიაღწიოს, რომ...

ამ ადგილას წითელ რვეულში ჩადებული იყო უამრავი ამონაჭერი გაზეთებიდან, სტატიები რუსული კომპარტიის ხხ ყრილობაზე, წერილები პოლიტიკურ თემაზე სხვადასხვა ადამიანისგან, პოლიტიკური მიტინგების პროგრამები და დღის წესრიგი და ა.შ. ეს უამრავი დოკუმენტი წვრილი რეზინით იყო შეკრული და ფურცელზე დამაგრებული. მერე კი ანას ხელით გაკეთებული ჩანაწერები გრძელდებოდა.

11 აგვისტო, 1956

ცხოვრებაში უკვე მერამდენედ ვხვდები, რომ მრავალი კვირისა და თვის განმავლობაში უწყვეტსა და გამალებულ პოლიტიკურ საქმიანობას ვეწეოდი, მაგრამ სრულიად ვერაფერს მივაღწიე. უფრო მეტიც, შემეძლო წინასწარ მეფიქრა, რომ ვერაფერს მივაღწევდი. ხხ ყრილობამ გააორმაგა და გაასამმაგა იმ ადამიანთა რაოდენობა როგორც პარტიაში, ასევე, მის გარეთ, რომლებსაც სურთ შექმნან „ახალი“ კომუნისტური პარტია. გუშინ საღამოს წავედი კრებაზე, რომელმაც დილამდე გასტანა. სულ ბოლოს გამოვიდა მამაკაცი, ავსტრიელი სოციალისტი, რომელიც მანამდე ხმას არ იღებდა, ერთგვარი იუმორისტული სიტყვი წარმოთქვა, რაღაც ამის მსგავსი: „ჩემო ძვირფასო ამხა-

ნაგებო. გისმენდით და მიკვირდა, რაოდენ დაუშრეტელია წყარო რწმენისა, ადამიანს რომ გააჩნია. ყველაფერი, რაც თქვით, ამხანაგებო, შეიძლება შემდეგზე დავიყვანოთ: კარგად მოგეხსენებათ, რომ ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა შედგება კაცებისა და ქალებისგან, რომლებიც სრულიად გახრწნა სტალინიზმის ატმოსფეროში წლობით მუშაობამ. თქვენ უწყით, რომ ისინი ყველაფერზე წავლენ, ოღონდ კი თავიანთი მდგომარეობა შეინარჩუნონ. თქვენ დღეს ამის მრავალი მაგალითი მოიყვანეთ, როგორ ახშობენ ისინი ნებისმიერ გადაწყვეტილებას, როგორ აყალბებენ საარჩევნო ბიულეტენებს, როგორ ერეკებიან ხალხს მიტინგებზე, როგორ ცდილობენ, ქვეშიდან გამოვიდნენ, როგორ ცრუობენ. არ არსებობს არანაირი საშუალება, რომ მათ ძალაუფლება დემოკრატიული გზით ჩამოვართვათ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ უპრინციპონი არიან, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ პარტიის წევრთა ნახევარი მიამიტი ხალხია, ვერ იჯერებენ, რომ მათ ბელადებს ესოდენი ყალთაბანდობა ხელეწიფებათ. მაგრამ ყოველთვის, როდესაც თქვენი მსჯელობისას ამ მომენტამდე მიდიხართ, ჩერდებით და იმის ნაცვლად, თავისთავად ცხადი დასკვნები გამოიტანოთ თქვენ მიერვე თქმულიდან, ზეზეულად იწყებთ ოცნებას და ისე ლაპარაკობთ, თითქოს ერთადერთი, რაც უნდა გააკეთოთ ისაა, რომ უბრალოდ, მოუწოდოთ თქვენს ბელადებს, დაუყოვნებლივ გადადგნენ მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ პარტიისთვის გაცილებით უკეთესი იქნება, თუკი ამას გააკეთებენ. ეს იგივეა, ბინების პროფესიონალ მძარცველს მოუწოდო, თავი დაანებოს ამ საქმიანობას მხოლოდ იმიტომ, რომ მისი უმაღლესი ოსტატობის გამო ხსენებულ პროფესიაზე ცუდი ხმები ვრცელდება“.

გავიცინეთ, მერე კი დისკუსია განვაახლეთ. ორატორის იუმორისტულმა ტონმა, ასე ვთქვათ, გაგვათავისუფლა სერიოზული პასუხის გაცემის აუცილებლობისგან.

ამაზე მოგვიანებით დავფიქრდი. დიდი ხანია, მივხვდი, რომ პოლიტიკურ კრებებზე სიმართლე, როგორც წესი, ასეთი ფორმით ითქმება ხოლმე ანდა ვინმეს მიერ წამოსროლილი ფრაზით, რომელსაც იმწამს არავინ აქცევს ყურადღებას, რადგან მისი ტონი კრების საერთო ტონალობისგან მკვეთრად განსხვავდება. იუმორისტული ან სატირული ფორმით გამოთქმული, ან გესლიანად, ან ტკივილით, ის მაინც სიმართლეა, ხოლო ვრცელი სიტყვა და გონივრული მსჯელობა - სიბრიყვე.

ეს-ესაა გადავიკითხე, რაც შარშან, 13 ნოემბერს დავწერე. ჩვენმა მიამიტობამ გამაოგნა. და მაინც, მე მართლა შთამაგონებდა რწმენა იმისა, რომ ახალ, პატიოსან კომუნისტურ პარტიას შევქმნიდით. მართლა მჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო.

20 სექტემბერი, 1956

კრებებზე აღარ დავდივარ. მიყვებიან, რომ გაჩნდა იდეა, შეიქმნას „ჭეშმარიტად ბრიტანული კომპარტია“, როგორც მისაბაძი ნიმუში და არსებული კომპარტიის ალტერნატივა. ადამიანები ორი მოქიშპე კომპარტიის არსებობის შესაძლებლობას განიხილავენ და, როგორც ჩანს, ამის გამო გული არაფერ ცუდს არ კარნახობს. მაგრამ სრულიად ცხადია, თუ რა მოხდება ამ შემთხვევაში. ორივე პარტიის მთელი ძალა და ენერგია დაიხარჯება ურთიერთბრალდებებსა და იმის მტკიცებაზე, რომ მეტოქე პარტიას საერთოდაც არ გააჩნია უფლება, კომუნისტური ერქვას. მშვენიერი რეცეპტია ფარსის დასადგმელად. თუმცა ეს უფრო ბრიყვული არაა იდეაზე „დემოკრატიული გზით ძველი გვარდიის გაძევებისა და პარტიის შიდა რეფორმირებისა“. სიბრიყვეა.

არადა, თვეების განმავლობაში ამ იდეით ატაცებული ვიყავი, ისევე, როგორც ასობით სხვა, სხვა გარემოებებში, გონიერი ადამიანები, რომლებიც პოლიტიკაში უკვე მრავალი წელი არიან. ზოგჯერ მგონია, რომ გამოცდილების ერთადერთი სახესხვაობა, რომლითაც ადამიანები ვერაფერს სწავლობენ, პოლიტიკური გამოცდილებაა“.

ადამიანები მასობრივად ტოვებენ კომპარტიას, გული გატეხილი აქვთ. ირონია ისაა, რომ გული გატეხილი აქვთ, თვითონ კი ცინიკურნი არიან ზუსტად იმდენად, რამდენადაც მანამდე ერთგულნი და წრფელნი იყვნენ. ჩემი მსგავსი ადამიანები, ვინც არ იქმნიდნენ ილუზიებს (რაღაც ილუზია ყველას გვქონდა - ჩემი ის იყო, რომ ანტისემიტიზმი „შეუძლებელია“), სიმშვიდეს ინარჩუნებენ, მზად არიან, ყველაფერი თავიდან დაიწყონ, იღებენ იმ ფაქტს, რომ ბრიტანეთის კომპარტია დროთა განმავლობაში გაიხრწნება და პატარა, უმნიშვნელო სექტად იქცევა. ახალი ფრაზა, ჰაერში რომ დაქრის: „გადავაფასოთ სოციალისტური მრწამსი“.

დღეს მოლიმ დამირეკა. ტომი ახლახან ჩამოყალიბებული ახალგაზრდა სოციალისტების ჯგუფის საქმიანობაში ჩაერთო. მოლიმ მითხრა, რომ კუთხეში იჯდა და უსმენდა, ისინი კი საუბრობდნენ. ისეთი შთაბეჭდილება გაუჩნდა, თითქოს „ასი წლით უკან დაბრუნდა დროში, საკუთარი ახალგაზრდობის წლებში“, როდესაც კომპარტიაში შევიდა.

- ანა, ეს რაღაც არაჩვეულებრივი იყო! ეს მართლაც ძალზე საოცარია. აი, ისინი იკრიბებიან და ამბობენ, რომ კომპარტიის დრო გავიდა, რომ ლეიბორისტების დროც გავიდა და არ გამიკვირდება, თუკი მათი ეს მოსაზრება სწორი აღმოჩნდება. ისინი სულ რაღაც რამდენიმე ასეული არიან, მთელ ბრიტანეთში მი-

მოფანტულები, არადა, ისე მსჯელობენ, თითქოს სულ რაღაც ათ წელიწადში ჩვენი ქვეყანა სოციალისტური გახდება და ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ მათი ძალისხმევით. ისე, თითქოს ისინი უხელმძღვანელებენ ახალ, მშვენიერ სოციალისტურ ბრიტანეთს, რომელიც თავისით გაჩნდება დიდ სამშაბათს. მომეჩვენა, რომ გაგიჟდნენ, ან მე გავგიჟდი... მაგრამ საქმე ისაა, ანა, რომ ჩვენც ზუსტად ასეთები ვიყავით, განა არა? რას იტყვი? ისინიც ზუსტად იმ საშინელ ჟარგონზე ლაპარაკობენ, რომელსაც მრავალი წელი დავცინოდით. თანაც ისე, თითქოს ეს-ესაა თვითონ გამოიგონეს ეს სიტყვები და თანაც, სრულიად დამოუკიდებლად.

ვუთხარი:

- კი მაგრამ, მოლი, შენ ხომ გიხარია, რომ ტომი სოციალისტი გახდა და არა კარიერისტი?

- ჰო, რა თქმა უნდა. ბუნებრივია. მხოლოდ ერთი კითხვა მიჩნდება, - განა ისინი ჩვენზე ჭკვიანები არ უნდა იყვნენ?

ყვითელი რვეული - მესამის ჩრდილი

ამ მომენტიდან რომანში „მესამე“ (ოდესღაც - პოლის ცოლი; მერე - უფრო ახალგაზრდა, ვიდრე თვითონაა ახლა, ელას ალტერ ეგო, რომელიც პოლის ცოლზე ფანტაზიებიდან ამოიზარდა; მერე კი - პოლის გახსენება) თვითონ ელად იქცევა. იმისდა მიხედვით, რაც ელა იმსხვრევა, ნაწილებად იშლება, სულ უფრო და უფრო ებღაუჭება ერთიანი, ჯანსაღი და ბედნიერი ელას სახეებას. ეს კავშირი სხვადასხვა „მესამეს“ შორის ძალზე მკაფიოდ უნდა იყოს ასახული: ეს არის კავშირი - ნორმალურობა და უფრო მეტიც, - ტრადიციულობა, მიდგომა და გრძნობანი, რომლებიც „რესპექტაბელურ“ ცხოვრებას შეეფერება, - რასთანაც ელას არ სურს საერთო ჰქონდეს.

ელა ახალ ბინაში გადადის, ჯულია ნაწყენია. მათი ურთიერთობის ის სფერო, რომელიც იმ მომენტამდე დაფარული იყო, ახლა მის რეაქციაში აშკარად ცხადდება. მათ ურთიერთობაში ჯულია დომინირებდა, ელას აკონტროლებდა. ელა ამისთვის მზად იყო, ან ყოველ შემთხვევაში, ისე ეჭირა თავი, რომ იღებდა ამას. ჯულია თავისი არსით, კაცმა რომ თქვას, დიდსულოვანი ადამიანია - კეთილია, თბილი, მზრუნველი. თუმცა ახლა იქამდე მივიდა, რომ საერთო მეგობრებთან ჩივის, ელამ გამომიყენა, მომიხმარაო. ელა მარტოა თავის შვილთან ერთად დიდ, უსახურ, ჭუჭყიან ბინაში, რომელიც უნდა გაასუფთაოს და გადაღებოს, ფიქრობს იმაზე, რომ ჯულიას ჩივილს, გარკვეულწილად, საფუძველი აქვს. თვითონ იგი, კაცმა რომ თქვას, ნებაყოფლობითი ტუსაღი იყო, რომელსაც დამოუკიდებლობის ღრმად დაფარული მოთხოვნილება ჰქონდა. ჯულიას სახლის დატოვება ქა-

ლიშვილის დედისგან გაქცევას ჰგავდა. ან, ფიქრობს ალმაცერი, მწარე ღიმილით, როცა პოლის გესლიანი ხუმრობა ახსენდება, რომ „ჯულიას მეორე ნახევარია“ და მისი წასვლა განქორწინებას ჰგავს.

ერთხანს ელა თავს უფრო მარტოსულად გრძნობს, ვიდრე ოდესმე. ბევრს ფიქრობს ჯულიასთან მეგობრობაზე, რომელსაც ახლა ბზარი გაუჩნდა. რადგან ჯულიასთან ყველაზე ახლოს იყო, თუკი ამაში იგულისხმება ნდობა და ერთობლივი გამოცდილება. თუმცა ახლა ძველი მეგობრობა ცარიელი სიძულვილი და სიმწარეა. და მას ვერაფრით მოუშორებია ფიქრი პოლზე, რომელმაც მრავალი თვის წინ მიატოვა. უკვე წელიწადზე მეტი ხნის წინ.

ელა ხვდება, რომ სანამ ჯულიასთან ცხოვრობდა, განსაზღვრული ტიპის ყურადღებისგან დაცული გახლდათ. ახლა ის ნამდვილად იქცა ქალად, რომელიც „მარტო ცხოვრობს“, ეს კი, თუმცა ამას ადრე ვერ აცნობიერებდა, მეტად განსხვავდება „ქალისგან, რომელიც მეორე ქალთან ერთ სახლში ცხოვრობს“.

მაგალითად, სამი კვირის შემდეგ, რაც ახალ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად, ელას დოქტორ ვესტმა დაურეკა. აცნობა, რომ მისი ცოლი შვებულებაში გაემგზავრა და ვახშამზე დაპატიჟა. ელა იღებს მოწვევას, მიდის მასთან, თუმცა ვერ იჯერებს, რომ ვახშამზე შეიძლება ლაპარაკი რაიმე სხვაზეც იყოს, გარდა მათი ერთობლივი სამუშაოს ამა თუ იმ ასპექტისა, მიუხედავად ერთობ ფრთხილად მიწოდებული ინფორმაციისა, ჩემი ცოლი ქალაქში არ იმყოფებაო. ელა ვახშამზე ნელ-ნელა ხვდება, რომ დოქტორი ვესტი რომანის გაბმას სთავაზობს. ელას ახსენდება ის უსიამოვნო რეპლიკები, რომლებსაც მეტად გულმოდგინედ აწვდიდა მას მერე, რაც პოლმა მიატოვა და ფიქრობს, რომ შესაძლოა, დოქტორმა ვესტმა თავის წარმოსახვაში მიუჩინა ნიშა

ქალისა, მსგავსი შემთხვევებისთვის რომ გამოდგება. ელა იმასაც ხვდება, რომ თუკი ამ საღამოს დოქტორ ვესტის წინადადებას უარყოფს, იგი გადახედავს მის გონებაში არსებულ „ფინალისტი ქალების სიას“, რომელიც კიდევ სამ-ოთხ კანდიდატურას შეიცავს, რადგან დოქტორი ვესტი გესლიანად შენიშნავს:

- იცით, სხვებიც არსებობენ. თქვენ მარტოობას ვერ მომისჯით.

ელა თვალს ადევნებს იმას, თუ როგორ ვითარდება მოვლენები სამსახურში და კვირის ბოლოს ამჩნევს, რომ პატრიცია ბრენტი დოქტორ ვესტთან რაღაც ახლებურად ურთიერთობს. მისი ჩვეული ხისტი, რაციონალური, პროფესიონალური სტილი ურთიერთობისა უეცრად რბილდება, თითქმისდა ქალიშვილურისას ემსგავსება. პატრიცია დოქტორ ვესტის სიაში ბოლო ადგილზე იყო, რადგან მან მანამდე, ეჭვგარეშეა, უშედეგოდ სცადა „ურთიერთობის დამყარება“ ორ მდივან ქალთან. ელა აკვირდება და გესლიანად ქირქილებს, რადგან დოქტორი ვესტი იძულებულია, ყველაზე ნაკლებად მიმზიდველი კანდიდატურით დაკმაყოფილდეს; მთელი მდედრობითი სქესის მაგივრად, გული მოსდის პატრიცია ბრენტზე, იმის გამო, რომ აშკარად მადლიერი და ნასიამოვნები გამომეტყველება აქვს. ზაფრავს აზრი, რომ შეიძლება თვითონაც, ბოლოს და ბოლოს, კეთილმოსურნედ მიიღოს ისეთი მამაკაცების ყურადღება, როგორიც დოქტორი ვესტია; განცვიფრებულია იმით, რომ მის მიერ უარყოფილმა დოქტორმა ვესტმა უმალ მიანიშნა: „შენ მე დამიწუნე, მაგრამ ხომ ხედავ, ჩემთვის სულერთია!“

და ეს განცდა იმდენად ძლიერია, რომ მღელვარებას იწვევს, რაც აშკარად ნასაზრდოებია წყენით, რომელსაც დოქტორ ვესტთან არავითარი კავშირი არა აქვს. ელას ამ ყველაფრის გან-

ცდა არ სიამოვნებს, რცხვენია. ელა საკუთარ თავს უსვამს კითხვას, რატომაა, რომ დოქტორი ვესტი, საშუალო ასაკის არც მაინცდამაინც მომხიბლავი მამაკაცი, რომელსაც ცოლად ჰყავს წარმოუდგენლად კომპეტენტური და, ალბათ, ძალზე მოსაწყენი ცოლი, არ იწვევს მასში თანაგრძნობას. რად არ სურს, ცოტაოდენი რომანტიკა მაინც შეიტანოს თავის ცხოვრებაში? თუმცა ამგვარ მსჯელობას არანაირი შედეგი არ მოაქვს. ელა აღშფოთებულია მისი ქცევით. ელას იგი ეზიზღება.

შეხვედრა ჯულიასთან საერთო მეგობრის სახლში, ორივეს ცივად უჭირავს თავი. ელა, „სრულიად შემთხვევით“, ჯულიასთან დოქტორ ვესტს ახსენებს. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალები ისევ მეგობრები არიან, თითქოსდა მათი ურთიერთობა არც არასოდეს გაცივებულა. მაგრამ ახლა მათი მეგობრობის საფუძველი მათი ურთიერთობის ის მხარეა, რომელიც წინათ მეორეხარისხოვანი იყო, - მამაკაცებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება.

ელას მონათხრობს დოქტორ ვესტზე ჯულია ასეთი ამბით პასუხობს: მათი თეატრის მსახიობმა ერთ საღამოს სახლამდე მიაცილა და მასთან ავიდა, ფინჯანი ყავა რომ დაელია, იჯდა მასთან და თავის ოჯახურ ცხოვრებაზე ჩიოდა. ჯულიამ თქვა:

- მე ისეთი კეთილი, ისეთი გამგებიანი ვიყავი, როგორც ყოველთვის... მზად მქონდა კეთილი რჩევები, არადა, ისე დავიღალე ყოველ ჯერზე ერთისა და იმავეს მოსმენისგან, რომ მინდოდა მეყმუვლა!

დილის ოთხ საათზე ჯულიამ სტუმარს დელიკატურად აგრძნობინა, რომ დაიღალა და მისი წასვლის დრო იყო.

- ჰოდა, ჩემო ძვირფასო, უნდა გენახა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს გაუგონარი შეურაცხყოფა მივაყენე. მშვენივ-

რად ვხვდებოდი, რომ თუკი იმ ღამით ლოგინში ვერ ჩამიწვენ-და, მისი „ეგო“ სასტიკსა და გამოუსწორებელ დარტყმას მიიღებ-და და ამიტომაც ჩავუწექი.

მამაკაცი იმპოტენტი აღმოჩნდა, ჯულია მეტად ტაქტიანად მო-იქცა.

- დილით მითხრა, შემიძლია საღამოს შემოვიაროო, და დას-ძინა, ეს არის ყველაზე მცირე რამ, რაც კი შეგიძლია გამიკეთო, რომ დანაშაულის გამოსყიდვის საშუალება მომეცესო. ყოველ შემთხვევაში, იუმორის გრძნობა მაინც აქვს.

მოკლედ, იმ კაცმა მეორე ღამეც ჯულიასთან გაატარა. იმავე სამწუხარო შედეგით.

- ბუნებრივია, დილის ოთხ საათზე წავიდა, მის ცოლს რომ დაეჯერებინა, თითქოს მუშაობაში შემოაღამდა. როცა გადიოდა, შემობრუნდა და მითხრა: „შენ ხარ ქალი, რომელიც მამაკაცს ასაჭურისებს. ზუსტად ეს გავიფიქრე, როდესაც პირველად დაგი-ნახე“.

- ღმერთო ჩემო, - ამოთქვა ელამ.

- დიახაც, - გამოეპასუხა ჯულია გაცხარებით, - და რაც ყველა-ზე სასაცილოა, პიროვნულად კარგი ადამიანია. ანუ მინდა ვთქვა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასეთი კომენტარის გაკე-თება თუ შეეძლო.

- არ უნდა დაწოლილიყავი მასთან.

- ხომ იცი, როგორ ხდება ხოლმე, - ასეთ სიტუაციებში ყო-ველთვის დგება მომენტი, როდესაც მამაკაცი ისეთი გატანჯული ჩანს, მისი მამაკაცური თავმოყვარეობა იმდენადაა შელახული, რომ ამის ატანა უკვე შეუძლებელია და გიჩნდება მოთხოვნილე-ბა, გაამხნევო, დაეხმარო.

- კი მაგრამ, მერე ხომ წიხლს ჩაგვაზელენ ხოლმე მთელი ძალით, მაშ, ჩვენ რატომ ვექცევით მათ ასე?

- ჰო, მართალია, მაგრამ,ეტყობა, შეცდომები ვერასოდეს მასწავლის ჭკუას.

რამდენიმე კვირის შემდეგ ელა ჯულიას შეხვდა და უთხრა:

- ოთხმა მამაკაცმა, რომლებთან გაპრანჭვაც კი არასოდეს მომსვლია აზრად, დამირეკა და მაცნობა, რომ მათი ცოლები ქალაქში არ არიან და თითოეულის ხმაში ერთობ მომხიბლავი, კეკლუცად თავმდაბლური ინტონაცია ჟღერდა. ეს მართლაც განსაცვიფრებელია, - კაცს ამდენი წელია იცნობ, მასთან ერთად მუშაობ, მერე კი საკმარისია მისი ცოლი ქალაქიდან წავიდეს, რომ ხმა ეცვლება და, ეტყობა, ფიქრობს, თავს იკლავ, ისე გინდა ლოგინში ჩაუგორდე. ამის დედაც ვატირე, როგორ გგონია, რა ჯანდაბა ემართებათ?

- ჯობს ამაზე აღარ ვიფიქროთ.

ელას უეცრად მოუნდა ჯულიასთვის ეთქვა რაღაც დამამშვიდებელი, მოეხიბლა (ხოლო როდესაც დაიწყო ლაპარაკი, გააცნობიერა, რომ მსგავსი სურვილი, ეთქვა რაიმე სანუგეშო და მოეხიბლა, მამაკაცებთან ურთიერთობისას ჰქონდა ხოლმე) და ჩაილაპარაკა:

- ყოველ შემთხვევაში, როცა შენს სახლში ვცხოვრობდი, ასე არ ხდებოდა, რაც თავისთავად საოცარია, არა?

ჯულიას სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა: ესე იგი, რაღაცაში ხომ მაინც გამოგადექიო.

უხერხული პაუზა ისადგურებს: ელა სულმოკლეობის გამო ხელიდან უშვებს შანსს, უთხრას ჯულიას, რომ ცუდად მოიქცა, სხვაგან რომ გადავიდა საცხოვრებლად; შანსს, „ყველაფერი ბოლომდე ითქვას“ და ამ უხერხულ პაუზაში ჩნდება აზრი, რომე-

ლიც ბუნებრივად გამომდინარეობს ფრაზიდან „რაც თავისთავად საოცარია, არა?“ - ნუთუ შესაძლებელია, კაცებს ისინი ლესბოსელებად მიაჩნდეთ?

ელას ამაზე ადრეც უფიქრია, თუმცა მაშინ ეს აზრი ახალისებდა. ახლა კი ფიქრობდა: „არა. კაცებს ლესბოსელები რომ ვგონებოდით, ეს უფრო მოიზიდავდა, მოსვენებას არ მოგვცემდნენ. ყველა მამაკაცი, ვისაც კი ვიცნობ, ლესბოსელებს რაღაცნაირი სიამოვნებით ახსენებს, შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად. ეს მათი უზარმაზარი პატივმოყვარეობის ერთ-ერთი ასპექტია: ყოველ მათგანს სიამოვნებს თავის თავში შეცდომილ ქალთა სულების მხსნელის დანახვა“.

ელას ჩაესმის სიტყვების სიმწარე, გონებაში რომ უხმიანებს, და ამან გააოგნა. შინ დაბრუნებული ცდილობს, გაერკვეს, სადაა ამ სიმწარის ფესვები, მას რომ აღავსებს. გრძნობს, რომ ლამის მოწამლულია ამით.

ელა ფიქრობს, რომ არაფერი ხდება ისეთი, რაც მის ცხოვრებაში წინათ არ მომხდარა. ცოლიანი მამაკაცები, რომლებიც დროებით უცოლოდ არიან, მასთან რომანის გაბმას ცდილობენ, ასე შემდეგ და ასე ამგვარად; ათი წლის წინ ამას ყურადღებასაც კი არ მიაქცევდა, ამაზე არც იფიქრებდა. ამას აღიქვამდა როგორც ერთ-ერთ რისკსა და შესაძლებლობას, რომელიც „თავისუფალი ქალის“ სტატუსთან იყო დაკავშირებული. თუმცა ათი წლის წინ განიცდიდა რაღაცას, რასაც მაშინ ვერ აცნობიერებდა, - განიცდიდა კმაყოფილებას, ცოლებზე გამარჯვებას, რადგან ელა, სწორედ ეს „თავისუფალი ქალი“, მამაკაცებს უფრო მეტად აღაგზნებდა, ვიდრე მათი მოსაწყენი, მოქანცული ცოლები. ახლა, როდესაც უკან იხედება და ასეთ განცდას ხედავს, თავისი თავისა რცხვენია.

ელა იმასაც ფიქრობს, რომ ახლა ჯულიასთან ისე იქცევა, როგორც გაუთხოვრობით გამწარებული შინაბერა. მამაკაცები მტრები არიან. ისინი. და გადაწყვეტს, ჯულიას გული აღარასოდეს გადაუშალოს, ან, ყოველ შემთხვევაში, ხმას გამწარებული ქალის ინტონაციას მოაცილებს.

ცოტა ხანში ასეთი რამ ხდება: ერთ-ერთი განყოფილების რედაქტორი ელასთან ერთად წერს სტატიების ციკლს, სადაც მოცემულია რჩევები, თუ როგორ გაართვან თავი ემოციური ხასიათის პრობლემებს, იმ პრობლემებს, რომლებზეც ყველაზე ხშირად არის ლაპარაკი წერილებში, რედაქციაში რომ მოდის. რამდენიმე საღამოს გვიანობამდე სხედან სამსახურში. ექვსი სტატია უნდა დაიწეროს, თითოეულს ორი სათაური აქვს. პირველი - ოფიციალური, მეორე - სახუმარო, რომელსაც ელა და მისი კოლეგა მუშაობის პროცესში იყენებენ. მაგალითად, სათაურს „ხდება თუ არა, რომ საკუთარი სახლი გბეზრდებათ?“ ელა და ჯეკი გარდაქმნიან ასე, - „მიშველეთ, ჭკუიდან გადავდივარ!“ ან: სათაური „ქმარი, რომელიც ოჯახურ ცხოვრებას უგულებელყოფს“, ხდება „ჩემი ქმარი არც ერთ ქალს არ უშვებს“ და ასე შემდეგ. და ასე შემდეგ. ელაც და ჯეკიც ბევრს იცინიან, როცა ერთად მუშაობენ, ახალისებთ თავიანთი სტატიების მეტისმეტად მარტივი ტონი, თუმცა დიდი გულმოდგინებით წერენ, ძალასა და მონდომებას არ აკლებენ. ორივე აცნობიერებს, რომ ხუმრობას ის ტკივილი და იმედგაცრუება აიძულებთ, რომლითაც გაჟღენთილია წერილები, ნიაღვრად რომ მოედინება რედაქციაში და, აგრეთვე, ის, რომ არ სჯერათ, მათი სტატიები ვიღაცას მაინც თუ შეუმსუბუქებს სატანჯველს.

მათი ერთობლივი მუშაობის ბოლო დღეს ჯეკი ელას სახლამდე მიიყვანს მანქანით. ცოლიანია, სამი შვილი ჰყავს, ოც-

დაათიოდე წლისაა. ელას ძალიან მოსწონს. შესთავაზებს, ცოტა დალიონ და ჯეკიც ადის მასთან. ელამ იცის, რომ მალე დადგება მომენტი, როდესაც ჯეკი ლოგინში ჩაწოლას შესთავაზებს. ელა ფიქრობს: „მაგრამ მე ის ფიზიკურად არ მიზიდავს. შესაძლოა, მომწონებოდა, პოლის აჩრდილისგან გათავისუფლება რომ შემეძლოს. საიდან ვიცი, რომ ფიზიკურად არ მომეწონება, როცა მასთან დავწვები? ბოლოს და ბოლოს, არც პოლი მომწონებია თავიდან“. ეს უკანასკნელი აზრი გააოცებს. ზის, უსმენს, ახალგაზრდა კაცი როგორ უყვება რაღაცას, ართობს და ფიქრობს: „პოლი ხშირად მეუბნებოდა, თითქოსდა ხუმრობით, მაგრამ სინამდვილეში სერიოზულად, რომ თავიდანვე არ შემყვარებია. ახლა კი მე თვითონაც ამას ვამბობ. თუმცა არ მიმაჩნია, რომ მართლაც ასე იყო. შესაძლოა ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ ის ამბობდა... მაგრამ არაა გასაკვირი, რომ ვერ ვაიძულებ თავს, ვინმე მამაკაცით დავინტერესდე, მე ხომ გამუდმებით პოლზე ვფიქრობ“.

ელა ჯეკს ლოგინში ჩაუწვება. მას ასე ახასიათებს: „საქმის მცოდნე საყვარელი: ეს არაა მგრძნობიარე კაცი, სიყვარულობა წიგნით ისწავლა, რომელსაც, ალბათ, ერქვა: „როგორ დავაკმაყოფილოთ ცოლი“. მას სიამოვნებას ჰგვრის ის, რომ ქალი ლოგინში ჩაიწვინა, და არა თვით სექსი“.

ორივე მხიარული და ხალისიანია, მეგობრული, ლოგინშიც ინარჩუნებენ იმ მეგობრული თანამშრომლობის ატმოსფეროს, რომელიც მათი ერთობლივი მუშაობის დროს ჩამოყალიბდა. ამავე დროს, ელა მუდმივად თავს იკავებს, ტირილი რომ არ დაიწყოს. მისთვის კარგადაა ნაცნობი დეპრესიის ეს უეცარი შემოტევა და ასე ებრძვის: „ეს სულაც არაა დეპრესია, ესაა დანაშაულის განცდა, მაგრამ ეს არაა ჩემი დანაშაული; ესაა დანა-

შაულის განცდა წარსულიდან, რაც დაკავშირებულია ორმაგ მორალთან, რომლის აღიარებაც მე არ მსურს“.

ჯეკმა გამოუცხადა, რომ სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს შინ და თავის ცოლზე დაიწყო ლაპარაკი.

- კარგი გოგოა, - შენიშნავს იგი და ელას მისი ქედმაღლური ტონისგან გული უცივდება, - მე ძალიან ვფრთხილობ და ვცდილობ, ვერაფერი შეამჩნიოს, როდესაც ზოგჯერ კალაპოტიდან ამოვვარდები ხოლმე. თუმცა, რასაკვირველია, გაფრენები ხდება, ვერ აუტანია, მუდამ ბავშვებთან რომ არის გამოკეტილი, არადა, იმათ ნებისმიერი შეუძლიათ ჭკუიდან გადაიყვანონ, ისე კი, მთლიანობაში, მაინც კარგად ახერხებს ყველაფერს.

ჯეკი ჰალსტუხს იკეთებს, ფეხსაცმლის თასმებს იკრავს, მისი საწოლის კიდეზე მჯდომი. კეთილდღეობას პირდაპირ ასხივებს; სუფთა, გულღია სახე აქვს ბიჭისა, ცხოვრება ჯერ რომ არ უგემია.

- ჩემი ბებრუხანას შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, ბედმა გამიღიმა, - აგრძელებს და ამჯერად ხმაში სიმწარე გამოერევა, ესაა ცოლზე განაწყენება და ელა ხვდება, - იმას, რომ ერთად დაწვნენ, ოსტატურად გამოიყენებს ცოლის გასაშავებლად. ჯეკი გამოცოცხლებულია, დაკმაყოფილებული, თუმცა ხორციელი სიამტკბილობით კი არა, რის აზრზეც თითქმის არცაა, არამედ იმით, რომ შეძლო და რაღაც დაუმტკიცა თავს. ელას ემშვიდობება და სასხვათაშორისოდ შენიშნავს:

- რას იზამ, დროა, დავუბრუნდე ჩემს დოლაბის ქვას. მე, რასაკვირველია, მსოფლიოში საუკეთესო ცოლი მყავს, მაგრამ ის არაა ადამიანი, რომელსაც შეიძლება შთამაგონებელი მოსაუბრე უწოდო.

ელა გაჭირვებით ჩაიხშობს სურვილს უთხრას, რომ ქალს სამი პატარა ბავშვით, გარეუბნის სახლში გამოკეტილს, ერთი-ერთზე დარჩენილს ტელევიზორთან, სახალისო საუბრებისთვის საჭირო ენთუზიაზმის წყარო არ გააჩნია. საკუთარი აღშფოთების ძალა და სიღრმე აცვიფრებს. მან კარგად იცის, რომ ჯეკის ცოლი, ქალი, ლონდონის მეორე ბოლოში რომ ელოდება, აქედან რამდენიმე მილის დაშორებით, იმავე წამს მიხვდება, ქალთან რომ იწვა, როგორც კი სახლის ზღურბლს გადააბიჯებს; მიხვდება, როგორც კი მის გამოცოცხლებულ, თვითკმაყოფილ გამომეტყველებას დაინახავს.

ელა გადაწყვეტს, რომ ა) შეინახავს უბიწოებას, სანამ ვინმე არ შეუყვარდება და ბ) ამ ეპიზოდს ჯულიას არ მოუყვება.

მეორე დღეს ელა ურეკავს ჯულიას, ერთმანეთს ხვდებიან, ერთად რომ ისადილონ და ელა მეგობარს ყველაფერს უყვება. სანამ ელა ლაპარაკობს, თან იმას ფიქრობს, რომ თუმცა კი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა პატრიცია ბრენტთან მეგობრულ, ნდობით აღსავსე ურთიერთობის დამყარებას, ან, ყოველ შემთხვევაში, უარს ამბობდა მისი თანამზრახველი გამხდარიყო მამაკაცებისადმი კრიტიკულ, სარკაზმით აღსავსე დამოკიდებულებაში (ელა ფიქრობს, რომ პატრიცია ბრენტის სარკასტული, მამაკაცების გაკრიტიკების თითქმისდა კეთილმოსურნე ხასიათი - ესაა ყველაფერი ის, რადაც გადაიქცევა მისი ახლანდელი სიმწარე და მტკიცედ გადაწყვეტს, რომ ამას არ დაუშვებს), თუმცა მზადაა გული გადაუშალოს ჯულიას, რომლის სიმწარე სწრაფად იქცევა ზიზღის გრძნობად, სულს ჟანგივით რომ შლის. გადაწყვეტს, აღარ ისაუბროს ამაზე ჯულიასთან, რადგან ქალები, რომელთა ურთიერთობა ეფუძნება მამაკაცებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, ლესბოსელები არიან, ფიზიკურად თუ არა,

ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურად. თავს მარტოსულად და მიტოვებულად გრძნობს.

მას რაღაც ახალი და უჩვეულო ემართება. სექსუალური ჟინი ტანჯავს. ელა შეშფოთებულია, რადგან არ ახსოვს, რომ ოდესმე სექსუალური სურვილები თავისთავად, სუფთა სახით, რომელიმე კონკრეტული მამაკაცის გარეშე გასჩენოდა ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთ რამ არ მომხდარა მას მერე, რაც გარდამავალი ასაკიდან გამოვიდა, თუმცა მაშინაც კი ეს რომელიმე კონკრეტულ მამაკაცზე ფანტაზიებს უკავშირდებოდა. ახლა ღამღამობით ვეღარ იძინებს, მასტურბაციას ეწევა ყველა მამაკაცისადმი სიძულვილით აღსავსე ფანტაზიების თანხლებით. პოლი სრულიად გაქრა: ელამ თავისი ცხოვრების თბილი და ძლიერი მამაკაცი დაკარგა, ახლა ის მხოლოდ და მხოლოდ ცინიკურ მოღალატედ ახსენდება. სექსუალური სურვილების გამო სრულ ვაკუუმში იტანჯება. სასტიკად დამცირებულად გრძნობს თავს, ფიქრობს, რომ მამაკაცებზეა დამოკიდებული, რადგან მას „სექსი სჭირდება“, უნდა, რომ „მოემსახურონ“, „ასიამოვნონ“. ამ ხისტ ფორმულირებებს თავის დასამცირებლად იყენებს.

მერე კი ელა ხვდება, რომ მისი ფიქრი საკუთარ თავსა და ქალებზე არასწორი მიმართულებით წავიდა და რომ მტკიცედ უნდა დაიცვას შემდეგი: როდესაც პოლთან იყო, სექსუალური ჟინი არ აწუხებდა, გარდა იმ სურვილისა, რაც პირადად მისგან იყო წამოსული; თუკი ერთხანს მისგან შორს იყო, ელა სექსუალურ „ლეთარგიულ“ ძილს ეძლეოდა, ვიდრე პოლი არ დაუბრუნდებოდა; მაშასადამე ის სექსუალური შიმშილი, რომელიც ახლა მასში მძვინვარებს, სექსუალური მოთხოვნილებით არაა გამოწვეული, მას სხვა რამ ასაზრდოებს, - მას ის გრძნობები ენატრება, რომლებიც ახლა ესოდენ მძაფრად სჭირდება. და როდესაც

ისევ შეუყვარდება მამაკაცი, ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდება: კვლავ იქცევა ქალად, რომლის სექსუალურობას მოქცევა-მიქცევის პერიოდები ექნება, რაც მისი მამაკაცის გრძნობებზე იქნება დამოკიდებული. ქალის სექსუალურობა, ასე ვთქვათ, მამაკაცში მდგომარეობს, თუკი მამაკაცი ნამდვილი მამაკაცია; იგი ქალს, გარკვეულწილად, მიაძინებს, ის სექსზე აღარ ფიქრობს.

ელა მთელი ძალით ებღაუჭება ამ ცოდნას და ფიქრობს: მთელი ცხოვრება, ყოველ ჯერზე, როდესაც გვალვის, კვდომის პერიოდი მიდგება, ერთი და იმავეს ვაკეთებ: ვებღაუჭები სიტყვების ნაკრებს, ფრაზებს, რომლებიც რაღაც ცოდნას მოიცავს, მაშინაც კი, როდესაც ისინი მკვდარი და აზრისგან დაცლილია. მე ხომ ვიცი, რომ სიცოცხლე დამიბრუნდება და ეს ფრაზებიც გაცოცხლდებიან, მაგრამ რა საოცარია, რომ შესაძლებელია, აი, ასე ებღაუჭებოდე ფრაზების რომელიღაც ნაკრებს და მათ რწმენას ინარჩუნებდე.

ამ დროს მამაკაცები ელას კვლავაც აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ ის ყველას უარს ეუბნებოდა. რადგან იცოდა, რომ ვერც ერთს ვერ შეიყვარებდა. თავის თავს ეუბნებოდა, არ დავწვები კაცთან, სანამ არ მივხვდები, რომ შემიძლია, შევიყვაროო.

თუმცა რამდენიმე კვირის შემდეგ ასეთი რამ მოხდა: ელამ წვეულებაზე კაცი გაიცნო. ელა ისევ გულმოდგინედ დადიოდა წვეულებებზე, თუმცა კი ამ პროცესს ვერ იტანდა: „ისევ უნდა გამოჩნდეს ბაზარზე“. ის კაცი სცენარისტია კანადიდან. ფიზიკურად მაინცდამაინც არ იზიდავს. სამაგიეროდ, ჭკვიანია, ხუმრობს ცივ, მოსხლეტილ, ოკენისგაღმულსა და სარკასტულ სტილში და ელას ეს მოსწონს. მისი ცოლიც, მეტად ლამაზი ახალგაზრდა ქალი, წვეულებაზეა. შეიძლება ითქვას, პროფე-

სიონალურად ლამაზიც კია. მეორე დღეს ახალი ნაცნობი სახლში ელასთან მიდის, თანაც წინასწარი გაფრთხილების გარეშე. თან მიაქვს ჯინი, ტონიკი, ყვავილები: თამაშობს სცენას: „კაცი მოვიდა, რომ აცდუნოს წვეულებაზე გაცნობილი ქალი, მოიტანა ყვავილები და ჯინი“. ელას ეს ყველაფერი ახალისებს. ისინი სვამენ, ბევრს ხუმრობენ, იცინიან. და ასე, სიცილ-სიცილ, თითქოსდა სახუმაროდ, ლოგინში წვებიან. ელა ცდილობს სიამოვნება მიანიჭოს, თვითონ თითქმის არაფერს გრძნობს და მზადაა დაიფიცოს, ასევე - კაციც. რადგან იმ მომენტში, როდესაც დაეუფლება, ელას გაუელვებს, რომ მან უბრალოდ ჩაიფიქრა ამის გაკეთება. მეტი არაფერი. ფიქრობს: „მაგრამ მეც ხომ ამას სრულიად უგრძნობლად ვაკეთებ, მაშ, რატომ უნდა გავკიცხო? უსამართლობა იქნება“. მერე კი ელას პროტესტის განცდა ავსებს და ფიქრობს: „საქმეც ესაა, კაცის სურვილი ქალში აღძრავს სურვილს, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს, ამიტომ მე მართალი ვარ, რომ ვკიცხავ“.

მერე ისევ სვამენ და ხუმრობენ. მერე კი კაცი მოულოდნელად ამბობს ფრაზას, რომელიც არაფრით არაა დაკავშირებული იმასთან, რაზეც იმწამს საუბრობდნენ:

- მე მყავს ლამაზი ცოლი, რომელზეც ვგიჟდები. მაქვს სამუშაო, რომელიც მიყვარს. ახლა კი მყავს ქალიც.

ელა ხვდება, რომ თვითონაა ეს ქალი, და რომ ეს ღონისძიება - სექსი მასთან - ბედნიერი ცხოვრების მოწყობის თავისებური პროექტისა თუ გეგმის შემადგენელი ნაწილია. ელა ხვდება, რომ ეს კაცი მომავალში ურთიერთობის გაგრძელებას ელის, მისთვის თავისთავად ცხადია, რომ ასეც იქნება. ელა აგრძნობინებს, რომ, მისი აზრით, მათი ურთიერთობა ამით დასრულდება; როდესაც ამას ეტყვის, კაცს შელახული თავმოყვარეობისგან სა-

ხე აელეწება, თუმცა კი ელა რბილად, მშვიდად, გულწრფელად ლაპარაკობს, თითქოსდა მისი უარი განპირობებული იყოს გარემოებებით, რომელთაც ვერ მართავს.

კაცი გამომცდელად უყურებს, გამომეტყველება ერთობ ხისტი აქვს.

- რა იყო, გოგონი, ვითომ რა, ვერ დაგაკმაყოფილე?

ამას დაღლილი ხმით ამბობს, აშკარად დაბნეულია. ელა სასწრაფოდ არწმუნებს, რომ დააკმაყოფილა, თუმცა სინამდვილეში - ვერა. ელამ იცის, რომ ეს მისი ბრალი არაა, ნამდვილი ორგაზმი აღარ ჰქონია მას მერე, რაც პოლმა მიატოვა.

ელა ხმამაღლა, თავისდა უნებურად, საკმაოდ ხისტად ამბობს:

- მგონი, ეს ყველაფერი საკმარისად დამაჯერებელია შენთვისაც და ჩემთვისაც.

კვლავ მძიმე, დაღლილი, ემოციებისგან დაცლილი გამოხედვა.

- მე ლამაზი ცოლი მყავს, - აცხადებს, - მაგრამ სექსუალურად ვერ მაკმაყოფილებს. მე მეტი მჭირდება.

ამ სიტყვების გაგონებაზე ელას ენა მუცელში უვარდება. ეჩვენება, რომ რაღაც გაუკუღმართებულ, უსახურსა და ცარიელ განზომილებაშია, რომელთანაც არაფერი აქვს საერთო და სადაც შემთხვევით, დროებით შებორიალდა. ამავე დროს ხედავს, რომ კაცი მართლა ვერ ხვდება, რითია ცუდი ის, რასაც სთავაზობს. პენისი დიდი აქვს; „ლოგინში ყოჩაღია“. აბა, მეტი რაღა. ელა დგას და ფიქრობს, რომ გრძნობების მოღლილობა, რომელიც ლოგინში ემართება, მეორე მხარეა ცხოვრებისაგან მისი ცივი დაღლილობისა, ლოგინის მიღმა რომ სჭირს. კაცი მის წინ დგას,

ათვალიერებს. „აი, ახლა, - ფიქრობს ელა, - აი, ახლა გადამიჭერს მათრახს და ერთიანად მომიზღავს ჩემსას“.

- დიდი ხანია მივხვდი, - კბილებშუა გამოცრის კაცი, შელახული თავმოყვარეობა მის ხმას სიმძაფრეს ანიჭებს, - რომ არაა აუცილებელი მხოლოდ ლამაზ ქალებთან წოლა. საკმარისია კონცენტრირება მოახდინო ქალის რომელიმე ერთ ნაწილზე, - ნებისმიერზე. მახინჯ ქალშიც კი ყოველთვის შეიძლება იპოვო რაიმე მშვენიერი. მაგალითად, ყური ანდა, ხელი.

უეცრად ელა ხარხარს იწყებს, ცდილობს კაცის მზერას ჩაავლოს, ჰგონია, ისიც აჰყვება სიცილში. რადგან იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, ლოგინში ჩაწოლამდე, მხიარულად და ხალისიანად საუბრობდნენ, ხუმრობდნენ. რადგან, რაც თქვა, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, გარდა გამობრძმედილი მექალთანის რეპლიკაზე პაროდიისა. რასაკვირველია, გაიღიმებს, ალბათ, თვითონაც ეცინება? მაგრამ არა, მისი ნათქვამის დანიშნულებაა გული ატკინოს და ღიმილითაც არ სურს, ის შეარბილოს.

- კიდევ კარგი, ხელები მაინც მაქვს ლამაზი, სხვა თუ არაფერი, - ამბობს ელა ბოლოს ერთობ ცივად.

კაცი მასთან მიდის, ელას ხელებს თავის ხელებში მოაქცევს, გამოცდილი დონ-ჟუანივით კოცნის:

- ლამაზი გაქვს, ჩემო თოჯინავ, ლამაზი.

კაცი მიდის და ელა მეასეჯერ ფიქრობს, რომ გრძნობათა სამყაროში ყველაზე ჭკვიანი მამაკაციც კი იმდენად დაბალ დონეზე ეშვება, შედარებით იმასთან, რასაც პროფესიონალურად აკეთებს, რომ გეგონება, საერთოდ სხვა არსებაა.

საღამოს ელა ჯულიასთან სტუმრობს და ამჩნევს, რომ ისეთ გუნებაზეა, რომელსაც შეიძლება „პატრიციას განწყობა“ ეწოდოს - ანუ უფრო სარდონიკული, ვიდრე სიმწრით აღსავსე.

ჯულია ცოცხალი იუმორით უყვება ელას, რომ ის მსახიობი, ვინც განუცხადა, შენ ხარ „ქალი, რომელიც მამაკაცებს ასაჭურისებსო“, რამდენიმე დღის წინ ისევ გამოჩნდა, ყვავილებით ხელში, ვითომც არაფერიო.

- მართლა გაუკვირდა, როცა მიხვდა, რომ მის თამაშზე აყოლა სულაც არ მინდოდა. მხიარულ, კომპანიის მოყვარულ ჯეელს თამაშობდა. მე კი ვიჯექი, ვუყურებდი და მახსენდებოდა, ლამის ცრემლად რომ დავიღვარე, როცა ჩემგან წავიდა, - გახსოვს, რომ მოგიყევი, იმ ორ ღამეს, მთელ იმ დროს ისეთი ნაზი, ისეთი მზრუნველი ვიყავი, ისე ვცდილობდი, მომედუნებინა, მერე კი მითხრა, რომ მე... მაგრამ მაშინაც კი არ შემეძლო მისთვის გულის მოკვლა. მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი: „ნუთუ დაავიწყდა, რა მითხრა და რატომ? თუ იგულისხმება, რომ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ მათ სიტყვებს? უბრალოდ იგულისხმება, რომ იმდენად ძლიერები უნდა ვიყოთ, ყველაფერი იოლად გადავიტანოთ?“ ზოგჯერ მგონია, რაღაც სექსუალურ საგიჟეთში ვართ გამომწყვდეული.

ელამ უემოციოდ მიუგო:

- ჩემო ძვირფასო ჯულია, ჩვენ თავისუფალი ქალების ხვედრი ავირჩიეთ და ესაა ფასი, რომელიც ამისთვის უნდა გადავიხადოთ, მეტი არაფერი.

- თავისუფალი, - ამბობს ჯულია, - თავისუფალი! რა აზრი აქვს ჩვენს თავისუფლებას, თუკი ისინი არ არიან თავისუფლები? დედას გეფიცები, ყოველ მათგანს, მათ შორის საუკეთესოსაც კი,

თავში ჯერ კიდევ აქვს ძველი სტერეოტიპი, რომ არსებობენ კარგი და ცუდი ქალები.

- და ჩვენ თვითონ? თავისუფლები ვართო, ვამბობთ და სიმართლე კი ის არის, რომ მათ ერექცია აქვთ ქალებთან, რომლებიც საერთოდაც არ ენაღვლებათ, ჩვენ კი ორგაზმი არ გვეღირსება, სანამ რომელიღაც მათგანი არ შეგვიყვარდება. აბა, ეს არის თავისუფლება?

ჯულია შენიშნავს:

- ესე იგი შენ უფრო ხშირად გიმართლებს, ვიდრე მე. გუშინ ვფიქრობდი, იმ ათი კაციდან, რომლებთანაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ვიწექი, რვა იმპოტენტი აღმოჩნდა, ან ძალიან სწრაფად ათავებდა. მე კი ამაში თავს ვადანაშაულებდი, ჩვენ ხომ მიჩვეული ვართ ამას? რა საოცარია, - პირდაპირ თავს ვიკლავთ, რომ ყველაფერში საკუთარი „მე“ დავადანაშაულოთ. მაგრამ ის წყეული მსახიობიც კი, რომელმაც მითხრა, რომ მამაკაცებს ვასაჭურისებ, იმდენად თავაზიანი იყო, რომ მაცნობა, ისე, სასხვათაშორისოდ, მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ერთი ქალი შემხვდა, რომელთანაც ყველაფერი გამომივიდაო. ოღონდ არ გეგონოს, ეს იმისთვის მითხრა, რომ დავემშვიდებინე, სულაც არა.

- ჩემო ძვირფასო ჯულია, თითქოს წინათ შენს კაცებს არ აღრიცხავდი?

- მანამ, სანამ ამაზე ფიქრი არ დავიწყე, არა, არ აღვრიცხავდი. წინათ.

ელა აღმოაჩენს, რომ ხასიათი შეეცვალა, ან ცხოვრებაში ახალი ფაზა დაეწყო. სექსუალურად სრულიად ცივი გახდა. ამას კანადელ სცენარისტთან მომხდარ ინციდენტს მიაწერს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მისთვის სულერთია. ახლა იგი ცივი, და-

მოუკიდებელი, განყენებულია. ახლა არათუ ვეღარ იხსენებს, რას ნიშნავს სექსუალური ჟინისგან ტანჯვა, არამედ ვეღარც კი წარმოუდგენია, თუ ოდესმე კიდევ იგრძნობს სურვილს. თუმცა აცნობიერებს, რომ ეს მდგომარეობა - განყენებულობის, თვითკმარობის, სურვილის აბსოლუტური არარსებობის - უბრალოდ, სექსუალური შეპყრობილობის მეორე მხარეა. ელა ჯულიას იმის სათქმელად ურეკავს, რომ უთხრას, სექსს თავი დავანებეო, კაცებს შევეშვი, ეს ყველაფერი „ყელში ამომივიდაო“. ჯულიას გულთბილი სკეპტიციზმი ყურში ხვდება და ელა დასძენს:

- ამას სერიოზულად გეუბნები.

- შენთვის ეს სასარგებლო იქნება, - პასუხობს ჯულია.

ელა გადაწყვეტს, წერა განაახლოს, ეძებს თავის თავში წიგნს, რომელიც მასშია, უკვე დაწერილია და ელოდება, როდის გადაიტანს ქაღალდზე. მარტოობაში ბევრ დროს ატარებს, ელოდება მომენტს, როდესაც ამ წიგნის კონტურების საკუთარ თავში გარჩევას შეძლებს.

მე ვხედავ ელას, დიდ, ცარიელ ოთახში. ნელა დადის, ფიქრობს, ელოდება. მე, ანა, ვხედავ ელას. რომელიც, რასაკვირველია, ანაა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ არ არის ანა. ზუსტად იმწამს, როდესაც მე, ანა, ვწერ: „ელა ურეკავს ჯულიას, რომ უთხრას“ და ასე შემდეგ, ელა მშორდება და ვიღაც სხვად გადაიქცევა. ვერ გამიგია, რა ხდება იმწამს, როდესაც ელა მშორდება და ელა ხდება. ეს არავის ესმის, საკმარისია, გმირს სხვა სახელი მისცე, ანას ნაცვლად ელა დაარქვა. რატომ ავირჩიე სახელი ელა? ერთხელ წვეულებაზე გავიცანი ქალიშვილი, სახელად ელა. რომელიღაც გაზეთისთვის წიგნების მიმოხილვებს წერდა და გამომცემლის დავალებით ხელნაწერებს არჩევდა. ტანდაბალი იყო, გამხდარი, შავგვრემანი, ფიზიკურად ერთი ტიპისა ვი-

ყავით. თმა უკან შავი ლენტით ჰქონდა გადაჭერილი. მისმა მზერამ განმაცვიფრა: საოცრად დაძაბული, „თავდაცვისთვის გამზადებული“. ციხესიმაგრის სათოფურებივით. იმ წვეულებაზე ყველა ბევრს სვამდა. მასპინძელი ჭიქების შესავსებად მოგვიახლოვდა. ქალიშვილმა ხელი ასწია - გამხდარი, თეთრი, ნატიფი ხელი - ზუსტად იმ მომენტში, როდესაც მასპინძელმა ზუსტად სამი ყლუპი ღვინო დაუსხა. ცივად დაუქნია თავი:

- საკმარისია.

მასპინძელს უნდოდა, ბოლომდე შეევსო ჭიქა, მაგრამ მან თავი ცივად გააქნია. მასპინძელი გაშორდა; ქალიშვილმა შენიშნა, რომ ვუთვალთვალებდი.

- მე ზუსტად ამდენი მჭირდება იმისთვის, რომ სიმთვრალის სწორ დონეს მივაღწიო.

გამეცინა. მაგრამ არა, არ ხუმრობდა, სერიოზული გახლდათ. დალია თავისი სამი ყლუპი წითელი ღვინო და შენიშნა:

- დიახ, სწორია.

თავის თავზე ალკოჰოლის ზემოქმედება კიდევ ერთხელ შეაფასა, თავი ცივად დააქნია - ისევ ისე ცივად:

- კი, მართლაც ზედგამოჭრილია.

ჰოო, მე ასე არასოდეს მოვიქცეოდი. ის ნამდვილად არ იყო ანა.

მე ვხედავ ელას, ყველასგან განზე გამდგარს, მარტოსულს, თავის დიდ ოთახში მობორიალეს. სწორ შავ თმას ფართო შავი ლენტით იკრავს კეფაზე. ანდა საათობით ზის სავარძელში, მუხლებზე ნატიფი თეთრი ხელები უღონოდ ჩამოუშვია. დაჰყურებს ხელებს, მოღუშულია, ფიქრობს.

საკუთარ თავში ელა ასეთ სიუჟეტს პოულობს: ქალი, რომელიც უყვარს კაცს, ვინც ხანგრძლივი ურთიერთობის განმავლო-

ბაში მუდმივად აკრიტიკებდა იმისთვის, რომ ღალატობდა, იმისთვის, რომ მეტისმეტად იტაცებდა მაღალი საზოგადოების ცხოვრება, რომლის გამოც ეჭვიანობდა და იმისთვის, რომ ძალზე დაკავებული იყო კარიერაში წინსვლით. სინამდვილეში, ეს ქალი, რომელსაც მათი რომანის ხუთი წლის განმავლობაში ერთხელაც კი არ შეუხედავს სხვა მამაკაცისთვის, არ მიუღია არც ერთი მიწვევა და სრულიად მიაგდო კარიერაც, სწორედ იმ დროს, როცა კაცი მიატოვებს, მართლაც ისეთი ხდება, რისთვისაც ის აკრიტიკებდა. ცხოვრობს აწეწილი, განურჩეველი ცხოვრებით, ერთი წვეულებიდან მეორეზე გადარბის, ხდება სასტიკი, როცა კარიერა მოითხოვს, ამას თავის კაცებსაც სწირავს და მეგობრებსაც. ამ ამბის არსი ის არის, რომ მისი ახალი პიროვნება კაცის შექმნილია და ყველაფერი, რასაც აკეთებს - მისი სექსუალური ქცევა, კარიერის გულისთვის მუხანათობა და ასე შემდეგ, - ამ ყველაფერს ერთი შურისმაძიებლური აზრით აკეთებს: „ესეც შენ, აი, რაც გინდოდა. აი, ის ვარ, ვისი დანახვაც ასე გინდოდა ჩემში“. და რაღაც ხნის შემდეგ, როდესაც ერთმანეთს შეხვდებიან, როდესაც მისი ახალი პიროვნება უკვე „მტკიცედ დგას ფეხზე“, კაცს ისევ შეუყვარდება. მას ყოველთვის უნდოდა, ქალი სწორედ ასეთი ყოფილიყო და მიზეზი, რომლის გამოც მიატოვა, სინამდვილეში ის გახლდათ, რომ ჩუმი, დამყოლი და ერთგული იყო. მაგრამ ახლა, როდესაც კაცს ისევ შეუყვარდება, ქალი მას უარყოფს, და უარყოფს მწარე ზიზღით: ის, როგორიც ახლაა - „ნამდვილი“ არ არის. კაცმა უარყო მისი „ნამდვილი მე“. უღალატა ნამდვილ სიყვარულს და ახლა ნაყალბევი შეიყვარა. მისი უარყოფით ქალი თავის ნამდვილ „მე“-ს ინარჩუნებს, ქალს, რომელსაც მან უღალატა და უარყო.

ელა ამ რომანს არ წერს. ეშინია, რომ თუკი დაწერს, რეალობად იქცევა.

ისევ ჩაიხედავს თავის თავში და ხედავს: კაცსა და ქალს. ქალი მარტო ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მთელი არსებით მზად არის სერიოზული სასიყვარულო ურთიერთობისთვის. კაცი სერიოზული შეყვარებულის როლს თამაშობს, რადგან კიდევ სჭირდება რაღაც, ნავსაყუდელი ან თავშესაფრის მსგავსი რაღაც (ასეთი პერსონაჟის შექმნა კანადელ სცენარისტთან ურთიერთობის გამოცდილებამ აფიქრებინა, - სახელდობრ, მისმა ცივმა და თავის თავში ჩაკეტილმა მიდგომამ სასიყვარულო ურთიერთობისადმი: იგი თვითონ გვერდიდან უყურებდა იმას, თუ როგორ ასრულებდა როლს - ცოლიანი კაცის როლს, ვისაც საყვარელი ჰყავს. კანადელის პიროვნების სწორედ ამ ასპექტს იყენებს ელა - მამაკაცი, რომელიც თვალყურს ადევნებს იმას, თუ როგორ ასრულებს თვითონ რაღაც როლს). ქალი, რომელიც მეტისმეტად დანატრებულია სიყვარულს, მეტისმეტად დაძაბული, კაცს კიდევ მეტად „გაყინავს“; თუმცა კაცი მხოლოდ ნაწილობრივ აცნობიერებს, რომ „გაყინულია“. ქალი, რომელიც მანამდე ცხოვრებაში უპრეტენზიო, ეჭვიანობისგან თავისუფალი, საკუთრების ინსტინქტს მოკლებული იყო, ახლა ციხის დარაჯს ემსგავსება. ყველაფერი ისე ხდება, თითქოს მასში უცხო პიროვნება ჩასახლდა. და გულწრფელი გაოცებით უყურებს იმას, თუ როგორ ხრავს შიგნიდან ეს სიბილწე, როგორ ელვისებურად იქცევა მეგერად, მესაკუთრეობის ვნებით რომაა შეპყრობილი, უყურებს ისე, თითქოს ამ მეორე „მე“-ს მასთან საერთო არაფერი აქვს. და ამაში დარწმუნებულია. და როდესაც კაცი ბრალს დასდებს, რომ ეჭვიანი მოთვალთვალეა, გულწრფელად პასუხობს: „მე არ ვეჭვიანობ, არასოდეს ვყოფილვარ

ეჭვიანი“. ელა ამ სიუჟეტს განცვიფრებით განიხილავს, რადგან მას ვერაფერი შობდა მისი საკუთარი გამოცდილებიდან. მაშ, საიდან გაჩნდა? ელა ფიქრობს პოლის ცოლზე - მაგრამ არა: ის მეტისმეტად მორჩილი და მიმტევებელი გახლდათ, რომ რომანის ასეთი გმირზე ფიქრი გამოეწვია. ანდა, შესაძლოა, ეს მისი საკუთარი ქმარი იყო, რომელიც თავს თვითონ იმცირებდა, ეჭვიანი, სულმოკლე, რომელიც საკუთარი პიროვნული შეუმდგარობის გამო ისეთ ისტერიკებს მართავდა, ქალებს რომ ახასიათებს? როგორც ჩანს, ფიქრობს ელა, ეს მისი ქმრის სახეებაა, ქმრისა, რომელთანაც ესოდენ მცირე ხანი დაჰყო, და ურთიერთობა, რომელმაც, როგორ ჩანს, არცთუ მნიშვნელოვანი კვალი დაატყო, არის მამაკაცური ეკვივალენტი მისი რომანის კაპასი ქალისა? რომანისა, რომლის დაწერასაც გადაიფიქრებს, ყველაფრისდა მიუხედავად. ის დაწერილია, მასში არსებობს, მაგრამ ვერ აღიქვამს მას, როგორც თავის რომანს. „იქნებ ეს ყველაფერი სადღაც წავიკითხე? - უკვირს ელას, - ანდა ვიღაცამ მიამბო და დამავიწყდა, რომ მოსმენილი მაქვს?“

დაახლოებით იმ პერიოდში ელა მამას სტუმრობს. კარგა ხანი გავიდა იმ დღიდან, როცა მოინახულა. მის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. ის კვლავ მშვიდია, მთლიანად დაკავებული თავისი ბაღის მოვლითა და წიგნებით, - რაღაც მისტიკოსად ქცეული სამხედრო. თუ ყოველთვის მისტიკოსი იყო? ელა, და ეს პირველად ემართება ცხოვრებაში, თავს უსვამს კითხვას: საინტერესოა, როგორია ასეთი კაცის ცოლობა? დედაზე იშვიათად ფიქრობს, მაგრამ ახლა ცდილობს თავის თავში მისი გახსენება გააცოცხლოს. ხედავს პრაქტიკულ, სიცოცხლისმოყვარე, ფორიაქა ქალს. ერთ საღამოს, როცა მამამისის წინ ზის ბუხართან, წიგნებით გავსებულ თეთრად შეფეთქილჭერიან ოთახში, შავი

ძელები რომ კვეთს გარდიგარდმო, ელა უყურებს, როგორ კითხულობს, წრუპავს ვისკის და ბოლოს, გაბედავს დედაზე დალაპარაკებას.

მამა მაშინვე ერთობ კომიკურად მღელვარე, განგაშის გამომხატველ გამომეტყველებას იღებს; ცხადი ხდება, მრავალი წელია არც მას გახსენებია გარდაცვლილი ცოლი. ელა არ ეშვება.

ბოლოს მამა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობს:

- საერთო ჯამში, დედაშენი ჩემთვის მეტისმეტად კარგი იყო.

იცინის, უხერხულობას გრძნობს: მისი ცისფერი თვალების ჩვეულებრივ განყენებული გამოხედვა უეცრად იცვლება, - თვალები აქეთ-იქით დაურბის, ხაფანგში გამოჭერილი ცხოველივით იყურება. ეს სიცილი ელას გულს სტკენს და მშვენივრად ხვდება, რატომაც - საკუთარი დედის მაგივრად ბრაზობს. ფიქრობს: „რაშია ჩემი და ჯულიას პრობლემა - სრულიად ცხადია: პიროვნული წყობით ორივენი ცოლები კი არა ვართ, არამედ საყვარლები, მაგრამ ასაკით ამ სტატუსს დიდი ხანია აღარ შეეფერებით“.

- რას ნიშნავს „მეტისმეტად კარგი“? - მაგრამ მამა ისევ დაიმალა, წიგნი ცხვირწინ ფარივით უჭირავს.

მამა წიგნის ზემოდან გახედავს - ასე ელაპარაკება - ჭარმაგი, თითქოსდა გამოყვანილი ტყავისგან შეთხზული კაცი, რომელიც უეცრად ოცდაათი წლის წინანდელმა განცდამ შეიპყრო.

- დედაშენი კარგი ქალი იყო. კარგი ცოლი, მაგრამ სრულიად არ იყო აზრზე, საერთოდ არაფერი გაეგებოდა, ის რაღაც შინაგანად საერთოდ არ ჰქონდა.

- სექსს გულისხმობ? - ეკითხება ელა, თავს აიძულებს, თქვას ეს, მიუხედავად იმ ზიზღისა, რომელსაც გრძნობს, რადგან იძულებულია ეს ცნება მშობლების ცხოვრებას დაუკავშიროს.

მამამისი იცინის, შეურაცხყოფილია, გაბრაზებული, თვალები ისევ დაურბის.

- რასაკვირველია, თქვენ ახლა ასეთ რაღაცებზე მარტივად ლაპარაკობთ. მე კი ამაზე არასოდეს ვლაპარაკობ. დიახ, სექსი, თუკი ამას ასე ეძახით. როდესაც ქმნიდნენ, ეს დეტალი მასში არ გაუთვალისწინებიათ, მსგავსი რამეები.

და ელას რომელიღაც ბრიტანელი გენერლის მემუარებს იარაღივით მიუშვერს.

მაგრამ ელა არ ეშვება:

- მერედა, როგორ წყვეტდი ამ პრობლემას?

წიგნის ყუა თითქოს ოდნავ აცახცახდა. პაუზა. ელა ამ კითხვაში გულისხმობდა, განა არ ეცადე გესწავლებინაო?

წიგნის მიღმა მამამისის ხმა ისმის, ლაპარაკობს წყვეტილად, ამ დროს ხმა მთლად დარწმუნებით არ ჟღერს; ლაპარაკის წყვეტილი მანერა დაკავშირებულია მრავალწლიან წვრთნასთან; დაურწმუნებლობა გამოწვეულია იმ გაურკვევლობით, რომელიც მისი პირადი განცდების სამყაროში სუფევს.

- როდესაც ეს აუტანელი ხდებოდა, მივდიოდი სადმე და ქალს ვყიდულობდი. აბა, შენ რა გეგონა?

ეს „აბა, შენ რა გეგონა?“ ელასკენ კი არა, დედამისისკენ არის მიმართული.

- თანაც, როგორი ეჭვიანი იყო! სრულიად გულგრილი ამის მიმართ, მაგრამ თანაც ცოფიან კატასავით ეჭვიანობდა.

ელა ამბობს:

- მე მინდოდა მეთქვა, იქნებ ერიდებოდა. იქნებ უნდა გესწავლებინა ყველაფერი?

ასე იმიტომ ამბობს, რომ პოლის ანდაზა ახსენდება: „არ არსებობს ფრიგიდული ქალი, არსებობს უნიათო კაცი“.

წიგნი მამის მუხლებზე ეშვება, გამხდარი ფეხები ჯოხებს მიუგავს. მოყვითალო, გამომშრალი, გამხდარი სახე აელეწება, ცისფერი თვალები მწერივით აქვს გადმოყვლეპილი:

- მომისმინე, როგორც მესმის, ქორწინება - ეს... ჰო, რა! აი, შენ ჩემ წინ ზიხარ, ესე იგი, ვფიქრობ, რომ ჩვენი ქორწინება გამართლებული იყო.

ელა ამბობს:

- ალბათ, ბოდიში უნდა მოგიხადო, მაგრამ მინდა მასზე რაღაც მაინც ვიცოდე. ბოლოს და ბოლოს, დედაჩემი იყო.

- აღარ ვფიქრობ მასზე. უკვე მრავალი წელია. ზოგჯერ მახსენდება, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა პატივს დამდებ და მეწვევი ხოლმე.

- აი, თურმე რატომ მგონია, რომ არ გინდა ჩემი ხშირად სტუმრობა? - ჩაილაპარაკებს ელა, თუმცა კი ღიმილით, თანაც ცდილობს მამის მზერა დაიჭიროს.

- ასეთი რამ არასოდეს მითქვამს, ასე არაა? მსგავს არაფერს ვგრძნობ. თუმცა მთელი ეს ოჯახური არტახები - ოჯახური ორომტრიალი, ქორწინება და ასე შემდეგ, ახლა საკმაოდ არარეალური მეჩვენება. შენ ჩემი ქალიშვილი ხარ, ამის მჯერა. მე მყავდა დედაშენი, სხვაგვარად შეუძლებელიცაა. თუმცა ამას ვერ ვგრძნობ. სისხლისმიერ კავშირს - ხომ გესმის ეს რა არის? მე - არა.

- დიახ, - ამბობს ელა, - როდესაც აქ ვარ, შენთან რაღაც კავშირს ვგრძნობ. როგორს, არ ვიცი.

- ჰოდა, არც მე ვიცი.

მოხუცმა უკვე დასძლია უხერხულობის განცდა, ისევ წავიდა შორს, იქ, სადაც პირად ცხოვრებაში მიღებული იარები უკვე აღარ გაწუხებს.

- ჩვენ ხომ ადამიანები ვართ, რასაც უნდა ნიშნავდეს ეს. არ ვიცი. მე მიხარია შენი დანახვა, როდესაც პატივს დამდებ ხოლმე. არ გეგონოს, თითქოს არ მიხარია. მაგრამ ვბერდები. შენ ჯერ არ იცი, ეს რას ნიშნავს. მთელი ეს აურზაური, ოჯახი, ბავშვები, ყველაფერი ეგეთი, არარეალური გეჩვენება. ამას არა აქვს მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

- მაშინ, რასა აქვს მნიშვნელობა?

- ღმერთს, ჩემი აზრით. რასაც უნდა ნიშნავდეს. ა, ჰო, ჰო, ვიცი, შენთვის ეს არაფერს ნიშნავს. ან რატომ უნდა ნიშნავდეს? მე კი რამდენჯერმე მინახავს, გაკვრით. უდაბნოში - როცა არმიაში ვიყავი. ან, როცა დიდი საფრთხე მემუქრებოდა. ახლაც ზოგჯერ - ღამღამობით. ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია მარტოობა. ადამიანები, ხალხი, ყველაფერი ეგეთი, ერთი დიდი არეულობაა. ადამიანებმა ერთმანეთს თავი უნდა დაანებონ, მარტო დატოვონ თავის თავთან.

ვისკის წრუპავს, ქალიშვილს ათვალიერებს და ამ დროს ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ძალზე აოცებს ის, რასაც ხედავს.

- შენ ჩემი ქალიშვილი ხარ. მე მგონი, ასეა. მაგრამ შენზე არაფერი ვიცი. რა თქმა უნდა, ყოველთვის მზად ვარ, დაგეხმარო რითიც შემიძლია. როცა იმ ქვეყნად გავემგზავრები, მთელი ჩემი ფული შენ დაგრჩება, თუმცა შენ ეს ისედაც იცი. მართალია, ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ბევრი მაქვს. თუმცა მე აღარა-

ფერი მინდა ვიცოდე შენს ცხოვრებაზე, რადგან მგონი, ნებისმიერ შემთხვევაში იძულებული ვიქნებოდი, გამეკიცხა.

- კი, მგონი, გამკიცხავდი.

- ის შენი ქმარი, ცოტა არ იყოს, უცნაური ჯეელი იყო, ვერასოდეს ვუგებდი.

- ეგ უკვე დიდი ხნის ამბავია. ვთქვათ, რომ მეთქვა შენთვის, ხუთი წლის განმავლობაში ცოლიანი კაცი მიყვარდა და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც კი ჩემს ცხოვრებაში ყოფილა-- მეთქი?

- შენი საქმეა. ჩემი კი არა. მერე კიდევ, ვფიქრობ, სხვა კაცებიც იქნებოდნენ. დედაშენს არ ჰგავხარ, სრულიად სხვანაირი ხარ. უფრო იმ ქალს ჰგავხარ, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მყავდა.

- რატომ არ მოიყვანე ცოლად?

- ქმარი ჰყავდა. არ ეთმობოდა, შეჩვეული იყო. და, მგონი, მართალიც იყო. ამ გაგებით ის ქალი, რა თქმა უნდა, საუკეთესო იყო, თუკი რამ ცხოვრებაში მქონია, მაგრამ ეს „გაგება“ არასოდეს ყოფილა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი.

- სრულიად არ გაინტერესებს, როგორ ვცხოვრობ? რას ვაკეთებ? შვილიშვილზე არასოდეს ფიქრობ?

ახლა უკვე აშკარად ჩანდა, რომ თავის შინაგან საფარში ჩაიკეტა, ამგვარი ზეწოლა სრულიადაც არ სიამოვნებდა.

- არა. თუმცა კი საყვარელი ბიჭუნაა. ყოველთვის მიხარია მისი ნახვა. მაგრამ ისიც კანიბალად გადაიქცევა, სხვებისა არ იყოს.

- კანიბალად?

- დიახ, კანიბალად. ადამიანები, უბრალოდ, კანიბალები არიან, თუკი ერთმანეთს თავს ვერ ანებებენ. რაც შეგეხება შენ, რა

ვიცი შენზე? შენ თანამედროვე ქალი ხარ, მათი კი არაფერი გამეგება.

- თანამედროვე ქალი, - იმეორებს ელა გულცივად, იღიმება.

- დიახ. შენი წიგნი, მგონი... მგონი, ცდილობ შენსას მიაღწიო ისევე, როგორც ჩვენ ყველა. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ჩვენ ერთმანეთს ვერ დავეხმარებით. ადამიანები ერთმანეთს არ ეხმარებიან, ჯობს, ცალ-ცალკე იყვნენ.

ამ სიტყვებით მუხლებიდან წიგნს იღებს და მოკლე, ჯიქურ მზერას სტყორცნის, რითაც სრულიად გარკვევით მიანიშნებს, საუბარი დასრულებულიაო.

თავის ოთახში მარტო დარჩენილი ელა თითქოს თავისი სულის მღვრიე გუბეს ჩაჰყურებს, ელოდება, სანამ ჩრდილები კონკრეტულ, გარკვეულ სახეს მიიღებენ, სანამ მოთხრობა ფორმას შეიძენს. ხედავს ახალგაზრდა ოფიცერს, მორიდებულს, ამაყს, ოდნავ ენაბრგვილს. ხედავს მის სიცოცხლისმოყვარე და მორიდებულ ახალგაზრდა ცოლს. და ზედაპირზე რეალური სახება ამოტივტივდება, გამოგონილი გახსენება კი არა, ელა ასეთ სცენას ხედავს: გვიან საღამოს თავის საძინებელში წევს, თავის პატარა საწოლში, თავს იმძინარებს. მამა და დედა ოთახის შუაში დგანან. მამა დედას მოეხვევა, ის დაიმორცხვებს, გაიწევა, პატარა გოგონასავით. მამა კოცნის, დედა ოთახიდან გავარდება, აცრემლებული. მამა ოთახის შუაგულში მარტო დგას, ულვაშის წვერს გაბრაზებით იწიწკნის.

მისი ხვედრი მარტოობა ხდება, ცოლს ჩამოშორდება, წიგნებში, უნაყოფო და ვრცელ ოცნებებში ეფლობა, ოცნებებში კაცისა, რომელიც შეიძლებოდა პოეტი ან მისტიკოსი გამხდარიყო. და მართლაც, როცა გარდაიცვლება, მისი მაგიდის უჯრაში დღიურებს, მისი პროზისა და პოეზიის ფრაგმენტებს იპოვიან.

ელას აოცებს დასკვნა, რომელიც ეს-ესაა გააკეთა, რომ არასოდეს უფიქრია მამაზე, როგორც ადამიანზე, რომელსაც ლექსების ან საერთოდ რამის დაწერა შეეძლო. როგორც კი დრო გამოუჩნდა, ისევ მოინახულა მამა.

გვიან საღამოს, როდესაც მდუმარედ სხედან ოთახში, სადაც ბუხარში ცეცხლი ინავლება, მამას ეკითხება:

- ოდესმე ლექსებს თუ წერდი?

წიგნი ხმაურით ეცემა მუხლებზე, ქალიშვილს გაოცებით შეჰყურებს.

- საიდან იცი, ეშმაკმა დალახვროს?

- არ ვიცი. უბრალოდ, გავიფიქრე, შეიძლება წერდა-მეთქი.

- არასოდეს არავისთვის მითქვამს.

- შეიძლება ვნახო?

ერთხანს უხმოდ ზის და გაჭაღარავებულ, გაველურებულ, ბებერ ულვაშს წიწკნის. მერე დგება და მაგიდის უჯრას გასაღებით აღებს. ქალიშვილს ლექსებით აჭრელებული ფურცლების შეკვრას აწვდის. ყველა ლექსი მარტოობაზე, დანაკარგზე, სულის სიძლიერეზე, მარტოობით გამოცდაზეა. უმეტესად, ჯარისკაცებზეა. თ. ე. ლოურენსი: „ის გამხდარია და ასკეტური სხვა გამხდარ ადამიანებთან შედარებით“. რომელი: „საღამოობით ქალაქგარეთ ნაბიჯს ანელებენ შეყვარებულები, სადაც ქვიშნარში დახრილი ჯვრების უსასრულო რიგებია“. კრომველი: „ყველაფერი, რისიც გვჯერა: მთები, ძეგლები, ქვები“... კვლავ თ. ე. ლოურენსი: „...არ მოგზაურობს იგი ველურ ქარაფებსა და შვერილებზე ადამიანის სულისა“. და ისევ თ. ე. ლოურენსი, რომელიც უარყოფს: „სიცხადე, ქმედება, ჯილდო წმინდა სახით იმის შეგნებაა, რომ დამარცხდი. ასე მოსდის ყოველთვის იმას, ვინც სიტყვებს ენდო“.

ელა ლექსებს უბრუნებს. მოხუცი ფურცლების დასტას იღებს და უჯრაში დებს, უჯრას გასაღებით კეტავს.

- არასოდეს გიფიქრია გამოქვეყნება?

- რა თქმა უნდა, არა. რისთვის?

- უბრალოდ დამაინტერესა.

- შენ, რასაკვირველია, სხვა ხარ. შენ იმისთვის წერ, რომ გამოაქვეყნო. ჰო, მგონი, ასე ბევრი აკეთებს.

- არასოდეს გითქვამს, მოგეწონა ჩემი რომანი? წაიკითხე?

- მომეწონა? კარგი დაწერილია და ასე შემდეგ. მაგრამ იმ, ცოტა არ იყოს, უცნაურ ჯეელს რატომ უნდოდა შენი მოკვლა?

- ადამიანებს ემართებათ ეგეთი რაღაცები.

- რა? კი, ამა თუ იმ მომენტში ყველას უნდება ეს, მაგრამ ამაზე წერა რა საჭიროა?

- შეიძლება მართალიც ხარ.

- სულაც არ მიმაჩნია, მართალი ვარ-მეთქი. ამას შევიგრძნობ. ამაშია განსხვავება ჩვენსა და თქვენ შორის.

- რაში, საკუთარი თავის მოკვდინებაში?

- არა. თქვენ ძალიან ბევრი გინდათ. ბედნიერება. ყველაფერი ეგეთი. ბედნიერება! არ მახსოვს, ოდესმე ამაზე მეფიქროს. თქვენ კი ისე ჩანს, რომ მიგაჩნიათ, ყველას ჩვენი ვალი აქვსო. ეს კომუნისტების გავლენაა.

- რაა? - ელა განცვიფრებით იკითხავს, შეკრთება.

- კი, თქვენ, თქვენ ყველანი წითლები ხართ.

- მაგრამ მე კომუნისტი არა ვარ. ჩემს მეგობარ ჯულიაში გეშლები. მაგრამ ისიც კი აღარაა კომუნისტი.

- სულერთია. მათ თავიანთი საქმე გააკეთეს. თქვენ გგონიათ, ყველაფერი შეგიძლიათ.

- ჰოო, მგონი, მართალი ხარ, ჩვენს ქვეცნობიერში ზის რწმენა იმისა, რომ ყველაფერი შესაძლებელია. თქვენ კი, როგორც ჩანს, ძალზე მცირედს სჯერდებოდით?

- ვჯერდებოდით? ვჯერდებოდით! ეს რა სიტყვაა, ერთი მითხარი!

- მინდა ვთქვა, რომ ცუდია თუ კარგია, ჩვენ მზად ვართ ექსპერიმენტები ჩავატაროთ საკუთარ თავზე, მზად ვართ, შევიცვალოთ და გადავსხვაფერდეთ. თქვენ კი უბრალოდ ემორჩილებოდით.

მოხუცი გაცეცხლებული, აღშფოთებული სახით ზის.

- ის რეგვენი შენი წიგნიდან მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეკალი.

- შესაძლოა იმიტომ, რომ მისი ვალი ჰქონდა ყველას, ყველას, ის კი იმას ვერ იღებდა, რაც უნდა მიეღო.

- შესაძლოაო? შესაძლოაო, ამბობ? მაგრამ ეს ხომ შენ დაწერე, ასე რომ, შენ ეს უნდა იცოდე.

- შესაძლოა, მომავალში ვცადო და დავწერო ამაზე — ადამიანებზე, რომლებიც შეგნებულად ცდილობენ გახდნენ რაღაც სხვა, ცდილობენ, საწყის ფორმათა გარღვევას.

- შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს პიროვნება პიროვნებაა. ადამიანი ისეთია, როგორიც არის. ის ვერ გახდება რაღაც სხვა. ამის შეცვლა შეუძლებელია.

- თუ ასე, მაშინ, მგონი, სწორედ ესაა განსხვავება. რადგან მე მჯერა, რომ შეიძლება შეცვლა.

- მაშ, მე შენს წარმოდგენებს არ ვიზიარებ. და სურვილიც არა მაქვს. ისედაც რთულია იმასთან გამკლავება, რაც არის, არაა საჭირო კიდევ უფრო გართულება.

მამასთან ამ საუბრის შემდეგ ელა ახლებურად იწყებს ფიქრს.

ახლა, როდესაც ცდილობს ახალი რომანის კონტურების დანახვას და როცა ვერაფერს ხედავს გარდა მარცხისა, სიკვდილისა, ირონიისა, შეგნებულად უარყოფს ამ ყველაფერს. ნებისყოფის დაძაბვით ცდილობს შვას ამბავი ბედნიერებაზე, ანდა უბრალოდ, ცხოვრებაზე. მაგრამ ვერ ახერხებს.

მოგვიანებით ელა თავს იჭერს ასეთ ფიქრზე: „მე უნდა მივიღო სიუჟეტები საკუთარი თავის შეცნობაზე, რომელთა მიღმა დგას უბედურება ან, სულ მცირე, უსიცოცხლობა. თუმცა მე შემიძლია ეს გამარჯვებად ვაქციო. მამაკაცი და ქალი - დიახ. მათი გრძნობები იწრიტება. ორივე ნაკუწებად იშლება იმის გამო, რომ შეგნებულად ცდილობენ თავიანთ შესაძლებლობებს გადააჭარბონ. და ქაოსიდან ახალი ძალა დაიბადება“.

ელა ჩაჰყურებს თავის თავს, როგორც ბნელ გუბეს, რათა წარმოსახვით დაინახოს რომანი, მაგრამ რამდენიმე მშრალი ფრაზის მეტს გონებაში ვერაფერს პოულობს. ელის, ელის მოთმინებით, სახებანი როდის მიიღებენ ფორმას, როდის გაცოცხლდებიან.

ლურჯი რვეული

დაახლოებით წლინახევრის განმავლობაში ლურჯ რვეულში კეთდებოდა მოკლე ჩანაწერები, რომლებიც სტილით განსხვავდებოდა არა მარტო წინა ჩანაწერებისგან, რაც თვით იმ რვეულში იყო, არამედ ყველაფრისგან, რაც სხვა რვეულებში არსებობდა. ეს განყოფილება ასე იწყებოდა:

17 ოქტომბერი, 1954

ანა ფრიმენი, პოლკოვნიკ ფრენკ ფრიმენისა და მეი ფორტესკიუს ქალიშვილი, დაიბადა 1922 წლის 10 ნოემბერს; ცხოვრობდა ბეიკერ-სტრიტზე #23; ექვსი წელი გაატარა ცენტრალურ აფრიკაში - 1939 წლიდან 1945 წლამდე; 1945 წელს ცოლად გაჰყვა მაქს ვულფს; ჰყავს ქალიშვილი, რომელიც 1946 წელს დაიბადა. 1947 წელს გაშორდა მაქს ვულფს; 1947 წელს შევიდა კომუნისტურ პარტიაში, 1954 წელს გამოვიდა.

ჩანაწერები ყოველდღე კეთდებოდა და ფაქტების მოკლე კონსტატაციისგან შედგებოდა: „ადრე ავდექი. ვკითხულობდი ამას და ამას. ვნახე ეს და ეს. ჯენეტმა იავადმყოფა. ჯენეტი მორჩა. მოლის შესთავაზეს როლი, რომელიც მოსწონს/არ მოსწონს და ასე შემდეგ“. 1956 წლის მარტში გაკეთებული რომელიღაც ჩანაწერის შემდეგ გვერდზე სქელი შავი ხაზი იყო გარდიგარდმო გავლებული, რომელიც პატარა-პატარა ჩანაწერების პერიოდის დასასრულს აღნიშნავდა. მთელი მომდევნო წელიწადნახევრის ჩანაწერები გადაშლილი გახლდათ, ყოველი გვერდი სქელი შავი ხაზით იყო ჯვარედინად გადახაზული. ახლა ანამ სხვა ხელწერით დაიწყო წერა: მომცრო მკაფიო ასოების ნაცვლად, რომლითაც კეთდებოდა ყოველდღიური ჩანაწერები, წა-

მოვიდა გადაბმული ტექსტი, რომელიც ნიაღვრად მოედინებოდა ფურცლებზე და ალაგ-ალაგ გაურკვეველი ხდებოდა, რადგან ძალზე სწრაფად იყო ჩაწერილი.

ესე იგი, დავმარცხდი. ლურჯი რვეული, რომელიც, ჩემი აზრით, სხვა რვეულებს შორის ყველაზე მართალი უნდა ყოფილიყო, ყველაზე უარესი აღმოჩნდა. ველოდი, რომ ფაქტების ასეთი შეკუმშული გადმოცემა წაკითხვისას რაღაც სურათს მოგვცემდა, მაგრამ ასეთი სახის ჩანაწერები ისევე ყალბია, როგორც ანგარიში სხდომისა, რომელიც 1954 წლის 15 სექტემბერს შედგა, და რომელსაც ახლა სირცხვილის გრძნობით ვკითხულობ, რადგან მეტად ემოციურია, რადგან დასაშვებად მიმაჩნდა, თუკი დავწერდი, „ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე ტუალეტში შევედი დიდ საქმეზე, ორ საათზე კი - პატარაზე. ოთხ საათზე კი ოფლი მომივიდა“. ეს უფრო რეალისტური იქნება, ვიდრე თუკი უბრალოდ დავწერ იმას, რასაც ვფიქრობ. რადგან ჩვენს ცხოვრებაში ისეთი რაღაცები, როგორიცაა ტუალეტში შესვლა და მენსტრუაციისას ტამპონის გამოცვლა, თითქმის არაცნობიერ დონეზე ხდება, მაგრამ ორი წლის წინანდელი დღე შემიძლია ყველა წვრილმანის ჩათვლით გავიხსენო, რადგან ვიცი, რომ მოლის ქვედაკაბაზე სისხლის ლაქა აქვს და იძულებული გავხდი, მეთქვა მისთვის, ასულიყო მეორე სართულზე და გამოეცვალა, სანამ სკოლიდან მისი შვილი დაბრუნდებოდა.

ცხადია, ეს სულაც არაა ლიტერატურის პრობლემა, ეს იგივეა, რაც „გამოცდილება“, რომელიც ტკბილ დედილოსთან მივიღე. მახსოვს, როგორ ვუთხარი, რომ დროის უმეტესი ნაწილი, რომელსაც ერთად ვატარებთ, მისი ამოცანა მხოლოდ ის არის, მაიძულოს იმის გაცნობიერება, ან მაიძულოს ყურადღება მივაპყრო იმ ფიზიკურ ფაქტებს, რომელთაც ბავშვობაში ბეჯითად

გვასწავლიან, რომ არ შევიმჩნიოთ, რათა ცხოვრების რამენაირი საშუალება მაინც გვქონდეს. და მაშინ ისე მიპასუხა, როგორც მოსალოდნელი იყო: ის, რასაც ბავშვობაში „ვსწავლობდი“, არასწორი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დამჭირდებოდა კვირაში სამჯერ მის წინ ჯდომა და დახმარების ხვეწნა, რაზეც დარწმუნებით ვუთხარი, რომ ამ პასუხს ვერ მივიღებ ან, ყოველ შემთხვევაში, ვერ მივიღებ იმ დონეზე, რაზეც მინდა, რომ მივიღო, რადგან ვიცი, რასაც ვამბობ, იმას ტკბილი დედილო „ამაო ტვინის ჭყლეტას“ უწოდებს, რასაც სწორედ ჩემს ემოციურ პრობლემებს უკავშირებს.

- ვფიქრობ, როდესაც ადამიანი ფსიქოანალიზს გადის, ეს პროცესი თავისი არსით იმაზე დაიყვანება, რომ მას ძალდატანებით აბრუნებენ ინფანტილიზმის სტადიაზე, შემდეგ კი შველიან იმით, რომ ადამიანის ცოდნის კრისტალიზებას ერთგვარი ინტელექტუალური პრიმიტივიზმის ფორმით ახდენენ, - ადამიანს ძალით აბრუნებენ მითში, ფოლკლორში, ყველაფერ იმაში, რაც კაცობრიობის განვითარების ველურსა თუ პრიმიტიულ სტადიას შეესაბამება. ამიტომ, როდესაც გეუბნებით, რომ თქვენს სიზმარში ამა და ამ მითს ვჭვრეტ, ან მამასთან დაკავშირებულ განცდებში ვხედავ ამა და ამ ზღაპარს, ან ეს გახსენებანი საერთო ატმოსფეროთი ინგლისურ ბალადებს მიაგავს-მეთქი, მაშინ თქვენ იღიმებით, კმაყოფილი ხართ, რადგანაც, თქვენი თვალთახედვით, მე უკვე გადავლახე ბავშვის სტადია, გარდავქმენი და მითის სახით შევინარჩუნე. მაგრამ, სინამდვილეში, მე ან თქვენ, იმით ვართ დაკავებული, რომ ზედაპირზე ამოგვაქვს ადამიანის ბავშვობის რაღაც გახსენებანი და ვურევთ მას ხელოვნებას ან წარმოდგენებს, კაცობრიობის ბავშვობას რომ ეხება.

ამაზე მან, რასაკვირველია, გაიღიმა. მე კი ვუთხარი:

- ახლა მე თქვენს იარაღს თქვენს წინააღმდეგვე მივმართავ. მე იმას კი არ ვაანალიზებ, რასაც ლაპარაკობთ, არამედ იმას, თუ როგორ რეაგირებთ ამაზე, რადგან როდესაც თქვენ მართლა აღელვებული ხართ, კმაყოფილებას გრძნობთ? როცა სახე გამოგიცოცხლდებათ, შუქს ასხივებთ? დიახ, იმ მომენტებში, როდესაც გეუბნებით, რომ წინა ღამით ნანახი სიზმარი რაღაცით პატარა ქალთევზაზე ანდერსენის ზღაპარს მაგონებს! ხოლო, როდესაც მე ვცდილობ გავაცნობიერო რაღაც გამოცდილება, გახსენება ან სიზმარი თანამედროვე ცნებების მეშვეობით, ვცდილობ, ვილაპარაკო ამაზე კრიტიკულად, ძუნწად ან რთულად, თქვენ თითქმის დაუფარავად გბეზრდებათ ან მოუთმენლობას ავლენთ. აქედან კი დავასკვნი: თქვენ სინამდვილეში გახარებთ, სინამდვილეში თქვენზე სწორედ პრიმიტიულის სამყარო მოქმედებს. აცნობიერებთ თუ არა, რომ მე ერთხელაც არ მომიყოლია ჩემს გამოცდილებასა თუ სიზმარზე აქ ისე, როგორც დაველაპარაკებოდი მეგობარს, ანდა როგორც თქვენ თვითონ ამ ოთახის მიღმა ილაპარაკებდით ამაზე თქვენს მეგობართან, იმის გარეშე, რომ არ დამენახოს, როგორ მოუთმენლად შეიჭმუხნეთ შუბლი ამის საპასუხოდ. არადა, ვფიცავ, როდესაც მოუთმენლობისგან შუბლს იჭმუხნით, ამას ვერც კი ამჩნევთ. თუ ახლა მეტყვით, რომ შუბლს სპეციალურად იჭმუხნით იმის მისანიშნებლად, რომ სინამდვილეში ჯერ კიდევ არა ვარ მზად მითების სამყაროს დასატოვებლად და წინ წასასვლელად?

- მერე? - მკითხა ღიმილით.

მივუგე:

- ასე არ ჯობს? ასე გაიღიმებდით, ჩვენ რომ ახლა სასტუმრო ოთახში ვისხდეთ. დიახ, ვიცი, მეტყვით, რომ ეს არაა სასტუმრო ოთახი და მე აქ იმიტომ ვარ, რომ პრობლემები მაქვს.

- მერე? - ისევ ღიმილით.

- მინდა აშკარა ფაქტზე მიგითითოთ: შესაძლოა, სიტყვა „ნევროპათი“ გონების მაღალგანვითარებულობის სტატუსს აღნიშნავს. ნევროზის არსი კონფლიქტია. არადა, მთელი ჩვენი თანამედროვე ცხოვრების არსი, თუკი სისხლსავსედ ცხოვრობ და არ გაურბიხარ იმას, რაც ხდება, კონფლიქტია. სინამდვილეში იმ სტადიას მივაღწიე, როდესაც ვუყურებ ადამიანებს და ვამბობ, - აი, იმ კაცმა ან იმ ქალმა პიროვნული სიმრთელე მხოლოდ იმიტომ შეინარჩუნა, რომ რაღაც ეტაპზე გადაწყვიტა, გონება რაღაც-რაღაცებისთვის დაებლოკა. ადამიანები ჯანსაღ გონებას ინარჩუნებენ იმის ხარჯზე, რომ რაღაცას ბლოკავენ, რაღაცას გაურბიან, თავიანთ თავს განსაზღვრულ ფარგლებს უწესებენ.

- მაგრამ როგორ შეაფასებთ, ჩემთან ურთიერთობით უფრო უკეთესად გრძნობთ თავს თუ უარესად?

- ა, თქვენ უკვე დაბრუნდით თქვენს კაბინეტში. რასაკვირველია, უკეთესად, მაგრამ ეს ტერმინია ავადმყოფობის ისტორიიდან. ვშიშობ, რომ ამ „უკეთესობის“ საფასურია, რომ მითებისა და სიზმრების სამყაროში ვცხოვრობ. ფსიქოანალიზი გამართლებულია ან არაა გამართლებული მხოლოდ იმის მიხედვით, შეუძლია თუ არა ადამიანები უკეთესი გახადოს ზნეობრივად და არა სამედიცინო თვალსაზრისით. იცით, სინამდვილეში ახლა რას მეკითხებით: უფრო გამიადვილდა თუ არა ცხოვრება წინანდელთან შედარებით? ნაკლებად მტანჯავს თუ არა კონფლიქტები, ეჭვები, მოკლედ, ჩემმა ნევროზმა იკლო თუ არა? თქვენ იცით, რომ კი, იკლო.

მახსოვს, როგორ იჯდა ჩემ წინ: ყურადღებიანი, დაძაბული, ენერგიული, ხანში შესული ქალი პრაქტიკულ ბლუზასა და პრაქტიკულ ქვედაკაბაში, კეფაზე სასხვათაშორისოდ გადაჭერილი ჭაღარა თმით. იჯდა და მოღუშული მიყურებდა. მომწონდა, როგორ ეჭმუხნებოდა შუბლი, - ჩვენ წამით ანალიტიკოს-პაციენტის ურთიერთობას გავცდით.

- მისმინეთ, - ვუთხარი, - აქ რომ ვიჯდე და წინა ღამის სიზმარს გიყვებოდეთ, ეს კი სიზმარი-მგელია, ასე ვთქვათ, უფრო მაღალგანვითარებული, თქვენ სრულიად გარკვეულ გამომეტყველებას მიიღებდით. და მე ვიცი, რას ნიშნავს ეს, რადგან თვითონაც იმავეს ვგრძნობ: ეს - შეცნობაა. შეცნობის სიხარული, სიხარული, რომელსაც განიცდი, როდესაც ხედავ ჩატარებული სამაშველო სამუშაოს ნაწილს, ასე ვთქვათ, ამორფულის გადარჩენას მისთვის განსაზღვრული ფორმის მინიჭების გზით. ქაოსის კიდევ ერთი ნაკუწი გადარჩენილია და „სახელდებული“. იცით თუ არა, როგორ იღიმებით, როდესაც რაღაცას სახელს ვარქმევ? თითქოს იმწამს გადაარჩინეთ კაცი, წყალში რომ იხრჩობოდა. და მე ვიცნობ ამ გრძნობას. ეს სიხარულია. მაგრამ ამაში არის რაღაც შემზარავი, რადგან ცხადში არასოდეს განმიცდია ისეთი სიხარული, როგორსაც სიზმარში ვგრძნობ, ზოგიერთ სიზმარში, - როდესაც ტყიდან მგლები გამოდიან, ან როცა ციხე--კოშკის კარი იღება, ან როდესაც თეთრ ქვიშაში ვარ ჩაფლული დანგრეულ თეთრ ტაძართან, უკან კი ცისფერი ზღვა და ლურჯი ცა მოჩანს, ან, როდესაც იკაროსივით დავფრინავ, — ამ სიზმრებში, მიუხედავად იმისა, რაოდენ საშინელ მასალასაც უნდა შეიცავდნენ, მზად ვარ ბედნიერებისგან ვიტირო. და მე ვიცი რატომ, უბრალოდ იმიტომ, რომ ყველა უბედურება, მკვლელობა,

მთელი ეს სისასტიკე სიუჟეტის შემადგენელია და მე არაფერი მომივა.

მდუმარედ იჯდა და დაკვირვებით შემომყურებდა.

გავაგრძელე:

- იქნებ გინდათ მითხრათ, რომ მზად არა ვარ გზის გასაგრძელებლად, წინ წასასვლელად? რა გითხრათ, თუკი ამას მოუთმენლად ველოდები, მინდა ეს, მაშინ, ეტყობა, უკვე მზად ვარ შემდგომი სტადიისთვის.

- და რომელია შემდგომი სტადია?

- შემდგომი სტადია, რასაკვირველია, ასეთია: მე ვტოვებ მითის უსაფრთხოებას და ანა ვულფი მარტო მიდის წინ.

- მარტო? - გაიმეორა ცივად, - თქვენ კომუნისტი ხართ, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობთ, და მარტო სვლა გსურთ. განა ეს არ არის ის, რასაც, ჩვეულებრივ, წინააღმდეგობას უწოდებენ?

ჰოდა, ორივეს გაგვეცინა. აქ შეიძლებოდა გავჩერებულიყავი, მაგრამ გავაგრძელე:

- თქვენ ინდივიდუალიზაციაზე ლაპარაკობთ. აქამდე ეს ასე მესმოდა: ინდივიდი აცნობიერებს განვლილი ცხოვრების შემადგენელ ნაწილებს, ერთიმეორის მიყოლებით, როგორც ზოგადსაკაცობრიო ისტორიის ასპექტებს. როდესაც მას შეუძლია თქვას: „ის, რასაც მაშინ ვაკეთებდი, რასაც მაშინ ვგრძნობდი, მხოლოდ დიდი არქეტიპული სიზმრის ან ეპოსის, ან ისტორიული ფაზის ანარეკლია“, - მაშინ ის თავისუფალია, რადგან განაცალკევა თავი თავისი გამოცდილებისგან ან მოზაიკის უმცირეს ფრაგმენტად მოათავსა ძველთაძველ ნახატში, და როდესაც თავისი ადგილი მიუჩინა, ამ ფრაგმენტით გამოწვეული თავისი პირადული ტკივილისგან გათავისუფლდა.

- ტკივილისგან? - თბილად მკითხა.

- დიახ, ჩემო ძვირფასო, ადამიანები აქ იმის გამო კი არ მოდიან, რომ თავს მეტისმეტად ბედნიერად გრძნობენ.

- არა. ისინი, ისევე როგორც თქვენ, მოდიან და ამბობენ, რომ ვერაფერს გრძნობენ.

- მაგრამ ახლა მე შემიძლია ვიგრძნო. მე გახსნილი ვარ ნებისმიერი რაღაცისთვის. მაგრამ საკმარისია ამას მივაღწიოთ, რომ თქვენ მეუბნებით, გადაინახე, შეინახე ტკივილი იქ, სადაც ვერ მოგწვდება, მოთხრობად თუ ამბად გადააქციე. ოღონდ მე არ მინდა გადანახვა. კი, ვიცი, რაც გინდათ მითხრათ: რადგან მე იმდენი პირადი ავადმყოფური მასალა გადავარჩინე - წყეულიმც ვიყო, თუკი სხვას რამე დავარქმევ, - „გადავამუშავე“, მივიღე და განვაზოგადე, ამიტომაც გავხდი ახლა ძლიერი და თავისუფალი. კარგი, მე ამას ვიღებ და ვადასტურებ. და ახლა რა? მე დამღალეს მგლებმა, ციხე-კოშკებმა, სიმაგრეებმა და მღვდლებმა. მე შემიძლია მათ გავუმკლავდე, რა ფორმითაც უნდა გამომეცხადონ, მაგრამ მე მინდა უფრო შორს წავიდე, მე თვითონ, მე, ანა ფრიმენი.

- თვითონ? - გაიმეორა.

- რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი პიროვნების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოყალიბდა იმ გამოცდილების ხარჯზე, რომელიც ადრე ქალებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო...

პირზე მსუბუქმა ღიმილმა გადაურბინა, ეს ჩვენი სეანსებისთვის „მიმართულების მიმცემი“ ღიმილი გახლდათ. ჩვენ ახლა ისევ ფსიქოანალიტიკოსი და პაციენტი ვიყავით.

ვუთხარი:

- გაღიმებას ნუ ჩქარობთ. მიმაჩნია, რომ ისე ვცხოვრობ, როგორც წინათ ქალებს არასოდეს უცხოვრიათ.

- არასოდეს? - მისის მარქსის ხმა თითქოსდა სხვა ხმების ფონზე გაისმა, რომლებიც შეეძლო ასეთ მომენტებში გამოეწვია, - ზღვის ტალღების ხმის, ნაპირს რომ ეხეთქება, ადამიანებისა, არაერთი საუკუნის წინ რომ მიიცვალნენ. მას ჰქონდა უნარი შეექმნა უზარმაზარი დროითი სივრცის შეგრძნება მხოლოდ და მხოლოდ ღიმილის ან ინტონაციის ხარჯზე და ამას შეეძლო ჩემთვის აღტაცება, სიმშვიდე, სიხარული მოენიჭებინა, მაგრამ სწორედ ახლა ეს არ მსურდა.

- არასოდეს, - დავუდასტურე.

- დეტალები იცვლება, თორემ ფორმა იგივე რჩება, - თქვა მან.

- არა, - დავიჟინე.

- და რით განსხვავდებით? გინდათ მითხრათ, რომ წინათ არ არსებობდნენ ხელოვანი ქალები? არ არსებობდნენ ქალები, რომლებიც დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ? არ არსებობდნენ ქალები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ აქვთ უფლება სექსუალურად თავისუფალნი იყვნენ? გეუბნებით, რომ თქვენს ზურგს უკან ქალებისა მთელი წყება, რომელიც შორეულსა და სულაც უხსოვარ დროში მიდის, და უნდა ეცადოთ ისინი წარსულში მოძებნოთ, საკუთარ თავში აღმოაჩინოთ და გააცნობიეროთ მათი არსებობა.

- ისინი თავის თავს ისე არ აღიქვამდნენ, როგორც მე. ისინი ისე არ გრძნობდნენ, როგორც მე. ან კი როგორ შეეძლოთ? როდესაც შუაღამისას მაღვიძებს კოშმარი დედამიწაზე წყალბადის ბომბით გამოწვეული სიცოცხლის ტოტალური განადგურების შესახებ, არ მსურს მოვისმინო, რომ ადამიანები იმავეს განიცდიდნენ, როდესაც ჯვარს შეჰყურებდნენ. ეს ტყუილია. სამყაროში რაღაც ახალი გაჩნდა. და კინოინდუსტრიის რომელიღაც მაგ-

ნატთან შეხვდრის შემდეგ, რომელიც ადამიანების გონებას ისე მართავს, რასაც ვერც ერთი იმპერატორი ვერც კი ინატრებდა, როდესაც შინ ვბრუნდები ისეთი შეგრძნებით, თითქოს გადამიარეს, ფეხით გადამთელეს, მე არ მსურს იმის მოსმენა, რომ ლესბია თავის მეღვინესთან შეხვედრისას მსგავს გრძნობას განიცდიდა. და თუკი ერთხელაც (მხოლოდ ღმერთი უწყის, რამხელა ძალისხმევის ხარჯზე) შესაძლებელი გახდება ცხოვრება, რომელიც არ იქნება სიძულვილით, შურითა და შიშით აღსავსე, - და გამუდმებული ბრძოლით საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად, - არ მინდა მითხრან, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ოცნებაა ოქროს საუკუნეზე, ოღონდ თანამედროვე...

- და განა ასე არაა? - ღიმილით მკითხა.

- არა, ოცნება ოქროს საუკუნეზე მილიონჯერ უფრო ძლიერია, რადგან მისი ხორცშესხმა შესაძლებელია. ზუსტად ისევე, როგორც შესაძლებელია ტოტალური განადგურება. ალბათ, იმიტომ, რომ ერთიც შესაძლებელია და მეორეც.

- მაშინ რაღა გსურთ, რომ მოისმინოთ ჩემგან?

- მინდა ვისწავლო საკუთარ თავში ძველი, ციკლური, ისტორიაში განმეორებადი მითის განცალკევება იმისგან, რაც ახალია, რომ როგორც ვგრძნობ ან ვფიქრობ, შეიძლება ახალი აღმოჩნდეს.

დავინახე, როგორი გამომეტყველებით მისმენდა და დავინტერესდი:

- გინდათ მითხრათ, რომ რასაც ვგრძნობ და ვფიქრობ ახალი სულაც არ არის?

- მე არასოდეს მითქვამს... - მერე კი მეფურ „ჩვენზე“ გადავიდა, - ჩვენ არასოდეს ვამტკიცებდით და არც ვფიქრობდით, რომ ადამიანთა მოდგმის განვითარება შეუძლებელია. თქვენ ხომ

ამაში ბრალს ვერ დამდებთ? რადგან ეს საწინააღმდეგოა იმისა, რასაც ჩვენ ვამბობთ.

- მე ბრალს გდებთ იმაში, რომ ისე იქცევით, თითქოს ამის არ გჯერათ. აი, შეხედეთ, მე რომ დღეს მეთქვა, როდესაც თქვენთან მოვედი: „გუშინ წვეულებაზე შემხვდა მამაკაცი, რომელშიც შევიცანი სწორედ ის მგელი, ან რაინდი, ან ბერი“, თქვენ თავს დამიქნევდით და გაიღიმებდით. და ჩვენ ორივე შეცნობით გამოწვეულ სიხარულს ვიგრძნობდით. მაგრამ მე რომ მეთქვა: „გუშინ წვეულებაზე გავიცანი მამაკაცი, რომელმაც მოულოდნელად მითხრა ისეთი რაღაც, რომ გავიფიქრე: „დიახ, ეს რაღაცაზე მეტყველებს, მის პიროვნებაში რაღაცაა გარღვეული, კაშხალში გაჩენილი ბზარივით, და ამ ბზარიდან შეიძლება გადმოხეთქოს მომავალმა და მან შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა - შესაძლოა, საშინელი ან მშვენიერი, მაგრამ ეს რაღაც ახალი იქნება“, თქვენ უკმაყოფილოდ დაიმანჭებოდით.

- თქვენ რა, გაიცანით ასეთი მამაკაცი? — იკითხა მისის მარქსმა მომთხოვნი და პრაქტიკული ტონით.

- არა, არ გამიცნია. მაგრამ ზოგჯერ მხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებზეც ვფიქრობ, - ის გარემოება, რომ მათ აქვთ ბზარი, ორად არიან გახლეჩილი, ნიშნავს, რომ მათ თავის თავში შეინარჩუნეს გახსნილობა რაღაც ახლისთვის.

ხანგრძლივი ფიქრიანი დუმილის მერე მითხრა:

- ანა, თქვენ არ უნდა გეთქვათ ჩემთვის ეს ყველაფერი.

გამიკვირდა. ვკითხე:

- ნუთუ შეგნებულად მთავაზობთ თქვენთან საუბრისას გულწრფელი არ ვიყო?

- არა. მიმაჩნია, რომ ისევ უნდა დაიწყოთ წერა.

მე, რასაკვირველია, გავბრაზდი და, რასაკვირველია, მისის მარქსმა იცოდა, რომ გავბრაზდებოდი.

- თქვენ მთავაზობთ ჩვენი ურთიერთობის გამოცდილებაზე დავწერო? მაგრამ რანაირად? თუ სიტყვასიტყვით ჩავიწერ ჩვენს რეპლიკებს, ვთქვათ, ერთი საათის განმავლობაში, სრულიად გაუგებარი იქნება, თუკი განმარტების სახით არ დავურთავ მთელი ჩემი ცხოვრების აღწერას.

- მერე?

- და ეს იქნება წერილობითი ანგარიში იმისა, თუ როგორ ვუყურებდი საკუთარ თავს დროის გარკვეულ მომენტებში. რადგან აღწერა იმისა, თუ როგორ ჩაიარა ჩვენმა პირველმა სეანსმა, როდესაც ახალგაცნობილები ვიყავით, და ის, თუ როგორი ურთიერთობა გვაქვს ახლა, - ეს ორი იმდენად განსხვავებული რამაა...

- მერე?

- გარდა ამისა, არსებობს წმინდა ლიტერატურული სირთულე, გემოვნების პრობლემა, რაზეც თქვენ, ეტყობა, არასოდეს გიფიქრიათ. არსებითად, რითი ვიყავით ჩვენ დაკავებული? სირცხვილს ვამსხვრევდით. ჩვენი გაცნობიდან პირველ კვირას მე არ შემეძლო მეთქვა: „მე მახსოვს ზიზღი, მწველი სირცხვილი და ცნობისმოყვარეობა, როდესაც მამაჩემი შიშველი დავინახე“. მე მრავალი თვე დამჭირდა იმისთვის, რომ შინაგანი ბარიერები დამემსხვრია და მომეპოვებინა ასეთ რაღაცებზე დაუფარავად ლაპარაკის უნარი. ახლა კი, მაგალითად, შემიძლია ვთქვა: „რადგან მინდოდა, რომ მამაჩემი მომკვდარიყო და“... - მაგრამ ადამიანი, რომელიც ამას წაიკითხავს და რომელსაც არა აქვს შინაგანი ბარიერების ნგრევის პირადი გამოცდილება, შეძრწუნდება, ისეთივე შოკს მიიღებს, როგორსაც განიცდიდა, რომ

დაენახა სისხლი, ან წაეკითხა სიტყვა, რომელიც სამარცხვინოდ ითვლება და ეს შოკი ყველაფერ დანარჩენს შთანთქავს.

მან ცივად მომიგო:

- ჩემო ძვირფასო ანა, თქვენ ჩვენს ერთობლივ გამოცდილებას იმისთვის იყენებთ, რომ გააძლიეროთ თქვენი ახსნა--განმარტების რაციონალურობა, თუ რატომ აღარ უნდა წეროთ.

- ღმერთო ჩემო, არა, ასე არაა. ჩემი ნათქვამი სულაც არ ნიშნავს ამას.

- ან თქვენ გინდათ თქვათ, რომ ზოგიერთი წიგნი ადამიანთა უმცირესობისთვისაა განკუთვნილი?

- ძვირფასო მისის მარქს, მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ასეთი რამის აღიარება ჩემი ყველა პრინციპის უარყოფის ტოლფასი იქნებოდა, მაშინაც კი, თუნდაც ასეთი აზრები რომ მქონოდა.

- მაშ, ძალიან კარგი. რომ გეფიქრათ ასეთი რაღაც, კარგი იქნებოდა. მომიყევით, რატომაა, რომ ზოგიერთი წიგნი უმცირესობისთვისაა განკუთვნილი.

ცოტა ხანი ვიფიქრე და ვუთხარი:

- ეს ფორმის საკითხია.

- ფორმის? და სადღაა თქვენი შინაარსი? როგორც ვხვდები, ისეთი ადამიანები, როგორიც თქვენ ხართ, ფორმისა და შინაარსის განცალკევებას მოითხოვენ?

- ჩემისთანა ადამიანები, შესაძლოა, კიდეც მოითხოვენ, მაგრამ მე - არა. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არ მომითხოვია. ახლა კი ვამბობ, რომ ეს ფორმის საკითხია. ადამიანები არ აპროტესტებენ ამორალურ განწყობებს. არ აპროტესტებენ ისეთ ხელოვნებას, სადაც მკვლელობა კარგია, სისასტიკე - კარგია, სექსი სექსისთვის - ასევე კარგია. ეს მათ იმ პირობით მოსწონთ,

თუკი ეს განწყობები ოდნავ შენიღბულია, ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული. მათ სხვა სახის განწყობებიც უყვართ, მოსწონთ, როდესაც ეუბნებიან, რომ მკვლელობა - ცუდია, სისასტიკე - ცუდია, სიყვარული კი სიყვარულია, მხოლოდ სიყვარული. მაგრამ განსაკუთრებით აუტანელია მათთვის, თუკი ეუბნებიან, რომ ეს ყველაფერი სულერთია და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ადამიანები უფორმობას ვერ იტანენ.

- მაშასადამე, შესაძლებელი რომ იყოს ხელოვნების უფორმო ნაწარმოები, უმცირესობისთვის იქნებოდა განკუთვნილი?

- მაგრამ მე არ ვიზიარებ შეხედულებას, თითქოს ზოგიერთი წიგნი უმცირესობისთვის იყოს განკუთვნილი. მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ასე არ ვფიქრობ. ხელოვნების არისტოკრატულობის გაგებას არ ვიზიარებ.

- ჩემო ძვირფასო ანა, თქვენი დამოკიდებულება ხელოვნებისადმი იმდენად არისტოკრატულია, რომ როდესაც წერთ, მხოლოდ თქვენი თავისთვის წერთ.

- და ზუსტად ასევე იქცევიან დანარჩენებიც, - ჩავიბურტყუნე ჩემთვისვე მოულოდნელად.

- ვინ დანარჩენებიც?

- ყველა დანარჩენი, მთელ მსოფლიოში, ვინც წერს საიდუმლო რვეულებში, რადგან საკუთარი აზრებისა ეშინიათ.

- მაშ, თქვენ საკუთარი აზრებისა გეშინიათ?

ეს თქვა და ჟურნალს გადასწვდა, სადაც პაციენტების მიღების განრიგი ჰქონდა ჩაწერილი, რაც ნიშნავდა, რომ დღევანდელი სეანსი დასრულდა.

აქ ფურცლის გარდიგარდმო კიდევ ერთი მსხვილი ხაზია გავლებული.

როდესაც ჩემს ახალ, დიდ ბინაში გადავსახლდი და ჩემი დიდი ოთახის მოწყობა დავიწყე, პირველად სამუშაო მაგიდა შევიძინე და ზედ ჩემი რვეულები დავაწყვე. არადა, იმ ძველ ბინაში, მოლის სახლში, რვეულები საწოლქვეშ, ჩემოდანში ინახებოდა. ისინი რაიმე კონკრეტული გეგმის გარეშე ვიყიდე. გულახდილად რომ ვთქვა, ეჭვი მეპარება, ოდესმე, სანამ ამ ახალ ბინაში გადმოვიდოდი, ერთხელ მაინც მეთქვას ჩემი თავისთვის, რომ ოთხი რვეული მაქვს: შავი, რომელიც ანა ვულფს - მწერალს ეძღვნება; წითელი, რომელშიც პოლიტიკაზე ვლაპარაკობ; ყვითელი, რომელშიც ჩემი გამოცდილება მხატვრულ თხრობად გადავაქციე; და ლურჯი, რომელსაც დღიურის პრეტენზია აქვს. მოლის სახლში რვეულებზე არასოდეს ვფიქრობდი და მით უმეტეს, არც აღვიქვამდი როგორც ჩემს სამუშაოს ან ისეთ რაღაცას, რაზეც პასუხისმგებელი ვარ.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რაღაცები ცხოვრებაში როგორღაც შეუმჩნევლად ჩნდება, თქვენ მათ არ ელით, გონებაში განსაზღვრულ ფორმას არ ანიჭებთ. უბრალოდ ცნობთ, როდესაც ისინი უკვე გაჩნდება, ეს არის და ეს.

როდესაც ამ ბინაში გადმოვსახლდი, უნდა გამომენახა ადგილი არა მხოლოდ კაცისთვის (მაიკლისა ან მისი შემცვლელისთვის), არამედ რვეულებისთვისაც. სინამდვილეში, ახალ ბინაში გადასვლას ახლა ვაფასებ როგორც მოქმედებას, რომელიც აუცილებელი იყო იმისთვის, რომ რვეულებს თავისი ადგილი გასჩენოდათ, რადგან იქ გადასვლიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ სამუშაო მაგიდა ვიყიდე და რვეულები დავაწყვე. მერე კი გადავიკითხე. ერთხელაც არ წამეკითხა ისინი თავიდან ბოლომდე მას მერე, რაც საერთოდ ჩანაწერების გაკეთება დავიწყე. რვეულების წაკითხვამ შემაშფოთა. ჯერ ერთი, იმიტომ,

რომ მანამდე ვერ ვაცნობიერებდი, რამდენად იმოქმედა ჩემზე იმ გამოცდილებამ, რომელიც იმის შედეგად მივიღე, რომ მაიკლმა მიმატოვა, როგორ შემცვალა, ანდა - როგორ თვალნათლივ შეცვალა ჩემი პიროვნება. მაგრამ ყველაზე მეტად იმან შემაშფოთა, რომ ჩემი თავი ვერ ვიცანი. როდესაც დაწერილს იმას ვადარებდი, რაც მახსოვდა, ყველაფერი ყალბად მეჩვენებოდა. და ეს - ყოველივე დაწერილის სიცრუე - დაკავშირებული გახლდათ იმასთან, რაზეც ადრე არ დავფიქრებულვარ: ჩემს უნაყოფობასთან. კრიტიკულობა, ტოტალური თავდაცვა, უსიყვარულობა - ეს მოტივები ჩანაწერებში სულ უფრო ხმამაღლა ჟღერს.

სწორედ მაშინ გადავწყვიტე ეს ლურჯი რვეული ფაქტების ფიქსაციისთვის გამომეყენებინა. ყოველ საღამოს მბრუნავ უზურგო სკამზე ვჯდებოდი და ჩემი დღე თავიდან ბოლომდე ქაღალდზე გადამქონდა, და ეს ხდებოდა ისე, თითქოს მე, ანა, ლურსმნებით ქაღალდზე ვაჭედებდი ანას. ყოველდღე ანას ფორმას ვანიჭებდი, ვამბობდი: დღეს შვიდ საათზე ავდექი, ჯენეტს საჭმელი მოვუმზადე, სკოლაში წავიყვანე და ასე შემდეგ, და მეჩვენებოდა, რომ ამით ეს დღე ქაოსისგან დავიხსენი. მაგრამ ახლა, როცა ამ ჩანაწერებს ვკითხულობ, ვერაფერს ვგრძნობ. უფრო და უფრო მაწუხებს თავბრუსხვევა მდგომარეობისგან, რომლის დროსაც სიტყვები არაფერს ნიშნავენ. სიტყვები არაფერს ნიშნავენ.

როდესაც ამაზე ვფიქრობ, მეჩვენება, რომ ისინი იმ ფორმად კი არ გადაიქცნენ, რომელშიც გამოცდილება განსხეულდება, არამედ ბგერების უაზრო თანამიმდევრობად, რომელიც ბუტბუტს მიაგავს, ბავშვების ოთახიდან რომ ისმის და აზრის გამოხატვისგან გაშორებს. ანდა ფილმის ხმას, რომელიც აირია და კადრს აღარ მიჰყვება. როდესაც ვფიქრობ, საკმარისია დავწე-

რო ასეთი ტიპის ფრაზა: „ქუჩაში მივდიოდი“ ან გაზეთიდან ამოვიღო: „ეკონომიკური ზომები, რომლებსაც მივყავართ სრულ“... სიტყვები ეგრევე ლღვება და ჩემი გონება იწყებს ურიცხვი სახეების გადმოფრქვევას, რომლებიც არანაირ კავშირში არაა სიტყვების აზრთან, ასე რომ, ნებისმიერი სიტყვა, რომელსაც ვხედავ ან მესმის, უმწეო ნავად იქცევა, სახებების უკიდეგანო ოკეანეში ტალღები რომ დააქროლებს. ამრიგად, ვეღარ ვწერ. ანდა ძალიან სწრაფად უნდა ვწერო, არ გადავიკითხო. რადგან საკმარისია უკან მოვიხედო, სიტყვები მნიშვნელობას კარგავენ, და მე მხოლოდ საკუთარ თავს ვაცნობიერებ, ანას, როგორც გულისცემას უკიდეგანო წყვდიადში და ის სიტყვები, რომლებსაც მე, ანა, ვწერ, არარააობაა, ან თითქოს მატლის გამონადენია, წვრილ ჭავლად რომ გამოიყოფა, რათა ჰაერზე გამკვრივდეს.

თავში აზრად მომდის, რომ ის, რაც მემართება, ესაა ჩემი, ანას, დაშლა, ჩემი კოლაფსი. და ის, თუ როგორ ვიწყებ ამ ყველაფრის გაცნობიერებას. რადგან სიტყვები, არსობრივად, ფორმაა და თუკი მათ ისეთ მდგომარეობას მიაღწიეს, სადაც ფორმა, წესრიგი, გამოხატულება არაფერია, მაშინ მეც არაფერი ვარ, რადგან რვეულების კითხვისას ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ანად ინტელექტის განსაზღვრული წყობის ხარჯზე ვრჩები. ეს ინტელექტი, როგორც ჩანს, იშლება, და მე სასტიკად მეშინია.

წუხელ ღამით დამიბრუნდა სიზმარი, რომელიც, როგორც ტკბილ დედილოს ვუთხარი, ყველაზე დამზაფრავია ჩემი შემაშინებელი სიზმრების ნებისმიერი ციკლიდან. როდესაც მთხოვა მისი „სახელდება“ (ანუ ფორმის მიცემა), ვუთხარი, რომ ეს არის სიზმარი ნგრევის შესახებ. როდესაც კიდევ მესიზმრა და მან მომთხოვა, სახელი დაარქვითო, წინ წასვლა შევძელი და ვუთ-

ხარი, რომ ეს არის კოშმარი ბოროტების პრინციპზე ან ბოროტი განზრახვით ტკბობაზე, ბოროტებისგან მიღებულ სიხარულზე.

როდესაც ბოროტების ეს პრინციპი თუ გამოხატულება პირველად დამესიზმრა, მან ლარნაკის სახე მიიღო, მაშინ რომ მქონდა შინ. რუსული ხალხური ხელოვნების სტილში დამზადებული ხის ლარნაკი, ვიღაცამ რუსეთიდან რომ ჩამომიტანა. ხახვის თავს მიაგავდა, ფორმით მიამიტი, ღაჟღაჟა წითელი, შავი და ოქროსფერი ორნამენტით მოხატული. სიზმარში ლარნაკს პიროვნული თვისებები ჰქონდა. და სწორედ ეს პიროვნება წარმოადგენდა ჩემს კოშმარს, რადგან თავის თავში განასახიერებდა რაღაც არქაულს, რაც კონტროლს არ ექვემდებარება, რაღაც დამანგრეველს. ეს იყო ფიგურა, ან ობიექტი, რადგან ადამიანური ბუნებისა არ გახლდათ, უფრო გობლინს თუ პიკსის ჰგავდა. დახტოდა, კონვულსიური თავხედური ხალისით ცეკვავდა და მემუქრებოდა არა მხოლოდ მე, არამედ ყოველივე ცოცხალს და ამას უპიროვნოდ და უმიზეზოდ აკეთებდა.

ჩემს სიზმარს სწორედ მაშინ ვუწოდე სიზმარი „ნგრევაზე“. როდესაც ისევ ვნახე, მაშინვე ვიცანი, თუმცა კი რამდენიმე თვე გასულიყო და ამჯერად პრინციპმა თუ სტიქიამ ბებერი კაცის, თითქმის ჯუჯის სახე მიიღო, რომელიც გაცილებით უფრო საზარელი გახლდათ, ვიდრე ობიექტი-ლარნაკი, რადგან მასში ბევრი რამ იყო ადამიანური. ბებერი სიცილისგან იჭაჭებოდა, ხითხითებდა, მახინჯი, ძლევამოსილი, დამღუპველად სიცოცხლისმოყვარე, და კვლავ, ის, რასაც ბებერი წარმოადგენდა, იყო წმინდა წყლის ბოროტება, ბოროტებით ნეტარება და სიხარული, რასაც ბოროტგანზრახვა და სულის დამანგრეველი აღტყინება შობს. ჩემს სიზმარს სწორედ მაშინ ვუწოდე სიზმარი ბოროტების ჩადენით გამოწვეულ სიხარულზე. და ეს კოშმარი ისევ და ისევ

მიბრუნდებოდა, მესიზმრებოდა, როცა განსაკუთრებით გადაღლილი, დაძაბული ან საკუთარ თავთან მწვავე კონფლიქტი მქონდა, როდესაც თითქმის ფიზიკურად შევიგრძნობდი, რომ ჩემი არსების გარსი გაილია ან მას რაღაც ემუქრებოდა. ეს დამანგრეველი სტიქია სხვადასხვა სახეს იღებდა, ხშირად - ბებერი კაცის ანდა ქალის (თუმცა ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ეს არსება ორსქესიანი ან სულაც უსქესო იყო), მაგრამ ის მუდმივად დუღდა სიხარულითა და სიცოცხლით, მიუხედავად მისი ხეიბრობისა - ხან ხის ფეხი ჰქონდა, ხან ყავარჯენს ეყრდნობოდა, ხან კუზიანი იყო ან რაღაც ამის მსგავსი. ყოველთვის ძლევამოსილებით აღსავსეს, ჰქონდა შინაგანი სასიცოცხლო ძალა, რომელიც, როგორც ვიცოდი, მასში უმიზნო, უმიზეზო და კონკრეტულად არაფერზე მიმართული ბოროტებისგან წარმოსდგებოდა. არსება იმანჭებოდა, დამცინოდა, სისხლი, სიკვდილი სწყუროდა. და, ამავე დროს, მუდმივად, სასიხარულო აღტყინებისგან თრთოდა. როდესაც ტკბილ დედილოს ეს სიზმარი მოვუყევი, რომელიც უკვე ექვსჯერ თუ შვიდჯერ ვნახე, როგორც ყოველთვის მკითხა:

- და რას დაარქმევთ?

და მე ვუპასუხე, როგორც ყოველთვის, გამოვიყენე სიტყვაც „ბოროტება“, „ტკბობა ბოროტგანზრახვით“, „სიხარული იმის გამო, რომ შეგიძლია ატკინო“, და მაშინ მან ინტერესით მკითხა:

- მხოლოდ უარყოფითი თვისებებია, არაფერი დადებითი?

- არაფერი, - გაოცებით მივუგე.

- და ამაში არაფერია შემოქმედებითი?

- ჩემთვის, არაფერი.

ისეთი ღიმილით გაიღიმა, ზუსტად ვიცოდი, რასაც ნიშნავდა, - რომ კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდე ამ თემაზე. ვკითხე:

- თუკი ეს საშინელი ფიგურა სტიქიური და შემოქმედებითი ძალაა, რომელიც გამოსადეგია როგორც ბოროტებისთვის, ასევე სიკეთისთვის, ასე სასტიკად რატომ მეშინია მისი?

- შესაძლოა, იმისდა მიხედვით, რაც თქვენი სიზმარი გაღრმავდება, ეს სასიცოცხლო ძალა შეიგრძნოთ როგორც არა მხოლოდ სავსებით უარყოფითი, არამედ როგორც რაღაც დადებითიც.

- ჩემთვის ეს იმდენად საშიშია, რომ როგორც კი ვგრძნობ... ასე ვიტყვი, ამ ჩემი სიზმრისეული არსების სუნთქვას, მანამდეც კი, სანამ დავინახავ, ვხვდები, ეს სიზმარი ისევ მესიზმრა და კივილსა და ფართხალს ვიწყებ, როგორმე რომ გავიღვიძო.

- თქვენთვის ეს სახიფათო მხოლოდ და მხოლოდ მანამ იქნება, სანამ ამის შიში გექნებათ.

და ამ ნათქვამს მოაყოლა თბილი, თანამგრძნობი, დედობრივი თავის დაქნევა, რომელიც ყოველთვის, მიუხედავად გარემო პირობებისა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ღრმად განვიცდიდი წყენას ან რაიმე სიძნელეს, ჩემში გაცინების თითქმის დაუძლეველ სურვილს ბადებდა. და მეც ვიცინოდი, ვიცინოდი ხშირად, უღონოდ გადავწვებოდი ხოლმე სავარძლის საზურგეზე, ის კი იჯდა და ღიმილით მიყურებდა. ვიცინოდი იმიტომ, რომ ასე ადამიანებს ეუბნებიან ხოლმე გველსა და ძაღლზე, არაფერს დაგიშავებს, თუკი არ შეგეშინდებაო.

და გავიფიქრე, რაც ადრეც ხშირად მიფიქრია, რომ მისის მარქსს მეტისმეტად ბევრი უნდა: რადგან თუკი ეს არსება თუ სტიქია მისთვის ესოდენ კარგად არის ცნობილი სხვა პაციენტების სიზმრებიდან თუ ფანტაზიებიდან, რომ უმალ ცნობს, მაშინ პირადად მე რატომ მეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ეს რაღაც ესოდენ ტოტალურად ბოროტია? ოღონდ სიტყვა „ბორო-

ტება“ მეტისმეტად ადამიანურია ასე სახელდებული პრინციპი-სათვის, რაც უნდა ფორმა თუ გარეგნობა მიიღოს თვითონ. თუნ-დაც ნაწილობრივ ადამიანურიც, რადგან თავისი არსით ის ხომ მაინც არაადამიანურად რჩება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, მაინცდამაინც მე უნდა ვაიძულო ეს რაღაც არა მხოლოდ ცუდი, არამედ კარგიც იყოს? ამას მეუბ-ნება?

წუხელ ღამით ისევ ვნახე ეს სიზმარი. და ამჯერად კიდევ მე-ტად საზარელი იყო, შედარებით იმ ყველაფერთან, რაც მანამდე განმიცდია, რადგან ვგრძნობდი ძრწოლას, უძლურებას ისეთი უზარმაზარი ძალის წინაშე, რომელიც ნგრევისთვის იყო მოწო-დებული და კონტროლს არ ექვემდებარებოდა, და არ იყო, ობი-ექტი, ანდა საგანი, ან თუნდაც, ჯუჯა, რომელიც ამ ძალას განასა-ხიერებდა. ამჯერად სიზმარში ჩემ გვერდით იყო ადამიანი, რო-მელიც თავიდან ვერც ვიცანი; მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს სა-ზარელი ძალა, ეს ძალა ტკბილი ბოროტებისა კონკრეტულ ადა-მიანშია მოქცეული, და ეს ადამიანი ჩემი მეგობარია. და, აი, კი-ვილით ვაიძულე თავი, გამღვიძებოდა და მე წარმოვთქვი სახე-ლი ადამიანისა ჩემი სიზმრიდან, გავაცნობიერე, რომ პრინციპი პირველად ჩასახლდა ადამიანურ არსებაში. ხოლო როდესაც მივხვდი, ვინ იყო ის ადამიანი, კიდევ უფრო შევშინდი. რადგან სანამ საზარელი, დამზაფრავი ძალა ჩაქსოვილი იყო ფორმებში, რომლებიც მითოლოგიისა და ზებუნებრივისთვის გახლდათ და-მახასიათებელი, მათში დაფარული საფრთხე ნაკლებად მაში-ნებდა, ახლა კი ეს ძალა გათავისუფლდა, გალაღდა, ადამიანში ჩასახლდა, თანაც იმ ადამიანში, რომელსაც ჩემს გრძნობებთან მოესვლება. როდესაც საბოლოოდ, სავსებით გამოვფხიზლდი და სიზმარი გავიხსენე, კიდევ მეტად შემეშინდა, რადგან თუკი ეს

სტიქია მითს დაშორდა და ადამიანში ჩასახლდა, ეს მხოლოდ ერთ რამეს შეიძლება ნიშნავდეს: ის ჩემშიც დასეირნობს, ანდა ძალზე ადვილად შეიძლება ჩემში გამოიღვიძოს, ჩემში გაცოცხლდეს.

ახლა უნდა აღვწერო ჩემი გამოცდილება, რომელსაც ეს სიზმარი უკავშირდება.

აქ ანამ ფურცლის გარდიგარდმო სქელი შავი ხაზი გაავლო. ქვეშ დაწერა:

ეს ხაზი იმიტომ გავავლე, რომ არ მინდა ამის წერა, რადგან თითქოსდა თავად ფაქტი მასზე წერისა კიდევ უფრო ღრმად ჩამითრევს ამ საშიშროებაში. მაგრამ მაინც მტკიცედ უნდა ვიდგე იმაზე, რომ მე, ანას, მოაზროვნე ანას, ხელმეწიფება ვუყურო იმას, თუ რას გრძნობს ანა, და სახელიც დავარქვა.

ჩემს ცხოვრებაში რაღაც ახალი ხდება. მგონი, ბევრი ადამიანისთვის ნაცნობია შეგრძნება იმისა, რომ მათ ცხოვრებას გარკვეული ფორმა აქვს, რომელიც თანდათანობით მჟღავნდება. ეს შეგრძნება საშუალებას აძლევს თქვას: „დიახ, ეს ახალი ადამიანი ჩემთვის მნიშვნელოვანია: იგია რაღაც ახლის დასაწყისი, რაც უნდა გავიარო“. ანდა: „ეს გრძნობა, რომელიც წინათ არ განმეცადა, თურმე არაა ჩემთვის უცხო. ახლა ის ჩემი ნაწილი გახდება და მე ეს უნდა გავაცნობიერო“.

ახლა, როდესაც ჩემს ცხოვრებას თვალი გადავავლე, ადვილად შემიძლია ვთქვა: „ანა იმ დროს ასეთი და ასეთი ადამიანი იყო. მერე, ხუთი წლის შემდეგ, ასეთი და ასეთი“. ერთი წელი, ორი წელი, ხუთი წელი გარკვეული მდგომარეობისა ადვილად შესაძლებელია ერთად დაახვიო, შეფუთო თუ „სახელი დაარქვა“, - დიახ, იმ დროს მე ასეთი ვიყავი. ახლა კი, აი, ასეთი პერიოდის შუაგულში ვარ; როდესაც დასრულდება, უკან მოვიხე-

დავ და ვიტყვი: „დიახ, ასეთი ვიყავი. მე ვიყავი საშინლად კრიტიკული და ადვილად მოწყვლადი, და მე ვიყენებდი ჩემს ქალურ ბუნებას, როგორც რაღაც საზომს, ნიმუშს, რომლის მეშვეობითაც ვაფასებდი მამაკაცებს, რათა უარმეყო ისინი. დიახ, რაღაც ამდაგვარი. მე ვიყავი ანა, რომელიც კაცებს მოვუწოდებდი, ჩაეშალათ ჩვენი ურთიერთობა და ვერც კი ვაცნობიერებდი ამას“ (ახლა ვაცნობიერებ. და თუკი ვაცნობიერებ, ეს ნიშნავს, რომ ამას დავძლევ, უკან მოვიტოვებ და გავხდები... - მაგრამ - როგორი?). მაგრად ვარ გაჭედილი იმ გრძნობაში, რომელიც თანამედროვე ქალებისთვისაა დამახასიათებელი, რასაც შეუძლია გაამწაროს, გადააქციოს ლესბოსელად ანდა მარტოსულად. დიახ, ის ანა იმ დროს იყო...

კიდევ ერთი გადახაზული ფურცელი.

დაახლოებით სამი კვირის წინ პოლიტიკურ კრებას დავესწარი. ეს არაოფიციალური შეკრება იყო, მოლის სახლში გაიმართა. ამხანაგი ჰარი, კომპარტიის ერთ-ერთი წამყვანი თეორეტიკოსი, ამას წინათ რუსეთში გახლდათ. ებრაელია და გაემგზავრა იქ, რომ გაერკვია, როგორ ეპყრობოდნენ ებრაელებს „შავბნელ პერიოდში“, სტალინის სიკვდილამდე. პარტიის უმაღლეს მოხელეებთან ბრძოლა მოუხდა, წასვლის უფლება რომ მიეცათ, ცდილობდნენ, არ გაეშვათ. დაემუქრა, თუ არ გამიშვებთ, არ დამეხმარებით, ამ ფაქტს გავახმაურებო. გაემგზავრა. დაბრუნდა და საზარელი ინფორმაცია ჩამოიტანა. მათ სურდათ, ამაზე კრინტი არ დაეძრა, მაგრამ წინააღმდეგობა გაუწია ჩვენი დროის ინტელექტუალებისთვის დამახასიათებელ სტილში: კომუნისტურმა პარტიამ ამჯერად მაინც უნდა აღიაროს და განმარტოს ის, რაც ყველასთვის დიდი ხანია ცნობილია. ხოლო მათი არგუმენტი, კომუნიზმის ძველი ბიუროკრატების არგუმენტი, ასეთი

იყო: სოლიდარობა საბჭოთა კავშირთან ყველა შესაძლო საშუალებით უნდა შევინარჩუნოთ, რაც გულისხმობს მაქსიმალურად ცოტა რამის აღიარებას, რამდენადაც კი შესაძლებელია. დათანხმდნენ, გამოექვეყნებინათ მცირე ანგარიში, საიდანაც ყველაზე საშინელი ფაქტები ამოიღეს. ჰარიმ რამდენიმე კრება ჩაატარა კომუნისტებისა და ყოფილი კომუნისტებისთვის, სადაც ლაპარაკობდა იმაზე, რაც გაიგო. უმაღლესი რანგის მოხელეები გაცეცხლდნენ, გაძევებით დაემუქრნენ, ასევე გაძევებით ემუქრებიან იმათაც, ვინც მის შეკრებებს ესწრება. ჰარი გადადგომას აპირებს.

მოლისთან სახლში დაახლოებით ორმოცი კაცი შეიკრიბა. ყველანი - „ინტელექტუალები". ჰარიმ საშინელი რაღაცები გვიამბო, თუმცა არც ბევრად უფრო საშინელი, რაც იმ დროისთვის უკვე ვიცოდით პრესიდან. ყურადღება მივაქციე ჩემ გვერდით მჯდომ კაცს. მშვიდად უსმენდა ყველაფერს, რასაც ჰარი მოჰყვებოდა. საყოველთაო მღელვარების ფონზე მისი სიმშვიდე ერთობ შთამბეჭდავი გახლდათ. იყო მომენტი, როცა ერთმანეთს მტკივნეული ირონიით გავუღიმეთ, რაც ამჟამად ჩვენისთანა ადამიანების განმასხვავებელი თვისება გახდა. ფორმალურად კრება უკვე დასრულებულიყო, არადა, ათიოდე კაცი მაინც დარჩა. „დახურული კრების" სუნი მეცა - ანუ, გაგრძელება იქნებოდა, ოღონდ არაკომუნისტებს კრება უნდა დაეტოვებინათ. თუმცა ჰარიმ და სხვებმა მცირედი ყოყმანის მერე დარჩენის უფლება მოგვცეს. ჰარი ისევ გამოვიდა სიტყვით. ის, რაც მანამდე მოვისმინეთ, საშინელება იყო, მაგრამ რაც მერე - გაცილებით უარესი იმაზეც კი, რასაც ყველაზე გაავებული და შეურიგებელი ანტიკომუნისტური გაზეთები წერდნენ. მათ ხელთ არ ჰქონდათ ფაქტები, ჰარის კი ჰქონდა. გვიამბო, როგორ აწამებდნენ, უმოწყა-

ლოდ ტანჯავდნენ, საშინელი, მხეცური მეთოდებით ხოცავდნენ. გვიამბობდა ებრაელებზე, რომლებიც ისხდნენ გალიებში, შუა საუკუნეებში რომ გამოიგონეს საწამებლად, როგორ აწამებდნენ წამების იარაღებით, რომლებიც ამ მიზნით მუზეუმებიდან გამოჰქონდათ.

ის, რასაც ახლა გვიამბობდა, საშინელების ხარისხით მეტი იყო იმასთან შედარებით, რასაც საერთო კრებაზე მოჰყვა, რომელსაც ორმოცი კაცი ესწრებოდა. როდესაც საუბარს მორჩა, კითხვები დავუსვით; ყოველ კითხვას რაღაც ახალი საშინელება მოჰყვებოდა. რასაც ამ დროს ვხედავდით, უკვე კარგად ვიცნობდით ჩვენივე გამოცდილებით: კომუნისტი, რომელიც სიმართლის სათქმელადაა განწყობილი, მაგრამ ახლაც კი ყოველ ნაბიჯზე ბრძოლა უწევს, საბჭოთა კავშირზე სიმართლე ბოლომდე რომ ითქვას. როდესაც ლაპარაკი დაასრულა, ის მშვიდად მყოფი კაცი, რომელსაც, თურმე, ნელსონი ერქვა (ამერიკელია), წამოდგა და სიტყვა თქვა, რომელიც ორატორული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებს ითვალისწინებდა. „ორატორული ხელოვნება“ - ეს სიტყვები მომივიდა აზრად, როგორც კი ალაპარაკდა, რადგან ძალიან კარგად ლაპარაკობდა, პოლიტიკური მუშაობის აშკარად დიდი გამოცდილება ჰქონდა, რასაც წარმატებით იყენებდა. ძლიერი, დაყენებული ხმა ჰქონდა. ახლა კი მის ხმაში ბრალდება ჟღერდა. ნელსონმა განაცხადა, რომ დასავლეთის კომუნისტურმა პარტიებმა განიცადეს ან განიცდიან კრახს, რადგან დაკარგეს სიმართლის თქმის უნარი და იმის გამო, რომ მრავალი წლის განმავლობაში სიცრუე ჩვევად ექცათ, სიმართლე ვეღარ გაურკვევიათ, თავიანთი თავისთვისაც კი. აი, დღესაც, თქვა მან, XX ყრილობის შემდეგ, მას მერე, რაც კომუნიზმის რეალური გამოვლინების შესახებ შევიტყვეთ, დავინა-

ხეთ, რომ ერთ-ერთი ჩვენი ხელმძღვანელი, კაცი, რომელიც, როგორც ვიცით, პარტიის შიგნით ებრძვის მასზე უფრო ცინიკურ ადამიანებს, იბრძვის სიმართლისთვის, წინასწარი განზრახვით ყოფს სიმართლეს ორ ნაწილად - პირველი, უფრო ზომიერი ვარიანტი, საზოგადოებას შესთავაზა, როდესაც ორმოცი კაცი ესწრებოდა, უფრო ხისტი სიმართლე კი დახურული კრებისთვის შემოინახა. ჰარი დაბნეული და ნირწამხდარი ჩანდა. მაშინ ჩვენ ჯერ არ ვიცოდით, რომ თურმე პარტიის უმაღლესი რანგის მოხელეები ემუქრებოდნენ, რათა როგორმე გაეჩუმებინათ. თუმცა, როგორც მან თქვა, სიმართლე იმდენად საზარელია, რაც შეიძლება ცოტა ადამიანმა უნდა იცოდეს. ერთი სიტყვით, მან იგივე არგუმენტები მოიშველია, რომლებსაც თავად ებრძოდა პარტიულ ბიუროკრატებთან ურთიერთობისას.

მოულოდნელად ნელსონი ისევ ადგა და კიდევ უფრო მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, აღსავსე თვითგვემითა და მწარე გულახდილობით. მისი სიტყვა ისტერიული იყო. ისტერიული განწყობა ყველას გადაედო, - ვგრძნობდი, რომ მეც ისტერია მეუფლებოდა. ვიცანი ის ატმოსფერო, რომელიც კარგად იყო ნაცნობი ჩემთვის „დამანგრევლის სიზმრებიდან“. ეს შეგრძნება თუ ატმოსფერო ჩემს სიზმრებში დამანგრეველი სახების გამოჩენას უძღოდა ხოლმე წინ. ავდექი და ჰარის მადლობა გადავუხადე: ბოლოს და ბოლოს, უკვე ორი წელი გავიდა მას მერე, რაც პარტიიდან გამოვედი და არავითარი უფლება არ მქონდა დახურულ კრებას დავსწრებოდი. პირველ სართულზე ჩავედი, სამზარეულოში მოლი იჯდა და ტიროდა. მითხრა:

- შენ რა გენაღვლება, ებრაელი არა ხარ.

როდესაც ქუჩაში გავედი, აღმოვაჩინე, რომ ნელსონი უკან გამომყოლია. შემომთავაზა, შინ წაგიყვანთ მანქანითო. ისევ

სრულიად მშვიდი ჩანდა და მის სიტყვაში გაჟღერებული თვითგვემის ნოტები მიმავიწყდა. დაახლოებით ორმოცი წლისაა, ებრაელი, ამერიკელი, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი, ურთიერთობის სტილი ოდნავ მამაშვილურად მფარველური აქვს. ვგრძნობდი, რომ მიზიდავდა და...

კიდევ ერთი სქელი შავი ხაზი. შემდეგ:

ამაზე წერა არ მინდა, რადგან ჩემს თავს ძალას ვატან ხოლმე, როდესაც სექსზე მიხდება ლაპარაკი. საოცარია, რამდენად ძლიერია ჩემში ეს აკრძალვა.

ამ ყველაფერს მეტისმეტად ვართულებ, - მეტისმეტად ბევრს ვწერ კრებაზე. თუმცა მე და ნელსონი ასე სწრაფად ვერ ვიპოვიდით საერთო ენას, ეს გზა რომ არ გაგვევლო, თუნდაც სხვადასხვა კონტინენტზე. იმ პირველ საღამოს ჩემთან გვიანობამდე შერჩა. თავს მაწონებდა. მელაპარაკებოდა ჩემზე, იმ ცხოვრებაზე, რომელსაც ვეწევი. არადა, ქალები კაცისგან ყურადღების გამოხატვას უმალ იღებენ, თუკი მას ესმის, რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, მომიჯნავე ზონაში გვიწევს ცხოვრება. მგონი, შეიძლება ითქვას, რომ ისინი „სახელს გვარქმევენ“, ერთგვარად დამღას გვიკეთებენ. მათთან თავს უსაფრთხოდ ვგრძნობთ. ნელსონი ზევით ავიდა, მძინარე ჯენეტზე დასახედად. მისი დაინტერესება ბავშვით გულწრფელი იყო. თვით მას სამი შვილი ჰყავს. ჩვიდმეტი წელია დაოჯახებულია. მისი ქორწინება უშუალო შედეგია იმისა, რომ ესპანეთში იბრძოდა. საღამოს საერთო განწყობა - სერიოზული, პასუხისმგებლობით აღსავსე, ზრდასრული. წავიდა თუ არა, ზუსტად ეს სიტყვა მომივიდა აზრად - „ზრდასრული“. და იმ მამაკაცებს შევადარე, რომლებიც ბოლო დროს მხვდებოდნენ ცხოვრების გზაზე (რატომ?), ჩვილ მამაკაცებს. იმდენად გამოვცოცხლდი, სულიერად იმდენად აღვფრთოვანდი, რომ ჩემს თავს მე

თვითონ შევუძახე, სიფრთხილისკენ მოვუწოდე. უკვე მერამდენედ განმაცვიფრა იმან, თუ რა სწრაფად გავიწყდება სიყვარულიც, სიხარულიც და აღტაცებაც, თუკი ამ ყველაფერს მოკლებული ხარ. მალე ორი წელი შესრულდება, რაც მხოლოდ შემთხვევითი ნაცნობობანი მაქვს, რომლებსაც მხოლოდ იმედგაცრუება და ემოციური დამცირება მოაქვთ, ერთიმეორის მიყოლებით. ჩემი ემოციების კალთები ავიკეცე და საპასუხო გრძნობებს დარაჯი მივუჩინე. ახლა, ნელსონთან ერთადერთი საღამოს შემდეგ, ეს მიმავიწყდა. მეორე დღესაც შემოიარა და მესამე დღესაც. ჯენეტი სწორედ მეგობრებთან სათამაშოდ წასვლას აპირებდა. ის და ნელსონი წამში დამეგობრდნენ. ელაპარაკებოდა არა მხოლოდ როგორც ჩემი პოტენციური საყვარელი. მეუბნებოდა, რომ უნდა ცოლს გაშორდეს, რომ ქალთან ნამდვილ ურთიერთობას ეძებს. მითხრა, რომ დაბრუნდება ღამით, „როცა ჯენეტს უკვე ეძინება“. ამ ფრაზის გამო შემიყვარდა - „როცა ჯენეტს უკვე ეძინება“, იმის გამო, რაც ამ ფრაზის მიღმა იყო დაფარული, რომ ესმოდა ჩემი ცხოვრებისა. როდესაც ნელსონი მოვიდა, უკვე ძალიან გვიან იყო და სრულიად სხვა განწყობაზე გახლდათ - ხალისიანი იყო, ბევრს ლაპარაკობდა, მზერას ისარივით მტყორცნიდა, თუმცა თვალებში არ მიყურებდა. უცებ სულში რაღაც ჩამწყდა, უეცარმა ნევროზულობამ და მრუმე წინათგრძნობამ უფრო სწრაფად, ვიდრე გონებამ, მაცნობა, რომ კიდევ ერთი იმედგაცრუება მელოდა. ლაპარაკობდა ესპანეთზე, ომზე. თვითგვემას ეწეოდა, ისევე როგორც კრებაზე და ამას ისტერიულად აკეთებდა, მკერდში მჯიღს იცემდა იმის გამო, რომ კომპარტიის ყველა ღალატში თანამონაწილეობდა. ამბობდა, რომ მის გამო დახვრიტეს უდანაშაულონი, თუმცა იმ დროს მათი უდანაშაულობისა არ სჯეროდა (ამ დროს, სანამ ლაპარაკობდა, არ

მტოვებდა შეგრძნება, რომ მართლა კი არ განიცდიდა, არამედ მთელი ეს იტერიკა და ხმაური მხოლოდ საშუალება იყო ნამდვილი განცდისგან გასაქცევად, რადგან საშინელებაა დანაშაულის განცდა, რომელიც უნდა ეტვირთა და ისე ეცხოვრა). ზოგჯერ ძალზე გონებამახვილი და ხალისიანი იყო და ამერიკელთათვის დამახასიათებელ სტილში საკუთარ თავზე ხუმრობდა. შუაღამისას წავიდა, უფრო ზუსტად, გაიპარასავით, თანაც ისევ ხმამაღლა და ისტერიულად ლაპარაკობდა, დამნაშავეს გამომეტყველებით. ამ ლაპარაკის მეშვეობით მან, ასე ვთქვათ, თავისი თავი გაიყვანა ჩემი სახლიდან. მის ცოლზე დავიწყე ფიქრი. თუმცა არ მინდოდა იმის აღიარება, რომ შეიძლებოდა შეცდომა აღმოჩენილიყო ის, რაც ინსტინქტმა ცხადად მაცნობა. დილით ნელსონი მობრუნდა, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. არაფრით ჰგავდა გუშინდელ კაცს, ისტერიულსა და ხმაურიანს, - ლოგიკურად მსჯელობდა, მშვიდი იყო, კონცენტრირებული, იუმორის კარგი გრძნობით. ლოგინში ჩამაწვინა და, აი, მაშინ მივხვდი პრობლემას. ვკითხე, ყოველთვის ასე ხდება თუ არა-მეთქი. დაიბნია იმან, რომ მზად ვიყავი ამ საკითხზე გულახდილად სალაპარაკოდ, მიუხედავად მისი მცდელობისა ისე დაეჭირა თავი, თითქოს ვერ ხვდებოდა, რას ვეუბნებოდი (და ამან ყველაზე მეტად გამოააშკარავა მისი სექსუალური ცხოვრება). შემდეგ გამომიტყდა, რომ სექსისა ცეცხლივით ეშინია, ქალთან რამდენიმე წამზე მეტს ვერ ძლებს და რომ ყოველთვის ასე ემართება. და იმ ნერვიული, ინსტინქტური ზიზღით, რომლითაც მომშორდა, იმ აჩქარებით, რომლითაც ჩაცმა დაიწყო, მივხვდი, თუ რამდენად დაუძლეველია მისი შიში. მითხრა, რომ ფსიქოანალიტიკოსთან დაიწყო სიარული და იმედი აქვს, მალე მოარჩენენ (სიტყვაზე „მოარჩენენ“ კინაღამ გამეცინა, რადგან ადამიანები, რომლებიც

ფსიქოანალიტიკოსთან იწყებენ სიარულს, ისე ლაპარაკობენ, თითქოს საავადმყოფოში დაწვნენ, თითქოს საშინელი ოპერაციის გაკეთება გაბედეს, რომლის შემდეგაც ახალ ადამიანად გადაიქცევიან). მოგვიანებით ჩვენი ურთიერთობა შეიცვლება - მეგობრობა და ურთიერთნდობა გაგვიჩნდება. ურთიერთობას სწორედ ამ ნდობის ხარჯზე შევინარჩუნებთ.

მართლაც შევინარჩუნეთ. უკვე რამდენიმე თვე გავიდა. აი, რა მაშინებს ახლა, - რატომ არ გავჩერდი? ჩემს თავზე დიდი წარმოდგენა არ მქონია, თითქოსდა შემეძლო ეს კაცი მომერჩინა. სულაც არა. უკვე საკმარისი გამოცდილება დამიგროვდა, მეტისმეტად ბევრი სექსუალური ხეიბარი შემხვედრია. სინამდვილეში, ეს არც თანაგრძნობა ყოფილა. თუმცა თანაგრძნობამ ამ შემთხვევაში გარკვეული როლი მაინც ითამაშა. დღემდე მაცვიფრებს, რამდენად ძლიერია ჩემში, და საზოგადოდ, ქალებში, მოთხოვნილება მამაკაცს მორალურად შევეხიდოთ. ამაში გარკვეულ ირონიას ვხედავ, თუკი გავითვალისწინებთ, როგორ ვცხოვრობთ, რა დროში, როგორ გვაკრიტიკებენ კაცები, რომ მათ „ვასაჭურისებთ“ და ასე შემდეგ - ყველა დანარჩენი მსგავსი სიტყვა და ფრაზა (ნელსონი ამბობს, რომ ცოლი „ასაჭურისებს“. ვბრაზდები, როცა წარმოვიდგენ, როგორ იტანჯება, ალბათ, მისი ცოლი). სიმართლე კი ისაა, რომ ქალს აქვს ღრმა, ინსტინქტური მოთხოვნილება მამაკაცისგან ნამდვილი მამაკაცი შექმნას. აი, მაგალითად, მოლი. მგონი, ეს იმითაა გამოწვეული, რომ ნამდვილი მამაკაცი სულ უფრო დიდი იშვიათობა გახდა, ჰოდა, ვიზაფრებით და ვცდილობთ მამაკაცების შექმნას.

რამე თუ მაშფოთებს განსაკუთრებით, ეს ჩემი მზაობაა. ის, რასაც ტკბილმა დედილომ უწოდა „ნეგატიური მხარე“ ქალის მოთხოვნილებისა, მიანიჭოს სიმშვიდე და დაემორჩილოს. ახ-

ლა მე უკვე არა ვარ ანა, მე დავკარგე ნებისყოფა, საკმარისია შექმნილიყო გარკვეული სიტუაცია და უკვე ვეღარ ვახერხებ იქიდან გამოსვლას, უბრალოდ, არსებობას ვაგრძელებ.

ერთი კვირის მერე, რაც პირველად ჩავუწექი ნელსონს ლოგინში, ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, რომელსაც ვეღარ ვაკონტროლებდი. მამაკაცი, სახელად ნელსონი, პასუხისმგებლობით აღსავსე, მშვიდი ადამიანი უკვალოდ გაქრა. უკვე ვეღარც კი ვიხსენებდი იმ სიტყვებსაც კი, გრძნობებზე პასუხისმგებლობის იმ ენასაც კი, რომელზეც თავდაპირველად ლაპარაკობდა. მისი ყველა სიტყვისა და ქცევის მამოძრავებელი გახდა მძაფრი მანიაკური ისტერია, რომელშიც მეც ჩამითრია. კიდევ ერთხელ ჩავწექით ლოგინში მრავალსიტყვიანი, მომწარო--იუმორისტული თვითგვემის თანხლებით, რომელიც წამში ყველა ქალის ისტერიულ შეურაცხყოფად იქცა. მერე ნელსონი ჩემი ცხოვრებიდან თითქმის ორი კვირით გაქრა. დათრგუნვილი ვიყავი, უფრო მეტად ვნერვიულობდი, ვიდრე ოდესმე წინათ. და კიდევ, ცივი და უსქესო შევიქენი, ვეღარაფერს ვგრძნობდი. სადღაც შორს, ნორმალური, სითბოს სამყაროდან, ანა ილანდებოდა. შემეძლო მისი დანახვა, მაგრამ ვერ ვიხსენებდი, როგორია, იყო ცოცხალი, იყო მასავით. ორჯერ დამირეკა, მიბოდიშებდა და ეს თავისი არსით შეურაცხმყოფელი გახლდათ, ჯობდა, სულ არ მოეხადა ბოდიში, - ის ბოდიშს უხდიდა „ქალს“, „ქალებს“, „მტრებს“ და არა ანას; წინათ, როცა თავი კარგად ეჭირა, ასეთი უგრძნობლობა მისგან წარმოუდგენელი იყო. გონებაში უკვე ჩამოვწერე როგორც საყვარელი, მაგრამ მეგობრად შენარჩუნებას მაინც ვაპირებდი. ერთი ჯიშისანი ვართ, ჩვენ თავს ვიცნობთ და ერთმანეთისა გვესმის, - უსასოობა გვაერთიანებს. ჰოდა, ერთხელაც, საღამოს, გაუფრთხილებლად მეწვია, მეორენაირ,

„კარგ“ განწყობაზე გახლდათ. როდესაც ვუსმენდი, ვეღარც კი ვიხსენებდი, როგორი იყო, როცა „გაუტია“, როცა ისტერიკა მოუვიდა. ვიჯექი, დავყურებდი ზუსტად ისევე, როგორც ვუყურებ ანას, ჯანმრთელს, ბედნიერს, და ვერ ვწვდებოდი მას ისევე, როგორც ვერ ვწვდები ანას, ერთმანეთისგან სქელი შუშის კედელი გვყოფს. კი, ამ შუშის კედლის ბუნებას ვხვდები, მის უკან გარკვეული ტიპის ამერიკელები იმალებიან, - არ შემეხოთ, ღვთის გულისათვის, არ შემეხოთ, არ შემეხოთ, რადგან მეშინია გრძნობისა.

იმ საღამოს ნელსონმა თავისთან წვეულებაზე დამპატიჟა. ვუთხარი, მოვალ-მეთქი. როცა წავიდა, მივხვდი, რომ არ ღირდა მისვლა და წინასწარ უკვე ცუდად ვგრძნობდი თავს. მაგრამ ძალიან ბევრს თუ არ ვიფიქრებ, რატომაც არა? ის არასოდეს გახდება ჩემი საყვარელი, ჩვენ მეგობრები ვართ, მაშ, რატომაც არ უნდა წავიდე, გავიცნო მისი მეგობრები და ცოლი?

როგორც კი შევაბიჯე მის სახლში, წამსვე მივხვდი, როგორ შევცდი, როცა მისვლა გადავწყვიტე. ზოგჯერ ვერ ვიტან ქალებს, ჩვენ, ყველას, ჩვენ ხომ შეგვიძლია საერთოდ არ ვიფიქროთ მაშინ, როდესაც გვინდა; გვირჩევნია, არ ვიფიქროთ, როდესაც ვცდილობთ, ბედნიერებას შევეხოთ.

და, აი, როდესაც მისი სახლის ზღურბლს გადავაბიჯე, მივხვდი, რომ მერჩივნა ყველაფერზე დამეხუჭა თვალი, არ მეფიქრა. შემრცხვა, თავი დამცირებულად ვიგრძენი.

დაქირავებული დიდი ბინა, სავსე უსახური, უგემოვნო ავეჯით. და მე ვიცოდი, რომ როდესაც ნელსონები საკუთარ სახლში შესახლდებიან და საკუთარი გემოვნებით მოაწყობენ, ყველაფერი ისევე ანონიმური და უსახური იქნება: უბრალოდ, ასეთი თვისებაა - უსახურობა, უსაფრთხოება, ანონიმურობა. აი, ესეც მეს-

მის და მეტისმეტად კარგად მესმის. საუბრისას ახსენეს, რამდენს იხდიან ამ ბინაში და ყურებს არ დავუჯერე, - ოცდაათ გირვანქას კვირაში, ეს ხომ მთელი კაპიტალია, ეს სიგიჟეა. ოციოდე კაცი იყო შეკრებილი, ყველა - ამერიკელი, რომლებიც ტელევიზიაში ან კინოინდუსტრიაში მუშაობენ, - „შოუბიზნესის“ ხალხი, და, რასაკვირველია, ყველანი ამ თემაზე ხუმრობდნენ.

- დიახ, ჩვენ შოუბიზნესი ვართ. მერედა რა? თავისთავად ეს სულაც არ არის ცუდი, არა?

ყველა ერთმანეთს იცნობდა. მათი „მეგობრობა“ წარმოდგებოდა შემთხვევითი სამუშაო შეხვედრებიდან, კონტაქტებიდან; ამავე დროს, ერთმანეთს თბილად და ამხანაგურად ეპყრობოდნენ - სასიამოვნო და არაფრის მავალდებულებელი, მსუბუქი და უპრეტენზიო, მეგობრული ურთიერთობა. ეს მომეწონა, გამახსენდა მარტივი, მეგობრული და შინაურული ურთიერთობა ყველა თეთრკანიანისა აფრიკაში. „ჰეი, გაუმარჯოს! როგორ ხარ? ჩემი სახლი შენი სახლია, თუმცა მხოლოდ ერთხელ შევხვდით“. ინგლისური საზომით, ყველანი შეძლებული ადამიანები იყვნენ. ინგლისში ამ დონის შეძლებული ადამიანები ამაზე არ ლაპარაკობენ. მათთან კი ფულის თემა მუდმივად ჰაერში ტრიალებს, მღელვარე-შემაშფოთებელი ფული, ამ ამერიკელებმა ასე იციან. ამავე დროს, ამ თავიანთი ფულის მიუხედავად, იმ დროს, როდესაც ყველაფერი ესოდენ ძვირად ღირებული აქვთ (რასაც, როგორც ჩანს, აუცილებლობად აღიქვამენ), საშუალო კლასის ატმოსფერო ძნელად ექვემდებარება განსაზღვრებას. ვიჯექი და ვცდილობდი ჩემთვის მომეძებნა ეს განსაზღვრება. ესაა რაღაც წინასწარგანზრახული ორდინარულობის მსგავსი, პიროვნების მასშტაბის დამცრობა, თითქოს მათ ყველას აქვთ თანდაყოლილი, ჩადგმული მოწყობილობა, რომელიც განაპირობებს მოთ-

ხოვნილებას თვითონ მიუსადაგოს თავი იმას, რასაც მისგან ელიან. და მაინც ისეთი სიმპათიურები არიან, ისეთი კარგები, უნებურად გული გეწურება, როცა უყურებ, რადგან თვითონ იმცრობენ მასშტაბს, საკუთარ პიროვნებას გარკვეულად თვითონვე ზღუდავენ. ამ საზღვრებს ფული კარნახობს (მაგრამ რატომ? - მათ შორის ნახევარი ხომ მემარცხენე შეხედულებების მქონე ხალხია, ამერიკაში ისინი შავ სიებში არიან, იქ არ შეუძლიათ თავის რჩენა და ამიტომაც ჩამოვიდნენ ინგლისში. და მაინც, ფული, ფული, მხოლოდ ფული.) კი, კანით ვგრძნობ ფულის გამო შფოთვას: ეს კითხვის ნიშანს ჰგავს, ჰაერში რომ კიდია. ამ დროს ის ფული, რომელსაც ნელსონები ამ უზარმაზარსა და მახინჯ ბინაში იხდიან, საშუალო კლასის ინგლისელს მყუდროდ მოწყობის საშუალებას მისცემდა.

ნელსონის ცოლთან შეხვედრა გულის სიღრმეში მეტად მაღელვებდა. სანახევროდ ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა იყო, - როგორი იქნება ის, ჩემთვის ახალი ადამიანი? სანახევროდ - დიახ, ამ მეორე ნახევრისა მრცხვენოდა - რა მაქვს მე ისეთი, რაც მას აკლია? არც არაფერი განსაკუთრებული, - როგორც აღმოჩნდა, როგორც დავინახე.

ნელსონის ცოლი მომხიბლავი ქალი იყო. მაღალი, ძალზე გამხდარი, ლამის გაძვალტყავებული, ებრაელი; მეტად საინტერესო, სახის საოცრად ნათელი ნაკვთების მქონე, ყოველი მისი ნაკვთი თითქოს ცალკეა გამოკვეთილი და ჩამოქნილი: მოზრდილი, მოძრავი პირი, მოზრდილი, საკმაოდ ლამაზად მოგრეხილი ცხვირი, დიდი, ოდნავ გადმოქაჩული, გიშერივით შავი თვალები. აცვია რაღაც კაშკაშა, ელეგანტური და თამამი. მაღალი, მკვეთრი ხმა (რომელიც საერთოდ არ მომეწონა, ვერ ვიტან, როცა ხმამაღლა ლაპარაკობენ). ცოცხალი და ემოციური

სიცილი აქვს. ერთობ ელეგანტური და თავდარწმუნებულია, რისიც, რა თქმა უნდა, უმალ შემშურდა, ყოველთვის მშურს. ვუყურებდი ამ ქალს და თანდათან ვხვდებოდი, რომ მისი თავდაჯერება ზედაპირულია, რადგან ნელსონს წამითაც არ აშორებდა თვალს. ერთხელაც არ მოუცილებია, წამითაც კი (ამ დროის იგი საერთოდ არ უყურებდა, ამის ეშინოდა.) ვიცანი ამერიკელი ქალების ეს თვისება - ზედაპირული კომპეტენტურობა, თავდაჯერება. ამის მიღმა კი ღელვა, შფოთია. მათ, როგორც წესი, მხრების ნერვიული, თითქოსდა დამფრთხალი მოყვანილობა აქვთ. მათ ეშინიათ. ისე გამოიყურებიან, თითქოს ცარიელ სივრცეში არიან, თავის თავთან მარტო დარჩენილები, მაგრამ ისეთ სახეს იღებენ, თითქოს იქ მარტო არ არიან. ამერიკელი ქალები მარტოსულ, სრულ იზოლაციაში მყოფ ადამიანებს ჰგვანან, რომლებიც თავს იკატუნებენ, თითქოსდა მარტოსულები არ არიან. მე ისინი მაშინებენ.

მაშ, ასე, გამოჩნდა თუ არა ნელსონი, ცოლს მისთვის თვალი აღარ მოუცილებია. სარკაზმით აღსავსე გახლდათ, თავის თავზე ოხუნჯობდა, ამ ხუმრობებით თავს ისჯიდა, იმათრახებდა. ეს ხუმრობები მაშინებს, რადგან თავადვე იტეხს თავზე ცეცხლს.

- ჯეელმა ორი საათით დაიგვიანა და რატომ? იმიტომ, რომ ერთი-ორი ჭიქა გადაეკრა გამბედაობის მოსაკრებად უდარდელი და ბედნიერი მეგობრების ხროვასთან შესახვედრად.

ყველას გაეცინა, თუმცა სწორედ ისინი იყვნენ ის „უდარდელი და ბედნიერი მეგობრების ხროვა“. ნელსონის ცოლმა იმავე სტილში უპასუხა: მხიარულად, დაძაბულად, დადანაშაულებით:

- მაგრამ ქალმა იცოდა, რომ ორი საათით დააგვიანებდა, რადგან უდარდელი და ბედნიერი მეგობრების ხროვა ელოდებოდა, ამიტომ ვახშამი ზუსტად ათი საათისთვის იქნება მზად,

გთხოვთ, ძვირფასო მეგობრებო, ამაზე წამითაც კი არ აღელ-
დეთ!

და, აი, ისევ ყველამ გაიცინა, ხოლო მისი თვალები, ასეთი
დაუფარავად შავი და საოცარი, ესოდენ თავდაჯერებული, ნელ-
სონს მიაშტერა. თვალებში შფოთი, შიში ედგა.

- სკოჩი, ნელსონ? - იკითხა, როცა სტუმრებს სასმელს ური-
გებდა და უეცრად მის ხმაში მძაფრი ვედრება გამოკრთა.

- ორმაგი, - მიუგო მან აგრესიულად, გამოწვევით, რაღაც წა-
მით მათი მზერა გადაიკვეთა და ეს იყო უეცარი გაშიშვლების,
გახსნილობის წამი; ყველამ ხუმრობა, სიცილი დაიწყო, ეს მო-
მენტი რომ გადაეფარა. მე უკვე ამასაც ვხვდებოდი, - ისინი ერ-
თმანეთს მუდმივად ფარავდნენ. ამისგან გული დამიმძიმდა:
უყურო მათი ურთიერთობის სიმსუბუქეს და იცოდე, რომ მუდმი-
ვად ფხიზლად არიან, მუდმივად ელიან სახიფათო სიტუაციას,
ამის მსგავსს, რომ უმალ მიჩქმალონ. მე ერთადერთი ინგლისე-
ლი ვიყავი ამ წვეულებაზე, ამერიკელებმა ჩემი იქ ყოფნა ძალზე
თავაზიანად, კარგად მიიღეს, ისინი ხომ ესოდენ კარგები, თავა-
ზიანები არიან, ესოდენ ინსტინქტურად დიდსულოვანნი: ბევრს
ხუმრობდნენ, საკუთარ თავს და ასევე, ინგლისელებზე ყველა
ამერიკულ სტერეოტიპულ წარმოდგენას ამასხარავებდნენ; ეს
ყველაფერი მეტად გონებამახვილური იყო, ძალიან ბევრი ვიცი-
ნე და თანაც თავს უხერხულად ვგრძნობდი, რადგან არ ვიცოდი,
საპასუხოდ საკუთარი თავისთვის როგორ დამეცინა. ყველანი
ბევრს ვსვამდით; ეს ისეთი წვეულება და ისეთი კომპანია იყო,
სადაც ადამიანები პირველი წუთებიდან ცდილობენ რაც შეიძ-
ლება მეტი ალკოჰოლი ჩაიპირქვაონ, თანაც ისე სწრაფად, რამ-
დენადაც ეს შესაძლებელია. მე ასეთ რაღაცას მიჩვეული არ ვი-
ყავი და ამიტომ სხვებზე მეტად შევთვერი, თუმცა ისინი ჩემზე გა-

ცილებით მეტს სვამდნენ. ყურადღება მივაქციე ერთ თმაშეღებილ ქერა ქალს, რომელსაც ჩინური, მწვანე ფარჩის კაბა ეცვა. ნამდვილად ძალიან ლამაზი გახლდათ, ნატიფი, მცირედი დეტალების ჩათვლით. ის კინოინდუსტრიის ვიღაც მაგნატის, მსხვილი, უშნო კაცის, მუქი კანი რომ ჰქონდა, მეოთხე ცოლი იყო, უფრო სწორად, არის. ერთი საათის განმავლობაში ოთხი ორმაგი ვისკი დალია და თავის თავზე არც კონტროლი დაუკარგავს და არც მომხიბლაობა. შეშფოთებული უყურებდა, როგორ სვამდა მისი ქმარი და პატარა ბავშვივით სთხოვდა, არ დამთვრალიყო.

- ჩემს ბიჭუნას მეტი აღარ უნდა, ეს ჭიქა აღარ სჭირდება, - ამბობდა ენის მოჩლექით, თითქოს ჩვილ ბავშვს ელაპარაკებოდა.

ის კი:

- არა, არა, შენს ბიჭუნას უნდა ეს ერთი ჭიქა და დალევს მას.

ცოლი ამ დროს ხელს ნაზად უსვამდა და არწმუნებდა:

- ჩემი პატარა ბიჭუნა მეტს აღარ დალევს, არა, არ დალევს, რადგან დედიკომ აუკრძალა.

და, ღმერთო დიდებულო, მართლა აღარ დალია. ეფერებოდა, ელოლიავებოდა, მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი, რა დამამცირებელია-მეთქი, სანამ არ მივხვდი, რომ სწორედ ამას ეფუძნება მათი ქორწინება - ლამაზი, მწვანე ფარჩის ჩინური კაბა და ლამაზი გრძელი საყურე იმის სანაცვლოდ, რომ ქმრისთვის დედიკოსა და ძიძის როლი ეთამაშა. ამან დამაბნია. მაგრამ სხვები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. სანამ მეტად დაძაბული ვიჯექი და თვალს ვადევნებდი, - მე ამ ყველაფრის მიღმა ვიყავი, რადგან არ შემიძლია ცივი, სარკასტული საუბარი, - გავაცნობიერე, რომ ყველაზე მეტად დაბნეულობას ვგრძნობდი, ვიდრე სხვა რაიმეს, და მეშინოდა, რომ როდესაც მათი საუბარი ისევ სახიფათოდ შემობრუნდებოდა, დროზე ვერ მოახერხებ-

დნენ მის გადაფარვას და რაღაც საშინელი აფეთქება მოხდებოდა.

და მართლაც, მოხდა. თითქმის შუაღამე იყო უკვე; თუმცა იმასაც მივხვდი, რომ ამის გამო შეშინება არ ღირდა, რადგან მათ ამგვარ ურთიერთობაში ისეთ სიმაღლეებს მიაღწიეს, ამ სახის მთელ ჩემს გამოცდილებას ბევრად რომ აღემატება, და ეს მათი იუმორის გრძნობა, საკუთარი თავის პაროდიული გაგებით გაჯერებული, გახლავთ სწორედ თავდაცვა, რომელიც გარს აკრავს მათ როგორც საიზოლაციო მასალა, რაც მათ ნამდვილი ტკივილისგან, ნამდვილი წყენისგან იცავს. ანუ იცავს იმ მომენტამდე, სანამ სისასტიკე გაყრით ანდა სიმთვრალეში ნერვიული აფეთქებით დასრულდება.

ნელსონის ცოლს ისევ ვადევნებდი თვალს, ესოდენ ცოცხალსა და მიმზიდველს, იმას, თუ როგორ არ აშორებდა ქმარს თვალს არც ერთი წამით, მთელი საღამოს განმავლობაში. მის მზერაში უძლურება, გახსნილობა, სიცარიელე, დაბნეულობა და მორიდება იყო. გეგონებოდა, ორიენტირებს კარგავს და მიწა ეცლება ფეხქვეშო. ეს მზერა მეცნობოდა, თუმცა ვერ ვიხსენებდი, საიდან, და ბოლოს მივხვდი, ასე ხომ მისის ბუთბი გვიყურებდა იმ საღამოს, ჩვენს ბოლო უიკენდზე, ვიდრე მის ქმარს ნერვიული აფეთქება დაემართებოდა, მის თვალებში იკითხებოდა სიგიჟეც და დაბნეულობაც; ამავე დროს, პირდაპირ გვიყურებდა და ცდილობდა, დაეფარა თავისი მდგომარეობა. ნელსონის ცოლიც, ვხედავდი, ისტერიკის მარწუხებში მოქცეულიყო - მუდმივი და საგულდაგულოდ დაფარული ისტერიკის. მერე მივხვდი, რომ ეს მხოლოდ მას არ ეხებოდა; ეს ხალხი საკუთარი თავის ზღვარზე ცხოვრობდა, ეს მათში იყო, ისინი ამას აკონტროლებდნენ,

თუმცა ისტერია მათ უბოროტო ხუმრობებში, მათ გამჭოლ, დაძაბულ მზერაში გამოკრთოდა.

მაგრამ ისინი ამას შეეჩვივნენ, მრავალი წელია ასე ცხოვრობენ, ამაში არაფერ საოცარს არ ხედავენ, ამას მხოლოდ მე ვხედავ. და, აი, ვზივარ მათთან სასტუმრო ოთახის კუთხეში და აღარ ვსვამ, რადგან უცებ დავთვერი, და გავაცნობიერე, რომ დავთვერი, - ძალიან განვიცადე, ბლომად რომ დავლიე, და ველოდებოდი, ეს ყველაფერი ჩემში ჩაწყნარდებოდა, დალაგდებოდა, - და მივხვდი, რომ ეს ჩემთვის არც ისე უცხო ყოფილა, როგორც თავიდან მეგონა; ეს არაფრით განსხვავდებოდა იმისგან, რაც მრავალ ინგლისურ ოჯახში მინახავს; ეს იგივე იყო, ოღონდ წინ წასული, გაცნობიერების დონემდე აყვანილი, გააზრებული. მივხვდი: ეს ხალხი მშვენივრად ხვდებოდა როგორიც იყვნენ, აცნობიერებდნენ თავიანთ ყოველ ნაბიჯს, ყოველ სიტყვას; და ამ გაცნობიერებისგან, საკუთარი თავისადმი ზიზღით გამსჭვალული გაცნობიერებისგან, მოდიოდა ყველა ეს მათი გაუთავებელი ხუმრობა. მათი ხუმრობა სულაც არ იყო სიტყვიერი თამაში, რასაც ინგლისელები მიმართავენ, უწყინარი, ინტელექტუალური თამაში, ეს ერთგვარი დეზინფექცია გახლდათ, საშიშის გადაქცევა უვნებლად, „სახელდება“, რომელიც ტკივილისგან გიხსნის. სოფლელები ასე ეხებიან ხოლმე ავგაროზებს, ავი თვალისგან რომ დაიცვან თავი.

საკმაოდ გვიანი იყო, როგორც უკვე ვთქვი, თორმეტი ხდებოდა, როდესაც ნელსონის ცოლის ხმა გავიგონე, მაღალი და მკვეთრი:

- ო’კეი, ო’კეი, მე ვიცი, რა მოხდება. შენ არ დაწერ ამ სცენარს. მაშ, ბილ, რატომღა კარგავ დროს ტყუილად ნელსონზე?

(ზორბა, აგრესიული ბილი იმ პაწია ქალის, დედიკოს როლს რომ თამაშობდა, ქმარი იყო.)

ნელსონის ცოლი ლაპარაკს განაგრძობდა, ბილს მიმართავდა, რომელსაც სახეზე კეთილგანწყობა გამოსახოდა:

- ისევ და ისევ ილაპარაკებს ამაზე, თვეობით ილაპარაკებს, ბოლოს კი უარს გეტყვის და დროს ტყუილად დაკარგავს კიდევ ერთი შედევრის დასაწერად, რომელიც არასოდეს დაიდგმება.

ამ სიტყვების მერე გაიცინა, ოღონდ ისე, თითქოს ბოდიშს იხდიდა, თუმცა, იმავდროულად, ველურივით, ისტერიკულად. მაშინ ნელსონი, ასე ვთქვათ, ძალისძალად გამოვარდა სცენაზე, სანამ ბილი მოასწრებდა გადაფარებას და თქვა:

- კარგია, კარგია, ვცნობ ჩემს ცოლს! მე, მისი ქმარი, თურმე ტყუილად ვკარგავ დროს, კიდევ ერთი შედევრის დაწერას რომ ვცდილობ, არა? კი მაგრამ, იდგმებოდა ჩემი პიესა ბროდვეიზე თუ არ იდგმებოდა?

ბოლო სიტყვები გამკივანი ხმით წამოიყვირა, ქალივით დაიკივლა, ცოლის სიძულვილით სახე გაუმუქდა, სახეზე სიძულვილთან ერთად აშკარად გამოესახა წყენა, შიში და პანიკა. და ყველა ახარხარდა, ხალხით სავსე ოთახმა ხუმრობებითა და სიცილით იფეთქა, სახიფათო შემობრუნება რომ გადაეფარათ, ბილმა კი თქვა:

- ვინ იცის, შესაძლოა, ყველაფერი ისე მოტრიალდეს, რომ მე ვუთხრა უარი ნელსონს, იქნებ ჩემი ჯერიც მოვიდა, რომ შევქმნა შედევრი, უკვე ვგრძნობ, რომ იბადება.

(ამ დროს თავის ცოლს, ლამაზ, ქერა ქალს გახედა და ამით თითქოსდა უთხრა: „ნუ ღელავ, ძვირფასო, მე უბრალოდ გადავეფარე, ხომ ხვდები, არა?“)

ოღონდ ეს ვეღარ უშველიდა, რაც მოხდა, იმის მიჩქმალვა უკვე აღარ გამოდიოდა, მათი ჯგუფური თავდაცვა გაშმაგებული სისასტიკის ამ მომენტისთვის მეტისმეტად სუსტი აღმოჩნდა. ნელსონსა და მის ცოლს გადავავიწყდით, თითქოს მარტონი დარჩნენო, ერთმანეთის მეტს ვერავის ხედავდნენ, ოთახის შუაგულში იდგნენ, ერთმანეთი სძულდათ და ერთმანეთს ხარბად და სასოწარკვეთით ევედრებოდნენ; უკვე აღარ ახსოვდათ, რომ ოთახი სავსე იყო უცხო ადამიანებით, ამისდა მიუხედავად, მაინც განაგრძობდნენ ისტერიკულად ხუმრობას, მომაკვდინებელ თვითგვემას. აი, მათი გონებამახვილობის ნიმუში:

ნელსონი: დიახ, აბა, გესმის, ჩემო გოგონა? ბილი დაწერს ჩვენი დროის „ვაჭრის სიკვდილს“, სასტიკად და ულმობლად მომექცევა და ვინ იქნება ამაში დამნაშავე - მარად ჩემი მოყვარული ცოლი, სხვა ვინ?

ნელსონის ცოლი (მკვეთრად, სიცილით, თვალები - შეშლილის, მღელვარედ, დამოუკიდებლად მოძრაობენ, პატარა შავი მოლუსკებივით, დანის ქვეშ რომ იკლაკნებიან): ო, რასაკვირველია, მე ვარ ამაში დამნაშავე, სხვა ვინ, თუ არა მე? მე ხომ სწორედ ამისთვის გჭირდები, ასე არაა?

ნელსონი: დიახ, რა თქმა უნდა, შენ სწორედ ამისთვის მჭირდები. შენ მე მკერდით მიფარავ, ვიცი. და ამიტომაც მიყვარხარ. მაგრამ იდგმებოდა თუ არ იდგმებოდა ჩემი პიესა ბროდვეიზე? მქონდა თუ არ მქონდა აღტაცებული რეცენზიები? ან იქნებ ეს ყველაფერი გამოვიგონე?

ნელსონის ცოლი: თორმეტი წლის წინ. ო, იმ დროს ამერიკის შესანიშნავი მოქალაქე ბრძანდებოდი, შავი სიები ჯერ ჰორიზონტზეც კი არ ჩანდა. და რას აკეთებ მას მერე?

ნელსონი: ო’კეი, გამარჯვება მათ დარჩათ. შენ, რა, გგონია, არ ვიცი? ჭრილობაზე მარილი უნდა დამაყარო? გეუბნები, გასამარჯვებლად შეიარაღებული რაზმები და ციხეები არ სჭირდებათ. ყველაფერი გაცილებით მარტივადაა... ჩემს შემთხვევაში. ჰო, ჩემს შემთხვევაში...

ნელსონის ცოლი: შენ შავ სიაში ხარ, შენ გმირი ხარ და ეს იქნება შენი ალიბი მთელი ცხოვრება...

ნელსონი: არა, ჩემო გვრიტო, არა, ჩემო ცუგრუმელავ, შენა ხარ ჩემი ალიბი მთელი ცხოვრება - აბა, სხვა ვინ გამაღვიძებს დილის ოთხ საათზე, ქვითინითა და მოთქმით, რომ ის და მისი შვილები სიცოცხლეს ბაუერიში დაასრულებენ, თუკი არ დავწერ მორიგ სიბრიყვეს ძვირფას მეგობარ ბილისთვის, დღეს რომ აქ ბრძანდება?

ნელსონის ცოლი (იცინის, სახე დაღმეჭილი აქვს სიცილისგან): ო’ კეი, ესე იგი, მე ყოველ დილას ოთხ საათზე ვიღვიძებ. ესე იგი, მეშინია. შენ გინდა, რომ სხვა ოთახში გადავბარგდე?

ნელსონი: ჰო, რა, მინდა სხვა ოთახში გადაბარგდე. ყოველ დილას ეს სამი საათი შეიძლებოდა სამუშაოდ გამომეყენებინა. ოღონდ კი გავიხსენო, ეს როგორ ხდება (უეცრად გაიცინებს.) თუმცა, იქნებ მომერბინა კიდეც ხოლმე შენთან ოთახში, რომ მეთქვა, მეშინია, ცხოვრებას ბაუერიში დავასრულებ-მეთქი. როგორ მოგწონს ჩემი პროექტი? ერთად მივდივართ ბაუერიში და იქ ვსახლდებით სამუდამოდ, სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებს, მოკლედ, სიკვდილი კუბოს კარამდე.

ნელსონის ცოლი: ამ თემაზე შეგეძლო კომედია დაგეწერა, სიცილით მოვკვდებოდი.

ნელსონი: ჰო, აბა, რა, ჩემი მარადიულად მოსიყვარულე ცოლი სიცილით მოკვდებოდა, თუკი ცხოვრებას ბაუერიში დავას-

რულებდი (იცინის), მაგრამ სასაცილო ისაა, შენ რომ იქ გეცხოვრა, გალოთდებოდი, გამათხოვრდებოდი, მაგრამ შენთან ჩამოვიდოდი, რადგან საკუთარ თავში დარწმუნება, მხარდაჭერა მჭირდება, დიახ, მართლა ასეა. შენ რომ იქ გეცხოვრა, წამოგყვებოდი, რადგან მე სტაბილურობა, უსაფრთხოება მჭირდება, აი, რა მინდა შენგან. ასე ამბობს ჩემი ფსიქოანალიტიკოსი და ვინ ხარ შენ, რომ ეკამათო?

ნელსონის ცოლი: კიი, მართალია, სწორედ ეს გინდა ჩემგან. და შენ ამას იღებ. შენ დედიკო გჭირდება. ღმერთო, მიშველე.

(ორივე ხარხარებს, ერთმანეთისკენ არიან გადახრილები, ლამის ჩაბჟირდნენ, ვერ ჩერდებიან.)

ნელსონი: კი, შენ ჩემი დედიკო ხარ. ისიც ასე ამბობს, ის კი ყოველთვის მართალია. რას იზამ, ნორმალურია, გძულდეს საკუთარი დედიკო, ასე წერია მათ წიგნებში. ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც მიღებულია. და არ ვაპირებ ამის გამო თავის დადანაშაულებას.

ნელსონის ცოლი: ო, არა, რატომ უნდა გრძნობდე თავს დამნაშავედ, საერთოდ რატომ უნდა გრძნობდე თავს დამნაშავედ?

ნელსონი (ყვირის, ლამაზი შავგვრემანი სახე დაეღმიჭა): იმიტომ, რომ მაიძულებ, თავი დამნაშავედ ვიგრძნო, შენთან ურთიერთობისას ყოველთვის მტყუანი გამოვდივარ და ასეცაა მიღებული, დედიკო ყოველთვის მართალია.

ნელსონის ცოლი (უკვე აღარ იცინის, მის ხმაში მოულოდნელად სასოწარკვეთილი შფოთვა გაიხმიანებს): ო, ნელსონ, მუდმივად თავს ნუ მესხმი, ამას ნუ აკეთებ, ამას ვეღარ ავიტან.

ნელსონი (რბილად და თან, მუქარით): აჰ, ვეღარ აიტან? იცოდე, ვალდებული ხარ, აიტანო. რისთვის? სულაც იმისთვის, რომ მე მჭირდება, აი, რისთვის უნდა აიტანო. ჰეი, მისმინე, იქ-

ნებ ანალიტიკოსთან მისვლა გჭირდება? ყველაზე ძნელ სამუშაოს ყოველთვის მე რატომ უნდა ვიღებდე თავზე? ჰო, აბა, რა, შეგიძლია ანალიტიკოსთან მიხვიდე, მე კი არა ვარ ავად, შენ ხარ!

(მაგრამ მისი ცოლმა უკვე ფარ-ხმალი დაყარა, პირი იბრუნა, დაუძლურებულმა, სასოწარკვეთილებამდე მისულმა.)

ნელსონი (ცოლს მიახტება, ზეიმობს, თუმცა იმავდროულად დაბნეულია, უხერხულად გრძნობს თავს): რა გჭირს? ამის მოსმენა არ გსიამოვნებს? ვითომ, რატომაც არა? საიდან იცი, რომ შენ არა ხარ ავად? ყოველთვის მხოლოდ მე რატომ უნდა გამოვიდე მტყუანი? ო, არა, ასე ნუ მიყურებ! როგორც ყოველთვის, გინდა, ცუდად ვიყო, შემრცხვეს, არა? ვერაფერს იტყვის კაცი, ეს კი გამოგდის. ო'კეი, მაშ, ასე, მტყუანი ვარ - მე. ოღონდ არ იღელვო - არც ერთი წამით. ყოველთვის მე ვარ მხოლოდ მტყუანი. მე ვამბობ ამას. ასე არაა? უკვე ვაღიარე. თუ არა? შენ ქალი ხარ და ამიტომ ყოველთვის მართალი ხარ. კარგი, კარგი, მე არ ვწუწუნებ, უბრალოდ ფაქტის კონსტატაციას ვახდენ: დიახ, მე კაცი ვარ და ამიტომაც ყოველთვის მტყუანი. ო'კეი?

უეცრად, სრულიად მოულოდნელად, მინიატიურული ქერა ქალი (რომელმაც, სულ ცოტა, ვისკის ბოთლის სამი მეოთხედი დალია, თუმცა მაინც მშვიდი, გაწონასწორებული და უშფოთველი იყო, როგორც საყვარელი პაწია კნუტი ახალახელილი, ცისფერი, ოღონდ ჯერ კიდევ ოდნავ მღვრიე თვალებით) დგება და აცხადებს:

- ბილ, ბილ, ცეკვა მომინდა. მეცეკვე, ჩემო პატარავ.

ბილმა ადგილიდან ისკუპა, ფირსაკრავთან გაჩნდა, ჩართო და ოთახი წამსვე მუსიკის ჰანგებმა აავსო, - გვიანდელი არმსტრონგის ცინიკურმა საყვირმა, მობერებული არმსტრონგის ცინიკურმა, გულკეთილმა ხმამ. ბილმა თავისი მშვენიერი პაწია

ცოლი დაითრია და ააცეკვა. ოღონდ ეს პაროდიაა, გულკეთილი სექსუალური ცეკვის პაროდია. ახლა უკვე ყველა ცეკვავს და ნელსონი ცოლთან ერთად სადღაც გვერდით, ყურადღების მიღმა დარჩა. არავინ აღარ უსმენს, ამის ატანა არავის შეუძლია. ოდნავ მოგვიანებით ნელსონი ხმამაღლა ამბობს, მკვეთრი მოძრაობით ჩემკენ იშვერს თითს:

- მე ანას ვეცეკვები. მე არ ვიცი ცეკვა, მე არ ვიცი არაფერი, ამას მე თვითონაც ვხვდები, საჭირო არაა შენგან ამის თქმა, მაგრამ ანას მაინც ვეცეკვები.

ვდგები, რადგან ყველა მე შემომცქერის, თვალებით მეუბნებიან: „მიდი, მიდი, უნდა ეცეკვო, მიდი“.

ნელსონი ჩემთან მოდის და ხმამაღლა, მანჭვა-გრეხით ამბობს:

- მე ანასთან ვიცეკვებ. იცეკვე ჩე-ე-ე-ემთან! იცეკვე-ე-ე ჩემთან, ანა!

გამოხედვა სასოწარკვეთილი აქვს, იქ საკუთარი თავის ზიზღი, უბედურების განცდა, ტკივილია. მერე კი ისევ მანჭვა--გრეხით, პაროდიულად:

- წ-წამო, პატარავ, ვიჟიმაოთ, დამევასე.

ვიცინი (აღვიქვამ ამ ჩემს სიცილს, მკივანსა და მავედრებელს). და ყველა ჩემთან ერთად იცინის შვებით, რადგან ჩემს როლს ვთამაშობ, და ჩვენ საშიშ მოსახვევს გავცდით. ყველაზე ხმამაღლა ნელსონის ცოლი იცინის. თუმცა, ამავე დროს დამფრთხალ, კრიტიკულ მზერას მტყორცნის, თვალით მსინჯავს და ვხვდები, რომ უკვე მათი ოჯახური ორთაბრძოლის ნაწილი გავხდი. და, შესაძლოა, მთელი ჩემი როლი, ანას როლი, სწორედ ამას გულისხმობს, მათთვის საწვავი მასალა რომ ვიყო, - მე ვარ ნავთი, რომელსაც მათი ოჯახის ცეცხლზე ასხამენ. შესაძლოა,

ჩემ გამო ებრძოდნენ ერთმანეთს, უსასრულოდ, დროის იმ საშინელ მონაკვეთში, დილის ოთხიდან შვიდამდე, როდესაც შფოთვა აღვიძებთ (მაგრამ რის გამო შფოთავენ?) და ერთმანეთს სასიკვდილოდ ებრძვიან. მათი ხმებიც კი შემიძლია გავარჩიო, გავიგონო მათი დიალოგი. კი, მე ნელსონთან ვცეკვავ, ვიდრე მისი ცოლი მტკივნეულად, მღელვარე გამომეტყველებით თვალს გვადევნებს და ვუსმენ მათ დიალოგს:

ნელსონის ცოლი: ეტყობა, გგონია, რომ შენსა და ანა ვულფზე არაფერი ვიცი.

ნელსონი: დიახ, არ იცი და ვერც ვერასოდეს გაიგებ, ასე არაა?

ნელსონის ცოლი: ესე იგი, გგონია, რომ არ ვიცი. მე კიდევ, ვიცი. საკმარისია ერთხელ შემოგხედო.

ნელსონი: შემომხედე, პატარავ, შემომხედე! შემომხედე, ჩემო ლამაზო! შემომხედე, ჩემო ტკბილო, შემომხედე, შემომხედე, შემომხედე! ვის ხედავ? ლოტარიოს? დონ-ჟუანს? აი, ეს მე ვარ. დიახ, ასეა. მე ანა ვულფს ვჟიმავ, ის ჩემს სტილშია, ამას ჩემი ანალიტიკოსი მეუბნება, და შენ ვინ ხარ, ანალიტიკოსს რომ ეკამათო?

ველური, მტანჯველი, უწყვეტი სიცილის თანხლებით მიმდინარე ცეკვების შემდეგ, ცეკვებისა, რომელთა დროსაც ყველა ცეკვის არსის პაროდირებას ეწევა და ყველას აიძულებს, ამ პაროდიას ფეხი აუწყოს მათი ძვირფასი სოცოცხლის გადასარჩენად, როგორც იქნა, დავემშვიდობეთ ერთმანეთს და წავედ--წამოვედით.

დამშვიდობებისას ნელსონის ცოლმა მაკოცა. ყველამ ერთმანეთს ვაკოცეთ, ერთი დიდი და მეგობრული ოჯახივით ვიყავით, თუმცა მეც ვიცოდი და მათაც, რომ ნებისმიერი მათგანი

ხვალ შეიძლება ამ კომპანიიდან სამუდამოდ გაქრეს, თუკი ჩავარდნა მოუვა ან გალოთდება, ან თუ ვეღარ დააკმაყოფილებს მათ სტანდარტებს და მას აღარც კი გაიხსენებენ, ვეღარასოდეს ნახავენ. ნელსონის ცოლის კოცნა ჩემს ლოყაზე - ჯერ მარცხენაზე, მერე მარჯვენაზე, - ნაწილობრივ გულწრფელია და თბილი, ამით თითქოს მეუბნება: „მაპატიე, მაგრამ ამას ვერაფერს ვუხერხებთ, შენ არაფერ შუაში ხარ"; ნაწილობრივ კი - გამომცდელი, ამით თითქოს მეუბნება: „მინდა გავიგო, ისეთი რა გაქვს ნელსონისთვის, მე რომ არ გამაჩნია".

მზერაც კი გავცვალეთ, მწარე და ირონიული, თითქოს ერთმანეთს ვუთხარით: „რას ვიზამთ, ჩვენ არც ერთი არაფერ შუაში არა ვართ, მართლაც - არც ერთი".

ამისდა მიუხედავად, კოცნის გამო უხერხულობას ვგრძნობ, თითქოს თვითმარქვია ვიყო. რადგან ვხვდები იმას, რასაც ისედაც უნდა მივმხვდარიყავი, თუკი კარგად დავფიქრდებოდი, და ამისთვის მათთან სახლში მისვლა სულაც არ გახლდათ აუცილებელი. ნელსონს ცოლთან იმდენად მჭიდრო და მტანჯველი კავშირი აქვს, რომ მისი გაწყვეტა შეუძლებელია, ეს არასოდეს მოხდება. მათი კავშირი ყველაზე მჭიდროა ყველა შესაძლებლიდან, ტკივილის ნევროზული მინიჭება, მიყენებული და მიღებული ტკივილის განცდის გამოცდილება, ტკივილი, როგორც სიყვარულის ერთ-ერთი გამოხატულება, ტკივილი - შემეცნებული, როგორც ცოდნა იმისა, თუ როგორაა მოწყობილი სამყარო, როგორ ხდება ზრდა.

ნელსონი ცოლს საცაა მიატოვებს; არადა, არასოდეს მიატოვებს. ცოლი დაუსრულებლად იწუწუნებს, რომ ქმარი უარყოფს მას, რომ უნდა მიატოვოს, თუმცა თვითონაც მშვენივრად იცის, რომ სინამდვილეში არასოდეს უარყოფს.

იმ საღამოს, როცა შინ დავბრუნდი, სავარძელში ჩავესვენე, სრულიად გამოფიტული. თვალწინ წამდაუწუმ რაღაც სახება წარმომიდგებოდა, ფილმის კადრივით. მერე ის ფილმის ეპიზოდად იქცა. ქალი და მამაკაცი სახურავზე, მაღლა, ქალაქის თავზე, ქალაქი - დიდი და ხმაურიანი, მაგრამ სიცოცხლე, დიდი ქალაქის მოძრაობა შორსაა, მათ ქვემოთ. უაზროდ დაბორიალებენ სახურავზე, ზოგჯერ ერთმანეთს ეხუტებიან, მაგრამ ისე, თითქოს ამოწმებენ, თავისთვის ფიქრობენ: „აბა, რას ვიგრძნობთ?“ - მერე ისევ შორდებიან ერთმანეთს და უაზროდ დაბორიალებენ სახურავზე. შემდეგ კაცი მიდის ქალთან და ეუბნება: „მე შენ მიყვარხარ“. ის კი, შეძრწუნებული, ეკითხება: „რა გინდა ამით მითხრა?“ კაცი იმეორებს: „მე შენ მიყვარხარ“. მაშინ ქალი მოეხვევა, ის კი ნერვიული აჩქარებით მოშორდება, ქალი კი ჰკითხავს: „რატომ მითხარი, რომ გიყვარვარ?“ ის კი პასუხობს: „მინდოდა გამეგო, როგორ გაიჟღერებდა“. ქალი ეტყვის: „მაგრამ მე მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“, - კაცი მიდის სახურავის კიდესთან და დგას იქ, მზადაა გადახტეს, - გადახტება, თუკი კიდევ ერთხელ იტყვის: „მე შენ მიყვარხარ“.

ღამით ფილმის ეს ეპიზოდი დამესიზმრა, ფერადად. ოღონდ ახლა ეს სახურავი კი აღარ იყო, არამედ თხელი, ოდნავ მქრქალად შეფერილი ნისლი თუ ბინდი, ნატიფი ფერებით მორთული ნისლი ბოლქვებად იფრქვეოდა, ნისლში კი ის ქალი და მამაკაცი დაბორიალებდნენ. ქალი მის პოვნას ცდილობდა და როდესაც შემთხვევდით შეეჩეხებოდა და იპოვიდა, კაცი ნერვიულად შორდებოდა, მიდიოდა და თან ქალს ზურგს უკან უყურებდა და პირს აბრუნებდა, ისევ აბრუნებდა.

დილით დამირეკა ნელსონმა და მითხრა, ცოლად მინდა შეგირთოო. ჩემი სიზმარი მეცნო. ვკითხე, რატომ მეუბნები-მეთქი ამას. დაიყვირა:

- იმიტომ, რომ ასე მინდა!

ვუთხარი, რომ მეტისმეტად მიჯაჭვულია ცოლზე. მერე კი სიზმარი თუ ფილმის ეპიზოდი, გაწყდა, ნელსონს ხმა ეცვალა და მსუბუქად და იუმორით მითხრა:

- ღმერთო, თუკი მართლაც ასეა, პრობლემები მქონია.

კიდევ ცოტა ვილაპარაკეთ და მითხრა, ცოლს მოვუყევი, ერთად რომ ვიწექითო. ძალიან გავბრაზდი, განვუცხადე, ცოლთან ბრძოლაში მიყენებ-მეთქი. აყვირდა, ლანძღვა დამიწყო, როგორც წინადღეს აკეთებდა, როცა ცოლს ლანძღავდა წვეულებაზე.

ყურმილი გვერდზე გადავდე და რამდენიმე წუთში მორჩა. ახლა თავს იცავდა, მაგრამ აშკარად მე კი არ მომმართავდა, არამედ ვიღაც უხილავ დამკვირვებელს. არა მგონია, მკაფიოდ აცნობიერებდა ჩემს იქ ყოფნას ამ საუბრისას. მივხვდი, თუ ვის მიმართავდა, როდესაც მითხრა, რომ მისი ანალიტიკოსი ერთი თვით შვებულებაში წავიდა.

ნელსონი ყვირილს განაგრძობდა, შეურაცხყოფას მაყენებდა მე - და ყველა ქალს. ერთ საათში ისევ დამირეკა და მითხრა, ფსიქოპათი ვარ და სწორედ ეს არის ჩემი პრობლემაო. მერე მკითხა:

- ჩემზე ნაწყენი არა ხარ, ანა, ხო მართალია?

ამან ჩემზე დარტყმასავით იმოქმედა, ისევ ვიგრძენი იმ საშინელი სიზმრის ატმოსფერო. მან კი გააგრძელა;

- დამიჯერე, მე მხოლოდ ის მინდოდა, მე და შენ ყველაფერი ნაღდად გამოგვსვლოდა.

და იმავე წამს ისევ იმ გამწარებული კილოთი:

- თუკი სიყვარული, რომელზეც ამბობენ, რომ შესაძლებელია, უფრო ნაღდია, ვიდრე ის, რაც ჩვენ გამოგვდის...

მერე კი ისევ დაჟინებით, ხისტად:

- მაგრამ მე მართლა მინდა, მითხრა, რომ ჩემზე ნაწყენი არა ხარ, უნდა მითხრა ეს.

ისე ვიგრძენი თავი, თითქოს სილა გამაწნა ან თვალებში შემაფურთხა, ან სიამოვნებისგან დაიმანჭა, როცა დანა ჩამარჭო და ხორცში დამიტრიალა. ვუთხარი, რომ, რასაკვირველია, ნაწყენი ვარ, მაგრამ ეს ისე ვუთხარი, რომ ჩემი ნამდვილი გრძნობები არ გამიმაჟღავნებია და ისე ველაპარაკებოდი, თითქოს ჩემი წყენა რაღაც ისეთია, რაზეც შეიძლება მერეც იფიქრო, სხვათა შორის, მაგალითად, ჩვენი ურთიერთობის დაწყებიდან სამიოდე თვის შემდეგ.

მეუბნება:

- ანა, აი, რა ვიფიქრე, - რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ასეთი ცუდი ვიყო, - თუკი საერთოდ შემიძლია წარმოვიდგინო, როგორი უნდა ვიყო, თუკი შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ უნდა მიყვარდეს სინამდვილში, ვიღაცას ნაღდად ვგრძნობდე... ეს შეიძლება იყოს ერთგვარი სამომავლო გეგმა, არ მეთანხმები?

ამ სიტყვებმა გული მომილბო, რადგან მგონია, რომ იმის ნახევარი, რასაც საერთოდ ვაკეთებთ, როგორიც გვინდა ვიყოთ, ერთგვარი სამომავლო გეგმაა, რომლის წარმოდგენასაც ვცდილობთ, და ჩვენ საუბარი ამ კეთილ, სავსებით მეგობრულ ნოტზე დავასრულეთ.

თუმცა ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს ნისლში ვიყავი გახვეული და ვფიქრობდი: „რა დაემართათ კაცებს, თუკი ქალებთან ასე შეუძლიათ ურთიერთობა? ნელსონი ხომ რამდენიმე კვირაა

ცდილობს თავის სამყაროში შემიტყუოს, ამისთვის მთელი თავისი მომხიბლაობა გამოიყენა, რაც კი შეუძლია გამოიჩინოს, მთელი სითბო, ქალის მიტყუების, მიზიდვის მთელი თავისი გამოცდილება, რასაც განსაკუთრებით ოსტატურად იყენებდა, როდესაც ვბრაზობდი ხოლმე და როდესაც იცოდა, რომ განსაკუთრებით საშინელი რაღაც მითხრა. მერე კი ტრიალდება და სასხვათაშორისოდ ისვრის სიტყვას: „მე რა, გაწყენინე?“ ეს მამაკაცის ცნების სრული ანულირება მგონია, თანაც იმდენად, რომ როცა ფიქრს ვიწყებ, თუ რა იმალება ამ ყველფრის მიღმა, სრულიად ვიბნევი (თითქოსდა ცივსა და სქელ ნისლში ვიყო), ყველაფერი კარგავს თავის მნიშვნელობას, ჩემი საკუთარი სიტყვებიც კი სიფრიფანა, ნახევრად გამჭვირვალე ხდება და ექოსავით, აზრის პაროდიასავით ხმიანებს.

სწორედ იმ შემთხვევის შემდეგ, როცა დამირეკა და მკითხა: „მე რა, გაწყენინე?“ ვნახე სიზმარი, რომელიც განვსაზღვრე როგორც სიზმარი „ნგრევის სიხარულზე“. მესიზმრა ჩემი და ნელსონის სატელეფონო საუბარი. თანაც, ამ დროს, ნელსონი ჩემს ოთახში იყო. პასუხისმგებლობით და თანაგრძნობით აღსავსე ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. თუმცა ლაპარაკისას ღიმილი ეცვალა და უეცარი, არაფრით მოტივირებული ბოროტება ვიცანი. ვგრძნობდი დანას, რომელიც ხორცში დამიტრიალა, ნეკნებს შორის ძვალს ჭრიალით ეხახუნებოდა. გავოგნდი, რადგან დანგრევის საფრთხე მოდიოდა კაცისგან, რომელთანაც ახლოს ვიყავი, ვისაც ვენდობოდი. მერე კი ყურმილში დავიწყე ლაპარაკი და ვიგრძენი, რომ გავიბადრე, და ეს ბოროტებისგან მიღებულის სიხარულის ღიმილი გახლდათ. რამდენიმე ნაბიჯი კიდეც გავიარე წაცეკვებით, თავის კანტურით, ლამის გასულიერებული ლარნაკის მსგავსი, თოჯინური, ხეშეში ცეკვის

სტილში. მახსოვს, როგორ გავიფიქრე სიზმარში: „მაშ, ახლა მე ბოროტი ლარნაკი ვარ, მერე ბებერი ჯუჯა გავხდები, მერე - კუზიანი, მოკაკული დედაბერი. მერე კი ვინ?“ და უცებ ყურმილში, ზედ ჩემს ყურთან, ნელსონის ხმა გაისმა: „მერე - ალქაჯი, მერე - ახალგაზრდა ალქაჯი!“. გამომეღვიძა, ჰაერში საზარელი, საზეიმო და ბოროტი სიხარული ხმიანობდა: „მერე - ალქაჯი, მერე - ახალგაზრდა ალქაჯი!“.

მძიმე დეპრესია დამატყდა თავს. მე მეტად დამოკიდებული ვარ ჩემი „მე“-ს იმ ნაწილზე, რომელსაც „ჯენეტის დედა“ ჰქვია. გაუჩერებლად ვეკითხები თავს, - როგორაა შესაძლებელი, რომ როდესაც შინაგანად სრულიად გლუვი, ნერვიული, მკვდარი ვარ, როგორ ვახერხებ ჯენეტისთვის ძველებურად ცოცხალი, მშვიდი, პასუხისმგებლობით აღსავსე ვიყო?

ეს სიზმარი მეტი აღარ მინახავს. მაგრამ, აი, ორი დღის წინ მოლისთან ვნახე ერთი კაცი. ცეილონიდანაა. ჩემთან ურთიერთობის გაბმა სცადა. მე კი თავი ავარიდე. შემეშინდა, რომ ხელს მკრავდა, მორიგი ჩავარდნისა შემეშინდა. ახლა კი ამის მრცხვენია. მშიშარა გავხდი. მეშინია, რადგან თუკი მამაკაცი ცდილობს სექსუალურობის სიმს შეეხოს, ჩემი პირველი იმპულსი გაქცევაა, მინდა გავიქცე სადმე, სადაც ტკივილისა და წყენის ისარი ვერ მომწვდება.

სქელი შავი ხაზი ფურცლის გარდიგარდმო.

დე სილვა ცეილონიდან. მოლი მასთან მეგობრობდა. დიდი ხნის წინ გავიცანი, მოლისთან. რამდენიმე წელია, რაც ლონდონში დასახლდა, ჟურნალისტობდა, თავი გაჭირვებით გაჰქონდა. ცოლად ინგლისელი ქალი შეირთო. მოხიბლა წვეულებაზე, მოხიბლა თავისი დამშეული და სარკასტული მანერებით; ადამიანებს ამასხრებდა, მისი ხუმრობები საკმაოდ მოსწრებული და

გონებამახვილური, სასტიკი, თუმცა კი საოცრად უემოციო იყო. როდესაც იმ საღამოს ვიხსენებ, ვხედავ, როგორ დგას მოშორებით, ყველას ღიმილით უყურებს. ცოლთან ერთად ერთი ციცქნა ბინაში ცხოვრობდა, სასადილო იგივე საძილე გახლდათ, სადილად - სპაგეტი. ერთი სიტყვით, ჟურნალისტის ცხოვრება, რომელიც მოვლენების ეპიცენტრში კი არა, არამედ თავისი პროფესიის კიდეზეა. რადგანაც საცხოვრებელ ფულს ვერ შოულობდა, ცეილონზე დაბრუნება გადაწყვიტა. ცოლს არ უნდოდა ეს: იგი წარჩინებული ცეილონური ოჯახის უმცროსი ვაჟი გახლდათ, ოჯახი მეტად სნობური იყო, სანათესავო თეთრკანიანის ცოლად შერთვას არ უწონებდა. ცოლი დაარწმუნა, წაჰყოლოდა. მისმა ოჯახმა ცოლი არ მიიღო, ბინა უქირავა, დროის ნახევარს ცოლ--შვილთან ატარებდა, ნახევარს - ოჯახთან. ცოლს ინგლისში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ აიმედებდა, ყველაფერი აეწყობაო და დაარწმუნა, შვილი კიდევ გაეჩინათ, თუმცა ცოლი ამის წინააღმდეგი იყო. მეორე შვილი შეეძინა თუ არა, იმავე წამს ინგლისში გაფრინდა.

და, აი, მოულოდნელად დე სილვამ დარეკა, მოლი იკითხა, მოლი კი შინ არ იყო. მითხრა, რომ ჩამოვიდა, „რადგან სანაძლეო მოიგო ბომბეიში და ინგლისის უფასო ბილეთი ერგო. მოგვიანებით გავიგე, რომ მომატყუა: ბომბეიში ჟურნალისტური მივლინებით ჩასულა, იქ კი უეცარი იმპულსის გავლენით ფული უსესხია და ლონდონში გამოფრენილა. იმედი ჰქონია, რომ მოლი, რომელიც ადრეც დახმარებია, ახლაც ასესხებდა ფულს. მოლი შინ არ აღმოჩნდა და ბედი ანასთან სცადა. ვუთხარი, ახლა ფული არა მაქვს-მეთქი, რაც სიმართლე იყო, მაგრამ რადგან მითხრა, აქაური ცხოვრებიდან ამოვვარდიო, სადილად დავპატიჟე, ჩემი რამდენიმე მეგობრისთვის რომ გამეცნო. იმ დღეს დე

სილვა არ მოვიდა. ერთი კვირის შემდეგ დამირეკა, მორჩილმა, ბავშვურად მარტივმა, ბოდიშს იხდიდა. მითხრა, იმდენად ძლიერი დეპრესია მქონდა, ახალი ხალხის გაცნობის უნარი არ გამაჩნდა და იმ დღეს ვერაფრით გავიხსენე შენი ტელეფონის ნომერიო. მერე დე სილვა შეხვდა მოლის, რომელიც იმ დროს უკვე ჩამოსულიყო. დე სილვამ კვლავ ძველებური იერი დაიბრუნდა: ცივი გონების, განყენებული, ენამოსწრებული კაცი გახდა. ჟურნალისტად დაუწყია მუშაობა, თბილად იხსენიებდა ცოლს, „რომელიც სულ მალე, შესაძლოა, შემდეგ კვირას, ჩამოვიდეს ჩემთან“. იმ საღამოს თავს მაწონებდა, მე კი გავექეცი. და მე ამის საფუძველი მქონდა. თუმცა ჩემს შიშს ლოგიკური მიზეზი არ გააჩნდა, ეს გახლდათ გაქცევა მამაკაცისგან, როგორც ასეთისგან, და სწორედ ამიტომ, როდესაც დე სილვამ მეორე დღეს დამირეკა, ვახშამზე დავპატიჟე. იმის შემხედვარე, თუ როგორ ჭამდა, მივხვდი, მუდმივად ნახევრად მშიერი იყო, სათანადოდ ვერ იკვებებოდა.

დაავიწყდა, რა მითხრა ცოტა ხნის წინ, თითქოს მისი ცოლი „სულ მალე, შესაძლოა, შემდეგ კვირას ჩამოვიდეს“. ახლა ამბობს, რომ „არ სურს ცეილონიდან არსად წასვლა, რადგან იქ მეტად ბედნიერია“. ამას განყენებულად ამბობს, საკუთარ ნათქვამს თითქოს გვერდიდან აყურადებს. ამ მომენტამდე ჩვენ საკმაოდ მხიარულად და მეგობრულად ვსაუბრობდით. მაგრამ ცოლის ხსენებამ რაღაც ახალი ნოტი შემოიტანა, მე ეს ვიგრძენი. წამდაუწუმ ცივ, დაკვირვებულ, მტრულ მზერას მესროდა. ეს მტრობა პირადად ჩემკენ არ ყოფილა მიმართული. დიდ ოთახში გადავედით. ოთახში ბოლთას სცემდა, თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული, თითქოს რაღაცას დაძაბული აყურადებსო, მა-

ლიმალ მესროდა მზერას, უპიროვნო, დაინტერესებულ მზერას. მერე ჩამოჯდა, მითხრა:

- ანა, რაღაცას მინდა მოგიყვე. არა, უბრალოდ იჯექი და მისმინე. მინდა რაღაც-რაღაცებს მოგიყვე და მინდა, უბრალოდ იჯდე და ისმინო, და არ ილაპარაკო.

ვიჯექი და ვუსმენდი, რაღაც მორჩილ, პასიურ მდგომარეობაში ჩავვარდი, რომელიც ახლა მაშინებს, რადგან ვიცი, რომ უნდა მეთქვა: „არა“, მაშინვე და ზუსტად იმწამს. რადგან ამ ყველაფერში აგრესიული მტრობა იგრძნობოდა, რომელიც პირადად ჩემთან სრულიად არ იყო დაკავშირებული. ჰაერი ამით ლამის გაჟღენთილიყო. დე სილვამ დაიწყო მოყოლა, განყენებულად, აუღელვებლად, ღიმილით, - ჩემს გამომეტყველებას აკვირდებოდა.

თურმე რამდენიმე დღის წინ დაბოლდა, მარიხუანა ბლომად მოწია. მერე ქუჩაში გავიდა სასეირნოდ და სადღაც მეიფერზე, - „შენ იცი, ანა, სიმდიდრისა და გარყვნილების ეს ატმოსფერო, უბრალოდ, გრძნობ ფულისა და გარყვნილების სუნს. ეს მიზიდავს. ზოგჯერ იქ ვსეირნობ, ვსუნთქავ ამ ჰაერს და ეს აღმაგზნებს“. ქუჩაში ვიღაც ქალიშვილი დაინახა, მივიდა და პირდაპირ უთხრა:

- ასე მგონია, ლამაზი ხარ, დაწვები ჩემთან?

მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო ასე მოქცევა, თუკი მთვრალი ან დაბოლილი გახლდათ.

- მართალი გითხრა, თავიდან ის ქალიშვილი მაინცდამაინც ლამაზად არ მომჩვენებია, მაგრამ ძალიან ლამაზად ეცვა და როგორც კი ვუთხარი ეს, ეგრევე ლამაზად მომეჩვენა. მარტივად მიპასუხა: „კი“.

ვკითხე, მეძავი იყო თუ არა. ცივი მოუთმენლობით მომიგო (თითქოს სწორედ ამ კითხვას ელოდა ჩემგან და კიდეც უნდოდა, რომ მეკითხა):

- არ ვიცი. ამას მნიშვნელობა არა აქვს.

გამაოგნა, როგორც მითხრა: „ამას მნიშვნელობა არა აქვს“. ცივად, ხისტად. ის მეუბნებოდა: „ეს ჩვენ არაფერში გვაინტერესებს, მე ჩემზე გიყვები“. მოკლედ, ქალიშვილმა უთხრა:

- მე მგონი, თქვენც ლამაზი ხარ და თქვენთან დაწოლა მინდა.

ის კი მართლაც საინტერესო გარეგნობის კაცია - წარმოსადეგი, ენერგიული, ძლიერი, ნაპატივები, მაგრამ მისი მომხიბლაობა ცივია. დე სილვამ უთხრა:

- რაღაც მინდა გავაკეთო. შენთან ურთიერთობა მექნება ისე, თითქოს გაგიჟებით მიყვარხარ. ოღონდ შენ არ უნდა მიპასუხო. შენ უბრალოდ უნდა მომცე და არავითარი ყურადღება არ მიაქციო იმას, რას ვამბობ. მპირდები?

მან სიცილით უპასუხა:

- კი, გპირდები.

დე სილვასთან წავიდნენ.

- ეს ყველაზე საინტერესო ღამე იყო ჩემს ცხოვრებაში, ანა. გეფიცები. გჯერა ჩემი, ანა? კი, უნდა დამიჯერო. რადგან ისე მეჭირა თავი, თითქოს შეყვარებული ვარ, თითქოს გაგიჟებით მიყვარს. მე თვითონაც კი დავიჯერე. რადგან - შენ უნდა გაიგო ეს, ანა, - მხოლოდ ერთი ღამით სიყვარული ყველაზე მშვენიერი რაღაც აღმოჩნდა, რაც კი შეიძლებოდა საერთოდ წარმომედგინა. მოკლედ, ვიმეორებდი, რომ მიყვარს, ისე ვიქცეოდი, როგორც სიგიჟემდე შეყვარებული კაცი. მაგრამ საქმეს ის აფუჭებდა, რომ თავის როლს წამდაუწუმ ივიწყებდა. ყოველ ათ წუთში ერთხელ სახის გამომეტყველება ეცვლებოდა და ყოველ ათ

წუთში ერთხელ ისე იწყებდა რეაგირებას, როგორც ქალი, რომელიც მართლა უყვართ. და მაშინ იძულებული ვხდებოდი თამაში შემეჩერებინა და მეთქვა: „არა, შენ მე სხვა რამეს დამპირდი. მე შენ მიყვარხარ, მაგრამ სინამდვილიში ასე არაა“. არადა, სინამდვილეში ასე იყო. იმ ღამით მართლა გაგიჟებით მიყვარდა. ასე ძლიერად არასოდეს ვყოფილვარ შეყვარებული. მაგრამ ის ყველაფერს აფუჭებდა იმით, რომ ჩემს სიყვარულს გამუდმებით პასუხობდა. და ამიტომ იძულებული გავხდი, გამეგდო, რადგან ისე იქცეოდა, როგორც თავდავიწყებით შეყვარებული ქალი.

- გაბრაზდა? - ვკითხე (რადგან ამ ყველაფრის მოსმენისას თვითონ გავბრაზდი და ვიცოდი, მასაც სწორედ ეს უნდოდა).

- კი, საშინლად გაბრაზდა. ლანძღვა დამიწყო, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. სადისტს მეძახდა, მეუბნებოდა, რომ უგულო ვარ, სასტიკი და ასე შემდეგ. მაგრამ ჩემთვის სულერთი იყო. ჩვენ მოვილაპარაკეთ, ის დამეთანხმა, მერე კი ყველაფერი გამიფუჭა. მინდოდა ცხოვრებაში ერთხელ მყვარებოდა ქალი იმის გარეშე, რომ მერე არ ვყოფილიყავი ვალდებული, სანაცვლოდ რაიმე მიმეცა. თუმცა ამ ყველაფერს მნიშვნელობა არა აქვს. ამას გიყვები იმიტომ, რომ მნიშვნელობა არა აქვს. ხვდები, ანა?

- მერე ერთხელ მაინც თუ შეხვდი?

- არა, რასაკვირველია, არა. იმ ქუჩაზე გავედი, საიდანაც ავიყვანე, თუმცა ვიცოდი, იქ ვერ ვიპოვიდი. იმედი მქონდა, მეძავია-მეთქი, თუმცა ვიცოდი, ასე არ იყო, თვითონაც მითხრა, არა ვარო. პატარა კაფეში მუშაობს. მითხრა, ძალიან მინდა ვინმე მიყვარდესო.

იმავე საღამოს კიდევ ერთი ისტორია მიამბო. ახლო მეგობარი ჰყავს, მხატვარი ბ., ცოლიანია, თუმცა ოჯახურ ცხოვრებაში

სექსუალური დაკმაყოფილება არასოდეს მიუღია (ზუსტად ასე თქვა: „ოჯახურ ცხოვრებაში სექსუალური დაკმაყოფილება არასოდეს მიუღია“, და სიტყვებმა „სექსუალური დაკმაყოფილება“ სამედიცინო ტერმინივით გაიჟღერა). ბ. სოფელში ცხოვრობს.

ერთი სოფლელი ქალი ყოველ დილას მიდის მათთან სახლის დასალაგებლად. უკვე ერთი წელია ბ. ჟიმავს, ანუ ყოველ დილით ყვარობს სამზარეულოს იატაკზე, სანამ ცოლი ზევით, საძინებელშია. დე სილვა სტუმრად ჩავიდა მასთან, მაგრამ მასპინძელი წასული აღმოჩნდა სადღაც დიდი ხნით, ისევე, როგორც მისი ცოლი. დე სილვა მათ სახლში დარჩა. ცხოვრობდა, მათ დაბრუნებას ელოდა, ის ქალი კი, ჩვეულებრივად, ყოველდღე სახლის დასალაგებლად მიდიოდა. ქალმა დე სილვას უამბო, რომ უკვე ერთი წელია ბ.-სთან წვება დილაობით, რომ უყვარს ბ. „თუმცა, იცის, რომ მისი ტოლი არაა და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ცოლი არაფერში ადგება“.

- განა ეს სახალისო არაა, ანა? ფრაზა, რომ ცოლი არაფერში ადგება, არაა ჩვენი ენა, ასე ჩვენი წრის ადამიანი არასოდეს იტყვის.

- სხვების მაგიერ ნუ ლაპარაკობ, - ვუთხარი.

მან კი თავი გვერდზე გადასწია და განაგრძო:

- არა, ეს მომეწონა, ამ სიტყვების სითბო. და, მოკლედ, მეც მივესიყვარულე. სამზარეულოში, იატაკზე, რაღაც თვითნაკეთ ფარდაგზე, იქ რომ აქვთ დაფენილი, ზუსტად ისე, როგორც ამას ბ. აკეთებს. მე ეს მომინდა, რადგან ბ.-ს უნდება. არ ვიცი, რატომ. და, რასაკვირველია, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მერე კი ბ.-ს ცოლი ჩამოვიდა. ჩამოვიდა, რათა სახლი ქმრის დაბრუნებისთვის მოემზადებინა. როცა დე სილვა დაინახა, ძალზე გაუხარდა. რადგან მისი ქმრის მეგობარია, ის კი „ცდილობს

ქმარს ყველაფერში ასიამოვნოს, ლოგინის გარდა, იმიტომ, რომ ლოგინში ქმარი არ ენაღვლება“. მთელი საღამო დე სილვა იმის გარკვევას ცდილობდა, იცოდა თუ არა, რომ მისი ქმარი დამლაგებელს ჟიმავდა.

- ბოლოს მივხვდი, რომ არ იცოდა და ამიტომაც ვუთხარი: „რა თქმა უნდა, თქვენი ქმრის რომანი დამლაგებელთან არაფერს ნიშნავს, ამაზე არ უნდა ინერვიულოთ“. ამის გაგონებაზე აფეთქდა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სიძულვილისა და ეჭვიანობისგან ჭკუიდან გადავიდა. ანა, შეგიძლია ამის წარმოდგენა? გაუჩერებლად იმეორებდა: „ყოველ დილას იმ ქალს ჟიმავს სამზარეულოს იატაკზე“. დაუსრულებლად იმეორებდა ამ ფრაზას: „იმ დროს ჟიმავს სამზარეულოში იატაკზე, როცა მე ზემოთ ვკითხულობ“.

და მაშინ კი დე სილვამ ყველაფერი გააკეთა, როგორც თვითონ თქვა, ბ.-ს ცოლი რომ დაემშვიდებინა, მერე კი ბ.-ც ჩამოვიდა.

- ბ.-ს მოვუყევი, რაც გავაკეთე და მაპატია. ცოლმა თქვა, გავეყრებიო. ვფიქრობ, მართლაც გაეყრება, რადგან დამლაგებელს ყვარობდა „სამზარეულოს იატაკზე“.

ვკითხე:

- რატომ გააკეთე ეს?

(როდესაც ვუსმენდი, რაღაც საოცრად ცივ, აპათიურ ძრწოლას ვგრძნობდი, ამით გამოწვეული პასიურობა დამეუფლა.)

- რატომ? რას მეკითხები? რა მნიშვნელობა აქვს? უბრალოდ მინდოდა მენახა, რა მოხდებოდა. ესაა და ეს.

თქვა და გაიღიმა. ღიმილი ბუნდოვნად მეცნო - მასში რაღაც ეშმაკობა, სიხარული, ინტერესი იგრძნობოდა. ვიცანი ეს ღიმილი - მასში ჩაქსოვილი იყო ჩემი სიზმრის არსი, ეს ჩემი სიზმრე-

ბის პერსონაჟის ღიმილი გახლდათ. გაქცევა მომინდა. თანაც გავიფიქრე: „ეს თვისება, ეს ინტელექტუალური „უბრალოდ მინდოდა მენახა, რა მოხდებოდა“, „მინდა ვნახო, მერე რა მოხდება“ - ეს ხომ ჰაერშია გამოკიდებული, ეს ხომ უამრავშია, ვინც ცხოვრების გზაზე გვხვდება, ეს ხომ თვით ჩვენი შემადგენელია. მეორე მხარეა ფრაზისა: „ეს სულერთია. ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს“, - იმ ფრაზისა, რომელიც ყველაფერში ჟღერს, რასაც კი დე სილვა ამბობს.

დე სილვამ და მე ღამე ერთად გავატარეთ. რატომ? იმიტომ, რომ ჩემთვის არაფერს არ ჰქონდა მნიშვნელობა. მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება ამას ჰქონოდა ჩემთვის, - თვით ასეთი შესაძლებლობა, უკუგდებულ იქნა, ძალზე შორს. ეს ეხებოდა იმ ანას, ნორმალური რომ იყო, სადღაც შორს, ჰორიზონტზე რომ დაბორიალებდა, თეთრ ქვიშაში. მე ვხედავდი მას, მაგრამ ახლოს მისვლა და შეხება არ შემეძლო.

ის ღამე ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო, ისევე, როგორც მისი დაინტერესებული და განყენებული ღიმილი. ცივი, თავის თავსა და თავის ფიქრებში ჩაკეტილი გახლდათ. ამას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, მისთვის სულერთი იყო. თუმცა დროდადრო უეცრად მორჩილი და სულმოკლე ხდებოდა ბავშვივით, დედა რომ ძალიან სჭირდება. ჩემთვის ეს კიდევ უარესი იყო, ვიდრე თავის თავში ცივი ჩაკეტილობა და ცნობისმოყვარეობა. და ჯიუტად ვფიქრობდი: „რასაკვირველია, ამას ის აკეთებს, მე კი არა. რადგან ასეთ რაღაცებს კაცები ქმნიან, ჩვენ გვქმნიან“. დილით, როცა გამახსენდა, როგორ ვებღაუჭებოდი ამ აზრს, საერთოდ, როგორ მუდმივად ვებღაუჭები, შემრცხვა, თავი ერთ გამოშტერებულ ქალად ვიგრძენი. რადგან... რადგან რატომ უნდა ყოფილიყო სინამდვილეში ასე?

დილით ვასაუზმე. ცივი და განყენებული ვიყავი. თითქოს ყველაფერი ძლიერმა, ცივმა ქარმა ამომწოვა. მეჩვენებოდა, რომ აღარც სიცოცხლე შემრჩა, აღარც სითბო. მეჩვენებოდა, რომ დე სილვამ ცხოვრება წამართვა. თუმცა უზადო კეთილგანწყობით ვსაუბრობდით. მის მიმართ მეგობრულ კეთილგანწყობასა და განყენებულობას ვგრძნობდი. გასვლისას მითხრა, დაგირეკავო, მე კი ვუპასუხე, აღარ დავწვები შენთან-მეთქი. გამომეტყველება წამსვე შეეცვალა, სახე გადაენგრა, სასტიკად გაღიზიანდა, და გავიფიქრე, რომ, ალბათ, ასეთი გამომეტყველება ჰქონდა იმ მომენტებში, როდესაც ის ქალიშვილი მის სიყვარულზე უეცრად რეაგირებას იწყებდა. ასე გამოიყურებოდა, როდესაც ქალიშვილი მის სიყვარულს პასუხობდა - ბოროტდებოდა, სასტიკად ღიზიანდებოდა. არადა, ამას არ მოველოდი. მერე კი დატკბილული განყენებულობის ნიღაბი დაიბრუნა. მკითხა:

- და რატომ არა?

ვუპასუხე:

- იმიტომ, რომ შენთვის სულერთია, წევხარ ჩემთან თუ არა.

მეგონა, მეტყოდა: „მაგრამ შენთვისაც ხომ სულერთია“, რასაც დავეთანხმებოდი, მაგრამ მოულოდნელად ის გულამაჩუყებელი, ბავშვური განწყობა დაეუფლა, ღამით დროდადრო რომ გამოსჭვიოდა, და მითხრა:

- არა, ჩემთვის არაა სულერთი, სულაც არაა სულერთი.

უკვე მზად იყო, მკერდში მჯიღი დაეცა, ნათქვამი რომ დაემტკიცებინა, გულისკენ შემართული, მომუშტული ხელი შუა გზაზე გაუშეშდა ჰაერში, დავინახე. და კვლავ იმ ჩემი ნისლოვანი სიზმრის ატმოსფერო ვიგრძენი, გრძნობათა უაზრობა, სიცარიელე.

ვუთხარი:

- არა, შენთვის სულერთია. თუმცა მეგობრებად დავრჩეთ.

იმავე წამს კიბეზე ჩასვლა დაიწყო, ჩემს სახლს ხმაამოუღებლად მოშორდა. იმ დღეს დამირეკა. საერთო ნაცნობებზე რამდენიმე სახალისო ამბავს მომიყვა ღვარძლიანად, გაბოროტებით. ვიცოდი, ამას კიდევ რაღაც მოჰყვებოდა, წინათგრძნობა მქონდა, თუმცა ვერც კი წარმოვიდგენდი, რას მთხოვდა. ბოლოს და ბოლოს, სასხვათაშორისოდ და თითქმის გულგრილად ჩაილაპარაკა:

- მინდა ერთი ადამიანი, რომელთანაც ვმეგობრობ, ღამით შენს ზედა ოთახში შეუშვა. აი, იმაში, შენი საძინებლის თავზე რომაა.

- მაგრამ ეს ხომ ჯენეტის ოთახია, - მივუგე. ვერაფრით ვხვდებოდი, რას მთხოვდა.

- ჯენეტი შეიძლება სხვა ოთახში გადაიყვანო დროებით, თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება ნებისმიერი ოთახი იყოს. ზემოთ. მას დღეს საღამოს მოვიყვან, ათი საათისთვის.

- შენ გინდა მეგობარი, უფრო სწორად, მეგობარი ქალი მოიყვანო, რომ ჩემთან გაათენოს ღამე? - ისე გამოვშტერდი, რომ ვერაფრით ვხვდებოდი, რას მეუბნებოდა. ვბრაზობდი, დიდი ხანია ყველაფერს უნდა მივმხვდარიყავი.

- დიახ, - სასხვათაშორისოდ თქვა. მერე კი, ცივი, განყენებული ხმით დასძინა, - ასეა თუ ისე, ნებისმიერ შემთხვევაში, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ტელეფონი გავთიშე.

ვიდექი ყურმილით ხელში. ვიდექი და ვფიქრობდი. მერე კი ჩემი გაბრაზება დამეხმარა, ყველაფერს მიმხვდარიყავი. დავურეკე და ვუთხარი:

- გინდა მითხრა, რომ ქალის მოყვანას აპირებ, რომ აქ მასთან ღამე გაატარო?

- კი. და ეს არაა ჩემი მეგობარი. სადგურზე მეძავის აყვანას და შენთან მოსვლას ვაპირებდი. მინდოდა შენი ოთახის თავზე გვეჟიმავა, შენ რომ ყველაფერი გაგეგო.

ხმა ვერ ამოვიღე. მერე მკითხა:

- ანა, მიბრაზდები?

ვუთხარი:

- შენ ეს აზრადაც კი არ მოგივიდოდა, ჩემი გაბრაზება რომ არ გინდოდეს.

აი, მაშინ კი პატარა ბავშვივით აყვირდა:

- ანა, ანა, ბოდიშს ვიხდი, მაპატიე!

სხვადასხვა ხმაზე წივილ-კივილსა და ზმუილს მოჰყვა. მგონი, იდგა და მეორე ხელით მკერდში მჯიღს იცემდა ან კედელს თავს ურტყამდა. ყოველ შემთხვევაში, ყრუ დარტყმების ხმა მესმოდა, რაც შეიძლება ერთიც ყოფილიყო და მეორეც. მშვენივრად ვხვდებოდი, რომ სწორედ ასე გეგმავდა თავიდანვე, იმავე წამიდან, როცა დამირეკა და მთხოვა, უფლება მიმეცა ჩემთან ქალი მოეყვანა. სწორედ ასე გეგმავდა საუბრის დასრულებას, გულში მჯიღის ცემით ან კედელზე თავის რტყმით, ამ ყველაფრის აზრი სწორედ ეს გახლდათ. ამიტომაც ყურმილი დავუკიდე.

მერე მისგან ორი წერილი მივიღე. პირველი - ცივი, თავხედური, ავისმოსურნე, მაგრამ, უპირველესად, უადგილო, წერილის შინაარსი არაფერთან არ იყო უშუალო კავშირში, ასეთი წერილი სრულიად განსხვავებული სიტუაციების შემდეგ შეიძლებოდა დაწერილიყო. სწორედ ეს გახლდათ ამ წერილის აზრი - მის ალოგიკურობაში. მერე კი, რამდენიმე დღის შემდეგ, მეორე წერილი მოვიდა. ბავშვის ისტერიკული ტირილი. მეორემ უფრო მომშალა, ვიდრე პირველმა.

დე სილვა ორჯერ დამესიზმრა. დამესიზმრა ის - ტკივილის მიყენებისგან მიღებული სიხარულის პრინციპი, რომელსაც ადამიანის სახე ჰქონდა მიღებული. სიზმარში ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ცხადში: მოღიმარი, ავისმოსურნე, განყენებული, დაინტერესებული.

გუშინ მოლიმ დამირეკა. ვიღაცამ მოუყვა, რომ დე სილვას ცოლი და ორი ბავშვი მიუგდია, ყოველგვარი საარსებო სახსრის გარეშე დაუტოვებია. მაშინ მისმა ოჯახმა, შეძლებულმა და წარჩინებულმა, დაიწყო მის ცოლ-შვილზე ზრუნვა. მოლიმ მითხრა:

- ამ ყველაფრის არსი ისაა, რომ ცოლი დაარწმუნა, გაეჩინათ მეორე შვილი, რომელიც არ უნდოდა, მხოლოდ იმისთვის, რომ ამით მაგრად დაება და თვითონ კი გათავისუფლებულიყო. მერე კი ინგლისში დაითესა, სადაც, ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ ჩემს მხარზე შეძლებდა ცრემლის შეშრობას. და მთელი საშინელება ისაა, ქალაქიდან გასული რომ არ ვყოფილიყავი იმ გადამწყვეტ მომენტში, ჩემს მხარს ამისთვის შევთავაზებდი, - ამ სიტუაციას, ასე ვთქვათ, თავიდან ბოლომდე ვჭამდი: უბედური სინგალელი ინტელექტუალი, რომელსაც ცოლ-შვილის რჩენის საშუალება არა აქვს, რომელიც იძულებული გახდა, ოჯახი დაეტოვებინა და თავის გასაყიდად წასულიყო ლონდონის ინტელექტუალურ ბაზარზე, სადაც ფასები გაცილებით მაღალია. რა შტერები ვართ, მარადიული, გამოუსწორებელი შტერები, და შეცდომებით ჭკუას ვერ ვსწავლობთ. მშვენივრად ვიცი, როდესაც ასეთი რამ კიდევ მოხდება, აღმოჩნდება, რომ არავითარი გაკვეთილი არ მიმიღია.

ქუჩაში შემეჩეხა ბ., რომელიც რამდენიმე ხნის წინ გავიცანი. ყავის დასალევად დავსხედით. დე სილვაზე თბილად ლაპარაკობდა. მითხრა, რომ დაარწმუნა მეტად „იზრუნოს ცოლზე“. ბ.-მ

თქვა, რომ მზადაა ყოველთვიურად მისი ოჯახის შესანახი ფულის ნახევარი აძლიოს, თუკი დე სილვა მეორე ნახევარს გადაიხდის.

- და რა, იხდის მეორე ნახევარს? - დამაინტერესა.

- არა, რასაკვირველია, არა, - ბ.-ს მომხიბლავ, ჭკვიან სახეზე ისეთი გამომეტყველება გამოჩნდა, თითქოს მხოლოდ დე სილვას ნაცვლად კი არ იხდიდა ბოდიშს, არამედ მთელი სამყაროს ნაცვლადაც.

- და სადაა ახლა დე სილვა? - ვკითხე და პასუხი წინასწარ ვიცოდი.

- ჩემს სოფელში აპირებს გადაბარგებას, ჩემს მეზობლად იცხოვრებს. იქ არის ქალი, რომლის მიმართაც ნაზი გრძნობა დაებადა. ეს ქალი ყოველდღე მოდის ჩემთან სახლის დასალაგებლად. მაინც განაგრძობს ჩვენთან სიარულს, რისი მოხარულიც ვარ. ძალიან კარგია.

- მეც მოხარული ვარ, - ვუთხარი.

- დიახ, დე სილვა ძალიან მიყვარს.

4

ანა და მოლი ტომიზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ. მარიონი გაეყრება რიჩარდს. ანა საკუთარ თავს ვეღარ ცნობს.

ანა რიჩარდსა და მოლის ელოდებოდა. საკმაოდ გვიან იყო, თერთმეტი ხდებოდა. მაღალჭერიანი, თეთრი ოთახის ფანჯრებზე ფარდები დახურული იყო, რვეულები - დამალული, სასმელებიანი და სენდვიჩებიანი ლანგარი სტუმრებისთვის - გამზადებული. ანა უმწეოდ გადაწოლილიყო სავარძელში, სრულიად გამოფიტულიყო სულიერად, ლამის აპათიაში ჩავარდნილი. ახლა აცნობიერებდა, რომ არავითარი კონტროლი არ გააჩნდა იმაზე, რაც გააკეთა. ცოტა ადრე, იმავე საღამოს, აივორის ოთახის ოდნავ შეღებულ კარში თვალი მოჰკრა რონის საშინაო ხალათში. როგორც ჩანს, ისევ შემოსახლდა და ახლა ორივე უნდა გაეგდო. ანამ თავი დაიჭირა ფიქრზე: „და რა მნიშვნელობა აქვს?“ მზად იყო, თვითონ და ჯენეტს აეკრათ გუდა-ნაბადი და წასულიყვნენ, ბინა აივორისა და რონისთვის დაეტოვებინა, ოღონდ კი სკანდალისთვის აერიდებინა თავი. ეს აზრი სიგიჟესთან ძალზე ახლოს რომ იდგა, არ აოცებდა, რადგან ანამ დაასკვნა, ალბათობა იმისა, რომ გაგიჟდა, საკმაოდ დიდი იყო. თავში რაც უნდა მოსვლო-

და, არ ახარებდა. ბოლო რამდენიმე დღე იყო, აკვირდებოდა აზრებსა და სახებებს, მის გონებაში რომ მიცურავდნენ და არანაირად არ იყვნენ მის ემოციებთან დაკავშირებული, და ვერ ცნობდა, საკუთრად ვერ მიიჩნევდა.

რიჩარდმა თქვა, მოლის თეატრიდან წამოვიყვანო, სადაც ახლა ის მშვენიერი თავქარიანი ქვრივის როლს თამაშობდა, რომელიც ცდილობს ოთხი პრეტენდენტიდან ახალი ქმარი ამოირჩიოს, არადა, ყოველი მათგანი წინაზე უფრო მიმზიდველია. უნდა მოითათბირონ. სამი კვირის წინ მარიონმა, რომელიც გვიანობამდე გააჩერა ტომიმ, ღამე ზედა ცარიელ ოთახში გაათენა, რომელშიც ადრე ანა და ჯენეტი ცხოვრობდნენ. მეორე დღეს ტომიმ დედას აცნობა, რომ მარიონს ლონდონში pied-a-terre სჭირდება. რა თქმა უნდა, მთლიანად გადაიხდის ქირის ფულს, თუმცა არ აპირებს ბინაში მუდმივად დარჩენას. იმ დღის მერე მარიონი საკუთარ სახლში მხოლოდ ერთხელ იყო, ბარგის წამოსაღებად მივიდა. ზედა სართულზე დასახლდა, რიჩარდი და შვილები, ფაქტობრივად, მიატოვა, უჩუმრად. თუმცა, როგორც ჩანს, თვითონ ამას ვერ აცნობიერებდა, რადგან ყოველ დილას მოლის სამზარეულოში ერთი და იგივე სცენა იმართებოდა, - მარიონი დარცხვენილი სახით შესძახებდა, ეს დიდი უსინდისობა და უმსგავსო საქციელია, როგორ მივეცი გუშინ თავს ასე დაგვიანების, ასეთი გულმავიწყობის გამოჩენის უფლება, მაგრამ დღეს კი აუცილებლად დავბრუნდები შინ და საქმეს მივხედავო. „კი, მართლა, მართლა, მოლი, სიტყვას გავძლევ“, თითქოს მოლი ის ადამიანი იყო, ვისთვისაც ანგარიში უნდა ჩაებარებინა. მოლიმ რიჩარდს დაურეკა და მოსთხოვა, რაღაც იღონეო. მაგრამ მან უარი უთხრა. ფორმალურად შინ მოსამსახურე ქალი მოიყვანა, თუმცა მისი მდივანი ჯინი იქ უკვე პრაქტიკულად დამ-

კვიდრებული გახლდათ. რიჩარდს მეტად უხაროდა, მარიონი რომ წავიდა.

მერე კიდევ რაღაც მოხდა. ტომი, რომელიც სახლიდან, ანუ საიმედო თავშესაფრიდან, არ გასულა მას მერე, რაც საავადმყოფოდან გამოწერეს, მარიონთან ერთად პოლიტიკურ მიტინგზე წავიდა, რომელიც აფრიკის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ეძღვნებოდა. მიტინგი ქუჩის სპონტანურ დემონსტრაციაში გადაიზარდა იმ აფრიკული ქვეყნის ლონდონურ შტაბბინასთან, რომელზეც საუბარი იყო. მარიონი და ტომი გაჰყვნენ ბრბოს, რომელიც ძირითადად სტუდენტებისგან შედგებოდა. პოლიციასთან შეტაკება მოხდა. ტომის არ ეჭირა თეთრი ხელჯოხი და არ ჰქონდა არანაირი ნიშანი, რომლითაც მიხვდებოდი, რომ უსინათლო იყო. მან არ „გაიარა“, როდესაც უბრძანეს და პოლიციამ დააკავა. მარიონი, რომელიც ბრბომ რამდენიმე წამით დააშორა ტომის, ისტერიული კივილით ეცა პოლიციელს. სხვა ოციოდე დემონსტრანტთან ერთად ისიც დააკავეს და პოლიციაში წაიყვანეს. მეორე დილას დააჯარიმეს. ეს ამბავი „ცნობილი ფინანსისტის ცოლის“ შესახებ პრესამ ფართოდ გააშუქა. ამჯერად რიჩარდმა თავად დაურეკა მოლის, მაგრამ უკვე მოლიმ უთხრა უარი დახმარებაზე. „მარიონის გულისთვის შენ თავს წამითაც არ შეიწუხებდი, მხოლოდ იმიტომ ანერვიულდი, რომ რეპორტიორები კვალს მიჰყვებიან და შეიძლება ჯინი გამოგიჩხრიკონ“. მერე კი რიჩარდმა ანას დაურეკა.

საუბრისას ანა თავის თავს თითქოს გვერდიდან უყურებდა: აი, დგას ყურმილით ხელში, სახეზე უღიმღამო ღიმილით, ამ დროს კი თვითონ და რიჩარდი ერთმანეთს ღვარძლიან, მტრულ რეპლიკებს ესროდნენ. ეჩვენებოდა, რომ ამ ყველაფერს თავის ნებით კი არ აკეთებდა, არამედ აიძულებდნენ; თითქოს ვერც

ერთ სიტყვას, რომელსაც თვითონ და რიჩარდი ამბობდნენ, სხვა სიტყვებით ვერ შეცვლიდნენ, თითქოს მთელი მათი საუბარი ორი შეშლილის უაზრო რეპლიკების გაცვლა-გამოცვლა იყო.

რიჩარდი წარმოუდგენლად გაბრაზებული გახლდათ.

- ეს აბსოლუტური ფარსია. თქვენი ინტრიგებია, თქვენ მოაწყვეთ იმისთვის, ოღონდ კი თქვენი გაიტანოთ როგორმე. ერთი წარმოიდგინე - აფრიკის დამოუკიდებლობა! სპონტანური დემონსტრაცია. თქვენ მარიონს კომუნისტები მიუქსიეთ, ის კი იმდენად მიამიტია, რომ არ შეუძლია კომუნისტის გარჩევა ვერც პირველი შეხედვით და ვერც მეორით. და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, სრულ ბრიყვად რომ გამომაჭენოთ შენ და მოლიმ.

- რასაკვირველია, ძვირფასო რიჩარდ, ყველაფრის თავიდათავი ეგაა.

- აი, თქვენი იუმორის ნიმუში: დიდი კომპანიის დირექტორის ცოლი „წითელი“ გახდა.

- ჰო, რასაკვირველია.

- მე ვიზრუნებ იმაზე, რომ ყველამ დაინახოს, სინამდვილეში რას წარმოადგენთ.

ანამ გაიფიქრა: „აი, რატომაა ეს ამდენად საშინელი - ჩვენ რომ ინგლისში არ ვცხოვრობდეთ, რიჩარდის რისხვის შედეგი ის იქნებოდა, რომ ადამიანები სამსახურს დაკარგავდნენ, ციხეში წავიდოდნენ, დახვრეტდნენ. აქ კი კაცი უბრალოდ ცუდ გუნებაზეა, მაგრამ ეს ისეთი საშინელი რაღაცის ანარეკლია. მე კიდევ, ვდგავარ და უბადრუკ, სარკასტულ ფრაზებს ვისვრი“.

ანამ სარკასტულად შენიშნა:

- ჩემო ძვირფასო რიჩარდ, არც მარიონი და არც ტომი მსგავსს არაფერს გეგმავდნენ. ისინი უბრალოდ ხალხის მასამ თან გაიყოლა.

- ხალხის მასამ გაიყოლა! იდიოტად გინდათ გამომიყვანოთ?

- ისე მოხდა, რომ მეც იქ აღმოვჩნდი. ნუთუ არ იცი, რომ ყველა დემონსტრაცია ამ, სპეციფიკურ ეტაპზე, ფაქტობრივად, სპონტანურად იმართება? კომპარტიამ ის კონტროლიც კი დაკარგა, რაც ახალგაზრდებზე ჰქონდა, ლეიბორისტები კი მეტისმეტად რესპექტაბელურები არიან იმისთვის, რომ მსგავსი რაღაცები მოაწყონ. აი, რა ხდება: ახალგაზრდების ჯგუფები გადიან ქუჩაში და გამოხატავენ თავიანთ აზრს აფრიკის, ომის და კიდევ რაიმეს შესახებ.

- უნდა მიმხვდარიყავი, რომ შენც იქ ბრძანდებოდი.

- სულაც არ იყო აუცილებელი, რადგან ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოხდა. თეატრიდან ვბრუნდებოდი, ქუჩაში სტუდენტების დიდი ჯგუფი შევნიშნე. ავტობუსიდან ჩამოვედი, რომ მენახა, რა ხდებოდა. და მხოლოდ გაზეთებიდან გავიგე, რომ მარიონი და ტომი იქ ყოფილან.

- მერე, რის გაკეთებას აპირებ?

- არაფრის გაკეთებას არ ვაპირებ. შენ უჩემოდაც შეგიძლია „ჩითელ საფრთხესთან“ გამკლავება.

ანამ ყურმილი დაუკიდა, თუმცა ხვდებოდა, რომ საქმე ჯერ არ დასრულებულიყო და სინამდვილეში რაღაცის გაკეთება მოუწევდა, რადგან ამას მოვლენების ლოგიკა აიძულებდა.

ცოტა ხანში მოლიმ დაურეკა, სასოწარკვეთილმა.

- ანა, ტომი უნდა მოინახულო, უნდა სცადო და გონზე მოიყვანო.

- შენ თვითონ თუ სცადე?

- ეგაა საოცარი, ვერც კი ვცადე. განუწყვეტლივ ვიმეორებ, რომ აღარ შემიძლია საკუთარ სახლში სტუმარივით ცხოვრება, იმ დროს, როცა მარიონი და ტომი მას ეპატრონებიან. ვითომ რატომ უნდა ვითმინო? მაგრამ მერე რაღაც უცნაური ხდება, - მე ძალისძალად ვიქმნი განწყობას, რომ მივიდე და დაველაპარაკო, პირდაპირ თვალებში ჩავხედო, მაგრამ შეუძლებელია მარიონს პირდაპირ თვალებში ჩახედო, ის თითქოს არც კი არის იქ. და თავს ვიჭერ იმაზე, რომ ვფიქრობ: „რა მოხდა? რატომაც არა, რო? რა მნიშვნელობა აქვს? ვისი რა საქმეა?“ და, ჩემდა საუბედუროდ, მხრებს ვიჩეჩ. თეატრიდან ვბრუნდები საკუთარ სახლში და ფეხაკრეფით ავდივარ ჩემს ოთახში, მარიონი და ტომი რომ არ შევაწუხო და დამნაშავედაც კი ვგრძნობ თავს, საერთოდ რომ მივედი. გესმის?

- კი, სამწუხაროდ, მესმის.

- ჰო. მაგრამ, აი, რა მაშინებს, - თუ შექმნილ სიტუაციას უბრალოდ სიტყვით აღვწერ ისე, როგორც არის, - იცით, ჩემი ქმრის მეორე ცოლი ჩამისახლდა სახლში, რადგან ცხოვრება ვერ წარმოუდგენია ჩემი შვილის გარეშე და ასე შემდეგ, - ეს უბრალოდ საოცარი კი არაა, არამედ... თუმცა, რასაკვირველია, ეს ყველაფერი არაფერია. იცი, ანა, გუშინ რაზე ვფიქრობდი? ჩუმად ვიჯექი ზემოთ, ოღონდ კი მარიონი და ტომი არ შემეწუხებინა, და ვფიქრობდი, რომ უბრალოდ ჩანთა უნდა ჩავალაგო და წავიდე სადმე, სადაც კი გზა მიმიყვანს, ეს ყველაფერი დავუტოვო. და კიდევ ვფიქრობდი, რომ ჩვენი შემდგომი თაობისთვის საკმარისი იქნება ერთხელ შემოგვხედოს, რომ დაქორწინება თვრამეტი წლის ასაკში გადაწყვიტოს, გაყრა აკრძალოს, დაიწყოს ბრძოლა მკაცრი მორალური კოდექსისთვის და ასე შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქაოსი დაისადგურებს, ისეთი საშინელი,

რომ... - აქ მოლის ხმა აუკანკალდა და სასწრაფოდ დაასრულა, - ანა, ძალიან, გთხოვ, ინახულე, ეს უნდა გააკეთო, რადგან მე თვითონ საერთოდ ვერაფერს ვაკეთებ.

ანამ პალტო ჩაიცვა, ხელჩანთა აიღო, მოემზადა რაღაცის „გასაკეთებლად“. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა უნდა ეთქვა, ისიც კი არ იცოდა, თვითონ რას ფიქრობდა ამ ყველაფერზე. ოთახის შუაგულში იდგა, ცარიელი, ქაღალდის პაკეტივით, მზად იყო, მისულიყო მარიონსა და ტომისთან და ეთქვა, მაგრამ რა? რიჩარდზე დაიწყო ფიქრი, მის ჩვეულ ჯიუტ მრისხანებაზე; მოლიზე, რომლის მთელი გამბედაობა, უმწეობის ცრემლებად და შველის ხვეწნა-მუდარად რომ გადაიქცა; მარიონზე, რომელმაც გაიარა ტკივილი და ამ ტკივილისგან ცივი ისტერიით გამოვიდა; ტომიზე - მაგრამ მხოლოდ მისი სახის წარმოდგენა მოახერხა, უსინათლო და ჯიუტი სახის; გრძნობდა ძალას, ტომისგან რომ მოდიოდა, თუმცა ამ ძალას სახელი ვერ მოუძებნა.

უეცრად ჩაიხითხითა. ანას ეს ხითხითი ადრეც გაეგონა: დიახ, ზუსტად ასე ხითხითებდა ტომი იმ საღამოს, როცა ჩემთან მოვიდა, სანამ თავის მოკვლას შეეცდებოდა. და უცნაურია, წინათ ასე არასოდეს გამიცინია.

რა დაემართა იმ ადამიანს, ტომის შიგნით, ასე რომ ხითხითებდა? ის გაქრა - ასე მგონია, ის ტომიმ მოკლა, როცა ტყვიამ მის თავში გაიარა. რა საოცარია, რომ მეც ასე უაზროდ, ამაზრზენად ჩავიცინე. რას ვეტყვი ტომის? ვერც კი გამიგია, საერთოდ რა ხდება. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? უნდა მივიდე მარიონსა და ტომისთან და ვუთხრა: შეწყვიტეთ თავის მოკატუნება, რომ აფრიკის პრობლემები გაწუხებთ, ორივემ მშვენივრად იცით, რომ ეს სისულელეა?

ანამ ისევ ჩაიცინა, ამ სიტყვების უაზრობამ გაამხიარულა.

და რას იტყოდა ტომ მატლონგი? წარმოიდგინა, როგორ ზის ტომ მატლონგის წინ კაფეში და მარიონსა და ტომიზე ელაპარაკება. ის მოუსმენდა და ეტყოდა: „ანა, მეუბნები, რომ ამ ორმა აფრიკის გათავისუფლებისთვის ბრძოლა გადაწყვიტა. და რატომ უნდა მაღელვებდეს ის მოტივები, მათ რომ ამოძრავებს?“ მერე კი გაიცინებდა. დიახ, ანამ გაიგონა ეს სიცილი: ღრმა, სისხლსავსე, მისი არსების წიაღიდან ამომავალი. მერე თავს გააქნევდა და იტყოდა: „ჩემო ძვირფასო ანა, ნეტავი შენი პრობლემები მომცა“.

ანამ გაიგონა მისი სიცილი: თავი უკეთესად იგრძნო. სასწრაფოდ მოძებნა რაღაც ქაღალდები (ტომ მატლონგზე როცა ფიქრობდა, მაშინ გაახსენდა), ხელჩანთაში ჩატენა, ქუჩაში გავარდა და მოლის სახლისკენ სირბილით წავიდა. გზად ფიქრობდა დემონსტრაციაზე, რომლის დროსაც მარიონი და ტომი დააკავეს. ის დემონსტრაცია სრულიად არ ჰგავდა ძველი დროის კომუნისტური პარტიის მოწესრიგებულ პოლიტიკურ დემონსტრაციას, არ ჰგავდა ლეიბორისტების მიტინგსაც. არა, ის მოძრავი და არასტაბილური, ექსპერიმენტული იყო, - ადამიანები რაღაცას აკეთებდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რატომ. ახალგაზრდების ნაკადი ქუჩაში გადმოიღვარა, აფრიკული ქვეყნის შტაბბინისკენ წყალივით წავიდა. მას არავინ მართავდა, არავინ აკონტროლებდა. მერე ადამიანების ნაკადი შენობის გარშემო გაიშალა, აღელდა, ადამიანები ლოზუნგებს რაღაც არადამაჯერებლად გაჰყვიროდნენ, თითქოს თვითონვე აყურადებდნენ, როგორ ჟღერდა. მერე მოვიდა პოლიცია. პოლიციელებიც თავდაუჯერებლად ირჯებოდნენ, თითქოსდა ყოყმანით. არ იცოდნენ, რისი მოლოდინი ჰქონოდათ. ანა გვერდზე იდგა და უყურებდა ადამიანების მშფოთვარე, ცვალებად მოძრაობას, - დემონსტრანტე-

ბისაც და პოლიციელებისაც, - და ამაში რაღაც შინაგანი მონახაზი თუ მოტივი იკითხებოდა. დაახლოებით თორმეტიოდე ან ოციოდე ახალგაზრდა კაცი, ყველა ერთი გამომეტყველებით - შემართული, მკაცრი, მიზანდასახული - ისე მოძრაობდა, რომ პოლიცია განზრახ გაეღიზიანებინა და მისი პროვოცირება გამოეწვია. პოლიციელს ეჯახებოდნენ ან გვერდით ჩაურბენდნენ, მაგრამ ისე ახლოს, რომ ჩაფხუტი ლამის გვერდზე გადავარდნოდა, ან მხარში, იდაყვქვეშ ოდნავ უჯიკავებდნენ, ვითომ შემთხვევით. მანევრირებდნენ, იმალებოდნენ, მერე ისევ ბრუნდებოდნენ. პოლიციელები ახალგაზრდების ამ ჯგუფის მოქმედებას თვალყურს ადევნებდნენ. ყველანი დააკავეს სათითაოდ, რადგან ისე იქცეოდნენ, რომ პოლიციას სხვა არაფერი დარჩენოდა.

დაკავებისას ყოველი მათგანის სახეზე კმაყოფილება, ჩანაფიქრის ხორცშესხმისგან მიღებული სიხარული აღიბეჭდებოდა. ყოველ ჯერზე ეს მოკლე, ინდივიდუალური შეტაკებით მთავრდებოდა, პოლიციელები ისე ულმობლად მოქმედებდნენ, რამდენადაც კი შეეძლოთ ამის უფლება მიეცათ თავისთვის, უეცრად გამომეტყველება სასტიკი უხდებოდათ.

ამ დროს დანარჩენი სტუდენტები, ისინი კი გაცილებით მეტნი იყვნენ, ვინც იქ იმისთვის კი არ მივიდა, რომ დაეკმაყოფილებინა პიროვნული მოთხოვნილება, გამოეწვია ხელისუფლება და მიეღო სასჯელი, ლოზუნგების წამღერებით სკანდირებას აგრძელებდნენ, ამოწმებდნენ, როგორ ჟღერდა მათი პოლიტიკური ხმა. მათი ურთიერთობა პოლიციასთან სრულიად სხვა ხასიათისა გახლდათ, პოლიციასა და მათ შორის არ ყოფილა არანაირი პიროვნული კონტაქტი, ერთმანეთს არ ეხებოდნენ.

და როგორი გამომეტყველება ჰქონდა ტომის დაკავებისას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ანას მისი დანახვა სულაც არ სჭირდებოდა.

როდესაც მისი ოთახის კარი შეაღო, ტომი მარტო იყო. ტომიმ უმალ იკითხა:

- ანა ხარ?

ანამ თავი შეიკავა, რომ არ ეკითხა: „როგორ მიხვდი?“ - ნაცვლად ამისა, ჰკითხა:

- მარიონი სადაა?

ტომიმ დაძაბული, დაეჭვებული ხმით მიუგო:

- ზევითაა.

ხმამაღლა კი შეეძლო დაემატებინა: „არ მინდა, რომ შეხვდე“.

ტომი მიაჩერდა, შავი, ცარიელი თვალები მიაპყრო, თითქმის ისე მოახდინა ანაზე ფოკუსირება, მან ლამის გაშიშვლებულად, ყველას წინაშე გამოჭენებულად იგრძნო თავი, იმდენად მძიმე იყო მისი ბნელი მზერა. თუმცა ის მაინც არ ყოფილა ზუსტად მისკენ მიმართული, ანა, რომელსაც უკრძალავდა, რომელსაც აფრთხილებდა, ოდნავ მარცხნივ იდგა. ანამ თითქმის ისტერიკულად გაიფიქრა, რომ ტომი თითქოსდა აიძულებდა მარჯვნივ გაწეულიყო, მისი მზერის, - ანდა მისი სიბრმავის - სამიზნეში მოხვედრილიყო. ანამ თქვა:

- მე ზევით ავალ... არა, არ გინდა, ნუ შეწუხდები.

ეს თქვა, რადგან ტომი მის შესაჩერებლად წამოიწია, ანამ კარი მიხურა და სასწრაფოდ ზევით ასვლა დაიწყო, იმ ოთახში, რომელშიც თვითონ და ჯენეტი ცხოვრობდნენ წინათ. ფიქრობდა, ტომის იმიტომ გამოვექცი, რომ მასთან კონტაქტი აღარა მაქვს, არ ვიცი, რა ვუთხრაო. ახლა კი მიდიოდა მარიონთან, რომლისთვისაც ასევე არ იცოდა, რა ეთქვა.

კიბე ვიწრო და ჩაბნელებული იყო. ანა სიბნელის ჭიდან ამოვიდა და ერთი ბეწო, თეთრ, ახალშეღებილ კიბის უჯრედზე აღმოჩნდა. შეღებულ კარში მარიონი დაინახა, გაზეთს ჩაჰყურებდა თავდახრილი. ანას მხიარული, ზედაპირული ღიმილით შეეგება.

- შეხედე! - საზეიმოდ შესძახა და სტუმარს გაზეთი ხელში შეაჩეჩა. იქ მარიონის ფოტო, ქვეშ კი წარწერა იყო: „უბედურ აფრიკელებს საძაგლად ექცევიან“. და ასე შემდეგ აშკარად მტრული კომენტარი მოდიოდა, თუმცა მარიონი, როგორც ჩანს, ამას ვერ ხვდებოდა. ანას ზურგს უკან იდგა და ისე კითხულობდა გაზეთს, მხარს ზემოდან დაჰყურებდა, იღიმებოდა, მსუბუქად, მხიარულად ჰკრავდა ანას ხელს ზურგში, დანაშაულით გამოწვეული აღტაცებისგან ლამის აცეკვებულიყო.

- დედაჩემი და ჩემი დები გაცოფდნენ, უბრალოდ ჭკუიდან გადავიდნენ.

- წარმომიდგენია, - ცივად ჩაილაპარაკა ანამ.

თავის სუსტი, ხისტი, კრიტიკული ხმა გაიგონა, დაინახა, როგორ დაიმანჭა მარიონი და შეეცადა ყურადღება არ მიექცია. ანა იჯდა თეთრ ქსოვილგადაფარებულ სავარძელში. მარიონი საწოლზე ჩამოჯდა. იჯდა ეს თავგზააბნეული და ლამაზი მატრონა მაგარ გოგოსავით და ანას ბავშვური უშუალობით, კეკლუცად შეჰყურებდა.

ანა ფიქრობდა: „აქ ეტყობა იმისთვის ვარ, რომ მარიონმა რეალობას პირისპირ შეხედოს. მაგრამ როგორია მისი რეალობა? ალკოჰოლით შეფერადებული საზარელი პატიოსნება. და რატომ არ შეიძლება ასეთი იყოს, სიცოცხლის ბოლომდე გააგრძელოს ხითხითი, პოლიციელებისთვის ჩაფხუტების ჩამოგდება და ტომისთან ერთად შეთქმულებისთვის გეგმების დაწყობა?“

- ძალიან სასიამოვნოა შენი ნახვა, ანა, - უთხრა მარიონმა, მას მერე, რაც დაელოდა, რამეს ეტყოდა თუ არა, - გინდა ჩაი?

- არა, - მოუჭრა ანამ. ძალის მოკრება სცადა.

თუმცა უკვე გვიან იყო. მარიონი უკვე გავარდა ოთახიდან და კედელს მიღმა, პატარა სამზარეულოში დაიწყო ფაციფუცი. ანა შეჰყვა.

- რა მშვენიერი ბინაა, როგორ მომწონს, როგორ გაგიმართლა, რომ აქ ცხოვრობდი, შენს ადგილას რომ ვყოფილიყავი, აქედან არაფრისდიდებით არ წავიდოდი.

ანამ მიმოიხედა: მშვენიერი პატარა ბინა, დაბალი ჭერი, კოხტა, წკრიალა ფანჯრები. გარშემო ყველაფერი თეთრია, კაშკაშა, ახალი. ყველაფერი, რასაც ხედავდა, მასში ტკივილს იწვევდა, რადგან ამ პატარა ოთახებში ინახებოდა მისი და მაიკლის სიყვარული, ჯენეტის ბავშვობის ოთხი წელი, მზარდი მეგობრობა მოლისთან. ანა კედელს მიჰყუდებოდა და მარიონს შეჰყურებდა, რომელიც მკვირცხლი, სტუმართმოყვარე დიასახლისის როლს თამაშობდა, ამის მიღმა კი საზარელი შიში იმალებოდა, რომ ანა შინ გაგზავნიდა, ამ ქათქათა თავშესაფრიდან, სადაც პასუხისმგებლობას გამოექცა.

ანა გამოითიშა; რაღაც ჩაკვდა მასში ან რეალობას მოსწყდა. ცარიელ ნიჟარას დაემსგავსა. იდგა და ისეთ სიტყვებს იხსენებდა, როგორიცაა მეგობრობა, სიყვარული, პასუხისმგებლობა და მოვალეობა და ხვდებოდა, ეს ყველაფერი სიცრუე იყო. უნებურად გააჟრჟოლა. მარიონმა ეს შენიშნა და მის სახეზე ნამდვილი, დაუფარავი ძრწოლა გამოისახა. უთხრა: „ანა!“ - ეს ნამდვილი ვედრება იყო.

ანამ მარიონს ისეთი ღიმილით შეხედა, რომელიც იცოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი ღიმილი იყო და გაიფიქ-

რა: „თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“. ოთახში დაბრუნდა და ჩამოჯდა, სრულიად გამოფიტული.

ცოტა ხანში მარიონიც შემოვიდა და ლანგრით ჩაი შემოიტანა. დამნაშავესავით გამოიყურებოდა და თან, კადნიერი გამომეტყველება ჰქონდა, რადგან იმ, მეორე ანას წინაშე უნდა წარმდგარყო. ერთი ფორიაქი ატეხა ჩაის კოვზებით, ფინჯნებით, ანასგან თავი რომ დაეფარა, არადა, ანა იქ არც იყო; მერე ამოიოხრა, ლანგარი გვერდზე გასწია, გამომეტყველება შეეცვალა, დაურბილდა.

ჩაილაპარაკა:

- ვიცი, რომ რიჩარდმა და მოლიმ გთხოვეს აქ მოსვლა და ჩემთან დალაპარაკება.

ანა ისევ მდუმარედ იჯდა. გრძნობდა, რომ, აი, ასე უხმოდ იჯდება აქ უსასრულოდ. მერე კი მიხვდა, რომ მალე ალაპარაკდება. უცებ გაიფიქრა: „საინტერესოა, რის თქმას ვაპირებ? და კიდევ უფრო საინტერესოა, ვინაა ის ადამიანი, რომელიც ილაპარაკებს. რა საოცარია, ასე იჯდე და ელოდო, სანამ ხმას ამოიღებს, თან რომ გინდა, გაიგო, რას იტყვის“.

თითქოს ძილ-ბურანშიაო, ისე თქვა:

- მარიონ, გახსოვს მისტერ მატლონგი (გაიფიქრა: „თურმე ტომ მატლონგზე ვაპირებ ლაპარაკს, რა საოცარია“)?

- ეგ ვინაა, მისტერ მატლონგი?

- აფრიკელთა მოძრაობის წინამძღოლი. მახსოვს, ჩემთან მოხვედი მისი საკითხის გამო.

- ა, ჰო, უბრალოდ მისი სახელი წამით გადამავიწყდა.

- ამ დილას მასზე ვფიქრობდი.

- მართლა? მერე?

- კი. ვფიქრობდი (ანას ხმა კვლავაც მშვიდი და განყენებული ჰქონდა. თავის ხმას აყურადებდა).

მარიონის მზერამ მეტი აზრი შეიძინა და ახლა აშკარად გამოჩნდა, რომ იტანჯებოდა. თმის კულულს ქაჩავდა, თითზე იხვევდა.

- ორი წლის წინ, აქ რომ იყო, საშინელ დღეში ჩავარდა. თვეების განმავლობაში ცდილობდა კოლონიების საკითხების მდივანს შეხვედროდა, მას კი ამცირებდნენ და უგულისყუროდ ექცეოდნენ. და მატლონგი არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ მალე ციხეში აღმოჩნდებოდა. მარიონ, ის ძალიან ჭკვიანი კაცია.

- კი, დარწმუნებული ვარ, რომ ასეცაა.

მარიონმა ანას გაუღიმა, ეს წამიერი, უნებლიე ღიმილი იყო, თითქოს მარიონი ანას ეუბნებოდა: „კი, შენც ძალიან ჭკვიანი ხარ და ვხვდები, რისი თქმაც გინდა“.

- კვირას დამირეკა და მითხრა, გადავიღალე, დასვენება მჭირდებაო. და, აი, სამდინარო გემით გრინვიჩში წავედით. უკანა გზობაზე სულ ჩუმად იყო. იჯდა და იღიმებოდა. ნაპირს გაჰყურებდა. ხომ იცი, მარიონ, ძალზე შთამბეჭდავი სანახაობაა, გრინვიჩიდან როცა ბრუნდები, ლონდონის ვეება მასა, შენ წინ რომ წამოიმართება. საგრაფოების საბჭოს შენობა? და უზარმაზარი საწარმოები. ნავმისადგომები, დოკები, გემები. მერე კი - ვესტმინსტერი... (ანა ხმადაბლა, ჩუმად ლაპარაკობდა, კვლავაც აინტერესებდა, მერე რას იტყოდა თვითონ). იქ საუკუნეებია, არაფერი შეცვლილა. ვკითხე, რაზე ფიქრობდა. თქვა: „მე ვერ გამტეხეს თეთრკანიანმა კოლონისტებმა. ვერ გამტეხა ციხემ, როცა ბოლოს ვიჯექი - ისტორიული პროცესი ჩვენი ხალხის მხარეზეა. მაგრამ დღეს ვგრძნობ, რომ ბრიტანეთის იმპერიის მთე-

ლი სიმძიმე საფლავის ქვასავით მაწევს გულზე. გესმის, რამდენი თაობა უნდა შეიცვალოს, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოება, სადაც ავტობუსები განრიგით იმოძრავებენ? სადაც საქმიან წერილებს დროზე და არსებითად უპასუხებენ? სადაც ენდობი შენს მინისტრებს და იცი, რომ ქრთამს არ აიღებენ?“ ვესტმინსტერის გვერდით მივცურავდით და მახსოვს, გავიფიქრე, რომ იქ მსხდომ პოლიტიკოსთაგან ცოტას თუ აქვს მისი პიროვნული ღირსებების ნახევარიც კი, რადგან, მარიონ, შეიძლება ითქვას, რომ წმინდანია.

ანას ხმამ უმტყუნა. ანამ ეს შენიშნა და გაიფიქრა: „ახლა კი ვიცი, რა ხდება. ისტერიკა მაქვს. პირდაპირ მარიონისა და ტომის ისტერიაში ჩავეშვი. საერთოდ ვერ ვაკონტროლებ, რას ვაკეთებ“. გაიფიქრა: „მე ვიხმარე ისეთი სიტყვა, როგორიცაა „წმინდანი“. ნორმალურ მდგომარეობაში მას არასოდეს ვამბობ. არც კი ვიცი, რას აღნიშნავს“. ისევ ალაპარაკდა, მაგრამ ამჯერად უფრო ხმამაღლა, საკმაოდ ხისტად:

- კი, წმინდანია. ასკეტური, ნევროზული კი არა. ვუთხარი, ძალიან სამწუხაროა, თუკი აფრიკის დამოუკიდებლობა პუნქტუალურად მოძრავ ავტობუსებსა და აკურატულად დაბეჭდილ საქმიან წერილებზე შეიძლება დავიყვანოთ-მეთქი. მითხრა, სამწუხაროა, მაგრამ შესაძლოა სწორედ ასეთი რაღაცით შეაფასონ მომავალში ჩემი ქვეყანაო.

ანა ატირდა. იჯდა და ტიროდა და აკვირდებოდა იმას, თუ როგორ ტიროდა.

მარიონი წინ გადაიწია - გაფართოებული, ანთებული თვალებით უყურებდა ანას, სახეზე ინტერესი, გაოცება ეწერა, რომელიც ეჭვიან განცვიფრებაში გადადიოდა. ანამ თავს ძალა დაატანა, ტირილი შეწყვიტა და განაგრძო:

- ვესტმინსტერთან ჩამოვედით. პარლამენტს ჩავუარეთ. მითხრა (ალბათ, იმ წვრილფეხა პოლიტიკოსებზე ფიქრობდა, იქ რომ ისხდნენ): „მე საერთოდაც არ უნდა გავმხდარიყავი პოლიტიკოსი. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ყველა ყაიდის ხალხი გხვდება, უმეტესად, შემთხვევითი, ისინი ფოთლებს ჰგვანან, ქარბორბალა რომ ატრიალებს“. მერე ცოტა ხანს იფიქრა ნათქვამზე და დაუმატა: „მგონი, არსებობს არცთუ მცირე შესაძლებლობა იმისა, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ისევ ციხეში აღმოვჩნდე. რევოლუციის პირველ წლებს ჩემი პიროვნული წყობით არ შევეფერები. მე ვერ ვგრძნობ თავს კარგად, როცა ფართო მასებისთვის ცხადი და გასაგები სიტყვა უნდა ვთქვა. გაცილებით უკეთესად ვგრძნობ თავს, როდესაც ანალიტიკურ სტატიას ვწერ“. მერე სადღაც შევედით, ჩაი რომ დაგველია და მითხრა: „ასეა თუ ისე, მე მზად ვარ იმისთვის, რომ ცხოვრების უმეტეს ნაწილს ციხეში გავატარებ“. აი, რა მითხრა.

ანას ხმა ისევ გაებზარა. გაიფიქრა: „ღმერთო ჩემო! ამ ოთახში რომ ვიჯდე და გვერდიდან ვუყურებდე ამ ყველაფერს, სენტიმენტებისგან გული ამერეოდა. მე თვითონ მივიყვანე ჩემი თავი გულისრევამდე“. ხმამაღლა კი თქვა:

- რასაც იგი იცავს, ჩვენ არ უნდა გავაიაფოთ.

გაიფიქრა: „სწორედაც მე თვითონ ვაიაფებ ყველაფერს, რასაც იგი იცავს, ყოველი ჩემი სიტყვით“.

მარიონმა თქვა:

- მშვენივრად ლაპარაკობს, მაგრამ ყველანი ეგეთები ვერ იქნებიან.

- რასაკვირველია, ვერ იქნებიან. ერთი მეგობარი ჰყავს: მაგარი გაბღენძილი, მედიდური, ყველას უჩიჩხინებს, ბევრს სვამს, ბოზებში დაეთრევა. ალბათ, მათი პირველი პრემიერ-მინისტრი

გახდება, საამისოდ ყველა თვისება აქვს. ისეთია, იცი, ძალიან ნაღდი, შენიანი, გამტანი.

მარიონმა გაიცინა. ანამაც გაიცინა. სიცილი მეტისმეტად ხმამაღალი და უკონტროლო გამოუვიდათ.

- არის კიდევ ერთი, - გააგრძელა ანამ („ვინ? - გაიფიქრა. ჩარლი ტემბაზე ხომ არ დავუწყებ ლაპარაკს?“) - პროფკავშირული ლიდერია. ჩარლი ტემბა ჰქვია. შმაგი, ვნებიანი, ჩხუბისთავი და ერთგული კაცია. და... და... ცოტა ხნის წინ ჩავარდნა მოუვიდა.

- ჩავარდნა? - უეცრად იკითხა მარიონმა, - რას გულისხმობ?

ანამ გაიფიქრა: „კი, მთელი ამ დროის განმავლობაში მე სწორედ ჩარლი ტემბაზე ვაპირებდი ლაპარაკს. შესაძლოა, მართლა აქეთ მიმყავდა საუბარი“.

- მოკლედ, ჩავარდნა მოუვიდა. მაგრამ, მარიონ, იცი, რა არის უცნაური, რომ თავიდან ვერავინ ხვდებოდა, რომ რაღაც განსაკუთრებული სჭირდა. რადგან იქ პოლიტიკოსები ყველანი შმაგები არიან, ყველაზე ეჭვიანობენ, არავის ენდობიან, გაბოროტებულები არიან, ინტრიგებს ხლართავენ. ეს ყველაფერი ელისაბედის დროინდელ ინგლისს მოგაგონებს.

ანა დადუმდა. მარიონს აღელვებისგან შუბლი შეეჭმუხნა.

- მარიონ, იცი, ძალიან გაბრაზებული ჩანხარ.

- გაბრაზებული?

- დიახ, რადგან ერთია, როცა მათზე ფიქრობ, საწყლებიო, და სრულიად სხვა, როდესაც დაუშვებ, რომ აფრიკელი პოლიტიკოსები შეიძლება რაღაცით მაინც ჰგავდნენ ინგლისელებს, თუნდაც შორეული წარსულიდან.

მარიონი გაწითლდა, მერე კი გაიცინა.

- განაგრძე მოყოლა, - უთხრა.

- ჰოდა, ჩარლიმ დაუწყო ბრძოლა ტომ მატლონგს, რომელიც მისი უახლოესი მეგობარი იყო, მერე კი სხვა მეგობრებს, აბრალებდა, თითქოს შეთქმულებას უწყობდნენ და ინტრიგებს ხლართავდნენ. მერე ბოღმიანი წერილების წერა დაიწყო და ჩემნაირ ადამიანებს უგზავნიდა აქ. თავიდან ვერ მივხვდით იმას, რაც უმალ უნდა შეგვენიშნა. მერე კი უეცრად ეს წერილი მოვიდა, თან წამოვიღე. გინდა ნახო?

მარიონმა ხელი გაიშვირა. ანამ ბარათი ხელში ჩაუდო. ანამ გაიფიქრა: „როდესაც წერილი ხელჩანთაში ჩავიდე, ვერ ვაცნობიერებდი, რატომ გავაკეთე ეს“... წერილი ასლგადამღები ქაღალდით იყო გამრავლებული. რამდენიმე ადამიანს ერთდროულად გაუგზავნა. „ძვირფასო ანა“, ეწერა ზემოდან, ცუდად გათლილი ფანქრით.

„ძვირფასო ანა, ბოლო წერილში მოგიყევი ინტრიგებზე, ჩემს წინააღმდეგ რომ ხლართავენ და მტრებზე, ვისაც ჩემი მოკვლა უნდათ. ჩემი ყოფილი მეგობრები ამიჯანყდნენ, ჩემს ტერიტორიაზე ხალხს არწმუნებენ, ვითომც კონგრესის და მათი მტერი ვარ. ამ დროს, მე ვავადობ და გთხოვ, გამომიგზავნო ჯანსაღი საკვები, რადგან მეშინია, არ მომწამლონ. ავად ვარ, რადგან ჩემს ცოლს, როგორც აღმოჩნდა, პოლიცია და თვით გუბერნატორი უხდიან ფულს. ძალიან ცუდი ქალია, უნდა გავშორდე. ორჯერ უკანონოდ დამაპატიმრეს და იძულებული ვარ, ეს ყველაფერი მოვითმინო, რადგან არავინ მეხმარება. მარტო ვარ საკუთარ სახლში. მითვალთვალებენ სახურავიდან და კედლებიდან. სხვადასხვა მავნე საკვებს მაჭმევენ, დაწყებული ადამიანის ხორცით (მკვდარი ადამიანის ხორცით) და დამთავრებული ქვეწარმავლებით, მათ შორის - ნიანგის ხორცით. ნიანგი შურს იძიებს. ღამღამობით ვხედავ, როგორ უელავს თვალები, როგორ მიყუ-

რებს და მისი დინგი კედლიდან ჩემკენ მოიწევს. სასწრაფოდ დამეხმარე.

გულითადი მოკითხვით

ჩარლი ტემბა“.

მარიონს წერილიანი ხელი უღონოდ ჩამოუვარდა. ერთხანს უხმოდ იჯდა. მერე ადგა, მთვარეულივით ამოძრავდა, ანას წერილი მიაწოდა, ქვედაკაბა გულმოდგინედ გაისწორა და ისევ დაჯდა. ხელები გულზე დაიწყო. თითქმის მეოცნებე ხმით ან ისე, თითქოს სიზმარშიაო, ჩაილაპარაკა:

- ანა, მთელი ღამე ვერ დავიძინე. რიჩარდთან ვეღარ დავბრუნდები, არა, არ შემიძლია.

- კი მაგრამ, ბავშვები?

- ჰო, ვიცი. მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ არ მენაღვლება. ჩვენ გვყავს ბავშვები, იმიტომ, რომ მამაკაცი გვიყვარს. ასე მგონია. შენ კი ამბობ, რომ შენთვის ასე არაა, ჩემთვის კი ასეა. რიჩარდი მძულს. ეჭვი მაქვს, რომ არაერთი წელია მძულს, ოღონდ წინათ ამას ვერ ვაცნობიერებდი.

მარიონი ნელა წამოდგა, კვლავაც მთვარეულივით მოძრაობდა.

ოთახს თვალი შემოავლო, ბოთლს ეძებდა. წიგნების დასტაზე ვისკის მომცრო ბოთლი იდგა. ჭიქა ნახევრამდე შეავსო, დაჯდა და ყლუპ-ყლუპად დაიწყო სმა.

- მაშ, რატომ არ შეიძლება აქ დავრჩე, ტომისთან ერთად? რატომ?

- მაგრამ, მარიონ, ეს მოლის სახლია...

იმწამს კიბეზე ფეხის ხმა გაისმა. მათთან ტომი ამოდიოდა. ანამ შენიშნა, როგორ შეტოკდა მთელი სხეულით მარიონი, როგორ შეიმართა. ვისკის ჭიქა დადგა, სასწრაფოდ გაიწმინდა ტუ-

ჩები ცხვირსახოცით. თავისი თავი დაავიწყა ფიქრმა: „ო, ეს სლიპინა საფეხურები, მაგრამ დასახმარებლად არ უნდა მივვარდე“.

კიბიდან უსინათლოს ფეხის ნაბიჯების მძიმე ხმა ისმოდა. ქალები კიბის ბაქანზე გავიდნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ, იდგნენ იქ, ვიდრე ტომი არ გამოჩნდა, ხელის ცეცებით ამოდიოდა, კედელს ხელს აყოლებდა. მერე ოთახში შევიდა. ეს მისთვის უცნობი ოთახი იყო, ცოტა ხანი კარის დირეს ჩაჭიდებული იდგა, მერე თავისი უსინათლო მზერის სამიზნე ოთახის შუაგულისკენ მიმართა, კარის დირეს ხელი უშვა და წინ წავიდა.

- ცოტა მარცხნივ, - უთხრა მარიონმა.

ტომიმ გეზი იცვალა, ოდნავ მარცხნივ გაუხვია, ერთი ნაბიჯით მეტი გადადგა, ვიდრე საჭირო იყო და მუხლი საწოლის კიდეს მიარტყა, მკვეთრი მოძრაობით მობრუნდა, რომ არ წაქცეულიყო და დაჯდა, კიდევ ერთხელ მიარტყა ფეხი. კითხვის გამომეტყველებით ატრიალებდა თავს.

- მე აქა ვარ, - თქვა ანამ.

- მე აქა ვარ, - თქვა მარიონმა.

მარიონს მიმართა:

- მე მგონი, ვახშმის მზადება უნდა დაიწყო, თორემ მიტინგამდე ვერ მოასწრებ.

- დღეს დიდ მიტინგზე მივდივართ, - აუხსნა მარიონმა ანას მხიარულად და თან დამნაშავე გამომეტყველებით. მათი მზერა გადაიკვეთა. მარიონმა შუბლი შეიჭმუხნა და გატრიალდა. და იმწამს ანა მიხვდა, უფრო სწორად, იგრძნო, - რასაც მოელოდნენ, რომ მარიონსა და ტომის „ეტყოდა“, უკვე უთხრა. მარიონმა ტომის მიმართა, ჩაილაპარაკა:

- ანას მიაჩნია, რომ ჩვენ არასწორად ვიქცევით.

ტომიმ სახე ანასკენ მიაბრუნა. სქელი, ჯიუტი ტუჩები მოკუმა. მის მიმიკაში ეს სიახლე იყო - ტუჩები თითქოს ერთმანეთს სინჯავდნენ, თითქოს სიბრმავესთან დაკავშირებული მთელი მერყეობა, რომელიც არ სურდა სამყაროსთვის ეჩვენებინა, ამით გამოიხატებოდა. პირი, რომელიც წინათ მისი ნებისყოფის ბნელი კონცენტრაციის ხილული ნიშანი იყო, ყოველთვის კონტროლქვეშ მყოფი, ახლა მის ერთადერთ ნაკვთად ჩანდა, რომელიც კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა, რადგან ვერ აცნობიერებდა, რომ როდესაც უძრავად იჯდა, ტუჩებს უწყვეტად აცმაცუნებდა. იჯდა საწოლზე, პატარა ოთახის ნათელი, ცარიელი შუქით განათებული, დაძაბული, ნორჩი, ფერმკრთალი, დაუცველი ბიჭი, რომელსაც მოწყვლადი და წარმოუდგენლად გულის ამაჩუყებელი პირი ჰქონდა.

- რატომ? - იკითხა მან, - რატომ?

- საქმე ისაა, - თქვა ანამ და გაიგონა, რომ მისი ხმა ისევ ცივი და იუმორნარევი გახდა, ისტერიკამ გადაუარა, - საქმე ისაა, რომ ლონდონში უამრავი სტუდენტია, ვინც ქუჩაში დაქრის და პოლიციელებს უჩიჩხინებს, მაგრამ თქვენ ორს გაქვთ მშვენიერი შესაძლებლობა ეს ყველაფერი შეისწავლოთ და ექსპერტები გახდეთ.

- მე კი მეგონა, აქ იმისთვის მოხვედი, რომ მარიონი წამართვა, - ჩაილაპარაკა ტომიმ სწრაფად და ბუზღუნით, ისეთი ხმით, რომელიც მისგან დაბრმავების დღიდან არავის გაეგო, - რატომ უნდა დაუბრუნდეს მამაჩემს? გინდა აიძულო, რომ დაუბრუნდეს?

ანამ თქვა:

- მისმინეთ, ცოტა ხნით სადმე ერთად დასასვენებლად ხომ არ წახვიდოდით? ეს მარიონს საშუალებას მისცემს, მოიფიქ-

როს, შემდეგ რა აკეთოს. შენ კი, ტომი, სახლის გარეთ ფრთების გაშლის საშუალება მოგეცემოდა.

მარიონმა ჩაილაპარაკა:

- დაფიქრება არ მჭირდება. იქ არ დავბრუნდები. რისთვის? შემდგომ ცხოვრებაში რა უნდა ვაკეთო, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ თუ რიჩარდთან დავბრუნდები, ბოლო მომეღება.

თვალები ცრემლით აევსო, წამოდგა და სამზარეულოში გასხლტა. ტომიმ თავი მიაბრუნა, აყურადებდა, როგორ გადიოდა, ეტყობოდა, როგორ ძაბავდა კისრის კუნთებს, აყურადებდა მის მოძრაობას სამზარეულოში.

- შენთან ურთიერთობა მარიონს სასიკეთოდ წაადგა, - ხმადაბლა თქვა ანამ.

- მართლა? - იკითხა ტომიმ, გულის ამაჩუყებლად მოწადინებული იყო, ანასგან სწორედ ეს გაეგო.

- საქმე ისაა, რომ შენ უნდა დაეხმარო მარიონს, მის გვერდით იყო. ადვილი საქმე არაა, ქორწინების რღვევა, უკვე ოც წელს რომ ითვლის. ეს ქორწინება თითქმის შენი ტოლია.

ანა წამოდგა.

- და არა მგონია, ასე სასტიკი უნდა იყო ჩვენ მიმართ, - სწრაფად ჩაილაპარაკა ხმადაბლა და ეს, მისდა გასაოცრად, ვედრებასავით გაისმა. გაიფიქრა: „ამას სულაც არ ვგრძნობ და მაშ, რატომღა ვამბობ?“ ტომი იღიმოდა, მოღუშული, ყველაფერს ხვდებოდა, გაწითლდა. მისი ღიმილი ეკუთვნოდა ვიღაცას, ვინც მის ზურგს უკან, მარცხენა მხართან იდგა. ანა გვერდზე გაიწია, მისი მზერის ცენტრში რომ მოხვედრილიყო. გაიფიქრა: „ახლა რასაც ვიტყვი, იმას, ძველი ტომი გაიგებს“, - არადა, ვერაფრით მოიფიქრა, რა უნდა ეთქვა.

ტომიმ უთხრა:

- ანა, ვიცი, რას ფიქრობ ახლა.

- რას?

- სადღაც, გულის სიღრმეში, ფიქრობ: „ერთი წყეული სოციალური მუშაკი ვარ, ეს არის და ეს. რა ტყუილად ვკარგავ დროს!“

ანამ შვებით გაიცინა, ტომი მის გამოჯავრებას ცდილობდა.

- კი, რაღაც მსგავსს, - აღიარა ანამ.

- ასეც ვიცოდი, - გამარჯვებულის ინტონაციით თქვა, - ასე რომ, ანა, ამაზე ბევრი ვიფიქრე მას მერე, რაც თავის მოკვლა ვცადე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ცდები. მე მგონი, ადამიანებს ერთმანეთის სითბო სჭირდებათ.

- სავსებით შესაძლებელია, მართლაც ასე იყოს.

- დიახ. სინამდვილეში არავის სჯერა, რომ ამ დიად რაღაცებს რაიმე აზრი აქვს.

- არავის? - მშრალად გამოეპასუხა ანა, იმ დემონსტრაციაზე ფიქრობდა, რომელშიც ტომი მონაწილეობდა, - განა მარიონი საგაზეთო სტატიებს ხმამაღლა აღარ გიკითხავს?

ტომიმ გაიღიმა, ისევე ცივად, როგორც ანა ლაპარაკობდა, და მიუგო:

- კი, ვხვდები, რასაც გულისხმობ, მაგრამ სულერთია, ეს მაინც ასეა. შენ იცი, სინამდვილეში რა სჭირდებათ ადამიანებს, რაუნდათ? ყველა ადამიანი, მე მინდა ვთქვა, ყოველი, ვინც კი ამქვეყნადაა, ფიქრობს: „მინდა, ერთი ადამიანი მაინც მყავდეს, ვისაც მართლა დაველაპარაკები, რომელიც მართლა გამიგებს, რომელიც მართლა ადამიანურად მომექცევა“. აი, რა უნდა სინამდვილეში ადამიანს მაშინ, როცა არ ტყუის.

- იცი რა, ტომი...

- ა, ჰო, ვიცი, შენ გგონია, უბედურმა შემთხვევამ გონება დამიზიანა, შესაძლოა, ასეცაა, ზოგჯერ მე თვითონაც ასე მგონია, მაგრამ მე მჯერა იმისა, რასაც ვამბობ.

- ამის გამო სულაც არ ვფიქრობ ხოლმე ზოგჯერ ასე... არამედ იმის გამო, თუ როგორ ექცევი დედაშენს... მართლა ხომ არ შეიცვალე...

ანამ დაინახა, როგორ აასხა ტომის სისხლმა სახეში, მერე თავი დახარა, დადუმდა. ხელი ისე გაიქნია, თითქოს ეუბნებოდა, კარგი, ოღონდ ახლა თავი დამანებეო. ანა დაემშვიდობა და გავიდა, მარიონს ჩაუარა, რომელიც ზურგით იდგა.

ანა შინისკენ გაემართა, ნელა მიდიოდა. ვერ გაეგო, რა მოხდა მათ შორის, სამივეს შორის, ან რატომ მოხდა, ან ახლა რას უნდა ელოდოს. თუმცა ხვდებოდა, რომ რაღაც კედელი დაინგრა და ახლა ყველაფერი შეიცვლებოდა.

ცოტა ხნით წამოწვა, მერე, როცა ჯენეტი სკოლიდან დაბრუნდა, შეეგება და აჭამა; თვალი მოჰკრა რონის, რამაც უკარნახა, მოგვიანებით შეიძლებოდა ერთმანეთს დასჯახებოდნენ, მერე ჩამოჯდა და დაიწყო ლოდინი, როდის მოვიდოდნენ მოლი და რიჩარდი.

რომ გაიგონა, კიბეზე ამოდიანო, ძალა მოიკრიბა, გარდაუვალი კამათისთვის მოემზადა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს ზედმეტი ყოფილა. ლამის მეგობრებივით შემოვიდნენ. ჩანდა, რომ მოლი საჩხუბრად არ იყო განწყობილი, ცდილობდა, ისე მოქცეულიყო, რომ არაფრით გაემწვავებინა სიტუაცია. თანაც დრო არ ეყო სპექტაკლის შემდეგ კოსმეტიკა წაესვა და სახეზე ის კაშკაშა ელფერი არ ჰქონდა, რომელიც რიჩარდს ყოველთვის ესოდენ აღიზიანებდა. ჩამოსხდნენ. ანამ სასმელი დაუსხა.

- ორივე ვნახე, - პატაკი ჩააბარა, - ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

- ასეთ სასწაულებრივ გარდატეხას როგორ მიაღწიე? - იკითხა რიჩარდმა, სიტყვები სარკასტული იყო, თუმცა კი ტონი - არა.

- არ ვიცი.

სიჩუმე ჩამოვარდა. მოლიმ და რიჩარდმა ერთმანეთს გადახედეს.

- მართლა არ ვიცი. ოღონდ მარიონი ამბობს, რომ არ დაგიბრუნდება. ალბათ, ასეც იქნება და კიდევ, შევთავაზე სადმე ერთად წავიდნენ დასასვენებლად.

- რამდენიმე თვეა მეც მხოლოდ ამაზე ველაპარაკები, - თქვა რიჩარდმა.

- მგონი, რომ შეგეთავაზებინა ტომისა და მარიონისათვის წასულიყვნენ სადმე, სადაც საქმეებს აწარმოებ და იქ სიტუაცია შეესწავლათ, ალბათ, დათანხმდებოდნენ.

- უბრალოდ გაოგნებული ვარ, - გამოაცხადა რიჩარდმა, - ძალზე მაოცებს, როგორ შეგიძლიათ რაღაც წინადადებით გამოხვიდეთ, გაიმეოროთ ის, რასაც ამდენი ხანია ვამბობ, და ისე დაიჭიროთ თავი, თითქოს ეს სრულიად ახალი, ბრწყინვალე იდეაა.

- ყველაფერი შეიცვალა, - თქვა ანამ.

- შენ არ გვიხსნი, რატომ შეიცვალა, - უთხრა რიჩარდმა.

ანა წამით შეყოყმანდა, მერე კი მოლის მიმართა და არა რიჩარდს:

- ძალზე უცნაური იყო. იქ რომ მივდიოდი, წარმოდგენაც კი არ მქონდა, რა უნდა მეთქვა, რაზე მელაპარაკა. იქ რომ ვიყავი, ისტერიკაში ჩავვარდი, ისინიც, ორივენი, მუდმივად ასე არიან, და წავიტირე კიდეც. ამან გაჭრა. გესმის ეს?

მოლი დაფიქრდა, მერე თავი დაუქნია.

- მე კიდევ, არაფერიც არ მესმის, - თქვა რიჩარდმა, - ეს კარგი, მერე რა იქნება?

- მარიონი უნდა ნახო და ყველაფერი მოაგვარო. და ძალიან გთხოვ, რიჩარდ, სიტყვებს ნუ ეკიდები და ნუ ბუზღუნებ.

- მე კი არ ვეკიდები, ის მეკიდება, - შეუღრინა რიჩარდმა.

- და კიდევ, მოლი, ვფიქრობ, დღესვე უნდა დაელაპარაკო ტომის. მგონი, მზად იქნება სასაუბროდ.

- მაშინ ახლავე მივალ, სანამ დაუძინია.

მოლი წამოდგა, მასთან ერთად რიჩარდიც.

- შენი დიდი მადლობელი ვარ, ანა, - უთხრა რიჩარდმა.

მოლის გაეცინა.

- დარწმუნებული ვარ, შემდეგ ჯერზე ჩვენ აუცილებლად მივუბრუნდებით ჩვეულ ღვარძლიან დიალოგებს, მაგრამ რამხელა სიამოვნებაა, რომ ერთხელ მაინც გაიგონებ ასეთ თავაზიან სიტყვას.

რიჩარდმა გაიცინა, - თავისდა უნებურად, თუმცა გულწრფელად, მოლის ხელკავი გამოსდო და კიბეზე დაეშვნენ.

ანა ზევით ავიდა, ჯენეტთან, რათა იქ, სიბნელეში, მძინარე ბავშვის გვერდით დამჯდარიყო. როგორც ყოველთვის, უმალ შემოაწვა სიყვარულის ტალღა და სურვილი, დაიცვას, ყველაფრისგან დაიფაროს, მაგრამ ამჯერად თავს უფლება მისცა თავისი გრძნობებისთვის კრიტიკულად შეეხედა: „მე არ ვიცნობ არავის, ვინც შეუვალი იქნებოდა, ვინც არ იტანჯება, არ იბრძვის, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში ნებისმიერზე შეიძლება ითქვას, რომ გამუდმებულ ბრძოლაშია - მაგრამ, აი, მე ვეხები ჯენეტს და ვგრძნობ, არა, მის ცხოვრებაში ყველაფერი სხვანაირად იქნება. მაგრამ რატომ იქნება სხვანაირად? რა იქნება სხვანაირად? მე

ხომ მას ბრძოლის ველზე ვუშვებ, არადა, როცა მძინარეს დავყურებ, სრულიად სხვანაირად ვგრძნობ და ვფიქრობ“.

ანა დასვენებული, დამშვიდებული გამოვიდა ჯენეტის ოთახიდან და კიბის ბაქანზე შეჩერდა, სიბნელეში გაირინდა. აივორთან შეხვედრის მომენტი დადგა. კარზე მიუკაკუნა, კარი ოდნავ შეაღო და თქვა:

- აივორ, აქედან უნდა წახვიდე. ხვალვე უნდა წახვიდე.

დუმილი, მერე კი აუჩქარებლად და თითქმის კეთილგანწყობით ნათქვამი:

- უნდა გამოვტყდე, რომ მესმის თქვენი, ანა.

- გმადლობთ, ამის იმედი მქონდა.

კარი დახურა და ზევით ავიდა. „რა იოლად გამოვიდა! - გაიფიქრა, - რატომ მეგონა, რომ რთული იქნებოდა?“ მერე კი გონებაში ასეთი სურათი წარმოუდგა: აივორი კიბეზე ამოდის დიდი თაიგულით ხელში. რასაკვირველია, ხვალ ეცდება, საქმე ჩააწყოს, კიბეზე ამოვა თაიგულით ხელში, მისი გულის მოგებას შეეცდება.

ანა იმდენად დარწმუნებული იყო, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა, როდესაც აივორი კიბეზე დიდი თაიგულით ხელში გამოჩნდა, დაღლილი ღიმილით, კაცივით, რომელსაც გადაჭრით გადაუწყვეტია, ქალის გულის მოგება, უკვე მზად იყო, ელოდებოდა.

- საუკეთესო დიასახლისს ამქვეყნად, - ჩაიღუღუნა აივორმა.

ანამ ყვავილები გამოართვა, წამით შეყოვნდა და მერე თაიგული სახეში მიარტყა. სიბრაზისგან ააკანკალა.

აივორი იდგა და იღიმებოდა, თავი ოდნავ მიაბრუნა, პაროდიულად განასახიერებდა კაცს, უსამართლოდ რომ სჯიან.

- მაშ-მაშ, - წაიღუღუნა, - მაშ-მაშ-მაშ.

- გაეთრიე, - უთხრა ანამ. ასეთი გაბრაზებული არასოდეს ყოფილა.

აივორი ზემოთ ავიდა და ცოტა ხანში ანამ გაიგონა, რომ ბარგს ალაგებს. მალე ჩამოვიდა, ორივე ხელში ჩემოდნით. მისი ბარგი. ყველაფერი, რაც კი ამქვეყნად აბადია. აჰ, რაოდენ გულდასაწყვეტია, აჰ, ეს საწყალი ყმაწვილი, მთელი მისი ავლადიდება ორ ჩემოდანში ეტევა.

აივორმა მაგიდაზე ფული დაუდო, რაც ემართა, - ხუთი კვირის ქირა, - რადგან ყოველთვის დაგვიანებით იხდიდა. ანამ ინტერესით შენიშნა, რომ თავის თავში ჩაახშო იმპულსური სურვილი, ფული მისთვის უკან მიეგდო. აივორს კი იმწამს სახეზე ზიზღით აღსავსე, დაღლილი გამომეტყველება ეხატა, - აბა, ფულზე დახარბებული ამ ქალისგან რას უნდა ელოდო?

როგორც ჩანს, ფული ბანკიდან დილით გამოიტანა ან ვიღაცას ესესხა, რაც იმაზე მეტყველებდა, მზად იყო საიმისოდ, - თაიგულის მიუხედავად, - რომ არ დატოვებდნენ. ეტყობა, თავს უთხრა: „არის შანსი, რომ თაიგულით საქმე ჩავაწყო. მოდი, ვცდი, ამისთვის ღირს ხუთი შილინგის გადაგდება“.

რვეულები - შავი რვეული

(შავ რვეულში ჩანაწერები ორ ნაწილად - „წყარო“ და „ფული“ - აღარ იყო დაყოფილი: ახლა ფურცლები ჩაწებებული და დათარიღებული საგაზეთო ამონაჭრებით გახლდათ დაფარული და 1955, 1965, 1967 წლებს მოიცავდა. ყოველ ამონაჭერში ლაპარაკი იყო ძალადობაზე, სიკვდილზე, ამბოხზე, სიძულვილზე - სადმე აფრიკაში. მხოლოდ ერთი ჩანაწერი იყო ანას ხელით გაკეთებული, რომელიც 1965 წლით თარიღდებოდა.)

წინა ღამით დამესიზმრა, ვითომ სასტუმრო „მაშოპის“ სტუმართა ჯგუფზე ფილმის გადაღებას აპირებენ. სცენარი გამზადებული იყო, მაგრამ ის ვიღაც სხვას დაეწერა. დამდგმელი რეჟისორი მარწმუნებდა: „სცენარს როცა ნახავთ, კმაყოფილი დარჩებით, თქვენც ზუსტად ასე დაწერდით“. მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით სცენარი ერთხელაც კი ვერ ვნახე. ფილმის რეპეტიციების სანახავად წავედი. დეკორაცია გამოსახავდა ადგილს რკინიგზასთან, სასტუმროს გვერდით. გამიხარდა, თუ რამდენად ზუსტად ჩაავლო რეჟისორმა საერთო ატმოსფეროს. მერე კი მივხვდი, რომ ეს დეკორაცია კი არა, არამედ ყველაფერი ნამდვილია: რეჟისორმა როგორღაც მოახერხა და მსახიობების მთელი გუნდი ცენტრალურ აფრიკაში გადაიყვანა, - რეპეტიცია ნამდვილი ევკალიპტების ძირას მიმდინარეობდა, ისეთი დეტალების შენარჩუნებით, როგორიცაა, ვთქვათ, ღვინის სუნი, რომელიც მიწაზე დაყრილ თეთრ ქვიშას ასდის, ანდა მწველ მზეზე გახურებული ევკალიპტების სურნელება. მერე დავინახე, როგორ ახლოვდებოდნენ ბორბლებზე შეყენებული კამერები, სადაც იყო გადაღება დაიწყებოდა. კამერები საომარ იარაღს მაგონებდნენ

იმით, რომ ტრიალდებოდნენ და ადამიანებს უმიზნებდნენ, რომ-ლებიც ელოდნენ ბრძანებას, ეთამაშათ. გადაღება დაიწყო. რა-ღაცამ შემაწუხა. მერე მივხვდი, რომ რეჟისორის გადაწყვეტი-ლება, რა უნდა მოხვდეს კადრში და რა თანამიმდევრობით, მთელ „ამბავს“ ცვლიდა. ის, რაც დასრულებული ფილმის სახით გამოვიდოდა, არსებითად განსხვავებული იქნებოდა იმისგან, რაც მე მახსოვდა. მაგრამ რეჟისორისა და ოპერატორის შეჩე-რება არ შემეძლო. და, აი, განზე გავდექი და ვუყურებდი მსა-ხიობების ჯგუფს (მათ შორის იყო ანა, მე თვითონ, თუმცა ისეთი არა, როგორიც მახსოვდა). რეპლიკებს ისროდნენ იმ დიალოგი-დან, მე რომ არ მახსოვდა, მათი ურთიერთობა სრულიად სხვა-ნაირი იყო. ღელვამ ამიტანა. როცა გადაღება მორჩა, მსახიობე-ბი დაიშალნენ (სასტუმროს ბარში გასწიეს დასალევად), როდე-საც ოპერატორებმა (მხოლოდ ახლა შევნიშნე, ყველანი შავკა-ნიანები რომ იყვნენ, ისევე, როგორც მთელი ტექნიკური პერსო-ნალი) კამერები უკან გააგორეს და მათი დაშლა დაიწყეს (რად-გან კამერები იმავდროულად ტყვიამრფქვევებიც იყო), რეჟი-სორს ვკითხე: „სიუჟეტი რატომ შეცვალეთ?“ მივხვდი, რომ ჩემი არ ესმოდა. მეგონა, ამას განზრახ აკეთებდა, რადგან გადაეწ-ყვიტა, რომ ჩემი სიუჟეტი არ ვარგოდა. ერთობ ნაწყენი გამო-მეტყველება მიიღო და ნამდვილად, - მეტად გაოცებული. მით-ხრა: „მაგრამ, ანა, თქვენ ხომ ნახეთ ეს ადამიანები, განა არა? ისევე ნახეთ, როგორც მე? ისინი ხომ ამ სიტყვებს ამბობდნენ? მე მხოლოდ ის გადავიღე, რაც იქ ხდებოდა“. არ ვიცოდი, რა მეთ-ქვა მისთვის, რადგან მივხვდი, რომ შესაძლოა, მართალი იყო, შესაძლოა, ჩემი „მოგონებები“ არასწორია. ნირწამხდარმა იმის გამო, რომ გუნება გამიფუჭდა, მითხრა: „ანა, წავიდეთ, ცოტა

დავლიოთ. ნუთუ ვერ ხვდებით, არა აქვს მნიშვნელობა, რას გადავიღებთ, მთავარია, რაღაც მაინც გადავიღოთ“.

ამ რვეულს ამით ვასრულებ. „ტკბილ დედილოს“ ამ სიზმრისთვის „სახელის დარქმევა“ რომ ეთხოვა, ვეტყოდი, რომ ესაა სიზმარი სრულ უნაყოფობაზე. და კიდევ, ამ სიზმრის მერე ვეღარასოდეს გავიხსენე, როგორი მზერა ჰქონდა მერიროუზს ან როგორ იცინოდა პოლი. ჩემში ყველაფერი გაქრა.

(ფურცელი ჯვარედინად, შავად იყო გადახაზული, რაც ნიშნავდა, რომ ამ რვეულში ჩანაწერები აღარ გაკეთდებოდა.)

წითელი რვეული

(წითელი რვეული, ისევე როგორც შავი, 1956 და 1957 წლების საგაზეთო ამონაჭრებით იყო სავსე. მათში მოთხრობილი იყო, რა ხდებოდა ევროპაში, საბჭოთა კავშირში, ჩინეთში, შეერთებულ შტატებში. როგორც იმავე პერიოდის საგაზეთო ამონაჭრებში აფრიკის მოვლენებზე, იქაც უმეტესად ძალადობაზე იყო ლაპარაკი. ყოველ ჯერზე, როცა კი სიტყვა „თავისუფლება“ გაიელვებდა, ანა მას წითელი ფანქრით ხაზს უსვამდა. ამონაჭრებს შორის წითელ ხაზებს ავლებდა და სულ 679 მინიშნება გააკეთა სიტყვა „თავისუფლებაზე“. იმ პერიოდში თავისი ხელით მხოლოდ ერთ ჩანაწერი გააკეთა.)

გუშინ ჩემთან ჯიმიმ შემოიარა. ეს-ესაა დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, სადაც მასწავლებელთა დელეგაციასთან ერთად იმოგზაურა. აი, რა მიამბო: ჰარი მეთიუზმა, მასწავლებელმა, პროფესიას თავი დაანება, ესპანეთში რომ ეომა. დაიჭრა, ათი თვე ჰოსპიტალში გაატარა - ფეხის ძვალი ჰქონდა დამსხვრეული. იმ პერიოდში ესპანეთის მოვლენებზე ბევრი იფიქრა - კომუნისტების ბინძურ საქმეებზე და ასე შემდეგ. ბევრს კითხულობდა, სტალინში ეჭვი შეეპარა. შემდეგ, ჩვეული კინკლაობა კომპარტიაში, პარტიიდან გარიცხეს. ტროცკისტებს შეუერთდა. მერე მათთან უთანხმოება მოუვიდა და ჯგუფი დატოვა. რადგან ჰარი არ მიჰყავდათ ფრონტზე დაზიანებული ფეხის გამო, სპეციალური მომზადება გაიარა, გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებთან მასწავლებლად რომ ემუშავა. „ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჰარისთვის არ არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა სულელი ბავშვი, არიან მხოლოდ ბავშვები, რომლებსაც არ

გაუმართლა“. მთელი ომი ჰარიმ მომცრო ოთახში გაატარა კინგ-კროსის მახლობლად, არაერთი გმირობა ჩაიდინა, ადამიანებს შველოდა, დაბომბილი, ცეცხლმოკიდებული სახლებიდან გამოჰყავდა და ა.შ. „იმ მიდამოებში, შეიძლება ითქვას, ადამიან-ლეგენდად იქცა. მაგრამ, რასაკვირველია, ყოველ ჯერზე, როდესაც ხალხი იწყებდა კოჭლი გმირის ძებნას, რომელმაც ბავშვი ან საბრალო დედაბერი გადაარჩინა, ვერ პოულობდნენ, რადგან მას თავი შესძულდებოდა, თუკი ქება-დიდებას მიიღებდა გმირული საქმეების გამო“. ომის დასრულებისას ჯიმი ბირმიდან დაბრუნდა, - ძველი მეგობარი მოინახულა, მაგრამ ჩხუბი მოუვიდათ. „მე პარტიას ასი პროცენტით ვენდობოდი, ჰარი კი, მოგეხსენება, ბინძური ტროცკისტი გახლდათ, ამიტომ ერთმანეთს ბევრი უშვერი სიტყვა ვუთხარით და სამუდამოდ დავშორდით. ოღონდ ეს საწყალი სულელი მიყვარდა, ამიტომ შორიდან ვადევნებდი თვალს, როგორ მიდიოდა მისი ცხოვრება“. ჰარის ორი ცხოვრება ჰქონდა. მისი გარეგნული ცხოვრება სრული თავგანწირვა და თავდადება იყო. იგი არა მარტო ასწავლიდა გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სკოლაში და ამ ასპარეზზე საოცარ შედეგებს აღწევდა, აგრეთვე, თავისთან მიჰყავდა თავისი რაიონის (ღარიბი რაიონის) ბავშვები სამეცადინოდ. ასწავლიდა ლიტერატურას, აყვარებდა კითხვას, ამზადებდა გამოცდებისთვის. ბავშვებს, ამა თუ იმ ფორმით, დღეში თვრამეტ საათს ამეცადინებდა. „ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჰარის ძილი დროის უქმად დაკარგვად მიაჩნდა, ამიტომ თავი მიაჩვია, დღე-ღამეში ოთხი საათი სძინებოდა“. იმ თავის პატარა ოთახში ცხოვრობდა, ვიდრე არ შეუყვარდა სამხედრო მფრინავის ქვრივს და თავის ბინაში არ გადაიყვანა საცხოვრებლად, სადაც მის განკარგულებაში ორი ოთახი აღმოჩნდა. იმ ქალს სამი შვი-

ლი ჰყავდა. ჰარი მას თბილად ექცეოდა, მაგრამ თუკი იმ ქალის ცხოვრება ახლა მას ეძღვნებოდა, მისი - კვლავაც ბავშვებს, რომლებსაც სკოლაში ხვდებოდა ან ქუჩაში პოულობდა. ასეთი იყო მისი გარეგნული ცხოვრება. ამასთან, რუსულს სწავლობდა. ამავე დროს, აგროვებდა წიგნებს, სტატიებს, საგაზეთო ამონაჭრებს საბჭოთა კავშირზე. ამასობაში თავისთვის ააგო საბჭოთა კავშირის, უფრო სწორად, რუსეთის კომუნისტური პარტიის ჭეშმარიტი ისტორია 1900 წლიდან დღემდე.

დაახლოებით 1950 წელს ჯიმის ერთმა მეგობარმა ინახულა ჰარი და მასზე მოუყვა. „სამხედრო პერანგს ან კიტელს და სანდლებს ატარებდა, თმას სამხედრო ყაიდაზე იკრეჭდა. არასოდეს იღიმოდა. კედელზე ლენინის პორტრეტია - ეს, თავისთავად ცხადია. და მომცრო პორტრეტი - ტროცკისა. უკანა პლანზე მორიდებით დგას ქვრივი, ამ დროს ბავშვები შემოცვივდებიან ქუჩიდან და ისევ გარბიან. და ჰარი - საბჭოთა კავშირზე ლაპარაკობს. იმ დროისთვის უკვე თავისუფლად მეტყველებდა რუსულად, დაწვრილებით იცოდა რუსეთის შიგა ისტორია, ყოველი წვრილმანი უთანხმოება, უმნიშვნელო ინტრიგა, რომ არაფერი ვთქვათ მსხვილმასშტაბიან სასაკლაოზე, ყველაფერი, განსაზღვრული დროიდან. მაგრამ რისთვის უნდოდა ეს ყველაფერი? ანა, ვერასოდეს გამოიცნობ“. „ძალიან კარგადაც გამოვიცნობ, - ვუთხარი მე, - ელოდებოდა, როდის დადგებოდა დღე“. „მართალია. პირველივე გასროლით ათიანში მოარტყი. საბრალო დამთხვეულმა ყველაფერი გათვალა - დადგება დღე, როდესაც რუსეთში ამხანაგებს, ყველას ერთდროულად, უეცრად აეხილება თვალი. იტყვიან: „გზა აგვებნა, სწორი მიმართულება დავკარგეთ, ჰორიზონტი დაგვებინდა. მაგრამ იქ, სენტ-პანკრასში, ლონდონში როა, ინგლისში, ცხოვრობს ამხანაგი ჰარი, რომელ-

მაც ყველაფერი იცის. მოვიწვევთ, დახმარებას ვთხოვთ“. დრო გადიოდა. საქმეები სულ უფრო და უფრო ცუდად მიდიოდა, თუმცა ჰარის აზრით, სულ უფრო უკეთ. საბჭოთა კავშირიდან ყოველი ახალი სკანდალური ცნობის მიღების შემდეგ ჰარის მებრძოლი სულისკვეთება უფრო და უფრო მტკიცდებოდა. ჰარის ოთახში გაზეთების დასტებმა ჭერამდე მიაღწია და ქვრივის ოთახში გადაინაცვლა. რუსულად ისე ლაპარაკობდა, თითქოს მისი მშობლიური ენა ყოფილიყოს. სტალინი მოკვდა, - ჰარიმ თავი დააქნია და გაიფიქრა: „ახლა უკვე ცოტაღა დარჩა“. მერე იყო მეოცე ყრილობა: „კარგია, თუმცა უკეთესიც შეიძლებოდა“. მერე კი ქუჩაში ჰარი შემთხვევით ჯიმის შეეჩეხა. ძირძველი პოლიტიკური მტრები, - ორივე მოიღუშა, გახევდა. მერე თავის დაქნევით მიესალმნენ ერთმანეთს, გაუღიმეს. მერე ჰარიმ ჯიმი ქვრივის სახლში წაიყვანა. ჩაის დასალევად დასხდნენ. ჯიმიმ თქვა: „დელეგაცია საბჭოთა კავშირში აპირებს გამგზავრებას. მე ორგანიზატორი ვარ. გინდა წამოხვიდე?“ ჰარი უეცრად გაიბადრა. „ანა, წარმოიდგინე, ვიჯექი იქ სრული იდიოტივით და ვფიქრობდი: „აი, ამ საცოდავ, უბედურ ტროცკისტს, ბოლოს და ბოლოს გულმა მაინც სწორი მიმართულება უკარნახა, გულში მაინც შემორჩა ნაზი გრძნობები ჩვენი Alma Mater-ის მიმართ“. ის კი ამ დროს ფიქრობდა: „ჩემი დღეც დადგა“. გაუთავებლად მეკითხებოდა, ვინ წამოაყენა ჩემი კანდიდატურაო. აშკარად, ეს მისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იყო, ამიტომ არ ვუთხარი, რომ ეს იდეა იმწამს მომივიდა თავში. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ სჯეროდა, რომ თითქოს „თავად პარტია“, თანაც თვით მოსკოვიდან, დახმარების სათხოვნელად უხმობდა. მოკლედ, მოსკოვში ოცდაათი იღბლიანი ბრიტანელი მასწავლებელი გავემგზავრეთ. და ჩვენთან ერთად, ყველაზე ბედნიერი ჩვენ შორის, საბრალო

ჰარი. კიტელის ყველა ჯიბე გამოტენილი ჰქონდა დოკუმენტებითა და ქაღალდებით. ჩავედით მოსკოვში. ჰარი ღელავს, შემართული, მოლოდინით აღსავსე. ჩვენთან თავაზიანია, თბილი, ჩვენ ამას მოწყალედ იმას მივაწერთ, რომ, სინამდვილეში ვეჯავრებით, რადგან შედარებით ქარაფშუტული ცხოვრებით ვცხოვრობთ, მაგრამ გადაწყვეტილი აქვს, არაფრით გვაგრძნობინოს. თანაც, ოდესღაც უმრავლესობა ყოფილი სტალინისტები ვიყავით და ვერავინ უარყოფს, რომ ტროცკისტებთან შეხვედრისას ჩვენი დროის ყოფილ სტალინისტებს არცთუ იშვიათად რამდენიმე უსიამოვნო, მტკივნეული მომენტის გადატანა უწევთ. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ჩვენს დელეგაციას ყველგან ყვავილებით ხვდებოდნენ: ქარხნებში, სკოლებში, კულტურის სახლებში, უნივერსიტეტში, რომ არაფერი ვთქვათ ბანკეტებსა და სიტყვიერ მისალმებებზე. და ჩვენი ჰარი, სამხედრო კიტელში, კოჭლი, რევოლუციურად შემართული მზერით, ლენინის ცოცხალ ინკარნაციას წარმოადგენდა, მაგრამ იმ დებილმა რუსებმა მასში ლენინი ვერა და ვერ ამოიცნეს. რასაკვირველია, მეტად მოსწონდათ მისი უჩვეულო სერიოზულობის გამო, თუმცა ხშირად კითხულობდნენ, რატომ აცვია ასე უცნაურადო და უფრო მეტიც, როგორც ახლა მახსენდება, გვეკითხებოდნენ, რაიმე ფარული სულიერი ტკივილი ხომ არ აწუხებსო? ჩვენი მეგობრობა ამ დროს აღდგა და ღამღამობით სასტუმროს ნომერში ხშირად ვმუსაიფობდით ხოლმე აქეთურსა და იქითურზე. შევნიშნე, რომ ჰარი უფრო და უფრო ხშირად მიყურებდა ისე, თითქოს დაბნეული იყო. ვატყობდი, დღითი დღე მღელვარება უძლიერდებოდა. მაგრამ ისევ ვერ ვხვდებოდი, რას ფიქრობდა და რა მოსდიოდა. და, აი, ვიზიტის ბოლო დღეს დაგეგმილი იყო ჩვენი „მაღალ საზოგადოებაში“ გაყვანა, მასწავლებლების რომელიღაც ორგანიზაციასთან ერ-

თად ბანკეტზე უნდა წავსულიყავით, გვექეიფა, მაგრამ ჰარი არ წამოვიდა. თქვა, შეუძლოდ ვარო. როცა დავბრუნდი, მასთან შევიარე და ვხედავ, ისევ ისე ზის, სავარძელი ფანჯარასთან მიუდგამს, დაშავებული ფეხი გაუშლია. გაიბადრა, წამოდგა, მაგრამ როცა დაინახა, რომ მე ვიყავი, ეს მისთვის ნამდვილი დარტყმა აღმოჩნდა, - აშკარად შევატყვე. მერე კი ნამდვილი დაკითხვა მომიწყო და დაადგინა, რომ დელეგაციის შემადგენლობაში მხოლოდ იმიტომ შეიყვანეს, რომ ეს მე მომივიდა აზრად, როცა ერთმანეთს ქუჩაში შევხვდით შემთხვევით. მზად ვიყავი, თავი მომეკლა, რატომ ვუთხარი-მეთქი. ანა, გეფიცები, როცა ნელ--ნელა ამ ყველაფრის გაცნობიერება დავიწყე, საშინლად ვინანე, რატომ არ გამოვიგონე, ვითომ „თვით ხრუშჩოვმა“ და ასე შემდეგ. ჰარი კი გაუჩერებლად იმეორებდა: „ჯიმი, უნდა მითხრა სიმართლე, შენ მომიწვიე, შენი იდეა იყო, არა?“ ისევ და ისევ იმეორებდა და იმეორებდა. ეს ნამდვილი საშინელება იყო. და უეცრად ნომერში თარჯიმანმა შემოიხედა, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერი რიგზე გვქონდა თუ არა, თანაც ჩვენთან დამშვიდობება უნდოდა, რადგან დილით ვეღარ გნახავთო. თარჯიმანი ქალიშვილი ოცი ან ოცდაორი წლისა იქნებოდა, მეტად მომხიბლავი არსება, გრძელი ქერა ნაწნავითა და მონაცრისფრო თვალებით. გეფიცები, ჩვენი დელეგაციის ყველა მამაკაცს უყვარდა. ისეთი დაღლილი იყო, ფეხზე ძლივს იდგა, ხუმრობა ხომ არ არის ორი კვირა ოცდაათ ბრიტანელ მასწავლებელს ძიძად დაუდგე, დილიდან საღამომდე კულტურის სახლებსა და სკოლებში ატარო. მაგრამ ჰარიმ უცებ იგრძნო, რომ შანსი მიეცა, გოგოს სავარძელი მიუწია და უთხრა: „ამხანაგო ოლგა, თუ შეიძლება, დაბრძანდით“. ისეთი ტონით, რომელსაც ვერ შეეკამათებოდი. მივხვდი, ამას რაც მოჰყვებოდა, რადგან თეზისებით აჭრელე-

ბულ ფურცლებსა და დოკუმენტებს იღებდა უამრავი ჯიბიდან და მაგიდაზე აწყობდა. შევეცადე, შემეჩერებინა, მაგრამ თავის მოძრაობით კარზე მიმითითა. როდესაც ჰარი კარზე მიგითითებს, უსიტყვოდ უნდა გახვიდე ოთახიდან. ასეც მოვიქეცი, შევედი ჩემს ნომერში, დავჯექი, სიგარეტს მოვუკიდე და ლოდინი დავიწყე. ღამის პირველი საათი იქნებოდა. დილით ექვს საათზე უნდა ავმდგარიყავით, შვიდზე აეროპორტში მივდიოდით. ექვს საათზე ჩემს ნომერში ოლგა შემოვიდა, გასავათებული, მიტკალივით თეთრი და თანაც აშკარად გაშტერებული. დიახ, ეს შესაფერისი სიტყვაა - გაშტერებული. მითხრა: „იმიტომ შემოვედი თქვენთან, რომ გითხრათ, მგონი, თქვენს მეგობარ ჰარის უნდა მიხედოთ, მეტისმეტად აღგზნებულია“. ოლგას მოვუყევი ჰარის მთელი დამსახურებანი, მისი გმირული საქმეები, კიდევ რამდენიმე ჩემგანაც დავუმატე და მითხრა: „კი, ეგრევე ჩანს, რომ ძალიან კარგი ადამიანია“. მერე ისე დაამთქნარა, კინაღამ ყბა მოექცა და დასაძინებლად გასწია, რადგან იმ დღეს ახალ დელეგაციასთან უნდა დაეწყო მუშაობა, - შოტლანდიელ მშვიდობისთვის მებრძოლ საეკლესიო მოღვაწეებთან. მერე ჩემთან ჰარი შემოვიდა. მოჩვენებას ჰგავდა, გამომშრალიყო, მეტისმეტი ღელვისგან შეგრძნების უნარი საერთოდ დაეკარგა. ცხოვრების საფუძველი შეერყა. მოყოლა დაიწყო, მე კი სულ ვცდილობდი, ამეჩქარებინა, რადგან აეროპორტში უნდა წავსულიყავით, არადა, ჩვენ გუშინდელი ტანსაცმელიც კი არ გამოგვეცვალა.

როგორც გაირკვა, ჰარის თურმე მაგიდაზე დაულაგებია დოკუმენტები და დაუწყია ლექცია რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიაზე „ისკრის“ პერიოდიდან. მშვენიერი ოლგა იჯდა და უსმენდა, ცდილობდა, მთქნარება დაეფარა, იღიმებოდა, იცავდა სამოქალაქო პასუხისმგებლობით გაჯერებულ თავაზიანობის

ყველა ნორმას, რაც კი აუცილებელია დაიცვა პროგრესულად განწყობილ უცხოელთან ურთიერთობისას. რაღაც მომენტში ჰარის ჰკითხა, ისტორიკოსი ხომ არ ბრძანდებითო, მან კი უპასუხა: „არა, მე, ისევე როგორც თქვენ, ამხანაგო, სოციალისტი ვარ“. დაუხასიათა მთელი ისტორია, გააშუქა ინტრიგები და ჰეროიზმი, ინტელექტუალური ბრძოლა, არაფერი დავიწყებია. დილის სამი საათი იქნებოდა, როცა ოლგამ უთხრა: „ამხანაგო, მაპატიეთ, შეიძლება ერთი წუთით გავიდე?“ გავიდა, ის კი ნომერში დარჩა და ფიქრობდა, ალბათ, პოლიციას გამოიძახებს, რომ დამაპატიმრონ და ციმბირში გადამასახლონო. როდესაც ჯიმიმ ჰკითხა, რას ფიქრობდა იმ პერსპექტივებზე, რომ ციმბირში შეიძლებოდა ჩაკარგულიყო, შესაძლოა, სამუდამოდაც, ჰარიმ უპასუხა, რომ „ისეთი მომენტისთვის, როგორიც, აი, ეს იყო, ნებისმიერი ფასის გადახდა შეიძლება“. იმ დროს უკვე აღარ ახსოვდა, რომ ამ ყველაფერს უყვებოდა ოლგას - თარჯიმანს, მომხიბლავ ოციოდე წლის ქერათმიან ქალიშვილს, რომელსაც მამა ომში მოუკლეს, რომელიც მოხუც დედას უვლის და მომავალ წელს გაზეთ „პრავდის“ ჟურნალისტთან დაქორწინებას აპირებს. იმ დროს ჰარი უკვე თავად ისტორიას ესაუბრებოდა. იჯდა, ელოდებოდა ხალხს ორგანოებიდან, ექსტაზური მოლოდინისგან, საკუთარი ბედისწერის წინათგრძნობისგან მოდუნებული, მაგრამ როდესაც ოლგა მობრუნდა, აღმოჩნდა, რომ ქვემოთ რესტორანში ჩასულა ჩაისთვის. „იქ საშინელი მომსახურებაა, ანა, სიტყვით ვერ აღგიწერ, ასე რომ, ალბათ, ჰარის საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა, მჯდარიყო და ეფიქრა ხელბორკილებიანი კაცების მოლოდინში“. ოლგა დაჯდა, ჩაის ჭიქა მიუწია და უთხრა: „გააგრძელეთ, თუ შეიძლება, მაპატიეთ, რომ შეგაწყვეტინეთ“. ცოტა ხნის მერე კი ჩაეძინა. ჰარი სწორედ იმ მომენტამდე

იყო მისული, როდესაც სტალინმა მექსიკაში ტროცკის მოკვლის ბრძანება გასცა. როგორც ჩანს, ჰარი ასევე დარჩა, სიტყვა შუაში გაუწყდა, უყურებდა ოლგას, რომლის ოქროსფერი ნაწნავები წინ დახრილი მხრებიდან გადმოშვებულიყო, თავი კი გვერდზე უმწეოდ გადავარდნოდა. მაშინ ჰარიმ ქაღალდები მოხვეტა და ჯიბეში ჩაიტენა. ოლგა მეტად დელიკატურად გააღვიძა და მოუბოდიშა, რომ ასე დაღალა. ოლგას ძალიან შერცხვა, ასე რომ მოიქცა და აუხსნა, რომ მართალია, მოსწონს მუშაობა დელეგაციებთან, ერთიმეორის მიყოლებით რომ ჩამოდიან, მაგრამ ეს ძალზე მძიმე სამუშაოა, რადგან „დედა ინვალიდი მყავს და სახლში ყველაფრის გაკეთება მე მიწევს, როცა ღამით ვბრუნდები“. ხელი მხურვალედ ჩამოართვა და უთხრა: „სიტყვას გაძლევთ, გპირდებით, რომ როდესაც ჩვენი პარტიული ისტორიკოსები გადახედავენ და გადაწერენ ჩვენი კომუნისტური პარტიის ისტორიას, ყველა საჭირო შესწორებასა და დამატებას შეიტანენ, რაც განპირობებული იქნება იმ შეცდომებთან ბრძოლით, რაც ამხანაგ სტალინის ეპოქაში იქნა დაშვებული, აუცილებლად წავიკითხავ“. როგორც ჩანს, ჰარის შერცხვა, რადგან ოლგა მეტისმეტად განიცდიდა იმას, რომ ასე უზრდელად მოიქცა. ერთხანს ერთმანეთს ამშვიდებდნენ, არწმუნებდნენ, რომ ყველაფერი რიგზეა. მერე კი ოლგა ჯიმისთან შევიდა, რომ ეთქვა, თქვენი მეგობარი მეტისმეტად აღგზნებულიაო.

ჯიმის ვკითხე, მერე რა მოხდა. „რა გითხრა. სასწრაფოდ ჩავიცვით, ბარგი ჩავალაგეთ და გამოვფრინდით. ჰარი ხმას არ იღებდა, ცუდად გამოიყურებოდა, ეს იყო და ეს. მადლობა გადამიხადა, დელეგაციის შემადგენლობაში რომ შევიყვანე: ეს ძალზე ღირებული გამოცდილება იყოო, მითხრა. წინა კვირას მოვი-

ნახულე. როგორც იქნა, ცოლად შეირთო ის ქვრივი და ახლა მისგან ბავშვს ელოდება. - არ ვიცი, ეს რამეს გეუბნება თუ არა“.

ამ ადგილას სქელი ხაზი იყო გავლებული, რაც ნიშნავდა, რომ წითელ რვეულში ჩანაწერები დასრულდა.

ყვითელი რვეული

*1 მოკლე მოთხრობა

სიყვარულს დანატრებული ქალი გაიცნობს კაცს. ის გაცილებით ახალგაზრდაა ქალზე, შესაძლოა, წლოვანებით კი არა, არამედ ემოციური გამოცდილების თვალსაზრისით. ქალი ამაში თავს არ უტყდება, არადა, ეს კაცისთვის მხოლოდ ერთი მორიგე რომანია.

*2 მოკლე მოთხრობა

კაცი ქალის მოსანადირებლად ზრდასრული, ემოციურად მოწიფული ადამიანების ენაზე ლაპარაკობს. ქალი ნელ-ნელა ხვდება, რომ ეს ენა რაღაც იდეით მის თავში საზრდოობს და არაფერი აქვს საერთო მის გრძნობებთან, გრძნობების მიხედვით ის კაცი მოზარდი-ბიჭია. და მიუხედავად იმისა, რომ ქალმა ეს იცის, ამ ენას მაინც დაჰყვება, კაცი იმარჯვებს.

*3 მოკლე მოთხრობა

ამას წინათ წიგნის მიმოხილვაში წავიკითხე: „უბედური სასიყვარულო ისტორიის ტიპური ნიმუში - ქალებს, მათ შორის, საუკეთესოებსაც კი, უყვარდებათ კაცები, რომლებიც მათ სრულიად არ შეეფერებიან“. მიმოხილვა, რა თქმა უნდა, კაცის დაწერილი იყო. სიმართლე კი ისაა, რომ „საუკეთესო ქალებს“ იმიტომ უყვარდებათ „კაცები, რომლებიც მათ სრულიად არ შეეფერებიან“, რომ კაცმა მათ „სახელი დაარქვა“, ან იმიტომ, რომ აქვთ გაურკვეველი, ჯერ შეუქმნელი თვისება, რომელიც „კარგსა“ თუ „საუკეთესო“ კაცს შეუძლებელია ჰქონდეს. ნორმალური, სწორედ ის „კარგი“ კაცები დასრულებულნი არიან, მათში არ არის დაფარული პოტენციური შესაძლებლობები. მოთხრო-

ბა იქნება ჩემს მეგობარ ენზე ცენტრალური აფრიკიდან, „საუკეთესო ქალზე“, რომლის ქმარიც „საუკეთესო კაცი“ იყო. ის სახელმწიფო მოხელე გახლდათ, სოლიდური პიროვნება, პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი, ჩუმ-ჩუმად ლექსებს რომ წერდა, საკმაოდ სუსტ ლექსებს. ენს ერთი მაღაროელი შეუყვარდა - ლოთი და მექალთანე. არ ყოფილა, ასე ვთქვათ, „ორგანიზებული“ მაღაროელი, არც მენეჯერი, არც კლერკი ან მაღაროს მფლობელი. გაუთავებლად გადადიოდა ერთი პატარა მაღაროდან მეორეში და ყოველთვის ისეთებს ირჩევდა, სადაც შეიძლებოდა უცებ გამდიდრებულიყავი ანდა, პირიქით, ყველაფერი დაგეკარგა. თუ მაღარო გაკოტრდებოდა ან რომელიმე სინდიკატს მიჰყიდდნენ, იქიდან მიდიოდა. ერთი საღამო ამ წყვილთან ერთად გავატარე. კაცი ახალი ჩამოსული იყო რომელიღაც მაღაროდან, სამასი მილის დაშორებით, ბუშში რომ მდებარეობდა. და, აი, ჩემ წინაშეა ენი - გვარიანად ჩასუქებული, ღაჟღაჟა, მომხიბლავი ქალიშვილი, მატრონად რომ ქცეულა. უცებ მაღაროელმა გახედა და უთხრა: „ენ, შენ იმისთვის ხარ დაბადებული, რომ მეკობრეს ცოლი იყო“. მახსოვს, როგორ გაგვეცინა, რადგან ეს იმდენად აბსურდული იყო, - მეკობრეები და კარგი, წესიერი ქმარი, და ენი, საუკეთესო ცოლი, ესოდენ დამნაშავე რომ გახლდათ მოხეტიალე მაღაროელთან გაბმული რომანის გამო, რომანისა, რომელიც უფრო წარმოსახვაში ხდებოდა, ვიდრე სინამდვილეში. თუმცა მახსოვს, როგორი მადლიერებით გახედა მას ენმა, როცა ეს უთხრა. ბოლოს და ბოლოს, გალოთდა და მოკვდა. ენმა ბევრი წლის დუმილის შემდეგ წერილი მომწერა: „გახსოვს ხ? გარდაიცვალა. შენ გამიგებ, ჩემმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა“. ინგლისურ ნიადაგზე გადატანილი ეს რომანი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

საუკეთესო ცოლს, კარგი გარეუბნის სახლის ბინადარს, უყვარს წყალწაღებული უქნარა, რომელიც მუდმივად კაფედან კაფეში დაყიალებს. ამბობს, მწერალი უნდა გავხდეო და შეიძლება მართლაც გახდეს, მაგრამ საქმე ეს არაა. მოთხრობა დაწერილი იქნება ქმრის, უაღრესად პასუხისმგებლიანი და ღირსეული ადამიანის პირით, რომელსაც ვერაფრით გაუგია, ასეთ მაწანწალასა და უქნარა კაცში რა შეიძლება იყოს მიმზიდველი.

*4 მოკლე მოთხრობა

ჯანსაღი ქალია, შეყვარებული. ატყობს, რომ ნელ-ნელა ავადდება, ამჩნევს ისეთ სიმპტომებს, არასოდეს რომ არ ჰქონია. დროთა განმავლობაში მიხვდება, რომ ეს ავადმყოფობა მისი არაა, ხვდება, რომ კაცია ავად. ქალი ხვდება ამ ავადმყოფობის ბუნებას. კაცზე დაკვირვებით კი არ ხვდება, არამედ იმით, თუ ის თვით მასზე როგორ აისახება.

*5 მოკლე მოთხრობა

ქალი, რომელსაც თავისდა უნებურად შეუყვარდა. ბედნიერია. მაგრამ, აი, ერთხელ შუაღამისას გაეღვიძება. კაცი ისე წამოხტება, თითქოს საფრთხე დაემუქრა. კაცი ბუტბუტებს: „არა, არა, არა“. მერე გამოფხიზლდება, თავს ხელში აიყვანს. ისევ წვება, უხმოდ. ქალს უნდა ჰკითხოს: „რას ეუბნები „არას“?“ ქალს ეშინია. მაგრამ ამას არ გამოხატავს. ქალი ისევ იძინებს, ძილში ტირის. ქალს გაეღვიძება, კაცს არ სძინავს. ქალი შეშფოთებით იკითხავს: „ეს შენი გულისცემაა?“ კაცი დაღვრემით პასუხობს: „არა, შენი“.

*6 მოკლე მოთხრობა

ქალი და კაცი, რომანი აქვთ. ქალს შეუყვარდა იმიტომ, რომ ძალიან სჭირდება სიყვარული, კაცს კი იმიტომ, რომ - თავშესაფარი. კაცი ერთხელ დღისით ძალზე ფრთხილად ეტყვის: „უნდა

წავიდე, ესა და ეს მოვინახულო“... კაცის ხანგრძლივ, დეტალურ ახსნა-განმარტებას უსმენს და ხვდება, რომ ეს მხოლოდ საბაბია, ნელ-ნელა უფრო დაიბნევა და აღელდება. ქალი ეტყვის: „კი, რა თქმა უნდა, წადი“. კაცი უეცრად ამბობს, ახალგაზრდულად და მეტად აგრესიულად: „შენ მე ყველაფერში ხელს მიწყობ“. ქალი ჰკითხავს: „რას ნიშნავს, ხელს გიწყობ? მე შენი დარაჯი არა ვარ, ჩემგან ამერიკელ ქალს ნუ ქმნი“. კაცი ღამით გვიან ბრუნდება, ლოგინში შეუწვება, ქალს ეღვიძება, მისკენ მიტრიალდება. ქალი გრძნობს, როგორ ფრთხილად, მოზომილი მოძრაობით მოეხვევა. ხვდება, რომ კაცს არ უნდა მასთან სიყვარულობა. ასო მომჩვარული აქვს, თუმცა რაღაც მოძრაობებს აკეთებს (და ეს ქალს აშფოთებს, მისი ეს მიამიტობა), თეძოებზე ეხახუნება. ქალი ხისტად ეტყვის: „მეძინება“. კაცი გაირინდება. ქალი განიცდის, ალბათ, აწყენინა. უცებ იგრძნობს, რომ ძალზე დიდი გაუხდა. ქალს ეს აფრთხობს, კაცს ის მხოლოდ იმიტომ მოუნდა, რომ უარი მიიღო. მაგრამ რადგან ქალს უყვარს, მისკენ მიტრიალდება. როცა სექსი მოთავდება, ქალი ხვდება, კაცმა ამით რაღაც სხვა დაასრულა. უცებ ქალი ხისტად ალაპარაკდება, ინტუიციის კარნახით, თუმცა არც კი იცის, რას იტყვის: „შენ ცოტა ხნის წინ ქალთან იყავი“. კაცი უმალ ჰკითხავს: „საიდან გაიგე?“ მერე კი თითქოს ეს არც ეთქვას, აცხადებს: „არა, ეს შენი ფანტაზიაა“. მერე კი ქალის მწარე, დაძაბული დუმილის გამო ამბობს: „არ მეგონა, თუ ამას მნიშვნელობა ექნებოდა. უნდა გაიგო, ამ ყველაფერს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“. მისი ეს ბოლო სიტყვები ქალს ამცირებს და ანადგურებს, იგი თითქოს წყვეტს არსებობას როგორც ქალი.

*7 მოკლე მოთხრობა

ერთი აუწყობელი ცხოვრების კაცი შემთხვევით აღმოჩნდება იმ ქალის სახლში, რომელიც მოსწონს და რომელიც სჭირდება. კაცს მდიდარი გამოცდილება აქვს ისეთ ქალებთან ურთიერთობისა, რომელთაც სიყვარული სწყურიათ. ჩვეულებრივ, კაცი თავის თავს რაღაც საზღვრებს უწესებს. თუმცა ამჯერად თავს უფლებას აძლევს მრავალმნიშვნელოვნად ილაპარაკოს, თავს უფლებას აძლევს გამოხატოს გრძნობები, რაც ასეც შეიძლება იქნეს გაგებული და ისეც, რადგან ქალისგან განსაზღვრული დროით სითბო სჭირდება. სიყვარულობენ, თუმცა მასთან სექსი კაცისთვის არც უკეთესი და არც უარესია იმაზე, რაც წარსულში მრავალჯერ ჰქონია. კაცი აცნობიერებს, რომ დროებითი თავშესაფრის მოთხოვნილებამ იმ მახეში შეიტყუა, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდა: ესაა ქალი, რომელიც ეუბნება: „მე შენ მიყვარხარ“. კაციოფიციალურად ემშვიდობება, იმ დონეზე, რაც მხოლოდ და მხოლოდ მეგობრული ურთიერთობისთვის არის შესაფერისი. მიდის. დღიურში იწერს: „დავტოვე ლონდონი. ანამ საყვედურებით ამავსო. შემიძულა. რას იზამ, რაც არის, არის“... და შემდეგი ჩანაწერი, თვეების მერე გაკეთებული, ორი თანაბრად მისაღები ვარიანტი აქვს: „ანა გათხოვდა. ძალიან კარგი“. ანდა: „ანამ თავი მოიკლა. საწყალი, კარგი ქალი იყო“.

*8 მოკლე მოთხრობა

ქალი-ხელოვანი - არა აქვს მნიშვნელობა, მხატვარია თუ მწერალი, - მარტო ცხოვრობს. თუმცა მთელი მისი ცხოვრება არარსებულ კაცზეა აწყობილი, რომელსაც ელის. მაგალითად, ერთი ადამიანისთვის მეტისმეტად დიდი ბინა აქვს. მისი ცნობიერება აღსავსეა კაცის სახებით, რომელიც მის ცხოვრებაში უნდა შემოვიდეს, ამასობაში წერას ან ხატვას წყვეტს. თუმცა თავი კვლავაც „შემოქმედად“ მიაჩნია. ბოლოს, მის ცხოვრებაში

მართლა შემოდის კაცი, ასევე „ხელოვანი“, ოღონდ ჯერ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი. ქალის პიროვნების „შემოქმედებითი“ ნაწილი კაცში გადადის, კაცი მისით საზრდოობს, იყენებს მას, ისე ამუშავებს, თითქოს ქალი დინამო-მანქანა იყოს, მას რომ ენერგიას აწვდის. ბოლოს და ბოლოს, კაცი იბადება როგორ ხელოვანი, ნამდვილი ხელოვანი, მაგრამ ქალში ხელოვანი უკვე მკვდარია. და იმ მომენტში, როცა ქალი ხელოვანი აღარ არის, კაცი მიატოვებს, რადგან რამე რომ შექმნას, სჭირდება ქალი, რომელსაც ეს თვისება აქვს.

*9 მოკლე რომანი

ამერიკელი, „ყოფილი წითელი“, ლონდონში ჩადის. არც ფული გააჩნია, არც მეგობრები ჰყავს. კინოსა და ტელევიზიის სამყაროში „შავ სიაშია“. ამერიკული კოლონია ლონდონში, უფრო ზუსტად, „ყოფილი წითელი ამერიკელების“ კოლონია იცნობს მას, როგორც კაცს, რომელმაც პარტიაში სტალინისტური მიდგომის გაკრიტიკება სამი-ოთხი წლით ადრე დაიწყო, ვიდრე თვითონ გაბედავდნენ ამას. კაცი მიდის მათთან, იმედი აქვს, რომ დაივიწყებენ აწინდელ მტრობას, დაეხმარებიან, რადგან იგი, ასე ვთქვათ, თვით ისტორიამ გაამართლა. არადა, მათი დამოკიდებულება მის მიმართ არ შეცვლილა იმ დროიდან, რაც პარტიის თავგადადებული წევრები ანდა მისი გულშემატკივრები იყვნენ. მათთვის იგი რენეგატად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ შეხედულებები შეიცვალეს და ახლა მკერდში მჯიღს იბაგუნებენ, ნანობენ, პარტიასთან უფრო ადრე რატომ არ გავწყვიტეთ კავშირიო. მათ შორის ვრცელდება ხმა, რომელიც დააგდო კაცმა, ვინც წინათ დოგმატურად, სრულიად არაკრიტიკულად განწყობილი კომუნისტი გახლდათ, ახლა კი გულში მჯიღს ისტერიულად იცემდა, რომ ახალჩამოსული ამერიკელი ფბი-ს აგენ-

ტია. კოლონია ამ ჭორს ნამდვილ ფაქტად იღებს და ახალჩამოსულს დახმარებასა და მეგობრობაზე უარს ეუბნება. და სანამ ამ კაცს ბოიკოტს უწყობენ, თვითკმაყოფილად და თვალთმაქცურად მსჯელობენ საიდუმლო პოლიციაზე რუსეთში, ანტიამერიკული კომიტეტების მოქმედებაზე, დამსმენებზე ყოფილი „წითლებიდან“. ამერიკელი, ბოლოს და ბოლოს, თავს იკლავს. მაშინ ისინი ერთად სხდებიან წრეში და იხსენებენ ინციდენტებს პოლიტიკური წარსულიდან, ეძებენ საბაბს, რის გამოც შეიძლებოდა არ ჰყვარებოდათ იგი, რათა დანაშაულის გრძნობა ამ საუბრით ჩაიხშონ.

*10

მამაკაცი ან ქალი, რომელმაც რაღაც ფსიქიკური დარღვევის გამო დროის შეგრძნება დაკარგა. აშკარად მაგარი ფილმი გამოვიდოდა, თემა ბევრის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა მე ამის დაწერის მცირედი შანსიც კი არ გამაჩნია, ამიტომ ამაზე ფიქრს აზრიც არა აქვს. მაგრამ არ ვიფიქრო, არ შემიძლია. კაცი, რომელმაც დაკარგა „რეალობის განცდა“; ამის გამო მისი შეგრძნება რეალობისა უფრო ღრმაა, ვიდრე სხვა, „ნორმალური“ ადამიანებისა. დღეს დეივმა ისე, სასხვათაშორისოდ მითხრა: „ის შენი კაცი, მაიკლი, ჰო, აი, ის, რომ მიგატოვა, არ უნდა დაუშვა, რომ ამან შენზე იმოქმედოს. აბა, ვინ ყოფილხარ, თუკი შეიძლება გაგანადგუროს კაცმა, რომელიც იმდენად ბრიყვია, რომ შენთან ურთიერთობის გაგრძელება არ შეუძლია?“ ამას ისე ამბობდა, თითქოს მაიკლი ჯერ კიდევ „ჩემი მიტოვების პროცესში“ იყო, არადა, მას მერე რამდენიმე წელი გავიდა. და, რა თქმა უნდა, თავის თავზე ლაპარაკობდა. წამით მაიკლად იქცა. რეალობის ჩემეული შეგრძნება აცახცახდა და დაიმსხვრა. და მაინც, ეს იყო რაღაც ძალზე ცხადი, თითქოსდა გამონათება,

თუმცა ამის სიტყვით გამოხატვა მეტად ძნელია (მსგავსი კომენტარების ადგილი აქ კი არა, ლურჯ რვეულშია).

*11 მოკლე რომანი

ორი ადამიანი, რომელთაც ნებისმიერი ურთიერთობა აკავშირებს: დედა და შვილი, მამა და ქალიშვილი, საყვარლები, სულერთია. ერთ-ერთს მძაფრი ნევროზი აქვს. ნევრასთენიკი თავის შინაგან მდგომარეობას მეორეს გადასცემს, რომელიც ამას იღებს, რის შედეგადაც ავადმყოფი გამოჯანმრთელდება, ჯანმრთელი კი დაავადდება. მახსოვს ტკბილი დედილოს მონაყოლი მის ერთ-ერთ პაციენტზე. მასთან ერთი ახალგაზრდა კაცი მივიდა, სრულიად დარწმუნებული, რომ მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა. მისის მარქსმა მსგავსი ვერაფერი აღმოუჩინა და სთხოვა, მამამისი მოეყვანა. მისი ოჯახის ხუთივე წევრი, ერთიმეორის მიყოლებით, ესტუმრა მის კაბინეტს. ტკბილი დედილოს აზრით, ყველანი სრულიად ნორმალურები იყვნენ, ყოველგვარი ფსიქოლოგიური პრობლემების გარეშე. ბოლოს დედა მივიდა. ქალს, ერთი შეხედვით „ნორმალურს“, მწვავე ნევროზი ჰქონდა, თუმცა წონასწორობას იმის ხარჯზე ინარჩუნებდა, რომ თავის მდგომარეობას ოჯახის წევრებს გადასცემდა, განსაკუთრებით - უმცროს ვაჟს. დროთა განმავლობაში ტკბილმა დედილომ მოახერხა და მეტ-ნაკლებად მოარჩინა, თუმცა წარმოუდგენლად რთული გამოდგა იმ ქალის დაყოლიება, სეანსებზე რომ ევლო, და ახალგაზრდა კაცმა, რომელიც მასთან პირველი მივიდა, იგრძნო, როგორ ეხსნებოდა მძიმე ტვირთი. მახსოვს, ტკბილმა დედილომ როგორ თქვა: „დიახ, ხშირად ნამდვილი ავადმყოფი ოჯახის ან ადამიანთა რაიმე ერთობის ყველაზე „ნორმალური“ წევრი აღმოჩნდება ხოლმე. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძლიერი პიროვნებები არიან, გადარ-

ჩებიან ხოლმე, რადგან სხვები, უფრო სუსტი პიროვნებები, მათ მაგივრად გამოხატავენ მათ ავადმყოფობას“ (მსგავსი კომენტარების ადგილი ლურჯ რვეულშია, მე ეს უნდა გავარჩიო).

*12 მოკლე მოთხრობა

ქმარი ღალატობს ცოლს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სხვა ქალი შეუყვარდა, არამედ იმიტომ, რომ თავისი დამოუკიდებლობის დაცვა სურს. სხვა ქალთან სექსის მერე ბრუნდება შინ, გადაწყვეტილი აქვს, მაქსიმალურად ფრთხილად იყოს, მაგრამ შემთხვევით ისეთ რაღაცას აკეთებს, რაც გასცემს. ეს „შემთხვევითობა“ - სუნამოს სურნელი, ანდა ტუჩის საცხი, ანდა სექსის სუნი, რომლის ჩამობანაც დაავიწყდა, - სინამდვილეში არის ის, რისთვისაც ეს ყველაფერი წამოიწყო, თუმცა ამას თვითონ ვერ აცნობიერებს. მას უნდა ეთქვა ცოლისთვის: „მე არ ვაპირებ შენი საკუთრება ვიყო“.

*13 მოკლე რომანი, რომელსაც ერქმევა

„ქალებისგან თავისუფალი მამაკაცი“

ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი, უცოლო, ანდა, შესაძლოა, ცოტა ხანი ჰყავდა ცოლი, მაგრამ მოუკვდა, ანდა გაეყარა. თუ ამერიკელია, მაშინ გაყრილია, მაგრამ თუ ინგლისელი, ცოლი, შესაძლოა, სადღაც შეჩურთული ჰყავს, შესაძლოა, მასთან ცხოვრობს კიდეც, ანდა უბრალოდ ერთ სახლში არიან, მაგრამ ნამდვილი ემოციური კონტაქტი არ გააჩნიათ. სანამ ორმოცდაათ წელს მიაღწევდა, რამდენიმე ათეული რომანი ჰქონდა, აქედან სამი ან ოთხი, სერიოზული. სერიოზული რომანები ჰქონდა იმ ქალებთან, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ ცოლად შეირთავდა, მათი ურთიერთობა დიდხანს გრძელდებოდა და თავისი არსით ოჯახური გახლდათ, ოღონდ გაოფიციალურების გარეშე და კაცი ურთიერთობას იმ მომენტში წყვეტდა, როცა ეს ქალები

ცოლად უნდა მოეყვანა. ორმოცდაათი წლისა დაიშრიტა, თავისი სექსუალურობა აფიქრებს, ხუთი ან ექვსი მეგობარი ქალი ჰყავს, ყველა მისი ყოფილი საყვარელია, ამჟამად ყველა გათხოვილი. ის კაცი ექვსიოდე ოჯახის „გუგულია“, ოჯახის ძველი მეგობარი. ბავშვივითაა, ქალებზეა დამოკიდებული, მუდმივად ურეკავს ამ ქალებიდან რომელიმეს და სთხოვს, რაღაცაში დაეხმარონ. გარეგნულად - იმპოზანტური, ირონიული, ჭკვიანია და თავისუფლად შეუძლია ერთი კვირით ან ცოტა მეტით, თავბრუ დაახვიოს ნებისმიერ ქალიშვილს. მათთან - ქალიშვილებთან ანდა ქალებთან - რომლებიც მასზე გაცილებით ახალგაზრდები არიან, - ხანდახან რომანს აბამს, მერე კი ისევ უბრუნდება მოწიფულ ქალებს, რომლებიც მისი კეთილი ძიძების, გადიების როლს ასრულებენ.

*14 მოკლე რომანი

კაცი და ქალი, ქმარი და ცოლი ანდა ადამიანები, რომლებსაც დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებთ. ერთმანეთის დღიურებს ჩუმ-ჩუმად კითხულობენ, სადაც (და ეს ორივეს ეამაყება) ერთმანეთზე მაქსიმალურად გულწრფელად წერენ. ორივემ იცის, რომ მეორე მის დღიურს კითხულობს და ერთხანს დღიურები ობიექტურია. მერე, თანდათან, ორივე ყალბად წერას იწყებს, თავიდან - გაუცნობიერებლად, შემდეგ - გაცნობიერებულად, იმისთვის, რომ ერთმანეთზე ზემოქმედება მოახდინონ. დროთა განმავლობაში ყალიბდება ასეთი სიტუაცია: ორივე ორ-ორ დღიურს წერს, ერთს თავისთვის, რომელსაც მალავს, მეორეს, მეუღლემ რომ წაიკითხოს. შემდეგ ერთ-ერთ მათგანს შეცდომა მოუვა, ან რაღაც წამოსცდება, და მეორე დაადანაშაულებს, რომ მისი საიდუმლო დღიური წაიკითხა. საშინელი სკანდალი ატყდება, რაც მათ სამუდამოდ დააშორებს, ოღონდ

ამის მიზეზი თავდაპირველი დღიურები არაა - „ჩვენ ხომ ორივემ ვიცოდით, რომ იმ დღიურებს ვკითხულობდით, ეგ არ ითვლება, მაგრამ როგორ შეგიძლია იმდენად უნამუსო იყო, რომ ჩემი პირადი დღიური წაიკითხო!“

*15 მოკლე მოთხრობა

ამერიკელი კაცი და ინგლისელი ქალი. ქალი თავისი ემოციებითა და განცდით განწყობილია, დაეუფლონ, მოიხმარონ. კაცი თავისი ემოციებითა და განცდით ელის, რომ მას მოიხმარენ. თავისი თავი მიაჩნია იარაღად, რომელიც ქალმა სიამოვნების მისაღებად უნდა გამოიყენოს. ემოციური ჩიხი. ერთხელაც ამაზე ლაპარაკს დაიწყებენ, დისკუსია სექსუალური სფეროსადმი სხვადასხვა ემოციურ მიდგომაზე ორი განსხვავებული საზოგადოების, ორი კულტურის შედარებაში გადაიზრდება.

*16 მოკლე რომანი

მამაკაცი და ქალი, ორივე სექსუალურად ქედმაღალი და ამ სფეროში მეტად გამოცდილი, იშვიათად შეხვედრიათ ისეთივე გამოცდილი ადამიანები, თვითონ რომ არიან. უეცრად ორივეს ერთმანეთის მიმართ ანტიპათია უჩნდება. გრძნობა, რომელიც გაუჩნდათ, როდესაც დააკვირდებიან (ისინი კი მუდმივად თავის თავში იქექებიან), საკუთარი თავისადმი ანტიპათია აღმოჩნდება. ორივემ დაინახა თავისი ანარეკლი, სარკე, რომელშიც მან ყურადღებით ჩაიხედა, დაიმანჭა, განზე გადგა. როდესაც ამას გააცნობიერებენ და მჟავე გამომეტყველებას მიიღებენ, ახლო მეგობრები ხდებიან, გავა ხანი და ეს ირონიაშეფერილი და მომჟავო მეგობრობა სიყვარულში გადადის. მაგრამ ამ სიყვარულთან მისასვლელი გზა მათთვის ჩახერგილია იმ პირველი, უემოციო სიახლოვის მძაფრად მტკივნეული გამოცდილებით.

*17 მოკლე რომანი

ორი დარდიმანდი ერთად: დარდიმანდი-კაცი და დარდიმანდი-ქალი. მათი ერთობლივი ცხოვრება ამ ირონიით აღსავსე რიტმს ემორჩილება. კაცი ეუფლება ქალს, ის ჯერ ფრთხილობს, მაგრამ მერე დაჰყვება. იმ მომენტში, როდესაც ქალი მთლიანად ეძლევა კაცს, მისი გრძნობა კვდება, სრულიად ეკარგება სურვილი. ქალი გულნატკენია, თავს უბედურად გრძნობს. ქალი სხვასთან მიდის და კაცისთვის უმალ სანატრელი ხდება. მაგრამ თუკი კაცს აღაგზნებს იმის ცოდნა, რომ სხვასთან წევს, ქალი ამის გამო შინაგანად გახევდება, რადგან კაცს თვითონ კი არ აღაგზნებს, არამედ ღალატი. თუმცა თანდათანობით ქალი ისევ დაჰყვება ემოციურად და ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ყველაზე კარგად გრძნობს თავს, კაცი ისევ გახევდება, სხვასთან მიდის, ქალიც მიდის და ასე შემდეგ.

*18 მოკლე მოთხრობა

იგივე თემაა, რაც ჩეხოვის მოთხრობაში „სულიკო“. მაგრამ ამჯერად ქალი იმიტომ კი არ იცვლება, განსხვავებულ კაცებს რომ შეეწყოს, არამედ იმიტომ, რომ ერთი და იმავე კაცში მომხდარ ცვლილებებს მიესადაგოს, კაცისა, რომელიც თავისი არსით ფსიქოლოგიური ქამელეონია. ასე რომ, ერთი დღის განმავლობაში ქალი შეიძლება ხუთ-ექვს პიროვნებად გარდაისახოს, ანდა იმიტომ, რომ წინ აღუდგეს კაცს, ანდა იმისთვის, რომ კაცთან ჰარმონიულად იყოს.

*19 მაგარძმაბიჭური რომანტიკის ლიტერატურული სკოლა

ბიჭები ერთობოდნენ, შაბათ საღამოს ტასაობდნენ ერთი გულით, ველური გულით, ეს იყო შაბათის რეალური ტასაობა ნაღდი ძმაბიჭებისა: ბადის, დეივის და მაიკის. თოვდა. გადათეთრებულიყო, ციოდა. ქალაქების მთელი სიცივე ქალაქთა ქალაქში, ნიუ-იორკში ჩაღვრილიყო. მაგრამ ჩვენ ხოშიანად ვიყავით. ბა-

დი, მაიმუნისმხრებიანი, გვერდზე იდგა და უბრალოდ თვალებს აცეცებდა. ხვანჯარს იფხანდა. ბადი-მეოცნებე, კუპრივით შავი თვალებით, დაღვრემილი, თვალებს აცეცებდა, ხშირად პირდა-პირ ჩვენ წინაშე ანძრევდა, ისე, რომ ვერც აცნობიერებდა, უმანკოდ, თავისი ცნობისწადილიანი უმანკოებით. ახლა კი მის სევდიანსა და მოხრილ მხრებზე ფანტელები თეთრად კიაფობდნენ. და, აი, დეივმა გაუხურა, დეივი და ბადი, თეთრსა და უმანკო თოვლზე დაგორდნენ, ბადი იგუდებოდა. დეივმა მუშტი ხია მუცელში, დიახ, ეს ნაღდი ძმაბიჭების ნაღდი სიყვარულია, დიახ, პატივცემული ჯეელები მაიმუნობენ მანჰეტენის ცივ კლდეებში, შაბათის ნაღდ საღამოს. ბადი გაითიშა. „მევასება ეს შობელძაღლი“, - თქვა დეივმა, სანამ ბადი ეგდო, გაშოტილი, ჩვენთვის და დიდი ქალაქის სევდისათვის დაკარგული. მე, მაიკი, მაიკი-- მარტოსული-მგზავრი, გვერდით ვიდექი, ვუყურებდი ჩემს ძმაბიჭებს, სანდო, ნაღდ ძმაბიჭებს, დეივსა და ბადის. ბადი აზრზე მოვიდა, ლამის მიბრედილი ტუჩები ნერწყვმა დაუსველა და ნერწყვივით თეთრ თოვლში დაეცა. წამოჯდა, პირს ფართოდ აღებდა, ჰაერს ისუნთქავდა, დეივი დააფიქსირა, თავის მუხლებს ხელი მოავლო, დეივს მიაშტერდა, მზერაში სიყვარული ჩაუდგა, ბრონქსის სევდით სავსე მზერაში. დეივს ნიკაპში ბანჯგვლიანი მუშტი მარცხნიდან ხია, დეივს ხია, და ახლა დეივი გაიშხლართა პირქვე, პირქვე, მომაკვდინებელ-გამოყინულ თოვლში. ბადი იცინოდა, იჯდა, თავის ჯერს ელოდა. ჯანდაბა, სუფთა მანიაკია. „რას აპირებ, ბადი?“ - ვკითხე მე, მაიკმა, სწორედ იმ მარტოსულმა მგზავრმა, მაგრამ ნაღდი ძმაბიჭების მოყვარულმა. „ჰა-- ჰა-ჰა, ხედავ, რა სიფათი აქვს?“ - თქვა მან და სიცილისგან ჩაბჟირდა, იხრჩობოდა სიცილისგან, ხვანჯარს ეპოტინებოდა. „ხედავ?“ - დეივმა თქვა, პირს ფართოდ აღებდა, ჰაერს ისუნთქავ-

და, აზრზე მოვიდა, დაიკვნესა, გადაგორდა თოვლში, წამოჯდა. მაშინ დეივმა და ბადიმ დასცხეს ერთმანეთს, ნაღდად იჩხუბეს, იცინოდნენ სიხარულისგან, სანამ ასევე სიცილით არ დაეყარნენ თოვლზე სხვადასხვა მხარეს. მე, მაიკი, მაიკი-სიტყვით-ფრთაშესხმული ვიდექი და სიხარულისგან ვჭმუნავდი. „ეჰ, მევასება ეგ შობელძაღლი“, — ამოთქვა დეივმა, სუნთქვა ეკვროდა, ბადის მუშტი გაუქანა ნეკნებში, მან კი ხელი დაუხვედრა და თქვა, „ჯანდაბა, აუ, რა მაგრად მევასება“. თუმცა იმწამს ქვაფენილზე ფეხსაცმლის საამური პაკაპუკი გავიგონე. გავიგონე და ვთქვი: „ჰეი, ძმებო“. ვიდექით, ველოდებოდით. გამოჩნდა ის, როზი, გამოვიდა თავისი ბნელი დაქირავებული საძილედან, თავისი საამური პაკაპუკით. „ბიჭებს სალამი“, - ამბობს როზი, ტკბილად იღიმება. ვდგავართ და ვუმზერთ. ჩვენ, ახლა სევდიანნი, ვუმზერთ როზის, თვისი სხეულით თავმომწონეს, ვუმზერთ, როგორ მიპაკუნობს ქვაფენილზე, ქალური სქესის ყველა აგრეგატს მაგრად ახვანცალებს, მონაცვლეობით კუმშავს ბურთივით მრგვალი დუნდულების ნახევარს, რაც იმედს გულში ძალუმად გვისახავს. და, აი, მაშინ ბადი, ჩვენი ძმაბიჭი ბადი, დაგვშორდა, დაეჭვებული, თვალებში სევდა - ჩვენს სევდიან თვალებში: „ბიჭებო, მე ხო მართლა ძალიან მაგრად მევასება“. ორი ძმაბიჭი მაშინ მიატოვა. დეივი-ორი-მუშტი და მაიკი-სიტყვით-ფრთაშესხმული. მაშინ ასე ვიდექით, ვიდექით და ვუმზერდით, როცა ჩვენმა ძმაბიჭმა ბადიმ, თვით ცხოვრების მიერ მისჯილმა, თავი დაგვიქნია და როზის გაჰყვა, მის გულს უმანკოდ გაუდიოდა ბაგაბუგი, როზის ქუსლების საამური პაკაპუკის რიტმში. მისტიკური დროის ფრთებმა შემოგვიტყლაშუნა მაშინ, ფანტელებისგან გათეთრებული, დროისა, რომელიც ყველას აღგვგვის ჩვენ-ჩვენი როზის კვალად, სიკვდილამდე და ჩვენს ბო-

ლო თავშესაფრამდე, ხის ყუთი როა. ტრაგიკულია და ლამაზი სანახავი, როგორ გვშორდება ჩვენი ბადი, შორს, განწირული ფანტელების უძველეს ორომტრიალში, მშრალი ჭირხლი მის საყელოს ერითმება. და ჩვენი სიყვარული, რომელიც მაშინ ჩვენი გულიდან ამოვიდა და მას გაჰყვა, იყო უბრალოდ ფანტასტიკური, სევდიანსახიანი, რეალურად ძლიერი, დროის მიზანდანიშნულებათა ხინჯით შეუბღალავი, არამედ ნაღდი და სინამდვილეში - სერიოზული. ჩვენ ის გვიყვარდა, როდესაც მოვტრიალდით, რომ წავსულიყავით, ორი მიტოვებული მეგობარი, ქარი ჩვენი თინეიჯერული ქურთუკების კალთებს ჩვენს უმანკო მუხლებს აგლეჯდა. და წავედით ჩვენ, დეივი და მაიკი, სევდიანნი, რადგან ჩიტუნა-ტრაგედიის-მინიშნება შეეხო ჩვენს მარგალიტის სულებს, ის-დეივი და მე-მაიკი წავედით მაშინ, ცხოვრების სიმძიმილით მოხრილნი. დეივმა ხვანჯარი მოიფხანა, ზანტმა, ჭოტივით მოიფხანა ხვანჯარი, უმანკო დეივმა. „ჯანდაბა, მაიკ, - თქვა მან, - შენ ერთხელ დაწერ ამას, ჩვენი გულისთვის, - ენა ებმოდა, ვერ მეტყველებდა, სიტყვით-ვერ-ფრთაშესხმული, - ხო დაწერ ერთხელაც, ჰა, ძმაო? და როგორ დაიმსხვრა ჩვენი სულები აქ, მანჰეტენის ამ ქათქათა ქვაფენილზე, როდესაც კაპიტალისტურ-ფულოსანი-მამონა, ჯოჯოხეთის-მწევარი, კვალში გვდევდა?“ „ჯანდაბა, დეივ, მაგრად მევასები“, - ვუთხარი მე მაშინ და ჩემი ბიჭური სული სიყვარულისგან დაიძაგრა. ვხიე მაშინ, პირდაპირ ყბაში, სამყაროს-სიყვარულით, ყველა-ძმაბიჭის-სიყვარულით, ყველა დეივის, მაიკის, ბადის სიყვარულით გული მეკუმშებოდა. დაეცა და მაშინ მე, მაიკმა, ავანანავე, პატარავ, მე-მიყვარხარ-შენ, მეგობრობა ქალაქ-ჯუნგლში, ჩემი სიყმაწვილის მეგობრობა. უმანკო. და ქროდნენ ქარები დრო-ჟამისა, თოვლით მისჯილნი, ჩვენს მოსიყვარულე უმანკო მხრებს გლეჯდნენ.

თუკი პაროდიას, სტილიზებას მივუბრუნდი, ესე იგი, დროა შევჩერდე.

აქ ყვითელი რვეული ორმაგი შავი სქელი ხაზით მთავრდება.

ლურჯი რვეული

ლურჯ რვეულში ჩანაწერები გრძელდებოდა,

ოღონდ დათარიღებული აღარ იყო.

ვიღაც-ვიღაცებმა გაიგეს, რომ ჩემი ზედა ოთახი ცარიელია და რეკვა დაიწყეს. მუდმივად ვპასუხობ, რომ არ ვაპირებ გაქირავებას, არადა, ფული მჭირდება. შემოიარა ორმა საქმიანმა ქალიშვილმა, რომლებმაც აივორისგან გაიგეს, ოთახი თავისუფალი აქვსო. მივხვდი, რომ ქალიშვილების შემოშვება არ მინდოდა. ჯენეტი, მე და ორი ქალიშვილი - სახლი ქალებით იქნება სავსე, ეს კი არ მსურს. მერე გამოჩნდა რამდენიმე მამაკაცი. მათგან პირველი ორი თავიდანვე ცდილობდა გარკვეული განწყობა შემოეტანა: შენ და მე, მარტო ვართ ბინაში; ამიტომ დავითხოვე. სამ მათგანს, ასე ვთქვათ, უპატრონოდ მიტოვებული ქონების ნაშთებს, დედობრივი ზრუნვა სჭირდებოდა და ვიცოდი, პირველივე კვირის ბოლოს ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, რომ იძულებული გავხდებოდი, მუდმივად მეპატრონა. და, აი, მაშინ გადავწყვიტე, რომ ოთახს აღარასოდეს გავაქირავებ. სამსახურს ვიშოვი, უფრო პატარა ბინაში გადავალ, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ ეს არა. ამ დროს ჯენეტი მეკითხებოდა: „რა სამწუხაროა, რომ აივორს წასვლამ მოუწია, იმედია, ასეთივე კარგი ვიღაც ისევ გამოჩნდება“ და ასე შემდეგ. მერე კი, სრულიად მოულოდნელად, გამომიცხადა, მინდა სკოლა-პანსიონში ვისწავლოო. თურმე მის სკოლის მეგობარს გზავნიან პანსიონში. ვკითხე ჯენეტს, რატომ გინდა იქ გადასვლა-მეთქი, მან კი მიპასუხა, რომ გოგონებთან უნდა თამაში. ძალიან შევწუხდი, მიტოვებულად ვიგრძენი თავი, მერე კი თვითონ გავბრაზდი ჩემს

თავზე. ვუთხარი, ვიფიქრებ ამაზე-მეთქი, - ფული საქმის პრაქტიკული მხარეა. მაგრამ სინამდვილეში მე სხვა რაღაცაზე მინდოდა მეფიქრა, ჯენეტის ხასიათზე, რა იქნება მისთვის უკეთესი. არაერთხელ მიფიქრია, ჩემი ქალიშვილი რომ არ ყოფილიყო (ვგულისხმობ, გენეტიკურად კი არა, არამედ მე რომ არ აღმეზარდა), სრულიად ჩვეულებრივი და ტრადიციული ბავშვი იქნებოდა, რაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. და არის კიდეც, მიუხედავად მისი ზედაპირული ორიგინალურობისა. მიუხედავად მოლის გავლენისა, მიუხედავად ჩემი ხანგრძლივი ურთიერთობისა მაიკლთან და მისი დაკარგვისა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეგრეთ წოდებული „დანგრეული ოჯახის“ პროდუქტია. როდესაც ჯენეტს ვუყურებ, ვხედავ მხოლოდ და მხოლოდ საყვარელ, ჩვეულებრივ, ზომიერად გონიერ გოგონას, რომელსაც თავად ბუნებისგან აქვს დასახული იცხოვროს ზედმეტი გართულებების, გამოგონილი პრობლემების გარეშე. კინაღამ დავწერე: „იმედია, ასეც იქნება“. რატომ? მე თვითონ არ ვხარჯავ დროს იმ ადამიანებზე, რომლებიც თავის თავზე ექსპერიმენტებს არასოდეს ატარებდნენ, რომლებიც არ ცდილობდნენ საზღვრების გარღვევას იმისთვის, რომ გაერკვიათ, თუ სად გადის საზღვარი, მაგრამ როდესაც ლაპარაკია საკუთარ შვილზე, აუტანელია თვით აზრიც კი, რომ ეს ყველაფერი შეიძლება მათაც, ბავშვებს შეეხოს. როდესაც ჯენეტმა თქვა: „მე პანსიონში მინდა“, - თქვა ჭირვეული მომხიბვლელობით, რომელსაც ახლა არცთუ იშვიათად იყენებს, ნელ-ნელა შლის ფრთებს, როგორც მომავალი ქალი - სინამდვილეში, აი, რა მითხრა: „მე მინდა ვიყო ჩვეულებრივი და ნორმალური“. მან თქვა: „მე მინდა თავი დავაღწიო რთულ სიტუაციას“. ალბათ, იმიტომ, რომ გრძნობს, ჩემში დეპრესია ძლიერდება. ის კი მართალია, რომ მასთან ურთი-

ერთობისას აპათიურ, შეშინებულ ანას ჩემი თავიდან განვდევნი ხოლმე. მაგრამ, ეტყობა, მაინც გრძნობს, რომ ის ანა იქ მყოფობს. და, რასაკვირველია, მიზეზი, რომლის გამოც არ მინდა ჯენეტი გავუშვა, შემდეგია, - ის ჩემს ნორმალურობას წარმოადგენს. როდესაც მასთან ვარ, იძულებული ვხდები, ვიყო უბრალო, პასუხისმგებლიანი, მოსიყვარულე, და ამგვარად ის მტკიცედ მაკავშირებს იმასთან, რაც ჩემში არის ნორმალური. აი, როცა კი პანსიონში წავა...

დღეს ჯენეტმა გაიმეორა: „როდესაც პანსიონში წავალ, მინდა მერისთან ერთად წავიდე“ (მერი მისი მეგობარია).

ავუხსენი, რომ უფრო პატარა ბინაში გადაბარგება მოგვიწევს და რომ მე სამსახური უნდა ვიშოვო. თუმცა ეს დიდად საჩქაროც არაა. ერთმა კინოკომპანიამ და ეს უკვე მესამეჯერ ხდება, შეიძინა „ომის საზღვრების“ ეკრანიზაციის უფლება, თუმცა ეს ვერ განხორციელდება. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს. უფლებას არ მივყიდდი, რომ მჯეროდეს, ფილმს გადაიღებენ. ეს ფული გვეყოფა, თუ განსაკუთრებული პრეტენზიების გარეშე ვიცხოვრებთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჯენეტი პანსიონში გადავა.

პროგრესული სკოლების მდგომარეობის შესწავლა დავიწყე. მოვუყევი ჯენეტს. გამომიცხადა:

- ჩვეულებრივ პანსიონში მინდა.

ვუთხარი:

- გოგონების ტრადიციულ ინგლისურ პანსიონში არაფერია ჩვეულებრივი, ის თავისთავად უნიკალური მოვლენაა, სხვაგან მსოფლიოში მსგავს რაღაცას ვერსად ნახავ.

მომიგო:

- მშვენივრად იცი, რასაც ვგულისხმობ. გარდა ამისა, მერისთან ერთად მინდა ვიყო.

ჯენეტი რამდენიმე დღეში მიდის. დღეს დამირეკა მოლიმ და მითხრა, რომ ერთი ამერიკელი ეძებს ოთახს. ვუთხარი, არ მინდა გაქირავება-მეთქი. მეუბნება:

- მაგრამ მაგ უზარმაზარ ბინაში მარტო რჩები, არა, თუ არ გინდა, შეგიძლია საერთოდაც არ შეხვდე.

გავჯიუტდი, მაშინ მეუბნება:

- იცი, რა, მგონი, ეს ანტისოციალურია. ანა, რა დაგემართა?

ეს „ანა, რა დაგემართა?“ ძალიან გულზე მომხვდა. რადგან ეს მართლაც ანტისოციალურია, მაგრამ მე ფეხებზე მკიდია. მითხრა:

- ცოტა ადამიანობა გამოიჩინე რა, ის კაცი მემარცხენე ამერიკელია, ფული არა აქვს, შავ სიაშია, შენ კი მარტო ხარ ბინაში, სადაც ამდენი ცარიელი ოთახია.

შევეპასუხე:

- თუკი ამერიკელია, რომელიც ევროპაში თავის ნებაზე დაბორიალებს, ნიშნავს, რომ წერს ეპიკურ ამერიკულ რომანს, დადის ფსიქოანალიტიკოსთან, გაჩხერილია იმ საშინელ ამერიკულ ქორწინებათაგან ერთ-ერთში და უნდა ვისმინო ისტორიები მის საზრუნავზე — მინდოდა მეთქვა, პრობლემებზე.

თუმცა მოლის არ გასცინებია, მითხრა:

- თუკი ზომებს არ მიიღებ, ისეთივე გახდები, როგორიც ყველა, ვინც პარტია დატოვა. გუშინ ტომი შემხვდა, პარტიიდან უნგრეთის მოვლენების დროს გავიდა. წინათ ბევრი ადამიანისთვის არაოფიციალური სულიერი მამობილი იყო, ახლა კი სულ სხვა რამედ იქცა. როგორც მითხრეს, გაუორმაგებია გასაქირავებელი ოთახების საფასური, მასწავლებლად აღარ მუშაობს, სარეკლამო სააგენტოში დაუწყია სამსახური. დავურეკე და ვკითხე, რას ფიქრობს, რა ჯანდაბა დაემართა და, აი, რა მიპასუ-

ხა: „მე ისედაც ძალიან დიდხანს ყველას დებილი ვეგონე“. ასე რომ, ჯობს ფრთხილად იყო, ანა.

ბოლოს და ბოლოს, ვუთხარი, რომ ამერიკელს შეუძლია მოვიდეს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ მასთან ურთიერთობა არ მომიწევს და მაშინ მოლიმ დასძინა:

- არა უშავს ვინმეა, ერთი-ორჯერ ვნახე, ოღონდ საოცრად თავხედი და თავდაჯერებულია, თუმცა ისინი ხო ყველა ეგეთები არიან.

ვუთხარი:

- არა მგონია, თავხედები იყვნენ, ეს მოძველებული სტერეოტიპია, დღევანდელი ამერიკელები ცივი, გაწონასწორებული, თავის თავში ჩაკეტილი ადამიანები არიან, სამყაროსგან ყინულის თუ შუშის კედელი რომ ყოფს.

- ჰოო, არ ვიცი, - მოლი აღარ შემეკამათა, - მეჩქარება, საქმეები მაქვს.

მოგვიანებით დავფიქრდი იმაზე, რაც ვთქვი: საინტერესო ის იყო, რომ სანამ ამას ვიტყოდი, არ ვიცოდი, თუ ასე ვფიქრობდი. არადა, მართლაც ასეა. დიახ. ამერიკელები შეიძლება იყვნენ თავხედები ან ხმაურიანები, მაგრამ უმეტესად მეტად კეთილგანწყობილნი არიან, დიახ, აი, მათი მთავარი თვისება - კეთილგანწყობა. ამის მიღმა კი ისტერიაა, შიში, რომ რაღაცაში ჩაითრევენ. ვიჯექი და ამერიკელებზე ვფიქრობდი. საკმაოდ ბევრს ვიცნობ. მახსოვს უიკენდი, რომელიც ვინმე ფ.-სთან, ნელსონის მეგობართან გავატარე. თავიდან შვება ვიგრძენი, გავიფიქრე: „მადლობა ღმერთს, ძლივს ერთი ნორმალური კაცი გამოჩნდა“. მერე მივხვდი, რომ ყველაფერს გონებით აკეთებდა. ლოგინში „კარგი იყო“. შეგნებულად, მთელი პასუხისმგებლობით რომ ასრულებს საქმეს, „ისეთი მამაკაცი, როგორიც უნდა იყოს“.

ოღონდ, სითბოს გარეშე. ყველაფერი გამოზომილია და დაანგარიშებული. იქ, სახლში, ჰყავს ცოლი, იგი მის დონეზე ეშვება, მას ზემოდან დაჰყურებს, ეს მის ყოველ სიტყვაში ჩანდა (მაგრამ, სინამდვილეში, ცოლისა ეშინია - პიროვნულად კი არა, არამედ იმ მოვალეობებისა საზოგადოების წინაშე, რომელსაც განასახიერებს). და კიდევ, ფრთხილი, ალმაცერი რომანები. ზუსტადაა გამოზომილი სითბოს ნორმა - ყველაფერი დაანგარიშებულია, აი, ასეთი ურთიერთობებისთვის ასეთი დოზის სითბოა საჭირო, არც მეტი, არც ნაკლები. დიახ, ესაა მათი უმთავრესი თვისება, ყველაფერის ცივი გონებით გაანგარიშება და გულგრილობა. რა გასაკვირია, გრძნობები ხომ იგივე მახეა, რომელიც საზოგადოების ხელში გახვედრებს, ამიტომაც ადამიანები მათ ერთობ გამოზომილად იმეტებენ.

ის განწყობა დავიბრუნე, რომელიც მქონდა, როდესაც ტკბილ დედილოს მივმართე. „ვეღარაფერს ვგრძნობ, - ვუთხარი, - საერთოდ არავინ მაინტერესებს ცხოვრებაში, ჯენეტის გარდა“. უკვე შვიდი წელი გავიდა? დიახ, დაახლოებით. როდესაც ვემშვიდობებოდი, ვუთხარი: „თქვენ მასწავლეთ ტირილი, ამაზე მადლობას ვერ გეტყვით, თქვენ დამიბრუნეთ გრძნობები, ეს კი ძალიან მტკივნეულია“.

რაოდენ ძველმოდური საქციელი იყო, რომ ვეძებდი მჩხიბავ-შემლოცველს, რომელიც დამიბრუნებდა გრძნობის უნარს. რადგან ახლა, როდესაც ამაზე ვფიქრობ, ვხვდები, რომ მთელ მსოფლიოში ადამიანები გრძნობებისგან გათავისუფლებას ცდილობენ. გულგრილობა, გულგრილობა, გულგრილობა, - აი, ზუსტი სიტყვა. ესაა მათი ალამი. ჯერ ამერიკაში, ახლა, ჩვენთანაც. ვფიქრობდი ახალგაზრდების ჯგუფებზე, პოლიტიკურსა და სოციალურ ჯგუფებზე, ლონდონში, ტომის მეგობრებზე, ახალ სო-

ციალისტებზე - მათ ყველას ერთი საერთო თვისება აქვთ, უნარი გამოზომონ ემოციები და გრძნობები, გულგრილობა.

ისეთ საზარელ სამყაროში, როგორიც ჩვენია, უნდა შეგეძლოს გრძნობების გამოზომვა. და უცნაურია, რომ წინათ ამას ვერ ვხვდებოდი.

და უგრძნობელობაში, ამ ინსტინქტური გაქცევის საწინააღმდეგოდ, ტკივილისგან თავის დაცვის მიზნით, - ტკბილ დედილოს, მახსოვს, როგორ განვუცხადე ერთხელ სასტიკად გაღიზიანებულმა: „რომ მეთქვა თქვენთვის, წყალბადის ბომბი ჩამოაგდეს, რომელმაც ნახევარი ევროპა მოსპო-მეთქი, თქვენ ენას გააწკლაპუნებდით: ნწ-ნწ-ნწო, მერე კი, თუ ვიქვითინებდი და ვიღრიალებდი, წარბების მენტორული აწევით ანდა ჟესტით შემომთავაზებდით გამეხსენებინა, ანდა, გამეთვალისწინებინა ის გრძნობა, რომელსაც შეგნებულად ვიშორებ თავიდან. რომელი გრძნობა? რა თქმა უნდა, სიხარული! დაფიქრდით, შვილო ჩემო, მეტყოდით პირდაპირ ან როგორმე მიმანიშნებდით, დესტრუქციის კრეატიულ ასპექტებზე! დაფიქრდით ატომში ჩაქსოვილი ძალის შემოქმედებით ქვეტექსტზე! მიეცით ნება თქვენს გონებას შვება იგრძნოს იმ პირველი, სუსტი, მწვანე ბალახის ღეროს წარმოდგენით, რომელიც ამქვეყნად გაქვავებულ ლავაში მილიონი წლის შემდეგ ამოიწვერება!“. მან, რასაკვირველია, გაიღიმა. მერე ღიმილი ეცვალა, ხისტი გაუხდა, დადგა ის მომენტი, რომელიც სცილდებოდა პაციენტისა და ანალიტიკოსის ურთიერთობას და რომელსაც ყოველთვის ველოდი. მითხრა: „ძვირფასო ანა, შესაძლოა, იმისთვის, რომ საღი გონება შევინარჩუნოთ, ბოლოს და ბოლოს, მართლა მოგვიწევს იმ ბალახის ღეროზე მოჭიდება, მილიონი წლის მერე რომ ამოვა“.

მაგრამ მხოლოდ საყოველთაო ძრწოლა და მისი გაცნობიერების შიში არ აძაბუნებს ადამიანს. სხვა მიზეზიც არსებობს. ადამიანებმა იციან, რომ მომაკვდავ ან უკვე მკვდარ საზოგადოებაში ცხოვრობენ. ისინი მუშაობენ და სძულთ თავიანთი სამუშაო და ამიტომაც ძაბუნდებიან შინაგანად. მათ უყვართ, მაგრამ იციან, რომ ეს სიყვარული ნაწილობრივია ანდა გაუკუღმართებული, ამიტომ ძაბუნდებიან - შინაგანად იყინებიან.

შესაძლოა იმისთვის, რომ სიყვარული, გრძნობა, სინაზე ცოცხლად შევინარჩუნოთ, აუცილებელი იქნება ყველა ეს ემოცია ორგვარად, ბუნდოვნად განვიცადოთ, იმის მიმართაც კი, რაც თავისი არსით სიყალბეა და გაუფასურებული, ანდა იმის მიმართ, რაც ჯერ მხოლოდ იდეაა, აჩრდილი, წარმოსახვის ძალით შობილი... ანდა თუკი ტკივილს განვიცდით, ტკივილით უნდა ვიცხოვროთ, ვაღიაროთ, რომ ამის ალტერნატივა სიკვდილია. ნებისმიერი რამ ჯობს პრაქტიკულობას, საღ აზროვნებას, გრძნობების გამოზომვას, მიკიბ-მოკიბვას, უარს, გასცემდე გრძნობებს, ამისი შედეგების შიშით. მესმის, როგორ ამოდის ჯენეტი კიბეზე.

დღეს ჯენეტი თავის ახალ სკოლაში გაემგზავრა. იქ ფორმას სურვილისამებრ ატარებენ და ჯენეტმა გადაწყვიტა, რომ ატარებს. საოცარია, რომ ჩემს შვილს ფორმის ტარება მოუნდა. ცხოვრებაში არ მახსოვს წამი, როცა კი ფორმაში თავს უხერხულად არ ვგრძნობდი. პარადოქსია: როდესაც კომუნისტი ვიყავი, „ფორმიანების სამსახურში“ კი არ ვიდექი, არამედ, პირიქით. სასკოლო ფორმა - საძაგელი მორუხო-მომწვანო ჟაკეტი და მოყვითალო-მოყავისფრო ბლუზა - ისეა შეკერილი, რომ ჯენეტის ასაკის გოგონა, ის კი თორმეტისაა, იმდენად დაამახინჯოს, რამდენადაც კი შესაძლებელია. კიდევ, უშნო, უხეში, მუქი მწვა-

ნე, ფარფლებიანი ქუდი. ქუდისა და ჟაკეტის მწვანე ტონი ერთმანეთს ცუდად ეხამება, ერთად საზიზღარი სანახავია. არადა, გოგონა აღტაცებულია. ფორმა შეარჩია დირექტორმა ქალმა, რომელსაც სკოლის მოწყობისა და შინაგანწესის შესახებ დაწვრილებით გამოვკითხე. დირექტორი შესანიშნავი მოხუცი ინგლისელი ქალია, ერუდირებული, ჭკვიანი, ხისტი. შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ქალი მასში მაშინ ჩაკვდა, როდესაც ოცი წლისაც კი არ იქნებოდა, სავარაუდოდ, თვითონვე ჩაკლა. გონებაში გამიელვა, ჯენეტს მასთან რომ ვაგზავნი, შესაძლოა, მამის შემცვლელით, მამის მსგავსი რაღაცით მინდა უზრუნველვყო-- მეთქი. თუმცა, რაც უნდა უცნაური იყოს, მჯეროდა, რომ ჯენეტი მას წინააღმდეგობას გაუწევდა, მაგალითად, საზიზღარი ფორმის ტარებაზე უარს იტყოდა. მაგრამ ჯენეტს არ სურს რაიმეს შეეწინააღმდეგოს.

ის თვისება, რომელიც ყველა ნორჩ ქალიშვილს ახასიათებს - მოუთმენელი, ბავშვურად დაუძლეველი მომხიბლაობა, რომელიც ჯენეტმა ლამაზ კაბასავით დაახლოებით შარშან მოირგო, უმალ გაქრა, როგორც კი ფორმა ჩაიცვა. სადგურის ბაქანზე ვხედავდი საყვარელ, სიცოცხლით სავსე ქალიშვილს, რომელსაც საშინლად ამაზრზენი ფორმა ეცვა. მთელი გუნდი იყო ასეთი გოგონებისა: მკერდი საიმედოდაა დაფარული, მომხიბლაობა - ჩახშული, გოგონა იქცევა პრაქტიკულად, თავდაჭერილად. ვუყურებდი და მივტიროდი შავგვრემან, ცინცხალ, შავთვალა, გამხდარ გოგონას, რომელშიც ნორჩი სექსუალურობა ძალას იკრებდა, იმ გოგონას, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა სამყაროს, თავის ძალას თანდათან ინსტინქტურად აცნობიერებდა. და მაშინვე ჩემი თავი მართლა სასტიკ აზრზე დავიჭირე: ჩემო საბრალო შვილო, თუკი შენი ბედია გაიზარდო საზოგადოებაში,

სადაც უამრავი აივორი და რონი, უამრავი დამფრთხალი მამაკაცია, რომლებიც გრძნობებს ისე ზომავენ, თითქოს ბოსტნეულის მაღაზიაში პროდუქტს წონიდნენ, მაშინ შენთვის უკეთესი იქნება თუკი თავს მისის სტრიტის, სკოლის დირექტორის, თარგზე გამოძერწავ. ვგრძნობდი, იმით, ეს მომხიბლავი ქალიშვილი უცხო თვალს რომ მოვაშორეთ, გადავმალეთ, ამით თითქოს რაღაც ძალზე ძვირფასი და ფაქიზი დაზიანებას გადავარჩინეთ. ამაში იყო გაბოროტებული ნიშნის მოგება, მამაკაცების წინააღმდეგ მიმართული: მაშ ასე, ესე იგი, არ გვაფასებთ? - მაშინ ჩვენ თავს დავიზღვევთ იმ შემთხვევისგან, თუკი კვლავ დაგვაფასებთ. წესით, სირცხვილის გრძნობა უნდა გამჩენოდა ამ გესლის, ამ ნიშნის მოგების გამო, მაგრამ არ შემრცხვა, მეტისმეტად ტკბილი განცდა აღმოჩნდა.

ამერიკელი, მისტერ გრინი, დღეს უნდა მოსულიყო, ამიტომ მისი ოთახი მოვაწესრიგე. დამირეკა და მითხრა, რომ ერთი დღით ქალაქგარეთ დაპატიჟეს, არ შეიძლება, ხვალ მოვიდეო? ბევრი ბოდიში იხადა. გუნება გამიფუჭდა, ჩემი გეგმები მქონდა, რომლებიც ახლა უნდა შემეცვალა. მოგვიანებით მოლიმ დამირეკა და მითხრა, რომ მისმა მეგობარმა ჯეინმა მოუყვა, რომ მან, ჯეინმა, თურმე მისტერ გრინთან გაატარა მთელი დღე - „სოჰო დავათვალიერებინეო“. გავბრაზდი. მერე მოლიმ მითხრა:

- ტომიმ მისტერ გრინი გაიცნო და არ მოეწონა. თქვა, დალაგებული არააო, მაგრამ ეს არგუმენტი მისტერ გრინის სასარგებლოდ მეტყველებს, არ მეთანხმები? თუკი ადამიანში რამე არაა ისე, როგორც საჭიროა, ტომი არასოდეს მოიწონებს. საოცარია, არა? თვითონ ისეთი პირწავარდნილი სოციალისტია, და ყველა მისი მეგობარი, და ყველანი ისეთი რესპექტაბელურები არიან, წვრილბურჟუაზიულები, როგორც... - და საკმარისია ვინმე შეხ-

ვდეთ, ვისაც სიცოცხლის ნაპერწკალი მაინც აქვს, რომ წამსვე მორალის კალთებს ზიზღით აიკეცავენ ხოლმე. და რასაკვირველია, მისი საშინელი ცოლი, ის ყველაფერზე უარესია. ვიშვიშებდა, რომ მისტერ გრინი ერთი უბრალო უქნარაა, რადგან მუდმივი სამსახური არ გააჩნია. და ამას განა შეეკამათები? ამ ქალიშვილს კარგად გამოუვიდოდა პროვინციელი საქმოსნის ცოლის როლი, რომელიც, ცოტა არ იყოს, ლიბერალური შეხედულებებისკენაა მიდრეკილი და ამით თავისი კონსერვატორი მეგობრების დაშინება სიამოვნებს. და ესაა ჩემი რძალი. უშველებელ წიგნს წერს ჩარტისტებზე და ყოველ კვირას ორ გირვანქას გადაინახავს ხოლმე სიბერისთვის. ასეა თუ ისე, თუკი ტომისა და იმ პატარა ძუკნას მისტერ გრინი არ მოეწონათ, უნდა ვიფიქროთ, რომ შენ, სავარაუდოდ, მოგეწონება, და შენი კეთილშობილება კიდევ რაღაცით დაჯილდოვდება, გარდა უბრალოდ იმის შეგრძნებისა, რომ კეთილშობილება მომადლებული გაქვს.

ამაზე გამეცინა და მერე ვიფიქრე, რომ თუკი სიცილის უნარი შემრჩა, ესე იგი, ყველაფერი არც ისე საშინლადაა, როგორც მეგონა. ტკბილმა დედილომ ერთხელ მიამბო, როგორ დასჭირდა ექვსი თვე იმისთვის, რომ გაეცინებინა პაციენტი, რომელსაც დეპრესია ჰქონდა. თუმცა აშკარაა, რომ ჯენეტის გამგზავრებამ და იმან, რომ ჩემს უზარმაზარ ბინაში მარტო დავრჩი, ჩემზე უარყოფითად იმოქმედა. მოდუნებული ვარ და ვუსაქმურობ. გამუდმებით ვფიქრობ ტკბილ დედილოზე, მაგრამ რაღაცნაირად ახლებურად, თითქოს თვით ამ ფიქრმა შეიძლება მიხსნას. მიხსნას რისგან? მე არ მინდა, მიხსნას. რადგან ჯენეტის გამგზავრებამ კიდევ რაღაც გამახსენა: როგორი შეიძლება იყოს დრო, როდესაც არაფერი გაწევს ტვირთად. დროში თავისუფლად აღარ მიმოძრავია მას მერე, რაც ჯენეტი დაიბადა. გყავდეს ბავშვი,

ნიშნავს გამუდმებით იფიქრო საათზე, არასოდეს იყო თავისუფალი რაღაცისგან, რაც უნდა გააკეთო კონკრეტულ მომენტში, მალე, უახლოეს მომავალში. ცოცხლდება ის ანა, რომელიც მოკვდა ჯენეტის დაბადებისას. დღეს იატაკზე ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ ბინდდებოდა ცა, მე ვარ იმ სამყაროს ბინადარი, სადაც, შეიძლება ითქვას, შუქის ინტენსივობის ცვლა გეუბნება, რომ ეტყობა, საღამოვდება, და არა იმას, რომ ზუსტად ერთ საათში ბოსტნეული უნდა დავდგა მოსახარშად; და მოულოდნელად, დავუბრუნდი იმ მდგომარეობას, რომელიც დიდი ხანია დავიწყებული მქონდა, დავუბრუნდი რაღაცას ჩემს ბავშვობაში. ბავშვობაში ღამით ლოგინში ჯდომა და როგორც ვეძახდი, „თამაშის თამაში“ მიყვარდა. წარმოვიდგენდი ხოლმე ჯერ იმ ოთახს, სადაც ვიყავი, რიგრიგობით „სახელს დავარქმევდი“ ყველა საგანს: საწოლი, სკამი, ფარდები, სანამ გონებაში მთლიანი სურათი არ შემექმნებოდა, მერე ოთახს დავტოვებდი და ვქმნიდი სახლს, მერე წარმოსახვით გავდიოდი სახლიდან და ნელ-ნელა მთელ ქუჩას ვქმნიდი, მერე ჰაერში ავდიოდი, დავყურებდი ლონდონს, მის უზარმაზარ, ყველა მხარეს გაშლილ სივრცეს, მაგრამ ამავე დროს გონებაში ვინარჩუნებდი ოთახსაც, სახლსაც, ქუჩასაც, მერე კი - ინგლისს, ინგლისის ფორმას, ბრიტანეთის ფორმას, მერე კუნძულების მცირე ჯგუფს, მერე ნელ-ნელა, ნელ-ნელა ვქმნიდი მთელ დედამიწას, კონტინენტს კონტინენტი მიჰყვებოდა, ოკეანეს - ოკეანე (მაგრამ „თამაშის“ აზრი ის გახლდათ, რომ სამყაროს ამ უსაზღვროების წარმოდგენასთან ერთად გონებაში შემენარჩუნებინა საძინებელიც, სახლიც და ქუჩაც თავის სიმცირეში), სანამ არ მივაღწევდი იმ მომენტს, როდესაც გავდიოდი კოსმოსში და დავყურებდი დედამიწას, მზით განათებულ ბურთს, ჩემს ფეხქვეშ რომ ტრიალებდა, სივრცეში ბრუნავდა. მე-

რე კი, როდესაც ვარსკვლავებს შორის აღმოვჩნდებოდი, ბურთულასავით მომცრო დედამიწა კი სადღაც ქვემოთ ტრიალებდა, ვცდილობდი, წარმომედგინა წყლის წვეთი, რომელშიც სიცოცხლე ფუთფუთებს, ანდა მწვანე ფოთოლი. ზოგჯერ ვახერხებდი და ვაღწევდი საწადელს - ერთდროულად ვაცნობიერებდი უსაზღვროსა და უმცირესს. ანდა ყურადღება გადამქონდა რომელიმე უმცირეს არსებაზე, მაგალითად, თევზზე გუბურაში, ანდა ცალკე აღებულ ყვავილზე, ანდა ფარვანაზე და ვცდილობდი, შემექმნა, „სახელი მიმენიჭებინა“ ყვავილის, ფარვანის, თევზის არსებობისთვის, ნელ-ნელა ვქმნიდი მათ გარშემო ტყეს ან წყალსატევს, ან ღამეული, მოძრავი ჰაერის სივრცეს, ფრთებში რომ მცემს. მერე კი გარეთ, უეცრად და მძაფრად, უმცირესიდან უსაზღვრო კოსმოსში გასხლტომა.

ეს ადვილად გამომდიოდა, როცა ბავშვი ვიყავი. ახლა მგონია, რომ მრავალი წელი სიხარულით აღსავსე მღელვარებაში სწორედ ამ „თამაშის“ წყალობით გავატარე. მაგრამ ახლა კი ეს ძალზე მიჭირს. დღეს რამდენიმე ასეთმა მცდელობამ გამასავათა. და მაინც მოვახერხე და რამდენიმე წამის განმავლობაში ვხედავდი, როგორ ტრიალებდა ჩემ ქვემოთ დედამიწა, მზის შუქი სულ უფრო ძლიერდებოდა აზიის მუცელზე იმ დროს, როდესაც ორივე ამერიკა წყვდიადში იძირებოდა.

საულ გრინი ოთახის სანახავად მოვიდა და ბარგი დატოვა. ეგრევე გავიყვანე მისთვის განკუთვნილ ოთახში, თვალი შეავლო და თქვა:

- ჩინებულია, ჩინებული.

ეს იმდენად სასხვათაშორისოდ, გულგარეთ იყო ნათქვამი, რომ ვკითხე, ხომ არ აპირებთ-მეთქი მალე სხვაგან გადასვლას. უმალ სწრაფი, ფრთხილი მზერა მკიდა, რომელიც, როგორც

მივხვდი, მისთვის მეტად ჩვეული გახლდათ და დაიწყო ხანგრძლივი ახსნა-განმარტება იმავე ტონით, როგორითაც ბოდიშს იხდიდა ქალაქგარეთ თავისი გასეირნების გამო. ეს ეპიზოდი ეგრევე გამახსენდა და ვუთხარი:

- თუ არ ვცდები, გუშინდელი საღამო თქვენ სოჰოს თვალიერებაში გაატარეთ ჯეინ ბონდთან ერთად.

გამომეტყველება შემცბარი, მერე კი ნაწყენი გაუხდა, - თუმცა როგორღაც მეტისმეტად ეწყინა, თითქოს რაღაც მძიმე დანაშაულზე წავასწარი, გამომეტყველება შეეცვალა, ეჭვიანი და ფრთხილი გაუხდა და კვლავ დაიწყო ხანგრძლივი და არეულ--დარეული ახსნა-განმარტება, - რომ შეეცვალა გეგმები, და ასე შემდეგ, და ეს განმარტება კიდევ უფრო უცნაური ჩანდა, რადგან სრულიად ცხადი იყო, რომ ტყუოდა. უცებ მომბეზრდა ეს ყველაფერი და ვუთხარი, ოთახზე მხოლოდ იმიტომ გკითხეთ, თავად სხვაგან ვაპირებ გადასახლებას, ამიტომ თუ აქ დიდხანს ფიქრობთ დარჩენას, უახლოეს მომავალში ახალი საცხოვრებლის მოძებნა მოგიწევთ-მეთქი. ისევ გაიმეორა, ეს ყველაფერი ჩინებულია, ყველაფერი ჩინებულიაო. გეგონებოდა, არც მისმენდა, ვერც ხედავდა ოთახს. თუმცა უკან გამომყვა, ბარგი კი იქ დატოვა. მერე ჩემი ჩვეული დიასახლისური მონოლოგი წარმოვთქვი, რომ „არაფერია აკრძალული“, თან შევეცადე ეს სახუმარო ფორმით გადმომეცა, მაგრამ ამერიკელი ვერ მიმიხვდა, ამიტომ იძულებული გავხდი ლამის სიტყვასიტყვით ამეხსნა, რომ ქალების მოყვანა თუ მოუნდება, წინააღმდეგი არ ვიქნები. მისმა სიცილმა გამაოცა - ხმამაღლა, მკვეთრად, ნაწყენივით ჩაიცინა. მითხრა, სასიამოვნოა, რომ ჩემში ჯანსაღ ახალგაზრდა მამაკაცს ხედავთო და ეს იმდენად ამერიკულად ჟღერდა, ჩვეული, თითქმის ავტომატიზმამდე დაყვანილი რეაქცია სექსუალურ შესაძ-

ლებლობათა შესახებ საუბარზე, რომ თავი შევიკავე და წინა მდგმურზე აღარ გავიხუმრე, რასაც წამის წინ ვაპირებდი. მთლიანობაში საუბრისგან რაღაც არეულობის, დისჰარმონიულობის შეგრძნება დამრჩა, ამიტომ ქვემოთ ჩავედი, სამზარეულოში, თვითონ უნდა გადაეწყვიტა, გამომყვებოდა თუ წავიდოდა. ყავა მოვადუღე. საულ გრინმა, სანამ სახლიდან გავიდოდა, სამზარეულოში შემოიხედა, ამიტომ ფინჯანი ყავა შევთავაზე. შეყოყმანდა. დაკვირვებით მათვალიერებდა. ცხოვრებაში არ განმიცდია ესოდენ აშკარა და დაუფარავი სექსუალური დათვალიერება. ის, თუ როგორ მაკვირდებოდა, თავისუფალი იყო ყოველგვარი იუმორისგან, ამას სითბოს ნატამალიც კი არა სდევდა თან, არამედ მხოლოდ ცივი, შედარებითი ანალიზი მეკუჭნავესი, საქონლის ახალ პარტიას რომ იბარებს. ამას იმდენად უბოდიშოდ აკეთებდა, რომ ვკითხე:

- იმედია, გამოვდგები?

ისევ გაისმა მოკლე, გულმოსული ჩაფხუკუნება. მერე კი მეუბნება:

- ჩინებულია, ჩინებული.

სხვა სიტყვებით, ან ეს კაცი ვერ აცნობიერებდა, რომ ჩემს ფიზიკურ მონაცემებს აღწერდა, ანდა იმდენად ფარისეველი იყო, რომ ამის აღიარების უნარი არ გააჩნდა. ამიტომ თემა სასწრაფოდ შევცვალე და ყავის სმა დავიწყეთ. მასთან თავს რაღაცნაირად უხერხულად ვგრძნობდი, რაღაც იყო მის ქცევაში. მის გარეგნობაშიც იყო რაღაც დამაბნეველი, თითქოს როცა უყურებდი, ინსტინქტურად ელოდი, რომ კიდევ რაღაცას დაინახავდი, რასაც ვერ ხედავდი. ქერაა, თმა მოკლედ აქვს შეკრეჭილი. საულ გრინი არ იყო მაღალი, თუმცა მე მაღალი მეგონა და როცა ამ ფიქრს თავად მას შევუდარებდი, ვხვდებოდი, რომ ვცდე-

ბოდი. ეს იმიტომ, რომ დიდი ზომის ტანსაცმელს ატარებდა, ყველაფერი ზედ ეკიდა. როცა შეხედავ, ელი, რომ დაინახავ ტიპურ ამერიკელს, ქერათმიანს, ჩამოსხმულს, მხარბეჭიანს, მომწვანო-მონაცრისფრო თვალებით, კვადრატული ნიკაპით. დროდადრო გავხედავდი ხოლმე, და როგორც ახლა ვაცნობიერებ, სულ ველოდი, რომ სწორედ ასეთ ადამიანს დავინახავდი, არადა, ვხედავდი გამხდარსა და უგერგილო კაცს, რომელსაც ტანსაცმელი ფართო მხრებზე მოფლაშულად და სასაცილოდ ეკიდა. მერე ჩემი ყურადღება მისმა თვალებმა მიიპყრო და მზერა უკვე ვეღარ მოვაშორე. გრილი თვალები აქვს, მონაცრისფრო-მომწვანო, და მათში - დაძაბული სიფხიზლე, ერთი წამითაც რომ არ დუნდება. ესაა მისი ყველაზე გასაოცარი თავისებურება: არასოდეს, წამითაც კი არ დუნდება, ამ თავის დაძაბულ სიფხიზლეს არ კარგავს. მხოლოდ და მხოლოდ პარტიულ-ამხანაგური მოსაზრებებიდან გამომდინარე დავუსვი რამდენიმე კითხვა, როგორც „ამერიკელ სოციალისტს“, მაგრამ მალევე გავჩერდი, რადგან ჩემს კითხვებს იცილებდა. რამე მაინც რომ მეთქვა, ვკითხე, რატომ ატარებთ-მეთქი ასეთი დიდი ზომის ტანსაცმელს და ამის გაგონებაზე უცებ შეკრთა, დაფრთხა, თითქოს მეტად გაოცდა, ეს რომ შევნიშნე, მერე კი რაღაც მიკიბ-მოკიბა, მითხრა, რომ ბოლო დროს ძლიერ გახდა და, ჩვეულებრივ, რამდენიმე სტოუნით მეტს იწონის. ვკითხე, ხომ არ იავადმყოფეთ-მეთქი და უცებ ისევ ეწყინა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, მაგრძნობინა, რომ ვაწვები ან მისი საიდუმლოებების გაგება მსურს. ერთხანს უხმოდ ვისხედით, თანაც მინდოდა, რაც შეიძლება მალე წასულიყო, რადგან ისე ჩანდა, რაც უნდა მეთქვა, აუცილებლად ეწყინებოდა ან გული ეტკინებოდა. მერე მოლიზე ვთქვი რაღაც, რომელიც თვითონ არც ერთხელ არ უხ-

სენებია. გავოცდი, ისე უეცრად შეიცვალა. თითქოს უცებ ჩაირთო მისი გონება, არც ვიცი, სხვანაირად როგორ აღვწერო მასში მომხდარი ცვლილება, მისი მთელი ყურადღება ერთ წერტილში შეიკრიბა, ფოკუსში მოექცა და მე განმაცვიფრა იმან, თუ როგორ ალაპარაკდა მოლიზე, როგორი წარმოუდგენელი სიზუსტით ესმოდა მისი ხასიათი და მთელი მისი ცხოვრება. მივხვდი, რომ არასოდეს შემხვედრია სხვა მამაკაცი, მაიკლს თუ არ ჩავთვლით, რომელსაც ქალის ხასიათის ასე სწრაფად და ღრმად განჭვრეტის, მის არსში წვდომის უნარი ჰქონოდა. თავში გამიელვა, იმ დონეზე ეწევა მოლის „სახელდებას“, მოლის გაუხარდებოდა, რომ ესმოდეს-მეთქი.

(აქედან მოყოლებული, ანამ თავის დღიურსა თუ ქრონიკაში ზოგიერთი მომენტის ვარსკვლავით აღნიშვნა დაიწყო, თანაც ამ ვარსკვლავებს ნომრავდა.)

...ამან ინტერესი აღმიძრა და, შეიძლება ითქვას, შურიც კი, ამიტომ რაღაც ვთქვი ჩემს თავზე (*1) და, აი, ჩემზეც დაიწყო ლაპარაკი. უფრო მეტიც, ჩემზე ლექცია წამიკითხა. თითქოსდა პროფესორის ლექციაზე მოვხვდი - მიუკერძოებელი პედანტისა, რომელიც ყვება მარტოხელა ქალის ცხოვრებისეულ საშიშროებებზე, წყალქვეშა კლდეებსა და ჯილდოებზე, და ასე შემდეგ. და უცებ იმწამს გავიფიქრე, და ამან გამოიწვია ჩემში მეტად საოცარი შეგრძნება ყველა ათვლის წერტილის აღრევისა, იმის დაჯერების შეუძლებლობისა, რომ ეს იგივე მამაკაცი იყო, ვინც ათი წუთის წინ ჩამიტარა ესოდენ ცივი და ლამის მტრული სექსუალური დათვალიერება, რადგან იმაში, რასაც ახლა ამბობდა, იმ დამოკიდებულების ნატამალიც აღარ იგრძნობოდა, აღარ იყო არც ოდნავ შენიღბული ცნობისმოყვარეობა, წინასწარი ავხორცული მოლოდინი სიამოვნებისა, ხელების მოფშვნეტისა,

რისთვისაც ყოველთვის მზადაა ასეთი საუბრისას. პირიქით, არასოდეს შემხვედრია კაცი, რომელიც ილაპარაკებდა ესოდენ მარტივად, გულახდილად, მეგობრულად იმ ცხოვრებაზე, რომელსაც მე და ჩემნაირი ქალები ეწევიან. რაღაც მომენტში გამეცინა, რადგან მეტად მაღალ დონეზე „დამარქვეს სახელი“ (*2), თანაც ამავე დროს, ლექციის კითხვას იმგვარ სტილში აგრძელებდა, თითქოს პატარა გოგონა ვიყავი და არა ქალი, „ლექტორზე“ რამდენიმე წლით უფროსი რომ გახლდათ. გამაოცა და შეიძლება ითქვას, გამაოგნა კიდეც, რომ ჩემი სიცილი ვერ გაიგონა, და საქმე ის კი არ იყო, რომ გაცინება არ სწყენია, ან რომ არ მოიცადა, სანამ სიცილს დავასრულებდი, ან არ მკითხა, რატომ გაიცინეო, უბრალოდ გააგრძელა ლაპარაკი ისე, თითქოს ჩემი არსებობა გადაავიწყდა, და მეტად დისკომფორტული შეგრძნება დამეუფლა, რომ საულისთვის პრაქტიკულად აღარ ვარსებობდი, და ერთი სული მქონდა, ამ ყველაფერს წერტილს როდის დავუსვამდი, რადგან წუთი-წუთზე უნდა მოსულიყო კაცი კინოკომპანიიდან, რომელიც „ომის საზღვრების“ ეკრანიზაციის უფლების შეძენას აპირებდა. როდესაც კინოკომპანიის წარმომადგენელი მოვიდა, გადავწყვიტე, რომ რომანის ეკრანიზაციის უფლებას არ მივყიდდი. ეტყობა, მართლა აპირებენ ფილმის გადაღებას-მეთქი, გავიფიქრე, მაშ, რა აზრი ჰქონდა, რომ ამდენი წელი არ ვაძლევდი უფლებას? მხოლოდ იმისთვის, რომ ახლა დავყარო ფარ-ხმალი, რადგან პირველად დამაკლდა ფული? ჰოდა, ვუთხარი, რომ არ მივყიდი. ეტყობა, იფიქრა, ვიღაც სხვას მიჰყიდაო, უბრალოდ, ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლება არსებობდეს მწერალი, რომელსაც არ უნდა თავისი ნაწარმოების გაყიდვა, თანაც, მეტად სოლიდურ თანხად. ჰოდა, უწევდა და უწევდა ფასს, აბსურდულად, მე კი ყველაფერზე უარს ვამბობდი. ეს

ფარსს ჰგავდა, და გამეცინა, ამან კი ის მომენტი გამახსენა, როდესაც გამეცინა და საულმა კი ვერ შენიშნა. კინოკომპანიის წარმომადგენელი ვერ მიხვდა, რატომ გავიცინე და ისე შემომხედა, თითქოს მე, ნამდვილი ანა, მოცინარი, მისთვის არ ვარსებობ. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, წასვლა დააპირა, მივხვდით, რომ ურთიერთანტიპათიით ვშორდებოდით ერთმანეთს.

ასე იყო თუ ისე, საულს დავუბრუნდეთ. როდესაც ვუთხარი, ჩემთან უნდა მოვიდნენ-მეთქი, მკვეთრად შეირხა, ასადგომად გაემზადა, თითქოს ვაგდებდი, დიახ, მართლა, თითქოს ქუჩაში ვაგდებდი უტიფრად, არადა, მხოლოდ ის ვუთხარი, რომ მალე ჩემთან საქმეზე უნდა მოვიდნენ-მეთქი. შემდეგ ეს თავისი მკვეთრი, თავდაცვითი მოძრაობა ჩაიხშო, ძალზე ცივად დამიკრა თავი და ეგრევე დაეშვა კიბეზე. როდესაც გავიდა, მივხვდი, რომ ცუდად ვარ, რომ ჩვენი შეხვედრა რაღაცნაირად აბურდული და დისჰარმონიული გამოვიდა, და გადავწყვიტე, რომ შეცდომა დავუშვი, სახლში რომ შემოვუშვი. თუმცა მოგვიანებით, როდესაც საულს ვუამბე, რომ არ მინდა ჩემი რომანის გაყიდვა და მისი კინოდ გადაქცევა, და როდესაც ამას ვუყვებოდი, წინასწარ თავდაცვისთვის გავემზადე, რადგან მივეჩვიე, რომ ასეთ შემთხვევაში ისე მიყურებენ, როგორც ბრიყვს, მან მაშინვე უპირობოდ მხარი დამიჭირა. მითხრა, რომ იმიტომაც წამოვიდა ჰოლივუდიდან, რომ იქ აღარ დარჩა არავინ, ვინც დაიჯერებდა, რომ არსებობენ მწერლები, რომლებიც იმ შემთხვევაში, როცა არჩევანი უნდა გააკეთონ ფულსა და ცუდ ფილმს შორის, უმალ ფულზე იტყვიან უარს, ვიდრე ასეთ ფილმს გადააღებინებენ. ლაპარაკობდა ისევე, როგორც ნებისმიერი, ვისაც კი ჰოლივუდში ოდესმე უმუშავია, რაღაც მრუმე, ეჭვიანი სასოწარკვეთით, რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ ამქვეყნად შეიძლება არსე-

ბობდეს რაღაც ესოდენ გაყიდული ფულზე. მერე კი გამაოგნებელი რამ მითხრა:

- ჩვენ მუდმივად გვიწევს რაღაცის დაცვა. ჰო, რა, ო'კეი, ხდება ხოლმე, რომ ჩვენს მცდარ წარმოდგენებსაც ვიცავთ, მაგრამ მთავარია, პრინციპულად დაცვა შეგეძლოს. ერთ პუნქტში მე თქვენთან შედარებით უპირატესობა მაქვს... (ისევ გავოგნდი, ამჯერად უსიამოვნოდ, იმდენად დაღვრემილმა მითხრა: „ერთ პუნქტში მე თქვენთან შედარებით უპირატესობა მაქვსო", თითქოს ერთმანეთს ვეჯიბრებოდით თუ ვებრძოდით) და ის იმაში მდგომარეობს, რომ ჩემი გასატეხი ზეწოლა გაცილებით პირდაპირი და აშკარა იყო, ვიდრე ის, რასაც თქვენ განიცდით აქ, თქვენს ქვეყანაში.

მივხვდი, რასაც გულისხმობდა, მაგრამ მაინც ვკითხე, რადგან მაინტერესებდა, როგორ ჩამოაყალიბებდა სათქმელს:

- გატეხაში რას გულისხმობთ?

- თუ არ გესმით, ვერ აგიხსნით.

- საერთოდ, კი მესმის.

- მე მგონი, დიახაც, გესმით. იმედია, გესმით.

მერე კი ისევ სევდიანი ინტონაციით:

- მერწმუნეთ, აი, რას მივხვდი იმ ხნის განმავლობაში, რაც იმ ჯოჯოხეთურ გადასაკარგავში გავატარე - ადამიანები, რომლებიც მზად არ არიან რაღაც მომენტში გასაჯიუტებლად, თუნდაც არაარსებითი საკითხის გამო, არ შეუძლიათ, თავისი გაიტანონ, ყველანი იყიდებიან. და არ მკითხოთ: „რას მიეყიდებიან?" მარტივად რომ შეიძლებოდეს ამის განსაზღვრა, არ დაგვჭირდებოდა დროდადრო გაჯიუტება, თუნდაც არაარსებითი საკითხის გამო. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, რომ სულელებად, გულუბრყვილოებად გამოვჩნდებით. სწორედ ამისი არ უნდა გვეშინოდეს.

ისევ ლექციის კითხვა დამიწყო. მომწონდა, ლექციას რომ მიკითხავდნენ. მომწონდა, რასაც ამბობდა. მაგრამ კვლავ, სანამ ლაპარაკობდა, საერთოდ ვეღარ მამჩნევდა, - გეფიცები, საერთოდაც გადავავიწყდი, - ვუყურებდი, ვუყურებდი თითქოს საიმედო თავშესაფრიდან, რომელიც იმ გარემოებამ შექმნა, საერთოდ რომ ვერ მამჩნევდა და დავინახე, რა პოზაში იდგა: ზურგით ფანჯრისაკენ, კარიკატურას ჰგავდა ახალგაზრდა ამერიკელზე კინოფილმიდან - თავიდან ბოლომდე ასეთი ნაღდი, მაგარი მამაკაცი, ძალზე სექსუალური, ცარიელი ყვერები და სექსისთვის ზამბარისებურად მოქნილი მზაობა. მოდუნებული იდგა, ცერა თითები ქამარში გაეყარა, დანარჩენი მოედუნებინა, მაგრამ ისე გამოვიდა, თითქოსდა შემთხვევით იმ ადგილს უთითებდნენ, სადაც ტანსაცმლის ქვეშ მისი სასქესო ორგანო იმალებოდა - ეს პოზა ყოველთვის მახალისებს, როდესაც მას კინოში ვხედავ, რადგან სხეულს ადგას ხოლმე ძალზე ახალგაზრდა, გამოუცდელი, ჯერ უმწიფარი, ბიჭური, ტიპურად ამერიკულსახიანი თავი - ლამის ბავშვურად გულის ამაჩუყებელი გამომეტყველება და ნაღდი, მაგარი კაცის, მამრის პოზა. საული ამ აშკარად სექსუალურ პოზაში იდგა ფანჯარასთან და ლექციას მიკითხავდა იმაზე, თუ როგორ გვაწვება საზოგადოება და სხვადასხვა კომპრომისზე წასვლას გვაიძულებს. ამას გაუცნობიერებლად აკეთებდა, მაგრამ ეს პირადად ჩემკენ იყო მომართული და იმდენად აშკარად და უხეშად ხდებოდა, რომ შევშფოთდი. ერთდროულად ორ ენაზე მელაპარაკებოდა. მერე ყურადღება მივაქციე იმას, თუ როგორ შეიცვალა. პირველი შეხვედრისას ვუყურებდი და სულ ველოდებოდი, რომ დავინახავდი რაღაც განსხვავებულს იმისგან, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდა. ვხედავდი გამხდარ, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, გაძვალ-

ტყავებულ მამაკაცს მეტისმეტად ფართო, ჩამოფლაშულ ტანსაცმელში. ახლა ეცვა ტანისამოსი, რომელიც ზუსტად მისი ზომისა იყო. ახალ ნაყიდს ჰგავდა. ეტყობა, ახალი ტანსაცმელი იყიდა. ლურჯი, ახალი, კარგი ჯინსები და მუქი ლურჯი სვიტერი ეცვა, რომელიც ასევე მჭიდროდ ადგა. საული ამ ახალ, მისი ზომის ტანსაცმელში გამხდარი ჩანდა, თუმცა მაინც რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა, მეტისმეტად ფართო მხრები და მეტისმეტად წამოწეული თეძოები ჰქონდა. სიტყვით გამოვედი და ვკითხე, ტანსაცმელი მხოლოდ იმიტომ იყიდეთ, დილით რომ გითხარით, რაც გითხარით-მეთქი? მოიღუშა და პაუზის მერე ცივად მიპასუხა, არ მინდა სოფლელი ხეპრეს შთაბეჭდილებას ვტოვებდე, „იმაზე მეტად, ვიდრე თავისთავად გამოდისო“. ისევ უხერხულად ვიგრძენი თავი და ვკითხე:

- ნუთუ თქვენთვის არავის არასოდეს უთქვამს, რომ მოფლაშული ტანსაცმელი გაცვიათ?

არაფერი მიპასუხა, თითქოს საერთოდ არაფერი მეთქვას, განყენებული გამომეტყველებით იდგა. შევნიშნე:

- თუკი არავის უთქვამს ეს თქვენთვის, მაშინ სარკეს უნდა ეცნობებინა.

მწარედ ჩაიცინა და თქვა:

- ლედი, ბოლო დროს აღარ მინდება სარკეში ჩახედვა, ოდესღაც კი ძალიან სიმპათიურ ბიჭად ვითვლებოდი.

ეს თქვა და თავისი სექსუალური, მოდუნებული პოზა კიდევ უფრო გამოკვეთა. ადვილად შემეძლო წარმომედგინა, როგორი იქნებოდა საული, როდესაც მისი ხორცი ძვალს ეხამებოდა: მხარბეჭიანი, ჩამოსხმული, მკვრივი, ქერა, ძლიერი მამაკაცი, ჯან-ღონით აღსავსე, ცივი, მონაცრისფრო თვალებით, - გამჭრიახი და შეფასებაში ზუსტი მამაკაცი. არადა, ახალი ტანსაცმე-

ლი მისი გარეგნობის დისჰარმონიულობას მხოლოდ გამოკვეთდა; მეტისმეტად „არასწორად“ გამოიყურებოდა, მივხვდი, რომ ავადმყოფს ჰგავდა, სახის კანიც ავადმყოფურად თეთრი ჰქონდა. თუმცა მაინც ისევ ისე იდგა, მოშვებული, პოზის შეუცვლელად, მე, ანას, პირდაპირ არ მიყურებდა, მაგრამ აშკარად სექსუალურად მიწვევდა. გავიფიქრე, რა საოცარია, ეს იგივე ადამიანია, რომელსაც შეუძლია ჭეშმარიტად და სიღრმისეულად გაუგოს ქალს, უბრალო ადამიანური სითბო აგრძნობინოს, რაც თუნდაც თვით სიტყვების შერჩევაში ჩანს, როდესაც ქალებზე ლაპარაკობს-მეთქი. კინაღამ საპასუხო გამოწვევა ვესროლე, კინაღამ ვუთხარი რაღაც ამდაგვარი: „რა ჯანდაბაა, რას ფიქრობ, როდესაც ჯერ ზრდასრული ადამიანის ენაზე მელაპარაკები და მერე კი უცებ გმირი ჯეელ-კოვბოის სახით წარმომიდგები, უხილავი რევოლვერებით, ქამარში რომ აქვს გარჭობილი?“ მაგრამ ჩვენ უზარმაზარი დისტანცია გვყოფდა, მან ისევ დაიწყო ლაპარაკი, ისევ მოჰყვა ლექციის კითხვას. ასე იყო თუ ისე, ვუთხარი, რომ დავიღალე და დასაძინებლად მივდივარ.

ეს დღე „თამაშის“ თამაშში გავატარე. შუადღისას მოდუნებული გაცნობიერების იმ სტადიას მივაღწიე, რომელიც ჩემს მიზანს წარმოადგენდა. მე მგონია, თუკი შევძლებ მივაღწიო რამენაირ თვითდისციპლინას, ნაცვლად იმისა, უმიზნოდ ვიკითხო, უმიზნოდ ვიფიქრო, მოვერევი დეპრესიას. მიმძიმს, რომ ჩემთან არაა ჯენეტი, დილაობით ადრე ადგომა აღარ მჭირდება, ჩემმა ცხოვრებამ გარეგნული ფორმა დაკარგა. ამიტომ შინაგანი ფორმა უნდა მივანიჭო. თუ „თამაშმა“ არ გაამართლა, სამსახურს ვიშოვი. ეს ისედაც უნდა გავაკეთო, ფინანსური მოსაზრებებიდან გამომდინარე (ჩემს თავს ვატყობ, რომ თითქმის არ ვჭამ, ვითვლი ყოველ პენსს, იმდენად უსიამოვნოა ჩემთვის სამ-

სახურზე ფიქრიც კი.). რაიმე სოციალურ სამუშაოს გამოვძებნი - ეს კარგად გამომდის. დღეს აქ განსაკუთრებული სიჩუმეა. საულ გრინის აქ ყოფნის ნიშანწყალი არ ჩანს. საკმაოდ გვიან დამირეკა მოლიმ და მითხრა, რომ ჯეინ ბონდი მისტერ გრინის ანკეესს წამოეგო. დასძინა, რომ მისი აზრით, თუკი ქალი შეიძლება მისტერ გრინით მოიხიბლოს, ესე იგი, სრულიად ჭკუიდან გადასულა (ეს ჩემი გაფრთხილებაა?) (*3) „ისეთი კაცია, რომელთანაც ერთხელ დაწვები, მერე კი, ეჭვი არ შეგეპაროს, მის ტელეფონს გადააგდებ, მაგის დედაც ვატირე. ჩვენ რომ ისევ ისეთი ქალები ვიყოთ, ვისაც შეუძლია ერთხელ დაწვეს კაცთან. ეჰ, რა კარგი დღეები იყო“.

დილით, როცა გავიღვიძე, მივხვდი, ასე არასოდეს ვყოფილვარ. კისერი გაშეშებული მქონდა, ვერ ვხრიდი. ყოველ ჩასუნთქვას ვგრძნობდი - თავს ვაიძულებდი ღრმად მესუნთქა. თანაც, მუცელი მტკიოდა, უფრო სწორად, მუცლის არე დიაფრაგმის ქვეშ. თითქოს იქ კუნთი გამენასკვა, თითქოს იქ რაღაც კვანძი იყო. და საოცრად ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა. სწორედ ამან მაიძულა უარი მეთქვა იმ დიაგნოზებზე, რასაც თავიდან ვუსვამდი ჩემს თავს: კუჭი ამეშალა, კისერი გამიცივდა და ა.შ. მოლის დავურეკე და ვკითხე, ხომ არა გაქვს რაიმე წიგნი, სადაც აღწერილია დაავადებათა სამედიცინო სიმპტომები და თუ გაქვს, წამიკითხე შფოთვის მდგომარეობის აღწერა-მეთქი. აი, მაშინ გავარკვიე, რომ შფოთვის მდგომარეობა მაქვს, ვუთხარი, რომ შემოწმება მინდა, რამდენად სწორად არის აღწერილი შფოთვის მდგომარეობა ჩემ მიერ წაკითხულ რომანში. მერე ჩამოვჯექი და შევეცადე გამერკვია, საიდან მოდის ეს ჩემი შფოთვის მდგომარეობა, - უფულობა არ მაწუხებს, ამას ცხოვრებაში ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია, სიღარიბისა არ

მეშინია და ნებისმიერ მომენტში შემიძლია ფული ვიშოვო, თუკი ამას მიზნად დავისახავ. არც ჯენეტი მაწუხებს. ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს, რომლის გამოც შეიძლება შფოთვა დამეწყოს. როდესაც იმ მდგომარეობას, მე რომ მაქვს, „სახელი დავარქვი“, დროებით უკეთ გავხდი, მაგრამ ამ საღამოს (*4) ისევ ძალიან ცუდად ვარ. წარმოუდგენლად ცუდად.

დღეს ტელეფონმა ძალზე ადრე დარეკა - ჯეინ ბონდმა საულ გრინი იკითხა. კარზე მივუკაკუნე, მაგრამ არ მიპასუხა. რამდენჯერმე საერთოდ არ მოსულა ღამის გასათევად. მინდოდა ეს ჯეინისთვის მეთქვა, მაგრამ მერე მოვისაზრე, რომ თუ მართლა „წამოეგო მის ანკესს“, ასეთი რამის თქმა უტაქტობა იქნებოდა. ისევ მივაკუკუნე, მერე ოთახში შევიხედე. საული იქ იყო. განმაცვიფრა, როგორ ეძინა - აკურატულად გაშლილი ზეწრის ქვეშ ერთიანად მოკუნტული იწვა. დავუძახე, მაგრამ არ მიპასუხა. მივედი, მხარზე ხელი დავადე, არავითარი რეაქცია არა ჰქონია. უცებ შემეშინდა - იმდენად უმოძრაოდ იყო, რომ წამით მომეჩვენა, მოკვდა-მეთქი. სრულიად უმოძრაოდ იყო. სახის ნაწილი, რომელსაც ვხედავდი, მიტკალივით თეთრი ჰქონდა. თხელ, ოდნავ დაჭმუჭნილ ქაღალდს მოგაგონებდა. შევეცადე, მომებრუნებინა, როდესაც შევეხე, სულ ცივი იყო - ვიგრძენი, სიცივემ როგორ გამჭოლად შეაღწია ხელისგულებში. შევძრწუნდი. ახლაც კი შემიძლია ხელისგულებით მისი პიჟამათი დაფარული სხეულის სიცივე ვიგრძნო. მერე გაიღვიძა - ოღონდ ძალზე მკვეთრად. ერთდროულად კისერზე მომჭიდა ხელები შეშინებული ბავშვისთვის დამახასიათებელი მოძრაობით, წამოჯდა და საწოლიდან ფეხები ჩამოუშვა. უაღრესად შეშინებული იყო. ვუთხარი:

- ღმერთო ჩემო, არაფერია, ჯეინ ბონდი გირეკავთ, მეტი არაფერი.

საული მომაშტერდა - მთელი ნახევარი წუთი დასჭირდა, სანამ ჩემი სიტყვების აზრს გააცნობიერებდა, ნათქვამი გავუმეორე. წამოდგა და ტელეფონისკენ ბორძიკით წავიდა. ჩაილაპარაკა: „ჰო, ჰო, არა“, - ძალიან მოკლედ. ჩავუარე და ქვემოთ ჩავედი. ამ ყველაფერმა ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა. ვგრძნობდი მომაკვდინებელ სიცივეს ხელისგულებში. და მერე - მისი ეს ხელები ჩემს კისერზე. ხელები ისეთ ენაზე მელაპარაკებოდნენ, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა ყველაფრისგან, რასაც მათი პატრონი წარმოადგენდა, როდესაც ფხიზლობდა. საულს დავუძახე, ჩამოსულიყო, ყავა დაელია. რამდენჯერმე გავიმეორე. ჩამოვიდა ძალზე ჩუმი, ძალზე ფერმკრთალი, დაძაბული. ყავა მივაწოდე. ვთქვი:

- ძალიან მაგარი ძილი გცოდნიათ.

მეუბნება:

- რა? ჰო, რა.

მერე ყავაზე რაღაც წაიბუტბუტა, გაირინდა. რას ვამბობდი, არ ესმოდა. მზერა ჰქონდა კონცენტრირებული და დაძაბულიც, თუმცა თან განყენებული. მგონი, ვერ მამჩნევდა. იჯდა და ყავას კოვზით ურევდა. მერე ლაპარაკი დაიწყო და გეფიცები, თემა ალალბედზე შეარჩია. შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი სხვა თემა. პატარა გოგონების აღზრდაზე ლაპარაკობდა. ერთობ ჭკვიანურად და აკადემიურად ბაასობდა. ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა - მეც შევეცადე რაღაც მეთქვა, მაგრამ ჩემი არ ესმოდა. ლაპარაკობდა, მე კი შევნიშნე, რომ ყურადღება მებნეოდა, მერე კი მის ლაპარაკში რაღაცას მოვეპოტინე და მივხვდი, რომ ვრეაგირებდი სიტყვაზე „მე“. „მე, მე, მე, მე, მე“ - მომეჩვენა,

რომ ამ სიტყვას თითქოს ტყვიამფრქვევით მესროდნენ, ეს სიტ-ყვა ტყვიასავით მესობოდა ხორცში. წამით წარმოვიდგინე, რომ მისი პირი, მოძრავი, სწრაფი, - ცეცხლსასროლი იარაღია. გა-ვაწყვეტინე, ყურადღება არ მომაქცია, ისევ გავაწყვეტინე, ვუთ-ხარი:

- აღზრდის საკითხებში კარგად ხართ მომზადებული, ცოლი გყავდათ?

შეკრთა, პირი ღია დარჩა, მომაჩერდა. მერე კი გაიცინა - ხმა-მაღლა, მკვეთრად, ახალგაზრდულად.

- ცოლი? თქვენ რა, დამცინით?

ეს გულზე მომხვდა, მეტისმეტად აშკარა გაფრთხილება იყო. ეს მამაკაცი, რომელიც მე, ქალს, დაუფარავად მეუბნებოდა, თუ რა დამოკიდებულება აქვს ქორწინებისადმი, სრულიად სხვა ადამიანი გახლდათ, ვიდრე ის, ვინც მანიაკალურად ლაპარა-კობდა, მანიაკალურად წნავდა ჭკვიანური სიტყვების ქსოვილს (თუმცა წამდაუწუმ ურთავდა კვანძს - სიტყვას „მე“) პატარა გო-გონების აღზრდის თემაზე, ანუ იმაზე, თუ როგორ უნდა გამო-ზარდო „ნამდვილი ქალი“ და, ისევ და ისევ, სრულიად სხვა ადა-მიანი, ვიდრე ის, რომელიც ჩვენი გაცნობის პირველ დღეს მიყუ-რებდა და გონებაში მაშიშვლებდა. მუცლის გვრემა ვიგრძენი და მივხვდი, ჩემი შფოთვა საულ გრინს უკავშირდებოდა. ცარიელი ფინჯანი მკვეთრი მოძრაობით გვერდზე გავწიე და ვუთხარი, დროა, აბაზანა მივიღო-მეთქი. სრულიად აღარ მახსოვდა, რო-გორ რეაგირებდა, როდესაც ეუბნები, რომ საქმე გაქვს - თით-ქოს წიხლი ჰკრეს თუ მუშტი ჩაარტყეს. ისევ ის მკვეთრი მოძ-რაობა გააკეთა, სკამიდან წამოდგომა დააპირა, თითქოს უბრძა-ნესო. ამჯერად ვუთხარი:

- საულ, ღვთის გულისათვის, დამშვიდდით.

გასაქცევად გაკეთებული ინსტინქტური მოძრაობა, რომელიც ნებისყოფის ძალით ჩაიხშო. იმწამს, როდესაც თავის კონტროლირებას ცდილობდა, ჩანდა, როგორი ფიზიკური ორთაბრძოლა ჰქონდა საკუთარ თავთან, ორთაბრძოლა, რომელშიც მისი სხეულის ყველა კუნთი ჩართულიყო.

მერე დაკვირვებით გამომხედა, მომხიბლავად გამიღიმა და მითხრა:

- მართალი ხართ, ამქვეყნად ყველაზე უშფოთველ ადამიანს ვერავინ მიწოდებს.

საშინაო ხალათში ვიყავი, სააბაზანოში ვაპირებდი შესვლას, ამისთვის კი მის გვერდით უნდა ჩამევლო. როდესაც ჩავუარე, ინსტინქტურად „მეტად მამაკაცური პოზა მიიღო“, ცერა თითები ქამარში გაირჭო, სხვა თითები - ისრებივით ქვემოთ მიმართა, მექალთანის ნაძალადევად სარდონიკული, გამჭოლი მზერა მტყორცნა. ვუთხარი:

- უკაცრავად, არ მაცვია მარლენ დიტრიხივით, ბუდუარში რომ შედის.

ხმამაღალი, გულმოსული, ახალგაზრდული ჩაცინება. ამ ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე და სააბაზანოში შევედი. აბაზანაში ჩავწექი, სხეული სხვადასხვა უსიამოვნო წინათგრძნობისგან მეძაბებოდა, თუმცა, ამავე დროს, „შფოთვის მდგომარეობის“ სიმპტომებს გვერდიდან ვადევნებდი თვალს. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაც უცხო, ვინც ჩემთვის უცნობი სენით იყო დაავადებული, ჩემს სხეულს დაეპატრონა. აბაზანის მერე მოვწესრიგდი, ჩემს ოთახში იატაკზე დავჯექი და შევეცადე „თამაში“ მეთამაშა. არაფერი გამომივიდა. მერე უცებ თავში გამიელვა, რომ საულ გრინი შემიყვარდა. მახსოვს, თავიდან ამ აზრზე გამეცინა, მერე ავწონ-დავწონე, მერე გავითავისე, უფრო მეტიც, უბ-

რალოდ კი არ გავითავისე - საამისოდ ვიბრძოლე, როგორც ისეთი რაღაცისთვის, რაც კანონიერად მეკუთვნის. მთელი დღე საულ გრინი ოთახიდან არ გამოსულა. ორჯერ დარეკა ჯეინ ბონდმა, ერთ-ერთი დარეკვისას სამზარეულოში ვიყავი და ყველაფერი მესმოდა. საული უხსნიდა თავისი მრავალსიტყვიანი, ფრთხილი სტილით, რომ სადილად მასთან ვერ მივა, რადგან... და ამას მოჰყვა ლაპარაკი რიჩმონდში მოგზაურობაზე.

უყვებოდა დიდხანს. მოლისთან წავედი სავახშმოდ. საულ გრინი ჩემთან დაკავშირებით არც ერთს არ გვიხსენებია, საიდანაც დავასკვენი, რომ უკვე შემიყვარდა და ლოიალობამ მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის თვალსაზრისით, რომელიც ყოველთვის უფრო მტკიცეა, ვიდრე მეგობრობის ლოიალობა, უკვე იჩინა თავი. მოლიმ ძალ-ღონე არ დაიშურა, ემოციურად მიყვებოდა საულის სასიყვარულო გამარჯვებებზე ლონდონში, უეჭველია, ჩემზე ზრუნავდა, უნდოდა, ეს ჩემთვის გაფრთხილება ყოფილიყო, თუმცა ამას მესაკუთრული გრძნობებიც ერთვოდა. რაც შემეხება მე, ყოველი ახალი ქალის დასახელებისას, რომელიც საულმა მოხიბლა, მე სულ უფრო მიძლიერდებოდა დაფარული, მშვიდი, მოზეიმე შემართება და ეს ეხებოდა მამაკაცს მექალთანის პოზაში, ქამარში გარჭობილი ცერა თითებით, სარდონიკული, ცივი გამოხედვით, და არა იმ მამაკაცს, რომელმაც „სახელი დამარქვა“. როდესაც შინ დავბრუნდი, კიბეზე დამხვდა, შესაძლოა, განზრახ იდგა ასე, მელოდებოდა. ყავის დასალევად დავპატიჟე. დაფიქრებით მომიგო, ძალზე გაგიმართლათ, რომ ასეთი მეგობრები, აწყობილი ცხოვრება გაქვთო, - მოლი იგულისხმა. ვუთხარი, რომ ვახშამზე იმიტომ არ მივიპატიჟეთ, ამბობდა, სხვა გეგმები მაქვსო. სასწრაფოდ მკითხა:

- საიდან იცით?

- იქიდან, რომ მესმოდა, ჯეინთან ამაზე როგორ ლაპარაკობ-დით.

დამფრთხალი გამომეტყველება გაუხდა - კაცისა, რომელიც ცდილობს თავი დაიცვას, - შეუძლებელი იყო ამაზე უფრო ცხა-დად ეთქვა: „თქვენ რა გესაქმებათ ჩემს ლაპარაკთან?“ გავ-ბრაზდი და ვუთხარი:

- თუკი გნებავთ პრივატული სატელეფონო საუბრები, კეთი-ლი ინებეთ და ტელეფონი თქვენს ოთახში შეიტანეთ და კარიც მოხურეთ.

- ასეც ვიზამ, - მომიგო პირქუშად.

ისევ რაღაც დისონანსი, რაღაც უსიამოვნო, ისევ ის სი-ტუაცია, რომლიდანაც არც კი ვიცი, როგორ გამოვიდე. საულს ამერიკაში მისი ცხოვრების შესახებ დავუსვი კითხვები, მისი მიკიბულ-მოკიბული პასუხების ტევრში ჯიუტად მივიწევდი წინ. ერთხელ ვუთხარი:

- აცნობიერებთ თუ არა, რომ პირდაპირ არასოდეს პასუხობთ კითხვას? რა არის ამის მიზეზი?

ხანმოკლე პაუზის შემდეგ მომიგო, რომ ჯერ კიდევ ვერ მიეჩ-ვია ევროპას, შტატებში არავინ გკითხავთ, იყავით თუ არა კომუ-ნისტიო.

შევეპასუხე, ვუთხარი, რომ ერთობ გულდასაწყვეტია, ინგლი-სამდე ესოდენ გრძელი გზის გამოვლა და თავდაცვის ამერიკუ-ლი მეთოდების გამოყენების გაგრძელება. მომიგო, რომ მარ-თალი ვარ, მაგრამ მისთვის რთულია გადაწყობა, და პოლიტიკა-ზე დავიწყეთ ლაპარაკი. იგი, ისევე, როგორც ჩვენ ყველა, ნაზა-ვია ნაღველისა, გულისწყრომისა და მტკიცე სურვილისა, ოდნა-ვი წონასწორობა მაინც შეინარჩუნოს. ძილის წინ გადავწყვიტე, რომ ამ მამაკაცის შეყვარება ძალიან დიდი სიბრიყვე იქნებოდა.

ვიწექი ლოგინში და სიტყვა „შეყვარების“ მნიშვნელობას ვარკვევდი, თითქოს დაავადება ყოფილიყოს, რომელიც შეიძლება თავიდან აიცილო, თუკი ამას გადაწყვეტ.

საული, როგორც წესი, მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როცა ჩაის ან ყავას ვიმზადებ. კიბეზე ამოდის, ერთობ გაბღენძილი, და ასევე, ბღენძურად მიკრავს თავს. ასეთ მომენტებში მარტოობას ასხივებს, უკიდურეს მარტოობას, მე ვგრძნობ მის მარტოობას, რომელიც ცივი ღრუბელივით თან სდევს. მე ფორმალურად ვთავაზობ შემომიერთდეს, ისიც ფორმალურად იღებს ჩემს შეთავაზებას. ამ საღამოს, ჩემ წინ მჯდომმა, მითხრა:

- იქ, სახლში, მეგობარი მყავს. ევროპაში ჩემი წამოსვლის წინ მითხრა, რომ გადაღალა ამ რომანებმა, გადაღალა იმან, რომ მუდმივად ჟიმავენ. დროთა განმავლობაში ეს მეტად მოსაწყენ და უაზრო საქმედ იქცევა.

გამეცინა და ჩავილაპარაკე:

- რადგან თქვენს მეგობარს საფუძვლიანი ცოდნა აქვს ამ სფეროში, უნდა იცოდეს, რომ ეს მდგომარეობა მეტად დამახასიათებელია მათთვის, ვისაც მეტისმეტად ბევრი სასიყვარულო გატაცება ჰქონია.

უმალ იკითხა:

- საიდან იცით, რომ საფუძვლიანი ცოდნა აქვს ამ სფეროში?

დისონანსის, უხერხულობის ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი განცდა: სრულიად ცხადი იყო, თავის თავზე ლაპარაკობდა და თავიდან მომეჩვენა, რომ ირონიულად. და კიდევ იმიტომ, რომ ასე სწრაფად დახურა თავისი ნიჟარის სარქველი, ეჭვიანი და ფრთხილი გახდა ისევე, როგორც ტელეფონის ინციდენტის დროს. მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ არ მითხრა: „საიდან იცით, რომ საფუძვლიანი ცოდნა მაქვს?“, არამედ „აქვს“, არადა,

სრულიად ცხადი იყო, რომ თავის თავზე ლაპარაკობდა. მზერაც კი მტყორცნა სწრაფად, გამჭოლად, გამაფრთხილებლად, იმავე წამს გვერდზე გაიხედა და დააკვირდა სივრცეს, თითქოს იქ ვიღაცას, მეგობარს ხედავდა. თუმცა ახლა ამ მომენტებს მისი ლაპარაკის ან თუნდაც მისი გამომეტყველების მიხედვით კი არ ვცნობ, არამედ იმით, რომ როგორ მეწყება მუცლის გვრემა, როგორ იკუმშება წინათგრძნობის კვანძი. ჯერ ვგრძნობ ავადმყოფურ შფოთს, დაძაბულობას, მერე გონებაში გამიელვებს რაღაც, რაც ეს-ესაა თქვა, ანდა ვიწყებ ფიქრს მორიგ უხერხულ ინციდენტზე და უმალ ვხვდები, რომ ეს იყო რაღაც დისონანსი, რაღაც მაშოკირებელი, ის, რამაც ბზარივით გახლიჩა რეალობა, და ამ ბზარში ეგრევე რაღაც სხვა წარმოსდინდა. ეს რაღაც სხვა ჩემთვის შემზარავი, მტრულია.

მას მერე, რაც სწრაფად გავცვალეთ რეპლიკები „მეგობარზე, რომელსაც საფუძვლიანი ცოდნა აქვს ამ სფეროში“, აღარაფერი მითქვამს, გავჩუმდი. ვფიქრობდი, რომ მის ცივ, ანალიტიკურ გონებასა და ამ უხერხულ და უაზრო მომენტებს შორის (მე ვიხმარე სიტყვა „უაზრო“, რათა დამემალა თვით ჩემი თავისთვის, ის, რაც მაშინებდა) განსაცვიფრებელი კონტრასტია. ეს იმდენად საოცარია, რომ ერთი ამოსუნთქვისთვის საჭირო დროის განმავლობაში ვერაფერს ვამბობ, ენა მუცელში მივარდება, რის მერეც შიშს თანაგრძნობა ცვლის. მახსენდება, როგორ მომხვია ხელები ძილში - მარტოხელა შეშინებული ბავშვი. მოგვიანებით „მეგობარზე“ საუბარს მიუბრუნდა. ისე, თითქოს ადრე არც ეხსენებინოს. ისეთი განცდა დამეუფლა, რომ საერთოდ გადაავიწყდა, რა თქვა მასზე სულ რაღაც ნახევარი საათის წინ. ვუთხარი:

- ეს თქვენი მეგობარი (და საულმა კვლავ სადღაც სივრცეში, ოთახის შუაგულში გაიხედა, ჩვენგან შორს, მეგობრისაკენ) აპი-

რებს ამ ყველაფერს წერტილი დაუსვას, აღარ უნდა, რომ ჟიმავ-დნენ, თუ ეს მხოლოდ პატარა იმპულსია საკუთარ თავზე ახალი ექსპერიმენტების ჩატარების გზაზე?

ყურადღება მივაქციე, როგორ გამოვკვეთე „რომ ჟიმავდნენ“, და მივხვდი, რატომ ვლაპარაკობდი ესოდენ გაღიზიანებული. დავუმატე:

- საკმარისია სექსზე ან სიყვარულზე დაიწყოთ ლაპარაკი და ეგრევე ამბობთ, „მას ჟიმავდნენ“, „მე გამჟიმეს“ ანდა „ისინი გა-ჟიმეს“, და ეს ყველაფერი - მამაკაცებზე.

მისთვის დამახასიათებლად მოკლედ ჩაიცინა, თუმცა ვერ მიხვდა, რა ვუთხარი, ამიტომ გავაგრძელე:

- ყოველთვის პასიურ ქცევაში ამბობთ.

სწრაფად მომიგო:

- რას გულისხმობთ?

- როდესაც გისმენთ, წარმოუდგენელ უხერხულობას ვგრძნობ, რადგან, რასაკვირველია, მე მჟიმავენ, მას (ქალს) ჟი-მავენ, მათ (ქალებს) ჟიმავენ, მაგრამ თქვენ ხომ მამაკაცი ხართ, თქვენ, რაღა თქმა უნდა, ჟიმავთ, თქვენ კი არ გჟიმავენ.

აუჩქარებლად ჩაილაპარაკა:

- ო, ლედი, რა იოლად შეგიძლიათ მაგრძნობინოთ, როგორი გაუთლელი ხეპრე ვარ.

თუმცა ეს პაროდია იყო იმაზე, როგორ იტყოდა ამერიკელი გაუთლელი ხეპრე: „თქვენ იოლად შეგიძლიათ მაგრძნობინოთ, როგორი გაუთლელი ხეპრე ვარ“.

თვალები მტრულად უბრწყინავდა. მეც იგივე გრძნობა მავ-სებდა. რაღაც ბუნდოვან შეგრძნებად მწიფდებოდა ჩემში არა-ერთი დღე, ბოლოს და ბოლოს, მომწიფდა. ვუთხარი:

- ამას წინათ თქვენ მიყვებოდით, როგორ ეჩხუბებოდით თქვენს მეგობრებს, როდესაც ცდილობდით, აგეხსნათ მათთვის, რომ სიტყვის არასწორად შერჩევამ შეიძლება დაამციროს სექსი, მაგრამ ამავე დროს მუდმივად ამბობთ, რომ ვიღაცამ გაგჟიმათ, არასოდეს იტყვით „ქალი“, ამბობთ - „დედაკაცი“, „ძუკნა“, „ძროხა“, „ფისუნია“, „ცუგრუმელა“. ლაპარაკობთ ტრაკზე, ძუძუებზე და ყოველ ჯერზე, საკმარისია ქალი ახსენოთ, რაღაც მანეკენი წარმომიდგება ვიტრინების გამფორმებლის ხელში ანდა განცალკევებული დეტალების, ძუძუების, ტრაკების გროვა.

რა თქმა უნდა, გაბრაზდა, თუმცა, იმავდროულად ვგრძნობდი ამ ყველაფრის აბსურდულობას და ეს კიდევ უფრო მეტად მაცოფებდა. ვუთხარი:

- თქვენ შეიძლება ეს ფილისტერობად ჩამითვალოთ, მაგრამ, ღმერთო მომკალი, არ მესმის, როგორ შეიძლება მამაკაცს სექსისადმი ნორმალური მიდგომა ჰქონდეს, თუკი მხოლოდ „ტრაკებსა“ და „ცუგრუმელებზე“ შეუძლია ლაპარაკი, რომლებსაც ახარისხებენ, ფუთავენ, შტაბელებად აწყობენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. გასაკვირი არცაა, რომ წყეული ამერიკელები თავისი მარაზმული სექსუალური ცხოვრების პრობლემებში ყელამდე არიან ჩაფლულები.

რაღაც ხნის შემდეგ ძალზე ცივად მითხრა:

- ეს პირველი შემთხვევაა ჩემს ცხოვრებაში, როცა ვიღაც ანტიფემინიზმს მაბრალებს. თქვენთვის შეიძლება საინტერესოა, გაიგოთ, რომ მე ერთადერთი (ყოველ შემთხვევაში, სხვას არავის ვიცნობ) ამერიკელი მამაკაცი ვარ, რომელიც ამერიკელ ქალებს ყველა შესაძლო სექსუალურ ცოდვაში არ ადანაშაულებს. თქვენ რა გგონიათ, არ მესმის, რომ მამაკაცებს ახასიათებთ საკუთარი არაადეკვატურობის ქალებზე გადაბრალება?

ამან, რასაკვირველია, გული მომილბო, რისხვა დამიცხრო. ამჯერად პოლიტიკაზე დავიწყეთ ლაპარაკი. რადგან როდესაც ამ თემაზე ვსაუბრობთ, საკამათო არაფერი გვაქვს. ჩვენ თითქოს ისევ ვბრუნდებით პარტიაში, ოღონდ იმ პერიოდის, როდესაც პარტიულობა ნიშნავდა მაღალი იდეალების ერთგულებას, რაღაცისთვის ბრძოლას. საული პარტიიდან „ნაადრევი ანტისტალინიზმისთვის“ გამოაგდეს. მერე კი შავ სიაში ჩაწერეს იმის გამო, რომ „წითელი“ იყო. ეს ჩვენი დროის კლასიკური, ტიპური შემთხვევა გახლდათ, მხოლოდ იმ განსხვავებოთ, რომ სხვებივით სულიერად არ დაეცა და არ გაბოროტდა.

პირველად მოვახერხე მასთან ერთად გამეცინა, მეხუმრა ისე, რომ მისი სიცილი არ ყოფილიყო წყენისა და თავის დაცვის სურვილის გამოხატულება. ახალ ლურჯ ჯინსებს, ახალ ლურჯ სვიტერსა და კედებს ატარებს. ვუთხარი, რომ ალბათ ეუხერხულება ამერიკული ნონკონფორმიზმის ფორმის ტარება, რაზეც მომიგო, რომ ჯერ არაა საკმარისად ზრდასრული იმისთვის, რომ შეუერთდეს ადამიანთა იმ უმცირეს ჯგუფს, რომელსაც ფორმა არ სჭირდება.

ეს კაცი უიმედოდ მიყვარს.

ეს უკანასკნელი წინადადება სამი დღის წინ დავწერე, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი, რომ სამი დღე გავიდა, სანამ არ დავითვალე. შეყვარებული ვარ, ამიტომ დრო ჩემთვის აღარ არსებობს. რამდენიმე დღის წინ ჩვენ გვიანობამდე ვისაუბრეთ და დაძაბული უხერხულობა ჩვენ შორის უფრო და უფრო მატულობდა. მე უკვე მინდოდა გამეცინა, რადგან ეს ძალზე სასაცილოა, როდესაც ორნი, ასე ვთქვათ, მანევრირებენ სექსის წინ, იმ მომენტში მე შინაგანად ვეწინააღმდეგებოდი ამას, არ მინდოდა ეს, სწორედ იმიტომ, რომ ძლიერ ვიყავი შეყვარებული და ვფიცავ, ნე-

ბისმიერ ჩვენგანს შეეძლო გაეწყვიტა ჩვენი საუბარი და მეორისთვის ღამე მშვიდობისა ეთქვა. ბოლოს მოვიდა ჩემთან, მომეხვია და მითხრა:

- ჩვენ ორივენი მარტოსული ადამიანები ვართ, მაშ, მოდი, გავახაროთ ერთმანეთი.

მის ნათქვამში სევდიანმა ინტონაციამ გაიჟღერა, თუმცა მე ეს არ შევიმჩნიე. (*5). აღარ მახსოვდა, რას ნიშნავს სექსი ნამდვილ მამაკაცთან. და ასევე დამავიწყდა, რას ნიშნავს იწვე ჩახუტებული მამაკაცთან, რომელიც გიყვარს. აღარ მახსოვდა, რას ნიშნავს შეყვარებული იყო იმდენად, რომ კიბეზე ნაბიჯების გაგონებისას გული გიჩქროლდებოდეს, ხოლო მისი მხარის სითბო ჩემს ხელისგულში - ყველაზე დიდი სიხარული იყოს ყველა შესაძლებლიდან.

ეს ერთი კვირის წინ იყო. ამ პერიოდზე ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ბედნიერი ვიყავი (*6). ისეთი ბედნიერი ვარ, ისეთი ბედნიერი. ნახევრად გათიშული ვზივარ ჩემს ოთახში, ვუყურებ მზის სხივების ანცობას იატაკზე, ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომელსაც ვაღწევ ხოლმე მხოლოდ მას მერე, რაც მრავალი საათი ჩემს „თამაშში“ ვარ ჩაღრმავებული - ეს არაჩვეულებრივი ექსტაზი, ერთობის განცდაა ყოველივე არსებულთან, ისე, რომ ყვავილი ლარნაკში - თვითონ მე ვარ, კუნთის ნელი შეკუმშვა კი სამყაროს საიმედო მამოძრავებელი ენერგიაა. (*7). საული ახლა მშვიდია და მოდუნებული, სრულიად აღარ ჰგავს იმ დაძაბულ, ეჭვიან კაცს, რომელიც ჩემს სახლში შემოვიდა, და წინათგრძნობაც განმიქარდა, - სნეული ადამიანი, რომელმაც რაღაც დროით ჩემი სხეული დაიპყრო, (*8) გაქრა.

ეს ბოლო აბზაცი ისე წავიკითხე, თითქოს სხვისი დაწერილი იყო. იმ დღის მერე, რაც ის დავწერე, საული ჩემთან დასაძინებ-

ლად აღარ ჩამოსულა. არაფერი აუხსნია, უბრალოდ არ მოვიდა. ცივად, ბღენძის გამომეტყველებით დამიკრა თავი და ზევით ავიდა. ვერ ვიძინებდი, ვიწექი და ვფიქრობდი იმაზე, რომ როდესაც ქალი ახალ მამაკაცთან წვება, მასში ახალი არსება იბადება, რომელიც ქალის ემოციური და სექსუალური რეაქციებისგანაა შედგენილი, და ეს არსება თავისი კანონებით, საკუთარი ლოგიკით იზრდება და ვითარდება. საულმა მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა ამ არსებას, როდესაც მშვიდად გასწია თავის ოთახში დასაძინებლად, ასე რომ, ლამის ფიზიკურად ვხედავდი, რომ ეს არსება შეკრთა, აკანკალდა, მოიკუნტა, მოიბუზა, დაძაბუნდა. მეორე დილას ერთად ვსვამდით ყავას და როდესაც თვალებში შევხედე (ჩემ წინ იჯდა მაგიდასთან - საოცრად ფერმკრთალი, დაძაბული), მივხვდი, რომ თუ ვკითხავ: „რატომ არ მოხვედი ამ ღამით, რატომ არ ამიხსენი რამენაირად მაინც, რომ არ მოხვალ და რა მიზეზით“, მოიღუშება და მტრულად განეწყობა.

იმ დღეს, მოგვიანებით, საული მოვიდა და ვისიყვარულეთ. ოღონდ ეს არ იყო ნამდვილი სიყვარული, უბრალოდ გადაწყვეტილი ჰქონდა, ჩემთან დაწოლილიყო. არსებამ, რომელიც ჩემში ცხოვრობდა და შეყვარებულ ქალს წარმოადგენდა, ამ ალერსს არ უპასუხა, - თავის მოტყუებაზე უარი თქვა.

გუშინ მითხრა:

- უნდა წავიდე, მოვინახულო ერთი...

ამას გრძელი, არეულ-დარეული თხრობა მოჰყვა. ვუთხარი:

- კი, რასაკვირველია.

მაგრამ ის აგრძელებდა და აგრძელებდა ლაპარაკს, თავის აბსურდულ ახსნა-განმარტებას და ავნერვიულდი. მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რა იმალებოდა ამის უკან, მაგრამ არ მინდოდა, მცოდნოდა, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ყვითელ

რვეულში სიმართლე დავწერე. მერე კი მითხრა, დაღვრემილმა და მტრულმა:

- შენ მე ყველაფერში კოჭს მიგორებ, ასე არაა?

ეს გუშინ მითხრა და ეს ყვითელ რვეულში დავწერე. და უცებ ხმამაღლა ვთქვი:

- არა.

რაღაცნაირი, დაცლილი გამომეტყველება გაუხდა. მეცნო ეს გამომეტყველება, გამახსენდა, რომ ადრეც მინახავს, და არ მინდოდა მენახა. გვიან ღამით ლოგინში შემომიწვა და ვიცოდი, რომ ჩემთან პირდაპირ სხვა ქალთან ჟიმაობის მერე მოვიდა. ვკითხე:

- ქალთან იწექი, არა?

დაიძაბა, პირქუშად მომიგო:

- არა.

ხმას არ ვიღებდი, ჰოდა, მეუბნება:

- მაგრამ ეგ ხო არაფერს ნიშნავს, ასე არაა?

ის იყო უცნაური, რომ მამაკაცი, რომელიც საკუთარ თავისუფლებას იცავდა და თქვა: „არა“, და მამაკაცი, რომელმაც მუდარით მითხრა: „ეგ ხო არაფერს ნიშნავს, ასე არაა“, ორი სრულიად სხვადასხვა მამაკაცი იყო, მათი გაერთიანება ვერაფრით მოვახერხე. ხმას არ ვიღებდი და მაშინ, მესამე მამაკაცმა თბილად, ძმასავით მითხრა:

- ახლა კი დაიძინე.

დავიძინე, დავემორჩილე ამ მესამე, მეგობრულ მამაკაცს, ჩემს თავში კიდევ ორ სხვა ანას ვგრძნობდი, რომლებიც განსხვავდებოდნენ ამ მორჩილი ბავშვისგან - ანასგან, რომელიც შეყვარებული იყო და თავის სიყვარულში დამცირებული, ქალს, რომელიც გათოშილი შეყუჟულიყო ჩემი გულის კუნჭულში, გა-

უცხოებულსა და სარდონიკულ ანას, ვინც ინტერესით ადევნებდა თვალს ამ ყველაფერს და იმეორებდა თავისთვის: „მაშ-მაშ, აბა-აბა“.

ფხიზლად მეძინა. საშინელ სიზმრებს ვხედავდი. ერთ სიზმარში, არაერთხელ რომ მენახა, ჩემი თავი და ბებერი, ბოროტი, ჯუჯის მსგავსი მამაკაცი დამესიზმრა. თავიც კი დავუქნიე სიზმარში, თითქოს ვანიშნე, რომ ვიცანი, - აი, შენც, ვიცოდი, რომ ოდესმე გამოჩნდებოდი! უზარმაზარი პენისი ჰქონდა ტანსაცმლიდან ამოშვერილი, საშიში გახლდათ, რადგან დანამდვილებით ვიცოდი, რომ ბოროტ ბერიკაცს ვძულდი, ტკივილის მოყენება სურდა. ნებისყოფის დაძაბვით ვაიძულე თავს, გამღვიძებოდა, დამშვიდება ვცადე. საული ჩემ გვერდით იწვა, ხორცის ინერტული, მკვრივი, ცივი მასა. ზურგზე იწვა, მაგრამ ძილშიც კი ისეთი პოზა ჰქონდა, რომ ცხადი იყო, თავის დასაცავად მზად გახლდათ. გარიჟრაჟის მქრქალ შუქში ვხედავდი სახეს - სახეს ადამიანისა, რომელიც მზადაა ნებისმიერ მომენტში თავი დაიცვას. უეცრად მჟავე სუნი ვიგრძენი. გავიფიქრე, შეუძლებელია, საულს ასდიოდეს, სისუფთავის დიდი მოყვარული და მეტად გულაზიზია-- მეთქი, მერე მივხვდი, რომ მჟავე სუნი მის კისერს ასდიოდა, და იმასაც მივხვდი, რომ ეს შიშის სუნი იყო. ეშინოდა. ძილში საკუთარი შიშის ტყვეობაში აღმოჩნდა, ცოტა ხანში პატარა, დამფრთხალი ბავშვივით ასლუკუნდა. ვიცოდი, რომ ავად იყო (თუმცა ჩემი ბედნიერების ერთი კვირის განმავლობაში ამაზე თვალს ვხუჭავდი, არ ვაღიარებდი) და ვიგრძენი, რომ სიყვარული და თანაგრძნობა მავსებდა, და კისრისა და მხრების ზელა დავუწყე, რომ გამეთბო. დილით საოცრად ცივი ხდება, სიცივეს ასხივებს, რასაც შიშის მჟავე სუნი ემატება. როცა გავათბე, ვაიძულე თავი, დამეძინა და იმწამს იმ ბებერ კაცად გადავიქეცი, იგი გახდა „მე“,

მაგრამ, ამავე დროს, მე ვიყავი დედაბერი, ასე რომ, საბოლოოდ, უსქესო გახლდით. და კიდევ, ძალზე ბოროტგანმზრახველი და დამანგრეველი ვიყავი. როცა გამეღვიძა, საული, რომელსაც ვეხვეოდი, ისევ გაყინული იყო, მისმა სიცივემ გამაღვიძა. მე თვითონ უნდა გავმთბარიყავი ჩემი კოშმარული სიზმრის მერე, სანამ მას გავათბობდი. ჩემს თავს ვეუბნებოდი: „უკვე ვიყავი ბოროტი ბერიკაცი და ავი დედაბერი, ორივე ერთად ვიყავი, მაშ, მერე რა რჩება? რა იქნება მერე?“ ამ დროს ოთახში ინათა, ნაცრისფერმა შუქმა შემოაღწია და საული უკეთესად დავინახე. ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, მის კანს თბილი, მოყავისფრო ელფერი ექნებოდა, როგორიც აქვთ ხოლმე მისი ტიპის მამაკაცებს - ფართოძვლიანებს, ჩამოსხმულებს, მკვრივებს, ძლიერებს, ქერათმიანებს, ახლა კი კანი მოყვითალო ფერისა ჰქონდა და როგორღაც მომჩვარულად, ზერელედ ეკვროდა მისი სახის ფართო ძვლებს. მოულოდნელად გაიღვიძა, სიზმრიდან ამოყვინთა, მკვეთრი მოძრაობით წამოჯდა, თავდასაცავად მზად იყო, მტრებს დაუწყო ძებნა. მერე დამინახა და გაიღიმა: ვხედავდი, როგორი იქნებოდა ეს ღიმილი ჯანმრთელი საულ გრინის ფართო, გარუჯულ სახეზე. არადა, მისი ღიმილი დამფრთხალი და მოყვითალო იყო. იმიტომ დამიწყო ალერსი, რომ შეშინებული იყო. მარტოობისა ეშინოდა. ამჯერად ის ყალბი სიყვარული არ იყო, რომელიც შეყვარებულმა ქალმა, მეტად ინტუიციურმა არსებამ უარყო, არა, ეს იყო შიშით განპირობებული სიყვარული, და მას ანა, რომელსაც ეშინოდა, გამოეპასუხა; ჩვენ ვიყავით ორი შეშინებული არსება, რომლებიც სიყვარულობენ შიშის მიუხედავად. გონება კი ფხიზელი მქონდა, შემცბარი.

მთელი კვირის განმავლობაში საული ახლოს არ გამკარებია, არც არაფერი აუხსნია, ისევ უცხო კაცად იქცა, რომელიც ჩემს

სახლში მოდიოდა, თავს მიკრავდა ცივად, ზევით ადიოდა. მთელი კვირა ვუყურებდი, როგორ ჭკნებოდა ჩემი ქალური არსება, მერე კი მან განრისხება დაიწყო, ეჭვიანობით ადუღება. ეს იყო ბოროტი, საზარელი ეჭვიანობა, საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი. საულთან ავედი და ვუთხარი:

- რა კაცია ის, ვინც ქალთან მრავალი დღის განმავლობაში წევს, ყველაფრით აგრძნობინებს, რომ ეს პროცესი ძალიან მოსწონს და მერე მოტყდება ისე, რომ თავაზიან ტყუილსაც კი არ მოიგონებს?

ხმამაღლა, აგრესიულად გაიცინა. მერე მითხრა:

- რა კაცია, შენ მეკითხები? მართლაც გაქვს ამის კითხვის დასმის საფუძველი.

ვუთხარი:

- მგონი, შენ უნდა წერდე ერთ-ერთს იმ დიადი ამერიკული რომანებიდან - ახალგაზრდა გმირი საკუთარი იდენტურობის ძიებაში.

- მართალია, - თქვა მან, - მაგრამ არ ვაპირებ ასეთი ტონით ლაპარაკის მოსმენას, როცა ძველი სამყაროს მკვიდრთაგან ერთ-ერთი გამოდის სიტყვით, რომლებსაც ვერ გამიგია, რატომ, მაგრამ წამითაც კი არ ეპარებათ ეჭვი საკუთარი იდენტურობის განსაზღვრისას.

სასტიკად, დამცინავად, მტრულად იყო განწყობილი. მეც სასტიკი ვიყავი, მეც დავცინოდი. იმ წამის აშკარა სიცივისაგან, ამ დაუფარავი, დაწურული მტრობისგან, სიამოვნებას ვიღებდი. განვუცხადე:

- ძალიან კარგი, წარმატებას გისურვებ, ოღონდ შენს ექსპერიმენტებში აღარ გამოგადგები.

და გავედი. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემთან ჩამოვიდა, მაგრამ ამჯერად სულის ტომაჰავკს აღარ ჰგავდა, კეთილმოსურნედ, პასუხისმგებლობის გრძნობით დამელაპარაკა. მითხრა:

- ანა, შენ შენი ცხოვრების მამაკაცს ეძებ და სწორადაც იქცევი, ამას იმსახურებ, მაგრამ...

- მაგრამ რა?

- მაგრამ შენ ბედნიერებას ეძებ. ეს სიტყვა ჩემთვის არაფერს ნიშნავდა მანამ, სანამ არ დავინახე, თუ როგორ გამოწურავ მას ამ სიტუაციიდან, ბადაგივით. ღმერთმა იცის მხოლოდ, საერთოდ როგორაა შესაძლებელი, თუნდაც ამას ქალი აკეთებდეს, ასეთი სიტუაციისგან ბედნიერება რომ მიიღო. მაგრამ...

- მაგრამ რა?

- მე, საულ გრინი, ბედნიერი არა ვარ და არც არასოდეს ვყოფილვარ.

- ესე იგი, მე შენ გიყენებ.

- სწორედაც.

- სამართლიანი გაცვლა-გამოცვლაა, შენც ხომ მიყენებ მე.

გამომეტყველება შეეცვალა, აშკარად გაოცდა.

- ბოდიში, რომ ამაზე ლაპარაკს ვბედავ, - ვუთხარი, - მაგრამ შეუძლებელია ეს აზრი თავში ერთხელ მაინც არ მოგსვლოდა.

გაეცინა და ამჯერად ეს ნამდვილი სიცილი იყო, მტრული კი არა.

მერე ყავის დასალევად წავედით და პოლიტიკაზე დავიწყეთ ლაპარაკი, უფრო სწორად კი, ამერიკაზე. მისი ამერიკა გულცივია, სასტიკი. ლაპარაკობდა ჰოლივუდზე, „წითელ“ მწერლებზე, იმ მწერლებზე, რომლებსაც მაკ-კარტის გავლენით „წითლები“ შეარქვეს, რომლებიც რესპექტაბელურები გახდნენ და მორჩილად გაიზიარეს ანტიკომუნისტური იდეები. ადამიანებზე, რომ-

ლებიც თავის მეგობრებს აბეზღებდნენ, ინკვიზიციურ კომიტეტებზე. (*9) ამაზე რაღაც განყენებული და გაოცებული განრისხებით ლაპარაკობდა. მომიყვა, როგორ გამოიძახა ბოსმა კაბინეტში და ჰკითხა, კომუნისტური პარტიის წევრი იყო თუ არა. საული მაგ დროს უკვე აღარ იყო პარტიის წევრი, სინამდვილეში, ცოტა ხნის წინ გააძევეს პარტიიდან, მაგრამ უარი განაცხადა კითხვაზე ეპასუხა. ბოსი მეტად განერვიულდა და უთხრა, რომ სამსახური უნდა დატოვოს. საული ასეც მოიქცა. რამდენიმე კვირის შემდეგ წვეულებაზე შეხვდნენ ერთმანეთს და იმ კაცმა უცებ დაიწყო მოთქმა-გოდება, ყველაფერში თავის თავს ადანაშაულებდა. „საულ, შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ, მე ვფიქრობდი, რომ ჩემი მეგობარი ხარ“. ეს ნოტი საულის, ნელსონის, სხვების არაერთ მონათხრობში დამიჭერია. სანამ ლაპარაკობდა, შევნიშნე ჩემს თავში გრძნობა, რომელიც მაბნევდა: მძაფრი შემოტევა ბოროტი ზიზღისა საულის ბოსისადმი, „წითელი“ მწერლებისადმი, ვინც მოსახერხებელ „კომუნიზმში“ გაქცევით შველოდნენ თავს, ყველა ჯურის დამსმენისადმი. საულს ვუთხარი:

- ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ყველაფერი, რასაც ვამბობთ, ყველა ჩვენი წარმოდგენა, ეფუძნება იმ წინასწარ დაშვებას, რომ ადამიანებისგან უნდა ველოდოთ გამბედაობას, რომელიც საკმარისი იქნება იმისთვის, რათა თავისი ინდივიდუალური შეხედულებები დაიცვან.

თავი მკვეთრი, სწრაფი, გამომწვევი მოძრაობით ასწია. ჩვეულებრივ, როდესაც ლაპარაკობს, ვერავის ხედავს, თავის თავს ელაპარაკება. მხოლოდ ახლა, როდესაც მან, ასე ვთქვათ, „სრული შემადგენლობით“ შემომხედა თავისი ნაცრისფერი, გრილი თვალებით, გავაცნობიერე, თუ რამდენად მივეჩვიე უკვე

მის სტილს - თავის თავთან ლაპარაკს, როდესაც ვერც კი ამ-ჩნევს, გვერდით რომ ვარ. მკითხა:

- რას გულისხმობ?

მივხვდი, რომ პირველად ვიფიქრე ამაზე ასე ცხადად: მისი აქ ყოფნა მაიძულებს ვიფიქრო მაქსიმალური სიცხადით, რადგან ჩვენი გამოცდილება ძალიან ბევრ რაღაცაში ემთხვევა ერთმა-ნეთს, თუმცა, ამავე დროს, ჩვენ ძლიერ განსხვავებული ადა-მიანები ვართ. ვეუბნები:

- მისმინე, აი, თუნდაც ჩვენ, ჩვენ შორის არ არის არავინ, ვინც ასე არ იქცეოდეს: საჯაროდ ერთს ვამბობთ, კერძო საუბარ-ში - მეორეს, ერთს - მეგობრებს, მეორეს - მტრებს. არაა არავინ, ვინც ერთხელ მაინც არ დაჰყოლია ზეწოლას, შიშს იმისა, რომ მოღალატედ შერაცხავენ. შემიძლია სულ ცოტა თორმეტი შემ-თხვევა გავიხსენო, როდესაც მიფიქრია, საშინლად მეშინია ამის თქმა, ანდა, სულაც გაფიქრება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პარტიის მოღალატედ შეიძლება ჩამთვალონ-მეთქი.

დაკვირვებით მიყურებდა, სასტიკი მზერა ჰქონდა, თვალების სიღრმეში ჩამალული ზიზღნარევი ჩაცინებით. ამ ჩაცინებას კარ-გად ვიცნობ, ეს „რევოლუციური“ ჩაცინებაა, ყოველ ჩვენგანს ჰქონია შემთხვევა, როდესაც მას ვიყენებდით, ამიტომ მის გა-მოწვევას არ ვუპასუხე, ამის ნაცვლად გავაგრძელე:

- აი, სწორედ მაგას ვამბობ, რომ სწორედ ის ადამიანები, ვის-განაც ჩვენს დროში შეიძლება გვქონოდა მოლოდინი, რომ უში-შარნი, მართლისმთქმელნი, გახსნილნი იქნებოდნენ, მლიქვნე-ლებად, მატყუარებად და ცინიკოსებად იქცნენ იმის გამო, რომ წამებისა და ციხის შეეშინდათ, ანდა იმის გამო, რომ შეეშინდათ, მოღალატედ გამოაცხადებდნენ.

შემომყეფა, როგორღაც მექანიკურად შემომყეფა:

- საშუალო კლასის რატრატი, აი, რა ჰქვია ამ ყველაფერს. ასეთ მომენტში შენმა წარმომავლობამ წამოყო თავი, ასე არაა?

წამით ენა მუცელში ჩამივარდა. რადგან არაფერი იქიდან, რაც ადრე ეთქვა ჩემთვის, ანდა ტონი, რომელსაც ჩემთან საუბარში იყენებდა, არ მაფიქრებინებდა, რომ ასეთი რეპლიკა შეიძლებოდა ესროლა: ის აბუჩად ამგდები, ზიზღნარევი დაცინვის არსენალიდან იყო, ამიტომ დავიბენი, განიარაღებული აღმოვჩნდი. ვთქვი:

- ეგ არაა მთავარი.

იმავე ტონით გააგრძელა:

- წითლების ძაგების ერთობ თავისებური ნიმუშია, დიდი ხანია ასეთი აღარ გამიგია.

- ხოლო შენი ძველი მეგობრების კრიტიკული შეფასებები, შენ მიერ გაკეთებული, ეტყობა, მხოლოდ და მხოლოდ მიუკერძოებელი კომენტარები იყო, არა?

არაფერი მიპასუხა, მოიღუშა. ვუთხარი:

- ამერიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენ ყველამ გავიგეთ, რომ ინტელექტუალები, სრული შემადგენლობით, შეიძლება აიძულო, ანტიკომუნიზმის სტანდარტული წარმოდგენები გაიზიარონ და გამოიყენონ.

უეცრად შენიშნა:

- აი, რატომ მიყვარს თქვენი ქვეყანა, ეს აქ ვერ მოხდებოდა.

ისევ დისჰარმონიის, შოკის შეგრძნება დამეუფლა. რადგან ის, რაც თქვა, სენტიმენტალური განცხადება იყო, ლიბერალური ჭურჭლის კარადიდან გამოღებული, ისევე, როგორც მისი სხვა რეპლიკები - გამოღებული „წითლების“ ჭურჭლის კარადიდან.

ვუთხარი:

- ცივი ომის დროს, როდესაც კომუნისტურმა შეძახილებმა და ყვირილმა მაქსიმუმს მიაღწია, ინტელექტუალები აქ, ამ ქვეყანაში, თქვენებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. კი, ვიცი, ახლა ეს ყველამ დაივიწყა, ახლა ყველა შოკშია მაკ-კარტის გამო, მაგრამ ჩვენი ინტელექტუალები ცდილობდნენ ყველაფერი ჩაეფარცხათ, ამბობდნენ, რომ საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ასევე იქცეოდნენ მათი კოლეგები შეერთებულ შტატებში. ჩვენი ლიბერალები, ძირითადად, ანტიამერიკული კომიტეტების დასაცავად დგებოდნენ პირდაპირ ან ირიბად. რომელიმე რედაქტორს ყვითელ პრესაში შეეძლო დაებეჭდა ისტერიული წერილი, რომ სცოდნოდა, ხ და ყ, მისი ძველი მეგობრები, ჯაშუშები არიან, მყისვე გაიქცეოდა ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურში, რათა დაესმინა ისინი. არადა, ამის მერე მასზე აზრი არავის ეცვლებოდა, არავინ იწყებდა მასზე ცუდად ფიქრს. და ყველა ლიტერატურული საზოგადოება და ორგანიზაცია ანტიკომუნიზმის ყველაზე პრიმიტიულ ვარიანტს აღიარებდა, - ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, რასაც ისინი ამბობდნენ, რასაკვირველია, სრულიად შეესაბამებოდა სინამდვილეს, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ისინი უბრალოდ იმეორებდნენ იმას, რაც შეგეძლო წაგეკითხა ნებისმიერ ყვითელ გაზეთში, არავითარი მცდელობა მართლა რაღაც გაგეგო, რაღაცაში მაინც გარკვეულიყავი, უბრალოდ, მთელი ხმით გაჰყვიროდნენ, უბრალოდ, მყეფარე ქოფაკების ხროვა იყვნენ. ასე რომ, მშვენივრად მესმის, ცოტა მეტად რომ მისწოლოდნენ, ჩვენი ინტელექტუალები სასწრაფოდ ანტიბრიტანულ კომიტეტებში გაერთიანდებოდნენ, ამ დროს კი ჩვენ, წითლები, ვტყუოდით, შავზე ვამბობდით, რომ თეთრია!

- მერე?

- მერე ის, რასაც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ვხედავთ დემოკრატიულ ქვეყნებში, რომ აღარაფერი ვთქვათ დიქტატურებზე, ნებისმიერ საზოგადოებაში, იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც მართლა მზადაა ბოლომდე იბრძოლოს სიმართლისათვის, იმდენად უმნიშვნელოა, რომ...

უეცრად თქვა:

- უკაცრავად, მაპატიეთ.

და გავიდა, დაძაბული მიდიოდა, კაცივით, რომელიც ვერაფერს ხედავს.

სამზარეულოში ვიჯექი და ვფიქრობდი იმაზე, რა ვთქვი. მე, ისევე, როგორც ჩემი კარგი ნაცნობები, ბევრი მათგანი კი მშვენიერი ადამიანია, კომუნისტურ კონფორმიზმში ჩავიძირეთ, საკუთარ თავსაც ვატყუებდით და სხვასაც. და „ლიბერალური“ ანდა „თავისუფალი“ ინტელექტუალები ძალიან ადვილად შეიძლებოდა ჩაეთრიათ და ხშირად კიდეც იყვნენ ჩათრეული ნებისმიერი სახის „კუდიანებზე ნადირობაში“. თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, სიმართლისთვის სინამდვილეში ძალზე ცოტა ადამიანი იღვწის, ძალზე ცოტა. ცოტას თუ ყოფნის გამბედაობა, ხასიათის სიმტკიცე, რომელიც ჭეშმარიტი დემოკრატიის საყრდენს უნდა წარმოადგენდეს. ასეთი ხასიათისა და გამბედაობის მქონე ადამიანების გარეშე თავისუფალი საზოგადოება კვდება ანდა ვერც იბადება.

ასე ვიჯექი სამზარეულოში, გაწბილებული და დათრგუნვილი. რადგან ჩვენ, ვინც დასავლეთის დემოკრატიებში აღვიზარდეთ, გვაქვს თანდაყოლილი რწმენა, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა უცილობლად ძალას მოიკრებს, ყველა ზეწოლას გაუძლებს და, როგორც ჩანს, ეს რწმენა ჯიუტად ცოცხლობს, მისი უარმყოფელი მრავალი ფაქტის მიუხედავად. ეს

რწმენა, შესაძლოა, თავისთავად საშიშია. ვიჯექი და უცებ ცხადად წარმოვიდგინე ისეთი მსოფლიო, სადაც ერები, სისტემები, ეკონომიკური ბლოკები ქვავდებიან, მყარდებიან, ერთიანდებიან; მსოფლიო, სადაც დამოუკიდებლობასა და ინდივიდუალურ ცნობიერებაზე თვით ლაპარაკიც კი სულ უფრო აბსურდულია. კარგად ვიცი, მსგავსი ხილვები დიდი ხანია აღწერილია, წაგვიკითხავს, მაგრამ წამით ეს უბრალოდ სიტყვები და აზრები კი აღარ იყო ჩემთვის, არამედ გახდა რაღაც, რასაც ჩემი სხეულის ყოველი უჯრედით, ყოველი ნერვით შევიგრძნობდი, ვადასტურებდი, ვიცოდი, რომ სინამდვილეში, ზუსტად ასე მოხდებოდა.

საული ისევ ჩამოვიდა, ახლა უკვე ჩაცმული გახლდათ. ამჯერად ის, როგორც ამას ვეძახი, „თვით იგი“ იყო. მარტივად, იუმორისტული ინტონაციით მითხრა:

- მაპატიე, რომ გავედი, უბრალოდ ვერ მივიღე, რასაც ამბობდი.

ვუთხარი:

- ბოლო დროს, რაზეც უნდა დავიწყო ფიქრი, ყველაფერი აუცილებლად გუნებას მიფუჭებს და სევდას მგვრის. იქნებ არც მე შემიძლია ამის მიღება.

მოვიდა და მომეხვია. მეუბნება:

- ჩვენ ერთმანეთს ვანუგეშებთ. ჰოდა, ვფიქრობ, ნეტავი რატომ?

მერე კი გააგრძელა, ისევ მეხვეოდა:

- ჩვენ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები, ვისაც ჩვენნაირი გამოცდილება აქვთ, უბრალოდ ვალდებულნი არიან დეპრესიისა და უიმედობისგან იტანჯებოდნენ.

- ან იქნებ სწორედ ის ადამიანები, ვისაც ჩვენნაირი გამოცდილება აქვთ, იმათ პირველ რიგებში არიან, ვინც სიმართლე იციან, რადგან კარგად ვუწყით, რისი გამკეთებლები ვართ?

საულს შევთავაზე, ეჭამა, ამჯერად მის ბავშვობაზე დავიწყეთ ლაპარაკი. კლასიკურად უბედური ბავშვობა, დანგრეული ოჯახი და ასე შემდეგ. სადილის მერე ზევით ავიდა, მითხრა, უნდა წავიმუშაოო. თითქმის ეგრევე ჩამოვიდა, კარის დირეს მიეყრდნო და სასხვათაშორისოდ მითხრა:

- იცი, ადრე შემეძლო გაუჩერებლად რამდენიმე საათი მემუშავა, ახლა კი ყოველი საათის მერე შესვენება მჭირდება.

ისევ - უხერხულობა, დისონანსი. ახლა, როდესაც მქონდა დრო და საშუალება ეს ყველაფერი გამეაზრებინა, ყველაფერი ცხადი გახდა ჩემთვის, მაგრამ მაშინ, უბრალოდ, დაბნეული და გაოცებული ვიყავი. ისე ლაპარაკობდა, თითქოს ერთი საათი იმუშავა, არადა, სინამდვილეში, მხოლოდ ხუთიოდე წუთმა თუ გაიარა. იდგა, კარის დირეს მიყრდნობოდა და შეწუხებული გამომეტყველება ჰქონდა. მერე მეუბნება:

- იქ, ჩემთან, სახლში, მეგობარი მყავს. მისი მშობლები დაშორდნენ, როცა ძალიან პატარა იყო. როგორ ფიქრობ, შეეძლო ამას მასზე ცუდად ემოქმედა?

უცებ ვერ ვუპასუხე, ენა მუცელში ჩამივარდა, რადგან სრულიად ცხადი იყო, რომ მისი მეგობარი სინამდვილეში თვითონ იყო. არადა, ათი წუთიც არ იყო გასული მას მერე, რაც საულმა თავის მშობლებზე მომიყვა.

ვუთხარი:

- კი, დარწმუნებული ვარ, მშობლების გაყრამ შენზე ცუდად იმოქმედა.

რაღაცნაირად შეირხა, თავის თავში ჩაიკეტა, გამომეტყველება ეჭვიანი გაუხდა, მკითხა:

- საიდან იცი?

ვეუბნები:

- ცუდი მეხსიერება გაქვს, შენს მშობლებზე რამდენიმე წუთის წინ მიყვებოდი.

იდგა შეშფოთებული, დაძაბული, ფიქრობდა. სახის ნაკვთები ეჭვიანი ფიქრისგან ხისტი გაუხდა. მერე კი ჩაილაპარაკა, სიტყვებს გაჭირვებით ამოთქვამდა:

- უბრალოდ, ჩემი მეგობარი გამახსენდა.

გატრიალდა და ზევით ავიდა.

ასევე დავრჩი, გაოგნებული, ვცდილობდი, რამენაირად მაინც ამეხსნა, რა ხდებოდა. საულს მართლაც გადაავიწყდა, რომ თავის მშობლებზე ესესაა მელაპარაკა. იოლად შემეძლო გამეხსენებინა ხუთი-ექვსი მსგავსი შემთხვევა, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში რომ მოხდა - რამეს მომიყვებოდა, მერე კი, რამდენიმე წუთის შემდეგ, იმავეზე იწყებდა ლაპარაკს, როგორც რაღაც ახალზე. გუშინ, მაგალითად, საულმა მითხრა: „გახსოვს, როგორ მოვედი აქ პირველად“ ისე, თითქოს უკვე მრავალი თვე იყო, რაც ჩემთან ცხოვრობდა. სხვა დროს კი მითხრა: „მაშინ, ჩვენ რომ ინდურ რესტორანში წავედით“, არადა, იქ ლანჩზე იმ დღეს, რამდენიმე საათის წინ ვიყავით.

დიდ ოთახში გავედი და კარი ჩავკეტე. ჩვენ შორის უთქმელი შეთანხმებაა, რომ როდესაც ჩემი კარი ჩაკეტილია, ჩემი შეწუხება არ ღირს. ზოგჯერ, როდესაც ჩემი კარი ჩაკეტილია, მესმის ხოლმე, როგორ სცემს ბოლთას ჩემ ზემოთ ან ჩამოდის კიბეზე, შუა გზაზე ჩერდება, თითქოს მაწვება, მაიძულებს, კარი გავაღო, რასაც ვაკეთებ კიდეც. მაგრამ დღეს კარი სასწრაფოდ გადავკე-

ტე, საწოლზე დავჯექი და შევეცადე ყველაფერი გამეაზრებინა. ოდნავ მახურებდა, ხელები კი მეყინებოდა, მშვიდად ვერ ვსუნთქავდი. შფოთი მახრჩობდა, ისევ და ისევ ვიმეორებდი: „ეს შფოთვის მდგომარეობა ჩემი არაა, ეს შფოთვის მდგომარეობა ჩემი არაა“. თუმცა ამან ვერ მიშველა (*11), იატაკზე დავწექი, ზურგზე, თავქვეშ ბალიში ამოვიდე და „თამაშის“ თამაში დავიწყე. ანდა, ვცადე. არაფერი გამომივიდა, რადგან საულის ფეხის ხმა მესმოდა, როგორ დაბორიალებს იქ, ზემოთ, თავისთან, თითქოს მსხვერპლის ძიებაში. ყოველი მისი მოძრაობა ჩემში გამოძახილს პოულობდა. გავიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა, თუკი გავისეირნებდი, ვინმეს ვნახავდი. მაგრამ ვის? ვიცოდი, რომ მოლისთან საულზე ვერ ვილაპარაკებდი. მაინც დავურეკე და მან სასხვათაშორისოდ მკითხა:

- საული როგორაა?

ვუპასუხე:

- კარგად.

ასევე სასხვათაშორისოდ შენიშნა, რომ შეხვდა ჯეინ ბონდს და რომ „სერიოზულად უყვარს საული“. რამდენიმე დღე ჯეინ ბონდი არ გამხსენებია, ამიტომ სასწრაფოდ მოვამთავრე მოლისთან მასლაათი, ყურმილი დავკიდე და ისევ იატაკზე დავწექი. წინა საღამოს საულმა მითხრა:

- ცოტა უნდა გავისეირნო, თორემ არ დამეძინება.

დაახლოებით სამ საათში მობრუნდა. ჯეინ ბონდის სახლამდე ფეხით ნახევარი საათის სავალია, ავტობუსით - ათი წუთის. ჰო, თანაც ვიღაცას დაურეკა წასვლის წინ. ეს ნიშნავდა, რომ შეუთანხმდა ჯეინ ბონდს პაემანზე, პირდაპირ ჩემი სახლიდან დაურეკა, მივიდა, ესიყვარულა, დაბრუნდა, ჩამიწვა ლოგინში, დაიძინა. არა, ჩვენ არ გვისიყვარულია წინა ღამით, რადგან

ქვეცნობიერად ვიცავდი თავს, ცოდნის სიმწარისგან (არადა, ჩემს გონებას ეს არ აწუხებს, შფოთავს მხოლოდ არსება ჩემში, ეჭვიანობს, წუხს, საპასუხო ტკივილი უნდა მიაყენოს).

ჩაკეტილ კარზე მომიკაკუნა და მითხრა:

- არ მინდა ხელი შეგიშალო, წავალ, გავისეირნებ.

ისე, რომ არც კი გამიცნობიერებია, რას ვაკეთებდი, მივედი კართან, გავაღე, - უკვე კიბეზე ჩადიოდა, - და ვკითხე:

- ჯეინ ბონდთან მიდიხარ?

გაშეშდა, ნელა მობრუნდა და თვალებში შემომხედა:

- არა, სასეირნოდ მივდივარ.

არაფერი მითქვამს, რადგან გავიფიქრე, რომ შეუძლებელია, მატყუებდეს, როდესაც ესოდენ პირდაპირ კითხვას ვუსვამ. უნდა მეკითხა: „გუშინ ნახე ჯეინ ბონდი?“. ახლა ვხვდები, რომ ეს არ ვკითხე, რადგან შემეშინდა, რომ ყველაფრის უარყოფას დაიწ-ყებდა.

რაღაც უდარდელი და უმნიშვნელო ჩავილაპარაკე და კარი გამოვიხურე. არც ფიქრის თავი მქონდა, არც მოძრაობის. ავად გავხდი. ვიმეორებდი და ვიმეორებდი გულში: „უნდა წავიდეს, აქედან უნდა წავიდეს“. თუმცა ვიცოდი, რომ ვერ ვეტყოდი, ჩემი სახლიდან წასულიყო, ამიტომ ვიმეორებდი და ვიმეორებდი გულში: „მაშინ უნდა სცადო, გაერიდო“.

როდესაც საული მობრუნდა, მივხვდი, რომ მისი ნაბიჯების გაგონებას რამდენიმე საათი ველოდებოდი. მომესალმა, მეტის-მეტად ხმამაღლა და მეგობრულად წამოიძახა რაღაც და ეგრევე საბაზანოში შევიდა. (*12) მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი: „არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელია, რომ ეს კაცი აქ მოდიოდეს ჯეინ ბონდთან შეხვედრის მერე, საბაზანოში შედიოდეს, სექსის კვა-ლი რომ ჩამოიბანოს, რადგან ხვდება, რომ მე ყველაფერი ვიცი.

ეს შეუძლებელია“. არადა, ვიცოდი, შესაძლებელი იყო. ვიჯექი და ჩემს თავს ვქოქავდი, ვაიძულებდი, მეკითხა: „საულ, იწექი ჯეინ ბონდთან?“

როდესაც ჩემთან მოვიდა, ვკითხე. როგორც სჩვეოდა, ხმამაღლა, უხეშად ჩაიცინა და მიპასუხა:

- არა.

მერე ყურადღებით შემომხედა, მოვიდა, მომეხვია. ისე უბრალოდ და თბილად გააკეთა ეს, რომ მაშინვე დავყარე ფარ--ხმალი. ძალზე მეგობრულად მითხრა:

- კარგი რა, ანა, ყველაფერი ძალიან ახლოს მიგაქვს გულთან. ცოტა მარტივად შეხედე ყველაფერს.

მომეფერა და მითხრა:

- მგონი, როგორღაც უნდა მიხვდე, ჩვენ ძალზე განსხვავებული ადამიანები ვართ. და კიდევ, იმან, თუ როგორ იცხოვრე აქ, ჩემს გამოჩენამდე, ცუდად იმოქმედა შენზე. მაგრამ მე აქა ვარ, ყველაფერი რიგზეა.

ამ სიტყვებით ჩამაწვინა ლოგინში, ხელს ისე მისვამდა, ისე მამშვიდებდა, თითქოს ავად ვიყავი. არადა, მართლაც ავად ვიყავი. თავში ყველაფერი ამებურდა, მუცელში მივლიდა, აზროვნების უნარი დამეკარგა, რადგან ადამიანი, რომელიც ასე ნაზად მექცეოდა, იგივე იყო, ვინც ავად მხდიდა. რაღაც ხნის მერე მითხრა:

- ახლა კი ვახშამი მომიმზადე. ეს მოგიხდება. ღმერთმა გიშველოს, მაგრამ შენ ხომ ნამდვილი მეოჯახე ქალი ხარ, შენ უნდა ყოფილიყავი კარგი, საიმედო კაცის ცოლი, სიამტკბილობით იცხოვრებდით.

მერე კი დაღვრემილმა (*13) მითხრა:

- ღმერთო, მეც მიშველე, მე, ეტყობა, მუდმივად ასეთებს ვეძებ.

ვახშამი მოვუმზადე.

დილით ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე, ჯეინ ბონდი იყო. საული გავაღვიძე და სააბაზანოში შევედი, საშინელი ხმაური ავტეხე, წყალი მოვუშვი და ასე შემდეგ. როდესაც მოვბრუნდი, ისევ ლოგინში იწვა, მოკუნტული, თვლემდა. ველოდი, რომ მეტყოდა, რა უთხრა ჯეინმა, რა უნდოდა, მაგრამ სიტყვაც არ დასცდენია. ისევ გავბრაზდი. მაგრამ წარსული ღამე ალერსითა და სითბოთი იყო აღსავსე, ძილში საული ჩემკენ ტრიალდებოდა, შეყვარებულივით, მეხებოდა, მკოცნიდა, სახელსაც კი მეძახდა, ანუ ეს ყველაფერი პირადად ჩემთვის გახლდათ განკუთვნილი. საკუთარ გრძნობებში გავიხლართე. საუზმის მერე მითხრა, საქმეზე უნდა გავიდეო. დიდხანს, დეტალურად მიყვებოდა, რომ უნდა შეხვდეს ერთ კაცს კინოინდუსტრიის სამყაროდან. სახის გაქვავებულმა გამომეტყველებამ და ახსნა--განმარტების ზედმეტმა სირთულემ მიმახვედრა, რომ ჯეინ ბონდს უნდა შეხვედროდა და რომ პაემანზე შეთანხმდნენ ცოტა ხნის წინ. საული როგორც კი ქუჩაში გავიდა, მის ოთახში ავედი. იქ ყველაფერი აკურატულად და ლამაზად იყო დაწყობილი. მის ქაღალდებში დავიწყე ქექვა. მახსოვს, როგორ გავიფიქრე, თანაც სრულიად მშვიდად, თითქოს ამის უფლება მქონდა, რადგან მატყუებდა, რომ ცხოვრებაში პირველად ვკითხულობდი სხვის წერილებსა და საბუთებს. ვბრაზობდი, ცუდად ვგრძნობდი თავს, თუმცა ერთობ მეთოდურად ვმოქმედებდი. საწერი მაგიდის უჯრაში, კუთხეში, წერილების დასტა ვიპოვე, რეზინით გადახვეული, ერთი ამერიკელი ქალიშვილისგან. საყვარლები ყოფილან, ჩიოდა, რომ საული წერილებს არ სწერს. მერე კიდევ ერთი

შეკვრა ვიპოვე - პარიზელი ქალიშვილისგან, ისიც ჩიოდა, რომ წერილებს არ სწერს. წერილები თავის ადგილას დავაბრუნე, მაგრამ აკურატულად კი არ დავდე, არამედ როგორც მომიხდა და გავაგრძელე ძებნა. მერე დღიურების რამდენიმე დასტა ვიპოვე. (*14). მახსოვს, გამიკვირდა, რომ მის დღიურებში ჩანაწერები ქრონოლოგიურად მიჰყვებოდა ერთმანეთს, რომ არ იყო დაქსაქსული ნაწილებად ისე, როგორც ჩემი დღიური. რამდენიმე ძველი დღიური გადავათვალიერე, გულდასმით კითხვა არ დამიწყია, უბრალოდ საერთო შთაბეჭდილების შექმნა მინდოდა. გაუთავებელი ჩამონათვალი ახალი ადგილებისა, სამსახურებისა, ქალების სახელებისა. ადგილებისა და ქალების ამ სახელების სიუხვეს თან სდევდა მარტოსულობის განცდის, გაუცხოების, მოწყვეტილობის დეტალური აღწერა. ვიჯექი საწოლზე და ვცდილობდი ეს ორი განსხვავებული სახება გამეერთიანებინა - იმ მამაკაცისა, რომელსაც მე ვიცნობდი და იმისა, რომელიც დღიურებიდან წარმომიდგებოდა. ეს უკანასკნელი თავისი თავისადმი სიბრალულით იყო აღსავსე, - გულქვა, ანგარებიანი და უგრძნობელი გახლდათ. მერე გამახსენდა, რომ როდესაც ჩემს დღიურებს ვკითხულობდი, საკუთარ თავს ვერ ვცნობდი. უცნაური რაღაც ხდება, როდესაც საკუთარ თავზე წერ, უფრო სწორად, როდესაც წერ რეალურზე და არა საკუთარი თავის წარმოსახვით სახებაზე. შედეგი გამოდის სასტიკი, ცივი, დამადანაშაულებელი. და თუკი არაა დამადანაშაულებელი, მაშინ სრულიად უსიცოცხლოა. მესმის, როდესაც ეს დავწერე, შავი დღიურის იმ ადგილას აღმოვჩნდი, სადაც ვილიზე ვწერდი. ეს იგივე იყო, საულს რომ ეთქვა თავის დღიურებზე და ანდა რომ შეეჯამებინა თავისი ახალგაზრდობა მოგვიანო გადასახედიდან: „უნამუსოდ ვიქცეოდი, ქალებს ისე ვეპყრობოდი, როგორც ნამ-

დვილი ღორი“ ანდა „სწორად ვიქცევი, ქალებს ასე რომ ვეპ-ყრობი“, ანდა „მე უბრალოდ ვიწერ იმას, რაც ხდება, საერთოდაც არ ვაფასებ ჩემს ქცევას“ - ანუ, რაც უნდა ეთქვა, ყველაფერი არასწორი და უადგილო იქნებოდა. რადგან რაც ნამდვილად აკლია მის დღიურებს, ესაა სასიცოცხლო ძალა, ხიბლი, რომელიც თვით ცხოვრებას სდევს. „ვილიმ თავს უფლება მისცა სათვალის მინები ოთახის გამჭოლად აეკასკასებინა და განაცხადა“... საული, რომელიც მყარად დგას დედამიწაზე, საული, რომელსაც ვერავინ ეტყვის უარს, რომელიც დგას და იკრიჭება - ირონიულად იკრიჭება თავისი პოზის გამო, მაცდური კაცის პოზის გამო - გაჭიანურებით ამბობს: „წამოდი, პატარავ, ვიჟიმაოთ, დამევასე“. ცალკეულ ჩანაწერებს ვკითხულობდი, მათი ცივი სისასტიკის გამო ვიზაფრებოდი, მერე კი მათი რეალურ ცხოვრებაში გადაყვანა, ასე ვთქვათ, თარგმანება დავიწყე, იმას ვეყრდნობოდი, რაც საულზე ვიცოდი. განწყობა წამდაუწუმ მეცვლებოდა, ხან ბრაზი მავსებდა, ქალური ბრაზი, ხან აღტაცება, რომელსაც განიცდი, როდესაც სიცოცხლის გარკვეულ ფორმას აკვირდები, - ეს ახლის შეცნობით გამოწვეული აღტაცება იყო.

მაგრამ მალე აღტაცებამ გამიარა, როგორც კი ერთ ჩანაწერს წავაწყდი, რომელმაც ძალზე შემაშინა, რადგან მსგავსი რაღაც მე უკვე დაწერილი მქონდა ჩემს ყვითელ რვეულში, - რაღაც სხვაგვარმა გაგებამ დამაწერინა. მაშინებს, რომ როცა ვწერ, ეტყობა, რაღაც საოცარი წინასწარმეტყველი ვხდები, ან რაღაც ამის მსგავსი, ირთვება ინტუიცია, მუშაობს გონების რაღაც ნაწილი, რომლის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტისმეტად მტკივნეული იქნებოდა, ანუ ის, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაში გამოიყენო, ცხოვრება სრულიად შეუძლებელი გახდება. „დროა დეტროიტიდან ავითესო. მისგან ყველაფერი მივიღე,

რაც მინდოდა. მეივისთან სირთულეებია. ერთი კვირის წინ ვაფრენდი მასზე, ახლა კი - არაფერი. უცნაურია“. შემდეგ: „გუშინ საღამოს მეივისი მოვიდა. ჩემთან ჯოანი იყო. იძულებული გავხდი, გავსულიყავი და მეივისი გამებუნძულებინა“. შემდეგ: „მივიღე წერილი დეტროიტიდან, ჯეიკისგან. მეივისმა ვენები გადაიჭრა სამართებლით. საავადმყოფოში მიყვანა მოასწრეს. საწყალი, კარგი გოგოა“. მეივისი მეტი აღარ იყო ნახსენები. განვრისხდი, სქესთა დაპირისპირების სასტიკი, შურისმაძიებლური რისხვა მავსებდა, იმდენად გავბრაზდი, რომ უბრალოდ იძულებული გავხდი წარმოსახვა გამეთიშა. დღიურების გროვა გვერდზე გავწიე. მათ წაკითხვას რამდენიმე კვირა დასჭირდებოდა, არადა, არც მაინტერესებდა. ჩემზე რას წერს, ნეტავი? იმ დღის ჩანაწერი მოვნახე, როდესაც საული პირველად მოვიდა ჩემთან. „გავიცანი ანა ვულფი. თუკი ლონდონში ერთხანს დავრჩები, სავსებით გამოდგება. მერიმ ოთახი შემომთავაზა, მაგრამ ვხედავ, რომ იქ გართულებები არ ამცდება. ლოგინში კარგია, მაგრამ მეტი არაფერი. ანა არ მიზიდავს. მოცემულ სიტუაციაში ეს კარგიცაა. მერიმ სკანდალი გამიმართა. წვეულებაზე - ჯეინი. ვცეკვავდით, პრაქტიკულად, საცეკვაო მოედანზე ვჟიმაობდით. პატარაა, მსუბუქი, ბიჭს ჰგავს - სახლში მივიყვანე მანქანით. მთელი ღამე ვიჟიმავეთ - დაგლიჯა!“ „დღეს ანას ვესაუბრე, რას ვეუბნებოდი, არაფერი მახსოვს. არა მგონია, რამე შეემჩნიოს“. ჩანაწერები რამდენიმე დღით წყდებოდა. „რა სახალისოა, ანა ყველაზე მეტად მომწონს, თუმცა მასთან წოლა სიამოვნებას არ მანიჭებს. იქნებ დროა სხვაგან გადავბარგდე? ჯეინთან გართულებები დაიწყო. მოვტყ... ეს ქალბატონები, პირდაპირი გაგებით!“ „ანა ახურებს, ჯეინის გამო. მისთვისვე უარესი, ნამდვილად უარესი“. „გავწყვიტე ურთიერთობა ჯეინთან. საწყენია, ყველაზე კარგი

სექსი ამ წყეულ ქვეყანაში მასთან მქონდა. მარგარეტი პატარა კაფეში“. „დავურეკე ჯეინს. ანას გამო ახურებს. არ მინდა, ანამაც გაახუროს. ვხვდები მარგარეტს“.

ეს დღეს იყო დაწერილი, ესე იგი, ჯეინთან კი არ მიდიოდა, არამედ მარგარეტთან. მზარავს ის, რომ სხვისი დღიურების კითხვა წამითაც არ მზარავს. უფრო მეტიც, უმსგავსი, მოზეიმე სიხარული მავსებს, რადგან ფაქტზე გამოვიჭირე.

(*15) ჩანაწერმა „ანასთან წოლა სიამოვნებას არ მანიჭებს“ ისეთი ტკივილი მაგრძნობინა, რომ რამდენიმე წამით სუნთქვა შემეკრა. რაც ყველაზე საშინელი იყო, ამას ვერ ვიგებდი. რაც ყველაზე საშინელი იყო, რამდენიმე წუთით დავკარგე რწმენა იმისა, რომ ჩემს ქალურ არსებას, - რომელიც პასუხობს, ან არ პასუხობს, იქიდან გამომდინარე, რამდენად გულწრფელად ესიყვარულება საული, - აქვს უნარი სწორად შეაფასოს ყველაფერი, რაც კი ხდება. ამ ქალს ვერ მოატყუებ. ერთი წამით დავუშვი, რომ იგი განზრახ იტყუებდა თავს. შემრცხვა იმისა, რომ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ საულს არ უნდა ჩემთან წოლა, რადგან, ამ შემთხვევაში, მე, დიდი-დიდი, შეიძლება „შესაფერისი სქესობრივი პარტნიორი“ გავმხდარიყავი, ვიდრე ის, რომ ადამიანურად მოვწონვარ. დღიურები გვერდზე ისევე გავწიე, როგორც წერილები, რაღაც დამამცირებელ-ზიზღნარევი განცდის კარნახით, და ქვემოთ ჩავედი, ეს ყველაფერი რომ აღმეწერა. მაგრამ ვერაფერს ვწერ, ჭკვიანურსა და გონივრულს, ერთიანად დაბნეული ვარ.

ისევ ავედი ზევით, დღიურში რომ ჩამეხედა, - საულმა დაწერა „ანასთან წოლა სიამოვნებას არ მანიჭებს“ იმ კვირას, როდესაც ჩემთან არ ჩამოდიოდა. მას მერე მეალერსება ისე, როგორც კა-

ცი ქალს, რომელიც ძალიან მოსწონს. ვერ გამიგია, ვერაფერი გამიგია.

გუშინ თავს ძალა დავატანე, საულისთვის უსიამოვნო კითხვა რომ დამესვა:

- ავად ხარ? და თუ ხარ ავად, რა გჭირს?

მიპასუხა ისე, როგორც თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მიპასუხებდა:

- საიდან იცი?

კიდეც გამეცინა. ფრთხილად ჩაილაპარაკა:

- მე მგონი, თუ კაცს პრობლემები აქვს, ჯობს ისინი რაც შეიძლება შორს გადამალოს და არავინ შეაწუხოს.

ეს სერიოზული, პასუხისმგებლობიანი კაცივით წარმოთქვა. ვუთხარი:

- მაგრამ შენ სწორედაც ასე იქცევი. რა არის შენი პრობლემა?

ასე მგონია, სადღაც ჩავიკარგე, რაღაც ფსიქოლოგიურ ბურუსში დავბორიალობ. სერიოზულად მომიგო:

- იმედი მქონდა, ამით არ დაგამძიმებდი.

- მე არ ვწუწუნებ, - ვეუბნები, - მაგრამ, მგონია, რომ ჯობს ეს არ დამალო შენში, ჯობს, გარეთ გამოიტანო.

უცებ გესლიანად, მტრულად მითხრა:

- ისე ლაპარაკობ, როგორც წყეული ფსიქოანალიტიკოსი.

იმაზე ვფიქრობდი, რომ პრაქტიკულად ნებისმიერ საუბარში ერთდროულად ხუთი ან ექვსი ადამიანი შეიძლება იყოს; პასუხისმგებლობიანი კაცის მობრუნებასაც კი ველოდი. ასეც მოხდა, საულმა განაგრძო:

- მართალია, მაინცდამაინც კარგ ფორმაში არა ვარ. ძალზე სამწუხაროა, თუკი ესოდენ აშკარად ჩანს. ვეცდები უკეთესად მოვიქცე.

ვუთხარი:

- საქმე ის კი არაა, უკეთესად მოიქცე.

საუბრის თემა ხელის ერთი მოსმით შეცვალა. ნაწყენი, დამცირებული გამომეტყველება მიიღო, - გამომეტყველება კაცისა, რომელმაც გადაწყვიტა, თავი დაიცვას.

დოქტორ პეიმტერს დავურეკე და ვუთხარი, რომ მინდა გავიგო, რა ემართება ადამიანს, ვინც დროის შეგრძნება დაკარგა და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მასში ერთდროულად რამდენიმე ადამიანია. მომიგო:

- მე ტელეფონით დიაგნოზს არ ვსვამ.

ვუთხარი:

- კარგი რა.

მეუბნება:

- ძვირფასო ანა, ჯობს მიღებაზე ჩაეწეროთ.

- ჩემზე არაა ლაპარაკი, - ავუხსენი, - ჩემს მეგობარზე.

მაგრამ ექიმს არაფერი უთქვამს. მერე კი ჩაილაპარაკა:

- ნუ იღელვებთ, ნამდვილად გაგიკვირდებათ, როდესაც გაიგებთ, ჩვენს ქუჩებში მოსეირნე რამდენი ადამიანია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის აჩრდილი. მაინც ჩაეწერეთ მიღებაზე.

- და რა არის ამის მიზეზი?

- შემიძლია ვივარაუდო, თანაც ისე, რომ ზედმეტი არაფერი ვთქვა, ეს ჩვენს ეპოქასთანაა დაკავშირებული.

- გმადლობთ, - ვითხარი.

- არ მოხვალთ მიღებაზე?

- არა.

- ძალიან ცუდი, ანა, ეს სულიერი ამპარტავნებაა. თუკი თქვენ რამდენიმე ადამიანი ხართ ერთდროულად, რომლის ამოთრევას აპირებთ ჭაობიდან?

- თქვენს გზავნილს ადრესატამდე მივიტან, - შევპირდი.

საულთან შევედი და ვუთხარი:

- ჩემს ექიმს დავურეკე და ეგონა, რომ ავად მე ვარ, მე კი ვუთხარი, რომ მეგობარი მყავს - ხვდები?

გამჭოლად, კუთხეში მომწყვდეულივით გამომხედა, თუმცა თან ჩაიცინა.

- მეუბნება, რომ მიღებაზე უნდა ჩავეწერო, მაგრამ არ უნდა ვიღელვო იმის გამო, რომ ერთდროულად რამდენიმე ადამიანი ვარ, რომელთაც დროის შეგრძნება აქვთ დაკარგული.

- მე შენზე სწორედ ასეთ უცნაურ შთაბეჭდილებას ვტოვებ?

- დიახაც.

- გმადლობ. მგონი, მართალია, ამის გამო წუხილი არ ღირს.

დღეს საულმა მითხრა:

- რატომ უნდა დავხარჯო ფული ფსიქიატრზე, როდესაც შენთან ვმკურნალობ, თანაც უფასოდ?

ეს სიტყვები გესლიანად, ნიშნის მოგებით, საზეიმოდ თქვა. ვუთხარი, რომ ჩემი გამოყენება ამ როლში უპატიოსნო საქციელია. იმავე მოზეიმე სიძულვილით ჩაილაპარაკა:

- ტიპური ინგლისელი ქალი ხარ. „პატიოსანი - უპატიოსნო!“ ყველა როგორღაც იყენებს ერთმანეთს. შენ მე მიყენებ, რომ აისრულო ჰოლივუდური ოცნება ბედნიერებაზე, მე კი, ჩემი მხრივ, ვაპირებ გამოვიყენო ექიმბაშებსა და მჩხიბავებთან შენი ურთიერთობის გამოცდილება.

ერთი წამის მერე ჩვენ უკვე ვსიყვარულობდით. როდესაც ვჩხუბობთ, ერთმანეთი გვძულს და სექსი სიძულვილიდან გამომდინარეობს. ეს მძიმე, სასტიკი სექსია, ის არაფერს ჰგავს, არავითარი კავშირი არა აქვს (*16) იმ ჩემს არსებასთან, შეყვარებულ ქალთან. იგი მას ხელაღებით უარყოფს.

დღეს საულმა ლირიკული შენიშვნა გააკეთა ჩემი ერთი მოძრაობის გამო და მივხვდი, რომ ვიღაცას შემადარა. ვუთხარი, არსებობს სხვადასხვა სკოლა, წარმოდგენები იმაზე, თუ როგორ უნდა ისიყვარულო, და რომ ჩვენ ორ სხვადასხვა სკოლას ვეკუთვნით. იმწამს ჩვენ ერთმანეთს ვერ ვიტანდით, თუმცა კეთილგანწყობით ვლაპარაკობდით. ამიტომ ყურადღებით შემომხედა, დაფიქრდა, მერე კი გადაიხარხარა:

- სიყვარული, - სასკოლო ასაკის ბიჭივით სენტიმენტალურად ჩაილაპარაკა, - ინტერნაციონალურია.

- სექსი, - შევეპასუხე, - ნაციონალური სტილის საკითხია. არც ერთ ინგლისელს სექსი ისე არ ექნება, როგორც შენ. მე, რასაკვირველია, ვლაპარაკობ იმათზე, ვისაც საერთოდ აქვთ სექსი.

საულმა პოპ-სიმღერის გამოგონება დაიწყო: „შევიყვარებ შენს ნაციონალურ სტილს, თუკი ჩემსას შეიყვარებ“.

ჩვენ გარშემო ბინის კედლები იკვრება, თავის თავში გვამწყვდევს. დღე დღეს მისდევს, აქ მხოლოდ ჩვენა ვართ. ვაცნობიერებ, რომ ორივე შეშლილი ვართ. საული ხმამაღალი სიცილით მეუბნება:

- კი, გიჟი ვარ, ამის მისახვედრად მთელი ჩემი ხანმოკლე ცხოვრება დამჭირდა და ახლა რა? იქნება მირჩევნია, გიჟი ვიყო?

ამასთან, შფოთვის მდგომარეობა ერთი წამითაც არ მეშვება, უკვე აღარ მახსოვს, რას ნიშნავს ნორმალურად გაღვიძება და

მაინც მშვიდად ვაგრძელებ ამ ჩემს მდგომარეობაზე დაკვირვებას და კიდეც ვფიქრობ: „მაშ ასე, არასოდეს ვინაღვლებ ჩემი შფოთვის მდგომარეობის გამო, ამიტომ მშვენივრად შემიძლია სხვისი განვიცადო, გავიგო, ეს რა ხილია, თუკი ასეთი შანსი მომეცემა“.

დროდადრო ვცდილობ „თამაში“ ვითამაშო. ზოგჯერ ამ ყვითელ რვეულში ვწერ. ანდა ვუყურებ, იატაკზე ათინათი როგორ ანცობს ისე, რომ მტვრის პაწია ნამცეცი ან ხიჭვი ფიცარზე იზრდება და თავისი თავის სიმბოლო ხდება. ზემოთ საული ბოლთას სცემს, ზოგჯერ ხანმოკლე სიჩუმე ისადგურებს. სიჩუმეც და ფეხის ხმაც ჩემს ნერვებში ერთნაირად, ექოსავით მესმის. როდესაც გარეთ გადის, „ცოტა რომ გაისეირნოს“, ნერვები მეჭიმება, მას მიჰყვება, თან სდევს, თითქოს გამოებაო.

დღეს, როდესაც საული მობრუნდა, ინსტინქტურად მივხვდი, რომ ვიღაცასთან იწვა. გამოვიწვიე, პირდაპირი კითხვა დავუსვი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მეწყინა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ანტაგონისტები ვართ - ორი მოწინააღმდეგე, და მითხრა:

- არა, რატომ გგონია?

მერე გამომეტყველება მზაკვრული, ხარბი, ქვეშქვეშა გაუხდა და მითხრა:

- თუ გინდა, ალიბის წარმოგიდგენ.

გამეცინა, თუმცა კი ძალიან გაბრაზებული ვიყავი და სიცილმა მიშველა. შეშლილი ვარ, ცივი ეჭვიანობით შეპყრობილი, ისეთი ძალის ეჭვიანობით, რომელიც წინათ ვერც კი წარმომედგინა. მე ვარ ქალი, რომელიც კითხულობს სხვის დღიურებს და წერილებს; თუმცა, როცა ვიცინი, ვიკურნები. ჩემი გაცინება, როგორ ჩანს, არ მოეწონა და შენიშნა:

- ტუსაღები გარკვეულ ენაზე ლაპარაკს ეჩვევიან.

ვუთხარი:

- ადრე არასოდეს ვყოფილვარ ციხის დარაჯი, მაგრამ თუ ახლა გავხდი, იქნებ იმიტომ, რომ შენ გჭირდება?

სახე დაეწმინდა, საწოლის კიდეზე ჩამომიჯდა და ამიხსნა იმ უბრალოებით, რაზეც წამში შეუძლია გადართვა:

- პრობლემა ისაა, რომ როდესაც ერთად დავიწყეთ ცხოვრება, შენ გადაწყვიტე, რომ ეს ერთგულებას გულისხმობს, მაგრამ მე ასე არ გადამიწყვეტია. მე არასოდეს არავის ერთგული არ ვყოფილვარ. ასეთი რამ უბრალოდ არ ყოფილა.

- ცრუობ, - ვუთხარი, - სინამდვილეში, როდესაც ქალი მოგეჩვეოდა, ანდა გამხელდა, ეგრევე სხვასთან გარბოდი.

გაიცინა ახალგაზრდულად და გულწრფელად და არა მტრულ-ახალგაზრდულად, როგორც ხშირად იცოდა ხოლმე, და მითხრა:

- კი, შესაძლოა, ამაში რაღაც არის კიდეც.

კინაღამ ვუთხარი: „მაშინ გაიქეცი სხვასთან, დამეკარგე აქედან“. მიკვირდა, რატომ არ ვეუბნებოდი ამას, რა ასეთ პიროვნულ ლოგიკას მივყვებოდი მისი გავლენით. წამის იმ მეასედში, როცა კინაღამ ვუთხარი: „დამეკარგე აქედან“, ელვისებური, შეშინებული მზერა მტყორცნა და მითხრა:

- უნდა გეთქვა, რომ ამას შენთვის მნიშვნელობა აქვს.

ვუთხარი:

- მაშინ ახლა გეუბნები, რომ ამას ჩემთვის მნიშვნელობა აქვს.

- ო’კეი, - ფრთხილად მომიგო, პაუზის შემდეგ. გამომეტყველება ეშმაკური, ქვეშქვეშა გაუხდა. მშვენივრად ვხვდებოდი, რას ფიქრობდა.

დღეს საული რამდენიმე საათით გავიდა, სატელეფონო ზარის შემდეგ, და უმალ მის ოთახში ავედი, დღიურში ახალი ჩანაწერი რომ მენახა: „ანას ეჭვიანობა მაგიჟებს. შევხვდი მარგარეტს. მასთან სახლში წავედით. მშვენიერი ბავშვია. მარგარეტს თავი ცივად ეჭირა. მასთან დოროთი გავიცანი. სახლიდან გაღწევას მომავალ კვირას შევძლებ, როცა ანა ჯენეტის სანახავად წავა. კატა გარეთ გაუშვიო!“.

ეს ცივი ტრიუმფის შეგრძნებით წავიკითხე.

თუმცა, მიუხედავად ამისა, არის ხოლმე მომენტები, - საათობით რომ გრძელდება, - როდესაც ნაზად და სიყვარულით ვმეგობრობთ, სანამ ვსაუბრობთ და ვსაუბრობთ. და ვსიყვარულობთ. ყოველ ღამე ერთად გვძინავს, და ეს მშვენიერი, ღრმა ძილია. მერე კი კეთილგანწყობა წამში სიძულვილით იცვლება. ეს ბინა ზოგჯერ სიყვარულისა და სიახლოვის ოაზისია, მერე კი უცებ ბრძოლის ველად იქცევა, სიძულვილისგან კედლებიც კი ზანზარებს, ერთმანეთს გარშემო ვუვლით, როგორც ველური მხეცები. რასაც ერთმანეთს ვეუბნებით, იმდენად საშინელია, როცა ვიხსენებ, ვიზაფრები. არადა, ჩვენ გვაქვს ამ ყველაფრის ხმამაღლა თქმის უნარი, იმის მიყურადებისა, რაც ვთქვით, და მერე, უცებ, შეგვიძლია გიჟებივით ახარხარება, და სიცილი, სიცილი გულის წასვლამდე.

ჯენეტის სანახავად წავედი. მთელი გზა თავს უბედურად ვგრძნობდი, რადგან ვიცოდი, რომ საული ახლა დოროთისთან, ან ვინც უნდა იყოს, იწვა. მაშინაც კი ვერ დავივიწყე ეს, როცა ჯენეტს ველაპარაკებოდი. ეტყობა, სავსებით ბედნიერია - ჩემგან მოშორებით მყოფი, მოსწავლე, პატარა გოგონა, რომელიც ამხანაგებთან ურთიერთობითაა გართული. უკანა გზაზე, მატარებელში, ისევ გავიფიქრე, რა უცნაურია, - მთელი თორმეტი წელი

ყოველი დღის ყოველი წუთი ჯენეტის გარშემო ტრიალებდა, ჩემი დღის განრიგი მისი საჭიროებების ჩამონათვალი იყო. და, აი, სკოლა-პანსიონში წავიდა და მე იმწამსვე დავუბრუნდი ჩემს ძველ მდგომარეობას, გავხდი ანა, რომელსაც არასოდეს გაუჩენია ჯენეტი. მახსოვს, მოლიც იმავეს ამბობდა: ტომი მეგობრებთან ერთად წავიდა არდადეგებზე, როდესაც თექვსმეტი წლისა იყო, და მოლი მთელი დღეები დაბორიალებდა სახლში, თავისი თავისა უკვირდა. იმეორებდა, „ისეთი განცდა მაქვს, თითქოს არასოდეს მყოლია შვილი“.

სახლს რომ მივუახლოვდი, მუცელში სიმძიმის გრძნობამ იმატა. იმ მომენტში, როცა კართან მივედი, უკვე მართლა ავად ვიყავი, პირდაპირ სააბაზანოში შევვარდი, გული ამერია. არასოდეს მომსვლია ასეთი რამ ნერვიული დაძაბულობის გამო. მერე კიბეზე დავდექი და საულს გავძახე, შინ აღმოჩნდა. ჩამოვიდა სიცოცხლით აღსავსე, მხიარული. როგორა ხარ! როგორ ჩაიარა შეხვედრამ და ა. შ.

ვუყურებდი და ვხედავდი, როგორ ეცვლებოდა გამომეტყველება, ეშმაკურ-ქვეშქვეშა უხდებოდა, თანაც, მის სიფრთხილეში ტრიუმფი იგრძნობოდა. ამ დროს გვერდიდან ვხედავდი ჩემს თავს - ცივსა და ხისტს. მკითხა:

- ასე რატომ მიყურებ?

მერე კი დაუმატა:

- რის გაგებას ცდილობ?

დიდ ოთახში შევედი. მისი ფრაზა: „რის გაგებას ცდილობ?“ - ახალი ნოტი იყო ჩვენს „სიამტკბილობაში“, კიდევ ერთი ნაბიჯი თავდაღმართში, ანტიპათიის ახალ სიღრმეებში. როდესაც ეს თქვა, მართლა ასხივებდა სიძულვილს. საწოლზე ჩამოვჯექი, დავფიქრდი. მივხვდი, რომ სიძულვილი ფიზიკურ დონეზე მაფ-

რთხობდა. რა ვიცი მისი ფსიქიკური აშლილობის შესახებ? არც არაფერი. თუმცა რაღაც ინსტინქტური შეგრძნება მკარნახობდა, რომ შიში არ უნდა მქონოდა.

ოთახში შემომყვა და ჩემს საწოლზე ჩამოჯდა, რომელიღაც ჯაზურ მელოდიას ღიღინებდა, თვალს მადევნებდა. მითხრა:

- ჯაზის რამდენიმე ფირფიტა გიყიდე. ჯაზი დაგეხმარება მოდუნებაში.

მივუგე:

- ძალიან კარგი.

მეუბნება:

- თავიდან ბოლომდე პირწავარდნილი ინგლისელი ქალი ხარ, ასე არაა? - პირქუშად, ანტიპათიით თქვა.

ვუთხარი:

- თუ არ მოგწონვარ, შეგიძლია წაბრძანდე.

საულმა განცვიფრებული მზერა მტყორცნა და ოთახიდან გავიდა. ველოდებოდი, როდის მობრუნდებოდა და ვიცოდი, როგორი იქნებოდა. მშვიდ, ჩუმ, მოსიყვარულე ძმად დამიბრუნდა. ფირფიტა ფირსაკრავზე დადო. მე დანარჩენ ფირფიტებს ვათვალიერებდი. ადრეული არმსტრონგი და ბესი სმიტი. მდუმარედ ვისხედით და მუსიკას ვუსმენდით.

მერე მკითხა:

- როგორია?

მივუგე:

- ეს მუსიკა ისეთი კეთილგანწყობილია და თბილი, შემარიგებელი.

- ჰო, მერე?

- ამას ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვს, ჩვენ ასეთები არა ვართ.

- ლედი, ჩემი ხასიათი არმსტრონგის, ბეშესა და ბესი სმიტის გავლენით ჩამოყალიბდა.

- ესე იგი, მას მერე შენს ხასიათში რაღაც შეიცვალა. რაღაც მოუვიდა.

- იგივე მოუვიდა, რაც მთელ ამერიკას.

მერე კი სევდიანმა დაუმატა:

- სავსებით შესაძლებელია, შენც გაქვს ჯაზის აღქმის ბუნებრივი ნიჭი, შენ ეს გჭირდება.

- ყველაფერში შეჯიბრი და კონკურენციარად გინდა?

- იმიტომ, რომ ამერიკელი ვარ. ამერიკა ქვეყანაა, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან, მუდმივი კონკურენცია აქვთ.

შევნიშნე, - მშვიდი ძმა სადღაც გაქრა, მისი ადგილი სიძულვილით აღსავსე კაცმა დაიკავა. ვუთხარი:

- მგონი, აჯობებს, თუ დღეს ერთმანეთს აღარ ვნახავთ, ზოგჯერ ჩემთვის მეტისმეტად დიდი დატვირთვა ხარ.

საული გაოგნდა. მერე საკუთარი გამომეტყველების გაკონტროლება მოახერხა. როცა ასეთი რაღაც ხდება, თვალნათლივ ჩანს, მისი განაწყენებული სახე როგორ „აიყვანს ხოლმე ხელში“ თავს. მშვიდად, სიცილ-სიცილ, მეგობრულად მითხრა:

- მე არ გადანაშაულებ. მე თვითონ მეტისმეტად დიდი დატვირთვა ვარ ჩემი თავისთვის.

ოთახიდან გავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც უკვე დავწექი, ჩემთან შემოვიდა, საწოლთან დადგა და მეუბნება:

- ჩაიწიე.

ვუპასუხე:

- არ მინდა ჩხუბი.

მითხრა:

- ჩვენ თავის დამორჩილება გვიჭირს.

- და არ გეჩვენება უცნაურად, არ გიკვირს, რას ვირჩევთ ჩხუბის საბაბად? მე სულ ფეხებზე მკიდია, ვისთან წვები, შენ კი ის კაცი არა ხარ, ვინც ქალს სექსის მეშვეობით სჯის. ასე რომ, სრულიად ცხადია, სხვა რაღაცის გამო ვჩხუბობთ. მაგრამ, რის გამო?

- საინტერესო გამოცდილებაა, იყო გიჟი.

- მართლაც რომ საინტერესო გამოცდილებაა.

- რატომ ამბობ ამას?

- ერთი წლის შემდეგ უკან მოვიხედავთ და ვიტყვით: აი, მაშინ როგორები ვიყავით, როგორი ფანტასტიკური ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღეთ.

- და რა არის ამაში ცუდი?

- ჩვენისთანებს, ჩვენ ყველას, განდიდების მანია გვჭირს. შენ ამბობ: „მე ასეთი ვარ იმიტომ, რომ შეერთებული შტატები პოლიტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ამასა და ამას, მე შეერთებული შტატები ვარ“. მე კი ვამბობ: „მე თანამედროვე ქალის განსახიერება ვარ“.

- შესაძლოა, ჩვენ ორივენი მართალი ვართ.

დავიძინეთ, მეგობრებივით. თუმცა ძილმა ორივენი შეგვცვალა. როცა გავიღვიძე, საული გვერდზე იწვა და დაძაბული იღიმოდა, ჩემი სახის გამომეტყველებას აკვირდებოდა. მკითხა:

- რა ნახე სიზმარში?

ვუთხარი:

- არაფერი.

მერე კი გამახსენდა, ჩემი კოშმარი დამესიზმრა, და ბოროტი, უპასუხისმგებლო პრინციპი ამ სიზმარში საულის სახით იყო პერსონიფიცირებული. მთელი ამ ხანგრძლივი კოშმარის განმავლობაში იცინოდა, მე დამცინოდა. მხრებით ვეჭირე ისე, რომ

ვერ ვინძრეოდი, და მეუბნებოდა: „უნდა გატკინო. მსიამოვნებს, რომ გტკენ“.

ამის გახსენება იმდენად მძიმე იყო, რომ სასწრაფოდ ავდექი, საულს მოვშორდი და სამზარეულოში შევედი. დაახლოებით ერთ საათში შემოვიდა, ჩაცმული, შუბლი ისე ჰქონდა შეკრული, გეგონებოდა, მუშტი მოკუმშაო.

- უნდა გავიდე, - მეუბნება.

ოდნავ შეყოვნდა, დაამუხრუჭა, ელოდებოდა, რას ვეტყოდი, მერე ნელა დაიწყო კიბეზე ჩასვლა, უკან იხედებოდა, თითქოს ელოდებოდა, რომ გავაჩერებდი. ადრეული არმსტრონგი ჩავრთე და იატაკზე ზურგით დავწექი, მშურდა იმ მსუბუქი და მხიარული, სიცოცხლისმოყვარე და კეთილად დამცინავი სამყაროსი, სადაც ეს მუსიკა იშვა. საული ოთხი თუ ხუთი საათის შემდეგ მობრუნდა, გამოცოცხლებული ჩანდა, სახეზე სამაგიეროს გადახდისგან მიღებული სიხარული ეტყობოდა. მკითხა:

- რატომ არ მეუბნები არაფერს?

მივუგე:

- არაფერი მაქვს სათქმელი.

- საპასუხო დარტყმას რატომ არ მაყენებ?

- თუ აცნობიერებ, რამდენად ხშირად მეკითხები, რატომ არ აკეთებ საპასუხო დარტყმასო? თუკი გსურს, რაღაცისთვის გსჯიდნენ, საამისოდ ვინმე სხვა იშოვე.

და უმალ მასში უცნაური ცვლილება მოხდა, როდესაც რაღაცას ვამბობ და ის ამაზე ფიქრს იწყებს. ინტერესით მკითხა:

- მე რა, მინდა, რომ მსჯიდნენ? ჰმ-მ-მ, საინტერესოა...

საული საწოლის კიდეზე იჯდა, მოღუშული ნიკაპს ისრესდა. ჩაილაპარაკა:

- არა მგონია, ამ წუთში მაინცდამაინც მოგწონდე. და არც მე მომწონხარ.

- არც მე მომწონხარ და არც საკუთარი თავი მომწონს. მაგრამ ჩვენ ორივეს ეს ყველაფერი მართლა თუ არ მოგვწონს, მაშ, რატომ უნდა გავირთულოთ ცხოვრება საკუთარი თავის უსიყვარულობით?

გამომეტყველება ისევ შეეცვალა. ეშმაკურად მითხრა:

- ეტყობა, გგონია, რომ იცი, რას ვაკეთებდი.

არაფერი ვუპასუხე, წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა, სწრაფად დადიოდა ოთახში წინ და უკან, წამდაუწუმ სასტიკ მზერას მესროდა.

- შენ ხომ ვერასოდეს გაიგებ, არანაირად არ შეგიძლია ამის გაგება.

ის, რომ არაფერს ვეუბნებოდი, იმით კი არ იყო განპირობებული, თითქოს ჩხუბი არ მინდოდა ან სიმშვიდის შენარჩუნება მსურდა, არამედ დუმილი, თავისი გულცივობით, ჩემი ადეკვატური იარაღი გახლდათ ჩვენს ბრძოლაში. დუმილის შემდეგ, რომელიც ზუსტად იმდენ ხანს გაგრძელდა, რამდენიც საჭირო იყო, ვუთხარი:

- ვიცი, რასაც აკეთებდი, დოროთის ჟიმავდი.

ეგრევე მკითხა:

- საიდან იცი?

და მერე ისე გააგრძელა, თითქოს საერთოდ არაფერი ეთქვას:

- ნურაფერს მკითხავ და ტყუილის მოსმენაც არ მოგიწევს.

- არც არაფერს გეკითხები, შენს დღიურს ვკითხულობ.

საულმა შეწყვიტა ენერგიულად ბოლთის ცემა და მომაშტერდა. სახეზე, რომელსაც ცივი ინტერესით ვუმზერდი, რიგრიგობით გამოისახა შიში, განრისხება და ქვეშქვეშური ტრიუმფი.

- მე არ გამიჟიმავს დოროთი.

- მაშინ, ესე იგი, სხვა ვიღაცა იქნებოდა.

ყვირილი და ხელების ქნევა დაიწყო, სიტყვებს ნაკუწ-ნაკუწ ისროდა, მისი ყბები სიტყვებს ისე ფქვავდა, როგორც ხორცის საკეპი მანქანა - ხორცს:

- ჯაშუშივით მითვალთვალებ, ყველაზე ეჭვიანი ქალი ხარ, ვინც კი შემხვედრია, რაც აქა ვარ, სხვა ქალს არც გავკარებივარ. ეს კი ისეთი ვნებიანი ამერიკელი ბიჭისთვის, როგორიც მე ვარ, რაღაცას ნიშნავს.

ამაზე ერთობ გესლიანად ჩავილაპარაკე:

- მიხარია, რომ ვნებიანი ბიჭი ბრძანდები.

მიყვირა:

- მე ნამდვილი კაცი ვარ, ფინია კი არა, რომელიც სახლში შეიძლება ჩაკეტო!

ყვირილს განაგრძობდა და მე ვიცანი ის განცდა, რომელიც წინადღეს მქონდა, კიდევ ერთი ნაბიჯით ჩავინაცვლე იმ კიბეზე, რომელსაც ქვემოთ, ნებისყოფის სრულ დაკარგვამდე მივყავდი. „მე, მე, მე, მე, მე“, - ყვიროდა, თუმცა მისი მეტყველება აბურდული იყო, ბაქიაობდა, ტრაბახით გაჯერებულ განცხადებებს მესროდა, არადა, ისეთი განცდა მქონდა, რომ ავტომატით ტყვიებს მესროდა, რომ ხორცში ტყვიები მესობოდა. ეს დიდხანს გაგრძელდა: „მე, მე, მე, მე, მე“, და უკვე აღარ ვუსმენდი, მერე კი მივხვდი, რომ სიჩუმემ დაისადგურა, რომ საული დადუმდა და შეშფოთებული მიყურებდა.

- რა მოგივიდა? - მკითხა.

ჩემთან მოვიდა, მუხლებზე დადგა, თავი მომიბრუნა:

- ღვთის გულისათვის, მიხვდი რა, რომ სექსი ჩემთვის არაა მნიშვნელოვანი, უბრალოდ, არაა მნიშვნელოვანი.

დავაზუსტე:

- გინდა თქვა, რომ სექსი შენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა, ვისთან გაქვს.

საულმა ხელში ამიყვანა და ლოგინში ჩამაწვინა, მზრუნველმა და თანამგრძნობმა. საკუთარი თავისადმი ზიზღით ჩაილაპარაკა:

- როდესაც ქალს მიწაზე დავანარცხებ ხოლმე, მერე ძალიან კარგად გამომდის მისი ნაწილ-ნაწილ აკრეფა და შეკოწიწება.

- და რაში გჭირდება ქალის მიწაზე დანარცხება?

- არ ვიცი. სანამ ამაზე არ დამაფიქრე, არც კი ვიცოდი. თურმე, არ ვიცოდი.

- კარგი იქნება, ექიმბაშს თუ მიმართავ. დავიღალე იმაზე ლაპარაკით, რომ მეც მანგრევ და საკუთარ თავსაც.

ავტირდი, ისევე ვგრძნობდი თავს, როგორც წინაღამეს სიზმარში, როდესაც ხელს მაგრად მიჭერდა მხრებზე, გაკავებული ვყავდი, იცინოდა და მტკენდა. არადა, ამ დროს ალერსიანი და კეთილი იყო. უეცრად გავაცნობიერე, რომ ეს ყველაფერი, მთელი ეს ციკლი, სადაც სინაზე სიძულვილით იცვლება და პირიქით, მხოლოდ ამ მომენტისთვისაა, როდესაც მამშვიდებს და მანუგეშებს. უცებ წამოვდექი, გამაბრაზა მისმა მზრუნველობამ, იმან, რომ ამის უფლებას ვაძლევ. სიგარეტს მოვუკიდე.

პირქუშად მითხრა:

- შესაძლოა მიწაზე კი განარცხებ, მაგრამ დიდხანს არ რჩები ამ მდგომარეობაში.

- ბედმა გაგიღიმა, გიხაროდეს, შეგიძლია ისევ და ისევ დამანარცხო.

დაფიქრებული იჯდა, თითქოს თავს გვერდიდან აფასებდა:

- მაგრამ მითხარი, რატომ?

ვუყვირე:

- ყველა ამერიკელივით დედასთან გაქვს პრობლემები. ჩემგანაც დედას ქმნი, ამ როლში აღმიქვამ. მუდმივად გინდა გამაცურო, მომატყუო და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ჭკუაში მომიგო. შენთვის მთავარია, ისე მოიტყუო, რომ დაგიჯერონ. მერე, როცა გულს მატკენ, შენი სურვილი, მომკლა, გზაფრავს და იძულებული ხდები, შემიცოდო, დამამშვიდო... - ისტერიულად ვკიოდი, - ყელში ამომივიდა. ყელში ამომივიდა, პატარა ბავშვივით ენის მოჩლექით რომ მელაპარაკები. გული მერევა ამ ბანალურობისგან!

გავჩუმდი და გავხედე. ბავშვის გამომეტყველება ჰქონდა, რომელიც ეს-ესაა გატყიპეს.

- ახლა გსიამოვნებს, მიაღწიე იმას, რომ გიყვირე, რატომ არ მიბრაზდები? არადა, წესით უნდა გაბრაზებულიყავი - მე შენ, საულ გრინს, „სახელს“ გარქმევ, იარლიყს გაწებებ, თანაც ისეთ იაფფასიანს, რომ წესით და რიგით, ვალდებული ხარ, გაბრაზდე. უნდა გრცხვენოდეს, რომ ზიხარ აქ შენი ასაკის, ოცდაცამეტი წლის კაცი, და ისმენ ჩემს ბანალურ, საშინლად გამარტივებულ ინტერპრეტაციებს.

გავჩუმდი და მივხვდი, რომ გამოვიფიტე. ნერვიული დაძაბულობის ნაჭუჭში ვიყავი გამომწყვდეული, თითქმის ვგრძნობდი მის სუნს, ნერვიული დაძაბულობის შმორიან სურნელს.

- გააგრძელე, - მითხრა.

- უფასო ფსიქოანალიზის ჩემი უკანასკნელი სეანსი დასრულდა.

- მოდი აქ.

არ შემეძლო, არ მივსულიყავი. საულმა სიცილით მიმიზიდა. ალერსი დამიწყო. მე ვპასუხობდი, ვპასუხობდი ამ ცივ სასიყვარულო მძვინვარებას.

სიცივეს იოლად ვპასუხობდი, რადგან სიცივეს, სინაზისგან განსხვავებით, არ შეუძლია ტკივილის მოყენება. მალე შევნიშნე, რომმოფერებაზე აღარ ვპასუხობდი. რადგან ეს შევნიშნე, მივხვდი, მანამდეც კი, სანამ გაფიქრებას მოვასწრებდი, რომ რაღაც ახალი ხდებოდა, სხვასთან იწვა, ჩემთან კი არა. საულმა ხმა სხვა რეგისტრზე გადართო, სამხრეთული აქცენტით დაიწყო ლაპარაკი, გაჭიანურებით, ჩაცინებით, აგრესიულად:

- კარგია, კარგია, მემ, ჟიმაობა ნამდვილად გცოდნიათ, გესმით საგანი, ასევე მოვახსენებ ყველას.

სხვანაირად მეხება, ანუ სხვას ეხება. ხელი ჩამომისვა თეძოებსა და დუნდულებზე და მითხრა:

- უნდა გითხრათ, მშვენიერი, მაგარი ქალური ფორმებია.

- აგერია, მე ის ვარ, რომელიც გამხდარია.

შოკი. დავინახე, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, როგორ გამოდიოდა საული იმ პიროვნებიდან, რომელიც ამწამს იყო. ზურგზე გადაწვა, თვალებზე ხელი აიფარა, სუნთქვა აერია. მერე კი სამხრეთული აქცენტის გარეშე, თავისი ყოველდღიური ხმით, ოღონდ მექალთანეს ინტონაციით, ისევე, როგორც ამბობდა: „ვნებიანი ამერიკელი ბიჭი ვარ“, მითხრა:

- პატარავ, ისე მარტივად უნდა მიმიღო, როგორც კარგი ვისკი.

- ანუ საკუთარ თავს ამგვარად ახასიათებ, - დავაზუსტე.

ისევ შოკი. საული ცდილობს, ამოაგდოს თავი იმ პიროვნებიდან, სუნთქვა ეკვრის, მერე აიძულებს თავს თანაბრად ისუნთქოს, მერე ნორმალურად მეკითხება:

- ეს რა მჭირს?

- გინდა თქვა, ჩვენ რა გვჭირს? ორივე შეშლილი ვართ. სიგიჟის ჭუპრში ვსხედვართ.

- შენ! - დაღვრემით მითხრა, - შენ ყველაზე საღად მოაზროვნე ქალი ხარ, ვინც კი შემხვედრია.

- ამჩამს სულაც არა.

დიდხანს ვიწექით მდუმარედ. ხელზე ნაზად მეალერსებოდა. ქუჩაში სატვირთოები ხრიგინებდნენ. ვგრძნობდი, ეს ნაზი ალერსი დაძაბულობას მიხსნიდა. სიგიჟე და სიძულვილი სადღაც გაქრა. მერე კი იყო კიდევ ერთი, დაუსრულებელი დღე, ნელ-ნელა ბინდდებოდა, როდესაც მოწყვეტილი ვიყავით სამყაროს, მერე კი დაუსრულებელი ბნელი ღამე. ჩვენი ბინა ხომალდივით იყო, ბნელ ზღვაში რომ მიცურავს, თითქოსდა ყოველგვარი სიცოცხლისგან მოწყვეტილი, - თავისთავადი, თვითკმარი. ახალ ფირფიტებს ვუსმენდით, ერთმანეთს ვეალერსებოდით და ის ორი ადამიანი, საული და ანა, შეშლილები, სადღაც წავიდნენ, სადღაც სხვაგან იყვნენ, სხვა ოთახში.

(*17) ბედნიერების კვირა გვქონდა. ტელეფონი არ რეკავდა. არავინ მოდიოდა. მარტონი ვიყავით. მაგრამ ეს დასრულდა, საულში თითქოს ჩამრთველი გადაატრიალეს, და, აი, ვზივარ და ვწერ. ვხედავ, რომ დავწერე სიტყვა „ბედნიერება“. ეს საკმარისია. დაე ილაპარაკოს, „შენ გამოწურავ ბედნიერებას, როგორც ბადაგს“. ამ ერთი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ გამჩენია სურვილი რვეულებში რამე ჩამეწერა. სათქმელი არაფერი მქონდა.

დღეს გვიან გავიღვიძეთ, ფირფიტებს მოვუსმინეთ, ვისიყვარულეთ. მერე საული თავის ოთახში ავიდა. როცა ჩამოვიდა, სახე სამართებელივით ჰქონდა, მივხვდი, რომ „ჩამრთველი გადაატრიალეს“. ოთახში ცოტა ხანი იბორიალა და მერე ამბობს:

- რაღაც მაწუხებს, რაღაც მაწუხებს.

მის ხმაში აშკარად მტრული განწყობა ჟღერდა, ამიტომაც ვუთხარი:

- მაშინ წადი, გაისეირნე.

- რომ წავიდე, მერე მეტყვი, რომ ვიღაცა გავჟიმე.

- გეტყვი იმიტომ, რომ გინდა, გითხრა.

- მოკლედ, მივდივარ.

- მიდი, მიდი.

იდგა და მიყურებდა, სიძულვილი ახრჩობდა. ვგრძნობდი, როგორ მეძაბებოდა მუცელი, შფოთვა ჩემკენ ბნელი ბურუსივით მოიწევდა. ვგრძნობდი, ბედნიერების კვირა ხელიდან მეცლებოდა. ვფიქრობდი: „ერთ კვირაში ჯენეტი ჩამოვა და ეს ანა არსებობას შეწყვეტს. თუკი ვიცი, რომ შემიძლია ეს უმწეო ტანჯული გამოვთიშო, რადგან ასეა საჭირო ჯენეტისთვის, მაშ, ამას ახლავე რატომ არ ვაკეთებ? იმიტომ, რომ არ მინდა, აი, რატომ. ყველაფერი ბოლომდე უნდა გათამაშდეს, ნახატი ყველა დეტალში უნდა დამუშავდეს“.

იგრძნო, რომ შინაგანად ვშორდებოდი და შეშფოთდა. მკითხა:

- რატომ უნდა წავიდე სადღაც, თუკი არ მინდა?

- მაშინ, ნუ წახვალ, - ვუთხარი.

- წავიმუშავებ, - მომიჭრა ცივად.

ოთახიდან გავიდა, რამდენიმე წუთში ჩამობრუნდა, კარის დირეს მიეყრდნო. ამ დროის განმავლობაში ერთხელაც არ შევ-

რხეულვარ. იატაკზე ვიჯექი, ველოდებოდი, რადგან ვიცოდი, მობრუნდებოდა. ბინდდებოდა, დიდი ოთახი ჩრდილებით ივსებოდა, ცა ფერს იცვლიდა. ვიჯექი და ვუყურებდი, - ცა ახალი ფერით ივსებოდა, ამასთან, ქალაქში სიბნელე იღვრებოდა, სრულიად ძალდაუტანებლად, და უცებ „თამაშის“ მდგომარეობას მივაღწიე. საზარელი ქალაქისა და მილიონობით ადამიანის ნაწილი გავხდი, თანაც, იმავდროულად, იატაკზეც ვიჯექი და ქალაქის თავზეც ვიყავი, ზემოდან დავყურებდი. როდესაც კარში საული გამოჩნდა, შედგა, კარის დირეს მიეყრდნო და ბრალმდებელივით მითხრა:

- ასეთი რაღაც არასოდეს მომსვლია, არასოდეს ვყოფილვარ ქალზე იმდენად მიჯაჭვული, ქუჩაში გასვლაც კი არ შემიძლია იმის გარეშე, თავი დამნაშავედ რომ არ ვიგრძნო.

მისი ტონი მეტად შორს იყო იმ მდგომარეობისგან, რომელსაც იმწამს განვიცდიდი, ამიტომ ვუთხარი:

- აქ ერთი კვირა გაატარე, თუმცა ეს შენთვის არავის უთხოვია. შენ თვითონ გინდოდა. ახლა განწყობა შეგეცვალა. ჩემი განწყობა მაინცდამაინც შენს განწყობასთან ერთად რატომ უნდა იცვლებოდეს?

ფრთხილად ჩაილაპარაკა:

- ერთი კვირა დიდი დროა.

ისე თქვა, რომ მივხვდი, სანამ არ ვთქვი „ერთი კვირა“, არ იცოდა, რამდენი დღე გავიდა. დამაინტერესა, თვითონ რას ფიქრობდა, - რამდენი დღე იყო გასული, თუმცა ამის კითხვისა მეშინოდა. იდგა კოპებშეკრული, ალმაცერად მიყურებდა, ტუჩებს ისე იწიწკნიდა, თითქოს მუსიკალური ინსტრუმენტის სიმები ყოფილიყოს. პაუზის მერე ეშმაკურად ჩაილაპარაკა:

- მაგრამ ის ფილმი მე მხოლოდ გუშინწინ ვნახე.

მივხვდი, რას ცდილობდა: უნდოდა ისე გამოეყვანა, თითქოს აქ ერთი კვირა კი არა, არამედ მხოლოდ ორი დღე იყო, - ნაწილობრივ იმისთვის, რომ შეემოწმებინა, დარწმუნებული ვიყავი თუ არა, მართლა ერთი კვირა რომ გავიდა, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ სძაგდა თვით აზრი, ვიღაც ქალისთვის საკუთარი თავი შეიძლებოდა მთელი კვირით დაეთმო. ცხოველს დაემგვანა, რომელმაც საფრთხე იყნოსა და მტრის შეშინებას ცდილობს. მივუგე:

- ის ფილმი მხოლოდ ერთი კვირის წინ ნახე.

ცივად ჩაილაპარაკა:

- რადგან ასე ამბობ, უნდა დაგიჯერო.

მერე ისკუპა, მხრებში ჩამაფრინდა და ნჯღრევა დამიწყო:

- ვერ გიტან, რომ ნორმალური ხარ, ვერ გიტან ამის გამო! შენ ნორმალური ადამიანი ხარ. რა უფლებით ხარ ასეთი? უცებ მივხვდი, რომ ყველაფერი გახსოვს, შესაძლოა, გახსოვს ყველაფერი, რაც კი ოდესმე მითქვამს შენთვის. გახსოვს ყველაფერი, რაც კი ოდესმე მოგსვლია, ეს აუტანელია!

მხრებში მასობდა თითებს, მტკენდა, თვალები სიძულვილით უელავდა. ვუთხარი:

- კი, მართლა ყველაფერი მახსოვს.

თუმცა ეს ყოველგვარი ტრიუმფის გარეშე ვუთხარი. ვხვდებოდი, რომ მისთვის ვარ ქალი, რომელიც გაუგებარია, როგორ ახერხებს მოვლენების მართვას, რადგან ნებისმიერ მომენტში შეუძლია უკან მოიხედოს და გაიხსენოს ღიმილი, ჟესტი, მოძრაობა; გაიგონოს წარმოთქმული სიტყვა და ახსნა-განმარტება - ქალი, რომელიც დროში ცხოვრობს. ჩემთვის სიმართლის ამ პატარა უდრეკი მცველის ცერემონიულობა და პომპეზურობა უსიამო გახლდათ. განაცხადა: „ეს იგივეა, ციხეში იჯდე, იცხოვ-

რო ვიღაცასთან, ვინც იცის, რა თქვი გასულ კვირას ანდა შეუძლია გითხრას, სამი დღის წინ ამას და ამას აკეთებდიო“. მე მასში ტუსაღი დავინახე, რადგან თვითონაც ძალიან მინდოდა გათავისუფლება ჩემი მეხსიერებისგან, რომელიც ყველაფერს ახარისხებდა და კომენტარს უკეთებდა. ვგრძნობდი, როგორ იშლებოდა ჩვენი პიროვნული საზღვრები. მუცლის გვრემა დამეწყო, ზურგი გამიკავდა.

საულმა მითხრა:

- მოდი აქ, - საწოლისკენ ნაბიჯი გადადგა და მიმითითა.

მორჩილად გავყევი. უარს ვერ ვიტყოდი. გამოცრა:

- წამო, წამო.

უფრო ასე ჟღერდა:

- წმ, წმ.

მივხვდი, რომ საული რამდენიმე წლით უკან დაბრუნდა დროში, მაშინ, ალბათ, ოცი წლისა იქნებოდა. მე ვთქვი, „არა“, რადგან არ მინდოდა საქმის დაჭერა ამ გაშმაგებულ ახალგაზრდა მამრთან. სარკასტული სისასტიკით ჩაიცინა, მითხრა:

- შენ ამბობ, არაო და სწორსაც აკეთებ, პატარავ, ხშირად მითხარი „არა“, მომწონს ეს.

ხელზე დამიწყო მოფერება და ისევ ვუთხარი „არა“. ლამის ვტიროდი. ცრემლების დანახვაზე საულმა სხვანაირად დაიწყო ლაპარაკი, მის ხმაში მოზეიმე სინაზე გაისმა, ჩემს ცრემლებს ნამდვილი გურმანივით კოცნიდა და ამბობდა:

- კარგი, პატარავ, მორჩი, გეყოფა.

სექსი ცივი გვქონდა, სიძულვილის აქტი, ყველაფერს სიძულვილით ვაკეთებდით. ჩემი ქალური არსება, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში იზრდებოდა და სიამოვნებისგან კრუტუნებდა, ახლა კუთხეში შეიყუჟა, ცახცახებდა. ის ანა კი, რომელსაც

შეეძლო აგრესიული სექსისგან სიამოვნება მიეღო, ნებელობა-დაკარგული გახლდათ, არ იბრძოდა. ყველაფერი სწრაფად და უმსგავსოდ მოხდა. საულმა ჩაილაპარაკა:

- წყეული ინგლისელი ქალები. არაფრის მაქნისები არიან ლოგინში.

თუმცა თავისუფლება მომანიჭა იმით, რომ ასე მატკინა გული და მე ვუთხარი:

- ჩემი ბრალია. ვიცოდი, რომ არაფერი გამოვიდოდა. ვერ ვი-ტან, როცა სასტიკი ხდები.

მკვეთრი მოძრაობით გადაბრუნდა, მუცელზე დაწვა, გაირინ-და, ფიქრობდა. ჩაიბურტყუნა:

- ეს უკვე მითხრა ვიღაცამ ამას წინათ. მაგრამ ვინ? როდის?

- შენი ქალებიდან ერთ-ერთმა გითხრა, რომ სასტიკი ხარ, არა?

- ვინ? მეე? მე არა ვარ სასტიკი. არც არასოდეს ვყოფილვარ. მე სასტიკი ვარ?

იმწამს მასში კეთილი ადამიანი ლაპარაკობდა. არ ვიცოდი, რა მეთქვა, მეშინოდა, რომ დავაფრთხობდი და მობრუნდებოდა ის, მეორე. მკითხა:

- ანა, რა ვქნა?

მივუგე:

- რატომ არ გინდა „შემლოცველს“ მიმართო?

ამ სიტყვაზე მასში ჩამრთველი გადატრიალდა, სახასიათოდ, ხმამაღლა, საზეიმოდ ჩაიცინა:

- საგიჟეთში გინდა ჩამაყუდონ? რატომ უნდა ვუხადო ანალი-ტიკოსს, როცა შენ მყავხარ? შენ უნდა მიხდიდე ფულს, რომ ჯან-მრთელი, ნორმალური ადამიანი ხარ. პირველი არა ხარ, ვინც

ტვინის გამორეცხვას მირჩევს. მე კი ვერავინ ვერაფერს მიბრძანებს, ვერავინ.

ლოგინიდან წამოვარდა, იყვირა:

- მე, ეს მე ვარ, საულ გრინი, მე ვარ ისეთი, როგორიც ვარ, ისეთი, როგორიც ვარ, მე!

და დაიწყო ხმამაღალი, ტყვიამფრქვევის მსგავსი მონოლოგი, დაუსრულებელი: „მე, მე, მე“, მაგრამ უცებ შეწყვიტა, უფრო სწორად, დაცხრა გაგრძელების წინ. საული პირღია იდგა, დუმდა, მერე თქვა: „მე, მე ვგულისხმობ, რომ მე“... - უწესრიგო საცეცხლე შეტევის ბოლო გასროლები, მერე კი ჩვეულებრივი ხმით შენიშნა:

- მივდივარ, უნდა გავიარო.

სასწრაფოდ გავიდა, კიბეზე აირბინა. მესმოდა, ოთახში როგორ ხმაურით სწევდა უჯრებს. გავიფიქრე: „იქნებ საერთოდ მიდის?“

თუმცა რამდენიმე წუთში ისევ ჩამოვიდა, მომიკაკუნა. გამეცინა იმის გაფიქრებაზე, რომ ეს კაკუნი, შესაძლოა, იუმორისტული მცდელობაა მობოდიშებისა.

ხმამაღლა ვთქვი:

- მობრძანდით, მისტერ გრინ, - და ისიც შემოვიდა თავაზიანი, ოფიციალური ანტიპათიით.

- ვიფიქრე, რომ უნდა გავისეირნო. შმორის სუნი ამდის ხოლმე, როდესაც დიდხანს გამოკეტილი ვარ.

მივხვდი, სანამ ზემოთ იყო, ოთახში, ის, რაც მოხდა, მის ცნობიერებაში როგორღაც გადასხვაფერდა. ვუპასუხე:

- კეთილი, დღევანდელი საღამო იდეალურია სასეირნოდ.

ბავშვური ენთუზიაზმით, ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე შესძახა:

- აბა, რა! მართალი ხარ!

კიბეზე ჩასვლა დაიწყო იმ ტუსაღივით, საპყრობილეს რომ ტოვებს. დიდხანს ვიწექი, საკუთარი გულის ბაგაბუგს ვაყურადებდი, - მაზიდებდა. მერე ავდექი და ამ ყველაფრის წერა დავიწყე. ბედნიერების, ნორმალურობის, სიცილის შესახებ არც ერთი სიტყვა არ დაიწერება. ხუთი ან ათი წლის შემდეგ ამ ყველაფერს ახალი ამბების ჩამონათვალის სახე ექნება, ორი შეშლილი და სასტიკი ადამიანის ცხოვრებიდან.

გუშინ საღამოს, როდესაც წერას მოვრჩი, ვისკის ბოთლი ამოვიღე და ნახევარი ჭიქა დავისხი. ვიჯექი და ვწრუპავდი, მომცრო ყლუპებად, ვცდილობდი ისე დამელია, რომ ალკოჰოლი პირდაპირ დაძაბულობის კვანძში ჩასულიყო, ჩემი დიაფრაგმის ქვეშ, და ტკივილგამაყუჩებელივით ემოქმედა. გავიფიქრე, რომ თუ საულთან ვიცხოვრებ, ადვილად შეიძლება გავლოთდე. ვფიქრობდი, რამდენად ბანალურები ვართ და რამდენი პირობითობაა ჩვენში: ის გარემოება, რომ ნებისყოფა დავკარგე, რომ პერიოდულად ეჭვით შეპყრობილი მანიაკი ვხდები, რომ შემიძლია აღვფრთოვანდე და ბოროტად გავიხარო იმის გამო, რომ ზოგჯერ ვახერხებ ჭკუაში მოვუგო ავადმყოფ ადამიანს, ამ ყველაფრიდან არაფერი მოქმედებს ისე მძიმედ, როგორც აზრი „ადვილად შეიძლება გავლოთდე“. არადა, ალკოჰოლიკად ქცევა არაფერია დანარჩენთან შედარებით. ვსვამდი სკოჩს და ვფიქრობდი საულზე. წარმოვიდგენდი, როგორ გადის ჩემი სახლიდან, თავისი ქალებიდან ერთ-ერთს ქუჩიდან რომ დაურეკოს. ეჭვიანობა ჩემს სისხლძარღვებში შხამივით მიედინებოდა, სუნთქვა მეკვროდა, თვალები მებინდებოდა. მერე წარმოვიდგინე, როგორ მიბორიალებს ავადმყოფი ქალაქის ქუჩებში, შემეშინდა და გავიფიქრე, რომ არ უნდა გამეშვა, თუმცა კი ვიცოდი, რომ

ვერ გავაჩერებდი. დიდხანს ვიჯექი, მის ავადმყოფობას განვიცდიდი. მერე სხვა ქალზე დავიწყე ფიქრი და სისხლში ეჭვიანობა ისევ ამენთო. საული მძულდა. ვიხსენებდი მისი დღიურების ცივ ტონს და ამის გამო მძულდა. ზევით ავედი, ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ამას არ უნდა ვაკეთებდე, მაგრამ ვაცნობიერებდი, რომ მაინც გავაკეთებდი. მის დღიურში ჩავიხედე. ადვილად დასანახ ადგილას სასხვათაშორისოდ მიეგდო. გავიფიქრე, იქნებ განზრახ ჩაწერა, მე რომ წავიკითხო-მეთქი. ბოლო კვირას არაფერი ჩაუწერია, დღევანდელი რიცხვის ქვეშ კი ეწერა: „ტუსაღი. დაუკმაყოფილებლობის გამო ნელ-ნელა ჭკუიდან გადავდივარ“.

ვიგრძენი, ტანში რისხვის მხურვალე ტალღამ როგორ დამიარა.

წამით საღი აზროვნების უნარი დამიბრუნდა და გავიფიქრე, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში საული ბედნიერი და მოდუნებული იყო იმდენად, რამდენადაც კი საერთოდ აქვს ამის უნარი, მაშ, რატომ უნდა მქონდეს რეაქცია სიტყვებზე, რომლებიც ბოღმის გამო დაწერა, როცა გული ეტკინა? მაგრამ მეც მტკიოდა გული, უბედურად ვგრძნობდი თავს, რადგან ეს ჩანაწერი ჩვენი ბედნიერების ერთ კვირას თითქოს აუქმებდა. ზევით ავედი და საულზე დავიწყე ფიქრი, რომელიც ამწამს სხვა ქალთან იყო. ვფიქრობდი, მართალია, რომ ვერ მიტანს, სხვა ქალებს ამჯობინებს, რადგან მე სიძულვილს აღვუძრავ. მწუხარედ დავიწყე ფიქრი იმ, სხვა ქალზე, რომელიც სადღაც არის, კეთილ, დიდსულოვანსა და იმდენად ძლიერზე, რომ შეუძლია მისცეს ის, რაც მას სჭირდება და სანაცვლოდ არაფერი ითხოვოს.

ტკბილი დედილო გამახსენდა, როგორ „მასწავლიდა“, რომ ეჭვიანობით შეპყრობილობა ნაწილობრივ ჰომოსექსუალიზმის გამოვლინებაა. თუმცა იმ დროს მისი სიტყვები მეტისმეტად აკა-

დემიური, ცხოვრებისგან მოწყვეტილი მეჩვენა, მათ არავითარი კავშირი არა აქვთ ჩემთან, ანასთან. ინტერესით დავიწყე ფიქრი, მომინდებოდა თუ არა ალერსი იმ ქალთან, ვისთანაც ახლა საული იყო.

მერე კი უცებ გონება გამინათდა და მივხვდი, პირდაპირ (*18) მის სიგიჟეში ამოვყავი თავი: იგი მუდმივად ეძებს ბრძენ, კეთილ ქალს, დედის კვინტესენციას, რომელიც იმავდროულად მისი სექსუალური თამაშების პარტნიორ-ამხანაგი და თანაც, და იქ-ნება; და რადგან საულის ნაწილი გავხდი, მეც დავიწყე მისი ძიება ჩემთვის, რადგან მჭირდებოდა, ასევე იმიტომაც, რომ მინ-დოდა ის გავმხდარიყავი. მივხვდი, რომ ვეღარ ვაცალკევებდი თავს საულისგან და ამან კიდევ უფრო შემაშინა. გონებით ვხვდებოდი, რომ ეს კაცი ყოველთვის ერთი სტერეოტიპული მე-თოდით მოქმედებდა, ქალს თავს აწონებდა ინტელექტითა და თანაგრძნობით, მასზე ემოციურ უფლებებს მოიპოვებდა და მე-რე, როცა ქალი საპასუხოდ ასევე გამოაცხადებდა მასზე ემოცი-ურ უფლებებს, გარბოდა. და რაც უფრო კარგია ქალი, მით მალე მიაგდებს და გაიქცევა. გონებით ამას კი ვხვდებოდი, მაგრამ, ამავე დროს, ისევ ვიჯექი ჩემს ბნელ ოთახში, ვჭვრეტდი ბურუსიან-ნოტიო ლონდონის ნათებას და მთელი არსებით მი-ვისწრაფოდი იმ გამოგონილი ქალისკენ, მინდოდა, ის ვყოფი-ლიყავი, მხოლოდ საულის გულისათვის.

აღმოვაჩინე, რომ იატაკზე ვწევარ და დაძაბულობისგან ვე-ღარ ვსუნთქავ. სამზარეულოში გავედი და ვისკის სმა დავიწყე, ვსვამდი, ვიდრე შფოთვა ოდნავ არ მომეხსნა. ისევ დიდ ოთახში შევედი და ვცადე ჩემს თავს დავბრუნებოდი, მინდოდა დამენახა ანა, ერთი ციცქნა, უმნიშვნელო ფიგურა უზარმაზარ ძველ, მა-ხინჯ ბინაში, ძველ, მახინჯ სახლში, ფიგურა, რომელიც ლონდო-

ნის ბნელ უკიდეგანო სივრცეებშია ჩაკარგული. არაფერი გამომივიდა. მრცხვენოდა, სასტიკად მრცხვენოდა, რომ ანაში ვიყავი ჩაკეტილი, ამ ციცქნა, უმნიშვნელო ცხოველის კოშმარებში. ვიმეორებდი და ვიმეორებდი, ჩემს თავს მივმართავდი: „იქ, გარეთ, მთელი სამყაროა, მე კი ეს იმდენად აღარ მაინტერესებს, რომ მთელი კვირაა გაზეთებსაც არ ვკითხულობ“. ერთი კვირის გაზეთები შევკრიბე და ჩემ გარშემო იატაკზე დავაწყვე. ერთი კვირის განმავლობაში მოვლენები განვითარდა - აქ დისპუტია, იქ ომი. თითქოს სერიალის რამდენიმე სერია გამოვტოვე, თუმცა, ამავე დროს, შემეძლო მივმხვდარიყავი, რა მოხდა, სიუჟეტის განვითარების შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარე. მოწყენილობა ვიგრძენი, ინტერესიც დამეკარგა ამის გაცნობიერებისგან, რადგან ისე, რომ გაზეთში არც ჩამიხედავს, შემეძლო საკმაო სიზუსტით განმესაზღვრა ყველაფერი, წინასწარ წარმომედგინა, რა მოხდებოდა მსოფლიოში ერთი კვირის განმავლობაში. ბანალურობის შეგრძნება და აქედან გამომდინარე, ზიზღის გრძნობა, რომელსაც შიშის გრძნობა ერთვის, მერე კი — უეცარი ნახტომი ახალი ცოდნისაკენ, ახალი გაგებისაკენ; და ეს ცოდნა გამომდინარეა იქიდან, რომ მე, ანა, ციცქნა, უმნიშვნელო ცხოველი ვარ, რომელიც მობუზული ზის იატაკზე. ეს იყო „თამაში“, მაგრამ თამაში გამომდინარე კოშმარიდან, თავს დამატყდა კოშმარული სიზმრების ზაფრა, მე განვიცდიდი ომის საშინელებას, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, ეს არ ყოფილა შესაძლებლობებისა და ალბათობის ხარისხის ინტელექტუალური ანალიზი, არამედ ომის საშინელების შეგრძნება ყოველი ნერვითა და მთელი წარმოსახვით. ის, რაც ჩემ გარშემო მიმოფანტულ გაზეთებში ამოვიკითხე, რაც გავაცნობიერე, აბსტრაქტული შიშები რეალურ საშინელებად იქცა. გონებაში რაღაც შემეცვალა, თა-

ნაფარდობის თვალსაზრისით, თვით აზროვნების სტილში მოხდა ისეთივე გადაჯგუფება, რაც რამდენიმე დღის წინ, როდესაც ისეთი სიტყვები, როგორიცაა „დემოკრატია“, „თავისუფლება“, „დამოუკიდებლობა“, გაიცრიცა მსოფლიოს ბნელი, სასტიკი სიძლიერისკენ სვლის გაცნობიერების ზემოქმედებით. მე ეს ვიცოდი, მაგრამ ეს სიტყვა, როდესაც ის დაწერილია, რასაკვირველია, ვერ გადმოსცემს ამ ცოდნის შინაგან ხარისხს, აგრეთვე, იმას, რომ რაც უნდა იყოს ეს, მას უკვე აქვს შინაგანი ლოგიკა და ძალა, რომ მსოფლიოს უზარმაზარ სამხედრო არსენალს აქვს შინაგანი ძალა და რომ ჩემი შეძრწუნება, კოშმარებიდან გადმოსული ნამდვილი დაზაფრულობა, ნერვებში რომ მიწუის, ამ ძალის ნაწილია. მე ეს აღვიქვი თითქოს ხილვაში, გაგებისა და ცოდნის რაღაც ახალი სტილის მეშვეობით. გავიგე, რომ სისასტიკეც, გაბოროტებაც და საულისა და ანას „მე, მე, მე“ ომის ლოგიკის ნაწილია. და მე გავიგე, რამხელა ძალა აქვს ამ გრძნობებს, გავიგე ისე, რომ ეს ცოდნა სამუდამოდ ჩემთან დარჩება და გახდება შემადგენელი იმისა, თუ როგორ ვუყურებ სამყაროს.

ახლა კი, როდესაც ვკითხულობ, რაც დავწერე, ვერაფერს ვგრძნობ, ეს უბრალოდ სიტყვებია, ქაღალდზე დაწერილი. მე ჩემი თავისთვისაც კი ვერ ამიხსნია, როცა ამას ვკითხულობ, ნგრევის, როგორც რაღაც ძალის შეცნობის განცდა. წინაღამით მე, უძლური და უღონო, იატაკზე ვიწექი, ნგრევას, როგორც სიძლიერეს, ხილვაში შევიცნობდი, იმდენად ღრმად შევიგრძენი, რომ ეს სიცოცხლის ბოლომდე ჩემში დარჩება, მაგრამ ეს ცოდნა ამ სიტყვებში არაა, ახლა რომ ვწერ.

ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ იფეთქებს ომი, როგორ მოჰყვება ამას ქაოსი. ცივი ოფლი მასხამდა შიშისგან, მერე ჯენეტი გამახსენდა, მშვენიერი, სრულიად ტრადიციული გოგონა, გო-

გონების სკოლაში, და გავბრაზდი, ისე გავბრაზდი, როცა წარმოვიდგინე, ვიღაცამ შეიძლება ავნოს, რომ მხრები გავშალე, შიში გადავძლიე. გამოსავათებული ვიყავი, ძრწოლამ გამიარა, ჩემ გარშემო დაყრილ გაზეთებში გადაინაცვლა. გათანგულობისგან სხეული უსიცოცხლო და მოდუნებული გამიხდა. საულისთვის ტკივილის მიყენების მოთხოვნილება გამიქრა. გავიხადე, ლოგინში ჩავწექი, სულიერად ჯანმრთელი გახლდით. გავაცნობიერე, ალბათ, როგორ მოეშვება ხოლმე გულზე საულს, როდესაც სიგიჟე ყელზე ოდნავ შეუშვებს ხოლმე ხელს და როგორ ფიქრობს მაგ დროს: „დროებით მომეშვა, თავი დამანება“.

ვიწექი და მასზე ვფიქრობდი, ლოგინში ჩამთბარი, დამოუკიდებელი, ძლიერი. მერე ქურდული ნაბიჯები გავიგონე კარს მიღმა და უცებ ჩემი „ჩამრთველი გადატრიალდა“, შიშისა და ეჭვიანობის შემოტევა დამეწყო. არ მინდოდა, ჩემთან შემოსულიყო, უფრო სწორად, არ მინდოდა, ჩემთან შემოსულიყო ამ ქურდული, მიმყურადებელი ნაბიჯების პატრონი. ერთხანს კართან იდგა, აყურადებდა. არ ვიცი, რომელი საათი იყო, მაგრამ ცის შეფერილობით თუ ვიმსჯელებდი, გარიჟრაჟი უნდა ყოფილიყო. მესმოდა, როგორ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ადიოდა კიბეზე. მე იგი მძულდა. განმაცვიფრა, რა უცებ ვიგრძენი კვლავ სიძულვილი. ვიწექი, იმედი მქონდა, რომ ჩამოვიდოდა ჩემთან. მერე კი მის ოთახში ჩუმად შევედი. კარი გამოვაღე და ფანჯრიდან შემოსულ მრუმე შუქზე დავინახე, როგორ ეძინა აკურატულად გაშლილი საბნის ქვეშ, მოკუნტულს. გული სიბრალულით ამევსო. ლოგინში ჩავუწექი, ჩემკენ მობრუნდა და მაგრად მომხვია ხელები, გულში ჩამიკრა. იმის მიხედვით, თუ როგორ მეხვეოდა, მივხვდი, მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც გარეთ იყო, ქუჩაში დაბორიალებდა, მარტოსული და ავადმყოფი.

დილით ავდექი, სანამ ეძინა, ყავა მოვადუღე, სახლი მივალაგე და ვაიძულე თავი, გაზეთები წამეკითხა. არ ვიცი, დღეს ვინ ჩამოვა ჩემთან და, აი, ვზივარ და გაზეთებს ვკითხულობ, ოღონდ არა ახალი გაგების ნერვების მეშვეობით, არამედ მხოლოდ გონებით, და ვფიქრობ იმაზე, რომ მე, ანა ვულფი, ვზივარ და ველოდები, არ ვიცი, ვინ ჩამოვა ჩემთან, ძმასავით კეთილი, მოსიყვარულე და გამგებიანი მამაკაცი თუ ეშმაკი და არცთუ წესიერი ბავშვი, თუ სიძულვილით აღსავსე შეშლილი.

ეს სამი დღის წინ იყო. სამი განვლილი დღე სიგიჟის მდგომარეობაში ვიყავი. როდესაც საული ჩამოვიდა, მძიმე ავადმყოფივით გამოიყურებოდა; თვალები - თითქოს პატარა, დაძაბული ცხოველები ყავისფერი, მოჭმუჭნილი კანის რკალში ჩამსხდარან, პირი - დაჭიმული, მშვილდის ლარივით. გაბედული ჯარისკაცივით ეჭირა თავი და მივხვდი, რომ მთელი მისი ძალები, უკანასკნელ წვეთამდე, იმისკენ იყო მიმართული, ელემენტარულად, ჭკუიდან არ გადასულიყო. მასში მობინადრე ყველა პიროვნება მხურვალე შენადნობად აბობოქრებულიყო, მას მხოლოდ ერთი რამ დარჩენოდა, - გადარჩენისთვის ებრძოლა, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა. ჩემ წინ იყო ცოცხალი არსება, რომელმაც თავისი შესაძლებლობების ზღვარს მიაღწია. გამოვეპასუხე ამ ცოცხალი არსების სავალალო მდგომარეობას, ძალა მოვიკრიბე, დავიძაბე, დარტყმის გასაძლებად გავემზადე. გაზეთები მაგიდაზე ეწყო. როდესაც საული შემოვიდა, სასწრაფოდ გვერდზე გავწიე, ვგრძნობდი, რომ წინადღეს განცდილი შეძრწუნება ძალზე ახლოს იყო მასთან, ძალზე საშიში იყო მისთვის, თუმცა მე თვითონ იმ მომენტში ამისგან თავისუფალი ვიყავი. ყავა დალია და გაზეთებს გახედა, პოლიტიკაზე ალაპარაკდა. ეს იყო მისი მეტყველების მანიაკალური სახესხვაობა, ოღონდ ეს

არ გახლდათ „მე, მე, მე“, როდესაც თავისი სიტყვით ტრიუმფალურად ბრალს სდებს სამყაროს, იწვევს, ეს იყო მცდელობა როგორღაც, სიტყვის ხარჯზე, სრული დაშლისაგან დაეცვა თავი. ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, მაგრამ ის, რაზეც ლაპარაკობდა, მის თვალებში არანაირად არ აისახებოდა.

ასეთი ლაპარაკის ჩანაწერები რომ მქონოდა, გაიჟღერებდა, როგორც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზების ნაზავი, პოლიტიკური ჟარგონული გამოთქმების აჯაფსანდალი. ვიჯექი და ვუსმენდი მეტყველების ნაკადს, რომელიც უფრო თუთიყუშის რატრატს მიაგავდა, მე მას ვერ აღვიქვამდი, მხოლოდ იარლიყებს ვაწებებდი: კომუნისტური ნაწყვეტი, ანტიკომუნისტური, აი, ლიბერალური, აი, სოციალისტური. თავისუფლად შემეძლო ეს აჯაფსანდალი შემადგენელ კომპონენტებად დამეშალა: კომუნისტური, ამერიკული, 1954 წელი. კომუნისტური, ინგლისური, 1956. ტროცკისტული, ამერიკული, ორმოცდაათიანების დასაწყისი. მოუმწიფებელი ანტისტალინური, 1954. ლიბერალური ამერიკული, 1956. და ასე შემდეგ. ვფიქრობდი; „მე რომ მართლა ფსიქოანალიტიკოსი ვყოფილიყავი, შევძლებდი ამ დაუკავშირებელი ფრაზების ნაკადის გამოყენებას, რაღაცას მოვეჭიდებოდი, ვაიძულებდი საულს ამაზე მოეხდინა ყურადღების კონცენტრაცია, ის ხომ თავისი არსით პოლიტიკის კაცია, სწორედ პოლიტიკისადმი აქვს მართლა სერიოზული დამოკიდებულება“. და, აი, კითხვა დავუსვი. დავინახე, როგორ ჩაერთო რაღაც კონტროლის ცენტრი, შეკრთა, გონზე მოვიდა, ამოისუნთქა, მზერა დაეწმინდა, დამინახა. კითხვა გავუმეორე. ეს იყო კითხვა ამერიკაში სოციალისტური პოლიტიკური ტრადიციის კრახის შესახებ. გავიფიქრე: „კი მაგრამ, განა სწორია, რომ ვცდილობ მისი მეტყველების ნაკადის გაკონტროლებას, იგი ხომ იმისთვის იყენებს

მას, თავი დაშლისგან, კოლაფსისგან რომ დაიცვას“. მერე კიდევ, ეს ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს რაღაც სამუშაო მექანიზმმა, მაგალითად, ამწემ, უშველებელი ტვირთის აზიდვა დაიწყო, დავინახე, როგორ დაეძაბა სხეული, როგორ მოახდინა კონცენტრაცია, ალაპარაკდა: და როცა ვამბობ „მან“, როგორც მოცემულობას ვიღებ იმას, რომ მოვიხელთო, გამოვყო რომელიღაც ერთი პიროვნება. ანუ რომ არსებობს გარკვეული, ნამდვილი ის. მაგრამ რას ეფუძნება ჩემი რწმენა, რომ მისი პიროვნებებიდან ერთ-ერთი უფრო შეესაბამება მას, ნამდვილს, ვიდრე ყველა დანარჩენი? არადა, ამაში დარწმუნებული ვარ. როდესაც საული ალაპარაკდა, ეს იყო კაცი, რომელიც აზროვნებდა, გამოჰქონდა დასკვნები, ჰქონდა ურთიერთობის უნარი, რომელსაც ჩემი ესმოდა, რომელიც პასუხს აგებდა თავის სიტყვაზე.

ევროპაში მემარცხენე მოძრაობის მდგომარეობაზე დავიწყეთ მსჯელობა, რომ ყველგან ხდება სოციალისტური მოძრაობის დაშლა-დანაწევრება. რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზე ადრეც არაერთხელ გვისაუბრია, თუმცა არასოდეს ასე მშვიდად და მკაფიოდ. მახსოვს, გავიფიქრე, რა უცნაურია, რომ შეგვიძლია ასე ინტელიგენტურად და განყენებულად ვიმსჯელოთ რაღაც საკითხზე იმ დროს, როცა ორივენი ავად ვართ დაძაბულობისა და შფოთვისგან-მეთქი. და მე გავიფიქრე, რომ ჩვენ ვმსჯელობთ პოლიტიკურ მოძრაობებზე, ცალკეული მათგანის განვითარებასა და მარცხზე, არადა, წინაღამეს დანამდვილებით და საბოლოოდ მივხვდი, რომ ჩვენი დროის სიმართლე - არის ომი, მისი იმანენტურობა. და ისევ ვკითხე ჩემს თავს - ხომ არაა ეს შეცდომა, საერთოდ ამაზე ლაპარაკი, რადგან ჩვენ ხომ მეტად დეპრესიულ დასკვნებამდე მივდივართ, არადა, სწორედ ამ სახის დეპრესია აღრმავებს მის ავადმყოფობას. თუმცა გვიანღა იყო, თანაც

ეს დიდი შვება გახლდათ, - დამენახა ჩემ წინ ნამდვილი პიროვ-ნება, და არა მორატრატე თუთიყუში. მერე რაღაც ფრაზა ვთქვი, აღარც მახსოვს, კონკრეტულად რა, და უცებ მთელი მისი სტრუქტურა შეზანზარდა, თითქოს მანქანის გადაცემათა კო-ლოფში ბერკეტი სხვა მდგომარეობაში გადაიყვანეს, - კიდევ როგორ აღვწერო? - სადღაც, თავისი თავის სიღრმეში ბიძგი იგ-რძნო და ამან ისევ უკან გადააგდო, სხვა პიროვნებად დააბრუნა, ამჯერად ეს იყო წმინდა წყლის ახალგაზრდა მუშა, სოციალისტი, ჯერ ჩამოუყალიბებელი მამაკაცი, და ისევ ნაკადად გადმოიღვა-რა ლოზუნგები, მთელი სხეული უცახცახებდა. მკიცხავდა ყოვე-ლი ჟესტით, ყოველი მოძრაობით - ჩემი სახით იგი ხომ სა-შუალო კლასის ყველა ლიბერალს ამხელდა. მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი, თუმცა კი ვიცოდი, რომ ამწამს „ის“ არ მელაპარა-კებოდა, რომ ეს გაკიცხვა მექანიკური იყო თავისი არსით და სხვა, უფრო ადრეული პიროვნებისგან მოდიოდა, მაგრამ მაინც გულს მტკენდა და მაბრაზებდა, და ვგრძნობდი, რომ ამის გამო ზურგის ტკივილი და მუცლის გვრემა დამეწყო. ამ ჩემს საპასუხო შეგრძნებებს რომ გავქცეოდი, დიდი ოთახში გავედი, ისიც გა-მომყვა ყვირილით:

- არ შეგიძლია ამის მოსმენა, არ შეგიძლია, შე წყეულო ინ-გლისელო!

მხრებში ჩავავლე ხელი და შევანჯღრიე. საკუთარ თავში ჩა-ვაბრუნე. ჯერ სუნთქვა შეეკრა, მერე ღრმად დაიწყო სუნთქვა, წამით თავი ჩემს მხარზე ჩამოდო, მერე როგორღაც მიბანცალ-და საწოლამდე და პირქვე დაემხო.

ფანჯარასთან ვიდექი, ვცდილობდი დამშვიდებას, ჯენეტზე ვფიქრობდი. მაგრამ ვიღაც უცხოდ, შორეულად მეჩვენებოდა. მზის შუქი, ზამთრის მქრქალი ნათელი ჩემგან შორს იყო. ქალა-

ქის ცხოვრება ჩემთვის რაღაც შორეული გახლდათ, ისინი, ვინც იმწამს ქუჩაში მიაბიჯებდნენ, ადამიანები კი არ იყვნენ, არამედ მარიონეტები. ვგრძნობდი, რომ ჩემში რაღაც ცვლილება ხდებოდა. მცოცავი გადახრა გვერდით, ჩემი საკუთარი თავისგან დაშორებით, და ამ ცვლილებაში შევიცანი კიდევ ერთი ნაბიჯი ქვემოთ, ქაოსისკენ მიმავალ გზაზე. წითელ ფარდას მოვკიდე ხელი და თითებზე მკვდარი ქსოვილის შეგრძნება შემრჩა, რაღაც წებოვანისა და თან სლიკინასი. მატერია, რომელმაც მექანიზმებში გაიარა, რომელიც დაამუშავეს, მკვდარ ქსოვილად ჩანდა, რომლის დანიშნულებაა მკვდარი კანივით ან უსულო გვამივით ეკიდოს ჩემს ფანჯარაზე. ფანჯრის რაფაზე მცენარეს შევახე ხელი. ხშირად, როდესაც რომელიმე მცენარეს ვეხები, ვგრძნობ ნათესაურ კავშირს მის მუშა ფესვებთან, მის მსუნთქავ ფოთლებთან, ახლა კი უსიამო, რაღაც პატარა, მტრულად განწყობილ ცხოველად თუ ჯუჯად მომეჩვენა, რომელიც თიხის ქოთანშია ჩამწყვდეული და რომელსაც ამის გამო ვძულვარ. მაშინ ვეცადე მომეხმო ის რამდენიმე ანა, რომელნიც ჩემზე უფრო ახალგაზრდები და ძლიერები არიან, მაგალითად, ლონდონელი მოსწავლე გოგონა, საკუთარი მამის შვილი, მაგრამ ეს რამდენიმე ანა მხოლოდ ჩემგან განცალკევებით შემეძლო წარმომედგინა. მაშინ დავიწყე ფიქრი ველის ნაწილზე აფრიკაში, ძალისძალად დავიყენე თავი თეთრ, მოციმციმე ქვიშაზე, სადაც მზე სახეში მცემდა, მაგრამ ჩემთვის იმ ყვითელი მზის მხურვალება მიუწვდომელი აღმოჩნდა. დავიწყე ფიქრი ჩემს მეგობარზე, მისტერ მატლონგზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისიც ძალზე შორს იყო ჩემგან. მერე ვიდექი და ვცდილობდი, გამეცნობიერებინა იმ ყვითელი მზის მხურვალება, ვცდილობდი მომეხმო მისტერ მატლონგი, მაგრამ უეცრად მისტერ მატლონგად კი არ გადავიქეცი, არა-

მედ შეშლილ ჩარლი ტემბად. მე გავხდი ის. თითქოს ჩემ გვერ-
დით გაჩნდა, ოდნავ უკან, მაგრამ ამავე დროს ჩემი ნაწილიც
იყო, დიახ, მისი პატარა, ბუზღუნა, შავკანიანი ფიგურა ნაწილობ-
რივ ჩემად იქცა, ხოლო მისი პატარა, გონიერი და გაცეცხლებუ-
ლი სახე ჩემკენ იყო მომართული. მერე სრულად შემოჟონა ჩემ-
ში. ჩემი გახდა. მე ქოხში აღმოვჩნდი, ჩრდილოეთ პროვანსში,
და ჩემი ცოლი ჩემი მტერი იყო, ჩემი ამხანაგები კონგრესში, ყო-
ფილი ჩემი მეგობრები, ცდილობდნენ ჩემს მოწამვლას, სადღაც
შორიახლოს კი, ლელიანში, მკვდარი ნიანგი ეგდო, მოწამლუ-
ლი შუბით მოკლული, და ჩემი ცოლი, ჩემი მტრების მიერ მოსყი-
დული, აპირებს ნიანგის ხორცი მაჭამოს და როგორც კი მისი
ხორცი ჩემს ბაგეს შეეხება, მოვკვდები ჩემი წინაპრების მწველი
რისხვის გამო. ნიანგის ცივი, ნახევრად გახრწნილი ხორცის
სუნს ვგრძნობდი, ქოხის ნახევრად შეღებულ კარში გავიხედე და
დავინახე მკვდარი ნიანგი: თბილი, დაჭაობებული წყლის ზედა-
პირზე ნელა ირწეოდა, ლელიანში, მდინარის ახლოს, მერე კი
ჩემი ცოლის თვალები დავინახე, რომლის გამჭოლი მზერა ჩემი
ლერწმის ქოხის კედლებში აღწევდა, ცდილობდა, გაეგო, შეეძ-
ლო თუ არა შეუმჩნევლად და უსაფრთხოდ დაბრუნება. შემობ-
რუნდა, კარის ღიობში დაიხარა, ქვედაკაბის კალთას მზაკვარი,
თხელი, ჩემთვის საძულველი ხელით იჭერდა, მეორე ხელში კი
მომცრო თეფში ეკავა, რომელზეც ნიანგის ხორცის მყრალი,
დამპალი ნაჭრები დაეწყო ჩემთვის.

მერე კი თვალწინ წარმომიდგა წერილი, რომელიც ამ კაცმა
მომწერა და კოშმარიდან ამოვვარდი, თითქოს ფოტოდან ამომ-
ჭრესო. ფანჯარასთან ვიდექი, ცივი ოფლი მასხამდა, შეძრწუნე-
ბის ოფლი, რადგან ძალზე საშინელი აღმოჩნდა ცოტა ხნით ჩარ-
ლი ტემბად, შეშლილად, პარანოიკად გადაქცევა, კაცად, რომე-

ლიც თეთრკანიანებში სიძულვილს იწვევდა და რომელსაც საკუ-
თარმა მეგობრებმა ზურგი შეაქციეს. ვიდექი ერთიანად მოშვე-
ბული, გასავათებული და ვცდილობდი მისტერ მატლონგი მო-
მეხმო. და მიუხედავად იმისა, რომ მკაფიოდ ვხედავდი, როგორ
მიდიოდა წელში მოხრილი მზით გაჩახჩახებულ მინდორზე თუ-
ნუქის ფურცლებით გადახურული ერთი ქოხიდან მეორისკენ,
თავაზიანად იღიმებოდა, მუდმივად კეთილი, და თითქოს ოდნავ
გაკვირვებული ღიმილით, ის ჩემგან დაშორებული, განცალკე-
ვებული გახლდათ. ფარდას ჩავეჭიდე, რომ არ წავქცეულიყავი,
თითებში მატერიის ცივი სლიკინი ვიგრძენი, თითქოს მკვდარი
ხორცი ყოფილიყოს, და თვალი მოვხუჭე. თვალდახუჭული,
ავადმყოფობაში ჩაძირული, მივხვდი, რომ მე - ანა ვულფი ვარ,
ოდესღაც - ანა ფრიმენი, რომელიც დგას ლონდონის ძველი და
მახინჯი ბინის ფანჯარასთან, ჩემს ზურგს უკან კი წევს საულ გრი-
ნი, მოხეტიალე ამერიკელი. თუმცა არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდე-
ქი ასე. გონზე მოვედი ისე, სიზმრიდან რომ გამოდიან, როცა არ
იციან, რა დახვდებათ, როდესაც თვალს გაახელენ. მივხვდი,
რომ მე, ისევე როგორც საულ გრინს, დროის შეგრძნება აღარა
მაქვს, მე ის დავკარგე. ავხედე ცივ, რუხ ცას, ცივ, აჭრილ მზეს და
ნელა შემოვბრუნდი, ოთახი რომ დამენახა. ოთახში საკმაოდ
ბნელოდა, ბუნებრივი აირის ღუმელი თბილ იატაკზე ანაშუქს
ჰფენდა. საული სრულიად უხმოდ იწვა. ფრთხილად გადავდგი
ნაბიჯი, წინ წავედი, იატაკი თითქოს ყალყზე დგებოდა, ჩემს ფეხ-
ქვეშ ბორგავდა, დავიხარე, საულისთვის რომ დამეხედა. ეძინა,
თითქოს სიცივეს ასხივებდა. გვერდით მივუწექი, მისი ზურგის
მოხრილობას მივესადაგე. არც განძრეულა. და უცებ საღი აზ-
როვნების უნარი დამიბრუნდა, მივხვდი, რას ნიშნავს, როდესაც
ვამბობ: მე - ანა ვულფი ვარ, ეს კი - საულ გრინია, რომ მყავს ქა-

ლიშვილი, სახელად ჯენეტი. უფრო მაგრად მივეკარი, მკვეთრი მოძრაობით შემობრუნდა, ხელი ასწია, დარტყმა რომ მოეგერიებინა და მე დამინახა. სახეზე მკვდრისფერი ედო, თხელ კანში ძვლები უჩანდა, თვალები კი ავადმყოფური, ნაცრისფერი, მქრქალი ჰქონდა. თავით მკერდზე დამემხო, მოვეხვიე. ისევ ჩაიძინა, მე კი შევეცადე, დრო შემეგრძნო. მაგრამ დრო დამეკარგა. ვიწექი, თითქოს ყინულის ვეება ნამსხვრევით გაჭყლეტილი, ამ კაცის ცივი სხეულის ქვეშ, ვცდილობდი ჩემი თავი გამეთბო, რომ შემდეგ ის ჩემი სხეულით გამეთბო. მაგრამ მისი სიცივე ჩემში გადმოდიოდა, ამიტომ ფრთხილად მოვიშორე, საბნების ქვეშ მოვაქციე, თბილი ნაჭრის ქვეშ ვიწექით, და თანდათანობით სიცივე დაილია, გაქრა, მისი სხეული ჩემმა სხეულმა გაათბო. დავიწყე გადატანილზე ფიქრი - როგორ ვიყავი ჩარლი ტემბა. უკვე აღარ შემეძლო ამის გახსენება, ზუსტად ისევე, როგორც არ შემეძლო „გახსენება“ ჩემეული გაგებისა, რომ ომი ყოველ ჩვენგანში, ყველაში მწიფდება. სხვა სიტყვით რომ ვთქვა, ისევ გამოვჯანმრთელდი. თუმცა სიტყვები „ნორმალური, დალაგებული“ არაფერს ნიშნავდა, ისევე, როგორც არაფერს ნიშნავდა სიტყვა „გიჟი“. უსაზღვროების, უკიდეგანობის სიმძიმის შეგრძნება მაწვებოდა, მჭყლეტდა, მაგრამ ისე არა, როგორც „თამაშის“ თამაშისას. მოვიკუნტე, არ მესმოდა, რის საფუძველზე შეიძლებოდა მიმეჩნია გიჟად ან ნორმალურად. ოთახს საულის თავსçზემოდან გავყურებდი და ყველაფერი იქ მზაკვრულად და საშიშად, იაფფასიანად და უაზროდ მეჩვენებოდა, ჩემს თითებს ფარდის სლიკინა „გვამობა“ ჯერ კიდევ ახსოვდა.

ჩამეძინა, სიზმარი ვნახე. ამჯერად ყველაფერი ძალზე აშკარა, დაუფარავი იყო. მე ორსქესიანი ბოროტი ჯუჯა ვიყავი, ნგრევისგან მიღებული სიხარულის პრინციპი, საული კი ჩემი ორსქე-

სიანი ორეული გახლდათ, პარტნიორი, ძმა და დაც, სადღაც ღია ცის ქვეშ ვცეკვავდით, უზარმაზარი თეთრი შენობების ფონზე, რომლებიც შავი ფერის, შემაშინებელი და ავის მომასწავებელი მექანიზმებით იყო სავსე, რომელთა მიზანდასახულობას ნგრევა წარმოადგენდა. თუმცა სიზმარში ერთმანეთს არ ვმტრობდით, ვმეგობრობდით, ერთად ვივსებოდით ბოროტი განზრახვის გესლით. სიზმარში სიკვდილს საზარელი, სულისშემძვრელი ნოსტალგია, წადილი გამეფებულიყო. ერთმანეთს მივეკარით და ვაკოცეთ, ეს სიყვარულის კოცნა იყო. ეს საზარელი გახლდათ და ძილშიც კი ვგრძნობდი ამას. რადგან ამაში ის, სხვა სიზმრები შევიცანი, რომლებიც დროდადრო გვესიზმრება ხოლმე ყოველ ჩვენგანს, სადაც თვით სიყვარულის არსი ერთ შეხებაში, კოცნაშია გამოხატული, ახლა კი ორი ნახევარადამიანი ეალერსებოდა ერთმანეთს და ნგრევას ზეიმობდა.

სიზმარი რაღაც გულისშემძვრელი სიხარულით იყო გაჯერებული. როდესაც გამეღვიძა, ოთახში ბნელოდა, ღუმლის ნათებას კაშკაშა წითელი ელფერი მიეღო, უკიდეგანო ჭერის თეთრ სივრცეზე მოუსვენარი ჩრდილები დაბორიალებდნენ, მე კი სიხარული და სიმშვიდე მავსებდა. არ მესმოდა, როგორ შეიძლება ასე გამოიძინო და დაისვენო, როცა სიზმარში მსგავს კოშმარს ხედავ, მერე კი ტკბილი დედილო გამახსენდა და გავიფიქრე, რომ პირველად ცხოვრებაში, შესაძლოა, სიზმარს „პოზიტიურად“ ვუყურე, თუმცა კი არ მესმოდა, ეს რას ნიშნავდა.

საული უძრავად იწვა. ხელები დამიბუჟდა, მკლავები ავამოძრავე და გაეღვიძა. დაფრთხა, წამოიძახა: „ანა!“ — ისე, თითქოს მეზობელ ოთახში ან სხვა ქვეყანაში ვიყავი. გამოვეპასუხე:

- აქა ვარ.

მეტად აღგზნებული იყო. სიყვარულობა დავიწყეთ. იმაში, თუ როგორ ვეალერსებოდით ერთმანეთს, ჩემი სიზმრიდან გამოყოლილი სითბო იგრძნობოდა. მერე წამოჯდა და იკითხა:

- დასწყევლოს ეშმაკმა, რომელი საათია?

ვუთხარი:

- ხუთი ან ექვსი.

შესძახა:

- ღმერთო ჩემო! ასე შეიძლება მთელი ცხოვრება ძილში გავატარო!

და ოთახიდან გავარდა.

მე კი ლოგინში დავრჩი, ბედნიერი. ბედნიერებისა და სიხარულის გრძნობა, რომელსაც ვგრძნობდი, აღემატებოდა ყველა უბედურებასა და სიგიჟეს, რაც კი სამყაროშია, ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა. მაგრამ მერე ბედნიერების განცდა მინელდა, გაილია, ვიწექი და ვფიქრობდი: „რა არის ეს, რომელიც ჩვენ ესოდენ გვჭირდება? („ჩვენ“-ში ყველა ქალი ვიგულისხმე.) რა არის მისი არსი, რატომაა ესოდენ მნიშვნელოვანი? მე ეს მაიკლთან მქონდა, თუმცა მისთვის ეს არაფერს ნიშნავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მიმატოვებდა. ახლა ეს საულთან მაქვს და ხარბად ვეჭიდები მას, თითქოს წყურვილი მკლავდეს, ის კი ჭიქა წყალი იყოს. მაგრამ საკმარისია ამაზე ფიქრი დავიწყო, ყველაფერი ქრება. მე არ მინდა ამაზე ფიქრი. და თუკი დავიწყებ ამაზე ფიქრს, გაქრება ზღვარი ჩემსა და იმ პატარა მცენარე--ჯუჯას შორის, თიხის ქოთანში რომაა ფანჯრის რაფაზე, ჩემსა და ფარდების სლიკინა კოშმარს შორის, ანდა სულაც ჩემსა და ნიანგს შორის, რომელიც თავის წუთს ელოდება ლელიანში“.

ლოგინში ვიწექი, სიბნელეში, და მესმოდა, როგორ ანგრევდა და ლეწავდა საული ყველაფერს ჩემს თავს ზემოთ, მან უკვე

გამცა. მიღალატა. რადგან საულმა დაივიწყა „ბედნიერება“. ამ თავისი საქციელით - გაქცევით - უფსკრული შექმნა თავის თავსა და ბედნიერებას შორის.

და ამაში მე არა მხოლოდ ანას უარყოფას, არამედ თვით სიცოცხლის უარყოფას ვხედავდი. გავიფიქრე, რომ ამაში სადღაც ჩამალულია ხაფანგი ყველა ქალისთვის, თუმცა ვერ ვხვდებოდი, სად. რადგან დღეს, უეჭველია, ქალების ხმაში ახალი ნოტი ჟღერს ღალატის თაობაზე, ჩვენ გვღალატობენ. ის ჟღერს მათ მიერ შექმნილ ყველა წიგნში, იმაში, თუ როგორ ლაპარაკობენ, ყველგან, ყოველთვის. ესაა საზეიმო ნოტი მელოდიიდან, რომელიც სრულდება ინსტრუმენტზე, თითქოსდა თავისი თავი რომ ეცოდება. ეს ჩემშიცაა, ანაში, რომელსაც უღალატეს, რომელიც არ უყვართ, რომლის ბედნიერებას უარყოფენ, რომელიც ამ კითხვას არ სვამს: „რატომ უარმყოფ?“ არამედ „რატომ უარყოფ სიცოცხლეს?“

საული მობრუნდა, კონცენტრირებული და აგრესიული, თვალები მოწკურა და მითხრა:

- მივდივარ.

ვუთხარი:

- კარგი.

წავიდა ტუსაღივით, რომელმაც გაქცევა მოახერხა.

მე კი დავრჩი ლოგინში, ვიწექი და ვიტანჯებოდი მცდელობისგან, არ მიმექცია ყურადღება იმისთვის, რომ ის, რომელიც გარბის, უცილობლად ტუსაღად გრძნობს ხოლმე თავს. გრძნობები გამეთიშა, თუმცა გონება აგრძელებდა თავის სწრაფ სრბოლას, შობდა სახებებს, როგორც კინოფილმში. ვუყურებდი სახებებს, ანდა სცენებს, ჩემ თვალწინ რომ ჩნდებოდნენ, ნიშანს ვუსვამდი, რადგან ახლა უკვე მქონდა უნარი მათში გამერჩია წარ-

მოდგენები და სახებები, რომლებიც ჩამოყალიბდა გარკვეული ტიპის ადამიანთა ცნობიერებაში, რიგითი ადამიანებისა, წარმოდგენები საერთო, სტანდარტული ნაკრებიდან, რომელნიც მილიონობით ადამიანს აქვს. დავინახე ალჟირელი ჯარისკაცი, რომელიც საწამებელ მაგიდაზე იყო გართხმული, თუმცა, იმავდროულად, მე თვით იგი ვიყავი, ვფიქრობდი, რამდენს გავუძლებდი. ვხედავდი კომუნისტს კომუნისტურ სასამართლოზე, რომელიც, ცხადია, მოსკოვში მიმდინარეობდა, და წამება, ამჯერად, ინტელექტუალური გახლდათ, ამჯერად მე უნდა გამეძლო წამებისთვის მარქსისტული დიალექტიკით. ამ სცენის ფინალს წარმოადგენდა კომუნისტი ტუსაღის აღიარება, რომ მისი შეხედულება ეფუძნება სინდისის გრძნობას, როდესაც ადამიანი ამბობს: „არა, ამის გაკეთება არ შემიძლია“. ამ ფრაზაზე კომუნისტმა მსაჯულმა უბრალოდ ჩაიღიმა, მას აღარ სჭირდებოდა ახალი მტკიცებულებები, ყველაფერი ცხადი იყო, ამის თქმაც კი არ იყო საჭირო: „თქვენ თვითონ აღიარეთ თავი დამნაშავედ“. მერე დავინახე კუბელი ჯარისკაცი, ალჟირელი ჯარისკაცი, რომლებიც სადარაჯოზე იდგნენ თოფით ხელში. მერე - ბრიტანელი ახალწვეული, რომელიც ეგვიპტეში გაგზავნეს ომში, სულ ტყუილად დაღუპული. მერე სტუდენტი ბუდაპეშტში, რომელიც ხელნაკეთ ყუმბარას ესვრის უზარმაზარ, შავ რუსულ ტანკს. მერე გლეხს, სადღაც ჩინეთში, რომელიც შემართული მიაბიჯებდა, მსვლელობის ნაწილს წარმოადგენდა, ერთ-ერთი მრავალი მილიონიდან.

ეს სურათები სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს. გავიფიქრე, რომ ხუთი წლის წინ ისინი სხვანაირი იქნებოდნენ, და რომ ხუთი წლის შემდეგ ასევე სხვანაირი იქნებიან, მაგრამ ახლა ისინი ის

საერთოა, რაც გარკვეული ტიპის ადამიანებს აქვთ, რომლებიც ერთმანეთს პირადად არც კი იცნობენ.

როდესაც სურათები შეწყდა, ისევ გადავამოწმე და იარლიყები მივაწებე, უცებ მივხვდი, რომ მისტერ მატლონგი არა და არ გამოჩნდა. გავიფიქრე, რომ ცოტა ხნის წინ მართლა შეშლილი მისტერ ტემბა ვიყავი და საამისოდ უმცირესი ძალისხმევაც კი არ დამჭირვებია. ვუთხარი ჩემს თავს, რომ გავხდები მისტერ მატლონგი, ვაიძულებ თავს ეს კაცი გავხდე. თეატრალური სცენა დიდი რუდუნებით გავამზადე. შევეცადე, წარმომედგინა შავკანიანი კაცი, რომელიც თეთრკანიანების ოკუპირებულ ქვეყანაში ცხოვრობს, კაცი, რომლის ადამიანურ ღირსებას მუდმივად თელავენ. ვცადე, მისი წარმოდგენა მისიასთან არსებულ სკოლაში და მერე, როგორ სწავლობდა ინგლისში. ვცდილობდი მის შექმნას და სრული ფიასკო განვიცადე. ვცდილობდი, წარმომედგინა, როგორ დგას აქ, ჩემს ოთახში, მინდოდა დამენახა მისი ირონიულ-თავაზიანი ფიგურა, მაგრამ ეს არაფრით არ გამომივიდა. ჩემს თავს ვუთხარი, - არაფერი გამომდის იმიტომ, რომ მის სახებას, სხვებისგან განსხვავებით, ერთგვარი განყენებულობა ახასიათებს. მატლონგი იყო კაცი, რომელიც გარკვეულ ქმედებებს ასრულებდა, გარკვეულ როლებს თამაშობდა, რომლებიც, მისი რწმენით, სხვა ადამიანებისთვის სასიკეთო გახლდათ, მაშინაც კი, როდესაც იტოვებდა ირონიულ უფლებას ეჭვი შეეტანა თავისი ქმედების შედეგიანობაში. გავიფიქრე, რომ ეს ერთგვარი განყენებულობა არის ის, რაც ჩვენს დროში ამდენად გვაკლია, ის მხოლოდ ერთეულებს ახასიათებთ, მე კი ძალზე შორს ვარ ამისგან.

ჩამეძინა. როცა გამომეღვიძა, უკვე თენდებოდა. ჩემს თავზე დამჭკნარი, ფერმკრთალი ჭერი გადაჭიმულიყო, რომელსაც ქუ-

ჩაში გამავალი მანქანების შუქფარების ანასხლეტი გადაურბენდა ხოლმე, ცა კი მსუყედ ალისფერი, ნოტიო იყო ზამთრის მთვარის შუქისაგან. ჩემს სხეულს მარტოობის შეკივლება აღმოხდა, რადგან გვერდით საული არ მყავდა. აღარ დამიძინია. საძულველ გრძნობაში ჩავიკარგე. ნაღალატარი ქალი. ვიწექი, კბილს კბილზე ვაჭერდი მთელი ძალით, არ მინდოდა, მეფიქრა, რადგან ვიცოდი, რომ ყველაფერი, რასაც კი გავიფიქრებდი, დაეფუძნებოდა მძლავრ, მრუმე, ნოტიო გრძნობას. ვერ გავიგონე, როგორ დაბრუნდა საული, ჩუმად, ქურდულად დაბრუნდა და ეგრევე ავიდა ზემოთ, თავისთან. ამჯერად მასთან აღარ ავედი. ვიცოდი, რომ დილით ამის გამო შემიძულებდა, რადგან მისი დანაშაული, მისი მოთხოვნილება, მიღალატოს, მუდმივად უნდა საზრდოობდეს იმით, რომ მე მასთან მივდივარ.

დილით, როდესაც ქვემოთ ჩამოვიდა, უკვე საკმაოდ გვიან იყო, - ლამის ლანჩის დრო. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემთან ჩამოვიდა კაცი, რომელსაც ვძულვარ. ძალზე ცივად მითხრა:

- რატომ მაძლევ უფლებას, ამდენი მეძინოს?

შევეპასუხე:

- ვითომ მე რატომ უნდა ვწყვეტდე, როდის ადგები?

მომიჭრა:

- ლანჩზე მეჩქარება. და ეს საქმიანი შეხვედრაა.

ისე მითხრა, მივხვდი, რომ საქმიანი შეხვედრა არ იყო. იმასაც მივხვდი, განზრახ მითხრა, ამას რომ მივმხვდარიყავი.

ისევ საშინელ ავადმყოფად ვიგრძენი თავი, ჩემს ოთახში შევედი და რვეულები გამოვიღე. გამომყვა, ზღურბლზე შეჩერდა, მიყურებდა. მითხრა:

- ასე მგონია, ჩემს ყველა დანაშაულს აღნუსხავ.

აშკარად კმაყოფილი გახლდათ ამით. ოთხიდან სამი რვეული გვერდზე გადავდე. დაინტერესდა:

- რად გინდა ოთხი რვეული?

ავუხსენი:

- ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი თავის დანაწევრება მჭირდებოდა, თუმცა ამიერიდან მხოლოდ ერთ რვეულში ვაპირებს წერას.

საკუთარ სიტყვებს ინტერესით მივუგდე ყური. სანამ არ ვთქვი, ეს მე თვითონაც კი არ ვიცოდი. საული ზღურბლზე იდგა, ორივე ხელით კარის დირეს ეყრდნობოდა. დაკვირვებით მიყურებდა, თვალმოჭუტული, მის მზერაში აშკარა სიძულვილი გამოკრთოდა. ვხედავდი თეთრ კარს, ზედმეტი, ძველმოდური რელიეფებით დაფარულს, ვხედავდი ძალზე მკაფიოდ. გავიფიქრე, რომ კარის რელიეფები მახსენებს ძველ ბერძნულ ტაძარს, დიახ, აი, საიდან მოვიდა ეს მოსართავები, ძველი ბერძნული ტაძრის სვეტებიდან, და რომ ის, თავის მხრივ, ძველ ეგვიპტურ ტაძარს მახსენებს, მახსენებს ლერწმის კონებსა და ნიანგს. და, აი, ეს ამერიკელი იდგა ასე, ორივე ხელით ისტორიას ჩაბღაუჭებული, რადგან ეშინოდა, რომ სხვაგვარად წაიქცეოდა, იდგა და ივსებოდა ჩემდამი სიძულვილით, - თავისი ციხის დარაჯისადმი.

- არ გეჩვენება ერთობ უცნაურად, რომ ჩვენ ორივენი ვართ ადამიანები, რომელთა პიროვნებაც, რაც უნდა იგულისხმებოდეს ამ სიტყვაში, საკმარისად მოცულობითია, რათა სრულიად განსხვავებული რაღაცები დაიტიოს, პოლიტიკა, ლიტერატურა, ხელოვნება, მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ შევიშალეთ, ყველაფერი ერთადერთ დეტალზე დაიყვანება, სახელდობრ, მე არ მინდა, რომ აქედან მიდიოდე და კიდევ ვიღაცასთან წვებოდე, შენ კი მუდმივად ცრუობდე ამის გამო.

ერთი წამით საული თავის თავს დაუბრუნდა, დაფიქრდა, რა ვუთხარი, მერე კი აცახცახდა და ნელა გაილია ჰაერში, მის ადგილას კი გაჩნდა ჩემი ქვეშქვეშა ანტაგონისტი, მითხრა:

- ამ ხაფანგში ვერ შემიტყუებ, არც იფიქრო.

ზევით ავიდა, ხოლო როდესაც რამდენიმე წუთში ჩამოვიდა, ენთუზიაზმით შესძახა:

- ვაჰ! ასე ხომ შეიძლება მართლა დავაგვიანო. აბა, შეხვედრამდე, პატარავ.

წავიდა და თან გამიყოლა. ფიზიკურად ვგრძნობდი, რომ ჩემმა ნაწილმა მასთან ერთად დატოვა სახლი. ვიცოდი, როგორ მიდიოდა, - ფეხის ბორძიკით ჩაირბინა კიბე, წამით გაირინდა, სანამ სახლიდან გასვლას გაბედავდა, მერე კი ფრთხილად გავიდა ქუჩაში ნაბიჯით ადამიანისა, რომელიც მზადაა თავდასაცავად. ასე დადის ყველა ამერიკელი, ასე დადიან ადამიანები, რომელნიც ყოველთვის მზად არიან თავდასაცავად. მიდიოდა მანამ, სანამ თვალი არ მოჰკრა ძელსკამს ან, შესაძლოა, კიბეს, სადაც ჩამოჯდა. თავის დემონებს მოსწყდა, ჩემს ბინაში დატოვა, თუნდაც მცირე ხნით გათავისუფლდა მათგან. მაგრამ ვგრძნობდი, როგორ ასხივებდა მარტოობის სიცივეს. ჩემ გარშემო მთელი სივრცე მარტოობის სიცივით აივსო.

ამ რვეულს დავხედე და გავიფიქრე, რომ თუკი შევძლებ მასში დავწერო, ანა მობრუნდება, მაგრამ ვერ ვაიძულე თავი, რომ კალამი ამეღო. მოლის დავურეკე. როდესაც მიპასუხა, მივხვდი, რომ ვერ გავაგებინებდი, რა მემართებოდა, რომ არ შემიძლია მასთან ლაპარაკი. მისი ხმა, როგორც ყოველთვის, სიცოცხლით სავსე და პრაქტიკული იყო, რაღაც გაუგებარი ფრინველის ვიტვიტივით ჟღერდა, და მე გავიგონე ჩემი საკუთარი ხმა, მხიარული და თან, დაცლილი.

მკითხა:

- როგორაა შენი ამერიკელი?

ვუპასუხე:

- კარგად.

მერე ვკითხე:

- როგორაა ტომი?

მომიგო:

- ეს-ესაა დათანხმდა ლექციების ციკლის წაკითხვას, მთელ ინგლისში წაიკითხავს ლექციებს მაღაროელთა ცხოვრებაზე, ხომ გესმის - მაღაროელის ცხოვრება.

- მშვენიერია.

- კი-კი. თან ამბობს, რომ საბრძოლველად წასვლა უნდა ალჟირში ანდა კუბაზე. გუშინ აქ მთელი ჯგრო შეიყარა, ყველანი ამბობენ, რომ რომ სადღაც უნდა წავიდნენ, უნდა იბრძოლონ, სულერთია, სად როგორი რევოლუციაა, მთავარია, რევოლუცია იყოს.

ვუთხარი:

- მის ცოლს ეს არ მოეწონება.

- დიახ, სწორედ ეს ვუთხარი ტომის, როდესაც საშინლად აგრესიულად შემომიტია, რადგან ეგონა, გაჩერებას დავუწყებდი. „მე კი არ გაგაჩერებ, არამედ შენი საღად მოაზროვნე ცოლი, - ვუთხარი, - ჩათვალე, რომ უკვე მოგეცი კურთხევა, - ვუთხარი, - სულერთია, როგორი რევოლუციაა და სად, რადგან სრულიად აშკარაა, რომ ჩვენი ცხოვრება აუტანელი გახდა“. მიპასუხა, რომ მე ერთობ ნეგატიურად ვარ განწყობილი. მოგვიანებით კი დამირეკა და მითხრა, რომ სამწუხაროდ, ახლა ვერ გაემგზავრება საომრად, რადგან მაღაროელთა ცხოვრებაზე ლექციების ციკლი უნდა წაიკითხოს. მითხარი, ანა, ასე ამ ყველაფერს მხოლოდ მე

ერთი აღვიქვამ? ასე მგონია, რაღაც წარმოუდგენელ ფარსში ვარ, წარმოუდგენელ ფარსში ვცხოვრობ.

- არა, მხოლოდ შენ არა.

- ვიცი. და - მით უარესი.

ყურმილი დავკიდე. იატაკი ყალყზე დგებოდა და იბერებოდა. კედლები, გეგონებოდა, ოთახის შიგნით შემოდიოდნენ, სცილდებოდნენ მას და სადღაც შორს მიცურავდნენ, გაშლილ სივრცეში. რაღაც წამით ცარიელ სივრცეში დავრჩი, კედლები აღარ იყო, თითქოს ჰაერში ვლივლივებდი დაბომბილი შენობების თავზე. ვიცოდი, რომ საწოლამდე უნდა მივსულიყავი, ამიტომ ფრთხილად წავედი წინ, ყალყზე შემდგარ იატაკზე ფრთხილად მივაბიჯებდი. მივედი, დავწექი. თუმცა მე, ანა, იქ არ ვიყავი. მერე კი ჩამეძინა, თუმცა პირველივე ჩათვლემისას უკვე ვიცოდი, რომ ეს ჩვეულებრივი სიზმარი არ იქნებოდა. ვხედავდი ანას სხეულს, რომელიც საწოლში იწვა. უკან დავიხიე, მაინტერესებდა, ვინ მოვიდოდა. თავაზიანი ღიმილით შემოვიდა მერიროუზი, ლამაზი ქალიშვილი, ქერა თმის შარავანდით. მერე - ჯორჯ ჰუინსლოუ, მისის ბუთბი და ჯიმი. შეჩერდნენ, ანას დახედეს და გვერდზე გადგნენ. შორიახლოს ვიდექი და ვფიქრობდი: „ნეტავი, რომელს მიიღებს?“ მერე შემეშინდა, რადგან შემოვიდა პოლი, არადა, მკვდარი იყო, და მე დავინახე, როგორი გულისშემძვრელად სერიოზული, მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით დაიხარა ანას თავზე. მერე ანაში დაიწყო შესვლა და შიშისგან ავკივლდი, ინდიფერენტულ აჩრდილთა ჯგროში გაჭირვებით მივიკვლევდი გზას საწოლისკენ, ანასკენ, ჩემი თავისკენ. ვიბრძოდი, რომ კვლავ შევსულიყავი ანაში. ვებრძოდი სიცივეს, საზარელ სიცივეს. ხელ-ფეხი სიცივისგან გამეთოშა, ანაც ცივი იყო, რადგან ის მკვდარმა პოლმა შეავსო. ანას სახეზე მის ცივ, გულისშემძვრე-

ლად სერიოზულ ღიმილს ვხედავდი, შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, არადა, ეს გახლდათ ბრძოლა საკუთარი თავის გადასარჩენად, ჩემს სხეულში შევსხლტი. ვიწექი ცივი, ცივზე ცივი. სიზმარში ისევ „მაშოპიში“ აღმოვჩნდი, მაგრამ ამჯერად მოჩვენებები ჩემ გარშემო იყვნენ, მკაცრ წესრიგში, ვარსკვლავებივით - ყოველი თავის ადგილს იკავებდა, და მათ შორის პოლის აჩრდილიც იყო, ის ერთ-ერთი მათგანი გახლდათ. მთვარის შუქზე, ქვიშით გაჯერებულ ჰაერში ევკალიპტების ქვეშ ვისხედით, დაღვრილი ტკბილი ღვინის სურნელს ვგრძნობდი, სასტუმროს ნათურები გზის გადაღმა ციალებდნენ. ეს უკვე ჩვეულებრივი სიზმარი იყო, ვიცოდი, რადგანაც შემეძლო მისი გვერდიდან ყურება, სრული დაშლისგან დაზღვეული ვიყავი. სიზმარი გაქრა და ნოსტალგიის მაცდურ ტკივილად იქცა. სიზმარში ვუთხარ ჩემს თავს, გაუძელი, ნაწილებად არ დაიშალო, შენ გაუძლებ, თუკი მოახერხებ ლურჯ რვეულამდე მისვლას და მასში დაწერ. ხელის ინერტულობას ვგრძნობდი, უუნარობას, კალამი ამეღო. მაგრამ კალმის ნაცვლად იქ თოფი აღმოჩნდა. და მე ანა კი აღარ ვიყავი, არამედ ჯარისკაცი. ვგრძნობდი, რომ ფორმა მეცვა, მაგრამ მას ვერ ვცნობდი. სადღაც ვიდექი, გრილი ღამე იყო, ჩემს ზურგს უკან კი ჯარისკაცები მიმოდიოდნენ, საჭმელს კოცონზე ამზადებდნენ. მესმოდა ფოლადის ჩუმი წკრიალი, ჯარისკაცები თოფებს ერთად აწყობდნენ, ვერტიკალურ შეკვრად. სადღაც ჩემ წინ მტერი იყო. მაგრამ არ ვიცოდი, ვინ იყო ჩემი მტერი და რისთვის ვიბრძოდი. დავინახე, რომ მუქი კანი მქონდა. თავიდან მეგონა, აფრიკელი ვიყავი ანდა ზანგი. მერე გავარჩიე შავი ბალანი ჩემს ბრინჯაოსფერ ხელზე და მივხვდი, რომ ალჟირში ვიყავი, ბორცვის ფერდზე ვიდექი, მე - ალჟირელი ჯარისკაცი ვიყავი და ფრანგებს ვებრძოდი. ამავე დროს ამ ჯარისკაცის თავში ანას

გონება განაგრძობდა მოქმედებას და ანა ფიქრობდა: „დიახ, მოვკლავ, კიდეც ვაწამებ, რადგან ეს ჩემი ვალია, მაგრამ ამას ყოველგვარი რწმენის გარეშე გავაკეთებ. რადგან უკვე შეუძლებელია რაიმეში მონაწილეობა, ბრძოლა, ხოცვა იმის გაგების გარეშე, რომ ეს მხოლოდ ახალ ტირანიას შობს. და მაინც, ბრძოლა და მონაწილეობა აუცილებელია“. მერე კი ანას გონება სანთლის ალივით ჩაქრა, როცა ქარი ჩამოუბერავს ხოლმე. მე ვიყავი ალჟირელი, რომელსაც სჯეროდა, აღსავსე გახლდათ რწმენის სიმტკიცით. ჩემს სიზმარში შიში, შეძრწუნება დაბრუნდა, რადგან ანას ისევ დაემუქრა სრული დაშლა. შეძრწუნებამ სიზმრიდან ამომაგდო, აღარ ვიყავი სადარაჯოზე მდგომი ჯარისკაცი, მთვარის შუქზე, სანამ მისი ამხანაგები მის ზურგს უკან საჭმელს იმზადებდნენ კოცონზე. ალჟირის გამომშრალ, მზის სურნელით გაჯერებულ მიწას ფეხი ვკარი და ჰაერში ავიჭერი. წინათ ძილში დავფრინავდი და იმდენი ხანი აღარ მეფრინა, რომ კინაღამ ავტირდი სიხარულისგან. რა ბედნიერებაა, ისევ დავფრინავ სიზმარში. ასეთი სიზმრის არსი სიხარულია, თავისუფალი, მსუბუქი მოძრაობის სიხარული. მაღლა ვიყავი ცაში, ხმელთაშუაზღვისპირეთის თავზე, და ვიცოდი, რომ ნებისმიერ ადგილას შემეძლო გაფრენა. აზიაში მომინდა, გლეხის ნახვა მომინდა. წარმოუდგენლად მაღლა ვფრენდი, ჩემს ქვემოთ მთები და ზღვები მისრიალებდნენ, იოლად ავდიოდი მაღლა და მივიწევდი ჰაერში, სწრაფად და მსუბუქად მივაბიჯებდი. უზარმაზარ მთებს გადავუფრინე და ჩინეთში აღმოვჩნდი. სიზმარში ჩემს თავს ვუთხარი: „მე აქა ვარ იმიტომ, რომ მინდა გლეხი ვიყო, ვიყო ისეთ გლეხებს შორის, როგორიც მე ვარ“. სოფლის თავზე დავეშვი, დავინახე გლეხები, რომლებიც მინდორში მუშაობდნენ. მათ მოძრაობაში შეუპოვარი მიზანდასახულობა იგრძნობოდა და ეს

მათკენ მიზიდავდა. ფეხებს ვუბრძანე და მიწაზე მსუბუქად დავეშვი. ამ სიზმრის სიხარული უფრო ინტენსიური, უფრო მძლავრი იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა სიზმრისა და ეს სიხარული თავისუფლების სიხარული გახლდათ. ჩინეთის ძველ მიწაზე დავეშვი, დავინახე გლეხის ქალი, რომელიც თავის ქოხთან იდგა. მასთან მივედი და ზუსტად ისევე, როგორც პოლი, ცოტა ხნის წინ მძინარე ანას თავზე დახრილი რომ იდგა და ცდილობდა ანად ქცეულიყო, ასევე მეც ვცადე მასში შესვლა, მისად გახდომა. ეს ძალზე იოლი საქმე აღმოჩნდა. ახალგაზრდა იყო, ორსული, თუმცა მძიმე შრომას უკვე დაეტყო თავისი კვალი, - დაბერება დაეწყო. მერე გავაცნობიერე, რომ ანას გონება ამ ქალში აგრძელებდა მოქმედებას, ელვისებური სისწრაფით ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ მექანიკური აზრები, რომლებსაც ვახასიათებდი, როგორც „პროგრესულსა და ლიბერალურს“. ვფიქრობდი, რომ ეს გლეხის ქალი წარმოადგენდა ამას და ამას, რომ იგი ჩამოაყალიბა ამა და ამ მოძრაობამ, ამა და ამ ომმა, აი, ასეთმა გამოცდილებამ. მე, მისთვის უცხო პიროვნება, მას იარლიყებს ვაწებებდი. მერე კი ანას გონება ისევე, როგორც ალჟირში, აციმციმდა და ნელ-ნელა დაილია, გაქრა. ჩემს თავს ვუთხარი: „სხვაში სრული გაქრობის შიშმა ამჯერადაც არ დაგაფრთხოს, გაუძელი“. მაგრამ შიში, შეძრწუნება მეტისმეტად ძლიერი იყო. მან გლეხი ქალიდან ამომაგდო, მის გვერდით აღმოვჩნდი, ვუყურებდი, როგორ მიდიოდა მინდორში იქ მომუშავე კაცებისა და ქალებისაკენ. ყველანი ერთნაირად იყვნენ ჩაცმულები, ტანსაცმელი უნიფორმას ჰგავდა. შეძრწუნებამ სიხარული მომისპო, ფეხები აღარ მემორჩილებოდა, ჰაერში მსუბუქად ვეღარ მივდიოდი. მთელი ძალით, სასოწარკვეთილი ვცდილობდი ჰაერისთვის ფეხი მეკრა და ავფრენილიყავი, გადამელახა მთები, ევ-

როპისგან რომ მყოფდა, ევროპა კი იმ ადგილიდან, სადაც ვიყავი, ერთი ციცქნა, უსარგებლო არშიად ჩანდა, რომელიც უზარმაზარი კონტინენტის კიდეზე იყო მიკერებული, ავადმყოფობად, რომელშიც ისევ ვაპირებდი ჩაბრუნებას, ჩაფლობას. მაგრამ ვეღარ ავფრინდი, ვეღარ ვტოვებდი იმ ზეგანსა და გლეხებს, მიწას რომ ამუშავებდნენ, და შიშმა, რომ სამუდამოდ იქ დავრჩებოდი, როგორც ხაფანგში, გამომაფხიზლა. გამეღვიძა, საღამოვდებოდა, ოთახში ბინდდებოდა, ფანჯრებქვეშ ტრანსპორტი ხრიგინებდა. ახალ ადამიანად გავიღვიძე, ჩემმა გამოცდილებამ შემცვალა, სხვა ადამიანად ყოფნა მოვახერხე. ანა ფეხებზე მეკიდა, აღარ მინდოდა ანა ვყოფილიყავი. მოვალეობის გამო ისევ ეს მოყირჭებული ანა გავხდი, თითქოს ძველი, გაქონილი კაბა გადავიცვი.

მერე ავდექი, შუქი ავანთე და ზემოთ ხმაური გავიგონე, რაც ნიშნავდა, რომ საული დაბრუნებულიყო. გავიგონე თუ არა მისი ფეხის ხმა, მუცლის გვრემა დამეწყო. და ისევ ავადმყოფ, ნებისყოფადაკარგულ ანაში აღმოვჩნდი.

რაღაც ავძახე, გამომეპასუხა. ხმამ მხიარულად გაიჟღერა და ჩემი მძიმე წინათგრძნობა განქარდა. მაგრამ როდესაც ქვემოთ ჩამოვიდა, წინათგრძნობა ისევ მომიბრუნდა. რადგან სახეზე ნაძალადევი, უცნაური ღიმილი დასთამაშებდა, გავიფიქრე, ამჯერად რომელი პიროვნებაა-მეთქი? საწოლზე ჩამომიჯდა, ჩემი ხელი დაიჭირა და ხელოვნურად, ჭირვეული აღტაცებით დაუწყო თვალიერება. და უცებ მივხვდი, რომ იმ ქალის ხელს ადარებდა, რომელსაც ეს-ესაა დასცილდა, ანდა, სურდა, რომ ასე მეფიქრა. სასხვათაშორისოდ შენიშნა:

- არა, ეს ლაქი მაინც უფრო მომწონს, კაცმა რომ თქვას.

ვეუბნები:

- მაგრამ მე ფრჩხილების ლაქს არ ვხმარობ.

მპასუხობს:

- აი, რომ ხმარობდე, ეს უფრო მომეწონებოდა, კაცმა რომ თქვას.

ჩემს ხელს ატრიალებდა, ხელისგულს გაოცებანარევი აღტაცებით ათვალიერებდა, თან მე მიყურებდა, უნდოდა, გაეგო, როგორ მივიღებდი მის ამ გაოცებანარევ აღტაცებას. ხელი უკან წავიღე მკვეთრი მოძრაობით. მითხრა:

- ახლა, ალბათ, მკითხავ, სად ვიყავი.

არაფერი ვუპასუხე. მითხრა:

- ნურაფერს მკითხავ და ტყუილის მოსმენაც არ მოგიწევს.

არაფერი ვუთხარი. ისეთი განცდა მქონდა, რომ ქვიშაში ვეფლობოდი თავიან-ფეხიანად, ან ჩემი სხეული კონვეიერის ლენტზე იწვა, რომელიც მას უზარმაზარი მექანიზმისკენ ულმობლად მიათრევდა და რომელსაც უნდა დაენაკუწებინა. მოვცილდი, ფანჯარასთან მივედი. ქუჩაში ბნელი, ციმციმა წვიმა ცრიდა, სახურავები სველი, შავი იყო. სიცივე ფანჯრის მინას ფხოჭნიდა.

გამომყვა, მომეხვია, მომეკრო. მიღიმოდა. მამაკაცი, რომელიც აცნობიერებდა თავის ძალაუფლებას ქალებზე, რომელიც თავის თავს ამ როლში გვერდიდან უყურებდა. შემოტმასნილი ლურჯი სვიტერი ეცვა, მკლავები აკაპიწებული ჰქონდა. დავინახე, მკლავებზე ღია ფერის თხელი ბალანი ჰქონდა. თვალებში ჩამხედა და მითხრა:

- გეფიცები, არ გატყუებ. გეფიცები, მართლა გეფიცები. ქალთან არ ვყოფილვარ. გეფიცები.

ხმა დრამატიზმით აღსავსე ჰქონდა, მზერა - კონცენტრირებული, დრამატიზმის გამოხატვას მთელი ძალით ცდილობდა.

არ დავუჯერე, მაგრამ ანამ, რომელსაც ეხვეოდა, დაუჯერა, და მიუხედავად იმისა, რომ იმავდროულად ინტერესით ვადევნებდი თვალს, როგორ ვთამაშობდით ჩვენს როლებს, გაოცებული ვიყავი, ვერ ვიჯერებდი, რომ ასეთი მელოდრამის უნარი ჰქონდა. მერე საულმა მაკოცა. როგორც კი კოცნას ვუპასუხე, მკვეთრი მოძრაობით გაიწია და მითხრა პირქუშად, როგორც ასეთ მომენტებში სჩვეოდა:

- საპასუხო დარტყმას რატომ არ მაყენებ? რატომ არ მებრძვი?

მე კი ვიმეორებდი:

- რატომ უნდა გებრძოლო? რა საჭიროა ბრძოლა?

ეს არაერთხელ მითქვამს, ჩვენ ეს ყველაფერი უკვე გათამაშებული გვქონდა. მერე ხელი ჩამჭიდა, ლოგინთან მიმიყვანა და სიყვარულობა დამიწყო. აინტერესებდა, ვისთან სიყვარულობდა. დანამდვილებით ვიცოდი, რომ ჩემთან - არა. აღმოჩნდა, რომ ის, მეორე, ლოგინში მეტად საჭიროებდა შველას, ხვეწნას, წახალისებას, ჯერ კიდევ უმწიფარი იყო, თითქმისდა ბავშვი. ეალერსებოდა უმწიფარ, ბავშვივით ქალს, მას ბრტყელი მკერდი და ლამაზი ხელები ჰქონდა. უეცრად მეუბნება:

- კი, მართალი ხარ, ბავშვი გავაკეთოთ.

როდესაც მორჩა, გვერდზე გადაგორდა, სული მოითქვა და შესძახა:

- აი, მაშინ კი მომეღება ბოლო, ბავშვი თუ გაჩნდა, შენ ამით ბოლოს მომიღებ!

ვუთხარი:

- ბავშვის გაკეთებას მე არ გთავაზობდი, მე ანა ვარ.

თავი მკვეთრი მოძრაობით წამოსწია, ჩემთვის რომ შეეხედა, მერე ისევ უკან გადაიწია, გადაიხარხარა, თქვა:

- მართალია. ანა ყოფილა.

სააბაზანოში გავედი, ძალიან ცუდად ვიყავი და როცა დავბრუნდი, ვუთხარი:

- უნდა დავწვე, დავიძინო.

დავწექი, ზურგი შევაქციე და დავიძინე, რომ გავქცეოდი.

არადა, სიზმარშიც მასთან მივდიოდი. ეს ღამე სიზმრების ღამე გამოდგა. ერთიმეორის მიყოლებით ვთამაშობდი როლებს, ჩემი მეწყვილე-მოწინააღმდეგე საული აღმოჩნდა, რომელიც ასევე სხვადასხვა როლს ასრულებდა. თითქოს რაღაც პიესას ვთამაშობდით, რეპლიკები იცვლებოდა, თითქოსდა დრამატურგი ერთი და იმავე პიესას თავიდან წერდა და წერდა, ცოტ-ცოტას ცვლიდა ყოველ ჯერზე. ჩვენმა დუეტმა შეასრულა ყველა როლი, რაც კი საერთოდ შეიძლება წარმოიდგინო ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში. როდესაც ერთი ციკლი მთავრდებოდა, ვამბობდი: „მაშ, ესეც გავიარე, ესე იგი, ამის დროც დამიდგა“. თითქოს ასი სხვადასხვა ცხოვრებით ვიცხოვრე. და, აი, რა აღმოჩნდა განსაცვიფრებელი, რეალურ ცხოვრებაში თურმე უამრავი ქალური როლი გვერდზე დამრჩენია, ანდა მე თვითონ ვამბობდი უარს მათ შესრულებაზე, ანდა არ მთავაზობდნენ. სიზმარშიც კი ვხვდებოდი, რომ ახლა განწირული ვიყავი მათ შესასრულებლად, სწორედ იმიტომ, რომ ცხოვრებაში უარს ვამბობდი მათზე.

დილით საულის გვერდით გამეღვიძა. ცივი იყო და მისი გათბობა მომიხდა. მე ისევ „მე“ ვიყავი და თანაც, ძლიერი. ეგრევე საწერი მაგიდისკენ გავემართე და ეს რვეული ავიღე. დიდხანს ვწერდი, მას კი ეძინა და ეძინა. მერე ეტყობა, გაეღვიძა, მაგრამ ჩუმად იწვა, მიყურებდა, სანამ არ შევნიშნე, რომ აღარ ეძინა. მკითხა:

- იმის ნაცვლად, შენს დღიურებში ჩემი ცოდვების სიას წერდე, იქნებ ჯობდა ახალი რომანი დაგეწერა?

მივუგე:

- შემიძლია დავასახელო თორმეტი მიზეზი, რატომ არ ვწერ, შემიძლია საათობით ვილაპარაკო ამ თემაზე, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ მწერლური სტუპორი მაქვს. ესაა და ეს. პირველი შემთხვევაა, როდესაც ამას ვაღიარებ.

- შესაძლებელია, - ჩაილაპარაკა, თავი გვერდზე გადასწია, სიყვარულით მიღიმოდა. ეს სიყვარული დავინახე და ამან გამათბო.

მერე, როდესაც საპასუხოდ გავუღიმე, ღიმილი ჩამოეხსნა, სახე მოეღუშა, გაცხარებით მითხრა:

- ასეა თუ ისე, როდესაც ვხედავ, როგორ ზიხარ და შენი თავიდან სიტყვების გაუთავებელი წყება ამოგაქვს, ჭკუიდან გადავდივარ.

- ნებისმიერი გეტყვის, რომ ორი მწერალი ერთად არ უნდა ცხოვრობდეს. ანდა, უფრო სწორად, ამერიკელი, რომელსაც გამძაფრებული აქვს მეტოქეობის გრძნობა, არ უნდა ცხოვრობდეს ქალთან, რომელმაც წიგნის დაწერა შეძლო.

- ეს მართალია, - თქვა მან, - ეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჩემს უპირატესობას სქესის თვალსაზრისით, რაც სულაც არაა ხუმრობა.

- მესმის, რომ ხუმრობა სულაც არაა. ოღონდ, ძალიან გთხოვ, მეტი აღარ წამიკითხო შენი პომპეზური სოციალისტური ლექციები ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ.

- ასე მგონია, პომპეზურ სოციალისტურ ლექციებს მაინც წაგიკითხავ, რადგან ეს მსიამოვნებს. მაგრამ მე თვითონ მათი არ მჯერა. მართალი გითხრა, ჩემზე ძალიან მოქმედებს, რომ შენ

დაწერე წიგნი, რომელსაც ესოდენი წარმატება ხვდა წილად. აქედან გამომდინარე, ვაკეთებ დასკვნას, რომ ყოველთვის ფარისეველი ვიყავი და სინამდვილეში, მომწონს საზოგადოება, სადაც ქალები მეორე ხარისხის მოქალაქეები არიან, მომწონს, როცა თავს ბოსად ვგრძნობ, მომწონს, რომ მაამებენ.

- ძალიანაც კარგი, - მივუგე, - რადგან საზოგადოებაში, სადაც ათი ათასიდან ერთზე მეტი კაცი მაინც მიხვდება, კონკრეტულად რაში არიან ქალები მეორე ხარისხის მოქალაქეები, გვეყოლება კაცების კომპანია, რომლებიც, სულ ცოტა, ფარისევლები მაინც არ იქნებიან.

- ახლა კი, როცა ამაში გავერკვიეთ, შეგიძლია ყავა მომიდუღო, რადგან ესაა შენი მთავარი ფუნქცია.

- დიდი სიამოვნებით, - ვუთხარი, მერე ერთად ვისაუზმეთ, კეთილგანწყობილად ვმასლაათობდით, იმ დილას ერთმანეთი მეტად მოგვწონდა.

საუზმის მერე ავიღე საყიდლების კალათა და ერლზ-კორტროუდზე გავედი. სიამოვნებით ვარჩევდი პროდუქტს, ნაირ--ნაირი რამერუმეებით ვავსებდი და მსიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ მოგვიანებით, შინ, საჭმელს მოვუმზადებდი. ამავე დროს, ვწუხდი, რადგან კარგად მესმოდა, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ვფიქრობდი: „მალე წავა და ამით ყველაფერო მორჩება, დასრულდება ის სიხარული, რომელსაც გრძნობ, სანამ მამაკაცზე ზრუნავ“. უკვე შემეძლო შინ წასვლა, ყველაფერი ვიყიდე, არადა, ვიდექი და ვიდექი კუთხეში, წვიმა ცრიდა, გარშემო ხალხი ირეოდა, უფრო სწორად, გაშლილი ქოლგების ჯგრო, და ვერაფრით ვხვდებოდი, რას ველოდებოდი. მერე ქუჩა გადავკვეთე და საკანცელარიო მაღაზიაში შევედი, მივედი დახლთან, სადაც რვეულები გამოეფინათ. აქ იყო რვეულები, რომ-

ლებიც იმ ოთხს ჰგავდნენ, მე რომ მქონდა. მაგრამ მე რაღაც სხვა მჭირდებოდა. დავინახე დიდი, სქელი რვეული, საკმაოდ ძვირად ღირებული, გადავშალე, ფურცლები დახაზული არ აღ-მოჩნდა - ქაღალდი მაღალი ხარისხისა იყო, მკვრივი, ქათქათა. ამ ქაღალდის შეხება მსიამოვნებდა, ოდნავ უხეში კი იყო, თუმცა რვეულს აბრეშუმისებრი, სქელი, მძიმე გარეკანი ჰქონდა, მქრქალი ოქროსფერი. არასოდეს მენახა ასეთი რვეული და გამყიდველ ქალს ვკითხე, რა დანიშნულება აქვს-მეთქი, და მი-პასუხა, რომ ეს რვეული გაკეთებულია ერთი კლიენტის, ვიღაც ამერიკელის შეკვეთით, რომელმაც აღარ წაიღო. წინასწარ დაუტოვებია ბე, ამიტომ რვეული ახლა უფრო იაფი ღირდა, ვიდ-რე ერთი შეხედვით მეგონა. თუმცა მაინც საკმაოდ ძვირი იყო, მაგრამ ისე ძალიან მომინდა, რომ ვიყიდე, წამოვიღე. მსიამოვ-ნებდა მისი შეხება, ყურება, თუმცა კი არ ვიცოდი, რაში გამოვი-ყენებდი.

საული ჩემს ოთახში შემოვიდა, მოუსვენრად სცემდა ბოლ-თას, წრეებს არტყამდა, თითქოს რაღაცას ეძებსო, მერე ახალი რვეული შენიშნა და ქორივით დააცხრა.

- ვაუ, რა ლამაზია, - თქვა მან, - რად გინდა?

- ჯერ არ ვიცი.

- მაშინ მომეცი, მომეწონა.

კინაღამ ვუთხარი: „კარგი, აიღე“, თავს ვგრძნობდი ვეშაპად, რომელსაც წყლის ჭავლის ამოშვება უნდა, თავს ვეღარ იკავებს. ჩემს თავზე გავბრაზდი, რადგან მინდოდა ეს რვეული მქონოდა, არადა, კინაღამ მივეცი, პირველივე მოთხოვნით. მესმოდა, რომ ეს მოთხოვნილება, დაემორჩილო, აამო, სადომაზოხისტური ციკლის ნაწილია, რომელშიც ჩვენ ვართ ჩათრეული. ვუთხარი:

- არა, ვერ მოგართვი.

ამ ფრაზის თქმა საკმაოდ გამიჭირდა, ენაც კი დამება. რვეული მაგიდიდან აიღო და სიცილით თქვა:

- მომეცი, მომეცი, მომეცი, მომე-მომე-მომე.

ვუთხარი:

- არა.

ეგონა, მივცემდი, მზად არ იყო უარისთვის, მან ხომ ბავშვურად, ხუმრობაგაშვებით თქვა ეს: „მომე-მომე-მომე“, ახლა კი გაირინდა, ალმაცერად მიყურებდა და ბუტბუტებდა: „მომეცი, მომე-მომე-მომე“, ბავშვის ხმით, თუმცა უკვე აღარ ეცინებოდა. ბავშვად იქცა. დავინახე, მისი ძველი პიროვნება შედიოდა მასში, ნადირივით, გზას რომ მიიკვლევს ტევრში. მისი სხეული იგრიხებოდა, იკვანწებოდა, იარაღად იქცეოდა, მისი სახე, ესოდენ ცოცხალი, გონიერი, სკეპტიკური, როდესაც „თავის თავს ეკუთვნის“, პატარა მკვლელის სახედ იქცა. მკვეთრი მოძრაობით შებრუნდა, თითქოს მათრახი მოიქნიაო, რვეული გულზე მიიკრა, მზად იყო, ოთახიდან გავარდნილიყო (19*), და მე ცხადად დავინახე იგი, ღარიბულ რაიონში გაზრდილი ბავშვი, მოზარდების ბანდის წევრი, აი, რაღაცას იტაცებს მაღაზიაში ანდა თავქუდმოგლეჯილი გაურბის პოლიციელს. ვუთხარი: „არა, არ შეიძლება“ ისე, ბავშვს რომ ვეტყოდი, და გონზე მოვიდა, უცებ არა, ნელნელა, დაძაბულობა მოეშვა, რვეული მაგიდაზე დადო, თითქოს მადლიერებითაც კი, ისევ დაუბრუნდა კეთილგანწყობა, დამშვიდდა. გავიფიქრე, რა უცნაურია, რომ სჭირდება ვიღაც, ვინც მბრძანებელივით ეტყვის: „არა“, არადა, მაინცდამაინც ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა, ცხოვრებაში ადამიანისა, რომელსაც ესოდენ უჭირს ამ სიტყვის თქმა. ახლა, როდესაც ეს ვთქვი, საულმა რვეული მაგიდაზე დადო და მისი სხეულის ყოველ მოძრაობაში, სახის გამომეტყველებაში ჩანდა უბედური ბავშვი, რო-

მელსაც ეს-ესაა წაართვეს რაღაც, მისთვის ძალზე საჭირო, და ვიგრძენი, რომ მძიმედ ვარ ავად, ძალიან მომინდა მეთქვა: „აიღე, ღვთის გულისათვის, ამას არა აქვს მნიშვნელობა“. მაგრამ ახლა ამის თქმა აღარ შემეძლო. და შემაშინა იმან, თუ როგორ უცებ გახდა ეს უმნიშვნელო რაღაც, - ლამაზი რვეული, - კამათის ობიექტი, ჩვენი ბრძოლის ნაწილი.

საული ერთხანს კარში იდგა, მიტოვებული და მარტოსული, დავინახე, როგორ გაშალა მხრები, მერე როგორ აიჩეჩა, ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად. წარმოვიდგინე, ალბათ, ბავშვობაში ზუსტად ასევე შლიდა მხრებს, „საკუთარ უბედურებებს ჯიბეში ღრმად იტენიდა“, როგორც უნდა იქცეოდეს ყველა, მისი თქმით.

მერე კი თქვა:

- მაშინ ავალ, წავიმუშავებ.

საული ნელი ნაბიჯით ავიდა ზემოთ, მაგრამ მუშაობა არ დაუწყია, მესმოდა, როგორ წრიალებდა, ადგილს ვერ პოულობდა. მერე ისევ ვიგრძენი დაძაბულობა, თუმცა კი რამდენიმე საათი მისგან თავისუფალი ვიყავი. ვხედავდი, მუცელზე როგორ მიჭერდა ტკივილის ხელი, როგორ მესობოდა ყელსა და წელში ტკივილის თითები. ავადმყოფი ანა მობრუნდა და ჩემში ჩასახლდა. ვიცი, რომ ეს ნაბიჯების ხმამ გამოიწვია, ზემოდან რომ მესმოდა - მძვინვარე ნაბიჯების ხმამ. არმსტრონგის ფირფიტა ჩავრთე, მაგრამ ამ მუსიკის კეთილი სიხალისე მეტისმეტად შორს იყო ჩემგან. მალიგანით შევცვალე, მაგრამ საკუთარი თავის შეცოდების ნოტები ჩემს ბინაში ისე გაისმა, როგორც მასში ჩაბუდებული ავადმყოფობის ხმა, ამიტომ მუსიკა გავთიშე, დავფიქრდი: „მალე ჯენეტი ჩამოვა, ეს ყველაფერი უნდა დავასრულო, დროა, გავჩერდე“.

დღე იყო ბნელი და ცივი, მზე წამითაც არ გამოჩენილა, თუნდაც ზამთრის მზე, ახლა კი წვიმაც წამოვიდა. ფარდები ჩამოშვებულია, პარაფინის ორივე გამათბობელი ჩართულია. ოთახში ბნელა, ჭერზე გამათბობლების მოწითალო-ოქროსფერი ანაშუქი ციმციმებს, ბუხარში ალი კიაფობს, მაგრამ მისი მხურვალება სიცივეში მხოლოდ ერთი-ორ დუიმზე თუ აღწევს.

დიდი ხანია ასე ვზივარ, ლამაზ რვეულს ვუყურებ, ვეფერები, ვტკბები მისით. პირველ გვერდზე საულს ჩემდა შეუმჩნევლად ფანქრით ძველი საბავშვო შელოცვა დაუჩხაპნია:

ვინც ამაში ჩაიხედოს,

წყეულიმც იყოს, წყეულიმც იყოს,

ასე ამბობს,

ასე სურს,

საულ გრინს, მისია რვეული(!!!)

ამან იმდენად გამახალისა, რომ კინაღამ ავდექი და ზემოთ ავედი, რვეული რომ მიმეცა. მაგრამ არა, ამას არ ვიზამ, არ ვიზამ. ლურჯ რვეულს სხვებთან ერთად დავმალავ. ოთხივეს დავმალავ. ახალ რვეულს დავიწყებ, მთლიანად ერთ წიგნში ვიქნები.

ლურჯი რვეულის დასასრული ორმაგი სქელი ხაზით იყო აღნიშნული.

ოქროს რვეული

ვინც ამაში ჩაიხედოს,
წყეულიმც იყოს, წყეულიმც იყოს,
ასე ამბობს,
ასე სურს,
საულ გრინს, მისია რვეული(!!!)

ამ ბინაში ისე ბნელა, ისე ბნელა, რომ გეგონება, სიბნელე ფორმაა, რომელიც მიიღო სიცივემ. ოთახებში გავიარე, ყველგან ვანთებდი შუქს, სიბნელემ უკან დაიხია, ფანჯრებს მიღმა გავიდა. მისი ცივი ფორმა მინას აწვება, ცდილობს, ისევ შემოაღწიოს. მაგრამ როდესაც შუქი დიდ ოთახშიც ავანთე, მივხვდი, ეს შეცდომა იყო, სინათლე მისთვის უცხოა, ამიტომ სიბნელეს უფლება მივეცი, დაბრუნებულიყო, - სიბნელე, რომელსაც ორი პარაფინის გამათბობლის ანაშუქი და ბუნებრივ აირზე მომუშავე ბუხრის ლიცლიცი აკავებდა. წამოვწექი და ერთი ციცქნა დედამიწაზე დავიწყე ფიქრი, რომლის ნახევარზე სიბნელეა და რომელიც ცივ, უსაზღვრო წყვდიადში ბრუნავს. საული ცოტა ხნის მერე შემოვიდა, ჩემ გვერდით დაწვა.

- არაჩვეულებრივი ოთახია, - ჩაილაპარაკა, - თითქოს მთელი სამყაროა.

ხელი ყელზე დამადო და მისი ძალა და სითბო ვიგრძენი, სიყვარულობა დავიწყეთ. მერე ჩაეძინა და როდესაც გაიღვიძა, თბილი იყო, გულისშემძვრელი სიცივე აღარ ავსებდა, ასე რომ მაშინებს ხოლმე. თქვა:

- აი, ახლა კი, მე მგონი, წავიმუშავებ.

ამ ფრაზის ეგოიზმი იმდენად აშკარა იყო, - ჩემი ეგოიზმისა არ იყოს, როცა ძალიან მინდა ხოლმე რაღაც, - რომ გამეცინა. მასაც გაეცინა. ორივენი ვიცინოდით, ვერაფრით გავჩერდით. ვხარხარებდით, ლოგინზე ვგორაობდით, ბოლოს იატაკზე ჩამოვცვივდით. ფეხზე წამოიჭრა, ქედმაღლური ინგლისური გამოთქმით ჩაილაპარაკა:

- ასე საქმე არ გამოვა, ასე საქმე ნამდვილად არ გამოვა, - და სიცილ-სიცილით გავიდა ოთახიდან.

დემონებმა დატოვეს ჩემი სახლი. აი, რა გავიფიქრე, საწოლზე როცა წამოვჯექი, შიშველი, სამი ცეცხლით გამთბარი. დემონები. თითქოსდა შიში, ძრწოლა და შფოთი ჩემში ანდა საულში კი არ იყო, არამედ გარეშე ძალას წარმოადგენდა, რომელიც თვითონ წყვეტდა, როდის მოსულიყო და როდის წასულიყო. ასე ვფიქრობდი, ჩემს თავს ვატყუებდი, რადგან ჩუმი ბედნიერების ეს წუთები მჭირდებოდა - მე, ანა, შიშველი ვზივარ ლოგინში, ძუძუები ხელით მიჭირავს, იდაყვებით საწოლს ვეყრდნობი, ჰაერში სექსისა და ოფლის სუნია.

მომეჩვენა, რომ ბედნიერების თბილი ძალა მეყოფა საიმისოდ, მთელი სამყაროს შიშები რომ გავაძევო. მერე კი ზემოდან ისევ მოისმა ფეხის ხმა, დადიოდა გაუჩერებლად, ადგილზე ვერ ჩერდებოდა, თითქოს ჩემს თავს ზემოთ ჯარი დისლოკაციას იცვლიდა, თავიდან ეწყობოდა, ბრძოლისთვის ემზადებოდა. მუცლის გვრემა დამეწყო. ვხედავდი, როგორ ილეოდა ჩემი ბედნიერება. ჩემი მსოფლგანცდა შეიცვალა, ჩემთვისვე უცხო გახდა. უცებ ვიგრძენი, რომ საკუთარი სხეული მეზიზღებოდა. ასეთი რამ წინათ არა მქონია, კიდეც ვუთხარი ჩემს თავს: „ჰეი, ეს რაღაც ახალია, ასეთი რაღაც ადრე მხოლოდ წიგნებში წამიკითხავს“. გამახსენდა ნელსონის ნათქვამი, რომ ზოგჯერ, როდესაც

თავისი ცოლის სხეულს უყურებს, სძულს მისი ქალურობის გამო, სძულს, თმა რომ აქვს იღლიებსა და ლაჯებშუა. ზოგჯერ ცოლი რაღაც ობობად ეჩვენება, - აქეთ-იქით, ყოველ მხარეს გაფარჩხული ხელებითა და ფეხებით, რომლებიც ეძებენ, ვინ დაიჭირონ, შუაში კი არის ბანჯგვლიანი, ყოველივეს შთანმთქავი პირი. საწოლზე ვიჯექი და ვუყურებდი ჩემს თეთრ ფეხებს, ჩემს თეთრ ხელებს, ძუძუებს. ჩემი ნოტიო, წებოვანი ცენტრი მეზიზღებოდა, ხოლო როცა ჩემს ძუძუებს შევხედე, უმალ გამახსენდა, როგორი იყო მაშინ, როდესაც რძით იყო სავსე, და ეს აზრი სასიამოვნო კი არ აღმოჩნდა, არამედ გულისამრევი. საკუთარი სხეულისგან გაუცხოების შეგრძნებისგან გონება დამებინდა, სანამ ფიქრის ღუზა იმ იმედით არ ჩავუშვი, რომ რაღაცას მოვეჭიდებოდი, და მოვეჭიდე იმას, რომ რასაც განვიცდი ჩემი აზრები სულაც არაა. მე ჩემს ცნობიერებაში ვცხოვრობდი და ჩემს ცხოვრებაში პირველად ჰომოსექსუალისტის გრძნობას განვიცდიდი. პირველად მომეჩვენა, რომ ჰომოსექსუალისტური ზიზღის ლიტერატურა გააზრებული, გასაგებია. გავაცნობიერე, თუ რამდენად ბევრი ჰომოსექსუალური შეგრძნება დაქრის ჰაერში, თავისუფლად, ყველგან, იმ ადამიანებშიც კი, ვინც არასოდეს გამოტყდება, ასეთი აზრები მათაც რომ მოსდით თავში.

ფეხის ხმა მიწყდა. ვერ ვინძრეოდი, ზიზღმა გამაკავა, თითქოს მაშები მომიჭირესო. უცებ მივხვდი, - ახლა საული ჩამოვა და მეტყვის რაღაცას, რაც იქნება პასუხი ჩემს ფიქრებზე. ეს იმდენად ცხადად ვიცოდი, რომ უბრალოდ ვიჯექი გაუნძრევლად საწოლზე და ველოდებოდი, როდის გავიგონებდი, როგორ გაიჟღერებდა ეს ზიზღი, როდესაც იგი თავისი - ჩემი - ხმით ალაპარაკდებოდა. ჩამოვიდა, ზღურბლზე შედგა, იკითხა:

- ღმერთო ჩემო, ანა, ასე რატომ ზიხარ, შიშველი?

ვუპასუხე და ჩემმა ხმამ კლინიკურად განყენებულად გაიჟღერა:

- საულ, თუ გესმის, რომ იმ წერტილამდე მივედით, როდესაც ერთმანეთის განწყობაზე მაშინაც კი ვმოქმედებთ, სხვადასხვა ოთახში როცა ვართ?

ოთახში მეტად ბნელოდა და მისი სახის გამომეტყველებას ვერ ვარჩევდი, მაგრამ დაძაბული სილუეტი კარის ღიობში მიანიშნებდა, რომ ერთი სული ჰქონდა, გაფრენილიყო. ანას გაქცეოდა, ანას, საწოლზე რომ წამომჯდარა, - გულისამრევს, შიშველს. შოკირებული ბიჭის ხმით მომიგო:

- უკაცრავად, მაგრამ რამე მაინც მოისხი.

ვკითხე:

- გაიგე, რა გითხარი?

რადგან ვერ გაიგო. მეუბნება:

- ანა, ხომ გითხარი, ასე ნუ ზიხარ.

- და როგორ გგონია, რა არის ის, რაც ჩვენნაირ ადამიანებს აიძულებს ყველაფერი თვითონ გამოცადონ? ჩვენ რაღაც გვაიძულებს ვიყოთ იმდენად განსხვავებული რაღაცები თუ ვიღაცები, რამდენადაც კი საერთოდ შესაძლებელია.

ამჯერად გაიგონა და მითხრა:

- არ ვიცი. ამას შეგნებულად კი არ ვაკეთებ, უბრალოდ ასეთი ვარ.

ვეუბნები:

- არც მე ვაკეთებ. ამისკენ თითქოს რაღაცას მივყავარ. როგორ გგონია, ადამიანები ადრეც იტანჯებოდნენ იმის გამო, რომ საკუთარი გამოცდილებით რაღაც არ იცოდნენ? თუ მხოლოდ ჩვენ ვართ ასეთები?

მოღუშულმა ჩაილაპარაკა:

- ლედი, ეს მე არ ვიცი და არც მაინტერესებს, მე მხოლოდ ის მინდა, ამ ყველაფრისგან გამათავისუფლონ.

მერე დაუმატა, მეგობრულად, ზიზღის გარეშე:

- ანა, ხვდები, რომ აქ საოცრად ცივა? ავად გახდები, თუკი რამეს არ მოისხამ. მე მივდივარ.

წავიდა. სანამ კიბეზე ჩადიოდა, მასთან ერთად საკუთარი თავისადმი ზიზღის გრძნობა გამდიოდა. ვიჯექი და ჩემი სხეულისგან სიამოვნებას ვიღებდი. კანის მომცრო მშრალი ადგილები თეძოების შიდა მხარეს, სიბერის პირველი ნიშნებიც კი მახარებდა. ვფიქრობდი: „კი, ასეც უნდა იყოს, ცხოვრებაში იმდენი ბედნიერება განმიცდია, რომ სიბერე ვერ შემაშინებს“. მაგრამ სანამ ამას ჩემს თავს ვეუბნებოდი, სიმშვიდისა და უსაფრთხოების გრძნობა ნელ-ნელა მიქრებოდა. ზიზღი ისევ მომიბრუნდა. დიდი ოთახის შუაგულში ვიდექი, შიშველი, სამი წყაროდან მოსულ სითბოს უფლებას ვაძლევდი ჩემი ტანი გაეთბო, და ვფიქრობდი, ეს აზრი თავისებური გამონათება გახლდათ - ხდება ხოლმე, რომ რაღაც დიდი ხანია იცი, მაგრამ დიდხანს ვერ აცნობიერებ, - მეგონა, რომ ადამიანში გონების სიჯანსაღე სწორედ ასეთ რაღაცებზეა დამოკიდებული: მან სიამოვნება უნდა მიიღოს, როდესაც შიშველი ტერფებით იატაკზე დაგებული ნოხის ხაოიან ზედაპირს გრძნობს, სიამოვნებას იღებს, როდესაც მის კანს ალის მაცოცხლებელი სითბო ეხება და ათბობს, როდესაც წელში გამართული დგას და გრძნობს, რომ ძვლები მის სხეულში მწყობრად მოძრაობენ. მაგრამ თუკი ყველა ეს შეგრძნება ქრება, მას უქრება იმის რწმენაც, რომ ცხოვრება ღირს. მე კი ჩამოთვლილთაგან ვერაფერს ვგრძნობდი. ნოხის სქელი მატერია რაღაც მკვდარი, გადამუშავებული სუბსტანციაა; ჩემი სხეული - გამხდარი, მჭლე, ეკლიანი, მზის შუქის უნახავი ბოსტნეულია, ჩემი თმა კი, როცა

შევეხე, უსიცოცხლო მომეჩვენა. ვგრძნობდი, რომ იატაკი ფეხქვეშ ყალყზე მიდგებოდა. კედლებს სიმკვრივე ეკარგებოდა. ვიცოდი, რომ სხვა განზომილებაში ვმოძრაობდი: უფრო და უფრო ვშორდებოდი საღ აზროვნებას, ჯანმრთელობას, ვიდრე ოდესმე დავშორებივარ. ვიცოდი, საწოლამდე რაც შეიძლებოდა სწრაფად უნდა მივსულიყავი, ნაბიჯს ვერ ვადგამდი, ამიტომ ოთხზე დავდექი და გავხოხდი, ლოგინში შევძვერი, ჩავიფუთნე. თუმცა მაინც დაუცველი დავრჩი. ვიწექი და ვიხსენებდი ანას, რომელსაც შეუძლია სიზმრები საკუთარი ნება-სურვილით გამოიწვიოს, რომელიც აკონტროლებს დროს და სიზმრების წყალქვეშა სამყაროში თავისუფლად შეუძლია იმოძრაოს, თავი ისე იგრძნოს, როგორც საკუთარ სახლში. მაგრამ მე არ ვიყავი ის ანა. სინათლის ლაქები ჭერზე დიდ, ძალზე დაკვირვებულ თვალებად იქცნენ, ცხოველის თვალებად, რომელიც დაჟინებით დამყურებს. ეს იყო ვეფხვი, რომელიც ჭერზე განრთხმულიყო, მე კი ვიყავი ბავშვი, რომელმაც იცის, რომ ოთახში ვეფხვია, იცის, მიუხედავად იმისა, რომ გონება ეუბნება, არავინ არ არისო. ჩემი სამფანჯრიანი კედლის მიღმა ცივი ქარი ზუზუნებდა, ფანჯრის მინას ეხლებოდა, აზანზარებდა, ფარდები კი სულ უფრო და უფრო თხელი და გამჭვირვალე ხდებოდნენ ზამთრის შუქის გამო, მათში რომ ჟონავდა. ეს უკვე ფარდები კი აღარ იყო, არამედ მყრალი ხორცის ნაგლეჯები, ნადირმა რომ დატოვა. მივხვდი, რომ გალიაში ვარ ჩამწყვდეული, სადაც მას შემოსვლა შეუძლია, როცა კი მოისურვებს. გული მერეოდა გახრწნილი ხორცის სიმყრალისგან, ვეფხვის საზიზღარი სუნისა და შიშისგან. ძლიერ მაზიდებდა, მაგრამ მაინც ჩამეძინა.

ეს იყო სიზმარი, რომელსაც მხოლოდ ავადმყოფობისას ვხედავდი ხოლმე: ძალზე არასაიმედო, ბუნდოვანი, თითქოსდა

იმის მსგავსი, როდესაც წყლის ზედაპირთან ხარ, თითქმის ამოყვინთე, ნამდვილი სიზმარი კი წყლის უძირო სიღრმეში იმალება, შენს ქვემოთ. ამიტომ ვხვდებოდი, რომ საწოლში ვიწექი, ვაცნობიერებდი, რომ მეძინა, ამავე დროს საღი აზროვნების უნარს ვინარჩუნებდი. თუმცა ეს სხვაგვარად იყო, ვიდრე მაშინ, როდესაც ანას გვერდით ვიდექი, სიზმარში, და ვუყურებდი მას, მძინარეს, გვერდიდან, ვუყურებდი, როგორ იხრებოდნენ მისკენ, მასში სურდათ შეღწევა. ჩემს თავს ვინარჩუნებდი, მაგრამ იმავდროულად გვერდიდან ვაკვირდებოდი იმას, თუ რას ვფიქრობდი და რას ვხედავდი ძილში, ესე იგი, იყო კიდევ ვიღაც, პიროვნება, რომელიც მძინარე ანასგან განცალკევებული გახლდათ, მაგრამ ვინ იყო ის, - არ ვიცოდი. ვიღაც, ვინც ცდილობდა არ დაეშვა ანას სრული დაშლა.

მაშინ, როდესაც მე ჯერ კიდევ ამ სიზმარ-წყალზე ვიწექი და მასში ჩაყვინთვას ძალზე ნელა ვიწყებდი, ამ კაცმა მითხრა: „ანა, შენ ღალატობ ყველაფერს, რისიც გჯერა, შენ იძირები სუბიექტურში, საკუთარ თავში, საკუთარ მოთხოვნილებებში“. მაგრამ ანა, რომელსაც სურდა ბნელ სიღრმეში ჩაშვება, არ ეპასუხებოდა. სრულიად მშვიდმა, განყენებულმა კაცმა უთხრა: „შენ ყოველთვის მიგაჩნდა, რომ ძლიერი ხარ. მაგრამ ის მამაკაცი შენზე ათასჯერ მამაცია, - ის ამას ებრძვის უკვე მრავალი ათასი წელია, შენ კი, რამდენიმე კვირის შემდეგ, უკვე მზადა ხარ დაყარო ფარხმალი“. მაგრამ მძინარე ანა წყალქვეშ ახალი ჩასული იყო, წყალში ირწეოდა, კიდევ უნდოდა ჩაშვება, ბნელ სიღრმეებში. კაცმა, რომელიც აფრთხილებდა, უთხრა: „იბრძოლე. იბრძოლე. იბრძოლე“. წყალქვეშ ვიყავი, ვირწეოდი, და ხმა მიწყდა, და მივხვდი, რომ ჩემს ქვეშ სიღრმე საშიში გახდა, იქ უამრავი მონსტრი, ნიანგი და სრულიად წარმოუდგენელი არსება იმალებო-

და, ძველთაძველნი და ძლევამოსილნი. მაგრამ სწორედ ეს საშიშროება მიზიდავდა სიღრმეში, სწორედ ეს მსურდა. მერე წყლის დამარეტიანებლად მძიმე მასის ქვეშ მყოფმა გავარჩიე ხმა: „იბრძოლე. იბრძოლე“. მივხვდი, რომ იქ, სადაც ვარ, სრულიად არაა სიღრმე, მხოლოდ სიბინძურით სავსე დამყაყებული წყლის თხელი ფენაა გალიის ფსკერზე. ჩემს თავზე, გალიის თავზე, ვეფხვი განრთხმულიყო. ხმამ მითხრა: „ანა, შენ იცი ფრენა. გაფრინდი“. ამიტომ ნელ-ნელა, მთვრალივით, მყრალ წუმპეში წამოვიწიე, მუხლებზე დავდექი, მერე ფეხზე წამოვდექი და აფრენა ვცადე, ფეხებს ჰაერში ვამოძრავებდი, ვაბიჯებდი, ვცდილობდი ფეხი მეკრა ჰაერისთვის. ეს იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ კინაღამ გული წამივიდა, ჰაერი მეტისმეტად გაიშვიათებული, თხევადი იყო. ვერ მიჭერდა. მაგრამ გამახსენდა, წინათ როგორ დავფრინავდი და წარმოუდგენელი ძალისხმევით, ყოველი ნაბიჯისთვის ბრძოლით, ავიწიე და გალიის ზედა გისოსებს მოვეჭიდე, რომლებზეც ვეფხვი იწვა. მისი მყრალი სუნთქვა მახრჩობდა. მაგრამ გისოსებს შორის გავძვერი და მის გვერდით დავდექი. ვეფხვი მშვიდად იწვა და მიყურებდა, სიბნელეში მომწვანო თვალებს ახამხამებდა. ჩემს ზემოთ შენობის სახურავი იყო, ფეხი ისევ უნდა მეკრა ჰაერისთვის და მასზე ავსულიყავი. და მე ვიბრძოდი, ისევ ვიბრძოდი, და ნელა და თანდათანობით ავედი ჰაერში, სახურავი გაქრა. ვეფხვი უდრტვინველად გაშოტილიყო პატარა და უსარგებლო გალიაზე, თვალებს ახამხამებდა, თათს ჩემკენ იშვერდა, ჩემს ფეხებს ოდნავ ეხებოდა. მივხვდი, ვეფხვისა არ უნდა მშინებოდა. ლამაზი, ნაპატივები ცხოველი გახლდათ, გაშხლართული იწვა, მთვარის თბილ შუქზე ნებივრობდა. ვეფხვს ვუთხარი: „ეს შენი გალიაა“. არ განძრეულა. მხოლოდ დაამთქნარა, ქათქათა, ჩაწიკწიკებული კბი-

ლები გამოაჩინა. მერე ხმაური გაისმა, ადამიანები ვეფხვის დასაჭერად მოდიოდნენ. დაიჭერენ და გალიაში ჩასვამენ. ვუთხარი: „გაიქეცი, ჩქარა გაიქეცი“. ვეფხვი წამოდგა, კუდს სცემდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა. ახლა მას შიშის უსიამო სუნი სდიოდა. როცა ადამიანების ლაპარაკი და ფეხის ხმა შემოესმა, შიშისგან გაგიჟებულმა წინამხარზე დამკრა თათი. სისხლი წამომივიდა. ვეფხვი კი გალიიდან ჩასხლტა, ქვაფენილზე მსუბუქად დახტა და მოკურცხლა, სახლებს მოეფარა. შემოწოლილი სევდისგან ავტირდი, ვიცოდი, რომ ადამიანები დაიჭერენ ვეფხვს და გალიაში ჩასვამენ. უცებ შევნიშნე, რომ მკლავზე სისხლი აღარა მაქვს, იარა შემიხორცდა. მეცოდებოდა, ვტიროდი, ვიმეორებდი: „ვეფხვი საულია, არ მინდა, დაიჭირონ, მინდა, ლაღად, თავისუფლად დაქროდეს“. მერე ჩემი ფანტაზია თუ სიზმარი გაილია, სიფრიფანა გახდა, თითქმის გამეღვიძა, თითქმის, მაგრამ ბოლომდე არა. ჩემს თავს ვუთხარი: „უნდა დავწერო პიესა ანაზე, საულსა და ვეფხვზე“. ჩემი გონების ნაწილი განაგრძობდა ფიქრს პიესაზე, პატარა გოგონა იატაკზე რომ ზის და კუბურებს ათამაშებს - უფრო მეტიც, პატარა გოგონასავით, რომელსაც უკრძალავენ ამ თამაშს, რადგან იცის, ეს ხრიკი, გაქცევაა, - ანას, საულისა და ვეფხვისგან ორნამენტების აწყობა - ეს მხოლოდ საბაბია, არ იფიქრო; არშიები იმისა, რასაც ანა, საული იტყვიან, გააკეთებენ, - ეს მხოლოდ ტკივილის ფორმებია, „პიესის“ სიუჟეტი იქნება ტკივილი, ეს კი მხოლოდ ხრიკია და გაქცევა. ამავე დროს ჩემი გონების იმ ნაწილით, რომელიც, ვიცოდი, მიუკერძოებელი ადამიანი იყო, სრული დაშლისგან რომ მიცავდა, სიზმრის გაკონტროლება დავიწყე. ეს მკაცრი კონტროლიორი დაჟინებით მოითხოვდა, გვერდზე გადამედო ფიქრი პიესაზე ვეფხვის შესახებ, შემეწყვიტა კუბურებისგან ორნამენტების აწყობა. მითხრა,

რომ ნაცვლად იმისა, რითიც ჩვეულებრივ ვარ დაკავებული, იმის ნაცვლად, ვიგონებდე ისტორიებს ცხოვრებაზე, ოღონდ კი პირდაპირ არ ვუყურებდე, წარსულში უნდა დავბრუნდე და ჩემი ცხოვრების მთელ რიგ ეპიზოდებს გადავხედო. ამ ჩემს ხედვაში, რომელიც უკან, წარსულში მიდიოდა, რაღაც სრულიად განსაცვიფრებელი იყო, თითქოს მწყემსად ვიქეცი, რომელიც ფარას ითვლის, ანდა უცებ გავხდი მსახიობი, რომელიც პიესის რეპეტიციას გადის. ვსინჯავდი, ხელახალ აღრიცხვას ვაწარმოებდი, ყველაფერს ხელით ვეხებოდი, რათა საგნების ნამდვილობასა და რეალობაში დავრწმუნებულიყავი. თავისი არსით ეს იგივე მოქმედება იყო, რასაც ბავშვობაში ვაკეთებდი, როდესაც ყოველღამ საზარელი კოშმარები მესიზმრებოდა: საღამოობით, ლოგინში მყოფი, სანამ დამეძინებოდა, გულდაგულ ვიხსენებდი ჩავლილ დღეს, ვეძებდი იმას, რაშიც, შესაძლოა, ჩაბუდებულიყო შიში, ყველაფერ იმას, რაც შეიძლებოდა ჩემს კოშმარში შემოსულიყო. მაშინ მიხდებოდა მრავალჯერ ჩამომეთვალა გონებაში ყოველივე საშიში, ამ ყოველივეს მკაფიოდ „ვარქმევდი სახელს“, თითქოს მტანჯველად დაუსრულებელ ექტენიას ვგალობდი ჩემთვის, ჩემი გონების ცნობიერი ნაწილი თითქოს ყოველღამ დეზინფექციას ატარებდა. თუმცა ახლა, სიზმარში, აღარ ვცდილობდი წარსულის მოვლენების გაუვნებლებას ზუსტი სახელების მინიჭებით, უბრალოდ მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ისინი იქ კიდევ არსებობენ. არადა, იმასაც ვხვდებოდი, რომ თუკი მათ იქ აღმოვაჩენდი, იძულებული გავხდებოდი მათთვის ახალი „სახელები დამერქმია“. აი, რატომ მაიძულებდა ჩემი კონტროლიორი წარსულში შებრუნებას. თავიდან მოვინახულე კომპანია, სადგურ „მაშოპიზე“ რომ იყო ევკალიპტების ქვეშ, სადაც მთვარის შუქს დაღვრილი ღვინის სურნელი ასდიოდა,

ფოთლის ღვარჭნილი ორნამენტი კი თეთრ ქვიშას ჩრდილებად ეფინებოდა. თუმცა თავისი არსით გულისშემძვრელი ნოსტალგია აღარ იგრძნობოდა, ყველაფერი ემოციებისგან, გრძნობებისგან დაცლილი გახლდათ, როგორც კინოფილმის აჩქარებული გაშვებისას. და მაინც მომიწია იმ კადრების ხელახლა ხილვამ, როდესაც ჯორჯ ჰუინსლოუ, ესოდენ მხარბეჭიანი, თავისი შავი ფურგონიდან გადმოდის, რელსების გვერდით რომ დგას ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, და მხრებში მოხრილი ჩვენკენ მოდის, მერიროუზსა და მე რომ შემოგვხედოს დამზაფრავად მოშიებული მზერით, მომიწია იმის მოსმენამ, ყურში თითქმის უხმოდ როგორ მიმღერის ვილი რამდენიმე ტაქტს ბრეხტის ოპერიდან, მომიწია იმის ნახვამ, პოლმა როგორი დამცინავი თავაზიანობით დაგვიკრა თავი მანამ, სანამ უკანასკნელად გაგვიღიმებდა და საძილე კორპუსისკენ გაემართებოდა, სიძველისგან დაშლილი გრანიტის კლდეების გვერდით რომ იდგა. აი, ჩვენც, სოფლის შარაზე მივდივართ, მას მივყვებით. გზაზე იდგა და გველოდებოდა, შემობრუნდა, იღიმებოდა მშვიდად და საზეიმოდ, თუმცა ჩვენ არ გვიყურებდა, - ადამიანების ჯგუფს, მის ზურგს უკან რომ მივბორიალობდით მზის გულზე, პაპანაქება სიცხეში, - არამედ სადღაც ზემოთ იცქირებოდა, „მაშოპის“ მხარეს. და ჩვენც ერთიმეორის მიყოლებით შევჩერდით და ყველამ გავიხედეთ, რომ გაგვეგო, რას უყურებდა. გეგონებოდა, სასტუმროს შენობა ციცქნა თეთრი ფრთების ანდა ყვავილის ფურცლების ღრუბელმა დაფარაო, მილიონობით თეთრმა პეპელამ ეს შენობა დროებით თავშესაფრად აირჩია, ცოტა ხნით მასზე დასვენება გადაწყვიტა. გეგონებოდა, ცის მხურვალე და უძირო სილურჯეში უზარმაზარი თეთრი ყვავილი იშლებაო. მერე მივხვდით, საშიშროება გვემუქრებოდა, მხედველობამ მოგვატყუა,

ბოროტად გაგვეხუმრა. წყალბადის ბომბის აფეთქებას ვუყურებთ და მისი თეთრი ყვავილი ნელა ფეთქდება ლურჯ ცაში უამრავი უზადოდ დაწყობილი ხვეულით. ნაოჭითა და ციცქნა მორევით, რომ ჩვენ, მონუსხულები, ვერ ვინძრევით, თუმცა კი გვესმის, რომ ის ჩვენთვის საშიშია. წარმოუდგენლად მშვენიერი იყო ეს, სიკვდილის ხილული ფორმა, ვიდექით და ვჭვრეტდით სრულ სიჩუმეში, სანამ სიჩუმე არ მოიცვა ნელ-ნელა შემოპარულმა ხმამ, - მცოცავმა, ნერვების ამშლელმა, ტკაცან-შრაშუნა ხმამ. დავიხედეთ და დავინახეთ კალიები, - შმაგი, ხვავრიელი, მოფუთფუთე მასა, მათი ნაყოფიერი ფენა, რომელიც რამდენიმე დუიმზე გვიფარავდა ფეხებს. უხილავმა კინომექანიკოსმა უეცრად გაწყვიტა ამ ეპიზოდის ჩვენება, თითქოს მითხრა: „კარგი, გეყოფა, ისედაც იცი, აქ რა არის“. და ეგრევე ჩართო ფილმის შემდეგი ნაწილი. ამჯერად ფილმს ნელა უშვებდა, ფირი დაზიანებული აღმოჩნდა, რამდენჯერმე იძულებული გახდა, ფირი უკან გადაეხვია და ზოგიერთი ეპიზოდი ხელახლა ეჩვენებინა. ფილმი ბუნდოვანი, უხარისხოდ იყო გადაღებული. ორი ადამიანი, რომლებიც სინამდვილეში ერთ ადამიანს წარმოადგენდნენ, ოღონდ ორად გაყოფილს, ეჯიბრებოდა ერთმანეთს ნებისყოფის მდუმარე ორთაბრძოლაში. ერთი იყო პოლ ტენერი, მუშათა ფენიდან, ექიმი რომ გახდა, ადამიანი, რომლის მშრალი, კრიტიკული ირონია ის თვისება იყო, რომელიც გადარჩენისათვის ბრძოლაში შველოდა და რომელიც, ამავე დროს, მის იდეალიზმს მუდმივად ძირს უთხრიდა, და ბოლოს, მოუსპო კიდეც. მეორე კი მაიკლი იყო, ევროპიდან ლტოლვილი. როდესაც, საბოლოოდ, ეს ორი ფიგურა ერთმანეთს შეერწყა, ახალი ადამიანი გამოვიდა. დავინახე, როგორ მოხდა ეს: ადამიანური არსების ფორმა, ყალიბი, დამზადებული იმისთვის, რომ დაიტიოს

მაიკლისა და პოლ ტენერის პიროვნებები, უეცრად თითქოს ამოიბერა, შეიცვალა, თითქოს მოქანდაკემ, რომელიც ამ მასალაზე შიგნიდან მუშაობდა, უცებ ქანდაკების ფორმის შეცვლა დაიწყო. საკუთარი თეძოებით, მხრებით აწვებოდა იმ სუბსტანციას, რომელიც წინათ პოლი და მაიკლი იყო. ეს ახალშექმნილი ადამიანი უფრო დიდი გამოვიდა, უფრო ძლიერი, მასში იყო რაღაც ჰეროიკული, მონუმენტური, მაგრამ უპირველესად მასში იგრძნობოდა ძალა. მერე ალაპარაკდა და ჯერ გავიგონე ჩუმი, რეალური ხმა, რომელიც მალევე ჩაიკარგა, შთაინთქა ახალ, ძლიერ ხმაში: „მაგრამ, ძვირფასო ანა, ჩვენ სულაც არა ვართ ისეთი უმაქნისები, როგორც გვგონია ხოლმე. მთელი ცხოვრება ვიბრძვით იმისთვის, რომ ადამიანები არ იყვნენ ესოდენ ჩლუნგები, როგორიც ვართ ყველანი, ოდნავ მაინც დაჭკვიანდნენ და აითვისონ ის ჭეშმარიტებები, რაც დიდი ადამიანებისთვის ოდითგანვე ცნობილია. დიდმა ადამიანებმა ეს ყოველთვის იცოდნენ, უკვე ათი ათასი წელია უწყიან, რომ თუ ადამიანს საკანში მარტოდმარტო ჩაამწყვდევ, შეიძლება შეიშალოს ანდა ცხოველს დაემსგავსოს. მათ ყოველთვის იცოდნენ, რომ ღარიბი კაცი, რომელსაც ეშინია პოლიციისა და სახლის მეპატრონისა, თავისი არსით მონაა. ყოველთვის იცოდნენ, რომ შეშინებული ადამიანები ყოველთვის სასტიკები არიან. იცოდნენ, რომ ძალადობა მხოლოდ ძალადობას შობს. ეს ჩვენც ვიცით. მაგრამ იციან კი ეს მასებმა მსოფლიოს მასშტაბით? არა. ჩვენი ამოცანაა ეს გავაგებინოთ. რადგან დიდ ადამიანებს ვერ შევაწუხებთ. მათი გონება უკვე ვენერას ათვისებაზე მუშაობს, მათი წარმოსახვა უკვე დაკავებულია ისეთი საზოგადოების წარმოდგენით, რომელშიც თავისუფალი და კეთილშობილი ადამიანები ცხოვრობენ. ამ დროს კი ადამიანთა მასები მათ ათი ათასი წლით ჩამორჩნენ,

საკუთარი შიშის ტყვეობაში არიან, ისე, თითქოს ციხის საკანში. დიდ ადამიანებს ვერ შევაწუხებთ. ისინი მართლები არიან. რადგან იციან, რომ ჩვენ ვარსებობთ, ვინც ლოდებს მიაგორებს აღმართში. იციან, რომ ჩვენ მუდმივად ავაგორებთ ლოდებს აღმართში, უზომოდ მაღალი მთის მისადგომზე, სანამ ისინი, უკვე თავისუფალნი, მწვერვალზე დგანან და გველიან. მთელი ჩვენი ცხოვრება მე და შენ, ჩვენ, მთელი ჩვენი ძალითა და უნარით ვეცდებით, რომ ლოდი ერთი მტკავლით მაინც ავაგოროთ მაღლა, მწვერვალს მივუახლოოთ. და მათ ჩვენი იმედი აქვთ. მართლებიც არიან, აი, რატომაა, რომ, ბოლოს და ბოლოს, არც ჩვენა ვართ უმაქნისები". ხმა მიწყდა, თუმცა ფილმი უკვე შეიცვალა. ახალი ფილმი სასხვათაშორისოდ, უგულისყუროდ იყო გადაღებული. ეპიზოდები ერთიმეორეს სწრაფად ცვლიდნენ, გამოჩნდებოდნენ და წამსვე ქრებოდნენ, და ვიცოდი, რომ ეს მოკლე „ვიზიტები" წარსულში, მოწოდებულია, შემახსენოს, რომ მე მომიწევს იქ დაბრუნება და შემდგომი მუშაობა. პოლ ტენერი და ელა, მაიკლი და ანა, ჯულია და ელა, მოლი და ანა, ტკბილი დედილო, ტომი, რიჩარდი, დოქტორი ვესტი - ყველა ეს ადამიანი, აჩქარებული ჩვენებით სახეცვლილი, გაიელვებდნენ და უმალ ქრებოდნენ. მერე კი ჩვენება შეწყდა, უფრო სწორად, როგორღაც თანდათანობით აირია იმის გამო, რომ კადრი ფოკუსში აღარ იყო. და ჩამოწოლილ სიჩუმეში კინომექანიკოსმა ისროლა ფრაზა (მისმა ხმამ გამაოგნა, ეს ახალი ხმა იყო, მეტად თვითკმაყოფილი და პრაქტიკული, დამცინავი, საღი აზრის პაროდიას რომ აკეთებდა). „რატომ გგონია, რომ შენ მიერ დასმული აქცენტები, მართებული აქცენტებია?" სიტყვა „მართებული" თქვა ცხვირში, პაროდიულად. ეს მარქსიზმის ბოსტანში ნასროლი კენჭი იყო, დაცინვა იქიდან ნასესხები ჟარგონული გამოთქმისა - „მართე-

ბული“. ასევე, სკოლის მასწავლებლის ქედმაღლობამ გაიჟღერა, გავიგონე თუ არა ეს სიტყვა, „მართებული“, ეგრევე გულზიდვა დამეწყო, კარგად ვიცოდი, ასე მაზიდებდა ხოლმე, როდესაც გადავიღლებოდი, როდესაც ვცდილობ, გავაფართოო ჩემი შესაძლებლობების არე უფრო მეტად, ვიდრე ეს შესაძლებელია. გული მერეოდა, ხმამ გაიმეორა: „რატომ გგონია, რომ შენ მიერ დასმული აქცენტები, მართებული აქცენტებია?“ კინომექანიკოსმა იმავე ფილმის ჩვენება განაახლა, უფრო სწორად, იმავე ფილმების, რადგან რამდენიმე ფილმი იყო, ეკრანზე კადრები ელვისებური სისწრაფით ცვლიდა ერთმანეთს, მაგრამ მე როგორღაც მაინც ვახერხებდი ერთიმეორისგან მათ გარჩევას და ვასწრებდი „სახელის დარქმევას“. ფილმი სასტუმრო „მაშოპიზე“, ფილმი ელასა და პოლზე, ფილმი მაიკლსა და ანაზე, ფილმი ელასა და ჯულიაზე, ფილმი ანასა და მოლიზე. ყველა ეს ფილმი, როგორც ახლა ამას ვხედავდი, კარგად იყო გადაღებული, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, თითქოს კარგ პროფესიულ კინოსტუდიაში. მერე მაჩვენეს ტიტრები: აღმოჩნდა, რომ ყველა ამ ფილმის რეჟისორი მე ვარ, ფილმებისა, სადაც თავმოყრილი გახლდათ ყველაფერი, რაც კი მძულდა. კინომექანიკოსი ფილმებს ისევ ძალზე სწრაფად ატრიალებდა, მაგრამ ყოველ ჯერზე ანელებდა, როდესაც ტიტრები გამოჩნდებოდა და ყოველ ჯერზე მესმოდა მისი დამცინავი ჩაქირქილება, როცა კი დაიწერებოდა: „რეჟისორი ანა ვულფი“. მერე კიდევ რამდენიმე სცენა მაჩვენა და ყოველი მათგანი ყალბი, ხელოვნური, ჩლუნგი იყო. კინომექანიკოსს ვუყვირე: „ეს ჩემი არაა, მე ეს არ გამიკეთებია“. ამის საპასუხოდ კინომექანიკოსმა ჩვენება შეაჩერა, ლამის მთქნარება აუტყდა თავისი უცდომელობისა და სისწორის შეგრძნებისაგან, უნდოდა მოესმინა, ამას როგორ დავამტკიცებდი. და ეს სა-

შინელება იყო, რადგან ჩემ წინაშე წარმოუდგენლად რთული ამოცანა დადგა, მე უნდა წარმომესახა წესრიგი იმ ქაოსიდან, ჩემი ცხოვრება რომ იქცა. დრომ არსებობა შეწყვიტა, მეხსიერება დამეკარგა, ვეღარ ვარკვევდი, რა გამოვიგონე და რა ვიცოდი სინამდვილეში, ვხვდებოდი, რომ ყველაფერი, რაც გამოვიგონე, ყალბია. ეს იყო მორევი, ჭავლი, რაღაც უწესრიგო, გიჟური როკვა, როგორც პეპლების ცეკვა მზის სიმხურვალეში ქვიშიანი, ნოტიო ვლეის თავზე. კინომექანიკოსი კიდევ მელოდებოდა, სარდონიკულად განწყობილი. მისმა აზრებმა ჩემს გონებაში შემოაღწია. მას ეგონა, რომ მასალას იმას ვუსადაგებდი, რაც ვიცი და მესმის, აი, რატომ გამოდის ყველაფერი ასეთი ყალბი. უეცრად ხმამაღლა თქვა: „როგორ დაინახავდა იმ დროებას ჯუნ ბუთბი? მოდი, დავნაძლევდეთ, რომ ვერ შექმნი ჯუნს“. უცებ ავლაპარაკდი, თითქოს სიტყვების ნაკადმა ამოხეთქა, რომელსაც ვეღარ ვაჩერებდი, ცხარე ცრემლით ვტიროდი, მწარე დაუკმაყოფილებლობის გამო, რადგან ჩემგან მოდიოდა ტექსტი, რომელიც, გეგონებოდა, აღებული იყო ყველაზე მდარე, უგემოვნო ქალთა ჟურნალიდან, მაგრამ რაც განსაკუთრებით მაშფოთებდა, ის იყო, რომ მთელი ეს მანერულობა ძალზე მცირე შესწორებების გამო იქმნებოდა, რაც მე თვითონ შემქონდა ჩემივე სტილში, აქა-იქ თითო სიტყვას ვამატებდი ან ვაკლებდი: „ჯუნი, ქალიშვილი, რომელიც ეს-ესაა თექვსმეტი წლისა შესრულდა, ვერანდაზე შეზლონგში იწვა და გზას გაჰყურებდა გაჩახჩახებული მზის შუქზე. იცოდა, ცოტაც და, რაღაც მოხდებოდა. როდესაც მის ზურგს უკან ოთახში გამოჩნდა დედამისი და უთხრა: „ჯუნ, წამოდი ოტელში, დამეხმარე“, - ჯუნი არ განძრეულა. დედამისი ცოტა ხანი ელოდა, მაგრამ მერე უხმოდ გატრიალდა და წავიდა. ჯუნი დარწმუნებული იყო, რომ დედამისმაც იცოდა. გაიფიქრა: „საყ-

ვარელო დედიკო, შენ გესმის, რასაც განვიცდი“. და, აი, სწორედ მაშინ მოხდა, - სასტუმროს გვერდით, ავტოგასამართ სადგურთან, შეჩერდა სატვირთო, მანქანიდან ის ჩამოვიდა. ჯუნმა ამოისუნთქა და წამოდგა, არ ჩქარობდა. მერე კი, თითქოს რაღაც გარეშე ძალა აიძულებდა, სახლიდან გავიდა და ნელი ნაბიჯით სასტუმროსკენ გაემართა, იმ ბილიკით, რომელზეც ცოტა ხნის წინ დედამისმა გაიარა. ავტოგასამართთან მდგარმა ჯეელმა თითქოს იგრძნო, მოდისო. მობრუნდა. მათი მზერა გადაიკვეთა“... კინომექანიკოსის სიცილი გავიგონე. სიამოვნებდა, რომ გაჩუმებას ვერ ვახერხებდი, ვლაპარაკობდი და ვლაპარაკობდი და ამის გამო პირდაპირ სადისტურ აღტაცებას განიცდიდა. „გეუბნებოდი, - თქვა მან და ხელი ასწია, კინოს ჩვენება რომ გაეგრძელებინა, - გეუბნებოდი, ვერ შეძლებ-მეთქი“. გამეღვიძა, ოთახის დახუთულ სიბნელეს დავუბრუნდი, მოციმციმე ცეცხლის სამი წყარო რომ ანათებდა. ძილმა გამასავათა. იმავე წამს მივხვდი, რომ გამეღვიძა, რადგან საული ისევ სახლში იყო. არანაირი ხმა არ ისმოდა, თუმცა მის იქ ყოფნას ვგრძნობდი. ისიც კი ვიცოდი, სად იყო, კარს უკან იდგა, კიბის ბაქანზე. კიდეც შემეძლო დამენახა: დაძაბულ პოზაშია, ყოყმანობს, ტუჩს იწიწკნის, ვერ გადაუწყვეტია, ღირს თუ არა ჩემთან შემოსვლა.

გავძახე:

- საულ, არ მძინავს.

შემოვიდა, ნაძალადევად უდარდელი ხმით მითხრა:

- ჰაი, მეგონა, გეძინა.

მივხვდი, ის იყო ჩემი სიზმრის კინომექანიკოსი. ვუთხარი:

- იცი, შენ ჩემი სინდისის მსგავსი რაღაც გახდი, თუ ჩემი შინაგანი კრიტიკოსი. ეს-ესაა სიზმარში გნახე.

გამჭოლად, ცივად გამომხედა, დიდხანს მიყურა. მერე ჩაილაპარაკა:

- მე თუ შენი სინდისი გავხდი, ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა, ჩემი სინდისი შენ ხარ.

მივუგე:

- საულ, ჩვენ ძალიან ცუდად ვმოქმედებთ ერთმანეთზე.

კინაღამ მითხრა: „შესაძლოა, მე შენზე ცუდად ვმოქმედებ, მაგრამ შენ ჩემზე - კარგად“, რადგან სახეზე განზრახ ჭირვეული და, ამავე დროს, ქედმაღლური გამომეტყველება გაუჩნდა, რომელსაც ნიღაბივით იყენებდა, როცა ასეთ რაღაცას მეუბნებოდა ხოლმე.

- შენ ამას ბოლო უნდა მოუღო. მე თვითონ უნდა გამეკეთებინა ეს, მაგრამ ძალა არ მყოფნის. გავაცნობიერე, რომ შენ ჩემზე გაცილებით ძლიერი ხარ. წინათ მეგონა, პირიქით იყო.

ვხედავდი, როგორ გადაურბინა სახეზე მრისხანებამ, ზიზღმა, ეჭვმა. თვალები მოჭუტა, ალმაცერად გამომხედა. ვიცოდი, ახლა შემებრძოლებოდა იმ პიროვნების სახელით, რომელიც შემიძულებდა იმის გამო, რომ რაღაცას ვართმევდი. ისიც ვიცოდი, როდესაც ისევ დაუბრუნდებოდა „თავის თავს“, დაფიქრდებოდა იმაზე, თუ რა ვუთხარი, და რადგან მაინც პასუხისმგებლობიანი ადამიანია, მაინც გააკეთებდა იმას, რასაც ვთხოვდი.

მანამდე კი დაღვრემილმა მომიგო:

- ესე იგი, გინდა მომისროლო.

- მე ეს არ მითქვამს, - პასუხისმგებლობიან ადამიანს მივმართე.

- მე შენს დადგენილ წესებს არ ვიცავ და ამიტომაც გინდა მომისროლო.

ისე, რომ ვერ გავაცნობიერე, თუ რას ვაკეთებდი, წამოვჯექი და ავყვირდი:

- ღმერთო ჩემო, მორჩი, მორჩი, მორჩი, მორჩი!

თავი უკან გადააგდო, ეს ინსტინქტურად გააკეთა. მივხვდი, რომ მისთვის ქალი, რომელიც ისტერიულად ყვირის, ნიშნავს, რომ ახლა დაარტყამენ. გამიელვა. რა საოცარია, საერთოდ რომ ერთად ვართ, ესოდენ ახლობლები რომ გავხდით ერთმანეთისთვის, მე ხომ არავისთვის არასოდეს დამირტყამს ხელი. კიდეც დაიხია უკან, ზედ საწოლის კიდესთან, წამოსახტომად და გასაქცევად მზად იყო, - უნდა გაქცეოდა ქალს, რომელიც კიოდა და სცემდა. ვუთხარი, ოღონდ უკვე ისტერიკის გარეშე, უბრალოდ, ტირილით:

- როგორ ვერ ხედავ, რომ ესაა ციკლი, რომელსაც კვლავ და კვლავ გავდივართ?

სახე მტრული გრძნობებისგან ჩაუმუქდა, ვიცოდი, იბრძოლებდა იმისთვის, აქედან რომ არ წასულიყო. გვერდზე გავიხედე, ვცდილობდი, გულზიდვას მოვრეოდი. ვუთხარი:

- ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც მოგიწევს აქედან წასვლა, როცა ჯენეტი დაბრუნდება.

არ ვიცოდი, ამის თქმას თუ ვაპირებდი, ისიც კი არ ვიცოდი, ასე თუ ვფიქრობდი. ვიწექი და საკუთარ ნათქვამს ვაანალიზებდი. რასაკვირველია, ეს სიმართლე გახლდათ.

- რას გულისხმობ? - ინტერესით, ყოველგვარი მტრობის გარეშე მკითხა.

- ვაჟიშვილი რომ მყოლოდა, დარჩებოდი. საკუთარ თავს მასთან გააიგივებდი. ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით, სანამ ამას არ ამოწურავდი, ამას ბოლომდე არ გაივლიდი. მაგ-

რამ რადგან ჩემი შვილი გოგონაა, შენ წახვალ, რადგან ჩვენში ორ ქალს, ორ მტერს დაინახავ.

თავი აუჩქარებლად დამიქნია. გავაგრძელე:

- რა უცნაურია, გარდაუვალობაზე, განგებასა და ბედისწერაზე მუდმივად ვფიქრობ. მაგრამ ეს წმინდა წყლის შემთხვევითობაა, რომ გოგო გამიჩნდა და არა ბიჭი. წმინდა წყლის შემთხვევითობა. ამიტომ შემთხვევაა ისიც, რომ აქედან წახვალ. და ეს შეცვლის ჩემს ცხოვრებას. სრულიად შეცვლის.

შვება ვიგრძენი, ჩემი გალიის კარი ოდნავ გაიღო, როდესაც შემთხვევითობას ჩავეჭიდე, როგორც ახსნას. ვთქვი:

- რა საოცარია, შვილის გაჩენა აიძულებს ქალს იგრძნოს, რომ მან რაღაც გარდაუვალი, საბედისწერო ცვლილებების სფეროში შეაბიჯა. თუმცა თვით იმ მოვლენის გულისგულში, რომელიც ცხოვრებაში ყველაზე მეტად გვბოჭავს, არის რაღაც, რაც თავისი არსით წმინდა წყლის შემთხვევითობაა.

ალმაცერად მიმზერდა, დაკვირვებით, თანაც მტრულად კი არა, სიყვარულით. ვუთხარი:

- ბოლოს და ბოლოს, ამქვეყნად ვერავინ დაინახავდა შემთხვევითობის გარდა ვერაფერს იმაში, რომ გოგო გამიჩნდა და არა ბიჭი. წარმოიდგინე, საულ, მე რომ ბიჭი მყოლოდა, მე და შენ დაგვეწყებოდა, როგორც თქვენ, იანკი, ამას უწოდებთ, „ურთიერთობა“. ხანგრძლივი ურთიერთობა. რაც ნებისმიერ რაღაცაში შეიძლებოდა გადაზრდილიყო.

მშვიდად მითხრა:

- ანა, მართლა ასე ცუდად ხარ ჩემთან?

ვუპასუხე - მისი დაღვრემილობის საფირმო ინტონაცია ზუსტად განვასახიერე - მისგან ნასესხები იმ მომენტში, როდესაც თვითონ იგი, ასე ვთქვათ, არ იყენებდა მას, რადგან ახლა

საული იუმორისტულ განწყობაზე გახლდათ, რბილი იყო და ალერსიანი:

- შემლოცველებსა და მჩხიბავებთან დრო უქმად მექნებოდა დაკარგული, ის მაინც რომ ვერ გამეცნობიერებინა, შენთან კი არა ვარ ცუდად, არამედ საკუთარ თავთან.

- დავანებოთ თავი მჩხიბავებს, - თქვა საულმა, ხელი მხარზე დამადო. იღიმოდა, თანამიგრძნობდა. ამწამს სრულიად აქ იყო, თავის თავს წარმოადგენდა, კარგ ადამიანს. და მაინც, მისი სახის გამომეტყველების მიღმა, სადღაც შორს, უკვე ვამჩნევდი ბნელ ძალას, რომელიც თვალებში უბრუნდებოდა. თავის თავს ებრძოდა. ამ ბრძოლაში ამოვიცანი ის ბრძოლა, რომელსაც სიზმარში ვეწეოდი, როცა გასაქანს არ ვაძლევდი უცხო პიროვნებებს, რომლებსაც ჩემში უნდოდათ შემოღწევა. ეს ბრძოლა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ გაირინდა, თვალდახუჭული იჯდა, შუბლზე ოფლმა დაასხა. ხელზე ხელი დავადე, მომეჭიდა, იმეორებდა:

- ანა, ყველაფერია ო'კეი. ო'კეი. ო'კეი. ნუ ღელავ. მენდე.

აი, ასე ხელჩაკიდებული ვისხედით საწოლზე. მერე შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, მაკოცა, მითხრა:

- ფირფიტა ჩართე, ჯაზი.

ადრეული არმსტრონგი ჩავრთე. იატაკზე დავჯექი. დიდი ოთახი მთელი სამყაროსავით იყო, თავისი გალიებით, მოციმციმე ცეცხლით, ჩრდილებით. საული საწოლზე იწვა, ჯაზს უსმენდა და მისი სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებდით, სრულიად მშვიდი და ყველაფრით კმაყოფილი გახლდათ.

„ავადმყოფ" ანას ვეღარ ვიხსენებდი, იმწამს მას ვერც კი წარმოვიდგენდი. ვიცოდი, რომ ჩემი სახლის რომელიღაც მინაშენში იმალებოდა, ელოდებოდა, როდის დავუძახებდი საიდუმლო ღი-

ლაკზე დაჭერით, როდესაც მას ექნებოდა უფლება ჩვენთან შესულიყო, ესაა და ეს. ძალიან დიდხანს ვდუმდით. მაინტერესებდა, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ავლაპარაკდებით, ვინ იქნებოდნენ ის ორნი? გავიფიქრე, ამ ოთახში ჩვენი დაუსრულებელი საუბრის ჩანაწერი რომ კეთდებოდეს მაგნიტოფირზე, - საუბრისა, რომელიც ზოგჯერ რამდენიმე საათი გრძელდება უწყვეტად, ყველა საუბრისა, ბრძოლისა, კამათისა და ავადმყოფობისა - აღმოჩნდებოდა, რომ ესაა რამდენიმე ასეული ადამიანის ხმის ჩანაწერი, მსოფლიოში მიმოფანტული ადამიანებისა, რომლებიც ყვირიან, ლაპარაკობენ, ტირიან, გოდებენ, კითხვებს სვამენ. ვფიქრობდი, ნეტავ ვინ დაიწყებს ყვირილს ჩემგან, როცა ხმას ამოვიღებ-მეთქი, არადა, უკვე ვლაპარაკობდი:

- მე აქ ვიფიქრე.

ეს ჩვენ ხუმრობად გადაგვექცა, ეგრევე ვიცინით, საკმარისია ერთ-ერთმა ჩვენგანმა თქვას: „მე აქ ვიფიქრე“. გაეცინა და თქვა:

- ესე იგი, შენ აქ იფიქრე.

- თუკი ადამიანი შეიძლება დაიპყროს პიროვნებამ, უცხომ, სხვამ, მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ ყველა ადამიანი, - ფართო მასებს ვგულისხმობ - უცხო პიროვნებების ტყვეობაში აღმოჩნდეს?

იწვა, ტუჩებს აცმაცუნებდა ჯაზური მუსიკის რიტმში, წარმოსახვითი გიტარის სიმებს ათამაშებდა. არ მიპასუხა, დაიჭყანა მხოლოდ, იმის ნიშნად, რომ ყურადღებით მისმენდა.

- საქმე ისაა, ამხანაგო... - გავჩუმდი, როდესაც გავიგონე, როგორ ვთქვი ეს სიტყვა, ისე, როგორც ჩვენ ყველანი წარმოვთქვამთ მას ახლა — ირონიანარევი ნოსტალგიით. გამიელვა,

რომ ეს ირონია ენათესავებოდა კინომექანიკოსის დამცინავ კილოს, ურწმუნოებისა და ნგრევის ერთ-ერთ გამოვლინებას.

საულმა თავისი წარმოსახვითი გიტარა გვერდზე გადადო და თქვა:

- მაშ, ამხანაგო, თუ ამბობთ, რომ მასები ისე, თითქოსდა გრიპიაო, ავადდებიან სხვისი გრძნობებით, მივესალმები თქვენს სიტყვებს, რადგან, ყველაფრის მიუხედავად, თქვენ თურმე მტკიცედ იცავთ თქვენს სოციალისტურ მრწამსს.

სიტყვები „ამხანაგო“ და „მასები“ ირონიით თქვა, რასაც საკმაო სიმწარეც შეერია.

- ესე იგი, ერთადერთი, რაც ჩვენ, ამხანაგო, უნდა გავაკეთოთ, ის არის, რომ ისე მოვაწყოთ ყველაფერი, მასები, ცარიელი კონტეინერების მსგავსად, აღივსონ კეთილი, სასარგებლო, სუფთა, ნათელი, მშვიდობიანი გრძნობებით ისევე, როგორც ჩვენა ვართ, ამხანაგო.

ამ პატარა გამოსვლით ირონიის წყლებში ღრმად შეტოპა, მისი ხმა კინომექანიკოსის ხმა ჯერ არ იყო, მაგრამ უკვე ემსგავსებოდა.

შევნიშნე:

- ეგეთ რაღაცებს, ჩვეულებრივ, მე ვამბობ ხოლმე, მე ვაცხობ ასეთ პაროდიებს, შენ კი, როგორც წესი, ამისკენ არა ხარ მიდრეკილი.

- რაც უფრო შორს მიდის ჩემში ასპროცენტიანი რევოლუციონერის რღვევის პროცესი, ვატყობ, მით ხშირად ვვარდები ისეთ მდგომარეობებში, რომელთაც ვერ ვიტან. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ მოწიფულობისათვის არასოდეს ვემზადებოდი. მთელი ჩემი ცხოვრება თავს იმ მომენტისთვის ვამზადებდი, როცა მეტყოდნენ: „ხელში აიღე თოფი“, ანდა — „მართე კოლმეურ-

ნეობა“, ანდა - „მოაწყვე პიკეტი“. ყოველთვის მეგონა, რომ ოცდაათ წლამდეც კი ვერ ვიცოცხლებდი.

- ყველა ახალგაზრდას ჰგონია, რომ ოცდაათ წლამდე ვერ იცოცხლებს. დაბერების კომპრომისი მათთვის აუტანელია. და ვინ ვარ მე, რომ ვამტკიცო, ამაში მართლები არ არიან-მეთქი?

- მე არა ვარ ყველა. მე ვარ საულ გრინი. არაა გასაკვირი, რომ ამერიკის დატოვება მომიხდა. იქ არ დარჩა არავინ, ვინც გამიგებდა. რა დაემართა იმ ხალხს - ოდესღაც ბევრს, ძალიან ბევრს ვიცნობდი. და ყოველი მათგანი სამყაროს გადაკეთებას აპირებდა. ახლა დავეხეტები ქვეყანაში, ძველ მეგობრებს დავეძებ, ყველა დაოჯახებულია, ყველა წარმატებული - ერთი-ერთზე დარჩენილები კი, მთვრალები, გულის ამაჩუყებლად პრუტუნებენ, რადგან ამერიკული ფასეულობები ყარს.

გამეცინა, ისე დაღვრემილმა თქვა, „ყველა დაოჯახებულიაო“. საულმა გამომხედა, რომ გაეგო, რაზე გამეცინა, და გააგრძელა:

- დიახ, დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ. შევდივარ, ვთქვათ, ძველი მეგობრის ახალ, ლამაზ ბინაში და ვეუბნები: „ჰეი, ეს რა უბედურებაა? რა გინდა ამით დაამტკიცო? რა ჯანდაბად დადიხარ სამსახურში, განა არ იცი, რომ ყარს? განა არ იცი, რომ საკუთარ პიროვნებას სპობ?“ ის კი მპასუხობს: „კი მაგრამ, ჩემს ცოლ-შვილს რა მოუვა?“ ვეკითხები: „ის მართალია, თითქოს შენს ძველ მეგობრებთან ინფორმატორი მიუშვი?“ სასწრაფოდ გადაკრავს ჭიქას და ამბობს: „ღმერთო ჩემო, საულ, მე ხომ ცოლ-შვილი მყავს“. ღმერთო, დიახ. და ახლა მძულს ყველა ეს ცოლი და შვილი, და მართალი ვარ, რომ მძულს. კი, იცინე, იცინე, რა შეიძლება იყოს ჩემს იდეალიზმზე უფრო სასაცილო - ის ხომ ასეთი ძველმოდურია, ასეთი მიამიტი! არსებობს რაღაც,

რასაც ახლა ვერავის და ვერასდროს ეტყვი, ყოველ შემთხვევა-ში, ასე ჩანს: გულის სიღრმეში შენ იცი, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. მაშ, რატომღა ცხოვრობ? თუმცა, არა, ასე ლაპარაკი არ ღირს, მაშინვე რეზონიორს შეგარქმევენ... რა აზრი აქვს ამის თქმას, ადამიანებმა ხომ რაღაც ღერძი დაკარგეს. წლის დასაწ-ყისში კუბაზე, კასტროსთან უნდა წავსულიყავი, და იქ მოვეკალი.

- ეტყობა, არ უნდა წასულიყავი, რადგან არ წახვედი.

- ისევ დეტერმინიზმი გამოდის სცენაზე, არადა, რამდენიმე წუთის წინ წმინდა წყლის შემთხვევითობას უმღეროდი დითი-რამბებს.

- თუ შენ მართლა გინდა, რომ მოგკლან, მსოფლიოში, სულ ცოტა, თორმეტიოდე რევოლუციაა, სადაც ეს მარტივად შეიძლე-ბა მოხდეს.

- მე არ ვვარგივარ იმ ცხოვრებისათვის, რომელიც ასეა მოწ-ყობილი. იცი რა, ანა? ყველაფერს მივცემდი, ოღონდ კი იმ დროებაში დამაბრუნა, როდესაც ქუჩა-ქუჩა დავეხეტებოდი ჩემ-ნაირი იდეალისტი მოზარდების ბანდასთან ერთად, რომლებსაც სჯეროდათ, რომ ყველაფერი შეუძლიათ შეცვალონ. ეს იყო ერ-თადერთი დროება ჩემს ცხოვრებაში, როცა ბედნიერი ვიყავი. კი, ვიცი, რასაც მეტყვი.

ამიტომ არაფერი ვუთხარი. თავი ასწია, ჩემთვის რომ შეეხე-და და დაუმატა:

- ეტყობა, მე ამის შენგან გაგება მჭირდება.

ამიტომ ვუთხარი:

- ყველა ამერიკელი მამაკაცი წარსულში იხედება და მთელი არსებით სურს დაუბრუნდეს იმ დროებას, როდესაც თავისნაირ ჯეელებთან, თავის ტოლებთან ერთად იყო კომპანიაში, მანამ-

დე, სანამ მათ მიაწვებოდნენ და აიძულებდნენ, ცხოვრებაში წარმატებისთვის ებრძოლათ და ცოლი მოეყვანათ.

- გმადლობთ, - მითხრა დაღვრემილმა, - ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ძლიერ გრძნობას ასრულებს და წერტილს უსვამს.

- ეს საყოველთაო უბედურებაა. ნებისმიერი ჩვენი ყველაზე ძლიერი გრძნობა სრულდება და ასე ხდება ყოველ ჯერზე. რაღაც გაუგებარი მიზეზით ყველა ეს გრძნობა ჩვენს დროში უადგილო ხდება. რა არის ჩემი ყველაზე დიდი მოთხოვნილება? ვიცხოვრო ერთადერთ მამაკაცთან, მიყვარდეს და ასე შემდეგ. მე უბრალოდ ამისთვის ვარ მოწოდებული, ნიჭი მომდგამს.

გავაცნობიერე, რომ ჩემი ხმაც, საულისა არ იყოს, დასევდიანდა, ავდექი და ტელეფონისკენ წავედი.

- რას აკეთებ?

მოლის ნომერი ავკრიფე და ვთქვი:

- მოლის ვურეკავ. ახლა მკითხავს: „როგორაა შენი ამერიკელი?“ მე კი ვეტყვი: „რომანი მაქვს მასთან“. რომანი - აი, ზუსტი სიტყვა. ყოველთვის მომწონდა, არის ამ სიტყვაში რაღაც იდუმალება, მანერულობა! ის კი მეტყვის: „ეს არც ისეთი გონივრული საქციელია შენს ცხოვრებაში, არა?“ და ეს იქნება დასასრული. ეს დასვამს წერტილს. მინდა გავიგო, როგორ მეტყვის ამას.

ვიდექი და ვუსმენდი, როგორ რეკავდა ტელეფონი მოლის ბინაში.

- ახლა იმ ხუთ წელზე ვლაპარაკობ, როცა მიყვარდა კაცი, რომელსაც ვუყვარდი. ვაღიარებ: რა თქმა უნდა, მაშინ მეტად მიამიტი ვიყავი. აი, ასეთი პერიოდი მქონდა ცხოვრებაში. ისიც დასრულდა. დაესვა წერტილი. ვაღიარებ: მერე ისეთი მამაკაცების ძიება დავიწყე, რომლებიც ტკივილს მომაყენებდნენ. მე ეს

მჭირდებოდა. ცხოვრების პერიოდი. წერტილი. ესეც დასრულ-და.

ტელეფონი რეკვას განაგრძობდა.

- ერთხანს ვკომუნისტობდი. საერთო ჯამში - შეცდომა. თუმცა კი, სასარგებლო გამოცდილება, რაც არასოდეს არაა ზედმეტი. ცხოვრების პერიოდი. ესეც დასრულდა.

მოლი არ პასუხობდა, ყურმილი დავდე.

- სხვა დროს მოუწევს ამის თქმა.

- მაგრამ ეგ არ იქნება სიმართლე, - შემეკამათა საული.

- ალბათ, არა. მაგრამ მაინც მინდა მოვისმინო.

პაუზა. შემდეგ კი:

- ანა, მე რა ვქნა?

ვუპასუხე და თან ჩემს თავს ვუსმენდი, რას ვეუბნებოდი, რომ გამეგო, რას ვფიქრობდი ამაზე:

- შენ გაარღვევ და გაივლი იმას, რაშიც ახლა ხარ. შენ გახდე-ბი ძალზე რბილი, ბრძენი, კეთილი კაცი, რომელთანაც მივლენ ხოლმე ადამიანები, რომლებსაც ექნებათ მოთხოვნილება უთ-ხრან, რომ ისინი, კარგი გაგებით, გიჟები არიან.

- ღმერთო ჩემო, ანა!

- კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ შეურაცხყოფა მოგაყენე!

- ისევ ჩვენი ძველისძველი მეგობარი - სიმწიფე! არა უშავს, ვერც ამით დამაშინებ!

- მაგრამ ნაყოფის სიმწიფე თვით მისი არსია, ასე არაა?

- არა, ასე არაა!

- მაგრამ, ჩემო საბრალო საულ, ამაში ვერავინ დაგეხმარება, შენ პირდაპირი სვლით მიდიხარ იქით, სიმწიფისკენ. შეხედე იმ შესანიშნავ ადამიანებს, ჩვენს ნაცნობებს, რომლებიც დაახ-ლოებით ორმოცდაათი ან სამოცი წლისანი არიან. მათ შორის

არიან ისეთი... არაჩვეულებრივი, დაბრძენებული, მომწიფებული. ნამდვილი ადამიანები, აი, რა ჰქვია ამას, ადამიანები, რომლებიც ასხივებენ სულიერ სიმშვიდესა და უშფოთველობას. და როგორ გახდნენ ასეთები? ჰოდა, ჩვენ ხომ ვიცით ეს, არა? ჯანდაბა, ყოველი მათგანის ზურგს უკან იმალება თავისი ისტორია, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის გრძნობასთან, ო, ეს სევდისმომგვრელი, სისხლმდინარე გვამები, რომლებითაც უხვადაა მოფენილი გზა, რომელსაც ორმოცდაათი და მეტი წლის დაბრძენებული და უშფოთველი კაცებისა და ქალების სიმწიფისაკენ მივყავართ! შენ უბრალოდ ვერასოდეს გახდები დაბრძენებული, მომწიფებული, თუკი ოცდაათიოდე წლის განმავლობაში არ იყავი უმაღლესი დონის კანიბალი.

- კანიბალად დარჩენას ვაპირებ ისედაც, - იცინოდა, მაგრამ როგორღაც სევდიანად.

- ო, არა, არ გამოვა. საშუალო ასაკის უშფოთველობისა და სიმწიფის კანდიდატი მრავალი მილით ადრე შემიძლია გავარჩიო. ოცდაათი წლისანი სიგიჟემდე იბრძვიან, ცეცხლს აფრქვევენ, ყველასა და ყველაფერს იწვევენ და ყოველ მოსახვევზე თავბრუდამხვევ სექსუალურ ვირაჟებს აკეთებენ.

მაგრამ უკვე ახლა ადვილად შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ ცხოვრობ შენ, საულ გრინი, აი, ასეთი ძლიერი, მარტოხელა, წყალსა და პურზე, სადმე პატარა ბინაში, სადაც ცხელი წყალიც კი არაა. და დროდადრო ზომიერად ყლურწავ საკმაოდ კარგი ხარისხის ვისკის. დიახ, მე შენ გხედავ, მაგ დროისთვის შენ პირთამდე შეავსებ იმ ფორმას, რომელიც შენთვის, სინამდვილეში, ბუნებრივია. შენ გახდები საშუალო ასაკის იმ მაგარი, მხარბეჭიანი და სოლიდური მამაკაცებიდან ერთ-ერთი, ხავერდის გაცრეცილ დათუჩებს რომ მოგაგონებენ, მოკლედ შეკრეჭი-

ლი ოქროსფერი, ოდნავ შევერცხლილი თმით. ალბათ, სათვალესაც გაიკეთებ. ხანგრძლივი დუმილი ჩვევად გექცევა, ეს, შესაძლოა, მაგ დროისთვის თავისთავადაც გამოგიმუშავდეს. აკურატულ, ზომიერ, ღია ოქროსფერ წვერსაც კი ვხედავ. ადამიანები იტყვიან: „იცნობთ საულ გრინს? აი, კაცი! როგორი ძლიერია! როგორი მშვიდი!“ მაგრამ გაითვალისწინე, დროდადრო გვამებიდან ზოგიერთი ჩუმად, საწყლად აგიწკმუტუნდება - გახსოვაარ?

- გვამები, უნდა გაცნობო, ყველა უკლებლივ, მე ვარ თვითონ, და თუკი ეს არ გესმის, ესე იგი, არც არაფერი გესმის.

- ო, ეს მესმის, თუმცა კი არანაკლებ დამთრგუნველია, რომ მსხვერპლი ყოველთვის ესოდენ მზადაა თავისი ხორცი და სისხლი შესთავაზოს.

- დამთრგუნველია! ანა, მე ადამიანებზე კარგად ვმოქმედებ. მე მათ ვაჯანჯღარებ, ვაფხიზლებ და სწორი მიმართულებისკენ ვუბიძგებ.

- სრული აბსურდია. ის ადამიანები, რომლებსაც, აჰ, ასე უნდათ მსხვერპლი გახდნენ... მათ უბრალოდ კანიბალობას თავი დაანებეს, ამისთვის ნებისყოფა არ ჰყოფნით, სისასტიკე არ ჰყოფნით, მტკიცედ რომ იარონ ოქროს გზით სიმწიფისაკენ ანდა მხრების მუდმივად ბრძნული აჩეჩისაკენ. მათ იციან, რომ ფარ--ხმალი დაყარეს. ისინი ამბობენ: „მე კი დავყარე ფარ-ხმალი, მაგრამ მზადა ვარ სიამოვნებით შემოგთავაზოთ საკუთარი ხორცი და სისხლი“.

- ხრამ-ხრუმ, - თქვა მან, სახე დაეძაბა, შუბლზე ღია ფერის წარბები მკვეთრ, მკაფიო მკაცრ ხაზად გაიჭიმა, ბოროტად გაიღიმა, კბილები გამოჩინა.

- ხრამ-ხრუმ, - ვთქვი მე.

- ესე იგი, შენ კანიბალი არა ხარ?

- ვარ, რასაკვირველია. მაგრამ მე ასევე მარცხნივ და მარჯვნივ ვეხმარებოდი და ნუგეშსა ვცემდი. დროდადრო. არა, წმინდანობაზე პრეტენზია არა მაქვს, ვაპირებ ლოდების ამგორებელი ვიყო.

- ეს რას ნიშნავს?

- არსებობს უზარმაზარი მთა. ესაა ადამიანური სიბრიყვე. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ლოდებს აღმართში, ფერდობზე მიაგორებენ. საკმარისია ოდნავ აიწიონ, რომ იწყება ომი ანდა რაღაც არასწორი რევოლუცია და ლოდი უკან მოგორავს. მაგრამ როგორღაც ახერხებს და ყოველთვის რამდენიმე დუიმით უფრო მაღლა ჩერდება, ვიდრე მანამდე იყო. მწვერვალზე კი დიდი ადამიანები დგანან, ცოტანი არიან. ზოგჯერ ჩაიხედავენ ხოლმე ქვემოთ და ამბობენ: „მშვენიერია, ლოდების ამგორებელნი თავიანთ ვალს კვლავაც პატიოსნად ასრულებენ. ჩვენ კი ამასობაში ვიფიქრებთ, როგორია კოსმოსის ბუნება, როგორ უნდა ვიცხოვროთ, როდესაც მსოფლიოში აღარ დარჩებიან ადამიანები, რომლებსაც ეშინიათ, სძულთ, კლავენ“.

- ჰმ, თუ ეგრეა, მეც მინდა ვიყო ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომლებიც მწვერვალზე დგანან.

- მაგრამ ჩვენ ბედმა არ გაგვიმართლა, ჩვენ ორივენი ლოდების ამგორებლები ვართ.

უცებ წამოხტა, ლოგინიდან წამოვარდა, თითქოს შეკუმშული ზამბარა გაიშალაო, დადგა ჩემ წინ, თვალებში სიძულვილი უღვიოდა, გეგონებოდა, ჩამრთველი უცებ, მკვეთრი მოძრაობით გადააბრუნესო, ალაპარაკდა:

- ო, არა, არ გინდა, ო, არა, მე არ ვაპირებ... მე არა... მე, მე, მე.

გავიფიქრე: „აი, ისიც, მობრუნდა“. სამზარეულოში შევედი, ვისკის ბოთლი ავიღე, ოთახში დავბრუნდი, იატაკზე წამოვწექი, სმა დავიწყე, თან ვუსმენდი, რას ამბობდა. იატაკზე ვიწექი, ვუყურებდი ჭერზე ოქროსფერი ანაშუქის არშიას და ვუსმენდი წვიმის წვეთების წკაპაწკუპს ქუჩაში და ვგრძნობდი, რომ მუცლის გვრემა მეწყებოდა. ავადმყოფი ანა მობრუნდა. მე, მე, მე, მე, როგორც ავტომატის ჯერი, გაუჩერებლად რომ ისვრის. მის ლაპარაკს უყურადღებოდ ვუსმენდი, თითქოს ამ გამოსვლის ტექსტი მე თვითონ დამეწეროს და ახლა კი მას ვიღაც კითხულობდა. დიახ, ეს მე ვიყავი, ყოველი ჩვენგანი, ეს „მე, მე, მე“. მე - ესა და ეს. მე ვაპირებ. მე არ ვაპირებ. მე ვიქნები. მე მინდა. ოთახში მხეცივით დაძრწოდა, მეტყველი მხეცი, მოძრაობა ჰქონდა ველური და შმაგი, ენერგიით დამუხტული, მძიმე ძალა, რომელიც ფურთხივით ისროდა: „მე, საული, საული, მე, მე მინდა“. მისი მწვანე თვალები ერთობ დაკვირვებით იმზირებოდნენ, ოღონდ ვერაფერს ხედავდნენ ცხვირწინ, მისი პირი კოვზივით, ნიჩაბივით, ავტომატივით ისროდა, ყრიდა, აფრქვევდა მხურვალე, აგრესიულ მეტყველებას, სიტყვებს - ტყვიებივით. „არ მოგცემ უფლებას, გამანადგურო. არავის მივცემ უფლებას. მე არ მოგცემ უფლებას, გალიაში ჩამკეტო, მომათვინიერო, ვერავინ მეტყვის, იჯექი წყნარად, იჯექი ერთ ადგილას, გააკეთე, რასაც გეტყვიანო, მე თქენი ის კი არა ვარ... ვამბობ, რაც მინდა, არ მივეყიდები ამ სამყაროს“. ვგრძნობდი, მისი ბნელი ძალის მძვინვარება როგორ მძლავრად მიტევდა, ჩემს ყოველ ნერვს უტევდა, კუნთები ზურგზე როგორ მეჭიმებოდა მავთულხლართის სიმებივით, ვიწექი და ხელში ვისკის ბოთლი მეჭირა, ჯიუტად ვყლურწავდი ბოთლიდან, ვგრძნობდი, რომ ალკოჰოლი თავისას შვრებოდა, თან ვუსმენდი და ვუსმენდი... გავაცნობიერე, რომ ძალიან დიდ-

ხანს ვიწექი იატაკზე, საული კი აგრძელებდა ოთახში ბოლთის ცემას და ყვირილს. ერთი-ორჯერ ხმა ამოვიღე, რამდენიმე სიტყვა ვისროლე მისი მეტყველების ნაკადის საპირისპიროდ; გეგონებოდა, ჩარხი, რომელიც მექანიკოსს ისე მოუმართავს, უცხო ხმის გაგონებაზე წამით გაჩერებულიყო, დროებით მუშაობას წყვეტდა, რომ მექანიკურად შეემოწმებინა თავი, ამ დროს კი პირი, უფრო სწორად კი ლითონის ჭრილი, უკვე მზად იყო საიმისოდ, ახალი ჯერი გამოესროლა: „მე, მე, მე, მე, მე, მე“. ერთხელ წამოვდექი, საულმა ეს ვერ შენიშნა, იგი ხომ პრაქტიკულად ვერ მხედავდა, მხოლოდ მტრად აღმიქვამდა, რომელიც ყვირილით უნდა დაეჯაბნა, ჩავრთე არმსტრონგი, ნაწილობრივ, ჩემი თავისთვის, მინდოდა სუფთა, კეთილ მუსიკას ჩავჭიდებოდი, როგორც მოკავშირეს, და საულს ვუთხარი: „უსმინე, საულ, უსმინე“. ოდნავ მოიღუშა, წარბები აზიდა, მექანიკურად ჩაილაპარაკა: „ა? რა?“ მერე კი - „მე, მე, მე, მე, მე, მე, მე თქვენ ყველას გაჩვენებთ სეირს თქვენი მორალით, თქვენი სიყვარულით, თქვენი კანონებით, მე, მე, მე, მე“. ამიტომ არმსტრონგის ფირფიტა ფირსაკრავიდან ავიღე და ჩავრთე საულის მუსიკა, ცივი და გონისმიერი, განყენებული მუსიკა მამაკაცებისა, რომელნიც უარყოფენ სიგიჟესა და ვნებას. წამით გაირინდა, მერე ჩაჯდა, თითქოს მყესები გადაუჭრესო, იჯდა თვალდახუჭული, თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა და უსმენდა ჰამილტონის მუსიკას, დოლზე ჯოხების დარტყმის ჯერს, რომელიც ოთახს ავსებდა, მსგავსად იმისა, ცოტა ხნის წინ მისი სიტყვები რომ ავსებდნენ და მერე თავისი, ჩვეულებრივი ხმით თქვა:

- ღმერთო ჩემო, ეს რა დავკარგეთ, ეს რა დავკარგეთ, ეს რა დავკარგეთ, როგორ დავუბრუნდეთ ამას, როგორ დავუბრუნდეთ.

მერე კი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, დავინახე, როგორ დაეძაბა ფეხის კუნთები, და კუნთებმა ჰაერში წამოისროლეს, და მე ფირსაკრავი გამოვრთე, რადგან მას არ ესმოდა მუსიკა, არაფერი ესმოდა, გარდა საკუთარი სიტყვებისა, „მე, მე, მე“, და ისევ წამოვწექი და ვუსმენდი, სიტყვები როგორ ეხეთქებოდა კედლებს, რიკოშეტით ბრუნდებოდა. „მე, მე, მე“, შიშველი ეგო. ძალიან ცუდად ვიყავი, კუნთების მტკივან კვანძად ვიქეცი, ტყვიები კი მოქროდნენ და მოქროდნენ და წამით გონება დავკარგე, და ისევ დავუბრუნდი იმ ჩემს კოშმარულ სიზმარს, სადაც დანამდვილებით ვიცოდი, რა მზაკვრულად შეუძლია ომს ჩასაფრება, გავრბოდი ცარიელ ქუჩებში, თეთრ, ჭუჭყიან სახლებს შორის, ქალაქი დუმდა, თუმცა კი სავსე იყო ადამიანებით, რომლებიც გაირინდნენ მოლოდინით, ამ დროს კი სადღაც ახლოს ფეთქდებოდა სიკვდილის პატარა და მახინჯი კონტეინერი, უხმოდ, უხმოდ, ფეთქდებოდა მომლოდინე სიჩუმის წიაღში, ავრცელებდა სიკვდილს, აცამტვერებდა სახლებს, შიგნიდან ანგრევდა სიცოცხლის სუბსტანციას, ხორცის სტრუქტურას ნაწილებად შლიდა, მე კი ვყვიროდი უხმოდ, არავის ესმოდა, ზუსტად ისევე, როგორც ყვიროდნენ სხვა ადამიანები და მათი არავის ესმოდა. როდესაც გონზე მოვედი, საული კედელთან იდგა, ზურგით აწვებოდა, თითქოს ბარძაყისა და ზურგის კუნთებით ებღაუჭებაო. მიყურებდა. მხედავდა. ისევ მობრუნდა, პირველად რამდენიმე საათის განმავლობაში. სახე ერთიანად გაუფითრდა, თითქოს სისხლისგან დაიცალა, თვალები გაწამებული, რუხი, შეძრული, რადგან იატაკზე ვეგდე და ტკივილისგან ვიკლაკნებოდი. თავისი, ჩვეულებრივი ხმით თქვა:

- ანა, ღვთის გულისათვის, არ გინდა ასე, - მერე კი შეყოყმანდა და შეშლილი ისევ დაბრუნდა, ოღონდ ახლა ეს უბრალოდ

„მე, მე, მე“ კი არ იყო, არამედ, „მე“ ქალების წინააღმდეგ. ქალები ჩვენი ციხის მცველები არიან, ჩვენი სინდისი, საზოგადოების ხმა, და მან თავისი გაშმაგებული სიძულვილის ნაკადი ჩემკენ მომართა, რადგან ქალი ვიყავი. ვისკიმ მომადუნა, ჩემს თავში გავარჩიე სუსტი, მოდუნებული, მოშვებული გრძნობა, - მე მიღალატეს, როგორც ქალს. ჰეი-ჰოი, ვაი-ვაი-ვაი, შენ ხომ მე არ გიყვარვარ,

შენ მე არ გიყვარვარ, კაცებს მეტი აღარ უყვართ ქალები. ჰეი-ჰოი, ვოუ-ვოუ-ვოუ და ჩემი ნატიფი, ვარდისფერი თითის წვეტი ჩემსავე მკერდს შეერჭო, თეთრ, წვეტიან, ვარდისფერ-კერტიან ძუძუს, რომელსაც ეს-ესაა უღალატეს, და ავტირდი, ხმადაბლა მოვთქვამდი, ვისკით გაზავებული, დუნე ცრემლები მდიოდა, დავტიროდი ქალთა მოდგმას. ვტიროდი და ვხედავდი, რომ ჯინსებში ასო ეძაბებოდა, უდგებოდა, იმავე წამს დავსველდი და ირონიაგაშვებით გავიფიქრე, რომ, მაშ, აი, ახლა ვისიყვარულებთ, საბრალო ანას მიესიყვარულება, რომელსაც უღალატა, და მის ნაჭრილობევ თეთრ ძუძუს. ჩუმად, აღშფოთებული მოზარდივით მითხრა:

- ანა, მთვრალი ხარ, ახლავე ადექი იატაკიდან.

მივუგე:

- არა, არ ავდგები, - ქვითინით ვუთხარი, საკუთარ უძლურებაში ისე ვიყავი ჩაფლული, როგორც დიდებულ აბაზანაში.

წამომწია, აღშფოთებამ და სურვილმა ერთდროულად აიტანა, დამეუფლა, ასო უზარმაზარი ჰქონდა, მაგრამ ასოს პატრონი სკოლის მოწაფესავით იქცეოდა, ქალთან პირველად რომაა ცხოვრებაში, ყველაფერი მეტისმეტად სწრაფად, ნაჩქარევად, დარცხვენით მოხდა. და მაშინ ვუთხარი, რადგან ვერ დამაკმაყოფილა:

- იცი რა, კაცი იყავი, გაიხსენე, რამდენი წლისა ხარ, - მისი ლაპარაკის სტილში ვუთხარი, საპასუხოდ კი შოკირებულმა აღშფოთებით მომახალა:

- ანა, მთვრალი ხარ, უნდა გამოიძინო.

საბანი წამაფარა, მაკოცა და ფეხაკრეფით გავიდა, მოწაფესავით, დანაშაულის შეგრძნება რომ აწვალებს, მაგრამ თანაც ამაყი იმით, რომ პირველად გაჟიმა ქალი, და მე დავინახე, როგორი იყო საულ გრინი, კარგი ამერიკელი ბიჭი, დარცხვენილი და სენტიმენტალური, რომელმაც ეს-ესაა გაჟიმა თავისი პირველი ქალი. ვიწექი და ვიცინოდი, ვიცინოდი და ვიცინოდი. მერე ჩამეძინა და სიცილითვე გამეღვიძა. სიზმარი ვერ დავიმახსოვრე, მაგრამ სიზმარში უდარდელი ვიყავი, გამეღვიძა ძალიან კარგ გუნებაზე და დავინახე, რომ საულს ჩემ გვერდით ეძინა.

ცივი იყო, ამიტომ მოვეხვიე, ბედნიერება მავსებდა. იმის მიხედვით იმწამს როგორი ბედნიერი ვიყავი, მივხვდი, ძილში დავფრინავდი, მსუბუქად და ხალისიანად, ეს კი ნიშნავდა, - ავადმყოფი ანა სამუდამოდ არ ვიქნები. მაგრამ როდესაც საულმა თვალი გაახილა, აღმოჩნდა, რომ „მე, მე, მე“-ს საათობით ძახილს სრულიად გამოუფიტავს, სახე გატანჯული, გაყვითლებული აქვს, და როცა ავდექით, მივხვდით, რომ ორივენი სრულიად გამოფიტული ვიყავით, მდუმარედ ვსვამდით ყავას და ვათვალიერებდით გაზეთებს, ხმის ამოღების თავი არ გვქონდა, ძალზე დიდსა და ღია ფერებად შეღებილ სამზარეულოში ვისხედით. თქვა:

- უნდა წავიმუშაო.

თუმცა ორივემ ვიცოდით, რომ არ ვიმუშავებდით, ისევ ჩავწექით ლოგინში, განძრევის თავი არ გვქონდა, ისე გამოვიფიტეთ, ისიც კი ვინატრე, გუშინდელი ღამის საული მობრუნებულიყო,

ბნელი, მომაკვდინებელი ენერგიით აღსავსე, რადგან ასეთ აბსოლუტურ უძლურებაში ყოფნა შემაძრწუნებელი იყო. მერე თქვა:

- ასე წოლა არ შემიძლია.

გამოვეპასუხე:

- კარგი.

თუმცა არ გავნძრეულვართ. მერე ადგა, უფრო სწორად, გამოხოხდა ლოგინიდან. გავიფიქრე: „საინტერესოა, როგორ აპირებს აქედან გაღწევას, ეს რომ მოახერხოს, ხომ უნდა გაბრაზდეს?“ და თუმცა იმისი მიხედვით, რომ მუცელში დაძაბულობა ვიგრძენი, მივხვდი, რაც მოხდებოდა, კიდეც დამაინტერესა ამის ნახვამ. გამომწვევად მომიგდო:

- გასეირნებას ვაპირებ.

მივუგე:

- კარგი.

ქურდულად გამომხედა, წავიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და მობრუნდა. მკითხა:

- რატომ არ ცდილობ გამაჩერო?

მე კი ვუპასუხე:

- იმიტომ, რომ არ მინდა.

მეუბნება:

- რომ იცოდე, სად მივდივარ, გამაჩერებდი.

ხისტად ვუთხარი:

- ა, კი ვიცი, ქალთან მიდიხარ.

მან კი ასე მიპასუხა:

- მაგრამ ხომ ვერასოდეს გეცოდინება დანამდვილებით, არა?

- ვერ მეცოდინება, თუმცა კი ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

უკვე გადიოდა, მაგრამ მობრუნდა, ყოყმანობდა. დაინტერესებული გამომეტყველება ჰქონდა.

დე სილვა გამახსენდა: „მინდოდა მენახა, რა მოხდებოდა“.

საულს უნდოდა ენახა, რა მოხდებოდა. მეც მინდოდა. უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ, ვგრძნობდი გაბოროტებულ, ერთგვარად სასიხარულო ინტერესს - თითქოს ის, საული, და მე, ანა, - ორი უცნობი მოცემულობა, ორი ანონიმური ძალა ვიყავით, სახე რომ არ გააჩნია. თითქოს ამ ოთახში აღმოჩნდა ორი არსება, რომლებიც ბოროტებას განასახიერებდნენ, ბოროტებას დაწურული, სუფთა სახით და თუკი ერთ-ერთ-ერთი მათგანი უცებ უსულოდ დაეცემოდა ან ტკივილისგან კივილს მორთავდა, მეორე მშვიდად ჩაილაპარაკებდა: „კარგი, მაშ ასე, არა?“

- მნიშვნელობა არა აქვს, - თქვა უკვე საკმაოდ პირქუშად, თუმცა ეს, შეიძლება ითქვას, წინასწარი მოღუშულობა გახლდათ, რაღაც მსგავსი რეპეტიციისა, ნამდვილი მოღუშულობის მოთელვისა, ან იმდენჯერ იყენებდა ამას, რომ უკვე მომბეზრდა და დამაჯერებლობა დაკარგა.

- შენ ამბობ, რომ მნიშვნელობა არა აქვს, არადა, ყოველ ჩემს მოძრაობას უთვალთვალებ ჯაშუშივით.

ამაზე მხიარული, შემართული ხმით ვუპასუხე, წინადადება დავასრულე ჩაცინებით, რომელიც დახრჩობის შემდგომ უღონო ამოსუნთქვას მიაგავდა (ასეთი ჩაცინება გაგონილი მქონდა იმ ქალებისგან, რომლებსაც ძლიერი სტრესი ჰქონდათ გადატანილი, და იმათ ვბაძავდი):

- იმიტომ ვარ ჯაშუში, რომ შენ მაქციე ჯაშუშად.

დუმდა, თითქოს აყურადებდა, ელოდებოდა, როდის დააჭერ-დნენ ღილაკს, ჩაურთავდნენ ჩანაწერს:

- მე ამქვეყნად ვერც ერთი ქალი ვერ მიმისაკუთრებს, ეს არ მომხდარა და არც მოხდება.

სიტყვები „ეს არ მომხდარა და არც მოხდება“ სწრაფი ბუტბუ-ტივით გაისმა, თითქოს ჩანაწერი აჩქარებულად გაუშვესო.

მე კი ისევ იმ გულგამგმირავად მხიარული, გაბოროტებული ხმით განვუცხადე:

- თუკი მისაკუთრებაში გულისხმობ იმას, რომ შენმა ქალმა იცის ყოველი შენი ნაბიჯი, მაშინ ჩათვალე, რომ უკვე მიგისა-კუთრეს.

და საკუთარი სიცილი გავიგონე: სუსტი, ჩუმი, თითქოს უკა-ნასკნელი ამოსუნთქვის წინ, თუმცა კი მოზეიმე.

- ეს შენ გგონია, - გაბოროტებით მომიგდო.

- ეს ისაა, რაც ვიცი.

დიალოგმა თავისი თავი ამოწურა. ინტერესით შევხედეთ ერ-თმანეთს. ვთქვი:

- მაშ, ასე, ჩვენ აღარასოდეს მოგვიწევს ამის კიდევ ერთხელ გამეორება.

- იმედია, არა.

ამ სიტყვებით გავარდა ოთახიდან, ის ენერგია ამოძრავებდა, რომელიც ჩვენი დიალოგის დროს მიიღო.

მე კი ვიდექი და ვფიქრობდი: „შემიძლია სიმართლე გავიგო, საკმარისია, ზემოთ ავიდე და დღიურში ჩავიხედო“. თუმცა კი ვი-ცოდი, რომ ამას არ გავაკეთებდი, არა მხოლოდ ახლა, არამედ არასოდეს. ამას ბოლო მოეღო. თუმცა თავს ძალზე ცუდად ვგრძნობდი, მძიმედ ვიყავი ავად. სამზარეულოში შევედი, ყავა რომ დამელია, მაგრამ ამის ნაცვლად ცოტაოდენი ვისკი დავის-

ხი. მიმოვიხედე, სამზარეულო ძალზე ღია ფერის, გაკასკასებული გახლდათ. და უეცრად თავბრუ დამეხვა. ფერები მეტისმეტად კაშკაშა იყო, თითქოს გავარვარებულიც კი. და უცებ ჩემი სამზარეულოს ყველა ხინჯი შევნიშნე, იმ ადგილის, სადაც, ჩვეულებრივ, ასე კარგად ვგრძნობდი ხოლმე თავს - ბზარი თეთრ ემალზე, მტვერი ფანჯრის რაფაზე, ალაგ-ალაგ გაცრეცილი საღებავი. გამაოგნა იმის შეგრძნებამ, რომ ჩემს სახლში ყველაფერი იაფფასიანია, ყველაფერი - მიგდებული, მოძველებული, ჭუჭყიანი. სამზარეულო ხელახლა იყო შესაღები, მაგრამ ჩემს ბინას ვერავინ განაახლებდა, შეუძლებელია შეაჩერო ძველისძველი კედლების ლპობა ძველისძველ ლპობად სახლში. სამზარეულოში შუქი ჩავაქრე და ოთახში შევბრუნდი. თუმცა მალე ისიც ისეთივე უსიამო მომეჩვენა, როგორიც სამზარეულო. წითელი ფარდები ავის მომასწავებლად და საოცრად უგემოვნო ჩანდა, კედლების თეთრი ფერი კი - მეტისმეტად მქრქალი. ჩემს ოთახში დავბორიალებდი, ვათვალიერებდი კედლებს, ფარდებს, კარს, ფიზიკური მასალა, რისგანაც ეს ყველაფერი იყო დამზადებული, გულს მირევდა, ფერები კი, ამავე დროს, მხურვალე არაბუნებრიობით, მაგიჟებდა. ჩემს ოთახს ვუყურებდი, როგორც ადამიანის სახეს, ადამიანისა, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ, ვამჩნევდი უკიდურესი დაძაბულობისა და გადაღლილობის კვალს. მაგალითად, როგორც შევხედავდი საკუთარ ან საულის სახეს, როდესაც ვიცი, რა იმალება ჩემს აკურატულ, უდრტვინველ ანდა საულის ფართო, ქერა თმით დამშვენებული სახის მიღმა, რომელიც კი გამოიყურება ავადმყოფურად, მაგრამ, აბა, ვინ წარმოიდგენს, თუკი მსგავსი გამოცდილება არ გააჩნია, სინამდვილეში რა გრიგალი მძვინვარებს მის გონებაში? ანდა როგორც ქალის სახეს მატარებელში, როდესაც შუბლზე დაძა-

ბული ნაოჭით ანდა სხვა რამ ტკივილის მანიშნებელი კვანძით ვხვდები, რომ მასში საშინელი შფოთვა და ქაოსია ჩაბუდებული, და მაკვირვებს ადამიანების თავის შეკავების საოცარი უნარი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თუნდაც ძალიან მძიმე ზეწოლას გაუძლონ. ჩემი დიდი ოთახი, ისევე, როგორც ჩემი სამზარეულო, მყუდრო ნიჟარის ნაცვლად, რომელშიც შემალული ვიყავი, მუდმივი შემოტევის წყაროდ იქცა, შემოტევისა ჩემს ყურადღებაზე ასობით სხვადასხვა წერტილიდან, თითქოს ასობით ჩემი ჩასაფრებული მტერი ელოდა, როდის გადავიტანდი ყურადღებას რაღაც სხვაზე, და, აი, მაშინ მშვიდად მომეპარებიან და თავს დამესხმიან. კარის სახელური, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება გაპრიალება, მტვრის ლაქები თეთრ საღებავზე, გახუნებული მოყვითალო ზოლი წითელ ფარდაზე, მაგიდა, სადაც რვეულები მაქვს დამალული, ძველმანები - ყველა ეს ნივთი თავს მესხმოდა, შეურაცხმყოფდა და თავის უფლებებს მიცხადებდა, გულისრევის თითქმის დაუოკებელ გრძნობას მიჩენდა. ვხვდებოდი, რომ უნდა დავწოლილიყავი, და ისევ ოთხზე გახოხება მომიხდა, საწოლამდე რომ მივსულიყავი. ლოგინში შევძვერი და სანამ ჩაძინებას მოვასწრებდი, მივხვდი, რომ კინომექანიკოსთან შეხვედრა მელოდა.

იმასაც ვხვდებოდი, რას მეტყოდა. თუმცა ამ მიხვედრას, უფრო სწორი იქნება, „გამონათებას“ თუ დავარქმევ. უდროობისა და სიგიჟის ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში მსგავსი „გამონათებები“ არაერთხელ მქონია, ზოგჯერ ერთიმეორის მიყოლებითაც კი, მაგრამ მათი მეშვეობით მიღებული გამოცდილების სიტყვიერად გადმოცემა არ შემეძლო. არადა, ისიც ისეთივე მძლავრი იყო, როგორიც სიზმარში მომხდარი ელვისებური გამონათებები, რომლებიც გაღვიძების შემდგომაც გონებაში რჩე-

ბა, თანაც სამუდამოდ, ასე რომ, მათგან მიღებული ცოდნა ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილების შემადგენელი გახდა, რაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გამყვება. სიტყვები, სიტყვები. სიტყვებს ვათამაშებ იმ იმედით, რომ მათი რომელიღაც კომბინაცია, შესაძლოა, შემთხვევითიც კი, მომცემს საშუალებას გადმოვცე ის, რაც მსურს. უკეთესი ხომ არ იქნებოდა, მუსიკისთვის მომესმინა? მაგრამ მუსიკა ჩემს შინაგან სმენას თავს ესხმის, როგორც მოწინააღმდეგე, მტერი, ეს არაა ჩემი სამყარო. საქმე ისაა, რომ ნამდვილი გამოცდილება შეუძლებელია აღწერო. ვფიქრობ, და ერთგვარი გულისტკივილითაც, სამი წერტილი, ძველმოდურ რომანებში რომ ვხვდებით, ყველაზე მეტად გამოდგებოდა. ანდა რაღაც სიმბოლო, შესაძლოა წრე ან კვადრატი. სულერთია რა, ოღონდ სიტყვები არა. ადამიანები, რომლებიც ნამყოფები არიან იქ, იმ ადგილას, საკუთარ თავში, სადაც სიტყვა და ფორმა, წესრიგი ქრება, გამიგებენ, სხვები კი - ვერა. მაგრამ საკმარისია იქ ერთხელ მაინც მოხვდე, რომ საზარელი ირონიის შეგრძნება გიჩნდება, მხრების საზარელი აჩეჩვა და საქმე ის კი არაა, რომ ამას როგორღაც უნდა შეეწინააღმდეგო, შეებრძოლო, უარყო, საქმე ის კი არაა, სიმართლეა ეს თუ ტყუილი, - უბრალოდ იცი, ის იქაა, ყოველთვის. მთელი საქმეც ისაა, რომ მას თავაზიანად უნდა დაუკრა თავი, და გააკეთო ეს, ასე ვთქვათ, კრძალვით, თითქოს ძველისძველ მტერს უკრავ თავს. მშვენიერია, მე ვიცი, რომ იქ ხარ, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა დავიცვათ ფორმა, არა? ვინ იცის, იქნებ თვით ჩვენი არსებობის პირობა სწორედ ის არის, რომ ფორმას ვიცავთ, შაბლონებს ვქმნით - ოდესმე თუ გიფიქრიათ ამაზე?

ასე რომ, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, სანამ ჩამეძინებოდა, „მივხვდი“, რისთვის უნდა დამეძინა, რას მეტყოდა კინომე-

ქანიკოსი და რას გავიგებდი. თუმცა ეს უკვე ვიცოდი; ამიტომ სიზმარი იყო რაღაც მსგავსი სიტყვებისა, რაც უკვე მომხდარი მოვლენის განხილვისას ჟღერს ხოლმე, ანუ გარკვეული შეჯამება იმისა, რაც უკვე გავითავისე, - მხოლოდ ეფექტის გასაძლიერებლად საჭირო.

ჩამეძინა თუ არა, კინომექანიკოსმა საულის ხმით ერთობ პრაქტიკულად მითხრა: „ახლა კი უბრალოდ ყველაფერს თავიდან გავუშვებთ“. დავიბენი, რადგან ვიფიქრე, რომ ისევ იმ ფილმების ნაკრებს მაჩვენებენ-მეთქი, პრიალა და არარეალურ ფილმებს. მაგრამ ამჯერად, თუმცა კი ფილმები სიუჟეტურად არ შეცვლილა, ხარისხის თვალსაზრისით სრულიად სხვა გახდა, როგორც ჩემს თავს ვუთხარი სიზმარში - „რეალისტური“, რაღაც ტლანქი, ძირძველი, წყვეტილი და უთანაბრო გაუჩნდა, მსგავსად ადრეული რუსული და გერმანული ფილმებისა. ფილმის ეპიზოდები საგრძნობლად ნელდებოდა, სულაც, ჩერდებოდა, სანამ გულდასმით ვათვალიერებდი, მონუსხული ვიწოვდი იმ დეტალებს, რომელთა გასაცნობიერებლად რეალურ ცხოვრებაში დრო არ მყოფნიდა. ყოველ ჯერზე, როცა ვხვდებოდი, კონკრეტულად რა უნდოდა, ეჩვენებინა, კინომექანიკოსი მეუბნებოდა: „აი, ასე, ლედი, აი, ასე“. და რადგანაც მკარნახობდა, მინიშნებებს მაძლევდა, კიდევ უფრო ყურადღებით ვუყურებდი. მივხვდი, რომ რასაც მნიშვნელობას ვანიჭებდი, ან რასაც ჩემი ცხოვრების დინება თავად ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ახლა მსუბუქად და სწრაფად გაკრთებოდა ეკრანზე, ეს არაარსებითი იყო. ახალგაზრდების კომპანია ევკალიპტების ქვეშ, ანდა ელა პოლის გვერდით ბალახზე, ანდა ელა, რომანებს რომ წერს, ანდა ელა თვითმფრინავში, როცა უნდა, რომ მოკვდეს, ანდა მტრედები, რომლებიც მიწაზე ცვივიან, პოლის თოფს

ემორჩილებიან, - ეს ყველაფერი გაქრა, გაიწოვა, ადგილი დაუთმო იმას, რაც მართლა მნიშვნელოვანი გახლდათ. და აი, მე დიდხანს, ძალიან დიდხანს ვუყურებდი, ყოველ მოძრაობას ვაკვირდებოდი, - როგორ იდგა მისის ბუთბი „მაშოპის“ სამზარეულოში, მისი მასიური დუნდულები კორსეტის ზეწოლის გამო ისე გამობზეკილა, რომ გეგონება, თაროა, რომელზეც რაღაც შეგიძლია შემოდო, იღლიებში ოფლის მუქი ლაქები მოუჩანს, სახე ნერვიულობისაგან ალეწვია, ის კი ჭრის და ჭრის ცივ ხორცს, ცხოველისა თუ ფრინველის, ყურში ხვდება ახალგაზრდების მჭახე ხმები და კიდევ უფრო მჭახე სიცილი, სიფრიფანა თეჯირიდან რომ ისმის. ანდა ვაყურადებდი, როგორ ღიღინებდა ვილი ზედ ჩემს ყურთან, ვუსმენდი მის თითქმის უხმო და მარტოსულ სიმღერას, ანდა ვუყურებდი შენელებულ ტემპში, არადა, ეს კადრები რამდენჯერმე მაჩვენეს, არასოდეს რომ აღარ დამვიწყებოდა, მის ტკივილით აღსავსე მზერა, რომელიც ჩემკენ იყო მომართული, მე კი ამ დროს პოლთან ფლირტი მქონდა გაჩაღებული. ანდა ვხედავდი, - მისტერ ბუთბი, მოსული მამაკაცი, ბარის დახლთან იდგა და თავის ქალიშვილსა და მის ჯეელს უყურებდა. ვხედავდი, რომ მისტერ ბუთბი, ცოტა არ იყოს, შურით რომ უყურებდა ახალგაზრდობის ამ სურათს, სანამ ხელს გაიშვერდა და ცარიელ ჭიქას აიღებდა, რომელიც უნდა შეევსო. ვხედავდი, აგრეთვე, მისტერ ლეტიმორს, რომელიც ბარში იჯდა და სვამდა, ცდილობდა, მისტერ ბუთბისთვის არ შეეხედა, თავისი ჟღალთმიანი, ლამაზი ცოლის სიცილს აყურადებდა. ისევ და ისევ ვხედავდი, როგორ იხრებოდა, - სასმელის გამო მოძრაობა მოდუნებული, შენელებული ჰქონდა, - რომ მოჰფერებოდა ჟღალბეწვიან ძაღლს და ეფერებოდა, ძალიან დიდხანს ეფერებოდა. „მიხვდი?“ - მითხრა კინომექანიკოსმა და სხვა სცენა მაჩ-

ვენა. დავინახე, როგორ ბრუნდება ადრიანი დილით შინ პოლ ტენერი, კონცენტრირებული, დანაშაულის გრძნობით შეხურებული, ვხედავდი, როგორ გადაიკვეთა მისი და მისი ცოლის მზერა, რომელიც მის წინ იდგა, ჭრელი წინსაფარი ეკეთა, საწყალი, დაბნეული გამომეტყველება ჰქონდა, ბავშვები კი საუზმეს ამთავრებენ, სკოლაში წავიდნენ. მერე პოლმა ზურგი შეაქცია და ზევით ავიდა, ახალი პერანგი რომ გადაეცვა. „მიხვდი?“ - მითხრა კინომექანიკოსმა. მერე კი ფირი ძალიან სწრაფად დაატრიალეს, კადრები ელვისებურად ცვლიდნენ ერთმანეთს, როგორც სიზმარში, ჩნდებოდა სახეები, რომლებიც მხოლოდ ერთხელ მენახა სადღაც და დიდი ხანია, დამვიწყებოდა, ვიღაცის ხელის აუჩქარებელი მოძრაობა, ვიღაცის თვალების მოძრაობა, ყველაფერი ერთსა და იმავეს მიმანიშნებდა, - ფილმი ჩემს პირად გამოცდილებას გასცდა, ელას გამოცდილებას, გასცდა ჩემს რვეულებს, რაღაც ნაზავად, ცალკეული სცენების, ადამიანების, მოძრაობების შენადნობად იქცა, სხვადასხვა ადამიანის მზერა აღარ ჩანდა, ყველა მზერა გაერთიანდა, ფილმი ისევ წარმოუდგენლად, საოცრად შენელდა, ეპიზოდების უსიუჟეტო ნაკრებად იქცა, აი, გლეხს მიწისკენ ხელი აქვს გაწვდილი, თესლი რომ მიმოაბნიოს, აი, ვეება კლდე, წყალი კი მის საფუძველს ძალიან ნელა არღვევს, აი, მთვარის შუქში ბორცვის ფერდზე დგას კაცი, დგას იქ მარადიულად, თოფი აქვს მომარჯვებული. ანდა ქალი წევს, გარშემო ღამე, უკუნი სიბნელეა, მაგრამ არ სძინავს, ამბობს: „არა, თავს არ მოვიკლავ, არა, არა, არ მოვიკლავ“.

კინომექანიკოსი ამჯერად ხმას არ იღებდა, ვუყვირე: „მორჩა, გეყოფა!“ არ მიპასუხა, ამიტომ ხელი გავიშვირე და აპარატი მე თვითონ გამოვთიშე. ჯერ კიდევ სიზმარში ვიყავი, როდესაც ჩემი

ხელით დაწერილი წავიკითხე: „ეს ყველაფერი მამაცობაზეა, მაგრამ იმ მამაცობაზე, რომელიც არასოდეს მესმოდა. ეს მცირე, მტანჯველი სახესხვაობაა მამაცობისა, რომელიც ნებისმიერ სიცოცხლეს საძირკვლად უდევს, რადგან ნებისმიერი სიცოცხლის სათავეში სისასტიკე და უსამართლობაა. არადა, მე მთელი ცხოვრება მხოლოდ ჰეროიკულსა და მშვენიერს, ანდა ძალზე ჭკვიანურს ვამჩნევდი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ მინდოდა დამენახა ეს სისასტიკე და უსამართლობა, ამიტომ ვერ ვამჩნევდი ამ მცირედ თვისებას - დაითმინო ტკივილი, არადა, ის მრავალს აღემატება“.

ნაწერს დავხედე, დავიბენი და მაშინ ის „ტკბილ დედილოს“ მივუტანე. ვუთხარი:

- ჩვენ ისევ იმ ბალახის ღეროს მივუბრუნდებით, რომელიც დაჟანგებული ფოლადის ფურცელს გაარღვევს, ათასი წლის შემდეგ, როცა ბომბები აფეთქდება და ხმელეთი დადნება. რადგან ამ ერთი ციცქნა ბალახის ღეროს ნებისყოფა ტკივილის დათმენის უნარის ტოლფასია. მთელი საქმე ხომ ესაა? (სიზმარში სარდონიკულად ვიღიმოდი, რადგან ეჭვი მქონდა, შეიძლებოდა ხაფანგში გავბმულიყავი).

- მერე? - თქვა მან.

- საქმე ისაა, არა მგონია, მზად ვიყო იმ წყეულ ბალახის ღეროსთვის დითირამბების სამღერლად, ახლაც კი.

გაიღიმა. სავარძელში გაჭიმული იჯდა, მტკიცე და უდრეკი. ჩემი სიზანტისა და იმის გამო, რომ ჯიუტად უარს ვამბობდი დამენახა საქმის არსი, ერთობ უგუნებოდ გახლდათ. დიახ, გაღიზიანებულ დიასახლისს ჰგავდა, რომელმაც რაღაც იქ არ დადო, სადაც უნდა დაედო ან საქმის გაკეთებას ვერ ასწრებდა.

მერე გამეღვიძა და აღმოვაჩინე, რომ საღამოვდებოდა, ოთახში ბნელოდა და ციოდა, სულში კი სევდა იყო; მე ვიყავი ქალის თეთრი მკერდი, რომელიც მამაკაცის ისრებით არის დაცხრილული. ყველაფერი მტკიოდა, მიბჟუოდა საულის არყოფნის გამო, მისი შეურაცხყოფა და გამოლანძღვა მინდოდა. მერე კი მან, რასაკვირველია, მითხრა: „აჰ, ჩემი საწყალი ანა, როგორ ვწუხვარ“ და სიყვარულობა დავიწყეთ.

მოთხრობა (ანდა მოკლე რომანი), კომიკური და ირონიული: ქალი, რომელსაც აგიჟებს საკუთარი უნარი, სრულიად მიენდოს მამაკაცს, გადაწყვეტს ამისგან გათავისუფლდეს. შეგნებულად გაიჩენს ერთდროულად ორ საყვარელს და რიგრიგობით წვება მათთან - გათავისუფლების მომენტი დადგება მაშინ, როდესაც თავის თავს ეტყვის, რომ ორივესთან ერთნაირად კარგად გრძნობდა თავს. კაცებიდან ორივე დროთა განმავლობაში ინსტინქტურად ხვდება მეორის არსებობას, ერთ-ერთი ეჭვიანობს და მართლა შეუყვარდება ქალი, მეორე ცივი და ფრთხილი ხდება. მიუხედავად თავისი გადაწყვეტილებისა, ქალს არ შეუძლია არ უპასუხოს იმ კაცს, რომელსაც შეუყვარდა, მეორესთან კი ცივი ხდება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ისევ ძველებურად „არათავისუფალია“, ორივეს განუცხადებს, რომ სრულიად ემანსიპირებული ქალი გახდა და ბოლოს და ბოლოს მიაღწია იდეალს, იღებს სრულ სექსუალურსა და ემოციურ დაკმაყოფილებას ერთდროულად ორი მამაკაცისგან. ცივი და ფრთხილი კაცი ინტერესით უსმენს, გონივრულ, განყენებულ კომენტარებს აკეთებს ქალთა ემანსიპაციაზე. კაცი, რომელიც ქალს შეუყვარდა, მიატოვებს, გულმოკლული, შეძრული. ქალი რჩება კაცთან, რომელიც არ უყვარს, რომელსაც არ უყვარს, ჭკვიანურ, ფსიქოლოგიურ საუბრებს აგრძელებენ.

ამ მოთხრობის იდეამ გამიტაცა, დავიწყე ფიქრი, როგორ შეიძლება დაიწეროს. მაგალითად, როგორ შეიცვლება ყველაფერი, თუკი ჩემს თავს ელათი შევცვლი? ერთხანს ელა არც კი გამხსენებია, მაგრამ ახლა გავაცნობიერე, რომ ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, გამოიცვლებოდა, და ახლა, ალბათ, უფრო მეტად ურჩევნია თავდაცვის პოზიციებზე იდგეს. დავინახე, რომ ვარცხნილობა შეუცვლია, - ახლა, ეტყობა, ისევ კეფაზე იკრავს თმას, მკაცრად და ხისტად გამოიყურება: ჩაცმითაც, ალბათ, სხვანაირად იცვამს. თვალს ვადევნებდი, როგორ დადიოდა ელა ჩემს ოთახში; მერე კი შევეცადე, წარმომედგინა, როგორ დაიჭერდა თავს საულთან - ალბათ, გაცილებით გონივრულად, ვიდრე მე ვახერხებ, ვთქვათ, უფრო მშვიდად და თავდაჭერილად. რაღაც ხნის მერე მივხვდი, რომ ვაკეთებ იმას, რაც ადრეც არაერთხელ გამიკეთებია, ვქმნი „მესამეს“ - ქალს, რომელიც გაცილებით უკეთესია ჩემზე. რადგან მე, უეჭველია, ჩემთვის მოვნიშნე მომენტი, როდესაც ელამ მიატოვა რეალობა, გაერიდა მას, როგორც სინამდვილეში მოიქცეოდა, თავისი ბუნების კარნახით, და გადავიდა უფრო დიდ, სულგრძელ და დიდსულოვან ჰიპოსტასში პიროვნებისა, რომელიც თვითონ ვერ გახდებოდა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ არ მომწონდა ეს ახალი პიროვნება, ჩემ მიერ შექმნილი, გავიფიქრე, რომ სავსებით შესაძლებელია, ეს გადასარევი დიდსულოვანი რაღაცები, რომლებთან ერთადაც ხელჩაკიდებულნი მივაბიჯებთ ჩვენს წარმოსახვაში, ერთ მშვენიერ დღეს რეალობაში გადავლენ მხოლოდ იმიტომ, რომ გვჭირდება, რადგან ჩვენ მათ წარმოსახვით ვქმნით. მერე გამეცინა: მეტისმეტად ბევრი მაკლდა მე, რეალურს, იმ ქალამდე, რომელიც წარმოვიდგინე, ელაზე რომ არაფერი ვთქვათ.

საულის ფეხის ხმა გავიგონე, კიბეზე ამოდიოდა, და გავიფიქრე: „საინტერესოა, ვინ შემოვა ჩემთან?“ დავინახე თუ არა, - მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფურად გამოიყურებოდა, - მივხვდი, დემონები დღეს ჩემს ოთახში არ გამომეცხადებიან და ვინ იცის, შეიძლება არც არასოდეს გამომეცხადონ, რადგან იმასაც მივხვდი, რის თქმას აპირებდა.

საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და მითხრა:

- რა სახალისოა, აქ რომ იცინოდი. შენზე ვფიქრობდი სეირნობისას.

წარმოვიდგინე, როგორ მიდიოდა ქუჩაში, როგორ მიიკვლევდა გზას საკუთარი წარმოსახვის ქაოსში, ებღაუჭებოდა სიტყვებს და აზრებს, რომლებსაც მისი გადარჩენა შეეძლოთ.

- და რას ფიქრობდი კონკრეტულად? - ვკითხე, ველოდი, რომ პედაგოგი მიპასუხებდა.

- რატომ იცინი?

- იმიტომ, რომ დაეხეტებოდი შეშლილი ქალაქის ქუჩებში, იგონებდი მორალურ აქსიომებს, რომლებიც ასე ჰგავს ბარათებზე დაწერილ გამონათქვამებს, საშობაოდ რომ აფრქვევენ ხოლმე, თითქოსდა მათ ჩვენი გადარჩენა შეუძლიათ.

მშრალად მომიგო:

- საწყენია, რომ ასე კარგად მიცნობ, მე მეგონა გაგაოგნებდი ჩემი ბრწყინვალე გონებითა და თავის ფლობის უნარით. კი, მგონი, ბარათებზე დაწერილი გამონათქვამები, საშობაოდ რომ აფრქვევენ ხოლმე, ზუსტი განსაზღვრებაა.

- მაშ, მოდი, მოვისმინოთ.

- ჯერ ერთი, ანა, შენ ძალზე იშვიათად იცინი. ამაზე მიფიქრია. ქალიშვილები იცინიან. მოხუცი ქალები იცინიან. შენი ასაკის ქა-

ლები არ იცინიან, თქვენ ყველანი დაკავებული ხართ საოცრად სერიოზული საქმით - თქვენ ცხოვრობთ.

- არადა, სინამდვილეში, მე აქ გიჟივით ვიცინოდი. თავისუფალ ქალებზე ვიცინოდი.

ჩემი მოთხრობის სიუჟეტი მოვუყევი, იჯდა და მისმენდა, ალმაცერად იღიმებოდა. მერე თქვა:

- მე ამას კი არ ვგულისხმობ, მე ნამდვილ სიცილს ვგულისხმობ.

- ამას აუცილებლად შევიტან ჩემი დღის წესრიგში.

- არ გინდა ასე ლაპარაკი. მისმინე, ანა, თუ ჩვენ არ გვჯერა იმ რაღაცების, რაც ჩვენი დღის წესრიგში შეგვაქვს, არ გვჯერა, რომ მართლა განხორციელდება, მაშინ უიმედონი ვყოფილვართ. ჩვენ მხოლოდ ის გადაგვარჩენს, რასაც დღის წესრიგში მართლა სერიოზულად შევიტანთ.

- საკუთარი პროგრამისა უნდა გვჯეროდეს?

- ჩვენ უნდა გვჯეროდეს საკუთარი მშვენიერი, წარმოუდგენელი პროგრამისა.

- კარგი. მერე?

- მერე ის, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია, ისევ უნდა დაიწყო წერა.

- რომ შემეძლოს, ცხადია, ასეც ვიზამდი.

- არა, ანა, ასე არ გამოვა. რატომ არ გინდა დაწერო მოთხრობა, რომელიც ახლა მომიყევი? არა, მეტი აღარ მინდა იმ სისულელეების მოსმენა, რასაც ჩვეულებრივ მიყვები ხოლმე. მითხარი მარტივად, ერთი წინადადებით - რატომ არა. თუ გსურს, შეგიძლია დაარქვა ამას ბარათებზე დაწერილი გამონათქვამები, საშობაოდ რომ აფრქვევენ ხოლმე, მაგრამ სანამ ვსეირნობდი, ვფიქრობდი, თუკი მოახერხებ შენს გონებაში ამ

ყველაფრის რაღაცნაირად გამარტივებას, განდევნი ყველაფერ ზედმეტს, რაღაცამდე მიხვალ, შეძლებ ამას მშვიდად და ყურადღებით შეხედო და დასძლიო.

გამეცინა, მან კი მითხრა:

- არა, ანა, შენ მართლა ნაწილებად დაიშლები, გაგიჟდები, თუკი ამას არ გააკეთებ.

- მაშ, ძალიან კარგი. ვერ დავწერ ვერც ამას და ვერც რომელიმე სხვა მოთხრობას, რადგან, როგორც კი ვჯდები სამუშაოდ, ოთახში შემოდის ვიღაც, ჩემს ნაწერში იხედება ზურგიდან და ვჩერდები.

- ვინაა? იცი, ვინაა?

- რა თქმა უნდა. ეს შეიძლება იყოს ჩინელი გლეხი ანდა კასტროს პარტიზანი. ანდა ალჟირელი ჯარისკაცი. ანდა მისტერ მატლონგი. ამ ოთახში დგანან და მეუბნებიან, ქაღალდზე ბღაჯნის ნაცვლად რატომ არ გინდა დაგვეხმარო?

- შენც მშვენივრად იცი, რომ ამას არც ერთი არ გეტყოდა.

- კი. მაგრამ შენც მშვენივრად გესმის, რასაც ვგულისხმობ. ვიცი, რომ გესმის. ეს ჩვენნაირების საერთო წყევლაა.

- კი, მესმის, მაგრამ, ანა, ძალით უნდა დაგაწყებინო წერა. აიღე ქაღალდი და ფანქარი.

მაგიდაზე სუფთა ფურცელი დავდე, ფანქარი მოვიმარჯვე, დაველოდე.

- თუ არ გამოვა, არა უშავს, არ გინდა ქედმაღლობა... შენ უბრალოდ დაიწყე.

პანიკური შიშის შემოტევა ვიგრძენი, თავში ერთი აზრიც კი არ მიტრიალებდა. ფანქარი გადავდე. საული დაჟინებით მიყურებდა, მაიძულებდა, მაწვებოდა, - ფანქარი ისევ ავიღე.

- კარგი, მაშინ პირველ წინადადებას მოგცემ. შენ, ანა, - ეს ორი სხვადასხვა ქალია. დაწერე: „ქალები ლონდონის ბინაში მარტო იყვნენ“.

- გინდა რომანი დავიწყო ამ სიტყვებით, „ქალები ლონდონის ბინაში მარტო იყვნენ“?

- რატომ იმეორებ ასეთი ტონით? ანა, დაწერე.

დავწერე.

- შენ დაწერ ამ წიგნს, შენ დაწერ, შენ მას დაასრულებ.

ვკითხე:

- რატომაა შენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი, რომ დავწერო?

- ეჰ, - საკუთარი თავის დაცინვით ჩაილაპარაკა, სასოწარკვეთა გაითამაშა, - კარგი კითხვაა. იმიტომ, რომ თუ შენ ამას შეძლებ, მაშინ მეც შევძლებ.

- გინდა შენი რომანის პირველი წინადადება მოგცე?

- კარგი, აბა, მიდი, თქვი.

- „ჯარისკაცი ქვიშნარი გორაკის ფერდობზე იდგა, ალჟირში, და უყურებდა, როგორ ლიცლიცებდა მისი თოფის ლულაზე მთვარის შუქი“.

საულს გაეღიმა.

- მე ამის დაწერას შევძლებდი, შენ - ვერა.

- მაშინ დაწერე.

- იმ შემთხვევაში დავწერ, თუკი შენს ახალ რვეულს მომცემ.

- რატომ?

- მჭირდება. ესაა და ეს.

- კარგი.

- ანა, აქედან უნდა წავიდე, იცი?

- ვიცი.

- მაშინ ვახშამი მომიმზადე. არასოდეს ვიფიქრებდი, რომელიმე ქალს ოდესმე თუ ვეტყოდი, ვახშამი მომიმზადე-მეთქი. იმ ფაქტს, რომ საერთოდ შემიძლია ამის თქმა, ვაფასებ როგორც მოკრძალებულ ნაბიჯს, გადადგმულს იმისკენ, რასაც მოწიფულობა ჰქვია.

ვივახშმეთ, მერე დავიძინეთ. დილით პირველს გამეღვიძა, დავხედე მძინარეს, სახე გაფითრებული და ავადმყოფური ჰქონდა. გავიფიქრე, რომ ეს შეუძლებელია, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ მიმატოვებს, არა, ვერ გავუშვებ, ვერ წავა.

გაიღვიძა, მე კი ჩემს თავს ვებრძოდი, მინდოდა მეთქვა: „შენ ვერ წახვალ, ვერ მიმატოვებ. მე უნდა ვზრუნავდე შენზე. ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ კი მითხარი, რომ რჩები“.

ვიცოდი, საკუთარ სისუსტეს ებრძოდა. საინტერესოა, რა მოხდებოდა, მაშინ, რამდენიმე კვირის წინ, ყელზე რომ არ მოეხვია ჩემთვის ხელები, გაუცნობიერებლად, ძილში. მომინდა, რომ ახლაც მომხვეოდა ყელზე. ვიწექი და სიმწრით ვებრძოდი სურვილს შევხებოდი, ზუსტად ისევ, როგორც სიმწრით ვებრძოდი სურვილს, მივეზიდე და ვფიქრობდი: „რაოდენ უცნაურია, დაუჯერებელია, რომ ალერსისა და თანაგრძნობის ეს ჟესტი შეიძლება თურმე ესოდენ მზაკვრული აღმოჩნდეს“. მეტისმეტი დაძაბულობისაგან გონება წამით დამებინდა, თანაგრძნობის ტკივილის ტყვეობაში აღმოვჩნდი, და მაშინ საულს ნაზად მოვეხვიე, თან ვაცნობიერებდი, რომ ამით ვღალატობდი. მაგრამ მიმიზიდა, მომეკრო, და ეს წრფელი სიახლოვის წამი გახლდათ. მაგრამ ჩემი მზაკვრობა ეგრევე გადაედო და ბავშვური ხმით წაიბუტბუტა: „ლა კალგი ბიჭია“, ოღონდ ისე კი არა, დედას რომ წასჩურჩულებდა, რადგან ეს მისი სიტყვები არ იყო, წიგნებიდან აიღო. თანაც დაშაქრულად, პაროდიულად წარმოთქვა. თუმცა,

მთლად ბოლომდეც არა. მაგრამ როდესაც ზემოდან დავხედე, დავინახე მისი სახე, ავადმყოფური, წაგრძელებული; ჯერ დაშაქრული სიყალბე გავარჩიე, მის სიტყვებს რომ სდევდა თან, მერე ტკივილის ანარეკლი, მერე კი, როდესაც შემატყო, შეძრწუნებული ვუყურებდი, მის მზერაში სიძულვილი და გამოწვევა გაჩნდა, ასე შევყურებდით ერთმანეთს, ურთიერთსირცხვილისა და ურთიერთდამცირებისაგან დაუძლურებულნი. მერე სახე მოუდუნდა. რამდენიმე წამით გაითიშა, დაიძინა ისევე, როგორც მე დამემართა რამდენიმე წუთის წინ, როდესაც მოვეხვიე. მერე ერთიანად ამოვარდა სიზმრიდან - დაძაბულობის, ბრძოლის განსახიერება, - ჩემი ხელისგან მკვეთრი მოძრაობით გაითავისუფლა თავი, მტრების ძიებაში ოთახს ელვისებურად შემოავლო თვალი, დაკვირვებული მზერით, მერე წამოხტა, - ეს ყველაფერი ერთ წამში მოხდა, ისე ელვისებურად სდევდა ერთმანეთს მისი რეაქციები.

თქვა:

- ჩვენ უკვე ვერასოდეს დავეშვებით ამაზე ქვემოთ, ვერც შენ, ვერც მე.

მივუგე:

- ვერა.

- მაშ, ყველაფერი ბოლომდე მივიყვანეთ, - თქვა მან.

- საქმე დასრულებულია. წერტილი დასმულია, - ვთქვი მე.

ზევით ავიდა, მცირედი ბარგი ჩანთასა და კეისში რომ ჩაელაგებინა.

ცოტა ხანში ჩამოვიდა, ზღურბლზე შეჩერდა, კარის დირეს მიეყრდნო. ეს საულ გრინი გახლდათ. მე ვხედავდი საულ გრინს, მამაკაცს, რომელიც რამდენიმე კვირის წინ მოვიდა ჩემთან. ტანზე ახალი ტანსაცმელი შემოტმასნოდა, ახალი ნივთები, ნა-

ყიდი იმისთვის, რომ დაეფარა, თუ რამდენად გახდა. აკურატული, დახვეწილი, პატარა მამაკაცი, რომლის ფართო მხარ-ბეჭი და ძვლები, რომლებიც მეტისმეტად გამხდარ სახეზე ჩანდა, იმას მიანიშნებდა, რომ მისი პატრონი ოდესღაც ჩასკვნილი, ჩასხმული, ძლიერი იყო, და რომ ისევ გახდება ძლიერი და მხარბეჭიანი, როცა სიჯანსაღისკენ გზას გაიკვლევს, როცა ავადმყოფობას დაძლევს. ვხედავდი, როგორ იდგა ამ ავადმყოფური, მოყვითალოსახიანი, პატარა, გამხდარი, ქერათმიანი კაცის გვერდით დიდი და ძლიერი, მაგარი, გარუჯული მამაკაცი, როგორც ჩრდილი, რომელიც დროთა განმავლობაში შთანთქავს იმ სხეულს, რომლის ჩრდილიცაა. მანამდე კი ისე ჩანდა, თითქოს ხორცი ააცალესო, მისთვის მეტისმეტად დიდი ზომის ტანისამოსივით, მოძრაობა რომ გაეადვილებინათ და ზედმეტი არაფერი შერჩა, ის - მსუბუქია, დაჭიმული, სწრაფი. საული იდგა, ცერა თითი ქამარში გაერჭო, დანარჩენი თითები კი ქვემოთ მიანიშნებდნენ (ოღონდ ახლა ეს მექალთანის პოზა აღარ იყო, არამედ მისი გალანტური პაროდია), სარდონიკულად მესროდა გამოწვევას, მისი ცივი, მონაცრისფრო თვალების გამოხედვა დაძაბული, თუმცა კი სავსებით კეთილგანწყობილი გახლდათ. ახლა თითქოს ჩემი ძმა იყო, და ვგრძნობდი, - სულერთია, რამდენად დავშორდებით ერთმანეთს, სადამდე მიგვიყვანს ცხოვრების გზებზე ხეტიალი, ყოველთვის ერთი ხორცის ნაწილებად დავრჩებით, ერთმანეთის აზრებს წავიკითხავთ.

მითხრა:

- დამიწერე პირველი წინადადება რვეულში.

- გინდა შენთვის დავწერო?

- კი, მინდა.

- რატომ?

- შენ გუნდის წევრი ხარ.

- მე ამას ვერა ვგრძნობ, გუნდურობას კი ვერ ვიტან.

- მაშინ დაფიქრდი ამ თემაზე. ჩვენ არც ისე ბევრნი ვართ, მთელ მსოფლიოში ვართ გაბნეული, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული ვართ, თუმცა კი ერთმანეთს არც ვიცნობთ. ჩვენ ერთმანეთს ვეყრდნობით, ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული. ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ჩვენ ვართ ისინი, ვინც ფარ-ხმალი არ დაყარა, ვინც გააგრძელებს ბრძოლას. აი, რას გეტყვი, ანა, ხდება ხოლმე, ხელში წიგნს ავიღებ და ვამბობ: „აჰ, ესე იგი, ეს შენ დაწერე პირველმა, არა? მაშ, ყოჩაღ. ო'კეი, ამ შემთხვევაში ამაზე წერა აღარ მომიწევს“.

- კარგი, დაგიწერ შენი წიგნის პირველ წინადადებას.

- კარგი, დამიწერე, მალე შემოვალ, ავიღებ რვეულს, დაგემშვიდობები და ჩემი გზით წავალ.

- სად წახვალ?

- მშვენივრად იცი, წარმოდგენაც არა მაქვს.

- ერთხელაც შეიქმენი წარმოდგენა.

- კარგი, კარგი, მაგრამ მე ხომ ჯერ უმწიფარი ვარ, დაგავიწყდა?

- იქნებ ჯობდეს, ამერიკაში დაბრუნდე?

- რატომაც არა? სიყვარული ყველგან სიყვარულია.

გამეცინა, წამოვდექი, ახალ, ლამაზ რვეულთან მივედი და ჩავწერე: - „ჯარისკაცი ქვიშნარი გორაკის ფერდობზე იდგა, ალჟირში, და უყურებდა, როგორ ლიცლიცებდა მისი თოფის ლულაზე მთვარის შუქი“.

ამ ადგილას ანას ხელწერა სრულდება. მომდევნო ტექსტი ოქროს რვეულში საულ გრინის ხელით იყო დაწერილი, ეს გახლდათ მოკლე რომანი ალჟირელ ჯარისკაცზე.

ეს ჯარისკაცი ფერმერი იყო, რომელიც აცნობიერებდა, რომ მისი გრძნობები და აზრები ცხოვრებაზე არაა ის, რასაც მისგან ელიან. ელიან - ვინ? ვიღაც უხილავი, ვინც შეიძლება აღმოჩნდეს ღმერთი, ანდა სახელმწიფო, ანდა კანონი, ანდა წესრიგი. მერე ტყვედ ჩავარდება, ფრანგები აწამებენ, გაქცევას მოახერხებს, ისევ შეუერთდება ნაციონალური გათავისუფლების ფრონტს და აღმოაჩენს, რომ ახლა თვითონ აწამებს ფრანგ ტყვეებს, ბრძანებას ასრულებს. იცის, რომ ამის გამო რაღაცას უნდა განიცდიდეს, არადა, არაფერსაც არ განიცდის. ერთხელ ღამით ამაზე დაელაპარაკება ფრანგ ტყვეს, რომელსაც დღისით თვითონ აწამებდა. ფრანგი ტყვე ახალგაზრდა ინტელექტუალი აღმოჩნდება, სტუდენტი, ფილოსოფიას რომ სწავლობდა. ერთხელაც ახალგაზრდა ფრანგმა დაიჩივლა (საკანში ფარულად საუბრობდნენ), რომ უკვე არაერთი წელია თავს ისე გრძნობს, თითქოს ინტელექტუალურ ციხეშია გამომწყვდეული. ამას წლებს წინ მიხვდა, საკმარისია, რაიმე გაიფიქროს ან იგრძნოს, რომ მაშინვე ორიდან ერთ-ერთ საკანში ხვდება, პირველს აწერია „მარქსი“, მეორეს - „ფროიდი“. მისი აზრები ჰგვანან ბურთულებს, რომლებიც მათთვის განკუთვნილ ბუდეში ცვივიან, - ჩივის იგი. ახალგაზრდა ალჟირელმა ეს ინტერესით აღიქვა, თუმცა მას ყველაფერი სხვანაირად აქვს, მას აწუხებს - არადა, სინამდვილეში, არც არაფერი აწუხებს, მაგრამ გრძნობს, რომ უნდა აწუხებდეს, - თითქმის არაფერი, რასაც გრძნობს ან ფიქრობს, არ შეესაბამება იმას, რასაც მისგან ელიან. ალჟირელი ჯარისკაცი იტყვის, რომ შურს ფრანგისა. უფრო სწორად, გრძნობს, უნდა შურდეს. ფრანგი სტუდენტი კი, თავის მხრივ, იტყვის, რომ მთელი გულითა და სულით შურს ალჟირელის, ცხოვრებაში ერთხელ მაინც რომ უნდა იფიქროს რაღაც საკუთარი,

სპონტანური, არა ნაკარნახები და არა თავსმოხვეული მამამთავართა, მარქსისა და ფროიდის, მიერ. ორივე ახალგაზრდამ ოდნავ უფრო ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, ვიდრე ამას გონიერება და სიფრთხილე კარნახობდა, - განსაკუთრებით კი ფრანგმა სტუდენტმა, რომელიც მეტისმეტად მწარედ და ემოციურად განიცდიდა თავის ხვედრს. მოდის მეთაური და ხედავს, ალჟირელი ისე ებაასება ფრანგ ტყვეს, თითქოს მისი ღვიძლი ძმა ყოფილიყოს, - ტყვეს, რომელსაც უნდა უდარაჯოს. ალჟირელი ჯარისკაცი ეტყვის: „სერ, მე ვაკეთებდი იმას, რაც მიბრძანეთ, ვაწამებდი, მაგრამ თქვენ არ გითქვამთ, რომ მასთან დალაპარაკების უფლება არა მაქვს“. მეთაური იფიქრებს, რომ ეს კაცი ჯაშუშია, შესაძლოა, მაშინ გადაიბირეს, ფრანგებთან ტყვედ როცა იყო. ბრძანებას გასცემს, დახვრიტონ. მეორე დილას ალჟირელ ჯარისკაცსა და ფრანგ სტუდენტს ერთად ხვრეტენ, ქვიშნარი ბორცვის ფერდობზე გვერდიგვერდ იდგნენ, სახეს ამომავალი მზე უნათებდათ ოქროსფრად.

მოგვიანებით ეს მოკლე რომანი გამოქვეყნდა და ერთობ კეთილგანწყობილად იქნა მიღებული.

თავისუფალი ქალები

5

მოლი თხოვდება, ანას რომანი აქვს.

როცა ჯენეტმა პირველად ჰკითხა დედას, ხომ არ შეიძლება, სკოლა-პანსიონში გადავიდეო, ანა ამ იდეას ცივად შეხვდა. ვერ იტანდა იმ ყველაფერს, რაც იგულისხმებოდა სიტყვაში „პანსიონი“. გაიკითხა პედოცენტრული სკოლების შესახებ, კიდევ ერთხელ დაელაპარაკაჯენეტს, ქალიშვილმა კი ამ დროს შინ მეგობარი გოგონა მოიყვანა, რომელიც უკვე ცხოვრობდა ტრადიციულ პანსიონში და მისი დახმარებით შეეცადა დედის დარწმუნებას. გოგონები, ანთებული თვალებით დიდხანს ჟღურტულებდნენ სასკოლო ფორმაზე, საერთო საძინებლებზე, ექსკურსიებზე, გასეირნებებზე, პიკნიკებზე, და ასე შემდეგ, და ანა მიხვდა, რომ პედოცენტრული სკოლა სწორედ ის ადგილია, სადაც ჯენეტს ყველაზე ნაკლებად სურდა ყოფნა. ფაქტობრივად, იგი ეუბნებოდა დედას: „მე მინდა ჩვეულებრივი ვიყო, არ მინდა შენნაირი ვიყო“. მან უკვე ნახა სამყარო, სადაც არაა წესრიგი, სადაც მუდმივად ექსპერიმენტებს ატარებენ, სადაც ადამიანები ცხოვრობენ ისე, თითქოს ვერტიკალურად ატყორცნილ წყლის ჭავლზე გაუჩერებლად მოხტუნავე ბურთულები ყოფილიყვნენ, ადამიანები, რომლებიც მუდმივად გახსნილნი იყვნენ ნების-

მიერი ახალი გრძნობისა და თავგადასავლისათვის და გადაწ-ყვიტა, რომ ეს ყველაფერი არ მოსწონს. ანამ უთხრა:

- ჯენეტ, თუ გესმის რამდენად განსხვავებულია ეს იმ ყველაფ-რისგან, რაც შენ იცი? ასეთი სკოლა ნიშნავს, რომ სასეირნოდ სიარული მოგიწევს მწყობრში, ჯარისკაცები რომ დადიან, რეგუ-ლარულად გააკეთებ ერთი და იმავე რაღაცას ერთსა და იმავე დროს. თუ სათანადო ზომებს არ მიმართე, იქიდან გამოხვალ ზუსტად ისეთი, როგორიც სხვები, კოლოფში ჩაწყობილი ასან-თის ღერებიდან ერთ-ერთი იქნები.

- კი, ვიცი, - ღიმილით მიუგო ცამეტი წლის გოგონამ. მისი ღი-მილი გულისხმობდა: კი, ვიცი, შენ ეს ყველაფერი გძულს, მაგ-რამ მე ზუსტად ამავეს რატომ უნდა ვგრძნობდე?

- შეიძლება შინაგანი კონფლიქტი დაგეწყოს.

- არა მგონია, - მიუგო ჯენეტმა, უეცრად მოიღუშა, თვით იმ აზრმა შეაძრწუნა, რომ დედის ცხოვრების წესი იმდენად შეიძ-ლება გაითავისოს, ამან კონფლიქტი გამოიწვიოს.

როდესაც ჯენეტი სკოლაში გაემგზავრა, ანამ გააცნობიერა, თუ რამდენად დამოკიდებული იყო იმ დისციპლინაზე, რომელ-საც დედობრივი მოვალეობები აკისრებდა, - დილით უნდა ამ-დგარიყო ერთსა და იმავე დროს, საღამოს ადრე დაეძინა, ადრე ადგომის თავი რომ ჰქონოდა, დროულად უნდა მოემზადებინა და მიეცა საჭმელი, და საკუთარი გუნება-განწყობა ემართა, ბავ-შვი რომ არ გაენერვიულებინა.

უზარმაზარ ბინაში მარტო დარჩა. წესით, უფრო პატარაში უნ-და გადასულიყო. ოთახების გაქირავება აღარ უნდოდა, იმის გა-ფიქრებაც კი აშინებდა, რომ ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა რაღაც მსგავსი იმისა, რაც რონისა და აივორთან მოხდა. და კი-დევ, მას აშინებდა ის, რომ ამის გაფიქრებაც კი აშინებდა. რა

ემართება, რომ თავს არიდებს სირთულეებს, რომლებიც ადამიანებთან ურთიერთობამ შეიძლება მოიტანოს, თავს არიდებს სიტუაციებს, ოღონდ კი არ აღმოჩნდეს რაღაცაში ჩათრეული? ეს ღალატი გახლდათ იმისა, რაც თვითონ უნდა ყოფილიყო, თავისივე აზრით. ანამ კომპრომისს მიაგნო: ამ ბინაში კიდევ ერთი წელი იცხოვრებს, ოთახს გააქირავებს და შესაფერის სამსახურს გამოძებნის.

ერთი შეხედვით, ყველაფერი შეიცვალა. ჯენეტი წავიდა. მარიონი და ტომი სიცილიაში გაემგზავრნენ - ფულს რიჩარდი იხდიდა, - თან წაიღეს უამრავი წიგნი აფრიკის შესახებ. დოლჩისთან ჩასვლას აპირებდნენ, რომ გაერკვიათ, როგორც მარიონი ამბობდა, „იქნებ რაღაცით შეგვიძლია დავეხმაროთ საბრალოს. იცი, ანა, მისი სურათი საწერ მაგიდაზე მიდევს?“

მოლიც მარტო დარჩა დაცარიელებულ სახლში, მისი შვილი ყოფილი ქმრის მეორე ცოლმა წაიყვანა. რიჩარდის შვილები მოიპატიჟა, შესთავაზა მასთან ეცხოვრათ ერთხანს. რიჩარდი აღფრთოვანდა, თუმცა კი კვლავაც ადანაშაულებდა მოლის, რომ მისი ვაჟიშვილი დაბრმავდა. მოლი ართობდა ბიჭებს, რიჩარდი კი ამ დროს თავის მდივან ქალთან ერთად კანადაში გაემგზავრა, რათა იქ სამი ახალი ფოლადსადნობი ქარხნის ფინანსირების საქმე მოეგვარებინა. ეს მოგზაურობა თაფლობის თვის მსგავსი რაღაც გახლდათ, რადგან მარიონი განქორწინებას დათანხმდა.

ანამ გააცნობიერა, რომ უმეტეს დროს უქმად ატარებდა და გადაწყვიტა, რომ ამ სიტუაციაში საუკეთესო წამალი შეიძლებოდა მამაკაცი ყოფილიყო. თავის თავს მედიკამენტივით გამოუწერა.

ანას მოლის ნაცნობმა დაურეკა, თვით მას დასარეკი დრო არ ჰქონდა, რადგან რიჩარდის შვილებით გახლდათ დაკავებული. ეს იყო ნელსონი, ამერიკელი სცენარისტი, რომელიც მოლისთან გაიცნო, ზოგჯერ ერთად სადილობდნენ.

ანას დაურეკა და უთხრა:

- უნდა გაგაფრთხილოთ, ჩემთან შეხვედრა საერთოდაც არ ღირს. საცაა იმ დასკვნამდე მივალ, უკვე მესამეჯერ, რომ ჩემი ცოლი სრულიად აუტანელია.

ვახშმობისას ძირითადად პოლიტიკაზე საუბრობდნენ.

- განსხვავება ევროპელ წითლებსა და ამერიკელ წითლებს შორის ისაა, რომ ევროპაში წითელი - კომუნისტია, ამერიკაში კი კაცი, რომელიც არასოდეს არავის აჩვენებს პარტიულ მანდატს, სიფრთხილის ანდა შიშის გამო. ევროპაში არიან კომუნისტები და მათი თანამგზავრები. ამერიკაში კი - კომუნისტები და ყოფილი წითლები. მე თვითონ, და ხაზს ვუსვამ ამ განსხვავებას, წითელი ვიყავი. მე არ მინდა იმაზე მეტი პრობლემები შემექნას, ვიდრე ახლა მაქვს. ახლა, როდესაც ჩემი შეხედულებები გაგაცანით, სახლში ხომ არ დამპატიჟებდით?

ანა ფიქრობდა: „არსებობს მხოლოდ ერთადერთი ნამდვილი ცოდვა, სახელდობრ, როცა საკუთარ თავს არწმუნებ, რომ მეორე ხარისხისა რაღაც უფრო მეტია, ვიდრე სინამდვილეშია. რა აზრი აქვს მუდმივად მაიკლის გამო ტანჯვას და მხოლოდ მასზე ოცნებას?“.

და, აი, ნელსონთან გაატარა ღამე. აღმოჩნდა, რომ სერიოზული სექსუალური პრობლემები აქვს, ანა თითქოს საიდუმლოდ შეუთანხმდა მას და მასთან ერთად მოიკატუნა თავი, ვითომდა, საქმე არც ისე ცუდადაა. დილით მეგობრებივით დაშორდნენ. მერე კი ანას უცებ ცრემლები წამოუვიდა, ჩუმი, გულსაკლავი უძ-

ლურების ცრემლები. თავის თავს უთხრა, რომ ამისგან გათავისუფლება შეიძლება, თუკი მარტო არ იქნება, არამედ აიღებს და თავის რომელიმე კაც-მეგობარს დაურეკავს. მაგრამ მსგავსი არაფერი გაუკეთებია, ვერ აიძულა თავი, ვინმეს შეხვედროდა, იმაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ახალი „ფლირტი“ წამოეწყო.

ანამ შენიშნა, რომ უცნაური დროს ტარება დასჩემდა. გაზეთებსა და ჟურნალებს ყოველთვის დიდი რაოდენობით კითხულობდა, თავისნაირი ადამიანების ნაკლი ახასიათებდა, უნდა სცოდნოდა ყველაფერი, რაც მსოფლიოში ხდებოდა. თუმცა ახლა, გვიანობამდე ეძინა, მერე ყავას სვამდა, იატაკზე ჯდებოდა, გარშემო ექვსიოდე ყოველდღიურ გაზეთსა და თორმეტიოდე ყოველკვირეულ ჟურნალს დაალაგებდა და აუჩქარებლად კითხვასა და გადაკითხვას იწყებდა. ცდილობდა, ყველაფერი ერთიან სურათად წარმოედგინა. თუკი წინათ კითხულობდა იმისთვის, რომ შექმნოდა წარმოდგენა, რა ხდებოდა მსოფლიოში, ახლა მისთვის ჩვეულმა კითხვის სისტემამ ფორმა დაკარგა, გაქრა. ეჩვენებოდა, რომ მისი გონება გადაიქცა რაღაც პოლიგონად, სადაც თანაფარდობათა დადგენა მიმდინარეობდა, ფაქტებსა და მოვლენებს ერთმანეთს ადარებდა, უფარდებდა. მისი ამოცანა ის იყო, გაეცნობიერებინა მოვლენების თანამიმდევრობა, მათი ცვალებადობის წესი და შესაძლო შედეგები. ეჩვენებოდა, რომ იგი, ანა, გადაიქცა რაღაც ცენტრალურ პუნქტად ყველაფრის ცოდნისა, რომელსაც თავს ესხმის მილიონობით ურთიერთდაუკავშირებელი ფაქტი, და ეს ცენტრალური პუნქტი გაქრება, თუკი ვერ გაუმკლავდება მის წინაშე მდგომ ამოცანას, არ შეუთანადებს ერთმანეთს ყველა ფაქტს, არ გაითვალისწინებს მათ. მაგალითად, შეეძლო უცებ აღმოეჩინა, რომ უკვე ძალიან დიდი ხანია მისჩერებია ასეთ განცხადებას: „სითბური გამოსხი-

ვების შედეგად აალების საფრთხე, რომელიც გამოწვეულია ხმელეთზე ათი მეგატონის ბომბის აფეთქებით, დაემუქრება დაახლოებით 25 მილის რადიუსის მქონე ტერიტორიას. ცეცხლის წრეხაზი 25 მილის რადიუსით მოიცავს 1900 კვადრატულ მილს და თუკი აფეთქება წინასწარ შერჩეული სამიზნის ახლოს მოხდება, ის სამიზნე კომპლექსის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ სექტორებს დაფარავს, რაც ნიშნავს, რომ შესაბამისი ატმოსფერული პირობების შემთხვევაში, ვთქვათ, უნალექო ამინდში, ყველაფერი, რაც კი ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე იქნება, სითბური ზემოქმედების სერიოზული საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება, ამასთან ერთად, მრავალ ობიექტს ცეცხლი სრულად გაანადგურებს“, - და ახლა მასში საზარელ გრძნობას ამ სიტყვების შინაარსი კი არ იწვევდა, არამედ ის, რომ გონებაში ვერაფრით აკავშირებდა ამას შემდეგთან: „მე ვარ ადამიანი, რომელიც მომავლის ყველა შესაძლებელ ვარიანტს ყოველ წამს არღვევს, რადგან აწმყოში არსებობს რამდენიმე ალტერნატიული ხედვის კუთხე და ყოველ მათგანზე შემიძლია კონცენტრირება“. ასე შეეძლო დიდხანს მჯდარიყო და ეყურებინა სიტყვების ამ ორი ნაკრებისთვის, სანამ ეს სიტყვები, როგორც ეჩვენებოდა, არ მოსწყდებოდნენ ფურცელს, მოსცილდებოდნენ და სადღაც მიცოცავდნენ, თითქოს საკუთარ აზრს სწყდებოდნენ. არადა, აზრი რჩებოდა, სიტყვებით აღარ დადასტურებული, და ამიტომ, ის, შესაძლოა, კიდევ უფრო შემზარავი ხდებოდა (თუმცა არ მესმოდა, რატომ), რადგან სიტყვებში ვეღარ ეტეოდა. და, აი, ჩიხში აღმოჩენილი სიტყვების ამ ორი ნაკრების გამო გვერდზე გადადებდა მათ და ცდილობდა ყურადღება შეეჩერებინა სიტყვების ახალ ნაკრებზე: „ევროპაში აშკარად ვერ გაუცნობიერებიათ სათანადოდ, რომ აფრიკაში, დღეს დადგენილი წესრიგის სახით არავი-

თარი სტატუს კვო არ არსებობს“. „მიმაჩნია, რომ ფორმალიზმი (და არა ნეორომანტიზმი, როგორც მისტერ სმიტს ჰგონია), მომავალში შეიძლება ჩვენი სტილი აღმოჩნდეს“. შეეძლო საათობით მჯდარიყო იატაკზე, ჟურნალ-გაზეთებიდან ამორჩეულ სიტყვებს დაჰყურებდა. თუმცა მალე მისი საქმიანობის ტიპი შეიცვალა. ჟურნალ-გაზეთებიდან აკურატულად ჭრიდა ტექსტის ნაკუწებს და კედლებზე ჭიკარტებით ამაგრებდა. დიდი ოთახის კედლები ცოტა ხანში თავიდან ბოლომდე დიდი თუ პატარა საგაზეთო ამონაჭრებით დაიფარა. კედლების გასწვრივ ფრთხილად დადიოდა და ამონაჭრებს ათვალიერებდა. როდესაც ჭიკარტები გამოელია, თავის თავს უთხრა, რომ სიბრიყვეა ამ უაზრო საქმიანობის გაგრძელება, მაგრამ მაინც იცვამდა პალტოს, გადიოდა გარეთ, ყიდულობდა ჭიკარტების რამდენიმე კოლოფს და მეთოდურად აგრძელებდა ამონაჭრების მიმაგრებას. გაზეთები კი გროვდებოდა ნოხზე მის კართან, ყოველ დილით მოჰქონდათ, ვეება დასტა ბეჭდური მასალებისა, და ყოველ დილას ჯდებოდა იატაკზე და ცდილობდა მასალების ახალ პარტიაში წესრიგი დაემყარებინა - და ქუჩაში გადიოდა, ჭიკარტები რომ ეყიდა.

გაიფიქრა, რომ გიჟდებოდა. ეს იყო სწორედ ის „ჩავარდნა“, რომელსაც დიდი ხანია ელოდა, მისი პიროვნების „ნაწილებად დაშლა“. თუმცა ეგონა, მართალია, თვითონ ცოტა ვერაა, მაგრამ იმ ადამიანებს, ვინც მასავით არაა დაკავებული გაზეთებში ასახული სამყაროს არასრულყოფილების მტანჯველი გაცნობიერებით, წარმოდგენაც კი არა აქვთ, რომ ამის კეთება სასიცოცხლოდ აუცილებელია. თუმცა თანაც იცოდა, რომ გაგიჟდა. თუმცა ვეღარ ჩერდებოდა, საქმიანად, მანიაკური მეთოდურობით აგრძელებდა გროვებად დახვავებული პრესის გადამუშავე-

ბას და კედლებზე მიმაგრებას, სადაც ადგილი უკვე თითქმის აღარც იყო. ამავე დროს, მშვენივრად იცოდა, რომ იმ დღეს, როცა ჯენეტი სკოლიდან ჩამოვიდოდა, ისევ ძველი ანა გახდებოდა. პასუხისმგებლობიანი ანა და ეს მანია გადაუვლიდა. იცოდა, რომ ჯენეტის დედის უნარი, იყოს საღ ჭკუაზე და გამოიჩინოს პასუხისმგებლობა, გაცილებით მნიშვნელოვანია სამყაროს შეცნობის აუცილებლობაზე, და რომ ერთი მეორეზეა დამოკიდებული. სამყარო არასოდეს მისცემს უფლებას შეიმეცნოს, სიტყვით ვერ იქნება მოწესრიგებული, არ მისცემს უფლებას საგნებს თავისი სახელი დაარქვას, თუკი ჯენეტის დედა დაკარგავს უნარს, პასუხისმგებლობიანი იყოს.

იმის გაფიქრება, რომ ჯენეტი ერთ თვეში უნდა დაბრუნებულიყო, ანას აფორიაქებდა, საგაზეთო ფაქტებით შეპყრობილობას შიგნიდან უნგრევდა. სწორედ ამან აიძულა ანა, რვეულებს მიბრუნებოდა, რომელთაც აღარ ეკარებოდა მას მერე, რაც ტომის უბედურება შეემთხვა. ისევ და ისევ ფურცლავდა სქელ რვეულებს, თუმცა მათთან ვერაფერ საერთოს ვერ პოულობდა. ხვდებოდა, რომ დანაშაულის ერთგვარმა განცდამ, მისთვის გაუგებარმა, რვეულებში წერის უნარი წაართვა. დანაშაულის ეს განცდა, უეჭველია, ტომისთან იყო დაკავშირებული. არ იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებდა, ხომ არ გახდა მისი რვეულების წაკითხვა ის ფაქტორი, რომელმაც ტომის თვითმკვლელობისკენ უბიძგა, და თუკი ეს მართლაც ასე იყო, იქ რაღაც ისეთი დაინახა, რამაც განსაკუთრებულად იმოქმედა, თუ ანა მართლა ქედმაღლურად იქცეოდა? „ეს ქედმაღლობაა, ანა, უპასუხისმგებლობა“. დიახ, ასე თქვა, მაგრამ, გარდა ამისა, ანა აცნობიერებდა, რომ იმედი გაუცრუა, ვერ მისცა რაღაც, რაც მას სჭირდებოდა, ანას ვერა და ვერ გაეგო, - რა მოხდა.

ერთხელაც დღისით ჩაეძინა და სიზმარი ნახა. იცოდა, რომ ეს სიზმარი სხვადასხვა ფორმით უკვე არაერთხელ ენახა. ორი შვილი ჰყავდა. ერთი ბავშვი - ჯენეტი, ფუმფულა, ჯანსაღი გოგონა. მეორე - ტომი, პატარა ბიჭი, რომელსაც აშიმშილებდა. ძუძუ ცარიელი ჰქონდა, რადგან ჯენეტმა მთელი რძე გამოსწოვა, ამიტომ ტომი გამხდარია და სუსტი, შიმშილისგან ილევა მის თვალწინ. სრულიად, ბოლომდე გაქრა, მოკუნტული, გაჩხინკული, ერთი ციცქნა, გაფითრებული ხორცის გუნდა, რომელიც გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა, გაქრა ზედ გაღვიძების წინ, - ანას დანაშაულის შეგრძნებით გაეღვიძა, შეშფოთებულს, დაზაფრულს, შინაგანად გაორებულს, თუმცა გაღვიძებულმა ვერ გამოძებნა მიზეზი, რატომ უნდა ენახა სიზმარი, რომ ტომი შიმშილით მოკლა. გარდა ამისა, იცოდა, რომ ამ ციკლის სხვა სიზმრებში „შიმშილისგან მომაკვდავი არსება“ შეიძლებოდა ნებისმიერი ყოფილიყო, მაგალითად, გამვლელი, რომლის სახე დაამახსოვრდა და დიდხანს არ აძლევდა მოსვენებას. თუმცა, უეჭველია, გრძნობდა პასუხისმგებლობას ქუჩაში წამით დანახული კაცის გამო. აბა, რატომ დაესიზმრებოდა, რომ სიკვდილამდე მიიყვანა?

ამ სიზმრის მერე ანა ისევ გაშმაგებული შეუდგა საქმეს, - გაზეთებიდან ფრაგმენტებს ჭრიდა და კედელზე საგულდაგულოდ ამაგრებდა.

ერთ საღამოს, როდესაც იატაკზე იჯდა, ჯაზს უსმენდა, სასოწარკვეთამდე მისული იმის გამო, რომ საგაზეთო ფრაგმენტებში „აზრის პოვნის“ უნარი არ გააჩნია, გაუგებარი, ჰალუცინაციის მსგავსი გრძნობა დაატყდა თავს. ეს იყო ახალი, მანამდე მისთვის უცნობი სამყაროს სურათი. ეს ახალი გაგება სრულიად შემზარავი გახლდათ, ისეთი რეალობა, რომელიც განსხვავდე-

ბოდა ყველაფრისგან, რასაც ადრე იცნობდა როგორც რეალობას, და მოვიდა გრძნობების იმ შორეული საზღვრებიდან, სადაც მანამდე არასოდეს ყოფილა. არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ეს „დეპრესია“ იყო, ან რომ თავს „უბედურად“ გრძნობდა, ანდა „სულით დაეცა“, არამედ ამ ახალი გამოცდილების არსი ის იყო, რომ ისეთმა სიტყვებმა, როგორიცაა „სიხარული“ და „ბედნიერება“, სრულიად დაკარგა აზრი. ამ „გამონათების“ შემდეგ, როცა გონს მოვიდა, - ეს კი დროის მიღმა მოვლენა იყო, ასე რომ, ანამ არ იცოდა, რამდენ ხანს გრძელდებოდა, - მიხვდა, მიიღო გამოცდილება, რომლის აღსანიშნავად სიტყვა არ არსებობს - იმ სივრცის მიღმა იყო, სადაც შესაძლებელია სიტყვებს აიძულო, აზრით აღიჭურვონ.

თუმცა მაინც მივიდა რვეულებთან, მისცა უფლება ავტოკალმიან ხელს (ავტოკალამი ნახევრად გამჭვირვალე იყო, მისი შიგნეულობა ჩანდა და ამის გამო ზღვის რაღაც არსებას მიაგავდა, შესაძლოა, ზღვის ცხენს) თითოეულ რვეულთან დაყოვნებულიყო, რათა „გამონათებას“ თვითონ გადაეწყვიტა, რომელ რვეულში სურდა წერა, მაგრამ ოთხივე, თავისი განსხვავებული განყოფილებებითა და ქვეგანყოფილებებით, ხელუხლებელი დარჩა და ანამ ავტოკალამი გვერდზე გადადო.

მუსიკა სცადა, განსხვავებული - ჯერ ჯაზს მოუსმინა ფრაგმენტულად, მერე ბახს, მერე სტრავინსკის, იფიქრა, ეგებ მუსიკამ შეძლოს იმის გამოხატვა, რასაც სიტყვით ვერ გამოვხატავო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი იმ მომენტთაგანი აქვს, რომლებიც ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ემართებოდა, - როდესაც მუსიკა მხოლოდ აღიზიანებდა, თითქოს მის შინაგან ყურს თავს ესხმოდა, ის კი იგერიებდა, როგორც მტერს.

თავის თავს უთხრა: „არ მესმის, რატომ ვერ ვახერხებ იმ ფაქტის აღიარებას, რომ ყველა სიტყვა, თავისი არსით, არაზუსტია და არასრულყოფილი. მე რომ მჯეროდეს, რომ მათ სიმართლის გამოხატვა შეუძლიათ, მაშინ არ დავიწყებდი ისეთ რვეულებში წერას, რომლებსაც ვერც კი ვაჩვენებ ვერავის, ტომის გარდა, რასაკვირველია“.

იმ ღამეს ანას თითქმის არ უძინია, იწვა და ფიქრობდა, იხსენებდა, ხელახლა იაზრებდა იმას, რაც მისთვის უკვე იმდენად ჩვეული ფიქრი გახლდათ, რომ მისი მოახლოებისას ანა წინასწარ წუხდებოდა და ბეზრდებოდა ფიქრი პოლიტიკაზე, მოვლენების განვითარების პრინციპებზე თანამედროვე სამყაროში. ეს ბანალურობის დონემდე დაშვების ტოლფასი იყო, რადგან, როგორც ყოველთვის, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც მას ხელეწიფებოდა, მის მიერ შესრულდებოდა ყოველგვარი რწმენის გარეშე, სახელდობრ, „კარგისა“ და „ცუდის“ რწმენის გარეშე. ეს იქნებოდა რაღაც პირობითი ქმედება, ამავე დროს, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ის შეიძლება კარგიც გამოვიდეს, თუმცა ამ იმედის გარდა მასში არაფერი იქნება. არადა, ასეთი განწყობის შემთხვევაშიც შეიძლება მივიდეს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებამდე, რომლებიც საბოლოოდ შეიძლება სიცოცხლის ან თავისუფლების ფასად დაუჯდეს.

ძალზე ადრე გაეღვიძა და ეგრევე სამზარეულოში გავიდა. იდგა და ხელში პრესის ამონაჭრები და ჭიკარტები ეჭირა, რადგან დიდ ოთახში კედლები მთლიანად დაეფარა ამონაჭრებით, სადამდეც კი სწვდებოდა. ამან იმდენად გააოგნა, რომ ერთხანს გვერდზეც კი გადადო ახალი ამონაჭრები და ჟურნალ--გაზეთების დასტები. ფიქრობდა, არ არსებობს არანაირი გონივრული საფუძველი იმისათვის, რომ ესოდენ გაოგნებული ვიყო

მეორე ოთახში გადანაცვლების გამო, ხომ არ გამაოგნა იმან, რომ პირველ ოთახში კედლები მთლიანად დაიფარა ამონაჭრებით, ყოველ შემთხვევაში, იმდენად არა, რომ ამას გავეჩერებინეო.

თუმცა იმ აზრმა დააიმედა, რომ პრესის ფრაგმენტების კედლებზე გაკვრას შეწყვეტს - ფრაგმენტებისა, რაც შეიცავს ინფორმაციას, რომლის ათვისებაც შეუძლებელია. მაგრამ ვერ ჩერდებოდა. ისევ გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, მთელ ოთახში დადიოდა, ცდილობდა, დაეკავშირებინა ერთი ცნობა მეორესთან, სიტყვების ერთი ნაკრები - მეორესთან.

ტელეფონის ზარმა ამ საქმიანობაზე მოუსწრო. მეგობარი მოლი რეკავდა. მემარცხენე ამერიკელს რამდენიმე დღით ოთახი სჭირდებაო. ანამ გაიხუმრა, რომ თუ ლაპარაკია ამერიკელზე, ესე იგი, ის კაცი წერს ეპიკურ რომანს, დადის ფსიქოანალიტიკოსთან და მეორე ცოლთან გაყრის პროცესშია; თუმცა დაამატა, რომ ოთახს დაუთმობს. მოგვიანებით მან თვითონ დარეკა და უთხრა, საღამოს, დაახლოებით ხუთზე შემოგივლითო. ანამ მისი მოსვლის დროისათვის ტანსაცმელი ჩაიცვა და უცებ მიხვდა, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ნორმალურად იცვამდა მხოლოდ იმისთვის, ქუჩაში რომ გავარდნილიყო ჭიკარტებისა და ლუკმა პურის საყიდლად. დაახლოებით ხუთზე ამერიკელმა ისევ დარეკა და უთხრა, რომ ვერ მივიდოდა, რადგან თავის ლიტერატურულ აგენტს უნდა შეხვედროდა. ანა გააოცა იმ დეტალების სიუხვემ, რაც მან აგენტთან შეხვედრის ცნობას მოაყოლა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ მოლიმ დარეკა და უთხრა, რომ მილტი (ამერიკელი) მასთან წვეულებაზე მიდის და ანაც ხომ შეუერთდებოდა? ანამ იგრძნო, რომ ღიზიანდებოდა, მერე მხრები აიჩეჩა, დამშვიდდა, მიპატიჟებაზე უარი

თქვა, ისევ გადაიცვა ხალათი და იატაკზე დაეშვა, ჟურნალ--გაზეთების გარემოცვაში.

გვიან საღამოს კარზე დარეკეს. ანამ გააღო და ამერიკელი დაინახა. მოუბოდიშა, წინასწარ რომ არ დარეკა, ანამ კი - სათანადოდ ჩაცმული რომ არ იყო.

ახალგაზრდა იყო, ანას შეფასებით, დაახლოებით ოცდაათისა; თმა - წაბლისფერი, მოკლედ შეკრეჭილი, ჯანმრთელი ცხოველის ბეწვს მიუგავდა. ჭკვიანი, გამჭრიახი და კომპეტენტური ამერიკელი იყო. ანა კარგად იცნობდა ამ ტიპის ადამიანებს, მათ „სახელი“ დაარქვა, გაცილებით უფრო რთული და ღვარჭნილი იარლიყი მიაწება, ვიდრე მათ ინგლისელ ეკვივალენტს მიანიჭებდა, რადგან იგი გასაოცრად უგუნური ქვეყნის მკვიდრი გახლდათ, რაც ევროპისთვის ჯერაც უცხოა.

როდესაც კიბეზე ადიოდნენ, ბოდიშების მოხდა დაიწყო, რომ იძულებული გახდა აგენტთან შეხვედრაზე წასულიყო, მაგრამ ანამ გააწყვეტინა და ჰკითხა, მოეწონა თუ არა წვეულება. კაცმა ჩაიცინა და უთხრა:

- ჰოო, ჩამავლეთ.

- თავისუფლად შეგეძლოთ გეთქვათ, რომ წვეულებაზე გინდათ წასვლა, - მიუგო ანამ.

სამზარეულოში იდგნენ, ერთმანეთს აკვირდებოდნენ, იღიმებოდნენ. ანამ გაიფიქრა: „ქალი, რომელსაც არა ჰყავს კაცი, ვერ გაიცნობს ნებისმიერ მამაკაცს ისე, რომ არ გაიფიქროს, თუნდაც წამით: „იქნებ ეს ისაა?“ მიუხედავად იმისა, თუ როგორია, რამდენი წლისაა და ასე შემდეგ. „იქნებ ეს ისაა?“ - აი, სწორედ ამიტომ გამაღიზიანა მისმა ტყუილმა. რამდენად დამღლელია, რამდენად მომბეზრდა ეს ყველა, წინასწარ ცხადი ემოციები“.

ანამ ჰკითხა:

- გინდათ ოთახი ნახოთ?

კაცი იდგა, სამზარეულოს ყვითლად შეღებილი სკამის საზურგეს ეყრდნობოდა, წონასწორობა რომ დაეცვა, წვეულებაზე აშკარად ზედმეტი დაულევია. უთხრა:

- კი, მინდა.

თუმცა ადგილიდან არ დაძრულა. ანამ შენიშნა:

- თქვენ ჩემთან შედარებით უპირატესობა გაქვთ, მე ხომ ფხიზელი ვარ. მაგრამ რაღაც უნდა გითხრათ: ჯერ ერთი, ვიცი, რომ ამერიკელებს ბევრი ფული არა აქვთ, ამიტომ ოთახის გადასახადი დიდი არ იქნება.

კაცმა გაიღიმა.

- მეორეც, თქვენ წერთ ეპიკურ რომანს და...

- ალბათ, ჯერ არ დამიწყია.

- და კიდევ, თქვენ დადიხართ ფსიქოანალიტიკოსთან, რადგან პრობლემები გაქვთ.

- ისევ შეცდით, ტვინის გამომრეცხავს მხოლოდ ერთხელ ვესტუმრე, რის მერეც გადავწყვიტე, რომ ამ საქმეს მე თვითონ უკეთესად მოვერევი.

- ეს კარგია, ესე იგი, თქვენთან საუბარი მაინც იქნება შესაძლებელი.

- რატომაა, რომ თითქოს მუდმივად თავს იცავთ?

- მე კი უფრო იმას ვიტყოდი, რომ აგრესიულად ვიქცევი, თავს გესხმით, - ჩაილაპარაკა ანამ სიცილით. თავისთვის ინტერესით აღნიშნა, რომ ასევე ადვილად შეიძლებოდა, ატირებულიყო.

კაცმა თქვა:

- მე აქ ესოდენ შეუფერებელ დროს იმიტომ შემოვიჭერი, რომ ღამით აქ მინდა დავიძინო. ახალგაზრდული ქრისტიანული ასოციაციის წევრებთან ვიყავი გაჩერებული და ეს ჩემთვის ცნობილ

ნებისმიერ ქალაქში ყველაზე ნაკლებად შესაფერისი ადგილია საჩემოდ. გავბედე და ჩემოდანი თან წამოვიღე, თქვენს კართან დავტოვე, და ეს ჩემი ეშმაკობა, ცხადია, თეთრი ძაფითაა ნაკერი.

- მაშინ შემოიტანეთ, - უთხრა ანამ.

ჩემოდნის ამოსატანად გავიდა. ანა დიდ ოთახში შევიდა, თეთრეული რომ გამოეღო მისთვის. იქ ყოველგვარი ქვენა გრძნობის გარეშე შევიდა, მაგრამ ყველაფერი ჩაწყდა, როდესაც გაიგონა, კაცმა მის ზურგს უკან კარი რომ შემოაღო, გაშეშდა, წარმოიდგინა, რა შთაბეჭდილება შეიძლებოდა მოეხდინა უცხო ადამიანზე მის ოთახს. იატაკზე ჟურნალ-გაზეთების გორებია; კედლებზე შპალერის ნაცვლად პრესის ამონაჭრებია, ლოგინი - არეული. შემობრუნდა, - ხელში ზეწრები და საბნის პირები ეჭირა, - და უთხრა:

- იქნებ ლოგინი თქვენ თვითონ გაიშალოთ.

მაგრამ კაცი უკვე ოთახში იყო შემოსული და დაკვირვებით ათვალიერებდა, სათვალის მინები უელავდა. მერე პირდაპირ მის სამუშაო მაგიდაზე ჩამოჯდა, სადაც რვეულები ეწყო, და ფეხები ჰაერში აათამაშა. ამერიკელი ათვალიერებდა მას (ანამ თავისი თავი გვერდიდან დაინახა: გახუნებული წითელი ხალათი, დაუვარცხნელი შავი თმა შუბლზე ჩამოშლია, სახეზე კოსმეტიკის ნატამალიც არა აქვს), კედლებს, იატაკს, საწოლს და მერე დამცინავად გამოხატა განცვიფრება, ერთიანად ამოთქვა:

- აი, ეს მესმის!

თუმცა ეტყობოდა, რომ გულწრფელად იყო შეშფოთებული.

- მითხრეს, რომ მემარცხენე ხართ, - უთხრა ანამ ისე, თითქოს მისგან გულმოწყალებას ითხოვდა, თანაც ინტერესით შე-

ნიშნა თავისთვის, თუ რა შესთავაზა ინსტინქტურად საკუთარი სიტუაციის ასახსნელად.

- მოძველებული, ომის შემდგომი.

- ველოდები, როდის იტყვით: და კიდევ სამი დარჩენილი სოციალისტი შტატებში, ჩვენ ვაპირებთ...

- კიდევ ოთხი...

კედელთან მივიდა, თითქოს მიეპარაო, საგაზეთო „შპალერი“ რომ დაეთვალიერებინა, სათვალე მოიხსნა (ახლომხედველი თვალები გამოაჩინა) და გაიმეორა:

- აი, ეს მესმის!

მერე ფრთხილად მოირგო სათვალე და თქვა:

- ერთი ნაცნობი მყავდა, საუკეთესო ჟურნალისტი, მიმომხილველი. თუკი გაინტერესებთ, ვინ იყო ის ჩემთვის, რაც სავსებით ბუნებრივია, რომ გაინტერესებდეთ, გეტყვით, - მამას მიცვლიდა. წითელი იყო. მერე რაღაცამ მოუარა, მერე კიდევ რაღაცამ, ასეც შეიძლება ითქვას, და, აი, უკვე სამი წელია ზის ნიუ-- იორკში, ბინაში, სადაც ცხელი წყალიც კი არ არის, ზის, ფარდები ბოლომდე აქვს ჩამოშვებული და მუდმივად პრესას კითხულობს. გაზეთების გროვებმა ჭერამდე მიაღწია. თავისუფალი სივრცე ჩემი მოკრძალებული გაანგარიშებით ორ იარდამდე შემცირდა. მანამდე კი, გაზეთების შემოსევამდე, ბინა ერთობ დიდი გახლდათ.

- ჩემი მანია მხოლოდ რამდენიმე კვირას ითვლის.

- თავს მოვალედ ვთვლი გაცნობოთ, რომ ეს ისეთი კატეგორიის რაღაცაა, რომ ერთხელ თუ გაჩნდა, შეიძლება ბოლომდე შეგახრამუნოთ, ამის მაგალითია ჩემი საბრალო მეგობარი. სხვათა შორის, ჰენკი ჰქვია.

- ბუნებრივია.

- კარგი კაცია. გულდასაწყვეტია, როცა ხედავ, რა გზით წავიდა.

- საბედნიეროდ, მე მყავს ქალიშვილი, რომელიც სკოლიდან ჩამოვა ერთ თვეში და მე იმ დროისათვის გავნორმალურდები.

- ეს შეიძლება იატაკქვეშეთში გადაგივიდეთ, - თქვა მან. მაგიდაზე იჯდა და გამხდარ ფეხებს ჰაერში იქნევდა.

ანამ თავისი ლოგინის გასწორება დაიწყო.

- ეს ჩემს პატივსაცემად?

- აბა, ვისი?

- აშლილი ლოგინები ჩემი სტიქიაა.

მილტი მასთან ჩუმად მივიდა, სანამ საწოლის თავზე იყო დახრილი. ანამ თქვა:

- იმდენი ცივი და ეფექტური სექსი მქონია, რამდენიც კი საერთოდ შესაძლებელია.

ამერიკელი მაგიდას მიუბრუნდა და სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა:

- და ვის არ გვქონია რო? სად წავიდა ის თბილი, ერთგული სექსი, რომლის შესახებ წიგნებში წაგვიკითხავს?

- იატაკქვეშეთში, - მიუგო ანამ.

- თანაც მაგ საქმეში ეფექტიანიც კი არა ვარ.

- რა, არც ერთხელ არ გამოგივიდათ ისე, როგორც საჭიროა? - იკითხა ანამ, არ მოუნდა ნათქვამი ყურში გაეტარებინა.

მისკენ მიბრუნდა. ერთმანეთს ირონიულად უღიმოდნენ.

- მე მიყვარს ჩემი ცოლი.

ანას გაეცინა.

- დიახ. და სწორედ ამიტომ ვეყრები. ანდა ის მეყრება.

- რას იზამ, მეც ვუყვარდი ერთხელ კაცს, ვგულისხმობ, რომ მართლა ვუყვარდი.

- მერე?

- მერე მიმატოვა.

- გასაგებია. სიყვარული მეტისმეტად რთული საქმეა.

- სექსი კი - მეტისმეტად ცივი.

- გინდათ თქვათ, რომ მას მერე უბიწოებას იცავთ?

- არა მგონია, ამის თქმა სწორი იყოს.

- ასეც ვიფიქრე.

- ჩემთვის სულერთია.

- ახლა როცა პოზიციები გავარკვიეთ, ლოგინში ხომ ვერ ჩამიწვებოდით? ცოტა ზედმეტის დალევა მომივიდა და მეძინება, არადა, მარტოს ძილი არ შემიძლია.

ეს სიტყვები: „არადა, მარტოს ძილი არ შემიძლია“ თქვა იმ კაცის სისასტიკით, რომელიც უკვე ზღვარზეა მისული. ანას შეეშინდა, მერე კი ყურადღებით, დაკვირვებით გახედა, მთელი არსებით შეეცადა ეგრძნო მისი მდგომარეობა. მილტი მაგიდაზე იჯდა, იღიმებოდა, მდგომარეობა კი საშინელი ჰქონდა, თუმცა თავს აკონტროლებდა.

- მე ჯერ კიდევ შემიძლია მარტოს ძილი, - თქვა ანამ.

- მაშინ თქვენი მდგომარეობის უპირატესობიდან გამომდინარე, შეგიძლიათ დიდსულოვნება გამოიჩინოთ.

- რა სასიამოვნოა.

- ანა, მე ეს ძალიან მჭირდება. როდესაც ვიღაცას რაღაც ძალიან სჭირდება, ჩვენ მას ვაძლევთ ხოლმე.

ანამ არ უპასუხა.

- არაფერს არ გთხოვთ, არაფერს არ მოგთხოვთ, წავალ მაშინ, როცა მეტყვით.

- კიი, როგორ არა, - ანა უცებ ძალიან გაბრაზდა, კიდეც ააცახცახა სიბრაზისგან, - არც ერთი თქვენგანი არაფერს ით-

ხოვს, - არაფერს გარდა ყველაფრისა, მაგრამ მხოლოდ იმ დროით, სანამ თვითონ უნდა.

- რას იზამ, ასეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, - შენიშნა ამერიკელ-მა.

ანას გაეცინა. გაბრაზებამ გადაუარა. კაცსაც გაეცინა. უეცრად, ხმამაღლა, შვებით.

- და სად იყავით წინაღამეს?

- თქვენს მეგობარ ბეტისთან.

- ჩემი მეგობარი არაა. ჩემი მეგობრის მეგობარია.

- მასთან სამი ღამე გავატარე. მეორე ღამის მერე მითხრა, რომ ვუყვარვარ და მზადაა ჩემ გამო ქმარი მიატოვოს.

- ერთობ პირდაპირი ნათქვამია.

- თქვენ ასე არ იტყოდით, არა?

- სავსებით შესაძლებელია. როგორც ნებისმიერი ქალი, რომელსაც ძალიან მოეწონა კაცი.

- ჰო მაგრამ, ანა, თქვენ უნდა გაიგოთ...

- ო, მე ყველაფერი ძალიან კარგად მესმის.

- ესე იგი, ლოგინის გაშლა არ დამჭირდება?

ანა ატირდა. მილტი მივიდა, გვერდით მიუჯდა, ხელი მოხვია.

- რა სიგიჟეა, - თქვა მან, - დავეხეტები მსოფლიოში, - მთელ მსოფლიოში დავეხეტები, ეს გითხრეს? აღებ კარს და აღმოაჩენ, რომ მის უკან ადამიანია, რომელსაც უჭირს. საკმარისია შეაღო ნებისმიერი კარი, რომ ეგრევე განადგურებულ ადამიანს ხედავ.

- შესაძლოა, ასეთ კარებს თქვენ თავად ირჩევთ.

- ასეც რომ იყოს, ცხოვრებაში შემხვედრია უამრავი კარი, რომლებიც როცა შევაღე... ანა, ნუ ტირით, არა, თუ გსიამოვ-ნებთ, იტირეთ, მაგრამ არა მგონია, გსიამოვნებდეთ.

ანამ თავს უფლება მისცა უკან, ბალიშებზე გადაწოლილიყო. კაცი მის გვერდით იჯდა, წელში მოხრილი, ქვედა ტუჩს თითებით აწვალებდა, იჯდა სევდიანი, ჭკვიანი, ულმობელი.

- რატომ გგონიათ, რომ მეორე დილას არ გეტყვით: „მინდა ჩემთან დარჩე“?

ფრთხილად უპასუხა:

- თქვენ საამისოდ მეტისმეტად ჭკვიანი ქალი ხართ.

ანა მისმა სიფრთხილემ გააღიზიანა, თქვა:

- ჩემი ეპიტაფია იქნება: „აქ წევს ანა ვულფი, რომელიც ყოველთვის მეტისმეტად ჭკვიანი ქალი იყო. იგი მათ უშვებდა“.

- უარესიც შეიძლებოდა ყოფილიყო. თქვენ შეგეძლოთ დაგეტოვებინათ ისინი, როგორც ამას სხვები აკეთებენ, ზოგიერთ ასეთს პირადად ვიცნობ.

- დიახ, ალბათ, ასეა.

- წავალ, პიჟამას გადავიცვამ და მოვალ.

მარტო დარჩენილმა ანამ ხალათი გაიხადა, შეყოყმანდა, არჩევდა, რა ჩაეცვა - ღამის პერანგი თუ პიჟამა, - ღამის პერანგი არჩია, ინსტინქტურად იგრძნო, რომ ერჩივნა პიჟამაში ყოფილიყო, ეს მისი თავისებური განცხადება გახლდათ.

შემოვიდა სათვალიანი, ხალათში. ანა უკვე იწვა. მილტმა ხელი დაუქნია. მერე კედელთან მივიდა და საგაზეთო ამონაჭრების ჩამოხევა დაიწყო.

- მცირედი სამსახური, - თქვა მან, - თუმცა, ალბათ, უკვე დაგვიანებული.

ანას ესმოდა ქაღალდის ხევის ხმა, იატაკზე დავარდნილი ჭიკარტების წკაპაწკუპი. ხელები თავქვეშ ამოედო და უსმენდა. შეგრძნება გაუჩნდა, რომ ვიღაც მასზე ზრუნავს, მფარველობს. დროდადრო თავს წამოსწევდა ხოლმე, რომ გაეგო, საქმე რო-

გორ მიდიოდა. ოთახში კედლების სითეთრემ ნელ-ნელა გამოანათა. ამ საქმეს საკმაო ხანი დასჭირდა, საათზე მეტი.

ბოლოს თქვა:

- აი, ასე, ახლა უკვე წესრიგია. პირველი ნაბიჯი გადადგმულია კიდევ ერთი სულის გადარჩენის გზაზე.

ჩამოხეული ქაღალდი ბღუჯებად აიღო, ჟურნალ-გაზეთების დასტები მისი სამუშაო მაგიდის ქვეშ შესწია.

- ეს რა წიგნებია? კიდევ ერთი რომანი?

- არა. თუმცა ერთხელ კი დავწერე რომანი.

- წაკითხული მაქვს.

- მოგეწონათ?

- არა.

- არა? - ანას სასიამოვნოდ გაუკვირდა, - მაშ, ძალიან კარგი.

- ხელოვნურად ლამაზია. აი, როგორ დავახასიათებდი, თუკი მკითხავდნენ.

- უკვე ვგრძნობ, რომ ხვალ დილას ჩემთან დარჩენას გთხოვთ.

- და ეს რა სასარგებლო რვეულებია?

რვეულები გადაფურცლა.

- არ მინდა, რომ წაიკითხოთ.

- ვითომ რატომ? - უკვე კითხულობდა.

- ისინი მხოლოდ ერთმა ადამიანმა წაიკითხა. თავის მოკვლა სცადა, არ გამოუვიდა, ამის შედეგად დაბრმავდა, ახლა კი ზუსტად ის გახდა, რისგანაც უნდოდა თავის დაღწევა, როდესაც თვითმკვლელობა სცადა.

- სამწუხაროა.

ანამ თავი წამოსწია, რომ შეეხედა. სახეზე ნაძალადევად მოსულელო, ჭოტის მსგავსი ღიმილი დასთამაშებდა.

- გინდა თქვათ, რომ ეს თქვენი ბრალია?

- არაა აუცილებელი.

- ჰო, მაგრამ მე პოტენციური თვითმკვლელი არ გახლავარ. უფრო იმას ვიტყოდი, რომ ვარ კაცი, რომელიც ქალებს სასიცოცხლო ძალას სწოვს, თუმცა ხასიათის წყობით თვითმკვლელი არა ვარ.

- საამაყო არაფერი გქონიათ.

პაუზა. მერე კი:

- ჰოო, მართალია, ალბათ, ასეცაა. და თუ ამას სხვა კუთხიდან შევხედავ, შემიძლია ვთქვა, რომ ესაა, რისი განცხადებაც მსურდა და რასაც ვაკეთებ კიდეც. არ ვტრაბახობ. უბრალოდ, განცხადებას ვაკეთებ. განვსაზღვრავ ისე, როგორც მესმის. რაც ნიშნავს, რომ ეს ჩემს თავში შეიძლება დავძლიო. გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რამდენი ნაცნობი მყავს, რომლებიც თავს იკლავენ ანდა სხვებს სასიცოცხლო ენერგიას სწოვენ, მაგრამ ამას ვერ აცნობიერებენ.

- არ მიკვირს.

- ჰო, კარგი. მაგრამ მე ამას ვაცნობიერებ, ვაცნობიერებ, რას ვაკეთებ. ესე იგი, ამის დაძლევას შევძლებ.

ანამ ყრუ ხმა გაიგონა - ტყაპ, ტყაპ - რვეულები დახურა. ანას სიცოცხლით აღსავსე, ახალგაზრდული პრაქტიკული ხმა მოესმა:

- რას ცდილობდით? სიმართლის დაჭერას და გალიაში ჩამწყვდევას? ჭეშმარიტებისა და ასე შემდეგ?

- რაღაც მსგავსისა. თუმცა კი, ამაოდ. კარგი არაფერი გამოვიდა.

- არც იმაშია რაიმე კარგი, რომ უფლებას აძლევთ იმ სვავს, დანაშაულის გრძნობას, გკორტნოთ. ამაში ნამდვილად არაფერია კარგია.

ანას გაეცინა. ამღერდა, პოპ-სიმღერის მსგავს რაღაცას თხზავდა ექსპრომტად:

სვავი-დანაშაული
მკორტნის მე და გკორტნის შენ,
არ მისცე ბებერ სვავს უფლება, გკორტნოს,
არ მისცე ბებერ სვავს უფლება,
მოგკლას.

მილტი ფირსაკრავთან მივიდა, ფირფიტები ყურადღებით დაათვალიერა, ბრუბეკი შეარჩია, თქვა:

- შინიდან - შინ. შტატებიდან წავედი, ერთი სული მქონდა, ახალი ცხოვრებისეული გამოცდილება მიმეღო, მაგრამ ყველგან ვპოულობ იმ მუსიკას, რომელიც შინ დავტოვე.

იჯდა, სათვალის გამო მოზეიმე და სიცოცხლისმოყვარე ჭოტს ჩამოჰგავდა, ჯაზის რიტმში მხრებს ათამაშებდა და ტუჩებსაც აცმაცუნებდა.

- ეს უეჭველია, - წაიმღერასავით, - მთლიანობისა და უწყვეტობის შეგრძნებას მიქმნის, დიახ, ეს ზუსტი სიტყვებია, სწო-ო-ორედაც, მთლიანო-ობის და უწყვეტო-ო-ბის შეგრძნება, ქალაქიდან ქალაქში - ერთი და იგივე მუსიკა, და ყოველ კარს უკან - ისეთივე შერეკილი, როგორიც თვითონ ვარ.

- პირადად მე შერეკილი მხოლოდ დროებით ვარ, - უთხრა ანამ.

- კი ბატონო, მაგრამ ხომ იყავით. სავსებით საკმარისია.

საწოლთან მივიდა, ხალათი გაიხადა და ლოგინში ძმური უშუალობით, მეგობარივით ჩაწვა.

- და არ გაინტერესებთ, რატომ ვარ ასეთ სავალალო ფორმაში? - ხანმოკლე პაუზის შემდეგ იკითხა.

- არა.

- მაინც მოგიყვებით. არაფერი გამომდის იმ ქალებთან, რომლებიც მომწონს.

- ბანალურია, - თქვა ანამ.

- ო, კი, გეთანხმებით. ბანალურია ტავტოლოგიისა და მოწყენილობის ფონზე.

- და ჩემთვის ერთობ სამწუხარო.

- ჩემთვისაც სამწუხაროა, განა არა?

- თუ გრძნობთ, ახლა რას განვიცდი?

- დიახ, ანა, დამიჯერეთ, ვგრძნობ, და ძალიან მტკივა გული, არც მე ვარ ხის კუნძი.

პაუზა. შემდეგ თქვა:

- ახლა კი გაიფიქრეთ: „და რაც შემეხება მე?“

- უცნაურია, მაგრამ მართლაც გავიფიქრე.

- გინდა გაგჟიმო? შევძლებდი. ჯანდაბას, მოხდეს, რაც მოხდება.

- არა.

- არა. ასეც ვიფიქრე, არ მოგინდებოდა და მართალიც იქნებოდი.

- ჩემთვის სულერთია.

- ჩემს ადგილას რომ ყოფილიყავი, როგორ მოგეწონებოდა? ქალი, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მომწონს, ჩემი ცოლია. ბოლოს გავჟიმე, როცა თაფლობის თვე გვქონდა, ასე გამოვიდა. ამის მერე ფარდა დაეშვა. სამი წლის მერე ძალიან გაბრაზდა და მითხრა: „მორჩა, საკმარისია“. ანა ამის გამო დაადანაშაულებ? ანდა, მე თვითონ? არადა, ყველაზე მეტად მე მოვ-

წონვარ. ბოლო სამი ღამე შენი მეგობრის მეგობარ ბეტისთან გავატარე. მე ის არ მომწონს, მაგრამ აშკარად მხიბლავს ერთი პატარა მონახაზი მისი დუნდულების მიდამოებში.

- ოჰ, არ გინდა.

- გინდა თქვა, რომ ეს უკვე არაერთხელ გსმენია?

- ამა თუ იმ ფორმით - კი.

- ჰო რა, მსგავსი აღსარებები ყველას მოგვისმენია. გინდა წარმოგიდგინო ამ მოვლენის სოციოლოგიური - დიახ, ეს ზუსტი სიტყვაა, - სოციოლოგიური ანალიზი?

- არა, ისედაც ვიცი.

- ასეც ვფიქრობდი. კარგი. ჰო, კარგი. მაგრამ ვაპირებ ამას ვძლიო. ეს უკვე გითხარი. ხასიათის წყობით მე უდიდესი მორწმუნე ვარ. ამას ასე განვსაზღვრავდი - შენის ნებართვით. მორწმუნე ვარ იმ გაგებით, რომ მესმის, რას ვაკეთებ არასწორად, ამას ვაღიარებ და ვამბობ, რომ ვაპირებ ეს დავძლიო.

- კეთილი, - თქვა ანამ, - მეც ასეთი ვარ.

- ანა, მომწონხარ. დიდი მადლობა, რომ მომეცი უფლება, დავრჩენილიყავი. ვგიჟდები, როცა მარტო მძინავს.

ცოტა ხანი ჩუმად იყო, მერე კი თქვა:

- გაგიმართლა, შვილი რომ გყავს.

- ვიცი. ამიტომაც ვარ ნორმალური, შენ კიდევ - შერეკილი.

- მართალია. ჩემს ცოლს ბავშვი არ უნდა. არა, შეიძლება, უნდა კიდეც. თუმცა მითხრა: „მილტ, - ასე მითხრა, - მე არ გავაჩენ ბავშვს კაცისგან, რომელსაც ჩემზე მხოლოდ მაშინ უდგება, როცა დათვრება“.

- ამ სიტყვებით გითხრა? - ანამ აღშფოთებით იკითხა.

- არა, ძვირფასო, არა, ჩემო პატარავ, არა. მითხრა: „მე არ გავაჩენ ბავშვს კაცისგან, რომელსაც არ ვუყვარვარ“.

- რა სიბრიყვეა, - მწარედ ჩაილაპარაკა ანამ.

- არ გინდა ამ ტონით, ანა, თორემ იძულებული ვიქნები, წავიდე.

- არ ფიქრობ, რომ, ცოტა არ იყოს, უცნაური სიტუაციაა: მამაკაცი მიდის ქალთან სახლში და ეუბნება: „მე უნდა ჩაგიწვე ლოგინში, რადგან მარტო როცა მძინავს, ვგიჟდები, მაგრამ არ შემიძლია შენთან სექსი, რადგან თუ ამას გავაკეთებ, შემძულდები?“

- ეს უფრო უცნაურია, ვიდრე ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ახლა შეიძლება მე და შენ გავიხსენოთ და ვახსენოთ?

- არა, - ანამ დაფიქრებით უთხრა, - არა.

მერე კი დაუმატა:

- გმადლობ, ამ სისულელისგან კედლები რომ გამითავისუფლე. გმადლობ. კიდევ რამდენიმე დღე და საბოლოოდ შევიშლებოდი.

- მიხარია, რომ დაგეხმარე. ანა, მე სრულიად უიღბლო ვარ. ამ კონკრეტულ მომენტში - სრული უიღბლო, ანა, და შეგიძლია ეს არ მითხრა, მაგრამ არის რაღაც, რაც ძალიან კარგად გამომდის: როცა ვხედავ, რომ ადამიანი გასაჭირშია, ყოველთვის ზუსტად ვხვდები, რომელი მკაცრი ზომებია სასწრაფოდ მისაღები.

დაიძინეს.

დილით ანამ მისი მომაკვდინებელი სიცივე იგრძნო, შემზარავი სიცივე, ეს იგივე იყო, სიკვდილს რომ მოხვეოდი. ნელ--ნელა დაზილა, გაათბო, გააღვიძა. თბილი, გაღვიძებული და მადლიერი მილტი დაეუფლა. მაგრამ იმ მომენტისთვის ანა უკვე მზად იყო თავის დასაცავად და ვერ მოახერხა მოდუნება, ვერ მიეშვა.

- ესეც შენ, - თქვა მან მოგვიანებით, - ასეც ვიცოდი. განა არ ვიყავი მართალი?

- კი, მართალი იყავი. მაგრამ ძნელია გაუძალიანდე კაცს, რომელსაც გიგანტური ერექცია აქვს.

- მაინც უნდა გეცადა. რადგან ახლა ძალზე ბევრი ენერგიის დახარჯვა მოგვიწევს იმისთვის, რომ ერთმანეთის მიმართ ანტიპათია არ გაგვიჩნდეს.

- მაგრამ შენ მიმართ ანტიპათიას არ ვგრძნობ.

ერთმანეთი ძალიან მოსწონდათ, გრძნობდნენ სევდას და სიახლოვეს, მეგობრულ სითბოს, ადამიანებივით, ოცი წელი რომ ცოლ-ქმარი არიან.

მილტმა ანასთან ხუთი დღე გაატარა, ყოველ ღამე მის ლოგინში ეძინა.

მეექვსე დღეს ანამ უთხრა:

- მილტ, მინდა ჩემთან დარჩე.

მან ეს მანჭვით, პაროდიულად თქვა, ეს იყო გესლიანი პაროდია თვით მასზეც, თითქოს ანა სჯიდა და ამათრახებდა საკუთარ თავსაც, მან კი ღიმილით, სევდიანად უპასუხა:

- კი, ვიცი, ჩემი წასვლის დრო მოვიდა. დროა სხვაგან წავიდე. მაგრამ რატომ, რატომ?

- იმიტომ, რომ მინდა ჩემთან დარჩე.

- რატომ არ შეგიძლია ამის მიღება? რატომ? - მისი სათვალის მინები მღელვარედ კასკასებდა, ტუჩები ისე სახალისოდ დააწყო, თითქოს გულწრფელად განცვიფრებულია, მაგრამ, ამავე დროს, მეტად გაფითრებული გახლდათ, შუბლზე ოფლმა დაასხა, - თქვენ უნდა გვიღებდეთ ჩვენ, უნდა გვიღებდეთ, განა არ იცი? ანა, ვერ ხვდები, რომ ჩვენთვის ეს ყველაფერი გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე თქვენთვის? მესმის, რომ თქვენ გული

გტკივათ და გწყინთ და ამაში მართლები ხართ, მაგრამ თუ ისეთებად არ მიგვიღებთ, როგორიც ვართ, და ამ ყველაფერში არ გაგვატარებთ...

- იგივე მეც შემიძლია თქვენ გითხრათ, - ჩაილაპარაკა ანამ.

- არა. რადგან თქვენ ჩვენზე ძლიერები ხართ, უფრო კეთილები, თქვენ შეგწევთ ამის გაკეთების ძალა.

- შემდეგ ქალაქში ახალ, კარგი ხასიათის ქალს იპოვი.

- თუ გამიმართლა.

- იმედია, გაგიმართლებს.

- კი, ვიცი, იმედი გაქვს. ვიცი. და მადლობა შენ... ანა, დავძლევ ამას. შენ შეიძლება გგონია, რომ ვერ მოვახერხებ, მაგრამ მოვახერხებ. ვიცი, რომ მოვახერხებ.

- თუ ასეა, წარმატებას გისურვებ, - უთხრა ანამ და გაუღიმა.

წასვლამდე სამზარეულოში შეხვდნენ ერთმანეთს. ცოტა ხანი იდგნენ, აშკარად არ უნდოდათ განშორება, ცრემლს ძლივს იკავებდნენ.

- ანა, შენ ხომ არ აპირებ ფარ-ხმლის დაყრას?

- რატომაც არა?

- ერთობ გულდასაწყვეტი იქნება.

- გარდა ამისა, ხომ შეიძლება ერთხელაც კიდევ მოგინდეს აქ მოსვლა რამდენიმე ღამით.

- კარგი. შენ გაქვს ამის თქმის უფლება.

- ოღონდ შემდეგ ჯერზე მე დაკავებული ვიქნები. ჯერ ერთი, სამსახური მექნება.

- მოიცა, გაჩერდი. ვეცდები, გამოვიცნო. სოციალურ სამსახურში აპირებ? აპირებ - მოიცა, ჩემი თავიდან ამოვიდე, - აპირებ გახდე სოციალური მუშაკი ფსიქოთერაპიის განხრით, ანდა მასწავლებლად სკოლაში, ანდა რაღაც მსგავსი?

- რაღაც მსგავსი.

- ჩვენ ყველა ამისკენ მივდივართ.

- შენ ამისგან შენი ეპიკური რომანი გიხსნის.

- ანა, რატომ ასე გაბოროტებით?

- სულაც არ ვგრძნობ თავს კეთილ ადამიანად. მინდა ვიყვირო, ვიკივლო და ყველაფერი დავლეწო ჩემ გარშემო.

- როგორც უკვე გითხარი, ესაა სწორედ ჩვენი დროის შავბნელი საიდუმლო, ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს, მაგრამ საკმარისია შეაღო ნებისმიერი კარი, რომ გესმის სასოწარკვეთილი, უხმო ყვირილი.

- კარგი, ნებისმიერ შემთხვევაში, გმადლობ, რომ ამომათრიე... იქიდან, რაშიც ვიყავი.

- მზად ვარ გემსახურო.

ერთმანეთს აკოცეს. მილტმა სწრაფად ჩაირბინა კიბე, ხელში ჩემოდანი ეჭირა, კართან შედგა, მოიხედა და უთხრა:

- უნდა გეთქვა, მოგწერო.

- მაგრამ ჩვენ ხომ ამას არ ვაპირებთ?

- კი, მაგრამ ფორმა მაინც დავიცვათ, ფორმა.

ხელი დაუქნია, გავიდა, თვალს მიეფარა.

როდესაც ჯენეტი ჩამოვიდა, ანა სამსახურსა და უფრო პატარა ბინას ეძებდა.

მოლიმ ანას დაურეკა, რომ ეთქვა, ვთხოვდებიო. ქალები მოლისთან შეხვდნენ ერთმანეთს, სამზარეულოში დასხდნენ, სადაც მოლი სალათსა და ომლეტს ამზადებდა.

- ვინაა?

- არ იცნობ. მისნაირებს წინათ პროგრესულ ბიზნესმენებს ვეძახდით. ერთი ღარიბი ებრაელი ბიჭი ისტენდიდან, რომელიც გამდიდრდა და სინდისს იმით იმშვიდებდა, რომ კომუნისტებს

ფულს აძლევდა. ახლა კი მათ წრეში მიღებულია, რაიმე პროგ-რესულ, კეთილი საქმისთვის გაიღონ ფული.

- აჰა, ესე იგი, ფული აქვს?

- კი აქვს, თანაც ბევრი. და სახლი ჰემპსტედში.

მოლიმ ანას ზურგი შექცია და ანას მიეცა საშუალება ახალი ამბავი მშვიდად მოენელებინა.

- და ამ სახლს რას უპირებ?

- რა, ვერ ხვდები?

მოლი ისევ მიბრუნდა მისკენ, მოლის ხმა გამოუცოცხლდა, მისთვის დამახასიათებელი ირონიული ინტონაცია დაუბრუნდა. სიტყვებს, ცოტა არ იყოს, ალმაცერ, თუმცა კი გულიან ღიმილ-ს აყოლებდა:

- იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ აქ მარიონი და ტომი დასახ-ლდებიან?

- აბა, როგორ? შენ რა, ისინი აქ არ გინახავს?

- არა, არც ისინი და არც რიჩარდი.

- მოკლედ. ტომიმ საბოლოოდ გადაწყვიტა, რიჩარდის კვალს გაჰყვეს. ის უკვე ჩანერგეს სისტემაში, ასე ვთქვათ, ფუნქციებს ნელ-ნელა თავის თავზე იღებს, რიჩარდი კი აპირებს მოვა-ლეობები შეიმციროს და, ბოლოს და ბოლოს, ჯინთან ერთად მშვიდად იცხოვროს.

- გინდა თქვა, რომ სრულიად ბედნიერია და კმაყოფილი?

- წინა კვირას შემხვდა ქუჩაში თავის ლამაზმანთან ერთად, თუმცა ნაჩქარევ დასკვნას ნუ გამოვიტანთ.

- ნუ გამოვიტანთ.

- ტომიმ მტკიცედ გადაწყვიტა, არ გახდეს ისეთი რეაქციონე-რი და არაპროგრესული, როგორიც მამამისია. ამბობს, რომ

მსოფლიო შეიცვლება მსხვილი პროგრესული ბიზნესმენების მცდელობითა და სამთავრობო დეპარტამენტებზე ზეწოლით.

- სხვა თუ არაფერი, ერთობ თანამედროვე სულისკვეთებაა.

- ო, ანა, არ გინდა.

- კარგი, მარიონი როგორაა?

- მზა ტანსაცმლის მაღაზია იყიდა ნეიტსბრიჯში. მაღალი ხარისხის ტანსაცმლით ვაჭრობას აპირებს, - გესმის, მოდური კი არა, არამედ მაღალი ხარისხის. უკვე ჯგროდ დაჰყვებიან ვიღაც შერეკილები, რომლებიც მას იყენებენ, ის კი მათზე გიჟდება. ჰგონია, საყვარელი და სიმპათიური ხალხია და ოდნავ მეტს სვამს, ვიდრე მისთვის დასაშვებია.

მოლის ხელები მუხლებზე ეწყო, თითის წვერები შეტყუპებული ჰქონდა, სარკასტული კომენტარებისგან ცდილობდა, თავი შეეკავებინა.

- გასაგებია.

- და ამერიკელი როგორ გყავს?

- ჰოო, რომანი მქონდა მასთან.

- ვერ ვიტყვი, რომ ეს შენი ყველაზე გონივრული საქციელია.

ანას გაეცინა.

- რატომ გაგეცინა?

- ქორწინება კაცთან, რომელსაც ჰემპსტედში სახლი აქვს, ამ წვრილმან ვნებათაღელვას საკმარისად დაგაშორებს.

- ჰოდა, მადლობა ღმერთს.

- სამსახურის დაწყებას ვაპირებ.

- გინდა თქვა, რომ წერას თავს ანებებ?

- ჰო.

მოლი მიბრუნდა, ომლეტის ნაკუწები თეფშებზე ხმაურით დაყარა, საპურე ახალი პურით აავსო. მრავლისმეტყველად დუმდა.

- გახსოვს დოქტორი ნორტი?

- კი, მახსოვს.

- ოჯახისა და ქორწინების საკითხებზე საკონსულტაციო ბიუროს მსგავს რაღაცას ხსნის - ნახევრად სახელმწიფოს, ნახევრად კერძოს. მეუბნებოდა, რომ იმათი სამი მეოთხედი, ვინც მას სხვადასხვა ჩივილით მიმართავს, სინამდვილეში ის ხალხი, რომლებსაც ოჯახში პრობლემები აქვთ. ანდა, საერთოდაც არა აქვთ ოჯახი.

- და შენ იქ უშურველად გასცემ სასარგებლო რჩევებს.

- დაახლოებით. და კიდევ, ლეიბორისტულ პარტიაში მინდა შევიდე და საღამოს სკოლაში პრობლემური ბავშვებისთვის მასწავლებლობა დავიწყო.

- ანუ ჩვენ ორივენი ბრიტანულ ცხოვრებაში, მის საფუძველთა საფუძველში ასიმილირებული აღმოვჩნდებით.

- ასეთ ტონს ყოველნაირად ვცდილობ მოვერიდო.

- მართალი ხარ, უბრალოდ, ჩემზე იმოქმედა იმან, რომ შენ ოჯახისა და ქორწინების საკითხებზე რჩევები უნდა აფრქვიო.

- სხვის ქორწინებებში მშვენივრად ვერკვევი.

- ო, კი! მაშ, ვინ, იცის, იქნებ ერთხელაც იმ სკამზე მჯდომი დამინახო, შენ წინ რომ იქნება. იქ, კონსულტაციაში.

- ეჭვი მეპარება.

- მეც. არაფერი შეედრება იმ საწოლის ზომის ზუსტ ცოდნას, რომელშიც უნდა ჩაწვე.

მოლი საკუთარი თავით უკმაყოფილო იყო, ხელები გაწბილების გამომხატველი მოძრაობით გაიქნია, დაიჯღანა და თქვა:

- შენ ჩემზე ცუდად მოქმედებ, ანა. მე ბედს უკვე შევეგუე, ამ დროს კიდევ შენ მოდიხარ. სინამდვილეში მე მგონია, რომ მშვენივრად შევეწყობით ერთმანეთს.

- ვერაფერ ხელის შემშლელს ვერ ვხედავ საამისოდ, - ჩაილა-პარაკა ანამ.

ხანმოკლე პაუზა.

- ეს ყველაფერი მართლა საოცარია, არა, ანა?

- ერთობ.

ცოტა ხანში ანამ თქვა, მეჩქარებაო, ჯენეტი კინოდან უნდა დაბრუნებულიყო შინ, სადაც მეგობართან ერთად იყო.

ქალებმა ერთმანეთს აკოცეს და დაშორდნენ.